



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
GORI STATE TEACHING UNIVERSITY



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY



დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
DAVIT TVILDIANI MEDICAL UNIVERSITY



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY



სევილიის უნივერსიტეტი, ესპანეთი
UNIVERSIDAD DE SEVILLA, SPAIN



ტაჯიკეთის კომერციის სახელმწიფო უნივერსიტეტი
TAJIK STATE UNIVERSITY OF COMMERCE




ვარშავის უნივერსიტეტი
UNIVERSITY OF WARSAW

**მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„განათლების მენეჯმენტი: მიმდინარე გამოწვევები და
განვითარების პერსპექტივები“**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 18-19 ნოემბერი, 2016, გორი, საქართველო
კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

**THE NINTH INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE
“MANAGEMENT OF EDUCATION: CURRENT CHALLENGES AND
DEVELOPMENT PERSPECTIVES”**

GORI STATE TEACHING UNIVERSITY, November 18-19, 2016, Gori, Georgia
CONFERENCE LANGUAGES: GEORGIAN, ENGLISH, RUSSIAN



www.gu.edu.ge

2017

საორგანიზაციო კოლეგია:

თავმჯდომარე: **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

წევრები:

მერაბ ხალვაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი

გიორგი ღვთაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

გიორგი შარვაშიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ჯონი აფაქიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

თეონა ხუფენია, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ირმა შიოშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ილიას ჩილოღლი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ტოდორ რადევი, ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტის რექტორი

იან მალიცკი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრის დირექტორი

დავით ყოლბაია, ვარშავის უნივერსიტეტი, დოქტორი

იურგიტა რაუდელიუნიენე, ვილნიუსის გედემინოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ერდოღან ალთინკაინაკი, არდაჰანის უნივერსიტეტის პროფესორი

ვედი ასკაროღლი, არდაჰანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გოდერძი ბურჯაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მეკმეთ შაჰინერი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საორგანიზაციო კომიტეტი:

თავმჯდომარე: **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

წევრები:

ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი

ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

გივი გაგნიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეურნეო და დაცვის სამსახურის უფროსი

გიორგი ტეტუნაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

ბეჟან რომელაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

პროგრამული კომიტეტი:

თავმჯდომარე: **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი

წევრები:

ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ნელი ჭამპურიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
ჯემალ ქირია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
თეა ხორგუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი
ივანე ბალახაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, უფროსი მასწავლებელი
ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
ნელი გოგინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
ალექსანდრე იაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
პაატა ცაგარეიშვილი - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, დოქტორი
ნათელა დოღონაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
ნიკა ფარჯანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
საიდ მულიანი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი

სარედაქციო კომისია:

წევრები:

თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
ელენე ხოჯევანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მარიკა შერაზადიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მარინე ცერცვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი:

გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამეცნიერო მიმართულების მთავარი სპეციალისტი

UDC (უაკ) 37
გ-20

ISBN 978-9941-27-621-7

ღამიპალა



**გამომცემლობა
სამშობლო**

თბილისი, რობაქიძის 7; მობ.: 551 95 31 90

ORGANIZATION BOARD:

Head: **Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University, Professor

Members:

Berab Khalvashi, Rector of Batumi Shota Rustaveli State University, Associate Professor

Giorgi Ghvatsadze, Rector of Akaki Tsereteli State University, Professor

Giorgi Sharvashidze, Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Joni Apakidze, Rector of Sokhumi State University, Professor

Sergo Vardosanidze, Rector of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Professor

Teona Khupenia, Rector of Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi, Professor

Irma Shioshvili, Rector of Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor

Merab Beridze, Rector of Samtskhe-Javakheti State University, Professor

Ilyas Ciloglu, Rector of International Black Sea University, Professor

Todor Radev, Rector of Varna University of Management

Jan Malicki, Director of the Centre for East European Studies of the University of Warsaw

Davit Kolbaia, University of Warsaw, Doctor

Jurgita Raudeliūnienė, Vilnius Gediminas Technical University, Associate Professor

Erdoğan Altinkaynak, Ardahan University, Professor

Vedi Askaroglu, Ardahan University, Associate Professor

Ketevan Chkuaseli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

Goderdzi Buchashvili, International Black Sea University, Assistant Professor

Mehmet Sahiner, International Black Sea University, Associate Professor

ORGANIZATIONAL COMMITTEE:

Head: **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor

Members:

Levan Midodashvili, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service, Professor

Ana Imnadze, Gori State Teaching University, Head of Strategic Development, International and Public Relations Service, Associate Professor

Givi Gagnidze, Gori State Teaching University, Head of Economic and Security Service

Giorgi Tetunashvili, Gori State Teaching University, Head of Budgeting and Purchasing Service

Bezhan Romelashvili, Gori State Teaching University, Head of Service of Information Technologies Assurance

PROGRAMME COMMITTEE:

Head: **Aleksandre Mghebrishvili**, Deputy Rector of Gori State Teaching University, Professor

Members:

Eldar Mamisvalishvili, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology, Professor

Vianor Akhalaia, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature, Professor

Tamar Gogoladze, Gori State Teaching University, Professor

Neli Champuridze, Gori State Teaching University, Head of Faculty of Pedagogics and Methodology, Professor

Jemal Kiria, Gori State Teaching University, Head of Faculty of Information Technologies and Mathematics, Professor

Tea Khorguashvili, Gori State Teaching University, Head of Business Administration Faculty, Professor

Ivane Balakhashvili, Gori State Teaching University, Head of Practical Law Clinic and Faculty of Social Sciences, Senior Teacher

Zurab Chkhikvadze, Gori State Teaching University, Professor

Neli Goginashvili, Gori State Teaching University, Professor

Aleksandre Iashvili, Gori State Teaching University, Professor

Paata Tsagareishvili, David Tvildiani Medical University, Doctor

Natela Doghonadze, International Black Sea University, Professor

Nika Parjanidze, International Black Sea University, Associate Professor

Said Muliani, Gori State Teaching University, Doctor

EDITORIAL BOARD:

Members:

Tamar Gogoladze, Gori State Teaching University, Professor

Elene Khojevanishvili, Gori State Teaching University, Professor

Mariam Koberidze, Gori State Teaching University, Professor

Marika Sherazadishvili, Gori State Teaching University, Professor

Marine Tsertsvadze, Gori State Teaching University, Professor

Zurab Chkhikvadze, Gori State Teaching University, Professor

Technical Editor: Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University, Chief Specialist of Scientific Direction of Quality Assurance Service

შ ი ნ ა ა რ ს ი

განათლება

- რომან აბაშიძე – მეცხრამეტე საუკუნის 80–90 იანი წლების აჭარის სასკოლო სისტემის ფორმირების ზოგიერთი საკითხი და იაკობ გოგებაშვილი – 14
- ლალი აზმაიფარაშვილი – დაბალი კლასების მოსწავლეების ფიზიკური მომზადების განსაკუთრებული მნიშვნელობა სპორტის გაკვეთილებზე – 18
- ციური ბაქრაძე – ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში – 21
- ეკატერინე გიგაშვილი – თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ურთიერთმიმართების პრინციპი მასწავლებელთა განათლების პროგრამაში – 24
- იანინა გიგიბერია, ლია გაჩეჩილაძე, რომან სამხარაძე – დიფერენცირებული სწავლებისათვის მასწავლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია – 29
- მზია გოგიაშვილი – შემეცნებითი სფეროს განვითარება სკოლამდელ ასაკში – 31
- ოთარ დოლიძე – სამხედრო სწავლების მეთოდები მოტივაციის ჩამოყალიბებაში – 34
- ელენე ზურაბაშვილი – სწავლა-აღზრდის მეთოდები აკაკი წერეთლის პერიოდში („ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით) – 39
- თინათინ იოსებიძე – ინტეგრირებული გაკვეთილი, როგორც ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება ბიოლოგიის სწავლებაში – 43
- ნინო მარქაროვი – ლექსიკური ერთეულების შერჩევის, დანერგვისა და გამყარების პრინციპები რუსულის, როგორც უცხოური ენის სწავლების დაწყებით ეტაპზე (რუსულ ენაზე) – 47
- ლია მენთეშაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი – აღზრდის პრობლემები თანამედროვე ოჯახში – 50
- ნოდარ მირაზანაშვილი – პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მნიშვნელობა მასწავლებლის კარიერულ წინსვლაში – 54
- ირმა ქურდაძე – ზოგიერთი მიდგომა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის აღზრდაში – 57
- პაატა ქურდაძე – პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპრისეული შემოქმედება პიროვნების აღზრდაზე – 60
- ზურაბ ჩხიკვაძე, ლელა ხუბულური – მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება - უკეთესი კომუნიკაციის წინაპირობა – 63
- ნელი ჭამპურიძე, მეგი ბიბილური – კონფლიქტის მართვისა და მედიაციის სწავლების სტრატეგიები – 67
- ნათელა ხინჩაგაშვილი – ინტერნეტ-რესურსების გამოყენების მეთოდოლოგია რუსული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისას (რუსულ ენაზე) – 70

მათემატიკა და ინფორმატიკა

- ინგა აბულაძე – დრუბლოვანი გამოთვლების კონცეფცია და პერსპექტივები – 73
- ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური, ზურაბ ზერაკიძე – ძალდებული შეფასებების აბსოლუტურად ზომადობის შესახებ – 76
- შორენა დემურაშვილი – მოთხოვნის ინტეგრალური მოდელების ფორმირება და გამოკვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით – 79
- დავით ზარნაძე, სოსო ცოტნიაშვილი – ენაში „და“, „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ – 83
- დავით ზარნაძე, სოსო ცოტნიაშვილი, ტრისტან ტურაშვილი – ლოგიკური ოპერაციების შესაბამისი 3-შემავლიანი სქემები რიცხვით ელექტრონიკაში – 88
- ზურაბ ზერაკიძე, ჯემალ ქირია, თენგიზ ქირია – ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმების აბსოლუტურად ზომადობის შესახებ – 93
- ლევან მიდოდაშვილი, პავლე მიდოდაშვილი – განზომილებების შემცირება მდგარი ტალღების მემბრანულ სამყაროებში (ინგლისურ ენაზე) – 95
- მალხაზ მუმლაძე, ზურაბ ზერაკიძე – ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების არსებობის კრიტერიუმში ჰიპოთეზათა ტოპოლოგიური სივრცის შემთხვევაში – 99
- თინათინ შშივილიძე – დინამიური პროგრამირების მოდელი ელექტროსადგურების ოპტიმალური განვითარებისათვის – 102
- კარლო ცერცვაძე – ფასიანი ქაღალდების პორტფელის დროითი სტრუქტურის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი – 106

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- ელენა აივაზოვა, ტატინა კორელსკაია – აზოტის ოქსიდების შემცველობა ქლაქ არხანგელსკის ჰაერში (რუსულ ენაზე) – 109
- ელენა აივაზოვა, მარიამ უბირია – მაგნიუმის ცვლის თავისებურებანი არხანგელსკის ოლქის ნენტა ავტონომიური ოკრუგის (ნაო) ადგილობრივ მოსახლეობაში (რუსულ ენაზე) – 110
- სულიკო ბერიძე – სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ბუნებრივი საკვები-სავარგულების სათიბ-სამოვრების გამოყენების თავისებურებანი – 112
- ნელი გოგინაშვილი – გარემო ფაქტორების გავლენა ფოტოსინთეზის პროდუქტიულობაზე – 114
- ლამზირა გორგილაძე, დარეჯან ჯაში, ნარგიზი ალასანია, ლეილა ებრალიძე – მოცვისა და ქლიავის კულტურის მოვლა-მოყვანისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიები – 120
- რობერტ მალაქელიძე, გიორგი მალაქელიძე – ლანდშაფტურ საფუძველზე შექმნილი საქართველოს ნიადაგების რუკის როლი ლანდშაფტურ-გეოქიმიურ კვლევებში – 125
- ქეთევან მემარნე, ლამზირა გორგილაძე, ნინო ლომთათიძე – ბზის ფიტოსანიტარული მდგომარეობა მაჭახელას ხეობაში – 127
- გიორგი მძინარაშვილი – მრავალფეროვანი და მრავალმხრივი თავისუფალი ჭიდაობა – 130
- ნელი პაპუკაშვილი – გამომსახველობის ადგილი და მნიშვნელობა ტანვარჯიშულ სახეებში – 132
- მამია ტულუში, ალექსანდრე იაშვილი – სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა, პრობლემები და გადაჭრის გზები – 136
- მამია ტულუში, ნელი პაპუკაშვილი – სასკოლო ასაკში გამძლეობის განვითარების ამოცანები და საშუალებები – 140
- მარიამ ცეცხლაძე, ნინო ლომთათიძე, ნათია ლაჭავა – მდინარეების წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი აჭარის არ ტერიტორიაზე – 145
- გიორგი ჯაბნიძე – სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების ეკოლოგიური შეფასებისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის ზოგიერთი საკითხი – 147
- რეზო ჯაბნიძე, ნარგული ასანიძე, სოფო ხუბუნაიშვილი – მანდარინის კულტურის თანამედროვე აგროტექნოლოგიები – 149

ბიზნესი და ეკონომიკა

- მაია აზმაიფარაშვილი – ეკოტურისტული პროდუქტის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში – 156
- ხათუნა ბებნაძე – ორგანიზაციული კულტურა როგორც ადამიანური რესურსების მართვის განუყოფელი ნაწილი – 160
- ლია ბიბილაშვილი, სოფო ზლიაძე – ორგანიზაციების ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფა – 164
- დავით ბიბინაშვილი – სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმი და მონეტარულ-ფინანსური ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 168
- გიული გიგუაშვილი – უმაღლესი განათლების ფინანსური მართვის ასპექტები საქართველოში – 172
- მანია გოგიძე – გუნდური მმართველობის მოდელი და ვალდებულებების სწორად განაწილების სისტემა – 178
- ია გოდერძიშვილი, თამარ კილაძე – საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობის და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამალგების მიმართულებები – 184
- მერაბ ვანიშვილი – ფულის დროითი ღირებულების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები განვითარებად ქვეყნებში (ინგლისურ ენაზე) – 190
- მერაბ ვანიშვილი, ლევან კალატოზიშვილი – კონკურენციის დონის შეფასება საქართველოს საბანკო სექტორში – 192
- ნინო ვანიშვილი, ლევან კალატოზიშვილი – საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა საქართველოში – 200
- იულია თედევი – კორპორაციათა კლასიფიკაცია. მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები – 207
- მარინე თოფჩიშვილი, ნატალია ჭანტურია – კლასტერიზაცია, როგორც ქართული ბიზნესის განვითარების სტრატეგია (უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების მაგალითზე) – 212

- ლევან კალატოზიშვილი, ნინო ვანიშვილი – კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში – 216
- ქეთევან კიწმარიშვილი – ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი – 221
- ანა კურტანიძე – ვენჩურული პროექტების სახეები – 224
- თამარ ლავგილავა – მცირე და საშუალო ბიზნესი ევროკავშირსა და საქართველოში – 226
- ნინო ლიპარტიელიანი – ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი – 232
- მარინე ლომიძე, გიორგი მაჭარაშვილი – კვლევითი პროექტები და მათი თავისებურებანი – 235
- თამარ მაკასარაშვილი – ინოვაციური პროცესების განვითარების მექანიზმები საქართველოში და სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში – 237
- ლეილა მამულაშვილი – კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარება მიკრო და მაკრო დონეებზე – 242
- ლია ნადირაძე – სამეურნეო და საინვესტიციო რისკების მახასიათებლები – 245
- ნანა ნადირაძე – მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულაციები მსოფლიოში და საქართველო – 249
- მანანა ნანიტაშვილი – კონკურენციის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია საცალო ვაჭრობაში – 254
- ნინო ორჯონიკიძე – ქართული რეგიონალიზმის განვითარების ტენდენციები – 261
- ლალი ოსაძე – აბრეშუმის გზის ამოქმედების პრობლემები და საქართველოს ლოგისტიკურ ცენტრად ქცევის შესაძლებლობა – 265
- მაკა სოსანიძე – მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების პრობლემები საქართველოში – 268
- ლალი სრესელი – მცირე მეწარმეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლის აგროსექტორში – 271
- ინგა ფრანგიშვილი, ნათია გოგოლაძე – საბრუნავი კაპიტალის ფინანსური უზრუნველყოფის საფუძვლები თანამედროვე ეკონომიკაში – 277
- ნანული ქოქაშვილი – ინოვაციები და ბიზნესის კონკურენტუნარიანობა საქართველოში – 283
- გიორგი ყაზიშვილი – მომხმარებელთა კმაყოფილებისა და მომსახურე პერსონალის კმაყოფილების განსაზღვრა საცალო ვაჭრობაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით – 287
- მაია ჩეჩელაშვილი – ინოვაციები და მათი როლი ადამიანური კაპიტალის განვითარებაში და ცოდნის ეკონომიკის ფორმირებაში – 294
- ხალიანა ჩიტაძე, გიორგი თენაძე – ვალდებულებების სწორად აღრიცხვა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საფუძველი – 298
- დავით ჭიოტაშვილი – ფინანსური რისკების სადაზღვევო უზრუნველყოფა საქართველოში – 301
- თეა ხორგუაშვილი – ფინანსური რისკების გამოვლენის წყარო, შეფასება და მართვის თავისებურებები – 304

სოციალური მეცნიერებები და სამართალი

- ნუგზარ აბრამიშვილი – პლატონის ღმერთი – 310
- მაია აივაზოვა, ანატოლი კატიშევი, კონსტანტინე აივაზოვი, დიმიტრი კატიშევი – ავადმყოფთა ფსიქოლოგიური თავისებურებანი საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის პათოლოგიისას (რუსულ ენაზე) – 314
- მაია აივაზოვა, ანატოლი კატიშევი, კონსტანტინე აივაზოვი, დიმიტრი კატიშევი – ავადმყოფთა სტრეს-მდგომარეობის თავისებურებანი ქვედა ყბის სახსრის დისფუნქციის დროს (რუსულ ენაზე) – 316
- ივანე ბალახაშვილი – გირავნობის საგნის რეალიზაცია – 318
- თეიმურაზ დარსანია – დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი ამერიკულ სისხლის სამართალში – 323
- მაკა დოლიძე – ეროვნული ურთიერთობები და საინფორმაციო საშუალებები – 326
- კლარა ელჩიბეგაშვილი – სიყვარული ადამიანის საერთოღირებულებით სისტემაში – 329
- ანა იმნაძე – პოლ ლაზარსფელდის კომუნიკაციის ორსაფეხურიანი მეთოდი და ე.წ. „თოვლის გუნდის მეთოდი“ – 332
- ბესიკ კაიშაური – ქოუჩინგი - მართვის პროგრესული სტილი საჯარო მართვაში – 338
- ნესტან ლომია – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების გენდერული ასპექტები – 341
- მალხაზ ლომსაძე – ძარცვის მაკვალიფიცირებელი ნიშნები – 345
- ნიკოლოზ მიდოდაშვილი – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კოლექტიური ორგანოს როლი და მისი ფორმირების წესი თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციების ფონზე – 350
- ალექსანდრე მღებრიშვილი – ქართულ მედიაში ინტერვიუს გამოყენების პირველი ნაბიჯები. მისი მომზადების მეთოდები და განვითარების ეტაპები პოსტ საბჭოთა პრესიდან დღემდე (ინგლისურ ენაზე) – 356

- მაკა სალხინაშვილი – ოჯახური ძალადობის პრობლემების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში – 360
- ბექა ტოლიაშვილი – პანიკა და მისი გამომწვევი ფაქტორები საბრძოლო მოქმედებების დროს – 365
- მარიკა შერაზადიშვილი – რეკლამის ენის თავისებურებები – 368
- ნანული (ნანა) ცხვედაძე, ქეთევან ლომსაძე – ფუნდამენტური ემოციები და მათი კროს-კულტურული თავისებურებები ქართველებთან – 371
- იოსებ ჭუმბურიძე – პუბლიცისტიკის ჟანრები: თეორია და რეალობა – 377

ფილოლოგია

- ნანა არახამია – ლიტერატურულ-ფილოსოფიური მემკვიდრეობა და ფოლკლორულ მასალათა ფორმირება ვაჟა-ფშაველას კონცეფციით – 380
- ვიანორ ახალაია – ჭანი, ლაზი, ზანი - ტერმინთა ურთიერთმიმართება და მათი ხმარების ქრონოლოგიური ასპექტები – 386
- ქეთევან ზარბაქაძე – ვაჟა-ფშაველა და გერმანული ლიტერატურა – 388
- არსენ ზერთლანი, ნათელა ლუდუშაური – დ. კ. მალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ადრეული პერიოდი (რუსულ ენაზე) – 393
- თამარ გელიტაშვილი – წარმართული და ქრისტიანული პარადიგმები კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ – 395
- ქეთევან გიგაშვილი, მზია გიგაშვილი – ვოდველის არსი და მისი ძირითადი მახასიათებლები ევროპასა და რუსეთში – 403
- თამარ გოგოლაძე – ქართულ-პოლონური ლიტერატურული დიალოგის დასაწყისი (XIX საუკუნის I ნახევარი) – 409
- ანა დათუაშვილი – სოლარული და ლუნარული მითოლოგია და პერსონიფიცირებული მნათობები მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლების ქართულ პროზაში – 413
- მაია დარასელია, თამარ ჯოჯუა – ცნებათა ნათესაობის იდეა მეტაფორის თეორიაში – 418
- ნინო ვახანია – კაპიტალისტური და ნაციონალურ-რელიგიური ეთოსის დაპირისპირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ რეალისტურ პროზაში (გ. ერისთავი) – 421
- თამილა ზვიადაძე – მყარ გამონათქვამებში შემავალი ზოგი ლექსიკური ერთეულის სემანტიკისათვის – 425
- მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგაიანი, მარინა ჯღარკავა – კონცეპტი „ხელი“ ქართველურში – 429
- მარიამ კობერიძე – წინადადების წევრების განლაგების საკითხი იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში – 434
- ნანა კუცია, მარინე ტურავა – ნოველის ჟანრული თავისებურებების საკითხისათვის – 439
- მარინე ლომიძე, ლია მეტრეველი – მწერლობის სოციალური პოტენციალის გააზრებისათვის (უ. ფოლკნერისა და ო. ჭილაძის ნააზრევის მიხედვით) – 446
- ქეთევან მარგაიანი – ენობრივი მსოფლხედვა და მიკროობიექტთა სახელდება სვანურ ტოპონიმიაში (დალის ხეობის მასალების მიხედვით) – 450
- ლელა მახვილაძე – მაერთებელი ელემენტები გერმანული ენის კომპოზიტებსა და დერივატებში – 455
- მაია მელანაშვილი – „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრება“ - პიკარესკული ჟანრის რენესანსული არქექტივი – 460
- ციალა მესხია – ზვიად გამსახურდიას „მთვარის ნიშნობა“ მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია – 464
- მურად მთვარელიძე – „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ - ლიტერატურაში და პირად ცხოვრებაში (გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი) – 469
- ნაილე მიქელაძე – მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ლექსები აჭარისა და თურქეთში მცხოვრებთა ფოლკლორში – 473
- ციური ნოზაძე – ბუნებრივ ენაზე ტექსტის დამუშავების და მართვის ინტელექტუალური ტექნოლოგიების პრობლემური საკითხები – 477
- მაკა ნუცუბიძე – სტიქიისა და ადამიანის ურთიერთობა გ. რჩელიშვილი მოთხრობის „მუნჯი ახმედი და სიცოცხლეს“ მიხედვით – 481
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – სოფელ ახალშენის ონომასტიკური მასალები – 485
- ზურაბ ოქროპირიძე – 900-იანი წლების ეროვნულ-სოციალური ბრძოლის სურათები ნიკო შიუკაშვილის პიესაში „სულელი“ – 487

- ნელი პეტრიაშვილი – ერთმორწმუნე მტერი და გაორებული რომანტიკოსები – 493
- ლუარა სორდია – ახალი სიტყვა თანამედროვე ქართულ პოეზიაში – როსტომ ჩხეიძის „მზის საფეხურები“. ლექსები პროზად – 499
- ელზა ფუტყარაძე – ერთი მუჰაჯირის პოეტური სამყაროდან – 505
- თამარ ყალიჩავა – ბრბოს ფსიქოლოგია – თამაზ ბიბილურის „ყამი კითხულისა“ – 508
- ჰარუნ ჩიმქე – ვნებითი გვარის თავისებურებანი ქართულსა და თურქულში – 513
- მარინე ცერცვაძე – „შეურიგებლობის, შეუგუებლობის სულის“ რამდენიმე ნიმუში ქართულ ესეისტიკასა და დოკუმენტურ პროზაში – 519
- ჯულიეტა ძაძუა – აფხაზეთში ტოპონიმთა წარამარა გადაკეთებისათვის – 524
- ელენე ხირსელი – სიკვდილის თემა ს. ესენინის ადრეულ ლირიკაში (რუსულ ენაზე) – 527
- გიორგი ხორბალაძე – როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი - ზოგადი ტენდენციები – 530
- ელენე ხოჯევანიშვილი – პოეტურ სტრიქონებად ტრანსფორმირებული ფერები ესმა ონიანის პოეზიაში – 535
- ნანა ჯალაღონია – რეზო ჭეიშვილის შემოქმედება „დათობის“ ტროპების კონტექსტში – 539

ისტორია

- იოსებ ალიშარაშვილი – რუსეთ-ოსმალეთ-ირანის მიზნები ქართლის სამეფო ტახტის მიმართ XVIII ს. 20-30-იან წლებში და დომენტი კათალიკოსი – 544
- დავით ახლოური – ქსნის საერისთავოს ურთიერთობა ირანთან შანშე ერისთავის დროს – 550
- რომან გოგოლაური – ბიეთის ქტიტორ ხუაშაქის ვინაობის საკითხისათვის – 553
- გიორგი გოცირიძე, ქეთევან გიგაშვილი – შამილი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში – 560
- ნოდარ დარსანია – ნაპოლეონ III და ბისმარკი – 566
- ნუგზარ ზოსიძე – ქართულ-თურქული ურთიერთობები კავკასიის გეოპოლიტიკის კონტექსტში (1917-1918 წწ.) (რუსულ ენაზე) – 572
- ლელა თოგოშვილი – საქართველოში რუსული დასახლებების წარმოქმნის საკითხისათვის – 578
- ელდარ მამისთვალიშვილი – ანტონ I და კათოლიკობა – 582
- მანანა მიჩიტაშვილი – საციციანოს სოფლები ტანას ხეობაში (XV-XVIII სს.) – 586
- გიორგი სოსიაშვილი – დიციის ღვთისმშობლის ტაძრის ასომთავრული წარწერები და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო – 596
- დავით შოშიაშვილი – კურაგინელი კულაკი XX საუკუნის პირველი ნახევრის 30-იან წლებში (რუსულ ენაზე) – 614
- ვაჟა ჩოჩია – პირველი მსოფლიო ომი და აშშ მონაწილეობა სახმელეთო ოპერაციებში – 619
- დავით ჩოჩიშვილი – ებრაელები რომის იმპერიაში (70 წლიდან ბარ კოხბას აჯანყებამდე) – 622
- ოთარ ჯანელიძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიიდან (პრემიერის გადადგომა) – 626
- მამუკა ჯოღობორდი – სოფლის მეურნეობა გორის მაზრაში (XIX საუკუნე-XX საუკუნის დასაწყისი) – 634

CONTENTS

Education

- Roman Abashidze** – *SOME ISSUES OF ADJARA SCHOOL SYSTEM FORMATION IN 80-90-IES OF THE XIX CENTURY AND IAKOB GOGEBASHVILI* – 14
- Lali Azmaiparashvili** – *THE PARTICULAR IMPORTANCE OF PRIMARY SCHOOL'S PUPILS' PHYSICAL TRAINING IN SPORT LESSONS* – 18
- Tsiuri Bakradze** – *MORAL VALUABLE APPROACH IN LEARNING AND EDUCATIONAL PROCESS* – 21
- Ekaterine Gigashvili** – *THEORETICAL AND PRACTICAL COMPONENTS OF THE RELATIONSHIP BETWEEN THE PRINCIPLE OF THE TEACHER EDUCATION PROGRAM* – 24
- Ianina Gigiberia, Lia Gachechiladze, Roman Samkharadze** – *THE METHODOLOGY OF DEVELOPMENT OF THE TRAINING PROGRAMS FOR DIFFERENTIATED LEARNING* – 29
- Mzia Gogiashvili** – *COGNITIVE SPHERE DEVELOPMENT IN CHILDREN UNDER SCHOOL AGE* – 31
- Otar Dolidze** – *MILITARY TEACHING METHODS IN DEVELOPING MOTIVATION* – 34
- Elene Zurabashvili** – *METHODS OF EDUCATING AND UPBRINGING IN THE PERIOD OF AKAKI TSERETELI (BASED ON "MY ADVENTURE")* – 39
- Tinatin Iosebidge** – *INTEGRATED LESSON AS ONE OF THE AESTHETICAL EDUCATION TOOL IN BIOLOGY TEACHING* – 43
- Nino Markarovi** – *PRINCIPLES OF SELECTION, INTRODUCTION AND FIXATION OF LEXICAL UNITS ON THE INITIAL STAGE OF STUDING RUSSIAN AS FOREIGN LANGUAGE (in Russian)* – 47
- Lia Menteshashvili, Nino Chakhunashvili** – *UPBRINGING PROBLEMS IN THE MODERN FAMILY* – 50
- Nodar Mirazanashvili** – *THE IMPORTANCE OF RESEARCHING PEDAGOGICAL PRACTICES IN A TEACHER CAREER ADVANCEMENT* – 54
- Irma Kurdadze** – *SOME APPROACH TO RAISING CHILDREN WITH DOWN SYNDROME* – 57
- Paata Kurdadze** – *THE IMPACT LIKE A TALE OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" ON A PERSON'S UPBRINGING* – 60
- Zurab Chkhikvadze, Lela Khubuluri** – *DEVELOPING LISTENING SKILLS - ASSUMPTION FOR BETTER COMMUNICATION* – 63
- Neli Champuridze, Megi Bibiluri** – *CONFLICT MANAGEMENT AND MEDIATION TEACHING STRATEGIES* – 67
- Natela Khinchagashvili** – *INTERNET RESURCE METHOD USING FOR THE TEACHING RISSIAN LITERARY HISTORY (in Russian)* – 70

Mathematics and Informatics

- Inga Abuladze** – *CONCEPT AND PERSPECTIVES OF CLOUD COMPUTING* – 73
- Lela Aleksidze, Laura Eliauri, Zurab Zerakidze** – *ABOUT ABSOLUTE MEASURABILITY OF CONSISTENT ESTIMATORS* – 76
- Shorena Demurashvili** – *TOTAL DEMAND MODEL FORMATION AND ANALYSIS USING MODERN TECHNOLOGIES* – 79
- Davit Zarnadze, Soso Tsojniashvili** – *ABOUT USING THE „AND“, "OR" AND "JUST OR" LOGICAL CONJUNCTIONS IN THE LANGUAGE MULTIPLE TIMES AND ON ALTERNATELY WAYS* – 83
- Davit Zarnadze, Soso Tsojniashvili, Tristan Turashvili** – *3-INPUT CIRCUITS IN DIGITAL ELECTRONICS CORRESPONDING TO LOGICAL OPERATIONS* – 88
- Zurab Zerakidze, Jemal Kiria, Tengiz Kiria** – *ABOUT ABSOLUTE MEASURABILITY OF CONSISTENT CRITERIA FOR CHECKING HYPOTHESES* – 93
- Levan Midodashvili, Pavle Midodashvili** – *DIMENSIONAL REDUCTION IN STANDING WAVE BRANEWORLDS (in English)* – 95
- Malkhaz Mumladze, Zurab Zerakidze** – *THE CRITERIA OF EXISTENCE OF CONSISTENT ESTIMATE FOR CHECKING HYPOTHESES IN CASE TOPOLOGICAL SPACE OF HYPOTHESES* – 99
- Tinatin Mshvidobadze** – *THE MODEL OF DINAMIC PROGRAMS FOR THE INTENSIFICATION AND DEVELOPMENT OF THE ELECTRIC POWER STATION CAPACITY* – 102
- Karlo Tsertsvadze** – *ECONOMIC AND MATHEMATICAL MODEL OF TIME STRUCTURE OF PORTFOLIO OF SECURITIES* – 106

Natural Sciences

- Elena Aivazova, Tatiana Korelskaia** – *OXYDES OF THE AZOT IN THE AIR OF ARKHANGELSK (in Russian)* – 109
- Elena Aivazova, Mariam Ubiria** – *THE PECULIARITIES OF THE MAGNIUM TRANSFORMATION AMONG THE HABITANTS OF THE AUTONOMIC REGION OF ARKHANGELSK (SO-CALLED "NAO") (in Russian)* – 110
- Suliko Beridze** – *FEATURES OF USAGE THE NATURAL FOOD AND MEADOWS FOR AGRO ANIMALS* – 112

Neli Goginashvili – *EXTERNAL FACTORS INFLUENCING PRODUCTIVITY OF PHOTOSYNTHESIS* – 114
Lamzira Gorgiladze, Darejan Jashi, Nargizi Alasania, Leila Ebralidze – *BLUEBERRY AND PLUM CULTURE CULTIVATION TECHNOLOGY* – 120
Robert Maghlakelidze, Giorgi Maghlakelidze – *SOIL MAP OF GEORGIA ON THE BASE OF LANDSCAPE AND ITS ROLE IN LANDSCAPE GEOCHEMICAL TRIAL* – 125
Ketevan Memarne, Lamziri Gorgiladze, Nino Lomtadze – *PHYTOSANITARY CONDITION OF BUXUS COLCHICA IN MACHAKHELA VALLEY* – 127
Giorgi Mdzinarashvili – *VERSATILITY AND COMPLEXITY OF FREESTYLE WRESTLING* – 130
Neli Papukashvili – *IMPORTANCE AND PLACE OF EXPRESSIVENESS IN GYMNASTICS* – 132
Mamia Tughushi, Aleksandre Iashvili – *STUDENT PHYSICAL EDUCATION AND ITS CONCOMITANT PROBLEMS AND SOLUTIONS* – 136
Mamia Tughushi, Neli Papukashvili – *TASKS AND MEANS OF STAMINA IMPROVEMENT IN SCHOOL CHILDREN* – 140
Mariam Tsetskhladze, Nino Lomtadze, Natia Ghachava – *MONITORING OF THE ECOLOGICAL CONDITION WATER OF RIVERS IN AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA* – 145
Giorgi Jabnidze – *CERTAIN SUBJECTS OF ECOLOGICAL ASSESSMENT AND EFFICIENT USE OF WATER RESOURCES IN AGRICULTURE* – 147
Rezo Jabnidze, Narguli Asanidze, Sopo Khukhunaishvili – *MODERN AGRO TECHNOLOGIES OF TANGERINE* – 149

Business and Economics

Maia Azmaiparashvili – *FEATURES OF FORMATION OF ECO-TOURISM PRODUCT IN GEORGIA* – 156
Khatuna Bebnadze – *ORGANIZACIONAL CULTURE AS INDIVISIBLE PART OF HUMAN RESOURCES* – 160
Lia Bibilashvili, Sopo Bliadze – *ENSURE OF EFFECTIVE ORGANIZATIONS FUNCTIONING* – 164
Davit Bidzinashvili – *THE EXCHANGE RATE FORMATION MECHANISM OF THE MONETARY AND FINANCIAL-MARKET DEVELOPMENT PROSPECTS IN GEORGIA* – 168
Giuli Giguashvili – *FINANCIAL ASPECTS OF THE MANAGEMENT OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA* – 172
Mania Gogidze – *GROUP MANAGEMENT MODELS AND SYSTEM OF FAIR DISTRIBUTION OF RESPONSIBILITIES* – 178
Ia Goderdzishvili, Tamar Kiladze – *ANTI-CRISIS ENTERPRISE MANAGEMENT EFFICIENCY AND PRODUCT COMPETITIVENESS* – 184
Merab Vanishvili – *THEORETICAL-METHODOLOGICAL BASIS OF THE TIME VALUE OF MONEY IN DEVELOPING COUNTRIES* (in English) – 190
Merab Vanishvili, Levan Kalatozishvili – *ASSESSING THE LEVEL OF COMPETITION IN THE GEORGIAN BANKING SECTOR* – 192
Nino Vanishvili, Levan Kalatozishvili – *THE LEGISLATIVE-LEGAL AND INSTITUTIONAL PROVISION OF BANKING COMPETITION IN GEORGIA* – 200
Iulia Tedeevi – *CLASSIFICATION OF CORPORATIONS. THEIR BENEFITS AND DISADVANTAGES* – 207
Marine Topchishvili, Natalia Tchaturia – *CLUSTERIZATION, AS GEORGIAN BUSINESS DEVELOPMENT STRATEGY (ON THE EXAMPLE OF PRODUCTION OF SOFT DRINKS AND MINERAL WATERS IN GEORGIA)* – 212
Levan Kalatozishvili, Nino Vanishvili – *THE FACTORS AFFECTING STABILITY OF COMMERCIAL BANKS MANAGED IN GEORGIA* – 216
Ketevan Kitsmarishvili – *FUNCTIONAL - VALUE ANALYSIS* – 221
Ana Kurtanidze – *TYPES OF VENTURE PROJECT* – 224
Tamar Lagvilava – *SMALL AND MEDIUM BUSINESSES IN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA* – 226
Nino Liparteliani – *HERFINDAHL-HIRSCHMAN INDEX* – 232
Marine Lomidze, Giorgi Macharashvili – *RESEARCH PROJECTS AND THEIR PECULIARITIES* – 235
Tamar Makasarashvili – *DEVELOPMENTAL TOOLS OF INNOVATIVE PROCESSES IN GEORGIA AND LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY* – 237
Leila Mamulashvili – *COMPETITIVE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE MICRO AND MACRO LEVELS* – 242
Lia Nadiradze – *CHARACTERISTICS ECONOMIC AND INVESTMENT RISK* – 245
Nana Nadiradze – *THE REGULATIONS OF CONSUMERS' PROTECTION IN THE WORLD AND GEORGIA* – 249
Manana Nanitashvili – *THE METHODOLOGY OF THE COMPETITION DIAGNOSTICS IN THE RETAIL TRADE* – 254
Nino Orjonikidze – *DEVELOPMENT TRENDS OF GEORGIAN REGIONALISM* – 261
Lali Osadze – *PROBLEMS WITH FORMING THE MODERN SILK ROAD AND AN OPPORTUNITY OF BECOMING A LOGISTIC CENTER FOR GEORGIA* – 265
Maka Sosanidze – *CUSTOMERS SHOPPING SERVICE PROBLEMS IN GEORGIA* – 268
Lali Sreseli – *THE PERSPECTIVES OF EXPANSION OF SMALL-SIZED INDUSTRY IN SHIDA KARTLI REGION* – 271

- Inga Prangishvili, Natia Gogoladze** – *FUNDAMENTALS OF FINANCIAL SUPPORT OF THE WORKING CAPITAL IN MODERN ECONOMICS* – 277
- Nanuli Kokashvili** – *INNOVATION AND BUSINESS COMPETITIVENESS IN GEORGIA* – 283
- Giorgi Kazishvili** – *DETERMINATION OF CUSTOMER SATISFACTION AND EMPLOYEE SATISFACTION TO IMPROVE SERVICE QUALITY IN RETAIL TRADE* – 287
- Maia Chechelashvili** – *INNOVATIONS AND THEIR ROLE IN HUMAN CAPITAL DEVELOPMENT AND THE FORMATION OF THE KNOWLEDGE ECONOMY* – 294
- Khaliana Chitadze, Giorgi Tenadze** – *CORRECT ACCOUNTING OF LIABILITIES AS A BASE OF PREPARING AND REPORTING FINANCIAL STATEMENTS* – 298
- Davit Tchiotashvili** – *FINANCIAL RISK INSURANCE IN GEORGIA* – 301
- Tea Khorguashvili** – *FINANCIAL RISK EXPOSURE SOURCE, ASSESSMENT AND MANAGEMENT FEATURES* – 304

Social Sciences and Law

- Nugzar Abramishvili** – *THE GOD OF PLATO* – 310
- Maia Aivazova, Anatoli Katishev, Konstantine Aivazov, Dimitri Katishev** – *THE PATIENTS PSYCHOLOGICAL PECULIARITIES MEANWHILE THE PATHOLOGY OF THE LOWER JAW'S JOINT AND TEMPLE AREA* (in Russian) – 314
- Maia Aivazova, Anatoli Katishev, Konstantine Aivazov, Dimitri Katishev** – *THE PATIENTS' STRESS' PECULIARITIES MEANWHILE THE DISFUNCTION OF THE LOWER JAW'S JOINT* (in Russian) – 316
- Ivane Balakhashvili** – *MORTGAGED PROPERTY SALE* – 318
- Teimuraz Darsania** – *INSTITUTION OF CRIMINAL ATTEMPT IN US CRIMINAL LAW* – 323
- Maka Dolidze** – *NATIONAL RELATIONS AND MEDIA* – 326
- Klara Elchibegashvili** – *LOVE IN HUMAN'S VALUE SYSTEM* – 329
- Ana Imnadze** – *PAUL LAZARFELD AND TWO-STEP FLOW OF COMMUNICATION, SO-CALLED "THE SNOWBALL METHOD"* – 332
- Besik Kaishauri** – *COACHING - MODERN PROGRESSIVE STELE IN THE PUBLIC MANAGEMENT* – 338
- Nestan Lomaia** – *THE GENDER ASPECTS OF PEOPLE WITH DISABILITIES* – 341
- Malkhaz Lomsadze** – *QUALIFYING SIGNS OF ROBBERY* – 345
- Nikoloz Midodashvili** – *THE ROLE OF GOVERNING BODY OF THE GEORGIAN HIGHER EDUCATIONAL INSTITUTION AND THE RULE OF HIS FORMATION AGAINST THE BACKGROUND OF MODERN INTERNATIONAL TRENDS* – 350
- Aleksandre Mghebrishvili** – *INITIAL STEPS OF USING INTERVIEW IN GEORGIAN MEDIA. METHODS AND DEVELOPMENT STAGES OF ITS PREPARATION FROM POST SOVIET PRESS UNTIL PRESENT* (in English) – 356
- Maka Salkhinashvili** – *LEGAL REGULATION OF DOMESTIC VIOLENCE PROBLEMS IN GEORGIA* – 360
- Beka Toliashvili** – *FACTORS RELATED TO THE PANIC ATTACKS IN COMBAT OPERATIONS* – 365
- Marika Sherazadishvili** – *CHARACTERISTICS OF THE LANGUAGE OF ADVERTISING* – 368
- Nanuli (Nana) Tskhvedadze, Ketevan Lomsadze** – *BASIC EMOTIONS AND THEIR CROSS-CULTURAL CHARACTERISTICS FOUND IN GEORGIANS* – 371
- Ioseb Chumburidze** – *THE GENRES OF PUBLICISM: THEORY AND REALITY* – 377

Philology

- Nana Arakhamia** – *LITERARY AND PHILOSOPHICAL HERITAGE AND VAZHA PSHAVELA CONCEPT FORMATION OF FOLKLORE MATERIALS* – 380
- Vianor Akhalaia** – *THE RELATION OF THE TERMS OF THE CHANS, LAZ, ZANI AND CHRONOLOGICAL ASPECTS OF THEIR USAGE* – 386
- Ketevan Barbakadze** – *VAZHA-PSHAVELA AND GERMAN LITERATURE* – 388
- Arsen Bertlani, Natela Ghudushauri** – *THE EARLY PERIOD OF D. K. MALIASHVILI'S LIVE AND CREATION* (in Russian) – 393
- Tamar Gelitashvili** – *PAGAN AND CHRISTIAN PARADIGM IN "KIDNAPPING THE MOON" BY KONSTANTINE GAMSAKHURDIA* – 395
- Ketevan Gigashvili, Mzia Gigashvili** – *ESSENCE OF THE VAUDEVILLE AND ITS BASIC FEATURES IN EUROPE AND RUSSIA* – 403
- Tamar Gogoladze** – *BEGINNING OF GEORGIAN-POLISH LITERARY DIALOGUE (The I half of the XIX century)* – 409
- Ana Datuashvili** – *SOLAR AND LUNAR MYTHOLOGY AND PERSONIFIED STARS IN GEORGIAN POETRY, '70^S- '80^S OF XX CENTURY* – 413
- Maya Daraselia, Tamar Jojua** – *IDEA OF CONCEPTUAL INTERACTION IN THE THEORY OF METAPHOR* – 418
- Nino Vakhania** – *OPPOSITION OF CAPITALISTIC AND NATIONAL-RELIGIOUS EPOS IN THE GEORGIAN REALISTIC PROSE OF THE SECOND HALF OF XIX CENTURY (G. ERISTAVI)* – 421
- Tamila Zviadadze** – *FOR THE SEMANTICS OF SOME LEXICAL UNITS THAT ARE INCLUDED IN THE FIXED EXPRESSIONS* – 425

- Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava** – *CONCEPT „HAND” IN KARTVELIAN LANGUAGES* – 429
- Mariam Koberidze** – *THE QUESTION OF ORDER OF THE PARTS OF SPEECH IN THE IOANE KARTVELISHVILI GRAMMAR* – 434
- Nana Kutsia, Marine Turava** – *PROBLEMS OF THE GENRE GENERALIZATION OF THE LITERARY FORM OF SHORT-STORY* – 439
- Marine Lomidze, Lia Metreveli** – *SOCIAL POTENTIALITY OF LITERATURE (BY WILLIAM FAULKNER AND OTAR CHILADZE)* – 446
- Ketevan Margiani** – *LINGUAL IDEOLOGY AND SELECTION OF MICROOBJECTS IN SVAN TOPONYMY (ACCORDING TO THE DALI GORGE MATERIALS)* – 450
- Lela Makhviladze** – *LINKING ELEMENTS IN GERMAN COMPOSITES AND DERIVATIVES* – 455
- Maia Melanashvili** – *“THE LIFE OF LAZARILLO OF TORMES” - RENAISSANCE ARCHETYPE OF PICARESQUE GENRE* – 460
- Tsiala Meskhia** – *“MOON WEDDING“ BY ZVIAD GAMSAKHURDIA (AESTHETIC-MUSICAL AND THOUGHT SYMPHONY)* – 464
- Murad Mtvarelidze** – *“PAVE THE ROAD TO TALENTED PEOPLE” - IN LITERATURE AND IN LIFE (GRIGOL ORBELIANI AND DIMITRI KIPIANI)* – 469
- Naile Mikeladze** – *THE POETRY CONNECTED WITH EXILED IN THE FOLKLORE OF ADJARIANS AND GEORGIANS IN TURKEY* – 473
- Tsiuri Nozadze** – *PROBLEMATIC ISSUES OF INTELLIGENT TECHNOLOGY FOR PROCESSING AND MANAGEMENT OF TEXT IN A NATURAL LANGUAGE* – 477
- Maka Nustubidze** – *THE RELATION OF NATURAL DISASTER AND HUMAN, ACCORDING TO THE STORY OF GURAM RCHEULISHVILI “LIFE AND DUMB AHMED”* – 481
- Nikoloz Otinashvili** – *ONOMASTIC INFORMATION ABOUT AKHALSHENI* – 485
- Zurab Okropiridze** – *900 YEARS NATIONAL-SOCIAL FIGHT PICTURES IN THE COMEDY “STUPID” OF NIKO SHIUKASHVILI* – 487
- Neli Petriashvili** – *THE ENEMY WITH COMMON BELIEFS AND ROMANTICIST WITH MIXED EMOTIONS* – 493
- Luara Sordia** – *THE NEW WORD IN MODERN GEORGIAN POETRY – ROSTOM CHKHEIDZE’S STEPS OF THE SUN-POEMS IN PROSE* – 499
- Elza Putkaradze** – *POETIC WORLD OF AN EXILED GEORGIAN* – 505
- Tamar Kalichava** – *THE CROWD PSYCHOLOGY - TAMAZ BIBILURI’S “THE TIME OF THE PLAGUE”* – 508
- Harun Chimke** – *PECULIARITIES OF THE PASSIVE VOICE IN GEORGIAN AND TURKISH* – 513
- Marine Tsertsvadze** – *SOME SAMPLES OF “INTRANSIGENCE, UNSOCIABILITY OF THE SOUL” IN GEORGIAN ESSAYS AND DOCUMENTARY PROSE* – 519
- Julieta Ddadzua** – *FOR CONSTANT AMENDMENT OF ABKHAZIAN TOPONYMS* – 524
- Elene Khirseli** – *DEATH-IN EARLY LYRICS BY SERGEI YESENIN (in Russian)* – 527
- Giorgi Khorbaladze** – *A ROSTOM CHKHEIDZE BIOGRAPHICAL NOVEL – GENERAL TENDENCIES* – 530
- Elene Khojevanishvili** – *TRANSFORMED COLORS AS POETIC ROWS ACCORDING TO ESMA ONIANI’S POETRY* – 535
- Nana Jalaghonia** – *WORK OF REZO CHEISHVILI IN “WARMING” TROPE CONTEXT* – 539

History

- Ioseb Alimbarashvili** – *AIMS OF RUSSIA, OTTOMAN EMPIRE AND IRAN TOWARDS KARTLI THRONE IN 20-30S OF 18TH CENTURY AND DOMENTI, CATHOLICOS OF GEORGIA* – 544
- Davit Akhlouri** – *RELATIONSHIP IRANIAN DUCHY OF QSANI PERIOD OF SHANSHE ERISTAVI* – 550
- Roman Gogolauri** – *THE ISSUE OF IDENTITY OF KHUASHAK FROM QTITOR* – 553
- Giorgi Gotsiridze, Ketevan Gigashvili** – *SHAMIL IN GRIGOL ORBELIANI’S EPISTOLARY LEGACY* – 560
- Nodar Darsania** – *NAPOLÉON III AND BISMARCK* – 566
- Nugzar Zosidze** – *RELATIONSHIPS OF GEORGIA AND TURKEY IN THE CONTEXT OF CAUCASIAN GEOPOLITICS (1917-1918 YEARS) (in Russian)* – 572
- Lela Togoshvili** – *FOR THE ISSUE OF CREATING RUSSIAN SETLMENTS IN GEORGIA* – 578
- Eldar Mamistvalishvili** – *ANTON I AND CATHOLICISM* – 582
- Manana Michitashvili** – *THE VILLAGES OF SATSITSIANO IN TANA VALLEY (THE XV- XVIII CENTURIES)* – 586
- Giorgi Sosiashvili** – *DISTI ST. VIRGIN MARY CHURCH ASOMTAVRULI INSCRIPTIONS AND FEUDAL FAMILY OF THE TBELI* – 596
- Davit Shoshiashvili** – *KURAGIN INDIVIDUAL FARMERS IN THE FIRST HALF 30 s. XX CENTURY (in Russian)* – 614
- Vazha Chochia** – *THE FIRST WORLD WAR AND U. S. PARTICIPATION IN GROUND OPERATIONS* – 619
- Davit Chochishvili** – *JEWISH PEOPLE IN ROMAN EMPIRE (FROM 70S TO BAR KOKHBA REVOLT)* – 622
- Otar Janelidze** – *FROM THE HISTORY OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (RESIGNATION OF THE PRIME MINISTER)* – 626
- Mamuka Jolbordi** – *AGRICULTURE IN GORI UYEZD (XIX CENTURY-THE BEGINNING OF THE XX CENTURY)* – 634

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

Education

რომან აბაშიძე

ხიჭაურის წმ. ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი

მეცხრამეტე საუკუნის 80-90-იანი წლების აჭარის სასკოლო სისტემის ფორმირების ზოგიერთი საკითხი და იაკობ გოგებაშვილი

აჭარა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, უძველესი დროიდან იზიარებდა ქართველი ტომების ისტორიულ ხვედრს. მას არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ცალკე ისტორია.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემადგენელი ნაწილი – აჭარა წარსულში უამრავი მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძური, მთელ საქართველოში ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ერთ-ერთი დაწინაურებული კუთხე იყო. მაგრამ თურქეთმა ისარგებლა საქართველოს დაქსაქსულობით, საუკუნოვანი მძიმე ბრძოლების შედეგად მაინც შეძლო დაეპყრო მთლიანი მესხეთი, მისი შემადგენელი ნაწილი – აჭარაც და თავზე მოეხვიათ ქართველებისათვის უცხო, თურქული მმართველობის სისტემა.

აჭარას, დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, მაინც მძიმე პირობებში უხდებოდა მიყენებული ჭრილობების მოშუშება, რადგან იგი აღმოჩნდა რუსეთის ბატონობაში, რომელსაც, როგორც ყველა დამპყრობელს არააად მიაჩნია ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული პრობლემების მოგვარება და ხელშეწყობა. საჭირო იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღდგენა, რაც უმეტესწილად განათლების სფეროს უნდა ეკისრა.

სახალხო განათლების სისტემისათვის დამახასიათებელია მის ცალკეულ რგოლებს შორის კავშირი, რომლებიც განათლების სხვადასხვა დონეს იძლევა. გამოკვეთილია ორი ძირითადი პრინციპული მიდგომა ამ კავშირების უზრუნველსაყოფად: „ერთიანი სისტემა აგებული მემკვიდრეობითობაზე, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე მის ბუნებრივ გადასვლას და დუალიზმი, ე.ი. სასწავლო დაწესებულებათა ორი, პარალელური სისტემის არსებობა“ (Ядешко, Сохина; 74). იმდროისათვის აჭარაში არსებული სოციალ-პოლიტიკური სიტუაცია არ იძლეოდა საშუალებას განათლების სისტემა მემკვიდრეობით პრინციპზე აგებულიყო. შესაბამისად, ეტაპობრივად განათლების სფერო დუალისტურ პრინციპზე უნდა დაფუძნებულიყო. ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარაში ჩამოაყალიბა მაჰმადიანური სასკოლო განათლების სისტემა, რომელიც ანტიეროვნული, ოსმალური პოლიტიკის დამკვიდრების საშუალება იყო და რომელმაც შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახე. ცარიზმი კი შესაბამისად ცდილობდა რუსიფიკატორული პოლიტიკის დამკვიდრებისთვის გაეხსნა სკოლები და ამით ხელი შეეშალა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შეკავშირებისათვის. ამის პარალელურად, არათუ ზღუდავდა მაჰმადიანური სასკოლო განათლების კერებს, არამედ მედრესეების ზრდასაც უწყობდა ხელს, როგორც აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების განმტკიცების შემაფერხებელ საშუალებას.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე, საქართველოში ფართო მოძრაობა გაიშალა «ბედისაგან მივიწყებულ ძმებთან» გაცნობა-დაახლოება-შეთვისებისათვის და ეს, პირველ რიგში, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელებაში უნდა გამოხატულიყო. ეს იქნებოდა მძლავრი სტიმული ახლადგამოხსნილ ქართველ მუსლიმანთა ეროვნული გაცნობიერებისა და კულტურული პროგრესის საქმეში.

ისლამური სამყაროს რეაქციული წრის წარმომადგენლები კვლავაც ცდილობდნენ ისლამიზაციის პროცესის გაღრმავებას, მეფის რუსეთის ჩინოვნიკები კი გარუსებას და ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მთელი ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ერთ მუჭად ერთიანდებოდა, რათა ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინა აჭარისათვის. განუზომელია ამ მხრივ

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა ღვაწლი.

აჭარაში სკოლების გახსნის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ».

პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე წიგნში «ი. გოგებაშვილი და აჭარა» წერდა: «აჭარელი ბავშვებისათვის სკოლების გახსნა და ბავშვების სკოლაში მიზიდვა ყველას აინტერესებდა. ამ საქმეს ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა. იგი აჭარაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით დადიოდა და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა. ი. გოგებაშვილს, როგორც განმანათლებელს, ერის წინსვლის მთავარ საშუალებად მიაჩნდა სკოლა, მრავალტანჯული აჭარის აყვავება-აღორძინებას იგი ქართული სკოლის გახსნა-დაარსებაში ხედავდა» (გობრონიძე; 29)

პირველად ბათუმში, 1881 წლის მარტში «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ» ქართველი მაჰმადიანებისათვის დაარსა პირველი ქართული სკოლა – ორკლასიანი სასწავლებელი. იაკობ გოგებაშვილი და მისი თანამოაზრეები ფიქრობდნენ, რომ ის უნდა ყოფილიყო «ღვიძლ ძმათა შორის კავშირის განახლების გზა», ეროვნული სასკოლო განათლების სფეროში «პირველი მერცხალი». თუმცა ეს სკოლა თავდაპირველად თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. იაკობ გოგებაშვილი ამის შესახებ გულდაწყვეტილი წერდა: „სკოლის დანიშნულება დიად მაღალი და მიმზიდველი იყო, და „წერა-კითხვის საზოგადოებას“ არ დაუზოგავს არაფერი, რათა ბათუმის სკოლა ამ დანიშნულებას მოსწეოდა.

საზოგადოება იყო ღარიბი ფულით, მაგრამ ამ სკოლაზედ-კი სწევდა იმოდენა ხარჯსა, რომლის გაღებას მხოლოდ მდიდარი საზოგადოება გაჰხედავს... საერთოდ რომ ვსთქვათ წერა-კითხვის საზოგადოებას ბათუმის სკოლის შენახვაზედ მის დაარსებიდან აქმომდე დაუხარჯავს 20 000 მანეთზე მეტი. კარგი მშობლიური ზრუნვა არ გახლავთ, განა? ხოლო ნაყოფი სრულიად არ შეეფერება ამოდენა ხარჯსა და ზრუნვას“ (გოგებაშვილი; 59-60)

ბუნებრივია, აქ ასეთი კითხვა წამოიჭრება: მაინც რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქართულმა სკოლამ დასაწყის ეტაპზე წარმატებას ვერ მიაღწია? რატომ ვერ შეძლეს სკოლაში მაჰმადიან მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მაინც მოეზიდათ?

მიზეზი კი შემდეგი ფაქტორებით იყო განპირობებული: თურქოფილური იდეებით შეიარაღებული ხოჯები და მოღები ამჩნევდნენ, რომ ქართული სკოლა საუკუნეობით განცალკევებულ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შეაკავშირებდა, ამიტომაც ცდილობდნენ სკოლის სამოქმედო არეალი მკვეთრად შეევიწროებინათ. ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკა ისლამის ფანატიკოსების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ბათუმის მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, შორეული სოფლებიდან კი ბავშვების ჩამოყვანა პრაქტიკულად ვერ ხერხდებოდა. პირველი ქართული სკოლის დაკნინებას ხელი შეუწყო ბათუმში გახსნილმა სამკლასიანმა სასწავლებელმაც, სადაც მასწავლებლად გამოცდილი ხოჯა ჰყავდათ მიწვეული, რამაც განაპირობა ქართული სკოლიდან ბევრი მაჰმადიანი მოსწავლის გადასვლა საქალაქო სასწავლებელში.

სწორედ ამიტაც იყო განპირობებული ი. გოგებაშვილისა და გამგეობის ზოგიერთი წევრის აზრი, რომ მაჰმადიან ქართველთათვის ცალკე სკოლა გახსნილიყო ქობულეთშიც. ი. გოგებაშვილი დარწმუნებული იყო, რომ სკოლა ქობულეთში გაცილებით მეტ ნაყოფს გამოიღებდა, ვიდრე ბათუმის სკოლა და ქობულეთლებს მოუწოდებდა დახმარება აღმოეჩინათ საზოგადოებისათვის ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. იაკობ გოგებაშვილი წერდა: «უმთავრეს ხარჯს – ჯამაგირს მასწავლებლისას, სკოლის ავეჯეულობის გაკეთებისას და წიგნების გაგზავნას სკოლაში, ყოველ შემთხვევაში თვითონ „წერა-კითხვის საზოგადოება“ იკისრებს, დანარჩენ მცირე ხარჯს, სახლის ქირას და სხვ. ქობულეთი უნდა გაუძღვეს. სადაც კი საქართველოში სკოლაა, სოფელი იხდის ორმოცამდე თუმანს წელიწადში და ქობულეთს ნუთუ ამის ნახევრის გადახდა გაუჭირდებაო.» (გოგებაშვილი; 262).

იაკობ გოგებაშვილის წინადადებას დიდი მოწონებით შეხვდა ქობულეთის საზოგადოება; 1887 წლის იანვარში ჩაატარეს საერთო კრება და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას« ამცნეს ქობულეთელთა სურვილი ქართული სკოლის გახსნის შესახებ: «... აქაურმა სოფლებმა: ალამზარმა, სამებამ, პატ. ქობულეთმა და ჩურუქ-სუმ განჩინება შეადგინეს და მიჰმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ მან მიიღოს ეს სკოლა თავის მფარველობის ქვეშ. სასკოლო სახლს იძლევა დაბა ჩურუქ-სუმში აქაური ბეგი ასლან თავდგირიძე, სახლი გვარიანია, ეზო დიდი აქვს, სკოლას ცოტა შეკეთება უნდა. 15-16 თუმანზე ზევით არ გამოართმევს ბეგი ქირას «საზოგადოებას», თუ მისი სახლი იქირავეს“ (კომახიძე; 22).

აღნიშნულმა კრებამ სკოლის დაარსებისათვის აირჩია მზრუნველთა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ: კინტრიშის უბნის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი ალექსანდრე არობელიძე, ქობულეთის მკვიდრი დედე-აღა ნიჟარაძე და გულო-აღა კაიკაციშვილი; ეს უკანასკნელი ქართული პრესის საშუალებით ხშირად ეხმიანებოდა მთელ საქართველოს და ემუდარებოდა, რომ განათლების სხივი შეეტანათ თურქებისაგან დაჩაგრულ ამ ულამაზეს კუთხეში. საზოგადოებისადმი გაგზავნილ მიმართვას ხელს აწერდა 37 კაცი.

აჭარის დიდი ქომაგი იაკობ გოგებაშვილი საზოგადოების პირველ ნაბიჯად მაინც ქართული სასწავლებლის დაარსებას მიიჩნევდა ქობულეთში: „... სკოლის დაარსება იქნება პირველი ნაბიჯი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მოქმედებისა მაჰმადიან საქართველოში. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი – გამართვა სკოლისა აჭარში. მაგალითად ქედაში. მეორე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები, რათა საზოგადოება მოეწიოს თავის წადილსა: განათლების მოფენას სამხრეთ საქართველოში და განახლებას ძმურის კავშირისას ჩვენსა და აჭარელ-ქობულეთელთა შორის ეროვნულ ნიადაგზე“... (გოგებაშვილი; 262)

ამ საშვილიშვილო იდეის ხორცშესხმისათვის აქტიურად დაიწყეს ბრძოლა გულო აღა კაიკაციშვილმა და დედე აღა ნიჟარაძემ. ქობულეთის მაზრის უფროსს წერილობით აცნობეს ქობულეთის საზოგადოების თხოვნის შინაარსი; ის წერილი საბოლოოდ ბათუმის ოლქის უფროსის ხელში აღმოჩნდა. ოლქის უფროსი დაინტერესდა მიღებული ინფორმაციით და მეორე დღესვე ჩავიდა ქობულეთში. დაიბარა სოფლის მამასახლისები და პირადად მოახსენა მადლობა ამ საქმის დამწყებთ. ადგილობრივი ხოჯების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გადაწყდა სკოლის დაარსება. ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი შეასრულეს გულო კაიკაციშვილმა და დედე ნიჟარაძემ. მათ საზოგადოების დიდ ნაწილს შთააგონეს სკოლის გახსნის აუცილებლობა და საქმემაც სწორი მიმართულება მიიღო. გულო კაიკაციშვილმა სკოლის მშენებლობისათვის შეისყიდა 500 მანეთად ღირებული თავდგირიძეების ვრცელი მიწის ნაკვეთი, რამაც სტიმული მისცა საზოგადოებას, რომ აქტიურად ჩაბმულიყო სკოლის მშენებლობაში, მოჰქონდათ სამშენებლო მასალები: ხე, კირი, ქვა და სხვ.

შეკრებაზე გამოსულებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქართველები იყვნენ და ამიტომაც კატეგორიულად მოითხოვდნენ სკოლაში ქართულ ენაზე ყოფილიყო სწავლება.

ქობულეთის სკოლის საძირკველი 1890 წლის აგვისტოში ჩაიყარა. გათვალისწინებული იყო 14 ოთახის მოწყობა. სკოლის მშენებლობა წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო. სკოლამ ფუნქციონირება 1895 წლიდან დაიწყო.

სკოლაში მეცადინეობის დაწყების შემდეგ ქობულეთელთა ინტერესი სწავლის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მოსწავლეთა რაოდენობა იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდნენ. დღის წესრიგში ბიბლიოთეკის გახსნის საკითხიც დაისვა. სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

გულო კაიკაციშვილი არამარტო ერთ-ერთი სკოლის დამაარსებლად გვევლინება ქობულეთის რაიონში, არამედ პირველი ბიბლიოთეკის ფუძემდებლადაც. მან ჩურუქ-სუში დაარსებული სასწავლებლისათვის გამოჰყო 1200 მანეთი, გამოიწერა 80 ქართული წიგნი და დაარიგა ქართველ მაჰმადიანთა შორის.

ქობულეთში სკოლის დაარსებამ დაინტერესა სოფლების მაცხოვრებლებიც და სურვილი გამოთქვეს მათთანაც გახსნილიყო სკოლები. სკოლების გახსნის შესახებ წერილებს აქვეყნებს გაზეთ «ივერია»-ში აბდულ მიქელაძე. იგი მადლობას უხდის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ აჭარის მოსახლეობაზე გაწეული ღვაწლისათვის და გულისტკივილით აღნიშნავს: „მოგმართავთ თქვენ, ჩვენო საყვარელო ძმებო, და გვედრებით ქედაში სკოლა გაგვიმართოთ. ამ სკოლის გამართვით თქვენ დიდს დავალებას დაგვდებთ და იმედია, რომ ამას არც ჩვენ დაგივიწყებთ... კარგი სკოლა აჭარისათვის წამალი იქნება. მის საშუალებით აქეთ ქართული კითხვა უფრო განმტკიცდება. იმედია, რომ ჩვენს თხოვნას შეიწყნარებენ, შეიბრალებენ ამოდენა ქართველ მაჰმადიანთა შვილებს და ქედაში სკოლას გაგვიმართავენ“ (მიქელაძე; 54)

სასკოლო განათლების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა. მან შეძლო კიდევ საზოგადოების გულის მოგება, მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა ცარიზმის მსახურთა შორის. სიმწელების მიუხედავად, ლუკა ასათიანმა ადგილობრივი შემოსავლებიდან გამონახა სახსრები და პეტერბურგიდან მიიღო ნებართვა გიმნაზიის გახსნის შესახებ და მართლაც 1897 წლის 14 სექტემბერს გაიხსნა ბათუმის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია ერთი მოსამზადებელი და ორი პირველი კლასით.

1897 წელს ქ. ბათუმის საბჭოს სხდომაზე ოფიციალურად განიხილეს ქალთა გიმნაზიის გახსნის საკითხიც. ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თავის გასამართლებლად

უსახსრობას იმიზეზებდნენ. ლუკა ასათიანმა აქაც თქვა თავისი სიტყვა, მან მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერით ადგილობრივ ბიუჯეტში გამონახა სახსრები და 1900 წლის 26 სექტემბერს 140 მოსწავლისათვის გახსნა ქალთა გიმნაზიაც.

მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში სასკოლო განათლება ნელა იკავავდა გზას, რადგან ცარიზმი სულაც არ ყოფილა დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობისათვის რეალური განათლება მიეცა. იგი არც აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ზრუნავდა. მაგრამ სასკოლო დაწესებულებათა რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. «განათლების სამინისტროს ნებართვით 1889 წლის 12 ივნისს ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი, 1887 წელს სკოლა-სომეხ გრიგორიანებისათვის, ხოლო 1890 წელს აღნიშნულ სკოლასთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება ქალებისათვის. 1890 წელს ბათუმელი ბერძნების სკოლის ასაშენებლად გამოიყო 400 საჟენი მიწა; ბერძნული სკოლა აშენდა იმავე წელს». (ახვლედიანი; 22)

აჭარაში ნებადართული იყო კერძო სასწავლებლების დაარსებაც. ბათუმში გაიხსნა პალიევას (1888 წ.), ლებედევას (1893 წ.), მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ეროვნულობას და ბუნებრივია, აჭარის მოსახლეობის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ვერც შეასრულებდნენ. რუსეთის თვითმპყრობელობამ რამდენიმე სკოლა გახსნა აჭარაში, რომელთა უმრავლესობა პრაქტიკულად აქაური მოსახლეობისათვის გამოუსადეგარი იყო. სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების წარმართვა და აქ გაბატონებული პირობები აჭარელი ბავშვების არც ინტელექტუალურ განვითარებას ისახავდა მიზნად და არც მათ ეროვნულ გათვითცნობიერებას.

ამ სკოლებში მეცადინეობა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და სკოლადამთავრებულები ვერც საჭირო განათლებას ღებულობდნენ და ხელობასაც ვერ ეუფლებოდნენ. იაკობ გოგებაშვილი რუსულენოვანი სკოლების უსარგებლობის შესახებ წერდა: „საქართველოში სახალხო სკოლები დიდი რაოდენობითაა, მაგრამ ისინი სრულად ცარიელია, არათუ განვითარებას, არც გონებრივს და არც ზნეობრივს არ იძლევიან, არამედ უბრალო წერა-კითხვასაც ვერ ავრცელებენ“ (გოგებაშვილი; 227).

აჭარაში სასკოლო განათლების კერების გახსნის მიუხედავად, აჭარელ ბავშვთა უმრავლესობა არ იყო ჩართული სასწავლო პროცესში, სკოლაში ბავშვების მიბარება ბევრ მშობელს სურდა, ამ საშვილიშვილო საქმის საწინააღმდეგოდ კი აშკარად გამოდიოდნენ მუსლიმანური რელიგიის ფანატიკოსები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ნახულობდნენ დასაყრდენს მოსწავლეების მშობლებში, რომლებსაც მათი უფრო სჯეროდათ, ვიდრე მათი ბედით დაინტერესებული ქართველი ინტელიგენციისა. მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გახსნილ პირველ ქართულ სკოლებს თურქულ მედრესესა და იმპერიული რუსეთის რუსიფიკატორულ პოლიტიკის გამტარებელ სასწავლო დაწესებულებებს შორის უხდებოდა ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად, ქართველი ინტელიგენციის, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის დიდი ზრუნვით ქართულმა სკოლამ ორი ათეული წლის განმავლობაში მაინც შეძლო აჭარის მოსახლეობაში ნდობის მოპოვება, რამაც განაპირობა აქაური მკვიდრი მოსახლეობის ნაციონალური შეგნების განმტკიცება და კულტურული დაწინაურება.

ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ხ., ნარკვევი საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978.
2. გობრონიძე ა., ი. გოგებაშვილი და აჭარა, – გამომც. «საბჭოთა აჭარა», ბათუმი, 1970.
3. გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, II ტომი, გამომც. «სახელგამი», თბილისი, 1940.
4. კომახიძე თ., აჭარის მოამაგენი, გამომც. «აჭარა», ბათუმი, 1995.
5. მიქელაძე ა., წერილები აჭარიდან, «უნივერსიტეტის გამომცემლობა», თბილისი, 1991.
6. Ядэшко В. И., Сохина Ф. А., Дошкольная педагогика, Москва, 1978.

Roman Abashidze

Khitchauri st. Tbel Abuseridze Teaching University

SOME ISSUES OF ADJARA SCHOOL SYSTEM FORMATION IN 80-90-IES OF THE XIX CENTURY AND IAKOB GOGEBASHVILI RESUME

Some issues about Iakob Gogebashvili and school system formation in Adjara in 80's-90's in nineteenth-century.

This work describes 80's-90's the nineteenth century Adjara school educational system in the light of the difficulties which is related to the creation of Georgian school centers and active participation of Iakob Gogebashvili in the process some of these issues.

დაბალი კლასების მოსწავლეების ფიზიკური მომზადების განსაკუთრებული მნიშვნელობა სპორტის გაკვეთილებზე

სპორტმა დღეს საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა, თავისი მრავალმხრივი მნიშვნელობით საზოგადოებრივ მოვლენად იქცა, მას მრავალი ფუნქცია აკისრია: ჯანმრთელობის განმტკიცება, სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების ფორმირება და სრულყოფა, რაციონალური ტანადობის ჩამოყალიბება, პიროვნული თვისებების აღზრდა, დამოუკიდებელი მეცადინეობებისადმი მყარი ინტერესებისა და ჩვევების ფორმირება და სხვა. ამასთან ერთად სპორტი მავნე ჩვევების (ხულიგნობა, ნარკომანია, ალკოჰოლის მოხმარება) აღმოფხვრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. ამდენად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი საგნის „სპორტი“-ს დანერგვა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას, მათ ჩართულობას სპორტულ აქტივობაში, ასევე განსაკუთრებული ნიჭის მოსწავლეების გამოვლენას და მათ დროულ ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში.

სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სკოლის ასაკის ბავშვებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს მიზანდასახულ სპორტულ საქმიანობას ეწეოდნენ კვირაში 8-10 საათის განმავლობაში. ფიზიკური დატვირთვის ასეთი მოცულობა ჯანმრთელობის გაუმჯობესების ეფექტური საშუალებაა, იგი ხელს უწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების პოზიტიურ აქტიურობას, მათ შემდგომ ჩართვას რეგულარულ სპორტულ საქმიანობაში, შემდგომ წარმატებებს დიდ სპორტში.

მიუხედავად ბოლო წლებში საერთაშორისო დონეზე ჩვენი სპორტსმენების მიღწევებისა, ამ საქმეში მწვრთნელებისა და სპორტის სპეციალისტების მიერ შეტანილი დიდი წვლილისა, რომლებმაც გარკვეული წინააღმდეგობების ფონზე მაღალი პროფესიონალიზმი და ერთგულება გამოავლინეს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების დონე, ჯერჯერობით, კვლავ ვერ აკმაყოფილებს ქართული საზოგადოების მოთხოვნებს.

საქართველოში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტის უპირატესობის აქტიური პროპაგანდა არ არის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ორგანიზებული. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით შემამოთებელია ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის გაუარესება. მათ დიდ ნაწილში აღინიშნება ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის დარღვევები. მოზარდთა თაობაში განსაკუთრებით პროგრესირდება გულის რევატული, ჰიპერტონიის, ნევროზის, ართრიტის, სკოლიოზის და სხვა დაავადებები; მოზარდს დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ფიზიკური აქტივობების აუცილებლობის შეგნება. მან უნდა გააცნობიეროს, რომ ჯანმრთელობა ნიშნავს არა რომელიმე დაავადების არქონას, არამედ ამ დაავადებების თავიდან აცილებას, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით არის შესაძლებელი. მას უნდა ესმოდეს, რომ ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის გახანგრძლივების სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია.

სპორტის სასწავლო გეგმა უნდა იყოს მიმართული იქით, რომ მოსწავლეთა დამოუკიდებულება ამ საგნის მიმართ მეტი პასუხისმგებლობით იყოს განმსჭვალული, რადგან მათ დამოუკიდებლად უწევთ შეჯიბრების დროს წამოჭრილი სიტუაციური პრობლემების გადაჭრა, მყისიერი გადაწყვეტილებების მიღება და სოციალური ინტერაქციის დამყარება თანაგუნდელებთან.

სპორტული სახეობების მრავალფეროვნება ვაჟებს და გოგონებს ერთნაირად აძლევს საშუალებას, გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი ფიზიკური უნარები. სკოლაში შეძენილი ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები მოსწავლეებს გაჰყვებათ მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც არის მყარი საფუძველი იმის, რომ ისინი გახდნენ აქტიური და შრომისუნარიანი მოქალაქეები, ჯანმრთელი და შრომისუნარიანი მოსახლეობა კი პოზიტიურ მოვლენას ახდენს ქვეყნის თავდაცვის უნარზე, ეკონომიკასა და კეთილდღეობაზე.

სპორტს, როგორც სასწავლო დისციპლინას თავისი სპეციფიკა გააჩნია სკოლის სამივე (დაწყებით საბაზო და საშუალო) საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ზოგად ფიზიკურ განვითარებას და იმ საბაზისო მოძრაობითი უნარ-ჩვევების შეძენას, რომლებიც დაეხმარება მათ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სპორტის სხვადასხვა სახეობებში საბაზისო და საშუალო საფეხურზე.


სპორტის სწავლების დაწყებითი საფეხურის მიმართულებებია: 1. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მოსწავლეები ეცნობიან თუ რა კავშირია ფიზიკურ აქტივობას ჯანმრთელობასა და ფიზიკურ

განვითარებას შორის, ითვისებენ ჯანმრთელი ცხოვრების წესს, უვითარდებათ უსაფრთხოების დაცვის უნარ-ჩვევები. 2. მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები, ჩაბმულნი არიან სპორტის სხვადასხვა სახეობებში. 3. აქტიური მონაწილეობა სპორტში, მოსწავლეები ეცნობიან თუ რა კავშირია ფიზიკურ აქტივობას, ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებას შორის, ითვისებენ ჯანმრთელი ცხოვრების წესს.

ჩვენს მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქტიური მონაწილეობა სპორტში, სპორტული სახეობების დაუფლების შესაძლებლობების მიხედვით მოსწავლეები ეცნობიან შესაბამისი სავარჯიშო კომპლექსების მოდიფიკაციას, ძირითადად სპორტული სახეობების (ფეხბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ტანვარჯიში). აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო, რაიონულ და სასპორტო შეჯიბრებებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობებისა და სხვა ღონისძიებების დაგეგმვაში, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში, თვითკონტროლისა და სხვათა კონტროლის მექანიზმების გამომუშავებაში.

ასევე, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, დაბალი კლასების (დაწყებითი საკითხები I-IV კლასები) მოსწავლეთათვის ფიზიკური და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის საჭიროა შემდეგი თვისებების დამუშავება, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსები, მძლეოსნური ვარჯიშები, რბენები, ხტომები, ტყორცნები, როგორც გამაჯანსაღებელი და სწორი მოძრაობითი უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალება, ტანვარჯიშული ვარჯიშები მოქნილობაზე, წონასწორობაზე, მოძრავი თამაშები, მხიარული თამაშები სკოლის დაწყებითი საფეხურზე მოსწავლე ეჩვევა დამოუკიდებლობას, ამისათვის საჭიროა მან იცოდეს ამა თუ იმ ვარჯიშის მოძრაობის პრაქტიკული მნიშვნელობა ფიზიკური განვითარებისათვის მისი აუცილებლობა.

მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები. კუნთური მასის განვითარება წონასთან მიმართებაში პროცენტული მაჩვენებლით, მოცემულ დიაგრამაზე.



მოსწავლე გაკვეთილის დაწყებამდე უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ მოცემული ვარჯიში მნიშვნელოვანია, მაგალითად თუ საუბარია მოქნილობაზე, უნდა ვისაუბროთ მოქნილობის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ე.ი. წინა პლანზე უნდა წამოვიწიოთ ამა თუ იმ ვარჯიშის მნიშვნელობის გააზრებული მოტივაცია, დაწყებული მარტივი მოძრაობის შესწავლით და დამთავრებული ცხოვრების ჯანსაღი წესით.

სპორტი, როგორც საგნის შემოღება სკოლებში არ გულისხმობს სპორტულ საქმიანობაში მხოლოდ წარმატებული მოსწავლეების ჩართვას, უნდა წარმოიქმნას პირობები, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს მონაწილეობა მიიღოს სპორტულ ვარჯიშსა და შეჯიბრებებში. სპორტისა და ფიზიკური განათლების ხალისიანმა და შედეგიანმა გაკვეთილებმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლეები საკუთარი ფიზიკური უნარების განვითარების შესაძლებლობებში და აუცილებლობაში, ხელი შეუწყოს მათ თვითდამკვიდრებას. სპორტი და ფიზიკური განათლების საგნის სწავლების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფსიქო-ფიზიკურ განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის, როგორც ფასეულობის განმტკიცებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ესენია: სამართლიანი თამაში, გუნდური სულისკვეთება, ინდივიდუალური და გუნდური თვითგამოხატვა, ურთიერთდახმარება, შინაგანი დისციპლინა, ერთობლივი პრაქტიკის დაგეგმვა. პასუხისმგებლობის განაწილება და ლიდერობა, არამალადობრივი ურთიერთქმედება, მკურნალობა, ურთიერთგაგება.

არაჯანსაღი ცხოვრების, ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის თვალსაზრისით სპორტული თამაშები გულისხმობს შემდეგი უნარ-ჩვევებისა და ღონისძიებების ჩამოყალიბებას: მიღწევის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, წაგების ღირსეულად მიღება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, როგორც ფასეულობის აღქმა და ცხოვრებაში დანერგვა, საკუთარი ძალებით სიამოვნების მიღება, საკუთარი თავის პოვნა, თვითდამკვიდრება ჯანსაღ გუნდთან. (თანატოლთა წრესთან) იდენტობის განცდა და ა.შ. სოციალური მარგინალიზაციის პრევენციის თვალსაზრისით სპორტული თამაშები გულისხმობს არადისკრიმინაციულ მდგომარეობას, ანუ სოციალურად დაუცველი ბავშვების (მათ შორის, დევნილი, ობოლი, მზრუნველობა მოკლებული ბავშვების) ინტეგრირებას საზოგადოებაში სოციალურად დაცული თანატოლებთან ერთობლივი გუნდური მუშაობის და ამ გზით მათ შორის გაუცხოების გადახედვის საშუალებით. სპორტული თამაშები გულისხმობს გენდერული თანასწორობის განმტკიცებას სხვადასხვა სპორტულ თამაშში, გოგონებისა და ბიჭების თანასწორუფლებიანი მონაწილეობის გზით.

სკოლას მოეთხოვება სპორტის გაკვეთილებზე და სასკოლო შეჯიბრებებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჩართვა (ფიზიკური პრობლემების მქონე მოსწავლეები, საინვალიდო ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები, გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეები, მხედველობისა და სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები და სხვა) მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე. მოსწავლეთა სახალისო თუ საშეჯიბრო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, „მომრავლის ოსტატობის“ დაუფლება, სოციალური კონტაქტი და ინტეგრაცია, „სამართლიანი თამაშის“ პრინციპების დაცვა.

სპორტი, როგორც სოციალური ფენომენი თანამედროვე საზოგადოების განვითარების უწყვეტი პროცესის აუცილებელი კომპონენტია, იგი ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას, სოციალურ აქტივობას, სრულფასოვან მონაწილეობას ყოველდღიურ სამოქალაქო ცხოვრებაში, თვითრეალიზაციას სწავლაში, შრომით საქმიანობაში, ოჯახსა და საზოგადოებაში.

ლიტერატურა:

1. გზამკვლევის კრებული სპორტის სახეობებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, ავტორთა ჯგუფი, თბ., 2010.
2. ა. აბაშიძე, ი. ტორონჯაძე, ზ. აზმაიფარაშვილი, ბავშვებზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი, 2007.
3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდოლოგიის საფუძველები, დამხმარე სახელმძღვანელო, 1, თბილისი, 2008.
4. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გზამკვლევის ცენტრი სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, VII-XII კლასები, თბილისი, 2008.

Lali Azmaiparashvili

Gori State Teaching University

THE PARTICULAR IMPORTANCE OF PRIMARY SCHOOL'S PUPILS' PHYSICAL TRAINING IN SPORT LESSONS RESUME

Sport, as a social phenomena, is a non-stop process of the development of the modern society. It is a necessary component, which helps to strengthen health in teenagers, social activity, perfect participation in everyday civil life, self-realization in studies, work, family and society.

ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომა სასწავლო-აღზრდელობით პროცესში

ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომის პრინციპი ვარაუდობს საგანთა სწავლების პროცესში საზოგადოებრივად ღირებული ზნეობრივი ნორმების, იდეალების, პრინციპების წვდომას. აქ მოსწავლე არა მარტო გარკვეულ ცოდნას ეუფლება, არამედ ზნეობრივადაც ვითარდება. ცნობილია, რომ ჰუმანიტარული დისციპლინების პროგრამები შეიცავს მრავალ ფაქტს, მასალას, რომელთა ზნეობრივ ასპექტში განხილვა და გაცნობიერება ხელს უწყობს მოზარდის მორალურ-ზნეობრივ ჩამოყალიბებას. ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟები, ისტორიული პიროვნებები განსხვავებულ ღირებულებათა მქონე სხვადასხვა ეპოქის ადამიანები არიან. ისინი ხშირად გაიდებულ, პოეტურ ასპექტში არიან წარმოდგენილი და ამდენად მოსწავლეებისათვის ნაკლებად მისაწვდომი და გასაგებია მათი ხასიათი, ზნეობრივი სახე. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვებს გააცნობიერონ ეს ღირებულებები, გამოამჟღავნონ და განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ზნეობრივ პრობლემასთან დაკავშირებით, იმოქმედონ მათ შესაბამისად. აქტიური ქმედების პროცესში ზნეობრივი ღირებულების ობიექტივაციის დროს მოზარდი უნდა შეეცადოს გაერკვეს სიკეთისა და ბოროტების არსში, მორალურ თუ ამორალურ საქციელში, ღრმად ჩასწვდეს მოვლენას, მოახდინოს მისი ანალიზი, დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შეაფასოს იგი, მოძებნოს პასუხები კითხვებზე: რა არის ეს? რატომ ხდება ეს? რით აიხსნება? როგორ მოვიქცეოდით? და სხვა. ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომაში მთავარია მიღებული ცოდნისადმი ემოციურ-ღირებულებითი დამოკიდებულების ფორმირება მოსწავლის ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, სწორედ საზოგადოების ღირებულებითი სისტემის ათვისება და მისდამი პიროვნული ემოციურ-ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რომელიც ქცევაში, სოციალურ ფუნქციონირებაში ვლინდება, არის თანამედროვე სწავლების მიზანი და იდეალიც.

ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: „ზნეობა არის საზოგადოებაში დადგენილი ქცევისა და მოქმედების ნორმების და წესების ერთობლიობა, ზნეობრივი აღზრდა კი ემსახურება ამ ნორმებისა და წესების ათვისებას, დაცვას.“ [2.18]

ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომის სწავლების პროცესში მთელი რიგი თავისებურებები აქვს: 1. ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომის პირობებში, ზოგადკაცობრიული ზნეობრივი ღირებულებები, რომლებიც ასახულია ფაქტებში, მოვლენებში, პერსონაჟებში, იქცევიან სუბიექტურ ღირებულებებად და იძენენ მოზარდებისათვის პიროვნულ საზრისს, ობიექტს, რომელიც მოსწავლისათვის ღირებულებას, მნიშვნელობას იძენს, ცნობიერების მიერ უპირატესობა ენიჭება და იგი ერთვება მოსწავლის მოთხოვნილებების, ინტერესების რწმენის, იდეალების სტრუქტურაში. მხოლოდ ის საგანი, რაც ბავშვს პიროვნულ საზრისად მიაჩნია, შეიცავს თავისებურ ღირებულებას და მისი ქცევის მოტივი ხდება. გ. ბანძელაძის აზრით: „პიროვნული ღირებულებები განსაზღვრავენ საგნის ინდივიდუალურ ხედვას, აყალიბებენ და ავითარებენ მისი პიროვნების მიმართულებას“. [1.35]

2. ადამიანის ზნეობრიობას ღირებულებითი მიდგომა სწავლობს ერთდროულად სამ განზომილებაში: ცოდნის, გრძნობებისა და ქცევის დონეზე., ამ მიდგომის თანახმად ზნეობრივი მოტივის შექმნაში მონაწილეობს მთლიანი პიროვნება თავისი აზროვნებით. გრძნობით, ნებელობით, ამიტომ ზნეობრივი აღზრდის შინაარსში ერთდროულად გასათვალისწინებელია სამი მომენტი: ზნეობრივი შეგნება, ზნეობრივი გრძნობა და ქცევა. მოსწავლე ამა თუ იმ ზნეობრივ მოვლენას აცნობიერებს, განიცდის ემოციურად და მოქმედებს კიდევ მის შესატყვისად. აქ მთავარია ჩამოყალიბდეს ისეთი ზნეობრივი დამოკიდებულება, რომელიც აზრების, გრძნობების და ნებისყოფის (ქცევის) ორგანულ ერთიანობას უზრუნველყოფს.

სასწავლო პროცესში ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომის დანერგვა საფუძველს აცლის ტრადიციულ პრინციპს: „მოისმინე - გაიმეორე - დაიხსომე“, მის ნაცვლად ამკვიდრებს ახალს: „გააცნობიერე-განიცადე-გადაწყვეტილება მიიღე-იმოქმედე“. 3. ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომა. სასწავლო მასალას განიხილავს თანამედროვეობასთან კავშირში. დაკვირვების და ზნეობრივი განსჯის ობიექტად აქცევს დღევანდელი სოციალური სინამდვილიდან აღებულ ფაქტებს, რაც გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას სძენს მოზარდებს. 4. ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომა წინა პლანზე აყენებს მოზარდის პიროვნებას, ხსნის მის შინაგან სამყაროს, ანიჭებს თავისუფლებას საკუთარი ინდივიდუალობის განვითარებაში, საშუალებას აძლევს მას გამოთქვას საკუთარი შეხედულებები,

დამოუკიდებლად გააკეთოს ზნეობრივი არჩევანი. არჩევანის გაკეთება მხოლოდ მიმბაძველობით, კომფორტული აზრის გამოთქმით, ნიშნავს საკუთარი „მე“-ს დაკარგვას და პიროვნების ავტონომიის, მისი თავისუფლების უარყოფას. 5. ზნეობრივ-ღირებულებით მიდგომაში მთავარია ზნეობრივი შეფასება, რომელიც მორალური მსჯელობით გამოიხატება. იგი უფრო რთულია, ვიდრე შემეცნებითი შეფასება. ზნეობრივი შეფასება არის პიროვნების, მისი საქციელის, მოვლენის ფაქტის ღირებულების გაცნობიერება, იგი გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, მიუთითებს იმაზე თუ როგორ აღიქვამს მოცემულ ღირებულებას პიროვნება. 6. ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომა გულისხმობს სრულიად სხვაგვარი დამოკიდებულების დამყარებას მასწავლებელ-მოსწავლეს, მოსწავლე - სასწავლო საგანს შორის, კერძოდ, სუბიექტ-ობიექტური ურთიერთობის ნაცვლად, სუბიექტურ-სუბიექტური კონტაქტის რეალიზებას, ურთიერთგაგებას, თანხვედრამოდრობას, რაც კომუნიკაციის მექანიზმებიდან ურთიერთობის მექანიზმებზე გადასვლას ნიშნავს, ამ პროცესში მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, ღირებულებათა უბრალო გადაცემა კი არ ხდება, არამედ მათი ერთად გამომუშავება, ანუ ზნეობრივი ღირებულების ათვისება-პედაგოგიური თანამშრომლობა, დიალოგის ატმოსფეროს მოითხოვს, რომელიც ავლენს მხარეთა პოზიციებს, მათ ზნეობრივ არჩევანს, ასეთი დიალოგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდებისათვის, როდესაც ისინი ინტენსიურად ავლენენ ისეთ სოციალურ მოთხოვნილებებს, როგორცაა: დამოუკიდებლობის მოთხოვნილება, თავისუფლებისაკენ სწრაფვა და სხვა. 7. ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომა ხელს უწყობს არა სწავლებისა და აღზრდის მექანიკურ შეერთებას, მათ გაიგივებას, როგორც ეს ტრადიციულ აღზრდობით სწავლებაში ხდება, არამედ ახორციელებს აღზრდას თვით სწავლების პროცესში და ეყრდნობა ბავშვის ინტერესებს, ემოციას, მოთხოვნილებას, ბუნებას, მის „მე“-ს. სწორედ „მე“-ს აქტივობა საკუთარ თავთან დიალოგში არის სწავლებისა და აღზრდის მთავარი დამაკავშირებელი ბერკეტი.

სწავლების პროცესში ზნეობრივ-ღირებულებითი მიდგომის პერსპექტიული მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოდნის ათვისებასთან ერთად, მოსწავლის მოტივაციურ-მოთხოვნილებითი სფეროს განვითარებაა. მისი პედაგოგიური რეალიზაცია სწავლების პროცესის ბევრად უფრო მასშტაბურ გააზრებას მოითხოვს, ვიდრე ამას დღევანდელი სკოლა გულისხმობს. ასეთი გააზრება ურთიერთდაკავშირებულ ამოცანების გადაწყვეტას ვარაუდობს. I. სასწავლო მასალის სპეციალური შერჩევა, რომლის შინაარსი გარკვეული ზნეობრივი ღირებულებების ფორმირებით და მათდამი ემოციურ-ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით განისაზღვრება. II სწავლების პროცესის საგანგებო მოწყობა: ზნეობრივ ღირებულებათა ათვისებისათვის მოსწავლეთა აქტივობის ორგანიზაცია, აქტიური ფორმებისა და მეთოდების გამოყენება, როდესაც თანდათან ხდება საზოგადოებრივი ღირებულებების პიროვნულ ღირებულებებად გადაქცევა.

ამ ამოცანათა რეალიზაცია მიმდინარეობს ერთიანი სასწავლო აღზრდობით პროცესში, სადაც მოზარდის პიროვნების ფორმირებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი ზნეობრივი ღირებულებები, როგორცაა: თანაგრძნობა, შებრალება, პატიება, მიმტევებლობა, სიკეთის გაკეთებამ, გულმოწყალება, კეთილგანწყობილება, კომპრომისზე წასვლის უნარი, ემპათია, პატრიოტიზმი და სხვა. ვასწავლოთ მათი ღირებულებების გაგება, ზნეობრივი (პიროვნული) ხედვა, განუმტკიცოთ ემოციურ-ზნეობრივი დამოკიდებულება ჩამოთვლილი ფასეულობისადმი, იმდენად რომ მათ ახალგაზრდებისათვის მიმზიდველობა, პიროვნული საზრისი შეიძინონ. ამ მიზნით სხვადასხვა დისციპლინების, განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნების სწავლების პროცესში უნდა შეირჩეს სათანადო მასალა, რომელსაც ნათლად გამოხატული ზნეობრივი იდეა და მოსწავლეებში ძლიერი ემოციური გამოძახილის გამოწვევის შესაძლებლობა ექნება და ვაქციოთ ის მოსწავლეთა ზნეობრივი მსჯელობის საგნად. ზნეობრივი მოვლენის შესახებ ცოდნას ფრაგმენტული ხასიათი, რომ არ ჰქონდეს, უნდა მივმართოთ მოვლენათ ურთიერთშედარებას, სათანადო დასკვნების გაკეთებას, ეს ხელს შეუწყობს ზნეობის შესახებ სისტემური ცოდნის ჩამოყალიბებას,

ზნეობრივი ღირებულებების განვითარებაში სასურველ ეფექტს ქმნის არა მარტო სათანადო სასწავლო მასალის შერჩევა და გამოყენება, არამედ სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად უნდა დაეყრდნოს ბავშვის აქტივიზაციის, ვ. სუხომლინსკი აღნიშნავდა: „რაც შეიძლება მეტი ისეთი ქცევები, რომლებიც აღძრულია კეთილშობილური სურვილებით, მორალური იდეალისადმი პიროვნების მისწრაფებით - აი, მოზარდების აღზრდის ერთ-ერთი ოქროს წესი“ [3.201].

აღსაზრდელოა ზნეობრივი ქცევა სწორედ მისი ცალკეული მოქმედებებისაგან შედგება, რომლებიც ახასიათებს მის დამოკიდებულებას საზოგადოებასთან, საკუთარ თავთან. ამაში შედის აგრეთვე ზნეობრივი ჩვევები, რომლებიც განაპირობებენ მისი ქცევის მყარ წესებს, ამიტომ აღზრდელის ამოცანაა გამოიწვიოს, აღძრას მოზარდში ზნეობრივი მოქმედების სურვილი, მისწრაფება.

აქტიურია სწავლების ისეთი ფორმები და მეთოდები, რომელთა მეშვეობით მოსწავლე ერთვება შემოქმედებით მუშაობაში და ავლენს აქტიურობას. აქტიური ფორმები და მეთოდები ეფუძნებიან

დიალოგურ ურთიერთობას, მუშაობის დისკუსიურ ფორმებს, ინტერაქცია მასწავლებელსა და მოსწავლეს, მოსწავლესა და თანატოლებს, მოსწავლესა და სასწავლო საგანს შორის ეხმარება მოზარდს თვითგამოხატვაში, საკუთარი ძალების რწმენის გამომუშავებაში, ადამიანთა შორის დადებით ურთიერთობების დამყარებაში.

ცნობილია, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება ვითარდება თვითჩაღრმავების, თვითშეგნების, შინაგანი ღირებულებებისა და ძალების მეშვეობით, მაგრამ მოსწავლის შინაგან ქმედობას ნებისმიერი ურთიერთობა როდი იწვევს, ურთიერთობის შინაგან დიალოგში გადასვლა მოითხოვს, რომ მოსწავლე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის აქტიური თანამონაწილე და მასწავლებლის თანაშემსრულებელი გახდეს. მასწავლებელი და მოსწავლე თავს არ ახვევენ ერთმანეთს საკუთარ აზრს, ღირებულებების თავიანთ შეფასებას. მოსწავლე თავისუფლად ავლენს საკუთარ პოზიციას, ამიტომ აქ არ ვითარდება ე.წ. „ორი მორალი,, როდესაც მოზარდი ერთს ფიქრობს და მეორეს ლაპარაკობს. ურთიერთობის პროცესში მოსწავლეს უჩნდება შესაძლებლობა შეეხოს იმ პრობლემებს, რომლებზეც მას არ შეუძლია მსჯელობა სხვა სიტუაციაში. ამის გამო ეს მაშინვე პიროვნულ მნიშვნელობას იძენს და მის ინდივიდუალურ გამოცდილებაში ერთვება. მასწავლებელი ეცნობა მოზარდის ბუნებას, მის ინტერესებს, სურვილებს, მოთხოვნილებებს და აგებს სათანადო სასწავლო პროცესს.

მოზარდობის ასაკში არამართო ურთიერთობის, არამედ განმარტოების მოთხოვნილებაც ვლინდება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ღირებულებითი დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით. სწორედ ამ დროს შინაგან დიალოგში - იწყება შინაგანი მეტყველების მეშვეობით საკუთარ „მე“-სთან, როგორც სანდო პარტნიორთან, ზნეობრივი ღირებულებებისადმი დამოკიდებულების ანალიზი - რა არჩევანი გააკეთოს? რომელ ზნეობრივ ნორმას მისცეს უპირატესობა? და სხვა. მ. ჩხარტიშვილი აღნიშნავდა, რომ „მოზარდობის ასაკის პირველ ფაზაში მოზარდის იდეალები თვალსაჩინო ხასიათს ატარებს და რომელიმე კონკრეტული ინდივიდის სახით არიან წარმოდგენილი“. [4.79]

აღზრდის პროცესი დიალექტურად ერთიან და ორგანულად მთლიან პროცესს წარმოადგენს. ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ აღზრდის პროცესის კომპონენტთა კომპლექსში ძირითადი და წამყვანი მხარეა ზნეობრივი აღზრდა. სწორედ ის არის მთელი აღმზრდელობითი სისტემის ყველაზე რთული კომპონენტი.

ლიტერატურა:

1. გ. ბანძელაძემ ეთიკა, თბ., 1985.
2. ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1997.
3. ვ. სუხომლინსკი, მოქალაქის დაზადება, 1972. (რუსულ ენაზე).
4. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.

Tsiuri Bakradze

Gori State Teaching University

MORAL VALUABLE APPROACH IN LEARNING AND EDUCATIONAL PROCESS RESUME

In Moral-Valuable approach He important thins is to form an emotional-valuable dependency of adopted knowledge and the formation of students valuable system.

Therefore, he assimilation of valuable system of public and he formation of personal-emotional value, which revealed in behavior and social functioning is an ideal and goal of modern education.

**თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ურთიერთმიმართების პრინციპი
მასწავლებელთა განათლების პროგრამაში**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემაში, ზოგადად და განსაკუთრებით მასწავლებელთა განათლებაში, მნიშვნელოვანი ძვრები და ცვლილებები ხორციელდება, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს განათლების სისტემაში. შედარებითი კვლევების შედეგები (როგორცაა PISA, TIMSS, PRILS, და ა.შ.) ცხადყოფს განსხვავებულ მაჩვენებლებს ქვეყნებს შორის განათლების დონის და შესაბამისად განვითარების დონის მიხედვით. მაგალითად, ევროპის ქვეყნებთან შედარებით წიგნიერების დაბალი დონე ფიქსირდება საქართველოში და, ასევე, ვერც მასწავლებელთა სერტიფიცირების თუ საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის შედეგებით დავიკვებნით. სრულიად თვალსაჩინოა მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ტენდენციების ხშირი ცვლა. ქვეყნებმა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს და წიგნიერების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან შედარებითი კვლევების ამსახველ საერთაშორისო დოკუმენტებში, დაიწყეს არა მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების მექანიკური დუბლირება, არამედ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურად გაანალიზების საფუძველზე შეეცადნენ შეექმნათ განათლების სისტემის განვითარების იმგვარი სტრატეგია, რომელიც კონკრეტული პრიორიტეტების განვითარებაზე იყო მიმართული. ევროპული და ამერიკული განათლების სისტემები მკვეთრად დეცენტრალიზებულია, ხოლო განათლების სისტემის პრიორიტეტს მასწავლებელი (მოსწავლე ან/და სტუდენტი) წარმოადგენს, შესაბამისად, მათი საგანმანათლებლო პოლიტიკა გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვების, მიდგომებისა და სწავლის შედეგების მიღწევისკენაა მიმართული. საქართველოს განათლების სისტემა ფორმალურად დეცენტრალიზებულია, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში მკაცრი რეგულაციებით კონტროლდება, რაც, ხშირად, ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს პროგრამის განმახორციელებელთათვის. ცენტრალიზებული რეგულაციები და მიდგომები, ავტონომიურად განვითარების ნაკლებ შესაძლებლობას აძლევს ინსტიტუციებს და, სავარაუდოდ, სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემიდან გადმოტანილი ელემენტების ურთიერთშეთავსებელ ერთობლიობას წარმოადგენს. სკოლის მასწავლებელს ამზადებს უნივერსიტეტი, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს. თავად ეს ორი ფუძემდებლური დოკუმენტი არ არის თავსებადი; მაგალითად, შინაარსითა და ტერმინების თვალსაზრისით. მოქმედი პროგრამები თეორიულად თითქოს ახლოსაა მოთხოვნასთან, მაგრამ მასწავლებლის მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული პრაქტიკულად ვერშემდგარი მასწავლებელია. სკოლაში მისულს ნასწავლი თეორიები ნაკლებად ადგება, ან არ გააჩნია იმის კომპეტენცია, პრაქტიკაში გამოიყენოს ისინი, რეალურ სასწავლო სიტუაციებსა და სასწავლო გარემოში. კითხვები ბევრია ამ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ თვალშისაცემია ის გარემოება, რომ მასწავლებლის მომზადება, რომ აღარ გავიხსენოთ უახლოესი 30 წელი, მხოლოდ 60 კრედიტის ფარგლებში ხდება და თანაც სასწავლო კომპონენტები, პედაგოგიკური, დიდაქტიკური ბლოკი და პედაგოგიური პრაქტიკა ძალიან მცირე დროში, ერთ წელიწადში ხორციელდება. პედაგოგიური პრაქტიკა უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მასწავლებელთა მომზადებისთვის და საკმაოდ ხანგრძლივი თვითშეფასების, დაკვირვების, დაგეგმვის, თვითრეფლექსიის, მეთოდთა დემონსტრირების, შეფასების, პროფესიული განვითარების და უამრავი სხვა აქტივობის მრავალჯერადად განხორციელების თუ გავარჯიშების შედეგად მიიღწევა. საქართველოს უნივერსიტეტების მასწავლებლის მომზადების პროგრამები 60 კრედიტიდან მინიმუმ 10 კრედიტს მოიცავს და ორიენტირებულია იმ პირთა მომზადებაზე, რომლებმაც საგნის გამოცდით დაადასტურეს საგნობრივი კომპეტენცია და სურვილი აქვთ სკოლაში დასაქმდნენ. ამ შემთხვევაში ცალკე განხილვის საგანია როგორ ახდენს მასწავლებლის პროფესიასთან იდენტიფიცირებას კონკრეტული საგნის კომპეტენციის დადასტურების შემთხვევაში. მაგალითად: ინჟინერი, ქიმიკოსი, მათემატიკოსი და ა. შ. აღიქვამენ კი ისინი თავს აღმზრდელებად, თუ უბრალოდ კონკრეტული მეცნიერების ცოდნით არიან აღჭურვილნი? არის თუ არა მათთვის საკმარისი 10 კრედიტიანი პედაგოგიური პრაქტიკა სკოლაში მათი მასწავლებლად ჩამოყალიბებისთვის? ვინ აგებს პასუხს ამ ტიპის ექსპერიმენტზე? თუ აღმოჩნდა, რომ ისინი ვერ ჩამოყალიბდნენ მასწავლებლებად?

თუმცა საგნის კომპეტენციები დადასტურებული აქვთ, როგორ, ან ვინ აუნაზღაურებს დაკარგულ, თუნდაც ერთ გაკვეთილს, ერთ სასწავლო წელს მოსწავლეს, რომელსაც ასეთი ტიპის მასწავლებელი შეხვდა? საკმარისია ერთწლიანი პროგრამა ან პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების დღეისათვის არსებული მოდელი მასწავლებლისთვის, რომელმაც უნდა აწიოს წიგნიერების დონე სკოლაში? რამდენი სასკოლო შემთხვევის თუ პედაგოგიური სიტუაციის რეფლექსიის შედეგად არის შესაძლებელი გამოცდილების მიღება? რა გზების, რა პრინციპების გამოცდა-გამოყენებით უნდა ააგოს მომავალმა მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეთა პრობლემების, მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით წარმართოს იგი? კითხვების გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება! თუ მასწავლებელს არ ექნა საკმარისი ცოდნა და პრაქტიკული უნარი სწორად და ეფექტურად წარმართოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, ჩვენ მუდმივად გვექნება წიგნიერების დაბალი დონე და ჩვენი მოსწავლეები მუდამ იქნებიან დემოტივირებულები. მასწავლებლის განათლების სისტემაში მუდმივი ცვლილების მიუხედავად მიდგომა პედაგოგიური პრაქტიკის მიმართ უნდა იყოს ცალსახა, ეს ის კომპონენტია, რომელიც მასწავლებლის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას განაპირობებს, რომელსაც საკმაოდ დრო და რესურსი სჭირდება. იმ პერიოდში, როდესაც მასწავლებლის განათლება ხუთწლიანი იყო, საკმაოდ დიდი დრო ეთმობოდა პედაგოგიურ პრაქტიკას და ის მოიცავდა პასიური პრაქტიკის პერიოდსაც, როცა სტუდენტი სკოლის გარემოში ადაპტაციას გადიოდა, პრაქტიკულად, იმყოფებოდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობის ცოცხალ წიაღში და ნებისთუ უნებლიეთ უამრავ პედაგოგიურ სიტუაციას აწყდებოდა. საერთაშორისო გამოცდილებაზე ბევრს ვსაუბრობთ, სურვილიც გვაქვს და მზაობაც არსებული პრაქტიკის გაზიარების. ევროპული განათლების სისტემები სწორედ პრაქტიკაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო პროგრამებით ხასიათდება და ამიტომაც, ბოლო დროის მთავრობის დადგენილებების (2015 წლის მთავრობის დადგენილება 68) საფუძველზე იგეგმება საქართველოში არსებული მასწავლებლის მომზადებაც ხუთწლიანი პროგრამის ფარგლებში მოხდეს, თუმცა, ამ საკითხშიც, სამწუხაროდ, არათანმიმდევრულია ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკა. სწორედ სხვა ქვეყნების გამოცდილების არაგეგმაზომიერად და ფრაგმენტულად გადმოღების მანკიერმა პრაქტიკამ დაგვაკარგვინა საკმაოდ ბევრი წელი და მივიღეთ ის შედეგი, რაც დღეს არის. ტრადიციულად, ხუთწლიანი პროგრამები მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭებით სრულდებოდა და მოიცავდა როგორც კონკრეტული მეცნიერების მიმართულების სასწავლო კურსების ერთობლიობას, ასევე პედაგოგიურ ფსიქოლოგიური ციკლის დისციპლინებს და საკმაოდ ხანგრძლივ პედაგოგიურ პრაქტიკას. წლების განმავლობაში, ბოლონის პროცესის გააქტიურებამ და საქართველოს მხრიდან ამ პროცესში დაჩქარებული ტემპებით და მოსალოდნელი შედეგების გაუზარებლად ჩართვამ, ძალიან ბევრ სიკეთესთან ერთად, დაანგრია მასწავლებლის მომზადების ხუთწლიანი სისტემა და დღემდე ამ სისტემიდან მხოლოდ ერთწლიანი პროგრამის განხორციელების არსებული სისტემა დაგვრჩა. დაიკარგა საკმაოდ დიდი დრო და სახეზე გვაქვს ის შედეგები რაც გვაქვს წიგნიერების თუ მასწავლებელთა კომპეტენციების თვალსაზრისით. ეს იმ დროს, როცა გამუდმებული კრიტიკის ობიექტია მასწავლებელი და მისი მზაობა, მოსწავლე და მისი წიგნიერების დონე. ვფიქრობთ, შედეგები სრულიად ადეკვატურია და უკეთესი ვერც იქნებოდა მოსალოდნელი. 2017 წლის დასაწყისში უკვე უნდა ყოფილიყო ახალ დარგობრივ სტანდარტებზე დაფუძნებული მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიანი, მიმდევრობითი ან/და პარალელური პროგრამები, მაგრამ ეს პროცესი კვლავ გადაიდო და, სავარაუდოდ, ისევ დაჩქარებული, ან/და გაუზარებელი შეიძლება იყოს შემდგომი ნაბიჯებიც. მასწავლებლის მომზადების პერსპექტივებისთვის, ახალი მიდგომების და კონცეფციის თანახმად, გაჩნდა მოსაზრება პედაგოგიური პრაქტიკის, არა როგორც განყენებული კომპონენტის, არამედ როგორც პროგრამის მთლიანობის, თეორიული სწავლების კონტენტის შესახებ. ამ მიდგომას ახორციელებს განათლების ფინური, ესტონური მოდელებიც. საქართველოში არსებული მასწავლებლის მომზადების პროგრამების ახალ მოთხოვნებზე მორგების მიზნით, შევცვდებით რამდენიმე ასპექტზე შევაჩეროთ ყურადღება;

1. პროგრამის მოცულობა, სტრუქტურა და თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ურთიერთ მიმართების საკითხი: მასწავლებლის მომზადების დღეისათვის არსებული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროგრამის მოცულობა მცირეა, 60 კრედიტს მოიცავს და მისი განხორციელება შესაძლებელია ან საბაკალავრო პროგრამასთან ინტეგრირებით, ან დამოუკიდებლად, არანაკლებ ერთწლიანი პროგრამის სახით. წარმატებული ქვეყნების მასწავლებლის განათლების სისტემა ხუთწლიანია და პრაქტიკის კომპონენტი თეორიულ კომპონენტთან ინტეგრირდება სწავლების პირველი წლიდანვე და გასდევს სწავლის მთელი პერიოდის მანძილზე. ესტონელი მკვლევარის ევა ეისენშმიდტის განმარტებით პედაგოგიური პრაქტიკა ოთხეტაპიანია, პირველ ეტაპი არის დაკვირვების (Observation, assisting teaching), მეორე ეტაპი არის (Teaching single units/lessons) მხოლოდ საგაკვეთილ პრაქტიკა, მესამე ეტაპი (Peer-teaching) ჩასატარებელი პრაქტიკა და

მეოთხე ეტაპი (Teaching longer term -up to 3 month) გრძელვადიანი სწავლება. ყველა ეტაპზე სტუდენტის მიერ შესასრულებელი აქტივობები სრულდება სხვადასხვა სკოლაში, სტუდენტს უწევს მინიმუმ სამ სხვადასხვა საგანში (საგანთა ჯგუფში) გაკვეთილის ჩატარება, ურთიერთობა სხვადასხვა საგნის მასწავლებელთან, მეთოდისტთან და განსხვავებული გამოცდილების გაზიარება. როგორც წესი, ესტონეთში ინოვაციური სკოლები სიამოვნებით ერთვებიან სასკოლო პრაქტიკის განხორციელების პროცესში და უნივერსიტეტს სთავაზობენ საკუთარ ადამიანურ რესურსს, რადგან მათთვისაც მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლებასთან მჭიდრო კავშირი და სიახლეები.

საქართველოში ახლახანს ამოქმედებული მასწავლებლის მომზადების პროგრამები ერთი წლის განმავლობაში 60 კრედიტის მოცულობით ხორციელდება და პრაქტიკის კომპონენტისთვის არანაკლებ 10 კრედიტს მოიაზრებს. მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამასთან ინტეგრირებული პროგრამების ფორმატით ასევე განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის 180 კრედიტი (მ.შ. არჩევითი სასწავლო კურსები) და მასწავლებლის მომზადების პროგრამის 60 კრედიტი, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა სემესტრში და ასევე მოიაზრებს მინიმუმ 10 კრედიტიან ბლოკს პედაგოგიური პრაქტიკისთვის. ნათლად და მკაფიოდ არც მასწავლებლის მომზადების ახალი კონცეფცია განსაზღვრავს მიმდევრობითი და პარალელური მოდელებიდან რომელიმეს შერჩევის შემთხვევაში პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის განხორციელების სპეციფიკას, რაც მისანიჭებელ კვალიფიკაციაშიც აისახება ქვემოთ შემოთავაზებული ცხრილის შესაბამისად.

ცხრილი 1.

კრედიტების რაოდენობა პროგრამის ტიპის მიხედვით	პროგრამის სტრუქტურა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მასწავლებლის მომზადების პარალელური პროგრამა - 300 კრედიტი	<ul style="list-style-type: none"> • 120კრ.-ე.ს.გ. შესაბამისი ძირითადი საბაკალავრო პროგრამა; • 60კრ.-თავისუფალი კურსები; • 60კრ.-მასწავლებლის მომზადების პროგრამა (<u>მ.შ. 10 კრ.პედ.პრაქტიკა</u>); • 60კრ.-პედაგოგიური პრაქტიკა (მ.შ. სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა) 	<p>კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი საგნის/საგანთა ჯგუფის სწავლების უფლებით, პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია სწავლების პირველი წლიდან ბოლომდე.</p>
მასწავლებლის მომზადების თანმიმდევრული პროგრამა 300 კრედიტი;	<ul style="list-style-type: none"> • 120კრ.-ე.ს.გ. შესაბამისი ძირითადი საბაკალავრო პროგრამა; • 60კრ.-თავისუფალი კურსები; • 60კრ.-მასწავლებლის მომზადების პროგრამა (<u>მ.შ. 10 კრ.პედ.პრაქტიკა</u>); • 60კრ.-პედაგოგიური პრაქტიკა (მ.შ. სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა) 	<ul style="list-style-type: none"> • ყველა კომპონენტის თანმიმდევრობით დაძლევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი საგნის/საგანთა ჯგუფის სწავლების უფლებით, ხოლო პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია მიმდევრობით, 240 კრედიტის დასრულების შემდეგ; • იმ შემთხვევაში, თუ კურსდამთავრებული არ გაივლის პრაქტიკის 60 კრედიტს მაგრამ დასრულებული ექნება პროგრამის ყველა სხვა

			კომპონენტი ენიჭება საგნის/საგანთა ჯგუფის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და გაიცემა მასწავლებლის სერტიფიკატი;
--	--	--	---

წარმოდგენილი მოდელების განხორციელება მთავრობის დადგენილებითაა განსაზღვრული, თუმცა ვერ იძლევა მკაფიო პასუხს როგორ უნდა იქნას გააზრებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის ფორმატით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტი თანმიმდევრული ან პარალელური მოდელის განხორციელებისას. უფრო ზუსტად, მასწავლებლის მომზადების პროგრამის ფარგლებში დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით პრაქტიკისთვის განსაზღვრულია მინიმუმ 10 კრედიტი, რაც იმას ნიშნავს, რომ თანმიმდევრული და პარალელური მოდელების ფორმატი მოიცავს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტს და მ.შ მინიმუმ 10 კრედიტს პედაგოგიური პრაქტიკისთვის. მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში ჩატარებული პრაქტიკა შეფასებით მთავრდება და სტუდენტი გაკვეთილებსაც ატარებს. მიმდევრობითი მოდელის განხორციელებისას სტუდენტი პირველი სემესტრიდან იწყებს პრაქტიკას ძირითადი სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოებში თავისუფალ საგნებთან ერთად. ამ ორი უკანასკნელის დასრულების შემდეგ გადის მასწავლებლის მომზადების პროგრამას, რომელიც რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამას წარმოადგენს. რეგულირებადი პროგრამის განხორციელება, მასში სწავლის შედეგებისა და კომპონენტების ცვლილება აკრედიტაციის პროცედურის გავლის გარეშე დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მომზადების პროგრამის სწავლის შედეგის მიხედვით სტუდენტს შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და ამ კომპონენტში ის განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება. ამის შემდეგ ისევ იწყებს 60 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტში ჯერ სასკოლო პრაქტიკის გავლას და შემდგომ ეტაპზე საკუთარი პრაქტიკის კვლევას. უდავოდ კარგი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მასწავლებლობის მსურველთათვის ხანგრძლივი პრაქტიკა, მაგრამ მისი მიმდინარეობის ეტაპზე არ უნდა იყოს დუბლირების მომენტები და ასევე განმსაზღვრელი შეფასება არ უნდა უსწრებდეს წინ განმავითარებელ შეფასებას.

2. პრაქტიკის განხორციელების ადგილი და პროცესის განმახორციელებელი მხარეების ჩართულობა;

პედაგოგიური პრაქტიკის ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, განუვითაროს სტუდენტებს თვითანალიზისა და თვითშეფასების გზით პროფესიული უნარ-ჩვევები, რეალურ გარემოში დაანახოს თეორიული ცოდნის საჭიროება და სწავლებისა და განვითარების თეორიებზე დაყრდნობით ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების შემუშავება ჩვენს რეალობაში, ხდება ერთი საბაზო სკოლის ბაზაზე. პრაქტიკის ორგანიზების და მისი განხორციელების თავისებურებანი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პრაქტიკის მიზნების მიღწევის გზებს. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე ყველაზე წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების დაგეგმვა შესაძლებელია საჯარო სკოლაში, პრაქტიკის პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთ მასწავლებელთან და ამ პროცესს ზედამხედველობს უნივერსიტეტის მხრიდან პრაქტიკის ხელმძღვანელი. პედაგოგიური პრაქტიკის წამყვანი არის სკოლის მასწავლებელი, მას აქვს საკუთარი პედაგოგიური სტილი და იყენებს მის მიერ აპრობირებულ სწავლების მეთოდებს და სტუდენტპრაქტიკანტსაც სიამოვნებით უზიარებს დაგროვილ გამოცდილებას. სასწავლო გარემო, რომელსაც სკოლის მასწავლებელი თავად ქმნის, ნებსით თუ უნებლიედ პრაქტიკანტის მიერ აღიქმება როგორც სამაგალითო და თავისთავად მისი მცდელობა ზედმიწევნით გაიმეოროს მასწავლებლის მანერები, მიდგომები, მოახდინოს იმ უნარ-ჩვევების გამეცადინება ან მსგავსი ტიპის გაკვეთილების ჩატარება, სრულიად გასაგებია. მიუხედავად იმისა, რა წარმატებებს აღწევნ მოსწავლეები მასწავლებლის წყალობით, პრაქტიკანტისთვის მასწავლებელი მაგალითს წარმოადგენს. პრაქტიკანტის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასებისას მასწავლებელი უპირატესობას სტუდენტის მიერ მისეული მეთოდების, სტილისა თუ მიდგომების დემონსტრირებას ანიჭებს და იმასვე უფასებს სტუდენტს. ყველაზე წარმატებული სტუდენტიც კი მაინც ორიენტირებულია მთელი ძალისხმევა მიმართოს მასწავლებლის მოქმედებათა „დუბლირებაზე“, რათა მისგან მიიღოს მაღალი შეფასება. შედეგად ვღებულობთ იმას, რომ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა პრაქტიკის მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრულ დროში, კონკრეტულად შერჩეულ სკოლაში ერთ მასწავლებელთან გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები და არ აქვს ალტერნატიული სასკოლო გარემოს, სხვადასხვა მასწავლებლის, პედაგოგიური სტილისა და მიდგომების გამოცდისა და გაზიარების შესაძლებლობა, არ აქვს შედარების, ანალიზის და საკუთარი პრაქტიკის კვლევის საშუალება. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება

განსხვავებულ სკოლებსა და სასწავლო სიტუაციებში გაცილებით ადვილი მისაღწევი იქნებოდა სტუდენტისთვის. მოქმედი პროგრამების პედაგოგიური პრაქტიკის ნაკლოვანებები დაკავშირებულია ასევე პრაქტიკის ხანგრძლივობასთანაც. ძალიან მოკლე დროში სტუდენტს უწევს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სკოლაში ახალი პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება და შეფასებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელება. ასეთი ისტერიული ფონი რასაკვირველია რეფლექსიისთვის არ უტოვებს დროს სტუდენტს, შეუძლებელია მან საკუთარი შეცდომებისა თუ ნაკლოვანებების გაცნობიერება და გააზრება მოახერხოს, ღრმად ჩაწვდეს საკუთარ შეცდომებს და შეაფასოს საკუთარი ძლიერი მხარეები სუსტი მხარეების დასაძლევად. პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება თეორიული კომპონენტის შემდეგ ხდება და სტუდენტს უკვე გავლილი აქვს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სკოლის გარემოს, პედაგოგიური მიდგომების, სასკოლო გეგმის, ინკლუზიური გარემოს ელემენტების, შეფასების მიდგომებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ თეორიულ მზაობას აძლევს მას. მაგრამ ყველა ამ კომპეტენციის დადასტურება მოკლე პერიოდში სტუდენტისთვის რთულია, სხვა საკითხია, როგორ აფასებს მას სკოლის მასწავლებელი. გარდა ამისა, სტუდენტს სხვა რამ ასწავლეს უნივერსიტეტში, სკოლაში განსხვავებულ ხედვებს სთხოვენ, ყველაფერი, რაც თეორიულად მარტივია, სკოლის რეალობაში სხვაგვარად არის. სამწუხაროდ, სკოლასა და უნივერსიტეტს შორის არსებული განსხვავების გამო, სკოლის სასწავლო გეგმა ერთ მოდელს ეფუძნება, მასწავლებლების მომზადება – მეორეს, ის რეგულაციები, რომლებიც მასწავლებლის მომზადების პროგრამას არეგულირებს კი მესამეს, სტანდარტები - მეოთხეს. ეს იმ ნაკლოვანებების მცირე ჩამონათვალია, რომელიც სისტემის მთლიანობას უშლის ხელს და მას წარუმატებელს ხდის. ასეთი პრობლემების სიღრმისეულად გააზრებისთვის და შემდგომში ცვლილებებისთვის სხვა ქვეყნების მასწავლებელთა განათლების სისტემიდან წარმატებული ელემენტების გადმოღება არ იქნებოდა ცუდი, რადგან სირთულეები ყველა სისტემაში იყო, ისინი სწორედ მასწავლებელთა ძალისხმევით დაიძლევა, საინტერესოა ამ სიმნელების დაძლევის გზები და მათი მისადაგება ჩვენს რეალობასთან.

პედაგოგიური პრაქტიკის მთავარ ამოცანად ახალი პროგრამის განხორციელებისთვის უნდა იყოს მისი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ურთიერთმიმართების პრინციპის შემუშავება და ხანგრძლივობის გაზრდის გზით, მთლიანი პედაგოგიური პრაქტიკა წარმოდგენილი უნდა იყოს რამდენიმე ეტაპად, სტუდენტს უნდა მიეცეს რეალური შესაძლებლობა სხვადასხვა სკოლის სასწავლო გარემო შეადაროს ერთმანეთს და გამოიმუშაოს საკუთარი მიდგომები, სტუდენტს უნდა შეეძლოს პრაქტიკაზე ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის საჭირო სტარტეგიების შემუშავება, საკუთარი პრაქტიკის კვლევის ელემენტების გამომუშავება, კრიტიკული აზროვნების გააქტიურება და გუნდში მუშაობის უნარების განვითარება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება #68;
2. Political and Social Transformations – Analysis in the Estonian Context. Niemi, H. (Ed.). Moving Horizons in Education. International Transformations and Challenges of Democracy (39 - 65). Helsinki: Helsinki University Press.
3. REPORT ON THE RESULTS OF THE VISIT TO GEORGIA July 27–August 7, 2015 AND RECOMMENDATIONS ON TEACHER TRAINING

Ekaterine Gigashvili

Gori State Teaching University

THEORETICAL AND PRACTICAL COMPONENTS OF THE RELATIONSHIP BETWEEN THE PRINCIPLE OF THE TEACHER EDUCATION PROGRAM RESUME

Teacher training programs and new approaches to the concept of teaching practice is considered consistent and parallel models of the slot. Pedagogical practice and its theoretical and practical evaluation of the implementation of the components of the relationship depends on a variety of legal regulations and burdened. Settle the problem of bringing the countries to share experiences and successful teaching practice component of teacher-training program for carrying out the practice of combining and integrating models defined in parallel and consistent with the practice of teaching, involving practice and practice of research.

დიფერენცირებული სწავლებისათვის მასწავლი პროგრამების შემუშავების მეთოდика

შესავალი

სახელმწიფოებრივი მოვალეობაა, რომ პედაგოგმა ყველა მოსწავლეს განუვითაროს ის აუცილებელი უნარები, რაც საჭიროა დღევანდელ კონკურენტუნარიან გარემოში თავის დასამკვიდრებლად და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოსაყალიბებლად. ამას სჭირდება თითოეული მოსწავლის ინტერესების გადრმავება, ცნობისმოყვარეობის გაზრდა და მოტივაციის გაძლიერება.

რეალურ სასწავლო პროცესში მოსწავლეების მაქსიმალური ჩართულობის მისაღწევად საჭიროა მათი მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინება. ასეთი სასწავლო გარემოს შექმნისათვის აუცილებელია თითოეული მოსწავლისათვის/მოსწავლეთა ჯგუფისათვის განსხვავებული სასწავლო აქტივობების შემუშავება, რომელიც მათ მზაობას, ინტერესებსა და სწავლის სტილს შეესაბამება. ეს მოითხოვს დიფერენცირებული საკლასო გარემოს შექმნას [1].

ძირითადი ნაწილი

კვლევის მიზანია განისაზღვროს, რამდენად მიიღწევა საქართველოს რეალობაში სწავლის ყველა სტილის, ყველანაირი მზაობის და ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობა - მათი მოტივაციის აღძვრისა და შენარჩუნების საფუძველზე; რამდენად გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები დიფერენცირებული სწავლების ხელშესაწყობად; კვლევის მიზანია აგრეთვე, საკლასო ოთახში სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობის პროცესზე და მიღებულ შედეგზე დაკვირვება, მონაცემების ანალიზი და პედაგოგებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ეს დღეისათვის აქტუალური და რთული საკითხია.

კვლევის მეთოდად არჩეულია დაკვირვება, მის საფუძველზე მონაცემების მოგროვება, ორგანიზება, დამუშავება და გამოყენება. გამოიყენება, აგრეთვე, შერეული კვლევის მეთოდი, რაც გულისხმობს მიღებული მონაცემების შეფასებას, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად.

კვლევა განხორციელდა საქართველოს უმეტეს რეგიონში, განსხვავებული კონტიგენტის სკოლებში, განსხვავებული რაოდენობის მოსწავლეებთან, განსხვავებულ გარემოში.

დაკვირვება განხორციელდა და სამიზნე ქცევად შერჩეულ იქნა მასწავლებლის კონკრეტული ქცევა: მასწავლებელი კლასის ყველა მოსწავლის სწავლის პროცესს ადევნებს თვალყურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე და აძლევს ყველა მოსწავლეს კონკრეტულ რჩევას შედეგების გასაუმჯობესებლად.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა მასწავლებელთა დახმარების საჭიროება მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფთან მუშაობის ხელშესაწყობად. კონკრეტულად, მასწავლებელთა მცირე ნაწილი საინფორმაციო ტექნოლოგიებს იყენებს, მაგრამ არა დიფერენცირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ძალიან მცირე ნაწილი ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სწავლის პროცესს და განხორციელოს განმავითარებელი შეფასება შედეგის გაუმჯობესების მიზნით.

კვლევის დროს განხორციელებული სამუშაოები მიზნად ისახავდა სწავლების კონკრეტული სტრატეგიების შერჩევას და მასწავლებლებისათვის შეთავაზებას. პედაგოგებისათვის შეთავაზებულ იქნა დაბალი მზაობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის ამაღლების გზები, რაც ავტომატურად განაპირობებს მათ მიერ საკითხის გაგებასა და გააზრებას [2].

მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად და მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალის გააზრების პროცესის გასამარტივებლად შეიქმნა ბარათები (ნახატები, სქემები), რაც თვალსაჩინოს ხდის შესასწავლ საკითხს. კვლევა განხორციელდა დაწყებით საფეხურზე, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში. ასეთივე ბარათები შეიქმნა მიღწეული შედეგის შესაფასებლად. ეს იყო საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით დიფერენცირებული სასწავლო გარემოს შექმნის წინაპირობა, ასევე, მასწავლი პროგრამების გამოყენების წინაპირობა [3].

კვლევის პერიოდში განხორციელდა მოსწავლეთა მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მისაღწევი შედეგების ინდიკატორების რაოდენობების შედარება სხვადასხვა სიტუაციისათვის: მოსწავლეთა მიერ სქემების/ნახატების გამოყენებამდე და სქემების/ნახატების გამოყენების დროს. მიღებული შედეგის ხარისხი იყო საგრძნობლად განსხვავებული - შედეგის მიღწევა ხდებოდა კლასის მოსწავლეთა უმრავლესობასთან, მეტი რაოდენობის ინდიკატორის დაფარვით, მათ შორის, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან. გაცილებით უფრო კარგი შედეგი დაფიქსირდა, როდესაც განხორციელდა მასწავლებლის პროგრამის სადემონსტრაციო ვერსიის გამოცდა.

პარალელურად, შეიქმნა კითხვარი, რომლის ანალიზის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა, რომ პედაგოგები საჭიროებენ დახმარებას ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესში. ამისათვის აუცილებელი პირობაა დიფერენცირებული სწავლებისათვის ხელის შეწყობა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით - კონკრეტულად, მასწავლებლის პროგრამების შექმნითა და გამოყენებით.

ჩვეულებრივ სასწავლო პროცესში, სადაც პედაგოგი კლასთან მუშაობის დროს არ იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ყველა მოსწავლის საჭიროებაზე გასვლა - დიფერენცირებული სასწავლო გარემოს შექმნა. შესაბამისად, ინკლუზიური განათლების პროგრამის განხორციელება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული...

მსოფლიოში მოსწავლეთა დიფერენცირებულად სწავლების ხელშეწყობის მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით, წარმატებით გამოიყენება მასწავლებლის პროგრამები. ასეთი სტილით მუშაობა პედაგოგების მხრიდან მოითხოვს დამატებით კომპეტენციებს. შესაბამისად, დიფერენცირებული სწავლებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, განსაკუთრებით, მასწავლებლის პროგრამების პროცენტული მაჩვენებელი დაბალია [4].

მასწავლებლის პროგრამების ფარგლებში დიფერენცირებული სწავლებისათვის საჭიროა მთელი რიგი აქტივობების / ამოცანების შექმნა, რომელიც სამ ჯგუფად დაიყოფა:

1. კომპიუტერული მასწავლებლის პროგრამის პირველი ჯგუფის ამოცანების ფარგლებში ხდება მოსწავლის ცოდნისა და უნარების დადგენა, მათი ინტერესებისა და მოტივაციის ამოცნობა, მისი აზროვნების ტემპის განსაზღვრა, რისთვისაც გამოიყენება ფსიქოლოგიური ტესტების შესაბამისი პროგრამები და საგამოცდო კითხვები. ამავე ჯგუფის ამოცანებში შედის ფსიქოლოგიური მონაცემების აღრიცხვით მოსწავლეთა შრომისუნარიანობის დადგენა - რეაქციის სისწრაფე, ყურადღების შენარჩუნება/დონე.

2. კომპიუტერული მასწავლებლის პროგრამის მეორე ჯგუფის ამოცანების დანიშნულებაა მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის ათვისების შესახებ მონაცემთა რეგისტრირება და სტატისტიკური ანალიზი, რის საფუძველზეც შეიქმნება თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალური ამოცანების განყოფილებები/აქტივობების ბანკი, თითოეული ამოცანისათვის/აქტივობისათვის გამოანგარიშებული იქნება (თითოეულ მოსწავლესზე გათვლილი) მაქსიმალური/მინიმალური დრო და დასაშვები შეცდომების მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა. ლოგიკურად, ამავე ჯგუფში იქნება ამოცანები, რომლებიც განაპირობებენ სასწავლო პროცესის მართვას. შეტანილი იქნება ისეთი ტიპის ამოცანები, რომელიც შესაძლებელს გახდის ახალი მასალის მიწოდების ტემპის დაჩქარებას და ნაკლები შეცდომის დაშვებას.

3. კომპიუტერული მასწავლებლის პროგრამის მესამე ჯგუფში გაერთიანდება ამოცანები, რომელიც გადაჭრის პრობლემას შემდეგნაირად: მომზადდება და მიეწოდება მოსწავლეს სირთულის მიხედვით ადაპტირებული სასწავლო მასალა, მომზადდება დინამიკური სურათი, საკონტროლო დავალებები, ლაბორატორიული სამუშაოები და დამოუკიდებელი სამუშაოები.

კომპიუტერული მასწავლებლის პროგრამის ეფექტურობა დამოკიდებულია მის შინაარსობრივ მხარეზე: უნდა იყოს ლოგიკურად აგებული, თანმიმდევრული, მარტივი და ზუსტი, უნდა შეიცავდეს, საწყისი ინფორმაციიდან დაწყებული, ყველა საჭირო მასალას - ილუსტრაციებისა და ცნობარის ჩათვლით.

მასწავლებლის მოვალეობაა მასწავლებლის პროგრამის სწორად გამოყენება, რაც თავისთავად განაპირობებს დიფერენცირებული სასწავლო გარემოს შექმნას. ასეთი სასწავლო გარემოს შექმნით მიიღწევა მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა, რადგან გათვალისწინებული იქნება თითოეული მოსწავლის მზაობა, ინტერესები და სწავლის სტილი. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, შესაძლებლობის მაქსიმუმის მიღწევა [5].

ლიტერატურა:

1. Желдаков М. И. Внедрения информационных технологий в учебный процесс. — Мн. Новое знание, 2003;
2. Суворова Н. Интерактивное обучение: Новые подходы. М., 2005;

3. USAID. G-PRIED. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული მათემატიკის დიფერენცირებული სწავლებისათვის I-VI კლასებში;
4. Машбиц Е. И. Психолого–педагогические проблемы компьютеризации обучения. — М., Просвещение, 2006;
5. Tomlinson, C. A., "Differentiation of Instruction in the Elementary Grades," *ERIC Digest: ERIC Clearinghouse on Elementary and Early Childhood Education* (August, 2000).

Ianina Gigiberia, Lia Gachechiladze, Roman Samkharadze
Georgian Technical University

THE METHODOLOGY OF DEVELOPMENT OF THE TRAINING PROGRAMS FOR DIFFERENTIATED LEARNING RESUME

In this article there is justified the need of the learning programs for the promotion of the differentiated learning environment.

The search is conducted, which aims to estimate individual pupils involvement according all styles of learning, any kind of preparedness and individual needs in Georgian reality; To analyze the process of using information technology in order to promote the differentiated learning process; Also, to observe the learning process and achieved results of pupils with special educational needs and elaboration of special recommendations for teachers. The search was done at the primary level in Mathematics and Natural Science. Using the special cards, made for teachers, maximum involvement of pupils with different needs was achieved. It was an application for creation of the differentiated learning environment using information technology and learning programs.

The quality of the results achieved by pupils was evaluated quantitatively and by qualitatively. The necessity of creation the differentiated learning environment in order to achieve involvement of all pupils was established. The last should be facilitated by creation and use of learning programs. It is necessary to make the list of tasks in the frames of the learning programs for differentiated teaching, which will be united in three different groups. Use of the learning program in the right way is the responsibility of teacher, that by itself leads to the creation of differentiated learning environment.

მზია გოგიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შემეცნებითი სფეროს განვითარება სკოლამდელ ასაკში

ბავშვის ფსიქიკური განვითარება დაბადებისთანავე იწყება, მაგრამ გარე სინამდვილის ასახვის ფორმების არსებობის დადასტურება განვითარების სხვადასხვა პერიოდში ხდება შესაძლებელი. ჯერ ერთი, ახალდაბადებულს საკმაო ხანს ჯერ კიდევ არა აქვს ისეთი მაღალი შემეცნებითი პროცესები, როგორცაა აზროვნება და წარმოსახვა. მეორეც იმ შემეცნებითი პროცესების მოცულობის დადასტურება, რომლებიც ბავშვს გააჩნია, ყოველთვის არ არის ადვილი. ახალდაბადებულს, და მერეც საკმაო ხანს, ბავშვს გარემოსთან დამოკიდებულებაში საკუთარი აქტივობა არ სჭირდება, ამიტომ ის, თუ როდის იჩენს თავს პირველად ესა თუ ის შემეცნებითი პროცესი, არც ისე იოლი დასადგენია. (1.85)

შემეცნებითი სფეროება: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება. განვიხილოთ მოკლედ ეს სფეროები.

აღქმის განვითარება სკოლამდელ ასაკში.

დრო და სივრცე ყოფიერების ფორმებია, ამიტომ სივრცისა და დროის აღქმა ბავშვის აღქმის საერთო განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბავშვები ადრე ეჩვევიან საგანთა გარჩევას სიდიდისა და ფორმის მიხედვით. ერთნახევარი წლის შემდეგ ისინი ადვილად ანსხვავებენ დიდ საგანს პატარისაგან და შემუშავებული დადებითი რეფლექსი /სიდიდით პატარა საგანზე/ გადააქვთ ნებისმიერ სხვა ობიექტზე. (2.168)

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სამყაროს, საგნების, მოვლენების აღქმა გააზრებული და მიზანმიმართულია. აღქმა გრძნობადი ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების რთული პროცესია, საგნებისა და მოვლენების უშუალო, გრძნობადი ასახვაა.

5 წლის ასაკში ჩნდება აღქმული ობიექტის ელემენტებს შორის კავშირის დამყარება. თუ მანამდე, ნახატის აღწერისას, ბავშვი ასახელებდა ნახატზე გამოსახულ ობიექტებს, ახლა მას შეუძლია ნახატის აღწერა, შემდეგში კი შეძლებს ინტერპრეტაციას. თანდათანობით აღქმა ხდება ანალიზური, ის იძენს ორგანიზებული დაკვირვების ხასიათს. უფროსმა უნდა ასწავლოს ბავშვს ობიექტის არსებითი ნიშნების, საგნებისა და მოვლენების თვისებების გამოვლენა. აღქმის განვითარების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის შედარება.

ბავშვის აღქმისათვის ასევე დამახასიათებელია ემოციურობა. მასზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს უფროსის ემოციური შექება, შეფასება.

აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის პრაქტიკულ საქმიანობასთან. საგნის აღქმა 2-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის ნიშნავს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რაღაცის შეცვლას, ხელში აღებას. ამიტომ დიდი დრო უნდა დაეთმოს საგნებზე პრაქტიკულ მოქმედებას.

2-6 წლის ასაკის ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობებით, როგორცაა ხატვა, სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა, ძერწვა, ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, გამოცანების გამოცნობა და ა.შ. ამ აქტივობების განხორციელებისას ბავშვი ეჩვევა ობიექტური მასალის გარდაქმნას და იძულებულია ანგარიში გაუწიოს საგნის ობიექტურ თვისებებს. შესაბამისად აღქმა უფრო დანაწევრებული და ორგანიზებული ხდება. (3.5)

ბავშვის აღზრდისა და სწავლების პროცესში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მიერ ინფორმაციის აღქმის სტილი: სმენით-აუდიალური, მხედველობით - ვიზუალური და კინესთეტიკური.

წინასასკოლო პერიოდში სწორედ რომ კინესთეტიკური აღქმაა წინაპლანზე. ბავშვები კარგად იმახსოვრებენ იმას, რაც გააკეთეს, ვიდრე იმას, რაც მოისმინეს და დაინახეს. ამიტომაც რომ მათ მოსწონთ ხმაურიანი, მოძრავი თამაშები. ამ პერიოდში ბავშვის აღქმა ვითარდება მრავალმხრივად, ანუ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს სამივე სტილით: დაინახა, მოისმინა, შეეხო, გამოიყენა თავის მოქმედებაში, ამიტომ ნებისმიერი სასწავლო აქტივობა უნდა იყოს თამაშის სახით დაგეგმილი, სადაც ბავშვს საშუალება ექნება მხედველობით, სმენით და შეხებით მიიღოს ერთი და იგივე ინფორმაცია.

ყურადღება --- ყურადღება არის ფსიქიკური პროცესი, რომლის საშუალებით ადამიანი მის ცნობიერებას გარკვეული ობიექტისადმი მიმართავს, რის გამოც ეს ობიექტი მკაფიო, ნათელი, გამოკვეთილი ხდება. ყურადღების მონაწილეობის გარეშე ვერც ერთი ფსიქიკური პროცესი ვერ იფუნქციონირებს. ის აქტიურად მონაწილეობს ყველა სხვა პროცესის მიმდინარეობაში, ყოველგვარი გამოცდილების მიღებაში. (1.110)

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყურადღების განვითარების შესწავლისას უნდა გათვალისწინებული იყოს ისეთი თვისებები, როგორცაა: მოცულობა, სტაბილურობა, კონცენტრაციის უნარი და ა.შ. ყურადღება მონაწილეობს ბავშვის ყველა ფსიქიკური პროცესის მიმდინარეობაში.

ყურადღება განაპირობებს მოტორული უნარების დაუფლების ეფექტურობას. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უკეთესად შეუძლიათ ყურადღების კონცენტრაცია, თუ ისინი აქტიურად იმეორებენ სხვის მოქმედებას. 6 წლის ბავშვს შეუძლია ყურადღება მიაქციოს ვერბალურ ინსტრუქციასაც.

მოტორული უნარების დაუფლებას განაპირობებს მიღწევის მოტივაცია. ბავშვი ასრულებს რაიმე აქტივობას იმისთვის, რომ შეამოწმოს თავისი ძალა, მოხერხებულობა და მიიღოს სიამოვნება. ისინი ამოწმებენ თავის შესაძლებლობებს და ღებულობენ სიამოვნებას ხტუნვაში, სირბილში, მოტორულ თამაშებში ეს არის შინაგანი მოტივაცია.

ბავშვმა შეიძლება შეასრულოს მოტორული აქტივობა იმ მიზნითაც, რომ დაიმსახუროს შექება, მიიღოს ჯილდო, გაიმარჯვოს შეჯიბრში. ეს არის გარეგანი მოტივაცია. (3.4)

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყურადღების განვითარებაზე და მოცულობის გაზრდაზე დადებითად მოქმედებს მეტყველების სრულყოფა. თამაშის, ხატვის, ძერწვის და ა.შ. გართულება და მარტივი შრომითი დავალებების შესრულება. აქედან გამომდინარე სკოლამდელთა ყურადღების განვითარების ძლიერი ფაქტორი სიტყვაა, რადგან უფროსი სკოლამდელები მეტყველებას დაუფლებულნი არიან.

საბავშვო ბავშვის სკოლისათვის ანუ სწავლისათვის ამზადებს ბავშვს. სწავლა კი ყურადღების გარეშე შეუძლებელია.

მეხსიერება - მეხსიერების საშუალებით ადამიანი შემოინახავს ადრე მიღებულ გამოცდილებას და საჭიროების შემთხვევაში აღადგენს მას.

ბავშვის მეხსიერების მოცულობა ფართოვდება არა მხოლოდ ახალი საგნების წარმოდგენების შემქნით, არამედ თვითონ საგნის სხვადასხვა თვისებათა გამოყოფის, მათ შესახებ ცოდნის მიღების გზით.

2-6 წლის ასაკის ბავშვის მეხსიერება თვალსაჩინო-ხატოვანია. ისინი უკეთ იმახსოვრებენ კონკრეტულ ფაქტებს, მოვლენებს, პირებს, ვიდრე განმარტებას, აღწერას, ახსნას. მათ მეტად ახასიათებთ მექანიკური დამახსოვრება, არ აცნობიერებენ აზრობრივ კავშირებს დამახსოვრებულ მასალაში, ამიტომ მასალის უკეთ დასამახსოვრებლად გამოყენებული უნდა იქნას დიდი რაოდენობის თვალსაჩინო მასალა.

5-6 წლის ასაკიდან უკვე ნებისმიერი მეხსიერებაც. თუმცა მიზანმიმართული დამახსოვრება და აღდგენა მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ძირითადად თამაშსა და სხვა აქტივობებში ვლინდება.

სკოლამდელი ასაკის ბოლოსათვის ვითარდება აქტიური მეხსიერება, თუმცა სკოლამდელ პერიოდში წამყვანი მაინც უნებლიე მეხსიერებაა, ხოლო უფროსი ასაკიდან უკვე თანდათანობით ხდება მეხსიერების ნებისმიერი ფორმის ჩამოყალიბებაც. ამისათვის თამაშში ყველაზე კარგი პირობაა, რადგან ბავშვი წარმატებით შეასრულებს როლს, როდესაც მას მოუხდება გარკვეული წესის დამახსოვრება. მაგალითად, როცა ბავშვს საკუთარი როლის შესასრულებლად რაიმე ტექსტის ან ლექსის დამახსოვრება უხდება, როდესაც ბავშვი ასრულებს გამყიდველის როლს და მას სჭირდება დაიმახსოვროს იმ საგანთა ჩამონათვალი, რომლებსაც ყიდის. ამ შემთხვევაში იგი იმახსოვრებს გაცილებით მეტ სიტყვას, ვიდრე აღმზრდელის ან მასწავლებლის მოთხოვნის შემთხვევაში დაიმახსოვრებდა. (4.21)

უფროსებმა უნდა იზრუნონ ბავშვის როგორც მექანიკურ, ასევე ლოგიკური მეხსიერების განვითარებაზე. სმენითი და მხედველობითი მეხსიერების მოცულობის გაზრდაზე. ამ ასაკის ბავშვებს ძალიან მოსწონთ მეხსიერებისა და აზროვნების განმავითარებელი სავარჯიშოები, რომლებიც მნიშვნელოვნად აწვითარებს აღნიშნულ ფსიქიკურ პროცესებს. (3.7)

აზროვნება - აზროვნება სინამდვილის განზოგადებული ასახვაა. 5-6 წლის ასაკის ბავშვებს უფრო მაღალი აქვს განზოგადების დონე. თუ ბავშვს შეეძლო საგნის დასახელება, ანუ აინტერესებდა ეს რა არის, ახლა აინტერესებს ესა თუ ის საგანი რისგანაა გაკეთებული. იცის საგნების როგორც დანიშნულება, ისე გამოყენება, სვამს შეკითხვებს, იწყებს კამათს და ითხოვს დასაბუთებულ პასუხს. ამ დროს მნიშვნელოვანია როგორც აღმზრდელის, ისე მშობლის როლი. მან სწორად უნდა წარმართოს ბავშვის ინტერესი, დააკმაყოფილოს მისი ცნობისმოყვარეობა, გასცეს შეკითხვებს პასუხი. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელმა წახალისოს ბავშვი, რათა მან საკუთარი აზრი ნათლად გადმოსცეს, დასვას კითხვა. ამ ყველაფერს ხელს შეუწყობს თამაშები, რომელსაც ატარებს აღმზრდელი.

ჟ. პიაჟეს აზრით, ბავშვის აზროვნების განვითარებას განსაზღვრავს ბავშვის უნარების მომწიფება და მისი ურთიერთობა გარემოსთან. ჟ. პიაჟე ბავშვს განიხილავს, როგორც ამ პროცესის აქტიურ მონაწილეს და არა როგორც ბიოლოგიური მომწიფებისა და გარემოდან შემოსული სტიმულების პასიურ „მიმღებს“.

ჟ. პიაჟეს მიხედვით, 4-7 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების არსებითი მახასიათებელია თვალსაჩინოება, კონკრეტულობა შეუქცევადობა, ეგოცენტრიზმი და ცენტრირება საგნის ერთ ნიშანზე.

მრავალი გამოკვლევა მიემდინა ბავშვის პიროვნების განვითარების საკითხებს და დადგინდა, რომ ცნებებით აზროვნების უნარი უფროს სკოლამდელებსაც არ გააჩნიათ და ისინი წარმოდგენებით აზროვნებენ.

მეტყველება --- ბავშვის მეტყველების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების განვითარებასთან. მეტყველება, როგორც აქტი, ორი პირის ურთიერთობას გულისხმობს. მოლაპარაკე გარკვეულ ინფორმაციას აწვდის მსმენელს, რომელმაც ნათქვამი უნდა გაიგოს. ამ გზით მოლაპარაკე პირი მსმენელზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. ბავშვი მეტყველებას მაშინ იწყებს, როცა მას მოთხოვნილების დაკმაყოფილების საჭიროება აიძულებს სხვას მიმართოს დახმარებისათვის. როგორც ყველგან, მეტყველების დროს აქაც საჭიროა ურთიერთგაგებინება. უფროსი უნდა მიხვდეს ბავშვის ნათქვამის მნიშვნელობას, რათა მას სურვილი შეუსრულოს, მაგრამ თვითონ ბავშვსაც უნდა ჰქონდეს უფროსის ზემოქმედების გაგების უნარი. მეტყველება ხომ ცალმხრივი პროცესი არ არის, რომ სულ ბავშვმა ილაპარაკოს. ამ გზით ის საერთოდ ვერ დაიწყებდა მეტყველებას. ბავშვის მეტყველება რთული პროცესია და ის უეცრად არ დგება. მას წინ მოსამზადებელი პერიოდი უსწრებს. მხოლოდ მისი გასვლის შემდეგ იწყებს ბავშვი ენის ადგმას. (1.179)

ლ. ვიგოტსკის თანახმად, ბავშვები სწავლობენ წერას და კითხვას მშობლებთან, და-ძმასთან, მასწავლებელთან, თანატოლებთან ურთიერთობის საფუძველზე. ამიტომ აუცილებელია უფროსმა დასვას შეკითხვები წაკითხული შინაარსის გარშემო, ისაუბროს ბავშვებთან წაკითხულის შესახებ და გაარკვიოს - რა გაიგეს და ვერ გაიგეს წაკითხული მასალიდან. ასეთი ინტენსიური კომუნიკაცია მეტად მნიშვნელოვანია წიგნიერების განვითარებისათვის.

უფროს სკოლამდელ ასაკში ბავშვები სწრაფად იმდიდრებენ სიტყვიერ მარაგს და იყენებენ რთულ გრამატიკულ კონსტრუქციებს. ამ პერიოდის ბოლოს ის დაუფლებულია მშობლიურ ენას, სწორად იყენებს მეტყველების ყველა ნაწილს წინადადებაში. მარტივ წინადადებასთან თავს იჩენს რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი წინადადებები. ექვსი წლის ასაკისთვის უკვე სრულდება სამეტყველო ბგერებზე სმენის, ფონოლოგიური სმენისა და წარმოთქმის უნარის განვითარებაც. ამ ასაკში ბავშვი სწორად წარმოთქვამს ბგერებს, არჩევს რთულ წინადადებაში ბგერებს და სიტყვებს. ეს კი ხელს უწყობს ბავშვის მომზადებას სკოლისათვის, ისინი გამართული მეტყველებით ადვილად ამყარებენ კონტაქტს თანატოლებთან და უფროსებთან. ასევე უფროსი სკოლამდელის მეტყველებაზე გავლენას ახდენს მხატვრული ლიტერატურის გამოყენება, ამიტომ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება არა მარტო ნაწარმოების შინაარსზე, არამედ ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზეც. ამ ასაკში ბავშვის მეხსიერება ნებისმიერ ხასიათს ატარებს.

მიზანმიმართული დამახსოვრება-აღდგენა ეპიზოდური ხასიათისაა რაც ვლინდება კიდევ თამაშში, ამ დროს მეტყველება განვითარების პროცესშია და ბოლოსთვის უკვე ბავშვი დაუფლებულია მშობლიურ ენას. ამრიგად, ბავშვის მეტყველების განვითარებაზე მეტად დიდ გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ბავშვი იმყოფება, ამიტომ დიდი როლი ამ საქმიანობაში ეკისრება ოჯახსა და საბავშვო ბაღს, რომელიც ბავშვს ამზადებს სასკოლო ცხოვრებისათვის.

ლიტერატურა:

1. ყოლბაია მ., პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.
2. Лувлинская А.А., Детская психология. М., 1971.
3. მელიქიშვილი მ., ადრეული ბავშვობის პერიოდი. ელექტრონული ვერსია <https://tsulearn.files.wordpress.com/>.
4. საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო თბ., 2011.

Mzia Gogiashvili

Gori State Teaching University

COGNITIVE SPHERE DEVELOPMENT IN CHILDREN UNDER SCHOOL AGE RESUME

Cognitive sphere development in children under school age means that a child has all forms of perception, attention, remembering, thinking and speaking, which is necessary for getting ready for school. The surrounding environment plays a great role in development of all those skills.

ოთარ დოლიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამხედრო სწავლების მეთოდები მოტივაციის ჩამოყალიბებაში

ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ოდითგანვე გარკვეული სახის მოტივაციასთან იყო დაკავშირებული. კაცობრიობის ცხოვრების დონისა და თანამედროვე ტექნოლოგიების თანდათანობით განვითარება, მოტივაციის არსებობის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა. დღევანდელი ცხოვრების დონიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რამდენად რთულია ადამიანის მოტივაციის მთლიანად შესწავლა. ამიტომაც, ფსიქოლოგიის მეცნიერებაში ადამიანის ქცევის მოტივაციის განსაზღვრა და შესწავლა ერთ-ერთ უმთავრეს დარგს წარმოადგენს.

ზოგადად, მოტივაცია "ქვევის გამომწვევ მიზეზებს" [რაიანი., 2010: 712] გამოხატავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მოტივაცია არის ატრიბუტი, რომელიც საკუთარი სურვილებიდან ან რაიმე საჭიროებიდან გამომდინარე გვიბიძგებს, რა გავაკეთოთ და რა არა.

უმეტეს ნაშრომში "მოტივაცია" ინტელექტუალურ მონაპოვრად განიხილება. „მოტივაციაში ასევე ჩართულია რწმენა, აღქმა, ღირებულებები, ინტერესები, და ქმედებები“ [რაი 2011: 3], რომელთა ერთობლიობა და ურთიერთკავშირი გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების წესზე. ასაკის ცვლილებასთან ერთად, ეს სხვადასხვაობაც იზრდება. ბავშვების მოტივაციით შესაძლებელია შემდგომი ცხოვრების მოტივაციის პროგნოზირება, ხოლო მისი განმტკიცება ხდება თანდათანობით, ასაკის მატებასთან ერთად.

საგანმანათლებლო სფეროს ფსიქოლოგები დიდი ხანია აღიარებენ, რომ ნებისმიერ სფეროში, მოსწავლის აღსაზრდელად, განმსაზღვრელია მოტივაცია. სასწავლო მოტივაცია მოტივაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეა, რომელიც სწავლების პროცესში არის ჩართული. იგი საშუალებას გვაძლევს, განვავითაროთ პიროვნება არა მხოლოდ კონკრეტული მიმართულების განსაზღვრით, არამედ თუ როგორ უნდა მან შეძლოს სხვადასხვა ფორმის სასწავლო პროცესის რეალიზაცია, ემოციურ-გრძნობითი სფეროს გამოყენებით.

აღსაზრდელის აქტიურობას განაპირობებს სხვადასხვა წყარო. ფსიქოლოგიაში გამოყოფენ აქტიურობის წყაროს სამ სახეს: შინაგანი (შემეცნებითი და სოციალური მოთხოვნილებები); გარეგანი (მოლოდინი და შესაძლებლობები); პირადი (ინტერესები, მოთხოვნილებები, განწყობა, სტანდარტები და სტერეოტიპები). ტრადიციულად შინაგანი მოტივაცია უფრო სურვილზეა დაყრდნობილი და სწავლის უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე გარე მოტივაცია.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა და ლექციის ჩატარების მეთოდიკა სხვადასხვაგვარია, რაც მათი ეროვნული ინტერესების, დიდაქტიკური ტრადიციებისა და მათი ცხოვრების წესის სხვადასხვაგვარობით არის განპირობებული. ამ მხრივ, არც ჩვენი ქვეყანა გამონაკლისი, მასაც გააჩნია საკუთარი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი მიზანია ოფიცრების, სერჟანტებისა და რიგითების გაწვრთნა ქვეყნის თავდაცვისა და კეთილდღეობის განმტკიცებისათვის. სამხედრო სასწავლო მეთოდიკაში მნიშვნელოვანია ცოდნის, უნარისა და ჩვევის ურთიერთკავშირი: „მხოლოდ მათი სინთეზის, ერთიანობისა და სრულყოფის შედეგად, საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და, მათ შორის, სამხედროში, აყალიბებენ სამხედრო მოსამსახურეს და სპეციალობის შესაბამისად ახერხებენ მათ დაოსტატებას“ [სწავლების... 2010: 46].

სწორედ, რომ სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ნებისმიერი მებრძოლის ქვეყნის სასიკეთოდ პროფესიონალად ჩამოყალიბება, რაც დამოკიდებულია არამარტო პროგრამებსა და გეგმებზე, არამედ აღმზრდელისა და აღსაზრდელის მოტივაციასა და მათ მიერ შესასწავლი საკითხისადმი მიდგომაზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო საგანმანათლებლო სისტემაში ძირითადად გამოიყენება შემდეგი სწავლების ფორმები: ლექცია; სემინარი; თვითმომზადება; პრაქტიკული, საველე და სხვა ჯგუფური მეცადინეობა; ლაბორატორიული მუშაობა და სხვა.

სამხედრო სასწავლებელში სასწავლო ლექცია ისე უნდა იყოს აგებული, რომ ლექტორმა შეძლოს აუდიტორიის დაინტერესება და გატაცება, ასევე მათი ცოდნის გაღრმავება. მისი მთავარი ამოცანა სასწავლო დისციპლინის, თემის ყველაზე რთული, საკვანძო თეორიული საკითხებისა და პრობლემების ახსნა და დასაბუთებაა.

სასწავლო ლექცია აღმზრდელის შემოქმედებაა. ზოგიერთი აღმზრდელი აღსაზრდელს გადასცემს მხოლოდ ინფორმაციას და გაურბის ახალი მოსაზრების გამოთქმას, ორიგინალურ დისკუსიას და თემის კიდევ უფრო განზოგადებას. ასეთი აღმზრდელი მხოლოდ მშრალი ფაქტების სიჭარბით და მათი ილუსტრირებით კმაყოფილდება. ასეთი ლექცია მხოლოდ მეხსიერების ვარჯიშია, იგი ვერ გააღვივებს აღსაზრდელის მოტივაციას. ასეთი ლექცია პირდაპირ ანადგურებს საკითხის სიღრმისეულად დაუფლების ინტერესს, შინაგან მოტივაციას.

არის შემთხვევები, როდესაც აღმზრდელი სასწავლო ლექციის შინაარსს თავისი მტკიცებითა და მსჯელობით კი არ გადმოსცემენ, არამედ უშუალოდ კონსპექტებიდან კითხულობენ და აღსაზრდელს კარნახობენ ლექციის ტექსტს. სწავლების ასეთი ფორმა მნიშვნელოვნად აქვეითებს აუდიტორიის მოტივაციის დონეს და ახშობს აღსაზრდელთა შემოქმედებითობასა და აზროვნების უნარს. მათი ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მხოლოდ ნაკარნახევის მოსმენასა და ჩაწერის მოსწრებაზე. ამ დროს აღმზრდელი ასრულებს მიმომხილველის, ანუ უბრალო სიტყვიერი ინფორმატორის როლს. ნებისმიერი სამხედრო ლექცია უნდა გამოიცხადდეს როგორც კარნახს, ასევე მისი სხვადასხვაგვარად გამოცემას.

როგორც წესი, „ყოველი სასწავლო ლექციის მაღალი მეცნიერული მეთოდური დონის უპირველესი მაჩვენებლებია: ა) შემეცნებითი ღირებულება; ბ) დამაჯერებლობა, მტკიცებითობა; გ) ამღვრდებლობითი მხარე; დ) ლოგიკურობა და ინტერესის აღძვრა; ე) ემოციურობა“ **[სწავლების... 2010: 54]**. აღნიშნულ საკითხთა გათვალისწინება აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს და ჩასატარებელი ლექციისადმი აღსაზრდელთა მოტივაციას აყალიბებს.

ლექციის მომზადებისას, მოტივაციის გასაღვივებლად, აღმზრდელმა სასწავლო თემიდან უნდა გამოყოს საკვანძო, ყველაზე აქტუალური პრობლემები და შეიტანოს ლექციების ძირითად საკითხებსა და ქვესაკითხებში; განსაზღვროს ამა თუ იმ საკითხის აქტუალობისა და სირთულის ხარისხი; გათვალისწინოს მისი მოცულობა; გაეცნოს და გაითვალისწინოს უახლესი სამეცნიერო გამოცდილება და მიღწევანი; ლექციის თემის მიხედვით, ფილმოთეკების ფონდში შეარჩიოს სასწავლო ფილმები, სქემები და სხვა თვალსაჩინო მასალა.

დაოსტატებული და მოტივირებული სამხედრო აღმზრდელი ჩასატარებელ მეცადინეობებს პროფესიონალური კუთხით ამზადებს, რომლის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს: შესავალს, ძირითად ნაწილსა და დასკვნას. მეცადინეობის ეს თითოეული ნაწილი დიდი ყურადღებით უნდა იყოს მომზადებული და, რაც მთავარია, უნდა აღვივებდეს და ზრდიდეს აუდიტორიის მოტივაციის ხარისხს.

ფსიქოლოგიური კუთხით, შესავალის მიზანია აუდიტორიის მომზადება, განწყობა მოცემული თემის შინაარსის უკეთ აღქმის, გააზრების, გაგებისა და ათვისებისათვის. გამოჩენილი ადვოკატისა და ორატორის, ა. კონის სიტყვებით, ლექტორის „შესავალი უნდა იყოს გასაგები. გამოსვლის პირველი სიტყვები უნდა იყოს მარტივი, მისაწვდომი და საინტერესო, უნდა შეძლოს მსმენელთა ყურადღების მიპყრობა“ **[ნეესკაია 2008: 12]**, ანუ სწავლების ხარისხიანად და წარმატებით წარმართვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, როგორ შეძლებს აღმზრდელი შესავალი ნაწილით აღსაზრდელთა დაინტერესებას.

მოტივაციის ასამაღლებლად, სამხედრო ლექციის ჩატარებისას, აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები: აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარება; საუბრის ტემპი; თხრობის მანერა, სწავლების ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინო მასალის გამოყენება; ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა და დამაჯერებლობა.

აუდიტორიაზე უარყოფით გავლენას ახდენს ზედმეტი ემოციები და ცრუ პათოსი; ლექცია უნდა ატარებდეს პოლემიკურსა და ევრისტიკულ ხასიათს; იგი უნდა წარმოადგენდეს ლექცია-განსჯასა და ლექცია-დიალოგს; უნდა ეყრდნობოდეს ღრმა ლოგიკურ სტრუქტურას, რომელიც აღსაზრდელებს დამაბული, აქტიური და პოლემიკური თანამონაწილის მდგომარეობას უნარჩუნებს. ასევე აუცილებელია, ორატორული ხელოვნების, მეტყველების კულტურისა და ტექნიკის მუდმივი დახვეწა.

მეთოდურად სწორად აგებული სამხედრო ლექცია აუდიტორიაზე თავისი ემოციური ზემოქმედების სიძლიერით უნდა გამოირჩეოდეს. აღმზრდელმა გავლენა უნდა მოახდინოს მათ გრძნობებზე, გამოიწვიოს მათში აღფრთოვანება, სიმპათია ან პირიქით, აღშფოთება და ანტიპათია ამა თუ იმ მოვლენის ან პიროვნების მიმართ. მეცადინეობის დასაწყისიდან ბოლომდე აღსაზრდელთა ყურადღება მოჭიმული მშვილდით უნდა იყოს გამახვილებული.

რაც შეეხება სამხედრო სემინარებს, მათ აქვთ როგორც შემეცნებითი და აღმზრდებლობითი ფუნქციები, ასევე კონტროლის ფუნქცია. რაც უფრო ხარისხიანია წაკითხული ლექციები და რაც უფრო ბეჯითად მუშაობენ აღსაზრდელთა, მით უფრო ეფექტურია სემინარი. თავის მხრივ, ხარისხიანად ჩატარებული სემინარი აღვივებს აუდიტორიის ინტერესს არა მარტო თემის, არამედ მთლიანად სასწავლო საგნისადმი და იძლევა დამოუკიდებელი მუშაობისადმი სტიმულს.

სამხედრო სემინარის მსვლელობისას მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელმა მისი ჩარევით არ შეაწყვეტინოს აღსაზრდელს გამოსვლა. რა თქმა უნდა, დაშვებული შეცდომები და არასწორი მსჯელობები აუცილებლად უნდა შეამჩნიოს და შეასწოროს, მაგრამ სათანადო დროს. როდესაც აღსაზრდელი უხეშ შეცდომას უშვებს, აღმზრდელმა მას სათანადო ტონით უნდა გაუსწოროს. სამწუხაროდ, ამ მეთოდურ მოთხოვნებს აღმზრდელთა გარკვეული ნაწილი არ ასრულებს.

სამხედრო სემინარის აუცილებელ წესად უნდა იქცეს, რომ აღმზრდელმა რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკოს და წააქეზოს მსმენელი, რათა მან თავისუფლად და კრეატიულად იმსჯელოს. კარგი იქნება სემინარის აქტუალური და მწილი საკითხის გარშემო დისკუსიის გაშლა, რა თქმა უნდა, კამათის ეთიკური ნორმების დაცვით.

დასკვნით სიტყვაში აღმზრდელი ყურადღების კონცენტრირებას ახდენს სემინარის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე; აანალიზებს და აფასებს კურსანტთა გამოსვლებს, გამოყოფს მათგან საუკეთესოებსა და აღნიშნავს პასიურ კურსანტებსაც, რომელთა შემდგომი გააქტიურებისათვის, მათ წინაშე სახავს კონკრეტულ სასწავლო ამოცანებს; კურსანტთა ცოდნის ობიექტურად და პატიოსნად

შეფასებით, ასევე მათზე ზნეობრივი ზემოქმედების გზით, აღმზრდელი ზრდის სამომავლო სემინარისტის აღსაზრდელთა მოტივაციას და აძლევს მათ სამომავლო მზაობის სტიმულს.

სამხედრო სწავლების ერთ-ერთი ფორმის, დამოუკიდებელი მუშაობის არსი მოიცავს შემოქმედებას, სამხედრო ცოდნის შეძენასა და გამოყენებას, ჭკმარტივების ძიებას. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის უნდა არსებობდეს შემოქმედებითი, საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფერო. იგი მხოლოდ „ჭკუის სწავლებისა“ და მითითებების ხასიათს არ უნდა ატარებდეს. ასეთი ურთიერთობა ფართო ასპარეზს ხსნის შემოქმედებისათვის და ქმნის აზროვნების ახალი ფორმების ნიმუშებს, რაც ხელს უწყობს აღსაზრდელის მოტივაციის ჩამოყალიბებას იმ მიმართულებით, რომ იყოს უფრო კრეატიული, გააჩნდეს ნოვატორობის უნარი და არ ჩაიკეტოს მხოლოდ აღმზრდელის შეხედულებებში, რაც სამხედრო საქმეში აშკარად დამლუპველია - პიროვნება ვერასოდეს გახდება ლიდერი და საჭირო დროს, საჭირო ადგილას ვერ მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. რაც კრიტიკულ ვითარებაში ომის წაგების საწინდარია.

სამხედრო თვითმომზადების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგნაირად: „წაიკითხე, გამოყავი მთავარი, ჩაიწერე, გაიაზრე, დაიმახსოვრე, იმსჯელე“ [სწავლების..., 2010: 69]. ასეთ შემთხვევაში წაკითხვას თან ახლავს აზროვნების ორი უმთავრესი ფაქტორი - ანალიზი და სინთეზი. ეს ფაქტორებიც ხელს უწყობს აღსაზრდელის მიერ შინაგანი და გარე მოტივაციის ერთმანეთთან დაკავშირებას, რაიმე მოვლენის გარშემო ანალიზისა და სინთეზის პროცესში რომ გამოავლინოს გონებადამხვილობა, მსჯელობის უნარი და წარმოსახვის შესაძლებლობა.

დამოუკიდებელი მუშაობის დამატებითი ფორმებია: საგანთან დაკავშირებული ახალი პუბლიკაციების გაცნობა; სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობის მიღება; თემასა და საგანთან დაკავშირებით შესატყვისი კინოფილმებისა და ტელეგადაცემების ნახვა, მათი გარჩევა და სხვა. ყოველი ეს ფორმა თანდათანობით ზრდის მოტივაციას იმისას, რომ სამხედრო პირი სიღრმისეულად გაერკვეს კონკრეტულ საკითხსა და, ასევე, დაიხვეწოს საკითხისადმი ძირეულ კვლევაში.

დამოუკიდებელ მუშაობაში მთავარია, აღსაზრდელში ჩაინერგოს შემოქმედებითად, არასტანდარტულად და ორიგინალურად აზროვნების მოტივაცია. ამის მიღწევით, მათ შეეძლებათ დამოუკიდებლად მუშაობა, ჩამოუყალიბდებათ თვითგანვითარებისა და სრულყოფილების უნარი. იგი ყოველთვის შეძლებს საფუძვლიანად დაეუფლოს ცოდნას და გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში. ასეთ პიროვნებას პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ცოდნის დაკავშირება არ გაუჭირდება.

სამხედრო სწავლების მეთოდებში ხშირია შემთხვევები, როდესაც აღმზრდელები არ ითვალისწინებენ აღსაზრდელთა ცოდნის მარაგსა და შესასწავლ საკითხში მათ ინფორმირებულობას; ასევე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და გონებრივ შესაძლებლობას. შესაბამისად, არ ხდება დატვირთვის ინტენსივობისა და დასვენების ერთმანეთთან შეჯერება. აგრეთვე, დროის დეფიციტის გამო, ზოგჯერ სრულყოფილად ვერ სრულდება დასახული დავალება. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოვნურად ვქმნით სასწავლო პროცესში ზედმეტ სირთულეებსა და დამაბულობას. აქედან გამომდინარე, შეუსრულებელი მოთხოვნები აღსაზრდელს უბიძგებს სიცრუისაკენ და სიმულაციისაკენ. ამგვარი მიდგომით აღსაზრდელის მომზადების ხარისხი კლებულობს. რაც საბოლოოდ იწვევს კონკრეტული სამხედრო სფეროსადმი უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებასა და თანდათანობით ამ სფეროსადმი მოტივაციისა და მიდრეკილების გაქარწყლებას.

ამასთანავე, სამხედრო სწავლების მეთოდებში მოტივაციის ასამაღლებლად, აუცილებელია, სასწავლო მასალების თანდათანობით გართულება და მისი მოცულობის გაზრდა. სასწავლო მასალა არ უნდა იყოს იოლად ასათვისებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწავლების პროცესი თანდათანობით უინტერესო გახდება.

სამხედრო სწავლების მეთოდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ლაბორატორიული სამუშაოები, პრაქტიკული წვრთნები და სავლეთ მეცადინეობები, რომლებიც უმთავრეს როლს თამაშობენ სამხედრო პიროვნების პროფესიონალ მებრძოლად ჩამოყალიბებაში. იგი მოიცავს: ზოგად და სპეციალურ პრაქტიკულ ვარჯიშებს, დღის და ღამის ნავიგაციებს, სროლებს, გარკვეული სახის წინაღობათა ველის გადალახვებს... ამ სწავლებებში აღმზრდელის, როგორც პროფესიულ, ასევე ფსიქოლოგიური მომზადების დონესთან ერთად, აუცილებელია, აღმზრდელისა და აღსაზრდელის მოტივაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწავლების სიხშირის მიუხედავად, მიღებული ცოდნა უნარ-ჩვევებში ვერ გადაიზრდება და მებრძოლის ოსტატობის შესახებ ცრუ წარმოდგენები შეიქმნება.

სამხედრო სწავლების მეთოდოლოგიაში, მოტივაციის დონის ამაღლებისა და დაინტერესების მიზნით, ხშირად ჩასმულია ისეთი აქტივობები, როგორცაა: საქმიანი თამაში; კოლოკვიუმი; ინდივიდუალური გასაუბრება; დებატები; მრგვალი მაგიდა; დისკუსია და სხვა. სწავლების ეს ფორმები იძულებულსაც კი ხდის ნებისმიერ აღსაზრდელს, იყოს უფრო აქტიური და მეტი ინტერესით განწყობს სასწავლო პროცესის მიმართ, ხარისხიანად აითვისოს სასწავლო დისციპლინები, შეიძინოს მომავალი

თანამდებობისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები. ასევე შეჯიბრებითი კონკურსების დროს, უფრო მეტი ყურადღება ექცევა: აზროვნების უნარს, ფიზიკურ მონაცემებს, კრეატიულობასა და მეტყველების უნარს. ისინი აგებული უნდა იყოს რეალური ცხოვრების მოდელებზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომავალი სამხედრო პროფესიონალის მომზადებასა და მის შემდგომ ზრდას.

ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა ჯგუფებისა და ქვედანაყოფების ერთობლივი სწავლების ჩატარება, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სათანადო სასწავლო პროგრამებში ჩართულობა. ეს მეთოდები აღსაზრდელებში ზრდის პირველობისკენ სწრაფვასა და საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და განმტკიცების მოტივაციას. დამატებით, სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს აღსაზრდელებში დაინტერესებისა და თანამედროვე, სწრაფად ცვლად გარემოში ადაპტაციის უნარის დახვეწას.

სამხედრო განათლების სფეროში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დამატებითი საქმიანობები, როგორც: ისტორიული მოვლენებისა და მაგალითების გამოყენება, ისტორიული ძეგლების, მუზეუმებისა თუ სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება და ასეთ ადგილებში ჯგუფური ლექციების, დისკუსიების ჩატარება. ასევე კონკრეტულ ბრძოლებსა და მოვლენებში მონაწილე რეალური პირების და საპატიო სტუმრების სათანადო ლექციებზე მოწვევა. ყოველივე ეს აღსაზრდელებში ხელს უწყობს მომხდარი მოვლენის უფრო რეალურად აღქმასა და შესასწავლი საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებას; და რაც მთავარია, აყალიბებს და ზრდის სათანადო ემოციებსა და მოტივაციას.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, სამხედრო სწავლების მეთოდიკაში ფართოდ არის გამოყენებული ე.წ. იძულების მენეჯმენტის (დარწმუნება, შთაგონება, იძულება, ძალადობა, შიში, დასჯა, წახალისება და სხვა) სათანადოდ გამოყენება. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, ჰ. ლასუელიც მართვის მეთოდებს შორის ასახელებდა აღნიშნულ მეთოდსაც. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ამ მეთოდს მოაქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. მთავარია, აღმზრდელის პროფესიონალიზმი, თუ სად და როგორ გამოიყენებს იგი ამ მეთოდს.

სამხედრო სწავლების პროცესში ასევე აუცილებელია, აუდიტორიაზე დაკვირვებით, აღსაზრდელის რეაქციის კონტროლი, სახელდობრ: მიმიკით (სახეზე მოწონების, ყურადღების, თანაგრძნობის ან პირიქით, დაეჭვების, უარყოფის გამოხატვა). ქესტით (აზრისადმი თანხმობის ან დაუთანხმებლობის გამომხატველი ხელების მოძრაობით, აპლოდისმენტებით). შეძახილით (მოწონების, უარყოფის, დაეჭვების). აღსაზრდელთა რეაქცია შეიძლება გამოვლინდეს, აგრეთვე საერთო სიცილში, ლექციის დროს „კერძო საუბრებში“, გულგრილობასა და ინერტულობაში, ჩათვლემასა და სხვა ამგვარ ქცევებში. უარყოფითი მოტივაციის გაქარწყლებისა და აუდიტორიასთან სათანადო კონტროლის შესანარჩუნებლად აუცილებელია ყველა ამ მოვლენაზე დროული რეაგირება.

როდესაც საუბარია სამხედრო სწავლების მეთოდების როლზე მოტივაციის ჩამოყალიბებაში, არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ აღსაზრდელის მოტივაციის განხილვაზე, არამედ, მნიშვნელოვანია უფრო სიღრმისეულად შევხვით აღმზრდელის მოტივაციის საკითხსაც. რადგან აღსაზრდელის სწავლების დონე და მისი მოტივაცია პირდაპირ კავშირშია აღმზრდელის ცოდნის დონესთან, მისი სწავლების მეთოდთან და, რაც მთავარია, სწავლების პროცესში მისი მოტივაციის დონესთან. რაიმე შინაარსის გადმოცემა საინტერესო რომ იყოს, აღმზრდელი თვითონ უნდა იყოს მოტივირებული და დაინტერესებული.

როგორც ვიცით, სწავლების პროცესში მონაწილეობას ძირითადად იღებს ორი მხარე: აღმზრდელი და აღსაზრდელი. შესაბამისად, ამ ორი მხარის ერთობლივი მუშაობით მიიღება საბოლოო შედეგი: წარმატება ან წარუმატებლობა. რაც უფრო მეტად არის დამოკიდებული აღმზრდელის უნარსა და მისი მოტივაციის დონეზე.

საქართველოს პირობებში, სამხედრო სასწავლო პროცესში, აღმზრდელის ცოდნისა და გადმოცემის ხარისხზე უფრო მნიშვნელოვანია მისი მოტივაციის დონე. რადგან გამოცდილებამ აჩვენა, რომ ცოდნის დაბალი ხარისხისა და მაღალი მოტივაციის აღმზრდელს სწავლის სფეროში უკეთესი შედეგი მოაქვს, ვიდრე ცოდნის მაღალი ხარისხისა და დაბალი მოტივაციის მქონე აღმზრდელს. აღმზრდელს უნდა შეეძლოს ენთუზიაზმის, ოპტიმიზმის, დადებითი აურისა და არა სევდისა ან ბრაზიანობის დემონსტრირება.

როგორც აღვნიშნეთ, მოტივაცია ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს. კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე იგი წარმოადგენს ნებისმიერი პიროვნების ქმედებათა ან უმოქმედობის მიზეზს. მოტივაციის სახე და მისი ბუნება ავლენს ადამიანის ხასიათსა და მის ცხოვრების სტილს, რაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორც: რელიგია, ადათ-წესები, ადგილობრივი ტრადიციები, ქვეყნის ისტორია და სხვა.

სამხედრო-საგანმანათლებლო სისტემა, როგორც ეროვნული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, მიზნად უნდა ისახავდეს სამხედრო მოსამსახურის ისეთი მიმართულებით

აღზრდასა და გაწვრთნას, რომ იგი მზად იყოს, პირნათლად და ღირსეულად ემსახუროს თავის ერსა და ქვეყანას. სამხედრო სწავლების მეთოდოლოგია ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გაწერილი, რომ მან შეძლოს ნებისმიერი სამხედრო პირის, ნებისმიერი სასწავლო სფეროთი დაინტერესება და მოტივირება. ამისათვის აუცილებელია როგორც აღსაზრდელის, ასევე აღმზრდელის მოტივაცია, ამასთან ერთად, სასწავლო მეთოდოლოგიის სწორად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება. ამავდროულად, აღსაზრდელებს ბავშვობიდანვე უნდა ჰქონდეთ გამომუშავებული ასეთი საკითხებისადმი ინტერესი და მოტივაცია, რაშიც მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახი და ეკლესია, რაც ცალკე განხილვის საკითხია.

ლიტერატურა:

1. სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები საქართველოს სამხედრო-საგანმანათლებლო სფეროში. საქართველოს გაერთიანებული შტაბი, თბილისი, 2010.
2. Ryan & Deci, British Journal of Educational Psychology. The British Psychological Society. 2010.
3. Emily R. Lai, Motivation: A Literature Review. April, 2011.
4. Heinz Heckhausen, Motivation und Handeln, Lehrbuch der Motivations psychologie. Berlin, 1980
5. М. А. Невская, Риторика, шпаргалка. "Эксмо", 2008.

Otar Dolidze

Sokhumi State University

MILITARY TEACHING METHODS IN DEVELOPING MOTIVATION RESUME

Motivation, as a source of human behavior, affects his or her life. According to human history, it is a reason of any person act or omission.

As one of the crucial parts of the National Educational System, Georgian Armed Forces Institution's significant keystone is to educate and train officers, sergeants and privates to strengthen our country's defense, integrity and prosperity. This mostly depends not only on military programs and plans, but also the instructors' and the students' level of motivation and their way of approaching to the study.

Principally two factors are involved in studies: an instructor and a student. Accordingly, from their collaborative work derives the final outcome: success or failure. This result is more dependent on the instructor's skills and his motivation level. Despite the military teaching methodology, the instructor should be able to demonstrate enthusiasm, optimism, and a positive aura, instead of sadness and antagonism.

Meanwhile, the basic teaching and training techniques used in the military teaching methodology must be formed and assigned properly, so that any military person should be interested and motivated in any learning objects.

ელენე ზურაბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლა-აღზრდის მეთოდები აკაკი წერეთლის პერიოდში („ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით)

ცნობილია, რომ ლიტერატურული ნაწარმოები ერთადერთი წყაროა ისტორიული ფაქტის დასადგენად. ამ თვალსაზრისით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ავტობიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებს. ამ ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოების პედაგოგიური ღირებულება იზრდება მაშინ, თუ კი ავტორი ეხება როგორც ოჯახში აღზრდის, ისე სკოლაში სწავლასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მომენტებს. უკვე ზრდასრული, ჩამოყალიბებული პიროვნება ახდენს განვლილი ცხოვრების შეფასებას და

ეს ისეთი მოღვაწისაგან, როგორც აკაკი იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით გ. თავზიშვილი წერდა: „...თავისი დროის ევროპული პედაგოგიური განათლების სიმალეზე იდგა. ის იბრძოდა პედაგოგიკის ახალი იდეებისათვის, ახალი სკოლისა და აღზრდა-განათლების ახალი თეორიისა და პრაქტიკის დამკვიდრებისათვის.“ [1]

აკაკი წერეთლის „ჩემ თავგადასავალში“ საინტერესოა ასახული როგორც ხალხური სწავლა-აღზრდის, ასევე საგიმნაზიო განათლების ფაქტები: ბავშვის გაზრდა-გამოძავების, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის, აღზრდისას ფიზიკური სასჯელის გამოყენების, წერა-კითხვის, ანგარიშის, უცხოური ენების და სხვა სწავლების მეთოდ-საშუალებების დახასიათება.

აკაკის შეხედულება აღზრდის სისტემის შესახებ შეპირობებულია ხალხური აღზრდის პროცესზე, რომელიც პრაქტიკულ მიზანშეწონილობას ემყარება და ის პრინციპები გააჩნია, რომელიც აუცილებელია ადამიანთა ფიზიკური არსებობის, გადარჩენის, საზოგადოებრივი მორალის დანერგვისათვის.

პირველი და უმთავრესი, რაზედაც აკაკი თავის „ჩემ თავგადასავალში“ მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს, არის აღზრდის ხალხური წესის მიერ შექმნილი და არაერთგზის გამოცდილი ე.წ. „ძიძაობის“ ინსტიტუტი, რომელიც ბევრი ასპექტითაა საინტერესო. მართალია: „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“, მაგრამ მხოლოდ ამიტომ არ აზარებდნენ დიდგვაროვანნი საკუთარ შვილებს აზნაურებსა და გლეხებს აღსაზრდელად. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ ჩვილი ფეხისა და ენის ადგმისთანავე ზნეობრივად სუფთა, ეკონომიკურად მომჭირნე და, რაც მთავარია, შრომით გარემოში უნდა მოხვედრილიყო. ამის მიზანი კი ის იყო, რომ „სუფთა დაფაზე“, როგორც მაშინ ბავშვის ცნობიერებას წარმოსახავდნენ, თავიდანვე სწორი ღირებულებითი ორიენტირები აღბეჭდილიყო.

აკაკი მნიშვნელოვან ასპექტებზე მიუთითებს, ესაა გამძიძვის გზით დაახლოვების, დანათესავების დამყარების უზრუნველყოფა. იგი წერს: „ძიძობა და ყმაწვილის სოფელში გაზრდა ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აზარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები - აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს. უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდნენ. ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგული ყოფილიყვნენ და შვილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ!...აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო. ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელმირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მცირე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა. არა თუ ძიძისშვილები და მათი ახლო მონათესავეები, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედევანთ გაზრდილის გულისათვის, და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრულ ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაზრდაც. და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!... არ შემეძლია, არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაზრდილი და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.“ [2]

გლეხის ოჯახი, ტრადიციულად, შრომის კულტზე დაფუძნებული ეკონომიკური ერთეულია. სწორედ გლეხის ოჯახი გახდა პოეტის დიდი მასწავლებელი. პატარა აკაკი ხედავდა, რომ მათ საქმე არასოდეს ელეოდათ. კაცები დილაადრიანად ყანაში ან ტყეში მიდიოდნენ სამუშაოდ. ქალები საქონელსა და ფრინველებს უვლიდნენ, სახლს ალაგებდნენ, სადილს ამზადებდნენ და სხვ. ამიტომ ხუთი-ექვსი წლის აკაკიმ უკვე კარგად იცოდა პირუტყვისა და ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მომზადება, პურის გამოცხობა. იცოდა, თუ როდის და როგორ უნდა დაეთესა, დაეთოხნა და მოემკა. გლეხის ოჯახში აღზრდად უდიდესი როლი ითამაშა მისი ხასიათისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

აკაკიმ კარგად იცის, რომ ბავშვის სრულყოფილი აღზრდისათვის მხოლოდ ოჯახი და სკოლა არ კმარა. მას მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს გარემოსთან, ბუნებასთან. ბავშვი ზოგჯერ უნებლიედ აკვირდება მის გარშემო მომხდარ ცვლილებებს, ეცნობა მოვლენათა გამომწვევ მიზეზებს და ხდება ბუნების ნამდვილი შვილი. აკაკის გამოაქვს ასეთი დასკვნა: „ყმაწვილი, რომელიც - კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია... სოფელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვადასხვაფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება, ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, - ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისებიანება მათ.“ [3]

აკაკის აზრით, ბუნება თავისი მრავალსახოვნებით დადებითად მოქმედებს ბავშვის ხასიათზე. აყალიბებს მას დამოუკიდებელ, მოსიყვარულე, კეთილ, ემოციურ, მგრძობიარე, დაკვირვებულ, დაუზარელ, შრომისმოყვარე, ფიზიკურად ძლიერ და თავისუფალ პიროვნებად.

ნათელია, აქ საქმე გვაქვს ფიზიკური აღზრდის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებთან, მაგრამ მათი ერთიანობა გარკვეული სისტემის არსებობაზე მიუთითებს. ამის მაგალითად გამოდგება აკაკის მიერ

ფიზიკურ აღზრდასთან შრომითი ჩვევების გამომუშავება. „აკაკი წერდა, - დედაჩემი სულ იმას ჰფიქრობდა, რომ ჩვენ უსაქმოდ არც ერთ წამს არ დავრჩენილიყავით... სულ ფეხშიშველა და თავშიშველა დავრბოდით მინდორში, არც გაცივების გვემინოდა და არც შიმშილის. „კაცი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშვობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყველაფერი აიტანოს - იტყოდან ხოლმე დედაჩემი“. [4]

ნაწარმოებში ნათლად ჩანს, რომ ფიზიკური და შრომითი წვრთნის გვერდით, სათანადო ყურადღება ექცეოდა ბავშვის გონებრივ-შემეცნებით აღზრდა-განვითარებას. ამ საქმეში ერთგვარი საყრდენის როლს ზღაპრებისა და ლოცვების შესწავლა ასრულებდა.

პირველადი განათლება აკაკიმ მთლიანად ოჯახში მიიღო, ამიტომ „ბეჭხე“ წერის ტრადიცია, რომელსაც იგი იხსენებს, იმ დროს მხოლოდ ხალხში იყო შემორჩენილი, სახელმწიფო სკოლებში აღარ იხმარებოდა. აკაკი თავის მოგონებებში თანმიმდევრულად და საკმაოდ სიზუსტით აცოცხლებს იმდროინდელი გიმნაზიის ტიპურ და ერთფეროვან სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს. მან ხომ გიმნაზიის დაწყებით კლასებშივე საკუთარი თვალთ ნახა და შეიგრძნო იქ არსებული მკაცრი წესები, უსულგულო დამოკიდებულება მოსწავლეთა მიმართ.

ბავშვები ანბანს სწავლობდნენ კედელზე ჩამოკიდებული ფურცლებიდან, რომლებზეც აღნიშნული იყო ასოები და მათგან შედგენილი ამოსაღები სიტყვები. როცა მოსწავლე ყველა ფურცელს ჩამოუვლიდა, მას უფლება ჰქონდა სკამზე დამჯდარიყო. ამოსაღებში დახელოვნებას დიდი დრო სჭირდებოდა, დაახლოებით წელიწადზე მეტი. ბავშვები ტექსტებს იმეორებდნენ დაუსრულებლად, იზეპირებდნენ, აზრი კი ვერ გამოჰქონდათ. ეს მეთოდი ტანჯავდათ და აღიზიანებდათ მათ. ხშირად მასწავლებელი ცემა-ტყეპით და ლანძღვა-გინებითაც უმასპინძლებოდა თავის აღსაზრდელებს. ამიტომაც იყო, რომ აკაკი გიმნაზიის ცხოვრებამ ვერ დააინტერესა და ერთი კვირის შემდეგ შინ გაიქცა. იგი სამართლიანად მიიჩნევდა ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობის წინაპირობად იმდროინდელი აღზრდის სისტემის პრინციპულ შეცვლას, რომელიც წარმოადგენდა გონების დახშობისა და დაჩლუნგვის წყაროს. ამის შესახებ პოეტი აღნიშნავდა: „ისე მონდომებით ვსწავლობდი და იმ შრომასთან და ცოტა ნიჭთანაც, რომ უკეთესი პატრონობა მქონოდა და უფრო სწორე გზაზე ვმდგარიყავ, კარგი რამ გამოვიდოდი, მარამ სამწუხარო ის იყო, რომ იმ დროს პედაგოგია მეტად დაბალ ხარისხზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით სწვრთიდნენ და არა ადამიანის შვილებად.“ [5]

გიმნაზიაში რუსულ ენას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და სასწავლებელში მშობლიურ ენაზე საუბარი კი სასტიკად იდევნებოდა. ვინც ამ წესს დაარღვევდა, ისჯებოდა. „იმ დროს, - წერდა აკაკი, - შემოდებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს - სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადვე, ე.ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოდ... ამ ჩვეულებას დიდი გამრყენელი ხასიათი ჰქონდა. ყმაწვილები ცდილობდნენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდნენ.“ [6] ეს წესი თვით მოხელე-მასწავლებლებისაგან იყო მოგონილი და დანერგული. აკაკი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ შეაჩერეს მას „მარკა“ და „ლინეიკის“ დარტყმაზე მან უარი განაცხადა. კონფლიქტში დირექტორიც ჩაერია. მან საქმე შეისწავლა და ცემა-ტყეპის მოსპობა უბრძანა. დირექტორის ბრძანება ნაწილობრივ შეასრულეს და ბავშვების ფიზიკური დასჯა მაინც გაგრძელდა: „უმისობა მაინც არ ეხერხებოდათ... იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფია. გიმნაზიაშიც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. „როტაშო“ არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითეულ კლასში... მოსწავლის გალახვა ყველას შეემლო დირექტორიდან დაწყებული „სტოროჟამდე“. მიზეზს არავინ ჰკითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულებული, რამდენი დამახინჯებული და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ.“ [7]

ნაწარმოების მიხედვით ვრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი ზიანი მოაქვს დასჯის შიშზე აგებულ აღზრდის პროცესს. იგი მოზარდში აყალიბებს მონურ ფსიქოლოგიას და, რაც მთავარია, სრულიად გამორიცხავს განმავითარებელ ეფექტს, რადგან უმეტეს შემთხვევაში უკურეაქციას იძლევა და მოზარდებს სწავლა-განათლებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას უმუშავებს.

როგორც ირკვევა, აკაკი და მისი თანაკლასელები რაღაც წიგნების წაკითხვას მაინც ახერხებდნენ, მაგრამ დიდი შიშისა და განსაცდელის ფასად.

საგულისხმოა „ჩემ თავგადასავალში“ მოთხრობილი ერთი შემთხვევა. გიმნაზიის მეოთხე კლასში რუსული ენის მასწავლებლის პანიზოვსკისათვის ერთ მოსწავლეს რიტორიკის სახელმძღვანელოს შესახებ უკითხავს: „რაც აქ არ არის მოყვანილი, ამ წიგნში, მის მეტი პუშკინს არა დაუწერია. რა? - „ეგ რა შენი საქმეა?“ - უთქვამს მასწავლებელს. - „პუშკინი რა უკეთესი მწერალია თუ გერცენიო?“ [8]

აკაკის მიერ გასული საუკუნის სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემის შესახებ „ჩემ თავგადასავალში“ მოწოდებული ცნობებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომელსაც თავის დროზე ყურადღება მიაქცია პროფ. გ. თავზიშვილმა. მე-19 საუკუნის 50-იან წლების ქუთაისში მეტად გავრცელებული ყოფილა უფროსი მოწაფეების მასწავლებლის თანაშემწეებად, უმცროს მოწაფეთა ჯგუფების ხელმძღვანელებად გამოყენება. პედაგოგიკის ისტორიაში ამგვარი სწავლების მეთოდი თუ ფორმა ბელ-ლანკასტერის სისტემის სახელითაა ცნობილი.

ამ სისტემის მიხედვით, გარკვეული კლასის რაოდენობა 4-5 წევრიან ჯგუფებად იყო დაყოფილი. თითოეულ ჯგუფს კლასის მასწავლებელი (ზედამხედველი) მაღალი კლასების, ან იმავე კლასის წარჩინებულ მოსწავლეთაგან უნიშნავდა ხელმძღვანელებს. ესენი იყვნენ მასწავლებლის თანაშემწენი, ანუ მონიტორები. მათი მოვალეობა იყო დახმარებოდნენ თავიანთ ჯგუფელებს გაკვეთილის სწავლაში, შეემოწმებინათ განვლილი მასალის ცოდნა და სათანადოდ შეეფასებინათ კიდევ მოწაფეები. თანაშემწეები გაკვეთილის დაწყებისას ამ ნიშნებს წარუდგენდნენ ხოლმე მასწავლებლებს. ამის შემდეგ მასწავლებელი იმახებდა მოსწავლეებს და ერთდროულად ამოწმებდა, როგორც მათ, ასევე მონიტორის ცოდნა-მომზადების დონესა და კეთილსინდისიერებას. მონიტორთაგან ერთ-ერთს შემოწმებელთა შემოწმება ევალებოდა, სწორედ ამის შესახებ იგონებს აკაკი: იმ უფროსებისათვის (მონიტორებისათვის) მე უნდა გამომეკითხა და ნიშანიც დამესვაო. ამისთანავე ზოგიერთი მათი შეგირდიც უნდა შემემოწმებინა და ეს ნიშნები მასწავლებლისათვის მიმერთმიაო.

ბელ-ლანკასტერის აღნიშნული სისტემა, როგორც ირკვევა, ქუთაისის გიმნაზიაში ფართოდ დაუნერგავს აკაკის ერთ-ერთ მასწავლებელს, ტროეს. გ. თავზიშვილი მიიჩნევს, რომ ურთიერთსწავლების მონიტარული ფორმის დანერგვა ჩვენში, და როგორც ჩანს, სხვაგანაც, მასწავლებელთა კადრების სიმცირითაც იყო გამოწვეული. აღნიშნულ პირობებში ერთი პედაგოგი მეტ კლასთან ასწრებდა მუშაობას. ეს კი გაცილებით იაფი უჯდებოდა მეფის ხელისუფლებას და ხელსაყრელი იყო მისთვის.

„ჩემი თავგადასავალი“ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის გიმნაზიის ბოლო საფეხურზე მოწაფეთა სწავლებისა და სამომავლო პროფესიული ორიენტირების გამომუშავების საკითხებზეც, მაგალითად, აკაკის გიმნაზიიდან გამოსვლასა და რუსეთში გამგზავრებაზე.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვადლევს დავასკვნათ შემდეგი: აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ არის ეპოქის ჭეშმარიტი ისტორიულ-პედაგოგიური დოკუმენტი, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულითაა წარმოჩენილი სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნაწარმოები ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის აღზრდის ხალხური წესების, „ძიძაობის“, ხალხური თამაშობების, ფიზიკური, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის საუკეთესო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების, შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების აღზრდის წეს-თავისებურებათა შესახებ. „ჩემი თავგადასავლის“ გაცნობა და სხვა პარალელურ მასალებთან მისი შეპირისპირება ნათელს ხდის, რომ აკაკი არის არა მარტო მწერალი, არამედ დაკვირვებული მკვლევარი. მას კარგად ესმის სწავლა-აღზრდის კანონზომიერებანი. იგი გულწრფელი მრჩეველია და გამოცდილი დამრიგებელი, დაკვირვებით აღწერს და ამით ააშკარავებს კიდევ იმ ნაკლოვანებებს, რაც მაშინდელ სკოლას ჰქონდა. დაკვირვებულ მკვლევარ-პედაგოგს დღესაც ბევრი საინტერესოს დანახვა შეუძლია „ჩემი თავგადასავლის“ ფურცლებზე. ამ თვალსაზრისით ყველაზე მთავარი მაინც ბავშვისადმი ჰუმანური დამოკიდებულებაა, რომელსაც მისდევს, ქადაგებს და ამკვიდრებს ერის დიდი განმანათლებელი და მოჭირნახულე აკაკი წერეთელი.

ლიტერატურა:

1. თავზიშვილი გ., აკ. წერეთელი და სახალხო განათლება, თბ., 1940, გვ. 158.
2. წერეთელი აკ., რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1930, გვ. 6.
3. იქვე, გვ. 8.
4. იქვე, გვ. 35.
5. იქვე, გვ. 52.
6. იქვე, გვ. 44.
7. იქვე, გვ. 47.
8. იქვე, გვ. 56.

Elene Zurabashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
METHODS OF EDUCATING AND UPBRINGING IN THE PERIOD OF AKAKI TSERETELI
(BASED ON “MY ADVENTURE”)
RESUME

Pedagogical value of the literary piece of autobiographic genre increases significantly if the author describes significant points of upbringing in the family and education at school.

“My Adventure” by Akaki Tsereteli offers interesting description of both, folk teaching and upbringing and gymnasium education, widespread facts of that period, including child’s apprenticing, physical and moral upbringing, application of physical punishment and other methods and means of teaching.

The writer compares his views about education system with the folk upbringing process relying on the practical reasonability and follows the principles necessary for physical existence, survival, fostering of public moral.

Akaki is not only a writer; he is a very careful researcher. In this respect, the most important is human treatment and the great educator and supporter, Akaki Tsereteli advocates and fosters this approach.

თინათინ იოსებიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ინტეგრირებული გაკვეთილი, როგორც ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება
ბიოლოგიის სწავლებაში**

ბუნებისმეტყველების სწავლებაში ინტეგრირებული გაკვეთილი, უფრო და უფრო აქტუალური ხდება. Integration- ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ნაწილების შეერთებას, ანუ ინტეგრირებული სწავლება გულისხმობს სხვადასხვა საგნის შესასწავლი თემების ერთმანეთთან დაკავშირებას და ერთ მთლიან თემად წარმოდგენას.

ინტეგრაციას სწავლების სხვადასხვა საფეხურზე თავისებურებები გააჩნია. სწავლების დაწყებით საფეხურზე, როდესაც ბავშვი პირველ ნაბიჯებს დგამს, ინტეგრირებული გაკვეთილი მას ეხმარება სამყარო აღიქვას როგორც ერთიანი, მთლიანი, რომელშიც ყველა ელემენტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ზოგადად, ინტეგრირებული გაკვეთილი კარგი საშუალებაა: ერთი სასწავლო საგნის თემის მეორესთან დაკავშირების, ცოდნის გამთლიანების, შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანის, მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლების, ბავშვის ინტელექტუალური განვითარების, ესთეტიკური აღზრდის და სხვა.

ინტეგრირებულ სწავლებას შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ფუნქციები: მეთოდოლოგიური, განმავითარებელი, აღზრდებობითი, საგანმანათლებლო. მისი დაგეგმვა შესაძლებელია ისეთ დისციპლინებთან, როგორცაა - ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, მშობლიური ლიტერატურა, ასევე შესაძლებელია „კონტრასტ“ საგნებთანაც - მუსიკა, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და სხვა. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერებას და ხელოვნებას თითქმის თანაბარი წვლილი მიუძღვის ადამიანის გარე სამყაროს აღქმაში. მათი მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებით ვითარდებოდა ადამიანის კულტურაც, რაც ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ ბიოლოგიის გაკვეთილებზე.

ინტერაქტიული გაკვეთილი ხელს უწყობს ახალი, არასტანდარტული ფორმების და მეთოდების ძიებას სწავლებაში. იგი ასევე კარგი საშუალებაა ბიოლოგიის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის, სადაც მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს სილამაზის, ემოციურის აღქმის უნარი.

ძველ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, ბავშვის ესთეტიკური აღზრდა დაბადებისთანავე იწყებოდა. ფეხმძიმე ქალებს ლამაზ გარემოს უწყობდნენ. მათი აზრით, ხელოვნებით დედის დატკბობა მემკვიდრულად შთამომავლობაზე გადადიოდა.

დღეისათვის, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმე სკოლას აქვს დაკისრებული. მას ემსახურება, როგორც სასკოლო, კლასგარეშე მუშაობა, ასევე სხვადასხვა სასკოლო დისციპლინა, მათ შორის ბიოლოგიაც.

ბიოლოგიის სწავლება უშუალოდაა დაკავშირებული ბუნების სილამაზის აღქმასთან, რასაც უდიდესი აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ესთეტიკური გრძნობების აღქმა კი ძირითადად ხორციელდება ბუნებაში ექსკურსიების დროს (ასეთი ექსკურსიის დროს აუცილებლად ხდება ლანდშაფტის სილამაზის, ბუნების ცალკეული ობიექტების, ცალკეული მცენარის აღქმა, რადგან ესთეტიკის ერთ-ერთი ამოცანაა შეამჩნიოს, შეიცნოს, შექმნას მშვენიერი), საშინაო და საზაფხულო დავალების შესრულებისას, ცოცხალი ბუნების კუთხეში, სასწავლო საცდელ ნაკვეთებზე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ხასიათის სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების საშუალებით (ბიოლოგიური გამოფენებისა და საღამოების მოწყობა, მხატვრული ნაწარმოებების კითხვა და სხვა).

დღეს, კომპიუტერის საუკუნეში, ლამაზი გარემოს შექმნა მოსწავლეებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. კომპიუტერზე „მიჯაჭვული“ ბავშვების დიდი ნაწილი ბუნებაში გასვლაზე დროს არ კარგავს. ესთეტიკური აღზრდა ლოგიკურად ეთიკურ აღზრდას უკავშირდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსწავლეები პიკნიკის დროს არა თუ ესთეტიკურ (შეიმჩნიონ, შეიმეცნონ), არამედ ეთიკურ ნორმებსაც (არ დააბინძურონ და გაუფრთხილდნენ ბუნებას) კი ვერ იცავენ. ბიოლოგიის მასწავლებელმა ესთეტიკური აღზრდა ისე უნდა წარმართოს, რომ მოსწავლე არა მარტო ამჩნევდეს ლამაზს, არამედ თვითონაც თავისი შრომითი მონაწილეობით ქმნიდეს და ზრუნავდეს მასზე.

ესთეტიკური აღზრდისთვის, როგორც აღვნიშნეთ, გამოიყენება მუსიკა, მხატვრული ტილოების რეპროდუქციები ბუნების პეიზაჟებით, მაგრამ საყურადღებოა ის, რომ ესთეტიკურ აღზრდა არ იქნება შედეგიანი, თუ მთელი ყურადღება მხოლოდ ბუნების ლამაზი ობიექტებით ტკბობაზე იქნება გადატანილი, მთავარია მოსწავლემ მისი შემეცნება შეძლოს. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი თავისუფლადაა შესაძლებელი ინტეგრირებული გაკვეთილის მეშვეობით.

ნაშრომში სამაგალითოდ განხილულია ბიოლოგიისა და ხელოვნების ინტეგრირებული გაკვეთილი მეცხრე კლასში (რომელსაც მასწავლებელი წინასწარ გეგმავს). ბიოლოგიის საგაკვეთილო თემაა - მცენარეთა ადგილობრივი უნიკალური ჯიშები (ვაზის კულტურა), ხელოვნების კი - ჰოლანდიელი პოსტიმპრესიონისტი მხატვრის ვან გოგის ნახატის „წითელი ვენახი არლში“ განხილვა.

თემის მიზანია მოსწავლეებს გავაცნოთ ვაზის კულტურა, ისტორია, გავრცელება, ბიოლოგია, განვითარების ფაზები, ჯიშები, კლასიფიკაცია, სამეურნეო მნიშვნელობა, აგრეთვე ხელოვნების ნიმუშების აღქმის, ანალიზის უნარის ჩამოყალიბება და ამ ნიადაგზე მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვიძება ხელოვნებისადმი, ვან გოგის შედეგის „წითელი ვენახი არლში“ განხილვა და მისი დაკავშირება ვაზის კულტურასთან, როგორც გაკვეთილის თემასთან, მსოფლიო კულტურულ ფასეულებებთან ზიარება, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება. გაკვეთილი შეიძლება ჩაატაროს დამოუკიდებლად, როგორც ბიოლოგიის მასწავლებელმა (თუ იგი ერკვევა ხელოვნებაში), ასევე კომბინირებულად, ხელოვნების მასწავლებლის დახმარებითაც.

ხელოვნების მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ პოსტიმპრესიონიზმი მხატვრული მიმდინარეობაა, რომელიც XIX ს-ის II ნახევარში წარმოიშვა ფრანგულ ფერწერაში, მისთვის დამახასიათებელია სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული ხელოვანის წუთიერი შთაბეჭდილებების, სულიერი განწყობილების გადმოცემა; პოსტიმპრესიონისტმა მხატვრებმა - პოლ სეზანმა, პოლ გოგენმა, ვინსენტ ვან გოგმა, ანრი ტულუზ ლოტრემმა - საკუთარი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში.

ბიოლოგიის მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ვაზი, უძველესი კულტურაა მსოფლიოში, ხოლო საქართველო ითვლება კულტურული ვაზის წარმოშობის ერთ-ერთ პირველ ცენტრად. ვაზი ფიგურირებს საქართველოს გაქრისტიანების ლეგენდაშიც. წმინდა ნინომ ვაზისაგან შეკრული ჯვრით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. საქართველოში ვაზი მუდამ წმინდა ღვთაებრივ მცენარედ იყო მიჩნეული. ვაზის ჯიშები ერთმანეთისგან განირჩევიან მტევნის, მარცვლის მოყვანილობით და სიდიდით, ფერით, კანის თვისებით. საქართველოში ვაზის ნაყოფის - ყურძნის დაკრეფას - რთველს უწოდებენ, ძველად კი მას სთველი ერქვა. ოქტომბერს ძველად სთველის თვე ეწოდებოდა (რადგან ყურძენი ოქტომბერში იკრიფებოდა), თუმცა მას ღვინობის თვესაც ეძახიან. ვან გოგის ნახატიც სწორედ ოქტომბრის რთველს ასახავს საფრანგეთში.

მასწავლებელი სლაიდების საშუალებით აცნობს კლასს ვაზის ქართულ ჯიშებს; ვან გოგის სურათს „წითელი ვენახი არლში“ და მოკლედ აცნობს სურათის შექმნის ისტორიას. 1888 წელს სახლში მიმავალმა ვან გოგმა თვალი მოკრა ჩამავალი მზის სხივებით განათებულ ვენახს, პეიზაჟით მონუსხულმა ვან გოგმა დაიწყო იმ წამის დაფიქსირება, რომელმაც მხატვარი ასე მოაჯადოვა. სწორედ ასე გაჩნდა ნახატი „წითელი ვენახი არლში“.

ნახატზე რთველია ასახული. არღში მცხოვრები მევენახეები კრეფენ მწიფე, მზისგან დამკრახულ წითელ ყურძენს. მოსავლის აღება ოქტომბრის ერთ მზიან დღეს ხდება. დამწიფებულმა ყურძენმა და აალებულმა ვაზმა ვან გოგს თვალი მოჭრა. ნახატის ცენტრალურ ნაწილში ვაზის გარშემო მოფუსფუსე, გამრჯე, ალბათ ყოფითი პრობლემებით, ყოველდღიური შრომით დაღლილი ყურძენს მკრეფავი ადამიანები ჩანან. თითოეული მათგანი ისეა შრომაში ჩაფლული, რომ ერთმანეთთან საკონტაქტოდ თითქმის არ სცალიათ. მათ უკან ხეები მოჩანს. შემოდგომას კი „კუდი მოუქნევია“. ნახატი თითქმის იწვის სიციხით. გადახურებული ჰაერი მათ სახეებს კიდევ უფრო მუქ ტონალობას სძენს. ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს მათთან ერთად ჩაბმული ხარ შრომის ფერხულში, იწვი სიციხისგან და გინდა სამუშაოს სწრაფად დამთავრება.

უბრალო ადამიანებისადმი თანაგრძნობით განმსჭვალულ, მუქ ტონებში შესრულებულ სურათს ლაიტმოტივად ყვითელი ფერი გასდევს. ვან გოგისთვის ყვითელი ფერი ხომ ცხოვრების, სიხარულის, სიცოცხლისუნარიანობის, თავისუფლების სიმბოლოა. მხატვრის მიერ გამოყენებულმა ფერებმა შექმნა ფერთა ისეთი გასაოცარი გამა, რომლისგანაც ნახატზე სინათლე და სიცოცხლე გამოსჭვივის. მზისგან გამოფრქვეული ყვითელი და მწვანე სხივები ვაზის ფოთლებს აალებენ. მიწა კი მოლურჯო-მოშავოდ მოჩანს. თბილი, ცხელი, თითქოს ცივი ლურჯი, ცისფერი და მუქი მწვანე ფერები გასაოცარ ჰარმონიას სძენს ნახატს. კომპოზიციის წინა ნაწილში, სადაც მწველი მზის სხივებისგან ვაზები თითქოს აალებულა, ალაგ-ალაგ მოტიტვლებული მიწის პატარა მონაკვეთები, ნახევრად გაციებულ კოცონში დარჩენილ მბჟუტავ ნაკვერჩხალს მოგვაგონებს. ჩანელბულ კოცონში კი ცეცხლის ენები თითქოს ჩამალულან, გაყურებულან, ქარის პატარა შემობერვას ან მზის სხივების უფრო ძლიერ მცხუნვარებას ელოდებიან და კვლავ აალებას ლამობენ.

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე სურათის ფონზე. სადაც მოჩანს ამაყად მდგარი ხეები ტოტებით ცას რომ ებჯინებიან და შემოდგომის ფოთოლცვენა ჯერ არ შეხებიათ. ისინი თითქოს რიგში ჩამდგარან, გაურბიან დამკრახულ ლალისფერ ვენახს და გაყვითლებულ მინდორთან ერთად შორს, ჰორიზონტისაკენ მიექანებიან. ალბათ შიში აქვთ, შიში მევენახისგან ნაყოფგამარცვული, ვაზის დანახვისა და შემოდგომისაც, რომელსაც შეუძლია ხეთა ჯერ კიდევ მწვანე ფოთლები რამოდენიმე დღეში ყვითელ მოფარფატე ფიფქებივით თავზე დააყაროს ისედაც გაწითლებულ, ფოთლებ შემომხმარ ვენახს და გადაყვითლებულ მინდორს. ნიადაგი კი მოთმინებით ელოდება ამ პროცესს - ჩამოცვნილ ფოთლებს დარაჯობს რათა, ჯერ თბილი საბანივით წამოიფაროს და შემდეგ ღრმად ჩაითრიოს ქვედა ფენებში ნეშომპალად აქციოს და ვაზს მომავალი წლისთვის საკვები მისცეს, რადგან „ყველაფერი, რაც კი ბუნებაში არსებობს, ხომ ერთი მთლიანის ნაწილია“, - ამბობდა გოეთე. ვაზებს ეს კარგად ესმით, ისინი ხომ ცოცხალი არსებები არიან, ამ ქვეყანაზე მარადიული რომ არაფერია, ესეც კარგად იციან. სცნობენ სიცოცხლის შემოქმედებით ძალას, რომელიც სამყაროს განახლებას ემსახურება. ვაზის ვეგეტაცია, მისი სიცოცხლის ფაზები, ეს ხომ სამყაროს განუწყვეტელი წრებრუნვაა - აღმოცენება, აღერება, ყვავილობა, ნაყოფ მწიფობა, მოსვენება, ენერჯის მოკრება და ისევ აღმოცენება და ა.შ. ვაზი არც მევენახეს უწყობს ნაყოფის მოცილებაზე. მისგან დაყენებული ღვინით ხომ ადამიანები კვლავ ვაზის სადღეგრძელოს სვამენ.

დიდი მხატვარი, როგორც ცნობილია, პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავდა უსულო და სულიერ მატერიას შორის და გარე სამყაროს აღიქვავდა, როგორც ცოცხალს. ვან გოგი აქ თითქოს ახლოს მოვიდა ჩვენ სულთან. ქართველი კაციც ხომ ვენახს სულიერად თვლიდა. საქართველოში თუ რომელიმე ოჯახს თავს რაიმე უბედურება დაატყდებოდა იტყოდა, სულიერიდან მხოლოდ ვენახი დაგვეღუპაო.

ბიოლოგიის მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს, რომ ყურძენის სიმწიფის ფენომენი არც გრიგოლ რობაქიძეს გამოპარვია: „ჩემი მშობლიური ქვეყნის ნებისმიერ გლეხს რომ ვკითხო, რა მოსდის ყურძენს სიმწიფეში შესვლისას, მისივე მივიღებ პასუხს: მტევანში თვალი ჩავიდაო. ხოლო თვალში მზე იგულისხმება. ნუთუ მას გოეთეს ღრმა აზრი აქვს გაგონილი? „ვისაც მზიური არა აქვს თვალი, მას მზის დანახვაც არ შეუძლია“. ცხადია, არა. მაშ საიდან უწყის ეს საიდუმლო? საიდან და ეს ცოდნა მას თავის მშობლიურ ენასთან ერთად ეძლევა, სადაც „მზეს“ და „მზერას“ ერთი და იგივე ფუძე აქვს. მაინც ვინ მიხვდა ამას? ჯერ ერთი იმას, მზე კოსმიური თვალია, რომლის სხივებშიც შიგნიდან გამოსჩანს რაღაც და მეორე: ეს თვალი რომ ჩადის მტევანში, რათა იგი სიმწიფემდე და სისავსემდე მიიყვანოს?“. ალბათ მტევანში ჩასული ეს თვალი დაინახა დიდი „მზიური თვალის“ მქონე ვან გოგმაც.

ვან გოგი, საქართველოს მეგობარი რომ ყოფილიყო, ან თუნდაც, ერთხელ მაინც მოხვედრილიყო ამ მადლიან ქვეყანაში, ალბათ უფრო მეტი შთაგონება ექნებოდა და ისეთ ხოტბას შეასხავდა კიდეც ვაზს, როგორც დავით აღმაშენებლის შვილის, დემეტრე უფლისწულის საგალობელმა „შენ ხარ ვენახი,“ იოსებ ნონეშვილის ლექსმა - „რთველი არის თუ შენი ქორწილი?“, რევაზ ლალიძის კლასიკად ქცეულმა სიმღერამ „ბალადა ვაზზე“, რეზო ჩხეიძის კინოფილმის „ჯარისკაცის მამა,“ პერსონაჟმა გიორგი მახარაშვილმა, ნიკო ფიროსმანის ნახატმა „ყურძნის კრეფა“ და სხვა.

მასწავლებელი საშინაო დავალებად აძლევს მოსწავლეებს ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ და პრეზენტაციის სახით წარმოადგინონ შემდეგი თემები:

- საფრანგეთი და ვაზის კულტურა
- ქართული და ფრანგული ვაზის ჯიშები
- ქართველი და ფრანგ მხატვრების ნამუშევრები ვაზზე,
- რთველი და მისი ტრადიციები საქართველოში და საფრანგეთში

ამრიგად, ესთეტიკური აღზრდა ბიოლოგიის გაკვეთილებზე არა მარტო ექსკურსიების, ლანდშაფტის გაცნობით და სხვა აქტივობებითაა შესაძლებელი, არამედ ბიოლოგიის და ხელოვნების ინტეგრირებული გაკვეთილის მეშვეობითაც. ასეთი ტიპის გაკვეთილი ამავე დროს ერთი სასწავლო საგნის თემის მეორესთან დაკავშირების, ასევე ცოდნის გამთლიანების, შექმნილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანის, სწავლის მოტივაციის ამაღლების, ბავშვის ინტელექტუალური განვითარების, ესთეტიკური აღზრდის, საგანმანათლებლო მასალის ემოციური აღქმის და დამახსოვრების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურა:

1. გ. ბარამიძე, მზე ოქროს ჩარჩოში, თბ., 1987.
2. ლ. ბურდილაძე, მ. ბაგალიშვილი, ქ. მაღრაძე, ბიოლოგია 9(მოსწავლის წიგნი), თბ., 2006.
3. ვ. მეგრელიძე. დ. მეგრელიძე, თ. ქიმაძე, ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1999.
4. ნ. კეცხოველი, ნ. რამიშვილი, მ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960.
5. ქსე ტ. 4, 1979.
6. გ. რობაქიძე, იგავები, 1937 (<http://www.amsi.ge/istoria/gr/ht.html>)

Tinatin Iosebidze

Gori State Teaching University

INTEGRATED LESSON AS ONE OF THE AESTHETICAL EDUCATION TOOL IN BIOLOGY TEACHING RESUME

An integrated lesson of biology and art in the 9th grade is discussed in the work, its goal is to support pupils' aesthetical education. The topic of the biology lesson – Local unique cultivars of plants (vine culture), as the topic of the art lesson, was chosen the Dutch postimpressionist artist's, Van Gogh, painting “The Red Vineyard at Arles”.

The pupils get acknowledged with vine culture, history, extension, biology, development phases, cultivars, classification, agricultural importance, discussion of the masterpiece “The Red Vineyard at Arles” by Van Gogh, its integration to vine culture, formation of perception and analysis skills of artwork, familiarization with world cultural value, desire of creation of universe unity and stimulation of interests and love towards art.

Aesthetical education at the biology lessons is achievable not only by trips, acknowledgements with landscape and other activities but also with the integrated lesson of biology and art. This kind of lesson simultaneously enables fixation of one educational subject's topic with another one, ties the knowledge, transfers of knowledge and skills from one sphere to another one, raises studying motivation, supports child's intellectual development, raises ability of memorizing instructive materials.

ПРИНЦИПЫ ОТБОРА, ВНЕДРЕНИЯ И ЗАКРЕПЛЕНИЯ ЛЕКСИЧЕСКИХ ЕДИНИЦ НА НАЧАЛЬНОМ ЭТАПЕ ОБУЧЕНИЯ РКИ

При обучении лексике РКИ на начальном этапе необходимо использовать дифференцированный подход к отбору словарного материала для повышения эффективности. Такой подход осуществляется на базе методической типологии (т.е. распределение языковых единиц по типам с точки зрения сложности их изучения), предусматривающей градацию трудностей усвоения лексики.

К трудностям усвоения лексики русского языка мы относим:

- значение любого русского слова обусловлено контекстом;
- широкая многозначность русского слова, обусловленная широким объемом слов;
- широкая сочетаемость русских слов, отсюда и их многозначность;
- краткость русского слова (примерно 70% односложных слов усваиваются хуже);
- закономерности словоупотребления;
- большое количество заимствований;
- широкое употребление сокращений.

Сущность отбора лексики, производимого в учебных целях, состоит в том, чтобы из множества лексических единиц, устойчивых словосочетаний и речевых клише, которые входят в лексический состав данного курса, выделить те, которые по своему составу и тематике соответствуют целям и условиям данного курса обучения. В то же время отобранный минимум лексики должен обеспечивать развитие речевых умений и навыков, требуемых программой, соответствовать уровню и быть посильным для данного контингента учащихся, способствовать решению образовательных и воспитательных задач.

Основная задача при отборе лексики основана на определении единиц и принципов отбора. Под принципами отбора принято понимать такие понятия, как:

- Тематический отбор. Подразумевается отбор довольно ограниченного количества специальных слов и выражений, которые особенно характерны той или иной теме;
- Семантический отбор. Отбираемые слова должны выражать наиболее важные понятия, соответствующие изучаемой тематике устной и письменной речи;
- Прогнозирование ошибок по языковой интерференции способствует отбору лексического минимума, необходимого для правильного и идиоматичного выражения мысли. При формулировке предложений ученик пытается в иноязычной речевой деятельности руководствоваться системами значений слов и словосочетаний родного языка, строить фразы по структурно - речевым образцам, свойственным родному языку;
- Принцип словообразовательной ценности - принцип способности слов образовывать новые слова с помощью префиксов, аффиксов;
- Принцип сочетаемости. Ценность лексики определяется ее способностью сочетаться с другими словами. Чем выше сочетаемость слова, тем более коммуникативно ценным оно является. Принцип стилистической неограниченности - принцип принадлежности слова нейтральному, разговорному, литературному, книжно - письменному языку. Согласно этому принципу уровень лексики повышается с классом: чем младше класс, тем нейтральнее по стилю лексика.

Следующей проблемой после отбора материала является его презентация, которая должна быть проведена оптимальным образом, т.к. от эффективности данного процесса зависит дальнейшее закрепление отобранной лексики.

Формирования лексических навыков обязательно должно иметь поэтапный характер. Этап работы над иноязычным словом обеспечивает узнавание образов слова в разных формах, их создание на основе данных признаков шаблонов, которые войдут в долговременную память учащихся и будут храниться там длительное время.

Выделим те этапы, которые обязательно нужно пройти при обучении лексике:

- 1) презентация вводимой лексики;
- 2) методические действия, обеспечивающие усвоение учащимися новой лексики;
- 3) организация повторения усвоенного материала и контроль качества усвоения.

Рассмотрим каждый из этих этапов подробнее.

Презентация новой лексики подразумевает два процесса: предъявление и интерпретацию лексической единицы. Предъявление новой единицы происходит в тесном контексте, потому что именно в предложении оно приобретает свой статус и значение. На начальном этапе обучения РКИ по причине отсутствия у учащихся широкого лексического запаса необходимо использовать самые простые способы семантизации, чтобы слова были понятны учащимся однозначно. К таким способам относятся применение наглядности, перевод, подбор антонимов, перечисление. Ближе к концу начального этапа обучения РКИ используются такие средства

семантизации, как толкование значения слова, применение синонимов, а также сильного семантизирующего контекста.

На втором этапе работы с лексическим материалом происходит организация усвоения новой лексики с помощью упражнений. Новые слова должны быть органично введены в уже существующую систему слов (тематически) конкретного учащегося, чтобы затем данные слова могли быть использованы в работе.

Занятия по лексике необходимо «освежать» языковыми играми, чтобы урок стал интереснее и продуктивнее. Можно заметить, что игры, которые используются на уроках родного языка, применимы и на занятиях по РКИ. Игры можно применять на всех этапах работы с лексикой: при семантизации новой лексики, ее усвоении, активизации уже изученной лексики, при повторении и контроле, например, для расширения запаса и повторения изученной лексики используются игры-разминки.

Многие преподаватели ошибочным образом недооценивают преимущества игры на уроке, между тем игра стимулирует деятельность учащихся, помогает лучше запоминанию новых слов, разряжает обстановку на уроке, а элемент соревнования способствует активизации пассивных учащихся.

Третий - заключительный этап, на котором происходит контроль изученного лексического материала, можно организовать с помощью таких приемов, как выполнение заданий в группах, составление ассоциогамм, решение кроссвордов, загадок и др. Контроль изученной лексики, таким образом, представляет собой обратную связь.

Для систематического контроля лексика, пройденная на прошлом уроке, должна быть проверена и оценена в начале следующего, иначе изученный материал будет забыт.

Таким образом, все этапы работы с лексическим материалом взаимосвязаны. И для того чтобы избежать забывания слов, преподавателю необходимо чередовать представленные этапы работы с лексикой, постоянно повторяя слова, используя их на занятиях и возвращаясь к ним, проводя их активизацию.

Лексика носит конкретный характер, дети запоминают названия предметов материального мира, которые их окружают и используют их в играх и повседневной жизни. Отобранная лексика и речевые образцы соответствуют интересам и потребностям детей и свойственным данному возрасту жизненно важным функциям языка: удовлетворение потребностей ребенка, реализация личностных интересов, любознательности, воображения, коммуникабельности, взаимодействие и контакты со взрослыми и другими детьми. Для успешного формирования лексических навыков у детей младшего возраста необходимо знать основные положения, опираясь на которые впоследствии определяются стратегия и тактика обучения иностранному языку.

Изучив различный материал о требованиях к отбору лексики и ее организации, можно сделать вывод, что огромную роль при введении лексических единиц играют ассоциативные связи, поэтому при ознакомлении с новой лексикой "...нужно давать не изолированные по значению слова, разбросанные в тексте, не слова в стихе, песенке, а знакомить учащегося сразу с группой слов, обозначающих какой-то кусок действительности...", а так же "... пара слов, связанных проверенной ассоциацией (враг – друг, стол – стул и т.п.), запоминается гораздо лучше, чем пара несвязанных слов, и, что очень важно, лучше, чем эти же слова, данные изолированно.

Не менее занимательными и обязательными для детей являются фонетические зарядки, которые проводятся в виде игры в звукоподражание. В игре особое внимание уделяется звукам, которые содержатся в новых словах. После ознакомления и фонетической зарядки необходим переход к действиям с этими словами. Если ознакомление с новой лексикой представляет собой более проблемную историю, то в основе тренировки лежит интересная для детей игра.

Степень освоения новой лексики у детей проверяется с помощью специальных контрольных заданий. В силу возрастных особенностей малышей прямой контроль не приемлем, т.е. ребенок не должен чувствовать, что его деятельность специально оценивается.

Основная задача при обучении – помочь детям осознать, что лексика нужна им для общения. При помощи перевода и на примерах из родного языка дети осознают важность слова (группы слов), которые нужны им для передачи того или иного коммуникативного намерения или же элементарных эмоций.

На начальном этапе особо важно заложить основы владения русским языком именно с позиции лексики, это помогает перейти от рассмотрения иностранного языка как объекта изучения к использованию его на практике как полезного инструмента. В дальнейшем у учащихся будет возможность развивать свои познания в русском языке в любом выбранном ими направлении. Таким образом, дифференцированный подход в обучении лексике наиболее оправдан, лексика постепенно проходит модернизацию в соответствии с меняющимися со временем реалиями современного мира.

Говоря об обучении лексике, необходимо рассмотреть такие ключевые понятия, как активный и пассивный словарный запас.

Активная лексика представляет собой словарный запас, которым пользуется человек в продуктивной устной и письменной речи. Пассивный словарь – лексические единицы, которые ученик воспринимает, распознает значение, слышит, встречает в тексте, но не употребляет самостоятельно. Увеличению пассивного словаря способствует так называемый потенциальный словарь, включающий слова, о значении которых учащийся может догадываться по сходству с родным языком, по контексту, по словообразовательным элементам, т.е. во многом он формируется на основе языковой догадки, с самого начала обучения.

Граница между активным и пассивным словарями не является неизменной, она подвижна. В процессе обучения или в реальной жизни переход слов из активного словаря в пассивный и наоборот представляет собой естественное явление. Само количество активных и пассивных слов от этапа к этапу меняется. К концу периода обучения пассивный словарь превышает активный в 4 - 5 раз.

Лексический минимум – это минимальное количество слов, которое необходимо, чтобы пользоваться языком как средством общения. Существуют различные лексические минимумы: минимум для начального и продвинутого этапов обучения, минимум для чтения, минимум по языку специальных сфер. Активный словарь, в свою очередь, формируется из минимумов.

На начальном этапе обучения лексический минимум составляет около 1500 слов и словосочетаний. В один час занятий по РКИ представлено от 5 до 20 лексических единиц. Количество синонимов на начальном этапе незначительно. Антонимы должны входить в минимум самых емких групп: *хороший – плохой, большой – маленький*. Многозначные слова могут входить в минимум во всех своих значениях.

В методике изучения РКИ разработаны принципы отбора, на основе которых проводится оценка лексики. Их можно разделить на три группы: статистические, методические и лингвистические принципы.

К статистическим критериям относят количественные характеристики лексики: её частотность (*частота употреблений слова в одном источнике*) и употребляемость (*частота употреблений слова в определенном количестве источников*). Установлено, что высокой частотностью в русском языке обладают местоимения, в том числе личные, притяжательные, указательные, союзы *и, а, но*, глаголы движения и т.д.

Методические принципы ориентируются на цели обучения, а так же на речевые темы, предлагаемые учебной программой. Одним из важнейших является принцип тематической ценности слова, который означает необходимость включения в обучение слов, соответствующих изучаемой тематике. Эти слова могут не иметь высокой частотности, но без них нельзя обойтись при построении высказывания.

Рассматривая лингвистические принципы, выделим :

- принцип стилистической нейтральности, который подразумевает выбор слова, не связанного с узкой сферой употребления: *сделать* (общеуп.) – *сработать* (прост.);
- принцип словообразовательной ценности - способности слова образовывать ряд производных: *идти – уйти, выйти, пойти, сойти, перейти*;
- способность слова создавать предпосылки для языковой догадки и самостоятельной семантизации: *писатель, читатель, деятель*, в отличие от *бегун, симпатия*;
- принцип строевой возможности слова - определяет ведущую роль определенных единиц для создания высказывания;
- широкая сочетаемость слова: для активного словаря подбираются слова, которые могут сочетаться с широким кругом других единиц и иметь широкое значение: *купить/приобрести*.

Любой язык состоит из фонетического, грамматического и лексического материала, а изучение этого языка заключается в освоении данного материала путем овладения основными видами речевой деятельности. И хотя обучение на начальном этапе фонетическому, грамматическому и лексическому аспекту русского языка осуществляется в тесной взаимосвязи, исходя из психологических и интеллектуальных особенностей детей данного возраста, можно утверждать, что основополагающим для них является процесс обучения лексике. Фонетическому аспекту уделяется меньше внимания, так как в этот период у детей идет процесс формирования произносительных навыков на родном языке, который является более важным, чем процесс совершенствования русского произношения. Грамматика также не является приоритетным направлением, поскольку даже носители языка в этом возрасте говорят с грамматическими ошибками.

Лексические темы, количество слов и речевых клише, входящие в учебный материал, варьируются в зависимости от каждого учебного курса или индивидуальной программы учителя. Однако существуют определенные критерии отбора лексического материала для обучения на начальном этапе:

1. все изучаемые на данном этапе слова и понятия должны быть хорошо известны ребенку на родном языке;
2. изучаемые слова должны иметь высокую частотность и большую сочетаемость друг с другом.

Из вышесказанного можно сделать следующие выводы:

- не следует вводить больше 10 новых слов на одном занятии;
- никогда нельзя давать детям «выучить слова»;
- новая лексика должна утвердиться в сознании ребенка постепенно, посредством продуманной поэтапной системы упражнений;
- необходимо продумать порядок освоения слов внутри группы: одни слова становятся опорными, другие «наслаиваются» за них;
- если в семантическую группу входят слова одной и той же части речи, их изучение должно быть связано с повторением слов другой группы, относящихся к другой части речи, чтобы возможно было составление сочетаний предмет – предмет, предмет – признак, предмет – действие;
- введение лексики должно быть мотивировано и вызвано коммуникативными потребностями детей;

ЛИТЕРАТУРА:

1. Акишина А.А и Каган О.Е. «Учимся учить». Для преподавателя русского языка как иностранного. М., 2002

2. Аркадьева Э. В. Лексика в практическом курсе русского языка. Живая методика; для преподавателя русского языка как иностранного. М., 2005.
3. Вопросы обучения русскому языку иностранцев на начальном этапе М., 2006
4. <http://www.languages-study.com/russian-as-foreign-language.html>

Nino Markarovi

Gori State Teaching University

**PRINCIPLES OF SELECTION, INTRODUCTION AND FIXATION OF LEXICAL UNITS ON THE INITIAL STAGE OF STUDING RUSSIAN AS FOREIGN LANGUAGE
RESUME**

This article describes the basic principles of selection, introduction and consolidation of lexical units on the lessons of Russian as foreign language's initially. Highlighted the difficulties, that may be encountered in learning, age characteristics affecting the development of a foreign language, and also the nature of the formation of lexical skills at an early stage. There are indentified the main tasks and specifics of working with young children.

*ლია მენტეშაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი*

აღზრდის პრობლემები თანამედროვე ოჯახში

ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვთა აღზრდაში, მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ბავშვის აღზრდა – ეს არის დიდი პირადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვალეობა მშობლებისათვის.

საოჯახო გარემოს, მშობლებს შეუცვლელი ადგილი აქვს ბავშვთა აღზრდაში და სკოლისა თუ სკოლისგარეშე დაწესებულებების ზრუნვა მოზარდ თაობაზე მშობლებს ვერ გაათავისუფლებს მათზე დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან.

საოჯახო აღზრდა წარმოუდგენელია მშობლებისა და შვილების ურთიერთსიყვარულის გარეშე. თავისი ხასიათით იგი უფრო ემოციურია, ვიდრე აღზრდის რომელიმე სხვა ფორმა. ოჯახი აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, სქესის, ხშირად განსხვავებული პროფესიული ინტერესების მქონე ადამიანებს. ეს საშუალებას აძლევს ბავშვს შედარებით სრულად გამოავლინოს თავისი ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ბავშვებზე ოჯახის აღზრდელობითი გავლენის განსაკუთრებული თავისებურება მის სიმტკიცეშია.

ჩვეულებრივ, მშობლების სწორი დამოკიდებულება ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდაზე დადებითად მოქმედებს მათ სასწავლო, შრომით და საზოგადოებრივ აქტიურობაზე და პირიქით, მშობლების მხრიდან არასაკმარისი ყურადღების გამოჩენა შვილების აღზრდის მიმართ, უარყოფითად მოქმედებს მათ საზოგადოებრივ აქტიურობაზე მაშინაც კი, როდესაც ისინი სკოლის მოწაფეები ხდებიან.

განსაკუთრებით აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ოჯახი სულიერი კულტურის განვითარებაზე, ქცევის მოტივებზე. საზოგადოებრივი ქცევის წესების გაცნობა–შესწავლა, საზოგადოების კულტურული ღირებულებების შეთვისება, პირველად სწორედ ოჯახში ხდება, სხვა ადამიანების აღქმაც ოჯახიდან იწყება.

ცხადია, მშობლები დიდი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობასა და შვილებს „თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ–მამობისა ზურგზედ აჰკიდია ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ–მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები კი ჯერ შვილისა

და მერე ქვეყნის ცოდვაში, – აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან“ (6, 365).

ჩვენი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დავასკვნით, რომ თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა ოჯახის წინაშე წაყენებული მოთხოვნები, მშობელთა პასუხისმგებლობა, რადგან დღევანდელი ახალგაზრდობა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩევა. თანამედროვე ახალგაზრდობას თუ შევადარებთ მე-20 საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლების ახალგაზრდობას, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმ თაობის დიდი ნაწილი ცოდნის შეძენაზე იყო ორიენტირებული, ზნეობრივი ქცევის ნორმები სწორად ჰქონდათ გააზრებული და ა.შ. ცხადია, ბევრი დადებითი გახსენება შეიძლება იმ პერიოდიდან, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იმ წლებშიც იყო ახალგაზრდების ქცევაში გარკვეული გადაცდომები.

ბუნებრივია ჩნდება მრავალი კითხვა: რა ხდება დღეს? რატომ არის საოჯახო აღზრდაში ამდენი პრობლემა? ვინ არის დამნაშავე ამაში? მშობლებმა არ იციან როგორ აღზარდონ შვილები, თუ თვითონ მოზარდებში უნდა ვეძებოთ მიზეზები? და ა.შ.

გვინდა ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომელთა ზეგავლენაც წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს საოჯახო აღზრდაში; ამასთან დაკავშირებით, წარმოვადგინოთ ჩვენს მოსაზრებებს მშობლებისათვის საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების მიზნით.

ბავშვის უპირველესი აღმზრდელები მშობლები არიან, მაგრამ მძიმე სოციალური პირობების გამო, ხშირ შემთხვევაში, ისინი ქვეყნიდან არიან გასული ოჯახის მატერიალურად უზრუნველსაყოფად; თუ საქართველოში არიან, მაინც, თითქმის ოცდაოთხი საათი, გასულები არიან ლუკმა-პურის საშოვნელად და შვილების აღზრდას სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ, რაც თანამედროვე ახალგაზრდების დიდ ნაწილს ეტყობა ყოველგვარ ქცევასა და მოქმედებაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი შედეგები საოჯახო აღზრდაში ზოგჯერ არც იმ ოჯახებშია, სადაც არ არის მატერიალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვის საჭიროება და მშობლები მუდმივად შვილებთან იმყოფებიან. ყოველ მშობელს უნდა გააჩნდეს გარკვეული ალღო, უნარი შვილის აღზრდისა. არის შემთხვევები, როდესაც მშობელი ზოგადად განათლებულია, არჩეულ სპეციალობასაც კარგად არის დაუფლებული, მაგრამ შვილის აღზრდის საქმეს თავს ვერ ართმევს, მოიკოჭლებს მშობლის მოვალეობის შესრულებაში, რის გამოც მრავალი პრობლემა წარმოიშობა საოჯახო აღზრდაში.

ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ მომავალი თაობის აღზრდაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ მაგალითს. მშობელი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა იყოს მაღალზნეობრივი პიროვნება, მას არავითარი ავტორიტეტი არ ექნება, თუ ბავშვი ხედავს, რომ მისი მშობლები ნაკლებად თავაზიანები არიან სხვებისადმი, ავლენენ უხემ მოქმედებას, ხშირად ამჟღავნებენ სხვა უარყოფით თვისებებს, ასეთი მშობლები უთუოდ უარყოფით ზეგავლენას მოახდენენ მოზარდზე. მშობელი ვალდებულია ცდილობდეს, მისი შვილი დადებით მაგალითზე აღიზარდოს, არ უნდა ეცადოს ხელოვნურად ავტორიტეტის მოპოვებას სიმკაცრითა თუ ზედმეტი ალერსით, საჩუქრების ყიდვით, ცირკში ან თეატრში წაყვანით. ყოველთვის უნდა ახსოვდეთ მშობლებს, რომ ავტორიტეტი ხელოვნურად არ იქმნება, შვილებთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობით შეუძლიათ მათ კარგი, გავლენიანი, სერიოზული აღმზრდელის ავტორიტეტის მოპოვება.

მშობლებისათვის გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების აღზრდაში დიდ როლს ასრულებს სწორად ორგანიზებული ოჯახური რეჟიმი. იმ ოჯახებში, სადაც მშობლები მკაცრად იცავენ რეჟიმს და შვილებისგანაც მოითხოვენ საოჯახო წესების, მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას, ბავშვები ეჩვევიან ორგანიზებულობას, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას. ოჯახში, სადაც მომთხოვნელობა, რეჟიმის დაცვა უგულვებელყოფილია მოზარდებში, ვითარდება უარყოფითი თვისებები – უსაქმურობა, ფუქსავატობა, უწესრიგობა. ბავშვი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს რეჟიმის დაცვას, რომ მასში არ განვითარდეს მოუწესრიგებელი ცხოვრებისადმი მიდრეკილება და სხვა მანკიერი თვისებები.

როდესაც საოჯახო აღზრდის პრობლემებზე ვლაპარაკობთ მხედველობაში უნდა გვქონდეს გარემო, რომელშიც იზრდება ბავშვი. პიროვნების განვითარების სამი ფაქტორიდან (აღზრდა, გარემო და მემკვიდრეობა) მნიშვნელოვანია გარემო. ამიტომაც იყო, რომ ცნობილი უკრაინელი პედაგოგი ვ.ა. სუხომილინსკი მიუთითებდა: „ბავშვობა კაცის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდია, მომავალი ცხოვრებისათვის შემზადება კი არა, ნამდვილი, ნათელი, თვითმყოფადი, განუმეორებელი ცხოვრებაა. თუ როგორ ჩაიარა ბავშვობამ, თუ ვის დაჰყავდა ბავშვი ხელჩაკიდებული პატარაობისას, რა შეითვისა მისმა გონებამ და გულმა გარესამყაროსაგან, დიდადაა დამოკიდებული როგორ ადამიანად გაიზრდება დღევანდელი ცეროდენა“ (5, 12).

ბოლო ხანებში გახშირდა ძიძის დახმარებით ბავშვების „აღზრდა“. ძიძის დახმარებას ზოგიერთი მშობელი იმით ხსნის, რომ მუშაობს და არავინ ჰყავს ოჯახში ბავშვის დამტოვებელი. ასეთ შემთხვევაში

შეიძლება გარკვეული გამართლება ჰქონდეს ძიძის აყვანას, მაგრამ როდესაც დედა არ მუშაობს, ოჯახში ბებიაც არსებობს, ასეთ შემთხვევაში მაინც იყვანენ ძიძას (შეიძლება არ უნდათ მშობლებს დაიტვირთონ და ამიტომ გადაწყვიტეს ძიძის დახმარება). გვინდა შევახსენოთ მშობლებს, რომ შვილების გამო დაიტვირთონ, დაილალონ, შეწუხდნენ და ძიძას ნუ დაიხმარენ შვილების აღზრდაში თუ ამის აუცილებლობა არ არის. ძიძას მხოლოდ ფული აინტერესებს და ამის გამო იწყებს ოჯახში მუშაობას ბავშვის მომვლელად. ძიძა აღმზრდელი არ არის, მასთან მხოლოდ დროებით შეიძლება ბავშვის დატოვება.

არ შეიძლება არ გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა გლობალიზაციამ მომავალი თაობის, როგორც პიროვნების ფორმირებაზე.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ახალი კონცეფცია გამოჩნდა, რომელსაც გლობალიზაციას უწოდებენ. პირველად ეს ტერმინი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს მაკლინმა გამოიყენა, შემდეგ კი სოციოლოგმა რობერტსონმა.

გლობალიზაცია გაერთიანებას, გამთლიანებას ნიშნავს. მას საზღვრები არა აქვს და გარკვეულწილად ცხოვრების ახლებურად მოწყობას გულისხმობს.

გლობალიზაცია არის ისტორიული, ობიექტური პროცესი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, ტენდენციებით, კანონზომიერებებით.

საქართველოც მსოფლიოს ორგანული ნაწილია. აქედან გამომდინარე, არ აგვედება ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გავლენა, მთავარია თავი ავარიდოთ, გავუფრთხილდეთ მათგან მომდინარე ნეგატიურ ასპექტებს. საქართველომ გააზრებულად უნდა აუბას მხარი გლობალიზაციას, მისი ყოველგვარი სიკეთე უნდა მივიღოთ, გავითვალისწინოთ, მაგრამ ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე, მისი უაპელაციო დაშვება სასურველ შედეგს არასდროს მოგვცემს.

დღეს, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროც არ უნდა ავიღოთ, ყველგან იგრძნობა, რომ მიდის ტოტალური შეტევა ეროვნულ ტრადიციებზე, მისი დანგრევის, მოშლის გზით. ყველაფრისადმი ქედის მოხრა, თანადგომა გლობალიზაცია კი არ არის, არამედ ერის სულიერი დეგრადაცია, ყოველგვარი თვითმყოფადობის დამოუკიდებლობის მოსპობა.

გლობალიზაციამ გარკვეული გავლენა მოახდინა მომავალი თაობის აღზრდაზეც.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტელევიზიის ყველა არხზე რომ უცხოურ კინოფილმებს უჩვენებენ, ასევე უცხოურ სიმღერებს უსმენენ და უცხოურ ცეკვებს უყურებენ განა ეს კეთილშობილ გავლენას მოახდენს ქართველ ახალგაზრდებზე? გვინდა შევხებით ერთი შეხედვით თითქმის ტრივიალურ საკითხს. მხედველობაში გვაქვს ძალმომრეობისა და ადამიანთა ურთიერთობებში პათოლოგიური მოვლენების აშკარა თუ ფარული პროპაგანდის მოძალბა მხატვრული შემოქმედების პროდუქციაში, რომელსაც ასე უხვად ვხვდებით პერიოდულ პრესასა და დამოუკიდებელი ტელეარხების გადაცემებში. აქ საგანგაშო ის არის, რომ ამით ბავშვის, მოზარდის ფსიქიკას ვამახინჯებთ და ეს ყველაფერი იმდენად უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდზე, რომ იცვლება მისი ზნე-ხასიათი, ფსიქიკა, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობაში, შესაბამისად აღზრდის პროცესიც ხშირ შემთხვევაში უმართავი ხდება.

ძალადობისა და სადიზმის დემონსტრირება ჰუმანიზმის მქადაგებელი ქვეყნის მოქალაქეს რომ ვერ აღზრდის, ეს ფაქტია, ხოლო პათოლოგიური ურთიერთობების ლეგალიზებას ვერაფრით ვერ შეეგუება ქართული გენი.

საოჯახო აღზრდის გაუმჯობესებაზე როდესაც ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს აღზრდის ის სამკუთხედი (სკოლა, ოჯახი, საზოგადოება), რომელთა ერთიანი შეთანხმებული მუშაობა რამდენიმე წლის წინ საკმაოდ დადებით შედეგებს გვაძლევდა, მაგრამ დღეს თითქმის გათიშულია ეს ყველაფერი ერთმანეთისაგან, საზოგადოება ძველებურად აღარ არის ჩართული მომავალი თაობის აღზრდის პრობლემების მოგვარებაში, არადა საოჯახო აღზრდა საერთოდ წარმოუდგენელია საზოგადოებისაგან იზოლირებულად. სკოლა და ოჯახიც გარკვეულად დაშორდა ერთმანეთს, რადგან მასწავლებლების კომპიუტერით თუ სატელეფონო გზავნილებით მშობლებთან ურთიერთობა დადებით შედეგებს არ მოგვცემს საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების მიზნით. აუცილებელია სავალდებულო გახდეს პირისპირ შეხვედრები მშობლებსა და მასწავლებლებს შორის.

ოჯახში ბავშვთა აღზრდის ამოცანები სკოლასთან, მასწავლებლებთან თანამშრომლობასა და მჭიდრო ურთიერთობაში უნდა წყდებოდეს.

საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული მშობლებთან სკოლის მუშაობის აპრობირებული ფორმები და მეთოდები, რადგან აღზრდის პრაქტიკაში ცნობილია იმის მაგალითები, როდესაც მშობლებისა და პედაგოგების ურთიერთდახმარებით, ურთიერთხელშეწყობით მოზარდის აღზრდის საქმე გაუმჯობესებულია.

პედაგოგიკის მეცნიერებაში საყოველთაოდ არის აღიარებული მშობლებთან სკოლისა და მუშაობის შემდეგი ფორმები: მასობრივი ჯგუფური, ინდივიდუალური.

მშობლებთან მუშაობის მასობრივ ფორმებს მიეკუთვნება პედაგოგიური ლექცია-საუბრები, მშობელთა ოჯახური აღზრდის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით, კითხვა-პასუხის სადამოები, მშობელთა კრებები, ღია კარის დღეები ანუ მშობელთა დღეების ჩატარება, და ა.შ.

საოჯახო აღზრდის პრობლემების სათანადოდ გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთა პედაგოგიურ განათლებას.

მშობელთა ერთ ნაწილს ჰგონია, რომ მათ აღზრდის განუმეორებელი მეთოდები აქვთ შემუშავებული, არავითარი ცოდნის მიღება აღარ სჭირდებათ შვილის აღზრდისათვის. ზოგიერთ მათგანს მტკიცედ სჯერა, რომ იგი შესანიშნავად არის მომზადებული მშობლის მაღალი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

მშობელთა პედაგოგიური განათლების საქმეში დიდი როლი აკისრია კლასის დამრიგებელს. მან თითოეული მშობლისათვის ნათელი უნდა გახადოს, რომ ბავშვთა აღზრდა წარმართონ პედაგოგიკის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების დაუფლებით, მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით.

მშობელთა პედაგოგიური ცოდნის გაფართოებისათვის, პედაგოგიური კულტურის ამაღლებისათვის საჭიროა მშობლებთან მუშაობის გაფართოება. მშობელთა პედაგოგიური განათლება პირველ რიგში პედაგოგიური ლიტერატურით ფართოდ სარგებლობის საფუძველზე უნდა ამაღლდეს, როგორც პედაგოგიკის კლასიკოსი კ.დ. უშინსკი მიუთითებდა „პედაგოგიური ლიტერატურა უმღიერეს საშუალებას წარმოადგენს. იგი გვაცნობს ბევრი ჭკვიანი და გამოცდილი პედაგოგის ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს და, რაც მთავარია, ჩვენს საკუთარ აზრს მიმართავს ისეთი საგნებისაკენ, რომლებიც ადვილად შეიძლება გამორჩენოდა ჩვენს ყურადღებას. მართა პედაგოგიურ ლიტერატურას შეუძლია აღმრას საზოგადოებაში ყურადღება აღზრდის საქმისადმი და ამ საქმეში აღმზრდელებს მიანიჭოს ის ადგილი, რომელიც მათ უნდა ეჭიროთ დაკისრებული მოვალეობის დიდი მნიშვნელობის გამო... თანამედროვე და ვრცელ პედაგოგიურ ლიტერატურას აღმზრდელი გამოჰყავს თავის კარჩაკეტილ, დამაძინებელ სფეროდან, გამოჰყავს იმ მოაზროვნეთა კეთილშობილ წრეში, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირეს აღზრდის საქმე (6, 13;15;16;19).

განათლების სისტემის მესვეურნი უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს საქართველოს სკოლების მოსწავლეთა საოჯახო აღზრდა, როგორი მოდელი წაადგება საქართველოს მომავლის აღზრდის საქმეს. არ უნდა უარყოთ სკოლის გამოცდილი პედაგოგებისა თუ ცნობილ მკვლევარ-მეცნიერთა ხანგრძლივი, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საოჯახო აღზრდის პრობლემებთან დაკავშირებით. აუცილებელია შეიქმნას პედაგოგიკის მეცნიერებაში მომუშავე მკვლევარ-მეცნიერთა ჯგუფი, რომელთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით მოხდება საქართველოს სკოლების მოსწავლეთა საოჯახო აღზრდის პრობლემების მოგვარება. დიდი ქართველი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სამშობლოში არ უნდა იქნეს დავიწყებული საოჯახო აღზრდის მდიდარი ქართული პედაგოგიური ტრადიციები. უცხოეთის თუნდაც იქ აპრობირებული დადებითი გამოცდილება უნდა დავნერგოთ მხოლოდ ქართული პედაგოგიური რეალობის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე რ., ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, თბ., 2011.
2. მენტეშაშვილი ლ., კლასის ხელმძღვანელის მუშაობა მშობლებთან, თბ., 1987.
3. მენტეშაშვილი ლ., გლობალიზაცია და განათლების სისტემის ზოგიერთი პრობლემა საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში“, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ (ISSN1987-9377), N1(7), თბ., 2013.
4. ნარგიზიშვილი ა., საოჯახო პედაგოგიკა, თბ., 2008.
5. სუხომლინსკი ვ.ა., გულს ვუძღვნი ბავშვებს (ქართულ ენაზე), თბ., 1980.
6. უშინსკი კ.დ., რჩ. პედ. თხზ., ტ. I, თბ., 1948.
7. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. IV, თბ., 1955.
8. Ермолова М., У колыбели Родительства, М., 2014.

Lia Menteshashvili, Nino Chakhunashvili
Tbilisi Teaching University
UPBRINGING PROBLEMS IN THE MODERN FAMILY
RESUME

Influence of many factors create problems in the family upbringing. The main educators of a child are the parents, but difficult social circumstances led parents to leave the country for the financial necessity. Even living in Georgia, parents are out of their homes almost 24 hours in order to get basic needs for their families. Therefore, they have no time to pay attention to their kids. All of above mentioned is very noticeable in behaviour and action of the majority of youth.

Influence of the Globalization on the future generation, as a formation of an individual can not be left without attention.

Georgia naturally follows world's globalization process. Therefore, it is impossible to be apart from the influence of the integration and globalization. The main point is to avoid its negative aspects.

Nowadays, "upbringing a child" by the babysitter is a very common process. On this matter, some parents list two points: working and having no one to leave a child with. Having a babysitter in these circumstances can be justified. However, there are some families in which mother is not working and grandmother lives with them, however they are still having a babysitter. In this type of situation, a babysitter is only interested in money, therefore she starts working as a babysitter. A babysitter is not an educator and a child can only be left with her temporarily.

Regarding the improvement of the family upbringing, we have to consider the triangle (school, family, society). Coordinating work of these three components gave us pretty positive results a few years ago. Unfortunately nowadays all these components are almost apart from each other.

In order to improve family upbringing, well known pedagogical science forms (such as massive, group and individual) have to be used in between the school and the parents.

ნოდარ მირაზანაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მნიშვნელობა მასწავლებლის კარიერულ წინსვლაში

სრულფასოვანი განათლების მიღება, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია არა მარტო ცალკეული ადამიანის რეალიზებისა და კეთილდღეობისათვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოსათვის, მისი აღმშენებლობისათვის. ამიტომ არის აყვანილი მასწავლებლის პროფესიონალური განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოებრივი ინტერესის სიმაღლეზე.

სახელმწიფო ხელს უწყობს მასწავლებელს პროფესიული კომპეტენტურობის ზრდაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის, გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სხვათა მიერ გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, მათ მიერ ორგანიზებული ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები დაფუძნებული მასწავლებლის პროფესიულ თუ საგნობრივ სტანდარტზე და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსზე ყველა პედაგოგს აძლევს საშუალებას აიმაღლოს პროფესიული კომპეტენცია.

პროფესიული კომპეტენციის ამაღლება პირდაპირპროპორციულ კავშირშია მის კარიერულ ზრდასთან. პროფესიული კომპეტენციის მუდმივი განვითარების სურვილს შეიძლება განაპირობებდეს, როგორც მასწავლებლის შინაგანი ინტერესები, მოთხოვნილებები, ასევე გარეგანი, უმეტეს შემთხვევაში, ორივე ერთად. რაც უფრო მაღალკვალიფიციურია მასწავლებელი, მით უფრო წარმატებულია მისი პედაგოგიური პრაქტიკა და მით უფრო დიდია მოთხოვნა მასზე.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით, გარკვეული კატეგორიის მასწავლებლებისათვის, ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა

პრაქტიკის კვლევა, რომლის განხორციელება მათ მოუწევთ, როგორც შემდგომი სტატუსის მისაღწევად, ისე არსებულის შესანარჩუნებლად.

2015 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა და დაამტკიცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ინსტრუმენტს.

სქემის მიზანია: ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებას და კარიერულ ზრდას.

რა მოტივი შეიძლება ამოძრავებდეს მასწავლებელს ჩაებას ამ სქემაში?

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა მუდმივად გაზრდის მათ პროფესიონალიზმსა და კომპეტენციას;

- მათზე მოთხოვნა იქნება ყოველთვის დიდი, რადგან წამყვანი და მენტორი მასწავლებლის არსებობას სკოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს;

- მათ ექნებათ შესაძლებლობა ითანამშრომლონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან კონსულტანტებად, ექსპერტებად, ტრენერებად და ა.შ.

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპი – შედეგზე ორიენტირება და მასწავლებლისთვის საშუალების მიცემა თავად ეძიოს და აირჩიოს შედეგის მისაღწევად უკეთესი გზა, მასწავლებელს მკვლევარად აყალიბებს, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის პედაგოგების, დირექტორების, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული მასწავლებლის, სკოლის საქმიანობის, სწავლა-სწავლებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გაუმჯობესების მიზნით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მართო წამოჭრილი სიძნელების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძალების გასამლიერებლად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად. ყველაფერი ეს კი სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მასწავლებელს დაეხმარება, შეძლოს:

- პედაგოგიური პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენა (გასცეს პასუხი კითხვას რა?);

- მიაგნოს მიზეზს, თუ რამ წამოჭრა ეს პრობლემა (გასცეს პასუხი კითხვას რატომ?);

- ეძიოს და მიაგნოს პრობლემის დაძლევის ალტერნატიულ გზებსა და ინოვაციებს (გასცეს პასუხი კითხვას როგორ?);

სკოლის ბაზაზე მასწავლებლისთვის პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ხელმისაწვდომი საშუალებაა საკუთარი პრაქტიკის კვლევა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით რაციონალური ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება. ეს პედაგოგს საშუალებას აძლევს, სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემები რეფლექსიისა და ანალიზის გზით გადაჭრას. სასურველია, ამ საკითხზე მასწავლებლებმა ერთობლივად იმუშაონ, რათა მრავალმხრივი ხედვის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილებები უფრო მეტად იყოს შედეგზე ორიენტირებული. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა გამოყენებითი კვლევების რიგს განეკუთვნება. მას ატარებს მასწავლებელი სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და როგორც უკვე ითქვა, საკუთარი პროფესიული ზრდის მიზნით. ეს ცოდნის მიღების სრულიად ახალ ფორმაა, სადაც ურთიერთობა პრაქტიკასა და თეორიას შორის, ასევე, კვლევასა და მოქმედებას შორის გაცილებით უფრო ორგანულია და დაახლოებული, ვიდრე ეს ტრადიციულ საზოგადოებრივ მეცნიერებაში გვხვდება. პრაქტიკული კვლევებისას გამოყენებულ მეთოდებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ექსპერიმენტის ჩატარებას, მონაწილეობასა და დიალოგის მეშვეობით პრობლემების გაგებასა და გადაჭრას ანიჭებენ. პრაქტიკული კვლევა შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან შედგება:

- საკვლევი საკითხის შერჩევა
- კვლევის მიზნის განსაზღვრა
- საკვლევი საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლა
- კვლევის მეთოდების შერჩევა
- მონაცემთა შეგროვება
- მონაცემთა ანალიზი

- ინტერვენციების დაგეგმვა
- ინტერვენციების განხორციელება
- შედეგების ანალიზი
- რეკომენდაციების შემუშავება

პრაქტიკული კვლევის თემად შეიძლება იქცეს ის ნებისმიერი საკითხი, რომელიც პრობლემურად ესახება პედაგოგს მუშაობის პროცესში. მაგალითად: მოსწავლეთა მოტივაციის ნაკლებობა, მშობელთა ჩართულობის დეფიციტი, წიგნიერების დაბალი დონე, კლასის მართვის პრობლემები და ა.შ. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად გამოვლინდება კონკრეტული პრობლემის გამომწვევი მიზეზები, რომელთა აღმოფხვრაც დაგეგმილი ინტერვენციების საშუალებით უნდა მოხდეს. თუკი ცვლილებების განხორციელების შემდეგ მიღებული მონაცემები გაუმჯობესებული იქნება, ე.ი. აღნიშნული სტრატეგია პედაგოგმა სწორად შეარჩია. ასე მასწავლებელი თავად პოულობს პრობლემების გადაჭრის გზებს და ყოველი დაბრკოლების გადალახვა მისი პიროვნული და პროფესიული ზრდის წინაპირობა ხდება.

პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ინტერვენციის/ჩარევის სტრატეგიის განვითარება, მისი პრაქტიკაში დანერგვა და მიღწეული შედეგების შეფასებაა, რადგან ეს არ ნიშნავს აუცილებლად ყველა პრობლემის გადაჭრას, არამედ — ძიებას, გამოცდილების შექმნას, რაღაცის გაუმჯობესებას და კვლევის პროცესის ახალ ფაზაში გადასვლას. შემდეგ, კი, მასწავლებელი აფორმებს მის მიერ განხორციელებულ კვლევას, რამდენად გაიყვანა ის ინტერვენციებმა სასურველ შედეგზე. ბოლოს, აფორმებს კვლევას ანგარიშის, მოხსენების, სტატიისა თუ სხვა სახით. პრაქტიკის კვლევის სტრუქტურირებული წარმოჩენა აუცილებელია, რომ მომავალში გამოიყენონ კოლეგებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. პრაქტიკის კვლევას ხომ მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ვატარებთ. სასურველია, კვლევის შედეგები წაიკითხოთ და გაიზიარონ კოლეგებმა, რადგან, სავარაუდოდ, მათაც შეიძლება მსგავსი პრობლემები ჰქონდეთ და ჩვენ მიერ განხორციელებულ ინტერვენციებსა თუ რეკომენდაციებს დაეყრდნონ.

მასასადამე, მასწავლებელი კვლევის პროცესში პასუხს გასცემს კითხვებს შემდეგი თანმიმდევრობით: რა პრობლემის წინაშე ვდგავარ, რატომ გაჩნდა ეს პრობლემა? როგორ გადავჭრა? რა შედეგზე გამიყვანა ჩემმა ქმედებამ/ჩარევამ?

მნიშვნელოვანია კვლევის შედეგად დასკვნების გაზიარება კოლეგებისადმი. შესაძლებელია კვლევის შედეგების განხილვა საგნობრივ კათედრებზე, სხდომებზე, მშობლებთან და ბავშვებთან. კარგი იქნება გადავხედოთ საკუთარ კვლევას და დავაკვირდეთ რამ იმუშავა კარგად და რამ - არა. შესაძლოა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სხვა, ახალი კვლევის საჭიროებაც გაჩნდეს. კვლევის პროცესი ციკლურია და ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, ახალი ეტაპი იწყება.

პრაქტიკის კვლევის ჩატარება ნიშნავს დაგეგმვას, იმოქმედოს, დააკვირდეს და გაიაზროს უფრო მეტი ყურადღებით, უფრო სისტემატურად და უფრო სკრუპულოზურად, ვიდრე ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაკეთებთ.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება, მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, ქ. თბილისი, 2015.
2. Karlsen Jan Irgens. "Action Research as a Method: Reflections from a Program for Developing Methods and Competence", Handbook of Action Research: Participative Inquiry and Practice, Sage Publications. London, 2001.
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.

Nodar Mirazanashvili

Gori State Teaching University

THE IMPORTANCE OF RESEARCHING PEDAGOGICAL PRACTICES IN A TEACHER CAREER ADVANCEMENT RESUME

It is important to get a valuable education and become a highly qualified professional not only for personal recognition and wellbeing but for the country development in general.

The Georgian Government supports teachers in enhancement of their professional competences. Enhancement of professional competences is directly linked with career advancement. The fundamental principle of the National Education Plan is result oriented teaching allowing a teacher to search and select the best way to achieve the result. This

transforms a teacher into a researcher who is capable to identify the problems that occur in the teaching process; to search for problem solving ways and to introduce the new ideas, innovations and strategies in the pedagogical practices.

At school, one of the available tools for a teacher to professionally develop is to study own practices and on the bases of the obtained results to plan and implement the rational interventions.

In the process of research, a teacher finds the answers to the questions in the following order: What are the problems that I face? Why did the problems appear? How can I solve them? What are the results that my actions/interventions lead to?

ირმა ქურდაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგიერთი მიდგომა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის აღზრდაში

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით.

სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება შეექმნათ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებაა, ყველა ბავშვისთვის მოძებნოს წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა ან იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის, თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ.

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიების და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობასა და მათ ინდივიდუალობას. ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება ერთი მხრივ, არაპროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორე მხრივ, არ უზრუნველყოფს ერთნაირ სასწავლო შედეგს ყველა მოსწავლისთვის.

სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და სოციალურ ინტეგრაციაში.

ინკლუზიური განათლების პრინციპებია:

- . ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს სწავლის შესაძლებლობა.
- . ბავშვები ყველაზე უკეთ სწავლობენ მაშინ, როდესაც ერთად სწავლობენ.
- . პროგრესი დამოკიდებულია ბავშვის ინდივიდუალური, ძლიერი მხარეების გამოყენებაზე და არა აღქმული დეფიციტების ხაზგასმაზე.
- . ბავშვებს აქვთ უფლება, ჩაერთონ საზოგადოების და ქვეყნის ჩვეულ ცხოვრებაში.

. მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ გარემოში არსებული ფიზიკური და სოციალური ბარიერები.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის აღზრდა, სირთულეები მიდგომის ასპექტები.

„ვწუხვარ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენს პატარას დაუნის სინდრომი აქვს“. ექიმის ამ სიტყვებმა სამუდამოდ შეცვალა მშობლების ცხოვრება. „მეგონა, ღამის კოშმარს ვხედავდი და გაღვიძება მინდოდა“, იხსენებს ბავშვის მამა, ვიქტორი.

ემილი და ბარბარა, რომლებმაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები გაზარდეს, თავიანთ გრძნობებს ასე აღწერენ: „სიხარული და იმედგაცრუება ერთმანეთს ენაცვლება. ყოველდღიურ განცდებს და სიძნელეებს ცვლის დადებითი ემოციები, რომელიც ბავშვის წინსვლას ახლავს თან“. (Count Us In—Growing Up With Down Syndrome). ამ სინდრომით დაავადებული ჯეისონი წიგნში (Count Us In—Growing Up With Down Syndrome), რომლის ერთ-ერთი ავტორი თავადაა, ამბობს: „მე არ ვფიქრობ, რომ ეს ნაკლია. ეს არის დეფექტი, რომელიც ანელებს ათვისების პროცესს, რაც ტრაგედია არ არის“.

თითოეული ბავშვის შემთხვევაში ეს სინდრომი სხვადასხვანაირად ვლინდება, მათ განსხვავებული უნარი და შესაძლებლობები აქვთ. ზოგიერთ მათგანს შეუძლია საკმარისი ცოდნა შეიძინოს, რათა საზოგადოების აქტიური წევრი გახდეს და სრულფასოვნად იცხოვროს. ამ გენეტიკური პათოლოგიის თავიდან არიდება შეუძლებელია ორსულობამდე, თუ ორსულობის პერიოდში. სინდრომის განვითარებაში ბრალი არავის მიუძღვის, მაგრამ მშობლებისთვის ეს ძალიან დიდი დარტყმაა.

„ამ სინდრომით დაავადებულები, პირველ რიგში, ჩვეულებრივი ადამიანები არიან, - ამბობს პროფესორი სიუ ბაკლი. ბავშვების განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ მათზე, როგორ განათლებას აძლევენ და რამდენად ეძლევათ მათ სხვებთან ურთიერთობის საშუალება, როგორც ყველა სხვა ადამიანს“.

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ის სასწავლო მეთოდები, რომლებსაც დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად იყენებენ. თერაპევტები მშობლებს ურჩევენ, რომ ბავშვებს საოჯახო საქმეებში მიაღებინონ მონაწილეობა; თამაშებისა და სპეციალური სასწავლო პროგრამების საშუალებით უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარონ. ასეთი პროგრამები, რომლებშიც ბავშვები დაბადებიდან მალევე უნდა ჩავრთოთ, მოიცავს ფიზიოთერაპიას, ლოგოპედიას, დამატებით ყურადღებას და აგრეთვე ბავშვისა და ოჯახის ემოციურ მხარდაჭერას. „სუსანას ისე ვეცეოდით, როგორც ოჯახის სხვა წევრებს, - ამბობს სუსანას მამა გონსალო. - ჩვენ მას საოჯახო საქმეების კეთებას ვავალდებდით და ისე ვეპყრობოდით, როგორც მის და-ძმას. შენიშვნებსაც ვაძლევდით და ამავე დროს, ვითვალისწინებდით მის შეზღუდულ შესაძლებლობებს“.

პროგრესი შესაძლოა ნელა მიმდინარეობდეს. ზოგმა ბავშვმა შეიძლება პირველი სიტყვები ორი-სამი წლის ასაკამდე ვერ წარმოთქვას. ზოგჯერ იმის გამო, რომ ლაპარაკი უჭირთ, ბავშვები ტირილს იწყებენ ან ცუდ ხასიათზე დგებიან.

მიუხედავად ამისა, მშობლებს შეუძლიათ, ასწავლონ მარტივი შესტებითა და თვალსაჩინო დამხმარე საშუალებებით აზრის გამოხატვა. ამგვარად, ბავშვი შეძლებს ისეთი აუცილებელი სიტყვების წარმოთქმას, როგორცაა „დალევა“, „ჭამა“, „ძილი“, „დამთავრება“ და „მეტი“. „ჩვენ ჟასმინს ორ-სამ შესტს ვასწავლიდით და ხშირად ვამეორებინებდით. ვცდილობდით, სწავლის პროცესი სახალისო ყოფილიყო“, - ამბობს ლიზა.

ყოველ წელს სულ უფრო მეტი დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვი მიდის სკოლაში და თავის და-ძმებთან და მეგობრებთან ერთად ერთობა. მართალია, სწავლა უჭირთ, მაგრამ თანატოლებთან ერთად სასკოლო განათლების მიღება ზოგს ეხმარება, გახდეს უფრო დამოუკიდებელი, ურთიერთობა ჰქონდეს ხალხთან და ინტელექტუალურად განვითარდეს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ნელა ვითარდებიან, სხვაობა ამ ბავშვებსა და მათ თანატოლებს შორის ასაკის მატებასთან ერთად უფრო შესამჩნევი ხდება, თუმცა, მაინც რეკომენდირებულია ამ ბავშვების ტარება საჯარო სკოლაში.

„იოლანდას ჩვეულებრივ სკოლაში მიყვანა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რადგან მან მალევე გამონახა საერთო ენა თანატოლებთან. ის მისვლის დღიდან თამაშობდა ბავშვებთან. ბავშვებმაც ისწავლეს, მას ისე მოპყრობოდნენ, როგორც ნორმალურ ადამიანს და მასთან ერთად ატარებდნენ დროს“, - ამბობს იოლანდას მამა ფრანსისკო.

დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვის აღზრდა ადვილი არ არის. ეს მოითხოვს დიდ დროს, ძალისხმევას, თავის მიძღვნასა და მოთმინებას; მშობელს არ უნდა ჰქონდეს არარეალური მოლოდინი. „ანას მოვლენაში ბევრი რამე შედის, - ამბობს მისი დედა, სოლედადი. - მე უნდა ვიყო მომთმენი დედა, ძიძა, ფიზიოთერაპევტი და ამავე დროს, სახლის საქმეებიც უნდა ვაკეთო“.

ბევრი ოჯახი დარწმუნებულია, რომ ასეთი ბავშვის ყოლამ ოჯახის წევრები დააახლოვა ერთმანეთთან. და-ძმები ნაკლებად ეგოისტები, უფრო თანამგრძობნი არიან და უკეთ უგებენ

უნარშეზღუდულ ბავშვებს. ანტონიო და მარია ამბობენ: „ჩვენი მოთმინება დაჯილდოვდა და დროთა განმავლობაში ჩვენი შრომის შედეგები დავინახეთ. ჩვენი უფროსი ქალიშვილი, მარტა სარას მოვლაში ყოველთვის გვეხმარება. ის მთელი გულით ზრუნავს თავის დაზე. ამიტომაც, რომ მარტას სხვა უნარშეზღუდული ბავშვების მიმართ დახმარების სურვილი აქვს“.

ამ სტატიის დასაწყისში აღინიშნა, რომ „დაუნის სინდრომით დაავადებულები ვითარდებიან, მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე. სულ ახალ-ახალს სწავლობენ და თანაც გამოცდილებას იძენენ“.

იოლანდა, რომელსაც ეს სინდრომი აქვს, ასეთი უნარდაქვეითებული ბავშვების მშობლებს მარტივ რჩევას აძლევს: „გიყვარდეთ ისინი. იზრუნეთ მათზე ისე, როგორც ჩემი მშობლები ზრუნავდნენ ჩემზე. ნუ დაკარგავთ მოთმინებას!“

ესპანელი პაბლო პინედა დაუნის სინდრომის მქონე პირველი ადამიანია ევროპაში, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო. მან მთავარი როლი შეასრულა 2009 წელს მალაგის ფესტივალზე წარდგენილ მხატვრულ ფილმში „Yo tambien“ და რამდენიმე პრესტიჟული პრემიის მფლობელიც გახდა.

პაბლო პინედა იხსენებს, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება ინსტიტუტში დიპლომის მიღების დროს განიცადა. ამბობს, რომ გაუმართლა, რადგან მის მშობლებს ყოველთვის სჯეროდათ - ყველაფრის მიუხედავად, ის ისწავლიდა და დამოუკიდებელ ადამიანად იქცეოდა. მას ყოველთვის უჭერდნენ მხარს მეგობრები და მეზობლები.

კითხვაზე, რას ნიშნავს იყო ევროპაში დაუნის სინდრომის მქონე პირველი კურსდამთავრებული, პინედა აღნიშნავს, დიდი პასუხისმგებლობაა. ვიცი ბევრს ჰყავს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი. მათ სჭირდებათ ვინმე, ვინც ეტყვის: „შენი შვილი შეძლებს“.

საზოგადოების პრობლემა დაუნის სინდრომის მქონეთა მიმართ იმაშია, რომ მას ურთულდება სხვაგვარობის აღქმა. საზოგადოება მათ იზოლაციაში აქცევს, ისე ექცევა, როგორც ბავშვებს ან უზრალოდ, თავს არიდებს. ჩნდება სტერეოტიპები, წინასწარი განწყობები, რომელიც ესპანურად ასე ჟღერს discapacitado (ინვალიდი)

საზოგადოება ცდილობს ადაპტირდეს ადამიანის თავისებურებებთან მიმართებაში და არ მიიჩნევს მას დაავადებულად. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს არ სჭირდებათ ზემოქმედება: მათ უზრალოდ სჭირდებათ მუდმივი სულიერი და ფიზიკური სტიმული და დამოუკიდებლობის სწავლა. სხვა შემთხვევაში მშობლებს მშობელს ვერ ვუწოდებთ.

საზოგადოებაში, სკოლაში, მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, რეკომენდირებულია შემდეგი მიდგომების გათვალისწინება

- ბავშვის დარწმუნება, რომ იგი ოჯახის ისეთივე ჩვეულებრივი წევრია, როგორც დანარჩენები.

- დღის რეჟიმის შედგენის თავისუფლება - სეირნობა, კვება, ძილი, თამაში. ბავშვისთვის არასასურველი იდეების თავს არ მოხვევა.

- დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში მისთვის გასაგებად და ხაზგასმით გამოხატვა. მათთვის ქება სასარგებლოა.

- ყოველ ახალი დავალების, ზოგადად, სიახლის თანდათან შეგუება და რამდენიმეჯერ მშობელთან ერთად შესრულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მშობელთა დიდ ნაწილს არ აქვს ელემენტარული ცოდნა ამ მიმართულებით.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 30 მშობელი. (მშობლის ვინაობა ინკოგნიტოა), გამოიკვეთა ასეთი შედეგი

1. მშობლების 9%-მა იცის რას ნიშნავს ტერმინი „ინკლუზია“.

2. მშობლების 85%-ი ფიქრობს, რომ ერთ ჯგუფში არ უნდა სწავლობდნენ სსმ ბავშვები და სხვა მოსწავლეები.

3. მშობლების 78% თვლის, რომ დაუნის სინდრომი გადამდებია.

4. მშობლების 20%-მა არ იცის, რა არის სპეციალური პედაგოგი.

5. მშობლების 42%-მა არ იცის, რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

6. მშობლების 25%-მა არ იცის დაუნის სინდრომის დამახასიათებელი გამოხატულებები.

კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოში საზოგადოება, მშობლები ჯერ კიდევ არ არიან მომზადებული იმისთვის, რომ მიიღონ და ითანამშრომლონ განსხვავებული მზაობის ბავშვებთან, ეს კი მოითხოვს საზოგადოების, მშობლების პედაგოგიზაციის ამაღლებას, მათ ჩართვას სხვადასხვა ტიპის პროექტებსა და ღონისძიებებში.

ლიტერატურა:

1. მ. კაპანაძე, თ. პაჭკორია. ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება. თბ., 2008.

2. თ. პაჭკორია, თ. ჭინჭარაული. ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებელთათვის. თბ., 2011 – 2016.
3. რ. აფხაზავა, ნ. ფრუიძე. ინკლუზიური განათლებისადმი საზოგადოების განწყობადამოკიდებულების კვლევის ანგარიში, თბ., 2007.

Irma Kurdadze
Samtskhe-Javakheti State University
SOME APPROACH TO RAISING CHILDREN WITH DOWN SYNDROME
RESUME

According to the Convention on the Rights of the Children, Education is a fundamental right of every child. The Convention applies to all children without any discrimination and without exception the right to clear each.

Rights of the Children in such wide recognition of theoretical underpinning. In each country of the children's rights enshrined in concrete measures, legislative, administrative, intellectual, social, emotional, linguistic or other conditions.

The last three decades have improved training methods, which are used to help children with Down Syndrome. Therapists advise parents to push children to participate in family life; Games and programmes to develop skills in these programs, in which the children soon after birth should include physiotherapy, speech therapy, and extra attention to the children and the family's emotional support.

The research showed that in Georgia society, parents still are not prepared to receive and engage with the readiness of children, but this requires the public, parents raising of pedagogical skills the involvement of different types of events.

პაატა ქურდაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპრისეული ზემოქმედება პიროვნების აღზრდაზე

თანამედროვე დასავლეთის ქვეყნებში, კერძოდ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში უკვე კარგა ხანია დიდი ყურადღება ექცევა ხალხური ჯადოსნური ზღაპრის როლს ბავშვის აღზრდაში და აქედან გამომდინარე პიროვნების სრულყოფაში. დადგენილია, რომ მოზარდებში ფსიქიკური ხასიათის კომპლექსები და ნორმალური ქცევიდან გადახრის დიდი ნაწილი მოდის ისეთ ზრდასრულ ადამიანებზე ვისაც ბავშვობაში მშობლები ასეთი სახის ზღაპრებს არ უამბობდნენ (3,12). ხსენებულ ქვეყნებში, დიდი ხანია ფუნქციონერებს სპეციალური დანიშნულების ეგრეთწოდებული ფსიქოკორექციული ლაბორატორიები, სადაც ზრდასრულთათვის ისევ ზღაპრის საშუალებით მიმდინარეობს მათი ფსიქიკის ერთგვარი კორექტირება და დაბალანსება (6, 31- 33).

ბოლო პერიოდში პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა ერთი ნაწილი, ისეთები, როგორც არიან (ზვიად გამსახურდია და განსაკუთრებით ოთარ ქვრივიშვილი) მიიჩნევენ, რომ ვეფხისტყაოსანი პოეტური ფორმით მოთხრობილი ზღაპარია, სადაც გამოყენებულია მძაფრ ემოციური სტილი და მთელი პოემა შეძლება ითქვას მკაცრად ჯადოსნური ფორმის მიხედვითაა აგებული. იგი დიდი სიზუსტით შეესაბამება მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნებისათვის დამახასიათებელ, ხალხურ, ჯადოსნურ ზღაპრებს (1, 3-12 ,3, 16- 22).

ზღაპრის შემსწავლელ მეცნიერებაში, ცნობილია, რომ მსოფლიოს ყველა ხალხის ჯადოსნური ზღაპრის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანის ევოლუციის გადმოცემა კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე. ეს გასაგები და კანონზომიერი მოვლენაა. ყველა ერი თავისი რელიგიური და კულტურული განვითარების ცალკეულ საფეხურზე ცდილობს ჩასწვდეს ადამიანის ამ ქვეყანაზე

მოსვლისა და არსებობის მთავარ არსს და ამ არსის მიხედვით გაანალიზოს თავისი ადამიანური ინდივიდუალობის რაობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზღაპრის კვლევა მეოცე საუკუნეში დაიწყო და დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. ამ კვლევებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხალხებმა განვითარების სხვადასხვა გზა განვლეს, მათი სურათ-ხატოვანი ენა პრაქტიკულად ერთი და იგივეა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველა ხალხმა იგი ერთნაირი ცოდნითა და კულტურული ცნობიერებით შექმნა (9, 74-77). ეს რაც შეხება ზღაპრის ენას, ხოლო მითოსური სიმბოლიკა და მათი მნიშვნელობა მცირედ განსხვავდება სხვადასხვა ხალხებისათვის, რაც ჩვენი აზრით უნდა გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ხალხების რელიგიურ-კულტურულ და ეთნოსური ტრადიციებიდან. ცნობილია, რომ თანამედროვე ევროპელი ხალხების ცნობიერება დიდად განსხვავდება, აფრიკელი და ავსტრალიელი აბორიგენი ხალხების ცნობიერებისაგან ეს განსხვავება იმის შედეგია, რომ ცივილიზებულმა ხალხებმა ბოლო ათასწლეულში ძლიერი განსჯითი აზროვნების უნარები განვითარეს, ხოლო ზოგიერთი კულტურა ძველი, სურათ-ხატოვანი შემეცნების საფეხურზე დარჩა (მიუხედავად საინფორმაციო ტექნოლოგიების და მეცნიერული, ტექნიკური სწრაფი განვითარებისა) რა თქმა უნდა, წარსულში შემეცნების ეს საფეხური ევროპელმა ცივილიზებულმა ხალხებმაც გაიარეს, მაგრამ გარკვეულწილად მას დღესაც ინარჩუნებენ. აქედან გამომდინარე სურათ-ხატოვანი ცნობიერება, რომელიც ზღაპრიდან მომდინარეობს დღესაც ერთ-ერთი მთავარია აფრიკელი და ავსტრალიელი აბორიგენებისათვის. ხოლო თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენელთათვის ბავშვობის ასაკშია აქტუალური აღმზრდელობითი მნიშვნელობით (3, 16-22). თავისი ზრდისა და განვითარების გზაზე ყველა ადამიანი ბავშვობის ასაკში გადის კაცობრიობის განვითარების იმაგინაციურ (წარმოსახვითი) გზას შემოკლებულ დროში, იმას რასაც კაცობრიობამ თავისი სულიერ განვითარების გზას მოანდომა ათასწლეულები, ბავშობაში ახლა 10- წელში გაივლის. მკვლევართა აზრით ბავშვი 8-9 წლამდე იმაგინაციურ სივრცეში ცხოვრობს. საკვირველია, მაგრამ ზღაპრულ სურათ-ხატებს ბავშვები უფრო ადვილად და მკაფიოდ აღიქვამენ ვიდრე მოზრდილები. ბავშვისათვის აუცილებელი არ არის მითებისა და ზღაპრების სიმბოლიკის აზრობრივი განხილვა, ამ სიმბოლიკის იმაგინაციური ზემოქმედება სრულიად საკმარისია მათთვის (3, 12). მართალია ეს ზემოქმედება ადამიანზე უშუალოდ ბავშვობის ასაკში მთავრდება, მაგრამ მისი გავლენა ადამიანზე მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება, ისინი ამ პერიოდში აგრძელებენ ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედებას ქვეცნობიერ დონეზე, შემეცნების ქვეცნობიერ სფეროში (6, 31- 32). ეს საკითხი რთული ფსიქოლოგიური კვლევის სფეროს განეკუთვნება დაუტოვოთ ამ საკითხის კვლევა ფსიქოლოგებს, ჩვენ კი გავაგრძელოთ „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპრისეული სურათხატობრივ აზრობრივი განხილვა, რასაც პირველ რიგში სამეცნიერო თვალსაზრისით, აქვს ღირებულება და მეტად მნიშვნელოვანია იმათთვის, ვინც ამ უკვდავ პოემას სხვადასხვა პედაგოგიური მეთოდებით ახალგაზრდა თაობას გადასცემენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მითოსური ალეგორიები და სიმბოლიკა მთელი კაცობრიობის ერთიანი აზრობრივი კუთვნილებაა. მიუხედავად ამისა ო. ქვრივიშვილის აზრით „ვეფხისტყაოსნში“ სიმბოლიკის სწორად გაგებისათვის საკმარისი არაა მხოლოდ ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელი სიუჟეტის გათვალისწინება. აუცილებელია მასში არსებული მითოსური სურათ-ხატების სწორედ ზღაპრულ, მითოსურ ენაზე წაკითხვა (4, 16-22). რა თქმა უნდა, ზღაპრის ტექსტთან შედარებით „ვეფხისტყაოსანს“- ში ბევრი რამ უფრო რთულად არის წარმოდგენილი სიუჟეტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. ასევე, პოემის ტექსტი ემოციური დატვირთვით აღემატება ზღაპარში განვითარებულ მოვლენებს. მსგავსება ის არის, რომ როგორც ზღაპრის შინაარსი, ხსენებული პოემის შინაარსიც, ერთ ვექტორზეა აგებული, მაგრამ გადმოცემის ენა ზღაპარში გაცილებით მარტივია, თავისუფალია ემოციებისაგან. „ვეფხისტყაოსანის“ - ის დასაწყისი მსგავსია ზღაპართა უმრავლესობისა, ქვეყანაში არის მოხუცი მეფე და მას არ ჰყავს გვარის გამგრძელებელი, ტახტის მემკვიდრე. არაბეთში არის მეფე როსტევეანი, რომელსაც პოეტი ალეგორიულად, გვიხატავს როგორც სრულყოფილ პიროვნულ ინდივიდუალობას:

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
 მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი,
 მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული განგებიანი,
 თვით მეომარი უებრო, ტკბილ მოუბარი წყლიანი.
 სახვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული“.

ისევე, როგორც ზღაპარში, პოემაშიც ნათლად იკვეთება, რომ ძველი მმართველობა ახლით უნდა შეიცვალოს, რაც სულიერ პლანში ძველი ცნობიერების ახლით შეცვლას ნიშნავს.

რუსთაველის პოემის შინაარსიდან ირკვევა, რომ ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას ასევე ინდოეთის სამეფო. შემდეგში პოემის სიუჟეტი ისევ ზღაპრის მსგავსად ვითარდება. ქაჯები იტაცებენ ნესტან დარეჯანს, ტარიელი მიდის მის გამოსახსნელად. იგი გზადაგზა იძენს მეგობრებს ვინც ამ საქმეში

დაეხმარება, საერთო ძალით იღებენ ქაჯეთის ციხეს და იმარჯვებენ ბოროტებაზე. ზღაპრის მკვლევართა აზრით, ეს ნიშნავს, რომ ინდივიდუალობამ თავისი ევოლუციის გზაზე, უნდა შეიძინოს ის აუცილებელი უნარები, რაც საჭიროა მის განვითარებისათვის (4, 16-22). ამ შემთხვევაში, შეძენილი მეგობრები ავთანდილი, ფრიდონი, ასმათი... თავისი ცოდნით თვისებებით და უნარებით არიან ალეგორიული გამოხატულება, ზემოთ ნახსენები აუცილებელი პიროვნული უნარებისა. ეს არის იგივე ხელდასხმის გზა, რაც არის კიდევ ჯადოსნური ზღაპრების ძირითადი თემა. აქვე გვინდა დავაკონკრეტოთ თუ რას გულისხმობს ხელდასხმა. ხელდასხმა ეს იგივეა, რაც კურთხევა, ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდლად კურთხევა ან უფრო მაღალ სასულიერო თანამდებობაზე გადაყვანა, რომელიც სრულდება გარკვეული მაღალი რანგის სამღვდლოების მეშვეობით, ქრისტიანული რიტუალის ჩატარებისას (რომელიც რა თქმა უნდა შეიცავს ქრისტიანულ საიდუმლოებათა შესრულებას). როგორც ვხვდებით ხელდასხმა არის კულმინაცია გარკვეული მომზადებისა, სწავლისა და გამოცდილების მიღებისა და ის სრულდება საიდუმლო რიტუალის შესრულებით ანუ „ინიციაციით“, „ინიციაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საიდუმლოებათა შესრულებას - პირველყოფილ საზოგადოებაში: ჭაბუკების განდობის, დალოცვის ცერემონია, რის შედეგადაც ისინი ითვლებოდნენ დასრულებულ მამაკაცებად“ (2, 15). რელიგიის ისტორია ანხვავებს ინიციაციის, ანუ ხელდასხმის სამ კატეგორიას: პირველი მოზრდილობის ასაკში გადასვლა (12-15) წელი; მეორე რიტუალი შეიცავს პიროვნების მიღებას რაიმე მისტიკურ საზოგადოებაში, ან სამშობში; მესამე არის პიროვნების მაგიური აღიარება, ცნობა პირველყოფილ რელიგიურ დონეზე (8, 5-7). ამ სამიდან ჩვენთვის საინტერესოა უფრო მეტად არის მეორე შემთხვევა, რომლის მიხედვითაც „ინიციაცია იყო რიტუალი, რომლის შედეგად ხდებოდა ჭაბუკების გადაყვანა მოზრდილთა კატეგორიაში. იგი შედგებოდა სხვადასხვაგვარი გამოცდებისაგან, რომელსაც წინ უძღოდა სპეციალური მომზადება“ (2, 14-15). სწორედ ის სპეციალური მომზადება უნდა ვიგულისხმოთ ზღაპრის გმირის, და ასევე „ვეფხისტყაოსნის“ გმირების განსაცდელში და ქმედებაში, რომლის მეშვეობითაც ისინი სურათხატოვან პლანში ამარცხებენ ბოროტებას, ხოლო ზღაპრის ენაზე იძენენ სათანადო უნარებს თავიანთი პიროვნულ-ინდივიდუალური სრულყოფისა და განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის აგების სტილი ჯადოსნური ზღაპრის მსგავსია, რა თქმა უნდა, ეს გენიალური პოემა არ არის მხოლოდ პოეტურ სტილში ახლებურად დაწერილი ზღაპარი. „მისი უმთავრესი ღირებულება იმაშია, რომ უაღესად ღრმა საღვთისმეტყველო სიბრძნე უმაღლესი დონის პოეტურ ფორმაშია გადმოცემული. სწორედ ამიტომ, რომ საუკუნეების მანძილზე მას ადამიანებზე ზემოქმედების ძალა იმ შემთხვევაშიც აქვს, როცა მკითხველი მის ალეგორიებში და რელიგიურ - ფილოსოფიურ ცნებებში საერთოდ არ არის გარკვეული“ (4, 16-22). ამდენად გამოდის, რომ ისევე როგორც ჯადოსნურ ხალხურ ზღაპარს აქვს აღმზრდელობითი ზემოქმედება ბავშვის ფსიქიკაზე, ასევე რუსთაველის ფილოსოფიური, რელიგიური, ეზოთერული ნაზრევი გადმოცემული პოემა „ვეფხისტყაოსანში“ წარმოადგენს ლიტერატურულ განძს, რომელსაც ჯადოსნური ზღაპრის მსგავსად, უდიდესი აღმზრდელობითი ზემოქმედების შინაგანი ძალა გააჩნია, რომლითაც ის მოქმედებს ადამიანის, როგორც ცნობიერ ასევე დაფარულ ქვეცნობიერ სფეროებზე.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, 1991.
2. ვასაძე ვ., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1998.
3. ქვრივიშვილი ო., ქართული ზღაპრების ხატოვანი მეტყველება, თბილისი, 2003.
4. ქვრივიშვილი ო., ვეფხისტყაოსნის ძირითადი მოტივები, თბილისი, 2016.
5. ყაუხჩიშვილი ს., გელათის აკადემია, თბილისი, 1949.
6. Бурн Б., Пегерсон Э., Рунбенг М., Сказки души Использование сказок в психотерапии, Москва, 2000.
7. Вачков И. В., Сказкотерапия Развитие самосознания через психологическую сказку Москва, 2001.
8. Геннел В. А., Инициация, Москва, 1999.
9. Пропп В. А., Морфология сказки, Москва, 1969.

Paata Kurdadze

Gori State Teaching University

**THE IMPACT LIKE A TALE OF "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN" ON A PERSON'S UPBRINGING
RESUME**

A Structure similar to the tale is discussed in the Poem "The Knight in the Panther's Skin ". There are some examples of researches given in the article about educational significances according to the European practice of tale studying. The author of the article agrees with the opinions of one group of researchers of "The Knight in the Panther's Skin" Z. Gamsakhurdia and O. Kvrivishvili and agrees with the idea that Rustaveli chose such style of the poem because he knew well that the formation of a person in the tale is given allegorically. And he created his poem in the way of allegorical interpretation. Therefore, the author of the article expresses the opinion that the poem "The Knight in the Panther's Skin" as well as magic tales serve the formation of a person's upbringing

ზურაბ ჩხიკვაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლიელა ხუბულური

დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია

მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება - უკეთესი კომუნიკაციის წინაპირობა

„მოსმენის პროცესი არის აქტივობა, სადაც მსმენელი ირჩევს და ამუშავებს ინფორმაციას, რომელსაც იღებს სმენითი და მხედველობითი „არხებით“, რათა განსაზღვროს რა ხდება და რისი თქმა სურს მოსაუბრეს“
(Thompson & Rubin, 1996).

მოსმენის საჭიროება

უცხოური ენების, კერძოდ კი ინგლისური ენის, შემსწავლელებისა და სტუდენტების მიზანია გამოუმუშავდეთ და დაეუფლონ მოსმენის უნარ-ჩვევებს. კერძოდ კი, გაიგონ ინგლისურ ენაზე მოსაუბრის აზრი პირდაპირ საუბარში, გაიგონ ტელე-რადიო გადაცემებში მოცემული ბგერითი ინფორმაცია, ან მოისმინონ და გაიგონ ელექტრონულ ან კასეტურ მატარებლებზე ჩაწერილი ხმოვანი მასალა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები ხშირად საკმაოდ განსხვავებულად საუბრობენ, ვიდრე წერენ. ზოგადად, ცნობილია რომ ადამიანთა საუბრის სტილი და წერის სტილი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.

მოსმენა საუკეთესო საშუალებაა უცხო ენაზე მახვილის, ინტონაციის, წარმოთქმის და გაბმული მეტყველების გამომუშავებისთვის. აღსანიშნავია ის, რომ წარმატებული სამეტყველო კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ ჩვენს სამეტყველო უნარებზე, არამედ მოსმენის სრულყოფილ უნარებზე.

სტუდენტებისთვის მოსმენის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა მასწავლებლის ხმა და ამიტომ სასურველია მათ საშუალება ჰქონდეთ ენა შეისწავლონ არა ერთი, არამედ რამდენიმე პედაგოგისგან, რადგან ერთი მასწავლებლის მეტყველების ინდივიდუალიზმი ვერ უზრუნველყოფს ენის ფონეტიკური მრავალფეროვნების დემონსტრირებას, თუნდაც ეს უკანასკნელი დიდი ბრიტანეთიდან იყოს (თვითონ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზეც ერთი და იგივე სიტყვების ფონემათა ერთი და იგივე ფორმები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ჟღერადობით გადმოიცემა, ხოლო მეტყველების ნაწილები ზოგჯერ სხვადასხვა მორფოლოგიურ და სინტაქსურ ფუნქციებს იღებს. მაგ. „I done it yesterday“ გამოყენებულია *done*, ზმნის III ფორმა *did* II ფორმის ნაცვლად; „Happen it'll rain“ გამოყენებულია *Happen* ზმნა *maybe* ან *perhaps* ზმნიზედების ნაცვლად.

მოსმენის სახეები

შეგვიძლია გამოვყოთ მოსმენა-აუდირების ორი სახეობა: ინტენსიური და ექსტენსიური მოსმენა. როგორც ექსტენსიური კითხვა, ასევე ექსტენსიური მოსმენაც კლასგარეშე აქტივობაა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა მიზნებითა და საშუალებებით. (უმთავრესად გასართობად გარკვეული არასასწავლო მიზნით გამოიყენებენ CD, MP3, DVD-ფლეიერებს, ვიდეო ან ინტერნეტ საშუალებებს კლასის მასწავლებლის ან ენობრივი ფასილიტატორების დამხმარების გარეშე. ამავე აქტივობას მიეკუთვნება ენის მატარებლებთან (უცხოელებთან) ენობრივი კონტაქტი-პრაქტიკაც.

ექსტენსიური მოსმენის აქტივობების გასაძლიერებლად ახალ სახელმძღვანელოებსა და რიდერებს მოჰყვებათ სახლში დამოუკიდებლად მოსასმენი CD დისკები, სადაც განმარტებულია სასწავლო და წასაკითხი მასალა და ტექსტები. ასევე არსებობს უამრავი მოსასმენი მასალა ინტერნეტში, რომელიც სტუდენტს შეუძლია ჩამოტვირთოს და გამოიყენოს. ექსტენსიური მოსმენის ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალებაა სუბტიტრებიანი ინგლისურენოვანი ფილმების ყურება, სადაც მოსმენილის გააზრებას დიდად უწყობს ხელს სუბტიტრების კითხვა. აქ ხდება მსმენელის მიერ ყურით გაგებული მასალის მხედველობით გადამოწმება.

ინტენსიური მოსმენა ექსტენსიურისგან სრულიად განსხვავებული აქტივობაა. ამ შემთხვევაში სტუდენტი ისმენს და მუშაობს მოსმენა-გაგების უნარ-ჩვევების გამომუშავება-განმტკიცებაზე. ეს აქტივობები ძირითადად ტარდება კლასში ან აუდიო ლაბორატორიებში (ფონოდარბაზებში) მასწავლებლის ან ენობრივი ფასილიტატორის ხელმძღვანელობითა და ყურადღების ქვეშ, რომელიც შესაბამის მითითებებსა და დახმარებებს უწევს სტუდენტებს მოსმენასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში.

მოსმენის უნარ-ჩვევები

მოსმენის პროცესში სტუდენტებმა უნდა შეძლონ მოსმენა-გაგების მთელი რიგი სხვადასხვა ფორმების აღქმა. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა შეძლონ პარალინგვისტური მინიშნებების შეცნობა (სამეტყველო კომუნიკაციის ასპექტი რომელიც ხორციელდება სიტყვების გარეშე, როგორცაა: არტიკულაცია, სახის გამომეტყველება, ინტონაცია და ა.შ.) რათა უკეთ გაიგონ და გაიზიარონ მოსაუბრის განწყობა, სასაუბრო თემის აზრი და მნიშვნელობა. ასევე, მათ უნდა შეეძლოთ სპეციფიკური ინფორმაციის მოსმენა-დეკოდირება (დრო, ამინდი, პლატფორმის ნომერი, რეისი აეროპორტში და ა.შ.).

ზოგადად, სტუდენტები თავიანთ მშობლიურ ენაზე ადვილად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა თემებზე სხვადასხვა გზების საშუალებით, მაგრამ ჩვენი მიზანია მათ გამოვუმუშაოთ ჩვევები ინგლისურ ენაზე ინფორმაციის სრულყოფილად მიღებისა.

მოსმენის დონეები

დღესდღეობით არსებობს სხვადასხვა ჟანრის მოსასმენი მასალა (ახალი ამბები, ხმოვანი შეტყობინებები, განცხადებები, ხმოვანი ლექციები, სატელეფონო საუბრები, ჩაწერილი დიალოგები და ა.შ.). სტუდენტთა ენობრივი დონის გათვალისწინებით მასწავლებელი არჩევს მოსასმენ მასალას - ავთენტურს თუ არაავთენტურს.

ავთენტური აუდიო მასალა გამოიყენება ენის შესწავლის ზედა დონეზე. ასეთად მიიჩნევა რადიო-ტელევიზიის ან ინტერნეტიდან ამოღებული მასალათა უმეტესობა, რომელთა მოსმენა -გაგება ძალიან უჭირთ მოსმენაში დაბალი კომპეტენციების მქონე სტუდენტებს.

ამ კატეგორიის სტუდენტებთან საჭიროა გამოვიყენოთ შესაბამისი დონის აუდიო მასალა, თანდათან გავართულოთ აჩქარების გარეშე და შემდეგ გადავიყვანოთ ავთენტური მასალის მოსმენაზე.

მოსასმენი მასალა/ წყაროები და საშუალებები

მოსმენა - აუდირების მასალათა უმეტესობა ჩაწერილია CD ან სხვადასხვა სახის MP3 ფლეიერებზე და ისინი თან ახლავს ენების შესასწავლ თანამედროვე სახელმძღვანელოებს, როგორც ძირითადი ან დამატებით სამუშაო კომპონენტები. ასევე, ინტერნეტში არის სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი უამრავი აუდიო მასალა, რომელიც შეიძლება ჩამოიტვირთოს ყოველგვარი კოპირების უფლების დარღვევის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ჩანაწერების მოსმენა სრულიად განსხვავებული აქტივობაა „ცოცხალი მოსმენისგან“ (*live listening*). ეს სახელი ეწოდა და აღნიშნავს რეალურ, ცხოვრებისეულ, პირისპირ ინტერაქციას, რომელიც მიმდინარეობს კლასში ენობრივ გაკვეთილებზე ან კლასის გარეთ. საერთოდ, მასწავლებლის ინგლისურ ენაზე მეტყველებაც სტუდენტებისთვის მოსმენის აქტივობაა. ასევე, მეტად პროდუქტიული აქტივობაა „ენის მატარებლის“ სასწავლო პროცესში ჩართვა, ან თვითონ სტუდენტებს შორის როლური-თამაშების მოწყობა, სადაც ერთი-მეორეს კიდევ ელაპარაკებიან და უსმენენ.

ცოცხალი მოსმენის უპირატესობა, ჩანაწერებთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალ ინტერაქციაში მოსმენის პროცესი და გამოცდილება უფრო მიმზიდველი, დინამიური და ნაყოფიერია.

მოსმენასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

1. განუმარტოთ სტუდენტებს მოსმენის საჭიროება და აუცილებლობა.

მეტი მოსმენა - უკეთესი აღქმა ინგლისური წარმოთქმისა, ინტონაციისა და ენის რითმისა.

მეტი მოსმენა გაკვეთილზე და მეტი კლასგარეშე მოსასმენი დავალებების შესრულება.

2. დავებმართოთ სტუდენტებს მოემზადონ მოსასმენად.

სტუდენტი უნდა „შემზადდეს“ და შექმნას მოსმენის განწყობა, ამისთვის წინასწარ უნდა გაირჩეს თემა ან წავაკითხოთ, გავაცნოთ მასთან დაკავშირებული კითხვები. თუ საშუალებაა, უნდა ნახოს მასალასთან დაკავშირებული ნახატი ან სურათი და, აქედან გამომდინარე, გამოიციონ / ივარაუდონ რაზეა მოსასმენი.

3. ერთხელ მოსმენა შეიძლება არ იყოს საკმარისი.

მასალის ერთხელ მოსმენა თითქმის არასოდეს არის საკმარისი სტუდენტისათვის. მას აუცილებლად დასჭირდება მეორეც - რათა პირველი მოსმენისას „გამოტოვილი“ ინფორმაცია უკეთ გაიაზროს და შეავსოს.

პირველი მოსმენა ხშირად გამოიყენება მსმენელისათვის თემასთან დაკავშირებით ზოგადი წარმოდგენის შექმნაზე, თუ რაზეა საუბარი, რათა მომდევნო მოსმენა უფრო ადვილი და პროდუქტული იყოს. დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე შეგვიძლია აუდიო მასალა პაუზებით მივცეთ სტუდენტებს.

„ცოცხალი მოსმენის“ დროს კი სტუდენტი უნდა წავახალისოთ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ითხოვოს ნათქვამის გამეორება ან პერეფრაზირება მოსაუბრისაგან თუკი ამის საჭიროება არსებობს.

4. წავახალისოთ სტუდენტი გასცეს პასუხი მოსასმენ ტექსტთან დაკავშირებულ კითხვებზე.

აუდიოების აქტივობების თანმიმდევრობის დროს მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გამოიკითხოს და გაიგოს სტუდენტის „დამოკიდებულობა“ მოსასმენი მასალის შინაარსთან დაკავშირებით ისეთი კითხვებით, როგორცა: „საინტერესო მოსასმენია? ეთანხმებით მთხრობელის/ავტორის აზრს? და ა.შ.“ განჭვრიტოს და დაადგინოს რა ხდება და რა შთაბეჭდილებას ახდენს მასალის შინაარსი სტუდენტზე.

5. აუდიოების სხვადასხვა ეტაპები მოითხოვენ სხვადასხვა დავალება-აქტივობებს.

აუდიოების ეტაპებთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომებია გასათვალისწინებელი. პირველი მოსმენისათვის შერჩეული მასალა და დავალება უფრო მარტივი და ზოგადი უნდა იყოს, რათა სტუდენტმა წარმატებით გაართვას თავი დავალებას და ამ აქტივობასთან დაკავშირებული სტრესი მნიშვნელოვანწილად შემცირდეს, მაგრამ აუდიოების შემდგომი ეტაპები ფოკუსირებული უნდა იყოს ტექსტში გადმოცემული ამა თუ იმ სახის დეტალურ ინფორმაციაზე, მისი გაგების შემოწმებაზე და სხვ. აქ საჭიროა მასწავლებელმა სტუდენტს მისცეს კონკრეტული მითითება, თუ რაზე იქნეს ყურადღება გამახვილებული სამუშაოს შესრულების პროცესში.

ვიდეო მასალაზე მუშაობა

ვიდეო საშუალებებზე მსჯელობისას, ამ ტერმინში „ვიდეო“, მოვიაზრებთ თანამედროვე სასწავლო ყველა სახის ელექტრონულ აღჭურვილობას, როგორცაა: პროექტორი (overhead projector), ინტერაქტიული დაფა (interactive whiteboard- IWB), მონაცემთა პროექტორი (data projector), ციფრული ვიდეო დისკი (DVD) და სხვ.

როგორც სხვა მოსასმენი, ვიდეო მასალაც უნდა შეირჩეს სტუდენტთა ენობრივი დონის, ინტერესისა და სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე. ძალიან რთული ან მარტივი მასალის შერჩევის შემთხვევაში მსმენელის მოტივაცია იკლებს და მიმდინარე პროცესში მათი ჩართულობა ძალიან დაბალია.

მოსასმენი თემის შინაარსის გახსნის თვალსაზრისით „ვიდეო“ უფრო მდიდარი საშუალებაა, ვიდრე აუდიო ჩანაწერი. ფილმის კადრების ვიზუალური მხარე, გარდა ლაპარაკისა, როგორცაა: მოქმედ პირთა მოძრაობა, ჩაცმულობა, მუსიკა, სურათები და მიზანსცენები, სადაც სიუჟეტი ვითარდება, დამატებითი ფონური მინიშნებაა თემის შინაარსის სიღრმისეულად გასაგებად. ზოგიერთი მასწავლებელი თვლის, რომ მოსმენისათვის ვიდეოს გამოყენება ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე აუდიო. რადგან ვიდეოს ყურების დროს მაყურებლის მხედველობის ორგანოები უფრო აქტიურია, ვიდრე სმენის. საშიშროება ერთშია: სტუდენტმა ვიდეო მასალა არ უნდა მიიღოს როგორც გასართობი, არასიღრმისეული დაკვირვების სამუშაო დავალება. მრავალი მეთოდური წიგნის ავტორი და ტრენერი, მასწავლებელი ჯერემი ჰარმესი გვთავაზობს ვიდეო კადრებით მუშაობის რამოდენიმე მიდგომა-ტექნიკას:

1. გაუშვი ვიდეო გახმოვანების გარეშე: სტუდენტები და მასწავლებელი მსჯელობენ, თუ რაზე შეიძლება საუბრობდნენ მოქმედი პირნი. როდესაც კლასი შეთანხმდება ან ჩამოაყალიბებს რამდენიმე მოსაზრებას, მასწავლებელი ჩართავს ხმოვან კადრებს და შეამოწმებს კლასის „მიხვედრილობას.“

2. ამ აქტივობის რევერსული მოქმედებაა „ვიდეოს გაშვება“ გახმოვანებით, კადრების ჩვენების გარეშე: სტუდენტები უსმენენ და მსჯელობენ, თუ რა გარემოში ხდება მოქმედება, ან როგორ გამოიყურებიან მოქმედი პირნი. აზრის გამოკვეთის შემდეგ მასწავლებელი რთავს ვიდეოს ახლა უკვე გახმოვანებული კადრებით და ამოწმებს კლასის მიერ ნავარაუდები ვარიანტების სისწორეს.

3. კადრების გაყინვა ეკრანზე: მასალის გაშვებიდან გარკვეული ხნის შემდეგ მასწავლებელი პაუზის ღილაკით „ყინავს კადრს“ ეკრანზე და ეკითხება კლასს ფილმში მომავალი მოსალოდნელი მოქმედებების შესახებ.

4. კლასის ორად გაყოფა: ვიდეო-აუდიო-რეგისტრაციის გაკვეთილზე კლასი იყოფა ორად. ერთი ნახევარი პირსახით ეკრანისკენაა, ხოლო მეორე ნახევარი ზურგით. მასწავლებელი რთავს ვიდეოს გახმოვანების გარეშე. პირველი (პირსახით ეკრანისკენ) ჯგუფი აღწერს ზურგით მჯდარ ჯგუფს, თუ რა ხდება ეკრანზე. საჭიროების შემთხვევაში მოქმედებები პაუზებითაც შეიძლება განხორციელდეს.

ამ ნაშრომში ჩვენ შევხებით მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარების გავლენას უცხო ენაზე სწორი წარმოთქმისა და კომუნიკაციის სრულყოფაში

განვსაზღვრეთ ინტენსიური (დეტალური) და ექსტენსიური მოსმენის აქტივობებს შორის განსხვავებები და აღვნიშნეთ, რომ ექსტენსიური მოსმენის შემთხვევაში ჩანაწერი, რომელსაც უმეტესად გართობა დასვენებისათვის ისმენს სტუდენტი, მისთვის მეტ-ნაკლება გასაგები და შესატყვისი დონის უნდა იყოს.

განვიხილეთ განსხვავება „ცოცხალ მოსმენასა“ და წინასწარ ელექტრომატარებლებზე ჩაწერილ აუდიო მასალებთან მუშაობას შორის. აღვნიშნეთ, რომ ცოცხალი მასალა საშუალებას გვაძლევს ინტერაქცია გვექონდეს მოსაუბრესთან, რასაც ვერ უზრუნველყოფს ელექტრომატარებლებზე ჩაწერილი აუდიო გაკვეთილები.

განვიხილეთ სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის სტუდენტებთან ავთენტური აუდიო ჩანაწერების გამოყენების ეფექტურობა და აღვნიშნეთ, რომ მოსმენის უნარების დაბალი დონის აუდიტორიასთან სპეციფიკური ავთენტური მასალის გამოყენება ნაკლებმედეგიანია, თუმცა მასალებმა, რომელთაც ისინი უსმენენ უნდა უზრუნველყონ მაღალი დონის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მოცემულია მოსმენის აქტივობასთან დაკავშირებული ხუთი მეთოდური რეკომენდაცია:

1. განვუმარტოთ სტუდენტებს მოსმენის საჭიროება და აუცილებლობა.
2. დავებმართოთ სტუდენტებს მოემზადონ მოსასმენად.
3. ერთხელ მოსმენა შეიძლება არ იყოს საკმარისი.
4. წავახალისოთ სტუდენტი გასცეს პასუხი მოსასმენ ტექსტთან დაკავშირებულ კითხვებზე.
5. აუდიო-რეგისტრაციის სხვადასხვა ეტაპები მოითხოვენ სხვადასხვა დავალება-აქტივობებს.

ნაშრომში ასევე განხილულია ჯერემი ჰარმერის მიერ შემოთავაზებული ვიდეო კადრებით მუშაობის რამოდენიმე მიდგომა-ტექნიკა.

ლიტერატურა:

Jeremy, H (2012) How to teach English, Pearson Education Limited Larsen-Freeman, D., & Anderson, M. (2011). *Techniques and Principles in Language Teaching* (Kindle ed.). Oxford University Press.

Saville-Troike, M. (2006). *Introducing Second Language Acquisition* (Kindle ed.). New York: Cambridge University Press.

Brandl, K. (2008). Principles of Communicative Language Teaching and Task-Based Instruction. In *Communicative Language Teaching in Action: Putting Principles to Work*. Prentice Hall.

Hadfield, J. Hadfield, C (1999) simple listening activities. Oxford University Press

კრავიცივილი მ. (2002) უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია. გამომც. ენა და კულტურა. თბ.

დოლონაძე ნ. (1998) უცხოური ენების სასწავლო-მეთოდური კომპლექსის შედგენისა და გამოყენების პრობლემა მოზრდილთა სწავლებაში (ინგლისური ენის მასალაზე). თბ.

Zurab Chkhikvadze

Gori State Teaching University

Lela Khubuluri

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

DEVELOPING LISTENING SKILLS – ASSUMPTION FOR BETTER COMMUNICATION RESUME

The presented article “Developing Listening Skills-Assumption for Better Communication” deals with the influence of developed listening skills on correct pronunciation and better communication.

The article touches upon the following issues: reasons for listening; different kinds of listening; listening skills; listening levels; listening sources; listening principles.

The article defines the difference between intensive and extensive listening activities. The tasks and objectives for each type of listening should be selected depending on the language level of the students.

The article also defines the difference between “live listening” and working with recorded materials. The live material allows interaction with the speaker which cannot be maintained by recorded audio lessons, though recorded sources provides with “speakers” of various accents, pronunciation and communication styles.

The article also presents main listening principles. Students should be explained the necessity of listening skill and the ways of its improving.

*ნელი ჭამპურიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მედი ბიბლიური
ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი (პოლონეთი)*

კონფლიქტის მართვისა და მედიაციის სწავლების სტრატეგიები

რამდენადაც საინტერესო და მრავალფეროვანია მოზარდისთვის სასკოლო ცხოვრება, იმდენად რთულიცაა და საპასუხისმგებლო. ის თანატოლებისგან ყოველდღიურად უამრავ ემოციას, სირთულეს თუ პრობლემას ხვდება, რაც ხშირად უსამართლობისა და დაუცველობის განცდას უჩენს მას, არღვევს მისთვის ფასეულ ადამიანურ ღირებულებებს, საფრთხეს უქმნის ეფექტიან სასკოლო ცხოვრებას და სასწავლო განწყობას უქვეითებს. ამ ყოველივესთან საკუთარი ძალებით გამკლავება ხშირად უჭირს მოზარდს, რადგან არ ჰყოფნის ცოდნა, გამოცდილება და სითამამე. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად მენტორი მასწავლებელი არის „1. სკოლასა და სასკოლო თემში ინტერკულტურული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშემწყობი საქმიანობების, სკოლაში ქცევის მართვასთან დაკავშირებული კვლევების ინიციატორი; კვლევის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლაში პოზიტიური გარემოს დასამკვიდრებლად; 2. ამკვიდრებს სკოლაში მედიაციის კულტურას.“ [“მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” თავი IV2, მკვლევარი მასწავლებელი, მუხლი 135.]

შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორები ასე ჩამოყალიბდა: მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის საშუალებები. რომელიც შესაძლებელს ხდის საკუთარი თავის ადეკვატურად შეფასებას, რეალიზებას და ემოციების მართვას. ხელს უწყობს პიროვნული პოტენციალის განახლება-განვითარებას, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას და გადაწყვეტილებების მიღებას.

სკოლის მოსწავლეთა სამართლებრივი განათლება ემსახურება მოზარდებში მონაწილეობითი დემოკრატიის ბუნებისა და სამართლებრივი პრინციპების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და ფასეულობების გავრცობას. სამართლებრივი აღზრდა-განათლების შედეგი უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, ჰუმანური, მაღალი მართლშეგნების მქონე კანონმორჩილი პიროვნების ჩამოყალიბება. ასეთი პიროვნება დაიცავს როგორც საკუთარ, ისე სხვების უფლებებსა და ღირსებას, საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებაზე ოჯახის, თემის და მთლიანად საზოგადოების წინაშე. სკოლა კი ის ადგილია, სადაც კონფლიქტი ყოველდღე ხდება: მოსწავლეებს შორის, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ფსიქოლოგები სასკოლო კონფლიქტებს ორ ჯგუფად: მოგვარებულ და მოუგვარებელ კონფლიქტებად ყოფენ. ისინი ამბობენ, რომ მოგვარებული კონფლიქტები სკოლაში მყოფ ადამიანთა ინტერაქციის, განვითარებისა და ზრდის აუცილებელი პროცესია. მოგვარებული კონფლიქტის შემდეგ მოსწავლე და მასწავლებელი სკოლის კულტურის ნაწილი ხდებიან და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მიმდინარეობას განსაზღვრავენ. სტრესისა და კონფლიქტის დროს მოსწავლეებს მასწავლებლების დახმარება სჭირდებათ. სწორი კომუნიკაცია, თანატოლად აღიარება, დასჯაზე უარის თქმა, თვითშეფასების ამაღლებაში

დახმარება და მშობლებთან მოლაპარაკება კონფლიქტის აღმოფხვრის ყველაზე ეფექტური საშუალებებია. კონფლიქტის კონსტრუქციული გადაჭრა არსებითი საკითხია კლასში, რადგან კონფლიქტი სწავლებისას გარდაუვალი და საჭიროც კია. პიაჟეს განვითარების თეორია და კონცეპტუალური ცვლილებების სწავლების გამოკვლევა გვეუბნება, რომ ნამდვილი სწავლება კოგნიტურ კონფლიქტს მოითხოვს. კონფლიქტის მოგვარება ძალიან რთულია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით თუ საზოგადოების მოსაზრებას განვიხილავთ, გავოცდებით, რა მწირი ინფორმაცია აქვს ხალხს მოსწავლეებს შორის არსებული კონფლიქტების შესახებ.

სკოლა ის ადგილია, სადაც კონფლიქტი ყოველდღე ხდება: მოსწავლეებს შორის, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის... ფსიქოლოგები სასკოლო კონფლიქტებს ორ ჯგუფად: მოგვარებულ და მოუგვარებელ კონფლიქტებად ყოფენ. ისინი ამბობენ, რომ მოგვარებული კონფლიქტები სკოლაში მყოფ ადამიანთა ინტერაქციის, განვითარებისა და ზრდის აუცილებელი პროცესია. მოგვარებული კონფლიქტის შემდეგ მოსწავლე და მასწავლებელი სკოლის კულტურის ნაწილი ხდებიან და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მიმდინარეობას განსაზღვრავენ. ამიტომაც გვმოდვრავდა ილია ჭავჭავაძე: “სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერთობისა, ამამალლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომგენი ღონისძიება”. (“შინაური მიმოხილვა”. 1879 წ. იანვარი) სტრესისა და კონფლიქტის დროს მოსწავლეებს მასწავლებლების დახმარება სჭირდებათ. სწორი კომუნიკაცია, თანატოლად აღიარება, დასჯაზე უარის თქმა, თვითშეფასების ამაღლებაში დახმარება და მშობლებთან მოლაპარაკება კონფლიქტის აღმოფხვრის ყველაზე ეფექტური საშუალებებია.

მედიაცია სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება როგორც დავების მოგვარების ეფექტური და ეკონომიური მეთოდი. მედიაცია (ლათ. მედიარე - შუამავლობა) - სასამართლოს გარეშე კონფლიქტის მოგვარების ფორმა, რომელშიც მონაწილეობს მესამე, ნეიტრალური მხარე - მედიატორი. „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანების თანახმად, მედიაცია განიმარტა როგორც - არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის მოგვარება. მედიაციის პროცესში აგრეთვე მონაწილეობენ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და განსაკუთრებულ შემთხვევაში, სხვა პირები. მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ყველაზე რბილ ფორმას წარმოადგენს. მედიაციის პროცესის დროს, კონფლიქტში მონაწილე მხარეები, დამოუკიდებლად მიდიან ურთიერთსასარგებლო გამოსავალთან, რომელიც ეფუძნება მედიატორის გამოცდილებას, ცოდნას და უნარებს. დავის გადაწყვეტა მთლიანად დაპირისპირებული მხარეების ნებაზეა დამოკიდებული. [3: 7]

კონფლიქტის კონსტრუქციული გადაჭრა არსებითი საკითხია კლასში, რადგან კონფლიქტი სწავლებისას გარდაუვალი და საჭიროც კია. პიაჟეს განვითარების თეორია და კონცეპტუალური ცვლილებების სწავლების გამოკვლევა გვეუბნება, რომ ნამდვილი სწავლება კოგნიტურ კონფლიქტს მოითხოვს. მოსწავლეებს, რომლებიც ცდილობენ, იყვნენ ჯგუფის შემადგენლობაში, ერთმანეთში ინტერპერსონალური კონფლიქტები ექნებათ, რამაც ასევე შეიძლება მიგვიყვანოს სწავლამდე. მე-10-კლასელ მოსწავლეებს შორის ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო შეცდომას უშვებდნენ, ამ შეცდომებს ერთად მსჯელობისას ასწორებდნენ, როცა საკუთარ მცდარ, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს განიხილავდნენ. სულ უფრო მეტი კვლევა ადასტურებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მოსწავლეს არ გააჩნია თანამშრომლურად და კონსტრუქციულად ურთიერთობის სოციალური უნარები, ასეთი უნარების მათთვის სწავლება შესაძლებელია (გოლდსტეინი, 1988). პედაგოგები, რომელთა სურვილია შეამცირონ უარყოფითი ურთიერთქმედებები და გაზარდონ პოზიტიური ურთიერთობები, თვლიან, რომ სკოლაში განხორციელებული კონფლიქტის მართვის და მედიაციის პროგრამები ქმნიან სტრუქტურას, რომელიც მოსწავლეებს აწვდის დადებითი ინტერაქციის, ურთიერთქმედების უნარებს (ვან სლივი და სტერნი, 1991). გაუმჯობესებული სოციალური უნარები ეხმარება მოსწავლეებს სკოლაში და შემდგომ ბაზარზე წარმატების მიღწევაში. სკოლის ბაზაზე კონფლიქტების მოგვარების პირველი პროგრამა 1972 წელს ნიუ იორკში განხორციელდა. ასევე, თანატოლთა მედიაციის პირველი პროგრამები გამოჩნდა 1980-იანი წლების დასაწყისში სან-ფრანცისკოში, ჩიკაგოსა და ნიუ-იორკში. კანადაში თანატოლთა მედიაციის პირველი პროგრამა დაიწყო ქალაქ ოტავაში 1987 წელს. ამჟამად, აშშ-სა და ევროპაში უკვე მოქმედებს სკოლებში კონფლიქტების მოგვარების სხვადასხვა პროგრამები. კონფლიქტების არსებობის პირობებში მთავარი სტრატეგიაა უგულუბელყოფა, ძალა და მუქარა. თუმცა არსებობს უკეთესი გზებიც - თანატოლთა მედიაცია და მოლაპარაკების სტრატეგიები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე

ისწავლება. მედიაციის სწავლებისას მთავარი მიზანი მოზარდებში ობიექტურობის და თანაგრძნობის აღზრდაა. მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის გასათვალისწინებელია, რომ: ა) მედიატორად შეირჩეს მოსწავლე, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს თანატოლთა შორის; ბ) მედიაციის დაწყებამდე განისაზღვროს ძირითადი წესები, რომლებიც დაარეგულირებს მთელ პროცესს, მაგალითად, ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმებს, პირველად რომელი მხარე იწყებს საუბარს და ა.შ.

როგორ უნდა დაიგეგმოს გაკვეთილი?

მიზნები. გაკვეთილის დაგეგმვისას პირველ რიგში განსაზღვრული უნდა იყოს მიზანი. მიზანში უნდა ჩანდეს, რა ინფორმაციული ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა მისცეთ მოსწავლეებს, რისი მიღწევა გინდათ სწავლის პროცესში. მიზნების განსაზღვრა საფუძველს ქმნის როგორც მოსწავლეების პროგრესის შემოწმებისათვის, ასევე, მასწავლებლების თვითშეფასებისათვის, ვინაიდან განსაზღვრავს მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს. წინაპირობები აღწერეთ, რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს, რომ შესაძლებელი იყოს გაკვეთილის სასწავლო მიზნების მიღწევა. მსვლელობა მოიფიქრეთ როგორი უნდა იყოს გაკვეთილის შინაარსი და მიმდინარეობა, დაალაგეთ თანამიმდევრულად. რომელი აქტივობები გაქვთ დაგეგმილი? როგორი იქნება მათი თანამიმდევრობა? რას გააკეთებთ მიზნის მისაღწევად თქვენ და რას გააკეთებენ მოსწავლეები? როგორ დაასრულებთ გაკვეთილს.

მოსწავლეების ორგანიზება. მოიფიქრეთ, როგორ მოახდენთ მოსწავლეების ორგანიზებას და როგორ მიუსადაგებთ სამუშაოს მათ შესაძლებლობებს? როგორ ამუშავეთ მოსწავლეებს - ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში თუ მთელ კლასთან ერთად?

დროის განაწილება. მოიფიქრეთ, როგორ გაანაწილოთ დრო შეხვედრის სხვადასხვა კომპონენტზე? რამდენ წუთს დაუთმობთ თითოეულ აქტივობას?

რესურსები. რა გჭირდებათ, რომ სასწავლო პროცესი ეფექტიანად წარმართოთ? რა ტიპის რესურსებს გამოიყენებთ? (სახელმძღვანელოს, ჟურნალებს, სტატიებს, სამუშაო ფურცლებს, ტელეფონებს, ინტერნეტს და ა.შ.)

შეფასება. როგორ უნდა შეამოწმოთ მიღწეული შედეგები? რა უნდა შეძლონ მოსწავლეებმა იმისთვის, რომ იცოდეთ, მიაღწიეთ თუ არა მიზანს?

რეფლექსია ანუ თვითშეფასება. გაკვეთილის დასრულების შემდეგ მასწავლებელი და პოლიციელი უნდა დაფიქრდნენ, რა იყო შეხვედრაზე კარგი, რისი გაუმჯობესებაა სასურველი. გააკეთეთ იმის ანალიზი, თუ რა გასურდათ (მიზანი) და რას მიაღწიეთ (შეფასების შედეგები). რა გამოვიდა კარგად და რა ცუდად. შეხვედრის შეფასება მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მიზანს. სწორად შერჩეული აქტივობებით (მედიაციის პროცესის გათამაშებით) მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს მედიაციისა და კონფლიქტის სასარგებლო უნარ-ჩვევების ათვისებაში. გაკვეთილის პროცესში გამოყენება როლური თამაში.

ირჩევა:

- მედიატორი, რომელსაც ევალება მედიაციის პროცესის ორგანიზება;
- დამკვირვებელი, რომელსაც ევალება მოლაპარაკების პროცედურებში გარკვევა, რათა შეძლონ უკეთ დააფიქსირონ დაშვებული შეცდომები;
- დაპირისპირებული მხარეები - იმისათვის, რომ შეაჯერონ და გამოკვეთონ თავიანთი პოზიციები;

მოლაპარაკების შემდეგ პედაგოგი კლასს იწვევს ერთობლივ განხილვაზე და სვამს კითხვებს:

- როგორ ჩაიარა მოლაპარაკებამ?
- რამ გაგიადვილათ პროცესის წარმართვა? (კითხვა მედიატორებს)
- რა შეცდომა დააფიქსირეთ? (კითხვა დამკვირვებლებს)
- გამოვლინდა თუ არა საერთო ინტერესები?
- მივიდნენ თუ არა მხარეები შეთანხმებამდე?
- რა სტრატეგიით მოხდა კონფლიქტის მოგვარება?
- დარჩნენ თუ არა მხარეები კმაყოფილი შედეგით?

საინტერესო მოსაზრებებს პედაგოგი ჩამოწერს დაფაზე და აკეთებს შეჯამებას:

მედიაციის მთავარი პრინციპები:

1. მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ნებაყოფლობითობა;
2. მედიატორის ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა;
3. პროცესის კონფიდენციალურობა.

მედიაციის ეტაპები:

- „კოკუსი“;
- შესავალი სიტყვა, წესების შემუშავება;
- მხარეთა გამოსვლა;

- ინტერესების გარკვევა;
- წინადადებების წამოყენება;
- გადაწყვეტილების გამოტანა-შეთანხმება;
- შეთანხმების შესრულება.

მედიატორის უნარ-ჩვევები: პროცესის ორგანიზება, აქტიური მოსმენა, გრძნობები ვენტილაცია, ფაქტების გამოცალკევება, რეალობის ტესტირება, გონებრივი იერიშის ჩატარება.

კონფლიქტების არსებობის პირობებში მთავარი სტრატეგიაა უგულვებლყოფა, ძალა და მუქარა. თუმცა არსებობს უკეთესი გზებიც – თანატოლთა მედიაცია და მოლაპარაკების სტრატეგიები. კონფლიქტების მოგვარების უფრო ეფექტური სტრატეგიაა, როცა თავად მოსწავლეები აქტიურ როლს თამაშობენ კონფლიქტების მოგვარებაში, ამისათვის მათ უნდა ვასწავლოთ მოლაპარაკების წარმართვა და მოვამზადოთ ისინი კონფლიქტში მედიატორის როლის შესასრულებლად. სკოლამ მოსწავლეებს უნდა მისცეს ცოდნა, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად, განუვითაროს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ლიტერატურა:

1. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, წიგნი III, ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, 2009.
2. გზა უფლებებისაკენ, მასწავლებლის წიგნი, 2002.
3. მორის შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013.
4. სამართლებრივი კულტურის საფუძვლების“, მე-7 კლასის დამრიგებლისა და მანდატურის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ.2016
5. <http://mastsavlebeli.ge/>

Neli Champuridze

Gori State Teaching University

Magi Bibiluri

Adam Mickiewicz University (Poland)

CONFLICT MANAGEMENT AND MEDIATION TEACHING STRATEGIES RESUME

Mediation is becoming more and more popular as an effective and economical method of resolving disputes. The main objective of mediation teaching is to raise the objectivity and compassion among young generation. More effective strategy in conflict resolution is when the students are taking active part in the resolution of conflict, to do so we must teach them to conduct negotiations and to prepare them for the role of mediator in the conflict.

ნათელა ღინჩაგაიშვილი

Горькийский государственный учебный университет

МЕТОДИКА ИСПОЛЬЗОВАНИЯ ИНТЕРНЕТ-РЕСУРСОВ ПРИ ИЗУЧЕНИИ ИСТОРИИ РУССКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Демократизация всех сфер социальной жизни, происходящая сегодня, в частности, в сфере образования, привела к тому, что, с одной стороны, резко возросло информационное пространство профессиональной деятельности преподавателя, с другой – сегодня преподаватель получил доступ к самым современным научным теориям, с третьей – изменения в общественной жизни неизбежно породили новые педагогические технологии. Новая философия образования и новый социальный заказ образованию дали толчок к развитию методической науки. Интернет оказался одним из важнейших каналов доступа к педагогическим инновациям.

Сегодня интернет – наиболее динамично развивающаяся информационная среда, с помощью которой преподаватель русской литературы сможет создать свою коллекцию ОР, основу которой составляют комплекты компакт-дисков образовательного назначения из Федеральной поставки, электронные учебные издания, ЦОР: Федеральный центр информационных образовательных ресурсов (<http://fcior.edu.ru>), Единая коллекция цифровых образовательных ресурсов (<http://school-collection.edu.ru>), Единое окно доступа к образовательным ресурсам <http://window.edu.ru>), Портал «Российское образование» <http://www.edu.ru>

Поскольку характер, качество и состав представленных в профессиональных Интернет-ресурсах материалов весьма различны, педагогическая наука ищет новые оригинальные способы вовлечения компьютерных технологий в преподавание, а также способы адаптации новых мультимедиа-технологий к уже имеющимся в арсенале преподавателей методикам.

Интернет-ресурсы предоставляют преподавателю эксклюзивную информацию и материалы для лекций по истории литературы, дополнительную информацию при их разработке, организации самостоятельной работы студентов, проведения итогового или промежуточного контроля, дистанционного обучения, организации внелекционных занятий. Приведем образцы использования Интернет-ресурсов. Обращение к Интернет-ресурсам может сделать лекцию/урок много интереснее. Естественно, всевозможные формы использования информационных возможностей Интернет-ресурсов предугадать невозможно и, следовательно, описать способы обращения к ним затруднительно, поэтому логика обращения к информационным Интернет-ресурсам должна быть продумана заранее. Так, например, Интернет-библиотеки помогут преподавателям, студентам, учащимся справиться с дефицитом текстов при подготовке к занятиям. В данном случае от преподавателя требуется сориентировать студентов и учащихся в пространстве интернета, помочь найти необходимую в данный момент ссылку.

Информационные интернет-ресурсы полезны и при сборе материалов для занятия (например, биографические справки, иконография писателей и деятелей культуры). При этом интернет позволяет преодолевать монологичность учебников, предоставляя студенту/ученику право выбирать точку зрения или формировать свою. В данном случае преподаватель может формировать собственную базу данных, а студент – свою. Остановимся подробнее на методическом аспекте использования биографических источников. Для создания базы можно порекомендовать следующие литературные сайты, представленные в каталоге Интернет-ресурсов:

- Классика.Ru- электронная библиотека классической литературы (<http://www.klassika.ru>);
- Русская виртуальная библиотека (<http://www.rvb.ru>);
- Русский библиографический словарь (<http://www.rulex.ru>).

В том случае, если для работы требуется развернутый материал, студенту/ученику рекомендуется тематические и персонально-ориентированные сайты, такие, например, как:

- Русский писатель И.С.Тургенев (<http://www.turgenev.org.ru>);
- В.В. Маяковский (<http://www.mayakovsky.narod.ru>);
- И.А.Бунин (<http://www.kulichki.com/inkwell/hudlit>);
- И.Бродский: труды и дни (<http://www.yanko.lib.ru>);
- В.Набоков (<http://www.nabokov.spb.ru>) и мн. др.

Наиболее распространенными и, очевидно, не использующими все возможности мультимедиа-технологий являются сайты, на которых выставлены методические рекомендации разного уровня и качества. Они дублируют печатные источники информации и предполагают посылное потребление представленной в них информации. Как правило, такие сайты не требуют читательской оценки предоставляемых материалов и нацелены на пассивное усвоение прочитанного. Они представляют из себя копилки методических материалов и сборники полезной информации и пользователь в этой ситуации ищет лишь потребитель, а не творец информации. К подобным сайтам относятся Материалы к урокам по русской литературе (<http://www.edu.rin.ru>), Виртуальное методическое объединение учителей литературы (<http://www.edu.nsu.ru>), Урок литературы: проблемы, методы, подходы (http://www.eelmaa.narod.ru/urlit/urlit_main.html) и др.

Современный «методический» Интернет вырабатывает новые интерактивные формы взаимодействия пользователя и виртуальной среды, используя различные мультимедиа-технологии. На таких сайтах преподаватель может получить полезную для себя методическую информацию. Их также отличает более высокий уровень подачи материала.

Кроме тематических разработок занятий такие сайты представляют современные научные концепции, обеспечивая взаимодействие педагогической теории и практики, например, сайты Библиотека учителя (<http://www.azbuk.net/school>) и Методико-литературный Интернет-сайт (<http://www.mlis.ru>).

Информационные Интернет-ресурсы могут привлекаться на занятия и в качестве справочного теоретико-литературного и историко-культурного материала. Так при изучении стихотворных текстов можно рекомендовать обратиться к популярному «Учебнику стихосложения» на сайте <http://www.stihi.ru/uchebnik>.

Среди ЦОР наиболее место занимают Интернет-ресурсы. Требование научности предоставляемой ими информации наиболее значимо при их оценке как преподавателями, так и студентами, поэтому необходимо развивать навыки критической оценки, предоставляемой Интернет-ресурсами информации и способов ее организации. В первом случае речь идет о предоставлении пользователю информации об источниках получения тех или иных материалов (система ссылок) и аннотированной характеристики материалов, размещенных на

сайте. Во втором - наличие инструкции о принципах организации материалов и простота доступа к ним. Кроме того, необходимо учитывать наличие аналогичного книжному грифа, фиксирующего авторство Интернет-сайта или Интернет-портала, а также поддержку той или иной общественной организации или государственным органом.

Интернет-среда становится важнейшим в современном обществе источником информации, в том числе, образовательной. Преподаватели-словесники не могут не учитывать этого в своей повседневной педагогической практике. Освоение Интернет-технологий уже стало одной из самых базовых компетенций преподавателя, т.к. Интернет-ресурсы являются значимым источником новой информации и предоставляют эксклюзивный материал для моделирования уроков, являются также источником и организатором самообразования словесника и как филолога, и как методиста, способствуют профессиональной рефлексии собственного и чужого опыта.

Таким образом, в той или иной степени различные Интернет-ресурсы позволяют осуществлять информационную, обучающую и рефлексивную функции. Рассмотрим это на конкретных примерах. Информационную функцию выполняют, прежде всего, Интернет-ресурсы, аккумулирующие информацию по различной тематике: энциклопедии, библиотеки, словари, справочники и т.д., напр. Каталог Интернет-ресурсов по литературе:

- Стихи Ру: Энциклопедия поэзии ([http:// www.stihi.ru/encyclopedia](http://www.stihi.ru/encyclopedia));
- Русский филологический портал ([http:// www.rvb.ru/about/index.html](http://www.rvb.ru/about/index.html));
- Классика.Ру – электронная библиотека классической литературы ([http:// www.klassika.ru](http://www.klassika.ru));
- Библиотека Максима Мошкова и др. ([http:// www.lib.ru](http://www.lib.ru)).

В данном случае мы имеем дело с аналогами печатных источников информации, представленными в новом виде. Однако появились образовательные ресурсы, не выстраивающие диалог с пользователем, но в то же время предполагающие его активность. Имеются ввиду ресурсы, материалы которых требуют от преподавателя в перестройке, предоставляемой им информации с целью переноса этой информации из виртуального пространства в реальное познавательное пространство занятия по литературе. Например:

- Русская и зарубежная литература на «Российском общеобразовательном портале» ([http:// www.litera.edu.ru](http://www.litera.edu.ru));
- Биографии великих русских писателей и поэтов ([http:// www.writerstob.narod.ru](http://www.writerstob.narod.ru));
- Электронная библиотека Александра Белоусенко ([http:// www.belousenkolib.narod.ru](http://www.belousenkolib.narod.ru)) и др.

Мало отличаясь от традиционных печатных методических материалов, такие Интернет-ресурсы значительно расширяют границы возможностей преподавателя-практика, предоставляя ему аудио и видео-материалы. А найти им применение в структуре профессиональной деятельности – уже задача преподавателя. Работа с такими Интернет-ресурсами предполагает повышение уровня его профессиональной компетентности.

Обучающую функцию выполняют на сегодняшний день Интернет-ресурсы пассивного и интерактивного вида. Первые предоставляют возможность познакомиться с представленными в интернете теоретико-методическими материалами (вузовские учебники, научные статьи и т.д.). Предметными программами методическими рекомендациями по различной тематике, вариантами планирования лекций, описаниями инновационных технологий литературного образования и т.д. Способствуя самообразованию педагога, они меняют характер его познавательной деятельности в сравнении с традиционными формами самообразования, напр.:

- История русской литературы 20 века: методические разработки ([http:// www.teneta.runet.ru](http://www.teneta.runet.ru));
- Виртуальное методическое объединение литературы ([http:// www.edu.nsu.ru](http://www.edu.nsu.ru));
- Материалы к урокам по русской литературе ([http:// www.edu.rin.ru](http://www.edu.rin.ru)).

Вторые предлагают преподавателю не просто неизвестные ему методические материалы, но различные формы дистанционного самообразования: участие в Интернет-семинарах, выполнение творческих заданий, обмен педагогическим опытом участие в «форумном» обсуждении профессиональных проблем и методик, например:

- Методико-литературный Интернет-сайт ([http:// www.mlis.ru](http://www.mlis.ru));
- Русофил. Методика ([http:// www.russofile.ru/strategy](http://www.russofile.ru/strategy));
- Телешкола ([http:// www.internet-school.ru](http://www.internet-school.ru)).

Все эти сайты отличают высокий уровень диалогичности: самообразование преподавателя осуществляется вследствие интенсивности коллективного взаимодействия с коллегами и научными консультантами, что существенно сказывается на процессах профессиональной коррекции и роста. Мы думаем, что будущее именно за такими интерактивными Интернет-ресурсами: в перспективе они могут составить реальную конкуренцию существующей на сегодняшний день системе повышения квалификации учителей, эти ресурсы активно влияют на изменение уровня и качества профессиональной компетентности преподавателя.

Важнейшим фактором профессионального развития преподавателя оказывается способность к рефлексии самого разного уровня и качества. В известной степени эту способность развивают сайты, отмеченные выше как интерактивные, однако сейчас появляются и отдельные Интернет-страницы и целые сайты, побуждающие преподавателя к дискуссионному обсуждению стоящих перед ним проблем, напр.:

- «Журнальный зал» в «Русском журнале» ([http:// www.magazines.russ.ru](http://www.magazines.russ.ru));
- Сетевая словесность ([http:// www.litera.ru/slova](http://www.litera.ru/slova)).

Т.о., активное внедрение в образовательный процесс Интернет-ресурсов и их использование в повседневной практике преподавателя литературы влияет на повышение уровня профессиональной компетентности, оснащенность методическими материалами, методику проведения уроков, характер взаимодействия между лектором и студентом. И, в заключение, работа преподавателя, на наш взгляд, может считаться успешной, если студенты будут иметь представление о различных видах Интернет-ресурсов (т.е. владеть навыками применения источниковой базы справочной литературы), которые могут быть использованы при изучении литературы, уметь работать с различными материалами, предоставляемыми Интернет-ресурсами по дисциплине, знать, как формировать собственную базу данных.

ЛИТЕРАТУРА:

1. <http://www.iteach.ru>
2. <http://www.ict.edu.ru>
3. <http://www.ntf.ru>
4. <http://www.edu.ru/modules.php>
5. <http://www.edu.ru>

Natela Khinchagashvili

Gori State Teaching University

INTERNET RESOURCE METHOD USING FOR THE TEACHING RUSSIAN LITERARY HISTORY RESUME

Author of the article discussed examples of using internet-resources at the studiousness of the Russian Literary History, offered methodic, from where students made idea about difference types of internet-resources, they would study internet-resource to make their own base, could work with different materials giving by internet-resource.

მათემატიკა და ინფორმატიკა

Mathematics and Informatics

ინგა აბულაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ღრუბლოვანი გამოთვლების კონცეფცია და პერსპექტივები

1. შესავალი

პირველად „ღრუბლის“ სიმბოლო გამოიყენეს 1977 წელს გლობალური ქსელის **ARPANET (Advanced Research Projects Agency Network)**-ის გამოსახატად. ტერმინი „ღრუბელი“ გამოიყენება „განაწილებული გამოთვლების“ ახალ პლატფორმაზე გადასასვლელად.

1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია ღრუბლოვანი გამოთვლების ინფრასტრუქტურა. ღრუბლოვანი გამოთვლები გულისხმობს პარალელური, განაწილებული და ავტონომიური გამოთვლების ვიზუალიზაციის სიმბიოზს. ამასთან ერთად, ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს იაფი რეკლამირების საშუალებას, რაც ძალიან არსებითი მომენტია არა მარტო ბიზნესისათვის, არამედ ნებისმიერი სფეროს წარმატებული საქმიანობისათვის. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისმა შექმნამ გამოიწვია დაბნეულობა მსოფლიო მასშტაბით.

ღრუბელი, როგორც სპეციფიკური გარემო გამოიყენება IT საშუალებების დისტანციური უზრუნველყოფისათვის და მას აქვს შეზღუდული საზღვარი, ანუ ღრუბლის საშუალებით შესაძლებელია IT რესურსების (საშუალებების) დისტანციურად გაზომვა.

ღრუბლოვანი გამოთვლებმა მიგვიყვანა საკუთარი, ფორმალური IT ინდუსტრიის სეგმენტამდე, სადაც გრაფიკული სიმბოლო „ღრუბელი“ გამოიყენება ინტერნეტზე დაფუძნებული არქიტექტურის მქონე კომპიუტერების გამოსახატავად.



ნახ. 1 ღრუბლოვანი გამოთვლების ინფრასტრუქტურა

2. ძირითადი ნაწილი

ღრუბლოვანი გამოთვლები უზრუნველყოფს ინტერნეტზე დაფუძნებული (*Internet-based*) IT საშუალებებთან წვდომას, რომელიც არის გაზომვადი.


განაწილებული გამოთვლებისათვის (*Distributing Computing*) IT საშუალებები უზრუნველყოფილია ღრუბლოვანი გარემოთი. ღრუბლოვანი გამოთვლებისას აუცილებელია იმ სტანდარტების, მეთოდების და ინტერნეტ-პროტოკოლების გამოყენება, რომელთა საშუალებით შესაძლებელია კომპიუტერები დაუკავშირდნენ ერთმანეთს წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურული წესით. ღრუბელი შეიძლება ეფუძნებოდეს ნებისმიერი პროტოკოლის (ოქმის) გამოყენებას, რომელიც ნებას რთავს დისტანციური წვდომისათვის მათ IT საშუალებებს.

„ღრუბლოვანი გამოთვლები“ არის ისეთი გამოთვლები, რომელთა დისტანციური სერვერების დიდი ჯგუფები არის ცენტრალურ მონაცემთა საცავებთან ქსელით დაკავშირებული, და აქვთ ონლაინ წვდომა (*Online Access*) კომპიუტერის მომსახურებასა და რესურსებთან [1].

ღრუბლოვანი გამოთვლები არის პროგრამული და სისტემური უზრუნველყოფის სიმბიოზური გამოყენება და მომსახურების გადაცემა ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით. „ღრუბლის“ საშუალებით მომხმარებელს აქვს წვდომა ნებისმიერ ფაილთან, ამასთან ერთად, ნებისმიერი მოწყობილობიდან გამოიყენოს აპლიკაცია-დანართი, თუ ამ კომპიუტერს აქვს ინტერნეტთან წვდომა [2].

ღრუბლოვანი გამოთვლები არის მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა კომპიუტერის რესურსების (ქსელები, სერვერები, მეხსიერება, დანართი-აპლიკაციები და სერვისები) ქსელთან წვდომისა და ამ რესურსების გაზიარებისა. ასევე, მნიშვნელოვანია ამ სერვისის სწრაფად მიწოდება მომხმარებლებისათვის. ამრიგად, ღრუბლოვანი მოდელის თანახმად შესაძლებელია ხუთი საჭირო მახასიათებლის და ოთხი განლაგების მოდელის გაერთიანება [1].

მე-2 ნახაზზე გამოსახულია ღრუბლოვანი გამოთვლების ხუთი ძირითადი მახასიათებელი [1]. განვიხილოთ თითოეული მათგანი.



ნახ. 2 ღრუბლოვანი გამოთვლების მახასიათებლები

1. მოთხოვნის თვითმომსახურება (*On-demand self-service*).

არის ისეთი სერვისი, როდესაც მომხმარებელს შეუძლია ავტომატურად, ადამიანის ჩაურევლად, მოითხოვოს ის მომსახურება მიმწოდებლისაგან, რომელიც მას სჭირდება,

2. მარტივი წვდომა სტანდარტულ მოწყობილობებთან (*Easy to access standardized mechanisms*).

ეს მექანიზმი გულისხმობს „გლობალური სფეროს (დიაპაზონის) შესაძლებლობებს“. ეს იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ღრუბლოვანი სერვისთან წვდომა შესაძლებელია ქსელის სტანდარტული ინტერფეისის და წვდომის მექანიზმების გამოყენებით. გლობალური

შესაძლებლობები არ ნიშნავს, რომ ეს სერვისები ყოველთვის არის წვდომადი ინტერნეტის საშუალებით. იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ განლაგების რომელ მოდელს გამოვიყენებთ. თუმცა, ამ გლობალური სერვისის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც სისტემა ამის ნებას დაგვრთავს.

3. რესურსების გაერთიანება და მრავალჯერადი გაქირავება-გაზიარება (*Resource pooling and multi-tenancy*). ღრუბლოვანი გამოთვლებში შესაძლებელია კომპიუტერის შემადგენელი კომპონენტების (პროცესორები, მეხსიერება, ქსელის სიჩქარე და ვირტუალური მანქანები) მრავალჯერადი გაზიარება (გაქირავება), რომლის დროს ეს რესურსები ექსკლუზიურად მიენიჭება ერთ მომხმარებელს. მინიჭებული რესურსები დინამიკურად დაფუძნებულია მომხმარებლის საჭიროებაზე. ანუ, მომხმარებლებს შეუძლიათ

ერთმანეთს გაუზიარონ რესურსები და ამ გზით ერთმანეთს გაუწიონ დახმარება. აქედან გამომდინარე, მრავალმნიშვნელოვნად შეამცირონ ოპერაციის ღირებულება [3, 4].

4. **სწრაფი ელასტიურობა (Rapid elasticity).** ელასტიურობა (მოქნილობა) არის შესაძლებლობა როგორც შიდა, ასევე გარე რესურსების სწრაფად მომზადებისა (ინიციალიზაციისა). ღრუბლოვანი გამოთვლები უნდა აწარმოებდეს მექანიზმებს, რომლის თანახმად გამოთვლები უნდა მიმდინარეობდეს მოქნილად, სწრაფად და ავტომატურად. სწორედ ეს მახასიათებელი გამოიყენება დიდ ღრუბლოვან მონაცემთა ცენტრებთან დაკავშირებისას, რათა მონაცემთა გაცვლა განხორციელდეს მოქნილად, სწრაფ რეჟიმში და ავტომატურად.

5. **მომსახურების გაზომვა (Measured service).** ღრუბლის სახით რესურსების მიწოდებისას აუცილებელია გამოზომმა სერვისმა კარგად აწარმოოს მონიტორინგი. ღრუბლის ეს მახასიათებელი მნიშვნელოვანია როგორც მომხმარებლისათვის, ასევე მიმწოდებლისათვის. გამოზომ სერვისის შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ღრუბლოვან სისტემებს ავტომატიზაციის პროცესის უკეთ ჩატარებისთვის.

ღრუბლოვანი გამოთვლების განლაგების მოდელი აღწერს იმ გარემოს, სადაც ღრუბლოვანი დანართები და სერვისები შეიძლება დაინსტალირდეს, იმ თანამიმდევრობით რომ მომხმარებლისათვის (კლიენტებისთვის) იყოს ხელმისაწვდომი. განლაგების გარემოში იგულისხმება მოწყობილობების ფიზიკური განლაგების ადგილი - ინფრასტრუქტურა, რომ ახალი პლატფორმის საშუალებით რა მექანიზმებით გავხადოთ წვდომადი ეს დანართები და სერვისები.

მე-3 ნახაზზე გამოსახულია ღრუბლოვანი გამოთვლების განლაგების ოთხი მოდელი. ესენია: **Public, Private, Hybrid** და **Community cloud**. განვიხილოთ თითოეული მათგანი:


public cloud (ღია ღრუბელი): ღია, ანუ გარე ღრუბელი არის ღია მოდელი, რომელშიც ღრუბლის დახმარებით მოწყობილობების ინფრასტრუქტურა მიწოდებულია სამ ნაწილად (სამ მხარეს). ინფრასტრუქტურის და პლატფორმის სერვისები მიწოდებულია ღიად დაფუძნებულ სერვისის საფეხურზე მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის. ამ ტიპის ინფრასტრუქტურის რესურსი გაზიარებულია მრავალ ორგანიზაციასა ან მომხმარებელს შორის, და ის მიეკუთვნება მრავალჯერადი ქირავნობის მოდელს. და ბოლოს, ღია ღრუბელი არის ძვირი არჩევანი. მიუხედავად ამისა, მოდელის მიმართ ნდობის არარსებობა ღრუბლოვან მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის არის ყველაზე მთავარი დაბრკოლება ამ მოდელისათვის.

private cloud (კერძო ღრუბელი): კერძო ანუ შიდა ღრუბელი არის მონაცემთა ცენტრი, რომელიც დაფუძნებულია საკუთარ ღრუბელ მიმწოდებელ აპლიკაციაზე (პროგრამის), რომელშიც ინფრასტრუქტურა და პლატფორმა მთლიანად მართვადია მიმწოდებელი აპლიკაციის მიერ. ღრუბლის ამ ტიპს გააჩნია მეტი მოქნილობა და თავს აგარიდებთ ბევრ უსიამოვნებას. ორგანიზაციებს შეუძლიათ ეს ინსტრუმენტი გამოიყენონ, როგორც მექანიზმი თავიანთი პოლიტიკის კონფიდენციალობის, უსაფრთხოების და წვდომისათვის. თუმცა, ეს შესაძლებლობა არის ძვირად ღირებული რესურსების თვალსაზრისით და გარდა ამისა რესურსების სამართავად საჭიროა მუშა ძალა.


hybrid cloud (ჰიბრიდული ღრუბელი): ჰიბრიდული ღრუბელი არის ღია და კერძო ღრუბლების კომბინაცია (ნახ. 4). ჰიბრიდული ღრუბელი არის ნაკლებად ძვირი, ვიდრე კერძო ღრუბელი. მიუხედავად ამისა, ღია და კერძო ღრუბლების ერთად მუშაობა მოითხოვს ორივე აპლიკაციის თავსებადობას და პორტაბულობას. ამასთან ერთად, მონაცემები მოდელს შორის კომუნიკაციის საშუალებას იძლევა.

community (cooperative) cloud (საზოგადოებრივი (კოოპერაციული)) ღრუბელი: საზოგადო ღრუბელი არის **EXTRANET**-ის მსგავსი, მაგრამ დამატებული აქვს ვიზუალიზაცია და მოთხოვნილი შესაძლებლობები. საზოგადო ღრუბელში ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც იზიარებენ ზოგიერთ საერთო მიზნებს ან მიეკუთვნებიან სპეციფიკურ მიზნებს გაერთიანებული არიან მონაცემთა ერთიან ცენტრში, რომლიდანაც ყველა ორგანიზაციას შეუძლია ღრუბლის შესაძლებლობების მოხმარება. მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ IT ინფრასტრუქტურის

Types of Cloud Deployment Models



ნახ. 3 ღრუბლების განლაგების ტიპები



ნახ. 4 ჰიბრიდული ღრუბელი

შემსუბუქება ხდება, რაც ბუნებრივია შეამცირებს ღრუბლის გამოყენების ღირებულებას [5]. საზოგადო ღრუბელი შეიძლება შეიქმნას პროფესიონალი საზოგადოებისგან (ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესთან), გეოგრაფიული საზოგადოებისგან, ან ზოგიერთი სხვა კარგად განსაზღვრული საზოგადო ჯგუფებისაგან [6, 7]. ეს მოდელი არის ბევრად უფრო სანდო, ვიდრე ღია ღრუბელი და ნაკლებად ძვირადღირებული, ვიდრე კერძო ღრუბელი. ეს მოდელი ასევე არის უფრო მართვადი გაზიარებული ინფრასტრუქტურის რესურსების მიხედვით. მიუხედავად ამისა ამდენი დადებითი თვისებისა, მას აქვს ნაკლი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: საზოგადო ღრუბელს სჭირდება აუცილებლად მკაცრი დაცვა და კონფიდენციალური პოლიტიკა.

ლიტერატურა:

1. Hamdaqa M., Tahvildari L., Cloud Computing Uncovered: A Research Landscape. Canada, Elsevier Press, 2012, p. 85.
2. http://whatiscloud.com/basic_concepts_and_terminology/cloud
3. K. Tsakalozos, M. Roussopoulos, V. Floros, A. Delis. in: ICDCS'10, 30th IEEE International Conference on Distributed Computing Systems, IEEE, 2010, pp. 74–85.
4. M. Zaharia, D. Borthakur, J. SenSarma, K. Elmeleegy, S. Shenker, I. Stoica. in: EuroSys'10, Fifth European Conference on Computer Systems, ACM, 2010, pp. 265–278.
5. T. Haselmann, G. Vossen, S. Lipsky, T. Theurl, CLOSER'11, The First International Conference on Cloud Computing and Services Science, INSTICC (2011) 104–109.
6. A. Marinos, G. Briscoe, Community cloud computing, Cloud Computing (2009) 472–484.
7. G. Briscoe, A. Marinos, in: DEST'09, Third IEEE International Conference on Digital Ecosystems and Technologies, IEEE, 2009, pp. 103–108.

Inga Abuladze

Georgian Technical University

**CONCEPT AND PERSPECTIVES OF CLOUD COMPUTING
RESUME**

Cloud computing is the result of the evolution and adoption of existing technologies and paradigms. The goal of cloud computing is to allow users to take benefit from all of these technologies. The cloud aims to cut costs, and helps the users focus on their core business instead of being impeded by IT obstacles.

new concepts are mixed with new ones, and some old technologies are being reinvented. Today, many research areas and projects under the cloud umbrella need to be sorted and classified. Accordingly, this survey article presents a unified view of the Cloud Computing main concepts, characteristics, models, and architectures.

Key words: cloud computing, Characteristic, deployment models, IT resources.

*ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური, ზურაბ ზერაკიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

ძალდებული შეფასებების აბსოლუტურად ზომადობის შესახებ

ვთქვათ (E, S) ზომადი სივრცეა, $\{\mu_i, i \in I\}$ ალბათური ზომებია S -ზე, ხოლო I პარამეტრების სიმრავლეა. ამ სიმრავლეზე განსაზღვრული გვაქვს σ -ალგებრა $A(I)$, რომელიც შეიცავს I სიმრავლის სასრულ ქვესიმრავლეებს.

გავიხსენოთ ზოგიერთი განსაზღვრება (იხ. [1]-[4]).

განსაზღვრება 1. ვამბობთ, რომ $M = \{E, S, \mu_i, i \in I\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა $f : (E, S) \rightarrow (I, A(I))$, რომ სრულდება შემდეგი ტოლობები $\mu_i \{ (x : f(x)) = i \} = 1, \forall i \in I$.

განსაზღვრება 2. ვთქვათ E არის ტოპოლოგიური სივრცე, σ -ალგებრა წარმოქმნილი E -ს ყველა ღია ქვესიმრავლეთა ოჯახით აღინიშნება $B(E)$ სიმბოლოთი. ამ σ -ალგებრის წევრებს კი E -ს ბორელის ქვესიმრავლეებს უწოდებენ.

განსაზღვრება 3. ტოპოლოგიურ სივრცეს ეწოდება პოლონური სივრცე, თუ E არის რომელიღაც სრული სეპარაბელური მეტრიკული სივრცის ჰომეომორფული.

განსაზღვრება 4. პოლონურ E სივრცეში მდებარე B სიმრავლეს ეწოდება ანალიზური (ანუ სუსლინის) სიმრავლე, თუ იგი წარმოადგენს რომელიღაც პოლონური სივრცის უწყვეტ ასახვას.

E -ში მდებარე ყველა ანალიზურ სიმრავლეთა კლასი როგორც წესი $A(E)$ სიმბოლოთი აღინიშნება.

ცნობილია, რომ ადგილი აქვს ჩართვას $B(E) \subset A(E)$. ცნობილია აგრეთვე, რომ E -ში შემავალ ანალიზურ სიმრავლეთა ნებისმიერი თვლადი ოჯახის გაერთიანება და თანაკვეთა ისევ ანალიზური სიმრავლეებია.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს დამატების ოპერაციის შემთხვევაში, სახელდობრ, ანალიზური სიმრავლის დამატება საზოგადოდ არ წარმოადგენს ანალიზურ სიმრავლეს.

განსაზღვრება 5. ანალიზური სიმრავლის დამატებით სიმრავლეს კო-ანალიზურ სიმრავლეს უწოდებენ.

მაგალითი 1. ვთქვათ X არის E პოლონური ტოპოლოგიური ვექტორული სივრცის ჩაკეტილი ამოხნეილი ქვესიმრავლე, მაშინ X სიმრავლის ყველა კიდურა წერტილთა სიმრავლე არის კო-ანალიზური სიმრავლე E -ში, მაგრამ ანალიზური არ არის.

ზომის თეორიის თვალსაზრისით ანალიზური და კო-ანალიზური სიმრავლეების მნიშვნელობა იმითაც აიხსნება, რომ ისინი არიან უნივერსალურად (ანუ აბსოლუტურად) ზომადი სიმრავლეები ზომათა ძალიან ბუნებრივი კლასის მიმართ.

განსაზღვრება 6. ვთქვათ, მოცემულია E სიმრავლე და ამ სიმრავლეზე განსაზღვრულია რაიმე μ ზომა. ვამბობთ, რომ რაიმე $f: E \rightarrow R$ ფუნქციას ეწოდება ზომადი μ ზომის მიმართ, თუ ნებისმიერი $B \in B(R)$ სიმრავლისთვის სრულდება თანაფარდობა $f^{-1}(B) \in \text{dom}(\mu)$.

M -ით აღვნიშნოთ E სიმრავლეზე განსაზღვრული ზომათა რაიმე კლასი, საზოგადოდ ვიგულისხმობთ, რომ M კლასში შემავალი ზომები სხვადასხვა σ -ალგებრებზეა განსაზღვრული.

განსაზღვრება 7. ვიტყვი, რომ $f: E \rightarrow R$ ფუნქცია ფარდობით ზომადია M კლასის მიმართ, თუ არსებობს ერთი მაინც $\mu \in M$ ზომა ისეთი, რომ f ფუნქცია ზომადია μ ზომის მიმართ.

განსაზღვრება 8. თუ ყოველი $\mu \in M$ ზომისათვის $f: E \rightarrow R$ ფუნქცია ზომადია μ ზომის მიმართ, მაშინ ამ f ფუნქციას M კლასის მიმართ უნივერსალურად (ანუ აბსოლუტურად) ზომადი ფუნქცია ეწოდება.

განსაზღვრება 9. თუ $f: E \rightarrow R$ ფუნქცია არ არის ზომადი არც ერთი $\mu \in M$ ზომის მიმართ, მაშინ f ფუნქციას აბსოლუტურად არაზომადი ეწოდება M კლასის მიმართ.

შენიშვნა 1. M ზომათა კლასის მიმართ ფუნქციის ზომადობა (რაიმე აზრით) ავტომატურად იწვევს სიმრავლის ზომადობას (იმევე აზრით) ამავე კლასის მიმართ. ამისათვის საკმარისია განვიხილოთ სიმრავლის მახასიათებელი ფუნქცია.

შენიშვნა 2. ანალიზური და კო-ანალიზური სიმრავლეები აბსოლუტურად ზომადი სიმრავლეებია R -ზე განსაზღვრული ყველა σ -სასრული ბორელის ზომათა გასრულების კლასის მიმართ.

ვთქვათ, მოცემულია სტატისტიკური სტრუქტურა $M = \{E, S, \mu_i, i \in R\}$ და $A(I) = B(R)$.

თეორემა 1. თუ $M = \{E, S, \mu_i, i \in (-\infty, +\infty)\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს, მაშინ f ეს ძალდებული შეფასება აბსოლუტურად ზომადია ამ სტატისტიკური სტრუქტურის მიმართ.

დამტკიცება: რადგან $M = \{E, S, \mu_i, i \in (-\infty, +\infty) = R\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ძალდებულ შეფასებას ე.ი. არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი $f: (E, S) \rightarrow (R, B(R))$ ფუნქცია, რომ სრულდება შემდეგი ტოლობები $\mu_i\{(x: f(x)) = i\} = 1, \forall i \in R$. აქედან ცხადია, რომ ეს f ფუნქცია ზომადია ყოველი $\mu_i, i \in I$ ზომის მიმართ. ე.ი. f ფუნქცია აბსოლუტურად ზომადია ამ სტატისტიკური სტრუქტურების მიმართ. ამით თეორემა 1 დამტკიცებულია.

განვიხილოთ $M = \{E, S, \mu_i, i \in R\}$ სტატისტიკური სტრუქტურა და $A(R)$ აღვნიშნოთ R -ში მდებარე ყველა ანალიზურ სიმრავლეთა σ -ალგებრა.

თეორემა 2. ვთქვათ სტატისტიკური სტრუქტურა $M = \{E, S, \mu_i, i \in R\}$ უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს, ე.ი. არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი f ფუნქცია $f : (E, S) \rightarrow (R, A(R))$, რომ სრულდება შემდეგი პირობები $\mu_i\{(x : f(x)) = i\} = 1, \forall i \in R$, მაშინ არსებობს ერთი მაინც ისეთი f ფუნქცია, რომელიც ან ფარდობით ზომადია ან აბსოლუტურად არაზომადია ამ სტატისტიკური სტრუქტურის მიმართ.

დამტკიცება: რადგან $M = \{E, S, \mu_i, i \in R\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებას ე.ი. არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ფუნქცია $f, f : (E, S) \rightarrow (R, A(R))$ რომ $\mu_i\{(x : f(x)) = i\} = 1, \forall i \in R$. ცხადია, რომ f ზომადია $A(R)$ σ -ალგებრის მიმართ, მაგრამ ცნობილია სუსლინის შემდეგი თეორემა, რომ ყოველ არათვლად პოლონურ E სივრცეში არსებობს ანალიზური სიმრავლე, რომელიც არ ეკუთვნის $B(E)$ ბორელის σ -ალგებრას, ასეთი B სიმრავლის დამატება E -ში არ არის ანალიზური ე.ი. არის კო-ანალიზური. ამ თეორემიდან უკვე ცხადია, რომ ჯერ ერთი R არათვლადი პოლონური სივრცეა და სუსლინის თეორემის თანახმად არსებობს ისეთი B სიმრავლე $B \in R$, რომელიც ანალიზურია. ე. ი. $B \in A(R)$ და $B \notin B(R)$. აქედან გამოდის, რომ აქ შეიძლება ორი შემთხვევა:

1. ან ეს f ძალდებული შეფასება არ არის ზომადი არცერთი $\mu_i \in M$ ზომის მიმართ. ე.ი. f აბსოლუტურად არაზომადია

2. ან არსებობს ერთი მაინც ისეთი $\mu_i \in M$ ზომა, რომ f ფარდობით ზომადია ამ სტატისტიკური სტრუქტურის მიმართ.

ამით თეორემა 2 დამტკიცებულია.

შენიშვნა 3. მაგალით 1-ში აგებულია სიმრავლე, რომელიც არ არის ბორელის და კო-ანალიზურია. ე.ი. ზოგადად $B(E) \subset A(E)$, მაგრამ, თუ B ანალიზურია და მისი დამატებაც ანალიზურია, მაშინ $B(E) = A(E)$.

ლიტერატურა:

1. Z. Zerakidze On consistent estimators for family of probability measures, 5-th Japan-USSR symposium on probability theory. Kioto, 1986.
2. Kharazishvili A.B. Strange Function in real analysis, Marcel Dekker. Inc. New York, 2000.
3. M. Beriashvili "On some paradoxical subsets of the real line". Georgian international journal of science and technology. V 6. N4. 2014. P. 265-275.
4. К. Куратовскийю А. Мостовский „Теория множств“ Мир М. 1970.

Lela Aleksidze, Laura Eliauri, Zurab Zerakidze

Gori State Teaching University

ABOUT ABSOLUTE MEASURABILITY OF CONSISTENT ESTIMATORS RESUME

In this work considered such as statistical structures which admits parameters consistent estimates and for these statistical structures proved when such statistical structures are or are not absolutely measurable.

მოთხოვნის ინტეგრალური მოდელების ფორმირება და გამოკვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

ძირითადი ნაწილი

ჩვენს მიერ მიერ შემუშავებულ იქნა ახალი მიდგომა ინტეგრალური მოთხოვნის მოდელის აგებისადმი [1,2]. შემოტანილია ინტეგრალური აგრეგატის ცნება. დადგენილ იქნა, რომ რეალურად არაწრფივი ინტეგრალური მოთხოვნა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს აგრეგატის ანუ წრფივი ელემენტარული მოთხოვნების ჯამის სახით. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ $(0, P_{max})$ ინტერვალში განსაზღვრული არაწრფივი დამოკიდებულების აპროქსიმაცია შეიძლება შემდეგი სახის წრფივი დამოკიდებულებების ჯამის სახით წარმოვადგინოთ:

$$D_{\Delta\Sigma}(P) = \sum_{i=i_0}^r (d_i - a_i P) = \sum_{i=i_0}^r d_i \left(1 - \frac{z}{x_i}\right) \quad (a_i \geq 0; d_i > 0), \quad (1)$$

სადაც P_i – საყრდენი ფასების ცნობილი მნიშვნელობებია; $a_i = \frac{d_i}{P_i}$.

$(d_i - a_i P)$ ($i=i_0, \dots, r$) – საყრდენი ფუნქციებია; i_0 – იმ P_i ფასის ინდექსია, რომლისთვისაც

სრულდება პირობები $\min_{P_i}((P_i - P) \geq 0)$; $x = \frac{P}{P_{max}}$; $x_i = \frac{P_i}{P_{max}}$;


z – დამოუკიდებელი ცვლადია; ($0 \leq z \leq 1$) და d_i – შეფასებას დაქვემდებარებული პარამეტრებია (საყრდენ ფუნქციათა განმსაზღვრელებია).

აღნიშნული პარამეტრების შეფასებისათვის შემუშავებულ იქნა r განზომილებიანი წრფივი რეგრესიული მოდელი, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადების სისტემის სახით შეიცავს x_i

($i=i_0, \dots, r$) ცვლადების არაწრფივ $(1 - \frac{1}{x_i})$ ფუნქციებს [3]. მიღებულ იქნა ინტეგრალური აგრეგატის

მოდელები სხვადასხვა ფუნქციური დამოკიდებულებისათვის.

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია პარაბოლური კონფიგურაციის ინტეგრალური აგრეგატი, რომელიც აპროქსიმირებულია შვიდი საყრდენი წერტილით 2, 5, 8, 11, 14, 17 და 20. ცხრილი 1-ში მოყვანილია დისპერსიული ანალიზის შედეგები, რომლებიც ცხადყოფენ ინტეგრალური აგრეგატის შეფასების საკმაოდ მაღალ სტატისტიკურ სარწმუნოებას.



ნახ. 1. აპროქსიმაცია შვიდი საყრდენი წერტილით 2, 5, 8, 11, 14, 17, 20

შვიდი წერტილით აპროქსიმაციის დისპერსიული ანალიზი				ცხრილი 1
წყარო	თავისუფლების ხარისხი	SS	MS	F
რეგრესია	7.0000	347.4576	49.6368	43.1435
ნაშთი	13.0000	14.9566	1.1505	
სულ	20.0000	362.4141		

გრაფიკული დამოკიდებულებიდან ჩანს, რომ 11 და 14 საყრდენ წერტილებში პრაქტიკულად არ ხდება სტრუქტურის (ტენდენციის) ცვლილება, განსხვავებით მაგალითად, წერტილი 8-საგან, სადაც ადგილი აქვს მის მკვეთრ ცვლილებას. რაც შეეხება ტენდენციის ცვლილებას 2,5 და 17 წერტილებში იქ თითქოს სტრუქტურული ცვლილებები ხდება, მაგრამ ასეთ დასკვნას საკმაო ობიექტური საფუძველი არ გააჩნია.

სტრუქტურული ცვლილებების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შეფასება მოითხოვს ისეთი ამომხსნელი წესის შემუშავებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავცხრილოთ სტატისტიკურად ზედმეტი საყრდენი წერტილები. ასეთი წესი შეიძლება იყოს მთავარი კრიტერიუმი საყრდენი ფუნქციების ანუ ელემენტარული მოთხოვნების შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შესამოწმებლად. კერძოდ, ამგვარი ამომხსნელი წესის მიზანი იქნება შემდეგი ჰიპოთეზების შემოწმება: $H_0: d_i=0$; $H_1: d_i \neq 0$

ყოველი საყრდენი წერტილისათვის $X_i, (i=i_0, \dots, r)$.

ვინაიდან ყოველი საყრდენი წერტილი (8) წრფივი მოდელის ერთ ცვლადს შეესაბამება, სტატისტიკურად არაარსებითი წერტილების გაცხრილვა დაიყვანება მრავალგანზომილებიან რეგრესიულ ანალიზში კარგად ცნობილ რეგრესიის საუკეთესო განტოლების შერჩევის ამოცანაზე.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის ბევრი სხვადასხვა მიდგომა არსებობს, თუმცა, განტოლების შერჩევის ცალსახად განსაზღვრული სტატისტიკური პროცედურა არ გვაქვს. თუ ცნობილი იქნება დაკვირვებათა დისპერსიის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ამგვარი განტოლების შერჩევა გაცილებით იოლია, მაგრამ, როგორც წესი, ის უცნობია და ამიტომ სუბიექტური მსჯელობა ნებისმიერი სტატისტიკური მეთოდის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ქვემოთ მოყვანილია ამ მიზნით ყველაზე ხშირად გამოყენებული მიდგომათა ჩამონათვალი.

– ყველა შესაძლო რეგრესიის მეთოდი სამი კრიტერიუმის გამოყენებით: R^2 დეტერმინაციის კოეფიციენტი, s^2 ნარჩენი დისპერსიის და C_p მალოუსის კრიტერიუმის. მეთოდის ძირითად ნაკლს წარმოადგენს მისი დიდი მოცულობა;

– გამორიცხვის მეთოდი, რომელშიც ძირითადი კრიტერიუმის სახით გამოიყენება კერძო F-კრიტერიუმი;

– რეგრესიის საუკეთესო ქვესიმრავლის მეთოდი R^2 , დაყვანილი R^2 და C_p კრიტერიუმების გამოყენებით;

– ბიჯური რეგრესიული მეთოდი;

– მთავარ კომპონენტებზე რეგრესიის მეთოდი;

– საკუთრივ რიცხვებზე რეგრესიის მეთოდი.

ჩვენს მიერ დასმული ამოცანის გადაწყვეტისათვის ყველაზე მოსახერხებელია გამორიცხვის მეთოდის გამოყენება. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში მიზანს წარმოადგენს მრავალგანზომილებიან რეგრესიულ მოდელში ერთი ცვლადის (ერთი საყრდენი წერტილის) ჩართვის მიზანშეწონილობის შესახებ ჰიპოთეზის შემოწმება, რაც საშუალებას გვაძლევს შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი, კერძო F-კრიტერიუმის გამოყენებით.

დასმული ამოცანისათვის მცირედ მოდიფიცირებული ამ მეთოდის ძირითადი საფეხურები შემდეგია, რომ:

1) განისაზღვრება ყველა ცვლადის შემცველი რეგრესიული განტოლება;

2) განისაზღვრება რეგრესიული განტოლება, გამორიცხული i-ური ცვლადით,

რაც საშუალებას გვაძლევს შევავსოთ კერძო F- კრიტერიუმის მნიშვნელობა მოცემული პრედიქტორული ცვლადისათვის

$$F_c(z_i) = \frac{R^2(x_1, \dots, x_i, \dots, x_n) - R^2(x_1, \dots, x_{i-1}, x_{i+1}, \dots, x_n)}{1 - R^2(x_1, \dots, x_i, \dots, x_n)}, \quad (2)$$

სადაც $F_c(z_i)$ – კერძო F-კრიტერიუმის შეფასება i -ური ცვლადისთვის;

$R^2(x_1, \dots, x_i, \dots, x_n)$ – დეტერმინაციის კოეფიციენტია ყველა პრედიქტორისათვის;
 $R^2(x_1, \dots, x_{i-1}, x_{i+1}, \dots, x_n)$ – დეტერმინაციის კოეფიციენტია i -ური ცვლადის გამოორიცხვის შემდეგ.

თავისუფლების ხარისხების რიცხვები ტოლი იქნება: $f_1=1$ და $f_2=n-r-1$, სადაც n - დაკვირვებათა რიცხვია, r - საყრდენი წერტილების რაოდენობა.


განგარიშებათა მიზანს წარმოადგენს შემდეგი ჰიპოთეზის შემოწმება: $H_0: d_i=0; H_1: d_i \neq 0$.

3) კერძო F-კრიტერიუმის მიღებული F_c სიდიდე შედარდება ცხრილურ $F_{t(1, n-r-1)}$ მნიშვნელობას, რომელიც აიღება 95%-იანი სანდოობის ინტერვალისათვის. თუ $F_c(z_i) < F_{t(1, n-r-1)}$, მაშინ i -ური ცვლადი გამოორიცხება განხილვიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამოორიცხება მოდელიდან.

4) განხილული პროცედურა მეორდება r რაოდენობის საყრდენი წერტილებიდან (ცვლადებიდან) ყოველი მათგანისათვის, რის შედეგადაც გამოორიცხული იქნება უსარგებლო ცვლადები.

ვუბრუნდებით რა ინტეგრალური მოთხოვნის, როგორც ელემენტარული წრფივი მოთხოვნა-ფასის დამოკიდებულებებისაგან (საყრდენი ფუნქციებისაგან) შედგენილი რთული ობიექტის ანალიზის ამოცანას, შეიძლება დავასკვნათ, რომ შემოთავაზებული პროცედურა საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ჰიპოთეზები ამ დამოკიდებულებების მიმართ. მართლაც, საყრდენი წერტილების შერჩევა სხვა არაფერია, თუ არა ჰიპოთეზა ელემენტარული მოთხოვნების თაობაზე, ხოლო ჰიპოთეზა $H_0: d_i=0$ არის ჰიპოთეზა i -ური ელემენტარული მოთხოვნის სტატისტიკური მნიშვნელოვნების შესახებ, რომელიც ინტეგრალური აგრეგატის (ინტეგრალური მოთხოვნის) საერთო სტრუქტურაში d_i სიდიდით განისაზღვრება.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა განხილული შვიდწერტილიანი აგრეგატის ხუთი შიგა წერტილის ტესტირება (ცხადია განხილვიდან არ შეიძლება კიდურა წერტილების გამოორიცხვა). ნახ. 2-ზე მოყვანილია ინტეგრალური აგრეგატი პირველი გამოორიცხული საყრდენი წერტილისათვის $z=2$.




ნახ. 2. შვიდწერტილიანი ინტეგრალური აგრეგატი გამოორიცხული $Z=2$ საყრდენი წერტილით

ვიზუალურად ნახ. 2-ზე მოყვანილი აგრეგატი თითქმის არ განსხვავდება საწყისი 7-წერტილიანი აგრეგატისაგან, რაც გამოორიცხვის ეფექტიანობაზე მიუთითებს. ცხრილი 2-ში წარმოდგენილია კერძო F- კრიტერიუმების გამოთვლილი მნიშვნელობები ექვსივე განხილული შემთხვევისათვის, საიდანაც ჩანს, რომ ერთადერთი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი წერტილია $z=8$, რადგან მისი შესაბამისი $F_c(z_i)$ კრიტერიუმის გამოთვლილი მნიშვნელობა გაცილებით აღემატება ცხრილურს $-F_{8(1,14)}=4.60$.

ცხრილი 2						
კერძო - კრიტერიუმების გამოთვლილი მნიშვნელობები						
გამორიცხული საყრდენი წერტილები	z=2	z=5	z=8	z=11	z=14	z=17
F-კრიტერიუმი	1.88	3.78	24.63	0.14	0.00066	0.74

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ყველა შუალედური წერტილი, გარდა z=8 წერტილისა, უნდა გამოირიცხოს განხილვიდან, რის შემდეგაც მივიღებთ ინტეგრალურ აგრეგატს, რომელიც შეიძლება ოპტიმალურად ჩაითვალოს (ნახ. 3).



ნახ. 3. ოპტიმალური აგრეგატი პარაბოლური კონფიგურაციისათვის

აღვნიშნოთ, რომ ამ აგრეგატისათვის დეტერმინაციის კოეფიციენტისა ($R^2=0.94$) და ფიშერის კრიტერიუმის ($F_c(z_i) = 142.07$) შეფასებები იმაზე მიაჩნებებს, რომ მოდელის საგრძნობლად გამარტივების მიუხედავად, მისი ადეკვატურობა არ დაკარგულა. ეს დასტურდება ვიზუალურადაც, ნახ. 3-ზე მოყვანილი გრაფიკიდან.

დასკვნა

მოთხოვნის აგრეგირებული მოდელების აგებისას, საყრდენი წერტილების (ფასების) მდებარეობის შესახებ აპრიორული ინფორმაციის არარსებობის პირობებში, წარმოიშობა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი წერტილების გაცხრილვის პრობლემა. ამ მიზნით შემოთავაზებულია უსარგებლო წერტილების გამორიცხვის ამომხსნელი წესი და შესაბამისი ალგორითმი, რაც საშუალებას გვაძლევს ავაგოთ ინტეგრალური აგრეგატის ოპტიმალური სტრუქტურები. შემუშავებული მეთოდის ეფექტიანობა ნაჩვენებია შვიდწერტილიანი ინტეგრალური აგრეგატის მაგალითზე, რომელიც პარაბოლური კონფიგურაციის დაკვირვებად მონაცემთა აპროქსიმაციას ახდენს. შედარებითი დისპერსიული ანალიზი ცხადყოფს მოდელის ადეკვატურობას.

ლიტერატურა:

1. Sh. Demurashvili, T. Macharadze, A. Milnikov. Total Revenue Function and Integrated Demand Model. Georgian Engineering News. No.3 (vol.67), 2013. pp.30-34.
2. Sh. Demurashvili, T. Macharadze, A. Milnikov. Distributions of Implicit and Explicit Maximums in the Integrated Demand Model. Business-Engineering, № 1., 2014. pp. 112-116.
3. A. Milnikov, S. Sayffulin, Principles of Analysis of Internal Structures of Aggregate Demands. IBSU Journal of Business, 1(1), 2012, pp. 13-17.

TOTAL DEMAND MODEL FORMATION AND ANALYSIS USING MODERN TECHNOLOGIES
RESUME

While constructing non-linear total demand model, which is a total of certain linear elementary demands, there appears objective to form its optimal structure, which doesn't consist of statistically unimportant components. The article shows the algorithm and the rule from aggregated models due to exclude such components. Their effectiveness is estimated through the dispersive analysis.

დავით ზარნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

სოსო ცოტნიაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი


ენაში „და“, „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ

არაგამომრიცხავი და გამომრიცხავი დისიუნქცია (Disjunction) და „ან“, „ან ..., ან ...“ და „ან მხოლოდ ..., ან მხოლოდ ...“ კავშირები ჩვენ განვიხილეთ [1] ნაშრომში. აკადემიკოს აკ. შანიძისა და ლ.კვაჭაძის წიგნში ([2], გვ.58) მაცალკეებელი კავშირი „ან...ან...“ განმარტებულია ზუსტად ასეთი გამომრიცხავი მნიშვნელობით: „ან...ან...“ მაცალკეებელი კავშირის ხმარებით აღინიშნება, რომ დასახელებულ ერთნაირ წევრთაგან ამორჩეული იქნეს ერთ-ერთი (სხვების გამორიცხვით)“. [3]-ში აღნიშნულია რომ: „კავშირი „ან _ ან“ ფარდია ლოგიკის ე. წ. გამომრიცხავი დიზიუნქციისა“. „ან მხოლოდ..., ან მხოლოდ ...“ კავშირი განხილულია ზუსტად იმ აზრით, როგორცაა [4]-[5]-ში და ის ემთხვევა „ან...ან...“ კავშირს. [6]-ში განხილულია სამმაგი გამომრიცხავი „ან“. [7] ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სამჯერადი გამოყენებისას „ან მხოლოდ..., ან მხოლოდ...,ან მხოლოდ...“ და „ან...ან...ან...“ კავშირები უკვე აღარ ემთხვევიან ერთმანეთს.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია არაგამომრიცხავი და გამომრიცხავი დისიუნქციები და კონიუნქციები სამი და მეტი წინადადებისათვის (გამონათქვამისათვის). უფრო ზუსტად, განხილულია ქართულ ენაში „და“, „ან“ და „ან მხოლოდ ..., ან მხოლოდ ...“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების საკითხები. წინადადებათა ლოგიკაში კონიუნქციას ხშირად წინადადებათა გამრავლებას უწოდებენ, ხოლო დისიუნქციას - შეკრებას. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ჩანაწერის ფრჩხილებით გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად ვიგულისხმებთ, რომ კონიუნქცია უნდა შესრულდეს პირველად, ხოლო დისიუნქცია შემდეგ. მაგალითად, „P და Q ან R“ ჩანაწერში იგულისხმება „P∧Q∨R“=(P∧Q)∨R, ხოლო „P ან, Q და R“ ჩანაწერში იგულისხმება „P∨Q∧R=P∨(Q∧R)“. ამასთან ჩვენ გვაქვს აგრეთვე ჩანაწერები: “(P∨Q)∧R - „P ან Q და R“ და “P∧(Q∨R) - „P და, Q ან R“.

გამოთქმების მაგალითი მოვიყვანოთ შემდეგი შემთხვევისათვის: P - დავლევ ჩაის, Q - დავლევ ყავას, R - შევჭამ ნამცხვარს.


1. პირველი ტიპის კონიუნქცია და დისიუნქცია (I-AND-OR). P∧Q∨R სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: P∨Q∨R=(P∨Q)∨R, ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 1

გრამატიკულად: იწერება მძიმით „ან“-ის წინ - „P და Q ან R“. გამოითქმის ასე: დავლევ ჩაის და ყავას, ან შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ აუცილებლად დავლევ ჩაის და ყავას ან შევჭამ ნამცხვარს.


2. მეორე ტიპის კონიუნქცია და დისიუნქცია (II-AND-OR). $P \wedge (Q \vee R)$ სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: $P \cap (Q \cup R)$, ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 2

გრამატიკულად: იწერება მძიმით „ან“-ის შემდეგ - „P და, Q ან R“. გამოითქმის ასე: დავლევ ჩაის და, დავლევ ყავას ან შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ აუცილებლად დავლევ ჩაის და, დავლევ ყავას ან შევჭამ ნამცხვარს.


3. პირველი ტიპის დისიუნქცია და კონიუნქცია (I-OR-AND). $P \vee Q \wedge R$ სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: $P \cup (Q \cap R)$, ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 3

გრამატიკულად: იწერება მძიმით „ან“-ის შემდეგ - „P ან, Q და R“. გამოითქმის ასე: დავლევ ჩაის ან, დავლევ ყავას და შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ დავლევ ჩაის ან, დავლევ ყავას და შევჭამ ნამცხვარს.

4. მეორე ტიპის დისიუნქცია და კონიუნქცია (II-OR-AND). $(P \vee Q) \wedge R$ სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: $(P \cup Q) \cap R$, ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 4

გრამატიკულად: იწერება მძიმით „ან“-ის შემდეგ - „P ან Q, და R“. გამოითქმის ასე: დავლევ ჩაის ან ყავას და შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ დავლევ ჩაის ან ყავას და აუცილებლად შევჭამ ნამცხვარს.


აეაგოთ ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილები ამ გამოსახულებებისათვის:

P	Q	R	$P \wedge Q$	$(P \wedge Q) \vee R$	$Q \wedge R$	$P \vee (Q \wedge R)$	$P \vee Q$	$(P \vee Q) \wedge R$	$Q \vee R$	$P \wedge (Q \vee R)$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ
ჭ	მ	ჭ	მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	მ	მ	ჭ	ჭ	მ	მ	მ
მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ
მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	ჭ	მ	ჭ	მ
მ	მ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	ჭ	მ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

განხილული ოპერაციების ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილიდან ვლეებულობთ, რომ სამართლიანია ლოგიკური გამომდინარეობები:

- $(P \vee Q) \wedge R \Rightarrow (P \wedge Q) \vee R$
- $P \wedge (Q \vee R) \Rightarrow P \vee (Q \wedge R)$


5. პირველი ტიპის გამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (I-XOR-AND) - "ან P, ან Q, და R". "ან P, ან Q, და R" ასე ჩაიწერება: $(P+Q)\wedge R$. სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: $((P\setminus Q)\cup(Q\setminus P))\cap R$, ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 5

გრამატიკულად: იწერება მძიმით მეორე „ან“-ის და „და“-ს წინ - "ან P, ან Q, და R". გამოითქმის ასე: დავლევ ან ჩაის, ან დავლევ ყავას, და შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ დავლევ მხოლოდ ერთ-ერთს: ან მხოლოდ ჩაის, ან მხოლოდ ყავას და აუცილებლად შევჭამ ნამცხვარს.


6. მეორე ტიპის გამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (II-XOR-AND)- "ან P, ან Q და R". "ან P, ან Q და R" ასე ჩაიწერება: $P+Q\wedge R=P+(Q\wedge R)$. სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: $(P\setminus(Q\cap R))\cup((Q\cap R)\setminus P)$, ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 6

გრამატიკულად: იწერება მძიმით მეორე „ან“-ის წინ - "ან P, ან Q და R". გამოითქმის ასე: დავლევ ან ჩაის, ან დავლევ ყავას და შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ გავაკეთებ მხოლოდ ერთ-ერთს: ან დავლევ ჩაის, ან დავლევ ყავას და შევჭამ ნამცხვარს.


7. პირველი ტიპის კონიუნქცია და გამომრიცხავი დისიუნქცია (I-AND-XOR) - "ან P და Q, ან R". "ან P და Q, ან R" ასე ჩაიწერება: $(P\wedge Q)+R$. სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: $((P\cap Q)\setminus R)\cup((R\setminus(P\cap Q)))$, ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 7

გრამატიკულად: იწერება მძიმით მეორე „ან“-ის წინ - "P და, ან Q, ან R". გამოითქმის ასე: ან დავლევ ჩაის და დავლევ ყავას, ან შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ გავაკეთებ მხოლოდ ერთ-ერთს: ან დავლევ ჩაის და ყავას, ან შევჭამ ნამცხვარს.

8. მეორე ტიპის კონიუნქცია და გამომრიცხავი დისიუნქცია (II-AND- XOR) - "P და, ან Q, ან R". "P და, ან Q, ან R" ასე ჩაიწერება: $P\wedge(Q+R)$. სიმრავლურად ასე წარმოდგინდება: $P\cap((Q\setminus R)\cup(R\setminus Q))$, ხოლო



გრაფიკულად ასე:

გრამატიკულად: იწერება მძიმით მეორე „ან“-ის წინ - **”P და, ან Q, ან R“**. გამოითქმის ასე: დავლევ ჩაის და, ან დავლევ ყავას, ან შევჭამ ნამცხვარს - ნიშნავს, რომ დავლევ ჩაის აუცილებლად და მხოლოდ ერთ-ერთს ან დავლევ ყავას, ან შევჭამ ნამცხვარს.

ნახატი 8

ავაგოთ ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილები 5-მ პუნქტებში განხილული გამოსახულებებისათვის:

P	Q	R	P+Q	(P+Q)∧R	Q∧R	P+(Q∧R)	P∧Q	(P∧Q)+R	Q+R	P∧(Q+R)
ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ
ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	ჭ	მ
მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	ჭ	მ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

განხილული ოპერაციების ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილიდან ვღებულობთ, რომ სამართლიანია ლოგიკური გამომდინარეობები:

1. $(P+Q)∧R ⇒ P+(Q∧R)$
2. $(P∧Q)+R ⇔ P∧(Q+R)$.

დისტრიბუციულობის თვისებები:

1. $P∧(Q∨R) = (P∧Q)∨(P∧R)$
2. $(P+Q)∧R = (P∧R) + (Q∧R)$.

დამტკიცება მოცემულია ჭეშმარიტების მნიშვნელობათა შემდეგ ცხრილში:

P	Q	R	$P∧(Q∨R)$	$P∧Q$	$P∧R$	$(P∧Q)∨(P∧R)$	$(P+Q)∧R$	$Q∧R$	$(P∧R)+(Q∧R)$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ
ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	ჭ	ჭ	ჭ
მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

შევნიშნოთ, რომ $P_1, P_2 \dots P_n$ გამონათქვამებისათვის გამომრიცხავი დისიუნქციური წინადადება $P_1+P_2+ \dots +P_n$ ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კენტი რაოდენობის წინადადებები ჭეშმარიტია და მცდარია, როდესაც ლუწი რაოდენობის წინადადებები ჭეშმარიტია.

[6]-ში ჩვენ განვიხილეთ აგრეთვე **”სამოხითი (სამმაგი) გამომრიცხავი ან”** (**”Ternary exclusive or”**) - ”ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R”, რომელიც შემოღებულია [6]-ში და ის აღვნიშნეთ ასე: $P⊕Q⊕R$. ის არის ჭეშმარიტების ორ მნიშვნელობიანი ფუნქცია, რომელიც ჭეშმარიტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამიდან მხოლოდ ერთი არგუმენტია ჭეშმარიტი. $P_1, P_2 \dots P_n$ გამონათქვამებისათვის შეგვიძლია ანალოგიურად განვმარტოთ წინადადება $P_1⊕P_2⊕ \dots ⊕ P_n$ - ჭეშმარიტების ორ მნიშვნელობიანი ფუნქცია, რომელიც ჭეშმარიტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთი არგუმენტია ჭეშმარიტი. ვაჩვენებთ, რომ $P_1+P_2+ \dots +P_n$ და $P_1⊕P_2⊕ \dots ⊕ P_n$ განსხვავებულები არიან და $P_1⊕P_2⊕ \dots ⊕ P_n ⇒ P_1+P_2+ \dots +P_n$ როცა $n ≥ 3$.

ეს გვაძლევს საშუალებას $P_1, P_2 \dots P_n$ და Q გამონათქვამებისათვის განვმარტოთ:

$$(P_1∨P_2∨ \dots ∨ P_n)∧Q,$$

$$(P_1+P_2+ \dots +P_n)∧Q$$

და

$$(P_1⊕P_2⊕ \dots ⊕ P_n)∧Q$$

გამონათქვამები, როდესაც $n ≥ 3$. შევნიშნოთ, რომ $n=2$ -სათვის ეს გამონათქვამები ჩვენ განვიხილეთ ზემოთ და მეორე და მესამე გამონათქვამები ერთმანეთს ემთხვევა. ვაჩვენებთ, რომ $n=3$ -სათვის სამართლიანია ქვემოთმოყვანილი ტოლობები, რაც გამომდინარეობს ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილებიდან:

$$(P_1∨P_2∨ \dots ∨ P_n)∧Q = (P_1∧Q)∨(P_2∧Q)∨ \dots ∨ (P_n∧Q),$$

$$(P_1+P_2+ \dots +P_n)∧Q = (P_1∧Q)+(P_2∧Q)+ \dots +(P_n∧Q),$$

და

$$(P_1 \oplus P_2 \oplus \dots \oplus P_n) \wedge Q = (P_1 \wedge Q) \oplus (P_2 \wedge Q) \oplus \dots \oplus (P_n \wedge Q).$$

$(P_1 \vee P_2 \vee P_3) \wedge Q = (P_1 \wedge Q) \vee (P_2 \wedge Q) \vee (P_3 \wedge Q)$ ტოლობის მტკიცება:

P ₁	P ₂	P ₃	Q	P ₁ ∨P ₂ ∨P ₃	(P ₁ ∨P ₂ ∨P ₃)∧Q	P ₁ ∧Q	P ₂ ∧Q	P ₃ ∧Q	(P ₁ ∧Q)∨(P ₂ ∧Q)∨(P ₃ ∧Q)
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ
ჭ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ
ჭ	მ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ
მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	ჭ
მ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

$(P_1 + P_2 + P_3) \wedge Q = (P_1 \wedge Q) + (P_2 \wedge Q) + (P_3 \wedge Q)$ ტოლობის მტკიცება:

P ₁	P ₂	P ₃	Q	P ₁ +P ₂ +P ₃	(P ₁ +P ₂ +P ₃) ∧ Q	P ₁ ∧Q	P ₂ ∧Q	P ₃ ∧Q	(P ₁ ∧Q)+(P ₂ ∧Q)+(P ₃ ∧Q)
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	მ	მ
ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	ჭ	მ
ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ	ჭ	მ
მ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	ჭ	მ	ჭ
მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

$(P_1 \oplus P_2 \oplus P_3) \wedge Q = (P_1 \wedge Q) \oplus (P_2 \wedge Q) \oplus (P_3 \wedge Q)$ ტოლობის მტკიცება:

P ₁	P ₂	P ₃	Q	P ₁ ⊕P ₂ ⊕P ₃	(P ₁ ⊕P ₂ ⊕P ₃) ∧ Q	P ₁ ∧Q	P ₂ ∧Q	P ₃ ∧Q	(P ₁ ∧Q) ⊕ (P ₂ ∧Q) ⊕ (P ₃ ∧Q)
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	ჭ	მ
ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	მ	მ
ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	ჭ	მ
ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ	ჭ	მ
მ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	მ	ჭ	მ	ჭ
მ	ჭ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

მ	მ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	მ	მ	ჰ	ჰ
მ	მ	ჰ	მ	ჰ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	ჰ	მ	მ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

ლიტერატურა:

[1]. დ. ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი, ტ. ტურაშვილი. ზოგიერთი ლოგიკური ტერმინის დამკვიდრების პრობლემები. გორის VII საერთაშორისო კონფერენციის შრომები. 28-29 ნოემბერი, 2014, გვ. 49-52.

[2]. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, თბილისი, 1978.

[3]. რ. ასათიანი, თ. ჯანელიძე, მაპირისპირებული კავშირების ფუნქციონალური ანალიზი ქართულში. სემიოტიკა III. თბილისი: სემიოტიკის ცენტრი, 2009, 3-20 გვ. ინგლისური თარგმანი: Functional analysis of contrasting conjunctions in Georgian. Proceedings of the 8th international Tbilisi symposium LLC, Springer, 2011. P. 170-181

[4]. დ. ზარნაძე, ზოგადი უნარების ლოგიკის თვითმასწავლებელი, თბილისი, 2013.

[5]. მ. თომაშვილი, ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება, თბილისი, 2014.

[6]. F. J. Pellenter and A.Hartline. Ternary Exclusive or. Logic Journal of the IGPL, 16(2008), 78-83.

[7]. დ. ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი, ტ. ტურაშვილი, ქართულ ენაში „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ. გორის VIII საერთაშორისო კონფერენციის შრომები, 2015 წლის 13-14 ნოემბერი, 2016, გვ. 137-143.

Davit Zarnadze
Georgian Technical University, Niko Muskhelishvili ICM
Soso Tsojniashvili
Gori State Teaching University

**ABOUT USING THE „AND“, "OR" AND "JUST OR" LOGICAL CONJUNCTIONS IN THE LANGUAGE MULTIPLE TIMES AND ON ALTERNATELY WAYS
RESUME**

This paper explores the conjunction, inclusive and exclusive disjunctions for three or more propositions - issues of using „and“, "or" and "just or", logical conjunctions in the Georgian language multiple times and on alternately ways. It is proved the Distribution Laws in case of ternary and multiple use of logical conjunctions „and“, "or" and "just or".

დავით ზარნაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი
სოსო ცოტნიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ტრისტან ტურაშვილი

ლოგიკური ოპერაციების შესაბამისი 3-შემავლიანი სქემები რიცხვით ელექტრონიკაში


გასასვლელები (Gates) არიან რიცხვითი ლოგიკური სქემების ფუნდამენტალური სამშენებლო ბლოკები [1]-[2]. ამ მოწყობილობების ფუნქცია "გახსნით" ან "დახურვით" არის ლოგიკური სიგნალის გატარება ან დაბლოკვა. მხოლოდ ოთხი ძირითადი გასასვლელის სახის სქემით (და-AND, არაგამომრიცხავი ან-OR, გამომრიცხავი ან-XOR და არა-NOT) შეიძლება შეიქმნას გასასვლელების სიმრავლე. ისინი გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რიცხვითი ელექტრონიკის ფიზიკური პროცესების მართვის ინტეგრალურ სქემებში და ელექტრონულ ნაწილებში (ტრანზისტორებში, რეზისტორებში, დიოდებში).

„და-AND“, არაგამომრიცხავი „ან-OR“, გამომრიცხავი „ან-XOR“ და „არა-NOT“ გასასვლელები


საბაზისო ორ შემავლიანი „და-AND“ გასასვლელი შედგება ორი შემავალი და ერთი გამომავლისაგან. თუ საბაზისო ორ შემავლიანი „და-AND“ გასასვლელის ორი შემავალი არის P და Q, ხოლო ერთი გამომავალი არის $P \wedge Q$, მაშინ ის არის ჩართული მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე P და Q არის ჩართული. რიცხვით ელექტრონიკაში ჩართვის მდგომარეობა - on ხშირად გამოსახულია 1-ით, ხოლო გამორთვის მდგომარეობა - off გამოსახულია 0-ით. დამოკიდებულება შემავალ სიგნალებსა და გამომავალ სიგნალებს შორის ხშირად გამოსახულია ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილით, რომელშიც მოცემულია ყველა შემავალი და გამომავალი სიგნალების მნიშვნელობები. და-AND გასასვლელისათვის ეს მოცემულია 1.1 ცხრილში, რომელშიც „ჭ“ მნიშვნელობა შეცვლილია 1-ით, ხოლო „მ“ მნიშვნელობა 0-ით. ანალოგიური იქნება ეს ცხრილი საბაზისო არა-NOT, არაგამომრიცხავი ან-OR, გამომრიცხავი ან-XOR, და-AND გასასვლელებისათვის:

P	NOT P	Q	$P \wedge Q$, P AND Q	$P \vee Q$, P OR Q	$P + Q$, P XOR Q
1	0	1	1	1	0
1	0	0	0	1	1
0	1	1	0	1	1
0	1	0	0	0	0


სქემატურად ეს გასასვლელები ასე გამოისახება: უარყოფა (NOT Gates).



ცხრილი 1.1




ორ შემავლიანი კონიუნქციური გასასვლელი (2-input AND Gate) $P \wedge Q$, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე $P \& Q$.




სამ შემავლიანი კონიუნქციური გასასვლელი (3-input AND Gate) $P \wedge Q \wedge R$, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე $P \& Q \& R$.

ორ და სამ შემავლიანი არაგამომრიცხავ დისიუნქციური გასასვლელი (2-input OR Gate and 3-input OR Gate).




ორ შემავლიანი არაგამომრიცხავი დისიუნქციური გასასვლელი (2-input OR Gate) $P \vee Q$, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე $P + Q$. აღნიშვნა ≥ 1 ნიშნავს, რომ სიგნალი გაივლის, როცა P და Q წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა ≥ 1 -ზე.




სამ შემავლიანი არაგამომრიცხავი დისიუნქციური გასასვლელი (3-input OR Gate) $P \vee Q \vee R$, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე $P + Q + R$. აღნიშვნა ≥ 1 ნიშნავს, რომ სიგნალი გაივლის, როცა P, Q და R წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა ≥ 1 -ზე.

ორ და სამ შემავლიანი გამომრიცხავ დისიუნქციური გასასვლელი (2-input XOR Gate and 3-input XOR Gate).




ორ შემავლიანი გამომრიცხავ დისიუნქციური გასასვლელი (2-input XOR Gate) $P+Q$, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე PQ . აღნიშვნა $=1$ ნიშნავს, რომ P და Q წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა არის ზუსტად 1.




სამ შემავლიანი გამომრიცხავ დისიუნქციური გასასვლელი (3-input XOR Gate) $P+Q+R$, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე PQR . აღნიშვნა $=1$ ნიშნავს, რომ P , Q და R წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა $\text{mod}(2)=1$. სხვა სიტყვებით, თუ შემავალი სიგნალების რაოდენობის 2-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი არის 1, მაშინ სიგნალი გაივლის. თუ ნაშთი არის 0, მაშინ სიგნალი არ გაივლის, ანუ თუ შემავალი სიგნალების რაოდენობა არის კენტი, მაშინ სიგნალი გაივლის, ხოლო თუ - ლუწი, მაშინ არ გაივლის.


ორ შემავლიანი კონიუნქციურ AND გასასვლელს პლიუს NOT გასასვლელი არის **NAND** გასასვლელი (NAND Gates = 2-input AND gate plus a NOT gate).



ორ შემავლიანი არაგამომრიცხავ დისიუნქციური OR გასასვლელს პლიუს NOT გასასვლელი არის **NOR** გასასვლელი (NOR Gates = 2-input „OR” gate plus a NOT gate).




ორ შემავლიანი გამომრიცხავ დისიუნქციურ XOR გასასვლელს პლიუს NOT გასასვლელი არის გამომრიცხავი **NOR** გასასვლელი (Exclusive NOR Gates = 2-input XOR gate plus a NOT gate).




განვიხილოთ სამი ოპერაცია: კონიუნქცია \wedge , არაგამომრიცხავი დისიუნქცია \vee და გამომრიცხავი დისიუნქცია $+$. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ კარგად ცნობილი ერთნაიროპერაციანი სამ შემავლიანი კონიუნქციური გასასვლელის $P\wedge Q\wedge R$, სამ შემავლიანი არაგამომრიცხავი დისიუნქციური გასასვლელის $P\vee Q\vee R$ და სამ შემავლიანი გამომრიცხავ დისიუნქციური გასასვლელის $P+Q+R$ სქემები. როდესაც სამი ოპერაციიდან სრულდება ორ-ორი განსხვავებული ოპერაცია, მაშინ თუ პირველად სრულდება ოპერაცია პირველი ორ წინადადებაზე და შემდეგ სრულდება ოპერაცია მათ შედეგზე და მესამეზე, მაშინ ასეთი ოპერაცია იწოდება I ტიპად და იწოდება I-ით [3]. თუ პირველად სრულდება ოპერაცია მეორე და მესამე წინადადებაზე და შემდეგ სრულდება ოპერაცია მათ შედეგზე და პირველზე, მაშინ ასეთი ოპერაცია იწოდება II ტიპად და იწოდება II-ით [3]. თითოეული ტიპის ასეთი ოპერაციების რიცხვია წყობა (რადგან ოპერაციების შესრულების თანმიმდევრობის რიგის მიხედვით განსხვავებული შედეგი მიიღება) სამი ელემენტისა ორად, ანუ $A_2^3=3!=6$. ამრიგად, გვაქვს I ტიპის ექვსი და II ტიპის ექვსი ოპერაცია და შესაბამისად ამდენივე გასასვლელი. მოვიყვანთ სამი სხვადასხვა ოპერაციის ორ-ორად შესრულებისას მიღებულ სამ შემავლიანი გასასვლელის ჩამონათვალს:


(I-OR-XOR) - პირველი ტიპის არაგამომრიცხავ-გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-OR-XOR Gate).




(II-OR-XOR) - მეორე ტიპის არაგამომრიცხავ-გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input II-OR-XOR Gate).



(I-XOR-OR) - პირველი ტიპის გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-XOR-OR Gate).




(II-XOR-OR) - მეორე ტიპის გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი დისიუნქცია (3-input II-XOR-OR Gate).



(I-AND-OR) პირველი ტიპის კონიუნქცია და არაგამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-AND-OR Gate).




(II-AND-OR) მეორე ტიპის კონიუნქცია და დისიუნქცია (3-input II-AND-OR Gate).




(I-OR-AND) - პირველი ტიპის არაგამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (3-input I-OR-AND Gate).




(II-OR-AND) - მეორე ტიპის კონიუნქცია და დისიუნქცია (3-input II-OR-AND Gate)




(I-XOR-AND) - პირველი ტიპის გამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (3-input I-XOR-AND Gate).




(II-XOR-AND) მეორე ტიპის გამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (3-input II-XOR-AND Gate).



(I-AND-XOR) - პირველი ტიპის კონიუნქცია და გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-AND-XOR).




(II-AND-XOR) - მეორე ტიპის კონიუნქცია და გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input II-AND-XOR).



ზემოთ განხილული გვექონდა n -ჯერადი გამომრიცხავი დისიუნქციები (n -input XOR Gate), როცა $n=2$ და $n=3$. ახლა განვიხილოთ n -ჯერადი „ან მხოლოდ P_1 , ან მხოლოდ P_2 და ა.შ. ან მხოლოდ P_n (n -input just one XOR Gate) და ავაგოთ მისი შესაბამისი გასასვლელი, როცა $n=3$.

3-ჯერადი „ან მხოლოდ P , ან მხოლოდ Q , ან მხოლოდ R გასასვლელი $P \oplus Q \oplus R$ (3-input just one XOR Gate) [3].



ლიტერატურა:

1. Barry Paton Dalhousie. Fundamentals of Digital Electronics, 1998
2. Wayne Storr. Basic Electronics Tutorials Site. http://www.electronics-tutorials.ws/logic/logic_8.html
3. დ.ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი, ტ. ტურაშვილი, ქართულ ენაში „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მერვე საერთაშორისო კონფერენცია, 2015 წლის 13-14 ნოემბერი, 2016, გვ. 137-143.

Davit Zarnadze
Georgian Technical University, Niko Muskhelishvili ICM
Soso Tsojniashvili
Gori State Teaching University
Tristan Turashvili

**3-INPUT CIRCUITS IN DIGITAL ELECTRONICS CORRESPONDING TO LOGICAL OPERATIONS
 RESUME**

This paper explores to the 3-input Logical Gates. The first and second type of 3-input circuits of conjunction, inclusive and exclusive disjunctions for three or more propositions are considered.

ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმების აბსოლუტურად ზომადობის შესახებ

ვთქვათ (E, S) ზომადი სივრცეა, $\{\mu_h, h \in H\}$ ალბათური ზომებია S -ზე, ხოლო H ჰიპოთეზათა სიმრავლეა. ამ სიმრავლეზე განსაზღვრული გვაქვს σ -ალგებრა $A(H)$, რომელიც შეიცავს H სიმრავლის სასრულ ქვესიმრავლეებს.

გავიხსენოთ ზოგიერთი განსაზღვრებები (იხ. [1]-[3]).

განსაზღვრება 1. ვამბობთ, რომ $H = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმებს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა $\delta : (E, S) \rightarrow (H, A(H))$, რომ სრულდება შემდეგი ტოლობები $\mu_h \{ (x : \delta(x)) = h \} = 1, \forall h \in H$.

განსაზღვრება 2. ვთქვათ E არის ტოპოლოგიური სივრცე. σ -ალგებრა წარმოქმნილი E -ს ყველა ღია ქვესიმრავლეთა ოჯახით $B(E)$ სიმბოლოთი აღინიშნება. ამ σ -ალგებრის წევრებს კი E -ს ბორელის ქვესიმრავლეებს უწოდებენ.

განსაზღვრება 3. ვიტყვი რომ $X \subset R$ სიმრავლე არის ლუზინის სიმრავლე, თუ:

1. X არის ართელადი სიმრავლე;
2. ყოველი პირველი კატეგორიის Y სიმრავლისათვის R -დან $X \cap Y$ სიმრავლე არა უმეტეს თვლადია.

ცნობილია, რომ R ღერძის ყველა ლუზინის ქვესიმრავლე წარმოქმნის საკუთვრის σ -იდეალს.

შენიშვნა 1. ავღნიშნოთ, რომ ლუზინის სიმრავლის არსებობის დამტკიცება შეუძლებელია მხოლოდ ZFC თეორიის ფარგლებში. მეორეს მხრივ, იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ლუზინის სიმრავლის არსებობა საკმარისია მივიღოთ კონტინიუმის ჰიპოთეზა.

ცნობილია ლუზინის შემდეგი

თეორემა. თუ მივიღებთ კონტინიუმის ჰიპოთეზას, მაშინ არსებობს ლუზინის სიმრავლე R ღერძზე.

ეს კლასიკური თეორემა მტკიცდება ტრანსფინიტური ინდუქციის მეშვეობით. ცნობილია აგრეთვე მოდიფიცირებული კლასიკური კონსტრუქცია და ა. ხარაზიშვილისა და მ. ბერიაშვილის მიერ დამტკიცებული შემდეგი

თეორემა. კონტინიუმის ჰიპოთეზის დაშვებით არსებობს ისეთი X ლუზინის სიმრავლე R ღერძზე, რომ $X + X = \{x + x' : x \in R, x' \in R\} = R$.

ამ კონსტრუქციის მოდიფიკაციით შეიძლება აგებულ იქნას ისეთი ლუზინის სიმრავლე X , რომ $X \cup Q$ ასევე არის ლუზინის სიმრავლე, სადაც Q რაციონალურ რიცხვთა სიმრავლეა. მაშასადამე, თუ დავუშვებთ კონტინიუმის ჰიპოთეზას, მაშინ არსებობს ყველგან მკვრივი ლუზინის სიმრავლე R -ში. აგრეთვე ცნობილია, რომ ლუზინის სიმრავლე აბსოლუტურად ნულზომიანია ე.ი. ყოველი ლუზინის X სიმრავლისათვის თუ μ ნებისმიერი σ -სასრული დიფუზიური ბორელის ზომაა R -ზე, მაშინ $\mu^*(x) = 0$. განვიხილოთ X სიმრავლე ლებეგის ზომის მიმართ, რადგან ლუზინის სიმრავლე აბსოლუტურად ნულზომადი სიმრავლეა ნებისმიერი $\mu \sigma$ -სასრული დიფუზიური ბორელის ზომის გასრულების მიმართ. მაშასადამე X ნულზომადი იქნება ასევე ლებეგის ზომის მიმართაც.

ლუზინის სიმრავლის დუალურ ობიექტს წარმოადგენს სერპინსკის სიმრავლე, რომელიც აგებული იქნა სერპინსკის მიერ კონტინიუმის ჰიპოთეზის დაშვებით.

განსაზღვრება 4. ვიტყვი, რომ $X \subset R$ არის სერპინსკის სიმრავლე, თუ:

1. X არათვლადია;
2. ყოველი ლებეგის აზრით ნულზომის $Y \subset R$ სიმრავლისათვის $X \cap Y$ სიმრავლე არაუმეტეს თვლადია. სერპინსკიმ დაამტკიცა შემდეგი

თეორემა. თუ მივიღებთ კონტინიუმის ჰიპოთეზას, მაშინ R -ზე არსებობს სერპინსკის სიმრავლე.

შენიშვნა 2. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ არსებობდეს სერპინსკის სიმრავლე R -ზე, მაგრამ არ სრულდებოდეს კონტინუუმის ჰიპოთეზა. უფრო მეტიც არსებობს ZFC -ს ისეთი მოდელები, რომლებშიც კონტინუუმის ჰიპოთეზის უარყოფით მტკიცდება და ამასთან არსებობს კონტინუუმის სიმძლავრის მქონე სერპინსკის სიმრავლე. ანალოგიურ გარემოებას ადგილი აქვს ლუზინის სიმრავლეებისთვისაც. **განსაზღვრება 5.** ვთქვათ მოცემულია E სიმრავლე და ამ სიმრავლეზე განსაზღვრულია რაიმე μ ზომა. ვამბობთ, რომ რაიმე $f : E \rightarrow R$ ფუნქციას ეწოდება ზომადი μ ზომის მიმართ, თუ ნებისმიერი $B(R)$ სიმრავლისათვის სრულდება თანაფაერდობა $f^{-1}(B) \in \text{dom}(\mu)$, სადაც $B(R)$ არის σ -ალგებრა R -ზე.

M -ით აღვნიშნოთ E სიმრავლეზე განსაზღვრული ზომათა რაიმე კლასი. საზოგადოდ ვიგულისხმობთ, რომ M კლასში შემავალი ზომები სხვადასხვა σ -ალგებრებზეა განსაზღვრული.

განსაზღვრება 6. ვიტყვი, რომ $f : E \rightarrow R$ ფუნქცია ფარდობით ზომადია M კლასის მიმართ, თუ არსებობს ერთი მაინც $\mu \in M$ ზომა ისეთ, რომ f ფუნქცია ზომადია μ ზომის მიმართ.

განსაზღვრება 7. თუ ყოველი $\mu \in M$ ზომისათვის $f : E \rightarrow R$ ფუნქცია ზომადია μ ზომის მიმართ, მაშინ ამ f ფუნქციას M კლასის მიმართ უნივერსალურად (ანუ აბსოლუტურად) ზომადი ფუნქცია ეწოდება.

განსაზღვრება 8. თუ $f : E \rightarrow R$ ფუნქცია არ არის ზომადი არც ერთი $\mu \in M$ ზომის მიმართ, მაშინ f ფუნქციას აბსოლუტურად არაზომადი ეწოდება M კლასის მიმართ.

ვთქვათ მოცემულია სტატისტიკური სტრუქტურა $H = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ და $A(H) = B(R)$.

თეორემა 1. თუ $H = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების δ ძალდებულ კრიტერიუმს, მაშინ ეს ძალდებული კრიტერიუმი აბსოლუტურად ზომადია $H = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ სტატისტიკური სტრუქტურის მიმართ.

დამტკიცება. რადგან $H = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს ე.ი. არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი $\delta : (E, S) \rightarrow (R, B(R))$ ფუნქცია, რომ სრულდება შემდეგი ტოლობები $\mu_h \{(x : \delta(x)) = h\} = 1, \forall h \in R$. აქედან ცხადია, რომ ეს δ ფუნქცია ზომადია ყოველი $\mu_h, h \in R$ ზომის მიმართ. ე.ი. δ ფუნქცია აბსოლუტურად ზომადია ამ სტატისტიკური სტრუქტურის მიმართ. ამით თეორემა 1 დამტკიცებულია.

განვიხილოთ $M = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ სტატისტიკური სტრუქტურა და $L(R)$ ავღნიშნოთ R -ში მდებარე ყველა ლუზინის სიმრავლეთა σ -ალგებრა. ასევე მტკიცდება შემდეგი თეორემები:

თეორემა 2. ვთქვათ სტატისტიკური სტრუქტურა $M = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს $\delta_1 : (E, S) \rightarrow (R, B(R))$ და იგივე სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ძალდებულ კრიტერიუმს $\delta_2 : (E, S) \rightarrow (R, L(R))$, მაშინ δ_1 აბსოლუტურად ზომადია M -ის მიმართ, ხოლო δ_2 ან ფარდობით ზომადია ან აბსოლუტურად არაზომადია M -ის მიმართ.

თეორემა 3. ვთქვათ სტატისტიკური სტრუქტურა $M = \{E, S, \mu_h, h \in H\}$ უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს $\delta_1 : (E, S) \rightarrow (R, B(R))$ და იგივე სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ძალდებულ კრიტერიუმს $\delta_2 : (E, S) \rightarrow (R, S(R))$, სადაც $S(R)$ - R -ში მდებარე ყველა სერპინსკის სიმრავლეთა σ -ალგებრაა, მაშინ δ_1 აბსოლუტურად ზომადია M -ის მიმართ, ხოლო δ_2 ან ფარდობით ზომადია ან აბსოლუტურად არაზომადია M -ის მიმართ.

ლიტერატურა:

1. Z. Zerakidze, M. Mumladze, Statistical Structures and Consistent Criteria for Checking Hypotheses. Lambert Academie publishing, 2015.
2. Kharazishvili A.B. Strange Function in real analysis, Marcel Dekker. Inc. New York, 2000
3. M. Beriashvili "On some paradoxical subsets of the real line". Georgian international journal of science and technology. V 6. N4. 2014. P. 265-275

Zurab Zerakidze, Jemal Kiria
Gori State Teaching University
Tengiz Kiria

Georgian Technical University

**ABOUT ABSOLUTE MEASURABILITY OF CONSISTENT CRITERIA FOR CHECKING
HYPOTHESES
RESUME**

In this work considered such as statistical structures which admits parameters consistent estimates for checking hypotheses and for statistical structures proved when such statistical structures are or are not absolutely measurable.

Levan Midodashvili

Gori State Teaching University

Pavle Midodashvili

Ilia State University

DIMENSIONAL REDUCTION IN STANDING WAVE BRANEWORLDS

As it's known in the framework of braneworld models with large extra dimensions [1–6] can be resolved some open questions in physics, such as the hierarchy problem, the nature of flavor and others. There are many braneworlds that are realized as time-independent field configurations. But there also exist cosmological models with time-dependent metrics and matter fields, as well as branes with tensions varying in time [7–10]. One of the 5D braneworld models with non-stationary metric coefficients was proposed in [11–14] (for the generalization to 6D case see [15, 16]) where the braneworld was generated by standing gravitational waves coupled to a phantom-like bulk scalar field. In such models rapid oscillations of waves provide universal gravitational trapping of zero modes of all kinds of matter fields on the brane [17–21]. Subsequently in the paper [22] it was introduced the 5D braneworld generated by standing waves of gravitational and real scalar fields (instead of the phantom-like scalar fields of [11–14]).

In this paper we introduce new cosmological solution for the N-dimensional standing wave braneworld that features a novel dynamical mechanism of dimensional reduction. This dimensional reduction mechanism gives a 4D isotropic expanding spacetime, and so it can be important in string and other higher dimensional theories. The new braneworld model is realized as standing wave solution to the system of gravity coupled to a massless scalar phantom-like field.

Our setup consists of a single brane and non-self-interacting scalar field, ϕ , in N-dimensional spacetime with signature $(+, -, -, \dots, -)$. The action of our model has the form

$$S = \int d^N x \sqrt{|g|} \left(\frac{1}{2} M^{N-2} R - \frac{1}{2} g^{AB} \partial_A \phi \partial_B \phi + L_{Brane} \right), \quad (1)$$

where L_{Brane} is the brane Lagrangian, R is the scalar curvature of N-dimensional spacetime, and M is the fundamental scale, which is related to the N-dimensional Newton constant, $G = 1/(8\pi M^{N-2})$. Capital Latin indices numerate N-dimensional coordinates, and we use the units where $c = \hbar = 1$.

Variation of the action (1) with respect to g_{AB} leads to the Einstein equations:

$$R_{AB} - \frac{1}{2} g_{AB} R = \frac{1}{M^{N-2}} (\sigma_{AB} - T_{AB}), \quad (2)$$

where the source terms are energy-momentum tensors of the brane,

$$\sigma_B^A = M^{N-2} \delta(r) \text{diag} \left[\tau_t, \tau_{x_1}, \tau_{x_2}, \tau_{x_3}, \dots, \tau_{x_{N-3}}, \tau_r, \tau_\theta \right], \quad (3)$$

with τ_N being brane tensions, and of the bulk scalar field,

$$T_{AB} = \partial_A \phi \partial_B \phi - \frac{1}{2} g_{AB} \partial^C \phi \partial_C \phi. \quad (4)$$

The Einstein equations (2) can be rewritten in the form

$$R_{AB} = \frac{1}{M^{N-2}} \left(\sigma_{AB} - \frac{1}{N-2} g_{AB} \sigma - \partial_A \phi \partial_B \phi \right), \quad (5)$$

where $\sigma = g^{AB} \sigma_{AB}$.

We consider the following N-dimensional metric *ansatz*

$$ds^2 = (1+k|r|)^a e^S (dt^2 - dr^2) - (1+k|r|)^b \left[R e^V \sum_{i=1}^3 dx_i^2 + \sum_{j=4}^{N-3} dx_j^2 + R^{-3} e^{-3V} d\theta^2 \right], \quad (6)$$

where the curvature scale k and the exponents a and b are some constants, and the metric functions $S = S(t, |r|)$ and $V = V(t, |r|)$ depend only on time, t , and on the modulus of the orthogonal to the brane coordinate, r , and the metric function $R = R(t)$ depends only on time, t , and it represents cosmological scale factor. The determinant of (6) has the form

$$|g| = e^{2S} (1+k|r|)^{2a+(N-2)b}. \quad (7)$$

By the metric (6) we are going to describe geometry of $(N-1)$ -brane placed at the origin of the large space-like extra dimension r . Among the other $(N-2)$ spatial coordinates of the brane, three of them, x_1 , x_2 and x_3 , denote the ordinary infinite dimensions of our world, while the remaining ones, x_4 , x_5 , \dots , x_{N-3} and θ can be assumed to be of any kind, i.e. infinite, compact, large or curled up to the unobservable sizes for the present energies, these last dimensions will be affected by the dynamical dimensional reduction effect.

The non-zero components of N-dimensional Ricci tensor corresponding to (6) are

$$R_{tt} = \frac{1}{2} S'' + \frac{(N-2)bk}{4(1+k|r|)} S' - \frac{1}{2} \ddot{S} - 3 \left(\dot{V} + \frac{\dot{R}}{R} \right)^2 - \frac{(2-(N-2)b)ak^2}{4(1+k|r|)^2} + \delta(r)(S' + ak); \quad (8)$$

$$R_{x_i x_i} = \frac{1}{2} (1+k|r|)^{b-a} e^{-S+V} R \left[\ddot{V} + \frac{\ddot{R}}{R} - \frac{\dot{R}^2}{R^2} - V'' - \frac{(N-2)bk}{2(1+k|r|)} V' + \frac{(2-(N-2)b)bk^2}{2(1+k|r|)^2} \right] + \delta(r)(bk + V') e^{-S+V} R; \quad (9)$$

$$R_{x_j x_j} = \frac{1}{2} (1+k|r|)^{b-a} e^{-S} \left[\frac{(2-(N-2)b)bk^2}{2(1+k|r|)^2} - 2\delta(r)bk \right]; \quad (10)$$

$$R_{rr} = \frac{1}{2} \ddot{S} - \frac{1}{2} S'' + \frac{(N-2)bk}{4(1+k|r|)} S' - 3V'^2 + \frac{[2a + 2(N-2)b + (N-2)ab - (N-2)b^2]k^2}{4(1+k|r|)^2} + \delta(r)[S' + (a + (N-2)b)k]; \quad (11)$$

$$R_{rr} = \text{sgn}(r) \left[\frac{(N-2)bk}{4(1+k|r|)} \dot{S} - 3V' \left(\dot{V} + \frac{\dot{R}}{R} \right) \right]; \quad (12)$$

$$R_{\theta\theta} = \frac{(1+k|r|)^{b-a}}{2e^{s+3V}R^3} \left[-3 \left(\dot{V} + \frac{\ddot{R}}{R} - \frac{\dot{R}^2}{R^2} \right) + 3V'' + \frac{3(N-2)bk}{2(1+k|r|)} V' + \frac{(2-(N-2)b)bk^2}{2(1+k|r|)^2} \right] + \delta(r)(3V' - bk)e^{-s-3V}R^{-3}; \quad (13)$$

where in formulas (9) and (10) we have $i = (1, 2, 3)$, $j = (4, 5, \dots, (N-3))$, and overdots and primes denote the derivatives with respect to t and $|r|$ respectively.

The Einstein equations (5) can be split into the system of equations for metric functions:

$$\frac{1}{2}S'' + \frac{(N-2)bk}{4(1+k|r|)}S' - \frac{1}{2}\ddot{S} - 3 \left(\dot{V} + \frac{\dot{R}}{R} \right)^2 - \frac{(2-(N-2)b)ak^2}{4(1+k|r|)^2} = -\frac{\dot{\phi}^2}{M^{N-2}}; \quad (14)$$

$$\frac{(1+k|r|)^{b-a}}{2}e^{-s+V}R \left[\dot{V} + \frac{\ddot{R}}{R} - \frac{\dot{R}^2}{R^2} - V'' - \frac{(N-2)bk}{2(1+k|r|)}V' + \frac{(2-(N-2)b)bk^2}{2(1+k|r|)^2} \right] = -\frac{(\partial_{x_i}\phi)^2}{M^{N-2}}; \quad (15)$$

$$\frac{1}{2}(1+k|r|)^{b-a}e^{-s} \frac{(2-(N-2)b)bk^2}{2(1+k|r|)^2} = -\frac{(\partial_{x_j}\phi)^2}{M^{N-2}}; \quad (16)$$

$$\frac{(\ddot{S} - S'')}{2} + \frac{(N-2)bk}{4(1+k|r|)}S' - 3V'^2 + \frac{[2a + 2(N-2)b + (N-2)ab - (N-2)b^2]k^2}{4(1+k|r|)^2} = -\frac{\phi'^2}{M^{N-2}}; \quad (17)$$

$$\left[\frac{(N-2)bk}{4(1+k|r|)}\dot{S} - 3V' \left(\dot{V} + \frac{\dot{R}}{R} \right) \right] = -\frac{\phi'\dot{\phi}}{M^{N-2}}; \quad (18)$$

$$\begin{aligned} \frac{(1+k|r|)^{b-a}}{2}e^{-s-3V}R^{-3} \left[-3 \left(\dot{V} + \frac{\ddot{R}}{R} - \frac{\dot{R}^2}{R^2} \right) + 3V'' + \frac{3(N-2)bk}{2(1+k|r|)}V' + \frac{(2-(N-2)b)bk^2}{2(1+k|r|)^2} \right] = \\ = -\frac{(\partial_\theta\phi)^2}{M^{N-2}}; \end{aligned} \quad (19)$$

and for the brane energy-momentum tensor:

$$(ak + S')\delta(r) = \frac{\sigma_{tt} - \frac{\sigma}{N-2}g_{tt}}{M^{N-2}}; \quad (20)$$

$$-e^{-s+V}R(bk + V')\delta(r) = \frac{\sigma_{x_i x_i} - \frac{\sigma}{N-2}g_{x_i x_i}}{M^{N-2}}; \quad (21)$$

$$-e^{-s}bk\delta(r) = \frac{\sigma_{x_j x_j} - \frac{\sigma}{N-2}g_{x_j x_j}}{M^{N-2}}; \quad (22)$$

$$-\left[(a + (N-2)b)k + S' \right] \delta(r) = \frac{\sigma_{rr} - \frac{\sigma}{N-2}g_{rr}}{M^{N-2}}; \quad (23)$$

$$0 = \frac{\sigma_{rt} - \frac{\sigma}{N-2} g_{rt}}{M^{N-2}}; \quad (24)$$

$$e^{-S-3V} R^{-3} (-bk + 3V') \delta(r) = \frac{\sigma_{\theta\theta} - \frac{\sigma}{N-2} g_{\theta\theta}}{M^{N-2}}; \quad (25)$$

where i and j in formulas (15), (16), (21) and (22) are the same as in formulas (9) and (10).

The system of equations for metric functions (14)-(19) has the following solution:

$$a = -\frac{N-3}{N-2}, \quad b = \frac{2}{N-2}, \quad (26)$$

$$S = C_1, \quad (27)$$

$$R = C_2 e^{C_3 t}, \quad (28)$$

$$V = C_4 \sin(\omega t) f(r), \quad f(r) = J_0 \left[\frac{\omega}{k} (1+k|r|) \right], \quad (29)$$

$$\phi = \sqrt{3M^{N-2}} (V + C_3 t), \quad (30)$$

where C_i for $i = (1, 2, 3, 4)$ are some real constants, ω is some positive constant, and J_0 is the zero order Bessel function of the first kind.

Finally, the solution to Einstein equations for our *ansatz* (6)

$$ds^2 = \frac{C_1 (dt^2 - dr^2)}{(1+k|r|)^{\frac{N-3}{N-2}}} - \frac{C_2 e^{C_3 t + C_4 \sin(\omega t) f(r)} \sum_{i=1}^3 dx_i^2 + \sum_{j=4}^{N-3} dx_j^2 + \frac{e^{-3C_3 t} e^{-3C_4 \sin(\omega t) f(r)}}{C_2^3} d\theta^2}{(1+k|r|)^{\frac{-2}{N-2}}}. \quad (31)$$

For the large (cosmological) time intervals we can perform a time averaging of the oscillating exponents in (31) even for small frequencies ω . Using the formula for time averages [19]:

$$\langle e^{f \sin(t)} \rangle = I_0(f), \quad (32)$$

where $I_0(f)$ denotes the zero-order modified Bessel function, and for simplicity taking

$$C_1 = 1, \quad C_2 = 1, \quad C_3 = H, \quad C_4 = 1, \quad \omega = 1, \quad (33)$$

the metric (31) reduces to

$$ds^2 = \frac{dt^2 - dr^2}{(1+k|r|)^{\frac{N-3}{N-2}}} - (1+k|r|)^{\frac{2}{N-2}} \left[e^{Ht} e^{\sin(t) f(r)} \sum_{i=1}^3 dx_i^2 + \sum_{j=4}^{N-3} dx_j^2 + e^{-3Ht} e^{-3 \sin(t) f(r)} d\theta^2 \right]. \quad (34)$$

The properties of this spacetime depend on the sign of the constant H . As it's obvious from (34) for the positive constant,

$$H > 0, \quad (35)$$

the spacetime is exponentially expanding in the x_1 , x_2 and x_3 directions, while in all other remaining dimensions the spacetime is effectively squeezing.

So, in this paper we have demonstrated the dimensional reduction mechanism within the new model of standing wave braneworld generated by gravity coupled to a phantom-like bulk scalar field. Namely, by starting with anisotropic N -dimensional metric and leaving it evolve for large times, certain spatial dimensions will effectively shrink to zero-size while others will expand in an accelerated way. This mechanism of dynamical dimensional reduction could be useful within various classes of string models.

REFERENCES:

1. N. Arkani-Hamed, S. Dimopoulos and G. Dvali, Phys. Lett. B 429 (1998) 263, arXiv: hep-ph/9803315.
2. I. Antoniadis, N. Arkani-Hamed, S. Dimopoulos and G. Dvali, Phys. Lett. B 436 (1998) 257, arXiv: hep-ph/9804398.
3. M. Gogberashvili, Int. J. Mod. Phys. D 11 (2002) 1635, arXiv: hep-ph/9812296.
4. M. Gogberashvili, Mod. Phys. Lett. A 14 (1999) 2025, arXiv: hep-ph/9904383.
5. L. Randall and R. Sundrum, Phys. Rev. Lett. 83 (1999) 3370, arXiv: hep-ph/9905221.
6. L. Randall and R. Sundrum, Phys. Rev. Lett. 83 (1999) 4690, arXiv: hep-th/9906064.
7. M. Gutperle and A. Strominger, JHEP 0204 (2002) 018, arXiv: hep-th/0202210.
8. M. Kruczenski, R.C. Myers and A.W. Peet, JHEP 0205 (2002) 039, arXiv: hep-th/0204144.
9. V.D. Ivashchuk and D. Singleton, JHEP 0410 (2004) 061, arXiv: hep-th/0407224.
10. C.P. Burgess, F. Quevedo, R. Rabadan, G. Tasinato and I. Zavala, JCAP 0402 (2004) 008, arXiv: hep-th/0310122.
11. M. Gogberashvili and D. Singleton, Mod. Phys. Lett. A 25 (2010) 2131, arXiv: 0904.2828 [hep-th].
12. M. Gogberashvili, A. Herrera-Aguilar and D. Malag'ón-Morej'ón, Class. Quant. Grav. 29 (2012) 025007, arXiv: 1012.4534 [hep-th].
13. M. Gogberashvili, A. Herrera-Aguilar, D. Malag'ón-Morej'ón, R.R. Mora-Luna and U. Nucamendi, Phys. Rev. D 87 (2013) 084059, arXiv: 1201.4569 [hep-th].
14. M. Gogberashvili, A. Herrera-Aguilar, D. Malag'ón-Morej'ón and R.R. Mora-Luna, Phys. Lett. B 725 (2013) 208, arXiv: 1202.1608 [hep-th].
15. L.J.S. Sousa, J.E.G. Silva and C.A.S. Almeida, arXiv: 1209.2727 [hep-th].
16. P. Midodashvili, arXiv: 1211.0206 [hep-th].
17. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili, Phys. Lett. B 702 (2011) 276, arXiv: 1105.1701 [hep-th].
18. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili, Phys. Lett. B 707 (2012) 169, arXiv: 1105.1866 [hep-th].
19. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili, Int. J. Mod. Phys. D 21 (2012) 1250081, arXiv: 1209.3815 [hep-th].
20. M. Gogberashvili, JHEP 09 (2012) 056, arXiv: 1204.2448 [hep-th].
21. M. Gogberashvili, O. Sakhelashvili and G. Tukhashvili, Mod. Phys. Lett. A 28 (2013) 1350092, arXiv: 1304.6079 [hep-th].
22. M. Gogberashvili and P. Midodashvili Adv.High Energy Phys. 2013 (2013) 873686, arXiv:1310.1911 [hep-th].

RESUME

In this paper we introduce new cosmological solution for the N-dimensional standing wave braneworld that features a novel dynamical mechanism of dimensional reduction. The dimensional reduction mechanism effectively reduces N-dimensional spacetime to a 4D isotropic expanding spacetime. The new mechanism could be important in string and other higher dimensional theories. The new braneworld model is realized as standing wave solution to the system of gravity coupled to a massless scalar phantom-like field.

*მალბაზ მუმლაძე, ზურაბ ზერაკიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების არსებობის კრიტერიუმი ჰიპოთეზათა ტოპოლოგიური სივრცის შემთხვევაში

განსაზღვრება 1. ვთქვათ, X რაიმე სიმრავლეა, Ω რაიმე σ - ალგებრა მასში, Ξ პარამეტრთა რაიმე სიმრავლეა, მაშინ $\{X, \Omega, \mu_\theta, \theta \in \Xi\}$ ერთობლიობას სტატისტიკური სტრუქტურა ეწოდება [5].

განსაზღვრება 2. სტატისტიკური ჰიპოთეზა ეწოდება ვარაუდს შემთხვევითი სიდიდის განაწილების სახეზე და თვისებებზე, რომლებიც შეიძლება დადასტურდნენ ან არ დადასტურდნენ ამორჩევის მონაცემებზე სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით [5].

განსაზღვრება 3. ვიტყვი, რომ სტატისტიკურ სტრუქტურა $\{X, \Omega, \mu_\theta, \theta \in \Xi\}$, სადაც X შერჩევათა სივრცეა Ξ ჰიპოთეზათა სიმრავლე, Ω რაიმე σ - ალგებრაა X სიმრავლეში Σ ყველა

სასრული ქვესიმრავლის შემცველი σ -ალგებრაა Ξ სიმრავლეში, უშვებს ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების კრიტერიუმს, თუ არსებობს ერთი მაინც ზომადი ასახვა:

$$\eta : (X, \Omega) \rightarrow (\Xi, \Sigma)$$

ზომადი (X, Ω) სივრციდან ზომად (Ξ, Σ) სივრცეში, რომელიც აკმაყოფილებს პირობას: $\mu_\theta \{ \omega \in X \mid \eta(\omega) = \theta \} = 1$ ყოველი $\theta \in \Xi$ ჰიპოთეზისათვის [5].

შენიშვნა: ცხადია, თუ სტატისტიკურ სტრუქტურა $\{X, \Omega, \mu_\theta, \theta \in \Xi\}$, უშვებს ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების კრიტერიუმს, მაშინ $\eta : (X, \Omega) \rightarrow (\Xi, \Sigma)$ სიურექციაა.

ეთქვათ, ახლა X ნორმალური ტოპოლოგიური სივრცეა Ω ბორელის σ -ალგებრა მასში, Ξ პარამეტრთა სიმრავლეა ტოპოლოგიური სტრუქტურით და ბორელის σ -ალგებრით Σ , $M(X)$ კი რეგულარული ალბათური ზომებია Ω ბორელის σ -ალგებრაზე.

რისი-მარკოვის თეორემის [2] ძალით, ამ რეგულარული ზომების სიმრავლე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვესივრცე X ნორმალურ ტოპოლოგიურ სივრცეზე განსაზღვრულ $C(X) = \{f : X \rightarrow C\}$ უწყვეტ ნამდვილი მნიშვნელობის მქონე ფუნქციათა C^* -ალგებრის შეუღლებულ $C(X)^*$ სივრცისა, * სუსტი ტოპოლოგიით. ეს გამაიგივებელი შესაბამისობა:

$$\chi : M(X) \rightarrow C(X)^* \quad \text{განისაზღვრება ფორმულით: } \chi(\mu_\theta) = \xi, \quad \text{სადაც } \xi \text{ ისეთი დადებითი } \xi : C(X) \rightarrow C \text{ ფუნქციონალია, რომ } \xi(f) = \int_X f d\mu_\theta \text{ ყოველი } f \in C(X) \text{ ფუნქციისათვის. ასეთი დადებითი ფუნქციონალის ნორმა, როგორც ცნობილია ტოლია ერთის, ანუ } \|\xi\| = 1. \text{ ასეთ დადებით ფუნქციონალებს } C(X) \text{ } C^* \text{-ალგებრაზე განსაზღვრულ მდგომარეობებს უწოდებენ [2]. ადვნიშნით ეს სიმრავლე } E_{C(X)} \text{-ით. ცხადია, } M(X) \approx E_{C(X)}. \text{ მდგომარეობათა სიმრავლეში გამოყოფენ ეგრეთწოდებულ სუფთა მდგომარეობებს, რომლებიც მულტიპლიკაციურ ფუნქციონალებს, ანუ ფუნქციონალებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას: } \xi(fg) = \xi(f)\xi(g) \text{ წარმოადგენენ. ადვნიშნით ეს სიმრავლე } P_{C(X)} \text{-ით.}$$

როგორც ცნობილია [2], ყოველი მდგომარეობა ξ შედის $C(X)^*$ სივრცეში არსებული სუფთა მდგომარეობათა ამოზნექილი გარსის ჩაკეტვაში * სუსტი ტოპოლოგიის დროს.

ეს ნიშნავს, რომ ყოველი ξ მდგომარეობა არის სუფთა მდგომარეობათა რაიმე $\zeta_1, \zeta_2, \dots, \zeta_n$ სასრული სისტემის ამოზნექილი წრფივი კომბინაცია:

$$\xi = k_1 \zeta_1 + k_2 \zeta_2 + \dots + k_n \zeta_n, \quad k_i \geq 0, \quad \sum_{i=1}^n k_i = 1$$

$$\text{ან } \zeta_1, \zeta_2, \dots, \zeta_l, \dots, \text{ სადაც, } \zeta_l = k_1^l \zeta_1^l + k_2^l \zeta_2^l + \dots + k_{n_l}^l \zeta_{n_l}^l, \quad k_i^l \geq 0, \quad \sum_{i=1}^{n_l} k_i^l = 1 \text{ მიმდევრობის ზღვარი.}$$

როდესაც $C(X)^*$ სივრცეში გვაქვს * სუსტი ტოპოლოგია, მაშინ სუფთა მდგომარეობათა ქვესიმრავლე $P_{C(X)}$ მასში, ინდუცირებული ტოპოლოგიური სტრუქტურით ჰომეომორფულია $C(X) \text{ } C^*$ -ალგებრის სპექტრის- $\text{spec} C(X)$, რომელიც $C(X)$ ალგებრის მაქსიმალურ იდეალთა სიმრავლეს წარმოადგენს ზარისკის ტოპოლოგიური სტრუქტურით [2]. თუ X სივრცე კომპაქტურია, მაშინ $\text{spec} C(X)$ ჰომეომორფულია X სივრცისა [2] და ამგვარად არსებობს ჰომეომორფიზმი

$$H : P_{C(X)} \rightarrow X.$$

ამბობენ, რომ μ ზომა თავმოყრილია ბორელის $A \subset X$ ქვესიმრავლეზე, თუ $\mu(A) = \mu(X)$. ცხადია, ყოველი სუფთა ζ მდგომარეობა წარმოადგენს ალბათურ ზომას, რომელიც თავმოყრილია ამ სუფთა მდგომარეობის შესაბამის $x_\zeta \in X$ წერტილში აღნიშნული ჰომეომორფიზმის დროს. მართლაც, რადგან ζ სუფთა მდგომარეობაა, ამიტომ ისეთი $f \in C(X)$ ფუნქციების სიმრავლე რომელთათვისაც ადგილი აქვს ტოლობას

$$\zeta(f) = \int_X f(x) d\chi^{-1}(\zeta) = 0$$

წარმოადგენს მაქსიმალურ იდეალს $C(X)$ ალგებრაში და ეს ფუნქციები ნულის ტოლია X სივრცის იმ x_ζ წერტილზე, რომელიც ζ მდგომარეობის შესაბამისია H ჰომომორფიზმის დროს. განვიხილოთ $f' \in \ker \zeta, f'(y) > 0, y \in X, y \neq x_\zeta$ ფუნქცია. ცხადია, ასეთი ფუნქცია არსებობს ინტეგრალის ერთ-ერთი თვისების გამო.

$$\zeta(f') = \int_X f'(x) d\chi^{-1}(\zeta) = 0$$

ტოლობას მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც ზომა $\chi^{-1}(\zeta)$ თავმოყრილია x_ζ წერტილზე.

ვთქვათ, ახლა $\{X, \Omega, \mu_\theta, \theta \in \Xi\}$ ისეთი სტატისტიკური სტრუქტურაა რომლისთვისაც Ξ ტოპოლოგიური და X კომპაქტური ტოპოლოგიური სივრცეა, ხოლო $\{\mu_\theta, \theta \in \Xi\}$ რეგულარული ალბათური ზომები Ω ბორელის σ - ალგებრაზე. ვთქვათ მოცემული სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების კრიტერიუმს, ანუ არსებობს უწყვეტი ასახვა

$$\eta : (X, \Omega) \rightarrow (\Xi, \Sigma),$$

რომელიც აკმაყოფილებს პირობას $\mu_\theta\{\omega \in X \mid \eta(\omega) = \theta\} = 1$ ყოველი $\theta \in \Xi$ ჰიპოთეზისათვის. ცხადია, ასეთ შემთხვევაში μ_θ თავმოყრილი უნდა იყოს $\eta^{-1}(\theta) \subset X$ ქვესიმრავლეზე.

აქედან გამომდინარე იმისათვის, რომ მოცემული სტატისტიკური სტრუქტურა უშვებდეს ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების კრიტერიუმს, აუცილებელია სტატისტიკურ სტრუქტურაში შემავალი ზომების მატარებლები წყვილ-წყვილად ერთმანეთს არ ჰკვეთდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალგებანია [5].

მაშასადამე, იმისათვის რომ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებდეს ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების კრიტერიუმს აუცილებელია იგი იყოს ძლიერად განცალგებანი.

ვთქვათ, ახლა სტატისტიკური სტრუქტურა $\{X, \Omega, \mu_\theta, \theta \in \Xi\}$ ძლიერად განცალგებანია ისე, რომ თანაუკვეთ ქვესიმრავლეთა შესაბამისი ოჯახი $\{X_\theta\}$ წარმოადგენს X სივრცის ჩაკეტილ დაყოფას და ასახვა $\phi : \Xi \rightarrow 2^X$ განსაზღვრული ფორმულით $\phi(\theta) = X_\theta$ უწყვეტია. $X_\theta \cap X_{\theta'} = \emptyset$, აქედან გამომდინარე ϕ ინექციაა. ვთქვათ, ახლა $\varphi : X \rightarrow \Xi$ ასახვაა, რომელიც განისაზღვრება ფორმულით: $\varphi(x) = \phi^{-1}(X_\theta)$, სადაც $\phi^{-1} : \phi(\Xi) \rightarrow \Xi, x \in X_\theta$. ცხადია ასეთ შემთხვევაში $\varphi^{-1}(\theta) = X_\theta = \phi(\theta)$. φ უწყვეტია და ამიტომ ზომადიც. პირიქით, თუ $\{X, \Omega, \mu_\theta, \theta \in \Xi\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ჰიპოთეზათა ძალდებული შეფასების კრიტერიუმს, მაშინ იგი ძლიერად განცალგებანია, შესაბამისი $\{X_\theta\}$ ოჯახი წარმოადგენს X სივრცის ჩაკეტილ დაყოფას და ასახვა $\phi : \Xi \rightarrow 2^X$ რომელიც განისაზღვრება ფორმულით: $\phi(\theta) = X_\theta$ უწყვეტია. მაშასადამე ჩვენ დავამტკიცეთ შემდეგი:

თეორემა: იმისათვის, რომ $\{X, \Omega, \mu_\theta, \theta \in \Xi\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებდეს ჰიპოთეზათა ძალდებულ შეფასების

კრიტერიუმს, აუცილებელი და საკმარისია იგი იყოს ძლიერად განცალგებანი ისე, რომ თანაუკვეთ ქვესიმრავლეთა შესაბამისი ოჯახი $\{X_\theta\}$ წარმოადგენდეს X სივრცის ჩაკეტილ დაყოფას და ასახვა $\phi : \Xi \rightarrow 2^X$ განსაზღვრული ფორმულით: $\phi(\theta) = X_\theta$ იყოს უწყვეტი.

ლიტერატურა:

1. А. Боровков Математическая статистика. Москва, 1984.
2. У. Браттели, Д.Робинсон Операторные алгебры и квантовая статистическая механика. Москва, 1982.
3. М. Maleev, А. Serechenko, М. Tarashanskii Family of probability measures admitting consistent estimators. Probability distributions in definite dimensional spaces. Institute of mathematics of Ukraine SSR, Kiev, 1978.
4. Z. Zerakidze On consistent estimators for family of probability measures 5-th Japan- USSR symposium on probability theory. Kioto, 1986.
5. Z. Zerakidze, M. Mumladze, Statistical structures and consistent criteria for checking hypotheses. Lambert Academic publishing, Saarbrucken 2015.

Malkhaz Mumladze, Zurab Zerakidze

Gori State Teaching University

**THE CRITERIA OF EXISTENCE OF CONSISTENT ESTIMATE FOR CHECKING
HYPOTHESES IN CASE TOPOLOGICAL SPACE OF HYPOTHESES
RESUME**

In this work is proved necessary and sufficient condition for criteria of existence of consistent estimate of hypotheses in case when the set of hypotheses represent topological space.

*თინათინ მშვიდლობაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**დინამიური პროგრამირების მოდელი ელექტროსადგურების ოპტიმალური
განვითარებისათვის**

ენერგოსისტემის განვითარების ოპტიმიზაციის პრობლემა ენერგოსისტემის სტრუქტურის სირთულის პირობებში უნდა წყდებოდეს არა ერთი მოდელის გამოყენებით, არამედ მოდელების შეთანხმებული ერთობლიობით.

განვიხილოთ დინამიური, მრავალპარამეტრული, ამოცანა, რომელიც საჭიროებს ელექტროსადგურების და ელექტროკავშირების აღრიცხვას. ამიტომ მისი გადაჭრისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეკომპოზიციის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს რთული ამოცანის დაყოფაში, მთელ რიგ შედარებით დამოუკიდებელ ამოცანებად.

დინამიური პროგრამების მოდელი ეყრდნობა ოპტიმალურობის პრინციპს, რომელიც ასე ფორმულირებს: ოპტიმალურ სტრატეგიას იმ მიმდევრობასთან, რომელიც წარმოიქმნა საწყისი ამონახსნის შედეგად.

დინამიური პროგრამირების მეთოდი წარმატებით გამოიყენება ადიტიური ფუნქციების ოპტიმიზაციისათვის, რომელიც წარმოდგენილია ოპტიმიზირებული პარამეტრების ფუნქციების ჯამის სახით. მაგალითად, საჭიროა განვსაზღვროთ ოპტიმალური სტრატეგია მაგენერირებელი სიმძლავრეების P_i შესაყვანად j სისტემის ელექტროსადგურებზე ($j = 1, 2, \dots, J$) ვთქვათ, ოპტიმალურობის კრიტერიუმს წარმოადგენს მოყვანილი ხარჯების მინიმუმი მოცემული დადგენილი სიმძლავრის ჯამური შეყვანისა ყველა სადგურში. მაშინ მათემატიკური ამოცანა ფორმულირდება ასე, ვიპოვოთ ფუნქციის მინიმუმი:

$$\min \partial(P_1, P_2, \dots, P_j, \dots, P_r) \quad (1)$$

კავშირის პირობის შესრულებისას.

$$\sum_{j=1}^J P_j = P_{\Sigma \max} \quad (2)$$

ოპტიმალურობის თვალსაზრისით ზოგიერთი მნიშვნელობა შეიძლება აღმოჩნდეს ნულის ტოლი, რაც ნიშნავს ელსადგურის მშენებლობის არამიზნობრიობას, შესაბამის პუნქტებში (1) ფუნქციის ადიტიურობა ნიშნავს მისი ჩანაწერის შემდეგი სახით შესაძლებლობას:

$$\partial(P_1, P_2, \dots, P_r) = \sum_{j=1}^r g_j(P_j). \quad (3)$$

აქ $g_j(P_j)$ - მოყვანილი ხარჯებია ელსადგურების აღმართვასა და ელექტროსადგურებში ექსპლუატაციაზე.

დინამიური პროგრამირების ერთ-ერთი უმთავრესი იდეა არის ერთჯერადი ოპტიმიზაციის ფუნქციის შეცვლა მრავალი ცვლადების მრავალჯერადი ოპტიმიზაციის ერთი ცვლადის ფუნქციით.

ოპტიმიზაციის პროცესი იშლება ნაბიჯებად, შესაბამისი მნიშვნელობებით დამოუკიდებლად j პარამეტრებისა. ჩვენ შემთხვევაში ეს პარამეტრი იღებს დისკრეტულ მთელირიცხვიან მნიშვნელობებს $j = 1, 2, \dots, J$. მოცემულ ამოცანაში დადგინდეთ სიმძლავრეებმა ელსადგურების, აგრეთვე შეიძლება მიიღონ მხოლოდ დისკრეტული P_j მნიშვნელობა.

დინამიური პროგრამირების მეთოდის გასაადვილებლად განვიხილოთ გამარტივებული რიცხვული მაგალითები ელსადგურების განვითარების და მისი სიმძლავრეების განსაზღვრისათვის.

ვთქვათ, აუცილებელია განვსაზღვროთ სასარგებლო სიმძლავრე ახალ ელექტროსადგურებში, რომლებიც შეიძლება აღიმართონ ოთხ პუნქტში $j = 1, 2, 3, 4$ და დავაყენოთ ჯამური მაგენერირებელი

სიმძლავრე $P_{\Sigma \max} = \sum_{j=1}^4 P_j = 4_{Sed.erT}$. ამასთან თითოეული ელსადგურის სიმძლავრე შეზღუდულია

ზემოდან:

$$P_j \leq 4, \quad j = 1, \dots, 4.$$

ოპტიმალურობის კრიტერიუმად ავირჩიოთ მოყვანილი ხარჯების მინიმუმი ელსადგურების აღმართვისა და ექსპლუატაციისას:

$$\min \vartheta = \min \sum_{j=1}^4 g_j(P_j)$$


სადაც $g_j(P_j)$, $j = 1, \dots, 4$ - ცნობილი ფუნქციებია მოყვანილი ხარჯების ყოველ ელსადგურზე. ვთქვათ, ასეთი ელსადგურები იცვლებიან დისკრეტულად 1 ნაბიჯით. საწყისი ეკონომიკური დახასიათებები - ხარჯები $g_j(P_j)$ მოყვანილია ცხრილში (1).

ცხრილი 1.

j	P_j მნიშვნელობები				
	0	1	2	3	4
1	0	10	20	25	30
2	0	8	22	26	29
3	0	7	16	29	34
4	0	6	13	24	31

დინამიური პროგრამირების გამოყენებით ოპტიმიზაციის შედეგები პირველი ბიჯისათვის

ოპტიმიზაციის პროცესი იშლება ბიჯებად, რომლებიც შეესაბამება ზრდად რიცხვებს განხილულ ელექტროსადგურებზე. გეომეტრიული ილუსტრაცია მეთოდის გამოყენებისა ნაჩვენებია ნახ. 1. პირველ ბიჯზე განიხილება სისტემის ნაწილი, რომელიც შედგება ერთი პუნქტისაგან შესაძლო ელსადგურის შენებისა.



ნახ. 1 ოპტიმალური სტრატეგიის დადგენის მაგალითი დინამიური პროგრამირების გამოყენების დროს

განვიხილოთ განვითარების ყველა შესაძლო სტრატეგია ასეთი „სისტემის“ P_{Σ} სიმძლავრით, თან ვცვალოთ სიმძლავრის მნიშვნელობა პირველ P_1 პუნქტზე. ყველა შესაძლო დიაპაზონზე შესაბამისი მნიშვნელობები ხარჯებისა აღვნიშნოთ f_1 -ით. რადგან სისტემა შედგება მხოლოდ ერთი სადგურისაგან, მაშინ შეიძლება ჩავეწეროთ.

$$f_1(P_{\Sigma}) = g_1 P_1 \quad (4)$$

$$P_{\Sigma} = P_1; \quad 0 \leq P_{\Sigma} \leq P_{\Sigma \max}.$$

აქ f_1 - პირობითად ოპტიმალური მნიშვნელობაა პირველი ნაბიჯების ხარჯებისა. P_{Σ} - სისტემის მდგომარეობის პარამეტრია. P_1 - ცვლადის მნიშვნელობაა პირველ ბიჯზე.

როგორც ჩანს პირველ ბიჯზე არ არის ოპტიმიზაცია: მიუხედავად ამისა მოცემული შედეგები საჭიროა შემდგომი ბიჯებისათვის.

გადავიდეთ მეორე ბიჯზე. განვიხილოთ სისტემა, რომელიც ელსადგურების შენების ორი პუნქტისაგან შედგება. $j = 1, 2$. (ნახ. 3 ბ). ისევ დავსვათ ამოცანა მინიმალური ხარჯების განსაზღვრისა სისტემაში P_2 სიმძლავრით ყველა შესაძლებელი მნიშვნელობისათვის ამ პარამეტრის მდგომარეობის, აშკარაა

$$f_2(P_{\Sigma}) = \min_{P_1, P_2} [g_1(P_1) + g_2(P_2)].$$

როგორც ვხედავთ მინიმიზაცია აუცილებელია შევასრულოთ ორი ცვლადით P_1 და P_2 . მაგრამ, გამოვიყენებთ, რა პირველი ნაბიჯის გათვლის შედეგებს, დავიყვანოთ ამოცანა ფუნქციის მინიმიზაციამდე ერთი ცვლადიდან.

$$\text{რადგან } P_1 = P_{\Sigma} - P_2 \text{ და } g_1(P_1) = f_1(P_1) = f_1(P_{\Sigma} - P_2)$$

$$\text{მაშინ } f_2(P_{\Sigma}) = \min [g_2(P_2) + f_1(P_{\Sigma} - P_2)] \quad (5)$$

$$\text{ამასთან } 0 \leq P_2 \leq P_{\Sigma}; \quad 0 \leq P_{\Sigma} \leq P_{\Sigma \max}. \quad (6)$$

ნახ-ზე 1 სწორკუთხედში მოცემულია პირობითად ოპტიმალური ხარჯები ოპტიმიზაციის თითოეულ ბიჯზე. ციფრები სწორკუთხედების თავზე გვიჩვენებს პირობით ოპტიმალურ სიმძლავრეებს შესაბამის პუნქტებში. ისრები გვიჩვენებენ სიმძლავრის ნაზრდს წინა ნაბიჯებთან შედარებით. რიცხვები

რგოლებში - ხარჯებს პირობითად ოპტიმალური გეგმისა. ოპტიმალური სტრატეგია, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ მინიმუმს, ნაჩვენებია მუქი ისრებით.

განვიხილოთ, ოპტიმიზაცია $P_{\Sigma} = 2$ -სათვის მეორე ნაბიჯზე $j = 2$. (4.5) და (4.6) თანაფარდობასთან შესაბამისად.

$$f_2(P_{\Sigma} = 2) = \min \begin{cases} g_2(P_2 = 0) + f_1(P_{\Sigma} - P_2 = 2 - 0 = 2) = 0 + 20 = 20 \\ g_2(P_2 = 1) + f_1(P_{\Sigma} - P_2 = 2 - 1 = 1) = 8 + 10 = 18 \\ g_2(P_2 = 2) + f_1(P_{\Sigma} - P_2 = 2 - 2 = 0) = 22 + 0 = 22 \end{cases}$$

განვიხილოთ როგორ გამოიყენება ბელმანის ოპტიმალურობის პრინციპი პირობით ოპტიმალური ტრაექტორიის არჩევასა და შემდგომ ეტაპზე. თუ სისტემას, რომელიც შედგება ორი პუნქტისაგან $j = 1, 2$ აქვს სიმძლავრე $P_{\Sigma} = 2$, მაშინ როგორც არ უნდა იყოს სიმძლავრე პუნქტებში $j = 3, \dots$, სიმძლავრეები $j = 2$ და $j = 1$ პუნქტებში უნდა იყოს ოპტიმალური. ზოგადად, ბელმანის განტოლების მიხედვით გვაქვს:

$$f_j(P_{\Sigma}) = \min[g_j(P_j) + f_{j-1}(P_{\Sigma} - P_j)] \quad (7)$$

$$0 \leq P_2 \leq P_{\Sigma}; \quad 0 \leq P_{\Sigma} \leq P_{\Sigma \max}. \quad (8)$$

უკანასკნელ ბიჯზე გვაქვს $f_4(4) = 28 = \min 3$, $P_4^0 = 2$ (P_4^0 - ოპტიმალური სიმძლავრეა ელსადგურისა $j = 4$)

ოპტიმალურ ამოხსნას ვიღებთ ე.წ. უკანა სვლით. რადგან ჯამური დადგენილი სიმძლავრე ოპტიმალურობის ვარიანტში ტოლია $P_{\Sigma j=1,2,3} = P_{\Sigma} - P_4^0 = 2$, მაშინ ბოლო ბიჯის მონაცემებით გვაქვს, რომ $P_3^0 = 1$. ანალოგიურად მე-3 ბიჯის მონაცემებით $P_{\Sigma j=1,2} = P_{\Sigma j=1,2,3} - P_3^0 = 1$ -თვის გვაქვს $P_2^0 = 1$. მაშასადამე, პირველი სადგურის სიმძლავრე ტოლია ნულისა. რაც ნიშნავს, რომ ამ რეგიონში არ არის მიზანშეწონილი ელექტროსადგურის აგება.

ამრიგად, მრავალბიჯიანი ოპტიმიზაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ელემენტარული გათვლების რიცხვი დამოკიდებულია წრფივად ბიჯების რაოდენობაზე.

ლიტერატურა:

1. Дале В.А., Кришан З.П., Паегле О.Г. Итеративные методы решения динамических задач энергетических систем большой размерности. «Иzv. Ан Латв. ССР. сер. физ. и техн. н.» 1984 г. №4, стр. 92-102.
2. Арзамасцев Д.А., Липес А.В., Мизин А.Л. Модели оптимизации развития энергосистем. М.: высш. шк. 1987 г. 272 с.
3. Мелентьев А.А. Оптимизация развития и управления больших систем энергетики – М.: Высшая школа, 1982-319 с.
4. Семенов В.В. Динамическое программирование в синтезе логико-динамических систем. «Иzv. вузов приборостроения.» 1984 г. 27, №9, стр.71-77.

Tinatín Mshvidobadze

Gori State Teaching University

THE MODEL OF DINAMIC PROGRAMS FOR THE INTENSIFICATION AND DEVELOPMENT OF THE ELECTRIC POWER STATION CAPACITY RESUME

The work discusses the energy system development by using the dynamic program method. The presented model of dynamic programmatic usage gives the chance to make recommendations how to compare different versions and what kind of electric power station should be built in region. Besides it helps to find a proper place for building a new electric power station. Dynamic programmatic model is based on the optimum principle. That is formulated so: characteristic feature of optimal strategy is that whatever is the starting situation and given initial meaning the next meaning must be optimal strategy to consequence which is the result of the initial solution. For optimal criteria is closed the minimum of given expenss while building and exploitation of this power station in that region. Belman optimization principle of conditionally optimal trajectory on each step is used. This principle enables to simplify the process of optimization as much as possible. Reduction of number calculation in the method of dynamic calculation is very essential. In the problem of dynamic program n-step optimization is taken. At the same time on each step m succession changes are discussed, as on each step every m situation must be analyzed from the previous step. The advantages of multistep optimum is that the number of simple number calculation depends on the number of rectilinear steps.

ფასიანი ქაღალდების პორტფელის დროითი სტრუქტურის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია მრავალი სახეობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი: თეორიულ-ანალიზური და გამოყენებითი; გლობალური და ლოკალური; სტატიკური და დინამიკური; დეტერმინირებული და სტოქასტური; უწყვეტი და დისკრეტული. . . .

ნებისმიერი სახის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება მოითხოვს შემდეგი ეტაპების განხორციელებას: ეკონომიკური პრობლემის მკაფიოდ გამოკვეთა; აგებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის და შესასწავლი ობიექტის ადეკვატურობა; აგებული მოდელის მათემატიკური ანალიზი; აგებული მოდელის ინფორმაციული უზრუნველყოფა; ალგორითმის შედგენა; სპეციალური კომპიუტერული პროგრამის დაწერა ან არსებულის გამოყენება (არსებობის შემთხვევაში); მოდელის გათვლა და მიღებული შედეგის ეკონომიკური ანალიზი.

მოდელები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების პორტფელის, დინამიკას აღწერენ საკმაოდ რთულ მათემატიკურ აპარატს ეფუძნება, დიფუზიური პროცესების, სტოქასტური დიფერენციალური განტოლებების და საერთოდ სტოქასტური ანალიზის ღრმა თეორიებს. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა ისეთი მოდელი რომლის პრაქტიკული გამოყენებაც შესაძლებლად მიგვაჩნია, ამასთანავე იგი არ შეიცავს რთულ მათემატიკურ აპარატს.

განვიხილოთ ინვესტორი, რომელიც შემოდის მოცემულ ფინანსურ ბაზარზე გარკვეული საწყისი B რაოდენობის კაპიტალით. ინვესტორის მიზანია შექმნას ისეთი პორტფელი, რომ მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება.

შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

n - ფინანსურ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების, (აქტივების) რაოდენობა;

A_1, A_2, \dots, A_n - იყოს შესაბამისად $1, 2, \dots, n$ -ური ფასიანი ქაღალდის (აქტივის) მოცულობა;

$S_1^t, S_2^t, \dots, S_n^t$ - თითოეული აქტივის ერთეულის ფასი საწყის (შემენის) მომენტში;

X_1, X_2, \dots, X_n - შესაბამისად $1, 2, \dots, n$ -ური აქტივის რაოდენობა პორტფელში;

t - დროის მომენტი $t \geq 0$;

$S_1^t, S_2^t, \dots, S_n^t$ - იყოს შესაბამისად $1, 2, \dots, n$ -ური აქტივის ფასი t - მომენტისათვის;

C_t^F - პორტფელის ფასი საწყის მომენტში;

C_t^F - პორტფელის ფასი t - მომენტისათვის.

მიღებული აღნიშვნების შესაბამისად ადვილი მისახვედრია, რომ:

პორტფელის ფასი საწყის მომენტში იქნება

$$C_0^F = S_1^0 X_1 + S_2^0 X_2 + \dots + S_n^0 X_n \leq B \quad (1)$$

სადაც B - ინვესტორის საწყისი კაპიტალია, ცხადია

$$0 \leq X_i \leq A_i; \quad (2)$$

პორტფელის ფასი t - მომენტისათვის იქნება

$$C_t^F = S_1^t X_1 + S_2^t X_2 + \dots + S_n^t X_n \quad (3)$$

პორტფელის შემოსავალი t -დროში იქნება $C_t^F - C_0^F$.

სიდიდეს

$$R_t^F = \frac{C_t^F - C_0^F}{C_0^F} \quad (4)$$

პორტფელის შემოსავლიანობა (ამონაგები) ეწოდება t -დროში. თუ პორტფელში ერთი i -ური აქტივია, მაშინ პორტფელის შემოსავლიანობა იგივეა, რაც ამ აქტივის შემოსავლიანობა

$$R_t^F = \frac{X_i S_i^t - X_i S_i^0}{X_i S_i^0} = \frac{S_i^t - S_i^0}{S_i^0} = R_i^t \quad (5)$$

საიდანაც

$$S_i^t = (1 + R_i^t) S_i^0 \quad (6)$$

შევნიშნოთ, რომ პორტფელში შემავალი აქტივების განაღდება დრო არის სხვადასხვა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე i -ური აქტივის განაღდება მოხდა $\tau < t$ მომენტში მაშინ ეს აქტივი პორტფელში არის როგორც ვალუტა. t -მომენტისათვის ვთვლით, რომ $S_t^i = S_t^i$, ან τ -მომენტისთვის დგება ახალი პორტფელი საწყისი კაპიტალით $B = S_t^i X_i$. ახალი პორტფელის შედგენისას როგორც ქვემოთ დავინახავთ აუცილებელია გავითვალისწინოთ ძველ პორტფელში შემავალი აქტივები.

ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე $\rho_1^i, \rho_2^i, \dots, \rho_n^i$ - შემთხვევითი სიდიდეებია ამასთანავე $\rho_1^i > -1$ (ეს შეზღუდვა საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აქტივების ფასების არაუარყოფითობა). ρ_1^i -სიდიდეებს აქვს მარტივი ეკონომიკური შინაარსი: $\rho_1^i < 0$ ნიშნავს i -ური აქტივის ფასის დაწევას საწყის ფასთან შედარებით; $\rho_1^i > 0$ კი ფასის აწევას საწყის ფასთან შედარებით.

ρ_1^i -სიდიდეების შემთხვევითობიდან გამომდინარე i -ური აქტივის შემოსავლიანობაც შემთხვევითი სიდიდე არის, ამ შემთხვევითი სიდიდის დისპერსიას ან საშუალო კვადრატულ გადახრას i -ური აქტივის რისკი ეწოდება. შესაბამისად პორტფელის რისკი იზომება პორტფელის შემოსავლიანობის დისპერსიით ან საშუალო კვადრატული გადახრით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თითოეული აქტივის შემთხვევითობა დამოკიდებულია

ბაზრის კონიუნქტურაზე, რომელსაც ინვესტორი ვერ შეცვლის, მაგრამ მიუხედავად ამისა მას შეუძლია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პორტფელის რისკი გარკვეულად არეგულიროს.

გამოვითვალოთ პორტფელის რისკი, ამისათვის მე- (4) გამოსახულებაში გავითვალისწინოთ (1), (3) და (6) თანაფარდობანი მივიღებთ:

$$R_t^P = \frac{(S_t^1 X_1 + S_t^2 X_2 + \dots + S_t^n X_n) - (S_t^1 X_1 + S_t^2 X_2 + \dots + S_t^n X_n)}{C_t^P} = \frac{X_1(S_t^1 - S_t^1) + X_2(S_t^2 - S_t^2) + \dots + X_n(S_t^n - S_t^n)}{C_t^P}$$

$$= \sum_{k=1}^n \frac{X_k}{C_t^P} \rho_k^i$$

საიდანაც [1]

$$D(R_t^P) = D\left(\sum_{k=1}^n \frac{X_k}{C_t^P} \rho_k^i\right) = \sum_{k=1}^n \sum_{l=1}^n \left(\frac{X_k}{C_t^P}\right) \left(\frac{X_l}{C_t^P}\right) \text{cov} \rho_k^i \rho_l^i \quad (7)$$

სადაც $\text{cov} \rho_k^i \rho_l^i = M(\rho_k^i - M\rho_k^i)(\rho_l^i - M\rho_l^i)$.

შევნიშნოთ, რომ სიდიდე $W_k = \frac{X_k}{C_t^P}$ წარმოადგენს k -ური აქტივის ფარდობით წონას მთელ პორტფელში

$$W_1 + W_2 + \dots + W_n = 1 \quad (8)$$

ამ აღნიშვნის გათვალისწინებით პორტფელის რისკი (7) მიიღებს სახეს

$$D(R_t^P) = \sum_{k=1}^n \sum_{l=1}^n W_k W_l \text{cov} \rho_k^i \rho_l^i \quad (9).$$

განვიხილოთ შემთხვევა: როდესაც პორტფელში ორი აქტივი გვაქვს, მაშინ (9) მიიღებს სახეს

$$D(R_t^P) = W_1^2 D(\rho_1^i) + W_2^2 D(\rho_2^i) + 2W_1 W_2 \text{cov} \rho_1^i \rho_2^i \quad (10)$$

როგორც ვიცით

$$\text{cov} \rho_1^i \rho_2^i = r \sqrt{D(\rho_1^i) D(\rho_2^i)}$$

სადაც r კორელაციის კოეფიციენტია.

დაუშვათ, რომ $W_1 = W_2 = \frac{1}{2}$, ხოლო $D(\rho_1^i) = D(\rho_2^i) = \sigma^2$. განვიხილოთ შემთხვევები როცა კორელაციის კოეფიციენტი არის შესაბამისად $r = -1$, $r = 0$, $r = 1$.

$r = -1$ ნიშნავს, რომ ამ აქტივების ამონაგებს შორის არის სრული უარყოფითი კორელაცია (ერთის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას), მაშინ

$$D(R_t^P) = \frac{\sigma^2}{4} \quad (11)$$

$r = 0$ ნიშნავს, რომ ამ აქტივების ამონაგებები არაკორელირებულია, მაშინ

$$D(R_t^P) = \frac{\sigma^2}{2} \quad (12)$$

$r = 1$ ნიშნავს, რომ ამ აქტივების ამონაგებს შორის არის სრული დადებითი კორელაცია (ერთის გაზრდა იწვევს მეორის გაზრდას), მაშინ

$$D(R_t^P) = \frac{3\sigma^2}{4} \quad (13)$$

(11), (12) და (13)-დან დავასკვნით, რომ პორტფელის რისკის შესამცირებლად საჭიროა პორტფელში შევიყვანოთ უარყოფითად კორელირებული წყვილები, ან არაკორელირებული წყვილები ე.ი. პორტფელის შედგენისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია აქტივებს შორის მოვძებნოთ უარყოფითად კორელირებული წყვილები.

როდესაც პორტფელში გვაქვს არა ორი არამედ $n > 2$ -არაკორელირებული აქტივი (9)-დან მივიღებთ

$$DR_n^E = \sum_{i=1}^{n-1} w_i^2 D\rho_i^E \quad (14)$$

თუ $w_i = \frac{1}{n}$ ე.ი. თითოეულ აქტივში თანაბარი თანხებია ინვესტირებული, მაშინ

$$DR_n^E = \frac{1}{n^2} \sum_{i=1}^{n-1} D\rho_i^E \quad (15)$$

თუ ყველა $D(\rho_i^E) = \sigma^2$, მაშინ

$$DR_n^E = \frac{1}{n^2} n \sigma^2 = \frac{\sigma^2}{n} \quad (16)$$

(16) გამოსახულებიდან დავასკვნით, რომ პორტფელის რისკის შესამცირებლად საჭიროა ინვესტირება მოვახდინოთ რაც შეიძლება მეტ არაკორელირებულ აქტივში, n -ის გაზრდასთან მცირდება პორტფელის რისკი.

რეალურ სიტუაციაში პორტფელის შემადგენლობაში ყოველთვის გვხდება გარკვეული დონის კორელირებული აქტივები. ამ შემთხვევაში პორტფელის რისკი იანგარიშება (9) გამოსახულებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პორტფელის ძირითადი მახასიათებლებია პორტფელის შემოსავლიანობა R_n^E და პორტფელის რისკი $D(R_n^E)$ ამასთანავე გასათვალისწინებელია $t > 0$ დრო, მაგრამ არ შეიძლება დრო იყოს უსასრულოდ დიდი. ყველა პორტფელის მფლობელს (ინვესტორს) აინტერესებს სასრული დროის შემდეგ პორტფელის ღირებულება. ასეთ შემთხვევაში ვთავაზობთ მოდელში არსებული ცვლადების ნაცვლად გამოვიყენოთ მათი პროგნოზი [2] რომელთა გამოყენება გაზრდის პორტფელის რისკს.

საბოლოოდ ინვესტორის სტრატეგია შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: შევქმნათ ისეთი პორტფელი, რომ პორტფელის შემოსავლიანობა R_n^E გარკვეულ $t > 0$ დროში იყოს მაქსიმალური, მინიმალური $D(R_n^E)$ რისკით, (1) და (2) შეზღუდვებით. შევნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში (2) შეზღუდვაში X_i ცვლადები არის მთელი რიცხვები (ფინანსური აქტივების დაყოფა შეუძლებელია მაგალითად ობლიგაცია, თუ ფინანსური აქტივი საბანკო ანგარიშია მან შეიძლება მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობა) ამ შემთხვევაში X_i ცვლადების შესარჩევად შეიძლება გამოყენებული იქნეს ნაწილობრივ მთელრიცხვიანი წრფივი პროგრამირების ალგორითმი (იხ. [3] გვ 359).

ლიტერატურა:

1. ლაზრიყვა ნ., მანია მ., მირზაშვილი გ., ტორონჯაძე თ., ლლონტი ო., ჯამბურია ლ. ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი. სსა, ფონდი „ვერაზია“ თბ., 1999.
2. ცერცვაძე კ., საუკეთესო წრფივი პროგნოზის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება და ინოვაცია“ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო, 2012.
3. Е. Г. Гольштин, Д.Б.Юдин.Новые направления в лиейном программировании. Москва, 1966.

Karlo Tsertsvadze

Gori State Teaching University

ECONOMIC AND MATHEMATICAL MODEL OF TIME STRUCTURE OF PORTFOLIO OF SECURITIES RESUME

In the work is the cliscussed the goal of creating stock portfolio. Issues of portfolio risk reduction is studied as well. also here is shown portfolio risk action, when portfolio shares negative correlated and non correlated actives.

Елена Анатольевна Айвазова

Татьяна Александровна Корельская

Северный Государственный Медицинский Университет (г. Архангельск, Россия)

СОДЕРЖАНИЕ ОКСИДОВ АЗОТА В ВОЗДУХЕ ГОРОДА АРХАНГЕЛЬСКА

Все вещества, загрязняющие атмосферный воздух, в большей или меньшей степени влияют на здоровье человека. Эти вещества попадают в организм человека преимущественно через систему дыхания. Органы дыхания страдают от загрязнения непосредственно, поскольку около 50% долей примесей оседают в легких. Проникающие в организм частицы вызывают токсический эффект, поскольку они:

- а) токсичные (ядовитые) по своей химической или физической природе;
- б) служат помехой для одного или нескольких механизмов, с помощью которых нормально очищается респираторный (дыхательный) тракт;
- в) служат носителем поглощенного организмом ядовитого вещества (оксиды азота не только могут вызвать отравления, но и являются канцерогенами).

Поэтому чрезвычайно важно проведение мониторинговых исследований объектов окружающей среды в отношении загрязнения их токсическими соединениями, одними из которых являются оксиды азота.

Тип рельефа, расположение зелёных насаждений и водоёмов, природный и техногенный барьеры в транспортной сети тоже влияют на экологию городов. К примеру, все вышеупомянутые факторы воздействуют на характер автомобильного движения, а, как известно, пробки на дорогах приводят к повышению загрязнения воздуха выхлопными газами в 1,3 раза. Оксиды азота являются одними из наиболее токсичных компонентов отработавших газов. Их содержание в газах от бензиновых двигателей составляет 0,0-0,8 об.%, от дизельных двигателей – 0,0002—0,5 об.%

Также оксиды азота поступают из почвы в воздух в результате нитрификации и иммобилизации азота минеральных удобрений почвенной микрофлорой. Эмиссия из почвы в атмосферу оксидов азота характеризуется отчетливой суточной динамикой, связанной с водно-физическими условиями и интенсивностью биологических процессов.

Целью нашего исследования было проведение мониторинга накопления оксидов азота в приземном воздухе города Архангельска и соответствие их уровня ПДК.

В качестве объектов исследования были отобраны пробы воздуха, взятые в различных районах г. Архангельска (в период с сентября по октябрь 2014 года). Отбор проб проводился аспирационным методом. Последующее определение уровня содержания оксидов азота осуществлялось методом колориметрии в лаборатории кафедры общей и биоорганической химии СГМУ.

В ходе исследования установлено, что в пробах, взятых с Набережной Северной Двины и Набережной Георгия Седова (0,008 мг/м³ и 0,015 мг/м³, соответственно) отмечается минимальное содержание оксидов азота. Максимум наблюдается в районах перекрестка ул. Папанина и ул. Дачной (0,054 мг/м³) и перекрестка ул. Тимме – Воскресенская (0,043 мг/м³). Увеличение содержания связано с большой нагрузкой автотранспорта на указанных участках (автомобильные парковки, автобусные остановки, «пробки»). В результате этого возрастает время работы двигателей внутреннего сгорания автомобилей в холостом режиме, что приводит к локальному загрязнению атмосферного воздуха оксидами азота.

Содержание оксидов азота в воздухе города Архангельска

№ п/п	Расположение места отбора пробы	Колориметрия, СГМУ (С(NO ₂), мг/м ³)
1	Переулок Наб. Северной Двины - ул Свободы	0,008
2	Соломбала (пер-к наб.Георгия Седова - Кедрова)	0,015
3	Морской Речной Вокзал	0,018
4	Остановка кинотеатр «Мир»	0,022
5	Железнодорожный вокзал	0,034
6	Площадь Ленина	0,039
7	ТЭЦ	0,040
8	Пер-к Тимме-Воскресенская	0,043
9	Пер-к Папанина-Дачная («Петромост»)	0,054

Выводы.

- Интенсивность накопления зависит от уровня транспортной нагрузки, эмиссии сжигания топлива.
- Содержание оксидов азота в приземном воздухе г. Архангельска не превышает норму ПДК (0,085 мг/м³).

Elena Aivazova, Tatiana Korelskaia
Northern State Medical University (Arkhangelsk, Russia)
OXYDES OF THE AZOT IN THE AIR OF ARKHANGELSK
RESUME

The article covers the topics which are associated with the negative effect of the oxydes of azot on the windpipe of the habitants of Arkhangelsk and its quantity in the air of Arkhangelsk.

Елена Анатольевна Айвазова
Северный Государственный медицинский университет (г. Архангельск, Россия)
Мариам Наполеоновна Убирия
Горькийский Государственный Учебный Университет (г. Гори, Грузия)

ОСОБЕННОСТИ МАГНИЕВОГО ОБМЕНА У КОРЕННЫХ ЖИТЕЛЕЙ НЕНЕЦКОГО АВТОНОМНОГО ОКРУГА (НАО) АРХАНГЕЛЬСКОЙ ОБЛАСТИ

В настоящее время возникла общемировая проблема дефицита биоэлементов (йода, кальция, селена, магния), связанная с изменениями технологий сельского хозяйства, неправильным применением минеральных удобрений, качественным изменением состава пищи, увеличением доли животных продуктов за счёт растительных, высоким потреблением белков и жиров, табакокурением, употреблением алкоголя и др. Кроме того, общеизвестна зависимость состояния внутренней среды организма от внешних факторов. Неблагоприятные факторы внешней среды вносят свои коррективы в гомеостаз организма. Климат Севера, отличающийся высокой геомагнитной активностью, необычным фотопериодизмом, дефицитом тепла и инсоляции, является дискомфортным для человека и формирует своеобразный региональный уровень жизнеобеспечения, характеризующийся напряжением всех систем организма.

Ненецкий автономный округ (НАО), являющийся частью территории Архангельской области, расположен за Полярным кругом в зоне тундры и вечной мерзлоты, с суровым климатом и низкой годовой амплитудой температуры, преобладающим временем года - зимой, является ещё более дискомфортным, чем в более южных районах Архангельской области.

Европейский Север, в том числе и НАО, является регионом с высоким уровнем распространённости заболеваний сердечно-сосудистой системы, центральной нервной системы (цнс), желудочно-кишечного-тракта (жкт), а также высоким уровнем смертности по сравнению со средними широтами. Одной из возможных многочисленных причин указанных патологий может являться дисбаланс электролитов, в том числе и магния.

Поэтому в основу исследования положена проблема дефицита магния, которая среди патологии элементного статуса у населения России занимает лидирующую позицию.

Магний (Mg)-один из важнейших макроэлементов, занимающий 4 место по распространённости в организме и 2 место после калия по содержанию внутри клетки. Биологическая роль магния чрезвычайно многообразна. Он служит структурным компонентом (поддерживает жидкое состояние и стабилизацию фосфолипидного бислоя, третичную и четвертичную структуру белка, двойную спираль ДНК), выполняет динамическую функцию (кофактор или аллостерический модулятор активности ферментов), участвует в реакциях трансфолирования, которые являются ключевыми в активации/деактивации путей сигнальной трансдукции. Поэтому магний необходим для нормального протекания множества биохимических реакций и физиологических процессов, которые обеспечивают энергетику и функции различных органов, что определяет его ведущую роль в обеспечении системного функционирования и позволяет рассматривать его как важнейший регулирующий фактор жизнедеятельности организма человека.

Для оценки магниевого гомеостаза в клиничко-лабораторной диагностике используют только определение его в сыворотке крови, однако, указанные показатели являются неинформативными ввиду особенностей распространения данного биоэлемента в организме (только 1 % всего организменного магния содержится в сыворотке крови). Для установления истинного состояния Mg гомеостаза наиболее информативным является определение содержания магния в волосах).

Цель: выявление особенностей магниевого обмена у коренных жителей НАО.

Материалы и методы. В обследовании приняли участие 56 человек, из них 82% составили женщины и 18%-мужчины. Критериями включения служили: проживание в НАО не менее 10 лет, неокрашенные волосы, информированное согласие каждого обследуемого, отсутствие вредных привычек (чрезмерное употребление алкоголя). Средний возраст обследуемых женщин составил 46,2 года, средний возраст обследуемых мужчин-39,3 года. Забор волос осуществлялся с затылочной части головы (3-5 см прикорневой части волос). Анализ образцов проводился атомно-абсорбционной спектрофотометрией. Забор волос осуществлялся в весенний период (апрель-май). Все обследуемые были анкетированы для выявления преимущественного типа питания и наличия заболеваний сердечно-сосудистой системы, цнс, ЖКТ в анамнезе. Анкета была разработана и утверждена на кафедре общей и биорганической химии Северного государственного медицинского университета (г. Архангельск), где и было проведено исследование. Данная анкета не позволяет определить точное количественное поступление элемента, однако, позволяет дать ориентировочную оценку поступления Mg с пищей и вероятность наследственных предрасположенностей обследуемых к заболеваниям, возможно связанным с дисбалансом магния.

Результаты и их обсуждение. Анализ характера питания обследуемых позволяет сделать вывод о недостаточном поступлении магния с продуктами питания, т.к. в 87,4% случаев предпочтительным являлся мясо-рыбный рацион, который не отличается большим содержанием данного макроэлемента (наиболее богатыми Mg продуктами являются крупы, бобовые, арбузы, зелень). Кроме того, у 44,6% обследуемых коренных жителей НАО, в анамнезе имелись заболевания, возможно связанные с дисбалансом исследуемого биоэлемента.

Результаты содержания Mg в волосах показали, что медианное значение у женщин- жительниц НАО, достоверно выше, чем у мужчин и составляет соответственно 154мг/кг и 84мг/кг (P=0,003). Полученные нами результаты хорошо согласуются с литературными данными. Обращает внимание факт значительного превышения средних показателей у женщин по сравнению с мужчинами почти в 2 раза. Отмечено также, что у женщин выше частота встречаемости за пределами высоких концентраций биоэлемента магния в волосах, нежели у мужчин, и составляет соответственно 69,6% против 40%. Перциальный интервал у женщин составил 83,50-154,00 мг/кг, у мужчин эти значения 47,25-113,25мг/кг, что указывает на большую вариабельность результатов у женщин-жительниц НАО.

Полученные результаты позволяют сделать следующие предварительные выводы:

1. Несмотря на недостаточное поступление магния с пищевыми продуктами, гипомagneмии у коренных жителей НАО не выявлено, что, возможно, является региональной особенностью;
2. Содержание магния в волосах у женщин-коренных жительниц НАО, значительно выше, чем у мужчин-коренных жителей НАО;
3. Концентрация магния в волосах коренных жителей НАО значительно превышает верхние границы физиологической нормы, особенно у женщин.

Полученные результаты предварительны, но и они свидетельствуют об особенностях метаболизма у жителей Европейского Севера, особенно жителей НАО.

Elena Aivazova

Northern State Medical University (Arkhangelsk, Russia)

Mariam Ubiria

Gori State Teaching University

THE PECULIARITIES OF THE MAGNIUM TRANSFORMATION AMONG THE HABITANTS OF THE AUTONOMIC REGION OF ARKHANGELSK (SO-CALLED "NAO") RESUME

In the given article there are examination those actual problems which cover the topics of the magnium transformation. The researches have shown that regardless of the deficit of the magnium, hypomagneimia wasn't revealed of the habitants. Moreover, the concentration of the magnium in the hair was on the upper levels of the physiological norms.

**სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ბუნებრივი საკვები-სავარგულების
სათიბ-სამოვრების გამოყენების თავისებურებანი**

მეცხოველეობის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვისათვის სრულფასოვანი საჭირო საკვები ბაზით უზრუნველყოფას, რომლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ბუნებრივი სათიბ-სამოვრები, რომელზეც შეიძლება მწვანე მასის მაღალი და გარანტირებული მოსავლის მიღება. საქართველო მდიდარია სათიბ-სამოვრების ფართობებით, რომლის რაციონალური და გონივრული გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის დარგის განვითარებას. სათიბების ფართობები 1480 ათას ჰა-ს შეადგენს, სამოვრების კი 1774,9 ათას ჰა-ს. საქართველოში 2968,6 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 755,9 ათასი ჰა ანუ 25,6%-ს საკუთარი მეპატრონე ჰყავს. დანარჩენი 2222,7 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული სახელმწიფოს გამგებლობაშია. ამ უდიდეს სიმდიდრეს ჩვენ შესაბამისად ვერ ვუვლით და რაციონალურადაც ვერ ვიყენებთ.

ბუნებრივი საკვები სავარგულების სამოვრად ან სათიბად გამოყენება დღეისათვის ერთადერთი საშუალებაა მივიღოთ მოსავალი მრავალი ასეული ათასი ჰექტარიდან. სამოვრული საკვების მაღალი ყუათიანობა, სრულფასოვნება და საჭირო ნივთიერებებით დაბალანსება განაპირობებს სამოვრული შენახვის დროს მაღალ წვლადობასა და წონამატს, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდას.

ბუნებრივი სამოვრების რაციონალური გამოყენება ბალახნარის მაღალი მოსავლის და პროდუქტიულის ხანგრძლივად შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. წლების მანძილზე ბუნებრივი საკვები სავარგულების უსისტემო ექსპლუატაცია მკვეთრად აუარესებს ბალახნარის ბოტანიკურ-სამეურნეო შედეგნილობას, სამოვრული საკვების და თივის ხარისხს, ამცირებს მის მოსავლიანობას და პროდუქტიულობას, ხელს უწყობს სარეველა და დაბალი კვებითი ღირებულების მცენარეების, მავნებლებისა და დაავადებების გავრცელებას, კორდის დარღვევას და ეროზიული პროცესების განვითარებას, გარემოს დაზინძურებას, განაპირობებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირებას. აღნიშნული აუცილებელს ხდის ამ სავარგულების მოვლა გაუმჯობესებასთან ერთად გონივრული გამოყენების სისტემის შემუშავებას და ყველა კონკრეტული პირობებისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელებას.

ბუნებრივი საკვები სავარგულების მოსავლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა სასუქებით განოყიერება. სასუქების შეტანით მკვეთრად დიდდება თივისა და სამოვრული საკვების მოსავლიანობა, უმჯობესდება ჭამადობა და ბოტანიკური შედეგნილობა. სათიბ-სამოვრების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა მათი მორწყვა, რითაც უმჯობესდება ნიადაგის კვებითი რეჟიმი და მასთან ერთად ჩატარებული სხვა ღონისძიებათა ეფექტი. სათიბ-სამოვრების მორწყვა უნდა ჩატარდეს ყველგან და აუცილებლად, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს საკითხი ზამთრის სამოვარზე, რომელიც განლაგებულია ნახევრად უდაბნოს და მშრალი ველების ზონებში, სადაც ნალექების საერთო სიმცირესთან ერთად პერიოდულად ძლიერი გვალვები საფრთხის წინაშე აყენებს მეცხოველეობის, განსაკუთრებით - მეცხვარეობის საკვებით უზრუნველყოფის საკითხს.

ნიადაგში წყლის სიჭარბე, კარგი კვებითი ღირებულების მცენარეულობისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის, ამცირებს სათიბ-სამოვრების პროდუქტიულობას, უარესდება ბალახნარის ხარისხი, აფერხებს სამოვარზე პირუტყვის დროულად გაყვანას და ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებას, ხელს უშლის თივის დამზადებისას მექანიზაციის გამოყენებას. ასეთი ტიპის სათიბ-სამოვრებზე აუცილებელია ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაჭაობებული სათიბ-სამოვრები საფუძვლიანი წესით უნდა გაუმჯობესდეს, ამოშრობის შემდეგ გადაიხნას და დაითესოს სათანადო ბალახნარევები. ბუნებრივ საკვებ-სავარგულების გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საკვები ბალახის შეთესვა და დაფარცხვა.

სათიბ-სამოვრების რაციონალური გამოყენებით, გათიბვის ვადებისა და ჯერადობის დაცვით, ნაკვეთმორიგებითი ძოვების დანერგვით, სათიბბრუნვისა და სამოვარბრუნვის, სამოვრებზე მოვლის დროული ღონისძიებების გატარებაში, რწყვის ან დაშრობის ღონისძიებების, სათიბისა და სამოვრის გამოყენების მორიგეობით მნიშვნელოვნად იზრდება მდელოს მოსავლიანობა, უმჯობესდება ბალახნარის

ბოტანიკურ-სამეურნეო მდგომარეობა და ამ მდგომარეობამდე ბალახნარის შენარჩუნება ხანგრძლივი დროის მანძილზე.

საკვები სავარგულების მაღალი პროდუქტიულობა განპირობებულია სწორად შერჩეული გაუმჯობესებისა და გამოყენების, როგორც ცალკეული ხერხების, ასევე ერთიანი ღონისძიებათა კომპლექსის გატარებით. გამოყენების სწორი სისტემის პირობებში წარმოებული ბალახი მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად ხასიათდება მაღალი ყუათიანობით, სრულფასოვნებით და დაბალი თვითღირებულებით. ცხოველთა საკვებად გამოყენებული ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა (კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, სიმინდის სილოსი ტაროთი) იმავე ან მეტი რაოდენობით საკვებ ერთეულს შეიცავს, მაგრამ გაცილებით ღირებულა პროტეინის შემცველობით, ვიდრე საკვები ბალახები. აქვე უნდა იქნეს გათვალისწინებული ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ სახნავ მიწებზე კულტურების მოვლა-მოყვანა 2-3-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ბალახის წარმოება. განსაკუთრებით იაფია სამოვრული საკვები, ვინაიდან გამოვების დროს გამოთიშულია მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები, თუმცა სამოვრის გამოყენების თანამედროვე სისტემები და ხერხები შრომისა და მატერიალური სახსრების არცთუ მცირე დანახარჯებს მოითხოვს, თუმცა გაცილებით უფრო მცირეა მინდვრის კულტურების მოვლა-მოყვანისათვის საჭირო ხარჯებთან შედარებით. საქართველოში ბუნებრივი სამოვრიდან მიღებული საკვები ერთეული 1,5-2,0-ჯერ იაფია ნათესი ბალახების თივის და 4,5-ჯერ იაფი სათოხნი კულტურების საკვებ ერთეულზე.

სამოვრული საკვები ხასიათდება მაღალი ყუათიანობით, სრულფასოვნებით, რთული და მარტივი ცილების, არაცილოვანი ამიდების, ნახშირწყლების, მარილების, მიკრო და მაკრო ელემენტების, ვიტამინების, სტილუმატორების და სხვათა სათანადო რაოდენობით, პირუტყვის კვებისათვის დაბალანსებული შეფარდებით და რაც მთავარია სიიაფით. სამოვრული საკვები გამოირჩევა კარგი ჭამადობითა და მონელებადობით, რაც განპირობებს სამოვარზე პირუტყვის მაღალ პროდუქტიულობას.

ბუნებრივი საკვები სავარგულების სამოვრად ან სათიბად გამოყენება დღეისათვის ერთადერთი საშუალებაა მივიღოთ მოსავალი სახნავად გამოუსადეგარი მრავალი ასეული ათასი ჰექტარიდან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, სადაც სახნავი მიწების სიმცირის პირობებში, სწორედ ბუნებრივი სათიბ-სამოვრები წარმოადგენს ბევრ რეგიონში მაღალხარისხიანი საკვების წარმოების თითქმის ერთადერთ, საიმედო და იაფ წყაროს.

სამოვრული შენახვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს სამოვარზე ყოფნის დადებითი მოქმედება პირუტყვზე: სუფთა ჰაერი, შეუზღუდავი მოძრაობა, რომელიც მასტიმულირებლად მოქმედებს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე, ხელს უწყობს პირუტყვის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, სასიცოცხლო პროცესების რეგულაციას, ორგანიზმის გამძლეობას სხვადასხვა დაავადებების მიმართ, უკეთ ამყვანებს და იყენებს გენეტიკურ პოტენციალს. აღნიშნულის შედეგად მცირდება ბერწიანობა და შესაბამისად მატულობს ნამატის მიღება, იზრდება ჯანსაღი მოზარდი, იქმნება მისი ინტენსიური ზრდისა და მაღალი პროდუქტიულობის ყველა პირობა. სამოვარზე ნამყოფი პირუტყვი შემდგომში უკეთ იტანს ზამთრის ბაგური შენახვის პირობებს.

სამოვრული პერიოდის განმავლობაში მკვეთრად მცირდება მოთხოვნილება კომბინირებულ საკვებზე, ან იგი ხშირად საერთოდ აღარაა საჭირო. ასევე გამოთიშულია დანახარჯები მწვანე მასის გათიბვაზე, ტრანსპორტირებაზე, საკვების დარიგებაზე, ნაკელის გატანაზე, რაც ცხადია ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. სამოვრული საკვების მაღალი ყუათიანობა, სრულფასოვნება და უმეტეს შემთხვევაში ცხოველის მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღწევისათვის საჭირო ნივთიერებებით დაბალანსება განაპირობებს სამოვრული შენახვის დროს მაღალ წველადობასა და წონამატს, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდას. შემთხვევითი არ არის, რომ სამოვრულ პერიოდში მიიღება რძის წლიური წარმოების 60-70% და სწორედ სამოვარზე ხდება ძროხეულის და ცხვრის იაფი სუქება.

პირუტყვის სამოვრულ შენახვას თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. უპირველეს ყოვლისა ეს არის სამოვრის პროდუქტიულობის რამდენადმე შემცირება ბალახნარის ნაწილის გადათელვისა და ნაკელით დაბინძურების გამო, რაც კულტურულ სამოვარზე მნიშვნელოვნად უფრო მცირეა. მხედველობაშია მისაღები პირუტყვის მიერ სამოვარზე გადაადგილების, მორეკვა-გარეკვისა და გადარეკვაზე გაწეული შედარებით გაზრდილი ენერგეტიკული დანახარჯები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება ბაგურს. ენერგიის ეს დანახარჯი ექვივალენტურია 500 კგ წონის ფურის ერთ კმ მანძილზე გადარეკვის დროს 1 კგ რძის წარმოსაქმნელად გაწეული ენერგიისა. გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული პირუტყვის სამოვარზე შენახვისათვის საჭირო ნაგებობის, ფარდულების მშენებლობა, სარწყურებელი ადგილების მოწყობა. პირუტყვის სამოვრული შენახვა კულტურულ სამოვარზე, ბუნებრივი იქნება ბალახნარი თუ ნათესი, მოითხოვს საკმაოდ დიდ შრომით და მატერიალურ დანახარჯებს რეგულირებული ძოვების ორგანიზაციისათვის (ნაკვეთების შეღობვა, ელექტრომწყემსის

გადატანა, გზების გაყვანა და მოვლა, გამოვების შემდეგ დარჩენილი ბალახის წათიბვა, ნაკელის გაფანტვა და სხვ.).

ამდენად, პირუტყვის საძოვრული შენახვა და მასთან დაკავშირებული რაციონალური გამოყენება, დადებით მოქმედებასთან ერთად, განაპირობებს, აგრეთვე ბალახნარის ოპტიმალურ ზრდა-განვითარებას და მაღალ პროდუქტიულობას. პირუტყვისა და ბალახეულის მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილებით არის შესაძლებელი რაციონალური ძოვების უზრუნველყოფა და საძოვრის სწორი გამოყენების საფუძვლების დამკვიდრება. ეს კი თავის მხრივ ხარისხიანი ბალახის მაქსიმალური მოსავლიანობის მიღებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის მაღალი პროდუქტიულობის მიღწევის მთავარი პირობა.

ლიტერატურა:

1. აგლაძე გ., სარჯველაძე ი., „მდელოსნობა“, თბილისი, 2014.
2. აგლაძე გ., საკვებწარმოება, თბილისი, 2010.
3. აგლაძე გ., საძოვრებისა და სათიბების რაციონალური გამოყენების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ხერხები, თბილისი, 2008;
4. ყამარაული ს., წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობაში, თბილისი, 2000.

Suliko Beridze

The Georgian Patriarchate Saint Tbel Abuserisdze Teaching University

FEATURES OF USAGE THE NATURAL FOOD AND MEADOWS FOR AGRO ANIMALS RESUME

Use of natural forage lands for grazing or hay mowing currently is one of the most possibilities in order to receive the yield from hundred thousand hectares of not arable lands. High nutritiousness of pasture forage, full value and balance by needed substances in trans-humane grazing stipulates high milking and additional weight, and production growth of animal husbandry products.

Tending activities of the turf and for the improvement of the natural grass cover pastures should take place in natural grasslands. Profitable-healing, decorative or multifarious plants should be taken into consideration while cleaning lands from weeds. Carrying out mowing, pasture changing and mow changing in time considerably grows harvest of the natural meadow and is improved quality of the obtained food. On the hardened lands “rejuvenation” process is carried out by mowing, disking (phasing) tilling to improve water, food regime quality and for growing viability of the microorganisms.

In the article there are considered utilization of rational arrangement of natural feed and pastures improvement in Georgia. Mentioned activities will accomplice formal agricultures with making necessary feed base for non-deficient cattle-breeding. Hay and pasture productivity is increased twice or trice, it is also improved grass quality, increasing in it grain and cocoon albumen.

ნელი გოგინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გარემო ფაქტორების გავლენა ფოტოსინთეზის პროდუქტიულობაზე

სიცოცხლეს ჩვენს პლანეტაზე უზრუნველყოფს ელექტრონების ენერგია, წარმოქმნილი მზის სხივური ენერგიის, სპეციფიკური ორგანული ნივთიერებებით - პიგმენტებით შთანთქმის ხარჯზე. დედამიწაზე ამ სახის ფუნქცია ხორციელდება მწვანე მცენარეების და ფოტოტროფული ბაქტერიების მიერ და ეს პროცესი ცნობილია ფოტოსინთეზის სახელწოდებით. ელექტრონების ენერგია მობილიზებული ფოტოსინთეზის პროცესში, გენეტიკურადაა დაკავშირებული მზის სხივურ ენერგიასთან. მზის სხივური ენერგია პრაქტიკულად ერთადერთი მოძრავი ძალაა, რომლის ხარჯზე ხორციელდება დედამიწის მთელი მოსახლეობის ცხოველქმედება.

ფოტოსინთეზის განუმეორებელი თავისებურებაა ის, რომ დიდი უმრავლესობის სხვა პროცესებისგან განსხვავებით არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება პიგმენტების (ქლოროფილის) მიერ მზის ენერჯის არა გაბნევა, არამედ რეაქციის პროდუქტებში პოტენციური ქიმიური ენერჯის ფორმით დაგროვება.

მწვანე მცენარე მზის შთანთქმული ენერჯის ხარჯზე ახორციელებს ნახშირორჟანგისა და წყლის მოლეკულების ასიმილაციას, რომლის შედეგად წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები და მასთან ერთად, გამოიყოფა თავისუფალი ჟანგბადი. ეს ორგანული ნივთიერებები მასში არსებული ენერჯით, გამოიყენება ჰეტეროტროფული ორგანიზმების მიერ მათი ცხოველქმედების ყველა პროცესში.

ფოტოსინთეზის ფუნქციის შესრულების უნარი გააჩნიათ მცენარის მხოლოდ მწვანე ნაწილებს. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ფოთოლი. ამ საკითხთან დაკავშირებით აკადემიკოსი კ. ტიმირიაზევი მიუთითებს: „შეიძლება ითქვას, რომ ყველა ორგანული ნივთიერება, რა მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს იგი, სადაც არ უნდა გვხვდებოდეს - მცენარეში, ცხოველში თუ ადამიანში - გაივლის ფოთლებს და წარმოიქმნებიან ფოთლების მიერ გამომუშავებული ნივთიერებებისაგან“.

მცენარეში წარმოიქმნება სხვადასხვა ორგანული ნივთიერებები - სახამებელი, ცილები და ენერჯით მდიდარი სხვა პროდუქტები. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მწვანე ფოთლებში მარაგდება სხვადასხვა ორგანულ ნივთიერებებში ტრანსპორტირებული მზის ენერჯია. მზის ენერჯის გარდაქმნის პროცესი კი ხორციელდება მწვანე პიგმენტების - ქლოროპლასტების, მათ შორის ქლოროფილის მონაწილეობით.

მასასადამე, მწვანე მცენარე წარმოადგენს პირველ წყაროს სიცოცხლის არსებობისა და განვითარებისათვის დედამიწაზე.

დედამიწის მწვანე მცენარეთა მიერ ყოველწლიურად ასიმილირებული ნახშირორჟანგის რაოდენობიდან თითქმის ნახევარი მოდის ხმელეთის, ხოლო დანარჩენი - მდინარეების, ზღვებისა და ოკეანეების მცენარეებზე. პლანეტის მცენარეების მიერ შექმნილი ორგანული ნივთიერებების საერთო პროდუქცია 450 მლრდ ტონაა წელიწადში და წარმოადგენს სიცოცხლის მატერიალურ ბაზას დედამიწაზე. ამავე პროცესის შედეგად მცენარეების მიერ ატმოსფეროში გამოიყოფა 460 მლრდ ტონამდე თავისუფალი მოლეკულური ჟანგბადი.

ფოტოსინთეზის პროცესის უნიკალური როლი მდგომარეობს იმაში, რომ ნახშირორჟანგი - ორგანული მატერიის დაშლის საბოლოო პროდუქტი, ხელახლა ერთვება ბუნებაში მიმდინარე ნივთიერებათა წრებრუნვაში.

მცენარეში ნახშირორჟანგი შედის ჰაერიდან. ის, მზის სხივური ენერჯის დახმარებით გარდაიქმნება რთულ, ენერჯით მდიდარ ორგანულ ნივთიერებად, რომლითაც იკვებება ცხოველთა სამყარო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ CO₂-ის გამოყენება მცენარის მიერ, მხოლოდ სინათლეზე ხდება. ასევე აუცილებელია ქლოროფილი, რადგან უქლოროფილო მცენარეები მოკლებული არიან CO₂-ის გამოყენების უნარს. მწვანე პიგმენტები (მათ შორის ქლოროფილი) უდიდეს როლს ასრულებენ მზის სხივური ენერჯის შთანთქმასა და ქიმიურ გარდაქმნაში. როგორც ჩანს, პლასტიდები და კერძოდ, ქლოროფილი უჯრედის ბიოქიმიური პროცესების ცენტრია. მწვანე მცენარის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ფოთოლში უნდა იყოს ქლოროფილის განსაზღვრული რაოდენობა. არსებობს გარკვეული დამოკიდებულება (დადებითი კორელაცია) პიგმენტებში ქლოროფილის შემცველობასა და სხივური ენერჯის შთანთქმის კოეფიციენტის სიდიდეს შორის.

ფოტოსინთეზის პროცესის რთული ბუნება მჭიდროდაა დაკავშირებული გარემო პირობებთან. თითოეული გარემო ფაქტორის გავლენა ფოტოსინთეზის პროცესზე დამოკიდებულია და აისახება ყველა სხვა ფაქტორის ზემოქმედების მიმართულებაში. ორგანიზმის რეაგირება გარე ზემოქმედებაზე განისაზღვრება მცენარის ბიოლოგიური თავისებურებებით. ეს ფაქტორებია: სინათლე, მისი ინტენსიურობა და სპექტრი, ნახშირორჟანგის კონცენტრაცია, ტემპერატურა, წყალი, მინერალური კვება და სხვა.

ისევე, როგორც ნებისმიერი ფიზიოლოგიური ფუნქცია, ფოტოსინთეზიც შედის იმ პირობების ჯგუფში, რომელთა დახმარებით ეს პროცესი ხორციელდება. მათგან აღსანიშნავია სინათლის ინტენსიურობა. განსაზღვრული დამოკიდებულებაა სინათლის ინტენსიურობასა და მის სპექტრულ შედგენილობას შორის. დადგენილია, რომ მზე დედამიწაზე გამოსახივებს 42²¹ კვ. ენერჯიას წელიწადში, რაც მოწმობს იმას, რომ დედამიწის თითოეულ ჰექტარზე ენერჯია მოდის 8,75 მლნ კვ-ის ექვივალენტური. მზის ზედაპირის მიერ გამოსხივებული სინათლე მეტწილად შედგება სხივებისაგან, რომელთა ტალღის სიგრძე 300-2000 ნმ-ია და მაინც დედამიწის ატმოსფეროს მოღწეული ძირითადი სხივური ენერჯია მოდის ტალღების სიგრძის საკმაოდ ვიწრო დიაპაზონზე. წყლის ორთქლი შთანთქავს ინფრაწითელ სხივების დიდ ნაწილს, ოზონი და ნახშირორჟანგი უზრუნველყოფენ სინათლის შემდგომ გაფილტვრას. ამის შემდეგ ატმოსფეროში თითქოს წარმოიქმნება სარკმელი, რომელშიც გაივლის მზის მიერ გამოსხივებული

სინათლის ნაწილი, ე.წ. ხილული სხივი. ტალღის სიგრძე, რომელიც უკეთესად აღიქმება ცხოველების თვალის მიერ, ეფექტურია აგრეთვე ფოტოსინთეზისთვის. სხივები ქლოროფილის მიერ შთანთქმება ამორჩევით და გადასცემს ენერგიას ქიმიურ სისტემებზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფოტოსინთეზისათვის და „გამშვები“ სისტემისათვის - ფოტოპერიოდიზმი, ტროპიზმები, შეფერილობის შეცვლის პროცესები.

ფოტოსინთეზის პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სინათლის მინიმალური ინტენსივობის დროსაც კი, მაგალითად, დაისის სინათლისას, ხოლო 60⁰ განედზე ის არ წყდება ზაფხულის თეთრი ღამეების დროსაც კი. სინათლის მატებისას მზის სრული განათების 1/3-მდე ფოტოსინთეზის ინტენსიურობა მატულობს, განათების შემდგომი ზრდისას - 250 000 ერგი სმ²/წმ, დგება ფოტოსინთეზის სინათლით გაჯერება.

სინათლის მაქსიმალურმა ინტენსივობამ, რომელიც მეტია სინათლის გაჯერებაზე (40 000 – 50 000 ერგი სმ²/წმ) შეიძლება გამოიწვიოს ფოტოსინთეზის აპარატის დაშლა ფოტოჟანგვისა და ფერმენტების ინაქტივაციის მავნე მოქმედების შედეგად.

განათების ინტენსიურობასა და CO₂-ის კონცენტრაციის გაზრდისას განათებულობის გაჯერება არ შეიმჩნევა.

მცენარეთა ფოთლებს აქვთ სხივური ენერგიის შთანთქმისა და რაციონალურ გამოყენებასთან შეგუებულობის უნარი. ფოთლების მიერ სხივური ენერგიის შთანთქმა სპექტრის უბნებში 380-710 ნმ, შედარებით მუდმივია მცენარეთა უმრავლესი სახეობისათვის და შეადგენს დაახლოებით 80%-ს. ასეთი მუდმივობა ძირითადად განპირობებულია ფოთლებში ქლოროფილის ჭარბი შემცველობით, ე.ი. მისი განსაზღვრული მარაგით. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ინტენსიურ სინათლეზე მცენარეები მეტ ნახშირწყლებს წარმოქმნიან, ხოლო სინათლის დაბალი ინტენსივობისას სინთეზირდება მეტი აზოტოვანი ნაერთები. მცენარეთა ნათესებში თვითდაზრდილის გამო სინათლის ინტენსივობა უმნიშვნელოა, რაც ხშირად წარმოადგენს მოსავლის შემცირების მიზეზს.

ტემპერატურა დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო პროცესზე. ტემპერატურის 25-35⁰-მდე გადიდებისას მატულობს ფოტოსინთეზის ინტენსივობა. ფოტოსინთეზზე ტემპერატურის მკვეთრი გავლენა შეიძლება დავინახოთ მხოლოდ სინათლის მაღალი ინტენსიურობის დროს, რაც განპირობებულია ფოტოქიმიური დ ფერმენტული სისტემებით, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა სიძლიერის პროდუქტიულობა და გატარების უნარი. გარდა ამისა, ტემპერატურული რეჟიმის ცვალებადობა შესამჩნევ გავლენას არ ახდენს ფოტოქიმიურ რეაქციათა სიჩქარეზე, ამიტომ სინათლის დაბალი ინტენსიურობის დროს ფოტოსინთეზი ლიმიტირდება მეტწილად ფოტოქიმიური სისტემების მუშაობით, ხოლო მაღლის დროს - ფერმენტული სისტემების მუშაობით, რომელთათვისაც ტემპერატურა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ტემპერატურის ქვედა ზღვარი, რომლის დროსაც შეიძლება განხორციელდეს ფოტოსინთეზი დაახლოებით არის 5⁰C, ხოლო ფოტოსინთეზისათვის ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურა 25⁰C-ია.

წყლის ფაქტორს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ფოტოსინთეზის პროცესში. მისი მონაწილეობით ხდება მცენარეში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესი, მათ შორის ფოტოქიმიური და ენზიმური რეაქციები ქსოვილების გაწყლოვანების ხარისხზეა დამოკიდებული მზის რადიაციის ენერგიის შთანთქმა, ნახშირორჟანგის ასიმილაცია, ფერმენტული რეაქციების მიმართულება, ტრანსპირაციის ინტენსივობა და ა.შ.

წყალი დიდ გავლენას ახდენს ქლოროპლასტების სტრუქტურაზე, მცენარის ფოთლებში ოპტიკური თვისებების განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტების პიგმენტების ბიოსინთეზზე, ფოთლის ზედაპირის წარმოქმნაზე. წყლის დეფიციტის დროს ხდება ფოთლებში უკვე ჩამოყალიბებული ქლოროპლასტების დეგრადაცია.

ნიდაგის ტენიანობის დეფიციტის პირობებში უმეტესი სახეობის მცენარეთა ნათესების მიერ ფოტოსინთეზურად აქტიური რადიაციის (**ფარ**) - ენერგიის შთანთქმის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მცირდება, ფოთლების ზედაპირის ნაკლებ განვითარებითა და ფოტოსინთეზური აპარატის აქტივობის დაქვეითებით.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა - 0,03%, მხოლოდ მინიმუმია მცენარისათვის, ამიტომ მის გადიდებას ატმოსფეროში მივყავართ ფოტოსინთეზის ენერგიის გადიდებაზე, რაც დადებითად მოქმედებს ქლოროფილის შემცველობაზე, მცენარის ზრდა-განვითარებასა და საბოლოოდ ფოტოსინთეზის პროდუქტიულობის ამაღლებაზე. ამის გამო, მოსავლიანობის გადიდების მიზნით დაიწყეს ორანჟერებში, სათბურებსა და მინდვრის პირობებშიც კი ნახშირორჟანგით ჰაერის ხელოვნური გადიდება.

ატმოსფეროში ნახშირორჟანგის საკმაო რაოდენობით შემცველობისას მცენარეში წარმოიქმნება მეტი შაქრები, სახამებელი და ნაკლები ამინომჟავები და ცილები, ხოლო მისი (ნახშირორჟანგის)

ნაკლებობისას - მეტი ამინომჟავები და ცილები და ნაკლები შაქრები და სახამებელი. ძირითად წყაროს ჰაერის CO₂-ით გასამდიდრებლად ნიადაგი წარმოადგენს. ეს გამოწვეულია ნიადაგის ორგანული ნივთიერებების ხრწნის პროცესით, ნიადაგში არსებული მიკროორგანიზმების სუნთქვით და სხვა.

მცენარეებს შეუძლიათ შეითვისონ ნახშირორჟანგი არა მარტო ატმოსფეროდან ფოთლების მეშვეობით, არამედ ფესვთა სისტემიდან, რაც მცენარის ნახშირბადოვანი კვების რეგულირების საშუალებას იძლევა.

მინერალური კვება ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია, რომელიც ყოველმხრივ გავლენას ახდენს მცენარის სიცოცხლეზე, მის პროდუქტიულობასა და პროდუქციის ხარისხზე.

მცენარეთა კვება როგორც ინტეგრალური პროცესი შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ნივთიერებებისა და ენერჯის ნაკადებისაგან, რომლებიც განპირობებულია ფოტოსინთეზის ფუნქციებით, სუნთქვით და ფესვური კვებით, თავიანთი მარეგულირებელი სისტემებით.

ფესვთა სისტემის მიერ ხდება სხვადასხვა მაკრო- და მიკროელემენტების შეთვისება. ისინი წარმოადგენენ ფოტოსინთეზური აპარატის, პიგმენტების, ფერმენტების, კოფერმენტების ცილოვანი-ლიპიდურ კომპონენტებს. ტილაკოიდები, ქლოროპლასტების ლამერალურ-გრანულარული სტრუქტურები წარმოიქმნებიან მცენარის ოპტიმალური კვების პირობებში. საკვებ სუბსტრატში აზოტისა და ფოსფორის ნაკლებობისას შეიმჩნევა ქლოროპლასტების ულტრასტრუქტურის დრმა ცვლილებები, იშლებიან ან სრულიად არ წარმოიქმნებიან ტილაკოიდები, გრანები, ჩნდებიან ბუმბუკები და ელექტრონულად მკვირივი სხეულები. უჯრედთა ქლოროპლასტებში მცირდება სახამებლის მარცვალთა რაოდენობა და ზომა.

სხვადასხვა მეცნიერთა გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ მცენარეები, რომლებიც მოკლებული იყო აზოტით კვებას შეიცავენ ნაკლებ ქლოროფილს სრულ საკვებ ხსნარში აღზრდილ მცენარეებთან შედარებით. ეს იმით აიხსნება, რომ აზოტის ნაკლებობისას მცენარეში ირღვევა ქლოროპლასტების ულტრასტრუქტურა, პიგმენტთა ბიოსინთეზი და ხდება პროდუქტიულობის შემცირება, ე.ი. მყარდება პირდაპირი დამოკიდებულება პიგმენტების ბიოსინთეზსა, ქლოროპლასტების სტრუქტურასა და მცენარის პროდუქტიულობას შორის.

საკვები ხსნარიდან აზოტის გამოთიშვისას ხდება სხივური ენერჯის შთანთქმის მკვეთრი დაქვეითება და მოსავლის შემცირება. აზოტის დოზის 2-ჯერ გადიდება საკვებში, ხელს უწყობს მცენარის მიერ მზის ენერჯის შთანთქმის გაძლიერებას 2,4%-ით და მოსავალში ენერჯის დაგროვებას 16,5%-ით იმ ვარიანტთან შედარებით, რომლებიც ღებულობენ ნორმალურ კვებას (NPK).

მასასადამე, მცენარეში ქლოროფილის შემცველობა შეიძლება დარეგულირდეს მინერალური კვების პირობების შეცვლით და მის საფუძველზე სხივური ენერჯის შთანთქმით.

მცენარის ზრდა-განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებიდან, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესი კვების პრობლემაა. მისი გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა მცენარეთა მიერ მზის ენერჯის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება, რადგან მცენარის ბიომასის წონის 90-95%-ს შეადგენს ფოტოსინთეზის პროცესში წარმოებული ორგანული ნივთიერებები. მცენარის პროდუქტიულობის ზრდა, თავის მხრივ, გულისხმობს ფოტოსინთეზის პროდუქტიულობის, აგრეთვე მზის რადიაციის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებას. ფოტოსინთეზურად აქტიური რადიაციის (ფარ) მონაწილეობა ფოტოსინთეზის პროცესში შეადგენს მთელი ენერჯის 45-50%-ს.

მცენარის მიერ მზის რადიაციის მნიშვნელოვანი რაოდენობით შთანთქმისათვის დიდი როლი აქვს გარემო ფაქტორებს, რომელთაგან უმთავრესია სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა და ნათესის სიხშირე. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით შემოსული რადიაციის სიდიდე მკვეთრად განსხვავდება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. უკიდურეს ჩრდილოეთში მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში (რომელიც ერთ თვემდე გრძელდება) მისი დაგროვება შეადგენს 1,5-2,0 მლრდ კკალ/ჰა, სამხრეთისაკენ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა სწრაფად იზრდება (7-8 თვემდე) და შესაბამისად რადიაციის ჯამური მაჩვენებელი 8,0-12,0 მლრდ კკალ/ჰა-ს აღწევს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ბიომასის განსხვავებულ რაოდენობას.

აუცილებელია ისეთი ნათესი, რომლის ფოთლების ზედაპირი შეადგენდეს 40-50 ათას მ²/ჰა და მეტს მაგრამ ნათესში ფოთლის ზედაპირის ზრდასთან ერთად იზრდება ურთიერთდაჩრდილვა და მცირდება ფოთლების მიერ ფოტოსინთეზის საშუალო ინტენსივობა და სუფთა პროდუქტიულობა.

სხვადასხვა სახეობის მცენარეები განსხვავებული რაოდენობით აგროვებენ მზის ენერჯიას. ყოველი კგ მშრალი ორგანული მასა საშუალოდ ახდენს 4000 კკალ ენერჯის აკუმულირებას.

ამიტომ ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესი ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის უზრუნველყოფს ფოთლების ზედაპირის სწრაფ ზრდას და ნათესში ფოთლის ფართობის დიდ ზომას, რაც ამაღლებს ფოტოსინთეზის პროდუქტიულობას. ბიომასის შესაძლებელი პროდუქტიულობის განსაზღვრა, თესლბრუნვის რგოლში კულტურების სწორი შერჩევის შესაძლებლობას იძლევა, რაც

უზრუნველყოფს მაქსიმალური მოსავლის მიღებას. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ინტენსიურად უნდა ჩაითვალოს კულტურათა ისეთი მორიგეობა, რომლის დროსაც მცენარე მაქსიმალურად ახდენს მზის სხივური ენერჯის აკუმულაციას და უზრუნველყოფს პროდუქციის მაქსიმალურ გამოსავალს ერთეულ ფართობიდან.

მინერალური კვება კი ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ფოტოსინთეზის პროცესზე, საერთოდ მცენარის სიცოცხლეზე, მის პროდუქტიულობასა და პროდუქციის ხარისხზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა კვების მინერალური ელემენტების გავლენის შესწავლა სიმინდის კულტურის პროდუქტიულობაზე, ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით, შიდა ქართლის პირობებში.

ექსპერიმენტი ტარდებოდა შიდა ქართლში გეოგრაფიული ქსელის სტაციონალურ ცდებში, მინდვრის კულტურების თესლბრუნვაში. დოსპეხოვის მეთოდიკის შესაბამისად იცდებოდა ცალკეული საკვები ელემენტის (N, P, K) დოზები და თანაფარდობები შემდეგი სქემის მიხედვით: 1. 0 - საკონტროლო, 2. N₁₂₀K₉₀, 3. N₁₂₀P₁₂₀, 4. P₁₂₀K₉₀ ფონი, 5. P₁₂₀K₉₀ + N₉₀, 6. P₁₂₀K₉₀ + N₁₂₀, 7. P₁₂₀K₉₀ + N₁₅₀. კვლევის ობიექტი - სამარცვლე სიმინდი, ჯიში - ქართული კრუგი.

ყველა მცენარეს, მათ შორის სიმინდს, ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებლად ესაჭიროება ჟანგბადი, წყალბადი, ნახშირბადი, რომლებსაც მცენარე იღებს წყლისა და ნახშირორჟანგისაგან. მათ გრდა აუცილებელია N, P, K, Ca, S, Mg, Fe, Mn, Zn, Co, Cu, Mo, Co. სიმინდის ქსოვილებში ნაპოვნია აგრეთვე Sh, Al, Zn, Pb და სხვ.

აღნიშნული ელემენტებიდან მცენარეთა უდიდესი ნაწილი კვების თვალსაზრისით, დიდ მოთხოვნილებას აყენებს აზოტზე, ფოსფორსა და კალიუმზე. ეს ელემენტები ნიადაგში იმყოფება სხვადასხვა ფორმით. ამიტომ აუცილებელია საკვლევი ნიადაგის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა. განსაკუთრებით საკვები ელემენტების შესათვისებელი ფორმების, რათა მცენარეს შეეუქმნათ კვების ნორმალური პირობები პოტენციური შესაძლებლობების გამოსავლენად.

საკვლევი ობიექტია მდელის ყავისფერი, კარბონატული ნიადაგი, რომლის 0-20 სმ ფენის ქიმიური შედგენილობა შემდეგია: ჰუმუსი - 3,1%, საერთო აზოტი - 0,20%, საერთო ფოსფორი - 0,18%, ჰიდროლიზური აზოტი, მოძრავი ფოსფორი და გაცვლითი კალიუმი შესაბამისად 4,17; 0,72 და 28,50 მგ/100გ ნიადაგში, კარბონატობა - 13,2%, ნიადაგის არეს რეაქცია (წყლის გამონაწერში) - 7,8. მაშასადამე, საკვლევი ნიადაგი (სუბსტრატი) საშუალო ნაყოფიერებისაა, რომელიც საშუალოდაა უზრუნველყოფილი აზოტით და კალიუმით, ძლიერ ღარიბია - ფოსფორით.

აღნიშნული ელემენტების (NPK) შეთვისება და დაგროვება საკვლევ მცენარეში ორგანოების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია. სახელკვდობრ, აზოტის და ფოსფორის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად მაღალია სიმინდის მარცვალში და ვარიანტების მიხედვით შესაბამისად 1,39-1,87% და 0,863-1,113%-ის ფარგლებში ცვალებადობს, ხოლო ღეროსა და ფოთლებში იგივე ელემენტები თითქმის 2-2,5-ჯერ ნაკლებია. რაც შეეხება კალიუმს, მისი შემცველობა, პირიქით, მნიშვნელოვნად მეტია ღერო-ფოთლებში და ვარიანტების მიხედვით 1,88-2,27%-ის ფარგლებში ვარირებს.

ცნობილია, რომ სიმინდი ძლიერ რეაგირებს აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის შემცველ სასუქებზე. საკვლევ ელემენტებზე მოთხოვნილება კი თავის მხრივ დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, კლიმატურ პირობებზე, ზრდა-განვითარების ფაზებზე და სხვა.

ჩვენი კვლევის შედეგებით, სიმინდის მცენარე ყველაზე დიდ მოთხოვნილებას აყენებს აზოტზე, შემდეგ - ფოსფორზე, ბოლოს - კალიუმზე. აზოტის, განსაკუთრებით მისი მაღალი დოზების გამოყენებით, მცენარის პროდუქტიულობა თითქმის ორჯერ იზრდება. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ აზოტს პირველხარისხოვანი როლი ენიჭება მცენარეთა საასიმილაციო აპარატის ფორმირებისათვის. ამ ელემენტის ნაკლებობისას მცენარეში ირღვევა ქლოროპლასტების ულტრასტრუქტურა, ფერხდება პიგმენტთა ბიოსინთეზი, რომელიც აუცილებელია ფოტოსინთეზის პროცესისათვის და შესაბამისად მცენარის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ აზოტის ეფექტი მნიშვნელოვნად მაღალია ფოსფორ-კალიუმის ფონზე, რადგან ეს ელემენტები, განსაკუთრებით ფოსფორი, ხელს უწყობს მცენარის მიერ აზოტის შეთვისებას, რაც გამომჟღავნდა მცენარის პროდუქტიულობაში. აზოტის მზარდი დოზების (90, 120, 150 კგ/ჰა) გამოცდიდან გამოვლინდა, რომ მისი დოზების გადიდებით სიმინდის პროდუქტიულობაც იზრდება, მაგრამ N₁₅₀-ის გამოყენებისას N₁₂₀-თან შედარებით, მატება უმნიშვნელოა და მონაცემების მათემატიკური დამუშავების მიხედვითაც სხვაობა ცდომილების ფარგლებშია.

სხვა ფაქტორებთან ერთად, მცენარეთა მიერ მინერალური ელემენტების შეთვისება დამოკიდებულია ნიადაგის ტემპერატურაზე. ნიადაგის დაბალ ტემპერატურაზე (10-13⁰) სიმინდის აღმონაცენი იჩაგრება, ნელდება ფოსფორის შეთვისება 25-30⁰ ტემპერატურის გავლენასთან შედარებით. ანალოგიური მდგომარეობაა კალიუმის შეთვისებაზე, ოღონდ ფოსფორთან შედარებით დაბალი ტემპით.

სიმინდი ფოსფორზე მეტ რეაგირებას ახდენს მშრალი ამინდის დროს. მშრალი, ცხელი ზაფხული ხელს უწყობს ამ ელემენტის შეთვისებას, მაგრამ ვეგეტაციის განმავლობაში განსხვავებული დონით. სახელდობრ, ვეგეტაციის დასაწყისში მშრალი ამინდი აძლიერებს მცენარის მიერ ფოსფორის შეთვისების პროცესს, ვეგეტაციის მეორე ნახევარში კი - მცირდება აღნიშნული ელემენტის შეთვისების უნარი.

რაც შეეხება აზოტს, მისი ეფექტი მკვეთრად გამოიყვანდა ტენით უზრუნველყოფის პირობებში. ამ დროს იზრდება ქლოროფილის რაოდენობა, ფოთლის ზედაპირის ფართობი, რაც უზრუნველყოფს ფოტოსინთეზურად აქტიური რადიაციის კოეფიციენტის და ფოტოსინთეზის რაოდენობის ზრდას. წყლის დეფიციტის პირობებში კი ხდება ქლოროპლასტების დეგრადაცია, რაც ნეგატიურად მოქმედებს ფოტოსინთეზის პროდუქტიულობაზე.

მასასადამე, გამოიყვანდა ფოტოსინთეზის პროდუქტიულობაზე გარემო ფაქტორების დიდი ზეგავლენა. კერძოდ, მინერალური კვების ელემენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფოტოსინთეზის პროცესსა და მცენარეთა პროდუქტიულობაზე. ჩვენი კვლევებით კვების მინერალური ელემენტების მეცნიერულად დასაბუთებული დოზებისა და თანაფარდობის (N₁₂₀P₁₂₀K₉₀) გამოყენება ამაღლებს სხივური ენერჯის შთანთქმისა და გარდაქმნის უნარს. თავის მხრივ სინათლის, ტემპერატურის, წყლის ოპტიმალური რეჟიმი ხელს უწყობს საკვები ელემენტების ეფექტურობის გადიდებას, რაც გამოხატულებას პოულობს მცენარეთა პროდუქტიულობის ამაღლებაში.

ლიტერატურა:

1. ჩხაიძე გ., მცენარეთა ფიზიოლოგია. თბილისი, 2003.
2. გოგინაშვილი ნ., მინერალური ელემენტების კონცენტრაციისა და თანაფარდობის გავლენა სიმინდის (*Zea mays* L.) მცენარის მიერ მათ შეთვისებასა და დაგროვებაზე შიდა ქართლის რეგიონში. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 28-29 ნოემბერი, გორი, 2014.
3. Физиология сельскохозяйственных растений. Т. II. Минеральное питание, рост и развитие, эмбриогенез и органогенез. Ответственный редактор тома П.А. Генкель. МГУ. Изд. Московского университета, 1967.
4. Физиология сельскохозяйственных растений. Т. 5. Физиология кукуруза и риса. Ответственный редактор тома П.А. Генкель. МГУ. Изд. Московского университета, 1969.
5. Биофизика фотосинтеза. М., МГУ, 1975.
6. Рубин Б.А. Курс физиологии растений. Изд. четвертое, перераб. и доп., М., Высшая школа, 1976.
7. Современные проблемы фотосинтеза. Сборник статей. посвященный 200-летию открытия фотосинтеза. Под. ред. А.А. Ничипоровича и Б.А. Рубина. М., 1973.

Neli Goginashvili

Gori State Teaching University

**EXTERNAL FACTORS INFLUENCING PRODUCTIVITY
OF PHOTOSYNTHESIS
RESUME**

A considerable influence of external factors on the productivity of photosynthesis is revealed. Particularly, the elements of mineral nutrition have a great influence on the process of photosynthesis and on the productivity of plants as well. According to our research, the use of scientifically proved doses and ratio (N₁₅₀P₁₂₀K₉₀) of the nutrient mineral elements increases the skill of absorption of the beam energy and its transformation. From its side, optimal regime of light, temperature and water boosts the effectiveness of nutrient elements, and the last find their expression in the increase of plant productivity.

მოცვისა და ქლიავის კულტურის მოვლა-მოყვანისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიები

მოცი მარადმწვანე ან ფოთლომცვენი, ნახევრად ბუჩქოვანი ან ბუჩქნარი კენკროვანი კულტურაა. ნაყოფი შეიცავს შაქრებს (გლუკოზა, ფრუქტოზა), კატეხინებს, პექტინებს, მთრიმლავ ნივთიერებს, ვაშლის, ლიმონის, რძის მჟავებს, ფლავონოიდებს, ასკორბინის მჟავას, B,C,D ვიტამინებს და სხვა სასარგებლო ნაერთებს.

მოცვის ნაყოფი მომწავო ტკბილია, გამოიყენება ნედლად და ამზადებენ მურაბებს. აქვს სამკურნალო დანიშნულება, კერძოდ ცოცხალი ნაყოფი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, აუმჯობესებს მხედველობას, კურნავს რევმატიზმს და სხვადასხვადა ანთებით პროცესებს. ნაყოფისა და ფოთლის ნაყენი კი გამოიყენება დიაბეტის, შარდკენჭოვანი პათოლოგიის, თვალების ანთებითი პროცესების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.



საქართველოში გავრცელებულია მოცვის ოთხი სახეობა: მთის, ლურჯი, წითელი და კავკასიური მოცი.

ბიოლოგიური თავისებურებანი. მოცვის კულტურა (ველური ფორმა), ნაკლებად მომთხოვნია გარემო პირობებისადმი. იგი ყველა ტიპის ნიადაგზე ხარობს, მაგრამ მაქსიმალურ მოსავალს იძლევა მჟავე ნიადაგებზე. ველურ პირობებში იგი ხარობს მწირ, ქვალორდიან და ქვიშნარ ნიადაგებზეც. ნაკლებ მომთხოვნია სინათლისა და ტენის მიმართ. გამოირჩევა ზედაპირული ფესვთა სისტემით და ყინვაგამძლეობით. იტანს 20-25°C ყინვას. დღეისათვის მსოფლიოში გაკულტივირებული ჯიშებიდან ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა ლურჯი მოცვის სახეობამ.

ნერგების გამოყვანა-გამრავლება ხდება უჯრედის კულტურის წესით (სინჯარაში) ლაბორატორიულ პირობებში. ამ მეთოდით მიღებული ლურჯი მოცვის ჯიში საკმაოდ მომთხოვნია გარემო პირობებისადმი. მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის და მაღალი მოსავლის მისაღებად ნიადაგის მჟავიანობა pH უნდა იყოს 4,0-5,0, ნაკვეთი კარგად დრენაჟირებული, გაფხვიერებული, განათებული და ტენით უზრუნველყოფილი. ამიტომ მისი კულტივირება საკმაოდ წარმატებით შეიძლება დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთის რეგიონებში, ნაჩაიარ ნიადაგებზე.

მოცვის ჯიშები. მსოფლიოში დღეისათვის კულტივირებული და გავრცელებულია ლურჯი მოცვის შემდეგი ჯიშები: ბლუკრიპი, ლეგასი, ბერკლი, პატრიოტი, ბრიჯიდა, დიუკი, სანრაისი, სპარტანი, ტორო, ელიზაბეტ, ერლი ბლუ, ბლუგოლდი, მისტი, ჩანდლერი, შანტეკლერი, ონილი, რეკა. აღნიშნული ჯიშების ძირითადი აგრობიოლოგიური მარკენებლები ლიტერატურული მონაცემებით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ამ მახასიათებლებითა და სხვა დამატებითი ნიშანთვისებების მიხედვით ჩვენი პირობებისათვის შერჩეული და რეკომენდირებულია ორი ჯიში: ლეგასი და ბლუკრიპი.

მოცვის ჯიშების აგრობიოლოგიური დახასიათება

ჯიში	მცენარის სიმაღლე (მ)	ნაყოფის დიამეტრი (მმ)	მოსავალი ბუჩქიდან (კგ)	ნაყოფის სიმწიფე (თვე)
ბერკლი	1,8-2,1	18	4,0-8,0	VIII
ბლუკროპი	1,6-2,0	18,0-20,0	6,0-9,0	VIII
პატრიოტი	1,2-1,8	19	5,0-7,0	VII
ბრიჯიდა	1,8-2,0	15	4,0-6,0	VIII
დიუკი	1,2-1,8	17,0-20,0	6,0-8,0	VII
სანრაისი	1,2-1,8	17,0-20,0	6,0-8,0	VII
სპარტანი	1,5-2,0	16,0-18,0	4,5-6,0	VIII
ტორო	1,8-2,0	18,0-20,0	6,0-8,0	VIII
ელიზაბეტა	1,5-2,0	16,0-18,0	4,0-6,0	VII
ერლიბლუ	1,5-1,8	17	5,0-8,0	VI
ბლუგოლდი	1,5-1,8	15,0-18,0	5,0-8,0	VII-VIII
ლეგასი	1,6-2,0	15,0-18,0	6,0-9,0	VII
მისტი	1,6-1,8	15,0-17,0	6,0-8,0	VI
ჩანდლერი	1,6	20	6,0-8,0	VIII
შანტეკლერი	1,6	16,0-19,0	3,0-5,0	VII
ონილი	1,7-2,0	14,0-17,0	5,0-7,0	VI
რეკა	1,7-2,0	17,0-19,0	8,0-10,0	VIII



მოცვის ბაღის გაშენება. პლანტაციის გაშენებამდე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკვეთის სწორად შერჩევას და მის მომზადებას. გაშენებამდე 1-2 წლით ადრე ნიადაგი უნდა მოიხნას 40-50 სმ-ის სიღრმეზე, შემდეგ დაიფარცხოს და დაიგვემოს. ლურჯი მოცვის გაშენება, როგორც წესი ხდება ბაზო-კვლევის (სფერული) სისტემით. რიგთაშორისებში დაშორების მანძილი უნდა იყოს 3-3,2 მ. ხოლო რიგებში მცენარეთა შორის დაშორება 0,9-1,2 მ. ასეთი კვების არის გათვალისწინებით ერთ ჰა-ზე საჭიროა 2800-3300 ძირი ნერგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცვის კულტურისათვის ნიადაგის ოპტიმალური მჟავიანობა არის PH 4,0 – 5,0, მაგრამ თუ ნიადაგის არის რეაქცია PH 5,0 – 5,5 ფარგლებშია, მაშინ ნიადაგის მჟავიანობის შემცირება შეიძლება ფიზიოლოგიურად მჟავე მინერალური სასუქების (ამონიუმის სულფატი, სუპერფოსფატი, ორმაგი სუპერფოსფატი, კალიუმის სულფატი) გამოყენებით. თუ ნიადაგის მჟავიანობა უტოლდება PH 5,5 – 6,5 მაშინ ნიადაგში შეაქვთ გოგირდის ფხვნილი 10 – 15 გრ. 1 კვადრატულ მეტრზე. გაზაფხულზე და შემოდგომით დარგვის წინ რწყავენ გოგირდმჟავას ხსნარით (30 მლ აკუმლატორის მჟავა 10 ლიტრ წყალში); სუფრის ძმრის ხსნარით (100 მლ - 10 ლიტრ წყალში).

ნერგების დარგვის წინ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ნიადაგის ზედა ფენაში შეტანილი იქნეს წინასწარ მომზადებული ორგანული სასუქი, გადამწვარი ნაკელისა და ტორფკომპოსტის ნარევი. ნერგების დარგვისას მცენარის ფესვთა სისტემა მთლიანად უნდა მოთავსდეს ნიადაგში, მოიტკეპნოს და მოირწყას. სასურველია მულჩირება და წვეთობრივი მორწყვის სისტემის მოწყობაც. მულჩირება ხდება მცენარის გარდი-გარდმო 60 სმ-ის გასწვრივ. მულჩირება საგრძნობლად უწყობს ხელს მცენარის ზრდა-განვითარებას, იცავს მას სარეველებისაგან და გადახურებისაგან. ინარჩუნებს ტენს და ნიადაგს ამდიდრებს ორგანული ნივთიერებებით. მულჩირებისათვის ასევე იყენებენ არაორგანული წარმომავლობის სამულჩე მასალებსაც (მულჩიფირი და სხვა.).



მოვლა-პატრონობა. ასეთნაირად გაშენებულ მოცვის პლანტაციებში პირველ სამ წელიწადს მცენარის გამოკვება ხდება წინასწარ მომზადებული მინერალური სასუქების ნაზავით. ნაზავის თანაფარდობა შემდეგნაირია: ამონიუმის სულფატი 90 გრ, სუპერფოსფატი 110 გრ. და კალიუმის სულფატი 40 გრ. ასეთნაირად მომზადებული ნაზავი შეაქვთ ნერგის ირგვლივ შემდეგი რაოდენობით: ერთწლიან ბუჩქზე

ერთი სუფრის კოვზი, ორ წლიანზე ორი სუფრის კოვზი, სამ წლიანზე სამი სუფრის კოვზი, ოთხწლიანზე ოთხი სუფრის კოვზი, ხუთწლიანზე რვა სუფრის კოვზი, ექვსწლიანზე და მეტი ასაკის ბუჩქზე კი თექვსმეტი სუფრის კოვზი. ერთი სუფრის კოვზის ნაზავის წონა შეადგენს 10 გრ-ს. ვეგეტაციის პერიოდში გამოკვება ასეთი ხერხით ხდება ორჯერადად, ადრე გაზაფხულზე მცენარის მასიური ყვავილობისას და ნაყოფის გამონასკვის შემდეგ. სასუქის მიღების შემდეგ სასურველია მცენარე მოირწყას. თუ პალანტაციაში წვეთობრივი მორწყვის სისტემა მოქმედებს, ამ ნაზავის მცენარესათვის მიწოდება შეიძლება მორწყვასთან ერთად. პირველი გამოკვება ტარდება აპრილის შუა რიცხვებში ანუ მასიური ყვავილობის დროს, მეორე და მესამე კი ყოველი მეოთხე კვირის ბოლოს. სასუქების შეტანა პირველ სამ წელიწადს მაინც უნდა მოვახდინოთ 15 ივლისამდე, რათა ბუჩქის ნაზარდებმა მოასწროს გამერქნება. მოცვის ბუჩქის ირგვლივ ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია 2-3 სმ-ის სიღრმეზე მეტად, რათა ფესვთა სისტემა არ დაზიანდეს.

მოზარდ ბუჩქს რეგულარულად სხლავენ, ხოლო მესამე წლიდან ნაკლები ინტენსივობით. სრულ მსხმოიარობაში შესულ ბუჩქებს სხლავენ ისეთნაირად, რომ ბუჩქზე მივიღოთ თანაბრად განაწილებული საყვავილე ყლორტები. ამისათვის მას აცლიან დაბალ და სუსტ ნაზარდებს, ასევე დაავადებულ და ფიზიკურად დაზიანებულ ტოტებს. ტოტები, რომლებიც წლების განმავლობაში მსხმოიარობს, უტარდებათ პინცირება იმ გაანგარიშებით, რომ თითოეულ ასეთ ტოტზე დარჩეს 4-6 საყვავილე კვირტი. მოცვი სრულ მსხმოიარობას აღწევს 6-10 წლის ასაკში.

მავნებელ-დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებანი. როგორც ბევრი სხვა კენკროვანი მცენარე, მოცვის კულტურაც ხშირად დაავადებების გავრცელების ობიექტი ხდება. მასზე შეიძლება გავრცელდეს ისეთი დაავადებები, როგორიცაა მონილიოზური სიდამპლე, ყლორტების ფომოფისისური ჭკნობა, ნაცრისფერი სიდამპლე, შტამბის კიბო და ყლორტის წვეროების ხმობა. წვიმიან და ნესტიან პირობებში კიდევ შესაძლებელია განვითარდეს ნაცრისფერი ობი. ყველა ამ დაავადებების თავიდან ასაცილებლად მცენერების წამლობა ხდება ისეთი ფუნგიციდებით, როგორიცაა ტოფსინი, უპარენი, სპილენძის ქლორჟანგი, კუპროზანი და სხვა. რაც შეეხება მავნებლებს მოცვის ბუჩქებს აზიანებს აბრეშუმმხვევია, ფოთოლმხვევები, ბუგრი, ფარიანები და მასის ხოჭოს მატლები. მათ წინააღმდეგ გამოიყენება ყველა ხელთარსებული ინსექტიციდი იმ დოზითა და ჯერადობით, როგორც ეს აგროღონისძიებითა და რეკომენდაციებით არის გათვალისწინებული.

მოსავლის აღება და დაბინავება. მოსავლის აღება - დაბინავება დამოკიდებულია ჯიშებზე. როგორც წესი, მისი აღება იწყება ივნისი შუა რიცხვებიდან და გრძელდება ივლის-აგვისტოში. მოსავალს იღებენ ხელით მაკრატლის გამოყენებით. სრულ მსხმოიარობაში შესული ერთი ბუჩქი ლურჯი მოცვისაგან შეიძლება მივიღოთ 5-6 კგ. ნაყოფი. მოკრეფილ ნაყოფს ათავსებენ სპეციალურ პოლიმერულ ყუთებში და ინახავენ 2-4°C ტემპერატურაზე. შემდგომში ახდენენ მის შოკურ გაყინვას და რეალიზაციას.

ქლიავის კულტურა ხეხილოვნებიდან დედამიწაზე ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კულტურაა. ქლიავი მოჰყავთ საკვებად, დიეტური და სამკურნალო თვისებების გამო. ნაყოფი მდიდარია B და PP ვიტამინებით, რომელიც არის ნერვული სისტემის გამაჯანსაღებელი. ქლიავის მიღება ხსნის დადლილობას, აუმჯობესებს ძილს და მხედველობას. მისი ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას, ნატრიუმს, კალიუმს და სპილენძს, რომელიც აუმჯობესებს სისხლს, იცავს მას ტრომბის წარმოქმნისაგან და ჭარბი ქოლესტერინის დაგროვებისაგან.

გავრცელების ზონებია. ეს კულტურა გავრცელებულია დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე. საქართველოში იგი კარგად ხარობს და მოჰყავთ აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლ-კახეთში და სამხრეთ საქართველოში.



ძირითადი სახეობები და ჯიშები. სამრეწველო დანიშნულებით გამოირჩევა შინაური ქლიავი და ჩინურ-იაპონური სახეობები. ყველაზე მეტად ნაყოფის შეფერილობითა და ფორმის მიხედვით განასხვავებენ ქლიავის შემდეგ სახეობებს: **უნგრულები** - მუქლურჯად შეფერილი, მოგრძო თავში და შევიწროებული ბოლოში. ამათგან გავრცელებული ჯიშებია: სტენლი, შავქლიავა, იტალიურ-უნგრულა. **რენკლოდები** - მომწვანო მოყვითალო, მრგვალი ნაყოფებით. ამათგან გავრცელებული ჯიშებია: ალტანის



რენკლოდი და მწვანე რენკლოდი. **კვერცხისებრი ქლიავეები** - მსხვილი კვერცხისებრი ფორმის ყვითელი ან წითელი ნაყოფებით, ამათგან გავრცელებული ჯიშებია: ვაშინგტონი და ჯეფერსონი. ყველა ეს ჯიშები შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებისა და მოვლის პირობებში ხარობს თითქმის ყველგან, სადაც ხარობს ქლიავის რომელიმე ჯიში.

ბიოლოგიური თავისებურებანი. ქლიავი არის სინათლის, სითბოს და ტენის მოყვარული მცენარე, იგი იტანს 20-25°C ყინვას. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვა ხილთან (ვაშლი, მსხალი)

შედარებით დაბალია და არ აღემატება 45-60 წელს. ახალგაზრდა ასაკში ძლიერმზარდია, ხოლო მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ზრდის პროცესი შენელებულია. ის ჯვარედინად დამამტვერიანებელი მცენარეა, თუმცა, აღინიშნება თვითდამტვერვის შემთხვევებიც. ნაყოფი მსხმოიარობს ერთწლიან ტოტებზე, მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მესამე წელს, ხოლო სრულ მსხმოიარობას აღწევს 5-6 წლის ასაკში და საჰექტარო მოსავლიანობას აღწევს 15-17 ტ/ჰა-ზე.

გაშენება. ბაღის გაშენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის სწორად შერჩევას. იგი თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს ეგუება. ამასთან გრუნტის წყლის სიახლოვე არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს. მცენარე კარგად ვითარდება, როცა ნიადაგის მჟავიანობა pH 5,5-8,0-ია. მცენარეები ჯიშებისა და საძირების შესაბამისად შეიძლება დაირგოს 4x4 მ, 4x5 მ, 4x6 მ, 5x6 მ, 6x6 მ, 5x7 მ და 5x8 მ კვების არით. საერთოდ უნგრულა ჯიშის ქლიავეებს უფრო მეტ კვების არეს აძლევენ, ვიდრე რენკლოდის ჯიშს. დარგვის წინ ორმოები იჭრება 0,5 მეტრის სიღრმეზე და 0,7 მეტრ დიამეტრის. გამზადებულ ორმოში აუცილებლად შეაქვთ 15-20 კგ. ორგანული სასუქი. თითო ორმოში ასევე უნდა შევიტანოთ 50 გრ. ფოსფოროვანი და 30 გრ. კალიუმის სასუქები.



მოვლა-მოყვანა. მცენარის განვითარების პირველ წლებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარჯის ფორმირებასა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარებას. ხეების მწკრივი თავისუფალი უნდა იყოს სარეველებისაგან, რაც მიიღწევა გათოხნითა და გაფხვიერებით, ჰერბიციდების შეტანით ან დამულჩვით. მულჩირება მწკრივში ნიადაგის მოვლის ყველაზე პერსპექტიული მეთოდია. ამისათვის იყენებენ მწვანე ორგანულ მასას, ტორფს, გადამწვარ ნაკელს,

კომპოსტის სხვადასხვა სახეობებს და სხვა საშუალებებს, რომლებიც ხის გარშემო 10-20 სმ-ით იფარება. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ შევინარჩუნოთ ნიადაგის ტემპერატურა, ტენისა და ჰაერაციის რეგულირება, ამასთან კარგი საშუალებაა სარეველების წინააღმდეგ. რიგთაშორისებში სასურველია სიდარატების თესვა, რომელიც ყვავილობის ფაზაში ნიადაგში ჩაიხენება. სიდერატები ითესება ადრე შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე.

რადგანაც მცენარე ტენის მოყვარულია, დაბლობ და გაშლილ ფართობზე კარგ შედეგს იძლევა ნიადაგის მორწყვა. მორწყვის წესებიდან ყველაზე პროგრესულია წვეთობრივი სისტემის მოწყობა, რომელიც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში მცენარეს მივაწოდოთ საჭირო რაოდენობის წყალი და საკვები ელემენტები.

ქლიავის ბაღში სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე ერთ ჰა-ზე შეაქვთ N90, P90, K70 კგ. ხოლო გადამწვარი ნაკელი 30 ტონის ოდენობით. სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ, ჰა-ზე რეკომენდირებულია შევიტანოთ: N130, P120, K90 კგ. ორგანული სასუქი კი 40 ტონა.

ქლიავი მრავლდება თესლით და ვეგეტაციური წესით, მაგრამ პრაქტიკაში მისი გამრავლება ხდება ამონაყრების გამოყენებით და მცნობით, რომელიც ხდება სხვადასხვა საძირებზე, მაგრამ, როგორც წესი, ხშირად ამისთვის იყენებენ ტყემლის თესლნერგებს.

თუ ქლიავის ჯიშებს მიდრეკილება აქვთ ძლიერი დატოტვისაკენ და ჩახშირებისაკენ, ამ დროს გასხვლისას უნდა მოცილდეს მხოლოდ ჩახშირებული ტოტები. დატოტვის ნაკლებუნარიან ჯიშებში კი ტოტებს ამოკლებენ 1/3-ით ან 1/4-ით. ასაკოვანი ქლიავის ხეების გაახალზრდავება გასხვლის მეთოდით საკმაოდ კარგ ეფექტს იძლევა. ამ შემთხვევაში ვახდენთ ვარჯის ძლიერ გამოხშირვას და ზედა ტოტების დამოკლებას 0,5-0,8 მეტრამდე.

მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა. ქლიავის მცენარე, როგორც სხვა დანარჩენი კურკოვნები ძალიან მგრძობიარე არის მავნებელ-დაავადებათა მიმართ. მავნებელთაგან ქლიავს აზიანებს ქლიავის ბუგრი, ფსილა, ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა, ქლიავის ხერხია. ხოლო დაავადებათაგან ყველაზე ხშირად ზიანის მომტანია გუმოზი, ნაყოფის სიდაძპლე და სხვა. ამ მავენე ორგანიზმების წინააღმდეგ ტარდება

ქიმიური ღონისძიებები ადრე გაზაფხულზე დაკვირვებულ და საყვავილე კვირტების გაშლამდე კომბინირებული ნაზავით, ხოლო ვეგეტაციის მთელ პერიოდში მავნე ორგანიზმების გავრცელების და სიხშირის შესაბამისად შერჩეული პრეპარატებით. ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში მინერალური ზეთის, ფუნგიციდებისა და ინსექტიციდების დოზა და კომბინაცია სხვადასხვაა.

მოსავლის აღება. ნაყოფის კრევის ვადები დამოკიდებულია არა მარტო ჯიშზე და საძირეზე, არამედ ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე და მსხმოიარობის ინტენსივობაზე.

მოსავლის აღება იწყება მშრალი ამინდის პირობებში, სასურველია დილის საათებში, როცა ნაყოფი აღწევს დამახასიათებელ სიდიდეს, შეფერილობას და რბილობი იწყებს დარბილებას. თუ მოსავლის რეალიზაცია კრევის დაწყებიდან უნდა განხორციელდეს რამდენიმე დღის შემდეგ, მაშინ ნაყოფი იკრიფება სიმწიფის დადგომამდე 4-5 დღით ადრე. კრევა იწყება ქვედა იარუსიდან და თანდათანობით გადავდივართ ზედა იარუსებზე. ნაყოფი შეიძლება მოიკრიფოს უყუნწოთაც, ამასთანავე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ არ დავაზიანოთ სანაყოფე ტოტები, ხოლო ძირითადი პირობაა, ნაყოფის კრევისას და ტარაში მოთავსებისას ნაყოფს ნაფიფქი არ მოცილდეს. მოწეული მოსავლის რეალიზაცია (გაცივება) ან ჩირად ხმობა ხდება მოსავლის აღებისთანავე.



ლიტერატურა:

1. ზარდალიშვილი ო., ცაგარეიშვილი გ., მინდელი ჯ., აგრონომიის საფუძვლები, თბ., 2002.
2. თხელიძე ა., სასუქების გამოყენების სისტემა, თბილისი, 2009.
3. კილასონია ა., სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის აღორძინების ზოგიერთი გზები დასავლეთ საქართველოს პირობებში. საერთ. სამეც. კონფერენცია - „სუბტროპიკული ზონის აგრარული პრობლემები“, ქუთაისი, 2006.
4. კილასონია გ., სუბტროპიკული მემცენარეობის საფუძვლები, გამომც. „ქუთაისი“, 2009.
5. რ. ჯაბნიძე, სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია, ბათუმი, 2014.
6. რ. ჯაბნიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, ბათუმი, 2016.

Lamzira Gorgiladze, Darejan Jashi, Nargizi Alasania, Leila Ebraldze
Batumi Shota Rustaveli State University
BLUEBERRY AND PLUM CULTURE CULTIVATION TECHNOLOGY
RESUME

Blueberry (*Vaccinium*) is a common and widespread genus of shrubs or dwarf shrubs in the heath family. The fruit of many species are eaten by humans and some are of commercial importance, including the cranberry, blueberry, bilberry or whortleberry, lingonberry or cowberry, and huckleberry. Like many other ericaceous plants, they are generally restricted to acidic soils.

Plantation of very great importance for the correct selection of the plot. The cultivation of up to 1-2 years before soils should be plowed 40-50 cm depth, and then daipartskhos plan. Blueberry cultivation, as usually happens Research (spherical) system. While the ranks of the distance between plants 0,9-1,2 m. Such is the power of one hectare needed 2800-3300 saplings.

Plums are a diverse group of species. The commercially important plum trees are medium-sized, usually pruned to 5–6 metres height. The tree is of medium hardiness. Without pruning, the trees can reach 12 metres in height and spread across 10 metres. They blossom in different months in different parts of the world; for example, in about January in Taiwan and early April in the United Kingdom.

Fruits are usually of medium size, between 1 and 3 inches in diameter, globose to oval. The flesh is firm and juicy. The fruit's peel is smooth, with a natural waxy surface that adheres to the flesh. The plum is a drupe, meaning its fleshy fruit surrounds a single hard seed.

ლანდშაფტურ საფუძველზე შექმნილი საქართველოს ნიადაგების რუკის როლი ლანდშაფტურ-გეოქიმიურ კვლევებში

საკვლევი თემის დამუშავებისას, რომელიც საქართველოს ლანდშაფტების გეოქიმიური თავისებურებების შესწავლაში მდგომარეობს, გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. იგი ეხება საქართველოს ლანდშაფტური და ნიადაგური რუკების შეჯერების საფუძველზე ნიადაგების რუკის შექმნის იდეას. აღნიშნული, ასევე მჭიდრო კავშირშია ნიადაგის, როგორც ლანდშაფტის ერთ-ერთი კომპონენტის შესწავლასთან (1972, 1976, 1978, 1987, 2003, 2006).

საქართველოში ნიადაგების და ლანდშაფტური რუკის შექმნას დიდი ტრადიცია აქვს. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ს. ზახაროვის (1923), დ. გედევანიშვილის (1930, 1938, 1958), მ. საბაშვილის (1939, 1954), გ. ტალახაძის (1963), გ. ტალახაძის, ი. ანჯაფარიძის (1980), და სხვა მეცნიერთა მიერ შექმნილ ნიადაგურ რუკებს დიდი აღიარება და სახალხო მეურნეობრივი გამოყენება ჰქონდა. ასევე, შეიძლება მ. სანებლიძის, ქრ. ჯაყელის, დ. უკლებას (1970), ნ. ბერუჩაშვილის (1979) და სხვათა ლანდშაფტურ რუკებზე ითქვას.

არც თუ ისე დიდი ხანია საქართველოს გეოგრაფიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. გამოვიდა საქართველოს ახალი ლანდშაფტური და ნიადაგური რუკა, 1:500000 მასშტაბში. საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა შედგენილია პროფესორ ნიკოლოზ ბერუჩაშვილის (2000 წ.) მიერ, ნიადაგური რუკა კი შედგინა თენგიზ ურუშაძემ (2001 წ.). საქართველოს ნიადაგების რუკის შედგენაში პროფესორ თენგიზ ურუშაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა ავტორთა მთელი კოლექტივი. ასე, რომ მასშიც ნიადაგმცოდნეთა თანამედროვე თვალსაზრისია გადმოცემული.

საქართველოს ნიადაგების რუკის მრავალ საინტერესო მომენტთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ რუკის სახელწოდებები მოცემული ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე და ამ ენებზე ნიადაგების სახელწოდებების ტერმინოლოგია შესაბამისობაშია მოყვანილი. აღნიშნული, ამ საკითხის გადაწყვეტის პირველი ცდაა და საშუალებას იძლევა რუსული ნიადაგური კლასიფიკაცია შევუსაბამოთ საერთაშორისო კლასიფიკაციას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ლანდშაფტური რუკა შედგენილია მხოლოდ პროფესორ ნიკოლოზ ბერუჩაშვილის მიერ, იგი ასახავს საქართველოს ლანდშაფტმცოდნეთა თვალსაზრისს.

ცნობილია, რომ ლანდშაფტური გამოკვლევები კომპლექსური კვლევაა, ნიადაგი კი მისი უმთავრესი ნაწილი. აქედან, ლანდშაფტურ გამოკვლევებში ყოველთვის დიდი როლი ენიჭება ნიადაგების კვლევას. ლანდშაფტმცოდნეთა მიერ ჩატარებული ნიადაგების ჭრილების ფიზიკომომიური აღწერილობები არაფრით არ ჩამოუვარდება ნიადაგმცოდნეთა მიერ აღწერილ ჭრილებს. თუმცა, ქიმიური ანალიზი ლანდშაფტურ გამოკვლევებში გარკვეული მიზეზის გამო ნაკლებადაა გამოყენებული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლანდშაფტმცოდნეები ყოველთვის უთანხმდნენ თავიანთ ნიადაგურ აღწერილობებს ნიადაგმცოდნეთა მიერ მიღებულ მონაცემებს. კერძოდ, ქართული ნიადაგმცოდნეობის ფლაგმანის თენგიზ ურუშაძის კვლევებს.

ასე, რომ ავიღეთ ეს ორი რუკა ლანდშაფტური და ნიადაგური, შევადარეთ ერთმანეთს. ისინი შევადარეთ ერთის მხრივ, შინაარსის, ე.ი. გამოყოფილი ნიადაგური ერთეულების მიხედვით (ნიადაგების ტიპი, ქვეტიპი და სხვ.), მეორე მხრივ, კონტურების მიხედვით ე.ი. თუ როგორია ლანდშაფტურ და ნიადაგურ რუკებზე გამოყოფილ ერთეულებს შორის სივრცობრივი დამთხვევა ან განსხვავება. ბევრ შემთხვევაში მივიღეთ საინტერესო მონაცემები. თუმცა, ლანდშაფტური და ნიადაგების რუკის შედარებისას ხშირად აღმოჩნდა მათზე წარმოდგენილ ნიადაგებს შორის დამორიშორება. აღნიშნული ჩავატარეთ როგორც კარტოგრაფიული, ასევე GIS მეთოდით.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ამ რუკების შედარების შედეგად შევადგინეთ საქართველოს ნიადაგების რუკა ლანდშაფტურ საფუძველზე 1:500000 მასშტაბში (ნახ. 1). რას ნიშნავს ლანდშაფტურ საფუძველზე? გამოვიყენეთ ლანდშაფტური კონტურები და ჩავტვირთეთ შიგ ნიადაგური შიგთავსი. ე.ი. ლანდშაფტური კონტურები დარჩა იგივე და მასში ჩაისვა ნიადაგის ტიპი. ამ დროს მოხდა ზოგიერთი ნიადაგური ტიპის გაერთიანება; გაყოფა არ მომხდარა.

ჩვენ მიზანი არ არის ამ ნიადაგების რუკის კრიტიკა ან ანალიზი. აღნიშნულს გააკეთებს ამ საკითხით დაინტერესებული მომხმარებელი. ნაშრომის მიზანი მხოლოდ ლანდშაფტებისა და ნიადაგების რუკაზე წარმოდგენილი ნიადაგების ერთ სისტემაში მოყვანაა.

აქვე გვინდა დასკვნის სახით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ლანდშაფტური და ნიადაგების რუკის შეჯერების საფუძველზე შედგენილი საქართველოს ნიადაგების რუკა ძალზე მოსახერხებელია როგორც ლანდშაფტური, ასევე ნიადაგური კვლევებისათვის.

ასევე, აღსანიშნავია, რომ როგორც ლანდშაფტური, ასევე ლანდშაფტურ-გეოქიმიური კვლევები კომპლექსური კვლევაა. ნიადაგი ლანდშაფტურ გეოქიმიურ კვლევებში უმთავრესი ნაწილია, განსაკუთრებით გეოქიმიური ლანდშაფტების კლასების გამოყოფისას. გეოქიმიური ლანდშაფტების კლასები - გამოიყოფა ნიადაგის A ჰორიზონტში წყლისმიერი მიგრაციის თავისებურებებით. ამიტომ, ჩვენ მიერ შედგენილ საქართველოს ნიადაგების რუკას ლანდშაფტურ საფუძველზე გეოქიმიური ლანდშაფტების კლასების გამოყოფისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს რეალურ წინაპირობას საქართველოს ლანდშაფტურ-გეოქიმიური რუკის შედგენის საქმეში.

აღნიშნული ნიადაგების რუკა ლანდშაფტურ საფუძველზე შესაბამისობაშია ნიადაგების საერთაშორისო კლასიფიკაციასთან.

ამ რუკით ადვილი განსასაზღვრია, რომელ ლანდშაფტებში გვხვდება ესა თუ ის ნიადაგი.

ამ რუკით შესაძლებელი ხდება ცალკეულ ლანდშაფტში ამა თუ იმ ნიადაგის ფართობის განსაზღვრა, მათი შედარება და სხვა.

ჩვენ გვგმის, რომ აღნიშნული მხოლოდ პირველი ნაბიჯებია ორი მეცნიერული დარგის – ნიადაგმცოდნეობის და ლანდშაფტმცოდნეობის – შეჯერებაში და იგი მოითხოვს ფართო განხილვას. თუმცა აღნიშნული რუკის არსებობის პირობებში შეგვიძლია მივიღოთ GIS მეთოდების საფუძველზე გარკვეული შედეგები, მრავალი ლანდშაფტური თუ ნიადაგური კვლევისთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად.


ლიტერატურა:

1. Беручашвили Н.Л. и др. Марткопский стационар - 30 лет спустя. Кавказский географический журнал, 2003, №3.
2. Беручашвили Н.Л. Геофизика ландшафта. - М.: Высшая школа, 1990.
3. Беручашвили Н.Л. Ландшафтная карта Грузии. - Тбилиси: Изд.ТГУ, 2000.
4. Ковда В.А. Основы почвоведения. -М.1973.
5. Ландшафтные исследования на Марткопском стационаре. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1976.
6. Ландшафтный сборник. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1972.
7. Маглакелидзе Р.В. Состояния почв и природно-территориальных комплексов: анализ связи - Тбилиси: Изд. универсал, 2006.
8. Наблюдения и исследования на Марткопском стационаре. Ландшафтно-геофизические исследования 1973 г. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1974.
9. Стационарные исследования - что они дали. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1987.
10. Урушадзе Т.Ф. Почвенная карта Грузии . - Тбилиси, 2001.

Robert Maghlakelidze, Giorgi Maghlakelidze
Gori State Teaching University
**SOIL MAP OF GEORGIA ON THE BASE OF LANDSCAPE AND
ITS ROLE IN LANDSCAPE GEOCHEMICAL TRIAL
RESUME**

The article presents an idea of creation Soil Map of Georgia based on Landscape base is in scale of 1: 500 000 and its role in landscape geochemical trial.

საქართველოს ნიადაგები



*ქეთევან მემარნე, ლამზირი გორგილაძე, ნინო ლომთათიძე
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი*

ბზის ფიტოსანიტარული მდგომარეობა მაჭახელას ხეობაში

საქართველო გამორჩეულია მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნებით, ენდემიზმის დონით ტაქსონომიური უნიკალურობით. მისი უნიკალური ფიტოგენოფონდი ქვეყნის ბუნებრივ-კულტურული მემკვიდრეობის „ცოცხალი ძეგლია“, რომლის შესწავლას, დაცვასა და აღდგენას საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ბუნება, მისი ბიომრავალფეროვნება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრეა. საქართველოს ფლორის 21 % ენდემურია, რომელთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი მესამეული პერიოდის რელიქტს-კოლხურ ბზას (*Buxus colchica*) ეკუთვნის. [1] კოლხური ბზა ძირითადად დასავლეთ საქართველოს კოლხური (რელიქტური) ტყეების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. 2013 წლიდან იგი გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობას წარმოადგენს, ვინაიდან საქართველოში 2010 წლიდან დაწყებული და პანდემიამდე პროგრესირებული ბზის დაავადების, ხოლო 2014-2015 წლებში დამატებული მავნებლის გამო კოლხური ბზა განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შექმნილ სიტუაციას აფასებენ, როგორც ეკოლოგიურ

კატასტროფას, სახეზეა გამოუსწორებელი ეკოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული ზიანი. ამჟამად დღის წესრიგში დგას კოლხური ბზის, როგორც სახეობის გადარჩენა.

სხვადასხვა ავტორების მონაცემებით კოლხურ ბზაზე ბოლო წლებში საგრძნობლადაა გაზრდილი დაავადებების (ბზის სიდამწვრე, ვოლუტელას სიდამწვრე იგივე ფოთლების სიდამწვრე, იგივე ტოტების კიბო, ბზის ჟანგა და სხვა) და მავნებლის (ბზის ალურა) განვითარების სიხშირე და მავნეობა.

საქართველოში, ჯერ კიდევ 2010 წელს ბსუ ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგად, ბზაზე დაფიქსირდა დაავადება და მავნებელი. ასევე დაფიქსირდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული, მაგრამ საქართველოში არარეგისტრირებული ბზის დაავადება - ბზის სიდამწვრე, რომლის გამომწვევია სოკო *Cylindrocladium buxicola*. იგი ევროპაში ცენტრალური ამერიკიდან შემოვიდა და ფართო გავრცელება ჰპოვა გასული საუკუნის 90-იან წლებში. დაავადება ძალიან სწრაფად ვრცელდება ძირითადად ქარით, მწერების, ფრინველების და ადამიანების მიერ. მას ზამთარში 5 გრადუს ტემპერატურაზეც კი შეუძლია განვითარდეს. 5 საათის განმავლობაში სოკო იზრდება, 48 საათში კი უკვე ახალ გენერაციას იძლევა. [2] ამიტომაც არსებობს იმის საშიშროება, რომ სოკოს ასეთი თვისებების გამო, რამდენიმე წელიწადში ბზის კორომების 90-95 პროცენტი სრულიად განადგურდეს. 2010 წლიდან დღემდე კოლხური ბზა მასობრივად ხმება ბუნებრივი გავრცელების მთელ არეალზე, რაც უდიდესი დანაკლისია, როგორც ეკოლოგიური, ასევე კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით. [3]

გარდა დაავადებებისა, კოლხურ ბზაზე 2014 წელს საქართველოში ასევე დაფიქსირდა განსაკუთრებული ზიანის მომტანი ახალი მავნებელი - ალურა პეპლების აღმოსავლეთ აზიური სახეობა - ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*). [4] დაზიანებული მცენარის ფოთლები და ყლორტები გახვეულია აბლაბუდაში, დაზიანებული მცენარეები სრულიად გაცლილია ფოთლებისაგან და დაფარცხულია. საქართველოში ეს მავნებელი 2014 წლამდე არ იყო დარეგისტრირებული. ევროპის ქვეყნებში მავნებლის ეს სახეობა შეტანილია განსაკუთრებულ სამიშ მავნებელთა EPPO-ს ნუსხაში. ბზის ალურა კატასტროფულად სწრაფად ვრცელდება, რადგან ჩვენს პირობებში (რბილი კლიმატი) მავნებელი იძლევა 3-4 თაობას და ერთი თაობის განვითარების ციკლი 40 დღეს მოიცავს. იგი იწვევს ბზის დეფოლიაციას და შემდგომ მის ხმობას. მავნებელი იკვებება როგორც ბზის ფოთლებით, ასევე ყლორტებით და მერქანით. მავნებლის განსახლების შემდეგ ბზა ისე გამოიყურება, თითქოს დამწვარია. სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კოლხური ბზის მდგომარეობა შეფასდა როგორც ეკოლოგიური კატასტროფა.

აქედან გამომდინარე, ბზის მცენარეების ფიტოსანიტარული მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი, მავნე ორგანიზმების ზუსტი დიაგნოსტიკა, მათი წარმოშობისა და განვითარების თავისებურებების ცოდნა აუცილებელია მცენარეთა დაცვის რთულ სისტემაში. ამიტომაც, მიზნად დავისახეთ ბზის დაავადებების მონიტორინგი და მათი პათოგენური სტრუქტურის დადგენა. [5][6]

2016 წელს მაჭახელას ხეობაში ჩატარდა ბზის ფიტოსანიტარული მდგომარეობის მარშრუტული გამოკვლევა. მაჭახელას ხეობაში დაავადების (*Cylindrocladium buxicola*) და მავნებლის (*Cydalima perspectalis*) გავრცელება 100% და ინტენსივობა შეადგენდა 80-100%. (სურათი 1) შეგროვებული იქნა დაავადების ნიმუშები. (სურათი 2,3,) [7]

სურათი: 1

ბზის დაზიანებული კორომები *Cydalima perspectalis* - მიერ



სურათი: 2

ბუხის ალურათი დაზიანებული მცენარე



სურათი: 3

ბუხის სიღამწვრე



შეგროვებული დაავადების ნიმუშებიდან ლაბორატორიულ პირობებში გამოყოფილი იქნა, [8] დაავადების გამომწვევები და მოხდა მათი იდენტიფიკაცია კულტურალურ-მორფოლოგიური თვისებების საფუძველზე. (სურათი 4)

სურათი: 4

Cylindrocladium buxicola -ის სუფთა კულტურა



ლიტერატურა

- [1] Brand T, 2005. Outbreak of *Cylindrocladium buxicola* B. Henricot on boxwood in Northwest-Germany. Nordwest-Deutschland. Nachrichtenblatt des Deutschen Pflanzenschutzdienstes 57, 237-240.
- [2] Cech T, Diminic D, Heungens K, 2010. *Cylindrocladium buxicola* causes common box blight in Croatia. New Disease Reports 22, 9.
- [3] Crepel C, Inghelbrecht S, 2003. First report of blight on *Buxus* spp. caused by *Cylindrocladium buxicola* in Belgium. Plant Disease 87, 1539.
- [4] Bella S, 2013. The box tree moth *Cydalima perspectalis* (Walker, 1859) continues to spread in southern Europe: new records for Italy (Lepidoptera Pyraloidea Crambidae). Redia, 96:51-55. <http://www.redia>.
- [5] Henricot B, Pérez Sierra A, Prior C, 2000. A new blight disease on *Buxus* in the UK caused by the fungus *Cylindrocladium*. Plant Pathology 49, 805.

[6] Pintos Varela C, Gonzáles Penalta B, Mansilla Vázquez JP, Aguin Casal O, 2009. First report of *Cylindrocladium buxicola* on *Buxus sempervirens* in Spain. *Plant Disease* 93, 670.

[7] Saracchi M, Rocchi F, Pizzatti C, Cortesi P, 2008. Box blight, a new disease of *Buxus* in Italy caused by *Cylindrocladium buxicola*. *Journal of Plant Pathology* 90, 581-583.

[8] L. Gorgiladze, G. Meparishvili, Z. Sikharulidze, K. Natsarishvili and R. Davitadze (2011). First report of box blight caused by *Cylindrocladium buxicola* in Georgia. *New Disease Reports* 23, 24.

Ketevan Memarne, Lamziri Gorgiladze, Nino Lomtadze

Shota Rustaveli State University

Institute of Phytopathology and Biodiversity

**PHYTOSANITARY CONDITION OF BUXUS COLCHICA IN MACHAKHELA VALLEY
RESUME**

Nature of Georgia, its biodiversity is one of the main riches of the country. 21% of the Georgian flora is endemic, among which one of the significant places is taken by the relict of the tertiary period – Colchis Box-tree (*buxus Colchica*). Colchis box-tree is one of the main components of the Colchis (relict) forest of Western Georgia. Since 2013 it has been regarded as an endangered species inasmuch as owing to the box-tree disease started from 2010 and progressing to pandemics as well as a pest added from 2014-2015, Colchis box-tree appeared at the edge of extinction. Today scientific, governmental and public organizations evaluate the existing situation as ecological catastrophe. The irreparable ecological and economic damage is obvious. At present the rescue of Colchis box-tree as a species is at the agenda and demands urgent measures to be undertaken. We observed in the 2010, the fungus *Cylindrocladium buxicola* in Georgia. The fungus causes leaf spots, defoliation and die-back of box. Also was introduced in 2014 in Georgia the box tree moth, *Cydalima perspectalis*. It has been recorded in many European countries, also native to East Asia (Inoue et al., 1982). In southwest Germany and the Netherlands (Krüger, 2008; Straten and MuIt was first recorded in Europe in 2007, us, 2010) *C. perspectalis* larvae feed on the leaves of box trees, resulting in defoliation, which can kill the trees.

გიორგი მბინარაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მრავალფეროვანი და მრავალმხრივი თავისუფალი ჭიდაობა

თავისუფალი ჭიდაობა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სპორტის სახეობებს შორის გამოირჩევა თავისი სპეციფიკური სასწავლო-საწვრთნო პროცესით ილეთების მრავალრიცხოვანი რაოდენობით. საწინდარი და სამირკველი ამ ურთულესი, მრავალწლიანი პროცესისა ყალიბდება ადრეულ ასაკში ე.ი. მოსწავლის მოსვლისთანავე და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის პირველსა და მეორე წელიწადს.

მწვრთნელები და სპეციალისტები გვთავაზობენ სხვადასხვა სწავლების მეთოდებს, სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვის სხვადასხვა ფორმას. ჭიდაობის ტექნიკური და ტაქტიკური ილეთების მრავალწლიანი მოცულობასა და თანამიმდევრობას. ამ დიდი კონკურენციის პირობებში საჭიროა რაციონალური გზების ძიება.

მოგეხსენებათ რთულ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან ერთი ქულის აღება არის გაცილებით ძნელი, ვიდრე სუსტ მოწინააღმდეგესთან სუფთა გამარჯვების მოპოვება. და ხშირად ხდება ის, რომ ოლიმპიური მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები ხდებიან ისინი, ვინც მინიმალური, მცირე სხვაობით აღწევნენ წარმატებას ე.ი. შეხვედრის მოგებას. ზუსტად ტექნიკური მოქმედებების საიმედოობა განაპირობებს მოჭიდავეების ოსტატობის დონეს (გალკოვსკი ნ. მ., ნოვიკოვი ა. ა., შუსტინი ბ. ნ., 1976).

მოჭიდავეები უნდა მიისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ ერთნაირად კარგი და ეფექტური შესაძლებლობებით ასრულებდნენ ილეთებს, როგორც დგომში, ასევე ჩოქბჯენში, და ახერხებდნენ შეხვედრის სრულყოფილ წარმართვას კომბინაციური ჭიდაობით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მოჭიდავეს (სპორტსმენს) თავისი ჭიდაობის არსენალში აქვს

გარკვეული საყვარელი და შესრულებადი ილეთები, უნდა ეცადოს შემატოს და გაამრავლფეროვნოს სხვადასხვა ახალი ტექნიკური მოქმედებებით. ეს არის საჭირო იმისათვის, რომ მოვახდინოთ მოჭიდავის პოტენციალისა და დონის განვითარება შეჯიბრებიდან - შეჯიბრებამდე. მოწინააღმდეგე მხარე მუშაობს იმაზე, რომ მაქსიმალურად შეისწავლოს თქვენ სუსტი და ძლიერი მხარეები და შეძლოს თქვენს მიერ შესრულებულ საიერიშო ილეთებს დაუპირისპიროს კარგად მომზადებული კონტრილეთები და დაცვის ილეთები.

მხოლოდ მრავალფეროვანი ტექნიკური მომზადების ფონზე შესაძლებელი მაღალი სტაბილური შედეგების მიღწევა. ამისათვის საჭიროა მოჭიდავე სრულყოფილ დონეზე ფლობდეს სხვადასხვა საკვალიფიკაციო ჯგუფებიდან ძირითად ილეთებს და ეფექტურად ახერხებდეს კონტრილეთებისა და დაცვითი ილეთების შესრულებას, რომლებიც არის ამ ილეთებთან კავშირში.

ალხანოვი (1977) აღნიშნავდა, რომ ტექნიკურ-ტაქტიკური სრულყოფა ხასიათდება ურთიერთდაკავშირებული ელემენტების კომპლექსით, სადაც ყველა ელემენტი აყვანილი უნდა იყოს ავტომატიზმის დონეზე. რამდენადაც მეტია ამ ავტომატიზმის დონეზე აყვანილი ელემენტების რაოდენობა, იმდენად მეტია მოჭიდავის პოტენციური შესაძლებლობები. თავის მხრივ ამ ელემენტებს შორის დამყარებული კავშირი მყარი, მოქნილი და საიმედო უნდა იყოს.

სპორტსმენის სპორტული ოსტატობის შეფასებაში - მისი უმაღლესი კრიტერიუმის დადგენაში დიდ როლს ასრულებს მისი მრავალფეროვანი და შედეგიანი ტექნიკური მომზადება.

მრავალფეროვნებაში იგულისხმება ილეთების რაოდენობა, რომლებსაც სრულყოფილ დონეზე ფლობს სპორტსმენი და რომლებიც განსხვავდებიან სპეციფიკით.

ხშირად არის შემთხვევები, როდესაც მოჭიდავეები სახიფათონი არიან გარკვეულ მდგომარეობაში (პოზიციაში), მაგალითად, როდესაც მოწინააღმდეგე იმყოფება მარცხენა დგომში. საკმარისია მოწინააღმდეგემ შეცვალოს დგომი და გადავიდეს მარჯვენა დგომში, ეს მოჭიდავე უკვე არ არის იმდენად სახიფათო, რადგან ასეთ მოჭიდავეს მზად აქვს და გააჩნია ისეთი ტექნიკური არსენალი, რომელიც შეესაბამება მარცხენა დგომს და მარჯვენა დგომის შემთხვევაში ის მოუმზადებელია და არის უძლური.

ტექნიკურად მრავალფეროვანი მოჭიდავე შეიარაღებულია ეფექტური ტექნიკური მოქმედებებით, როგორც დგომში, ასევე ჩოქბჯენში და სხვადასხვა მდგომარეობებიდან.

საერთაშორისო დონის მოჭიდავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა ფაქტორები. ერთ-ერთია არსენალის ჩამოყალიბების პერიოდი და ეს არის 12-14 წლის ასაკი, როდესაც ხდება მოზარდის ზრდა ტექნიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

შემდგომში ასაკთან (დროსთან) და გამოცდილებასთან ერთად ხდება მოჭიდავის ორგანიზმის ფუნქციონალური პოტენციალისა და შესაძლებლობების ზრდა, მატულობს ემოციონალური სიმყარე სხვადასხვა საწინააღმდეგო ფაქტორების დასაძლევად და ამის შედეგად ხდება შეძენილი უნარ-ჩვევების აყვანა მეტად დიდ საფეხურზე.

მოჭიდავის მრავალმხრივი ტექნიკური მომზადება ეს არის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მწვრთნელმა სასწავლო-საწვრთნო პროცესში. აუცილებელია აღვნიშნოთ ის, რომ სპორტსმენის ჰარმონიული, ფიზიკური და ფიზიოლოგიური განვითარებისათვის მოზარდმა და ახალგაზრდამ ვარჯიშები უნდა შეასრულოს სხეულის მხარეების, კიდურებისა და შესაბამისი კუნთების თანაბარი სიმეტრიული, გაწონასწორებული დატვირთვით. მაგალითად, ბევრი დამსახურებული მწვრთნელი იძლევა რეკომენდაციას, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ილეთები ორივე მხარეს უნდა შეასწავლოს მოსწავლეებს თავიდანვე, ჭიდაობაზე მისვლისთანავე.

სოროკინი (1960) გვიჩვენებს ვაჩვენოთ მოსწავლეებს ილეთი მთლიანად, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა დგომიდან, სტატიკურ მდგომარეობაში და ლეიბზე გადაადგილების დროს.

ლენცი (1964) აღნიშნავს ილეთების სწავლებასა და სრულყოფის აუცილებლობას ორივე მხარეს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო-საწვრთნო პროცესის გაუმჯობესება და შესაბამისად, შედეგის ზრდაც.

ლიტერატურა:

1. Пилоян Д.А. Совершенствование атакующих и контратакующих действий. В кн. «Спортивная борьба», ежегодн., М., ФиС, 1972.
2. Донской Д.Д., Заиорский В.М. «Биомеханика», М., ФиС, 1979.
3. Рублёвский В.Е., Кузьменко Ю.Д., Ахмедов А.И. Методика обучения подростков технике спортивной борьбы. кн. «Спортивная борьба», ежегодн., М., ФиС, 1979.
4. Туманян Г.С. В кн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1985.
5. Медведь А.В., Кочурко Е.И. Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы. Мн., Польша, 1985.
6. Шахмурадов Ю.А. Преследование соперника после перевода в партер в вольной борьбе. В кн. «Спортивная борьба», ежедн., М., ФиС, 1985.

Giorgi Mdzinarashvili
Gori State Teaching University
VERSATILITY AND COMPLEXITY OF FREESTYLE WRESTLING
RESUME

Technical training plays one of the most important role in free wrestling. So this process is rather difficult because there are more technical actions in free wrestling (over 1000) than in other sport events. Combination of technical abilities begin to develop at an early age. The results show that combination of wrestler's abilities is limited in case of great competition. We have had a great variety of works on this question and we would advise the trainers to pay a proper attention to teaching and developing refined and perfect actions at the beginning level of training.

ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გამომსახველობის ადგილი და მნიშვნელობა ტანვარჯიშულ სახეებში

ესთეტიკური მოღვაწეობისას ადამიანები იყენებენ საკუთარ გემოვნებას, შეხედულებას, წარმოდგენებს, იდეალებს, ქმნიან ესთეტიკურ ფასეულებობს, რითაც იკმაყოფილებენ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

სპორტის სფეროში (კერძოდ ტანვარჯიშულ სახეობებში) ესთეტიკური მოღვაწეობა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია სრულყოფილების მიღწევისა და სპორტული მოქმედებების შესრულებისაკენ.

ამ მოქმედებების შესრულებისას წარმოდგება სხვადასხვა მოთხოვნები. კერძოდ, ისინი უნდა შესრულდეს თანამედროვეობის შესატყვისად, მართებულად. ტანვარჯიშულ სახეებში ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა სრულყოფილების მიღწევა სხვადასხვა მოძრაობითი მოქმედებების შესრულების დროს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ გამომსახველობა და არტისტულობა (არტისტიზმი).

გამომსახველობა - ხელოვნების ნიმუშების სპეციფიკური თავისებურება და მხატვრული ფორმის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, გამომსახველობა ხელოვნების ყველა სახეებისთვის არის დამახასიათებელი. მუსიკა, ფერწერა, არქიტექტურა, ლიტერატურა ხელოვნების სახეებია, რომლებსაც გამომსახველობა მაღალ ხარისხში აქვთ. ნამდვილი ხელოვნებისთვის დამახასიათებელია ოთხი თვისება: 1) სიმსუბუქე; 2) ფორმა; 3) მთლიანობა, დაუსრულებლობა; 4) სილამაზე - მშვენიერება. ეს თვისებები ხელოვნების ნიმუშებს ანიჭებს გამომსახველობას.

გამომსახველობის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევა ემოციური გამომსახველობა. ლიტერატურული, მხატვრული, არქიტექტურული ხელოვნების ნაწარმოებები არიან სტატიკური, ამიტომ მათი გამომსახველობის დახასიათებისას იგულისხმება სტატიკური გამომსახველობა. მუსიკისთვის, ცეკვისთვის, თეატრალური წარმოდგენისთვის, მხატვრული, აკრობატული ტანვარჯიშისთვის და სხვ. დამახასიათებელია დინამიური გამომსახველობა, მოძრაობითი გამომსახველობა ან უფრო კონკრეტულად მოძრაობის გამომსახველობა. მოძრაობის, როგორც გრძნობების და ემოციების გადმოცემის საშუალება, შესწავლა სპორტული მეცნიერებების შესწავლის ერთ-ერთ საკითხია.

ხელოვნების სხვადასხვა სახეებში გამომსახველობის ძირითადი თავისებურებებია:

1) „გამომსახველობის“ ცნება არსებობს ხელოვნების ყველა სფეროში (მუსიკა, ლიტერატურა, არქიტექტურა, ფერწერა, თეატრი, სპორტი, კინო და ა.შ.)

2) თანამედროვე სამეცნიერო-მეთოდურ ლიტერატურაში ტერმინი „გამომსახველობა“ ხელოვნების სხვადასხვა სახეებში ყალიბდება სხვადასხვანაირად.

3) გამომსახველობის მთავარი კრიტერიუმი არის - ჰარმონიულობა. ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები არ იქნება გამომსახველი, თუ, მაგალითად, სურათში იქნება ძალიან მკვეთრი ბევრი ფერები ან შენობაზე ძლიერ ბევრი ქონგურები და ა.შ.

4) შეიძლება გამოვყოთ სტატიკური გამომსახველობა, რომელიც დამახასიათებელია ლიტერატურისათვის, ფერწერისთვის, არქიტექტურისთვის და დინამიური, დამახასიათებელი ცეკვისთვის, სპორტისთვის, მუსიკისთვის და ა.შ.

5) გამომსახველობა შეისწავლება როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად. ხარისხობრივად შეფასება საშუალებას იძლევა, იმისას რომ გამოვავლინოთ მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში გამომსახველობა, ხოლო რაოდენობრივი - როგორ ახდენს გავლენას გამომსახველობა მამოძრავებელ მოქმედებებზე სხვადასხვა პირობებში, და გარდა ამისა უფრო ობიექტურად შევაფასოთ სპორტსმენის გამომსახველობის დონე. [2]

ტანვარჯიშულ სახეებში გამომსახველობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია მუსიკალური ნაწარმოების ხასიათზე, მის შინაარსზე და მასზე, თუ როგორ ესმის შემსრულებელს ეს ნაწარმოები.

მუსიკის გავლენა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ინტენსიურად და ღრმად ეცნობიან მუსიკას, შეუძლიათ მისი აღქმა და მისით შთაგონება. იგი დამოკიდებულია სპორტსმენის მუსიკის მოსმენის უნარზე, გაგებაზე და მოძრაობებში მის ასახვაზე. მუსიკის შეცნობა, მისი ანალიზი და ინტერპრეტაცია ხორციელდება თითოეული ადამიანის მიერ ინდივიდუალურად და დამოკიდებულია მუსიკალურ გამოცდილებაზე.

ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოების გამომსახველობა დამოკიდებულია არა მარტო მის შემქმნელ ხელოვანზე, არამედ იმაზე თუ როგორ მიიღო მაცურებელმა თუ მსმენელმა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ნაწარმოების ობიექტური შეფასებისთვის არსებობს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები. ხელოვნების ნაწარმოებებში ისეთში, როგორცაა - ფერწერა, ბალეტი, მუსიკა და სხვ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს გამომსახველობის ხარისხობრივი შეფასება. რაოდენობრივი შეფასება, უფრო დამახასიათებელია სპორტის ტანვარჯიშული სახეებისთვის, სადაც მთავარი ამოცანა არის ობიექტური მსაჯობა, რაოდენობრივი მახასიათებლების საშუალებით გამომსახველობითი კომპონენტებით შესაძლებელია სპორტსმენის შეფასება და მათ შორის ლიდერის შერჩევა [6]

სპორტულ მოღვაწეობაში მოძრაობითი გამომსახველობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სტატიკური. გამომსახველობის მოცემულ სახეს შეუძლია გამოხატოს კომპოზიციის ჩანაფიქრი და მუსიკალური თანხლების ხასიათი.

გამომსახველობითი მოძრაობა - ეს არის სპორტსმენის ემოციური გამოვლინება სხეულის მოძრაობის, ჟესტების, ტანდევობის, მიმიკის და სხვ. საშუალებებით.

მოძრაობის გამომსახველობა ვლინდება კარგ ტანდევობაში, თავის, სხეულის, ხელებისა და ფეხების გააზრებულად, სწორად და ლამაზად მართვაში, ზუსტ და მყარ წონასწორობებში; მოძრაობების შერწყმულად და რბილად შესრულების უნარში, ხტომებში ფრენა, მისი კონტურების ნათლად გამოკვეთა, ფეხებში სწორი მდებარეობით. გამომსახველობა - ეს არის თვისება, რომელიც ვლინდება მოძრაობის მოქმედების მაღალ-ტექნიკურად შესრულებაში, ეს არის ელეგანტობა, დიდი ამპლიტუდა ემოციურობის სრული გამოვლენით.

გამომსახველობა და ტექნიკა მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ტექნიკა (მექანიკურად სწორი, რაციონალური შესრულება) წარმოადგენს იმ აუცილებელ ბაზას, რომელზეც შენდება გამომსახველობა. არასრულყოფილი ტექნიკა არ იძლევა საშუალებას, რომ იმოდროა მყარად, თავისუფლად, შეუბორკავად, მთელი ყურადღება დაუთმოთ ცალკეული ელემენტების, ნაერთების, მთლიანად კომპოზიციის გამომსახველობას, შეიტანო „დეკორატიული ელემენტები“. მოძრაობითი მოქმედებების უნარის გარკვეული ავტომატიზმამდე მიყვანა წარმოადგენს გამომსახველობის აუცილებელ პირობას ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ მოძრაობით ჩვევაზე, როდესაც საუბარი მოძრაობის ტექნიკურ სრულყოფასა და „მოძრაობათა გამომსახველობის უნარზე“, ე.ი. უნარზე რომელიც მოძრაობას მიანიჭებს გარკვეულ აზრობრივ, ემოციურ ელფერს

ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად, გამომსახველობის ხარისხობრივი გამოვლენის განსაზღვრებაში ითვლება ფიზიკური თვისებების განვითარების და გამოხატვის შეფარდებითობა (თანაზომიერება). ცნობილია, რომ ძალის, გამძლეობის, სისწრაფის, ასევე მოხერხებულობის, სიზუსტის, მოძრაობითობის, მოქნილობის გარკვეული დონის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერ საკმაოდ რთული მოძრაობითი მოქმედებების ხასიათის გადმოცემა. მიუხედავად ამისა ყველა ვარჯიში არ ითხოვს ძალის და მოქნილობის მაქსიმალურ გამოვლინებას, ცხადია, რომ მათ არ ქონაში ასევე შეუძლებელია აითვისო მოქმედება მისი ხარისხობრივი მახასიათებლების დამახინჯების გარეშე. ამიტომ ფიზიკური თვისებების მკაცრი შეთანხმებულობა და შესაბამისობა არის გამომსახველობის გამოვლენის აუცილებელი პირობა [8.,9].

სპორტის ყველა სახეობას გააჩნია ესთეტი-საწყისი, რომელიც აიხსნება ადამიანის ბუნების სრულყოფისაკენ ლტოლვით. თუმცა ტანვარჯიშულ სახეებში ასევე ფიგურულ სრიალში, სინქრონულ ცურვაში ესთეტიკურობა მაქსიმალურად ვლინდება, იმდენად მნიშვნელოვნად რომ შეჯიბრებისას

მსაჯობის წესებზე კი მოახდინა ცვლილებები. (მაგ. აკრობატიკაში ბოლო წლებში შემოვიდა მსაჯთა ახალი ბრიგადა - არტისტიზმის შემფასებელი ბრიგადა).

ამ სპორტის სახეებში ვარჯიშთა შესრულების შეფასება არ ხდება ობიექტურად აღრიცხული ფიზიკური სიდიდეებით - მეტრი, წამი, კილოგრამი, არამედ ხორციელდება სუბიექტურად - მსაჯი - არბიტრებით, რომლებიც სპორტულ გამოსვლებს აფასებენ ვიზუალურად და არ ეყრდნობიან რაიმე გაზომვით ხელსაწყოებს.

ტანვარჯიშულ სახეებში ნებისმიერ კომპოზიციებში სირთულეების გაზრდით ხშირად მსაჯებს აყენებს რთულ მდგომარეობაში. სპორტსმენთა მეტი რიცხვი თავის ნებისმიერ პროგრამაში რთავს უმაღლესი სირთულის ელემენტების მაქსიმუმს და ასრულებენ ტექნიკურად სრულყოფილად და ამიტომ მსაჯებს უჭირთ ჭეშმარიტ ლიდერის განსაზღვრა. ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც სპორტსმენს საშუალებას აძლევს გამოეყოს და მიადწიოს მაღალ შედეგებს შეჯიბრებაზე, არის გამომსახველობითი კომპოზიციებით და ვარჯიშებით გამოსვლა.

ასეთ სიტუაციაში ესთეტიკური მხარე, სპორტსმენთა ესთეტიკური კომპონენტებით გაჯერებულობა იძლევა საშუალებას, რომ სპორტსმენთა გამოსვლები განასხვავონ მათი ესთეტიკურობის და ესთეტიკურში ხარისხობრივი მაჩვენებლებით. თუმცა ხარისხის და შესრულების ოსტატობა სპორტის ტანვარჯიშულ სახეებში არასაკმარისად არის გადაწყვეტილი და გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. იმავდროულად ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება კვლევის ახალი მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია საგნების და მოვლენების ხარისხის რაოდენობრივ დახასიათებასთან, რამაც მიიღო სახელწოდება „კვალიმეტრია“. კვალიმეტრიული მეთოდების გამოყენება საშემსრულებლო ოსტატობის ესთეტიკურობის შეფასებისას, საშუალებას გვაძლევს ახლებურად ვუპასუხოთ ზოგიერთ ძველ პრობლემას.

საშემსრულებლო ოსტატობაში სპორტის ტანვარჯიშულ სახეობებში იგულისხმება საშეჯიბრო ვარჯიშების (კომპოზიციების, კომბინაციების) შესრულების მაღალი დონე, დახვეწილი და სრულყოფილი საშეჯიბრო გამოსვლები.

არსებითად საშემსრულებლო ოსტატობა - ეს არის სპორტსმენის ფიზიკური, სპორტულ-ტექნიკური შესაძლებლობების ჩვენების კომპოზიციის შესრულებისას მხატვრული გაფორმებით მათი გადმოცემის უნარი.

საშემსრულებლო ოსტატობის სრულყოფა სპორტული წვრთნის პრაქტიკაში ორი მიმართულებით ხორციელდება. პირველ რიგში იხვეწება საშეჯიბრო ვარჯიშების შესრულების ხარისხი. ადრე ათვისებული ტექნიკური ელემენტების ბაზაზე ისე, რომ პრინციპულად არ იცვლება კომპოზიციური და ესთეტიკური შინაარსი. მეორე რიგში ნაერთები და კასკადები ახალ კომპოზიციურ და ბიომექანიკურ იდეებზე დაფუძნებით იქნება ახალი ორიგინალური ელემენტები. სინამდვილისადმი ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულების მოდულის თვალსაზრისით ესთეტიკური ასპექტი გვავალდებულებს საშემსრულებლო ოსტატობის შესწავლას.

მას საფუძვლად უდევს სპორტსმენის მოძრაობითი მოქმედებების გამოვლენის თეორიული კონცეფცია. მოდელი თავის თავში მოიცავს ერთმანეთის შემავსებელ ოთხ კომპონენტს: შესწავლილი მოვლენის სტრუქტურას, მის ფასეულობას ან დანიშნულებას, გარეგანი ფორმის სილამაზე, მხატვრულ გამომსახველობას, რომელიც გამოავლენს ესთეტიკური ფასეულობის შინაარსს.

საშეჯიბრო ვარჯიშების ესთეტიკური მაჩვენებლების გარკვეული მოთხოვნები ასახულია საშეჯიბრო წესებში.

ტანვარჯიშული სახეობების ცნებაში მოიაზრება ოთხი კომპონენტი.

- ნაერთში ელემენტების შემადგენლობა;
- ელემენტების შეთანხმებულობა და მათი მთლიანობა;
- შესრულების დინამიურობა;
- კომპოზიციის მხატვრული გაფორმება [3.,1].

ცეკვაში მუსიკალურობის და ემოციური გამომსახველობის განვითარება.

ხარისხიანი მუსიკალური მასალის შერჩევა და ქორეოგრაფიული კომპოზიციის კარგი დადგმა არ ნიშნავს სრულ და გარანტირებულ წარმატებას. [5]

პირველხარისხოვან ამოცანებთან ერთად კომპოზიციის შესაბამისი აკომპანიმენტის შერჩევის ამოცანებთან ერთად, სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილია მუსიკის მოსმენის და გაგების და ემოციური გამომსახველობის სწავლება.

ცეკვის მეცადინეობები ასწავლიან არადა მხოლოდ მშვენიერების გაგებასა და შექმნას, არამედ ისინი აგრეთვე აწვითარებენ გამომსახველობით აზროვნებას და ფანტაზიას. იძლევიან ჰარმონიულ პლასტიურ განვითარებას, ასევე ეხმარებიან ბავშვის მუსიკალურობის და სახიერ გამომსახველობის განვითარებაში [4].

ცეკვითი ხელოვნება თავის თავში გულისხმობს რიტმის შეგრძნების განვითარებას. მუსიკის მოსმენა და გაგების ცოდნას, მის შესაბამისობას მოძრაობასთან, ერთდროულად განავითაროს და წვრთნას კუნთური ძალა კორპუსის და ფეხების, ხელების პლასტიკას, გრაციას და გამომსახველობას. ქორეოგრაფიის მეცადინეობები ორგანიზმს ფიზიკურად ტვირთავდნენ, თითქმის სპორტის რამდენიმე სახის თანაბრად.

თანამედროვე ტანვარჯიშის რიტმული მიმართულება დაკავშირებულია ჟენევის მუსიკის პედაგოგის და კომპოზიტორის ემილ ჟაკ დალკროზის (1865-1914) სახელთან. მას თავიდან მუსიკის სწავლების რეფორმის განხორციელება უნდოდა. დაკვირვების შედეგად დალკროზმა დაადგინა, რომ გარკვეული მოძრაობის შესრულება ხელს უწყობს რიტმის გრძნობის და სმენის განვითარებას. მეორე მხრივ, მუსიკალური რიტმის დაუფლება ეხმარება ნერვული სისტემის ნორმალურ მოქმედებას. მუსიკალური ხელოვნების მაღალ დონეზე დაუფლების მიზნით, ის თავის მოსწავლეებს ავალეზდა საკუთარი გრძნობები და აზრები, გამოწვეული ტემპით და რაიმე აკორდით, გამოეხატათ ამა თუ იმ მოძრაობაში. ამით დელსარტის გამომსახველობითმა შესტემა შემდგომი განვითარება ჰპოვეს დალკროზის ტანვარჯიშში.

ემილ ჟაკ დალკროზმა შეიმუშავა მუსიკალურ-რიტმული აღზრდის სისტემა, რომელიც დღესაც წარმოადგენს მსოფლიოში მუსიკალური განათლების ყველაზე ცნობილ და პოპულარულ მეთოდად. დალკროზი სამართლიანად თვლიდა, რომ ცეკვის და მუსიკის საშუალებით მოსწავლეები უკეთ სწავლობენ სამყაროსაც და საკუთარ თავსაც, ხოლო ცეკვები აწვითარებენ არა მხოლოდ მუსიკალურობას, არამედ ეხმარებიან ადამიანს ემოციურად და მუსიკალურად გახსნაში, ყურადღების ნების და კომუნიკაბელურობის გამომუშავებაში [7].

მოძრაობის გამომსახველობა ეს არის არა მხოლოდ პლასტიურობა, მუსიკალურობა, უფრო ზუსტად მესიკასთან შერწყმა, დასრულებლობა, არამედ არის გრაციოზულობა.

არანაკლებ გამომსახველი გარბენი და ბრუნები შესრულებული გარკვეულ მუსიკალურ რიტმში. ასევე აღსანიშნავია ცეკვების როლი. იგი არის გამომსახველობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. ცეკვის როლი კარგად ჩანს როდესაც უყურებ ტანმოვარჯიშეს (განსაკუთრებით მხ. ტანვარჯიშში) ხელებს. ხელები ძალიან მეტყველია. ყველაფერი შეიძლება გამოიხატოს ხელების საშუალებით, განსაკუთრებით მუსიკის უფაქიზესი ნიუანსები.

ამ მხრივ დიდია ქორეოგრაფიული სკოლის როლი. მისი დახმარებით წყდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ოსტატად ჩამოყალიბებაში - ეს არის მოძრაობის გამომსახველობის განვითარების პრობლემა.

განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნები, როდესაც სპორტსმენები ცდილობენ გამოხატონ კომპოზიციის სურათი, შეუძლებელია ქორეოგრაფიული კლასიკის გამყარებული გამომსახველი საშუალებების გარეშე.

ემოციური განცდა - ეს ჯერ კიდევ არ არის გამომსახველობა, რადგანაც ემოციურობა მშვენიერი პლასტიური ფორმით უნდა გამოვლინდეს. ამიტომ, თუ ფორმა არ არის გამომუშავებული, მაშინ ემოცია რჩება განუხორციელებელი.

მოძრაობის გამომსახველობა პირველ რიგში ეს არის სწორი ლამაზი ტანდებობა, მუსიკალური თ კომპოზიციის აზრის სწორად გადმოცემა სხეულით, ხელებით, ფეხებით, გააზრებული და ლაღი გადაადგილება, შეუბორკავი მოძრაობა და მრავალი სხვა.

გამომსახველობის საფუძველი არის მოძრაობების შესრულების მაღალი ტექნიკა, მოძრაობის კულტურა და მათი შესრულების ავტომატიზმამდე დაყვანა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გამომსახველობა ერთი მხრივ არის შინაგანი განცდების გრძნობების სიმდიდრე, მეორე მხრივ შინაგანი პალიტრის ფლობა, რომელსაც შეუძლია ამ გრძნობების გადმოცემა. ცხადია ეს აიხსნება ბუნებრივი მონაცემებით და აღზრდა მიმდინარეობს იმ გარემოში, რომელშიც სპორტსმენი ცხოვრობს. კერძოდ კი, ქორეოგრაფი ახდენს დიდ გავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაში.

თავის მხრივ ოსტატობა და ხელოვნება დამოკიდებულია ბუნებრივ ნიჭიერებაზე, გარეგნულ მონაცემებზე, მოძრაობით უნარიანობაზე, პოზის შეგრძნებაზე, მუსიკალურობაზე და ა.შ. ასევე დრო მნიშვნელოვანია როდესაც სრულდება კომბინაცია ან კომპოზიცია. აქ უნდა აღვნიშნოთ დროის ორი გამოვლინება - ტემპი და რიტმი.

გადაადგილება - მოძრაობის გამომსახველობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სხვადასხვა მიმართულებიდან დიდი დინამიკით მოძრაობები დიაგონალზე, მეტყველი ხაზები გამოხატავენ თანაბარ მოძრაობებს, ნახევარკალები - სირბილეს, ჰაეროვნებას, წრეები - მთლიანობას, გადაადგილების მკვეთრი ცვლილებები - სიმკვეთრეს, წახნაგოვანს, სპირალი - დამაბულობას. პოზა, გადაადგილება, ტემპი და რიტმი - ეს არის მისიკის შინაარსის, ხასიათის გადმოცემის მთავარი საშუალებები.

მაშასადამე გამომსახველობა ტანვარჯიშულ სახეებში მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მიმართულია სრულყოფილების მიღწევისა და სპორტული მოქმედებების უზადო შესრულებისაკენ.

ლიტერატურა:

1. Адашкина А.А., Особенности проявления эстетического отношения при восприятии действительности. Вопросы психологии, 1999, №6.
2. Ананьев В.Г., Человек как предмет познания. – Л., 1968.
3. Бакшева Т.В., Эстетическое воспитание в подготовке квалифицированных кадров в области физической культуры и спорту Проблемы детской антропологии: Материалы Всероссийской научной конференции. – Ставрополь: Кавказский край, 2001.
4. Бекина С.И., Ломова Т.П. Музыка и движение. М. Музыка, 1984.
5. Кубанцева Е.И., Концертмейстерство – музыкально-творческая деятельность. Музыка в школе, №2, 2001.
6. Назаренко Л.Д., Пластичность как двигательльно-координационное качество. Теория и практика физической культуры, Л., 1968.
7. Путрова Т.В., Беликова А.Н., Кветная О.В. Учите детей танцевать. М. Музыка. 1961.
8. Сараф М.Я., Столяров В.И. Введение в эстетику спорта. Учеб. Пособ. ФиС. М., 1986.
9. Спорт, музыка, грация: Художественная гимнастика. Под ред. Кирсанова В., 2-е изд. М., ФиС. 1987.

Neli Papukashvili

Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

IMPORTANCE AND PLACE OF EXPRESSIVENESS IN GYMNASTICS RESUME

Expressiveness is one of the originality and is one of the most important features in art. In kind of aerobics expressiveness is directly connected to the contest of music and the mood of the participant, how he or she understands it.

The main role in expressiveness plays choreography school. It helps to solve the problem of expressing movement and become professional gymnast. At the end expressiveness and emotion swill in plastic forms.

The bases of expressiveness are high techniques of performance, the culture of movement and working on them in order to become automatic.

On one hand expressiveness is showing your different kind of emotions and on the other hand it's having your emotions and expressing them. In forming these components music and choreography play incredible role.

მამია ტულუში

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ალექსანდრე იაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა, პრობლემები და გადაჭრის გზები

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების რთული და მრავალმხრივი პროცესების ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა შეიძინოს ერის გაჯანსაღების, სტუდენტი-ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის, ჯანსაღი წესის დამკვიდრების, მდიდარი სპორტული პოტენციალის წარმოჩენის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების გეგმაზომიერად გადაჭრამ. ფიზიკური აღზრდა გარკვეულად განსაზღვრავს ცხოვრების ჯანსაღ წესს, საქმიანობას

შრომში, სწავლასა და ყოფაში; ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკურ, აღმზრდელი და გამაჯანსაღებელ ამოცანათა წარმატებით გადაჭრას.

სტუდენტი-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა-განვითარება დიდი ეროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მასზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების სწორი გზით განვითარება, მისი კეთილდღეობა, ადამიანთა შორის ჯანსაღი, მაღალშეგნებული, კულტურული ურთიერთდამოკიდებულება, ხალისიანი და სასიამოვნო განცდებით აღსავსე ყოფა-ცხოვრება, ერის სილამაზე და მშვენიერება, სახელმწიფოს ძლიერება და სიმტკიცე.

რამდენიმე წლის უკან ფიზიკური აღზრდა განიხილებოდა, როგორც სტუდენტთა აღზრდის სისტემის განუყოფელი ნაწილი. დღეს კი, თუ დიდ ილიას დავესესხებით „...ყველაფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ... კაცს ტანი და აგებულებაცა აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თავისთა რჩეულთა... ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრ ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედებს, ხასიათის წვრთნას თითქმის თავს ანებებს და ტან-აგებულებას ადამიანისას არც-თუ ჰშველის, არამედ ჰღალავს.“

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდა ფიზიკური აღზრდის კათედრები და სპორტული კლუბები, ე.ი. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის საგანი აღარ ისწავლება; საგანი, რომელიც სპეციალური ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სტუდენტთა მორალურ, ნებელობით და ესთეტიკურ აღზრდაში, არსებითი წვლილი შეჰქონდა ფართო განათლების, ყოველმხრივ განვითარებულ სპეციალისტთა მომზადების საქმეში. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ქვეყანას განსაკუთრებით ესაჭიროება ერის გაჯანსაღება და ქართულ არმიას ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდებით შევსება. ასევე მძიმე სიტუაციაა სტუდენტურ სპორტშიც. შემცირებული პროგრამით ტარდება ქვეყნის უნივერსიადები. უმაღლეს სასწავლებლებში მოიშალა სპორტული კლუბების საქმიანობა, და, თუ ის რომელიმე სასწავლებელში არსებობს, მხოლოდ ადგილობრივი ხელმძღვანელობის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს (სექციური მუშაობა და უნივერსიადაზე გუნდების გამოყვანა). ყოველივე ამან კი უარყოფითი ასახვა ჰპოვა სტუდენტთა ყოფაში,

კერძოდ, მათ ფიზიკურ განვითარებასა და სპორტულ მიღწევებში. შეინიშნება სტუდენტთა ჯანმრთელობის გაუარესების საგანგაშო ტენდენცია. პიროვნების განვითარებაზე დამღუპველ გავლენას ახდენს ალკოჰოლი, თამბაქო და სხვა მავნე ჩვევები. ჯანმრთელობის პრობლემა დღეისათვის მეტად აქტუალურია. ამასთან, შესამჩნევად გაიზარდა სტუდენტთა შორის კანონდამრღვევთა და ნარკოდამოკიდებულთა რიცხვი.

ფიზიკური აღზრდის მიზანდასახული ფორმების გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში უნდა იყოს მრავალწახნაგოვანი. ტექნიკური პროგრესი, მეცნიერების სწრაფი განვითარება, ახალი ინფორმაციების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, რაც თანამედროვე სპეციალისტისათვის აუცილებელია, სტუდენტთა სასწავლო შრომას მეტად ინტენსიურს, დამაბულს გახდის, შესაბამისად, სრულყოფილი უნდა იყოს სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის, როგორც ცხოვრების რეჟიმის ოპტიმიზაციის, აქტიური დასვენების, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მთელ პერიოდში სტუდენტთა მუშაობისუნარიანობის შენარჩუნებისა და ამაღლების პირობა. ამასთან ერთად, ფიზიკური აღზრდის საშუალებით უნდა მოხდეს მომავალი პროფესიისათვის შემდგომი ზოგადი და სპეციალური ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფა. არასაკმაოდ განვითარებული ფიზიკური უნარი, არცთუ იშვიათად, აფერხებს სტუდენტის მიერ პროფესიული ოსტატობის დაუფლებას. ფიზიკური უნარიანობის განვითარების ამოცანები უნდა პასუხობდეს არჩეული პროფესიული საქმიანობის სპეციფიკურ მოთხოვნებს. მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ მოძრაობითი აქტივობის დეფიციტი გაუარესებს სტუდენტთა ჯერ კიდევ მზარდი ორგანიზმის ჯანმრთელობას.

სტუდენტი-ახალგაზრდობის (ასევე ყველა ტიპის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების) მიმართ აღნიშნული დანაშაულებრივი (სხვას ვერაფერს ვუწოდებთ) ქმედება განხორციელდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონში სპორტის შესახებ ვკითხულობთ:

„1.2 საქართველოს კანონმდებლობა სპორტის სფეროში ემსახურება ერის გაჯანსაღების, მოქალაქეთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეს, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდას, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადებას, ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებას, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

12.1 ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება, ფიზიკური აღზრდა და სრულყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

12.2 სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფიზიკური მომზადების

ნორმატივების საფუძველზე სასწავლო დაწესებულება ადგილობრივი პირობებისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობების ჩატარების ფორმებს, მეთოდებს და ხანგრძლივობას (არანაკლებ 4 საათისა კვირაში).“

12.4 ყველა სასწავლო დაწესებულებაში, პროფილისა და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სპორტი შედის ერთიან სასწავლო პროგრამაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლების სამინისტრო სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით.“

სწავლებაში გამოყენებული ზოგადმოსამზადებელი ვარჯიშების შემადგენლობა შეიძლება საკმაოდ ფართო იყოს. მათი არჩევის ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს ფიზიკური შესაძლებლობების ყოველმხრივი განვითარება, მისი „სამუშაო პოტენციალის“ გაზრდა და ჯანმრთელობაზე მავნედი მოქმედი ფაქტორებისადმი გამძლეობის გაზრდის ხელშეწყობა. სწორედ, რომ მოძრაობა, ფიზიკური ვარჯიშობა არის დაავადებასთან ბრძოლის, ორგანიზმის საერთო შრომისუნარიანობის ამაღლების უნიკალური და ყველაზე ეფექტიანი საშუალება.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური კულტურის საშუალებათა მიზანდასახული გამოყენების გაზრდილი როლი სწავლის პერიოდში განსაზღვრული უნდა იყოს იმის გამოც, რომ სტუდენტთა შრომით რეჟიმს ხშირად უმოდრაობა, ერთფეროვანი სამუშაო პოზა ახასიათებს. ამ სიტუაციაში ფიზიკური აღზრდის მეცადინეობები და სპორტული საწვრთნელი პროცესი ის ძირითადი ფაქტორი იქნება, რაც სტუდენტს დაიცავს ჰიპოდინამიის უარყოფითი შემდგომი მოქმედების, აგრეთვე გონებრივი და ნერვული ემოციური მდგომარეობისაგან. ფიზიკურ ვარჯიშზე დახარჯული დრო კომპენსირდება მუშაობისუნარიანობის ამაღლების ხარჯზე. სხვადასხვა პროფესიისათვის მომზადებისას მოძრაობითი ჩვევების ფორმირებისა და სრულყოფის დროს ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ე.წ. ბუნებრივი მოძრაობები (სიარული, რბენა ადგილმდებარეობაზე - კროსი, ხტომა, ტყორცნა, ცოცვა, ცურვა, თხილამურებით სრიალი, ტანვარჯიშული ვარჯიშები და ა. შ.)“ მათი გამოყენება განპირობებულია იმით, რომ შრომითი საქმიანობის უმეტეს სახეობაში სრულყოფილ ჩვევებს ბუნებრივ მოძრაობაში აქვს უშუალოდ გამოყენებითი მნიშვნელობა. ამასთან, ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა დარჩეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, განადგურებული ან სხვა მიზნებისათვის გამოყენებული სპორტული ბაზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და მათი სათანადო სპორტული მოწყობილობებით და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა.

ნებისყოფის, სენსომოტორული და მათთან დაკავშირებული თვისებების განვითარებისას სასარგებლო იქნება ბევრი რამ სპორტული და პროფესიულ-გამოყენებითი ვარჯიშებიდან. განსაკუთრებით კი ის საშუალებები, რომელთა მეოხებითაც პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებებს წარედგინება გაზრდილი მოთხოვნები. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და მინი-ფეხბურთის ტიპის თამაშები (როდესაც საჭიროა მოულოდნელად შეცვლილ სიტუაციებში ორიენტირების უნარის სრულყოფა და მათზე მიზანშეწონილი რეაგირება), რიგ შემთხვევაში კი - ტანვარჯიშული და აკრობატული ვარჯიშები გამართლებული (ან გართლებული) სახით ან სხვა ვარჯიშები, რომელთა შესრულებაც დაკავშირებულია რისკთან და სხვ.

ფიზიკური აღზრდის პროცესი მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ იგი ყოველნაირად ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის ხანგრძლივად შენარჩუნებას. მხოლოდ კარგი ჯანმრთელობის შემთხვევაში არის შესაძლებელი მაღალეფექტურად შეასრულო სასწავლო, შრომითი და სხვა მოქმედებები. იმისათვის, რომ სწორად წარიმართოს ფიზიკური აღზრდის ორგანიზაცია და პროცესი, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: 1. ფიზიკური აღზრდის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა; 2. ფიზიკური აღზრდის პროცესში ფიზიკური დატვირთვების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს ჯანმრთელობის განმტკიცების კანონზომიერებების შესაბამისად; 3. ფიზიკური აღზრდის პროცესი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სისტემატური საექიმო-პედაგოგიური კონტროლით.

სწავლების პროცესში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს სამედიცინო შემოწმება (გაღრმავებული სამედიცინო შემოწმება წლის განმავლობაში - ორჯერ), პედაგოგიური და საექიმო-პედაგოგიური დაკვირვება, რაც სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ფუნქციურ შესაძლებლობათა დინამიკაზე საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. დიდი მნიშვნელობა აქვს პირველად საექიმო შემოწმებას. ანთროპომეტრიული მონაცემების და ფუნქციური მდგომარეობის საფუძველზე ექიმი წყვეტს ფიზიკური აღზრდის სასწავლო მეცადინეობაზე სტუდენტის დაშვების საკითხს და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ერთად იძლევა სათანადო რეკომენდაციას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ჩატარება უნდა განხორციელდეს სტუდენტთა სქესისა და ფიზიკური განვითარების გათვალისწინებით. ფიზიკური აღზრდის საგანში სასწავლო მეცადინეობებზე ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ბუნების ძალების, კერძოდ, კლიმატურ-გეოგრაფიული ზონების, მზის რადიაციის სასარგებლო მოქმედება. ასაკობრივი პერიოდი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უმაღლეს

სასწავლებლებში სწავლის პერიოდს ემთხვევა -18 – 25 წლებია, რაც განსაკუთრებით კეთილსასურველია სპორტის ძირითად სახეობებში მაღალი მიღწევებისათვის. ამიტომაცაა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში განსაკუთრებით წარმოჩენილია საუნდერსიტეტო სპორტი და სტუდენტ-სპორტსმენთა მაღალი სპორტული შედეგები.

ჯანსაღი სტუდენტი-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა და სპორტი საჭიროებს სახელმწიფოებრივ მიდგომას, პატრიოტულ თავდადებასა და ეროვნულ თვითშეგნებას. იქნებ განგაში უნდა ავტეხოთ, ერთად შევებრძოლოთ ყოველივე იმას, რასაც დალუპვამდე მიჰყავს სტუდენტთა ფიზიკური განვითარება, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ ფიზიკურ განუვითარებლობის გზას ტაძრისკენ არ მივყავართ. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ძალისხმევა სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე, ჩვენი მცდელობა ერის უკეთესი მერმისის შექმნისა, ფუჭი ჯაფა აღმოჩნდება.

მ.წ.15 აპრილს ტელევიზიების წარმომადგენლებთან (ჟურნალისტებთან) შეხვედრაზე ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა თქვა, რომ „უკვე გავიარეთ მძიმე ეკონომიკური კრიზისი...“ და, თუ ეს ასეა, ეგებ ეხლა მაინც მივაქციოთ ყურადღება სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისა და სტუდენტური სპორტის აღდგენა-განვითარების საქმეს, იგი უდაოდ საჭიროებს სახელმწიფოებრივ მიდგომას, პატრიოტულ თავდადებას და ეროვნულ თვითშეგნებას.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია:

- ფიზიკური აღზრდის კათედრებისა და სპორტული კლუბების უმოკლეს დროში აღდგენა-ამოქმედება;
- ფიზიკური აღზრდაში, საწყის ეტაპზე, მეცადინეობების დაგეგმვა-ჩატარება მხოლოდ პირველ კურსზე (კვირაში ორი საათი);
- სტუდენტებთან სავალდებულო მეცადინეობების ჩატარება სახელმწიფო პროგრამების მიხედვით;
- სავალდებულო კურსის მეცადინეობების ჩატარება სასწავლო წლის დაწყებიდან პირველ ივნისამდე (სესიების დაწყებამდე), შესვენებებით საგამოცდო სესიების, არდადეგებისა და საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში;
- ფიზიკური აღზრდის კათედრის მიერ სამედიცინო კონტროლის ორგანიზება;
- ფიზიკური აღზრდის კათედრების მიერ თვითმოქმედ - სპორტული და ფიზკულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარება;
- სტუდენტი-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარებისათვის სპორტული დარბაზებისა და მოედნების მაქსიმალურ გამოყენებაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-განვითარება, უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სპორტული ობიექტების აღდგენა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა;
- სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გარდა, ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტზე სპორტულ მუშაობაზე და სპორტის ცალკეულ სახეობებში სექციური მეცადინეობების ჩატარებაზე ხელმძღვანელობა და სხვ.;
- სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის შედეგები უნდა შეფასდეს მიმდინარე საკონტროლო ვარჯიშების მაჩვენებლების, პროფესიულ-გამოყენებითი ფიზიკური მომზადების მოთხოვნათა შესრულების, ჩათვლითი შეჯიბრებებისა და სამედიცინო კონტროლის მონაცემების მიხედვით;
- სპორტსმენი-სტუდენტები, რომლებიც შედიან ქვეყნის ნაკრებ გუნდებში ან მონაწილეობენ უმაღლესი ლიგის თამაშებში და წვრთნას გადიან შესაბამისი გუნდების მომზადების გეგმით (შედგენილი საქართველოსა და საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდრის გათვალისწინებით), აკადემიური მეცადინეობებისა და სპორტული საქმიანობის ოპტიმალურად ურთიერთშეხამების მიზნით, მათთვის შემოღებული იქნეს უმაღლესი სასწავლებლის პროგრამათა შესრულების ინდივიდუალური გრაფიკები.

ლიტერატურა:

1. ბერიძე ქ., კახაბრიშვილი ზ., სპორტული შრომისუნარიანობის აღდგენის საშუალებები, გამომცემლობა შპს „ფინანსები“, თბილისი, 2013.
2. გობრონიძე ალ., ბიბილეიშვილი ი., უმაღლესი სკოლების პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი, 2001.
3. კათედრა (მუშაობა და უფლება-მოვალეობანი), თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1983.
4. მიქაბერიძე თ., ლომიძე ე., სპორტული ჰიგიენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
5. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ /გამოცემული 2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით/, თბილისი
6. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბილისი, 1996.

7. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები, რედ. გ. კახიძე, პირველი ნაწილი, თბილისი, 2002.
8. ჭავჭავაძე ი., ნაწარმოებების სრული კრებული, ტ. 8, თბილისი, 1928.

Mamia Tughushi
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport
Aleksandre Iashvili
Gori State Teaching University

STUDENT PHYSICAL EDUCATION AND ITS CONCOMITANT PROBLEMS AND SOLUTIONS RESUME

On the background of ongoing social and economical changes in Georgia, it is very important to think about physical strengthen of our students, their physical trainings, healthy mode of life and rich sport potential of the country.

In solving this problem it will be vital to take into consideration some of the most important demands.

1. Only start work with students of university in different kinds of sport activities after their physical examination.
2. the student should be physically examined twice a year, at the beginning and at the end so we can see the changes after physical trainings.
3. the skills that students will gain while trainings should be acceptable and necessary for their future profession.
4. the students with some physical and health problems should be under more control.

მამია ტუღუში, ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სასკოლო ასაკში გამძლეობის განვითარების ამოცანები და საშუალებები

მოზარდი თაობის ჯეროვნად აღზრდა დიდი ეროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჯანსაღი თაობის აღზრდაზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების სწორი გზით განვითარება, მისი კეთილდღეობა, ადამიანთა შორის ჯანსაღი, მაღალშეგნებული, მიზანდასახული, კულტურული ურთიერთდამოკიდებულება, ხალისიანი და სასიამოვნო განცდებით აღსავსე ყოფა-ცხოვრება, ოჯახის ბედნიერება და ღირსება, ერის სილამაზე და მშვენიერება, სახელმწიფოს ძლიერება და სიმტკიცე. საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ფიზიკური აღზრდა ყოველთვის იყო საერთო აღზრდის ორგანული ნაწილი და თავისი ხასიათით მთლიანად ექვემდებარებოდა ადამიანის აღზრდის იმ იდეალებს, რომელიც კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის იყო დამახასიათებელი.

ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემაში სასკოლო ფიზიკურმა აღზრდამ და სპორტმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა ორგანიზმის გამოწრთობას და განვითარებას, ასაკის შესაბამისად სათანადო მოძრაობითი ჩვევების შემუშავებას, ფიზიკური თვისებების განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ფორმირებას განიცდის სხეულის აგებულება და ტანადობა, მტკიცდება ჯანმრთელობა, ყალიბდება სასიცოცხლო უნარ-ჩვევები. ამასთან, მოძრაობითი აქტივობა ორგანიზმის ინტენსიური განვითარების პერიოდში აიოლებს ზოგადდამზრდელი ამოცანების არსებითად გადაჭრას. ფიზიკური გამძლეობა, როგორც ფიზიკური თვისება, ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა მავნე ჩვევების აღმოფხვრისა და ფიზიკური განვითარებისათვის.

სასკოლო ასაკში გამძლეობის განვითარება ფიზიკური აღზრდის მეტად საპასუხისმგებლო რგოლს წარმოადგენს. მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ თავისებურებათა გათვალისწინებას, ფიზიკური განვითარების დონეს და ჯანმრთელობის მდგომარეობას. მოსწავლეები ასაკობრივი განვითარების

სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მორფო-ფუნქციონალური და ფსიქო-ფიზიკური თავისებურებებით. მათი მაჩვენებლები მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მოზარდის გამძლეობით შესაძლებლობებს.

უმცროს სასკოლო ასაკში (დაწყებითი საფეხური - I-VI კლ.) მიმდინარეობს ორგანიზმის სალოკომოციო აპარატის ინტენსიური განვითარება და მოტორული კოორდინაციის სრულყოფა. არსებითი ცვლილებები ხდება ყველა ორგანოსა და ქსოვილში. ჩონჩხის გამძვლიანება ჯერ არ არის დამთავრებული, რის გამოც ამ ასაკის ბავშვები დიდი მოქნილობით გამოირჩევიან. სრულყოფას განიცდის კუნთების აგებულება, იგი უფრო ინტენსიურად ვითარდება, რის გამოც ბავშვებს უფრო მეტად ეხერხებათ ფართო და გაშლილი მოძრაობების შესრულება, ვიდრე მცირე მოძრაობებისა. ისინი ძალიან მოძრავნი არიან, მაგრამ მალე იღლებიან. დაღლა უფრო მატულობს ერთფეროვანი მოძრაობითი მოქმედებების შესრულების დროს. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარება ძირითადად მიმართული უნდა იყოს ისეთი მოძრაობითი თვისებების განვითარებისაკენ, როგორცაა: სიმარჯვე, სისწრაფე და მოქნილობა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადოდ შერჩეული მოძრაობის და სხვა თამაშების და ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებას, რომლებშიც დაკვირვებისა და ყურადღების ელემენტები სჭარბობს.

საშუალო სასკოლო ასაკი (საბაზო საფეხური - VII-IX კლ.) ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პერიოდია. სიცოცხლის არც ერთ პერიოდს არ გააჩნია იმდენი სახელწოდება, რამდენიც ამ პერიოდს. მას უწოდებენ გარდამავალ, მოზარდობის, გარდატეხის, კრიზისულ, ძნელ და კრიტიკულ ასაკსაც. ეს ასაკი ბავშვთა ორგანიზმის მკვეთრი განვითარების პერიოდია. ხდება წონასა და სიმაღლეში მატება, იზრდება კუნთური მასა. იცვლება გარეგნობა, ხმა, სახის გამომეტყველება, მოტორიკა, ხასიათი; ამ ასაკში უნდა მივაღწიოთ სისწრაფისა და კოორდინაციის მაღალ დონეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შემდგომ ამ მოძრაობითი ფუნქციების განვითარება მეტად ძნელი იქნება. მართალია, რომ ფიზიკური განვითარების ძირითადი ამოცანა რჩება იგივე (რაც უმცროს სასკოლო ასაკში იყო), მაგრამ იცვლება ვარჯიშის მეთოდიკა და საშუალებანი, იზრდება პედაგოგიური შემოქმედებისა და ვარჯიშთა ზემოქმედების ინტენსივობა.

გარდამავალ ასაკში ბავშვი მეოცნებე და ჭარბად მგრძნობიარეა. მასში იღვიძებს პირადი „მე“, უჩნდება თავისი პიროვნებისა და შინაგანი სამყაროსადმი ინტერესი, ასევე დიდია ცვლილებები შინაგანი სეკრეციის სისტემაში. ბავშვს ახასიათებს გულჩათხრობილობა, ინდივიდუალიზმი, შინაგან სამყაროში ჩაკეტვა, უჩნდება „დიდობის გრძნობა“, ყოველივე ეს განაპირობებს მოზარდის ორგანიზმის გარდაქმნას. მოზარდებს უვითარდებათ სასწავლო საქმიანობისადმი შეგნებული და გააზრებული დამოკიდებულება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ მოსწავლეებისათვის მისაწვდომი გახადოს სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი შემძლეობა-ჩვევების ჩამოყალიბების აუცილებლობა, მათი მნიშვნელობა, შედარებით რთული მოძრაობითი მოქმედებების დაუფლება და სხვ.

უფროსი სასკოლო ასაკი (საშუალო საფეხური - X-XII კლ.) ანუ ადრეული ჭაბუკობა, ფიზიკური ძალებისა და გონებრივი შესაძლებლობების განვითარების აყვავების პერიოდია. ამ ასაკში კლებულობს ზრდის ტემპი, მატულობს კუნთური ძალა და ფიზიკური ამტანობა, რითაც ბიჭები საგრძნობლად სჭარბობენ გოგონებს. ეს ასაკი ფიზიკური განვითარების შედარებით მშვიდი პერიოდია. მიმდინარეობს ჩონჩხის შემდგომი ფორმირება, მნიშვნელოვნად ფართოვდება მკერდის გარშემოწერილობა, ჭაბუკებს აღენიშნებათ კუნთების ზრდა სიგრძესა და სიგანეში, ვითარდება მყესები, წვრილი კუნთები განიცდის სრულყოფას, რის შედეგადაც უმჯობესდება მოძრაობათა სიზუსტე და კოორდინაცია. ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძალისა და გამძლეობის განვითარებას და ადრე შექმნილი მოძრაობითი შემძლეობა-ჩვევების სრულყოფას, ფიზიკური ვარჯიშების, ჰიგიენური პირობებისა და ბუნებრივი ძალების გამოყენების ჩვევების გამომუშავებას ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის და ა. შ.

უფროსკლასელთა ფიზიკური განვითარება დიდ გავლენას ახდენს მათ ფსიქიკურ სრულყოფასა და პიროვნების ჩამოყალიბებაზე. საკუთარი ფიზიკური ძალისა და გარეგნული მიმზიდველობის გაცნობიერება ხელს უწყობს ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორცაა საკუთარ თავში დარწმუნებულობა, თვითდამკვიდრება და ოპტიმიზმი. გამოხატული ხდება ამა თუ იმ საგნისადმი ინტერესები. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა საჭიროა მოსწავლეებს დამაჯერებლად აუხსნას ფიზიკური ვარჯიშების დიდი მნიშვნელობა და მათი მიზანმიმართული გამოყენება. შეჯიბრებისათვის გუნდის მზადებისას მასწავლებელმა არა მარტო მათი ფიზიკური და სპორტული მომზადებულობა უნდა მიიღოს მხედველობაში, არამედ მან უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაც.

მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა, მოსწავლეთა მიერ სწორი მოძრაობითი მოქმედებების დაუფლება და ფიზიკური თვისებების (ჩვენს შემთხვევაში გამძლეობის) განვითარება-სრულყოფა

ორგანულადაა დაკავშირებული შრომისათვის მომზადებასთან. შრომა, როგორც ადამიანის ქცევის ძირითადი ფორმა და მისი განვითარების მთავარი ფაქტორი, აღზრდის სხვა მხარეებთან ერთად მოითხოვს ფიზიკურ მომზადებასაც. ფიზიკური ვარჯიშების გავლენა და შედეგები, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე თუ, როგორ გადასცემს პედაგოგი მოვარჯიშეს სასწავლო მასალას, როგორ უზრუნველყოფს მიცემული დავალების შესრულებას, როგორ ახდენს დატვირთვის დოზირებას, როგორ და როდის აღმოუჩენს მომეცადინეებს დახმარებას, როგორ გაანალიზებს და შეაფასებს მათ საქმიანობას, როგორ დაიჭერს თავს და სხვ.

ადამიანი ასრულებს უამრავ მოძრაობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გარკვეული თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლებით განსხვავდებიან. შესრულებული მოძრაობები ორგანიზმს თვისობრივად განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს, რომლებიც სხვადასხვა ფიზიკური თვისებების გამოვლენას იწვევენ. ზავშვთა ფიზიკური განვითარების პროცესში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ფიზიკური თვისებების განვითარებას. სწორედ მათ სრულყოფაზეა დამოკიდებული მოძრაობითი მოქმედებების ეფექტურობადა შედეგიანობა, მოძრაობითი ახალი ფორმების და უფლების უნარი და მათი მიზანდასახული გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში.

გამძლეობის, როგორც ფიზიკური თვისების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში უაღრესად დიდია. იგი აუცილებელია იმისათვის, რომ პიროვნებამ შეასრულოს დიდი მოცულობის სამუშაო. გამძლეობა დამოკიდებულია ორგანოებისა და სისტემების მომზადებაზე (განსაკუთრებით ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქ და კუნთოვან აპარატზე), სპორტული ტექნიკის სრულყოფასა და მოძრაობების ეკონომიურად შესრულებაზე. გამძლეობას მეორენაირად ამტანობასაც ეძახიან, მაგრამ რამდენადაც პრაქტიკაში ტერმინი „გამძლეობა“ დამკვიდრდა, ამდენად ჩვენც ამ ტერმინს გამოვიყენებთ. გამძლეობა დაკავშირებულია დაღლასთან, რაც უფრო გვიან ილღება ადამიანი ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისას, იტყვიან, რომ მას კარგი გამძლეობა აქვს და პირიქით, თუ იგი მალე ილღება, ამბობენ გამძლეობა არ ყოფნის.

გამძლეობა ადამიანის მრავალმხრივი განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური უნარების სრულყოფის, ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორია. ამასთან, იგი მოზარდი თაობის შრომითი და საზოგადოებისათვის საჭირო სხვა აუცილებელი საქმიანობისათვის მომზადების, ორგანიზმის პოტენციურ შესაძლებლობათა გაფართოების მნიშვნელოვანი ელემენტია. შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში და მის შედეგად მიღწეული ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების მაღალი დონის და ერთდროულად სასარგებლო უნარ-ჩვევების მდიდარი ფონდის შექმნა მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ცხოვრებისათვის პიროვნების საერთო მომზადებულობას.

ის დიდი შესაძლებლობები, რაც ფიზიკურ აღზრდას (ჩვენს შემთხვევაში გამძლეობას) აქვს აღმზრდელითი ამოცანების გადასაჭრელად, თავისთავად არ რეალიზდება. უფრო მეტიც, გარკვეულ პირობებში შეიძლება პიროვნების ჩამოყალიბებაში საწინააღმდეგო როლიც კი შეასრულოს. ამიტომ ფიზიკური მომზადების პროცესში აუცილებელია გეგმაზომიერად ვიმოქმედოთ გამძლეობის ფაქტორებზე იმ მიმართულებით, რომ ორგანიზმის საერთო შრომისუნარიანობის მაღალიმიტირებელი ფუნქციური შესაძლებლობანი ფართოვდებოდნენ, რითაც უნდა შეიქმნას წინამძღვრები შემოქმედებითი საქმიანობისათვის; სასარგებლო მოცულობის შეჯამებული ზრდისა და „გადატანის“ ეფექტის გამოყენების საფუძველზე ხელი უნდა შევუწყოთ გამძლეობის განვითარებას, რომ იგი აკმაყოფილებდეს პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის საერთო პირობებს და მოთხოვნებს. ორგანიზმი წარმოგვიდგება ერთ მთლიანობაში, მისი რომელიმე ერთი თვისების განვითარება არ შეიძლება წარიმართოს სხვა თვისებების განვითარებისაგან იზოლირებულად. ამასთან, ურთიერთმოქმედება არის როგორც დადებითი (როდესაც ერთი თვისების განვითარება აძლიერებს მეორეს), ასევე უარყოფითი (როდესაც ერთი თვისების პროგრესირება მეორესათვის საზიანოა). მოცემულ კავშირში პრინციპული მნიშვნელობა აქვს ასეთ კანონზომიერებას: ცალკეული ფიზიკური თვისების მაქსიმალური განვითარებისათვის აუცილებელია ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების საერთო დონის ამაღლება. მიუხედავად აღნიშნულისა, გამძლეობას გააჩნია საკუთარი თავისებურებანი. იგი ხელს უნდა უწყობდეს პიროვნების (მოზარდის) ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას და საერთო „მოდრაობით“ განათლებას. ექვს არ იწვევს ისიც, რომ მოზარდის სრულყოფის დონე დამოკიდებულია მის საერთო კულტურის დონის ზრდაზე, მის სულიერ სიმდიდრეზე, ინტელექტუალურ და სხვა უნარიანობის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ პიროვნების ფიზიკური აღზრდის (ჩვენს შემთხვევაში - გამძლეობის) რაციონალურ სისტემაში ორგანულადაა შერწყმული მოსწავლის აღზრდის ყველა მხარე.

გამძლეობას, რომელიც ვლინდება მოძრაობითი მოქმედებების მრავალნაირ რთულ ფორმებში (თანამედროვე კვლევითი მონაცემების მიხედვით), საფუძვლად უდევს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- პიროვნული - ფსიქიკური - რაც გამოიხატება პიროვნულ თვისებებში, კერძოდ - ხასიათის სიმტკიცეში, მოძრაობითი მოქმედების მოტივაციასა და განწყობაში, დაჟინებულობაში, მიზანსწრაფულობასა და ნებისყოფის სიმტკიცეში;
- ბიოენერგეტიკული, რომელიც განისაზღვრება ორგანიზმის ენერგეტიკული რესურსების მოცულობით და მისი სისტემების ფუნქციური შესაძლებლობებით;
- ფუნქციური მდგრადობის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზმის ფუნქციური სისტემების აქტივობის ამა თუ იმ დონეზე შენარჩუნებას მის შინაგან გარემოში მუშაობით გამოწვეულ არახელსაყრელი ძვრების შემთხვევაში;
- ფუნქციური ეკონომიურობის ფაქტორები მოქმედების ტექნიკური გამართულობა და ნიშნავს მუშაობის პროცესში ძალების რაციონალურ განაწილებას და ხელს უწყობს ორგანიზმის ენერგეტიკული რესურსების ეფექტურად გამოყენებას.

გამძლეობის განვითარებისათვის აუცილებელია მეცადინეობის პროცესში მოვარჯიშის გარკვეულ დონემდე დაღლა და მისი დაძლევა. ამ დროს ორგანიზმში ვითარდება ადაპტაციური ძვრები, რომლებიც განაპირობებენ გამძლეობის (უფრო მეტად კი - ზოგადი გამძლეობის) განვითარებას.

ციკლური და სხვა სახეობის ვარჯიშების გამოყენებით გამძლეობის განვითარების დროს დატვირთვა შედარებით უფრო სრულად განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

- მოძრაობითი მოქმედების აბსოლუტური ინტენსივობით;
- ვარჯიშის ხანგრძლივობით;
- დასვენების ინტერვალების ხანგრძლივობით;
- დასვენების ხასიათით (აქტიური ან პასიური დასვენების ფორმები);
- ვარჯიშის განმეორებათა რაოდენობით.

ამ ფაქტორთა ურთიერთშეხამების მიხედვით განსხვავებული იქნება არა მარტო სიდიდე, არამედ ორგანიზმის საპასუხო რეაქციების ხარისხობრივი თავისებურებანიც.

როგორც ცნობილია, გამძლეობა დაკავშირებულია პიროვნების შესაძლებლობების დონესთან. შესაბამისად, გამძლეობის განვითარების უპირველეს ამოცანას ორგანიზმის აერობული შესაძლებლობების გაზრდა წარმოადგენს; მიუხედავად იმისა, რომ იგი აბსოლუტურ მაქსიმუმს მოწიფულობის ასაკში აღწევს, მისი გაზრდისათვის პირობები უნდა შეიქმნას სასკოლო ასაკიდან. ეს მოთხოვნა, როგორც თუ ღრუბელი არ უნდა გვეჩვენებოდეს, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ფიზიკური შრომისუნარიანობის და გამძლეობის განვითარების საერთო დონის ამაღლებისათვის. აერობული შესაძლებლობების განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა: 1. ჟანგბადის მოხმარების მაქსიმალური დონის განვითარება; 2. მიღწეული დონის ხანგრძლივად შენარჩუნება; 3. სუნთქვითი პროცესების გაშლის სიჩქარის გაზრდა მაქსიმალურ სიდიდემდე.

გამძლეობის განვითარებისათვის ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა ისეთმა ვარჯიშებმა, როგორცაა ხანგრძლივი სირბილი (გეზრბენი), თხილამურებით გადაადგილება, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა, ცურვა და ზომიერი და ცვალებადი ინტენსივობის ციკლური ლოკომოციები. ზოგადი, განსაკუთრებით აერობული გამძლეობის განვითარებისათვის, როგორც დამატებითი საშუალება, გამოიყენება ე. წ. სუნთქვითი ვარჯიშები. ხოლო სასწავლო-საწვრთნო პროცესში გამოიყენება ვარჯიშების ზუსტად რეგლამენტირებული მეთოდების ნაირსახეობათა უმეტესობა თამაშობით და შეჯიბრებით მეთოდებთან ერთად. ამ მეთოდების გამოყენების კონკრეტული თავისებურებანი დამოკიდებულია მოვარჯიშეთა მომზადებულობის დონეზე და შესასრულებელი მოძრაობითი მოქმედებების სპეციფიკაზე. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ვარჯიშობის უწყვეტი მეთოდები ზომიერი და ცვალებადი ინტენსივობის დატვირთვებით. პირველ ხანებში დატვირთვის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს რამდენიმე წუთი, მაგრამ არა ნაკლებ 4 – 5 წუთისა, რადგან ამ შემთხვევაში სუნთქვითი პროცესები ვერ ასწრებენ გაძლიერებას. ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების გადიდებასთან ერთად სასურველია გაიზარდოს უწყვეტი ერთჯერადი დატვირთვის ხანგრძლივობა რამდენიმე ათეულ წუთამდე. საქმე იმაშია, რომ ჟანგბადით უზრუნველყოფის სისტემების შეთანხმებულობა და სრულყოფილება მიიღწევა უშუალოდ მუშაობის დროს, რომელიც საჭიროებს გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვითი და სხვა სისტემების დაბალანსებულ მუდმივ, აქტიურ ფუნქციონირებას ჭეშმარიტად მდგრადი მდგომარეობის პირობებში, როდესაც ჟანგბადის მოთხოვნილება მუშაობის პროცესში სრულად კმაყოფილდება. ვარჯიშობის საწყის ეტაპებზე მანძილის სიგრძის განსაზღვრის ერთ-ერთ გამართლებულ ხერხად, აერობული მიმართულების ციკლურ ვარჯიშებში, შეიძლება გამოყენებული იქნას (წინასწარი მომზადების შემდეგ) კუპერის 12 წუთიანი ტესტი, რომლის მიხედვით შემუშავებულია დისტანციის სიგრძის თანდათანობით მატების ნორმატიული ცხრილი.

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- სასკოლო ასაკში გამძლეობის განვითარება ფიზიკური აღზრდის მეტად საპასუხისმგებლო რგოლს წარმოადგენს;
- გამძლეობა მოზარდის მრავალმხრივი განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური უნარების სრულყოფის, ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორია;
- სწავლების პროცესში აუცილებელია გეგმაზომიერად ვიმოქმედოთ გამძლეობის ფაქტორებზე იმ მიმართულებით, რომ ორგანიზმის საერთო შრომისუნარიანობის მალიმიტირებელი ფუნქციური შესაძლებლობანი ფართოვდებოდნენ, რითაც უნდა შეიქმნას წინამძღვრები შემოქმედებითი საქმიანობისათვის;
- გამძლეობის განვითარებისათვის აუცილებელია მეცადინეობის პროცესში მოვარჯიშის გარკვეულ დონემდე დაღლა და მისი დაძლევა;
- გამძლეობა დაკავშირებულია მოსწავლის შესაძლებლობების დონესთან. შესაბამისად, უფროს სასკოლო ასაკში გამძლეობის განვითარების უპირველეს ამოცანას ორგანიზმის აერობული შესაძლებლობების გაზრდა წარმოადგენს;
- გამძლეობის განვითარებისათვის ყველაზე გავრცელებული ვარჯიშებია ხანგრძლივი სირბილი (გეზრბენი), თხილამურებით გადაადგილება, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა, ცურვა და ზომიერი და ცვალებადი ინტენსივობის ციკლური ლოკომოციები;
- გამძლეობის განვითარების საწყის ეტაპებზე მანძილის სიგრძის განსაზღვრის ერთ-ერთ გამართლებულ ხერხად შეიძლება გამოყენებული იქნას კუპერის 12 წუთიანი ტესტი.

ლიტერატურა:

1. გამაჯანსაღებელი სიარული და რბენა, შემდგენელი ვ. ვაშაკიძე, თბილისი, 1987.
2. გიორგაძე ლ., სწავლების მეთოდიკა მძლეოსნობაში, თბილისი, 1962.
3. თელია ზ., მუშაობისუნარიანობის აღდგენის საკითხები სპორტში, თბილისი, 1979.
4. თოფურია თ., სვანიშვილი რ., მოძრაობა, მოძრაობა..., თბილისი, 1985.
5. სპორტის თეორია, რედაქტორი გ. კახიძე, თბილისი, 2007.
6. მატვეცი ლ., სპორტული წვრთნის საფუძვლები, თბილისი, 1987.
7. მაჭარაშვილი დ., ადამიანის ფიზიკური თვისებების (ძალის, გამძლეობის, სისწრაფის, სიმარჯვისა და მოქნილობის) დახასიათება, თბილისი, 1979.
8. მაჭარაშვილი დ., დაღლისა და აღდგენის ფიზიოლოგიური დახასიათება, თბილისი, 1982.
9. მძლეოსნობა, დ. მარკოვისა და ნ. ოზოლინის საერთო რედაქციით (თარგმანი ქართულ ენაზე), თბილისი, 1977.
10. ტულუში მ., მძლეოსნობის რუსულ-ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1988.
11. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, პროფ. ლ. მატვეციისა და პროფ. ა. ნოვიკოვის საერთო რედაქციით, 1 ტ. თბილისი, 1979.
12. ჟვანია დ., რბენა ჯანმრთელობისათვის, თბილისი, 1988.
13. Зациорский В. М., Физические качества спортсменов, Москва, 1970.
14. Маркосян А., Вопросы возрастной физиологии, Москва, 1974.
15. Назаров В., Движения спортсмена, Минск, 1984.
16. Тер-Ованесян А. А., Спорт (обучение, тренировка, воспитание), Москва, 1967.

Mamia Tughushi, Neli Papukashvili

Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

TASKS AND MEANS OF STAMINA IMPROVEMENT IN SCHOOL CHILDREN RESUME

Modern Physical educational system at school should help students' organism to be trained and prepared for sports and gain necessary skills according their age.

To gain the skill of durability is vital for PY at school. For this it's necessary to take into consideration students' anatomical and physical particularities, the level of physical development and health conditions.

Durability, as a physical feature of a person is also very important. It depends on organisms and systems, perfect sports techniques and economical fulfillment of the movements. Durability helps a person to develop in different ways, to perfect his physical and physiological skills, and gaining necessary skills for life.

Running in different tempers, skiing, cycling, rowing, swimming and changeable intension exercises helps to gain the skill of durability in different ages.

In the process of gaining durability strictly regulated varieties of exercises are used along with methods of playing and competitions. At the beginning, to define the starting distance for jogging, 12 minutes aorobical test can be used.

მდინარეების წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი აჭარის არ ტერიტორიაზე

წყლის რესურსების დაბინძურება უდიდეს საფრთხეს უქმნის როგორც ბიომრავალფეროვნებას და ეკოსისტემების მთლიანობას, ასევე ადამიანის ჯანმრთელობას. გარემოში არსებულ მრავალრიცხოვან სახიფათო ნარჩენებს შორის, რომელთა კონცენტრაციები საშიშ ზღვრებს აღწევს, აღსანიშნავია მძიმე და ტოქსიკური მეტალები. მათ ახასიათებთ ბიოაკუმულაციის დიდი უნარი, მცირე კონცენტრაციებზეც კი შეუძლიათ ტოქსიკური ეფექტის გამოწვევა, ბუნებრივი პროცესების ზეგავლენით შესაძლოა გარდაიქმნან უფრო სახიფათო ფორმებად, ახასიათებთ გარემოში მდგრადობა და დესტრუქციული ეფექტი. ბოლო პერიოდში მრეწველობის სხვადასხვა დარგების გაფართოებამ გაზარდა გარემოს დაბინძურების საშიშროება. მზარდმა ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ, ტექნოლოგიური პროცესების ზრდამ, სხვადასხვა მცირე თუ წვრილი საწარმოების მომრავლებამ გაართულა გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური პრობლემების და ბუნება-დამცავი საქმიანობის მნიშვნელობა მუდმივად იზრდება. ადამიანისა და ბუნებრივი ეკოსისტემისათვის სახიფათო ნივთიერებები ხვდება გარემოში და გროვდება მის სხვადასხვა ელემენტებში. წარმოებისა და საწარმო კომპლექსების განვითარებამ გამოიწვია ჩამდინარე წყლების რაოდენობის ზრდა. გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების მოცულობის თითქმის 50% მოდის საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე, 32% - მრეწველობაზე და 12% - სოფლის მეურნეობაზე. გაუწმენდავი ჩამდინარე წყალი აჭუჭყიანებს გარემოს, იცვლება მდინარეების ფიზიკური მახასიათებლები და ქიმიური შედგენილობა, რაც მოითხოვს წყლის გაწმენდის ახალი ტექნოლოგიების შექმნას. ამ პრობლემების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წყალმომარაგების ნორმირებას და წყლის რაციონალურ გამოყენებას, არამედ მოითხოვს გამოყენებული წყლის გაწმენდის ახალი ტექნოლოგიების შექმნას [1].

მძიმე მეტალების შეთვისება ადამიანის ორგანიზმში, ძირითადად, ხდება თავისუფალი იონების სახით; ისინი შეიძლება მიუერთდნენ ფენოლურ ნაერთებს, რაც ხელს უშლის მათ ათვისებას. მძიმე მეტალები ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით შეიძლება მოხვდეს. ბივალენტურ კათიონებს შეუძლიათ სატრანსპორტო ცილების გამოყენება, უჯრედში შესაღწევად. კადმიუმი უჯრედში შედის კალციუმის არხების საშუალებით. წყალში უხსნადი მძიმე მეტალები უჯრედში შეიძლება მოხვდეს ფაგოციტოზის გზით. მძიმე მეტალების ტოქსიკურობა განპირობებულია იმით, რომ, ერთი მხრივ, ისინი ანაცვლებენ ფიზიოლოგიურად აუცილებელი მეტალებს: მაგ. კადმიუმს შეუძლია ჩაანაცვლოს სპილენძი და რკინა ციტოპლაზმასა და მემბრანის პროტეინებში. მეორე მხრივ, თავისუფალი მძიმე მეტალების იონებს შეუძლიათ წარმოქმნან სუპეროქსიდისა და ჰიდროქსიდის რადიკალები, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ ლიპიდების, ნუკლეინის მჟავებისა და ცილების ჟანგვით დაზიანებას. ადამიანის ორგანიზმში არსებობს მათგან ბუნებრივი დაცვის მექანიზმებიც. ღვიძლში მეტალოთიონეინის ექსპრესიის შედეგად, ხდება მათი დაკავშირება იონებთან და ისინი ტრანსპორტირდება თირკმლებში, ექსკრეციისთვის [4,5].

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა აჭარის არ ტერიტორიაზე არსებული მდინარეების წყლის მონიტორინგი. კერძოდ, მდინარეებში: ჭოროხი, კინტიში, ბარცხანა, მეჯინისწყალი, მძიმე მეტალების (ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, ნიკელი, რკინა) შემცველობის დადგენა. კვლევა ჩატარებული იქნა ატომურ-ადსორბციულ აპარატზე, რომელზედაც ვახდენდით ელექტროთერმულ ატომიზაციას გრაფიტულ კიუვეტში.

მძიმე მეტალების განსაზღვრას ვახდენდით შემდეგი მეთოდით: 200 მლ/ლ მდინარის წყალს ვუმატებდით კონცენტრირებულ 2 მლ/ლ HNO₃ ხსნარს. წყალს ვამჟავებდით მანამ, სანამ PH 2-მდე არ დაიწევდა. მომზადებულ წყალხსნარს ვაჩერებდით 2 სთ და შემდგომ ვათავსებდით შემჟავებულ წყალს აპარატში. სულფატებისა და ქლორიდების მოცილების შემდეგ აქტიურდება მძიმე მეტალები. მექანიკური მინარევების მოცილებას ვახდენდით გაფილტვრის სახით. მძიმე მეტალების გამოყოფისათვის დაახლოებით საჭირო იყო 40-50 წთ [2,3].

ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ტყვია ყველაზე დიდი რაოდენობით 0,05 მგ/ლ აღმოჩნდა მდ. მეჯინისწყალში, ხოლო ყველაზე მცირე - 0,001 მგ/ლ აღმოჩნდა მდ. ჭოროხში. ტყვიის შემცველობის ზღვრული დასაშვები კოეფიციენტი (ზდკ) ტოლია 0,01 მგ/ლ. კადმიუმის შემცველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 0,026 მგ/ლ აღმოჩნდა მდ. კინტრიშის წყალში, ხოლო ყველაზე მცირე - 0,0002 მგ/ლ მდ. ბარცხანაში. კადმიუმის შემცველობის ზღვრული დასაშვები კოეფიციენტი (ზდკ) ტოლია 0,003 მგ/ლ. დარიშხანის შემცველობის ერთნაირი მაჩვენებელი 0,001 მგ/ლ დაფიქსირდა მდ. კინტრიშის და ჭოროხის წყალში, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებელი - 0,0007 მგ/ლ მდ. ბარცხანაში. დარიშხანის შემცველობის ზღვრული დასაშვები კოეფიციენტი (ზდკ) ტოლია 0,01 მგ/ლ. ნიკელის შემცველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 0,06 მგ/ლ აღმოჩნდა მდ. ჭოროხში, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებელი - 0,001 მგ/ლ მდ. მეჯინისწყალში. ნიკელის შემცველობის ზღვრული დასაშვები კოეფიციენტი (ზდკ) ტოლია 0,07 მგ/ლ. რკინის შემცველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 0,01 მგ/ლ აღმოჩნდა მდ. კინტრიშის წყალში, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებელი - 0,01 მგ/ლ მდ. ჭოროხში. რკინის შემცველობის ზღვრული დასაშვები კოეფიციენტი (ზდკ) ტოლია 0,3 მგ/ლ (ცხრილი 1).

აჭარის არ ტერიტორიაზე მდინარეების წყალში მძიმე მეტალების მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები

ცხრილი 1.

მაჩვენებლის დახასიათება	მ დ ი ნ ა რ ე				ზდკ მგ/ლ
	ჭოროხი	მეჯინისწყალი	ბარცხანა	კინტრიში	
Pb	0,001	0,05	0,007	0,02	0,01
Cd	-	0,0006	0,0002	0,026	0,003
As	0,001	0,0006	0,0007	0,001	0,01
Ni	0,06	0,001	0,02	0,014	0,07
Fe	0,01	0,03	0,05	0,1	0,3

ჩატარებული კვლევიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აჭარის არ ტერიტორიაზე მდინარეებში: ჭოროხი, მეჯინისწყალი, ბარცხანა და კინტრიში მძიმე მეტალების (ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, ნიკელი, რკინა) შემცველობა აღმოჩნდა ზღვრულად დასაშვები ნორმების ფარგლებში.

ლიტერატურა:

1. მოსახლეობის წყალმომარების ადგილებში ზღვის სანაპირო წყლის დაცვა დაბინძურებისაგან. 2.1.5.002-01.// საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, III, 2001, №90, გვ. 108-114.
2. Межгосударственный стандарт ГОСТ 31870-2012 Определение содержания элементов в питьевой воде методами атомной спектрометрии. Межгосударственный Совет по Стандартизации, Метрологии и Сертификации (МГС). Москва. Стандартиформ 2013 ст. 20
3. John H. Duffus "Heavy metals" a meaningless term? (IUPAC Technical Report)" Pure and Applied Chemistry, 2002, Vol. 74, pp. 793-807.
4. Lars Jarup; Hazards of heavy metal contamination; British medical bulletin (2003) 68 (1): 167- 182.
5. Varsha Mudgal, Nidhi Madaan, Anurag Mudgal, R.B singh and Sanjay Mishra; Effect of toxic metals on human health (2009)

Mariam Tsetskhladze, Nino Lomtadze, Natia Ghachava

Batumi Shota Rustaveli State University; Laboratory Research Center

MONITORING OF THE ECOLOGICAL CONDITION WATER OF RIVERS IN AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA RESUME

Pollution of water resources is endangering as well biodiversity and whole ecosystems, as human health. There are some pollutants in the environment, which concentrations are up to the limit, in particular determination of heavy and toxic metals (plumbum, cadmium, arsenic, nicel, iron). Investigation has been done on Atomic adsorption apparatus, which has been done with electrothermal atomization graphite cuvet.

The result has been shown that most of the metals in the river Mejinistskali was plumbum 0,05 mg/l and minimum quantity was in the river of Chorokhi – 0,001 mg/l. The most of the higher index of cadmium was in the river of Kintrishi – 0,026 mg/l and minimum quantity was in the river of Bartskhana – 0,0002 mg/l. The same index of arsenic was in the rivers of Kintrishi and Chorokhi – 0,001 mg/l, as the minimum index was in the river of Bartskhana – 0,0007 mg/l. The most of the higher index of nicel was in the river of Chorokhi 0,06 mg/l and minimum was in the river of Mejinistskali. The most of the higher index of iron was in the river of Kintrishi – 0,01mg/l and minimum index was in the river of Chorokhi – 0,01mg/l.

At least, the results has been shown that in the rivers of Autonomous Republic of Adjara: Chorokhi, Mejinistskali, Bartskhana and Kintrishi contents heavy metals (plumbum, cadmium, arsenic, nicel, iron) in their limit doses.

გიორგი ჯაბნიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების ეკოლოგიური შეფასებისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის ზოგიერთი საკითხი

საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი წყლით ყველაზე უზრუნველყოფილი ქვეყანაა, აქ 1 კმ² ფართობზე წელიწადში საშუალოდ მოდის 809 ათასი მ³ ადგილობრივი ჩამონადენი. ანალოგიური მონაცემები სომხეთისათვის შეადგენს 218,1 ათას მ³; აზერბაიჯანისათვის 100,5 ათას მ³. მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიიდან შემოდინებული წყლის რაოდენობის გათვალისწინებით 1 კმ²-ზე წელიწადში საქართველოს წყალუზრუნველყოფა შეადგენს 944,48 ათას მ³, აზერბაიჯანისა 337 ათას მ³, ხოლო სომხეთისა 316 ათას მ³.

მიუხედავად საქართველოს ტერიტორიის ასეთი მაღალი წყალუზრუნველყოფისა, წყლის რესურსების დაცვა და მისი რაოდენობის გაზრდა კვლავ ქვეყნის სახალხო სამეურნეო კომპლექსის წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. საქმე ისაა, რომ საქართველოს წყლის რესურსები ქვეყნის ტერიტორიაზე მეტად არათანაბარი განაწილებით ხასიათდება. აღმოსავლეთ საქართველოსათვის ზედაპირული ჩამონადენი წყლის სიდიდე 4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ საქართველოსათვის. ასე მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე მოსული ზედაპირული ჩამონადენის საშუალო წლიური სიდიდე აღმოსავლეთ საქართველოსათვის 4,88 ათას მ³-ია, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის 23,18 ათას მ².

ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული ზედაპირული წყლის რესურსების საშუალო წლიური სიდიდე, განსაზღვრულია, როგორც 75%-იანი უზრუნველყოფის შესაბამისი წლიური ზედაპირული ჩამონადენის ჯამი, სანიტარული წყალგამწვებებისა და წყალსაცავების სასარგებლო მოცულობების გამოკლებით შეადგენდა 40,5 კმ³-ს, საიდანაც აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის 9,6 კმ³, ხოლო დასავლეთ საქართველოზე 30,9 კმ³. 2014 წლის მონაცემებით საქართველოს წყლის ობიექტებიდან აღებული წყლის მოცულობამ შეადგინა 8,3 კმ³, საიდანაც აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა მთლიანად აღებული წყლის მოცულობის 80,7%, ხოლო დასავლეთ საქართველოზე 19,3%. საქართველოში გამოყენებული წყლის მოცულობამ შეადგინა 3,9 კმ³, საიდანაც აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა 3,2 კმ³, ხოლო დასავლეთ საქართველოზე 0,7 კმ³. შესაბამისად, ჯამური წყალგაყვანის მოცულობამ შეადგინა 2,9 კმ³, რომლიდანაც აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის 2,1 კმ³, ხოლო დასავლეთ საქართველოზე 0,8 კმ³.

საქართველოს წყალმომხარების ძირითადი ნაწილი მოდის აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც განლაგებული საწარმოო ობიექტების წყალმომხარება აღემატება დასავლეთ საქართველოს საწარმოების წყალმომხარებას 1,75-ჯერ, საბინაო-კომუნალური ობიექტების წყალმომხარება 1,82-ჯერ, ენერგეტიკული ობიექტების 15,5-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობისა 5,8-ჯერ. როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც განიცდის წყლის ნაკლებობას, განლაგებულია საქართველოს წყლის რესურსების ძირითადი მომხმარებლები.

დღეისათვის აქ თითქმის მთლიანადაა ამოქმედებული არსებული წყლის რესურსები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეგიონისა და მთლიანად საქართველოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ წყლის რესურსების მაქსიმალური და რაციონალურად გამოყენების, მათი რაოდენობის გაზრდისაგან მიმართული ღონისძიებების საფუძველზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ წყლის წლიური გადინება საქართველოდან აზერბაიჯანში შეადგენს 7,9 მილიარდ მ³-ს, ანუ განსახილველ აუზში არსებული წყლის რესურსების 58%-ს. საქართველოს ეკონომიკური აღორძინება მნიშვნელოვან წილად გამოიწვევს წყლის რესურსების გამოყენების გაზრდას. 2010 წლის ეკონომიკური დონის მიღწევის შემთხვევაში წყლის რესურსების პროგნოზული დეფიციტი აღმოსავლეთ საქართველოსათვის შეადგენს 1,2 მილიარდ მ³-ს.

საქართველოს ჯამური წყალმომხარების სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ წყლის ყველაზე მსხვილი მომხმარებელია სოფლის მეურნეობა, რომელიც თავისი საჭიროებისათვის მოიხმარს მთელი გამოყენებული წყლის 60%-მდე. წყლის მნიშვნელოვანი მომხმარებლები არიან აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობა, მრეწველობა და თბოენერგეტიკა.

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, წყალდამზოგავი ტექნოლოგიების არასაკმაოდ გამოყენების გამო, თან ახლდა წყალმომხარების გაზრდა და როგორც ამის უშუალო შედეგი წყლის ობიექტებში ჩადინებული, ერთხელ უკვე გამოყენებული, წყლის მოცულობის ზრდა. აღნიშნულის შედეგად საქართველოს მთელი რიგი მდინარეების გაჭუჭყიანების დონე იმდენად გაიზარდა, რომ წარმოიქმნა მათი ეკოლოგიურად გაწონასწორებული მდგომარეობის რეალური საფრთხე. 80-იანი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იგივე ეკონომიკური დონის მიღწევის შემთხვევაში, არსებული გამწმენდი ნაგებობების ქსელი ვერ დააკმაყოფილებს იმ თანამედროვე მოთხოვნებს, რომლებიც დგას დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე. ასე მაგალითად, მხოლოდ 1988 წელს 627 მლნ მ³ გაჭუჭყიანებული წყლიდან გაწმენდილი იქნა მხოლოდ 309 მლნ მ³ ანუ 49%-ზე ოდნავ მეტი. საქართველოს წყლის აუზის ძირითად გამაჭუჭყიანებლებს წარმოადგენენ საბინაო-კომუნალური ობიექტები, რომლებიდანაც ჩადინება მთელი გაჭუჭყიანებული წყლის 86%. შესაბამისად მრეწველობისათვის ანალოგიური მონაცემი შეადგენს 11,1 %-ს, ხოლო სოფლის მეურნეობისათვის 1,3 %-ს.

წყალმოთხოვნილების მოცულობის მიხედვით, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად აჭარბებს სახალხო მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის დანარჩენ დარგებს.

წყალმოთხოვნილება სოფლის მეურნეობაში მოიცავს პირველ რიგში ირიგაციას, წყალმომარაგებასა და გაწყლოვანებას. გარდა აღნიშნული წყალსარგებლობისა, წყლის რესურსების გამოყენებაში ჩართულია აგრეთვე დაშრობა, დამლაშებული მიწების დრენაჟული (გამორეცხვის შედეგად) ჩამონადენი და სხვა წყალგამყვანი ღონისძიებები, ე.ი. სოფლის მეურნეობის წყალმოთხოვნების მოცულობა განისაზღვრება მოცემულ ქვეყანაში მიწების მელიორაციის განვითარების დონით.

სოფლის წყალმოთხოვნების დაახლოებით 70% სარწყავ წყალზე მოდის. ამიტომ სარწყავი ფართობების რაოდენობის სწორ განსაზღვრაზე ბევრადაა დამოკიდებული მსოფლიო წყალმოთხოვნების განსაზღვრა.

თანამედროვე პირობებში სარწყავი ფართობების 60% თავმოყრილია მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში: ჩინეთში, ინდოეთში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და პაკისტანში.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის საერთო სარწყავი ფართობი შეადგენს 285 მლნ. ჰა-ს, აქედან ინდოეთი – 59 მლნ. ჰა; ჩინეთი – 51 მლნ. ჰა; აშშ - 31 მლნ. ჰა; რუსეთი - 25 მლნ. ჰა.; პაკისტანი – 15 მლნ. ჰა.

ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით საქართველოს ტერიტორია სხვადასხვაგვარია. ამით აიხსნება სოფლის მეურნეობის განსხვავებული ხასიათი და თავისთავად ცხადია, განსხვავებული წყალმოთხოვნილებაც.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. მთებს ტერიტორიის 53,6% უჭირავს, მთისწინებს – 33,4 და ვაკეებს – 13%-ი. ინტენსიური სოფლის მეურნეობის ზონა გავრცელებულია მთელი ტერიტორიის 70%-ზე ძირითადად და 1600-1700 მ. სიმაღლემდე.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა 500-800 მმ-ს შეადგენს. მათი განაწილება სეზონების მიხედვით არახელსაყრელია ივლის-აგვისტოში, როდესაც ყველაზე მეტად საჭიროა მცენარისათვის ნიადაგის ტენი, ადგილი აქვს ნალექების სიმცირეს. ამ თვეების ტემპერატურა 25-40%-ს შეადგენს და ამ მხრივ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მორწყვა აუცილებელ მელიორაციულ ღონისძიებას წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. ლოლობერიძე მ., წყლის ეკოსისტემების დაცვა და რაციონალური გამოყენება. მეცნიერება, თბ., 1992.
2. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრაძეშვილი მ., ბზიავა კ., წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა, სსაუ, თბ., 2012.
3. საქართველოს კანონი წყლის შესახებ, თბ., 1997.
4. გოცირიძე რ., სასმელი წყლის გაუსნებოვნების საყოფაცხოვრებო მიკროფილტრაციული მოწყობილობა. ჟურნ. "ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები", ქუთაისი, 2010.
5. საქართველოს წყლის რესურსების ეკონომიკური შეფასებისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", თბ., 2004.
6. ჯაბნიძე რ., სასოფლო სამეურნეო კულტურების აგროტექნოლოგია, ბათუმი, 2014.
7. Яковлев С., Воронов Ю. В. Водоотведение и очистка сточных вод. Учебник для вузов. Издательство Ассоциации строительных вузов, 2006.

Giorgi Jabnidze

Batumi Shota Rustaveli State University

CERTAIN SUBJECTS OF ECOLOGICAL ASSESSMENT AND EFFICIENT USE OF WATER RESOURCES IN AGRICULTURE RESUME

Analysis of main indices of natural potential and condition of using fresh water resources of Georgia, according to U.N.O. resolutions and international organizations on global problems of preservation and sustainable development of water ecosystems is given in the article. It is noted that Georgia has considerable fresh water resources and it makes possibilities for stable water supply of population and economy inside the country as well as, for high-quality water export.

რეზო ჯაბნიძე

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
ნარგული ასანიძე, სოფო ხუბუნაიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მანდარინის კულტურის თანამედროვე აგროტექნოლოგიები

მანდარინის ბაღების გაშენებისას, ტერიტორიის ორგანიზაციისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს რელიეფს. არჩევენ ვაკე, მცირე დაქანების (0-5⁰) და საშუალო დაქანების (5-20⁰) ფერდობებს, ძლიერ დაქანებული კი 20-30 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ყურადღება უნდა მიექცეს ადგილის შერჩევასა და ნიადაგის რგვისწინა დამუშავებას, რადგანაც, როგორც ვიცით ამ დროს დაშვებული შეცდომები, პლანტაციის გაშენების შემდეგ ძნელად ან საერთოდ არ გამოსწორდება.

აქედან გამომდინარე, ხარისხიან პლანტაჟზე დიდადაა დამოკიდებული მანდარინის ნარგავების სიცოცხლისუნარიანობა და მოსავლიანობა. ეს იმით აიხსნება, რომ უმჯობესდება ნიადაგის სტრუქტურა, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, წყლის გამტარიანობა, აერაციადა ა. შ.

პლანტაჟის დროს ნიადაგის ქვედა ფენა ზევით ბრუნდება და წლის განმავლობაში სითბო-სიცივის, მინერალური და ორგანული ნივთიერებების გავლენით კულტურული ნიადაგის თვისებებს ღებულობს. ქვედა ფენაში მოქცეული ზედა ფენა კი, მცენარეების უკეთ ზრდა-განვითარებას განაპირობებს.

ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მანდარინის დარგვის წინ პარკოსანი კულტურების თესვას. პარკოსან მცენარეებს კულტურულ მდგომარეობაში მოყავს და-

რეცხილი ეწერი და მცირე სისქის ნიადაგები, აუმჯობესებს მათ თვისებებს, ამიტომ, სასურველია ბაღის გაშენებამდე 2-3 წლით ადრე პარკოსანი მცენარეების თესვა და ნიადაგში ჩახვენა.

მანდარინის ჯიშები განსხვავდებიან განვითარების სიძლიერითა და ხანგრძლივობით, ამიტომ ისინი სხვადასხვა კვების არეს მოითხოვენ. მცენარეთა განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საძირეები, ადგილის კლიმატური და ნიადაგური პირობები და სხვა ფაქტორები. აღნიშნულიდან გამომდინარე სუბტროპიკულ ზონაში, სადაც მცენარეები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყინვისაგან არ ზიანდებიან, მეტად გახშირებული ნარგავების გაშენება მიზანშეწონილი არ არის და ამას არც წარმოების მუშაკები უჭერენ მხარს. ამიტომ, რომ აგროწესების განხილვისას მანდარინის კვების არედ მიღებულია 5X2-მ, ე. ი. 1000 ძირი ჰექტარზე.

მანდარინის ნერგებისათვის დასარგავი ორმოების ამოღების ვადები და მათი ზომები დამოკიდებულია ნაკვეთის მომზადების წესზე. მანდარინს რგავენ შემოდგომაზე – ოქტომბერში ან გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებამდე. შემოდგომაზე რგვა კარგ შედეგს იძლევა განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც თბილი და ხანგრძლივი შემოდგომა იცის, რადგან ასეთ ამინდში უკეთ ხდება დაფესვანება და მცენარე ზრდას ადრე გაზაფხულზე იწყებს. გაზაფხულზე დარგული მცენარეები კი, სუბტროპიკული რაიონებისათვის დამახასიათებელი გვალვების მავნე მოქმედებას განიცდიან. შემოდგომაზე რგვის უარყოფითი მხარე ის არის, რომ შესაძლებელია გამოზამთრების პირველსავე წელს მცენარე ყინვამ დააზიანოს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თუ მცენარეები ადრე შემოდგომით გაშენდა, არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა, და მათ დარგვისთანავე შემოეყარა საკმარისი მიწა, დალუპვისაგან დაცული იქნება. ყინვების შემთხვევაში დაზიანდება მიწისზედა ნაწილი, რაც პირველსავე წელს სწრაფად აღდგება.

დარგვამდე 2-3 კვირით ადრე ორმოებს ავსებენ. მანამდე, ამოღებული მიწის ზედა ფენას ურევენ ორგანულ და მინერალურ სასუქებს. მათი დოზები დამოკიდებულია ნიადაგის შედგენილობაზე. თუ სასუქი ნიადაგის დამუშავებამდე არ იყო შეტანილი, დარგვისას შეაქვთ 10-25 კგ-მდე გადამწვარი ნაკელი და 500-800 გ-მდე სუპერფოსფატი, მძიმე თიხნარ ნიადაგებს უმატებენ 30 კგ ქვიშას, მჟავე ნიადაგებზე კი - კირს.

ნერგი არ უნდა დაირგოს ღრმად, ან ზერელედ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის მომავალი განვითარებისათვის. ნარგავის ფესვის ყელი 2-3 სმ-ით მაღლა უნდა იქნეს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მიწის დასკდომის შემდეგ ნერგი ნიადაგში ნორმალურად მოთავსდეს. საჭიროა ახალგაზრდა მცენარე საიმედოდ მივაკრათ ჭიგოს, რადგან აუკვრელი ნერგი ქარის დროს ქანაობს, ფესვები ერყევა და ცუდად ვითარდება.

მანდარინის ნარგავების განვითარების მთელი ციკლი შეიძლება დაიყოს სამ ძირითადად პერიოდად:

პირველი – ახალგაზრდა მცენარეების ფორმირება მსხმოიარობის დაწყებამდე, რომლის განმავლობაში ხეები ძლიერ იზრდება;

მეორე – გაძლიერებული მსხმოიარობა, მცენარის ვეგეტაციურ ზრდასთან ერთად ვითარდება გენერაციული ორგანოები;

მესამე – კლებულობს მცენარეთა ზრდისა და მსხმოიარობის ტემპი, რომელიც საბოლოოდ მათი დალუპვით მთავრდება.

ახალგაზრდა ნარგავების ზრდა-განვითარება, მსხმოიარობა, აგრეთვე ყინვაგამძლეობა დიდადაა დამოკიდებული მწკრივთაშორისებში ნიადაგის მოვლის ხერხებზე. მწკრივთაშორისებში მრავალწლიანი ბალახების თესვა რეკომენდირებულია მანამ, ვიდრე ნარგავები ხუთი წლისა გახდება. ითესება ხის შტამბიდან 75-100 სმ დაშორებით. აღსანიშნავია, რომ წითელმიწა ნიადაგებზე მანდარინის ახალგაზრდა ნარგავების მოვლის ძირითადი ღონისძიებებია:

1. მწკრივთაშორისებში ნიადაგის მოვლის ხერხების დიფერენცირებულად გამოყენება პლანტაციის ადგილმდებარეობის, რელიეფისა და ნიადაგური პირობების გათვალისწინებით;

2. ნიადაგის დამულჩვა ტორფით, მწვანე ორგანული მასით, შავი პოლიეთილენის აფსკით, ტოლით, იზოლათი და სხვა;

3. ფერდობებზე გაშენებულ ახალგაზრდა ბაღებში ნიადაგის ეროზიასთან საბრძოლველად და ნაყოფიერების ასამაღლებლად, მიზანშეწონილია მრავალწლიანი ბალახნარეების, მარცვლოვან-პარკოსანთა თესვა. ამასთან მცენარეებზე ბალახების უარყოფითი გავლენის შესამცირებლად საჭიროა:

4. მსხმოიარე ბაღების ყოველწლიური გადაბარვის უარყოფითი გავლენის გამო მწკრივთაშორისების გადაუბარავად დატოვება, ამასთან გადაბარვის ნაცვლად 5-7 სმ-ის სიღრმეზე ზედაპირული გაფხვიერება;

5. ზედმეტად დასარევიანებულ ბაღებში, მრავალწლიანი ბალახების და სიდერატების ჩაბარვა;

6. დამულჩვისა და ბალახთესლიან სიდერატებზე ან ანეულზე გადასვლისას ნიადაგის დამუშავება ციტრუსოვან მცენარეთა ფესვთა სისტემის განლაგების გათვალისწინებით.

სარეველათა მოსასპობად იყენებენ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას ე. წ. ჰერბიციდებს. ციტრუსოვანთა ნარგავებში სარეველების წინააღმდეგ ბრძოლისათვის უფრო ეფექტურია სიმაზინისა და ატრაზინის ხსნარებით ნიადაგის დამუშავება. ჰექტარზე საჭიროა 4-8 კგ პრეპარატი მოქმედ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით.

კულტურული მცენარეების ნორმალური ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა, როგორც ცნობილია, დიდადაა დამოკიდებული ნიადაგში წყლის რეჟიმზე. წყალი მცენარეს აწოდებს საკვებ ელემენტებს, მის გარეშე წარმოუდგენელია მცენარის სიცოცხლე. ერთეული მშრალი ნივთიერებების შესაქმნელად მცენარე საჭიროებს 220-300 და ზოგჯერ 900 ერთეულ წყალს.

ფერდობებსა და ტერასებზე გაშენებული ნარგავები მეტად განიცდიან ტენის დეფიციტს, რადგანაც მარაგებიან მხოლოდ ატმოსფერული წყლით, ამიტომ ისინი მოკლებული არიან კაპილარულ ქმედებას გრუნტის წყლების დიდ სიღრმეზე არსებობის გამო. შავი ზღვის სანაპირო ზოლში, სადაც ძირითადად გავრცელებულია მანდარინის კულტურა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა საკმარისია და ცალკეული რაიონების მიხედვით წლიურად 1300-2500 მმ-ს აღწევს. მიუხედავად ამისა, ციტრუსოვანი კულტურები მაინც განიცდიან წყლის სიმცირეს წლის ზოგიერთ პერიოდში, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც ადგილი აქვს ყვავილების წარმოქმნას და ნასკვების განვითარებას.

ციტრუსოვნები, განსაკუთრებით კი მანდარინი უხვად მსხმოიარე მცენარეებს მიეკუთვნება. ისინი ერთსა და იმავე ნაკვეთზე დიდხანს იზრდება. ყოველწლიურად მოსავალთან ერთად ნიადაგიდან გამოაქვს საკმარის რაოდენობის საკვები ნივთიერებები და აღარიბებს მას.

მანდარინის ზრდა-განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, აგროტექნიკის ამოცანაა კვების გაძლიერება ზრდის დასაწყისში ვარჯის ფორმირების დასაჩქარებლად. შემდგომში სასუქები, განსაკუთრებით კი აზოტიანი, გამოიყენება ზრდის ტალღების დაწყების წინ.

მანდარინის განოყიერებისა და ნაყოფების დიეტური თვისებების გამო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი კვების საკითხებს. ამიტომ მანდარინის განოყიერებაში ცალკეული საკვები ნივთიერებების როლის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ელემენტის იმ რაოდენობის ცოდნას, რომელიც გამოიტანება ნიადაგიდან მოსავლის სახით. გ. ურუშაძის გამოკვლევებით დადგენილია, რომ ყოველი 50 ტ/ჰა საშუალო მოსავლიანობისას მანდარინის ნაყოფს ნიადაგიდან გამოაქვს: აზოტი – 75, ფოსფორი – 30 და კალიუმი – 125 კგ. მათი ჯამი მნიშვნელოვნად აღემატება ფოსფორის, მაგნიუმის, გოგირდის, რკინის, ბორის, მანგანუმის, სპილენძის და ალუმინის ჯამს. მაშასადამე, ციტრუსების ნაყოფის მიერ ნიადაგის ასეთი გაღარიბება უნდა შეივსოს მათი განოყიერების საფუძველზე.

აზოტის როლი მცენარის ზრდა-განვითარებაში მეტად დიდაა და გადაძწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს განპირობებულია ამ კულტურების აზოტზე დიდი მოთხოვნილებით და წითელმიწა და ეწერ ნიადაგებში აზოტის სიღარიბით. აღნიშნული სასუქის მიმართ მაღალ მოთხოვნას მანდარინის მცენარეები ამჟღავნებენ ყვავილობის დროს, რადგანაც აზოტის ნაკლებობის გარეგნული ნიშნები პირველ რიგში ფოთლების სიყვითლეში ვლინდება, რომლის დროსაც სუსტად ვითარდებიან, აქვთ დაკნინებული შეხედულება, მცირე ზომის, ღია მწვანე შეფერილობის ფოთლები და ტოტები, შემციობილი აქვთ ყვავილებისა და გამონასკვული ნაყოფების რაოდენობა, ასევე მომავალი წლის სანაყოფე კვირტების ჩასახვა.

აზოტით ცალმხრივი ჭარბი კვება იწვევს მათ გაძლიერებულ ზრდას, ფაშარი ქსოვილების მქონე დიდი ზომის ფოთლებისა და მოუმწიფებელ და უნაყოფო, ე. წ. “სანთელა” ყლორტების განვითარებას, რაც მათი ყინვის, დაავადებების, ავადმყოფობების და მავნებელთა მიმართ გამძლეობის შესუსტებას იწვევს, მცირდება ნაყოფმსხმოიარობაც. განვითარებული ნაყოფები ნარინჯისფერის მაგივრად მწვანეა და უხარისხო, მიდრეკილება აქვთ სიდამპლისაკენ.

მანდარინის პლანტაციაში აგროწესების მიხედვით საჭიროა აზოტიანი სასუქების ყოველწლიური შეტანა – მისი ასაკი, მოსავლის დონისა და ნიადაგის განოყიერების გათვალისწინებით. ნეშომპალა-კარბონატულ, ალუვიურ, გაეწრებულ, წითელმიწა, ყომრალ ნიადაგებზე გაშენებულ ბაღებში შეაქვთ: 1-3 წლამდე – 30-40 გ/მცენარეზე; 4-5 წლამდე – 60-80 გ/მცენარეზე; 6-8 წლამდე – 100-150 გ/მცენარეზე; 9 წელზე მეტი – 200-250 გ/მცენარეზე.

ფოსფორი ადიდებას და აჩქარებს მანდარინის მსხმოიარებას, ხელს უწყობს მცენარეში აზოტის შეღწევას და არეგულირებს აზოტურ კვებას, ფოსფორი ხნოვანი ნაწილებიდან ადვილად გადაინაცვლებს ახალგაზრდაში, ამიტომ მასში იგი ყოველთვის მეტია. ფოსფორის სიმცირე აფერხებს მცენარის ზრდა-განვითარებას, ყვავილობასა და ნაყოფმსხმოიარობას. ის ივითარებს მცირე ზომის მუქ-მწვანე ფოთლებს. ამ ელემენტის ძლიერი დეფიციტის პირობებში ყლორტის ქვედა ნაწილში წარმოქმნილი ფოთლები იღებენ ალისფერ შეფერილობას, შემდგომში ქსოვილების კვდომის შედეგად

გად მათზე წარმოიქმნება ყავისფერი ლაქები, რომლებიც თანდათან ერთდებიან, რის გამოც ფოთოლი მთლიანად ხმება და ცვივა.

მეცნიერთა რეკომენდაციით ფოსფორიანი სასუქები საქართველოში შეაქვთ ასეთი წესით: ფოსფორით ძლიერ ღარიბ ნიადაგზე 4 წლის ნორმა ერთხელ, შემდეგ წლებში კი ნიადაგის ფოსფორით უზრუნველყოფის შესაბამისად. ფოსფორიანი სასუქების შეტანის ოპტიმალურ ვადად ითვლება დეკემბერ-მარტი, ნიადაგის დამუშავების წინ. ფოსფორიანი სასუქების გამოყენება ხდება დადგენილი და რეკომენდირებული ინდექსებით 1 -5 წლამდე 150 გ მცენარეზე; 6 და მეტი წლისაზე კი - 300 გრ მცენარეზე.

კალიუმი მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის ნაყოფში და ვეგეტატიურ ორგანოებში. ამ ელემენტის სიმცირის შემთხვევაში მცენარეები ივითარებენ დიდი რაოდენობით წვრილ ფოთლებს, რომლებზეც შეინიშნება კალიუმის სიმცირის სიმპტომი – “კიდების სიღამწვრე”. განვითარებული ნაყოფები წვრილია, თხელი და სრიალა კანით, მუქი ფერის ლაქებით. კალიუმით შიმშილის დროს კიდევ უფრო ძლიერდება ეს სიმპტომები, რის გამოც მინიმუმამდე ეცემა ციტრუსების მოსავალი და უარესდება ნაყოფების ხარისხი.

კალიუმისანი სასუქების შეტანა მანდარინის პლანტაციაში ხდება ნიადაგში გაცვლითი კალიუმის შემცველობის საფუძველზე. თუ მისი რაოდენობა 100 გ ნიადაგში 15 მგ-ზე ნაკლებია, ნიადაგი ღარიბია კალიუმით და საჭიროა მისი შეტანა სრული დოზით. თუ გაცვლითი კალიუმი 15-20 მგ-ის რაოდენობითაა, ასეთი ნიადაგი უზრუნველყოფილია და კალიუმისანი სასუქები არ შეიტანება. დადგენილია, რომ აღნიშნული სასუქების შეტანა წლოვანების მიხედვით დიდ ეფექტს იძლევა: ღარიბ, ალუვიურ, ეწერ და წითელმიწა ნიადაგებზე 1-5 წლამდე შეიტანება 50 კგ, ხუთ წელზე მეტი ხნის ნარგაობაში 100 კგ, მდიდარ კარბონატულ ნიადაგებზე 1-5 წლის ასაკში შეიტანება 60 კგ, ხოლო 5 წლის შემდეგ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ 100 კგ. კალიუმისანი სასუქების შეტანის საუკეთესო ვადად ითვლება დეკემბერი და მარტი, გადაბარვისას ნიადაგში ჩაკეთებით 15-20 სმ-ის სიღრმეზე.

მიკროელემენტების: თუთიისა და მანგანუმის შეტანა უნდა მოხდეს ყოველწლიურად გაზაფხულზე ფოთლებზე შესხურებით, შემდეგი ნარევით: თუთია (500 –1000 მგ/ლიტრ).+მანგანუმი (300–700მგ/ლიტრ), შესაძლებელია მათი ცალ-ცალკე შესხურება.

მჟავიანობა pH. მანდარინი კარგად იზრდება საშუალო მჟავიანობის პერიოდში, როცა pH=5,5–6-ია. მაღალი მჟავიანობის დროს ხდება მოკირიანება დოლომიტის, დეფეკაციური ტალახის ან კირის შეტანით. მათი დოზების განსაზღვრა ხდება ქიმიური ანალიზის საფუძველზე.

მანდარინის მცენარეების განოციერების სისტემაში პირველი ადგილი უკავიათ ორგანულ სასუქებს. ნიადაგში ორგანული ნივთიერებების სიმცირის დროს ადგილი აქვს ყვავილებისა და ნასკვების ინტენსიურ ჩამოცვენას. მანდარინის ნარგაობაში ორგანულ სასუქად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი ყველა ფორმა: ნაკელი, ბიოჰუმუსი, ტორფკომპოსტები, ტორფფეკალური კომპოსტები და სხვა, რომელთა ნორმები ცვალებადობს მცენარის ასაკისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. ნაკელი და ტორფ-კომპოსტი ნიადაგში შეიტანება, მანდარინის რიგთაშორისებში, 1-დან 5 წლამდე - 25; 5-10 წლამდე - 40; ათზე მეტი კი 60 კგ.

ციტრუსოვანთა ბაღების ნაყოფიერების აღდგენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვანე სასუქებს. ახალგაზრდა პლანტაციის დამუშავებულ ზოლში, აგრეთვე მსხმოიარე პლანტაციების მწკრივთაშორისებში, სადაც ნიადაგი დაფარული არაა ხის ვარჯით, საჭიროა შემოდგომა-ზამთრის სიღრმეების თესვა 20 ივლისიდან 15 აგვისტომდე. თუ რაიმე მიზეზის გამო სიღრმეები არ დაითესა, მაშინ 1 აგვისტოდან მწკრივთაშორისებში ტოვებენ ბუნებრივ ბალახს, რომელიც ითიბება 30-40 სმ-ის სიმაღლის მიღწევისას.

მჟავე რეაქციისა და ჩარეცხილ ნიადაგებზე შემოდგომა-ზამთრის სიღრმეებზე გამოიყენება: ყვითელი, ლურჯი და თეთრი ხანჭკოლა, ბარდა და ჩიტფეხა, ხოლო კარბონატული და ტუტე რეაქციის ნიადაგებზე – მუხუდო, ცერცვი, ცერცველა და ცულისპირა.

მწვანე სასუქების თესვა ციტრუსების ბაღში ეკონომიურადაც გამართლებულია, რადგან ისინი ნაკელისა და ტორფკომპოსტების ანალოგიურ ეფექტს იძლევიან. ამასთან, 30-35 ტ/ჰა სიღრმეების მწვანე მასის მისაღებად სულ საჭიროა 150-200 ტონა თესლი და 100 კგ მინერალური სასუქი, რომელთა საერთო ღირებულება ბევრად ნაკლებია, შორი მანძილიდან მოზიდულ ნაკელისა და ტორფკომპოსტების გადაზიდვაზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით.

ეკოლოგიურად სუფთა მანდარინის მოსავლის მისაღებად აუცილებელია მათ განოციერების სისტემაში, მწვანე სასუქებთან ერთად, ჩართული იქნეს ბიოჰუმუსი და ბიოკომპოსტები. ბიოჰუმუსი შეიტანება სამ წელიწადში ერთხელ 15-20 ტ/ჰა-ზე. ის საშუალებას იძლევა მთლიანად გამოირიცხოს მინერალური სასუქების გამოყენება და მხოლოდ რომელიმე საკვები ელემენტის დეფიციტის გამოვლინებისას შეიტანება მათი მინიმუმამდე შემცირებული ნორმები.

მოსავლიანობის დამულჩვით გადიდების ეფექტურ საშუალებას დიდი ხანია იცნობენ სოფლის მეურნეობაში, თუმცა იგი ფართოდ არ გამოიყენება. ამის მიზეზი ისიცაა, რომ კულტურების მიხედვით მულჩის ეფექტურობა ზუსტად დადგენილი არ არის.

მულჩი (mulcha) ინგლისური სიტყვაა და მავნე მეტეოროლოგიური პირობების ზემოქმედებისაგან ნიადაგის დაცვას ნიშნავს. საქართველოში ნიადაგის დამულჩვის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვნის აკად. მ. გოგოლიშვილს, რომელმაც 1961 წელს პირველმა ქართულ ენაზე გამოსცა კაპიტალური ნაშრომი: “დამულჩვის თეორია და პრაქტიკა მევენახეობის ზოგიერთ რაიონში”. სადაც დაამტკიცა, რომ დამულჩვის ეფექტურობა დამოკიდებულია მულჩის სახეობებზე, გამოყენების ხერხებზე, დროზე, კლიმატურ პირობებზე და სხვა ფაქტორებზე.

სუბტროპიკულ რაიონებში, სადაც რთული რელიეფის გამო მანდარინისა და ფორთოხლის ყვავილობის პერიოდში მორწყვა შეუძლებელია, მ. გოგოლიშვილი აუცილებლად მიიჩნევს ნიადაგის დამულჩვას. მან საწარმოო ცდებით დაადგინა, რომ დამულჩვის შემდეგ აღარ არის საჭირო ნიადაგის ოთხჯერადი გათოხნა, ვინაიდან მას უკვე შენარჩუნებული აქვს საკმარისი ტენი და შესაბამისი ტემპერატურა. ამ პირობებში მცენარე გაცილებით მეტ ნასკვს ინარჩუნებს და მოსავლის ნამატი 30%-ს აღწევს. მან დაამტკიცა, რომ დამულჩვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ნიადაგის ჩვეულებრივი მოვლა.

ცნობილია, რომ ზაფხულის გვალვა მანდარინის ნარგაობათა განვითარებას აფერხებს, შემოდგომაზე ტენიანობის მომატება კი აძლიერებს მცენარეთა ზრდას. სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს ციტრუსოვანთა ყინვაგამძლეობის შესუსტების ერთ-ერთ მიზეზს. მცენარეები თბილი შემოდგომის შემდეგ, ზამთარში ზიანდებიან. მაშასადამე, მულჩი არეგულირებს ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობას, ამცირებს მის ამპლიტუდას, ზაფხულში ინახავს ტენს, ნარგავი ზომიერად და რიტმულად ღებულობს წყალს, ნორმალურად ვითარდება. თუ იგი საღი დაძლიერია, არახელსაყრელ პირობებს ადვილად იტანს.

ჩვენში მულჩმასალად გამოიყენება, მწვანე ორგანული მასა, ტორფი, ტოლი, სიდერატები და შავი პოლიეთილენის აფსკი. მ. გოგოლიშვილმა და რ. ჯაბნიძემ (1984) მანდარინის სადედე ბაღების თორმეტწლიან ნარგავებში ნიადაგის თბურ რეჟიმზე შავი პოლიეთილენის აფსკის ზეგავლენის კვლევისას დაადგინეს, რომ აპრილ-მაისში პოლიეთილენის აფსკით დამულჩულ ნიადაგში 5-20 სმ – ის სიღრმეზე ტემპერატურამ 2,8 გრადუსით აიწია.

მანდარინის ვარჯის გასხვლა აუცილებელია. მისი მიზანია სინათლის შეღწევადობის გაზრდა. ხშირი ვარჯი ხელს უშლის საკმარისი რაოდენობის სინათლის მისაწვდომობას თვითნებულ ნაყოფამდე, მავნებლებისა და დაავადებების შემცირებას, რადგან რბილქსოვილიანი მავნებლები მრავლდებიან და ბინადრობენ ხშირ ვარჯში, ისინი კარგად ეგუებიან მაღალ ტენიანობას და ჰაერის მოძრაობის ნაკლებობას. ვარჯის გამოხშირვა მავნებლების რაოდენობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა იმ დონემდე, რომ ნაკლები ან საერთოდ საჭირო აღარ იყოს პესტიციდების გამოყენება. საჭიროა არა პროდუქტიული ტოტების მოცილება, რადგან ისინი გრძელი, მსხვილი, კარგად განვითარებული ტოტებია და შესაბამისად მოიხმარენ დიდი რაოდენობის საკვებს, სამაგიეროდ იძლევიან დაბალი ხარისხის, დიდი ზომის შიგნიდან გამომშრალ ფუყე ნაყოფებს.

მანდარინის გასხვლით უმჯობესდება ნაყოფის ხარისხი ფერისა და გემოს ხარჯზე, იზრდება სტანდარტული ნაყოფების პროცენტული რაოდენობა. მცირდება დანახარჯები მოვლის, შეწამვლის და მოსავლის აღების დროს. ასევე იქმნება დაავადებებისა და მწერების გავრცელების ნაკლები შესაძლებლობა. ხე გაცილებით ჯანსაღია. გასხვლა ტარდება ორი წესით: გამოხშირვით, როცა ტოტებს მთლიანად ამორებენ და დამოკლებით, როცა ტოტებს აცლიან განსაზღვრულ ნაწილს.

მანდარინი უნდა გაისხლას ადრე გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყებამდე, როცა აღარ არის წაყინების საშიშროება. შეიძლება თბილ ზამთარშიც, ამ დროს გასხვლის ოპტიმალური დროს წარმოადგენს თებერვალი და მარტი. წლის განმავლობაში მცენარეს უნდა მოშორდეს ფერშეცვლილი, დაზიანებული, გადახლართული, ქვედა ტოტების დამჩრდილავი, გამხმარი და ქვედა ნაწილში-შტამბზე განვითარებული ტოტები

გაზაფხულის დათბობისაგ უნდა მოიჭრას ცრუფარიანებით დაავადებული ტოტები.

ყინვებით დაზიანების შემთხვევაში მცენარე არ ისხვლება მანამ, სანამ გაზაფხულის ზრდა არ გვიჩვენებს დაზიანების ადგილს. ადრეულმა გასხვლამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მნიშვნელოვანი დაზიანება.

გასხვლა არეგულირებს მეწლეულობას. როგორც წესი უხვი მსხმოიარეობის დროს მცენარეზე ახალგაზრდა ყლორტები არ წარმოიქმნება ან, უმნიშვნელო რაოდენობით ვითარდება, რის გამოც მომდევნო წელს ვდებულობთ მცირე რაოდენობის მოსავალს და ადგილი აქვს დიდი რაოდენობის ნაზრდების წარმოქმნას, მომდევნო წლებში კი უხვმოსავლიანობის საფუძველია. სწორმა გასხვლამ

შესაძლოა 30–35%–ით გაზარდოს მსხმოიარობა და შეამციროს მეწლეულობა, რისთვისაც მანდარინის ხეს უნდა შეუმცირდეს გასული წლის ნაზრდების გარკვეული რაოდენობა, დაბალი მოსავლიანობის წლის შემდეგ. ე.ი მოსალოდნელი მაღალი მოსავლის წლის გაზაფხულზე.

მანდარინის ხე უნდა გაისხლას ფრთხილად, რადგან მას გააჩნია ნაზი კანი. ტოტების მოჭრის დროს სასხლავი მაკრატლის მჭრელი ნაწილი მიმართული უნდა იყოს ხისკენ, რათა არ დაზიანდეს ტოტის ნაწილი

ტოტი უნდა მოიჭრას ტოტის ყელიდან ერთი სანტიმეტრის დაცილებით ისე, რომ არ დაზიანდეს გამსხვილებული ნაწილი ტოტის დასაწყისში. ყელს აქვს უჯრედების ვიწრო სალტე, რომელიც ააქტიურებს გამამკრივებელი ქსოვილების წარმოქმნას ნასხლავის ირგვლივ და აწარმოებს შეხორცებას. ასევე ის წარმოშობს ანტისეპტიკურ ნივთიერებას, რომელიც იცავს ჭრილობას ლპობისაგან. ასეთი წესით გასხვლის დროს მალამოს წასმა ჭრილობაზე საჭირო არ არის.

როდესაც ტოტი აჭრილია ღეროსთან ზედმეტად ახლოს, ის მოიცავს მცენარის ღეროსაც და მოჭრის ადგილზე შემდგომში ჩნდება ფულურო, ხოლო გრძლად მოჭრისას ძნელად ხდება შეხორცება, ლპება და ვრცელდება ღეროსკენ.

მსხვილი ტოტების გასხვლის დროს, ჩამოტყდომები და დარჩენილი ნაწილის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ტარდება სამჯერადი ჭრა:

– პირველი ჭრა – განტოტვის ადგილიდან 25–30 სმ იჭრება ტოტის ქვემოდან 1/3 – 1/2 ნაწილი;

– მეორე ჭრა – პირველი ჭრის ადგილიდან 3–4 სანტიმეტრის დაშორებით ტოტის ზემოდან მოჭრით ტოტის მოცილება.

მცენარის ფორმირება იწყება სანერგედან. ნერგის გადაჭრა ხდება დარგვის დროს. თუ ღერო წვრილი და გრძელია ამ შემთხვევაში გადაჭრა ხელს უწყობს განივი და დაბალი ვარჯის განვითარებას, რომლის მოვლა და მოსავლის აღება უფრო ადვილია. ახალგაზრდა მცენარის სწორად ფორმირებისათვის მიწისკენ მიმართული ტოტები უნდა მოიჭრას, რათა განვითარდეს ზემოთ მიმართული ტოტები. ამისათვის ტოტი უნდა გადაიჭრას იმ ილღის კვირტის შემდეგ, რომელიც ზემოთ არის მიმართული, რაც ხელს შეუწყობს კომპაქტური ვარჯის წარმოქმნას, რომლის ტოტები მიწიდან დაცილებული იქნება 55–75 სმ სიმაღლეზე. სასურველი ფორმის ვარჯის მიღების მიზნით რეგულარულად უნდა ტარდებოდეს არასწორად განვითარებული და ვარჯის გამახშირებელი, ზედმეტი ტოტების მოცილება.

სუბტროპიკული ხეხილოვნებიდან განსაკუთრებით დაბალი ყინვაგამძლეობით გამოირჩევიან ციტრუსები, მათ შორის მანდარინი, მათი ყინვაგამძლეობა არ წარმოადგენს მყარ სიდიდეს, იგი იცვლება სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით. ეს ფაქტორები ან პირობები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს: ბიოლოგიური, ეკოლოგიური და აგროტექნიკური.

ბიოლოგიურ პირობებს მიეკუთვნება მცენარის სახეობრივი და ჯიშობრივი თავისებურებანი: ასაკი, საძირე, ზრდა, გამოწრთობა და სხვა. ეკოლოგიურს მიეკუთვნება: ყინვების სიმკაცრე და ხასიათი, ყინვის წინა და შემდგომი პერიოდის ამინდები, სინათლე, სითბო, ტენიანობა, ქარი, ნიადაგი და სხვა. აგროტექნიკურს მიეკუთვნება: ადგილის შერჩევა და ფართობის ათვისების წესი, ქარსაფარი ზოლების მოწყობა, განლაგება, მოვლითი აგროტექნიკის ხასიათი, დონე და სხვა. მნიშვნელოვანია შემოდგომის პერიოდში ვეგეტაციის ადრე შეწყვეტა და გამოწრთობა.

მცენარეთა ყინვაგამძლეობის ღონისძიებებს – ყინვებისაგან დაცვის ღონისძიებებს ყოფენ ორ ჯგუფად: არაპირდაპირ და პირდაპირ ღონისძიებებად. არაპირდაპირს მიეკუთვნება ყველა ის ღონისძიება, რომლებიც მიმართულია მცენარეთა ყინვაგამძლეობის უნარის გადიდებისაკენ, მაგალითად: კულტურათა სწორი დარაიონება და გაადგილება, გართხმული ფორმის გამოყენება, შემჭიდროებული ნარგაობა, ყინვაგამძლე საძირეზე მყნობა, საშემოდგომო სიდერატების თესვა, დამულჩვა, მორწყვა, ზრდის პროცესების რეგულირება, ნაზარდების წაჩქმეტა, მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა და სხვა.

ყინვებისაგან დაცვის პირდაპირ ღონისძიებებს წარმოადგენს საზამთროდ მიწის შემოყრა, ინდივიდუალური და ჯგუფური შეფუთვა და ღია გათბობა. მიწის შემოყრა შეიძლება ფესვის ყელიდან 30-35 სმ-სიმაღლეზე 10 წლამდე ლიმონსა და ფორთხალზე, ხოლო მანდარინზე 5 წლის ასაკამდე. მიწის შემოყრის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მკაცრი ყინვების დროს შეიძლება დაილუპოს მიწის ზევით დარჩენილი ნაწილი, ხოლო დაუზიანებელი დარჩეს მიწით დაფარული ნაწილი, საიდანაც შესაძლებელია მცენარის სწრაფი აღდგენა.

მიწის შემოყრა წარმოებს ნოემბრის მეორე ნახევარში, არაუგვიანეს 1 დეკემბრისა. ამისათვის მცენარეს უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია 3%-იანი ბორდოს ხსნარით. შემოსაყრელი მიწა უნდა იყოს სუფთა, ზომიერად ტენიანი. მიწის შემოცლა წარმოებს არაუგვიანეს 1 აპრილისა. ნარგავების შეფუთვას ინდივიდუალურად მიმართავენ 3 წლის ასაკამდე. ასევე, გართხმული ფორმის ლიმონს გადახურავენ სამფენა დოლბანდით ან ქსოვილ "ციტრუსით". ამისათვის სპეციალურ თაღებს აკეთებენ.

მანდარინის პლანტაციაში მოსავალსა და რაოდენობას წინასწარ საზღვრავენ. პირველი პროგნოზირება ჯერ კიდევ ყვავილობის პერიოდში ხდება, ხოლო შედარებით უფრო რეალური სურათი ნასკვების ცვენის შემდეგ გამოიხატება. დროული კრეფა საჭიროა, რათა, სუსტ ყინვაგამძლე მცენარეთა სახეობანი უკეთ მომზადებული შეხვდეს ზამთარს და შევძლოთ ყინვებისაგან დაცვის ყველა ღონისძიებების ჩატარება.

მანდარინის კრეფის დროს დაცული უნდა იქნას კრეფის წესები, რათა არ მოხდეს ხარისხიანი ნაყოფის დაზიანება. სარეალიზაციოდ არ უნდა მოიკრიფოს ისეთი ნაყოფი, რომელსაც გააჩნია ვიზუალური დაზიანებები. ნაყოფის ხარისხის განმსაზღვრელია სიმწიფე, შაქრიანობა, წვენის შემცველობა, სიმკვრივე, ნაყოფის ზომა და მუკიანობა. ნაყოფი მოსაკრეფად მზადაა, როცა მისი ზედაპირის 75 % გაყვითლებულია. არ არის მკვრივი, მაგარი, თითის დაჭერით იგრძნობა მცირე სირბილე, კანი ადვილად სცილდება რბილობს.

ნაკვეთში, კრეფის წინ პირველ რიგში უნდა მოშორდეს დაავადებული ნაყოფები, რათა არ მოხდეს სოკოვანი დაავადებების გავრცელება. მიწაზე დავარდნილი ნაყოფი არ უნდა შეერიოს ხეზე მოკრეფილ ნაყოფებს. დაავადებულ ნაყოფზე ხელის შეხების შემდეგ საჭიროა გამოყენებული იქნას ხელსაწმენდი. არ მოხდეს ყუთების გადავსება, რომელიც შემდგომში გამოიწვევს ნაყოფის ჭყლეტას. ყუთში ნაყოფების რიგები უნდა იყოს 3 ან 4. ინახება მხოლოდ მშრალი ნაყოფი. შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა უნდა იყოს 7,2 გრადუსი. ოპტიმალური ტენიანობა 85–90 %. საცავი ხშირად უნდა განიავდეს ჰაერის ნაკადით. არ უნდა მოხდეს ეთილენის დაგროვება საცავში. ნაყოფი ინახება იატაკიდან მაქსიმუმ 20–25 სმ-ის სიმაღლეზე.

მანდარინის ნაყოფი შეიძლება შერჩევით მოიკრიფოს ან მთლიანად კრეფა წარმოებს ნაყოფსაკრეფი სეკატორით და იწყობა სპეციალურ ყუთებში. კრეფა უნდა აწარმოონ მშრალ ამინდში, ფრთხილად, კანის დაზიანების გარეშე. ახარისხებენ ზომების მიხედვით. მანდარინის ნაყოფები ხარისხდება ორ ჯგუფად: სტანდარტულად და არასტანდარტულად. ნაყოფებს, ზომების მიხედვით (დიამეტრი განივკვეთში) აყალიბებენ კატეგორიებად, აწყობენ ფრთხილად, სტანდარტულ ყუთებში.

მანდარინის I კატეგორიას მიაკუთვნებენ 65 მმ და მეტს, ბოლო, მეხუთეს 48 მმ-38 მმ-მდე; დახარისხება ხდება ხელით და დამყალიბებელი მანქანით.

ლიტერატურა:

1. კილასონია გ., სუბტროპიკული მემცენარეობის საფუძვლები. გამომც. „ქუთ,“ 2009.
2. თხელიძე ა., სასუქების გამოყენების სისტემა. თბილისი, 2009.
3. ცანავა ვ., ლომინაძე შ., აზოტოვანი სასუქების გავლენა ციტრუსების პროდუქტიულობასა და აზოტის ბალანსზე. //სუბტროპიკული კულტურები, 2000. 1-2.
4. ჯაბნიძე რ., სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია. ბათუმი, 2003.
5. ჯაბნიძე რ., ჩაი და ციტრუსები. თბილისი, 2004.
6. ჯაბნიძე რ., ციტრუსოვანთა ინტენსიური აგროტექნიკა „ალიონი“, 1999.
7. ჯაბნიძე რ., საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში წლიური ანგარიში. თბილისი, 2015.

Rezo Jabnidge

Georgian Academy of Agricultural Sciences

Narguli Asanidze, Sopo Khukhunaishvili

Batumi Shota Rustaveli State University

MODERN AGRO TECHNOLOGIES OF TANGERINE RESUME

In connection with the high food, medical and big economic importance citrus takes a due place in agriculture of Georgia. Unfortunately, in recent time the branch has undergone notable degradation – is used 20-23% of potential possibilities. The early rehabilitation of citrus growing in Georgia. In article examined pressing questions modern state citrus.

There are present the medical and nourishment worth of fruit of Grapefruit and Pompelmoss; The possibilities of the use of its branches and wood; some agricultural character of diffused introduction implants and local hybrids in the subtropics moisture of Georgia. There is discussed the matters about the modern crises conditions of citrus and some consideration to uproot them.

ბიზნესი და ეკონომიკა Business and Economics

მაია აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ეკონომიკური პროდუქტის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში

საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ ტურისტულ პროდუქტს განმარტავს: „ტურისტული პროდუქტი, ტურისტული მომსახურების პაკეტი (შემდგომში – პაკეტი) - ტურისტული მომსახურების ძირითად ფორმათა (კვება, ღამის თევზა განთავსების სხვადასხვა საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები და ა.შ.) არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომლის ღირებულება შედის ტურისტული საგზურის ფასში“ (საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, 1997).

მოგზაურობის, ტურიზმისა და მასპინძლობის ლექსიკონში (მედლიკის ავტორობით) ტურისტული პროდუქტი ვიწრო გაგებით არის ის, რასაც ტურისტები ყიდულობენ, მაგ., ტრანსპორტით გადაადგილება ან განთავსება, ცალ-ცალკე ან პაკეტის სახით; ხოლო ფართო გაგებით ყველაფერი იმის ნარევი, რასაც ტურისტი აკეთებს და ყველა ის მიმზიდველობა, მოწყობილობა და მომსახურება, რასაც იგი იყენებს მოგზაურობისას. ტურისტის მხრიდან თუ შევხედავთ, მთლიანი ტურისტული პროდუქტი მოიცავს სრულ გამოცდილებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვებიდან იქ დაბრუნებამდე. განსხვავებით თვითმფრინავში ადგილის ან სასტუმროს ოთახისაგან, როგორც ინდივიდუალური პროდუქტისაგან, მთლიანი ტურისტული პროდუქტი არის ზღვის სანაპიროზე დასვენება, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ან მოგზაურობა კონფერენციაზე დასასწრებად და წარმოადგენს კომბინირებულ პროდუქტს (Medlik, 2003).

ფილიპ კოტლერის მიხედვით: ტურისტულ პროდუქტს წარმოადგენს - ნომერი სასტუმროში, დასვენება ჰავაის კუნძულებზე, კარტოფილი «ფრი» მაკდონალდსში, ავტობუსით მოგზაურობა ისტორიულ ადგილებში, ბუნებრივ გარემოში, და ა. შ., კომპლექსური სახით იგი მოიცავს ძირითად პროდუქტს, თანმხლებ პროდუქტს, დამატებით პროდუქტს და პროდუქტს ფართო გაგებით (Котлер, 1998).

ტურისტული პროდუქტი მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ პროდუქტსა და მომსახურებას, არამედ დამატებით დაგეგმვას, განვითარებას, ბრენდის მინიჭებასა და პაკეტის შექმნას (Campbell, 2008).

ტურიზმის ბაზარზე კომერციული საქმიანობის წარმატება პირველ რიგში მიმზიდველი ტურისტული პროდუქტით განისაზღვრება, მაგრამ ტურისტული პროდუქტი ამავე დროს წარმოადგენს რთული სხვადასხვაგვარი ელემენტების ერთობლიობას: ბუნებრივი რესურსები (ჰაერი, წყალი, მზე, ლანდშაფტი და სხვ.), ისტორიული, კულტურული, არქიტექტორული ღირსშესანიშნაობები, რომლებსაც შეუძლიათ მიიზიდონ ტურისტი; მოწყობილობა (ტურისტის განთავსების საშუალებები, რესტორნები, მოწყობილობა დასვენებისათვის, სპორტისათვის და ა.შ.), რომლებიც თავისთავად არ წარმოადგენს მოგზაურობის მოტივაციას, მაგრამ მისი არ არსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება მრავალრიცხოვანი დაბრკოლება შესაძლო მოგზაურობისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხოელი ავტორები (კოტლერი, მედლიკი) განიხილავენ ტურისტული პროდუქტის ოთხ დონეს: ძირითადი პროდუქტი, თანმხლები პროდუქტი, დამატებითი პროდუქტი და პროდუქტი ფართო გაგებით (Котлер, 1998; Medlik, 2003). ტურისტულ პროდუქტს ახასიათებს ოთხი თვისება, რომელიც განასხვავებს მომსახურებას ფიზიკური საქონლისაგან: ხელშეუხებლობა, წარმოების და მოხმარების განუყოფელობა, ცვალებადობა და შენახვის შეუძლებლობა. ამიტომ ტურისტული პროდუქტი პრინციპულად განსხვავდება ჩვეულებრივი პროდუქტისაგან. ტურისტული პროდუქტი ხასიათდება სეზონურობით, გეოგრაფიული დანაწევრებით და ა. შ. (მელაძე, 2008).

მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს ეკოტურისტული პროდუქტი, მისი ფორმირების თავისებურებანი როგორც თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას ტურიზმის ეკოლოგიზაცია წარმოადგენს. ეკოტურიზმი არის გონივრული მოგზაურობა ბუნებრივ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას, ადგილობრივი თემის კეთილდღეობის მდგრადობას, აგრეთვე მოიცავს გარემოს ინტერპრეტაციასა და განათლებას (TIES, 2015). ეკოტურისტები ტურიზმის ბაზრის მზარდი სეგმენტია. ეკოტურიზმი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს შედარებით წყნარი ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მათ შორის - დაცული ტერიტორიებისას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, მიახლოებითი გამოანგარიშებით, საერთაშორისო ტურიზმის 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება. ეკოტურიზმისა და ბუნებრივი მრავალფეროვნების დაცვაზე დაფუძნებული სხვა ტურისტული საქმიანობების ზრდის ტემპიც ყველა სხვა ტურისტულ სეგმენტთან შედარებით მაღალია - დაახლოებით 15% წელიწადში (Cebalos-laskureni, 2000).

რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ეკოლოგიური ტურიზმის ბიზნესის განვითარება? ძირითადი ფაქტორი არის ეკოლოგიური ტურისტული რესურსების არსებობა. აქ უნდა გამოვყოთ რეკრეაციული რესურსები. „რეკრეაციული რესურსები წარმოადგენს ბუნებრივ და ანთროპოგენურ გეოსისტემებს, სხეულებს, ბუნებრივ მოვლენებს, არტეფაქტებს (ხელოვნურად შექმნილი), რომელთაც გააჩნიათ სასარგებლო თვისებები და სამომხმარებლო ღირებულება რეკრეაციული საქმიანობისთვის. შესაძლებელია მათი გამოყენება განსაზღვრული კონტინგენტის ადამიანებისათვის, დასვენებისა და გაჯანსაღების ორგანიზება ფიქსირებულ დროში, ხელთ არსებული ტექნოლოგიებისა და მატერიალური მასალების გამოყენებით“.

ეკოლოგიური რესურსები - ეს არის გარემოს კომპონენტების ბუნებრივი ბალანსი, რომელიც ფორმირდება ადამიანის აქტიური ჩარევის გარეშე. ეკოლოგიური რესურსების მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ბუნების თავისთავადობა. სწორედ იგი იზიდავს ტურისტებს, ქალაქელი ადამიანები მუდმივად გრძნობენ დაბინძურებული ჰაერისა და წყლის, ხმაურისა და სოციალური კონფლიქტების უარყოფით ზემოქმედებას.

ეკოტურიზმის პოპულარობის მიზეზია ისიც, რომ მსოფლიო მდიდარია უძველესი თუ თანამედროვე ძეგლებით, რაც ასე აუცილებელია ტურიზმის განვითარებისათვის და ადამიანის შემეცნებითი ზრდისათვის. ძველი მოგზაურებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ტურისტების მოგზაურობის მიზანს არა მხოლოდ კულტურული ღირსშესანიშნაობების მონახულება წარმოადგენს, არამედ ისინი დიდი ინტერესით ეცნობიან ბუნების სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებს, მაგალითად: განთქმულ ეროვნულ პარკებს, ჩანჩქერებს, მღვიმეებს და სხვას. რაც ტურისტებს კიდევ უფრო უღვიძებს ეკოლოგიური ტურიზმის სურვილს.

საქართველოს ტურისტული რესურსები განსაზღვრავენ ტურიზმის განვითარების სპეციფიკას და გვევლინებიან ტურისტული პროდუქციის წარმოების ბაზისად რეგიონებში საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების დაგეგმვისას. სწორედ, ტურისტულ რესურსების სახესხვაობას წარმოადგენს ეროვნული პარკები და რეზერვაციები, რომლებიც თავისი ბუნებრივი რესურსებით ეკოტურიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენენ.

ტურისტულ პროდუქტის გაანალიზებისას საჭიროა გამოვყოთ ისეთ საკითხები, როგორიცაა: ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, რა სახის ტურები ხორციელდება და როგორია მათზე მოთხოვნა. საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 103 კურორტი, 167 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკი და ა. შ. როგორც ჩანს საქართველოში პერსპექტიული უნდა იყოს ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორიცაა კულტურული, სამკურნალო, საკურორტო და ეკოლოგიური ტურიზმი.

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. მაგრამ, როგორც წესი, მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აკისრიათ - მოსახლეობისთვის სუფთა წყლის და ჰაერის მიწოდება, ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, განათლება, მეცნიერების განვითარება, ქვეყნის პოპულარიზება საერთაშორისო დონეზე და სხვა.

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფემ გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის და საცავად. ხუთასი წლის შემდეგ კი ვახტანგ VI-ს „კანონთა კრებული“ მოიხსენიებს ყორულის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს — იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ეგრეთ წოდებული “ხატის ტყეები”, რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპიურ ნაკრძალებს წარმოადგენდა. პირველი ოფიციალური ნაკრძალი კი უფრო მოგვიანებით, 1912 წელს, კახეთში შეიქმნა და მას ლაგოდეხის ნაკრძალი ეწოდა. მე-20 საუკუნის

განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თანდათან სხვა ნაკრძალები და დაცული ტერიტორიებიც დაფუძნდა. 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა, გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა, მიიღო კანონი “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ”. ეს კანონი ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა. შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN–The World Conservation Union) რეკომენდაციებს ემყარება. დღეისათვის საქართველოში დაცული ტერიტორიების ხუთი კატეგორიაა წარმოდგენილი და მათი საერთო

საერთო ფართობი შეადგენს 520,811 ათას ჰექტარს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 8,6 %-ია (<http://www.apa.gov.ge/>).

საქართველოს ეროვნულ პარკებს გააჩნია ისეთი ღირსშესანიშნაობები, რომლებიც თავისი განუმეორებლობით იპყრობენ ტურისტთა ყურადღებას. ეროვნული პარკების ღირსშესანიშნაობებისა და მიმდებარე ტერიტორიების მომცველი კომპლექსური ტურის შექმნით შეიძლება მოცული იქნას ტურისტული ბაზრის ფართო სეგმენტი. ეკოტურისტული პროდუქტი თავის ფორმირებაში გადის ოთხ თანმიმდევრულ სტადიას: დანერგვა, ზრდის სტადია, სტაბილიზაციის სტადია, სტაგნაციის სტადია. დაცული ტერიტორიების ეკოტურისტულ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი მნიშვნელოვნად კონკურენტუნარიანია.

ეკოტურისტული პროდუქტი შეიძლება იყოს სპეციალიზირებული მომხმარებელთა ვიწრო წრეზე, ანდა ზოგადი გათვლილი მასიურ მომხმარებელზე. ეკოლოგიურ-ტურისტულ პროდუქტის ფორმირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორი გარემოება: „იშვიათობა განაპირობებს ფასს“ და „ბიზნესში ყოველთვის არის ადგილი იმათთვის, ვისაც უნარი აქვს რაიმე გააკეთოს სხვაზე უკეთესად, ან სხვანაირად“. ეკოტურისტული პროდუქტის მომზადებისას უნდა განისაზღვროს ტერიტორიის რა ძირითადი თავისებურებანი და ღირსშესანიშნაობები დააინტერესებს და მიიზიდავს ტურისტებს ყველაზე მეტი ალბათობით (ალხანაშვილი, 2010).

ბოლო წლების ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოს დაცული ტერიტორიებზე ასეთია: 2015 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 518 218 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით 23%-ით არის გაზრდილი. აქედან საქართველოს მოქალაქე ვიზიტორთა წილი 65%, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა წილი 35%-ია. 2016 წელს კი 691594-მდე გაიზარდა, მათ შორის პრომეთეს მღვიმეს სტუმრობდა - 131319 ვიზიტორი; ყაზბეგის ეროვნული პარკს-124761; სათაფლიას-75560; მარტვილის კანიონს - 60251; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკს - 51529; ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებს-4545; მარტვილის ეროვნული პარკს - 32206 და ა. შ. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაზრდილია ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობაც. 2015 წელს შემოსავლების 20%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 1 589 756 ლარი შეადგინა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 24%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 23%-ით. დაცულ ტერიტორიებზე ახალი ტურისტული სერვისები შექმნით, განხორციელებული აქტივობებით, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობით, გაიზარდა დაცული ტერიტორიების ცნობადობა საერთაშორისო დონეზე (<http://www.apa.gov.ge/>)

ქართველი ტუროპერატორები საქართველოში სამოგზაუროდ 14 სხვადასხვა ტურს აწარმოებენ, ე.ი. საქართველოს სამოგზაურო ბაზარი 14 სამოგზაურო ნიშად შეიძლება დაიყოს, თუმცა კვლევა ცხადყოფს რომ ტუროპერატორთა ნაწარმოები პროდუქციის უმეტესობა კულტურულ, საკურორტო, სათავგადასავლო და ეკოტურებზე მოდის. მნიშვნელოვნად გაზრდილია მოთხოვნა ღვინის ტურებზეც. ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2016 წლის ათი თვის ჯამური მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 5,406,188 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8,1%-ით მეტია (www.gnat.ge).

ამრიგად, 1. მაღალი ხარისხის ეკოლოგიური ტურების არსებობა ეკოტურისტულ ბაზარზე საერთაშორისო კონკურენციაში გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა; 2. ხარისხიანი ეკოლოგიური ტურის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი მრავალფეროვანი ინფორმაციაა (რუკები, სქემები, ბროშურები სხვადასხვა ენაზე, ბილიკები ნიშნულებით, სამეთვალყურეო შენობები და ა.შ.) რომელიც მიეწოდება ტურისტს სხვადასხვა ფორმით ეკოტურისტული მოგზაურობის გამარტივების მიზნით; 3. მაღალი ხარისხის ეკოლოგიური ტური გულისხმობს პროფესიონალი კადრების არსებობას პროფესიონალურად მომზადებული თარჯიმნების, მენეჯერების (ეკოლოგიური მენეჯმენტის სპეციალიზაციით), ექსკურსიამძღოლ ეკოლოგების და სხვა სპეციალისტების; 4. გაყიდვამდელი და

გაყიდვის შემდგომი სერვისის მაღალი ხარისხის ეკოლოგიური ტურისტული პროდუქტის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია; 5. ეკოლოგიური ტურის ტურისტების მოთხოვნების შესაბამისობა ასევე გულისხმობს ტურში ისეთი ელემენტების არსებობას, როგორებიცაა ეკოლოგიური განათლება და ეკოტურისტების ჩართულობა; 6. მნიშვნელოვანია, ეკოტურისტული სტრატეგიების დაგეგმვისა და რეალიზაციისას გათვალისწინებული იყოს პრინციპი, რომლის თანახმადაც ეკოლოგიური ტურის ყოველი ელემენტი, დაწყებული განთავსებიდან, დამთავრებული სანახაობებით შეესაბამებოდეს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, რაც ტურის მთლიანი ხარისხის მაჩვენებელია.

ტურისტული ინდუსტრიისათვის ძალიან მისადაგებული გამონათქვამია: არ მოკლა ბატი, რომელიც ოქროს კვერცხებს დებს. ალბათ უპრიანი იქნება ეკოტურიზმის განხილვა ტურიზმის ალტერნატიულ სახეობად. რაც შეეხება ეკოლოგიურ და სოციო-კულტურულ, პასუხისმგებლობისა და მდგრადობის ელემენტებს, ესენი ეკოტურიზმის, როგორც პროდუქტის, მახასიათებლებს წარმოადგენენ. სტილი (1993) ეკოტურიზმს ახასიათებს, როგორც “ისეთ ეკონომიკურ პროცესს, რომელშიაც საერთაშორისო ბაზარზე იყიდება იშვიათი და ლამაზი ეკოსისტემები ტურისტების მოზიდვის მიზნით”. ზოგადად ტერმინები “ეკოტური”, “ეკომოგზაურობა”, “ეკოარდადეგები”, “ეკოთავგადასავლები”, “ეკოკრუიზი” გარემოში განხორციელებად შესაძლებლობებს წარმოადგენენ.

საქართველოსათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, რამდენადაც მისი შესაბამისი სექტორი ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული. ეკოტურიზმის განვითარება არამარტო ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, არამედ ხელს შეუწყობს ბუნებრივი ადგილების მდგრად განვითარებას.

ლიტერატურა:

1. ალხანაშვილი ნ., ეკოლოგიური ტურიზმი, თბ., 2010, გვ. 124
2. მელაძე მ., ტურისტული პროდუქტის მსოფლიო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ჟურნალი „საერთაშორისო ბიზნესი“, 2, 2006.
3. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, თბილისი, 1997 წლის 6 მარტი. N 599 - II ს. თავი 1, მუხლი 2.
4. მეტრეველი მ., გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012, გვ. 57
5. Ceballos Lascurain H., Tourists for conservation, People and the Planet, 1992
6. შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ., ტურიზმის მარკეტინგი, თბ., 2009, გვ. 149
7. Ильина – Туроперейтинг: организация деятельности, изд. «Финансы и статистика», М., 2000.
8. Котлер Ф., Боуен Дж., Меикенз Дж. – Маркетинг гостеприимство туризм, изд. «ЮНИТИ», М., 1998.
9. Dictionary of Travel, Tourism & Hospitality – S. Medlik, Third edition, 2003.
10. Nigel Evans, David Campbell and George Stonehouse – Strategic Management for Travel and Tourism, 2008.

www.apa.gov.ge

<http://ecotourism.ge/>

world-tourism.org

www.gnta.ge

Maia Azmaiparashvili

Gori State Teaching University

FEATURES OF FORMATION OF ECO-TOURISM PRODUCT IN GEORGIA RESUME

An important issue of eco-tourism products, the formation of the characteristic features of both theoretical and practical point of view. Tourist Resources determine the specifics of the development of tourism and tourism are the basis for production in Georgia. National parks have such sights that attract tourists with its uniqueness attention. In recent visitor statistics for the protected areas is as follows: 2015 years of protected areas 518 218 visitors visited the previous year 2014 compared to 23% is increased. From the citizen's share of visitors to 65%, while the share of 35% of visitors to a foreign citizen. Georgia is especially important for the development of eco-tourism as the relevant sector of the market is not yet fully developed. Eco-tourism in the country's economy will not only benefit, but will also contribute to the sustainable development of natural areas.

ორგანიზაციული კულტურა როგორც ადამიანური რესურსების მართვის განუყოფელი ნაწილი

ორგანიზაციული კულტურა ყოველთვის იყო და არის სამეურნეო პრაქტიკის და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური რესურსების მართვის განუყოფელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, მას დღემდე ჩვენი ქვეყნის უმეტეს ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ ექცევა.

უკანასკნელ წლებში ინდუსტრიულად მოწინავე ქვეყნებში ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იაპონურმა გამოცდილებამ, კერძოდ, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების იაპონური კონცეფციის წარმატებამ. მისი საფუძველია საზოგადოების ტრადიციებზე დაყრდნობილი სპეციფიკური ორგანიზაციული კულტურა. ახლა იგი გვევლინება როგორც კონკურენტუნარიანობის და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მძლავრი ფაქტორი. რაც უფრო მაღალია ორგანიზაციული კულტურა, მით უფრო ნაკლებად მოითხოვს ორგანიზაციათა პერსონალი ხელმძღვანელობიდან დირექტივებს, მუშაობის დეტალურ სქემებსა და ინსტრუქციებს. ამასთან ერთად, რაც უფრო მაღალია ორგანიზაციული კულტურა, მით უფრო მაღალია საწარმოთა პრესტიჟი და კონკურენტუნარიანობა.

ორგანიზაციული კულტურა განიხილება როგორც მძლავრი სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ორგანიზაციის ყველა ქვედანაყოფი და მისი თითოეული წევრი მომართოს ძირითად ამოცანებზე. იგი ახდენს თანამშრომელთა ინიციატივის მობილიზებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციისადმი ერთგულებას და აადვილებს ადამიანებს შორის ურთიერთობას.

ორგანიზაციული კულტურის, როგორც შესწავლისა და მართვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:

1. იგი სოციალურია, რამდენადაც მის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენენ ორგანიზაციის მომუშავენი;
2. არეგულირებს კოლექტივის წევრთა ქცევას და ამით ზემოქმედებს თანამშრომელთა შორის ურთიერთობაზე;
3. იქმნება ადამიანების მიერ, ანუ იგი ადამიანური მოქმედებების, აზროვნების და სურვილის შედეგია;
4. მიუხედავად იმისა – შეცნობილია თუ შეუცნობელი, აღიქმება ყველა თანამშრომლის მიერ;
5. ტრადიციის მატარებელია, რამდენადაც გაივლის განვითარების ისტორიულ პროცესებს;
6. შესაძლებელია მისი შეცვლა და ა.შ.

ორგანიზაციული კულტურა ეკონომიკურ ლიტერატურაში მოიხსენიება სხვა ისეთი ტერმინებითაც, როგორცაა: „ორგანიზაციის კულტურა“, „კორპორაციული კულტურა“, „მეწარმეობის კულტურა“ და ა.შ. ჯერჯერობით არაა შემუშავებული „ორგანიზაციული კულტურის“ ცნების ერთიანი განმარტება. მისი განსაზღვრა ძალიან რთულია, რამდენადაც იგი ერთობ მრავალგანზომილებიანია და ხასიათდება არც ისე სწორხაზოვანი კანონზომიერებებით. ბოლო წლებში მისი განმარტების შედარებით უფრო გავრცელებული ვარიანტების განზოგადების საფუძველზე, „ორგანიზაციული კულტურის“ ცნება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ორგანიზაციული კულტურა ორგანიზაციის ფასეულობებისა და ნორმების შემცველი ორგანიზაციის წევრების მიერ გამოსაყენებელი (გამოყენებული) ყველაზე მნიშვნელოვანი და აღიარებული დებულებების ერთობლიობაა, რომელიც ადამიანებს აძლევს მათი ქცევისა და მოქმედების ორიენტირებს.

„ორგანიზაციული კულტურის“ ცნებასთან ახლოსაა ცნება „ორგანიზაციული კლიმატი“. ხშირად მათ ერთმანეთში ურევენ. ჩვენ ვემხრობით მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევარის დენისონის მოსაზრებას, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოცემულ ცნებებს. მისი მოსაზრებით, ორგანიზაციული კულტურა ემყარება ორგანიზაციის წევრებისათვის დამახასიათებელ ფასეულობებს და რწმენას, ხოლო ორგანიზაციული კლიმატი დაკავშირებულია მოცემული ორგანიზაციის წევრების მიერ შეგნებულად აღქმული ირგვლივ მყოფი გარემოს ასპექტებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციული კლიმატი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადამიანების მიერ თავისი ორგანიზაციის კულტურის აღქმა.

ორგანიზაციული კულტურის როლი განსაკუთრებით დიდია ადამიანური რესურსების მართვაში. მიუხედავად ამისა, მოცემული პრობლემის ფართომასშტაბიანი მეცნიერული კვლევა დაიწყო მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აშშ-ში. დღეს ორგანიზაციული კულტურა ითვლება ფირმის კონკურენტუნარიანობის მთავარ ფაქტორად, განსაკუთრებით თუ იგი შესაბამისობაშია ფირმის განვითარების სტრატეგიასთან.

ორგანიზაციული კულტურა ყალიბდება როგორც ორგანიზაციის წევრთა ურთიერთქმედების და ადმინისტრაციის მიზანდასახული საქმიანობის პროცესში, ასევე სოციალური და საქმიანი გარემოცვისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეთნიკური ფაქტორების ზეგავლენით. ორგანიზაციული კულტურის განმსაზღვრელი ფაქტორები და ნორმები ყალიბდება შემდეგი ოთხი გზით:

1. მათ აყალიბებენ მოცემული ორგანიზაციის ლიდერები, რამდენადაც ორგანიზაციის თანამშრომლები, როგორც წესი, თავიანთ მოქმედებებს საფუძვლად უდებენ ლიდერთა მოქმედებებსა და შეხედულებებს. ისინი ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რაა მნიშვნელოვანი ლიდერებისათვის და მას განიხილავენ როგორც თავიანთი ქცევის მოდელს;

2. ორგანიზაციული კულტურა ხშირად მკვიდრდება უკვე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიდან მიღებული გაკვეთილების საფუძველზე (სასურველი და არასასურველი ქცევების შესახებ);

3. ორგანიზაციული კულტურა გამომუშავდება ორგანიზაციის წევრებს შორის საქმიანი სამუშაო ურთიერთობის მოთხოვნილების საფუძველზე;

4. ორგანიზაციული კულტურა იქმნება ორგანიზაციის ირგვლივ მყოფი გარემოს ზეგავლენით.

ცხადია, ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების ოთხივე გზა ურთიერთკავშირშია და ხშირად ისინი ერთდროულად მოქმედებენ. ორგანიზაციული კულტურა ხასიათდება რთული სტრუქტურით – ჯერ ერთი, იგი იერარქიულია და აქვს სამი დონე: ზედაპირული, შუალედური და სიღრმისეული. ზედაპირულ დონეში იგულისხმება ადამიანების ქცევის წესები და ნორმები, აგრეთვე, საგნობრივი ატრიბუტები – ემბლემები, დიზაინი, საურთიერთობო ენა, ლოზუნგები და სხვა. შუალედურია უკვე დაფუძნებული ფასეულობები და რწმენა, ხოლო სიღრმისეული დონეა მისი (ორგანიზაციული კულტურის) ფილოსოფია. მეორე, ორგანიზაციული კულტურა შედგება შეფარდებითად დამოუკიდებელი სუბკულტურებისაგან: საქმიანობის ცალკეული სფეროების (წარმოების, გასაღების და სხვ.); საქმიანობის სახეობის (მართვის, შრომის და სხვ.); მატერიალურ-საგნობრივი ფაქტორების (წარმოების პირობების და სხვ.); პიროვნებათაშორისი ურთიერთობების; სოციალური ჯგუფების (მმართველების, სპეციალისტების, მუშების) და ა.შ. მიხედვით.

სუბკულტურები აკონკრეტებს და ავითარებს საერთო ორგანიზაციულ კულტურას. ისინი, როგორც წესი, ერთმანეთთან თანაარსებობენ, ხოლო ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ზომიერების ფარგლებში, ასეთი წინააღმდეგობა დასაშვებია. უფრო მეტიც, იგი ორგანიზაციული კულტურის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორიცაა. მთავარია ამ წინააღმდეგობამ არ მიიღოს ანტაგონისტური ხასიათი. ამიტომ, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა გამოიჩინონ (ზომიერების ფარგლებში) მომთმენიანობა სუბკულტურისადმი და წახალისონ ისინი.

გამოყოფენ ორგანიზაციული კულტურის ორ ასპექტს: ობიექტურსა და სუბიექტურს. ობიექტური ასპექტი, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ორგანიზაციაში არსებულ ფიზიკურ გარემოცვასთან (შენობა, მისი დიზაინი, ადგილმდებარეობა, მოწყობილობა, ავეჯი, ფერი, სივრცის მოცულობა და სხვა). სუბიექტური ასპექტები გამომდინარეობს მომუშავეთა მიერ გაზიარებული წესებისაგან, ვარაუდებისაგან, რწმენისაგან, მოლოდინისაგან. იგი დამოკიდებულია, აგრეთვე, პიროვნების გარეთ მყოფი ფასეულობების, ქცევის ნორმებისა და როლების ჯგუფურ აღქმაზე. მთავარი სუბიექტური ელემენტებია ფასეულობები და ქცევის ნორმები. მასში შედის, აგრეთვე, სიმბოლიკის, განსაკუთრებით „სულიერი ნაწილის“ რიგი ისეთი ელემენტები, როგორცაა: ორგანიზაციის წეს-ჩვეულებანი, რიტუალები, ლეგენდები და მითები, ლოზუნგები, მენტალიტეტი და სხვა.

ორგანიზაციაზე ზემოქმედების მიხედვით, სავსებით სამართლიანად გამოყოფს ორგანიზაციული კულტურის შემდეგ ტიპებს; უცილობელი (უვალო), ძლიერი და სუსტი. უცილობელია ორგანიზაციული კულტურა, როცა მისი საერთო ნორმების განუხრელად შემსრულებლები, აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, იშვიათად ახდენენ მასში კორექტივებს. ასეთი კულტურა დახურულია. იგი არ უშვებს მასზე სპონტანურ ზეგავლენას როგორც გარედან, ასევე შიგნიდან, ნიღბავს ნაკლოვანებებს და ქმნის ერთიანობისა და კეთილდღეობის მოჩვენებით შთაბეჭდილებას. მართალია, იგი ფორმალურად აერთიანებს პერსონალს, მაგრამ ერთდროულად თრგუნავს მას და, ამდენად, არაა საზოგადოებრივი პროგრესის ფაქტორი. ძლიერი ორგანიზაციული კულტურა მოიცავს ნორმებისა და ფასეულობების სიმრავლეს, გახსნილია ნებისმიერი გავლენისათვის, აქტიურად ითვისებს ყველა საუკეთესოს, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, უშვებს დიალოგს ორგანიზაციის წევრებს შორის და უცხო პირებთანაც

კი. სუსტი ორგანიზაციული კულტურა პრაქტიკულად არ მოიცავს ზოგად ფასეულობებს და ნორმებს. ასეთი კულტურა ყოფს ადამიანებს, აპირისპირებს მათ ერთმანეთთან და ართულებს მართვის პროცესს. გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვადასხვა ნიშნით გამოიყოფა ორგანიზაციული კულტურის სხვა ისეთი ტიპებიც, როგორიცაა; ძალაუფლებაზე ორიენტირებული კულტურა, პიროვნებაზე ორიენტირებული კულტურა, ამოცანაზე ორიენტირებული კულტურა, კვლევითი კულტურა, ბიუროკრატიული კულტურა, სამეურნეო კულტურა, სამრეწველო კულტურა, სტაბილური კულტურა, კლანური კულტურა, ვაჭრობის კულტურა და ა. შ.

ფასეულობანი, როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზაციული კულტურის მთავარი შინაგანი საფუძველია. მასში იგულისხმება, თუ რაა საუკეთესო ან ცუდი მოცემული ორგანიზაციისათვის და საითკენ უნდა მიისწრაფოდეს იგი. ორგანიზაციულ კულტურაში ღრმად დამკვიდრებული და ხელმძღვანელობის ქცევით განმტკიცებული ფასეულობები სერიოზულ გავლენას ახდენს ადამიანებზე.

ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა;

ა) ფასეულობა, როგორც საზოგადოებრივი იდეალი, მაგალითად, სამართლიანობა;

ბ) პიროვნების საბოლოო მიზნის ამსახველი პირადი ფასეულობა, მაგალითად, გამდიდრების სურვილი;

გ) ინსტრუმენტალური ფასეულობა (მიზნის მიღწევის მთავარი საშუალება), მაგალითად, ინიციატივიანობა, ცოდნის ამაღლება და ა.შ.

რაც შეეხება ორგანიზაციული კულტურის ფილოსოფიას, ესაა ორგანიზაციის საკვანძო ფასეულობითი სისტემა. იგი განსაზღვრავს ხელმძღვანელობის სტილს, იძლევა ფუნქციონირებისა და განვითარების მთავარ მიმართულებას, ადამიანთა მოტივაციის საფუძვლებს, კონფლიქტების გადაწყვეტის წესს, პერსონალის ქცევის წესს და ა.შ.

ქცევის ნორმები ადამიანთა მოქმედებების დაუწერელი წესებია. მათი დახმარებით განსაზღვრავენ ადამიანები, ამა თუ იმ ვითარებაში, რა და როგორ გააკეთონ, როგორ ილაპარაკონ, როგორ მოიქცენ, როგორი ტანსაცმელი ჩაიცვან და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ქცევის ნორმების ჩამოყალიბება არასოდეს არ ხდება წერილობითი სახით. ის გადაეცემა პიროვნებიდან პიროვნებას ქცევის საშუალებით. მისი განმტკიცება კი ხდება ადამიანების რეაქციით მათ დარღვევაზე. ნორმები ვრცელდება ქცევის ისეთ ასპექტზე როგორიცაა;

1. როგორ ექცვიან მენეჯერები თავისი გუნდის წევრებს (ხელმძღვანელობის სტილი) და ეს უკანასკნელნი როგორ ექცვიან თავის მენეჯერებს;

2. მუშაობის გაბატონებული ეთიკა („გულმოდგინედ მუშაობა“, „წესიერი ქცევა“, „სამუშაოზე ადრე მისვლა“, „სამუშაოდან ადრე წასვლა“ და ა.შ.);

3. ამბიციაცია;

4. დამოკიდებულება ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებისადმი;

5. დამოკიდებულება ხელისუფლებისა და პოლიტიკისადმი;

6. ლოიალურობა;

7. ოფიციალურობა და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებში ორგანიზაციული კულტურა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, რომელიც განპირობებულია ისტორიული, ეთიკური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებით გამოწვეული ეროვნული კულტურების უნიკალურობით. ეროვნული ორგანიზაციული კულტურები განსხვავებულია იმდენად, რამდენადაც განსხვავებულია მათი ფუძემდებლური ფასეულობები: ოჯახის, ხელისუფლების, დამქირავებლისა და კანონისადმი პატივისცემა, რწმენა ბიზნესში და დასაქმების სტაბილურობა, შრომის ანაზღაურების დონე, პიროვნების ცოდნისა და პროფესიონალიზმის პატივისცემა და სხვა. შესაბამისად, ორგანიზაციული კულტურის ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია: მკაცრი პრაგმატიზმი, ორიენტაცია ფულზე, ინდივიდუალიზმი, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, პატრიოტიზმი და ა.შ. ზოგადად, დასავლური კულტურისათვის დამახასიათებელია: ინიციატივიანობა, ფხიანობა, მეცნიერულობა და რაციონალურობა, დემოკრატიულობა, ინდივიდუალიზმი, შემოქმედებითობა, თვითგანვითარება და სხვა.

აღმოსავლური ორგანიზაციული კულტურის მთავარი მახასიათებლებია: მორჩილება ხელისუფლებისადმი, ავტორიტარიზმი, ეროვნული და ეთნიკური ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენა, საზოგადოების ელიტისა და მასას შორის დიდი დაშორება და ა.შ. ორგანიზაციული კულტურის ჩინური მოდელის თავისებურებებია: მორჩილება, მომთმენიანობა და შეუპოვრობა, მოტყუებისადმი შემწყნარებლობა, ხარისხისადმი უყურადღებობა, ხუმრობისა და იუმორისადმი მაღალი მგრძობიანობა, კლანურობა და სხვა. ისლამური ქვეყნების კულტურული სტერეოტიპი გულისხმობს: აუჩქარებლობის, მეგობრობისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნას; ორიენტაციას სამუშაოზე და არა მის შედეგზე;

კონფრონტაციისაგან და სხვების კრიტიკისაგან თავის შეკავებას; ფარულად ძალის გამოყენებისადმი პატივისცემას; სიამაყესა და ამაღლებულ ემოციონალურობას და ა.შ. იაპონური კულტურული სტერეოტიპებისათვის დამახასიათებელია უსაზღვრო შრომისმოყვარეობა და მოთმინება; სილამაზისა და სრულყოფისადმი მისწრაფება; პატივისცემა ტრადიციებისადმი და, ამასთან ერთად, მისწრაფება სხვებისგან საუკეთესო სიახლის გადმოტანისადმი; კოლექტივიზმი და პატიოსნება; თავაზიანობა და აკურატულობა და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ხდება დასავლეთის და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის კულტურის ექსპანსია სხვა ქვეყნებში, რომლის ნიადაგზეც ადგილი აქვს კულტურათა დაახლოებას, მათში ბევრი საერთო ელემენტის გამოჩენას, რაც, თავისთავად, უთუოდ პროგრესული მოვლენაა. თუმცა, აქ აუცილებელია გარკვეული სიფრთხილის გამოჩენა, რომ ამ მოვლენამ არ დააზარალოს ეროვნულ კულტურათა საუკეთესო და უნიკალური ტრადიციები.

ორგანიზაციული კულტურა ექვემდებარება შეფასებას, კონტროლსა და მართვას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ორგანიზაციული კულტურის შეფასება შეიძლება მხოლოდ მისი რეალური გარემოს გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ ორგანიზაციულმა კულტურამ, რომელიც პროგრესულია ერთ მდგომარეობაში ან დროის გარკვეულ პერიოდში, შეიძლება არ იმუშაოს (ივარგოს) სხვა პირობებში ან სხვა დროში. რამდენადაც კულტურა ვითარდება და სხვადასხვა ორგანიზაციაში წარმოჩინდება განსხვავებულად, არ შეიძლება ითქვას, რომ ერთი კულტურა უკეთესია მეორეზე. შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ განსაზღვრული ასპექტებით ისინი სხვადასხვაგვარია. ამდენად, არ არსებობს იდეალური კულტურები. შეიძლება იყოს მხოლოდ მოცემული სიტუაციის შესაბამისი კულტურა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს კულტურის მართვის უნივერსალური რეცეპტი.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია იდეალური კულტურის რაიმე დადგენილებით დამკვიდრება, წარმატებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ კონკრეტულ გარემოებათა ზემოქმედებით ორგანიზაციული კულტურა შეიძლება შეიცვალოს. ცხადია, თუ საწარმოში არსებობს ორგანიზაციის მისიის შესაბამისი კულტურა, საჭიროა ზომების მიღება მის შესანარჩუნებლად, ხოლო თუ იგი არ შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებს, აუცილებელია მუშაობა მის შესაცვლელად.

ორგანიზაციული კულტურის ცვლილებაზე ზემოქმედება შეიძლება შემდეგი ღონისძიებებით: ცვლილებები მართვის სტილსა და მომუშავეთა სწავლების პროგრამებში, თანამშრომელთა სტიმულირების სრულყოფა, პროგრესული ცვლილებები საკადრო პოლიტიკაში, მომუშავეთა შერჩევა-მიღებისას, დაწინაურებებისა და დავალების მიცემისას კრიტერიუმების დახვეწა და ა.შ.

ორგანიზაციული კულტურის შეცვლაზე მუშაობა, ჩვეულებრივ, იწყება არსებულის ანალიზით. შემდეგ, ამ უკანასკნელის საფუძველზე, ვლინდება როგორი კულტურის დამკვიდრება საჭირო და ადამიანთა ის ქცევები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურველი კულტურის დამკვიდრებას. ორგანიზაციული კულტურის ცვლილების პროგრამები შეიძლება ემყარებოდეს კულტურის ისეთ ცალკეულ ასპექტებს, როგორცაა: მუშაობის მაჩვენებლები, ერთგულება, მუშაობის ხარისხი, კლიენტების მომსახურება, გუნდში მუშაობა და სხვა.

ორგანიზაციულ კულტურაზე გავლენის მოხდენა შეიძლება:

1. თვით ადამიანთა შეცვლით, რაც მიიღწევა აღზრდისა და პროპაგანდის გზით, სიმბოლიკის, რიტუალებისა და სხვათა გამოყენებით;

2. სხვადასხვა წამახალისებელი ინსტრუმენტის გამოყენებით, ზოგჯერ ზეწოლითაც კი;

3. შესაბამისი კულტურის მქონე ადამიანების შერჩევით;

4. თანამდებობრივი სტრუქტურის, მომუშავეთა შრომითი და სოციალური როლის შეცვლით და ა.შ.

ამრიგად, ორგანიზაციული კულტურა ადამიანური რესურსების მართვის ისეთი განუყოფელი ნაწილია, რომლის სრულყოფაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანთა ჰარმონიული (ფიზიკური და სულიერი) განვითარება და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, რაც მიუთითებს აღნიშნული პრობლემის მეცნიერული კვლევის აუცილებლობაზე.

ლიტერატურა:

1. Кибанов А. Я. и др. Управление персоналом организации, М., 2001, с. 514- 527;
2. Веснин В.Р. Управление персоналом, М., 2008, с. 493-513.
3. Майкл Армстронг, Практика управления человеческими ресурсами, 8-е издание, 2004.
4. Веснин В.Р. Управление персоналом, М., 2008, с. 497.

Khatuna Bebnadze
Gori State Teaching University
ORGANIZACIONAL CULTURE AS INDIVISIBLE PART OF HUMAN RESOURCES
RESUME

In This article the essence, importance and basic features of organizational Culture on the contemporary stage of economic development of the society is observed. The special attention is focused on explanation of the regulations of its formation and to the questions of rather complicated structure. In the article it is considered independent subcultures which in the constituent part of organizational culture, which develops and concertizes common organizational culture and as a rule, they cooperate to each other, but sometimes they contradict to each other. at the same time there is critically considered aspects and types of organizational culture. In this article great attention is paid to important issues of improvement of organizational culture, its characteristics and analysis in the enterprises of our country.

ლია ბიბილაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სოფო ზლოიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ორგანიზაციების ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია სტრატეგიულ მენეჯმენტზე. სტრატეგია არის განსაზღვრული წესებისა და ქმედების ერთობლიობა, რომლითაც ხელმძღვანელობს ორგანიზაცია მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას და რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის მიზნების განხორციელება. ამასთან ერთად, სტრატეგია განიხილება, როგორც საერთო კომპლექსური გეგმა, რომელიც განკუთვნილია იმისთვის, რომ განხორციელდეს ორგანიზაციის მისია და მიღწეულ იქნას ეკონომიკური მიზნები.

სტრატეგიული მენეჯმენტი გულისხმობს, რომ ორგანიზაციაში არსებობს ზუსტად ორგანიზებული კომპლექსური სტრატეგიული დაგეგმვა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და აგებულია ისე, რომ უზრუნველყოს გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. სტრატეგიული მენეჯმენტი განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციის მართვა, რომელიც ემყარება ადამიანურ რესურსებს - ორგანიზაციის საფუძველი, რომელიც ორიენტაციას აძლევს ბიზნესს მომხმარებელთა გადახდისუნარიან მოთხოვნილებებზე, ახორციელებს მოქნილ რეაგირებას და ცვლილებებს ორგანიზაციაში გარე გარემოსთან ადაპტირებით, რაც ერთობლიობაში ხელს უწყობს კონკურენტულ უპირატესობათა მოპოვებას და ორგანიზაციის მიზნების მიღწევას გრძელვადიან პერსპექტივაში.

სტრატეგიული მენეჯმენტი მოიცავს ოთხ ძირითად ფუნქციას:

1. **რესურსების განაწილება:** მოხდეს არსებული ფონდების და მაღალ კვალიფიცირებულ კადრების სათანადო განაწილება.
2. **გარეშე ფაქტორებთან ადაპტაცია:** ქმედების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციას საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობაში.
3. **ორგანიზაციის განყოფილებათა კოორდინაცია:** ეს გულისხმობს ორგანიზაციის შიდა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, რათა მოხდეს სამსახურების ეფექტური კოორდინაცია.
4. **ორგანიზაციული სტრატეგიის გაანალიზება:** იგულისხმება წარსული სტრატეგიული გადაწყვეტილებების გაანალიზება, რომლის საშუალებითაც შეიძლება მომავალი გეგმების განსაზღვრა.

სტრატეგიული მენეჯმენტი მოიცავს:

- ორგანიზაციის ძირითადი სამოქმედო მიზნის განსაზღვრას;

- ორგანიზაციის გარე გარემოს ანალიზს;
- ორგანიზაციის შიდა გარემოს ანალიზს;
- ორგანიზაციის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების ანალიზს;
- ორგანიზაციის სტრუქტურების დაგეგმვას;
- მართვის სისტემებისა და ინტეგრირების ხარისხის შერჩევას;
- კომპლექსურ მართვას: „სტრატეგია-სტრუქტურა-კონტროლი“;
- ორგანიზაციის პოლიტიკისა და ქცევის ნორმების შემუშავებას;
- ორგანიზაციის სტრატეგიისა და შედეგების უკუკავშირის უზრუნველყოფას;
- ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის, სტრუქტურების და მართვის სისტემების მუდმივი გაუმჯობესებას.

დღეს, მუდმივად ცვალებად და სწრაფად მზარდ ბაზარზე რომ შეინარჩუნო კონკურენტუნარიანობა, კომპანიამ უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება სტრატეგიის შემმუშავებელ მენეჯერებთან. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ორგანიზაციის მომავალ სტრატეგიულ განვითარებაზე, განსხვავებით, ფუნქციონალური მენეჯერებისგან, რომელთა პასუხისმგებლობაში შედის ბიზნესის ცალკეული სფეროების (წარმოება, ლოჯისტიკა, ვაჭრობა, მომსახურება) განვითარება.

მენეჯერები, რომლებიც მუშაობენ სტრატეგიულ განვითარებაზე, უნდა ფლობდნენ შემდეგ თვისებებს:

- უნდა იყვნენ კარგად ინფორმირებულნი;
- ფლობდნენ სტრესის და დროის მენეჯმენტს;
- შეეძლოთ კონფლიქტების ეფექტური მოგვარება;
- შეეძლოთ სხვების იდეების მოსმენა და გაზიარება.

სტრატეგიული მენეჯმენტი კონკურენტულ ბრძოლაში წარმატებული ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობაა. თუმცა ხშირად ვხვდებით ორგანიზაციათა მოქმედებებში არასტრატეგიულობას, რაც ხშირად იწვევს მათ წარუმატებელ ფუნქციონირებას. არასტრატეგიულობა ვლინდება ორი ფორმით: ორგანიზაციები გეგმავენ თავიანთ საქმიანობას იმ ვარაუდით, რომ გარე გარემო ან საერთოდ არ შეიცვლება, ან მასში არ მოხდება არცერთი ცვლილება. გრძელვადიანი გეგმების შედგენისას უმთავრესად ეყრდნობიან გარე გარემოს ფაქტორების წინა წლების ანალიზს. არასტრატეგიული მართვისას მოქმედებათა პროგრამის შემუშავება იწყება შიდა გარემოს, კერძოდ შიდა შესაძლებლობებისა და რესურსების ანალიზით.

სტრატეგიულ მენეჯმენტს უპირატესობებთან ერთად გააჩნია ნაკლოვანებებიც, რაც გამოწვეულია გადასაწყვეტი ამოცანების სირთულითა და კომპლექსური ხასიათით. გარე გარემოში ცვლილებები კი მოითხოვენ კონკრეტულ სიტუაციაში სპეციფიკურ მიდგომას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულ მენეჯმენტის მეთოდოლოგიის სწორად გამოყენებას.

სტრატეგიული მენეჯმენტის შედეგია ორგანიზაციული სტრუქტურა და ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის გრძნობიარობას გარეშე ფაქტორებზე. კომერციულ ორგანიზაციაში ეს გულისხმობს გარე ფაქტორების ცვლილებების დროულად გამოვლენას და სწორად განსაზღვრას, საპასუხო სტრატეგიულ მოქმედებათა მართვას, რომლებიც გულისხმობენ მატერიალურ შესაძლებლობათა არსებობას ახალი საქონლის, ტექნოლოგიების და მომსახურების დამუშავების, გამოცდისა და დანერგვისათვის. ორგანიზაციის პოტენციალი და სტრატეგიული შესაძლებლობები განისაზღვრება მისი არქიტექტონიკითა და ადამიანური რესურსის ხარისხით.

ორგანიზაციის მისიის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ:

ორგანიზაციის ამოცანები მისი ძირითადი საქონლის, ბაზრებისა და ტექნოლოგიის თვალსაზრისით. მარტივად, უნდა განისაზღვროს, თუ სამეურნეო საქმიანობის რომელი სახით არის დაკავებული მოცემული ორგანიზაცია (ფირმა).

1. გარე გარემოს დამოკიდებულება ორგანიზაციისადმი. ამის საფუძველზე განისაზღვრება ორგანიზაციის სამუშაო პრინციპები.

2. ორგანიზაციის კულტურა, ე.ი. უნდა განისაზღვროს როგორია ორგანიზაციაში სამუშაო კლიმატი და როგორი ტიპის ადამიანებს იზიდავს.

ორგანიზაციის მისიისა და კულტურული ფასეულობების საფუძველზე ხელმძღვანელობა განსაზღვრავს საერთო მიზნებს. მიზნების კონკრეტულობა და გაზომვადობა უზრუნველყოფს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას და მუშაობის შედეგების შეფასების შესაძლებლობას. ორგანიზაციის მიზნების ფორმულირებისას ზუსტად უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ რისი გაკეთება სურს ორგანიზაციას, არამედ ისიც, თუ როდის მიიღწევა შედეგები. მიზნებს ჩვეულებრივ განსაზღვრავენ როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი პერიოდებისათვის.

ორგანიზაციის მისიისა და მიზნების განსაზღვრის შემდეგ, უნდა მოხდეს გარე გარემოს შესწავლა და შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ცვლილებებით, რომლებიც ზემოქმედებენ მიმდინარე სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტზე;
2. ფაქტორებით, რომლებიც საშიშროებას უქმნიან სტრატეგიის მიმდინარე სტრატეგიას;
3. ფაქტორებით, რომლებიც მეტ შესაძლებლობებს შეუქმნიან ორგანიზაციას საერთო მიზნების მისაღწევად გეგმის კორექტირების გზით.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია, მაგრამ სტრატეგიული მენეჯმენტის პოზიციიდან არსებითი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის გარე გარემოს ანალიზს. გამოწვევები და შესაძლებლობები ვლინდებიან გარე გარემოს შვიდ სფეროში, რომელთა შესაბამისად ჯგუფდება ფაქტორებიც, რომლებიც ხდებიან ანალიზის ობიექტები. ამ ჯგუფების ფაქტორების გამოკვლევა იძლევა შესაძლებლობას, მიღებულ იქნეს სრული წარმოდგენა ორგანიზაციის გარე გარემოს განვითარების ტენდენციების შესახებ. გამოკვლევა ეფუძნება გარე გარემოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური, კონკურენციის, სოციალური და ა.შ. ფაქტორების ანალიზს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. იგი ეფუძნება ფუნქციური ზონების გამოკვლევას. გამოყოფენ ხუთ ასეთ ზონას: მარკეტინგი, ფინანსები, საწარმოო პერსონალი, აგრეთვე ორგანიზაციული სტრუქტურა და ორგანიზაციის იმიჯი.

სტრატეგიული დაგეგმვის დროს მთავარია მიზნების, სტრატეგიების, პროგრამების განსაზღვრა, რესურსების განაწილება, რომლებიც ორგანიზაციას აძლევენ შესაძლებლობას, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს გარე გარემოში შესაძლო ცვლილებებს. თანამედროვე ორგანიზაციაში უნდა დამუშავდეს ურთიერთდაკავშირებული გეგმების შემდეგი ჯგუფები:

- საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მთავარი შინაარსია მომავალი პერიოდის სტრატეგია (10-15 წელი, ზოგჯერ უფრო მეტიც);
- ორგანიზაციის განვითარების გეგმები (ერთიდან 5 წლამდე). სტრატეგიული დაგეგმვის პოზიციიდან მათი უმნიშვნელოვანესი შინაარსია წარმოების სრულყოფის პერსპექტივები, პროდუქციის ახალი თაობის გამოშვება, ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა;
- ტაქტიკური გეგმები, რომელთა მეშვეობით ხდება ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის რეგლამენტირება;
- მიზნობრივი ხასიათის პროგრამები და გეგმები - პროექტები: ახალი პროდუქციის და ტექნოლოგიის დამუშავება, წარმოებაზე დანახარჯების შემცირება, ენერგორესურსების ეკონომია, ახალ ბაზრებზე შეღწევა და სხვ.

ორგანიზაციის განვითარების გეგმა განსაზღვრავს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ახალი პროდუქციისა და მომსახურების შესაქმნელად. ეს გეგმა იძლევა პასუხს შემდეგ კითხვებზე: როგორი პირობებია მოსალოდნელი ორგანიზაციის საქონელსა და მომსახურებაზე, რომ გაიოლდეს პროდუქციის ახალი სახეების შექმნა და ახალი ბაზრების გამოვლენა? როგორია არსებითი რესურსები პროდუქციისა და მომსახურების ახალი სახეების შესაქმნელად? განვითარების გეგმა ორიენტირია დივერსიფიკაციის გეგმის დასამუშავებლად, რომელიც ახასიათებს პროდუქციის, მომსახურებისა და ბაზრების ახალი სახეების შექმნას, აგრეთვე სალიკვიდაციო გეგმისათვის, რომელიც უზრუნველყოფს თუ რომელი ელემენტებისაგან (პროდუქციისა და მომსახურებისაგან, საკუთრების ან სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან) უნდა განთავისუფლდეს ორგანიზაცია და სხვა.

დღესდღეობით, აქტიურად მიმდინარეობს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნა და ორიენტირებულია სტრატეგიული მენეჯმენტის სტრუქტურების შექმნაზე. ეს პროცესი მიმართულია, მმართველობითი ფუნქციების ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის ჩამოაყალიბოს ოპტიმალური მმართველობითი სტრუქტურა.

ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ მართვას შორის ოპტიმალური თანაფარდობის პოვნის სურვილი განაპირობებს სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემის შექმნის აუცილებლობას, რომელიც ხასიათდება სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალიზებული დამუშავებით და დეცენტრალიზებული ოპერატიული მართვით.

სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ქართული ბიზნესის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარებისა და წარმართვისათვის. საქმე ის არის, რომ ჯანსაღი ბიზნესი მოითხოვს ჯეროვან პროფესიონალიზმსა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. საერთოდ ცივილიზებული ბიზნესი წარმოუდგენელია სტრატეგიული მენეჯმენტის გარეშე.

ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირებისათვის, გარდა სტრატეგიული მენეჯმენტისა, ასევე ძირითადი და განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს ადამიანურ რესურსებს. ადამიანური რესურსების მართვაში იგულისხმება ისეთი ორგანიზაციული სისტემის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ადამიანთა

შესაძლებლობების სრულად გამოვლენას და მათ ეფექტიანად დასაქმებას ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად.

ადამიანური რესურსების მართვის მიმართ (არმ) სტრატეგიული მიდგომა სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობა:

1. თითოეული მენეჯერი, დაკავებული თანამდებობის მიუხედავად, პასუხს აგებს ადამიანური რესურსების მიუხედავად;
2. დაქირავებული თანამშრომლები განიხილებიან ორგანიზაციის ფასდაუდებელ აქტივად. სწორედ თანამშრომლები და არა შენობები, ტექნოლოგიური აღჭურვილობები ქმნიან კომპანიის უმნიშვნელოვანეს კონკურენტულ უპირატესობებს;
3. ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის სტრატეგიისა და მიზნების კონკრეტული მიდგომებით განაპირობებს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების ინტეგრაციას.

ადამიანური რესურსების მართვის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს.:

- ადამიანური რესურსების მართვის პროცესისადმი სტრატეგიული მიდგომა;
- ადამიანური რესურსების მართვაზე გარე ფაქტორების ზემოქმედება;
- ადამიანური რესურსების შერჩევა;
- თანამშრომელთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის შედეგების შეფასება;
- თანამშრომელთა დაწინაურება, წახალისება, თანამდებობიდან განთავისუფლება;
- ხელმძღვანელი კადრების მომზადება.

ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზანია ეფექტური სამუშაო ძალის მიზიდვა, მისი პოტენციალის განვითარება და მისი გრძელვადიანი მხარდაჭერა. ამ მიზნების მიღწევას სჭირდება დაგეგმვის, პროგნოზირების, სწავლების, სამუშაო ამოცანების შესრულების შედეგების შეფასების ჩვევების გამოყენება, ხელფასების, დამატებითი შეღავათებისა და სამსახურიდან დათხოვნის ადმინისტრაციული მართვის განხორციელება.

- „ჩვენი ძალა - ჩვენი თანამშრომლების მაღალ კვალიფიკაციაშია“.
- „ჩვენი მომუშავეები - ჩვენი მთავარი რესურსია“

ასე ახასიათებს ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობას. ადამიანური რესურსების მენეჯერებმა უნდა იპოვონ საუკეთესო თანამშრომლები, ორგანიზება გაუკეთონ მათ სწავლებას, აღზრდას და სამსახურში შეინარჩუნონ ისინი.

ადამიანური რესურსების მართვის მთავარი ასპექტია შრომითი ცხოვრების ხარისხის ამაღლება, რაც გულისხმობს თანამშრომელთა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს შრომის მიღწეული შედეგების მეშვეობით. შრომითი ცხოვრების დონეს ახასიათებს შემდეგი მაჩვენებლები:

- სამუშაო უნდა იყოს საინტერესო;
- თანამშრომელთა შრომის შედეგების აღიარებასთან ერთად უნდა მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება;
- სამუშაო გარემო უნდა იყოს ნაკლებ ხმაურიანი, სათანადოდ განათებული და სუფთა;
- ხელმძღვანელმა უნდა განახორციელოს ზედამხედველობა მინიმალურ დონეზე მაინც, მაგრამ აუცილებლად მაშინ როცა ეს საჭიროა;
- მუშაკები აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- შრომის პროცესში აუცილებელია მუშაობის გარანტია და კოლეგებთან თანამშრომლობა;
- თანამშრომლები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

ორგანიზაციის წარმატებული და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, სწორად იქნას განსაზღვრული ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები; მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება იმ მენეჯერებს, რომლებიც ადგენენ და ახორციელებენ კომპანიის სტრატეგიულ მენეჯმენტს და მართვას. ასევე გასათვალისწინებელია ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. სწორედ ადამიანური რესურსი არის ორგანიზაციის ძირითადი აქტივი. ამ რესურსების სათანადო გამოყენება იძლევა ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირების შესაძლებლობას.

ლიტერატურა:

1. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ავტ. კოლექტივი, თსუ, თბ., 2009.
2. ლ. ბიბილაშვილი, სტრატეგიული დაგეგმვა და მენეჯმენტი, ჟურნ. „ეკონომიკა“, 2009, 3-4
3. ნ. ხარაძე, ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობა ორგანიზაციის მართვაში, ჟურნ. „ეკონომიკა“, 2009, 5-6
4. ა. ედიბერიძე, სტრატეგიული ანალიზი, თბ., 1999.
5. ლ. ბიბილაშვილი, ბიზნესის სამუშაო ინსტრუმენტები, თბ., 2009.
6. Веснин В. Р., Менеджмент персонала. М., 2001.

Lia Bibilashvili
Gori State Teaching University
Sopo Bliadze
Georgian Technical University
ENSURE OF EFFECTIVE ORGANIZATIONS FUNCTIONING
RESUME

The article states, that for the successful and efficient operation it is necessary to properly set the organization's strategic goals and objectives, the most important function of the managers, who draw up and implement the company's strategic management and control. Also it is very important human resource management. The proper use of these resources give us the successful operation of the organization.

დავით ბიბინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმი და მონეტარულ-ფინანსური ბაზრის
განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

2016 წლის ეკონომიკურ ვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია წინა წელს შექმნილმა არასახარბიელო ეკონომიკურმა პროცესებმა. ლარის გაუფასურებამ ეკონომიკის განვითარებას სერიოზული პრობლემა შეუქმნა. ეროვნული ვალუტის მკვეთრი გამყარების პერსპექტივის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე დაყრდნობით ეკონომისტები აღარ ელოდებიან, რომ ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ პოზიციებს დიდი მაჩვენებლით გაიუმჯობესებს. თუმცა, მოსახლეობას შეუძლია იმით დამშვიდდეს, რომ საგარეო ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე იმდენად შემცირდა, რომ აღარც დიდი გაუფასურებაა მოსალოდნელი.

ბოლო წელიწადნახევრის შემდეგ, 2016 წლის 10 ივნისს, საქართველოს სავალუტო ბაზარზე დოლარის მიმართ ყველაზე დაბალი კურსი – 2,12 ლარი დაფიქსირდა. ეროვნული ბანკის მსხვილი ინტერვენციების შემდეგ (250 მლნ დოლარი ამოიღო ბაზრიდან) ლარმა ისევ გაუფასურება დაიწყო. 2016 წლის 12 ოქტომბერს ლარის ოფიციალური კურსი 2,35 ნიშნულს მიუახლოვდა, რამაც მოსახლეობაში მორიგი პანიკა და დაძაბულობა შექმნა. ეს ტენდენცია, ეროვნული ბანკის ჩარევის გარდა, საგარეო სახელმწიფო ვალუტის მომსახურებას დაბრალდა.

წელს საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორს, მთლიანობაში გადასახდელი აქვს 4,780 მლრდ დოლარის საგარეო ვალი. ეს არის პიკური მაჩვენებელი და მთლიანი შიდა პროდუქტის 34%-ს შეადგენს. საქართველოს წლის ბოლომდე კიდევ 1,628 მლრდ დოლარის საგარეო ვალი აქვს გასასტუმრებელი. ეს თანხა მე-3 და მე-4 კვარტალში როგორც სამთავრობო, ასევე სხვა სექტორებმა კრედიტორებს უნდა გადაუხადონ. ამ მხრივ უმძიმესი პერიოდი გველის 2017 წლის დასაწყისში. მარტო პირველ კვარტალში ვალის მომსახურებისთვის ქვეყნიდან დამატებით 811 მლნ დოლარი უნდა გავიდეს.

ამ მასშტაბით საგარეო ვალის მომსახურება ეროვნულ ვალუტას სერიოზულ პრობლემებს უქმნის, – ექსპერტები გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფონზე, ლარის სუსტ პოზიციებს, სწორედ საგარეო ვალის მომსახურებას უკავშირებენ.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2016 წლის მე-3 კვარტალში საგარეო ვალის მომსახურებისთვის სამთავრობო და არასამთავრობო სექტორმა მთლიანად 828,5 მლნ დოლარი უნდა გადაიხადოს. აქედან, სამთავრობო ვალია – 54,4 მლნ დოლარი, ეროვნული ბანკის – 4 მლნ დოლარი, კომერციული ბანკების – 247,6 მლნ დოლარი, სხვა სექტორის ვალი 342,6 მლნ დოლარს აღწევს, კომპანიათაშორისო სესხების მოცულობა კი 179,9 მლნ დოლარს შეადგენს.

გადასახდელი საგარეო ვალის ოდენობა შედარებით მცირდება მე-4 კვარტალში, წლის ბოლოს ვალუტის მომსახურებისთვის ქვეყნიდან დამატებით 800 მლნ დოლარი გავა. ამ თანხიდან სამთავრობო

სექტორს 64,3 მლნ დოლარის, ეროვნულ ბანკს კი 2 მლნ დოლარის გასტუმრება მოუწევს. მე-4 კვარტალში კომერციულმა ბანკებმა 187,1 მლნ დოლარის საგარეო ვალი უნდა გადაიხადონ და სხვა სექტორმა კი – 362,1 მლნ დოლარი. კომპანიათაშორისო სესხების მოცულობა კი 184,6 მლნ დოლარს შეადგენს.

გასასტუმრებელი საგარეო ვალის მხრივ რთული მდგომარეობაა 2017 წლის პირველ კვარტალშიც. იმ დროს სამთავრობო და სხვა სექტორებს მთლიანად 811,1 მლნ დოლარის გასტუმრება მოუწევთ. აქედან სამთავრობო სექტორმა საგარეო ვალის მომსახურებისთვის 48,4 მლნ დოლარი უნდა გადაიხადოს, სებ-მა – 4 მლნ დოლარი, კომერციულმა ბანკებმა – 238,5 მლნ დოლარი და სხვა სექტორმა – 342,8 მლნ დოლარი. სებ-ის ინფორმაციით, კომპანიათაშორისო სესხების მომსახურებისთვის მომავალი წლის პირველ კვარტალში 177,5 მლნ დოლარის გასტუმრება უნდა მოხდეს.

ერთი სიტყვით, მომავალი 3 კვარტლის განმავლობაში ქვეყნიდან დამატებით 2,439,6 მლრდ დოლარი გავა, რაც თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის კურსზეც გარკვეულ გავლენას მოახდენს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ 2016 წელს გვაქვს ადრე აღებული ვალის დაფარვის პიკი და სწორედ ეს “ურტყამს” მნიშვნელოვნად ლარის კურსს. გაცილებით უმჯობესდება მდგომარეობა 2017 წლიდან, როცა დასაფარი ვალი 2,5 მლრდ-ს ფარგლებშია და ეს ვითარებას საგრძნობლად შეამსუბუქებს. მომავალ წელს გადასახდელი საგარეო ვალის ოდენობა მშპ-ს 16%-ის ფარგლებშია, 2018-ში კი – 7%. ასე რომ, ჩვენ წელს პიკურად ვემსახურებით საგარეო ვალს, ეს არის ყველაზე ცუდი, რაც უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსზე.

არსებობს ფაქტორებიც, რომელიც ლარის კურსზე დადებით გავლენას ახდენს, მათ შორის ის, რომ გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალი ნაკადები, მომატებულია სააქციო კაპიტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებების წილი და ამასთან, გაზრდილია რეინვესტირების მაჩვენებელი.

ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, ლარის გამყარების პერსპექტივას ზრდის და აძლიერებს იმას, რამაც ლარი უნდა გაამყაროს. ახლა, ვინაიდან ვალის გადახდის პროცესი პიკურ ფაზაშია შესული, ლარი ამიტომაც არის ამ ნიშნულზე დაბალანსებული, მაგრამ ტურისტების ზრდა, ინვესტიციების მატება ქმნის იმის საფუძველს, რომ ლარი მომავალში აუცილებლად გამყარდება.

მოკლედ, ვალის გადახდა წელს ჩვეულებრივ მოხდება, შემოდგომაზე მისი წნეხი ეკონომიკაზე შედარებით შემცირდება და, ბუნებრივია, გაზრდილი ინვესტიციები ლარს გამყარების უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს. მოსალოდნელია, რომ მე-4 კვარტალში ლარის გამყარება აუცილებლად მოხდება.

ვალების გადახდის კუთხით ყველაზე კრიტიკული 2021 წელია, როდესაც ევროზონდების გადახდის დრო მოვა, თუმცა იმ დროისთვისაც შეიძლება ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ამ ძველი ვალის გადაფარვა.

როგორც სებ-ში აცხადებენ ქართულ ეკონომიკაზე საგარეო ფაქტორების გავლენა შემცირებულია, აქედან გამომდინარე სები მომავალ წელს ეკონომიკის 5-პროცენტთან ზრდას პროგნოზირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარის კურსი თუ არ გამყარდება, არც გაუფასურდება და აღნიშნულ ნიშნულში სტაბილურობას შეინარჩუნებს.

ამავე დროს საგარეო ვალის მომსახურების გადახდისას აუცილებელია, რომ სებ-მა და ფინანსთა სამინისტრომ კოორდინირებულად იმუშაონ, რათა ქვეყნიდან დიდი რაოდენობით დოლარის გასვლა ლარზე მორიგი ზეწოლის მიზეზი არ გახდეს.

ბოლო პერიოდში ლარის გამყარება ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად შეჩერდა. სხვა შემთხვევაში, ლარი აღარ უნდა გაუფასურებულიყო 2,34-2,35-ის ნიშნულზე. რაც შეეხება საგარეო ვალს, თუ მისი გადახდა მოხდა ისე, რომ სებ-მაც გაითვალისწინოს ეს მომენტი და კოორდინირებულად იმუშაოს მთავრობასთან ერთად, ლარი აღარ გაუფასურდება. თუკი ეროვნულმა ბანკმა ისევ ისე გააგრძელა მოქმედება როგორც აქამდე, მაშინ ლარი აუცილებლად გაუფასურდება. ამიტომ სებ-თან კოორდინირებული მუშაობაა საჭირო, რომ საგარეო ვალის მომსახურების პერიოდი ლარზე მტკივნეულად არ აისახოს.

როგორც ვხედავთ, ყოფილი ხელისუფლების პერიოდში აღებული საგარეო ვალი დღეს ეროვნული ვალუტის სისუსტის მთავარი მიზეზია.

ამავე დროს, დედოლარიზაცია არის უალტერნატივო გზა ჩვენი ეროვნული ვალუტისთვის ნდობის გაზრდის მხრივ. მოსახლეობა უნდა შეეჩვიოს დოლარის გარეშე ცხოვრებას და მისთვის პრიორიტეტი ქართული ვალუტა უნდა იყოს.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში საკმაოდ მაღალია დოლარიზაცია და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ შემცირდეს ეს მაჩვენებელი. სებ-ის ამოცანაა, რომ რაც შეიძლება მეტად ხელმისაწვდომი გახადოს ქვეყანაში გრძელვადიანი ლარის სესხები.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ლარისადმი ნდობის აღდგენა არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის, ხელისუფლებისთვის.

დედოლარიზაციის ანუ ე.წ. ლარიზაციის პოლიტიკა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯერ კიდევ 2010 წელს გამოაცხადა. 2010 წლიდან დეპოზიტების დოლარიზაცია ნელი ტემპით, მაგრამ ძირითადად მაინც მცირდებოდა ანუ თუ 2010 წელს დოლარში დეპოზიტების წილი იყო 79%, მიმდინარე წლის ივნისში დეპოზიტებში დოლარიზაციამ შეადგინა 65%.

რაც შეეხება მთლიან სესხებში დოლარიზაციის კოეფიციენტს, 2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 73.7%, მიმდინარე წლის ივნისის მონაცემებით კი, დოლარში გაცემული სესხების წილი 67%-ია. აღსანიშნავია, რომ 2014 წლამდე დოლარიზაცია ძირითადად მცირდებოდა. ამასთან, მიმდინარე წლის დასაწყისში, როცა ლარი სწრაფი ტემპით უფასურდებოდა, პირველ ოთხ თვეში დოლარიზაციის დონე 70%-მდე გაიზარდა და შემდეგ ისევ კლება დაიწყო.

შედარებით სწრაფი ტემპით მცირდებოდა დოლარიზაციის მაჩვენებელი ფიზიკური პირების სესხებში – 2010 წელს დოლარიზაციის კოეფიციენტი იყო თითქმის 72%, ხოლო მიმდინარე წლის ივნისის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი დაახლოებით, 56%-მდე შემცირებული.

დედოლარიზაციის შესამცირებლად ერთი ირიბი ინსტრუმენტი უკვე ამოქმედდა. კერძოდ, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, 16 ივნისიდან ეროვნული ვალუტით 1 წლამდე ვადიანობით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმად 7% განისაზღვრა, ნაცვლად 10%-ისა. ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში კი, სარეზერვო ნორმა პირიქით – 15%-დან 20%-მდე გაზარდეს. ასევე, 5%-დან 10%-მდე გაიზარდა უცხოური ვალუტით 1-დან 2 წლამდე ვადიანობით მოზიდულ სახსრებზე სავალდებულო სარეზერვო ნორმა.

საინტერესოა, რომ 2003-04 წლებში სავალდებულო სარეზერვო ნორმა, როგორც ლარში, ისე დოლარში მოზიდულ სახსრებზე თითქმის თანაბარი იყო და 13%-14%-ის ფარგლებში მერყეობდა. შემდეგ წლებში ლარში დარეზერვების ნორმა მცირდებოდა, ხოლო დოლარში მოზიდულ სახსრებზე დარჩა 13%. 2007-2008 წლებში სარეზერვო ნორმები რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ ლარში და დოლარში დარეზერვების ნორმები იყო თანაბარი. უკვე 2010 წლიდან სებ-მა სარეზერვო ნორმები გაზარდა 5-დან 10%-მდე, შემდეგ 15%-მდე და როგორც ვიცით, 16 ივნისიდან ბანკებს უწევთ მოზიდული სახსრების 20% დაარეზერვონ.

ფინანსურ ბაზარზე გრძელვადიანი ლარის რესურსის შექმნას ისახავს მიზნად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარში დენომინირებული ბონდების გამოშვებაც. 2014-2016 წლებში იბიარდის, ეიდიბის, აიეფსის და შავი ზღვის ვაჭრობის და განვითარების ბანკის მიერ უკვე გამოშვებულია 424 მლნ ლარის ღირებულების ობლიგაცია.

ფაქტია, დედოლარიზაცია ისევ მთავარ გამოწვევად რჩება, რომელიც ხანგრძლივ პროცესს საჭიროებს. როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, ქვეყნებმა დოლარიზაციის პრობლემა სწორი პოლიტიკის შედეგად 10-15 წელიწადში დაძლიეს.

სებ-ს არ უნდა პირდაპირი მეთოდების და დირექტივების გამოყენება და ამიტომ ცდილობს, ირიბი გზებით მიმართულება მისცეს ფინანსურ აგენტებს. მისივე თქმით, ეს პროცესი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ხელოვნურ ჩარევას ან ძალდატანებითი მექანიზმების გამოყენებას.

მარტივად რომ ვთქვათ, ლარის კურსი არის, მიმოქცევაში არსებული აშშ დოლარის და ლარის „აქტიური“ მასის თანაფარდობითი ბალანსი.

რა საკვირველია, რომ ლარის კურსის ცვლილებები განპირობებულია სავალუტო ნაკადების მოცულობებზე (მათ ცვლილებებზე) და მათ ინტენსიურობაზე (იქნება ეს საგარეო ვალდებულებების მომსახურებობა, თუ პირდაპირი და პორთფელური ინვესტიციები).

აგრეთვე კურსის ცვლილებები დამოკიდებულია უშუალოდ ეროვნული ბანკის მიერ „ღია“ ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ოპერაციებზე (სავალუტო ინტერვენციები, რეფინანსირების სესხები, სარეზერვო ნორმები, რეპო-ოპერაციები და ა.შ.).

საერთოდ სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებები, შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ერთი მიმართულების ტრენდის შემთხვევაში, ძირითადად დამოკიდებულია არა იმდენად მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე (და თუ ესეა, მაშინ კრიზისული სიტუაციაში ვიმყოფებით), როგორც დამოკიდებულია ვალუტის დევალვაციის (ან პირიქით – რევალვაციის) მოლოდინებზე, რასაც ეძახიან – „დომინოს ეფექტს“.

ზუსტად ამიტომაც ხდება, რომ ვალუტის კურსი, როგორც წესი სცილდება ე.წ. „ობიექტურ“ მაჩვენებელს, რის შემდეგაც ამას მოყვება კურსის „კორექცია“ (კურსის „დაბრუნება“ ობიექტურ მაჩვენებელზე).

უნდა ითქვას, რომ ვალუტის კურსი ითვლება სტაბილურ კურსად, როდესაც ის მერყეობს გარკვეულ დიაპაზონში (და არ არის „ერთ ადგილზე გაყინული“) და არ გააჩნია მკვეთრი რყევების (ცვლილებების) ტენდენციურობა.

ამასთან ერთად, ეროვნულ ბანკს გააჩნია სავალუტო კურსის რეგულირების საკმაოდ ქმედითუნარიანი მექანიზმები და პირველ რიგში ეს არის – ეროვნული ბანკის ოპერაციები ბანკთაშორის „ღია“ საფინანსო ბაზარზე.

აი რამდენად ეფექტიანად იყენებს ამ შესაძლებლობებს ეროვნული ბანკი – ეს უკვე სხვა საკითხია!

სავალუტო ბაზარი.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის მოქმედებები არაეფექტიანია!

პირველი და მთავარი მიზეზი მდგომარეობს – სავალუტო კურსის ფორმირების არსებულ მექანიზმებზე და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი სახის ტექნოლოგიებია გამოყენებული (სავაჭრო „ფლატფორმის“ სახით) – Bloomberg-ის, Reuters – ის თუ „დამორებული“ სავაჭრო ტერმინალების მეშვეობით ორგანიზებული დამოუკიდებელი სავაჭრო სივრცე).

აქ მთავარია, თუ რა პრინციპების საფუძველზე ყალიბდება ე.წ. „ოფიციალური“ ან თუ გნებავთ „საბაზრო“ კურსი.

სავალუტო ვაჭრობებზე არ ხდება მოთხოვნა – მიწოდების კონცენტრაცია, დროის გარკვეულ შეზღუდულ პერიოდში, შესაბამისად სავაჭრო სესიის ფარგლებში (იმიტომ, რომ ვალუტით ვაჭრობა მიმდინარეობს სრული დღის განმავლობაში, ბანკების პერმანენტულად ჩართვის რეჟიმში), რის შედეგადაც ეროვნული ბანკი ვერ ხედავს სავალუტო ბაზარზე შექმნილ მდგომარეობას (და სიტუაციას) და შესაბამისად ეფექტიანად ვერ ახორციელებს ინტერვენციებს, რასაც მოყვება სავალუტო რეზერვების ან არაეფექტიანი ხარჯვა და ან პირიქით – გაუმართლებელი დაზოგვა.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარს არ გააჩნია ის შიდა რეგულაციები (როგორც გააჩნიათ მაგალითად – საბირჟო სისტემებს), რომლებიც გარკვეულწილად იცავენ სავალუტო კურსს მკვეთრი რყევებისაგან და კურსით მანიპულირებისაგან.

რაც შეეხება მონეტარულ პოლიტიკას და ლარის მასის რეგულირების შესაძლებლობებს (რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სავალუტო კურსის და ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირებისათვის) – აქაც ეროვნული ბანკის შესაძლებლობები ხელოვნურად შეზღუდულია და ნაკლებეფექტიანი.

საბირჟო პრინციპებზე აგებული – ორგანიზებული ბანკთაშორისი ბაზრის არარსებობის პირობებში, არ არის მაგალითად – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ლიკვიდური მეორადი ბაზარი (მიმოქცევა) და ეროვნულ ბანკს არ შეუძლია ოპერატიულად განახორციელოს ამ ბაზარზე ოპერაციები, ფულადი მასის სწრაფად და ეფექტიანად რეგულირების თვალსაზრისით (რაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ – არანაკლებ მნიშვნელოვანია სავალუტო კურსის ფორმირებისათვის).

ფაქტიურად, არ არსებობს ბანკთაშორისი ორგანიზებული საკრედიტო ბაზარი (ბანკთაშორისი სესხების სახით) და ესეთი ბაზრის არსებობის პირობებში, ეროვნულ ბანკს აღარ დასჭირდებოდა რეფინანსირების სესხების ესეთი მოცულობებით გაცემა და აღარ იქნებოდა გადამეტებულად ფულის მასის მიწოდების (და საბანკო სექტორში ამ ფულის მასის „ჩარჩენის“) რისკი.

მოკლედ რომ ვთქვათ, სავალუტო კურსის „სიჯანსაღე“ მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია მონეტარულ-ფინანსური ბაზრის განვითარების დონეზე, რაც სამწუხაროდ ჩვენს რეალობაში ვერა და ვერ იქნა მიღწეული.

ამიტომაც ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდა – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურად განვითარებისათვის და ეკონომიკური სისტემის მდგრადობისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ არ შეიცვლება სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმი, ჩვენ მუდამ ვიქნებით გაურკვევლობაში და „მკითხაობის“ რეჟიმში!

უმთავრესია, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიით მივიღოთ ცხადად ჩამოყალიბებული ეკონომიკური ხედვა, მკაფიო ამოცანები, რომელთა შესრულება არა მხოლოდ სასურველია, არამედ შესაძლებელიც.

ეს და სხვა მსგავსი ღონისძიების გატარება სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისა და ერისთვის, რამეთუ ჩვენი სახელმწიფო მრავალი საფრთხისა და გამოწვევის წინაშე დგას. მათგან ყველაზე მთავარი მატერიალური სიდუხჭირეა, თანამდევნი დემოგრაფიული პრობლემებითა და მოსახლეობის კლების უცვლელი, შორსმომავალი ტენდენციით. თუ ქართველი არ იქნება, მაშინ რისთვის და ვისთვის გვინდა ეს ქვეყანა? ჩვენ უნდა ვისწავლოთ ფულის ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისთვის გამოყენება და არა პირიქით - ფულმა შეიწიროს ქვეყნის ინტერესები.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://www.mof.ge/4410>
2. <http://www.mof.ge/4420>
3. http://www.mof.ge/images/File/outlook/Georgia-The_Outlook_GEO_Aug_2016.pdf
4. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538>
5. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109>
6. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=551>
7. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors>
8. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/pirdapiri-ucxouri-investiciebi>
9. <http://geostat.ge>

Davit Bidzinashvili

Gori State Teaching University

**THE EXCHANGE RATE FORMATION MECHANISM OF THE MONETARY AND FINANCIAL-MARKET DEVELOPMENT PROSPECTS IN GEORGIA
RESUME**

2016 is influenced by the economic situation in the previous year by the unfavorable economic processes. Lari depreciation of serious problems for the economy. The sharp appreciation of the national currency, the prospect of the issue removed from the agenda. Based on a variety of macroeconomic indicators economists do not expect the national currency against the dollar for a position indicator improve. However, people can calm down by the fact that the impact of external factors on the economy is so reduced that it is not even a chance of depreciation.

The last year and a half after the June 10, 2016 of the foreign exchange market the dollar has the lowest rate - 2.12 lari were reported. National Bank interventions in the large (250 million dollars from the market) in turn triggered the devaluation began. 2016 On October 12, the official rate of 2.35 mark approached, causing panic among the population of another and create tension. This trend, in addition to the intervention of the National Bank, the state foreign debt service blamed.

in the private and public sector as a whole has to pay 4.780 billion dollars in foreign debt. This is the peak rate of the gross domestic product and 34% of the total. On the end of the 1,628 billion dollars in foreign debt due to be repaid. This amount is on the 3rd and 4th quarter of the government as well as other sectors have to pay creditors. In this regard, the toughest period of 2017, the beginning of the snake. Only in the first quarter of the debt service for an additional 811 million dollars to leave the country.

გიული გიგუაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების ფინანსური მართვის ასპექტები საქართველოში

საქართველოს მდგრადი განვითარების, ეკონომიკის სწრაფი ზრდის უზრუნველყოფის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, მთავრობის მიერ შემუშავებულ ოთხპუნქტიან გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური, განათლების, ქვეყნის ოპტიმალური სივრცითი მოწყობის და მმართველობის რეფორმების განხორციელებას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების სრულყოფას. განათლების რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მისი მაქსიმალური, ეფექტიანი ჩართვა ქვეყნის განვითარებაში.

თანამედროვე სახელმწიფოს მთავარ გამოწვევას სწორედ განათლება წარმოადგენს. განათლება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის

ეკონომიკურ განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციამ განათლების სფეროს მართვის ძირითადი ბერკეტები სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნა. კონსტიტუციის 35-ე მუხლში გარკვევითაა მოცემული, რომ საქართველოში ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება და, სწორედ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო, ასევე, მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. [1]

რაც უფრო განათლებულია ერი, მით უფრო დიდ წარმატებას აღწევს ეკონომიკურ ასპარეზზე. განათლების ეკონომიკური ფუნქცია გულისხმობს ადამიანის შეიარაღებას შესაბამისი ცოდნითა და აქტიური მონაწილეობის უნარით ეროვნული და პირადი სიმდიდრის შექმნაში. ამ სისტემის წარმატება კი შეიძლება შეფასდეს სახელმწიფოს მიერ სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების საფუძველზე, ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების ეფექტიანობით. საქართველოში განათლების რეფორმა უწყვეტ პროცესად მიმდინარეობს. ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებების დანერგვის დღიდან განუხრელად ხორციელდება რეფორმების ორიენტაცია ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რაც პირველ რიგში ფინანსური პრობლემების გადაჭრას მოითხოვს. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური და მიზნობრივი გამოყენება, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გამოძებნა ქართული საგანმანათლებლო სივრცის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობის პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავია სახელმწიფოს, თუმცა, ისტორიულად არსებობდა განსხვავებული მოსაზრებებიც სახელმწიფოს როლის შესახებ განათლების სისტემის განვითარებაში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კლასიკური მიმართულების ფუძემდებელი ადამ სმითი, რომელიც 1776 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“,

განათლებას აკისრებს უფრო მეტად ზნეობრივი სრულყოფის, ვიდრე კვალიფიკაციის ამალღების როლს და ამაში მას ეთანხმება თითქმის ყველა კლასიკური ტრადიციის მიმდევარი. სმითის აზრით, შრომის დანაწილებას გააჩნია ზოგიერთი არასასურველი თანამდევი ეფექტი, რომელიც შეძლება გაანეიტრალოს განათლების სახელმწიფო სისტემამ, ის ფიქრობდა, რომ უმაღლეს განათლებაში ანაზღაურება უნდა ხდებოდეს შედეგების მიხედვით. სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს დაწყებით და საშუალო სკოლებს შოტლანდიის საეკლესიო სკოლების ანალოგიურად, სადაც მასწავლებლებს აძლევდნენ ძირითად ხელფასს, მცირე ფიქსირებული დახმარებით. ანაზღაურება დამოკიდებული იყო სასწავლო დისციპლინებზე. ინგლისში კი მრავალი სკოლა და კოლეჯი ფინანსდებოდა შეწირულობებით. ადამ სმითმა სწორედ შეწირულობების ეს სისტემა გააკრიტიკა. მისი წინადადებით, სახელმწიფოს მხარდაჭერა განათლებაში უნდა გამოხატულიყო შენობებისა და ნაგებობების გადაცემით განათლების მესვეურთათვის, მასწავლებლების შრომის ანაზღაურება უნდა ყოფილიყო დიფერენცირებული. [2: გვ. 96]

სრულიად განსხვავებული მოსაზრება შემოგვთავაზა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა, ეკონომისტმა და საზოგადო მოღვაწემ - ჯონ სტიუარტ მილმა (John Stewart Mill) 1848 წელს ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“. ჯონ მილი იყო პირველი, რომელიც განათლების სისტემაში საბაზრო მექანიზმის დამკვიდრებას არაეფექტიანად მიიჩნევდა. მისი აზრით, მხოლოდ ხანგრძლივი გამოცდილებით შეიძლება განათლების ხარისხის შეფასება, ამიტომ მის მყიდველს წინასწარ არ შეუძლია იცოდეს რას ყიდულობს იგი და რა ხარისხისაა ეს საქონელი. იგი უპირატესობას ანიჭებდა საოჯახო განათლების სისტემას და კერძო სკოლებს, სადაც გარკვეული ასაკის მოსწავლეებისათვის ჩატარდებოდა სახელმწიფო გამოცდები და მისი აზრით, თუ მოსწავლე ვერ შესძლებდა გამოცდების ჩაბარებას, მაშინ მშობელს უნდა გადაეხადა თანხა, რითაც დაიფარებოდა განათლების ხარჯები. მილი მიზანშეწონილად მიიჩნევდა ღარიბთა ფენებისათვის სოციალური დოტაციების გაცემასა და სახელმწიფო სკოლების არსებობას ქვეყნის შორეულ რაიონებში. განათლების სისტემის სრულყოფის პასუხისმგებლობას იგი სახელმწიფოს ანიჭებდა და თვლიდა, რომ სახელმწიფოს უნდა უზრუნველყოფდეს დაწყებითი სკოლების განვითარება ფინანსური მხარდაჭერის გზით, ამასთან, სახელმწიფოს არ უნდა ჰქონოდა პრეტენზია არც მაღალ და არც დაბალ საფეხურზე, არ უნდა მიენიჭებინა პრივილეგია სახელმწიფო სკოლების მოსწავლეებისათვის. [2: გვ. 97]

ისტორიული მიდგომების მსგავსად, დღესაც გრძელდება დისკუსია განათლების სისტემის ინსტიტუციონალური მოწყობის, სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების, ხელისუფლების სხვადასხვა დონის განათლების სისტემაში ჩარევის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. განათლების ეკონომიკის მკვლევართა მხოლოდ მცირე ნაწილი უჭერს მხარს შეხედულებას, რომლის თანახმად, სახელმწიფოს არანაირი როლი არ უნდა ჰქონდეს განათლების სისტემის განვითარებაში, უმრავლესობა კი იზიარებს მოსაზრებას სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროს დაფინანსების აუცილებლობის

შესახებ. მეცნიერებს შორის მთავარი უკმაყოფილება იქმნება იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს პოზიტიური გარე ეფექტები, რომლებიც განათლების მიღებასთანაა ასოცირებული. გარე ეფექტები ძირითადად ასოცირებულია ან მხოლოდ ეკონომიკურ აქტივობასთან, ან სუბსიდიებთან, ან სხვა ქმედებებთან და არა საკუთრივ განათლებასთან. განათლებაში თავისუფალი საბაზრო სისტემის შემოღებით კი შესაძლებელია შემცირდეს განათლების დონე და აუცილებელი გახდეს სახელმწიფოს პირდაპირი დაფინანსება.

ამერიკელი მეცნიერი, ცნობილი სახელმძღვანელოს „ეკონომიკის პრინციპები“-ს ავტორი გრეგორი მენქიუ მარტივად ასაბუთებს უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების მთავარ მოტივს. იგი განათლებას განიხილავს დადებითი გარეგანი ეფექტების საუკეთესო მაგალითად და აღნიშნავს, რომ „საზოგადოდ, განათლების სარგებლობა უფრო პირადულია, განათლებამიღებული ადამიანი უფრო ნაყოფიერად მუშაობს და ამის გამო უფრო მაღალ ხელფასსაც იღებს. თუმცა, ამ პირადი სარგებლობის გარდა, განათლებას დადებითი გარეგანი ეფექტებიც მოჰყვება. ერთი დადებითი ეფექტი ისაა, რომ უფრო მცოდნე მოსახლეობა ნიშნავს მეტად ინფორმირებულ ამომრჩევლებს, რაც ყველასთვის უკეთესი მთავრობის არჩევას გულისხმობს. მეორე დადებითი ეფექტი ისაა, რომ უფრო მცოდნე საზოგადოება აუმჯობესებს კრიმინოგენურ სიტუაციას. მესამე დადებითი ეფექტი ის არის, რომ უფრო განათლებული საზოგადოება ხელს უწყობს განვითარებას და ტექნოლოგიური მიღწევების გავრცელებას, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის დონის ამაღლებას. სწორედ ამ სამი დადებითი გარეგანი ეფექტის გამო ახდენს მთავრობა განათლების სფეროს სუბსიდირებას.“ [3]

ქართველი ეკონომისტი ვახტანგ სართანია 2001 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივა)“ განიხილავს რა განათლების განვითარებაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოთქვავს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „დაწყებითი და საშუალო განათლება არის სწავლება საბაზისო განათლების მისაღებად და იგი უზრუნველყოფს უფრო მეტად სოციალურ სარგებელს... უმაღლესი განათლებაში სახელმწიფოს მხარდაჭერა ხშირად მოტივირებულია გარე ეფექტების მოქმედებით და ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება მაშინ, როცა გარე ეფექტების ცვლილებები მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის“. მისივე შეფასებით, უმაღლესი განათლება უზრუნველყოფს ლიდერობას დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ხოლო განათლების ლიბერალური ხელოვნება უზრუნველყოფს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მრავალი ასპექტის ფართო გაგებას და ეხმარება ისეთი ადამიანების ფორმირებას, რომლებიც მზად იქნებიან დემოკრატიის გადასარჩენად და გასაგვითარებლად. ხელისუფლება მხარს უჭერს და უზრუნველყოფს სისტემურ განათლებას, როგორც დემოკრატიის გაძლიერების საშუალებას. ხელისუფლების ჩარევით იზრდება განათლების ინვესტირება, ხელს უწყობს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ როგორც მეცნიერი მიიჩნევს, ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლების სისტემის ყველა ნიუანსი. [2: გვ 103]

საქართველოში, განათლების სისტემის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით, ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი რეფორმა განხორციელდა. პირველი ინტერვენციების გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად სფეროს არასათანადო დაფინანსების პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო რეფორმირების წარმატებით დასრულება და სისტემის მდგრადი განვითარება.

ჯერ კიდევ 2013 წელს, საქართველოს განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა (EPPM - The International Institute for Education) შემოგვთავაზა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარების ჰიპოთეტური მოდელი. [4] საქართველო არის უმაღლესი განათლებისა და კვლევის ერთიანი ევროპული სივრცის წევრი და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ღირსეული ადგილის დამკვიდრება ამ საერთო ევროპულ სივრცეში. ქართველი ექსპერტების დიდი ნაწილის აზრით, საქართველოსთვის სასურველი მოდელი წარმატებული ევროპული საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს. იზრდება უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების წილი. 2012 წლის მონაცემებით, უმაღლესი განათლებასა და კვლევაზე განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან საშუალოდ მშპ-ს 1,4% და მთლიანი საბიუჯეტო თანხების 3,1% იხარჯებოდა. შედარებისთვის, საქართველოში ამ პერიოდის მაჩვენებლები შესაბამისად, მხოლოდ 0,5 % და 1,8%-ია. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2012 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის 2,8%-ს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით. უფრო მკაფიო სურათს მივიღებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიც - ერთ სულზე მშპ 2000 წლიდან 2011 წლამდე 690 აშშ დოლარიდან 3215 აშშ დოლარამდე გაიზარდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები კი -

12%-დან 32%-მდე. ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება, ამ პერიოდისათვის საშუალოდ, დაახლოებით ორჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. მაგალითისათვის, საქართველოში განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებით 2.9%-ია, ლატვიასა და ესტონეთში კი 5.7%. [4]

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში უმაღლესი განათლების დაფინანსების ხარჯების უდიდესი წილი სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის. საშუალოდ ევროკავშირის ქვეყნებში მთლიანად უმაღლეს განათლებაზე გაღებული დანახარჯების 79,9% სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოდის, სკანდინავიურ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 90%-ს აღემატება, ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში (პოლონეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ლატვია) კი 70%-ზე დაბალია. ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოსა და კორეაში უმაღლეს განათლებაზე გაღებული დანახარჯები მთლიანი დანახარჯების მხოლოდ მესამედს, ან მეოთხედს შეადგენს.

უმაღლესი განათლების დაფინანსების წყაროებში სახელმწიფოსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს შინამეურნეობების/ინდივიდების მიერ გაწეული ხარჯები და სხვა კერძო წყაროების მხრიდან დაფინანსება. ამ უკანასკნელზე განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ მაღალი წილი მოდის (შეერთებულ შტატებში-15,9%, გაერთიანებულ სამეფოში - 18,7% და კორეაში-25,6%), განსაკუთრებით დიდია დაფინანსება ბიზნესებისა და ბანკების მხრიდან. საქართველოში სამწუხაროდ ეს პრაქტიკა არ გვაქვს, 2012 წლის მონაცემებით, უმაღლესი განათლების დაფინანსების 36% საჯარო სექტორზე მოდიოდა, დანარჩენი 64% კი შინამეურნეობების დანახარჯებს წარმოადგენდა. [4] ვფიქრობთ, საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რათა ამ მიმართულებით განვითარდეთ და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ ნაწილად ვაქციოთ განათლების დაფინანსების ხელშეწყობა.

2015 წელს სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად განათლებისა და მეცნიერების აღიარების შემდეგ, საქართველოში იზრდება განათლების სამინისტროს დაფინანსების მოცულობა. 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება გაიზარდა 99.6 მილიონი ლარით. განათლებისა და მეცნიერების გაზრდილი ხარჯები, ძირითადად, ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამებზე (13.34% ზრდა 2014 წელთან შედარებით) და მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის დაფინანსებაზე მოდის (21.71% ზრდა 2014 წელთან შედარებით). ზრდის ტენდენცია გრძელდება 2016 წელსაც. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 2015 წელთან შედარებით განათლების და მეცნიერების დაფინანსება გაიზარა 134.3 მილიონი ლარით, ანუ 15.98%-ით, რაც ვფიქრობთ ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული პრობლემების ნაწილობრივ გადაჭრას. [5]

განათლების სამინისტროს დაფინანსება (მილიონი ლარი)

წელი	მილიონი ლარი	% ბიუჯეტის მთლიან გადასახდელთან
2012 წელი	626,8	8,0
2013 წელი	675,9	8,3
2014 წელი	741,1	8,2
2015 წელი	840,8	8,7
2016 წელი	975,2	9,6

წყარო: საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, http://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/Citizens_Guide-2016_MOF_GEO.pdf

უმაღლესი განათლების ფინანსური მართვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რესურსების განაწილება. ფინანსები ძირითადად სამ მიმდებზე გაიცემა: უმაღლეს სასწავლებლებზე, სხვა არასახელმწიფო ორგანოებზე, ინდივიდებსა და შინამეურნეობებზე. ინდივიდებსა და შინამეურნეობებზე გაცემული თანხები იყოფა გრანტებად და სტუდენტურ სესხებად. სხვადასხვა ქვეყნებში საბიუჯეტო სახსრები განსხვავებულად ნაწილდება. 2011 წლისათვის, საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში 78% პირდაპირ გადაეცემოდა უნივერსიტეტებს განსაკარგავად, 11% მოდიოდა სტიპენდიებზე, 9% სტუდენტურ სესხებზე, ხოლო 2% სხვა კერძო პირებზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2012 წლის მონაცემებით, უნივერსიტეტების პირდაპირ დაფინანსებაზე - 21%, ხოლო სტიპენდიებსა და გრანტებზე შინამეურნეობებისა და სტუდენტებისათვის ფინანსების 89% გაიცემოდა. [4] როგორც ვხედავთ, ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი პრობლემაა სახელმწიფოს მხრიდან სტუდენტური სესხების გაცემის პრაქტიკის არარსებობაც.

უნივერსიტეტების მხრიდან საჯარო დაფინანსების მისაღებად ევროპაში ორი ძირითადი წესი მოქმედებს: ბლოკ გრანტების მიღება და მუხლობრივი დაფინანსება. მუხლობრივი დაფინანსების დროს უნივერსიტეტებს თანხა გადაეცემათ კონკრეტული დანიშნულებით, ბლოკ გრანტების შემთხვევაში კი უნივერსიტეტები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს როგორ გაანაწილონ დაფინანსება. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარების ჰიპოთეტური მოდელის მიხედვით, საქართველოსთვის ოპტიმალურადაა მიჩნეული დაფინანსების არსებული მოდელის მოდიფიცირება ისე, რომ შენარჩუნებული იქნას ვაუჩერული დაფინანსების ელემენტი, მაგრამ ამასთანავე შემოღებულ იქნას უნივერსიტეტების ბლოკ-გრანტების გზით დაფინანსების მექანიზმი დაფინანსების ფორმულის მეშვეობით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, დაფინანსების ფორმულაში ტრადიციულ კომპონენტებთან ერთად, როგორცაა უნივერსიტეტებში დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა, უნივერსიტეტების შენობების ექსპლუატაციის ხარჯები, პერსონალის რაოდენობა და ა.შ. მნიშვნელოვანია დავამკვიდროთ ევროპაში საკმაოდ პოპულარული ახალი კომპონენტი - შესრულების/პროგრესის ინდიკატორი, რომელიც მოიცავს სტუდენტების მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობას, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ინდიკატორებს, იმ სტუდენტთა რაოდენობას, ვინც შესაბამისი პროგრამების სრული კურსი გაიარეს.

უმაღლესი განათლების ფინანსურ ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სწავლის საფასურის ოდენობა და სტუდენტთა დახმარების მექანიზმები. საქართველოში ამჟამად არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო გასცემს დაფინანსებას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. უმაღლესი განათლების დაფინანსების ტვირთი ძირითადად სტუდენტებსა და მათ ოჯახებს აწევთ. რაც განაპირობებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენისათვის. შედეგი კი სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სტატისტიკის სავალალო მატებაა. ამ პირობებში ერთადერთი გამოსავალი სოციალური გრანტების პროგრამის გაძლიერებაა.

ქართული საგანმანათლებლო სისტემის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, სოციალურ, ტექნიკურ, აგრარულ მეცნიერებათა და სხვა პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების განვითარების მიზნით, *შეირჩა 21 საბაკალავრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც 2014 წლიდან სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან*. თუმცა, ჩვენი აზრით, აქაც გვაქვს გარკვეული პრობლემები, კერძოდ ის ფაქტი, რომ დაფინანსებას იღებენ სტუდენტები მხოლოდ იმ უნივერსიტეტებში, სადაც სამივე საფეხურია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, არათანაბარ პირობებში აყენებს უნივერსიტეტებს და აბიტურიენტების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულნი არიან რეგიონული უნივერსიტეტების ნაცვლად გადანიჭილდნენ იმ უნივერსიტეტებში, სადაც დაფინანსების მიღების შესაძლებლობა აქვთ. ამასთან, ბოლო სამი წლის მანძილზე მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროგრამულად დაფინანსებულ უნივერსიტეტებში უფასო მიმართულებებისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა: 2014-2015 სასწავლო წელს - 5012 ადგილი, 2015-2016 სასწავლო წლისთვის - 5653 ადგილი და 2016-2017 სასწავლო წლისთვის - 5655 ადგილი. [6] შეიძლება ვიფიქროთ, ეკონომიკის დაკვეთა კადრებზე უცვლელია და შესაბამისად არც უნივერსიტეტებს და არც სახელმწიფოს არა აქვთ სურვილი რაიმე შეცვალონ.

საქართველოში 2015/2016 სასწავლო წელს გაცემული სტიპენდიების სტატისტიკა კი ასე გამოიყურება:

- 2015-2016 სასწავლო წელს პრეზიდენტის სტიპენდია (150 ლარის ოდენობით) გამოეყო საქართველოს ათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 790 -ზე მეტ სტუდენტს;
- „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების“ ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში დაფინანსდა 581 სტუდენტი და 2015-2016 სასწავლო წლის პირველ სემესტრში - 725 სტუდენტი. ამ მიზნით სულ მიიმართა - 1.9 მლნ ლარი;
- 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება მიიღო 1 367-მა სტუდენტმა, ხოლო მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა 71 მაგისტრანტი სტუდენტი;
- 2015-2016 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 40 სტუდენტი, ხოლო სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა ცხრა უცხო ქვეყნის მოქალაქის სწავლა.[7]

განათლების სამინისტროს მონაცემებით, ორჯერ გაიზარდა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რიცხვი, ასევე გაორმაგდა პროგრამის – „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ – ბიუჯეტი. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში განსხვავებული დაფინანსების წესით 21 პრიორიტეტული მიმართულების დაფინანსების ფარგლებში დღეისათვის 50%-ზე მეტი სტუდენტი იღებს სრულ ან მინიმუმ 50%-იან დაფინანსებას. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გაიცემა სახელმწიფო გრანტები დოქტორანტებისათვის და ა. შ.

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თუ ერის მიზანი ეკონომიკის ზრდაა, განათლება კი აძლიერებს ეკონომიკას, მაშინ სახელმწიფოს ჩარევა განათლებაში მიზანშეწონილია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს არ გულისხმობს განათლების სისტემაზე ტოტალურ კონტროლს. განათლების მენეჯმენტის აუცილებელ კომპონენტს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფა; განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია.

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ეფექტის გასაძლიერებლად ჩვენს ქვეყანაში უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები: საქართველოში 2014 წელი გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავების წლად გამოცხადდა. კომპლექსურად გაანალიზდა განათლების სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგები და შემუშავდა ერთიანი სტრატეგია, რომლის თანახმად, განათლების განვითარების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ერთიან სისტემურ ხედვას. ეს გულისხმობს განათლების სხვადასხვა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში განვითარებაზე ორიენტირებული ძალისხმევის სინერგიას. სტრატეგიით გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების როლის გაძლიერება და სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მეცნიერებისთვის კვლევითი პოტენციალის გაძლიერება ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სამთავრობო პროგრამით, უმაღლესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები. ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო დარგების იდენტიფიცირება და მათი გაძლიერება.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ექსპერტთა დიდი ნაწილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ცოდნის შექმნა, დაგროვება და გადაცემა, რაც უმაღლესი განათლების უპირველესი მოვალეობაა, მხოლოდ სწავლისა და კვლევის ერთიანობითაა შესაძლებელი. სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განმსაზღვრელი ფინანსური უზრუნველყოფაა. საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში კერძო დაფინანსებას მნიშვნელოვანი წილი უკავია და არსებული საბაზრო მოდელის პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტს არ შეუძლია მისი სრულად ჩანაცვლება; ვფიქრობთ ოპტიმალური იქნება, თუ ეს დანახარჯები თანაბრად გადანაწილდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. საჭიროა დაინერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შედეგზე დაფუძნებული ინსტიტუციური დაფინანსების მექანიზმები. ასევე, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვა. განათლების სისტემის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადეკვატურ ინვესტირებაზე. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის პირობებში, შესაბამისად გაიზრდება განათლების სისტემის და მ.შ უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი მთლიან დანახარჯებში; ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კი რთული არ იქნება უმაღლესი განათლების ფინანსური მართვის ოპტიმალური მოდელის შერჩევა და განათლების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>
2. სართანია ვახტანგ, განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივა), თბ., 2001.
3. გრეგორი მენქიუ – ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2008, გვ. 225.
4. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, https://www.tsu.ge/data/file_db/xarixsis_martvis_dep/ganatilebis-politika-2.pdf
5. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, http://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/Citizens_Guide-2016_MOF_GEO.pdf, <http://mof.ge/4562>

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №50/ნ, 2014 წლის 15 აპრილი; ბრძანება №43/ნ, 2015 წლის 15 მაისი; ბრძანება №81/ნ, 2016 წლის 27 ივლისი; <https://matsne.gov.ge>
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, http://mof.ge/images/File/biuj2015/TAVI_V.pdf

Giuli Giguashvili

Gori State Teaching University

FINANCIAL ASPECTS OF THE MANAGEMENT OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA RESUME

The article, „Financial Aspects of the Management of Higher Education in Georgia“ discusses ideas about the state's role in the development of the education system; The main directions reforms of the education system; Higher education funding problems; Issues of rational use of financial and material resources, allocated by the state; Europe's experience, strategic development of higher education in the basic characteristics of a hypothetical model.

In the article, expressed opinions, for improving financial management of higher education in Georgia.

მანია გოგიბე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გუნდური მმართველობის მოდელი და ვალდებულებების სწორად განაწილების სისტემა

მენეჯერთა გუნდის ეფექტური შრომა ბევრადაა დამოკიდებული მის წევრებზე, ვალდებულებების სწორად განაწილების სისტემაზე, ანუ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი როლური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. რაც მეტი წინააღმდეგობები იქნება ამ მხრივ, მით მეტად მოიმატებს განუსაზღვრელობა, აზრთა სხვადასხვაობა. როლების ეფექტური განაწილება თავის თავში მოიცავს:

- პირველ რიგში მენეჯერთა გუნდის თითოეულ წევრს ეძლევა საშუალება სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი, თავისი განათლებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე;
- მეორე, ხდება დაპირისპირების მინიმალიზაცია. მაგრამ, ამოცანები მიღწევადია მაშინ, თუ დავიცავთ შემდეგ პირობებს: უნდა გამოირიცხოს ინდივიდუალური შრომის საზღვრების დარღვევა გაუმართლებელი მიზეზებით, რაც გულისხმობს იმას, რომ გუნდის ერთ წევრი შრომობს იმ მიმართულებით, რომელზედაც პასუხისმგებელია გუნდის სხვა წევრი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ: ხშირია შემთხვევები, როდესაც მენეჯერთა გუნდის წევრები გაიპიროვნებენ შესრულებული სამუშაოს კონკრეტულ სფეროს და კარგავენ მოქნილობას სხვა მიმართულებით.

ზოგჯერ ინდივიდუალური შრომის საზღვრების დარღვევას უნებლიეთ ახდენს თვით მენეჯერი. ინდივიდუალური შრომის საზღვრების ზუსტი დადგენა აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების დროს უფლებების საზღვრების დადგენისათვის. მენეჯერთა გუნდის წევრებმა უნდა იცოდნენ საკუთარი პასუხისმგებლობების საზღვრები, ასევე უნდა იცოდნენ რა სიტუაციაში ჩაითვლება მათი მიღებული გადაწყვეტილებები რეკომენდაციებად და რა შემთხვევაში იქნება აუცილებლად შესრულებული.

ამ კონტექსტში გუნდის თითოეული წევრის უფლება-მოვალეობები უნდა გამყარდეს შესაბამისი ინსტრუქციებით, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს წერილობითი ფორმა.

ვალდებულებების წყვეტის გამორიცხვა, მენეჯერთა გუნდის მუშაობის პროცესში ვალდებულებების წყვეტა კატეგორიულად უნდა გამორიცხოს. არის შემთხვევები, როდესაც სამუშაო პროცესში თავს იჩენს ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრის ვალდებულება არ არსებობს. ერთ-ერთი გუნდის წევრი თავის თავზე იღებს ამ პრობლემის გადაჭრას, რაც უარყოფითად მოქმედებს მისი ძირითადი საქმიანობის ეფექტურობაზე.

მენეჯერთა გუნდის წევრების ვალდებულებები და უფლებები შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან.

გუნდის შექმნას საფუძვლად უდევს დელეგირების პრინციპი: ხელმძღვანელი გუნდის წევრებზე ახდენს ვალდებულებების დელეგირებას. გუნდის წევრებს უნდა ჰქონდეთ მიღებული დავალების შესასრულებლად საკმარისი უფლებები და ვალდებულებები. მაგალითად, მარკეტინგის მენეჯერს ფირმაში მხოლოდ მაშინ შეუძლია მმართველობითი გუნდის გადაწყვეტილებების შესრულება (ფირმის მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღების ზრდა), თუ აქვს უფლება აწარმოოს სარეკლამო კომპანია და ამოქმედოს სხვადასხვა მასტიმულირებელი მექანიზმები სავაჭრო აგენტებთან.

- შესრულებული დავალებების თანაბარზომიერება, რაც გულისხმობს მას, რომ გუნდის წევრებს შორის უნდა იყოს შრომის თანაბარზომიერი გადანაწილება. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში არსებობს ფუნქციური დისბალანსი: ზოგიერთი ასრულებს დიდი მოცულობის სამუშაოს, ზოგი ბევრად მცირეს. ეს ფაქტი იმ შემთხვევაში არ ჩაითვლება ნეგატიურად, თუ მოხდება დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების კომპენსაცია.

- როლების განაწილების მოქნილობა, რაც გულისხმობს თანამდებობრივი ვალდებულებების, უფლებების თეორიულ აღწერას. გუნდის წევრების ვალდებულებები რეგულარულად უნდა გადაიხედოს და დაზუსტდეს.

როლების უფრო მეტი დეტალიზაცია მათ შემდეგვარად დაყოფას, კერძოდ, დავალებაზე, ანუ ამოცანაზე, ადამიანთა ურთიერთობებზე და საკუთარ თავზე ორიენტირებულ როლებს გულისხმობს. დავალებაზე ორიენტირებული როლი გუნდის წევრის მიერ იმ შესრულებად ფუნქციას გამოხატავს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დავალებების კოორდინაციაში და ხელისშეწყობაში მდგომარეობს. ამგვარ როლს შემდეგ ქვესახეობად ყოფენ:

- ინიციატორები, ანუ თანამშრომლები, რომლებიც გუნდს ნოვატორულ იდეებს სთავაზობენ, მის პრობლემებზე და მიზნებზე მსჯელობენ, რაც შემდეგ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველი ხდება. მათ მიერ მუშაობის ახალი პროცედურების შემუშავება და მის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანა ხდება.

- ინფორმაციის მაძიებლები ის თანამშრომლებია, რომელთა დანიშნულებას საჭირო რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს. მათ სათანადო ინფორმაციის მოპოვება და დაგროვება ევალებათ.

- ინფორმაციის მიმწოდებლები, ანუ თანამშრომლები, რომლებიც გუნდს ზუსტი ინფორმაციის ამარაგებენ, საჭირო და აუცილებელი შრომითი გამოცდილების განზოგადებას ახდენენ, რის მეშვეობითაც გუნდური გადაწყვეტილებების მიღება წარმოებს.

- კოორდინატორები ის თანამშრომლებია, რომლებიც ახალ წინადადებებს შორის არსებულ კავშირებს არკვევენ და მათ აანალიზებენ, მომუშავეთა საქმიანობას სათანადო კოორდინაციას უწყვენ.

- შემფასებლები მომუშავეთა ის კატეგორია გახლავთ, რომლის დანიშნულებაა გუნდის საქმიანობის შეფასებაში მდგომარეობს. ისინი თანამშრომლების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს კრიტიკულად განიხილავენ და აფასებენ როგორც ექსპერტები.

ურთიერთობაზე ორიენტირებულ როლში გუნდის წევრის მიერ ის შესრულებადი ფუნქცია იგულისხმება, რომელიც აფექტური თანამშრომლების საქმიან დავალებებთან გამთლიანებას ახდენს. გამოყოფენ მის შემდეგ ქვესახეობებს:

- მხარდამჭერები, ანუ თანამშრომლები, რომლებიც გუნდში არსებულ დამაბულ ვითარებას განმუხტავენ და კონფლიქტების რეგულირებას აწარმოებენ.

- „მეკარები“, ანუ თანამშრომლები, რომლებიც გუნდის წევრებს შორის თანამშრომლურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების მხარდაჭერას ცდილობენ.

- სტანდარტების დამდგენები ის თანამშრომლები არიან, რომლებიც სათანადო გუნდის სტანდარტების შემუშავებაზე არიან ორიენტირებულნი, ანალიზებენ გუნდის წინაშე მდგარ ამოცანებს და მათ გადაწყვეტას ცდილობენ.

- მიმდევრები, ანუ გუნდის ის წევრები, რომლებიც დიდ აქტივობას არ ამჟღავნებენ, ისინი ცდილობენ ყველასთან მეგობრული ურთიერთობა იქონიონ.

- დამკვირვებლები გუნდური პროცესებისაგან შედარებით განზე მდგარი თანამშრომლებია, რომლებიც გუნდის ფუნქციონირებას და მის წინაშე მდგარ პრობლემებს „გარეშე შემფასებლის“ პოზიციით პასუხობენ.

„მე“-ზე ორიენტირებული როლი გუნდის წევრის მიერ იმ შესრულებად ფუნქციას აღნიშნავს, რომელიც სხვების ერთობლივი მოქმედების ხარჯზე პირადი მიზნების მიღწევას და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობს. ამ როლს შემდეგი ქვესახეობები გააჩნია:

- შემადგენლები, ანუ თანამშრომლები, რომლებიც გუნდის წევრებს ხშირად უარყოფით და დიდ წინააღმდეგობას უწყვენ, მაგალითად, მას იმ საკითხის ხელახლა წამოჭრა შეუძლია, რომელიც გუნდის მიერ უკვე განხილული და გადაჭრილია.

- აღიარების მსურველები, პიროვნებები, რომლებიც სხვების ყურადღების მიქცევას ცდილობენ. საკუთარ თავს და საქმეში თავის მიღწევებს აქებენ. ყველაფერი, რაც მათ ეხებათ, სურთ, რომ დადებითად იყოს შეფასებული.

- ძალაუფლების მოყვარულები, ანუ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ჯგუფის წევრებზე ზეგავლენა მოახდინონ, მათ თანამშრომლებზე გაბატონების სურვილი გააჩნიათ. ისინი საკუთარი სტატუსის ამაღლებზე არიან ორიენტირებულნი და თუ საწადელს მიაღწიეს, მაშინ დიდ კმაყოფილებას განიცდიან. თავისას პატარას ამჩნევენ, ხოლო საერთო საქმეში კოლეგების წვლილს დიდად არაფრად აცდებენ.

- თავის ამრიდებელნი ის თანამშრომლებია, რომლებიც ცდილობენ სხვებისაგან შორს იყვნენ, ისინი გუნდის ცხოვრებაში პასიურობას იჩენენ და ყველანაირად ცდილობენ სხვებთან ურთიერთობის დროს მათ „რაიმე არ დაუშავდეთ.“

„მენეჯერთა გუნდისათვის არსებობს სამი სახის მიზანი, რომელთაგანაც ერთ-ერთის შეუსრულებლობა საფრთხეს უქმნის დანარჩენებსაც:

- პირველ რიგში ესაა ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე. „საქმიანი“ მიზანი უმთავრესია, მაგრამ არა ერთადერთი. მაგრამ თუ მიღწეული არ იქნა ეს მიზანი, მენეჯერთა გუნდის მისამართით სავალალო გადაწყვეტილებების მიღების მიზეზი გახდება სხვადასხვა ინსტანციებში. შესაძლოა გამოიწვიოს რეორგანიზაცია ან გუნდის შემადგენლობის შეცვლა და ა.შ.¹

- მეორე რიგში გახლავთ გუნდის წევრების ინტერესებიდან გამომდინარე მიზნები, რომლებიც განპირობებულია პირადი მოთხოვნილებებით. არაა საკამათო, რომ უპირველესი დაინტერესებაა შრომაში მიიღონ კარგი ანაზღაურება.

- მესამეში იგულისხმება გუნდის მიზნით შეინარჩუნონ მთლიანობა. ამის მთავარ წინააღმდეგობას მოტივაციის დაბალი დონე წარმოადგენს.

გამოყოფენ მენეჯერთა გუნდის ფორმირების და განვითარებისადმი ორ მიდგომას:

• ურთიერთობაზე ორიენტირება. ასეთი მიდგომა მენეჯერისგან მოითხოვს ურთიერთობების მოწესრიგებას გუნდში, კონფლიქტების განმუხტვას, ერთსულოვნების განმტკიცებას და ა.შ.

• დავალებზე ორიენტირება. ასეთი მიდგომის დროს მენეჯერი ზუსტად განსაზღვრავს გუნდში თითოეული წევრის შესასრულებელ სამუშაოს, გაანაწილებს როლებს, აუხსნის გუნდის წევრებს მათ უფლება-მოვალეობებს და განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს.

„ვაანალიზებთ რა მენეჯერთა გუნდის წევრების ერთობლივ შრომას პრობლემის გადაჭრისა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოვდივართ იქიდან, რომ თავისთავად გუნდის ორგანიზაცია უკვე არის რესურსების გამოყენების ძვირადღირებული ფორმა. ერთობლივი შრომის ორგანიზაციის ღირებულებას ემატება დროის დამატებითი დანახარჯები, მონაწილეთა მოძიების დანახარჯები, სხვადასხვა ფორმალობების დაცვის ხარჯები და ა.შ. იმისათვის, რომ მოხდეს ამ დანახარჯების უკუგება, ხოლო გუნდის მუშაობა აღმოჩნდეს ნაყოფიერი“², პრობლემის გადაჭრისას გუნდმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ:

1. პრობლემის აუცილებლად და სწრაფად გადაჭრიდან გამომდინარე იცვლება მათი დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდები. გუნდური გადაწყვეტილება ყოველთვის არ ითვლება ერთადერთ მისაღებ ფორმად. ხშირად გუნდის მენეჯერი სრულიად დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, ან უთანხმებს გადაწყვეტილებას გუნდის რამდენიმე წევრს;

2. მმართველობითი გუნდი კოლეგიალური ორგანოა და შეეხება აქვს პრობლემების გარკვეულ ნაწილთან. გუნდი წყვეტს მხოლოდ სტრატეგიულ, ფუნქციურ, იშვიათ და უნიკალური პრობლემებს;

3. გუნდის წევრების შეკრებები ტარდება განსაზღვრული სისტემით და არა სტიქიურად. პრობლემის განხილვა და მისი გადაჭრის გზების ძიება ხდება სისტემატიზებული მიდგომით. მაგალითად, ხელმძღვანელი ან გუნდის სხვა წევრი განსაზღვრავს პრობლემას, წამოიჭრება იდეები, ხდება ალტერნატივების რანჟირება, ზუსტდება პოზიციები და ხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

4. გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს სწორი და პრაგმატული;

5. გუნდის წევრები თავიანთ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას ერთობლივად შემუშავებულ და მიღებულ გადაწყვეტილებაზე. თეორიულად ერთობლივი გადაწყვეტილება გულისხმობს გუნდის ყველა წევრის თანხმობას, მაგრამ პრაქტიკულად ამის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მენეჯერს აკმაყოფილებს უმრავლესობის აზრი და უმცირესობის მხარდაჭერა საერთო პოზიციის მიმართ.

¹ ჯულაყიძე შ., „პერსონალის გუნდურობის უზრუნველყოფის მართვა.“ ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ № 3, გვ. 15-18, თბ. 2013.

² Тоиота Ката, „Лидерство, менеджмент и развитие сотрудников для достижения выдающихся результатов“, М. 2014 г, стр. 213.

მენეჯერული მართვის პრაქტიკაში ცნობილია ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაციის არაერთი ლოგიკური სქემა, მაგ:

გონებრივი იერიშის მეთოდი (ბრენსტორმინგი) გამოიყენება, როგორც იდეის გენერირების ჯგუფური პროცესი, როცა პრობლემის დასაძლევად ყველა შესაძლო ალტერნატივა განიხილება კრიტიკული პოზიციებიდან. ამისათვის მონაწილეები იყოფიან 2 ჯგუფად: „იდეის გენერატორებიდან“ და „კრიტიკოსებად“. პირველ ეტაპზე „იდეის გენერატორები“ ქმნიან განსახილველი პრობლემის ირგვლივ რაც შეიძლება მეტ შესათავაზებელ წინადადებას. მეორე ეტაპზე „კრიტიკოსები“ იყენებენ მუშაობის გამორიცხვის მეთოდს, პირველ რიგში გამოყოფენ მათთვის მიუღებელ შეთავაზებებს, შემდეგ კი დარჩენილ ნაწილს ამუშავებენ ძალზედ კრიტიკულად და ასე მიდიან სწორ გადაწყვეტილებამდე.

„გონებრივი იერიშის“ მეთოდის მიზანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში შემოქმედებითი ალტერნატივების შემუშავების სათანადო პირობების შექმნაში მდგომარეობს. გონებრივი შტურმის მეთოდში წინადადებების, ანუ თვალსაზრისების ჩამოყალიბების პროცესი იგულისხმება, რომლის დროს, ერთიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, ნებისმიერი წამოყენებული ალტერნატივის წახალისება ხდება.¹ გონებრივი იერიშის მსვლელობის დროს მაგიდასთან გუნდში 6-12 ადამიანი ზის, გუნდის ხელმძღვანელი პრობლემას ისე წარმოადგენს, რომ ის ყველასთვის გასაგები იყოს. გუნდის ყოველ წევრს შეუზღუდავი რაოდენობის წინადადებების შემოთავაზება შეუძლიათ, მათი კრიტიკა დაუშვებელია. შემდგომში მათი განხილვის და ანალიზის მიზნით ყოველი მათგანის აღნუსხვა წარმოებს. მიდგომა ასეთია: ერთი შემოთავაზებული ალტერნატივა მეორის მასტიმულირებელია, ნებისმიერი „უცნაური“ წინადადება კი გუნდისთვის მისაღები უნდა იყოს. გონებრივი იერიშის მეთოდი სხვადასხვა თვალსაზრისების გენერირებას უწყობს ხელს.

სენექტიკის მეთოდი (განსხვავებულთა შესაძლო შეერთებს მეთოდი), ესეც გონებრივი იერიშის მსგავსია, რადგან მთავარი იდეა იგივეა. თუ პირველი მეთოდის საწყის ეტაპზე ხდება და რაც შეიძლება მეტი შეთავაზებების შემუშავება განსახილველი პრობლემის ირგვლივ, ამ შემთხვევაში ხდება რაც შეიძლება მეტი ურთიერთგამომრიცხავი შეთავაზებების შემუშავება. მენეჯერებს შორის გამოიყოფა „სენექტორები“, რომელთა ამოცანას წარმოადგენს მკაფიოდ ჩამოყალიბება განსხვავებული მოსაზრებებისა. ჯგუფმა უნდა დაინახოს პრობლემის გადაჭრის ორი უკიდურესად განსხვავებული მიმართულება, რათა ყველანაირად დაახასიათოს და გააანალიზოს იგი. დისკუსიის პროცესში მიდიან სწორ გადაწყვეტილებამდე.

ნომინალური ჯგუფის მეთოდი: იგი გარკვეულ დონეზე ზღუდავს ჯგუფურ განხილვებს. მენეჯერთა გუნდის წევრები ხვდებიან ერთმანეთს, მსჯელობენ, მაგრამ მოქმედებენ დამოუკიდებლად. ამ მეთოდის გამოყენება გულისხმობს: პრობლემის დასმას, რომლის შემდეგაც მენეჯერთა გუნდის თითოეული წევრი დამოუკიდებლად მოინიშნავს ამ პრობლემის ირგვლივ თავის შეხედულებებს, ხდება გუნდის თითოეული წევრის ჩანაწერის მოგროვება და შემდეგ გუნდურად განხილვა. „გუნდი აფასებს იდეებს, თითოეული მონაწილე დამოუკიდებლად აძლევს ხმას გუნდის წევრების შეხედულებებს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში გუნდური განხილვა და პიროვნებათაშორისი ურთიერთობები შეზღუდულია. გუნდის წევრები ინდივიდუალურად მუშაობენ. გუნდის წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღება შემდეგ ფაზებს გაივლის:

- ადამიანები ერთიან გუნდად იკრიბებიან, მაგრამ საკითხის ყოველი განხილვის დაწყებამდე წევრები მთლიან გუნდს პრობლემის დაძლევის საკუთარ ვარიანტს წერილობით სთავაზობენ;
- ამ მნიშვნელოვანი ეტაპის შემდეგ გუნდის ყოველი წევრი სრულიად დამოუკიდებლად მხოლოდ ერთ წინადადებას, ანუ საკუთარ თვალსაზრისს აყალიბებს, გუნდის ყოველი წევრი მაგიდასთან განცალკევებით ზის, შემდეგ გუნდს რაიმე ერთ წინადადებას სთავაზობს, რომელსაც ფურცელზე წერს. სანამ ყოველი წევრის მიერ შემოთავაზებული წინადადება არ დაფიქსირდება, მანამდე არავითარი განხილვა არ წარმოებს;
- ამ ეტაპზე შემოთავაზებული წინადადებების განხილვა და მათი შეფასება მიმდინარეობს;
- გუნდის ყოველი წევრი უსიტყვოდ და ინდივიდუალურად შემოთავაზებული წინადადებების რანჟირებას ახდენს, საბოლოო გადაწყვეტილება იმ წინადადების საფუძველზე მიიღება, რომელმაც ყველაზე მაღალი ქულა დაიმსახურა.²

დელფის მეთოდი: იგი წააგავს ნომინალურ გუნდის მეთოდს, მაგრამ გამორიცხავს მენეჯერთა გუნდის წევრების შეხვედრებს (გუნდის წევრების ფიზიკურად შეკრება არ მოეთხოვება). დელფის მოდელი მოიცავს: პრობლემის დასმას, რის შემდეგაც გუნდის წევრები საკუთარ პოზიციებს აფიქსირებენ ანონიმურად. გუნდის წევრების თავმოყრილი მოსაზრებები ისევ ეგზავნებათ მათ და ისინი ამ

¹ჩარკვიანი დ., „ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში“ თბ. 2001 წ. გვ. 121

²ჩარკვიანი დ., „ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში“ თბ. 2001 წ. გვ. 120

ვარიანტების გაცნობის შემდეგ ხან იცვლიან პოზიციებს, ხან რჩებიან პირველი ვერსიის ერთგულნი, ეს ნაბიჯები მეორდება რამდენჯერმე და ხდება კონსესუსის მიღწევა.

მენეჯერთა გუნდში საკომუნიკაციო პროცესის (ინფორმაციის გაცვლის) ანალიზი ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- **საკომუნიკაციო პროცესის რესურსტევალობა.** მენეჯერთა გუნდის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესი შეგვიძლია ეფექტურად ჩავთვალოთ, თუ მისი მიზნები მიიღწევა დროისა და ენერჯის მინიმალური დანახარჯებით.
- **ინფორმაციის საკმარისობა** (საინფორმაციო არხების დატვირთვა). ინფორმაციის მიწოდება ხდება ზუსტად იმ რაოდენობით, რაც კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად საჭირო, ამიტომ ძირითადი, მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსები არ გამოიყენება დამატებითი ინფორმაციისათვის.
- **კოდიფიკაციის ერთიანი სისტემის მოქმედება,** მენეჯერთა გუნდის წევრებს შორის უნდა არსებობდეს სრული ურთიერთგაგება.
- **უკუკავშირის არსებობა,** მენეჯერთა გუნდის წევრები აქტიურად განიხილავენ ინფორმაციის გაცვლის ორმხრივობას, ეს შეიძლება იყოს იდეის, მოსაზრებების და შეხედულებების გაცვლა და ა.შ.
- **მენეჯერის როლი საკომუნიკაციო პროცესებში.** გუნდის მენეჯერს აქტიური როლი აქვს საკომუნიკაციო პროცესებში, მან უნდა უზრუნველყოს გუნდის წევრებს შორის კონტაქტი და ინფორმაციის გაცვლა.

„ჩამოთვლილ კომუნიკაციებს შორის ყველაზე სუსტია საინფორმაციო არხები. სხვადასხვა სიტუაციებში არ ხდება ინფორმაციის იმ დოზით მიწოდება, რომ იგი საკმარისი აღმოჩნდეს პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამის გამო გუნდის წევრები დამოუკიდებლად იწყებენ დამატებით ინფორმაციის მოძიებას, რაც ამცირებს საკომუნიკაციო პროცესის ეფექტიანობას.“¹ მენეჯერთა გუნდში კონფლიქტების მართვის ეფექტურობის ანალიზის მახასიათებელია:

- **დესტრუქციული ხასიათის კონფლიქტების არარსებობა.** მენეჯერთა გუნდის წევრებმა უნდა დაძლიონ სიტუაცია, როცა კონფლიქტი ძლიერდება და იძენს დესტრუქციულ ხასიათს.
- **მენეჯერთა გუნდში ურთიერთობისათვის ღია კლიმატის არსებობა.** გუნდის წევრები ღიად განიხილავენ პრობლემებს და მსჯელობენ აზრთა სხვადასხვაობაზე, ასევე გულახდილად გამოხატავენ საკუთარ პოზიციებს, არ მალავენ ემოციებს ზომიერების ფარგლებში.
- **კონფლიქტების მართვის საქმიანი ხასიათი,** როცა ხდება კონფლიქტების მოქცევა საქმიანი აზრთა სხვადასხვაობის ჩარჩოებში, რაც გამორიცხავს პირად უთანხმოებებს.
- **კონფლიქტების ობიექტური ხასიათი.** საკამათო საკითხების განხილვის დროს არ ხდება ფსიქოლოგიური ფაქტორის წამოწევა, ხდება მხოლოდ იდეების შეფასება და არა მონაწილეების სუბიექტური მოტივაციების განხილვა.
- **გუნდის მენეჯერის, როგორც შუამავლის როლი.** იგი კონფლიქტური სიტუაციის დროს ვერ დარჩება დამკვირვებლის როლში, შუამავლის ფუნქციით იგი არეგულირებს სიტუაციას.

მენეჯერების გუნდური ფუნქციონირება არაა მუდმივი ფორმა და დამოკიდებულია ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა გარემოზე, ამიტომ:

- **გუნდმა შეიძლება იარსებოს საინფორმაციო ხასიათის გაერთიანების სახით.** მენეჯერი ინფორმაციას აწვდის გუნდის წევრებს არსებული სიტუაციისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რის შედეგადაც შესაძლოა მოხდეს გადაწყვეტილების მიღების მეთოდების დახვეწა;
- **გუნდმა შეიძლება იარსებოს როგორც სათათბირო ორგანომ.** ამ შემთხვევაში გუნდი შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს და იძლევა საექსპერტო შეფასებებს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მმართველობითი გუნდის ერთ-ერთ წევრს, რომელიც დაეყრდნობა საექსპერტო შეფასებას;
- **გუნდმა შეიძლება იარსებოს, როგორც იმ ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება.** გუნდი ეხმარება მენეჯერს მიიღოს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ასევე შეასრულოს მენეჯერის ფუნქცია მისი არყოფნის შემთხვევაში;
- **გუნდმა შეიძლება იარსებოს, როგორც კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ,** გუნდის თანხმობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება არ მოხდება. გუნდი ასევე ახორციელებს კონტროლს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე;

ნებისმიერ შემთხვევაში მმართველობითმა გუნდმა, როგორც კოლეგიალურმა ორგანომ, შეიძლება იარსებოს მხოლოდ განსაზღვრული პრობლემების გადაწყვეტის დროს. უმაღლესი დონის

¹ბარათაშვილი ე., ასათიანი თ., ბოლქვაძე ა., „ლიდერობა და გუნდური მუშაობა-მენეჯმენტის ეფექტიანობის განმსაზღვრელი“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №2, თბ. 2009, გვ. 103-109

მმართველობითი გუნდისათვის შედარებით უფრო ტიპური გადაწყვეტილებებია ახალ ბაზრებზე გასვლის გადაწყვეტილების მიღება, ახალი სახის პროდუქციის წარმოების დაწყება, სხვა კომპანიასთან საწარმოო თუ ფინანსური ურთიერთობა, სხვა კომპანიასთან შერწყმა, კომპანიის განვითარებისათვის დაფინანსების წყაროების ძიება, ფირმის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა სოციალურ, ანდა საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით და სხვა;

საწარმოს მენეჯერთა გუნდში კომუნიკაციის წარმატებით განხორციელება გულისხმობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას, რომლებიც გუნდის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლისას წარმოიშობა: 1) გუნდის წევრებს შორის ურთიერთგაგება მიიღწევა მაშინ, როდესაც ისინი მიწოდებულ ინფორმაციას ერთნაირად იგებენ, 2) პრობლემებს ქმნის ის, რომ თვით გუნდის წევრებს შორის არის ინფორმაციის გაცვლის დაბალი ინტენსივობა, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს ცალკეული წევრის ხასიათიდან გამომდინარე;

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჩვენ მიერ დასახელებულ ფაქტორებს: შემადგენლობას, როლების განაწილებას, გუნდის მუშაობის ორგანიზაციას, კომუნიკაციას, კონფლიქტების მართვას და ა.შ. შესაძლოა ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენცია, რომელიც ამაღლებს ან შეამცირებს გუნდის წევრების მუშაობის ეფექტს.

ლიტერატურა:

1. ნ. ჩიკვილაძე, ლ. კაკულია, თანამედროვე მენეჯმენტის პოპულარული მოდელების შედარებითი ანალიზი, ბიზნეს-ინჟინერინგი, ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია, თბ., 2014.
2. ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, ნ. ფარესაშვილი, სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013.
3. ა. ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე, ლიდერობა და გუნდის მართვა, სახელმძღვანელო, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., „ივერიონი“, 2013.
4. ე. ჯულაყიძე, მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „ხანთა“, ქუთაისი, 2013.
5. გ. ჩაფიძე, დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ძალა საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღებისას. 16.07.2013.
6. ჯულაყიძე შალვა. პერსონალის გუნდურობის უზრუნველყოფის მართვა. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, თბ., 2013. №3 გვ. 15-18.
7. თანამედროვე მენეჯმენტის სტრატეგია და ტექნოლოგია. ედუარდ მიქელაძე. ბათუმი. ლაზარე, 2013.

Mania Gogidze

Gori State Teaching University

GROUP MANAGEMENT MODELS AND SYSTEM OF FAIR DISTRIBUTION OF RESPONSIBILITIES RESUME

An effective work of the management team largely depends on the system of commitment distribution between team's members or on forming more or less perfect role structure. It will be more contradictions in this regard, the more increases an indetermination and a difference of opinion. Creating the team is based on principle of delegating. Team members must have enough rights and obligations to discharge of duty. For example, the marketing manager can make decisions of the management team of firm only than if he has rights to make advertising campaign and to activate various stimulating mechanisms with trade agents.

A number of logical scheme of decision-making is known in managerial management practice. For example:

Brainstorming,

“Senectic” method (the possible connection method is different),

Nominal group method,

Delphimethod.

Management team as collegiate team may exists only during the solution of identified problems. For the high level management team, more typical decisions are: entering in a new market, starting to produce new kind of product, Making financial or industrial relations with companies, merging with other company, searching for sources of funding for company, making important changes in the firm policy by considering legislative requirements, etc.

საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობის და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებები

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. როგორც ირკვევა, ქვეყანაში გაიზარდა წარუმატებელი საწარმოების რიცხვი, ეკონომიკურად არასტაბილურ გარემოში მათი უმეტესობა გაკოტრების და ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. სწორედ ამ პერიოდში, 90-იან წლებში დამკვიდრდა ტერმინი „ანტიკრიზისული მართვა“. ერთის მხრივ ანტიკრიზისული მართვა ხასიათდება, როგორც განზოგადებული ცნება, რომელიც ნიშნავს მმართველობითი მეცნიერების ახალ მიმართულებას და დაკავშირებულია იმ მეთოდებისა და ხერხების შესწავლასთან, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან თავიდან ავიცილოთ გაკოტრება. მეორეს მხრივ – იგი განიმარტება, როგორც მიკროეკონომიკური პროცესი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ საწარმოს მიმართებაში ანტიკრიზისული პროცედურების რეალიზაციის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. 90-იანი წლების მეორე ნახევარში სიტუაციამ დაამტკიცა, რომ საწარმოების წარუმატებლობის გადალახვა შეიძლება მხოლოდ მისი მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის, საწარმოო – ფინანსური მართვის ხარისხის გარდაქმნის მეშვეობით.

საწარმოო და სამეურნეო სისტემაში სტაგნაციისა და რღვევის პროცესი კვლავ გრძელდება, ტექნიკური პროგრესი, ინოვაციური პროცესები შეჩერებულია, მაღალია უმუშევრობის დონე, არ არის საწარმოო პოტენციალის ამაღლებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსები. მიუხედავად საწარმოთა მართვისა და ბაზრის კვლევის საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარების მცდელობისა, საქართველოს უმეტეს საწარმოებში ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია მენეჯმენტის და მარკეტინგის პროგრესული მეთოდების გამოყენების დონე. ადგილობრივი საწარმოები არაეფექტურად იმართებიან, არაა საწარმოთა მართვის ხარჯები შემცირებული, დასახვეწია მართვის სტრუქტურები, რის გამოც საწარმოთა უმეტესი ნაწილი კრიზისულ ვითარებაშია ჩავარდნილი და საჭიროებს ანტიკრიზისული მართვის თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული მიმართულებების განხორციელებას. საწარმოთა მართვის ხარჯების მინიმიზაცია ხელს შეუწყობს ამ საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. საჭიროა მარკეტინგული სამსახურების მიერ შესწავლილ იქნეს სარეალიზაციო ბაზრები, რომელიც ხელს შეუწყობს ალტერნატიული საზღვარგარეთული პროდუქციის ნაცვლად ჩვენი პროდუქციის დამკვიდრებას ბაზრებზე და მისი გასაღების დონის ზრდას. საწარმოთა განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ამ დარგებში განხორციელებული პრივატიზაციის დროს არსებული დარღვევები. პრივატიზაციის დაუხვეწავი პროცესების დროს ბევრი სტრატეგიული დანიშნულების საწარმოები მიეყიდათ ისეთ კომპანიებს, რომელთანაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი ფინანსური გადახდისუნარიანობა ძალზე დაბალია, ან ასეთი კომპანიები საერთოდ არ არიან რეგისტრირებულნი ქვეყნის საჯარო რეესტრში. მაგალითად, ჩვენში აქციონერულ საზოგადოებათა ჩამოყალიბება კი არ განხორციელებულა ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე, არამედ ისინი შეიქმნა ზემოდან დაშვებული განკარგულებებით, რათა სახელმწიფო საწარმოების დაჩქარებული პრივატიზებით მოგვეხდინა საკუთრების სტრუქტურის ტრანსფორმაცია. ამ გზით კერძო საკუთრება კი ჩამოყალიბდა, მაგრამ ეფექტიანად მომუშავე საწარმოები ფაქტობრივად ვერ მივიღეთ. ამჟამად ქვეყანაში არსებული 1500-მდე აქციონერული საწარმოდან მხოლოდ რამდენიმე ათეულია რენტაბელური. სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2005 წელს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 1500-მდე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 240-მდე სააქციო საზოგადოება. საწარმოთა მართვის გაჯანსაღების საწყისი ეტაპი რესტრუქტურისადაც ითვლება უნდა დაგვეწყოს, რითაც შესაძლებელი გახდებოდა მართვის დირექტიული მეთოდების, ეკონომიკური მეთოდებით შეცვლა, მომუშავეთა შრომის მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური და ინოვაციური მართველობისადმი საწარმოთა ადაპტირების მაღალი დონე და სხვა. რესტრუქტურისადაც აუცილებელია, რათა მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში საწარმოებმა გაუძლონ კონკურენციას, შეძლონ განავითარონ ტექნიკა, ტექნოლოგია, გაზარდონ შრომის მწარმოებლურობა, რენტაბელობის დონე, გაზარდონ საექსპორტო პროდუქციის წარმოების მოცულობა. ანტიკრიზისული მართვა არის ის ძირითადი მექანიზმი და მართვის კომპლექსური სისტემა, რომელიც თანამედროვე მენეჯმენტის მთელი პოტენციალის გამოყენებით, საშუალებას

იძლევა თავიდან იქნას აცილებული დროებითი სირთულეები, შენარჩუნდეს და განმტკიცდეს საწარმოს საბაზრო პოზიციები ძირითადად საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით ანტიკრიზისული მართვა აუცილებლად გულისხმობს კრიზისის წინასწარ განჭვრეტას, მისი სიმპტომების ანალიზს, კრიზისის უარყოფითი შედეგების შემცირების ღონისძიებებს და ადგენს ფაქტორებს შემდგომი განვითარებისათვის.

თანამედროვე პირობებში საწარმოთა კრიზისულ სიტუაციაში ჩავარდნის მაპროვოცირებელი ფაქტორებია: 1. მართვის სისტემის არაეფექტიანობა, რაც განპირობებულია: ზვირმის საქმიანობაში სტრატეგიის არარსებობით და მოკლევადიან შედეგებზე ორიენტაციით, საშუალო და გრძელვადიანი შედეგების საზიანოდ; ბაზრის კონიუნქტურის არასაკმარისი ცოდნით; ხელმძღვანელებისა და პერსონალის კვალიფიკაციის დაბალი დონით; ფინანსური მენეჯმენტისა და წარმოების ხარჯების არაეფექტიანობით. 2. საექციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სიმცირით; 3. სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი მექანიზმის არარსებობით; 4. მოწყობილობა-დანადგარების სწრაფი მორალური ცვეთით, ტექნოლოგიების ჩამორჩენით, რაც ამცირებს მის საინვესტიციო მიმზიდველობას; ფირმის კონკურენტუნარიანობის სასიცოცხლო ციკლის ყოველ ეტაპზე საჭიროა ყურადღებით დაკვირვება გარე და შიდა ფაქტორების შესაძლებელ ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება გახდეს ფირმის გაკოტრების მიზეზი. შიდა ფაქტორებზე დაკვირვება ხდება საწარმოს ბალანსის ანალიზის პროცესში, გარე ფაქტორების ანალიზი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაკვირვების სპეციალური ცენტრების არსებობის პირობებში.

საწარმოო ფირმის გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება ბიზნეს-სტრატეგიის რამდენიმე ვარიანტის შედგენა, რომლის საფუძველზე მუშავდება ანტიკრიზისული სტრატეგიის საერთო მოდელი და მასზე დაყრდნობით, ორგანიზაციის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის სტრატეგიული გეგმა. სხვა შემთხვევაში დღის წესრიგში დგება ფირმის ვალაუვალობის (გაკოტრების) გამოცხადების პროცედურა, რომელსაც გააჩნია რამდენიმე მიმართულება: **რეორგანიზაცია (სანაცია), იძულებითი ლიკვიდაცია და მშვიდობიანი შეთანხმება.**

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში, კომპანიები კოტრდებიან კრიზისული სიტუაციისადმი მოუძნადებლობის გამო. წარმოებას საკუთარი ციკლები და კრიზისული განვითარების ეტაპები გააჩნია, რაც შეიძლება განაპირობოს შინაგანმა და გარეგანმა, საერთო და სპეციფიკურმა ფაქტორებმა. საქართველოში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის პროცესში შეინიშნებოდა კრიზისის გამოვლენის დონეთა მიხედვით საწარმოთა დიფერენციაციის საკმაოდ ნათელი სურათი. ერთნი მაშინვე აღმოჩნდნენ ნგრევის და განადგურების ზღვარზე, მეორენი დიდი ხნის მანძილზე უწევდნენ წინააღმდეგობას კრიზისულ მოვლენებს, სხვები კი ცდილობდნენ ეს სიტუაცია გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ. ამგვარი სხვადასხვაობა მრავალი ფაქტორით აიხსნება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გარე ფაქტორებს და გამოიყენებიან მათ გასაანეიტრალეზად. ესენია: ანტიკრიზისული პოტენციალი, პროფესიული მართვა, კონკრეტული ვითარება, გაზრდილი ეკონომიკური აქტივობა. ღრმა კრიზისის მიზეზები შეიძლება იყოს განვითარების შიდა ფაქტორები, ისეთი, როგორცაა საქმიანი და სოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტები, შრომის არაეფექტური ორგანიზაცია, პერსონალის დაბალი პროფესიონალიზმი, შეცდომები ეკონომიკურ სტრატეგიაში, არასწორი მარკეტინგი და მრავალი სხვა. საწარმოში ანტიკრიზისული მართვის დროული ამოქმედება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კრიზისული განვითარების სიმპტომების აღქმისა და მათზე სწრაფი რეაგირების უნარზე და ასევე მისი გამომწვევი მიზეზების და რეალური ფაქტორების გამოვლენაზე. **ანტიკრიზისულ მართვაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვექტორი არის ფირმის სწორი მენეჯმენტი, ფირმის შიდა ფაქტორებზე ოპერატიული ზემოქმედება.**

კრიზისი - ეს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში (ორგანიზაციაში) წინააღმდეგობების მეტისმეტი გამწვავებაა, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლისუნარიანობას გარემომცველ საწარმოში. კრიზისის მიზეზები და, შესაბამისად მათი მართვაც, განსხვავებულია. ეს მრავალფეროვნება ვლინდება მართვის სისტემებში და პროცესებში, რომლის თავისებურებებია: მობილობა, პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომები, გადაწყვეტილებების და ალტერნატივების შედეგების შეფასება, გადაწყვეტილების დროულობა, გადაწყვეტილების ხარისხის კრიტერიუმი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა, რომლებმაც საანგარიშო წელი დაამთავრეს ზარალით 2007-2009 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2007 წელს აღნიშნულ საწარმოთა რაოდენობა, შეადგენდა - 3700, 2008 წელს - 4166, ხოლო 2009 წელს ასეთი საწარმოების რაოდენობა 5493-მდე გაიზარდა. მათ შორის, დიდი წილი მოდის ისეთი დარგების საწარმოებზე, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, ოპერაციები უძრავი ქონებით. ეს მაჩვენებლები, ცხადია, ბიზნეს სტატისტიკის კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, არ იძლევა რეალურ სურათს საწარმოთა ეფექტიანობის შესახებ, თუმცა მაინც უნდა

აღინიშნოს რომ ქვეყანაში საწარმოთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მოგების გენერირებას და შესაბამისად მათი განვითარების შესაძლებლობაც დაბალია. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კრიზისული სიტუაციების გაჩენა გარდაუვალია, როგორც ეკონომიკისათვის მთლიანად, ისე ცალკეული საწარმოებისათვის, ამიტომ აუცილებელია საწარმოს შემუშავებული ჰქონდეს ანტიკრიზისული გეგმა. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიისათვის დანაკარგების მიღების საფრთხეს და მოცულობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიაგნოსტიკის ეტაპს, რომელიც მოიცავს როგორც კომპანიის ანალიზს, ისე ბაზრისა და დარგის ტენდენციების შესწავლას. XXI საუკუნის პირველი ათწლეული, ისევე როგორც გასული საუკუნის ბოლო წლები მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. გლობალიზაცია კი თავის მხრივ, ამარტივებს რესურსებისა და საქონლის მოძრაობას და შესაბამისად, უფრო მკვეთრად წარმოაჩენს იმის აუცილებლობას, რომ ეროვნულმა ეკონომიკებმა აწარმოონ ისეთი ხარისხისა და ფასის საქონელი, რომლითაც შეძლებენ კონკურენტულ ბრძოლაში მიაღწიონ წარმატებას. კონკურენტული ბრძოლა შესაძლოა 3 სხვადასხვა დონეზე განვიხილოთ. უპირველეს ყოვლისა, კონკურენტული ბრძოლა **გლობალურ** დონეზე, შემდგომი დონე **რეგიონალური** ბაზრებია, და არანაკლებ მნიშვნელოვანია კონკურენტული უპირატესობის **შიდა ბაზრებზე** მიღწევა.


ცხრილი 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა
მლნ. აშშ დოლარი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016 წ იანვარი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	444	797	634	935	225	0413	0921	1454	928	528
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	232	495	134	677	187	376	910	861	204	122
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	212	302	500	257	038	037	012	593	724	405
საგარეო ვაჭრობის სალდო	3980	4806	3367	3580	4852	5661	5102	5733	5521	-283

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ბევრ სხვა ინდიკატორთან ერთად მოხმარებაში იმპორტის წილითა და იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობით ხასიათდება.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელთა დინამიკაში მართლაც რომ საგანგაშო მდგომარეობაა. თუ შევადარებთ 2014–2015 წლის ექსპორტის მოცულობას იმპორტთან, კლება 2014 წელს იმპორტთან შედარებით 5732 მლნ აშშ დოლარია, რაც 67%-ით ნაკლებია იმპორტთან. 2015 წელს კლება 5520 მლნ აშშ დოლარია, რაც 72%-იან სხვაობას შეადგენს. 2016 წლის მონაცემით მთლიან ექსპორტში ქვეყნების საექსპორტო წილის მიხედვით ლიდერობს ჩინეთი – 12%, ბულგარეთი – 9%, რუსეთი – 8%, თურქეთი – 7%, შვეიცარია 6%, დანარჩენი ქვეყნები 54%. რაც შეეხება საქონლის წილს მთლიან ექსპორტში აქ წამყვანი ადგილი უკავია, შემდეგ სასაქონლო ჯგუფებს: სპილენძის მადნები 20%, მსუბუქი ავტომობილები 10%, თხილი 8%. მთლიან იმპორტში ქვეყნების საიმპორტო წილის მიხედვით პოზიციები შემდეგნაირად გადანაწილდა: თურქეთი 18%, აზერბაიჯანი 12%, რუსეთი 11%, ჩინეთი 7%, გერმანია 6%.


უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში
2016* წლის იანვარში



ნახაზი 1. უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში

საქართველოს განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ეს მიიღწევა კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას ამ ეტაპზე აქვს. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი უზრუნველყოფს. მწარმოებლურობის ზრდა ნაკლებად შეეხო მრეწველობას, შესაბამისად, მეტად გაიზარდა ეკონომიკის სხვა სექტორები. მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, მცირეა მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები. ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. ეს ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტია.

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი მთლიან იმპორტში
2016* წლის იანვარში



ნახაზი 2. უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი მთლიან იმპორტში

როგორც გრაფიკიდან ჩანს, უმსხვილესი საიმპორტო საქონელია ნავთობის აირები 13%, ნავთობპროდუქტები 8%, მსუბუქი ავტომობილები 7%.

<არსებული სიტუაცია> ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციის და დინამიკური ეკონომიკური პროცესების გამო სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილი უკავია. ცალკეულ სფეროში არსებობს სერიოზული პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე, გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავის გადაწყვეტასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. არსებული სირთულეები, მთლიანობაში, აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებად ეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. როგორც გრაფიკიდან ჩანს (იხ. ნახაზი 4) 2014-2015 წლებში საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტს შეადგენდა: ავტომობილები (ძირითადად რეექსპორტი), ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, თხილი, მინერალური წყლები, სასუქები და ზოგიერთი აგრარული პროდუქტი. დღეისათვის ექსპორტის ძირითად ნაწილს ნედლეული წარმოადგენს. დაბალია ბაზრების დივერსიფიკაციის ტემპი, ხოლო კონკრეტული პროდუქტის და ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები - არადაამაკმაყოფილებელი.


ბოლო წლებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. საწარმოო და სამეურნეო სისტემაში სტაგნაციისა და რღვევის პროცესი გრძელდება. უმრავლეს სამრეწველო საწარმოებში მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი, ინოვაციური პროცესები შეჩერებულია, მაღალია უმუშევრობის დონე, არ არის საწარმოო პოტენციალის ამაღლებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების შემთხვევაში. მოცემულ ეტაპზე რეალურად არ არის ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა, რომელიც მოახდენს მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოებას საქართველოში, ამიტომ მნიშვნელოვანია უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტური განთავსების ორგანიზაცია, ისეთი მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგებში, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ელექტრო-ენერგეტიკული, სატრანსპორტო სექტორი.

ცხრილი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მლნ. აშშ დოლარი

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1 117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014	1 758.4	309.5	196.2	726.0	526.7
2015*	1019.0	175.3	354.7	489.0	

**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის
სექტორების მიხედვით 2015 წლის III კვარტალში**



ნახაზი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით

თუ გადავავლებთ თვალს ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებულ ინვესტიციებს, ქვეყანა მართლაც სტაგნაციის პროცესშია და საჭიროებს ქმედით ღონისძიებებს სახელმწიფოს მხრიდან.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2015 წელს ქვეყანაში შემოსულია სულ 1019.0 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც 739.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია 2014 წელთან შედარებით ანუ აღინიშნება საგრძნობლად მკვეთრი ვარდნა.

აღნიშნულის გამო, მრეწველობის დარგში პირველი რიგის ამოცანაა საწარმოთა ფინანსების განმტკიცება და ამის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების სტაბილიზაცია. ამ პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია საწარმოში ანტიკრიზისული ღონისძიებების ჩატარება. მრეწველობის უმეტეს სექტორებში და განსაკუთრებით სატრანსპორტო-მანქანათმშენებლობის, უნდა განხორციელდეს საინვესტიციო კლიმატის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკანონმდებლო დონეზე სტიმულირება; გადაწყდეს ინვესტორ სახელმწიფოებთან ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ სახელშეკრულებო ბაზის გაფართოების საკითხი; შეიქმნეს საინვესტიციო ფონდები, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი (საფონდო ბირჟები) და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, გრძელვადიანი ლიზინგის გამცემი ორგანიზაციები. საწარმოთა ფინანსური პრობლემების მოგვარების მიზნით განხილულ იქნას ძველი საბიუჯეტო დავალიანებების რესტრუქტურისაციის პირობების ოპტიმიზაციისა და ლიბერალიზაციის საკითხები; შეიქმნას ბიზნეს-რისკების დაზღვევის და გადაზღვევის სისტემა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ყველა სახის რისკ-ფაქტორის გამორიცხვას საწარმოებში.

ლიტერატურა:

- ს. ფეტელავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“. გამომცემლობა „ლოი“, თბ., 2007.
- გ. ტყემელაშვილი, ა. მეზონია, „ეკონომიკური სუბიექტები საქართველოს ტრანსპორტში და მათი ეფექტიანობის ამაღლების გზები“ ქ.სოციალური ეკონომიკა, 2014, №3-4
- Антикризисное управление, Учеб. Пос. т I, отв. Ред. Таль Г. К., М. ИНФРА-М, 2004.
- Е А файншмидт . Антикризисное управление: Учебный курс Москва 2012.
- Авдошина З.А.. Антикризисное управление: сущность, диагностика, методики, 2010 Айдинова А. Т., Головки Е. С. Пути повышения конкурентоспособности предприятий // Молодой ученый., 2015, №12.
- ი. გიგაური, საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობის და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებები. თბ., 2016.

- 7.ე. ბარათაშვილი, ბ. გეგზაია, ვ. ლლონტი, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, „უნივერსალი“, თბ., 2012.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2016.

Ia Goderdzishvili, Tamar Kiladze

Georgian Technical University

ANTI-CRISIS ENTERPRISE MANAGEMENT EFFICIENCY AND PRODUCT COMPETITIVENESS RESUME

Uneven economic development, production and sales of their production volume fluctuations, falling production creates a production crisis. Accordingly, in case of failure to hold sanitation measures for financial provision of the enterprise on time bankruptcy is predicted.

Nowadays, main goal of the enterprises of Georgia is not only liquidation of the bankrupted enterprises, but to manage the crisis in the activity of the enterprises those will be able to be formed under the market principles and included in the system of the native economics. It is necessary to work out and hold complex activities for the enterprises in such crisis circumstances, both by the state legislative regulating bodies and the enterprise managers as well. Solving numerous economic problems of the country mainly depends on the provision of the improvement of the enterprises in crisis and their restructuring. For these purposes, it is necessary first of all to revive priority sectors of the national fields, to raise economic efficiency and competitiveness of the enterprises.

Foreign experience analysis related to the legislative support and bankruptcy of smaller firms show that it is necessary to develop such approaches in Georgia immediately. In this direction it is necessary to implement active scientific and technical and innovative policy within the scope of the enterprise policy of Georgia, frequent monitoring, technical and economic, financial analysis of the enterprise activity should be held and a long-term formation on its basis. Increasing prospects of the competition of their products on the external market should be discussed and evaluated in the exported fields. Herewith, predictions of the market conjuncture on the world market should be stated for this or that product. Success of the firms in respect of the competitors mainly depends on the existing circumstance in the region and the country.

Merab Vanishvili

Gori State Teaching University

THEORETICAL-METHODOLOGICAL BASIS OF THE TIME VALUE OF MONEY IN DEVELOPING COUNTRIES

Keywords: Time value, value of money, inflation, cost of capital, Rate of Inflation, Interest Rates, hard currencies.

Introduction: Time value of money is an economic principal determining future value of currently available money. Despite the fact that present value of available cash is considered more valuable than the same amount in the future, the time value of money could be described as money's potential to grow in value in the future.

Money's value over some period of time could be increased if certain interest rate applies; however inflation and depreciation rates raises concern. Generally, inflation rate as one of the important factors in determining present value of future cash flows has reverse effect on the time value of money.

Plain text: The present or future values of cash flow are calculated using so called discount rate, which also is known as a cost of capital. Thus, discount rate is used to determine present value of future cash flow that is determined by three main factors:

- Rate of Inflation – predicted high inflation rate causes investors to require high rate of return for their investments.

▪ Interest Rates – low interest rates on deposits and high rates on debt securities cause the greater loss of income from interests on future money flows. This becomes ground for investors to demand higher rate of return to their investments.

▪ Risk Premium – greater risk related to future cash flows of an investment, establishes among investors' requirement to compensate additional risk.

Time value of money is widely used tool in financial management to understand economic impact of the time value of cash flows in business decisions. However, in order to calculate time value of money three key principles shall be applied, equations given below:

1. Cost Of Capital:

$$\frac{(\text{Interest Expense} \times (1 - \text{Tax Rate}))}{\text{Amount of Debt} - \text{Debt Acquisition Fees} + \text{Premium on Debt} - \text{Discount on Debt}}$$

2. Present Value Of Cash Flows:

$$PV = \frac{FV}{(1 + r)^n}$$

Whereas, PV stands for Present Value of Cash Flow; FV – Future Value; r – interest rate per time period; n – number of time periods.

3. Future Value Of Cash Flows:

$$FV = P \left(1 + \frac{r}{c}\right)^{n \times c}$$

Whereas, FV – Future Value of Cash Flows; P – Principal; r – interest rate per year; n – number of years; c - number of compounding periods in a year.

Calculation of the time value of money allows defining amount that is needed to invest today to meet certain targets in the future.

Penny Jackson (2012) in OECD's Value For Money and International Development describes value for money (VFM) as a way to keep balance between the "three E" – economy, efficiency and effectiveness:

- Economy: reduce cost of resources;
- Efficiency: minimize input and increase output while keeping same or better quality;
- Effectiveness: successfully achieving the target outcome.

Foreign Direct Investment (FDI) is the major sources of capital inflow, especially, in developing countries. It helps to create jobs, increase disposable income of households, develop market access regulations and modernize technology, achieve fiscal stability, improve social environment and even develop political culture at local market.

Governments of developing countries are using range of financial instruments to attract FDI in to their economy, however at least one of three factors determining discount rate of the cash flow makes negative influence on Government's efforts to attract FDI. Does not matter how attractive financial instruments Governments will deploy, if there is no stable inflation rate and competitive interest rates on credits with considerably low risk premium, not many investors will show willingness to invest in local market. Activities related to attracting investment needs complex approach: Governments of developing countries need to create not only seductive incentives but primarily shall work on stabilizing economic indicators such as purchasing power parity (PPP), GDP per capita stable growth rate, etc.

Consumers in developing countries are usually price sensitive mainly because of limited disposable income. At the same time, corporate consumers are demonstrating concerns on prices on goods and services to gain competitive advantage at local market, so they always take into consideration value analysis when signing important purchase agreements. We conclude that companies in developing as well as in developed markets need to introduce cost-innovation capabilities instead of simply cutting costs for goods or services that may negatively affect quality of company's final products. It is advisable companies to spend resources on research and development (R&D) rather than using simple cost cutting techniques. R&D may bring new competitive advantage to the company because of restructured cost in innovative ways so they can offer customers higher quality products with lower price compared to their direct or indirect competitors.

When investing in R&D, restructuring cost or making any other strategic activities, companies are analyzing time value of money that particularly is sensitive in developing countries.

Not only private but public sector as well is cautious towards the time value of money when developing range of social welfare projects. Small developing countries are not able to fund their social projects based on national output, mostly they rely on foreign direct investment, international financial aid and public debt. Most developing countries have high debt to Gross Domestic Product (GDP) ratio and the ratio is increasing steadily in past decades. Only exceptions are countries who carefully studied time value of money they borrowed and invested in development of national economy along with efficient strategy to attract foreign direct investment; good example of such successful country is Singapore who wisely used every cent they received either from foreign investors, lenders or donors.

Paying back the debt, especially in a strong currency is tough for developing countries whose national production is on low level. In most cases such countries are taking new credits to pay back old ones.

Vanessa Baird (1998) and Wayne Ellwood (1998) describes worldwide debt crisis that started in 1970 by oil exporting countries depositing their access money in international banks with high rankings. Those banks used available long-term deposits to issue credits for large development projects in different parts of the world. As a result, demand on those credits increased and interest rates increased consequently, it was followed up by recession and low commodity

prices that caused size of debts to start growing rapidly. Developing countries taking credits for social programs rather than for development of manufacturing sector are suffering most; after increased interest rates and low level of foreign capital inflow, they ended up by double-digit debt to GDP ratio which in 21st century became usual practice. Most developed or developing countries nowadays have on average 40 percent debt to GDP ratio.

Biggest problem for developing economies is that they have so called *soft currencies* and they are paying back debts in so called *hard currencies*. Such problem is critical in countries that fail in calculations of the time value of money and prioritization of public spending. This is especially hard for small economies whose export volume is on low level and import increases steadily.

Conclusion: Private and especially public sector needs to think for every cent they own today how to best use it today and if not used, carefully calculate what will be the future value of it. Every cent public sector of developing nations are borrowing shall be justified and before taking credits think for answers: (1) Do we really need to fund this social welfare project via debt or we better support development of manufacturing sector? Do we really need to refinance our old debt or we better re-structure our debt? (3) Shall we take new credit to increase public spending or we better cut bureaucracy cost?

REFERENCES:

1. Jackson P.: Value For Money And International Development: Deconstructing Myths To Promote A More Constructive Discussion. OECD Development Cooperation Directorate, 2012, pp. 1-4.
2. Schmidt R.: What You Should Know About The Time Value of Money. Journal "Property Metrics" (2014).
3. Asmundson I., Oner C.: What Is Money? Journal "Finance & Development" (2012), Vol. 49, № 3.
4. Williamson J. P., Zeng M.: Value-for-Money Strategies for Recessionary Times. Journal "Harvard Business Review" (2009).
5. Groff S.: Getting Value for Money: Effective Aid, Effective Development. Global Policy Forum (2011).
6. Brigham E., Houston J. F.: Fundamentals of Financial Management, 1999, pp. 150, 238, 534.

RESUME

In the article, the latest literary sources, the sequencing consistently studied economic theory and economic practice in such an important issue, such as the time value of money, Showing his determination and application features using the developing country preven. The study is particularly relevant to the issue of the Georgia, when in the foreground on the need for coordination of fiscal and monetary political risk.

მერაბ ვანიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ლევან კალატოზიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კონკურენციის დონის შეფასება საქართველოს საბანკო სექტორში

შესავალი: საბანკო ბაზარზე კონკურენცია ატარებს გარკვეულ სპეციფიკურ ნიშნებს, რითაც იგი განსხვავდება სხვა ბაზრებზე არსებული კონკურენციებისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო ბაზარი ოპერირებს ფულით, აბსოლუტური ლიკვიდურობის მქონე საქონლით, რომლის ჩანაცვლება სხვა საქონლით შეუძლებელია. შესაბამისად, ფული არ წარმოადგენს ელასტიკური მოთხოვნის საქონელს. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება დაკავშირებულია საბანკო სექტორში ფინანსური კაპიტალის მობილობასთან. განსხვავებით სხვა სახის კაპიტალისაგან, ფინანსური კაპიტალი უფრო მეტად არის მობილური, ვიდრე ფიზიკური საქონელი, რადგან მას შეუძლია უფრო სწრაფად განერიდოს იმ ქვეყნებს, სადაც მაღალია გადასახადები და მკაცრია საბანკო რეგულირების მექანიზმი.

კვლევის შედეგები: სათანადო კვლევით დადგინდა, რომ საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების მოცულობა (20, 617. 3 მლნ ლარი) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს ქვეყნის მშპ-ის (29,150.5 მლნ ლარი) 70.7%-ს, ხოლო წმინდა სესხების მოცულობა (12, 266. 6 მლნ ლარი) კი – 42,1%-ს. ამასთან, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში როგორც სხვა, ასევე საბანკო ბაზრის კონკურენცია ძირითადად მოექცა 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონის - „კონკურენციის შესახებ“ - ნორმების ფარგლებში [1].

საგულისხმოა, რომ კონკურენციის სააგენტოს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის 17¹ მუხლის მე-4 პუნქტისა და 34-ე მუხლის 6¹ პუნქტის საფუძველზე შემუშავებული და 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან ამოქმედებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“ ატარებს ზოგად ხასიათს და გამოიყენება ყველა ტიპის ბაზრებისათვის [2]. ამასთან, საქართველოში ჯერჯერობით არ გამოიყენება საბანკო ბაზრის კონკურენციის დონის ანალიზის სპეციალური (სპეციფიკური) მეთოდოლოგია. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა იმის დადგენა, თუ რამდენად ზუსტად ასახავს ბაზრის კონცენტრაციის განსაზღვრის მოქმედი საკანონმდებლო წესები საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას.

კონკურენციის სააგენტოს მეთოდური მითითებების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საკრედიტო რესურსების ბაზრის მოცულობა განისაზღვრება „შესაბამის ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო კავშირების საკრედიტო აქტივების ჯამით, ხოლო საბანკო სფეროს მიერ გაწეული მომსახურების შეფასება დგინდება მომსახურების სახეების სფეციფიკურობის გათვალისწინებით“ [2].

საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არის აუცილებელი კომერციული ბანკების კონკურენტი საკრედიტო ბაზრის მონაწილეების (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები, ე.წ. ონლაინ გამსესხებლები და სხვ.) საკრედიტო აქტივების გამორიცხვა საკრედიტო ბაზრიდან, ალბათ, დამატებით არგუმენტირებას არ საჭიროებს. რაც შეეხება საბანკო სფეროს მიერ გაწეული მომსახურების შეფასებას, სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია კონკურენციის სააგენტოს მიდგომა - საბანკო-საკრედიტო აქტივებთან ერთად, შეფასებულ იქნას მათი არასაკრედიტო (არაპროფილური) საქმიანობაც [3].

კონკურენციის სააგენტოს მეთოდური მითითებების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ „საკრედიტო რესურსების ბაზარზე კომერციული ბანკის წილის ოდენობა განისაზღვრება ბანკის აქტივების შეფარდებით ბაზრის მოცულობასთან“ [2]. შესაბამისად, საკრედიტო რესურსების ბაზარზე უნდა შეფასდეს ბანკების აქტივები, რომლებიც ბევრად უფრო ფართო ცნებაა და, საკრედიტო აქტივების გარდა, მოიცავს სხვა სახის აქტივებსაც. ამკარა შინაარსობრივი და ეკონომიკური შეუსაბამობა, შესაძლოა, არის ეკონომიკური ტერმინების აღრევის შედეგი, რაც ასევე მოითხოვს დამატებით განმარტებასა და კორექტირებას.

მეთოდური მითითებების მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრულია მხოლოდ სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონე, რომელიც წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე“ [2]. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ზოგადად, და კონკურენციის სააგენტოს მეთოდურ მითითებებში კერძოდ, „ბაზრის მონოპოლიზაციის“ ცნება ჩანაცვლებულია „ბაზრის კონცენტრაციის“ ცნებით, რომლებიც ეკონომიკური შინაარსით ერთმანეთის იდენტურია. ამიტომ ჩვენს მიერ გამოყენებული იქნება ბაზრის მონოპოლიზაციის ცნება, ვინაიდან იგი, არსებული რეალობიდან გამომდინარე, უფრო ობიექტურად ასახავს საქართველოს ეკონომიკაში არსებულ კონკურენტულ გარემოს.

შესაბამისი სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონის გამოსათვლელად კონკურენციის სააგენტო იყენებს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს [4], რომელიც წარმოადგენილია შემდეგი სახით: $HHI = D_1^2 + D_2^2 + D_3^2 + \dots + D_n^2$, სადაც n არის ბაზარზე საქონლის/მომსახურების მიმწოდებელთა ჩამონათვალი. D_j არის j -ური მიმწოდებლის წილი ბაზარზე, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: $D_j = V_j / V_m$, სადაც V_j არის j -ური მიმწოდებლის საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობა, ხოლო V_m – ბაზრის მთლიანი მოცულობა. ამრიგად, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) არის ბაზრის მონოპოლიზაციის დონის მაჩვენებელი, რომელიც „იანგარიშება როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი“ [2, დანართი №1]. ამ ინდექსს ფართო გამოყენება აქვს აშშ-ში, მაგალითად, ისეთი შემთხვევებისას, როდესაც ფირმები საჭიროებენ ნებართვას შერწყმაზე ან შთანთქმაზე.

ნაშრომში ჩატარებულ იქნა კვლევა, რომელმაც მოიცვა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის განსაზღვრა წმინდა სესხებისა და მთლიანი აქტივების მეთოდების გამოყენებით. კვლევას საფუძვლად დაედო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული საბანკო სექტორის სტატისტიკა. ამასთან, საბანკო სექტორში მიმდინარე ბოლო პერიოდის ტენდენციების გათვალისწინებით, რომელიც ხასიათდება ბანკების შერწყმის

პროცესით, „თიბისი ბანკი“-სა და „ბანკი კონსტანტა“-ს მონაცემები, აგრეთვე, „საქართველოს ბანკის“-სა და „პრივატ ბანკი“-ს მონაცემები გაერთიანებულ იქნა. გაანგარიშებებში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და საბანკო ბაზრის კონცენტრაციის მიღებული დონე აისახა 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1. საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის გაანგარიშება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) საფუძველზე¹

კომერციული ბანკები	წმინდა სესხების მეთოდი		მთლიანი აქტივების მეთოდი	
	D _n	D ² _n	D _n	D ² _n
ბანკი რესპუბლიკა	6%	36	6%	36
თიბისი ბანკი	28%	784	27%	729
საქართველოს ბანკი	35%	1225	36%	1296
ლიბერთი ბანკი	7%	49	8%	64
ბაზის ბანკი	3%	9	1%	1
ვითიბი ბანკი ჯორჯია	5%	25	5%	25
ბანკი ქართუ	4%	16	4%	16
პროკრედიტ ბანკი	7%	49	6%	36
სილკ როუდ ბანკი	0%	0	1%	1
კაპიტალ ბანკი	0%	0	0%	0
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	1%	1	1%	1
ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი	0%	0	0%	0
კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო	0%	0	0%	0
თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი	0%	0	0%	0
პროგრეს ბანკი	0%	0	0%	0
კორ სტანდარტ ბანკი	2%	4%	3%	9
ხალიკ ბანკი საქართველო	1%	1%	1%	1
პაშა ბანკი საქართველო	0%	0%	0%	0
ფინკა ბანკი საქართველო	1%	1%	1%	1
სულ, HHI		HHI=2200		HHI=2216

საგულისხმოა, რომ კონკურენციის სააგენტოს მეთოდური მითითებების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე ბაზრები კონცენტრაციის დონეების მიხედვით ფასდება შემდეგნაირად:

- დაბალკონცენტრირებული - HHI<1250;
- ზომიერად კონცენტრირებული - 1250<HHI<2250;
- მაღალკონცენტრირებული - HHI>2250.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზით მიღებული შედეგის თანახმად, წმინდა სესხების მეთოდით HHI=2200, ხოლო მთლიანი საბანკო აქტივების მეთოდით HHI=2216. შესაბამისად, ორივე მეთოდით შეფასებული საბანკო ბაზარი ზომიერად მონოპოლიზებული ფარგლებშია, თუმცა მისი კონცენტრაცია თითქმის მიღწეულია ზედა კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქით ბაზარი ხდება მაღალმონოპოლიზებული. მომავალში თუ გაგრძელდება კომერციული ბანკების შერწყმის პროცესი, ინდექსი ადვილად გადალახავს 2250 ნიშნულს და გახდება მაღალმონოპოლიზებული.

ჩვენს გაანგარიშებებში ვერ მოხერხდა კომერციული ბანკების არასაკრედიტო საქმიანობის შეფასება სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობის გამო. თუმცა, ექსპერტული შეფასებით, შესაძლებელია დიდი ალბათობით იმის ვარაუდი, რომ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით HHI ინდექსი მაღალკონცენტრირებული ბაზრის ქვედა დონის მაჩვენებელზე ბევრად უფრო მაღალი იქნება.

კონკურენციის დონის განსაზღვრის მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ჰერფინ-დალ-ჰირშმანის ინდექსის მეშვეობით განსაზღვრული ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი კონკურენციის

¹ ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [5] მასალების მიხედვით.

დონის დადგენისათვის ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს. ასე, მაგალითად, *შაფერმა და დისალვომ* გამოავლინეს შემთხვევები, როდესაც ბანკებს გააჩნდათ ბევრად უფრო მაღალი ძალაუფლება, ვიდრე იგი განსაზღვრული იყო საბაზრო სტრუქტურით [6]. გარდა ამისა, *კლავსენსმა და ლივენმა* განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ბანკების მაგალითზე დაადგინეს, რომ რიგი ბანკის ქცევა არის უფრო კუნკურენტუნარიანი, ვიდრე იგი იყო განსაზღვრული ამ ბანკებისათვის დამახასიათებელი საბაზრო სტრუქტურით [7].

რაც შეეხება დომინირებული მდგომარეობას, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით იგი განმარტებულია, როგორც „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია“ [1].

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებით დადგენილია, რომ სასაქონლო ბაზარზე ჯგუფური დომინირების განსაზღვრისას, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში სასაქონლო ბაზრის შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული სხვა ანალოგიური მაჩვენებლები [2].

შესაბამისად, წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მთლიანი აქტივების მეთოდით (Concentration ratio, CR2, CR3, CR5). ამ შემთხვევაში, **1-ელი ცხრილის** მონაცემების მიხედვით, - 2, 3 და 5 წამყვანი ბანკის საბაზრო წილი შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი:

- CR2=63% (საქართველოს ბანკი - 36%, თიბისი ბანკი - 27%);
- CR3=71% (საქართველოს ბანკი - 36%, თიბისი ბანკი - 27%, ლიბერთი ბანკი - 8%);
- CR5=83% (საქართველოს ბანკი - 36%, თიბისი ბანკი - 27%, ლიბერთი ბანკი - 8%, ბანკი

რესპუბლიკა - 6%, პროკრედიტ ბანკი - 6%).

აღნიშნული მეთოდი არის ყველაზე მარტივი იმის გასაგებად, თუ რამდენად არის ბაზარი კონცენტრირებული, რადგან ბაზარს იკვლევს მთლიანი აქტივების მეთოდით და არ გვჭირდება დამატებითი - არასტრუქტურული ინდიკატორების გამოყენება. მაგრამ, აღნიშნულიც ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად საჭიროებს ქართული საბანკო სისტემა კვლევას. აშკარად შეინიშნება ოლიგოპოლიური ბაზრისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელსაც აწესებს თვით კონკურენციის კანონმდებლობა.

საქართველოში კომერციული ბანკების კონკურენტუნარიანობის დასადგენად მნიშვნელოვანია საბანკო რეიტინგების შეფასებების გაცნობა. ამ საქმეში წამყვანი ადგილი ანალიტიკურ საბანკო ჯგუფს Fitch Ratings-ს უკავია, რომელიც მთელ მსოფლიოში ბანკებს საკრედიტო რეიტინგებს ანიჭებს. Fitch Ratings-ის ანალიტიკოსების ჯგუფი საბანკო საქმის დიდი გამოცდილებით უზრუნველყოფს მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების სრულყოფილ, დროულ და გამჭვირვალე შეფასებას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში Fitch Ratings-ი ფართო სპექტრით მუშაობს და ის უკვე 15 წელია ბანკების, არასაფინანსო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიების საერთაშორისო და ეროვნულ საკრედიტო რეიტინგებს ადგენს. Fitch Ratings ემიტენტებს ანიჭებს რეიტინგს D-დან (დეფოლტი-ემიტენტი სრულად გადახდისუუნაროა), AAA-მდე (ემიტენტის გადახდისუუნარიანობის მაღალი ხარისხი). Fitch Ratings-ს რეიტინგები ქართული ბანკებისთვისაც აქვს მინიჭებული. საქართველოს სუვერენული რეიტინგის გაზრდის ფონზე სააგენტომ საქართველოს ბაზარზე მოქმედ ბანკებს ახალი საკრედიტო რეიტინგები დაუდგინა, კერძოდ, სს „საქართველოს ბანკს“, სს „თიბისი ბანკს“, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ და სს „პროკრედიტ ბანკ საქართველოს“ სტაბილური პროგნოზი დაუდგინა. ამასთან, სს „საქართველოს ბანკს“ რეიტინგი „BB“-მდე გაუზარდა, ხოლო „თიბისის“, „პროკრედიტს“ და „ვითიბის“ „BB“ რეიტინგი დაუდგინა.

საბანკო სექტორის მონოპოლიზაციის ხარისხის ანალიზში ფართო გავრცელება ჰპოვა დარგობრივი ბაზრების თეორიაზე დაფუძნებულმა მიდგომამ. საბანკო ბაზარზე კონკურენციის დონის ემპირიული შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრესნაჰანის [8] და ბაროსმოდესტოს [9] მოდელები. აღნიშნული მოდელებით ხდება საბანკო ბაზრის ცალკეულ სეგმენტებს (კრედიტების ბაზარი, დეპოზიტების ბაზარი და სხვ.) შორის კონკურენციის დადგენა.

ბრესნაჰანის მოდელი თავდაპირველად გამოიყენებოდა მხოლოდ რაოდენობრივი ოლიგოპოლიის აღწერისათვის, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა ის, თუ რამდენად უნდა განვიხილოთ საბანკო სექტორი რაოდენობრივ ოლიგოპოლიად. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბანკების მოქმედება უფრო მეტად შეესაბამება ფასობრივ ოლიგოპოლიას. შესაბამისად, ცალკე გამოიყენება ბრესნაჰანის მოდელი რაოდენობრივი და ფასობრივი ოლიგოპოლიისათვის. სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სექტორში ბრესნაჰანის მოდელის გამოყენების შედეგები წარმოდგენილია **მე-2 ცხრილში**.

პორტუგალიელი მკვლევარების ბაროსისა და მოდესტოს მიერ 1999 წელს შემოთავაზებულ იქნა მოდელი, რომელიც საერთო ნიშნებით ბრესნაჰანის მოდელის მსგავსია, მაგრამ სპეციალურად დანიშნულია საბანკო ფირმების ქცევის გამოსაკვლევად. მოცემული მოდელი, ერთი მხრივ, იძლევა საბანკო ქცევის სპეციფიკის გათვალისწინების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, მოცემული მოდელის ნაკლოვანება მდგომარეობს მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის შეზღუდულ შესაძლებლობებში.

ცხრილი 2. ბრესნაჰანის მოდელის გამოყენების შედეგები¹

ავტორები	ქვეყანა	მოდელი	ბაზარი	შედეგები
Biker, Haaf, 2000	9 ქვეყანა 1991-1998 წწ	რაოდენობრივი ოლიგოპოლია	კრედიტების ბაზარი დეპოზიტების ბაზარი	კურნოს ოლიგოპოლია ან სრულყოფილი კონკურენცია
Canhoto, 2004	პორტუგალია 1990-1995 წწ	ფასობრივი ოლიგოპოლია	დეპოზიტების ბაზარი	ბანკების ქცევა ნაკლებ კონკურენტულად, ვიდრე კურნოს ოლიგოპოლიის შემთხვევაში
Spiller, Favaro, 1984	ურუგვაი 1970-1980 წწ	რაოდენობრივი ოლიგოპოლია	კრედიტების ბაზარი	სტეკელბერგის ოლიგოპოლია, სადაც დომინირებული ფირმები იქცევიან როგორც კარტელი ერთმანეთის მიმართ და როგორც ლიდერები დომინირებადი ფირმების მიმართ
Coccorese, 2004	იტალია 1988-2000 წწ	ფასობრივი ოლიგოპოლია	კრედიტების ბაზარი	ბანკების ქცევა უფრო მტად კონკურენტულად, ვიდრე კურნოს ოლიგოპოლიის შემთხვევაში
Gelfand, Spiller, 1985	ურუგვაი 1977-1980 წწ	რაოდენობრივი ოლიგოპოლია	კრედიტების ბაზარი	სრულყოფილი კონკურენციის არარსებობა, ბანკების ერთმანეთისაგან დამოკიდებულება გადაწყვეტილებათა მიღებისას
Gruben, McComb, 2003	მექსიკა 1987-1993 წწ	ფასობრივი ოლიგოპოლია	ბაზარი არ იყოფა	სრულყოფილი კონკურენცია

ბაროსი და მოდესტო განიხილავენ მხოლოდ ორ მკვეთრად ინტერპრეტირებად შემთხვევას: კონკურენციას და სრულყოფილ მონოპოლიას. ამასთან, ნებისმიერი შუალედური შედეგების განხილვისას შესაძლებელია თვითნებობის მეტი ხარისხი. ბაროს-მოდესტოს მოდელის მიხედვით, ძირითადი ყურადღება ექცევა ბანკის მომსახურებაზე მოთხოვნას. მოთხოვნის ფუნქციის პარამეტრები განსაზღვრავს, თუ რამდენად არის ცალკეული საბანკო დარგი მონოპოლიზებული. სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სექტორში ბაროს-მოდესტოს მოდელის გამოყენების შედეგები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3. ბაროს-მოდესტოს მოდელის გამოყენების შედეგები²

ავტორები	ქვეყანა	ბაზარი	შედეგები
Barros, Modesto, 1999	პორტუგალია 1990-1995 წწ	კრედიტების ბაზარი დეპოზიტების ბაზარი	ბაზარზე სიტუაცია უფრო ახლოსაა მონოპოლიასთან, ვიდრე სრულყოფილ კონკურენციასთან
Admiraal, Carree, 2000	რუსეთი 1994-1997 წწ	დეპოზიტების ბაზარი	ბაზარზე სიტუაცია უფრო ახლოსაა მონოპოლიასთან, ვიდრე სრულყოფილ კონკურენციასთან

¹ ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [10, გვ. 17] მასალების მიხედვით.

² ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [10, გვ. 18] მასალების მიხედვით.

ემპირიულ კვლევებში ყველაზე ხშირად გამოყენებული ამგვარი მოდელებიდან შეიძლება გამოიყოს ჯ. პანზარისა და ჯ. როსის მიერ 1987 წელს შემუშავებული მოდელი, რომელიც იწოდება პანზარ-როსის მოდელად და ცნობილია „H-statistic“-ის სახელწოდებით [11].

აღნიშნული მოდელი თავდაპირველად გამოყენებულ იყო მონოპოლიზაციის ხარისხის გასაზომად ეკონომიკის რეალური სექტორის დარგებში, შემდეგ კი ადაპტირებულ იქნა საბანკო სისტემის ანალიზისათვის. პანზარ-როსის მეთოდოლოგიის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საბანკო ფორმების ქცევა შედარებულია რამდენიმე მოდელურ შემთხვევასთან: მონოპოლიასთან, ოლიგოპოლიასთან და სრულყოფილ კონკურენციასთან. შედარება წარმოებს სპეციალურად შემუშავებული პარამეტრის მნიშვნელობათა შედარების საფუძველზე. შედარების საფუძველზე კეთდება დასკვნა იმაზე, თუ მოცემული დარგი რომელ სტრუქტურასთან არის ყველაზე ახლოს.

პანზარ-როსის H-statistic მიდგომით შესაძლებელი ხდება გაზომილ იქნას ფაქტორული ფასების ცვლილების ასახვის დონე ბანკის შემოსავლის ცვლილებაზე. ამისათვის, თავდაპირველად ხდება ბანკის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ელასტიკურობის ეკონომეტრიკული შეფასება შემდეგი სამი ფაქტორის მიხედვით: მოზიდული სახსრების ღირებულება (AFR – Average Funding Rate), შრომითი რესურსების ღირებულება (PPE – Price of Personnel Expenditure) და სხვა ხარჯების ღირებულება (PONILE – Price of Other Non Interest and Labor Expenditure). შემდეგ ხდება შეფასებული ელასტიკურობების დაჯამება და შედეგად მიიღება H-statistic მაჩვენებელი.

პანზარ-როსის თანახმად, რაც უფრო მაღალია შემოსავლების ელასტიკურობა, მით უფრო მეტად არის ბაზარი კონკურენტუნარიანი. შესაბამისად, მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ბაზრისათვის H-statistic არის უარყოფითი $H < 0$, მონოპოლისტური კონკურენციის არსებობისას ეს მაჩვენებელი ვარირებს ნულიდან ერთამდე დიაპაზონში $0 < H < 1$, ხოლო სრულყოფილი კონკურენციისას მაჩვენებელი ერთის ტოლი უნდა იყოს $H = 1$ [12].

H-statistic მოდელი აქტიურად გამოიყენება ემპირიულ კვლევებში, რადგან მას აქვს მთელი რიგი უპირატესობები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზისთვის არაა საჭირო ნაკლებად ხელმისაწვდომი მონაცემების არსებობა სექტორში არსებული ყველა ბანკის მომსახურების ღირებულებაზე. აგრეთვე არ არის საჭირო სტრუქტურული გამრავლებები, რომლებიც ახასიათებს ბანკის საწარმოო ფუნქციას. H-statistic მოდელი ასევე საშუალებას იძლევა შევადაროთ კონკურენცია ბანკების სხვადასხვა სახეობებს (კომერციული და შემნახველი, ადგილობრივი და უცხოური) შორის. სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სექტორში პანზარ-როსის მოდელის გამოყენების შედეგები წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4. პანზარ-როსის მოდელის გამოყენების შედეგები¹

ავტორები	ქვეყანა	შედეგები
Biker, Haaf, 2000	23 ქვეყანა 1991-1998 წწ	მონოპოლისტური კონკურენცია
Biker, Groeneveld, 2000	ევროკავშირის ქვეყნები 1989-1996 წწ	მონოპოლისტური კონკურენცია
Gelos, Roldós, 2002	8 განვითარებადი ქვეყანა 1994-2000 წწ	მონოპოლისტური კონკურენცია
Coccorese, 2004	იტალია 1997-1999 წწ	მონოპოლისტური კონკურენცია
Hondroyannis, Lolos, Papapetrou, 1999	საბერძნეთი 1993-1995 წწ	მონოპოლისტური კონკურენცია
Molyneux, Lloyd-Williams, Thornton, 1994	5 ევროპული ქვეყანა (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი) 1986-1989 წწ	გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი - მონოპოლისტური კონკურენცია; იტალია - მონოპოლია
Shaffer, 2004	აშშ 1984-1994 წწ	მონოპოლისტური კონკურენცია

თანამედროვე მეცნიერები კვლევისას უფრო მეტი პოპულარობით იყენებენ არასტრუქტურულ მოდელებს, რომელიც საშუალებას იძლევა კონკურენცია გავაანალიზოთ ბაზრის მონაწილეების მიერ

¹ ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [10, გვ. 17-18] მასალების მიხედვით.

მომსახურებაზე ფასის წარმოქმნის მეშვეობით. ამ მოდელების უმრავლესობა ეფუძნება მონოპოლიურ ძალაუფლებას, რომლის ცნება შემოღებულ იქნა ა. ლერნერის მიერ 1934 წელს [13]. არასტრუქტურული მოდელები ძირითადად ეყრდნობა წონასწორობითი ბაზრის სტატისტიკურ თეორიას, სადაც ფირმების მიერ ფასის დადგენა ხდება ხარჯების საფუძველზე (mark-up pricing).

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოში ჩატარებული კვლევა [14], რომელშიც შესწავლილია საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის კომპონენტები, გაკეთებულია საბანკო სისტემაში კონკურენციის ამსახველი სხვადასხვა ფაქტის საერთაშორისო ჭრილში წარმოდგენის მცდელობა, გამოკვეთილია სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირების გზები, რომელთა განხორციელებას, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდეს.

საბანკო ინდუსტრიაში მოთამაშეების სტრატეგიული ქცევის კონკურენტულობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა პანზარ-როსის მოდელი, რომელიც კონკურენციის დონეს აფასებს H-statistic-ის მეშვეობით. მოდელი აჩვენებს, თუ როგორ ხსნის საპროცენტო შემოსავლების ელასტიკურობა ხარჯების ცვლილების მიმართ საბანკო სექტორის კონკურენციის დონეს.

საქართველოს ფაქტობრივი მონაცემებით, 2006 წლიდან 2012 წლამდე საშუალო H-statistic არის 0,687 (ცხრილი 5), რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საბანკო ბაზარზე, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, მონოპოლისტური კონკურენცია მოქმედებს.

ცხრილი 5. საქართველოს საბანკო სისტემაში H-statistic-ის მნიშვნელობა წლების მიხედვით

პერიოდი	H სტატისტიკა
2006-2007	0.874
2007-2008	0.849
2008-2009	0.544
2009-2010	0.566
2010-2011	0.745
2011-2012	0.543
საშუალო	0,687

ქართულ საბანკო სისტემაში მაღალ კონკურენციაზე არაერთი ფაქტი მიუთითებს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

(1) საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მაღალია მნიშვნელოვანი პერსონალის (key personnel) ხელფასები (აქ სახელფასე ხარჯის წილი მთლიანი საოპერაციო ხარჯების 50,3 %-ია, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ევროპაში საშუალოდ შეადგენს 35,3 %-ს, შუა აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში კი - 28,9 %-ს).

(2) საქართველოში მაღალია ბანკომატებისა და ფილიალების რაოდენობა. ცენტრალურ ქუჩებზე ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული ბევრი ბანკის ფილიალი. ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებშიც კი გვხვდება ერთდროულად რამდენიმე ბანკის ფილიალი და ბანკომატი. აღსანიშნავია ფილიალების ვიზუალური მხარე და სერვისი, რაც განვითარების მიხედვით, მსგავს ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია.

(3) ფილიალებით ყველაზე მსხვილი ბანკის 197 ფილიალიდან მინიმუმ 149 ფეხით სავალ მანძილზე მდებარეობს 3 შედარებული კონკურენტიდან მინიმუმ ერთ-ერთი ბანკის ფილიალი.

(4) ერთსა და იმავე სავაჭრო ობიექტში ხშირად გვხვდება რამდენიმე ბანკის ელექტრონული გადახდის (POS) ტერმინალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კლიენტის ექსკლუზიურ (კარტელურ) მომსახურებაზე ბანკებს შორის შეთანხმება არ არის.

(5) საქართველოს საბანკო სისტემაში წარმოდგენილია მსოფლიოში ბევრი კარგად ცნობილი ბანკი თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ქართული ბანკების კაპიტალის 86 პროცენტის მფლობელები უცხოელი ინვესტორები არიან. ხშირ შემთხვევაში მსხვილი სესხები გაიცემა მშობელი კომპანიების გარანტიებით და ზოგჯერ სრულად თუ ნაწილობრივ მათ მიერ ფინანსდება.

(6) საკმაოდ ხშირია კონკურენტი ბანკების მიერ სხვა ბანკებიდან კლიენტების გადმობირების ფაქტები სესხების რეფინანსირების გზით. ეს ფაქტორი კიდევ უფრო გამწვავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინსწრებით დაფარვის საკომისიოს 2 პროცენტთან ზედა ზღვრის დაწესების შემდეგ. ეს თვალშისაცემია გამძაფრებული სარეკლამო კამპანიებითაც (სესხების პორტირება, 3 თვის პროცენტი საჩუქრად და სხვა).

(7) კონკურენციას ხელს უწყობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი, რითაც შესაძლებელი გახდა სესხისა და დეპოზიტის რეალური (ეფექტური) საპროცენტო განაკვეთის სხვადასხვა ბანკებში შედარება.

(8) კონკურენციის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს სინდიცირებული სესხების თითქმის არ არსებობაც, რაც საკმაოდ ხშირია სხვა ქვეყნებში.

(9) სწორედ კონკურენცია იწვევს მარკეტინგის მაღალ ხარჯებს, რაც ასევე თვალში საცემია ჩვეულებრივი მოქალაქისათვის. ამ ხარჯებმა 2012 წელს გადასახადებამდე წმინდა მოგების 9 პროცენტს, ხოლო მთლიანი შემოსავლების თითქმის 3 პროცენტს მიაღწია. ეს მაჩვენებელი შესაბამისობაშია აშშ-ს საბანკო სისტემის ანალოგიურ მაჩვენებელთან.

(10) ბოლო 10 წლის განმავლობაში საშუალო ამონაგები კაპიტალზე საქართველოს საბანკო სექტორში მხოლოდ 8 %-ია. ეს საკმაოდ ჩამოუვარდება დეპოზიტის განაკვეთსაც კი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბანკები შეზღუდულნი არიან კონკურენციით და ფინანსურად გამართლებულ მოგებაზე ბევრად ნაკლებს იღებენ.

დასკვნა: ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის დაკრედიტების საკმაოდ დაბალი დონის მიუხედავად, სესხის მომსახურების ტვირთი თითოეულ მსესხებელზე საკმაოდ მძიმეა, რასაც მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მოკლე ვადიანობები განაპირობებს. ყოველივე ეს კი, სესხის ყოველთვიურ შენატანს ზრდის. ვადიანობის ზრდა, მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში აზრს კარგავს, რადგან ვადიანობის მიუხედავად ყოველთვიურ შენატანში დიდია და არ იცვლება პროცენტის წილი, ხოლო ძირითადი თანხა უმნიშვნელოდ მცირდება. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შემცირება სასურველია არა მარტო საერთო ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ აუცილებელი წინაპირობაა თვით ბანკების შემდგომი ზრდის მისაღწევად.

საპროცენტო განაკვეთების შემცირების ყველაზე პრიორიტეტულ და რეალურ მიმართულებებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი: (ა) *საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება*, ერთი მხრივ, საბანკო სისტემის მასშტაბის ზრდით იქნება მიღწეული, ხოლო მეორე მხრივ, შიდა სის-ტემების ოპტიმიზაციით, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით არის შესაძლებელი. ეფექტიანობის გაუმჯობესებას ასევე ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაცია. თუმცა, ეს არ უნდა ასოცირდებოდეს კონკურენციის შეზღუდვასთან. პირიქით, კონსოლიდაცია გაზრდის ეფექტიანობას, წარმოშობს ბაზრის ახალ ძლიერ მოთამაშეებს, შეამცირებს ბანკების ხარჯებს, რაც, საბოლოო ჯამში, სასესხო განაკვეთის კლებაში აისახება და მოსახლეობას სესხის მომსახურების ტვირთს შეუმსუბუქებს; (ბ) *ვალდებულებების ხარჯის შემცირება*. ეს უკანასკნელი ბუნებრივად მოხდება ქვეყანაში დანაზოგების დონის ზრდით, რაშიც დიდ წვლილს შეიტანს საპენსიო რეფორმის განხორციელებაც. ქვეყნის რისკის შემცირება და საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი რესურსის გაიაფებას; (გ) საქართველოში მაღალია საკრედიტო რისკებიდან გამომდინარე, რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერება ბანკების მხრიდან რაციონალური და მოსალოდნელი ნაბიჯია. რისკების მართვის განვითარების წასახალისებლად აქტიურად მუშაობს სეპ-იგ, რაც, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების მზარდი გამოყენებით გამოიხატება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 „კონკურენციის შესახებ“: <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/4df7243daab340a1ae38b5893424.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
2. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
3. კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა: <http://csogeorgia.org/news/9855/geo>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
4. Hirschman A. O., National power and the structure of foreign trade Expanded, writtend in 1945, published by University of California Press, Berkeley, USA, 1980.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი/კომერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლები: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
6. Shaffer S., DiSalvo J. Comduct in a Banking Doupoly, Journal of Bankinf and Finance, N18, 1994, pp. 1063-1082.
7. Claessens S., Leaven L., Financial Dependence, Banking Sector Competition and Economic Growth, Journal of the European Economic Association, N1, 2005, pp. 179-207.
8. Bresnahan, T.F. „The Oligopoly Solution Concept is Identified“, Economic Letters, vol. 10, 1982.
9. Barros F., Modesto L. „Portuguese banking sector: a mixed oligopoly?“ International Journal of Industrial Organization, 17, 1999.

10. Дробышевский С., Пашенко С. Анализ конкуренции в российском банковском секторе / С. Дробышевский, С. Пашенко. - Москва: ИЭПП, 2006: http://www.iepp.ru/files/text/working_papers/96.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
11. Rosse J., Panzaar j., Chamberlin vs Robinson: an empirical study for monopoly rents, Bell Laboratories Economic Discussion Paper, 1987.
12. Panzar J., Rosse j., Testing for „Monopoly“ equilibrium, Journal of Industrial Economics, N35, 1987, pp. 443-456.
13. Lerner, Abba P., The Concept of Monopoly and the Measurement of Monopoly, Review of Economic Studies, N1, 1934, pp. 157-175.
14. ლეჟავა პ. ფასწარმოქმნა სესხებზე და კონკურენცია საქართველოს საბანკო სექტორში. - ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2013. ტომი I, N1, გვ. 31-40: https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_1/lejava.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.

Merab Vanishvili

Gori State Teaching University

Levan Kalatozishvili

Georgian Technical University

**ASSESSING THE LEVEL OF COMPETITION IN THE GEORGIAN BANKING SECTOR
RESUME**

In the article, the latest literary sources and rich factual materials, is consistently analyzed and assessed the level of competition in the banking sector.

It is concluded that the Georgian economy has a low level of debt servicing burden of each borrower is too hard, leading to higher interest rates and shorter maturities determined. Accordingly, the reduction of interest rates is desirable not only for the overall economic development, but also a necessary prerequisite for the further growth of banks.

*ნინო ვანიშვილი, ლევან კალატოზიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა საქართველოში

შესავალი: ქვეყნის საბანკო სისტემის რეფორმირების ამოცანები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეფექტიანობის გაზრდაზე. საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა კი პირდაპირ უკავშირდება კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწას.

სამწუხაროდ, ზოგადად, პოლიტიკური სისტემა ზემოქმედებს კონკურენციაზე, ხშირად ნებისმიერი ინიციატივის წინააღმდეგა და, ა. სმიტის „უხილავი ხელი“-საგან განსხვავებით, სწორედ სახელისუფლო ვერტიკალი არის ერთდროულად უხილავი და ხილული ხელი, რომელიც განსაზღვრავს ბაზარზე მონაწილეთა ქცევის წესს, მონაწილეთა რაოდენობას, ფასს და მოგების მარჟასაც კი. პირობითად, ეს არის მართვადი კონკურენცია, თავისი მონოპოლიებითა და კარტელური შეთანხმებებით.

ფინანსური სექტორი მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე რეგულირებადი სექტორია. მისი რეგულირების ინსტრუმენტების შესახებ ჩამოყალიბებული საერთო ხედვა ასახულია ბაზელის კომიტეტისა და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს დოკუმენტებში, ასევე ევროდირექტივებში, სადაც მოცემულია ის ძირითადი მიდგომები, რომლებიც ფინანსური ბაზრების რეგულირებისას უნდა იქნას გამოყენებული. თუმცა, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ინსტიტუციური სტრუქტურა არის საჭირო

აღნიშნული რეგულირების განხორციელებისათვის, ნაკლებად განიხილება. ასე, მაგალითად, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზების აღწერისას და მათი დაძლევის მიზნით შედგენილ ცნობილ ანგარიშებშიც კი არ არის გაანალიზებული, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური მიდგომა ფინანსური ზედამხედველობისადმი. და ეს მაშინ, როდესაც ეფექტური ზედამხედველობა რეგულირების ინსტრუმენტების დანერგვის აუცილებელი პირობაა, რომლის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი მისი ინსტიტუციური მოწყობაა.

ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური მოთხოვნები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საბანკო კონკურენციის რეგულირებაზე. ამასთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, გარკვეული ამოცანები დგება საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე, მისი მარეგულირებელი და საზედამხედველო როლის გააქტიურების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგები: სათანადო კვლევებით დადგენილი და სამეურნეო ცხოვრებით დადასტურებულია, რომ ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა ეყრდნობა საბანკო საქმისა და ზედამხედველობის მარეგულირებელ კანონმდებლობას, საკუთრივ ზედამხედველობის რეჟიმს, შესაბამის სამართლებრივ გარემოსა და აღრიცხვის მეთოდებს [1, გვ. 21]. ამასთან, საგულისხმოა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კომერციული ბანკი განისაზღვრება, როგორც ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი მეშვეობით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას [2].

კანონით დადგენილი დებულებების თანახმად, საბანკო საქმიანობის ლიცენზირების პროცედურა უნდა იყოს მკაცრი და ზედმიწევნით დაცული. ამასთან, საბანკო საქმიანობის ლიცენზირების, მისი გაუქმების ან შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.

ქვეყანაში დღეს არსებული ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო ბაზა მთლიანად მორგებულია ამ ბაზრის ერთი მონაწილის ინტერესებზე და მეორე მხარე სრულად არის იგნორირებული. არადა, ბანკებს საკუთარი საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას აქვთ ელემენტარული ვალდებულება, რომ ერთმანეთისგან განასხვავონ ორი მარტივი ეკონომიკური ტერმინი, - მოთხოვნა და მოთხოვნილება. ბანკები სარგებლობენ ეკონომიკაში არსებული ფინანსური შიმშილით, ანუ მოთხოვნილებით და გასცემენ მაღალრისკიან კრედიტებს. ამ სესხების დიდი ნაწილი პრობლემდება, თუმცა, საბოლოო ჯამში, ბანკები ამ კრედიტებს მაინც იღებენ. მათ, რეალურად, გაცემული კრედიტის ამოღების პრობლემა არ აქვთ, ვინაიდან როგორც სამართლებრივად, ისე კვალიფიკაციის კუთხით, ისინი კლიენტებთან შედარებით გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან.

ამ ფონზე, ვფიქრობთ, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა შეძლოს ისეთი რეგულაციების შემოტანა, რომ სამომხმარებლო კრედიტების რისკების დონე შემცირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, - უნდა შეიზღუდოს. რეალურად, სამომხმარებლო სესხებს დადებითი ეფექტი ეკონომიკის განვითარებაში არ აქვთ, გამომდინარე იქიდან, რომ ამ კრედიტებით ფინანსდება იმპორტი, ეს ფული ქვეყნიდან გადის და ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წარმოების წახალისებას ხმარდება.

ქვეყნის საბანკო სექტორში კონკურენციის გაზრდის მიზნით, საკანონმდებლო ხელისუფლებამ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მიმართულებით. როგორც პრაქტიკა მოწმობს, კომერციული ბანკების მდგრადობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, საბანკო საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და, მეორე მხრივ, მიღებული კანონების უმოქმედობა. ეს ეხება როგორც საგადასახადო კანონმდებლობას, ასევე კანონს გავტრების შესახებ, ანტიმონოპოლიურ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენციაში გამარჯვებული უნდა გამოდიოდეს ის ეკონომიკური აგენტი (ბანკი), რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) ფინანსურ მომსახურებას მომხმარებლისთვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას აღნიშნული წესების არად ჩაგდებისა და მათი გვერდის ავლის ცდუნება.

კონკურენციაში „არბიტრის“ ფუნქციას თავისი არჩევანით, როგორც წესი, მომხმარებელი ასრულებს. მაგრამ, საბაზრო სიტუაციის გართულების გამო, იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს ამ როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ საბაზრო „თამაშის წესებს“. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის, არამედ, საერთოდ, მთელი საზოგადოების ინტერესებს და, საზოგადოდ, პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობებით და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით, ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება: მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად; ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს; მატერიალურ ზიანს აყენებს (ან შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს ან ჩრდილში აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს კონკურენციული კანონმდებლობა. ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 21 მარტის №2159 კანონის მე-11³ მუხლის 1-ლი პუნქტით „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია“, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი „არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს“, კერძოდ:

- კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან ამკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;
- ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;
- ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;
- კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;
- სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;
- შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულვებელყოფით იმოქმედოს;
- ბოიკოტისაკენ მოწოდება [3, მუხლი 11³].

ჩვენი აზრით, ბუნებრივი და სასურველია ამ ნუსხის მაქსიმალურად გაფართოება და სრულყოფა, რათა კონკურენციის დამცველ და სასამართლო ორგანოებს ჰქონდეთ შესაბამის სამართალდარღვევებზე ადეკვატური და ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთისა და რეგულირების პრობლემატიკის უფრო სრულად მოცვის მიზნით, დროულად უნდა გადამუშავდეს არსებული კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება და მაქსიმალურად დაუახლოვდეს იგი ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობას და ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს კონკურენციის სფეროში. ამასთან ერთად, საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ შესატანია ცვლილება და მას უნდა დაემატოს ერთი თავი, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ბანკს გარკვეულად ვალდებულს გახდის დაარეგულიროს და ხელი შეუწყოს საბანკო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ბანკების ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს უშლის ისეთი ნორმატიული აქტების არარსებობა, როგორცაა, მაგალითად, იპოთეკის მარეგულირებელი კანონი. საბანკო საქმიანობაში იპოთეკის გამოყენებას კი, ჩვენი აზრით, ხელს უშლის უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის კანონის არარსებობა, აღსანიშნავია ასევე დეპოზიტების დაზღვევის კანონმდებლობის და საბანკო სფეროში ანტიმონოპოლიური საქმიანობის კანონმდებლობის არარსებობა. ამიტომ აუცილებელია ამ კანონების დამუშავებისა და პარლამენტის მიერ მათი მიღების პროცესის დაჩქარება.

ამასთან, საკანონმდებლო აქტების ნაკლოვანებებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სხვადასხვა აქტებში არსებული ურთიერთგამომრიცხავი დებულებებიც. ეს, უმეტესწილად, ეხება საგადასახადო კანონმდებლობას. გარდა ამისა, მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში განზოგადებული არ არის გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხები, რაც საგადასახადო სამსახურს

საშუალებას აძლევს, ეს გაურკვეველობა თავის სასარგებლოდ, გადასახადის გადამხდელის ინტერესების საზიანოდ გამოიყენოს, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობა აფერხებს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემას. რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, ის ძირითადად, მოკლევადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული, და ამიტომ რაიმე მნიშვნელოვანი ეფექტის მიღება მისგან, ეკონომიკის აღმავლობის თვალსაზრისით, შეუძლებელია.

კომერციულ ბანკებს არ შეუძლიათ რეალური სექტორის დაკრედიტების გაფართოება, თუ იგი სახელმწიფო სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნისას მათი ინტერესების დაცვას არ უზრუნველყოფს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ სახელმწიფო კრედიტორთა უფლებების დაცვის ინსტიტუტებს არ შექმნის, რეალური სექტორის დაკრედიტების სტიმულირებისაკენ მიმართულ არანაირ სპეციალურ ღონისძიებას სათანადო ეფექტი არ ექნება.

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, უნდა ვეძებოთ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერას. კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევა მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს საბანკო რისკების ოპტიმალურ მართვას, რაც, საბოლოო ჯამში, ბანკებს გაკოტრებისაგან და საბანკო სისტემას კრიზისისაგან დაიცავს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ანაბრების დაცვის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ემუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საშუალება, რომელიც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში, მეანაბრების თანხების გასტუმრებას ითვალისწინებს [2, მუხლი 37].

სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, აღნიშნული მოთხოვნების შესრულება, ფაქტობრივად, გართულებულია, ვინაიდან მეანაბრებმა, ვერ დაიბრუნეს თავიანთი სახსრები, რაც საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობას კიდევ უფრო აქვეითებს. ამიტომ მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების პირობებში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის, რომ მოსახლეობის ანაბრების (დანაზოგების) დაცვის უზრუნველყოფა, ბანკების გაკოტრებისას წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირება შეუძლებელია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის გარეშე.

ამდენად, საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება, მისი ამოქმედება სტრატეგიულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით, გადაუდებლად მიგვაჩნია საქართველოს კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონის და მისი ამოქმედების მექანიზმების დამუშავება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მარტო კომერციული ბანკებისა და მთელი საბანკო სისტემისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

საზედამხედველო სისტემის ინსტიტუციური მოწყობა მსოფლიოს გარშემო დინამიურ ცვლილებებს განიცდის. კერძოდ, ერთ დროს ფართოდ გავრცელებული კლასიკური მოდელი, სადაც საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების სექტორების ზედამხედველობა განცალკევებული იყო, დღეს უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკი აწარმოებს გამოკითხვას 100-მდე ქვეყნის ფინანსური ზედამხედველობის სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ [4]. აღნიშნულ მონაცემებში არის ინფორმაცია ინსტიტუციურ მოწყობაზე, რომლის თანახმადაც სახეზე გვაქვს ფინანსური ზედამხედველობის ინტეგრირების მნიშვნელოვანი ტენდენცია. ადგილი აქვს როგორც ზედამხედველობის, ისე მომხმარებელთა დაცვის ინტეგრირებას.

ფინანსური ზედამხედველობის ინსტიტუციური მოწყობის მრავალი მოდელი არსებობს, რომელთაგან, ზოგადად, შესაძლებელია გამოიყოს ოთხი ძირითადი მოდელი: (1) ინსტიტუციური, (2) ფუნქციური, (3) ინტეგრირებული და (4) ტყუპი პიკის.

ინსტიტუციური მიდგომით, ზედამხედველობის დაყოფას განსაზღვრავს რეგულირების ქვეშ მყოფი ინსტიტუტის იურიდიული სტატუსი. ამგვარი მიდგომის გამოყენების მაგალითს ჩინეთი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ფინანსური სექტორის ზედამხედველობა მთლიანად ცენტრალური ბანკის მიერ ხორციელდებოდა, დღეს სადაზღვევო, ფასიანი ქაღალდებისა და საბანკო სექტორების ზედამხედველობა სხვადასხვა სააგენტოების მიერ ხორციელდება. საყურადღებოა, რომ ფინანსური სიღრმის დაბალი დონის მიუხედავად, ჩინეთის რეფორმა არსებული ტენდენციების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს, რადგან სექტორებს შორის მზარდი კავშირი სააგენტოებს შორის კოორდინირების აუცილებლობას იწვევს. ასევე აღსანიშნავია, რომ რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების ინტეგრაციის კვალდაკვალ ზედამხედველობის კოორდინირების პრობლემა გარკვეული

წინააღმდეგობების შემცველია, თუმცა, ჩინეთისათვის სააგენტოებს შორის კოორდინირება ამ ეტაპზე პრობლემას არ წარმოადგენს [5].

ფუნქციური მიდგომით, ფინანსური ზედამხედველობის რეგულირება განისაზღვრება არა ინსტიტუტის იურიდიული სტატუსით, არამედ მისი საქმიანობით. აღსანიშნავია, რომ ფუნქციური მიდგომა საკმაოდ წააგავს ინსტიტუციურ მიდგომას, რის გამოც ხშირად მას ცალკე არ გამოყოფენ და ინსტიტუციურ მიდგომასთან ერთად განიხილავენ [6, 7]. ფუნქციური მიდგომის გამოყენების მაგალითია იტალია. აქ ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელია ზოგადად, სისტემურ სტაბილურობასა და საბანკო სექტორის მაკროპრუდენციულ რეგულირებაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საინვესტიციო და აუდიტორული საქმიანობის რეგულირებას ცალკე სააგენტო ახორციელებს (CONSOB). ასევე, ცალკე ზედამხედველი ჰყავს სადაზღვევო საქმიანობას (ISVAP) და საპენსიო ფონდებს (COVIP). აღნიშნული ორგანიზაციების კოორდინირების მიზნით შექმნილია ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი. თუმცა, ეს კომიტეტი ნებაყოფლობითია და მას საკანონმდებლო საფუძველი არ გააჩნია.

ინტეგრირებულ მიდგომაში მოიაზრება უნივერსალური ზედამხედველი, რომელიც მთლიანად ფინანსური სისტემის უსაფრთხოებაზე და ფინანსური პროდუქტების მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ზრუნავს. ინტეგრირებული ზედამხედველის გამოყენების მაგალითია გერმანია. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ ბანკს (Bundes-bank) გააჩნია მნიშვნელოვანი საზედამხედველო ფუნქციები, ბაფინი (BaFin) წარმოადგენს საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების სექტორების ზედამხედველს. საზედამხედველო ფუნქციების კოორდინირებას და ცენტრალური ბანკის ჩართულობას სწორედ ბაფინი განსაზღვრავს.

ტყუპი პიკის (Twin Peaks) მიდგომა ერთმანეთისაგან აცალკევებს ფინანსური სტაბილურობის ფუნქციასა და მომხმარებელთა დაცვის ფუნქციას. ამგვარი მიდგომის გამოყენების მაგალითია ავსტრალია. ამ ქვეყნის ფინანსური ზედამხედველობა ზრუნავს ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საკრედიტო კავშირების და საპენსიო ფონდების ფინანსურ მდგომარეობაზე. მომხმარებელთა უფლებების დაცვა მთლიან საფინანსო სექტორში ევალება ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისიას (ASIC). ცენტრალური ბანკი ზრუნავს მთლიანი საფინანსო სისტემის სტაბილურობაზე და შეუძლია ბოლო ინსტანციის სესხის ინსტრუმენტის გამოყენება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისი, სადაც ფუნქციონირებდა ინტეგრირებული ზედამხედველობის სისტემა, 2012 წელს ტყუპი პიკის მოდელზე გადავიდა. საინტერესოა, რომ ავსტრალიისაგან განსხვავებით ცალკე მდგომი ზედამხედველი (FSA) ცენტრალურ ბანკთან იმ მოტივით გაერთიანდა, რომ მიკრო- და მაკროპრუდენციული რეგულირების ინტეგრირება უკეთესად მომხდარიყო. ზედამხედველთან ინტეგრირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტო (FCA) კი ცალკე გამოიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ზედამხედველობის მთავარი მიზანი მიკროპრუდენციულია, რეალურად მისი გამოცალკევება მაკროპრუდენციული და ფინანსური სტაბილურობის საკითხებიდან, რომელიც, ჩვეულებრივ, ცენტრალური ბანკის პრეროგატივაა, ძალიან რთულია. ბევრ ზედამხედველს, ოფიციალურად განსაზღვრულ მიზნებში პირდაპირ უწერია, რომ მისი მთავარი მიზანი სისტემის, და არა ცალკეული ბანკის, სტაბილურობის შენარჩუნებაა. ამას ემატება ბოლო პერიოდში გაძლიერებული დებატები და რეფორმების ტენდენცია მაკრო- და მიკროპრუდენციული რეგულირების ინტეგრირების თაობაზე. მაგალითად, ბაზელ III-ის ფორმატში კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩო, რომელიც მიკრორეგულირებაზეა გათვლილი, პირდაპირ შეიცავს კაპიტალის მოთხოვნას ბიზნეს ციკლის საწინააღმდეგო ბუფერის შესაქმნელად, რაც თავისთავად მაკროპრუდენციული რეგულირების საგანია.

მაკროპრუდენციული მიდგომის ეფექტიანი განხორციელება ფინანსური ზედამხედველობისა და ცენტრალური ბანკის კოორდინირებულ ქმედებაზეა დამოკიდებული. ამ პრობლემის მნიშვნელობის კარგი მაგალითია ლატვიის გამოცდილება, სადაც ფინანსურმა კრიზისმა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგი გამოიღო, რასაც მოჰყვა მშპ-ს მეოთხედის დაკარგვა [8]. ქვეყნის ფინანსური ზედამხედველობის უწყებასა და ცენტრალურ ბანკს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ უძრავი ქონების ფასების ზრდასთან დაკავშირებით. ლატვიის საფინანსო ზედამხედველობის უწყების 2006 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „მთლიანობაში უძრავი ქონების სექტორზე გაცემული საკრედიტო პორტფელის ხარისხი და ამ პორტფელის საკრედიტო რისკების მართვა შეფასდა, როგორც დამაკმაყოფილებელი“ [9, გვ. 4], მაშინ როდესაც, იმავე პერიოდის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში ლატვიის ცენტრალური ბანკი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საჭიროა საბანკო სექტორის მიერ რისკის მართვის პოლიტიკის ღრმად შესწავლა და გაუმჯობესება, განსაკუთრებით უძრავი ქონების ბაზარზე მაღალი დამოკიდებულების ფონზე [10].

ამდენად, საზედამხედველო სტრუქტურის ეფექტურობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული საჯარო სექტორის ზოგად ხარისხზე, ზედამხედველობის ეფექტურობა ადამიანური კაპიტალის ხარისხის მიმართ

მალზე მგრძობიარეა. სწორმა საზედამხედველო პოლიტიკამ შესაძლებელია დაჩრდილოს სტრუქტურის ესა თუ ის ნაკლოვანებანი და, პირიქით.

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ინსტიტუციური და სტრუქტურული მოწყობის სისუსტე მოითხოვს საბანკო სისტემის ფუნქციონირებაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ შემცირდეს სისტემური რისკი და უზრუნველყოფილ იქნას საბანკო სისტემის სტაბილურობა.

როგორც ცნობილია, 2008 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ჩამოერთვა, კერძოდ საბანკო და არასაბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტები საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს სახით გამოიყო. საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნული ბანკისთვის ჩამორთმევა, კომერციულ ბანკებზე უკანონო ზეწოლასთან დაკავშირებით, არაერთ კითხვას აჩენდა. ამიტომ ზემოაღნიშნული დეპარტამენტები 2009 წელს ისევ შეუერთდა ეროვნულ ბანკს და ამით, ვფიქრობთ, დაშვებული შეცდომა გამოსწორდა [11].

2015 წლის 1 ივლისიდან ეროვნული ბანკის კანონში შესული ცვლილებების თანახმად, ეროვნულ ბანკს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია გამოეყო და ჩამოყალიბდა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო. აღნიშნულმა ცვლილებამ საქართველოში საკმაოდ სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია. თავდაპირველად პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ ვეტო 81 ხმით დაძლია, რის შემდეგაც პრეზიდენტმა კანონპროექტს ხელი მოაწერა და სააგენტო უფლებამოსილი გახდა.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თხოვნის გათვალისწინებით, სააგენტოს მუშაობის გარდამავალი პერიოდი, რაც სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ერთობლივ მუშაობას მოიაზრებს, 4 თვით განისაზღვრა. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭო მალევე დაკომპლექტდა შვიდი წევრით, დაინიშნა საბჭოს ხელმძღვანელი და ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი. 10 ოქტომბერს, დახურულ რეჟიმში გაიმართა საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც საორგანიზაციო საკითხები იქნა განხილული, თუმცა, 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა ახალი საბჭოს მუშაობა და დაადგინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე „ზედამხედველობის სააგენტოს“ ფუნქციებს შეასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როგორი იქნება სააგენტოს სამომავლო პერსპექტივა [12].

ამასთან, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიღებისას არ იყო გათვალისწინებული საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო პრაქტიკის ის მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ გამოიკვეთა, როდესაც ცხადი გახდა საბანკო ზედამხედველობის ცენტრალური ბანკებისგან გამოყოფის მანამდე გავრცელებული პრაქტიკის სისუსტეები. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ ევროპის ცენტრალურ ბანკს დაემატა საბანკო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია, ხოლო ინგლისის ბანკში, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ბანკია, კვლავ მოხდა მონეტარული ფუნქციების და ფინანსური ზედამხედველობის გაერთიანება.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ცვლილებას მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნია. კერძოდ, გაუგებარია, როგორ შეიძლება ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა საბანკო ზედამხედველობის გარეშე, ვინაიდან საბანკო ზედამხედველობა მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის, გარე შემოწმების, აქტივების კლასიფიკაციის, საოპერაციო რისკების მართვის და სარეზერვო მოთხოვნების საკითხებს და სხვა, რაც პირდაპირ განაპირობებს ფინანსური სექტორის სტაბილურობას.

საგულისხმოა, რომ მოქმედი სისტემით, ეროვნული ბანკის მმართველი ორგანოს წევრები განეკუთვნებიან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირის კატეგორიას და ვალდებულნი არიან შეასრულონ ამ კანონით დაკისრებული ვალდებულებები, მათ შორის ყოველწლიურად წარადგინონ ქონებრივი დეკლარაციები. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კი შესაძლებელია დადგეს ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს გამჭვირვალობაზე, კორუფციული რისკებისაგან და ინტერესთა კონფლიქტისაკან კანონისმიერი გარანტიების დაცვაზე. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ეროვნული ბანკის კანონში შესული ცვლილებებით, არაფერია ნათქვამი სააგენტოს საბჭოს წევრთა თუ სააგენტოს უფროსის ვალდებულებაზე წარმოადგინოს დეკლარაცია, თუ დაემორჩილოს აღნიშნული კანონის მოთხოვნებს [13, გვ. 6].

ხაზგასასმელია ისიც, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას და დღის წესრიგს, რომელიც წარმოადგენს 2014-2016 წლებში საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი მუშაობისათვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას. აქედან გამომდინარე, ირღვევა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის

№59 განკარგულება „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აწერს ხელს. ასოცირების დღის წესრიგის ეკონომიკური თანამშრომლობის პარაგრაფში (2.5) და შემდგომ უკვე მთავრობის განკარგულებაში ნათლად წერია, რომ საქართველოს ცენტრალური ბანკის კანონმდებლობის გადასინჯვა უნდა განხორციელდეს ევროკავშირის ექსპერტიზით და ევროპის ცენტრალური ბანკის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, შემოთავაზებული ცვლილებები არ შეესაბამება ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს“, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც საუკეთესო სახელმძღვანელო პრინციპები საბანკო ზედამხედველობის სფეროში. ბაზელის კომიტეტის პრინციპების გათვალისწინება საკანონმდებლო ცვლილებების დროს პრინციპულად საჭიროა, რადგან სწორედ მასთან შესაბამისობას ადგენენ ინვესტორები ქვეყანაში შესვლის წინ. დოკუმენტის მიხედვით, აუცილებელია საბანკო ზედამხედველობას ჰქონდეს შესაბამისი დამოუკიდებლობა [14].

დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის დატოვება ეროვნული ბანკის შემადგენლობაში. თუმცა, თუ მაინც გადაუდებელი გახდება ზედამხედველობის გატანა სეზ-იდან, აუცილებელია, რომ აღნიშნული ცვლილება თანხვედრაში მოვიდეს ბაზელის ძირითად პრინციპებთან ეფექტური საბანკო ზედამხედველობის შესახებ. ასევე, ცალსახად უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რა გარანტია ექნება ნებისმიერ ახალ სააგენტოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, კარგი იქნება თუ ევროკავშირის მიმართავთ კონსულტაციისთვის იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულება გვაქვს აღებული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, რათა გავაუმჯობესოთ საბანკო ზედამხედველობა და ცენტრალური ბანკის კანონმდებლობა ევროკავშირისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მხარდაჭერით.

ლიტერატურა:

1. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები/ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ. - თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2006. - 31 გვ: <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/thematicpublications/nbg7.9directo-rysupervisiongeo.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/new/kommerciuli_bankebis_shesaxe_b_kanoni.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
3. საქართველოს 2014 წლის 21 მარტის კანონი №2159 „კონკურენციის შესახებ“: <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/4df7243daab340a1ae38b5893424.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
4. World Bank, 2013: <http://econ.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTDEC/EXTGLO-BALFIN-REPORT/0,,contentMDK:23267422~pagePK:64168182~piPK:64168060~theSitePK:881609700.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
5. G30, 2008, The structure of Financial Supervision: Approaches and Challenges in a Global Marketplace, The Group of Thirty, Washington, D.C.
6. Herring, Richard J. and Carmassi, Jacopo, 2008, The Structure of Cross-Sector Financial Supervision. Financial Markets, Institutions & Instruments, Vol. 17, Issue 1, pp. 51-76.
7. GDFR 2013, Global Development Report: Rethinking the Role of the State in Finance, Word Bank, Washington D.C.
8. IMF, 2013, Republic of Latvia: 2012 Article IV, Country Report No. 13/28, International Monetary Fund, Washington, D.C.
9. FCMC, 2006, Annual Report, Financial and Capital Market Commission, Riga.
10. BoL, 2006, Financial Stability Report, Bank of Latvia, Riga.
11. კუკავა მ. საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევა ეროვნულ ბანკს ხელს შეუშლის კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაში: <http://www.transparency.ge/node/5261>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
12. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციონირება შეჩერებულია: <http://www.radiotavisupleba.ge/content/sapinanso-zedamkhedvelobis-saagentos/27307949.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.03.2016.
13. ალაფიშვილი ლ. საბანკო ზედამხედველობის სისტემის რეფორმადწოდებული საკანონმდებლო ცვლილებები: დამოუკიდებლობის ზრდა თუ შემცირება //ეკონომიკა და საბანკო საქმე. – 2015. ტომი 3,

Nino Vanishvili, Levan Kalatozishvili
Georgian Technical University

**THE LEGISLATIVE-LEGAL AND INSTITUTIONAL PROVISION OF BANKING
COMPETITION IN GEORGIA
RESUME**

In the article, the latest literary sources and legal acts on the basis of consistently studied the theory of financial and agricultural practices in a number of important issues, such as competition in the banking legislation-legal and institutional provision in Georgia.

The report concludes "Competition" of the processing, the banking supervision function in implementing the structural unit of the National Bank of the resignation.

იულია თედევი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კორპორაციათა კლასიფიკაცია. მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები

ეკონომიკური მიზნით საქმიანობისათვის გაერთიანებულ პირთა ერთობლიობის კორპორაციის კატეგორიისათვის მიკუთვნება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კრიტერიუმით ხდება. კორპორაციების საქმიანობა არცერთ ქვეყანაში არ არის კონკრეტული კანონის ჩარჩოებში მოქცეული, არამედ რეგულირდება სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზების საფუძველზე.

კორპორაცია ბევრი სახის კავშირის ზოგადი დასახელებაა. მაგ., ესაა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ორგანიზებულად და ხანგრძლივად მოქმედებენ საერთო მიზნის მისაღწევად; კორპორაციად მოიაზრება სხვადასხვა ბიზნესების გაერთიანება საერთო ფინანსური კონტროლის ქვეშ; კორპორაცია - ესაა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ორგანიზებულად და ხანგრძლივად მოქმედებენ საერთო მიზნების მისაღწევად და სხვა და სხვა.

თანამედროვე პირობებში მსხვილი მეწარმეობის ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა კორპორაცია, რომელიც წარმოადგენს საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანებულ პირთა ერთობლიობას, რათა განახორციელონ ერთობლივი საქმიანობა და ქმნიან სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს – იურიდიულ პირს [1]. ფართო გაგებით კორპორაციად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა სახის გაერთიანება ეკონომიკური მიზნით საქმიანობისათვის. დამფუძნებლები და/ან მეწარმეები ხშირად ქმნიან საწარმოებს სააქციო საზოგადოებების ფორმით და რამდენადაც თანამედროვე პირობებში საწარმოთა ეს ფორმა სჭარბობს, ამდენად ტერმინი „კორპორაცია“ იხმარება როგორც „სააქციო საზოგადოების“ სინონიმი [2].

კორპორაცია მსხვილი ბიზნესის მთავარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. დაახლოებით 60 მილიონი ფირმიდან, რომლებიც მსოფლიოშია დარეგისტრირებული, მხოლოდ 10%-ია კორპორაცია, მაგრამ ისინი აწარმოებენ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს. კორპორაციებს ფორმალურად მიაკუთვნებენ 40 000 ღია სააქციო საზოგადოებას, რომელთა აქციები შეიძლება გავრცელდეს ღიად და 260 000 დახურულ სააქციო საზოგადოებას. მათი აქციები ბრუნავს თვით სს-ში და პირთა წინასწარ განსაზღვრულ წრეში [3].

მსხვილი კორპორაციების შექმნის ტენდენცია ნაწილობრივ აიხსნება პროდუქციის წარმოებასა და

გასაღებაზე შედარებით ნაკლები დანახარჯებით. კორპორაციების გამსხვილება განპირობებულია მათი სწრაფით წარმოების ეფექტიანობისკენ. მხოლოდ მსხვილ კორპორაციას შეუძლია გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები და მოწინავე გამოგონებები, რომლებიც მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს, შექმნას კვლევითი ლაბორატორიები, მოიზიდოს მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები. ამით მიიღწევა ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლის მოპოვება; ფასების დონეზე უშუალო, პირდაპირი ზემოქმედება; ეროვნული პროდუქტის რაოდენობასა და განაწილებაზე, ასევე მოსახლეობის დასაქმების დონესა და მსყიდველობითუნარიანობაზე გავლენის მოხდენა [4].

კორპორაციამ თავისი საქმიანობა შეიძლება განახორციელოს ერთ სფეროში ან იყოს დივერსიფიცირებული.

დასავლეთში გამოყოფენ კორპორაციის სამ ფორმას:

1. საჯარო კორპორაცია ახორციელებს აქციების ემისიასა და თავისუფალ განთავსებას. ეს მათ საშუალებას აძლევს, მიაღწიონ კაპიტალიზაციის მაღალ დონეს, მოიზიდონ მნიშვნელოვანი რესურსები;

2. ინტეგრირებული სამრეწველო ჯგუფი, სამეურნეო სუბიექტების გაერთიანება, დაფუძნებული სათავო კომპანიის მხრიდან ცენტრალიზებულ მართვაზე იმ პირობით, რომ ის ფლობს მონაწილეთა ქონებას ან ერთობლივი საქმიანობა მიმდინარეობს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. ინტეგრირებულ ჯგუფში ყოველთვის არის გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრი;

3. საპარტნიორო კორპორაცია – მსხვილ მესაკუთრეთა, მათ შორის სახელმწიფოს, ალიანსი და პარტნიორობა.

აშშ-ში კორპორაციები ოთხ ჯგუფად იყოფა:

- საჯარო (public) – სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, სახელმწიფო აპარატის სხვა ქვედანაყოფები;

- ნახევრადსაჯარო (quasipublic), სახელმწიფოს კუთვნილი, რომლებიც არსებობენ გადასახადების გადამხდელთა სახსრებზე და რომლებიც აკმაყოფილებენ მოსახლეობის საერთო მოთხოვნებს (თავდაცვის, სარკინიგზო გადაზიდვების, წყლის ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურულ სფეროებში);

- არასამეწარმეო (non-profit), რომელთაც მიეკუთვნება რელიგიური ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, სკოლები, საქველმოქმედო ფონდები;

- სამეწარმეო (business) დაახლოებით ეკვივალენტური ღია სააქციო საზოგადოებების.

მსხვილი კორპორაციები უზარმაზარ როლს თამაშობენ თანამედროვე ეკონომიკაში:

- იზიდავენ კაპიტალს მსხვილი პროექტებისათვის და ახდენენ საინვესტიციო პროცესების აქტივიზაციას;

- ინტეგრირებული სტრუქტურების ფორმირების საფუძველი;

- განკარგავენ ახალი ტექნოლოგიების ზრდისა და ათვისების მნიშვნელოვან პოტენციალს, გვევლინებიან ინვესტიციური და ინოვაციური პროცესის მამოძრავებელ ძალად;

- ფლობენ დიდ სოციალურ პოტენციალს;

- ხელს უწყობენ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის დაჩქარებას [5].

კლასიკური კორპორაციის, როგორც სამეწარმეო ორგანიზაციის ყველაზე მეტად განვითარებული ფორმის თავისებურებებია:

- აქვს საკუთრება (სააქციო, საპაიო);

- წარმოადგენს იურიდიულ პირს;

- ყოველი მონაწილის შეზღუდული პასუხისმგებლობა კორპორაციაში მიმდინარე ყველა პროცესში;

- დამოუკიდებლობა გარე სუბიექტებისგან;

- საკუთარი ინტერესების არსებობა, რომელიც არ ემთხვევა მონაწილეთა (მესაკუთრეების, მენეჯერების, თანამშრომლების) ინტერესებს;

- საქმიანობის კომერციული ხასიათი;

- მონაწილეთა გაერთიანება მათი დაყოფისა და მათი ინტერესების შეთანხმებით (კორპორაციის ინტერესების დომინირების) ცენტრალური ორგანოს დახმარებით საკუთრებითი კონტროლისა ან ხელშეკრულების საფუძველზე [5].

კორპორაცია წარმოადგენს სისტემური ხასიათის, რთული სტრუქტურის წარმონაქმნს. განვიხილოთ სხვადასხვა ჭრილში:

არსებობს კორპორაციათა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით (ცხრილი 1) [6].

კორპორაციათა კლასიფიკაცია

კლასიფიკაციის კრიტერიუმი	კორპორაციათა სახეები
1. დარგობრივი მიმართულება (ძირითადი საქმიანობის სახე)	<ul style="list-style-type: none"> • სამრეწველო (სანედლეულო, გადამამუშავებელი, აგროსამრეწველო) • ფინანსური (საბანკო, სადაზღვევო, საინვესტიციო) • სავაჭრო • მედიის
2. საქმიანობის მასშტაბი (გეოგრაფისა)	<ul style="list-style-type: none"> • ლოკალური • რეგიონული • რეგიონთაშორისი • ნაციონალური (ფედერალური) • საერთაშორისო (ტრანსნაციონალური, გლობალური)
3. საკუთრების ფორმა (სამართლებრივი კუთვნილება)	<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო • შერეული (სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მონაწილეობით; სახელმწიფოს უმნიშვნელო მონაწილეობით) • კერძო
4. საქმიანობის დარგების რაოდენობა	<ul style="list-style-type: none"> • მონოდარგობრივი (ვიწრო სპეციალიზაციით) • მრავალდარგობრივი
5. ბაზარზე მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> • მონოპოლური • ოლიგოპოლური
6. ორგანიზაციული აგებულება	<ul style="list-style-type: none"> • ჰორიზონტალური • ვერტიკალური • კონგლომერატი
7. ორგანიზაციის წესი	<ul style="list-style-type: none"> • იერარქიული • ქსელური • ციკლური
8. მართვის სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> • ხაზობრივი • ხაზობრივ-სამშტაბო • ფუნქციონალური • ხაზობრივ-ფუნქციონალური (შერეული) • დივიზიონალური • მატრიცული • საპროექტი
9. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	<ul style="list-style-type: none"> • სამეურნეო ამხანაგობა • სამეურნეო საზოგადოება • უნიტარული საწარმო • კოოპერატივი
10. რესურსული უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი რესურსები • დაფინანსება საფონდო ბაზრებზე • დაფინანსება საბანკო კრედიტებით • სახელმწიფო მხარდაჭერა
11. ეკონომიკური და ფინანსური სიმძლავრის დონე	<ul style="list-style-type: none"> • ძლიერი • სუსტი

ასევე შეიძლება განვიხილოთ კორპორაციები საქმიანობის ძირითადი პრინციპების მიხედვით: 1. საბაზრო კორპორაციები, რომლებიც ორენტირებული არიან მოგების მაქსიმიზაციაზე, საბაზრო და ტერიტორიულ ექსპანსიაზე. ისინი შეიძლება დაიყოს:

- ინდუსტრიულ კორპორაცებად, რომლებიც ფუნქციონირებენ ტრადიციულ დარგებში. კორპორაციის წარმატება უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება მესაკუთრეთა და მენეჯერთა ძალისხმევით, ხოლო მისი ერთიანობა - სუბიექტების ადმინისტრაციული და მატერიალური დამოკიდებულების ორგანიზაციით;

- პოსტინდუსტრიული კორპორაციები, რომლებიც საქმიანობენ ინდუსტრიულ სფეროში. ისინი ხშირად მიმართავენ (გამოიყენებენ) სპეციალისტებს, რომლებზეც არანაკლებაა დამოკიდებული წარმატება, ვიდრე მესაკუთრეებსა და მენეჯერებზე. ასეთი სპეციალისტები განიხილებიან როგორც კოლეგები, და არა როგორც დაქვემდებარებული მუშაკები. მათ დაკავებული აქვთ გადამწყვეტი პოზიციები კორპორაციის საქმიანობის მრავალი მიმართულებით;

- კრეატიული კორპორაციები დაფუძნებულია შემოქმედებითი პიროვნებების პარტნიორობაზე, მათი ფასეულობების ერთიანობაზე და არა მატერიალურ ფაქტორებზე, რაც გარანტიაა მათი მდგრადობისა და წინსვლისა. ასეთი კორპორაციების მფლობელები, რომელთა საქმიანობა ეკონომიკური მიზანშეწონილობის საზღვრებს სცდება, პასუხისმგებლობა აქვთ კორპორაციაზე როგორც მათი შემოქმედების ნაყოფზე და არა როგორც საკუთრებაზე.

2. არასაბაზრო კორპორაციები (მათ შორის საბჭოური ტიპის) ყოველთვის იერარქიულია, არ მონაწილეობს კონკურენტულ ბრძოლაში, ორიენტირებულია არა მოგებაზე, არამედ კონკრეტული (მათ შორის სახელმწიფოს მიერ დასახული) მიზნის მიღწევაზე. თითქმის ვერ ითვისებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, შეუძლიათ მიაღწიონ მხოლოდ რაოდენობრივ წარმატებებს (თუ არ ჩავთვლით თავდაცვის სფეროს საწარმოებს) საქმიანობის ვიწრო სფეროებში მნიშვნელოვანი ინვესტიციების ხარჯზე;

ეს კლასიფიკაცია არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს მუდმივად და სრულყოფილად, რადგან ეკონომიკის განვითარებასთან ერთად თანდათანობით ყალიბდება კორპორაციების მთელი რიგი პრინციპულად ახალი ფორმები [6].

კორპორაციის უპირატესობებია:

- აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვის გზით ფულადი სახსრების მოზიდვა. ამ კუთხით კორპორაციები ბიზნესის ორგანიზაციის ყველაზე ეფექტური ფორმაა;

- მაღალი სანდოობის გამო მათთვის შედარებით ხელმისაწვდომია საბანკო კრედიტი;

- შეზღუდული პასუხისმგებლობა - კორპორაციის მფლობელები რისკავენ მხოლოდ იმ თანხით, რომელიც მათ აქციებში გადაიხადეს. კორპორაციის გაკოტრების შემთხვევაშიც პირად აქტივებს საშიშროება არ ემუქრება. კრედიტორებს კორპორაციის მიმართ სარჩელის აღძვრა შეუძლიათ არა როგორც ფიზიკური, არამედ როგორც იურიდიული პირის მიმართ;

- კორპორაციის ფუნქციონირების სტაბილურობა. რამდენადაც იურიდიული პირია, არსებობს მისი მფლობელებისაგან დამოუკიდებლად - აქციების გაყიდვით საკუთრების სხვაზე გადაცემა არ არღვევს მის მთლიანობას [7];

- პროფესიონალი სპეციალისტების მოზიდვა მმართველობითი ფუნქციების შესასრულებლად;

- აქტივების ლიკვიდურობა;

- მასშტაბური პროექტების გრძელვადიანი დაგეგმვის შესაძლებლობა;

- კონკურენტებთან ბრძოლის გაადვილება კონსოლიდაციით;

- სახსრების გადანაწილება შვილობილი კომპანიების შემოსავლების გათანაბრების მიზნით, ერთის ზარალის გადაფარვა მეორის მოგებით;

- გასაღების ახალ ბაზრებზე, ასევე უცხოურ ბაზრებზე გასვლის გაადვილება;

- გლობალური მარკეტინგული კვლევების ჩატარების შესაძლებლობა;

- ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანიების ჩატარების შესაძლებლობა და სხვ.

კორპორაციის ნაკლოვანებებია:

- რეგისტრაციისა და ანგარიშწარმოებისათვის მკაცრი მოთხოვნები. კორპორაციის წესდების რეგისტრაცია დაკავშირებულია გარკვეულ ბიუროკრატიულ პროცედურებთან და იურიდიული მომსახურების ხარჯებთან;

- ორმაგი დაბეგვრა. კორპორაციის შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც დივიდენდების სახით გადაეცემათ აქციათა მფლობელებს პირველად იბეგრება როგორც კორპორაციის მოგების ნაწილი და შემდეგ როგორც აქციონერთა პირადი შემოსავლები. ორმაგი დაბეგვრა განსაკუთრებით მძიმეა მცირე კორპორაციების მფლობელთათვის. ამიტომ აშშ-ში ასეთ ფორმებს კანონი საშუალებას აძლევს, რომ მიიღონ S-კორპორაციის (Small business corporation) სტატუსი. ასეთ შემთხვევაში კორპორაციის შემოსავალი ითვლება მისი მფლობელის შემოსავლად და იბეგრება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადით;

- ფლობისა (საკუთრებისა) და კონტროლის ფუნქციების დაყოფა. ინდივიდუალური მეწარმეობისა და პარტნიორობის შემთხვევაში უძრავი ქონების და ფინანსური აქტივების მფლობელები თავად მართავენ და აკონტროლებენ აქტივებს. კორპორაციებში, რომელთა აქციები გაფანტულია მრავალ მფლობელს შორის, კონტროლის ფუნქცია წყდება საკუთრების ფუნქციას;

- ეკონომიკური ბოროტმოქმედების ხელსაყრელი შესაძლებლობები: ისეთი აქციების გამოშვება და გაყიდვა, რომელთაც არანაირი რეალური ღირებულება არ გააჩნიათ.

რაც შეეხება კორპორაციულ გაერთიანებებს - ესაა იურიდიულ პირთა ერთობლიობა (კაპიტალების გაერთიანება), რომლებიც ახორციელებენ შეთანხმებულ სამეწარმეო ან რაიმე სასარგებლო, კანონით დაშვებულ საქმიანობას. გამოყოფენ კორპორაციული გაერთიანებების შემდეგ სახეებს: კარტელი, სინდიკატი, პული, ტრესტი, კონსორციუმი, კონცერნი, ჰოლდინგი, ასოციაცია, კონგლომერატი, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი, და სხვ.

კორპორაციული გაერთიანების ეფექტიანი საქმიანობის პირობაა **სინერგეტიკული ეფექტის** მიღწევა, რომელიც მისი შექმნის საფუძველშია ჩადებული. სინერგეტიკული ეფექტი (წესი $2+2=5$) - ესაა ეფექტი, რომლის დროსაც საერთო შედეგი სჭარბობს შესაკრებთა ჯამს. ანუ, სხვა სიტყვებით, გაერთიანების საქმიანობის ეფექტიანობა დამოუკიდებლად მომუშავე ცალკეული კომპანიების ეფექტიანობათა ჯამზე მეტია. სინერგია ვლინდება სხვადასხვა სფეროში: საწარმოო, მმართველობით და გასაღებით სფეროებში.

კორპორაციული გაერთიანებების უპირატესობა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, არაინტეგრირებულ ორგანიზაციებთან შედარებით, გამოიხატება შემდეგ შესაძლებლობებში:

- გამოყენებული რესურსების მასშტაბის ეფექტის რეალიზაცია (საწარმოო ფონდები, საინვესტიციო რესურსები, შრომითი რესურსები, მათ შორის კვალიფიციური მმართველობითი, სამეცნიერო, საწარმოო პერსონალი);

- კონკურენციის უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაცია (როგორც წესი, გაერთიანების მონაწილენი არ შედიან ურთიერთკონკურენციაში ერთსა და იმავე ბაზარზე);

- პროდუქციის ეფექტიანი ფასწარმოქმნის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მონაწილის და მთლიანად ჯგუფის რენტაბელობის ოპტიმალურ დონეს.

კორპორაციული გაერთიანებების უარყოფითი შედეგები უშუალოდ დაკავშირებულია ბაზრების შესაძლო მონოპოლიზაციასთან. ამიტომ ეს შედეგები უნდა ნიველირდეს სახელმწიფო-სამართლებრივი რეგულირების ზომებით, რომლის ამოსავალი იქნება ეკონომიკური საქმიანობის ყველა მონაწილის ინტერესთა და კანონიერი უფლებების დაცვის პრინციპი [7].

ლიტერატურა:

1. Антоненков С. «Корпорация как система управления». Реферат. 2006 г. см. на сайте http://revolution.allbest.ru/economy/00008187_0.html
2. <https://ru.wikipedia.org/wiki/Корпорация>
3. Беляхман Л.С. Корпорации и их роль в российской экономике. Журнал «Проблемы современной экономики», N 2 (22), 2007.
4. Орехов С.А., Селезнев В.А. Теория корпоративного управления. Учебно-методический комплекс. – М.: Изд. центр ЕАОИ, 2008. – 216 с.
5. Веснин В.Р. Корпоративное управление. Москва, Инфра-М 2014 г. 272 с.
6. Цветков В.А. Корпоративный бизнес: теория и практика. – СПб.: Нестор-История, 2011. – 504 с.
7. Сравнительный менеджмент: Учебное пособие. / Сост.: Васильев С.В.; НовГУ им. Ярослава Мудрого.. – Великий Новгород, 2007. – 165 с.

Iulia Tedeevi

Georgian Technical University

CLASSIFICATION OF CORPORATIONS. THEIR BENEFITS AND DISADVANTAGES RESUME

In the modern world corporative form of the business takes a large place. In this regard, Georgia is not far behind and, although slowly, but in our country corporations are taking place. The paper deals with the basic criteria, principles and characteristics, which are used to classify corporations worldwide. Features of the classic corporation are described. It shows why corporations are seeking the merger. we shall also deal with to what role play corporation products in the gross domestic product. The focus is on advantages and disadvantages of corporate entities in comparison with unintegrated organizations in the market conditions.

კლასტერიზაცია, როგორც ქართული ბიზნესის განვითარების სტრატეგია (უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების მაგალითზე)

შესავალი: ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიოს პირობებში. ამ შეჯიბრებაში იმარჯვებენ ის ქვეყნები, რომლებიც მეწარმეებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საუკეთესო პირობებს სთავაზობენ.

ქვეყანაში ინოვაციების, ძლიერი, კონკურენტუნარიანი, რევოლუციური ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის აუცილებლობის წინაპირობებიდან უმნიშვნელოვანესია -ძლიერი კერძო სექტორისა და ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის არსებობა.

გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებელი ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი ქვეყნის ეკონომიკის კლასტერული განვითარების სტრატეგიაა. ქვეყნის მთლიანი ეკონომიკისთვის კლასტერები ასრულებენ “შიგა საბაზრო წერტილების” როლს და საბაზისო ფუნქციას საერთაშორისო ექსპანსიისთვის.

დღეს საქართველო იმყოფება კლასტერიზაციის ინსტრუმენტების შერჩევის საწყის ეტაპზე.

ჩვენი აზრით, საქართველოში იდეალური პირობებია უალკოჰოლო-მინერალური სასმელების, ნატურალური სასმელი წყლის, მოპოვება-წარმოებისა და რეკრეაციული ტურიზმის კლასტერიზაციისათვის. საქართველოში წარმატებით განვითარდება წყლის (მინერალური და სასმელი), ტურისტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტულ-საკურორტო კლასტერები.

ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანი განვითარებისთვის, ოპტიმალურია კლასტერული მიდგომა, ხოლო კლასტერების ჩამოყალიბების მოტივების სპექტრი-შეუზღუდავი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა უფრო დეტალურად შევჩერდეთ ქვეყნის ეკონომიკის კლასტერული განვითარების ინსტრუმენტების განხილვაზე.

კვლევის შედეგები: სათანადო კვლევით დგინდება, რომ ქვეყანაში ინოვაციების, ძლიერი, კონკურენტუნარიანი, რევოლუციური ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის აუცილებლობის წინაპირობებიდან უმნიშვნელოვანესია – ძლიერი კერძო სექტორისა და ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის არსებობა. სახელმწიფოს გააზრებული, მიზანმიმართული საინოვაციო პოლიტიკა, რომელიც წახალისებს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნას, კონკურენციას და, შესაბამისად, მათ მიერ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების მოძიება-შექმნასა და შემოტანა-დანერგვას.

საქართველოს ჩართვამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) დასაბამი მისცა ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის ახალ ეტაპს, როცა ბაზარი სთავაზობს მეწარმეებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საუკეთესო პირობებს, ხოლო მსოფლიოს და პირველ რიგში საკუთარ ხალხს ეკონომიკის და ყოფა-ცხოვრების ახლებურ, პერსპექტიულ და ინოვაციურ გზას.

თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე, როდესაც ბაზარზე კონკურენტული ბრძოლა გამძაფრებული, უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის კვლევის სწორად წარმართვას. მის უმნიშვნელოვანეს ამოცანას კი, პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკის კაპიტალიზაციას მივყავართ საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციული გარემოს გაფართოებასა და გაღრმავებისაკენ, პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი მოთხოვნის ამაღლებისაკენ.

სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებელი ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი ქვეყნის ეკონომიკის კლასტერული განვითარების სტრატეგიაა¹.

კლასტერის ქვეშ იგულისხმება დამოუკიდებელი საწარმოო და სერვისული ფირმების (მიმწოდებლების ჩათვლით), ტექნოლოგიებისა და “ნოუ-ჰაუს” (უნივერსიტეტები, სამეცნიერო-

¹ Пилипенко И.В. Конкурентоспособность стран и регионов в мировом хозяйстве: теория, опыт малых стран, Западной и Северной Европы. – Москва-Смоленск, 2005. -496с.

კვლევითი ინსტიტუტები, ინჟინერინგული კომპანიები), საშუაშალო საბაზრო ინსტიტუტების (ბროკერები, კონსულტანტები) და მომხმარებლების ქსელი, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან ღირებულების შემქმნელი ერთიანი ჯაჭვის ფარგლებში.¹ კლასტერი ხასიათდება განსაკუთრებული ინოვაციური გარემოთი, ჰორიზონტალური კავშირების განვითარებით და ფორმებს შორის გაძლიერებული კოოპერაციით, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობას.


საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად აღიარებულ უნდა იქნას წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის რადიკალური ამაღლება საინოვაციო საქმიანობის პრინციპული გაუმჯობესებით, არსებული პოტენციალის გონივრული გამოყენებით და შესაბამისი კლასტერების შექმნით.

შერჩეული პრიორიტეტების რეალიზაციისათვის გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო გამოცდილება. კერძოდ, ექსპორტზე ორიენტირებული სამრეწველო კლასტერების ჩამოყალიბება, სტიმულირება და ხელშეწყობა, რომლის პრაქტიკული, მადალუფექტური შედეგი უკვე აჩვენებს ნორვეგიამ, კანადამ, ფინეთმა, ავსტრალიამ და ჩილემ. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ადგილობრივი საწარმოები ადგილებზე და ცენტრში ინოვაციათა გამოყენებისათვის, რისი წარმატებული მაგალითია ჩინეთი და ტაივანი.²

როგორც ვიცით, საქართველო მცირე მწარმოებელთა კატეგორიას განეკუთვნება და ამ თვალსაზრისით კონკურენციის გასაწევად მხოლოდ სპეციფიკური უპირატესობები გააჩნია. ხოლო კლასიკური თეორიის თანახმად, კონკურენტული სტრატეგიის იდეა სწორედ განსხვავებული ნიშის მოძებნაში მდგომარეობს.

ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების ადგილობრივმა მწარმოებლებმა, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად უნდა იზრუნონ „ახალი თაობის“ – ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ნედლეულით დამზადებული, ბალანსირებული შემადგენლობის და სამკურნალო თვისებების პროდუქციის წარმოებისათვის.

ჩვენ აზრით, საქართველოში იდეალური პირობებია უაღკოპოლო-მინერალური სასმელების, ნატურალური სასმელი წყლის, მოპოვება-წარმოებისა და რეკრეაციული ტურიზმის კლასტერიზაციისთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში წარმატებით განვითარდება წყლის (მინერალური და სასმელი), ტურისტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტულ-საკურორტო კლასტერები. მინერალური წყლის კლასტერის მოდელი მოცემულია ნახ. №1



¹ Porter, M. E. The Competitive Advantage of Nations, New York: Free Press, 1990, Palgrave Tenth Edition, 1998-855p.


² დარსაველიძე დ., ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები (თესალონიკის, ნაპა ვალისა და თბილისის ტურისტული კლასტერების მაგალითზე), ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმ. სადისერტაციო ნასრომი, თსუ., თბილისი, 2014.

კლასტერი რეგიონის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ბევრი ექსპერტის აზრით კლასტერულ მიდგომას არა აქვს ალტერნატივა. მითუმეტეს, რომ საქართველოს რეგიონებში არსებობს წერტილოვანი წარმატების წინაპირობები კლასტერის შესაქმნელად.

კლასტერის შიგნით ბაზური დარგის გამოყოფის კრიტერიუმს წარმოადგენს ამ დარგის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უნარი. მთლიანობაში კი კლასტერს უნდა ჰქონდეს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები¹:

- კლასტერში გამოშვებული პროდუქციის მატების ტემპი უნდა აღემატებოდეს რეგიონის შიგა პროდუქტის (რშპ) მატების ტემპს;
- კლასტერის კონკურენტუნარიანობა ხვედრითი დანახარჯებისა და პროდუქციის ხარისხის გათვალისწინებით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს სხვა ქვეყნებისა და რეგიონების შესაბამის ეკონომიკის სექტორებს;
- კლასტერის შემადგენელ დარგებს უნდა გააჩნდეთ მყარი კოოპერაცია ერთმანეთთან და ამის საფუძველზე უნდა ახდენდნენ აგლომერაციული პროცესების, შიდა საინფორმაციო არხებისა და ქსელური სახის ორგანიზაციების ფორმირებას;
- კლასტერში, საწარმოებს შორის განვითარებული უნდა იყოს საინფორმაციო და მარკეტინგული კავშირები თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე. ამასთან, რეგიონთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფარგლებში განვითარებული უნდა იყოს საწარმოთა საერთო სტანდარტები, მომარაგება და მართვა, კლასტერული ბრენდები.

ნახ. №2²



კლასტერული ინიციატივის ანალიზმა დაამტკიცა კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა შესაძლებელია შემდეგი მიდგომების დანერგვის ხარჯზე:

- ინვესტიციების ზრდისა და ახალი კომპანიების შექმნის ხარჯზე;
- საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებით;
- მოსახლეობის დასაქმების ამაღლებით;
- ახალი ტექნოლოგიების განვითარებით;
- კლასტერში შემავალი კორპორაციების მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდით; და სხვა

დასკვნა: ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქვეყნის მთლიანი ეკონომიკისთვის კლასტერები ასრულებენ “შიგა საბაზრო წერტილებს” როლს და საბაზისო

¹ ბარათაშვილი ე., მიძიკაშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., ზარანდია ჯ., კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, №9, 2007, <http://geoeconomics.ge/?p=3053>.

² ბარათაშვილი ე., მიძიკაშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., ზარანდია ჯ., კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, №9, 2007, <http://geoeconomics.ge/?p=3053>.

ფუნქციას საერთაშორისო ექსპანსიისთვის. პირველის კვალზე, ხშირად, წარმოიშობა ახალი კლასტერი და ამით, მთლიანობაში იზრდება ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ეს უკანასკნელი კი, ეყრდნობა ცალკეული კლასტერების ძლიერ პოზიციებს, რომელთა გარეშე, თვით ყველაზე განვითარებული ეკონომიკაც კი, შეიძლება იძლეოდეს მხოლოდ, საშუალო შედეგებს.¹

დღეს საქართველო იმყოფება კლასტერიზაციის ინსტრუმენტების შერჩევის საწყის ეტაპზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კი, საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგროვდა კლასტერიზაციის წარმატებით განხორციელებაში და რაც მთავარია, ეს წარმატება პირდაპირ აისახება ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაზე.

ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანი განვითარებისთვის, ოპტიმალურია კლასტერული მიდგომა, ხოლო კლასტერების ჩამოყალიბების შემაგულიანებელი მოტივების სპექტრი - შეუზღუდავია.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ძიძიკაშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., ზარანდია ჯ., კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, #9, 2007, <http://geoeconomics.ge/?p=3053>.
2. დარსაველიძე დ., ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები (თესალონიკის, ნაპა ვალისა და თბილისის ტურისტული კლასტერების მაგალითზე), ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმ. სადისერტაციო ნაშრომი, თსუ., თბილისი, 2014.
3. თევზაძე რ., სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პარადიგმა., სამეცნიერო კონფერენციის მასალები “რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე-ჯავახეთი”, თსუ., 2016.
4. Пилипенко И.В. Конкурентоспособность стран и регионов в мировом хозяйстве: теория, опыт малых стран, Западной и Северной Европы. – Москва-Смоленск, 2005. –496с
5. Porter, M. E. The Competitive Advantage of Nations, New York: Free Press, 1990, Palgrave Tenth Edition, 1998-855p.

Marine Topchishvili, Natalia Tchanturia
Georgian Technical University

CLUSTERIZATION, AS GEORGIAN BUSINESS DEVELOPMENT STRATEGY (ON THE EXAMPLE OF PRODUCTION OF SOFT DRINKS AND MINERAL WATERS IN GEORGIA) RESUME

Increasing the competitiveness of the country is particularly important in today's globalized world conditions. The competition winning the country which provides the best conditions for entrepreneurs in economic activity.

The main instrument of increase in competitiveness of Georgia in world economy is the strategy of economic development of clusterization. Researches showed that in Georgia there are ideal conditions for development of regional clusterization of mining and processing industry of soft drinks and mineral, and also natural drinking water. Respectively, in Georgia clusters of recreational tourism will successfully develop.

In conclusion, we can say that for the development of competitive regions in Georgia, the cluster approach is optimal, and the motivational spectrum forming clusters -not limited.

¹ თევზაძე რ., სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პარადიგმა., სამეცნიერო კონფერენციის მასალები “რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე-ჯავახეთი”, თსუ., 2016, გვ. 77-83.

კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში

შესავალი: კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობა არის მისი საქმიანობის შემაჯამებელი მაჩვენებელი. ამ პარამეტრის ზომა არ არის მუდმივი, მასზე მოქმედი ფაქტორების ცვალებადი ხასიათიდან გამომდინარე. ფინანსური მაჩვენებლების ფორმირება, კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის ხარისხიანი მართვის გათვალისწინებით, მეტწილად დამოკიდებულია რიგი ფაქტორებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და არსებით გავლენას ახდენენ ბანკის ფინანსურ მდგრადობაზე. ამასთან, თითოეულ ფაქტორს აქვს ვარიანტულობის, მობილურობის, საბანკო დაწესებულების მიმდინარე ცვლილებებზე გავლენის საკუთარი დონე, და სხვადასხვა ხარისხის გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე.

ბანკის ფინანსური მდგრადობა შეიძლება ვმართოთ მთელი რიგი ღონისძიებებით, რომლებიც მიზნად ისახავენ ბანკის პოზიციის გამაგრებას მთლიან საბანკო სისტემაში, როგორც ერთიანში. პირველ რიგში, ეს მიიღწევა ოპტიმალური ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფით და ბანკის მიერ შემუშავებული განვითარების ეფექტიანი სტრატეგიით.

კვლევის შედეგები: საბანკო სისტემის მდგრადობის ფაქტორების განხილვისას, უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ავტორთა უმრავლესობა მოცემულ საკითხზე მიმდევრულ გამოკვლევებში საბანკო სისტემის მდგრადობის ფაქტორებს ყოფს გარე და შიდა ფაქტორებად. მაგრამ აქვე აღნიშნავენ ამ გაყოფის პირობითობას, რადგან მრავალ ფაქტორს გააჩნია ორმაგი ბუნება [1].

გარე ფაქტორებს ძირითადად მიაკუთვნებენ ისეთებს, რომლებიც მოცემულია გარედან საბანკო სისტემის მიმართ და ქმნიან მისი ფუნქციონირების ამოსავალ პირობებს: ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, ფულადი მიმოქცევის მდგომარეობა, გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საკანონმდებლო ბაზის მდგომარეობა, ფინანსური ბაზრების მდგომარეობა, სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, ქვეყნის ადგილი საერთაშორისო ბაზარზე, სახელმწიფოს მონაწილეობის წილი ეკონომიკაში, ეკონომიკური ზრდის ტემპები და ა.შ.

შიდა ფაქტორების ჯგუფს ძირითადად მიეკუთვნება: ბანკის პოლიტიკა, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, მართვის დონე, ნასესხები საშუალებებით უზრუნველყოფა, აქტივებისა და პასივების სტრუქტურა და ა.შ.

საბანკო სისტემის მდგრადობის ფაქტორების კლასიფიკაციისადმი ალტერნატიულ მიდგომას გვთავაზობს ვ. ჟივალოვი, რომელიც ამ ფაქტორებს აჯგუფებს შემდეგნაირად: სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფაქტორები; ფაქტორები საბანკო სისტემაში შემავალი წყაროების მიხედვით; ფაქტორები საბანკო რესურსების განთავსების მიხედვით; შიდა საბანკო ფაქტორები; საერთო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ბანკების მდგომარეობაზე [2].

მაგრამ, როგორც გ. ფეტისოვი აღნიშნავს „მსგავს მიდგომაში გარე და შიდა ფაქტორები არ ქრება. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და საერთო ეკონომიკური ფაქტორები თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ გარე ფაქტორებს, ხოლო დანარჩენი სამი ფაქტორი ახასიათებს შიდა მამომრავებელ ძალებს“ [1].

ჩვენი აზრით, ფაქტორების დაჯგუფება გარე და შიდა ჯგუფების შიგნით სხვადასხვა ქვეჯგუფებად შეიძლება განსხვავებული საშუალებებით, მაგრამ ნ. მაკარკინის მიდგომა ყველაზე უფრო წარმატებულია. მის მიერ დაჯგუფების საფუძველში ჩადებული ამა თუ იმ ფაქტორის წარმოშობის ბუნება საკმაოდ საფუძვლიანადაა დასაბუთებული. მასზე დაყრდნობით, ჩვენ კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვაზე მოქმედი ფაქტორები წარმოვადგინეთ ორ ჯგუფად: (1) გარე გარემოს ფაქტორები და (2) შიდა გარემოს ფაქტორები. ამასთან, ორივე მათგანი კლასიფიცირებულია სამ-სამ ქვეჯგუფად (ცხრილი 1).

ცხრილი 1. კომერციული ბანკის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია¹

1. გარე გარემოს ფაქტორები			2. შიდა გარემოს ფაქტორები		
1.1. საერთო ეკონომიკური	1.2. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი	1.3. სოციალურ-პოლიტიკური	2.1. ორგანიზაციული	2.2. ტექნოლოგიური	2.3. ეკონომიკური
1.1.1. ჩატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;	1.2.1. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ადეკვატურობა;	1.3.1. პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყანაში;	2.1.1. საბანკო სისტემის სტრუქტურა;	2.2.1. გამოყენებული ტექნოლოგიების დონე;	2.3.1. მენეჯმენტის კვალიფიკაცია;
1.1.2. ინფლაციის დონე;	1.2.2. საბანკო ბაზარში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი	1.3.2. მოსახლეობის ნდობა საბანკო სისტემისადმი;	2.1.2. ბანკების სახეები;	2.2.2. თანამედროვე საბანკო პროდუქტების დანერგვის ხარისხი	2.3.2. საბანკო კაპიტალის სიდიდე;
1.1.3. ფინანსური ბაზრის განვითარების დონე;		1.3.3. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური წონა	2.1.3. საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარებულობა;		2.3.3. საბაზრო სტრატეგია, აქტივების ლიკვიდობა;
1.1.4. ეკონომიკის საერთო მდგომარეობა			2.1.4. საბანკო ზედამხედველობის სისტემა		2.3.4. ბანკებს შორის ნდობის ხარისხი;

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ფაქტორების გავლენა კომერციული ბანკის მდგრადობაზე შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც შიდა, ასევე გარე გარემოს ფაქტორებით.

კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა გარემოს ეკონომიკური ფაქტორები: მენეჯმენტის კვალიფიკაცია; საბანკო კაპიტალის სიდიდე; საბაზრო სტრატეგია, აქტივების ლიკვიდობა; ბანკებს შორის ნდობის ხარისხი; აქტივებისა და პასივების დაბალანსებულობა ვადების მიხედვით.

ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების უმთავრეს ფაქტორად საბანკო კაპიტალი ანუ ბანკის საკუთარი სახსრები მიიჩნევა. შესაბამისად, კაპიტალი, როგორც საკუთარი საფინანსო რესურსი, განსაზღვრავს ბანკების უნარს დაკრედიტებაზე და რისკების ნეიტრალიზებაზე, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ნდობის ფაქტორთან მეანაბრებისა და კრედიტორების მხრიდან, წარმოქმნილი ვალდებულებების გასტუმრების უნარის თვალსაზრისით. ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ მიუხედავად გლობალური კრიზისის ზეგავლენისა, ქართულ ეკონომიკაზე საქართველოში მოქმედ ბანკებს აქვთ ძლიერი კაპიტალის ბაზა – ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ადექტვატურობის კოეფიციენტი ანუ კაპიტალის თანაფარდობა რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან მინიმუმ 12%-ს უნდა შეადგენდეს, ხოლო ლიკვიდობის მაჩვენებელი - ვალდებულებების 20%-ს.

კომერციული ბანკების საქმიანობის სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილებისა და ფინანსურ მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლით გამოვლინდა, რომ ჩრდილოვანი საბანკო სისტემა წარმოადგენს მრავალი ქვეყნის საფინანსო სექტორის სერიოზულ პრობლემას. მაგალითად, აშშ-ში უარყოფითი გავლენა იქონია ტრადიციული საბანკო და საინვესტიციო საქმიანობის განცალკევებამ, რაც დაკავშირებული იყო გლასი-სტიგოლის კანონთან, რომლის თანახმად კომერციულ ბანკებს

¹ ცხრილი შედგენილია ლიტერატურული წყაროს [12] მონაცემების მიხედვით.

ეკრძალვებოდათ მაღალრისკიანი საინვესტიციო ოპერაციების განხორციელება მეანობის სახსრების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ფინანსური სექტორის მარეგულირებლები არ იყვნენ პასუხისმგებელი საინვესტიციო ბანკების სპეკულაციური ფინანსური ოპერაციებისათვის, ხოლო რისკების მთელი სიმძიმე გადადიოდა ინვესტორებზე. გლასი-სტიგოლის კანონის მოქმედებისა და საბანკო რეგულირების შესუსტების შედეგად, მეანობის სახსრებმა დაიწყო გადადინება საფონდო ბაზრებზე. იმავედროულად, საბანკო ზედამხედველობისათვის საბანკო ოპერაციების მეტი წილი გახდა გაუმჭვირვალე. ყოველივე ამან დააჩქარა ფინანსური კრიზისის დადგომა ჯერ აშშ-ში, შემდგომ კი მის ფარგლებს გარეთ¹.

ჩრდილოვანი საბანკო სისტემა წარმოადგენს მრავალი ქვეყნის საფინანსო სექტორის სერიოზულ პრობლემას, მათ შორის საქართველოშიც². უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოვანი საბანკო სექტორის სისტემური კვლევები არ ჩატარებულა. ანუ, ამ ეტაპისთვის მხოლოდ მიახლოებითაა შესაძლებელია საქართველოს ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მოცულობის დადგენა, რომლის მიზნით უნდა განისაზღვროს იმ ინსტიტუტების წრე, რომლებიც ეწევიან საბანკო საქმიანობას, ხოლო მათგან თუ რომელი ინსტიტუტი შეიძლება მივაკუთვნოთ ჩრდილოვან საბანკო სისტემას. აუცილებელია, პირველ რიგში, გამოვლინდეს საბანკო სექტორის მიღმა საკრედიტო შუამავლობის ყველა შემთხვევა. ამასთან, აუცილებელია ისეთი ინსტიტუტების გამოვლენა, რომლებისთვისაც დამახასიათებელია აქტივების განაღდების ვადისა და ლიკვიდურობის რისკები, რისკების არასრული გადაცემა, მაღალი ლევერიჯი და მარეგულირებელი არბიტრაჟი. ეს საშუალებას მოგვცემს შემუშავდეს მარეგულირებელი ნორმები და ღონისძიებები ამ სახის ინსტიტუტებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის – საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, მის მიერ სისტემატიურად უნდა იქნას განხორციელებული ჩრდილოვანი საბანკო სისტემის სისტემური რისკების კვლევა და მათი ასახვა ფინანსური სტაბილურობის ყოველწლიურ ანგარიშში.

საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობაზე უარყოფითად მოქმედებს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ:

- მაკროეკონომიკური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია – ბანკების მიერ არაპროფილური ბიზნესის წარმართვა, არასრულყოფილი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა, სუსტი საბაზრო დისციპლინა, სუსტი საბანკო ზედამხედველობა და კონტროლი;

- მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან გამოიყოფა – დაკრედიტების ბუმი, კაპიტალთან ოპერაციების ანგარიშის ლიბერალიზაცია, პორტფელური ინვესტიციების დიდი ნაკადით შემოდინება, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე, ლიკვიდობის არასაკმარისი დონე, შემოსავლებისა და მომსახურების დონის ვარდნა, ეკონომიკის მონეტიზაციის მაღალი დონე, დამოკიდებულება მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურაზე და მსოფლიო ფინანსური კრიზისი.

საბანკო სექტორის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებს წარმოადგენს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, ეკონომიკის დაკრედიტების პოტენციალის გაფართოება, ბანკების გამსხვილებისა და კონსოლიდაციის პროცესის გაგრძელება, ბანკების კაპიტალიზაციის ამაღლება, საბანკო რისკების გონივრული მართვა, მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით საბანკო სექტორის „მდგრადობის ხარისხისა“ და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება.

საბანკო სექტორის მდგრადობაზე განსაკუთრებული როლი აკისრია კომერციული ბანკების ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობის ამაღლებას. ამ მიზნით, საჭიროა განხორციელდეს დღეისთვის არსებული ნორმატიული ბაზის შემდგომი განმტკიცება, რომელიც მიმართული იქნება კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების წესების სრულყოფაზე, რადგანაც

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ 21-ე საუკუნის ფინანსური კრიზისი საბაზრო ეკონომიკის ტიპური კანონზომიერება და სავსებით პროგნოზირებადი მოვლენაა. საბაზრო ეკონომიკა საკუთარი წესებით ვითარდება. ეკონომიკური მოდელი, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების მიუხედავად, ციკლურობის პრინციპს ეფუძნება. მართალია, ზრდისა და ვარდნის ფაზები განსხვავდება სიღრმითა და ხანგრძლივობით, მაგრამ ისინი არსებითად მუდმივი პერიოდულობით ხასიათდებიან. მსოფლიოს ეკონომიკის დამანგრეველი ბოლო კრიზისის არსებით მიზეზად ძირითადი ფულადი ერთეულის - აშშ დოლარის ჭარბი რაოდენობით მიმოქცევა მიიჩნევა. იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დოლარის „ძალას“, არასდროს ჰქონდათ დოლარის მოცულობის ემისიის ხისტი გაკონტროლების საშუალება. ეს ხელეწიფება აშშ-ს ფედერალურ სარეზერვო სისტემას, კერძო ორგანიზაციას, რომელიც ამერიკის 20 უმსხვილესი ბანკისაგან შედგება.

² მაგალითისთვის, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც მიეკუთვნება ჩრდილოვან საბანკო სექტორს, არის მევახშეობა, ე.წ. „კერძო იპოთეკარების“ ინსტიტუტი. ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია აგრეთვე ლომბარდები. გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში იზრდება სხვადასხვა სახის ფონდების რაოდენობა, რომლებიც არა თუ არ რეგულირდებიან, არამედ მათი საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლებიც კი არ არის შემუშავებული.

აღნიშნული საკითხი საქართველოში ე.წ. „ვაჭრობის“ საგნად არის ქცეული¹. ასევე სრულყოფას მოითხოვს ზედამხედველობის მიზნით განსაზღვრული „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ზუსტად დადგინდეს კომერციული ბანკების აქტივების მგრძობელობა საკრედიტო რისკის მიმართ და, ამასთან, უფრო სრულყოფილად განისაზღვროს კომერციული ბანკების ფუნქციონირების მთავარი მაჩვენებელი - კაპიტალის საკმარისობა.

საბანკო სექტორის მდგრადობაზე დადებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორი, როგორც კომერციული ბანკების რესტრუქტურისა, რომელიც მიმართულია საბანკო სექტორის ფინანსური რყევების აღმოფხვრასა და მისი გადახდისუნარიანობის აღდგენაზე, ან მათი ლიკვიდაციის პროცედურების განხორციელებაზე, რასაც საბანკო სექტორი ხშირად მიმართავს და დადებით შედეგებსაც ღებულობს.

ამჟამად, ყველა ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საბანკო პროდუქტების სამომხმარებლო და ეკონომიკური კრიტერიუმები. სამომხმარებლო კრიტერიუმებს შორის ძირითადს წარმოადგენენ: მომსახურების ტიპი, საბანკო პროდუქტების ფართო ასორტიმენტი, მომსახურების მაქსიმალური ვადა, მომსახურების ხარისხი, პერსონალის პროფესიონალიზმი, ტექნოლოგიური დონე და ტექნიკური ინოვაციები. ეკონომიკურ კრიტერიუმებს წარმოადგენენ: მომსახურების ტარიფები, დამატებითი გადასახდელები და სხვა საკომისიოები, საბანკო მომსახურებით სარგებლობის სხვა შესაძლო ხარჯები.

საბანკო პროდუქტების ბაზრის პერსპექტივები დაკავშირებულია არა მხოლოდ მათ ხარისხზე და ღირებულებაზე. წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზები შეიძლება გახდეს კონკრეტული პროდუქტის სხვა ფაქტორები, კერძოდ: ბანკის სარეკლამო საქმიანობა; ბანკის იმიჯი და რეპუტაცია; ბანკის ადგილმდებარეობა; კონკურენტული პოზიციები საბანკო მომსახურებაში; ბაზრის ტევადობა, ბაზარზე მარტივად ხელმისაწვდომობა; ბაზრის ერთგვაროვნება; კლიენტისა და საკადრო პოლიტიკის ეფექტიანობა; ოპტიმალური კონტროლი და ა.შ.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის დადებით იმიჯს, რომელიც ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანიის გარეშე იძლევა საშუალებას მოზიდული იქნას ახალი კლიენტები და ასევე გადრმავდეს არსებულ კლიენტებთან თანამშრომლობა.

ბანკის იმიჯის ქვეშ, როგორც წესი, მოიაზრება წესი, რომელიც ჩამოყალიბდა მის თანამშრომლებს, კლიენტურას, ფინანსურ გარემოსა და ფართო საზოგადოებას შორის. ბანკის იმიჯის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ა.ე. ბინეცკი, რომელიც წერს: „საბანკო სამყაროში, სადაც არის უსაზღვრო არჩევანის საშუალება, კონკურენციის რეალური და უპირველესი ფაქტორი ხდება საკრედიტო დაწესებულების იმიჯი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი საბანკო მომსახურების სექტორში, რადგან „ბანკი-კლიენტი“ პარტნიორობის წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია კლიენტების ნდობის ხარისხზე [3, გვ. 227-229].

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ბაზრისა და ინტერნეტ კომერციის გათვალისწინებით, ბანკები იძულებულნი გახდნენ გაუძლონ გადახდის სისტემების მძაფრ კონკურენციას. ეს განაპირობებს საბანკო მენეჯმენტის მხრიდან აუცილებელ სიფრთხილეს და ყურადღებას კონკურენტუნარიანობის ფორმირების მექანიზმის შემუშავებისადმი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა, პროგრამის ფარგლებში, შეაფასეს საბანკო და არასაბანკო ინსტიტუციების მდგრადობა. დადგინდა საბანკო, სადაზღვევო და სხვა ფინანსური ბაზრების ხარისხის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩატარდა სისტემური სტრესის მიმართ ფინანსური სექტორის მდგრადობის ტესტი საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასებისას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველომ წარმატებით გაუძლო სხვადასხვა შოკს, მათ შორის, რუსეთთან კონფლიქტს, გლობალურ ფინანსურ კრიზისს, პოლიტიკურ ცვლილებებსა და რეგიონულ არასტაბილურობას. უკანასკნელ წლებში საქართველოს საბანკო სისტემამ მდგრადობა გამოავლინა, თუმცა, ამავე დროს, იკვეთება სხვადასხვა რისკი და სისუსტეც, რომელთაც მუდმივად აქტიური მონიტორინგი და მართვა ესაჭიროება. ამ რისკებს შორისაა არსებული სისუსტეები, რომლებიც უკავშირდება დოლარიზაციას, ასევე ლიკვიდობასა და სესხების კონცენტრაციას. ამ ფაქტორებს შეუძლია შეასუსტოს სხვადასხვა შოკთან სისტემის გამკლავების უნარი, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული რისკები ძირითადად მინიმიზებულია [4]. შესაბამისად, საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არარსებობა ფინანსური სექტორის სტაბილურობის ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების საგანია.

¹ ვგულისხმობთ კომერციული ბანკების ზედამხედველობის ფუნქციების სხვადასხვა ინსტანციაზე განხორციელებას.

განვითარებული ქვეყნების დეპოზიტების დაზღვევის სისტემებმა ცხადყო, რომ ეფექტიანად ფუნქციონირებად დეპოზიტების დაზღვევის სისტემას მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა შეუძლია. საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისათვის მსოფლიოში არსებული გამოცდილების გაზიარება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, მინიმუმამდე შეამცირებს ბანკთა გაკოტრების შესაძლებლობას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

კვლევამ ცხადყო, რომ საბანკო დეპოზიტების სადაზღვევო სისტემის შექმნა, მოითხოვს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას: საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შექმნას, საბანკო საქმიანობისა და სტრუქტურის ანალიზს, სადაზღვევო სისტემის ადმინისტრაციული რეგულირების ორგანიზაციას, დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს შექმნას, სადაზღვევო სისტემის ფინანსურ და საკრედიტო უზრუნველყოფას. მას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ასევე, სადეპოზიტო დაცვის სისტემა შემოღებულ უნდა იქნეს რესტრუქტურისაციის შემდეგ, მან უნდა მოიცვას ყველა ბანკი, უზრუნველყოს ყველა ტიპის დეპოზიტების შეუზღუდავი დაფარვა და სწრაფი კომპენსირება ბანკის გაკოტრების შემთხვევაში.

დასკვნა: კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების განხილვა საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობა და საიმედოობა განხილული უნდა იქნეს დინამიკაში, არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან კავშირში, იმისათვის რომ მივიღოთ უფრო სრული და ხარისხიანი სურათი მოცემულ ქვეყანაში საბანკო სისტემის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობაზე.

საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებს წარმოადგენს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, ეკონომიკის დაკრედიტების პოტენციალის გაფართოება, ბანკების გამსხვილებისა და კონსოლიდაციის პროცესის გაგრძელება, ბანკების კაპიტალიზაციის ამაღლება, საბანკო რისკების გონივრული მართვა, მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით საბანკო სექტორის „მდგრადობის ხარისხისა“ და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება.

ლიტერატურა:

1. Фетисов Г.Г. Устойчивость банковской системы и методология ее оценки. - М., 2003.
2. Живалов В.Н. Повышение устойчивости функционирования коммерческого банка: автореф. дис.канд. экон. наук. - М.,1997.
3. Александров А. В., Лысенко И. А., Мажарцев Д. И. Имидж в механизме формирования конкурентоспособности коммерческого банка // Молодой ученый. – 2013, №5.
4. გურული ი. საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასების შედეგები: <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/25415500.html>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 02.02.2016.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები ბანკებისათვის: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 02.05.2016.

Levan Kalatozishvili, Nino Vanishvili
Georgian Technical University

THE FACTORS AFFECTING STABILITY OF COMMERCIAL BANKS MANAGED IN GEORGIA RESUME

In the article, the latest literary sources and legal acts on the basis of consistently studied the theory of financial and agricultural practices in a number of important issues, such as the financial stability of the bank's management, factors affecting Georgia.

Commercial bank's financial position to manage the factors affecting the two groups: (1) external environmental factors and (2) internal environmental factors, however, both of them are classified into three subgroups. It is estimated the financial stability of the banking sector affect both macroeconomic and microeconomic factors.

Commercial banks' financial stability of the determining factors in the consideration of foreign developed market economy countries, based on the experience enabled the authors to make conclusions about the market economy, the banking system's stability and reliability must be dynamic, not independently of each other, but are interconnected in order to get a more complete and the image quality of the banking system's financial stability.

ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი

ფუნქციონალურ-ღირებულებითი მეთოდი გამოიყენება აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სამრეწველო კომპანიების მიერ. ეს მეთოდი შემუშავებულ იქნა აშშ-ი და პირველად 1947 წელს გამოიყენეს „ჯენერალ ელექტრიკში“. კომპანიის ინჟინერი ლოურენს დ. მაილსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარმოების ხარჯების შემცირება უნდა დაწყებულიყო პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებისა და მისი შემადგენელი ნაწილების ტექნიკური ფუნქციების ანალიზით. ყურადღების ცენტრში მოექცა, თუ რამდენად გამართლებულია მოცემულ პროდუქციაზე გაწეული ხარჯი. პროდუქციის მახასიათებლებიდან გამომდინარე, რომლებიც აკმაყოფილებენ ამა თუ იმ მოთხოვნილებებს, მისი ყველა თვისება ერთნაირად სასარგებლო არ არის.

ფუნქციონალური ანალიზი შედგება რამდენიმე ეტაპისგან: მოსამზადებელი, საინფორმაციო, ანალიტიკური, კვლევითი, სარეკომენდაციო და დანერგვის.

1. მოსამზადებელ ეტაპზე საბოლოოდ ადგენენ ანალიზის ობიექტს. მაგალითად, კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს მასობრივი წარმოების პროდუქცია, ან პროდუქცია, რომელიც ხარისხის თვალსაზრისით ეჭვს ბადებს. პირველ შემთხვევაში მოქმედებს მასობრიობის ფაქტორი: ერთეული პროდუქციის თვითღირებულების უმნიშვნელო შემცირებაც კი საგრძნობ ეკონომიას გამოიწვევს და პროდუქციის რეალიზაციიდან დამატებით მოგებასაც მოიტანს. მეორე შემთხვევაში ირჩევენ ანალოგიურ, ადგილობრივ თუ უცხოური ნიმუშებზე დაბალი ხარისხის ან მაღალი თვითღირებულების ნაწარმს. ასეთი ანალიზი მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების პირობებში, როცა უდიდესი როლი ენიჭება საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობას.

განსაკუთრებით მიზანშეწონილია ფუნქციონალური ანალიზი ჩაუტარდეს პროდუქციას, რომელიც ჯერ არ არის ჩაშვებული წარმოებაში. ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არის დრო, რათა, სანამ გაიმართება დანადგარები და გაფორმდება ხელშეკრულებები ნედლეულის, მასალების, ინსტრუმენტების და ა.შ. მოწოდებაზე, პროდუქციის კონსტრუქციაში თუ წარმოების ტექნოლოგიაში შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებები.

კვლევის ობიექტის არჩევა ხდება კონკრეტული სფეროების სპეციალისტების მონაწილეობით შემოთავაზებული ვარიანტებზე მსჯელობის შემდეგ. ობიექტის არჩევის შემდეგ ყალიბდება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ყველაზე კომპეტენტური სპეციალისტები. ამის შესახებ ფორმის ხელმძღვანელი გასცემს შესაბამის ბრძანებას. ბრძანებით განისაზღვრება ანალიტიკური სამუშაოების ჩატარების ვადები ცალკეული ეტაპების მიხედვით და ცალკეული მონაწილის პასუხისმგებლობა კონკრეტულ სამუშაო უბანზე, აგრეთვე, ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსთვის.

ფუნქციონალური ანალიზის სამუშაო შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად, თუ მოიძებნება პროდუქციის ან პროცესის ის ვარიანტი, რომელსაც აქვს დაბალი თვითღირებულება და მაღალი ხარისხი.

2. საინფორმაციო ეტაპზე გროვდება ინფორმაცია შესწავლის ობიექტის შესახებ: დანიშნულება, ტექნიკური შესაძლებლობები, ხარისხი, თვითღირებულება.

მთელი ინფორმაცია კომპიუტერში ან სპეციალურ ბარათებზე აისახება: დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ცალკეული დეტალების ფუნქციები, მასალა, რომლისგანაც ისინია დამზადებული, მათი თვითღირებულება. პარალელურად, შედარებისთვის ნაჩვენებია დეტალის დამუშავების ღირებულება სხვა კომპანიაში, აგრეთვე გარეთ ნაყიდი ასეთივე დეტალის ღირებულება.

საწარმოს ყველა სამსახური და განყოფილება აწვდის ანალიტიკურ ჯგუფს საჭირო ინფორმაციას პროდუქციის შესახებ, ასევე წინადადებებს მისი ხარისხის გაუმჯობესების და დამზადების ხარჯების შემცირების შესახებ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა შეფასებებს (ხარისხის, სანდოობის, მოდის მოთხოვნებთან შესატყვისობის, ესთეტიურობისა და ერგონომიულობის კუთხით).

თვალსაჩინოებისთვის კარგია პროდუქციის წარდგენა კვლევითი ჯგუფის წევრებისთვის სპეციალურ სტენდზე დაშლილი სახით. აქ დეტალები იმ რიგითობით უნდა იყოს განლაგებული, როგორც მოხდება მათი აწყობა მზა ნაწარმის მისაღებად. სასარგებლო იქნება კონკურენტთა ანალოგიურ პროდუქციის გაცნობა.

3. ანალიტიკური ეტაპი გულისხმობს ნაწარმის ფუნქციების შესწავლასა და მათი უზრუნველყოფისთვის ხარჯების განსაზღვრას. განიხილება შემდეგი საკითხები:

☒ რას წარმოადგენს ნაწარმი?

რა ფუნქციები აკისრია მას?

რომელი ფუნქციებია აქედან საჭირო და სასარგებლო, რომელია ზედმეტი, რაც ზრდის თვითღირებულებას?

როგორია ნაწარმის ნამდვილი ღირებულება.

როგორი უნდა იყოს ნაწარმი?

რას შეადგენს მისი ახალი ღირებულება?

დაწვრილებითაა აღწერილი მთლიანობაში ნაწარმის ტექნიკურ-საექსპლუატაციო, ესთეტიური, ერგონომიული თვისებები და ცალკეული ნაწილების ტექნიკური ფუნქციები (დეტალების, დეტალების ჯგუფებისა და კვანძების). ფუნქციები იყოფა ძირითად (A), მეორეხარისხოვან (B) და უსარგებლო (C) ფუნქციებად.

უსარგებლო ფუნქციების განთესვით, მცირდება ზედმეტი ხარჯები. ანალიზი შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სქემის გამოყენებით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ABX პრინციპით პროდუქციის ფუნქციების განაწილება

დეტალები	ფუნქციები						
	1	2	3	4	5	6	...
1	B	B	A	B	B	-	
2	B	B	-	C	-	A	
3	B	B	-	-	-	A	
4	A	B	-	-	C	-	

...

მსგავსი სქემა არ უნდა იყოს ძალიან დიდი, რომ არ დაიკარგოს თვალსაჩინოება. პარალელურად, შესაძლებელია მეორე სქემის შედგენა, სადაც ქვემდებარებად მოცემული იქნება იგივე დეტალები, შემასმენლად კი – ცალკეულ კალკულაციის მუხლების მიხედვით მათი წარმოების ხარჯები. შემდეგ მიზანშეწონილია ფუნქციების წონადობის (მნიშვნელობის) შეფასება და მათი უზრუნველყოფისათვის ხარჯების გადახედვა. შეფასება ხორციელდება ხარჯების შემცირების შესაძლებლობის გამოსავლენად შემდეგი მიმართულებებით:

1. რა გავლენას ახდენს მოცემული დეტალი ნაწარმის ფასზე მთლიანობაში?
2. მასზე გაწეული ხარჯი რამდენად შეესატყვისება მის სარგებლიანობას?
3. სჭირდება თუ არა მოცემულ დეტალს ყველა არსებული მახასიათებელი?
4. შესაძლებელია თუ არა მსგავსი დეტალის უფრო იაფად დამზადება?
5. შეიძლება თუ არა ანალოგიური დეტალის სხვაგან, უფრო დაბალ ფასად შექმნა?
6. მოხერხდება თუ არა მისი ცალკეული ფუნქციების სხვა დეტალებზე გადანაწილება? და ა.შ.

მეოთხე პუნქტისთვის შეიძლება გამოიყოს დამაზუსტებელი კითხვები:

1. შესაძლებელია თუ არა ერთი მასალის მეორე, უფრო იაფით შეცვლა;
2. მიზანშეწონილია თუ არა მომწოდებლის შეცვლა, რათა მივიღოთ მასალები უფრო ნაკლებ ფასად;

3. რამდენად შესაძლებელია პრინციპულად ახალი მასალების გამოყენება.

საკითხები, რომლებიც უკავშირდება დამუშავებას, საჭიროებს შემდეგი ასპექტების დაზუსტებას: დანადგარის შეცვლის შესაძლებლობა, ოპერაციების შეცვლა, ზოგიერთ ოპერაციაზე უარის თქმა და ა.შ.

განხილულ ეტაპზე განისაზღვრება ნაწარმის სამომხმარებლო მახასიათებლების ერთობლიობაში ცალკეულ ფუნქციათა ხვედრითი წონა და ხდება მისი შედარება თითოეული ფუნქციის მისაღებად გაწეული ხარჯის ხვედრ წონასთან.

ცალკეული ფუნქციათა ხვედრითი წონას ნაწარმის სამომხმარებლო მახასიათებლების ერთობლიობაში უწოდებენ მნიშვნელობის კოეფიციენტს. ფუნქციების ჩამოთვლა ხდება მათი მნიშვნელობის შემცირების ხარისხის მიხედვით. მნიშვნელობის კოეფიციენტის განსაზღვრისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას მომხმარებელთათვის ყველაზე არსებითი პარამეტრები (ცხრილი 2).

ცხრილი 2

მნიშვნელობისა და ხარჯების კოეფიციენტთა შედარება

პარამეტრები მნიშვნელობა, % ცალკეული პარამეტრების ხვედრითი წონა (%) ხარჯების მიხედვით:

1	50	80
2	30	10
3	15	5
4	5	5
სულ	100	100

პარამეტრის (ფუნქციის) ხვედრითი წონის შეფარდებას მის მნიშვნელობასთან ეწოდება ცალკეულ ფუნქციათა ხარჯების კოეფიციენტი (K). მაგალითად, ცხრილ 2-ში ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი (ფუნქცია) – პირველია. ხარჯებისა და მნიშვნელობის კოეფიციენტების შეფარებით ვიღებთ ხარჯების კოეფიციენტს $K1=80:50=1,6-6$. რადგან იგი 1-ზე მეტია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ პარამეტრის მისაღებად ხარჯები მნიშვნელობასთან არაშესაძარისა.

ფუნქციონალური ანალიზის თეორიასა და პრაქტიკაში გამართლებული შეფარდება ხარჯებსა და მნიშვნელობას შორის უნდა უტოლდებოდეს ან უახლოვდებოდეს 1,0-ს. თუ კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, მაშინ მიიჩნევენ, რომ შეფარდება ხელსაყრელია. თუ კოეფიციენტი 1-ს აღემატება, მაშინ რეკომენდებულია ხარჯების შემცირება, რათა მიღებული იქნას პარამეტრი. ცხრილში მოცემული მე-2, მე-3 და მე-4 პარამეტრების მიხედვით ვიღებთ:

$$K2=0.33; K3=0.33; K4=1$$

პარამეტრების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას რანჟირება და საექსპერტო შეფასების მეთოდი.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილებათა რამდენიმე ვარიანტის შემოთავაზება. თითოეულ მათგანს გააჩნია დადებითი მხარე და გარკვეული ეკონომიკური ეფექტი. ეს დადებითი მხარეები შესაძლოა განსხვავდებოდნენ: ერთი ვარიანტის მიხედვით ხარისხის უმნიშვნელო გაუმჯობესებისას იზრდება ხარჯები, ხოლო მეორე ვარიანტის შემთხვევაში – ხარჯები მცირდება, ხარისხი კი შენარჩუნებულია. არსებობს მესამე ვარიანტიც, როცა ხარისხი უმჯობესდება უმნიშვნელოდ, თვითღირებულება მცირდება, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე მეორე ვარიანტის შემთხვევაში. ასეთ დროს, რომელ ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

ვარიანტის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა, ამიტომ ანალიტიკური სამუშაოების ეტაპზე აუცილებელია ეკონომიკური გაანგარიშებების ჩატარება, რათა განისაზღვროს ამა თუ იმ გადაწყვეტილების ზეგავლენა პროდუქციის თვითღირებულებასა და რენტაბელობაზე.

ოპტიმალური ვარიანტის არჩევის შემდეგ, საჭიროა მისი `დაცვა` ფირმის ხელმძღვანელობის დონეზე. ამასთან, ახალი პროდუქციის შემუშავებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიებისათვის დანერგვის კუთხით დამახასიათებელია როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური სამუშაოები.

4. კვლევით ეტაპზე ხდება იმ გადაწყვეტილებათა ვარიანტებისა და იდეების შეფასება, რომელთა შემუშავება მოხდა წინა ეტაპზე, რათა გამოირიცხოს დისპროპორციები ფუნქციებსა და ხარჯებს შორის.

5. სარეკომენდაციო ეტაპი დაკავშირებულია მოცემული წარმოებისთვის ყველაზე მისაღები ვარიანტის არჩევასთან ნაწარმის სრულყოფის მიზნით.

6. დანერგვითი ეტაპი წარმოადგენს დასკვნით ეტაპს, სადაც ხდება სარეკომენდაციო ეტაპის შედეგების გათვალისწინება და ტექნიკის სრულყოფის ამორჩეული ვარიანტის დანერგვა.

დასკვნა: ფუნქციონალური ანალიზის ჩატარებისას ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ანალიზი უტარდება პროდუქციის სამომხმარებლო ღირებულებას, რომელიც ყოველთვის არ განისაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ამიტომ მისი ხარისხობრივი და სიტყვიერი აღწერითი შეფასებისას (გემო, ესთეტიკური და ეკონომიური თვისებები) იყენებენ ქულებს. ხარჯების შედგენლობასა და სიდიდეს ანგარიშობენ პროდუქციის მთლიანი თვითღირებულების ხარჯიდან გამომდინარე.

ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. <http://www.russba.ru/>

Ketevan Kitsmarishvili
Georgian Technical University
FUNCTIONAL-VALUE ANALYSIS
RESUME

One of the methods for the improvement at all stages of life cycle of any object is the functional - value analysis (FVA). It is complex method for the economic-technical research of the object, whose aims to develop its useful functions, during optimal correlation of costs toward significance and fulfillment to its consumer.

ვენჩურული პროექტების სახეები

ვენჩურული პროექტები დაკავშირებულია ახალი საწარმოების შექმნასთან, საცდელი ნიმუშების ან პროდუქციის პარტიის დამზადებასთან, დანადგარების (აღჭურვილობის) შექმნასთან და სხვა ძვირადღირებულ სამუშაოებთან. ეს პროექტები კომერციულია და ფინანსდება, როგორც წესი, კომერციული ბანკებიდან უკან დაბრუნების პირობით. ბევრ კომერციულ ბანკში შექმნილია სპეციალური განყოფილებები, დამუშავებულია საინვესტიციო საქმიანობის პრინციპები. მათ შორის: საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგია, საინვესტიციო პროექტების ფორმალიზებული შეფასების სისტემა; საინვესტიციო პროექტებზე მუშაობის ტექნოლოგია და სხვა.

ძირითადი ტექსტი: სამეცნიერო-ტექნიკური დონის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ვენჩურულ პროექტებს:

☒ სამოდერნიზაციო პროექტი – პროტოტიპის კონსტრუქცია (საბაზისო ტექნოლოგია კარდინალურად არ იცვლება);

☒ ნოვატორული პროექტი – ახალი ნაწარმის კონსტრუქცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველისგან.

☒ წამყვანი პროექტი – კონსტრუქცია ემყარება წამყვან (მოწინავე) ტექნიკურ გადაწყვეტებს.

☒ პიონერული პროექტი – წარმოიქმნება ადრე ჯერ არარსებული მასალებით, კონსტრუქციებით, ტექნოლოგიებით, რომლებიც ასრულებენ როგორც ძველ, ასევე ახალ ფუნქციებს.

გადასაწყვეტი საკითხების მასშტაბებიდან გამომდინარე ინოვაციური პროექტები იყოფა:

☒ მონოპროექტებად.

☒ მულტიპროექტებად.

☒ მეგაპროექტებად.

მონოპროექტები ხორციელდება, როგორც წესი, ერთი ორგანიზაციის ან ქვეგანყოფილების მიერ. მაგალითად, კონკრეტული ნაწარმის, ტექნოლოგიის შექმნა. ასეთი პროექტების შესრულება მკაცრი ვადებისა და დაფინანსების ზუსტად განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული. პროექტს ხელმძღვანელობს კოორდინატორი ან ხელმძღვანელი.

მულტიპროექტები მიმართულია რთული ინოვაციური მიზნის მიღწევაზე, მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის შექმნაზე, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პრობლემის მოგვარებაზე. მის ფარგლებში გაერთიანებულია დიდი რაოდენობით მონოპროექტი. მისი შესრულებისას აუცილებელია მაკოორდინირებელი ქვეგანყოფილებების შექმნა.

მეგაპროექტები წარმოადგენენ მრავალმიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებს, რომლებიც ცენტრალიზებულად ფინანსდება და იმართება საკოორდინაციო ცენტრიდან. მაგალითად, დარგების ტექნიკური „გადაიარაღების“ პროექტები, კონვერსიის პრობლემების გადაწყვეტა, პროდუქციისა და ტექნოლოგიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ინოვაციური პროექტების დაფინანსებისას საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგია ემყარება პრიორიტეტების განსაზღვრას. ფორმალიზებული შეფასებების შედეგად ირჩევენ ისეთ პროექტებს, რომელთაც უპირატესობას ანიჭებენ. მათი შემუშავება ხდება საინვესტიციო საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით, რომელთა შორის შეიძლება იყოს: დაკრედიტების დასაშვები მოცულობა, დამატებითი ეფექტების არსებობა, მოგების დასაშვები მინიმალური მარჟა. ინვესტიციებთან მუშაობის ტექნოლოგია მოითხოვს გაუმჯობესების, თანხლების, კონტროლისა და კონსულტაციის გაწევს უზრუნველყოფას.

თითოეულ პროექტს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი, რათა სათანადოდ შეფასდეს მიღებული შედეგი. ნებისმიერი პროექტის საბოლოო წარმატებას ბაზარი განსაზღვრავს.

ყველა პროექტი გადის ექსპერტიზის პროცედურას, ექსპერტიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას დაფინანსების მოცულობისა და მიზანშეწონილობის შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტიზის ჩატარების ვადებს, განაცხადის შეტანის მომენტიდან დაფინანსების ხაზის გახსნისა და სუბსიდიების მიღებამდე პერიოდის ხანგრძლიობას.

ექსპერტიზა შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

☒ პროექტის წინასწარი შეფასება;

☒ კომპლექსური ექსპერტიზა;

☒ დასკვნის მომზადება.

წინასწარი შეფასების სტადიაზე ხდება პრაქტიკულად განხორციელებადი და ეკონომიკურად ეფექტური პროექტებისა და პროგრამების ამორჩევა. ამასთან აუცილებელია გათვალისწინდეს:

☒ პროექტის შესატყვისობა ინვესტორის მიზნებთან;

☒ განმცხადებლის დამატებითი საზოგადოებრივი და სოციალური ეფექტი;

☒ ახლად შექმნილი ქონების კუთვნილება;

☒ დარგობრივი ორიენტაცია და პროექტის განხორციელებისას მოზიდული რესურსები;

☒ რისკები;

☒ კავშირი სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებთან;

☒ საგადასახადო შეღავათების არსებობა;

☒ ქვეყნის იმპორტ-ექსპორტულ კავშირებზე ზეგავლენა.

კომპლექსური ექსპერტიზა მოიცავს:

☒ პროექტის მონაწილეთა შეფასებას (კომპლექსურობა, ხელმძღვანელთა პრაქტიკული გამოცდილება, ჩატარებული მარკეტინგის ხარისხი, კომპანიის საქმიანი გამოცდილება, პროექტის შემსრულებლის პოტენციური კაპიტალი, ფინანსური რისკებისგან დაცვის ღონისძიებები, კომპანიაში სამუშაოების მოცულობა, არსებულ სიმძლავრებთან შესაბამისობა, კვალიფიციური პერსონალის არსებობა).

☒ შესასრულებელი პროექტების შედეგებისთვის საქონლისა და მომსახურების მიმდინარე (არსებული) და პერსპექტიული ბაზრის შეფასებას (მდგომარეობა ბაზარზე, პოტენციური მოცულობის გამოვლენა, კონკურენციის პერსპექტივა, კომერციული წარმატების ალბათობა, გაყიდვების მოსალოდნელი მოცულობა, ფასწარმოქმნა, ზეგავლენის მოხდენა უკვე არსებულ საქონელზე).

☒ გამოყენებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური გამოგონებების შეფასებას (უნიკალურობა, პატენტის დაცულობა, ნედლეულისა და მასალების არსებობა, პროგრესულობის საერთო ტექნიკური შეფასება, ტექნიკური წარმატების ალბათობა, ზემოქმედება სხვა პროექტებზე).

☒ ფინანსური ნაკადის შეფასებას (სასტარტო და მთლიანი ხარჯების შეფასება, საშუალებათა გადანაწილება პროექტის ეტაპებისა და მიზნობრივი ელემენტების მიხედვით, საშუალებათა დაბრუნების პერიოდის ხანგრძლიობა, ფინანსური რისკი, რენტაბელობა, საშუალებათა დაბრუნების მექანიზმი, გარანტიები).

☒ ეკოლოგიური და სოციალური შედეგების შეფასებას.

დასკვნა: პროექტის დასკვნა გულისხმობს მისი შესრულებისა და დაფინანსების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ყველა პროექტს უნდა გააჩნდეს გეგმა და შეესაბამებოდეს გაფორმების მოთხოვნებს. ეს კი თავის მხრივ განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ინოვაციური პროექტების მენეჯერებს.

ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი, ინოვაციური მენეჯმენტი, 2016.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. [http: //www.russba.ru/](http://www.russba.ru/)

Ana Kurtanidze
Georgian Technical University
TYPES OF VENTURE PROJECT
RESUME

Venture projects are connected to the occurrence of new enterprises, production trial samples or part of product, purchase of installation (equipment) and other expensive works. This project commercial and as a rule, it is financed on condition for return from commercial banks. Most commercial banks have special departments, where principles of investment business are being processed.

მცირე და საშუალო ბიზნესი ევროკავშირისა და საქართველოში

ნებისმიერი საზოგადოება წარმოუდგენელია მატერიალური წარმოების გარეშე. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საქმიანი ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყველა ეს ცნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, ბიზნესად იწოდება, რომელშიც მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს ასრულებს. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. ამ ქვეყნებში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მშპ-ის 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მცირე ბიზნესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-თვის არნახული მნიშვნელობა შეიძინა. მცირე საწარმოთა ძირითადი მასა არიან კომპანიები, სადაც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ. მცირე საწარმოები ეფექტიანობას ავლენენ არა მარტო სამომხმარებლო სფეროში, ასევე მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში, როგორც ცალკეული მცირე მექანიზმების, დეტალების და ნახევარფაბრიკატების მწარმოებლები, რომელთა გამოშვება არარენტაბელურია მსხვილი საწარმოებისათვის. აღნიშნული საფუძვლად უდევს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებში მცირე საწარმოების განსაზღვრის და მათი როლის მიმართ სისტემურ მიდგომას. ბოლო წლებში, მიუხედავად კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისა რიგ ქვეყნებში, არ მომხდარა მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბების შეზღუდვა, რამდენადაც მათ სიცოცხლისუნარიანობის არნახული უნარი გამოავლინეს.

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა, მისი ფორსირებული განვითარება (ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მსბ-ში იქმნება ქვეყნის დამატებული ღირებულების 19–20%, და სამუშაო ადგილების 43–44%). ეს იმითაცაა განპირობებული, რომ რეფორმების ოცლიანი გამოცდილების მიუხედავად, საქართველო რჩება გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნად. სწორედ წინააღმდეგობრივმა, ხშირად არაკარმონიზებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ვერ შექმნეს სტრუქტურული გარდაქმნის წინაპირობები და გაუაზრებელი დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვიეს.

საქართველოს სხვა ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბება ესაჭიროება, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი, განვითარებადი და ზრდის მუხტით აღჭურვილი. ახალი ტიპის ეკონომიკისაკენ გზა სწორედ კერძო მეწარმეობის ფორმატის ცვლილებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადის, რომელიც ეკონომიკაში ახალი სტრუქტურული ცვლილებების მუხტის მატარებელია. მართალია, მცირე და საშუალო ბიზნესს არ შეუძლია დაკარგული პოზიციების დაბრუნება მძიმე და გადამამუშავებელი მრეწველობის ბევრ დარგში, მაგრამ ხელეწიფება გადამწყვეტი როლი შეასრულოს მუნიციპალური და რეგიონული განვითარების კონცეფციებში, დარგობრივ კლასტერებში. ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა კონკურენციის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ფორმირება, მოსახლეობის დასაქმება, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის

მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში¹. თუკი საქართველოს ეკონომიკა ახალი ტიპის ეკონომიკად უნდა ჩამოყალიბდეს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საჭიროება გარდაუვალია. შესაბამისად, ამ ტიპისა და მასშტაბების ბიზნესის განვითარება პრიორიტეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად უნდა იქცეს.

მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა „მცირე“ და „საშუალო“ ბიზნესის განსაზღვრების ერთიან სტანდარტებთან დაკავშირებით. სხვადასხვა ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან. „მცირე საწარმოს“ დეფინიციას, სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებში მისი ფართო გავრცელების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ აქვს მყარი საფუძველი. ერთადერთი, რაზეც ყველა მკვლევარი თანხმდება, ესაა მცირე საწარმოების სიმცირე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არასრულყოფილება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.²

მცირე და საშუალო საწარმოები, უპირველეს ყოვლისა, არიან მოქნილი, სწრაფად ეგუებიან ბაზრის ახალ კონიუნქტურას და საწარმო ცვლილებებს. მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ ოპერატიულად შექმნან და დანერგონ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, რასაც სწრაფად ვერ ახორციელებენ მსხვილი ფირმები. პრინციპულად ახალი ტექნიკის გამოშვება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც არღვევს მსხვილმასშტაბიანი, სერიული წარმოების სტაბილურობას. მესამეც, მცირე ფირმებისათვის დამახასიათებელია ინიციატივისა და დინამიზმის სულისკვეთება.

ბოლო გარემოება მნიშვნელოვნად განასხვავებს მსხვილ და მცირე ფირმებს. ეს გამოიხატება განსაკუთრებულ ადამიანურ ურთიერთობებში და სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატში, რომელიც ახასიათებს პატარა კოლექტივს, სადაც ყველანი გაეთიანებული არიან დამოუკიდებლობის და გადარჩენის მიზანსწრაფვით. დღეისათვის ევროკომისია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს განსაზღვრავს 2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. ცხრ. 1.).

ცხრილი 1. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია ევროკომისიის მიხედვით

კრიტერიუმი	მიკრო	მცირე	საშუალო
დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა	9	49	249
მაქსიმალური წლიური ბრუნვა	2 მლნ. ევრო	10 მლნ. ევრო	50 მლნ. ევრო
ბალანსის მაქსიმალური თანხა	2 მლნ. ევრო	10 მლნ. ევრო	43 მლნ. ევრო
დამოუკიდებლობა	კაპიტალის ან ხმის უფლების მქონე აქციების არაუმეტეს 25% ერთ ან რამდენიმე კომპანიას ეკუთვნის, რომლებიც არ წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოს		

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იმ განსხვავებული მაჩვენებლების საერთო რიცხოვნობა, რომელთა მიხედვითაც საწარმო შეიძლება ჩაითვალოს მცირე ბიზნესის სუბიექტად, ორმოცდაათს აღემატება. ამასთან, ზემოხსენებულ კატეგორიას მისაკუთვნიებული საწარმოების ზოგიერთი კრიტერიუმი ქვეყნების მიხედვითაც განსხვავდება: მაგალითად, კაპიტალის სიდიდე და გაყიდვების მოცულობა ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენენ დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, იაპონიაში, საკუთრების ფორმა – უნგრეთში, ბაზარზე არამონოპოლიური მდგომარეობა – აშშ-ში, დამოკიდებული ან დამოუკიდებელი მდგომარეობა მსხვილ საწარმო სტრუქტურაში – იაპონიაში და ა.შ. მსოფლიოს მასშტაბით საწარმოს „მცირე საწარმოად“ მიკუთვნიებისათვის ყველაზე ხშირად შემდეგ კრიტერიუმებს იყენებენ:

1. პერსონალის რაოდენობა;
2. ბრუნვის მოცულობა;
3. აქტივების სიდიდე;
4. საწესდებო კაპიტალის სიდიდე;
5. საკუთრების სტრუქტურა (მცირე საწარმოს დამოუკიდებლობა).

განვითარებულ ქვეყნებში არაკომერციული ორგანიზაციების მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მისია მოიცავს პირობების შექმნას სერვისული მხარდაჭერასათვის ახალშექმნილ და

¹ ადგიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ., 1998

² ასათიანი რ., მომსახურება და საბაზრო სისტემა. თსუ, 1993

მზარდი მცირე საწარმოსათვის. ასეთი ორგანიზაციების მოქმედების ძირითადი მიმართულებებია: - საკონსულტაციო, საცდელ-საკონსტრუქტორო, მარკეტინგული, საპროექტო, სოციოლოგიური, ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება; - კადრების მომზადების და გადამზადების ორგანიზაცია, ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მომუშავეთა კვალიფიკაციის და მმართველობის დონის ამაღლების ხელშეწყობა; - წევრებს შორის საინფორმაციო გაცვლის უზრუნველყოფა. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას აქტიურად ახორციელებენ აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო პალატები. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ ფედერალური მთავრობის მიერ ეკონომიკის სფეროში კანონების და დადგენილებების მომზადებაში. მეწარმისათვის ხელშეწყობისა და დახმარების პოლიტიკა ემსახურება პალატის წევრების „შიგა“ მოთხოვნებს.¹ ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია პალატის მეწარმე - წევრების ერთობლივი ურთიერთდახმარების ორგანიზაცია. იმავდროულად ეს არის ეკონომიკური თვითმმართველობის საფუძველი.

ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მსს-თან დაკავშირებით არის შემდეგი:

1. ნორმატიული ბაზისა და ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება;
2. მსს-ს ინტერესების დამცველი ასოციაციების მონაწილეობა ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღებისას;
3. ახალი სამუშაო ადგილების შექმნელი მსს-ს ფინანსური მხარდაჭერა;
4. მსს-ს დახმარება კვლევების, ინოვაციების, კადრების მომზადების საკითხებში;
5. “ერთიანი ბაზრის” ფუნქციონირებაში დარღვევებისა და მასში ისეთი კონკურენციის აღმოფხვრა, რომელიც ამცირებს მსს-ს მოქმედების ეფექტიანობას;
6. მსს-ის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მათ შორის საგარეო ბაზრებზე მათი გასვლის მიზნით;
7. ევროკავშირის მოსახლეობას შორის მეწარმეობრივი სულის კულტივირება და მსს-ს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების მხარდაჭერა.

უკანასკნელ წლებში ევროპაში ფართო გავრცელება ჰპოვა მხარდაჭერის ინტერაქტიულმა ინსტრუმენტებმა, როგორებიცაა პორტალები, ვებინარები, ვიდეოკონფერენციები, ვიდეო- და აუდიოტექნოლოგიები.

ევროკავშირის ბიზნესისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია მიკროსაწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 70%-ზე მეტს, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ევროპის თანამეგობრობის ეკონომიკურ წარმატებებში.

ევროკავშირის უმეტეს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს ფედერალური ხელისუფლების პრეროგატივას, კონკრეტული ღონისძიებები კი რეალიზდება რეგიონული ხელისუფლების დონეზე, ამასთან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა უნდა იყოს ბალანსირებული, რათა სხვადასხვა დონის ხელისუფალთა ფუნქციებისა და მოქმედებების არაკოორდინირებულობამ არ წარმოშვას მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის კონკურენტუნარიანობის დაქვეითება.²

კონკურენტუნარიანობის ქვეშ იგულისხმება კონკურენტთა შესაძლებლობა საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება, როგორც კომპანიების, დარგების, რეგიონების და ერების უნარი, უზრუნველყოს შემოსავლისა და ხელფასის შედარებით მაღალი დონე, საერთაშორისო კონკურენციისათვის გახსნილობის პირობებში.³

ევროგაერთიანების ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განათლების სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მოქალაქეები სკოლაშივე ეუფლებიან იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია მეწარმეობაში. გარდა ამისა განსაკუთრებული პროგრამები მუშავდება ქალებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის.

რა სიძნელეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მეწარმე? ეს შეიძლება იყოს: ფინანსური სახსრების უკმარისობა, გამოკვეთილი ბიზნეს-გეგმის არ არსებობა, კანონების და საბაზრო სიტუაციის არ ცოდნა და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში ხორციელდება მიზნობრივი პროგრამები, მაგ. დანიაში მოქმედებს მსგავსი პროგრამა დამწყები მეწარმეებისთვის, რომელიც უწევს ფინანსურ, ინფორმაციულ და საკონსულტაციო დახმარებას დამწყებ მეწარმეებს.

¹ (გაეროს ვებგვერდი - www.un.org 6. გოცირიძე რ., კანდელაკი ო. გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. „ელფი“, თბ. 2001. 7. დეისაძე ე., ჩიხლაძე ნ., გაბელაშვილი კ. შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში. ქუთაისის უნივერსიტეტი, „მზმ-პოლიგრაფი“, 2012. 8. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი (NIS) - მოხსენება 2011 (transparency.ge/nis/ka/2011/ბიზნესი) 9. ვაშაკიძე თ. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში“. თბ., 2009).

² როსტიამელი თ. -მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სტრატეგია, თბილისი 2010

³ ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., გრემელიშვილი ნ. -ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბ., 2011 გვ.5

სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერის ძირითად ზომებს წარმოადგენს ფინანსური დახმარება სპეციალური სუბსიდიების სახით, რომლებიც დახმარებას უწევენ იმ მცირე საწარმოებს, რომლებიც ქმნიან სამუშაო ადგილებს. მაგ. საბერძნეთში მოქმედებს სამუშაო ადგილების შექმნის სპეციალური პროგრამა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდებისა და ქალების დასაქმებას

ევროკავშირში არსებობს ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული რეგიონები, როგორცაა მაგალითად ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ბალტიისპირეთის ქვეყნები, სამხრეთ საბერძნეთის და იტალიის რეგიონები, სადაც უმუშევრობის დონე ევროკავშირის საშუალო დონესთან შედარებით მაღალია, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე კი ძალზე დაბალია. ამ რეგიონების საშუალოევროპულ დონემდე ამაღლებისთვის ევროკავშირმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, შეიქმნა კომპანიების დაახლოების ბიურო (1973 წ.), რომლის მიზანიც იყო სხვა ქვეყნებში პარტნიორების ძებნაში ხელშეწყობა. ევროკავშირის ტერიტორიაზე მუშაობს არაერთი საინფორმაციო ცენტრი, რომელიც აღნიშნულის განხორციელებას უწყობს ხელს. დიდი ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ფორმირებას. დიდ ბრიტანეთში წარმატებით მოქმედებს ორგანიზაციების ქსელი, რომლებიც დაინტერესებულ ფორმებს მცირე საფასურის სანაცვლოდ ან სულაც უფასოდ სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებას.

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის საკმაოდ საინტერესო და გასათვალისწინებელია ესპანური გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საქმეში. კერძოდ, ესპანეთის ზოგიერთ ქალაქებში და პროვინციებში ე.წ. „განვითარების სტრატეგიული გეგმების“ დანერგვის გამოცდილება, სადაც მხედველობაში მიიღება ამა თუ იმ რეგიონის ყველა სპეციფიკური თავისებურება, მათ შორის ეკონომიკური განვითარების დონე, მეწარმეობის ხასიათი, კულტურული თავისებურებანი და ა.შ.

სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მცირე ბიზნესის განვითარებაზე ორიენტაცია. აღნიშნული პრობლემა წყდება სხვა რეგიონებთან მჭიდრო კავშირში. ასეთი ფორმა პირველად გამოყენებული იქნა ბარსელონას ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. ამ გამოცდილებამ აღიარება მოიპოვა ევროკავშირის ქვეყნებში, რისთვისაც მოზიდულ იქნა არა მარტო შიდა ფინანსები, არამედ ევროპის კავშირის სპეციალიზებული ფონდები.

გერმანიაში 2 მლნ-მდე ასეთი ფირმა ფუნქციონირებს. სახელმწიფო ახდენს კერძო ბანკების წახალისებას მცირე და საშუალო კომპანიების მხარდაჭერასა და განვითარებაში დახმარების მიზნით.

საფრანგეთში მცირე და საშუალო ფირმები გვხვდება აგრარულ-სასურსათო სექტორში, საიჯარო ურთიერთობებში, ავია და გემთმშენებლობაში, საგამომცემლო საქმეში.

იტალიაში წვრილი და საშუალო კომპანიების რაოდენობა აჭარბებს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. მათ გააჩნიათ უნარი უზრუნველყონ საექსპორტო პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემატიკის უკეთ შეცნობის მიზნით, ჩავატარეთ გამოკითხვა წინასწარ შედგენილი ანკეტების მიხედვით. გამოკითხვამ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა. სულ გამოკითხულ იქნა 80 მცირე და საშუალო საწარმოს ხელმძღვანელი (წარმომადგენელი). აქედან 25 ინდივიდუალური მეწარმე და მიკრობიზნესის წარმომადგენელი, 40 მცირე მეწარმე და 12 საშუალო საწარმოს წარმომადგენელი. ანკეტის შინაარსი ითვალისწინებდა ისეთი ძირითადი საკითხების წარმოჩენას, როგორცაა: მსს-ების სამთავრობო და არასამთავრობო მხარდაჭერა, საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნა და ხელმისაწვდომობა, ბიზნეს-სწავლება და მისი ფორმები, საჭირო კვალიფიკაციის პერსონალის შენარჩუნების პრობლემატურობა, საწარმოს მიზნები უახლოესი პერიოდის განმავლობაში და ა.შ. კითხვაზე „ესაჭიროება თუ არა თქვენს კომპანიას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა უახლოეს წლებში?“ დადებითად უპასუხა რესპოდენტთა 56%-მა. აღსანიშნავია, რომ იმ მეწარმეთაგან რომლებმაც განაცხადეს რომ არ ესაჭიროებათ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, უნდა ვივარაუდოთ რომ არიან ისეთებიც რომელთაც არ აქვთ გაანალიზებული, თუ კონკრეტულად რა მხრივ შეიძლება დაეხმაროს მათ აღნიშნული ორგანიზაციები.


ბიზნესის ამ სექტორმა ცალსახად განსაზღვრა, რომ მისთვის ყველაზე პრიორიტეტულია ფინანსური მხარდაჭერა (გამოკითხულთა 66%). ეს ხდება იმ ფონზე როცა კითხვაზე თუ „როგორ შეიცვალა სესხის აღების პირობები ბოლო სამი წლის განმავლობაში“, მეწარმეთა 54% აცხადებს რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი საკრედიტო ორგანიზაციების და სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეების დახალპროცენტინი, გრძელვადიანი სესხებით უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის გარდა, მსს-ები ითხოვენ აგრეთვე სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას (25%), უცხოელ პარტნიორთა მოძიებას (23%) და საინფორმაციო კუთხით მხარდაჭერას (21%).

ფინანსური დახმარების ძირითადი წილი მოდის საკრედიტო დაწესებულებებზე, საიდანაც ბოლო სამი წლის განმავლობაში სესხის აღების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით. მცირე ბიზნესის პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულ მიმართულებებად, სამართლიანად არის მიჩნეული ფინანსური მხარდაჭერა, ანუ დოტაციები, სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები, კომერციული ბანკების კრედიტებზე გარანტიები.

მეწარმეები კითხვაზე „რთულია თუ არა თქვენთვის საჭირო კვალიფიკაციის პერსონალის შენარჩუნება?“ გულახდილად პასუხობენ, როცა აცხადებენ, რომ არ არის რთული საჭირო კვალიფიკაციის პერსონალის შენარჩუნება ჩვენი აზრით, აღნიშნული განპირობებულია სამეწარმეო საქმიანობის ზოგადად დაბალი აქტივობით, უმუშევრობის მაღალი დონით და შესაბამისად, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალისათვის შეზღუდული არჩევანით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს „წასვლა“ ეკონომიკიდან არ უნდა გაცდეს დაშვებულ ფარგლებს. აუცილებელია გამოყოფილ იქნას ის მიმართულებები, სადაც ეს ჩარევა საჭიროა, კერძოდ, ინფრასტრუქტურის, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება, სოციალური დაცვის საკითხები, ეროვნული უშიშროება და ა.შ.

ნახაზი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის თვითგანვითარების ინსტიტუციური მოდელი



მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პოლიტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე აღმოცენებული მცირე საწარმოები საშუალებას იძლევიან გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, როგორცაა პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დემონოპოლიზაცია, გაუმართლებლად გამსხვილებული საწარმოების დეკონცენტრაცია, დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელთა გამრავლება, წარმოების დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, კერძო საკუთრების ინსტიტუტი, თავისუფალი კონკურენციის ინსტიტუტი, დამოუკიდებელი მეცნიერება, კონკურენციის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი თვითრეგულირება, ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, დამოუკიდებელი პროფკავშირები, საერთაშორისო საქმიანობის სერტიფიკატები, სტრუქტურის დინამიური ცვლილება სამომხმარებლო მოთხოვნის შესაბამისად.

მიგვაჩნია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ამ სექტორისათვის სპეციალური რეჟიმების შემუშავება. განვიხილოთ ამ საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტი. მრავალმა განვითარებულმა ქვეყანამ უარი თქვა სპეციალურ რეჟიმებზე საგადასახადო ბაზის განსაზღვრის განსაკუთრებული წესით.

ასეთი ხელშეწყობის ორგანიზაციისათვის საჭიროა დრო, ძალისხმევა, რესურსები, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობაში საკმაო დამაჯერებლობა. ამგვარი პრობლემები

სწრაფად არ გადაწყდება. მეტიც, იმისათვის, რომ სახელმწიფომ ისინი დამაკმაყოფილებლად გადაწყვიტოს, უმთავრეს პირობას წარმოადგენს საზოგადოების მიერ ამ პრობლემების მნიშვნელობის გააზრება.

საქართველოში ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმა მცირე ზომის ფირმაა. 2014 წლის მონაცემებით კომერციული იურიდიული პირების 94%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს) შეადგენენ, ხოლო სუბიექტთა 67,2% ინდივიდუალური მეწარმეებია. დიდი კომპანიების 65 პროცენტი ადგილობრივი მფლობელების საკუთრებაა, საშუალო და მცირე საწარმოების შემთხვევაში კი ადგილობრივი მესაკუთრეობის წილი 93–94%-ს უტოლდება.

მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის კომპონენტად უნდა იქცეს სახელმწიფოს შესყიდვების პროცესში ამ სექტორის აუცილებელი ჩართვა (პრეფერენციები მონაწილეობისას). მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ეტაპზე მცირე და საშუალო საწარმოთა კვოტამ შეადგინოს სახელმწიფო კონტრაქტების მთლიანი მოცულობის მესამედი. ასევე მიზანშეწონილია საკრედიტო რესურსის მინიმუმ 40%-ანი კვოტა დაწესდეს მცირე საწარმოებისათვის „იფი კრედიტის“ ან მსგავს სახელმწიფო პროგრამაში.

აუცილებელია მოგვარდეს სამემოსავლო გადასახადის დაბეგვრის სპეციალური რეჟიმებთან დაკავშირებით პრობლემები საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით. ბუნდოვანია მიკრო ან მცირე ბიზნესისათვის დაწესებული ერთობლივი შემოსავლის ზღვრული ოდენობების კონტროლის მექანიზმები იმ პირობებში, როცა მცირე და მიკრო ბიზნესის წარმომადგენლები საბუღალტრო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოებისაგან, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მრავალი მფლობელი სალარო აპარატების გამოყენებისგანაც იქნება გათავისუფლებული.

ამდენად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, საშუალო კლასის ჩამოყალიბება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა.

ლიტერატურა:

1. ადეიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ., 1998.
2. როსტიაშვილი თ., მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის და განვითარების სტრატეგია საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2009.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ნ., გრძელიშვილინ., ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბ., 2011.
4. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეგზაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011.
5. არნანია-კვპულაძე თ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 2009
6. ვაშაკიძე თ., ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში”, თბ., 2009.
7. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი., საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები, გორი, 2008.
8. იაშვილი გ., სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში, “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბ., 2009.
9. მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები, თსუ, 2011.

Tamar Lagvilava

Georgian Technical University

SMALL AND MEDIUM BUSINESSES IN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA RESUME

Despite the great achievements in economic performance, economic growth, poverty, and unemployment are still the most painful issues for the Georgian government and most Georgians.

one of the important factor of economic growth and Social welfare is the development of small and medium businesses. Great attention is paid to the development of SMEs in the EU countries, where 70% of jobs created in small and medium business.

Thus, development of small and medium enterprises must be ensure middle-class establishment, long-term economic growth, political stability and the promotion of acute social problems.

ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი

ბაზრის სტრუქტურის ანალიზის დროს მონაწილე კომპანიების რაოდენობასთან ერთად უმნიშვნელოვანესია მათი მასშტაბები, დომინანტი კომპანიების როლი. ამისათვის არსებობს კონცენტრაციის მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში ანტიმონოპოლიური სამსახურების მიერ, ესენია:

- ✓ კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ✓ ჰერფინდალ ჰირშმანის კოეფიციენტი;
- ✓ შედარებითი კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ✓ ენტროპიის კოეფიციენტი;
- ✓ ფირმის საბაზრო წილის დისპერსიის ლოგარითმი;
- ✓ ჯინის კოეფიციენტი;
- ✓ ჰოლ-ტაიდმანის (როზენბლიუტის) კოეფიციენტი;
- ✓ ლერნერის კოეფიციენტი;

„შერწყმა“ კორპორაციული სამართლის ტერმინია და გულისხმობს ორი საწარმოს გაერთიანებას, რომლის შედეგადაც ერთერთი მათგანი წყვეტს არსებობას, იგი გულისხმობს შექმნას, შთანთქმას, ერთობლივი საწარმოს შექმნას, კონტროლის მოპოვებას, ან თუნდაც ერთი და იგივე პირებს სხვადასხვა კომპანიების დირექტორატში მონაწილეობას. ტერმინი „კონცენტრაცია“ კი ხშირად შერწყმის/გაერთიანების სინონიმად გამოიყენება და განიმარტება, როგორც სხვა საწარმოზე კონტროლის მოპოვება შერწყმის, შექმნის ან სხვა გზით. კონცენტრაციის დონე/ხარისხი კი გამოიყენება სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების ძირითად რაოდენობრივ კრიტერიუმად. საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის რაოდენობრივი შეფასებისათვის გამოიყენება, ძირითადად, ორი მაჩვენებელი: კონცენტრაციის კოეფიციენტი (CR), რომელიც განისაზღვრება, როგორც ბაზარზე მოქმედი კომპანიების საბაზრო წილის ჯამი (მაგ., CR3, CR4, CR8, CR10) და ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი (HHI), რომლითაც იანგარიშება ბაზარზე მოქმედი კომპანიების საბაზრო წილების კვადრატების ჯამი. ამ კოეფიციენტების მნიშვნელობების მიხედვით შესაბამისი ბაზარი კვალიფიცირდება, როგორც:

- ✓ მაღალი კონცენტრაციის – CR3 >70%, ხოლო HHI > 2000;
- ✓ საშუალო კონცენტრაციის – 45 < CR3 < 70%, 1000 < HHI < 2000;
- ✓ სუსტი კონცენტრაციის – CR3 < 45%, ხოლო HHI < 1000;¹

ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსით (HHI) გამოითვლება ბაზარზე მოქმედი კომპანიების საბაზრო წილების კვადრატების ჯამი:

$$HHI=S^2_1 + S^2_2 + \dots + S^2_n$$

სადაც S₁, S₂ დარგში კომპანიების საბაზრო წილების პროცენტული მაჩვენებელია და გამოხატავს დამოკიდებულებას ფირმის მიერ საბაზრო გაყიდვებსა და დარგში მთლიან გაყიდვებს შორის.

თუ წარმოვიდგენთ ბაზარს, სადაც იდეალური კონკურენციაა, ბაზარზე წარმოდგენილ ყველა ფირმას აქვს საბაზრო წილების თანაბარი რაოდენობა, მაგალითად 1%, მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: 1²×100=100;

თუ ბაზრის მონაწილე ფირმების რაოდენობას 2-ჯერ შევამცირებთ, ანუ 50 მონაწილეს ექნება საბაზრო წილების რაოდენობის 2%, მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: 2²×50=200. როგორც ვხედავთ, ბაზრის მონოპოლიზაციის დონე გაიზარდა.

თუ იგივე გათვლებს გავაკეთებთ ბაზრის 25 მონაწილე ფირმისათვის, საბაზრო წილების რაოდენობით 4%, მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: 4²×25=400.

ოლიგოპოლიურ სიტუაციაში, ბაზრის 10 მონაწილისათვის, 10%-იანი საბაზრო წილით ინდექსის მაჩვენებელი იქნება: 10²×10=1000.

როგორც ვხედავთ, ბაზრის მონაწილე ფირმების რიცხვის არითმეტიკული შემცირებით ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის (HHI) მნიშვნელობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. როგორია ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის (HHI) ზღვრული მაქსიმალური მაჩვენებელი? მისი გამოთვლა ძნელი

¹ „კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში“. მომზადებულია ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ. 2014 წ. გვ. 50

არაა, ესაა მდგომარეობა, როდესაც წარმოდგენილია ერთი მონაწილე ფირმა 100%-იანი საბაზრო წილით. მაშინ ინდექსის მაჩვენებელი იქნება: $100^2 \times 1 = 10000$. ანუ ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის (HHI) ზღვრული მაქსიმალური მაჩვენებელია 10000 და იგი მიიღწევა ერთი ფირმის სუფთა მონოპოლური მდგომარეობით ბაზარზე, როდესაც ამა თუ იმ პროდუქციას ან მომსახურებას გვთავაზობს მხოლოდ ერთი კომპანია და ეს მდგომარეობა განპირობებულია შემოთავაზებული პროდუქტის უნიკალურობით, ხელსაყრელი ფასით, საპატენტო უფლებებით და ა.შ. როგორც წესი, სუფთა მონოპოლიები წარმოიშობა იქ სადაც არსებობს ალტერნატიული მწარმოებლის ან მომსახურე ფირმის მწვავე დეფიციტი.

1982 წელს ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი (HHI) აშშ-ში ცნეს ფირმების შერწყმის და შთანთქმის შეფასების ოფიციალურ მაჩვენებლად. ამერიკული მოდელით, როდესაც $HHI < 1000$ შერწყმა ხდება დაუბრკოლებლად, როდესაც $1000 < HHI < 1800$ საჭირო ხდება შემოწმება იუსტიციის დეპარტამენტის მიერ.

იმვითაა შემთხვევები, როდესაც ზედმიწევნითი სიზუსტით გამოითვლება ბაზარზე მოქმედი ყველა ფირმის საბაზრო წილი, ამიტომ ჰერფინდალ ჰირშმანის ფორმულის პრაქტიკული გამოყენებისას ვიწყებთ ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშეებით და მივყვებით საბაზრო წილების კლებადობის მიხედვით.

ყოველივე თეორიულად ნათქვამს მივცეთ პრაქტიკული გამოყენება. გვაქვს შემდეგი ამოცანა: გარკვეული პროდუქციის ბაზარზე ოპერირებს 14 ფირმა.

- პირველი ფირმის საბაზრო წილის პროცენტული მაჩვენებელია 15%;
- მეორე ფირმის საბაზრო წილის პროცენტული მაჩვენებელია 10%;
- მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ფირმების საბაზრო წილის პროცენტული მაჩვენებელია 8%;
- მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ფირმის საბაზრო წილის პროცენტული მაჩვენებელია 6%;
- მეთორმეტე და მეცამეტე ფირმის საბაზრო წილის პროცენტული მაჩვენებელია 5%;
- მეთოთხმეტე ფირმის საბაზრო წილის პროცენტული მაჩვენებელია 3%.

ჩვენი ამოცანაა გამოვითვალოთ ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი ამ 14 ფირმისათვის. ასევე გავთვალათ რა მოხდება, თუ მეორე და მესამე ფირმები მიიღებენ შერწყმის გადაწყვეტილებას, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ ინდექსის მაჩვენებელმა არ უნდა გადააჭარბოს 1 900.

ვიწყებთ ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის გამოთვლას შემოთავაზებული 14 ფირმისათვის.

$$HHI = 15^2 + 10^2 + 8^2 + 8^2 + 8^2 + 8^2 + 6^2 + 6^2 + 6^2 + 6^2 + 6^2 + 5^2 + 5^2 + 3^2 = 280$$

როდესაც ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის მაჩვენებელი 1000-ს არ აღემატება, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე დაბალია კომპანიების კონცენტრაციის დონე.

ახლა განვიხილოთ მეორე დავალება - რა მოხდება, თუ მეორე და მესამე ფირმები მიიღებენ შერწყმის გადაწყვეტილებას? ამ შემთხვევაში ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის გამოთვლა მოხდება შემდეგნაირად:

$$HHI = 15^2 + 18^2 + 8^2 + 8^2 + 8^2 + 6^2 + 6^2 + 6^2 + 6^2 + 6^2 + 5^2 + 5^2 + 3^2 = 980$$

როგორც ვხედავთ მაჩვენებელი გაიზარდა, მაგრამ შერწყმა დასაშვებია, რადგან ინდექსი არ აღემატება 1 900.

ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსს აქვს ძალიან საინტერესო ისტორია. საზოგადოების ერთმა ნაწილმა იგი გაიგნო ჰერფინდალ ორის კლემენტისაგან (1918-1972), იგი ამერიკელი ეკონომისტი გახლდათ და იკვლევდა სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის ეკონომიკურ მხარეებს. კვლევის პროცესში, 1950 წელს, მან ბაზრის სტრუქტურის კვლევისათვის, საზოგადოებას შესთავაზა ინდექსი, რომელმაც მისივე სახელის შესაბამისი დასახელება მიიღო. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ 1945 წელს, მისგან სრულიად დამოუკიდებლად, ანალოგიური ინდექსი, შიდა ბაზრების სტრუქტურის შესასწავლად, გამოიყენა გერმანული წარმოშობის ამერიკელმა ეკონომისტმა ალბერტ ოტო ჰირშმანმა. თავის წიგნში იგი შეეხო უმუშევრობას და სკეპტიკურად განიხილა მარშალის გეგმა, შეიმუშავა დაუბალანსებელი ზრდის კონცეფცია და დაჟინებით მოითხოვდა, რომ ნებისმიერი ეკონომიკური გადაწყვეტილება გამყარებული ყოფილიყო საფუძვლიანი კვლევით. შესაბამისად ინდექსი ორივე მეცნიერის სახელით მოიხსენიება.

ლიტერატურა:

1. „კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში“. მომზადებულია ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ. 2014, გვ. 50
2. Борисов В. Н. Микроэкономика: В 5-х т. / Общ. ред. Чеплянского Ю. В.. — СПб.: Экономическая школа, 2015. — Т. 7, с. 1168—1169, 1171.

3. Хиршман А.О. Рыночное общество. Противоположные точки зрения//Социологические исследования. 2001. № 3. С.43-53.
4. Orris C Herfindahl (1950). "Concentration in the steel industry". Dissertation: Columbia University. Retrieved 2015-04-06.
5. Albert O. Hirschman (1980-01-01). National Power and the Structure of Foreign Trade. University of California Press. p. 19.

Nino Liparteliani
Gori State Teaching University
HERFINDAHL-HIRSCHMAN INDEX
RESUME

The Herfindahl-Hirschman index (HHI) is a commonly accepted measure of market concentration. It is calculated by squaring the market share of each firm competing in a market, and then summing the resulting numbers, and can range from close to zero to 10,000. The U.S. Department of Justice uses the HHI for evaluating potential mergers issues. The Herfindahl index (also known as Herfindahl–Hirschman Index, or HHI) is a measure of the size of firms in relation to the industry and an indicator of the amount of competition among them. Named after economists Orris C. Herfindahl and Albert O. Hirschman, it is an economic concept widely applied in competition law, antitrust and also technology management. It is defined as the sum of the squares of the market shares of the firms within the industry (sometimes limited to the 50 largest firms), where the market shares are expressed as fractions. The result is proportional to the average market share, weighted by market share. As such, it can range from 0 to 1.0, moving from a huge number of very small firms to a single monopolistic producer. Increases in the Herfindahl index generally indicate a decrease in competition and an increase of market power, whereas decreases indicate the opposite. Alternatively, if whole percentages are used, the index ranges from 0 to 10,000 "points". For example, an index of .25 is the same as 2,500 points.

The usefulness of this statistic to detect and stop harmful monopolies however is directly dependent on a proper definition of a particular market (which hinges primarily on the notion of substitutability).

- For example, if the statistic were to look at a hypothetical financial services industry as a whole, and found that it contained 6 main firms with 15% market share apiece, then the industry would look non-monopolistic. However, one of those firms handles 90% of the checking and savings accounts and physical branches (and overcharges for them because of its monopoly), and the others primarily do commercial banking and investments. In this scenario, people would be suffering due to a market dominance by one firm; the market is not properly defined because checking accounts are not substitutable with commercial and investment banking. The problems of defining a market work the other way as well. To take another example, one cinema may have 90% of the movie market, but if movie theatres compete against video stores, pubs and nightclubs then people are less likely to be suffering due to market dominance.
- Another typical problem in defining the market is choosing a geographic scope. For example, firms may have 20% market share each, but may occupy five areas of the country in which they are monopoly providers and thus do not compete against each other. A service provider or manufacturer in one city is not necessarily substitutable with a service provider or manufacturer in another city, depending on the importance of being local for the business—for example, telemarketing services are rather global in scope, while shoe repair services are local.

The United States Federal anti-trust authorities such as the Department of Justice and the Federal Trade Commission use the Herfindahl index as a screening tool to determine whether a proposed merger is likely to raise antitrust concerns. Increases of over 0.01 generally provoke scrutiny, although this varies from case to case. The Antitrust Division of the Department of Justice considers Herfindahl indices between 0.15 and 0.25 to be "moderately concentrated" and indices above 0.25 to be "highly concentrated". As the market concentration increases, competition and efficiency decrease and the chances of collusion and monopoly increase.

კვლევითი პროექტები და მათი თავისებურებანი

განასხვავებენ კვლევით და ვენჩერულ პროექტებს: კვლევითი პროექტი წარმოადგენს სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური, და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე აქტუალური თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართული კვლევებისა და სამუშაოების გეგმას. კვლევით პროექტებში მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური გადაწყვეტები. განასხვავებენ: საინიციატივო სამეცნიერო პროექტებს; სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროექტებს; საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების შექმნის პროექტებს; საგამომცემლო პროექტებს; საექსპედიციო სამუშაოების ჩატარების პროექტებს და სხვა.

განვიხილოთ ისინი დაწვრილებით.

საინიციატივო პროექტებს ჩვეულებრივ ახორციელებენ მცირერიცხოვანი (10 კაცამდე) სამეცნიერო კოლექტივები ან ცალკეული მეცნიერები. ამგვარ პროექტებს არ ჰყავთ კონკრეტული დამკვეთები. საინიციატივო პროექტის შესრულების ვადა განისაზღვრება 1, 2 ან 3 წლით.

საინიციატივო პროექტის შინაარსი მოიცავს:

□ ფუნდამენტურ სამეცნიერო პრობლემას, რომლის მოგვარებისკენაა მიმართული პროექტი.

□ აღნიშნული პრობლემის ფარგლებში კონკრეტულ ფუნდამენტურ ამოცანას.

□ შემოთავაზებულ მეთოდებსა და მიდგომებს (სიახლის ხარისხის შეფასების გათვალისწინებით), სამუშაოს შესრულების მთელი პერიოდისთვის საერთო გეგმას.

□ მოსალოდნელ სამეცნიერო შედეგებს (გაფართოებული აღწერილობა პროექტის ორიგინალურობის ხარისხის შეფასებით).

□ მეცნიერების მოცემულ სფეროში კვლევების თანამედროვე მდგომარეობას და მათი მოსალოდნელი შედეგების შედარებას მსოფლიოში არსებულ დონესთან;

□ შემოთავაზებულ პროექტზე კოლექტივის სამეცნიერო მარაგანაკეთს; ადრე მიღებულ შედეგებს (ორიგინალურობის ხარისხის შეფასებით), და შემუშავებულ მეთოდებს (სიახლის ხარისხის შეფასებით);

□ ძირითადი პუბლიკაციების სიას, რომლებიც ყველაზე ახლოს დგას მოცემულ პროექტთან.

□ არსებული დანადგარების ჩამონათვალს და დახასიათებას.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროექტი მოიცავს:

□ ფუნდამენტურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტისთვის გამოყენებული იქნება ძვირადღირებული დანადგარები;

□ დანადგარების გამოყენების სფეროს კონკრეტულ დახასიათებას (ქვეგანყოფილება, ორგანიზაცია და ა.შ.);

□ დანადგარების შექმნისა და ექსპლუატაციაში შესვლის აუცილებელი სამუშაოების ზოგად გეგმას;

□ მოცემული პროექტის წინარე ვარიანტს;

□ არსებული მასალებისა და დანადგარების ნუსხას;

□ ახლის შექმნის დასაბუთებას და მასზე კონტროლს.

საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების (სს-სა და მბ-ის) პროექტში აისახება:

□ ცოდნის ის სფერო, რომელშიც შემდგომში გამოიყენება საინფორმაციო სისტემები და მონაცემთა ბაზები;

□ ფუნდამენტალური სამეცნიერო პრობლემები, რომელთა მოგვარებისთვის აუცილებელია საინფორმაციო სისტემები და მონაცემთა ბაზები, აგრეთვე მომხმარებელთა წრე და მათი მოსალოდნელი რაოდენობა;

□ კონკრეტული ფუნდამენტური ამოცანა, რომლის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული პროექტი;

□ შემოთავაზებული მეთოდები და მიდგომები;

□ პროექტის შესრულების პერიოდზე გაწერილი სამუშაოების ზოგადი (საერთო) გეგმა;

□ მოსალოდნელი შედეგები;

□ არსებული საინფორმაციო სისტემების მდგომარეობა მეცნიერების მოცემულ სფეროში, მისი შედარება მსოფლიოში არსებულთან, სამამულო ან უცხოური ანალოგები;

□ ანალოგიური პროექტების რეალიზაციის გამოცდილება, ადრე შექმნილი საინფორმაციო სისტემების აღწერილობა, ძირითადი პუბლიკაციები;

□ საინფორმაციო სისტემების შემქმნელებთან არსებული სალიცენზიო პროგრამული საშუალებები;
□ პროექტის წარმატებით შესრულებისას აუცილებლად შესაძენი ძვირადღირებული საპროგრამო საშუალებებისა და აპარატების ნუსხა;

□ სამეცნიერო საზოგადოებისთვის საინფორმაციო სისტემების გადაცემის საშუალებები;

□ შესაქმნელი საინფორმაციო სისტემების სტანდარტული მახასიათებლები (ოპერატიული მეხსიერების საჭირო მოცულობა, კილობაიტი); მეხსიერების საჭირო მოცულობა პროგრამებსა და ცალკე მონაცემთა ბაზისთვის; სავარაუდო სააპარატო და საოპერაციო პლატფორმები, საპროგრამო საშუალებები, რომლებიც საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი;

□ ფუნქციონალური მახასიათებლები (საინფორმაციო სისტემების ტიპი, მისაღები ფორმების რაოდენობა, საინფორმაციო სისტემების მონაცემთა წყარო, ველების რაოდენობა, ჩანაწერთა ან ობიექტთა რიცხვი; დოკუმენტის წარდგენის ფორმები; ძიების ორგანიზება და რეჟიმი);

□ დამატებითი საშუალებები (მონაცემთა გადაცემის ქსელი, კავშირის არხები, საინფორმაციო სისტემების შემდგომი განვითარების საშუალებები, საინფორმაციო სისტემებიდან ინფორმაციის მოწოდების ხერხები).

საგამომცემლო პროექტში ნაჩვენებია:

□ ფუნდამენტალური სამეცნიერო პრობლემა, რომლის ანალიზსა და შედეგების განზოგადოებაზეა მიმართული პროექტი;

□ მოცემული პრობლემის ფარგლებში კონკრეტული ფუნდამენტალური ამოცანა;

□ გამოცემის გეგმა-პროექტი (სტრუქტურა და შინაარსი), გამოცემის მოცულობა საავტორო ვარიანტში (ავტორის ერთი ფურცელი უტოლდება 40 000 ნიშანს) და მოსალოდნელი ტირაჟი;

□ მეცნიერების მოცემულ სფეროში პუბლიკაციების დღევანდელი მდგომარეობა;

□ შემოთავაზებული გამოცემის ორიგინალობის ხარისხი (შინაარსის, სტრუქტურის, ანალიზისა და განზოგადოების დონის, გადმოცემის მეთოდის მიხედვით).

□ ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) წინასწარ მომზადებული სამუშაოს მარაგნაკეთი;

□ ადრე მიღებული შედეგები და დამუშავებული მეთოდები;

□ ავტორის იმ პუბლიკაციათა ჩამონათვალი, რომლებიც ყველაზე ახლოა მოცემულ პროექტთან.

საგამომცემლო პროექტებს შორის სულ უფრო ვრცელდება ელექტრონული სახელმძღვანელოები და კურსები, რომლებსაც უნივერსიტეტი ქმნის, სპეციალიზებულ კომპანიებსა და ფირმებთან ერთად.

პროცესებს ხელმძღვანელობს და სამუშაოებს ახორციელებს ორგანიზაციის უმაღლესი მენეჯმენტი.

ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და კურსების შესაქმნელად იქმნება დროებითი შემოქმედებითი კოლექტივები, სადაც მთავარი ფიგურა – მასწავლებელია. მასწავლებლის გარდა, რომელსაც მოცემული დისციპლინის სწავლების საკმაო გამოცდილება აქვს, სახელმძღვანელოზე მუშაობენ მეთოდისტები, პროგრამისტები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სხვა სპეციალისტები.

ელექტრონული სახელმძღვანელოს საგანმანათლებლო პროცესში დანერგვისა და მომზადების შესახებ საგამომცემლო პროექტი მოითხოვს დიდ დანახარჯებს და ამიტომ ის კვლევით და ვენჩერულ პროექტებს შორის ზღვრულზეა.

საექსპედიციო სამუშაოების ჩატარების პროექტი ასახავს:

□ ფუნდამენტურ სამეცნიერო პრობლემას, რომლის მოსაგვარებლადაც არის ის მიმართული;

□ კონკრეტული გადასაწყვეტი საკითხის ფორმულირებას; სამუშაოების საერთო გეგმას;

□ მოცემული პროექტის წინარე ჩატარებულ სამუშაოებს (ადრე მიღებული შედეგები, რომლებიც ასაბუთებს საექსპედიციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას);

□ არსებული და აუცილებელი დანადგარების ჩამონათვალს.

კოლექტიური სარგებლობის ცენტრების შექმნის პროექტი ასახავს:

□ ფუნდამენტალური პრობლემების გადაწყვეტისას ცოდნის სფეროს, რომელიც დანადგარების კომპლექსის გამოყენებას გულისხმობს;

□ არსებული დანადგარების ჩამონათვალს, მათ ტექნიკურ მდგომარეობას და ძირითად მახასიათებლებს.

□ ფუნდამენტური კვლევებისათვის დანადგართა კომპლექსის სამეცნიერო-მეთოდური გამოყენების კუთხით არსებულ გამოცდილებას.

□ კომპლექსის სამეცნიერო-მეთოდური განვითარების ძირითად მიმართულებებს, ასევე კომპლექსის მდგრადი მუშაობისათვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალების ნუსხას.

განხილული პროექტები დამახასიათებელია სამეცნიერო კვლევების ჩატარებისათვის მათემატიკაში, ინფორმატიკაში, მექანიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და მედიცინაში; მიწის შესახებ მეცნიერებაში, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებებში.

კვლევითი პროექტისთვის დამახასიათებელია:

- სიახლის მომენტი;
- წინასწარ ჩამოყალიბებული მიზანი;
- დაწყების და დამთავრების ვადა;
- დროის და საშუალებების შეზღუდულობა.
- სირთულე;
- სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა მოზიდვის აუცილებლობა;
- მაღალი პრიორიტეტი.

პროექტი გამიზნული უნდა იყოს განსაზღვრულ დროში და შეზღუდული რესურსების გამოყენებით კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის, რომელიც იმდენად ახალია, რომ რეალიზაციისთვის სპეციალურ მიდგომებს – საპროექტო ჯგუფის ან შემოქმედებითი კოლექტივის შექმნას, მართვას და ა.შ. საჭიროებს.

დასკვნა: კვლევითი პროექტები ხასიათდება არამდგრადი ეკონომიკური ეფექტით და მაღალი რისკების შემცველობით. ამის გამო, ფინანსური ინსტიტუტები და სხვა მოგებაზე ორიენტირებული სტრუქტურები არ არიან დაინტერესებულნი მათი ინვესტირებით. ამგვარი პროექტების დაფინანსება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გრანტებით.

ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Инновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. <http://www.russba.ru/>

Marine Lomidze, Giorgi Macharashvili
Georgian Technical University
RESEARCH PROJECTS AND THEIR PECULIARITIES
RESUME

There are research and venture projects: **research project** represent a plan of works and research that are oriented toward the solution of theoretic and practical tasks having social-cultural, economic and political significance. Research projects introduce technical, economical or technological solutions argued under scientific manner.

თამარ მაკასარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ინოვაციური პროცესების განვითარების მექანიზმები საქართველოში და
სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში**

XXI საუკუნის საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს მასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია. ჩვენი ქვეყნის მომავალი ეკონომიკური წინსვლისა და ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ინოვაციურ განვითარებაზე აქცენტის გადატანა და შესაბამისი სისტემის ფორმირების ხელშეწყობა, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონულ, ლოკალურ თუ დარგობრივ ჭრილში. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს, ამასთან ეს ყოველივე დამოკიდებულია განათლების სისტემის

გამართულობაზე, მის ხელმისაწვდომობაზე, განათლებისა და მეცნიერების ინტეგრირების ხარისხზე, ინოვაციური ტექნოლოგიების სასწავლო და კვლევით პროცესში ინტეგრირებაზე.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად განაპირობებს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია.

ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერას, რაც შემდგომში განაპირობებს ინოვაციური მრეწველობის განვითარებას და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. განათლების სისტემისა და მეცნიერული კვლევების ბიზნესთან კოორდინაციით შესაძლებელია ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირება ბიზნეს საქმიანობაში. ინოვაციური პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობს ქართულ მრეწველობას განვითარდეს, უპასუხოს საერთაშორისო მოთხოვნებს და გასცდეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA), როგორც მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირების პროცესში¹. GITA-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნაა. სწორედ ამიტომ სააგენტო აწარმოებს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სწავლებებს პრიორიტეტული მიმართულებებით. თანამშრომლობს მრავალ ქვეყანასთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან საუკეთესო პრაქტიკების ქვეყანაში დანერგვის მიზნით. სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აქტიურად მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელი პროექტებისა და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების წარმართვა და კოორდინირება.

გრძელვადიან პერსპექტივაში ინოვაციური პროცესების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სოციო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, სადაც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

2016 წლის 22 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“², ამ კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობების ხელშეწყობ ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე. აღნიშნული კანონი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ავტორობით მომზადდა და წარმოადგენს ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს ინოვაციების სფეროში. ინოვაციების სააგენტო კვლავაც მუშაობს სამართლებრივი რეფორმის კუთხით და უახლოეს მომავალში წარდგენილი იქნება ახალი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოში ვენჩურული საინვესტიციო ფონდების და სახალხო დაფინანსების (ე.წ. crowdfunding) მექანიზმების შექმნას.³

აღსანიშნავია, რომ ინოვაციების შესახებ საქართველოს სრულიად ახალი კანონის მიღება საფუძველს დაუდებს ერთი მხრივ უფრო მეტი ინოვაციური სტარტაპების გაჩენას და მეორე მხრივ წახალისებს წამყვან კომპანიებს მიმართონ თავიანთი ფინანსები კვლევებსა და განვითარებებზე, რაც მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. კანონით სახელმწიფოში მნიშვნელოვნად მოწესრიგდება ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება, ინოვაციების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურების განვითარება, მოხდება მეცნიერთა და გამომგონებელთა სამართლებრივი უფლებების დაცვა და მათთვის გარანტირებული შემოსავლის უზრუნველყოფა. კანონი განამტკიცებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს

¹ <http://www.gita.gov.ge/ge/agency>

² <https://matsne.gov.ka/document/view/3322328>

³ <http://www.gita.gov.ge/ge/agency>

სახელმწიფოს ჩაურევლობას საპატენტო უფლებებში. გარდა ამისა, კანონი შესაძლებელს ხდის გაიცეს ინოვაციების სააგენტოს მიერ სახელმწიფო გრანტები მეწარმე სუბიექტებზე ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი დაფუძნებულია აშშ-ს „Bayh Dole“ კანონზე, რომელიც მიღებულია აშშ-ში უდიდესი ტრანსფორმაცია განიცადა ინოვაციების განვითარებამ, ხელი შეუწყო კერძო სექტორის ჩართულობას და კომერციალიზაციას.

ინოვაციებისათვის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში უკვე ფუნქციონირებს ორი ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი) – თბილისში და ზუგდიდში, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას და განვითარებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ასევე ხელს შეუწყობენ სრული ციკლის წარმოებას იდეიდან პროდუქტამდე. ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს დახმარება იდეის დამუშავებიდან მის პროტოტიპად ჩამოყალიბებასა და ბიზნესად განვითარებაში. ამასთან, ტექნოლოგიური პარკის საშუალებით, სახელმწიფო წახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა.

ტექნოპარკი არის სივრცე, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები, რაც ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული იდეებისა და ბიზნესების განვითარებისთვის.

ეს სივრცე წარმოადგენს ცენტრს, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა მიმართულებისა და იდეის მქონე ნიჭიერ ადამიანებს ხელს შეუწყობს მათ კომუნიკაციასა და კოლაბორაციას, რათა მათ შექმნან ახალი ტიპის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზარზე, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.

ტექნოპარკში გამოყოფილი „ფაბლაბის“ სივრცე არის ტექნოლოგიური პლატფორმა სწავლებისთვის და ინოვაციებისთვის. „ფაბლაბი“ ნიშნავს დააკავშირო და ერთ სივრცეში მოაქციო მსოფლიოს განმანათლებლები, ტექნოლოგები, გამომგონებლები და ნოვატორები. ცოდნის გაზიარების ეს ქსელი მოიცავს 50 ქვეყანას. „ფაბლაბი“ მოიცავს სამრეწველო კლასის დაზღვა-დანადგარებს და ელექტრონულ ხელსაწყოებს, რომელიც უზრუნველყოფილია „ღია კოდის მქონე“ პროგრამული უზრუნველყოფებით. „ფაბლაბი“ აღჭურვილია ლაზერული მჭრელით და სკანერით, პროგრამირებადი რუტერით, რომელიც ჭრასა და გრავირებას უკეთებს ნებისმიერ მყარ სხეულს. იგი ასევე გამოიყენება პლატების დასამზადებლად. „ფაბლაბი“ მოიცავს მაღალი გაფართოების 3D პრინტერებს, ელექტრონული კომპონენტებისა და ნაწილების კომპლექტს.

„ფაბლაბების“ ფუნქციონირება ხელს შეუწყობს: ინოვაციების, მეწარმეობის, და სამრეწველო ინოვაციების განვითარებას; საზოგადოების ჩართულობას იმ პროცესებში, რომლებიც ხელს შეუწყობენ შემოქმედებითი უნარების, ინოვაციური იდეების, ახალი პროდუქტების, მომსახურეობისა და სერვისების განვითარებას; გაადრმავეს ურთიერთობას კერძო და მეცნიერულ/ტექნოლოგიურ კვლევას (რომელიც გულისხმობს ბაზარზე ორიენტირებული პროდუქტის წარმოებას) შორის.

ტექნოპარკის საერთო სამუშაო სივრცე კომფორტული ადგილია საერთო ინტერესების მქონე ადამიანებისთვის, სამუშაო გარემო განკუთვნილია გუნდური მუშაობისთვის და ადამიანებს გამოცდილებისა და ცოდნის უკეთ გაზიარებაში ეხმარება, ესაა სივრცე კრეატიულ და ინოვაციურ პროექტებზე მომუშავე ადამიანებისთვის. სივრცით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ: ინკუბატორში არსებულ სტარტაპებს, დისტანციურად დასაქმებულ პირებს, პროექტებზე მომუშავე გუნდებს.

საერთო სამუშაო სივრცის კონცეფციის აუცილებელ ნაწილს პარტნიორებთან ურთიერთობა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია სივრცით მოსარგებლე პირებისა სააგენტოს პროექტებთან და სხვა სფეროებთან დაკავშირება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

ტექნოპარკში ასევე წარმოადგენილია სივრცე ინკუბატორებისათვის, რომელიც ახალი კომპანიების რესურსებთან და სხვადასხვა მომსახურებებთან მარტივად წვდომას და შესაბამისად განვითარებას უზრუნველყოფს. ინკუბატორების შექმნით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, იქმნება სამუშაო ადგილები და ხდება ინოვაციური იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა. ინკუბატორის პროგრამა განვითარების შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს და მთავარ მიზანს მათი დამოუკიდებლობა და ფინანსურად სტაბილურობა წარმოადგენს. წარმატებულ ინკუბატორს დაახლოებით 8-20 მიმართულება უნდა ჰქონდეს. მნიშვნელოვანია იმ კომპანიის არსებობა, რომელმაც საინკუბაციო პერიოდი გაიარა. პროგრამაში უნდა იყოს ჩართული წარმატებული მეწარმე, პრაქტიკული რჩევებისთვის. ადმინისტრაციული საკითხებისათვის ინკუბატორის სივრცეში კომპანიებს ასევე წვდომა უნდა ჰქონდეთ შემდეგი სახის ადამიანურ რესურსებთან: ბუღალტერი, მარკეტინგი, აუდიტი, ონლაინ პლატფორმებზე

გატანა (indiegogo, etsy, kickstarter, Amazon და ა.შ), იურისტი, საქპატენტის წარმომადგენელი, Sound Design, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენელი, სავაჭრო პალატის წარმომადგენელი.

ინკუბატორის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია კომპანიების შემდეგი მიმართულებებით უზრუნველყოფა: ტრენინგი მეწარმეობის მიმართულებით; ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა; ადგილობრივ ბაზართან ურთიერთობის მხარდაჭერა და კავშირი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; პროტოტიპირების, კვლევებისა და განვითარების მხარდაჭერა; ძლიერი მენტორინგის ნაწილი.

ტექნოპარკი თავის თავში ასევე მოიცავს სტარტაპ აქსელერატორებს, რომელიც ის სივრცეა, სადაც ყველაზე კრეატიული, ინოვაციური და მეწარმული უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტები იყრიან თავს. რაც მთავარია, ესაა ადგილი, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა განავითარონ საკუთარი ბიზნეს-იდეები, შექმნან სტარტაპები. აქსელერატორის როლია ხელი შეუწყოს მსგავსს ინიციატივებს საწყის (ე.წ. seed) ეტაპზე.

აქსელერატორი ერთის მხრივ არის სამუშაო სივრცე ინოვაციური იდეების მქონე სტარტაპებისათვის და მეორეს მხრივ კი ადგილი, სადაც ინოვატორები განვითარებენ უნარ-ჩვევებს და იმედოვნებენ კონკურენტუნარიანობას. ბიზნეს აქსელერატორი გათვლილია იმ ადამიანებზე, რომლებსაც აქვთ ინოვაციური, ორიგინალური, ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი ბიზნეს იდეა, იგი ღიაა სტუდენტებისა და გარეშე პირებისათვისაც.

აქსელერატორის სერვისს სამუშაო სივრცის გარდა პროფესიონალური კონსულტაციებიც ჰყავს. აქსელერატორის შეთავაზება დამოკიდებულია მისი შტატის შემადგენლობაზე და სასურველია მოიცავდეს კონსულტაციებს შემდეგ საკითხებზე: მარკეტინგი, იურიდიული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრება და ფინანსური საკითხები.

ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება მოტივირებულ, შედეგზე ორიენტირებულ ადამიანებს მისცემს წვდომას სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკასთან თუ ტექნოლოგიებთან, გამოგონებებს ექნებათ საშუალება დატესტონ ესა თუ ის თეორია და შექმნან გამოგონების პროტოტიპები.

შიდა ქართლის რეგიონში უმაღლესი და პროფესიული განათლების წამყვან საგანმანათლებლო ცენტრს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს. ჩვენი უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების მეთოდოლოგიითა და შესაბამისი პრაქტიკული პლატფორმებით, რომლებიც ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მიზნების რეალიზაციაზე, პრინციპულად ახალი, ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგიების რეალიზაციაზე. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების, შემდგომი შრომითი საქმიანობისა და ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სტუდენტების პროფესიული საქმიანობისათვის მომზადების პროცესში აქტუალურია, რომ ძირითად მიმართულებად იქცეს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების აგებისა და ფუნქციონირების საფუძვლების, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისა და შესაბამისი პროგრამული საშუალებების გამოყენების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, პროფესიულ საქმიანობაში მათი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ასეთი მიდგომა კი მუდმივად აქტუალიზებას და ეტაპობრივ განხორციელებას საჭიროებს დარგობრივი მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ამ მიზნის მისაღწევად აქტიური პროცესები მიმდინარეობს, კერძოდ: 2015 წლის დეკემბერში გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის და ამ უკანასკნელის ბაზაზე სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოეწყო და ამუშავდა ინოვაციების ლაბორატორია.

მე, როგორც სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი ძალისხმევას არ ვიშურებ, რათა ლაბორატორიის მუშაობა იყოს ეფექტური, მიზანმიმართული, მოვიზიდოთ ახალგაზრდობა და მოვახდინოთ მათი მოთხოვნების რეალიზება. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციების ლაბორატორიაში სხვადასხვა საბაზო დონის მსმენელებისათვის ჩატარდა ტრენინგები თემებზე:

- დისტანციურ პლატფორმებთან წვდომის შესახებ;
- code.org-პროგრამირების საფუძვლები;
- მარტივი ვებ-გვერდების შექმნასთან დაკავშირებით HTML CSS - ის საბაზისო კურსი JS-ის გამოყენებით;

- Unity 3D-ში თამაშების შექმნა;
- Unity-ს თაიმლიანთან მუშაობა და ანიმაციების შექმნა;
- სხვადასხვა ობიექტებისათვის ფიზიკის კანონების მორგება (გრავიტაცია, უწონადობა, დარტყმის ძალა, ასხლეტვა და ა. შ.);
- 3D და 2D გარემოს გამართვა Unity 3D-ში;
- C# პროგრამულ ენაზე მუშაობა.

ინოვაციების ლაბორატორიაში შექმნილია სამუშაო გარემო დაინტერესებული პირებისათვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობის სტუდენტებისათვის, სისტემატიურად იმართება პირდაპირი ჩართვები თბილისის ტექნოპარკში გამართული სემინარებიდან და სტარტაპ-შეხვედრებიდან, პროექტის – „სტარტაპ საქართველო“-ს ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებიდან, გაიმართა შეხვედრა სასწავლო და ინოვაციების ლიდერ მსოფლიო ბანკის ჯგუფის კომუნიკაციების ხელმძღვანელ ხოსე – მანუელ ბესეტთან, კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრა და ღონისძიებაა დაგეგმილი.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დაფუძნებული ინოვაციების ლაბორატორიის მიზანია საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომის, დისტანციური სწავლებისა და დასაქმების სისტემების მოსახლეობაში დანერგვის გზით, ასევე ინოვაციური და მეწარმეული ცოდნისა და უნარების განვითარებით, რეგიონის მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება:

— სტუდენტებისათვის ბაზარზე ორიენტირებული და პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების გადაცემა;


— კონკრეტულ პროექტებზე ერთობლივი მუშაობის გზით სტუდენტების და ბაზრის ლიდერი კომპანიების დაახლოება;

— სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი სამუშაო ლაბორატორიის შექმნა.

გარდა ამისა, დაგეგმილია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციების ლაბორატორიის ბაზაზე აღიჭურვოს და ამოქმედდეს „ფაბლაბი“, რომელიც შიდა ქართლის რეგიონისთვის ინოვაციების ცენტრი იქნება.

ინოვაცია გრძელვადიანი პროცესია, რომელიც განსხვავებული, საინტერესო იდეით იწყება და შემდეგ წარმატებით განსახორციელებლად საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. რეკომენდაციების შემუშავებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მსოფლიოში წარმატებული კომპანიების განვითარების მაგალითებზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გაკეთება. ცნობილ კორპორაციათა უმეტესობამ სწორედ ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწიეს განვითარების უდიდეს მასშტაბებს.

სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობა უდიდეს გავლენას ახდენს ინოვაციური პროექტების შემუშავების პროცესების ეფექტურ წარმართვაზე. აღნიშნული ზემოქმედების კვლევისათვის ეფექტურია სტატისტიკური მოდელირების გამოყენება და ინოვაციური პროექტის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობის და ინოვაციური პროექტის ეფექტურობის შესაბამისობის დადგენა. მოდელის აგებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინოვაციური იდეა შესაძლებელია აღმოჩნდეს სწორი, მომგებიანი, ან პირიქით, აღმოჩნდეს არასწორი, წამგებიანი. პირველ შემთხვევაში მოხდება პროექტზე მუშაობის გაგრძელება და შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა, მეორე შემთხვევაში კი პროექტი დაიხურება.



ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განაპირობებს დიდაქტიკური ეფექტის მიღწევას უკვე ათვისებული და ახალი შესაძლებლობების ერთობლივი გამოყენებით, ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოიქმნას და განვითარდეს ინოვაციური ინფორმაციულ-სასწავლო ურთიერთმოქმედების პროცესები, მოხდეს სტუდენტების შემეცნებითი აქტიურობის ფორმირება, შიდა ქართლის რეგიონის ტურისტული, ეკონომიკური და შემოქმედებითი პოტენციალის სასწავლო მიზნებისათვის მობილიზება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - <http://www.economy.ge/ge/minister/ministris-moadgile-325/mewarmeobis-ganvitarebis-saagento>, <http://www.economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia>
2. განათლების საერთაშორისო ცენტრი. <http://iec.gov.ge/News/9894>
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328>
4. <http://www.gita.gov.ge/ge/agency>
5. gu.edu.ge: - <http://www.gu.edu.ge>.

Tamar Makasarashvili

Gori State Teaching University

**DEVELOPMENTAL TOOLS OF INNOVATIVE PROCESSES IN GEORGIA AND LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY
RESUME**

The innovative development is a long process. Modern, competitive technologies, education reform and scientific development requires targeted policies and strategies. At present, enterprises with limited financial capacity direct their financial resources to fund current needs, rather than implement innovative projects.

Implementing of innovative policy is impossible without technology parks, innovation centers, laboratories and business incubators. Creation of industrial parks is one of the necessary conditions of innovative business development in Georgia.

Innovation center of Gori State Teaching University provides access to innovative technologies, help to arise and develop innovative informational and teaching interaction processes, occur the formation of students' cognitive activity, mobilization of economic and creative potential for training purposes of Shida Kartli Region.

ლეილა მამულაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარება მიკრო და მაკრო დონეებზე

საბაზრო ეკონომიკა ემყარება ეკონომიკურ თავისუფლებას, რაც არჩევანის თავისუფლებაში ვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა კი თავად კონკურენციაა. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნების საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებისას. ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ეკონომიკური თავისუფლება თავისი არსით ყოველთვის რეგულირებადია და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეებზე.

ეკონომიკური თავისუფლება უნდა განვიხილოთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ეკონომიკური სფეროების მიხედვით. ვერტიკალის მიკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკური

თავისუფლების მაქსიმუმს ვერ მოგვცემს, ამიტომ ამ დონემ სახელმწიფო რეგულაციების გარეშე უნდა იმუშაოს. დასაშვებია თვითმართველობის ჩართვა აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ აქტიურობაში, რაც აფართოებს არჩევანის არეალს და შესაბამისად ჰორიზონტალურ დონეზე ზრდის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს. მაკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, რადგან თუ მაკრო სფერო გამოვიდა წონასწორული მდგომარეობიდან, ადგილი ექნება ეკონომიკურ დესტაბილიზაციას, რაც გაცილებით მეტად ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას მთელ ეკონომიკურ ვერტიკალზე. უმრავლეს არასტაბილურ ვითარებაში ხდება მაკრო სფეროს მონოპოლიზება, რომლის შედეგადაც ვიღებთ ეკონომიკური თავისუფლების აბსოლუტურ იგნორირებას. ეკონომიკური კეთილდღეობა იწყება კონკურენტუნარიანი, თავისუფალი ეკონომიკის განვითარებით. მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის განხილვა მიკრო და მაკრო დონეზე.

ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ინსტიტუტების განვითარებაში, პოლიტიკასა და ბუნებრივ ფაქტორებში, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის დონეს. პროდუქტიულობა ესაა ბუნებრივი რესურსების, შრომის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის დონე – რესურსებიდან მიღებული შემოსავლის სიჭარბე ხარჯებთან მიმართებით.

კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმი 12 თემატურ ჯგუფშია გაერთიანებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობის მიხედვით აქვს, კერძოდ მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს. ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხითაა წარმოდგენილი.

საქართველო შედარებით კონკურენტუნარიანია ინსტიტუტების განვითარებით, ინფრასტრუქტურით, შრომის ბაზრის ეფექტიანობით, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით, სავალუტო კონტროლის არარსებობით, დაბალი კრიმინალით, ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ბიუროკრატიული პროცედურების ნაკლებობით. პრობლემებია საკუთრების უფლებების დაცვის, ინოვაციების, მეცნიერებისა და კვლევების წარმოების, შიდა ბაზარზე კონკურენციის დონის, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის, პროფესიონალ სამუშაო ძალის მიმართულებით. პატარა ქვეყანასაც შეუძლია გახდეს კონკურენტუნარიანი მსოფლიოში და მოიზიდოს, მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის განვითარების ხელშემწყობი მოცულობის კაპიტალი. ეკონომიკური კეთილდღეობა ხელსაყრელ ბიზნესგარემოს, საკუთრების უფლებების დაცვას, გამჭვირვალე სახელმწიფო პოლიტიკას მოაქვს. კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია საკუთრების უფლებების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, სახელმწიფო ხარჯების მიზნობრივად ხარჯვა, დავების გადაწყვეტისას სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანად გამოყენება, მცირე სააქციო წილის მქონე მესაკუთრეთა უფლებების დაცვა, ინფლაციის დონის შემცირება, კვლევითი და ინოვაციური ცენტრების განვითარება.

კონკურენტუნარიანობის ანგარიში იძლევა წარმატებების და წარუმატებლობების ყველაზე რეალურ და სრულ სურათს, რომლის გაანალიზებაც ხელს უწყობს ადამიანებმა დაინახონ ის, თუ რას აღიქვამს ქართული კომპანიები პრობლემად და რამდენად მწვავეა პრობლემები სხვა ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან შედარებით. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში კომუნისტური ან ავტორიტარული რეჟიმებით ცნობილი ქვეყნები ბაზრის სიდიდის გამო საქართველოზე უკეთეს შედეგს აჩვენებენ. მაგრამ მასში არ არის ასახული კრიმინალური მდგომარეობა, რომელიც ბიზნესის წარმოებისა და ინვესტირებისთვის სერიოზულ რისკს წარმოადგენს.

კონკურენტუნარიანობა მოიცავს სტატისტიკურ და დინამიურ კომპონენტებს, თუმცა ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა მკაფიოდ განისაზღვრება შემოსავლების დონის მდგრადობის შესაძლებლობით და მასში იგულისხმება ერთ-ერთი ცენტრალური ინდიკატორიც - ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკის ზრდის პოტენციალის დადგენისას.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, მაკროეკონომიკური გარემო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. საქართველოს ბაზარის სიმცირის გამო რთული ხდება საქართველოს ბიზნესგარემო გახდეს მიმზიდველი სერიოზული ბიზნესინვესტორებისთვის. კონკურენტუნარიანობის ინდექსისაგან განსხვავებით ეკონომიკურ მდგომარეობას ეკონომიკური თავისუფლების და ბიზნესის წარმოების ინდექსი უკეთესად ასახავს. აღნიშნული ინდექსების გაცნობით ინვესტორისთვის ცხადი ხდება ღირს თუ არა აღნიშნულ ქვეყანაში ბიზნესის კეთება. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ორიენტირებულია, იმაზე ეკონომიკა კონკურენტუნარიანია თუ არა სხვა ქვეყნებთან შედარებით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოიცავს ეროვნულ კონკურენტუნარიანობას მიკრო და მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლებით. პროდუქტიულობის საზღვრები ადგენენ კეთილდღეობის იმ საზღვრებს, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას ამა თუ იმ ეკონომიკის მიერ. კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სისტემას შესწევს ძალა მიაღწიოს უფრო მაღალი შემოსავლიანობის

დონეს. პროდუქტიულობის ზღვარი ასევე ადგენს იმ უკუგების კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. უფრო მეტად კონკურენტუნარიანია ეკონომიკა, რომელიც უფრო სწრაფად იზრდება გრძელვადიან პერიოდში. კონკურენტუნარიანობის დასადგენად მრავალი რთული მეთოდი გამოიყენება.

მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის 12 ძირითადი მახასიათებლის გაცნობა საქართველოს ეკონომიკასთან მიმართებაში:

1. ინსტიტუტები -69-ე ადგილი;
2. ინფრასტრუქტურა -73-ე ადგილი;
3. მაკროეკონომიკური გარემო -130-ე ადგილი;
4. ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება -73-ე ადგილი;
5. უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება -90-ე ადგილი;
6. საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა - 64-ე ადგილი ;
7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა - 31-ე ადგილი;
8. ფინანსური ბაზრის განვითარებულობა - 108-ე ადგილი;
9. ტექნოლოგიური განვითარების დონე - 98-ე ადგილი;
10. ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები - 107-ე ადგილი;
11. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა - 111-ე ადგილი;
12. ინოვაციები - 125-ე ადგილი;

მოსახლეობის აზრით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს ფინანსირების ხელმისაწვდომობის და პოლიტიკური არასტაბილურობის პრობლემა; სამუშაო ძალის დაბალი პროფესიონალიზმი, ლარის კურსის ხშირი ცვლილება და ადგილობრივი სამუშაო ძალის დაბალი ეთიკური სტანდარტები და ა.შ. ეკონომიკაში მნიშვნელოვან დადებით ძვრებს ექნება ადგილი თუ ქართული პროდუქცია მსოფლიოს ბაზრებზე საკუთარ ადგილს დაიკავებს უნიკალური თვისებების საშუალებით.

ქვეყნის განვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას ინფლაციის უმნიშვნელო დონითა და არსებული რესურსების გამოყენების მაღალი ხარისხით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მიიღწევა სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტის, ჭარბი ფულადი მასის და ინფლაციის, საგარეო ვაჭრობის დეფიციტის, საგარეო ვალის და უცხოური ვალუტის შეზღუდული რეზერვების პრობლემების გადაჭრით. გრძელვადიან პერიოდში ქმედითი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ფორმირება საშუალებას იძლევა განხორციელდეს მიმდინარე არაპირდაპირი მაკროეკონომიკური კონტროლი. ფასებისა და საბაზრო რეფორმის განხორციელება გულისხმობს: შიდა ფასების ლიბერალიზაციას პროდუქტებსა და მომსახურებაზე; საპროცენტო განაკვეთისა და ხელფასების ლიბერალიზაციას, შემოსავლების განაწილების სისტემის გარდაქმნას; საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას; სავალუტო კურსის მდგრადობას და ეროვნული ვალუტის ნორმალურ მიმოქცევას. ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის რეალური მდგომარეობის სურათის შესწავლა მოითხოვს მრავალი ფაქტორისა თუ ცვლადის სიღრმისეულ ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესი განვიხილოთ არა მხოლოდ მიკრო დონეზე, არამედ შევისწავლოთ მთლიანად ეკონომიკური გარემო და ის ბაზა, რომელშიც ბიზნესი ვითარდება. ეკონომიკის კონკურენტუნარიან განვითარებას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ბიზნესის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია გავანალიზოთ ეკონომიკის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები და მათი კავშირი ბიზნესსა და მაკროეკონომიკაზე. მნიშვნელოვანია ბიზნეს-გარემოს ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, განზოგადებული დასკვნების გაკეთება, ეკონომიკური მოვლენების სწორი ანალიზი მიკრო და მაკრო დონეზე; გარემო ფაქტორებზე დაკვირვების საფუძველზე რისკების გამოვლენა, სტრატეგიული აზროვნება და ბიზნესის გრძელვადიანი დაგეგმარება, მიმდინარე გლობალური პროცესების შეფასება და ორგანიზაციის სასიკეთოდ გამოყენება.

ლიტერატურა:

1. ო. ბლანშარი, მაკროეკონომიკა-მეხუთე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
2. მ. ნაცვალაძე, თ. ათანელიშვილი, მაკროეკონომიკის პრინციპები, აქტიური სწავლება, გამომც. უნივერსალი, თბილისი, 2012.
3. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2013, საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.
4. <https://ramazepec.wordpress.com/2011/05/02>
5. forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba

6. www.radiotavisupleba.ge/a/24331224.html

7. www.nplg.gov.ge/.../library.exe?

Leila Mamulashvili

Gori State Teaching University

COMPETITIVE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE MICRO AND MACRO LEVELS RESUME

The market economy is based on economic freedom, the freedom of choice that will be revealed in the choice of the basic preconditions for competition, while economic development is a major driving force for the competition itself. Economic Freedom in its essence is always adjusted and is within certain limits, on micro and macro levels. Economic prosperity begins with a competitive, free market economy. It is important to discuss the mechanism of the functional market economy on micro and macro levels.

Research of competitive conditions in the real economy takes a lot of factors and variables in deep analysis. It is important to consider not only the level of micro-businesses, but also to study the environmental and economic base, in which the business is growing.

ლია ნადირაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამეურნეო და საინვესტიციო რისკების მახასიათებლები

სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის რისკებისათვის დამახასიათებელია დიდი მრავალფეროვნება. რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით მიზანშეწონილია მათი კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნებით. რისკების კლასიფიკაცია პრობლემის მკვეთრი სტრუქტურირების საშუალებას იძლევა და გავლენას ახდენს სიტუაციის ანალიზსა და ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტური მართვის მეთოდის არჩევანზე, განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით. ყველაზე სარისკო საქმიანობას მიეკუთვნება უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობა, რამდენადაც მასზე გავლენას ახდენს განუსაზღვრელობის ფაქტორების დიდი რაოდენობა.

თანამედროვე მსოფლიოში აღინიშნება უცხოური დაბანდების განხორციელების ფორმათა და მეთოდების დიდი დივერსიფიკაცია, მაგრამ მათი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით მიღებულია უცხოური ინვესტიციების შემდეგი კლასიფიკაცია:

ინვესტიციების ობიექტის მიხედვით განასხვავებენ რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებს. რეალური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება დაბანდებანი უშუალოდ წარმოებაში, ანუ ძირითად კაპიტალში და საბრუნავ საშუალებებში. ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები, კრედიტები და ა.შ.

რეგიპიენტის საქმიანობაზე კონტროლის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ პირდაპირ, საპორტფელო და დანარჩენ ინვესტიციებს. პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება ხდება ძირითადად ახალი საწარმოების დაფუძნებაში, უკვე არსებული წარმოების გაფართოებასა და მოდერნიზაციაში, წიაღისეულის ამოღების ორგანიზაციაში და სხვა ობიექტებში. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში პირდაპირი ინვესტიციების დროს ინვესტორი ფლობს მმართველობის კონტროლს იმ საწარმოებში, სადაც დაბანდებულია მისი კაპიტალი. საპორტფელო ინვესტიციები კი ასეთ კონტროლს არ უზრუნველყოფენ და ჩვეულებრივ ფასიანი ქაღალდების შესყიდვის გზით ხორციელდება, რაც აძლევთ ინვესტორებს მხოლოდ საკუთრებიდან შემოსავლის მიღების უფლებას.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ნიშნები:

• კაპიტალის იმპორტი წარმოებს ძირითადად უცხოური კრედიტებისა და დახმარების სახით. საგარეო დავალიანების მოცულობა იზრდება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უმნიშვნელოა. პირდაპირი რეალური დაბანდებანი იშვიათია და უმეტესად შემთხვევით, უსისტემო ხასიათს ატარებენ. საფინანსო ბაზრის განუვითარებლობის გამო საპორტფელო ინვესტიციების მოზიდვა არ ხდება;


• გარკვეული ფინანსური სტაბილიზაციის მიუხედავად საინვესტიციო გარემო მაინც არახელსაყრელია;

• მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და ხშირ ცვლილებას განიცდის უცხოელი ინვესტორების საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა;

• არ მოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც დარგობრივ ჭრილში, ისე ცალკეული საწარმოებისა და პროექტების დონეზე შემუშავებულია საინტერესო ბიზნეს-გეგმები, ჯერჯერობით ვერ მოიძებნა უცხოელ ინვესტორთა მოზიდვის ეფექტური მექანიზმები; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალშიც საქართველოში უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად ისევ კრედიტები დარჩება.


საქართველოში უცხოური კერძო კაპიტალის შემოსვლის ერთადერთ ფორმად, დღეისათვის, პირდაპირი რეალური ინვესტიციები გვევლინება. ამასთან, საწყის ეტაპზე აღნიშნული დაბანდებების ზრდა აღინიშნება პირველ რიგში იმ დარგებში, სადაც საქართველოს შედარებითი უპირატესობები გააჩნია. დანარჩენ დარგებში კი, მათ შორის სარეკრეაციო სფეროში ინვესტიციების მოდინება საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებამდე უმნიშვნელო იქნება.

სქემა N1
უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015* წელს (%)



სქემა N2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2015* წელს (მლნ. აშშ დოლარი)



ინვესტიციების დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის. გთავაზობთ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული ყველაზე მსხვილი პროექტების ათეულს:

1. **სავაჭრო კომპლექსი „ისთ ფონთი“** - თბილისში კახეთის გზატკეცილზე საქართველოში ყველაზე დიდი სავაჭრო კომპლექსი გაიხსნა. კომპლექსი 85 000 კვადრატული მეტრის ფართობზეა გადაჭიმული. „ისთ ფონთის“ საინვესტიციო ღირებულება 90 მილიონ აშშ დოლარ შეადგენს.
2. **თბილისის ზღვის ახალი უბანი - ეს არის „ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური ზონის“ პროექტი**, რომელიც მდებარეობს თბილისის ზღვის მიმდებარედ 420 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. გეგმის მიხედვით, დამტკიცებული ფართის მშენებლობის დასრულება იგეგმება 10 წლის განმავლობაში, პირველი სამი წლის მინიმალური საინვესტიციო თანხა განსაზღვრულია არანაკლებ 150 მილიონი აშშ დოლარის. პროექტი მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ კომპლექსს, სააგარაკო სახლებს, ტურისტულ-დასასვენებელ ზონას, 5-ვარსკვლავიან სასტუმროს, საერთაშორისო სავაჭრო და ლოჯისტიკურ ცენტრს, საბაჟო საწყობს და ოლიმპიურ სოფელს.
3. **სასტუმრო „მერკური“ თბილისში** - ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „მერკური“ ორთაჭალაში საერთაშორისო ჰოლდინგის - „მაქრო ქონსტრაქშენის“ ინვესტირებით აშენდა. პროექტში 16 მილიონი დოლარი ჩაიდო. სასტუმრო „მერკური“ მსოფლიოს 51 ქვეყანაშია წარმოდგენილი. თბილისში 2015 წლის ზაფხულში გაიხსნა.
4. **„ჯინო ფერედაისი“** - გასართობი ცენტრი და გრანდიოზული აკვაპარკი თბილისში. პროექტში 28 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. ინვესტორია ნოდარ გიორგაძე, რომელსაც სლოვაკეთში აქვს ბიზნესი.
5. **„ტოიოტა ცენტრი თეგეტა“** - ცენტრი განთავსებულია 10 000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე და მოიცავს ადმინისტრაციულ ოფისს, შოურუმსა და სერვისცენტრს. ცენტრი დღეში საშუალოდ 250 ავტომობილის მომსახურებაზეა გათვლილი. აღნიშნული პროექტი განხორციელდა „თიბისი ბანკისა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით. ცენტრში ინვესტირებულია 15 მილიონამდე ლარი, დასაქმებულია 120 ადამიანი.
6. **საცხოვრებელი კომპლექსი „მწვანე ზუდაპეტი“** - საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში, საბურთალოზე 11.700 მ2 ფართობის ტერიტორიას იკავებს. კომპლექსი ევროსტანდარტის იზოლირებულ კომპლექსს წარმოადგენს.
7. **„დირსი“** - ყველაზე მასშტაბური საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოში, რომელიც აერთიანებს 20 კორპუსს, 39 ბლოკსა და 4 898 ბინას დასრულებული რემონტით.
8. **„თბილისი მოლი“** - სავაჭრო ცენტრი თბილისში, რომელიც 2012 წელს გაიხსნა.
9. **„რიქსოს ბორჯომი“** - სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი ბორჯომში. ინვესტორია შპს „ყაზმუნაიაზ სერვისი“. ჯამურმა ინვესტიციამ 48 მილიონი შეადგინა.
10. **ფოთის პორტი** - 2011 წლის აპრილში „ეიპიმ ტერმინალსმა“ საქართველოში ყველაზე დიდი პორტი - „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ შეისყიდა. კომპანიამ 70 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო პორტის ინფრასტრუქტურის განახლებისთვის. სამუშაოების ნაწილი უკვე დასრულებულია, ნაწილი კი 2018 წლისთვის დასრულდება.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტაზე დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნების განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალურობას ზრდის საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა: მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, უმუშევრობის მაღალი დონე, ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, ინვესტიციური აქტიურობის დაბალი დონე, წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი სახსრების პრაქტიკულად უქონლობა.

თანამედროვე ეტაპზე საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა მოტივი ამომრავებთ უცხოელ ინვესტორებს, როდესაც ახდენენ პირდაპირ ინვესტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია, პირობითად, შეიძლება ოთხ ჯგუფად დაყვით.

I ჯგუფი აერთიანებს ინვესტორ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები რეალურზე უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში (რესურსების მამიებელი).

II ჯგუფს წარმოადგენენ საწარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი სახელმწიფოების (რეგიონების) ბაზრებზე (ბაზრის მამიებლები).

III ჯგუფს, პირობითად, შეიძლება ეფექტიანობის მამიებელი ვუწოდოთ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით კომპანიის ეფექტიანობის ამადლება გულისხმობს რესურსების ისეთ განაწილებას, როცა მაქსიმალური უკუგება მიიღწევა. ინვესტორთა აღნიშნული ჯგუფი ძირითადად

ახორციელებს ინვესტირებას ქვეყნებში, სადაც ეფექტიანი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა.

IV ჯგუფს მიეკუთვნება ტრანსეროვნული კორპორაციები. ისინი ცდილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას (სტრატეგიული აქტივების მამიებლები).

უცხოური ინვესტორების გავლენა მიმდები ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებულია მის ეკონომიკურ პოტენციალზე, ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათზე, საბაზრო მექანიზმის განვითარების ხარისხზე. საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა პარამეტრებზე. მეორეს მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინვესტორის თავისებურებებს, ინვესტიციების განხორციელების ფორმებს და სფეროებს. მიმდებ ქვეყანაში ინვესტიციების გავლენა ვლინდება შემდეგში: ეკონომიკის ზრდის ტემპზე პოზიტიური გავლენა; ქვეყანაში საერთოდ ინვესტიციურ აქტიურობის გაძლიერება; მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიურ პროცესებში და ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლებაში; მიმდები ქვეყნის მეურნეობის პროგრესულ ტერიტორიულ და დარგობრივ სტრუქტურის ხელის შეწყობა; და ბოლოს უცხოური ინვესტიციები მოქმედებენ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც ვლინდება მის საექსპორტო პოტენციალში, მოქმედებს სავაჭრო და საგადასხდელი ბალანსზე. ქვეყნის შიდა ინვესტიციური რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში მისი შევსების წყარო ხდება კაპიტალის იმპორტი. ამასთან, ინვესტირების დეფიციტი არის ფარდობითი, რადგან ინვესტიციებზე მოთხოვნებს განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემა და მისი განვითარების დონე. ინვესტორები, რომლებიც ავსებენ ეროვნული მეურნეობის იმ თავისუფალ სივრცეს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ეროვნული კაპიტალი უკანასკნელთან მიმართებაში, წარმოადგენენ „დამატებითს“. დამატებითი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია ადგილობრივი კაპიტალის დაგროვების სიჭარბის პირობებშიც, თუ ისინი გადალახავენ რომელიმე დარგში შეღწევის ბარიერს.

არსებითია ის, რომ საერთოდ ინვესტიციებს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი. ე.ი. გარკვეულ დარგში მიმართული ინვესტიციები იწვევენ მომიჯნავე დარგების განვითარებას. უცხოური ინვესტიციების გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დასაქმებისა და ეროვნული რესურსების გამოყენება. „დამატებითი“ ინვესტიციები უზრუნველყოფს რესურსების გამოყენებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში დარჩებოდნენ უმოქმედოდ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორების მიერ გამოყენებული სამუშაო ძალის ხარისხს. უკანასკნელ დროს, სულ უფრო ფართოდ გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, განვითარებადი ქვეყნის სამუშაო ძალა, რომელიც საერთაშორისო წარმოებაში დასაქმდა, იძენს ახალ ნიშნებს და თვისებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს წარმატებით გაუწიონ კონკურენცია განვითარებული ქვეყნების სამუშაო ძალას. ასეთ სამუშაო ძალას შეუძლია მოქნილი რეჟიმით მუშაობა, რაც მაღალნაყოფიერია და უფრო თავისუფალია. თავისუფლებაში იგულისხმება ტრადიციული ადგილობრივი იერარქიული სტრუქტურებისაგან თავისუფლება. უცხოური ინვესტორისაგან დაქირავებული მუშაკი განიცდის მხოლოდ კაპიტალის გავლენას, რომელიც სამუშაო ძალასთან ცნობს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვით ურთიერთობას. მიმდები ქვეყნის სტრუქტურულ განვითარებაზე უცხოური კაპიტალის დაბანდების გავლენა დამოკიდებულია მის რეგულირებაზე ქვეყნის მასშტაბით. ცხადია, ინვესტიციური გადაწყვეტილებებისას, პირველ რიგში, ამოირჩევა დარგი ან რეგიონი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტაბილურ და სწრაფ უკუგებას მინიმალური თავდაპირველი დანახარჯის პირობებში. ეკონომიკური თვალსაზრისით, განუვითარებელი რაიონები და დარგები, რომლებიც მოცემულ მომენტში იმყოფებიან არცთუ კარგ მდგომარეობაში, მსხვილი ინვესტორისათვის აღმოჩნდებიან ნაკლებ მიმზიდველები. მაშინ, როდესაც ისინი საჭიროებენ ყველაზე მეტად ინვესტიციურ რესურსებს. უცხოელი ინვესტორის და მიმდები ქვეყნის ინტერესები ინვესტიციების დაბანდების სტრუქტურის განსაზღვრისას, შეიძლება კოორდინირებული და შეთანხმებული იქნას. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა დაინტერესებულია პერსპექტიული დარგების განვითარებით. ასეთებია: მომსახურეობის სფერო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მაღალი ტექნოლოგიის დარგები. უცხოელი ინვესტორები, თავის მხრივ, დაინტერესებულნი არიან შეაღწიონ ზუსტად ამ დარგებში, რათა უზრუნველყონ მყარი პოზიციები მომავალში და ითვალისწინებენ იმას, რომ შემდგომში დარგებში შეღწევა მოითხოვს უფრო დიდ დანახარჯებს.

ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების ასეთი აქტიური გავლენა აისახება საერთაშორისო ურთიერთობების პირობებშიც. უცხოური ინვესტიციების ასეთი გავლენის შეფასება ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ პოზიციებზე რთულია, რადგან ეს გავლენა სხვადასხვა პერიოდში ერთნაირი არ არის. ამიტომ, აუცილებელია იგი შეფასებული იქნეს მოკლე და ხანგრძლივი პერიოდების თვალსაზრისით. ინვესტიციების იმპორტი ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე მოკლე პერიოდში მოქმედებს ნეგატიურად, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო აუცილებელი მასალების დიდი ნაწილის იმპორტს ეწევა.

ამასთან, ხელს უწყობს რა სასაქონლო ექსპორტის ზრდას ან იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ის ხელს უწყობს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას.

უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე და მის სტრუქტურაზე სხვადასხვაა. მაგალითად, კაპიტალის იმპორტი აისახება ბალანსის აქტივში და შეიძლება ამ უკანასკნელის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი. ამასთან, ინვესტიციებს თან სდევს მიღებული მოგების გატანა, რაც აისახება ბალანსის გასაჯალ ნაწილში. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების დაბანდებას თან სდევს მოწყობილობის, პატენტების, ლიცენზიების იმპორტი, რაც იწვევს სახსრების ქვეყნიდან გადინებას. უცხოელ ინვესტორებს დიდი თანხები შეაქვთ დაბეგვრის, საბაჟო გადასახადის და სხვა მოსაკრებლების სახით, რაც ხელს უწყობს საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებას. ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მთავრობა, ქმნის რა უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელ პირობებს, ქმნის მოგების რეინვესტირების შესაძლებლობებს, ამცირებს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას.

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოურ კაპიტალს მოაქვს ახალი ტექნოლოგიები, მართვის თანამედროვე ხერხები, სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, თვით ფინანსური სახსრები.

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://forbes.ge/news>;
2. <http://www.geostat.ge>
3. <http://www.nplg.gov.ge/>

Lia Nadiradze
Gori State Teaching University
CHARACTERISTICS ECONOMIC AND INVESTMENT RISK
RESUME

This paper discusses the is to present dynamics of modern financial market, business problems and management of financial risks. Risk analyze process consists methods of risk assessment and reduction.

It is characterized by its nature and revealing specifics. We will discuss mechanisms of risk neutralize and defense, its forms and characters.

ნანა ნადირაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულაციები მსოფლიოში და საქართველო

უხარისხო პროდუქციისგან მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობას საზღვარგარეთის ქვეყნებში აქვს საკმაოდ დიდი ისტორია. მაგალითად, აშშ-ში 1960-1970 წლებში მიღებული იყო 150 კანონი ხარისხზე პასუხისმგებლობის შესახებ. გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი „კომერციული სიახლეები“, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია 2000 ფორმაზე, იგი გამოდის 2 მილიონ ეგზემპლარად და ვრცელდება უფასოდ, რათა მისაწვდომი იყოს ყველა მომხმარებლისთვის.

იაპონიაში მოქმედებს 50-ზე მეტი საერთო ნაციონალური კანონი. 1968 წელს კი მიღებული იყო ძირითადი კანონი მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად.

დიდ ბრიტანეთში კანონი ხარისხის შესახებ არსებობს 1988 წლიდან. 1984 წელს ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი“, რომელიც ეხება პროდუქციის უსაფრთხოებას.

ავსტრიაში არის 200-მდე კანონი მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად.

ბევრ ქვეყანაში ორგანიზებულია საზოგადოებრივი სამომხმარებლო მოძრაობა-გაერთიანებები და ორგანიზაციები. ინდივიდუალურ მომხმარებელთა მოძრაობამ თავიანთი უფლებების დასაცავად მიიღო სახელწოდება „კონსიუმერიზმი“ (ინგლისური სიტყვა consumer-მომხმარებელი) და გახდა საერთაშორისო ხასიათის.

ყოფილ საბჭოთა კავშირში სამომხმარებლო მოძრაობა განვითარდა 1980 წლიდან. მომხმარებელთა უფლებების დაცვა განსაკუთრებით მწვავედ დგას ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებას სხვადასხვა მიზეზთა გამო, არ ძალუძს ან არ სურს ქმედითი ნაბიჯები გადადგას პრობლემის მოსაგვარებლად. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც. ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციისა და მომსახურეობის ობიექტების უმეტესობას არ შეუძლია მომხმარებელი უსაფრთხო სერვისით უზრუნველყოს, ნაწილი პროდუქციისა ვადაგასულია ან უვარგისობის ვადის დადგენა შეუძლებელია, არ გააჩნია ქართულენოვანი ან სრულყოფილი ქართულენოვანი ეტიკეტი და დარღვეულია პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის პირობები. ბაზრობებზე კვების პროდუქტები ღია ცის ქვეშაა გამოტანილი, ანტისანიტარულ გარემოში, შესაბამისი ნორმატიული მოთხოვნების დაუცველად იყიდება მალფუჭებადი პროდუქცია. ასევე, ერთად იყიდება ისეთი პროდუქტები, რომელთა ერთად ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზება დაუშვებელია. ძალზე დაბალია სამომხმარებლო კულტურისა და განათლების დონე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შეუძლებელია მიიღო თუნდაც მინიმალური ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების შესახებ. საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მომხმარებელი ტრადიციულად უფლებო იყო. არ არსებობდა არც მომხმარებელთა დაცვის საკანონმდებლო საფუძველი და არც შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა. ქვეყანაში გაბატონებული იყო წარმოების დიქტატი და მომხმარებლის უფლებების უგულვებელყოფა.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვას საფუძველი დაუდო 1995 წლის 29 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ, რომლის 30-ე მუხლის თანახმად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბებისათვის. მომხმარებელთა უფლებების დამცავ დებულებებს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონები: „პროდუქციის და მომსახურეობის სერთიფიკაციის შესახებ“, „სტანდარტიზაციის შესახებ“, „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ“, „მონოპოლური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (2005 წ. ჩაენაცვლა საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტები.

საქართველომ 1996 წლის 22 აპრილს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ევროკავშირი და საქართველო - შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“. ხელშეკრულების 66-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება, მომხმარებელთა დაცვის სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. საკანონმდებლო სივრცის ჩამოყალიბების პარალელურად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში იქნებოდა კონტროლის და ზედამხედველობის ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურები, რომელთაც ევალეზოდათ მომხმარებელთა უფლებების დაცვა; მაგალითად, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე თავის 30-ე მუხლის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითადი პასუხისმგებლობა დაეკისრა საქართველოს ანტიმონოპოლურ ორგანოს (2005 წლიდან გაუქმებულია, ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციები არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ დაკისრებია), ხოლო 31-ე მუხლის თანახმად პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კონტროლს ახორციელებს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი), სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახური, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოები კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს ხელისუფლების დეკლარირებული მიზანია: ევროკავშირში ინტეგრაცია. საქართველოსა და ევროკავშირის შორის 1995 წლის 15 დეკემბერს დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების 43-ე მუხლის მიხედვით კი „საქართველოსა და (ევროპულ) გაერთიანებას შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობათა განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობა არის საქართველოს არსებული და მომავალი კანონმდებლობის მიახლოება გაერთიანების კანონმდებლობასთან. საქართველო ეცდება, რომ მისი კანონმდებლობა თანდათანობით შეესაბამოს გაერთიანების კანონმდებლობას.“ ხელშეკრულების ამავე მუხლით განსაზღვრულია ქართული კანონმდებლობის ევროპულისადმი ჰარმონიზაციის პრიორიტეტული სფეროები. მათ შორის ერთ-ერთს მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს.

საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს. კანონის მიხედვით ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს: საქონლის (მომსახურება) სტანდარტთან შესაბამისი ხარისხი; პროდუქციის უსაფრთხოება; სათანადო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხზე და ასორტიმენტზე. კანონი უფლებას აძლევს მომხმარებელს მოითხოვოს ინფორმაცია როგორც დამამზადებელზე, ასევე პროდუქციის შესახებ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს: სტანდარტის დასახელებას, რომლის მოთხოვნებსაც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქცია, საქონლის ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხას, აგრეთვე საკვები პროდუქტების შედგენილობას, წონას, კალორიულობას, ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებათა შემცველობას და შესაძლო უკუჩვენებას ცალკეული სახეობის დაავადებათა დროს მისი გამოყენებისას.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის განსახორციელებელ სფეროებს შორის მითითებულია ადამიანის ჯანმრთელობისა და მათი სიცოცხლის დაცვა. ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ მოწყობას. ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, მაგრამ ის ასევე ეხება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მიისწრაფვიან ევროკავშირისაკენ და აღიარებენ მათ საკანონმდებლო რეგულირებას. სურსათის სფეროში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტების მაქსიმალურ უვნებლობას 2002 წელს მიღებული FC 178/2002 რეგულაცია - „სურსათის შესახებ კანონის ზოგადი საფუძვლები და მოთხოვნები“ წარმოადგენს. ამ რეგულაციის მე-49 მუხლის მიხედვით ყველა ქვეყანა, რომელიც აღიარებს ევროპულ კანონმდებლობას და მონაწილეობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყოს.

2007 წლის 29 ივნისს პარლამენტართა ჯგუფის ინიციატივით კანონში შესული ცვლილებების შედეგად კანონის ძირითადი მუხლების, მათ შორის სურსათის მწარმოებელ საწარმოთა რეგისტრირების (მე-14), მოკლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მე-16) და სასურსათო ბიზნესის მონაწილეთა სახელმწიფო ინსპექტირების (22-ე და 23-ე) მუხლების მოქმედება 2010 წლის 1 იანვრამდე შეჩერდა. სახელმწიფომ მხოლოდ მონიტორინგის ფუნქცია დაიტოვა. 2010 წლის იანვრის თვეში კი საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით აღნიშნული მუხლის ამოქმედება კიდევ 5 წლით გადაიტანეს. შიდა ბაზრის დაცვისა და ადგილობრივი მომხმარებლის დაცვის გარდა სურსათის უვნებლობის ევრორეგულაციის დანერგვა და პროდუქციის სანდოობა არსებითია საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მხრივ. ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა იმ ეტაპზე, როცა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთმა გამოაცხადაა ჯერ ემბარგო, ბოლო შემდეგ განახორციელა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია. ყოველივე ამან გამოიწვია საექსპორტო სექტორის შეცვლა და ახალი ბაზრების მოძიების აუცილებლობა. ამ მხრივ ევროკავშირში სურსათი ექსპორტისას თავისთავად პროდუქცია უნდა პასუხობდეს ევროსტანდარტის მოთხოვნებს და ასევე საქართველომ უნდა შეძლოს იმის დემონსტრირება, რომ მისი ინსპექტირების სისტემა პასუხობს ევრორეგულაციის მოთხოვნებს. როგორც ზემოთ აღინიშნა კანონი იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა იცის თავისი უფლებები და ცდილობს მის დაცვას. მომხმარებელი არის პირადი საჭიროებისათვის საქონლის გამომყენებელი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე პირი. მომხმარებელია თითოეული ჩვენგანი სქესის, წლოვანებისა და პროფესიის მიუხედავად. მომხმარებელმა აუცილებლად უნდა დაიცვას საკუთარი თავი, მით უმეტეს, რომ მას ეხმარება და იცავს კანონი.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობა-თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. იგი წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობას. შესაბამისად, უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლება მიიღონ უვნებელი საკვები. სასურსათო პროდუქტების უვნებლობის პრობლემის აქტუალურობას განაპირობებს სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოება.

ევროკავშირში მომხმარებელთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების ეფექტურ დაცვას ევროკავშირის ერთიანი კანონმდებლობა უზრუნველყოფს.

2005-2007 წლებში საქართველოს კანონში „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს სასურსათო სფეროს საკანონმდებლო სივრცე და კანონგამოყენებითი პრაქტიკა დაშორდა ევრორეგულაციის მოთხოვნებს, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი: ვილნიუსის სამიტზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით საქართველოს მთავრობამ დაადასტურა მზადყოფნა შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. მათ შორის სურსათის უვნებლობისა და მომხმარებელთა უფლებების სამართლებრივი დაცვის კუთხით.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობა-თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომლის აქტუალობა წლითი-წლობით იზრდება, რადგან სწორედ სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის უვნებლობა წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გენოფონდის შენარჩუნებას. სურსათით ვაჭრობის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროდუქციას პირდაპირი და უშუალო გავლენა აქვს მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე. მაგნი პროდუქტის მოხმარებამ შეიძლება სერიოზულად დააზარალოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და შესაბამისად მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაც. ჩვენს დროში, განუწყვეტლივ ფართოვდება სასურსათო პროდუქციის ასორტიმენტი, იცვლება კვების ხასიათი, ხდება წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია გამოყენებული ქიმიური ნაერთების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან. სასურსათო პროდუქტებში, მაგნი ადამიანის ორგანიზმისათვის საშიში ნაერთების მოხვედრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებით დაბინძურებული გარემო.

სასურსათო პროდუქტების უვნებლობის ძირითადი გარანტია მათი სერტიფიცირების და სტანდარტიზაციის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემაა. კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ძირითადად ხდება საბოლოო პროდუქციის სერტიფიცირება. მომხმარებლის უფლებების დაცვისათვის აუცილებელია, მოხდეს არა მარტო საბოლოო პროდუქტის არამედ წარმოების სერტიფიცირება, რაც საშუალებას მისცემს კომპეტენტურ ორგანოებს მკაცრად აკონტროლონ სასურსათო პროდუქციის ხარისხი, მისი წარმოების ყველა ეტაპზე, დაწყებული ნედლეულიდან - საბოლოო პროდუქტით დამთავრებული. სასურსათო პროდუქტების უვნებლობის საკითხის გადაჭრისათვის, უპირველეს ყოვლისა უნდა გადაიჭრას ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის წარმოების საკითხი. ეს გლობალური ამოცანაა და მისი გადაჭრისათვის საჭიროა არა მარტო დრო, არამედ- ფინანსები.

XX საუკუნის 70-იან წლებში შემუშავებულ იქნა „საშიში ფაქტორის ანალიზისას კრიტიკული საკონტროლო წერტილის გამოვლენას კოცეფცია“. ამ კონცეფციის მიხედვით სასურსათო პროდუქტების უვნებლობის უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი საბოლოო პროდუქტის ხარისხისა და უვნებლობის კონტროლი, აუცილებელია ვაწარმოოთ „საშიში ფაქტორების“ გამოვლენა და მათი „კრიტიკული წერტილები“ მონიტორინგი პროდუქციის წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში, დაწყებული ნედლეულიდან - მზა პროდუქტამდე. ამ კონცეფციის მიხედვით სასურსათო პროდუქტების წარმოებისას საშიში ფაქტორების გამოვლენაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ მწარმოებლებს, რაც საშუალებას აძლევთ მათ აამაღლონ პროდუქციის უვნებლობის კონტროლის უვნებლობა. ვინაიდან სასურსათო პროდუქტების უვნებლობა ხარისხის შემადგენელი ნაწილია ამ პროექტის შესრულებაში ჩაერთო ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ახალი სტანდარტის შესამუშავებლად საჭირო რისკის შეფასებას ახდენენ ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფები. ამ სამუშაოს ნაციონალურ დონეზე ჩატარების დროს სასურსათო პროდუქტების უვნებლობის შესახებ საწყის მონაცემებს ადგენს კვების ან ქიმიური საწარმო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ან უმაღლესი სასწავლებელი. მას შემდეგ რაც შესამუშავებელი სტანდარტის უვნებლობა მეცნიერულად დადგინდება იგი გადის 8-საფეხურიან პროცედურას - „ჩოდეს ლიმენტარიუს სტანდარტებისა და განმარტებითი ტექსტების შემუშავების კომისიის პროცედურას“. ვინაიდან ჩოდეს ლიმენტარიუს სტანდარტები ატარებენ რეკომენდაციის ხასიათს, მათი გამოყენების ან არ გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქვეყნის მთავრობა, მართალია საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები (შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ, შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების შესახებ) არ ავალდებულებენ სახელმწიფოს მთავრობას ჩოდეს ლიმენტარიუს სტანდარტების გამოყენებას, მაგრამ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია ზემოქმედების ზომები იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მთავრობის მიერ შემოღებული ნორმატივები უფრო მკაცრია ვიდრე ჩოდეს ლიმენტარიუს სტანდარტები. საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები ქმნიან მთავრობების მიერ ჩოდეს ლიმენტარიუს სტანდარტების გამოყენების სამართლებრივ ბაზას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სტანდარტები აკმაყოფილებენ მათ ნაციონალურ და იურიდიულ მოთხოვნებს.

სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისა და ინდივიდიალური მოთხოვნების გათვალისწინებით ჩოდეს ლიმენტარიუს სტანდარტები ნაციონალური ნორმატივების შემუშავების დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნან როგორც უშუალოდ, ასევე მინიშნების სახით. კომისიამ თავისი არსებობის განმავლობაში მიიღო 200-მდე სტანდარტი ცალკეული სასურსათო პროდუქტებისა და საკვები დანამატების მარკირების სფეროში, როგორც ზოგადი ასევე კონკრეტული ტექნოლოგიების ჰიგიენური ნორმები, დაადგინა სასურსათო პროდუქტებში არსებული 2800-მდე ქიმიური ნივთიერებების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები.

ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, მაგრამ ის ასევე ეხება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მისწრაფიან ევროკავშირისაკენ და აღიარებენ მათ საკანონმდებლო რეგულირებას. სურსათის სფეროში სამეზობლო პოლიტიკის ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტების მაქსიმალურ უვნებლობას, 2002 წელს მიღებული № 178/2002 - სურსათის შესახებ კანონის ზოგადი საფუძვლები და მოთხოვნები წარმოადგენს. ამ რეგულაციის 49-ე მუხლის მიხედვით, ყველა ქვეყანა, რომელიც აღიარებს ევროპულ კანონმდებლობას და მონაწილეობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, თანაბარ პირობებში უნდა იყოს.

2005 წლიდან საქართველოში არ არსებობდა სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა და მომხმარებელი მხოლოდ მეწარმის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ამ ცვლილებების შემდეგ საქართველოს სასურსათო სფეროს საკანონმდებლო სივრცე და კანონგამოყენებითი პრაქტიკა დაშორდა ევრორეგულაციის მოთხოვნებს, რის შედეგადაც მივიღეთ:

- სამომხმარებლო ბაზარზე არც თუ იშვიათად, ხვდებოდა სასურსათო პროდუქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ადამიანის ჯანმრთელობას:

- ხელისუფლებამ, როგორც ადგილობრივ წარმოებებზე, ასევე იმპორტირებულ პროდუქციაზე ინსპექტირების შეჩერებით ადვილად შემოსაღწევ ბაზრად გახადა სხვა ქვეყნებში დაწუნებული და ფალსიფიცირებული, იაფი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პროდუქცია.

ასეთი სახის იმპორტირებული იაფი პროდუქცია კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქციას და უკონტროლო კონკურენციის პირობებში სჯაბნის მას, შედეგად ზოგიერთი ადგილობრივი მეწარმე იძულებული გახდა შეეწყვიტა საქმიანობა ან უვნებლობისა და ხარისხის შემცირების ხარჯზე შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, რამაც საბოლოო ჯამში დააზარალა მომხმარებელიც, მწარმოებელიც და საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკაც.

ლიტერატურა:

1. ს. ფეტელავა, „მომხმარებელთა უფლებების დაცვა“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2015, #2, გვ. 12-18.
2. ნ. ხურცილავა, „მომხმარებელთა უფლებები კანონმა უნდა დაიცვას“, გაზ. „ახალი თაობა“, 2014. 14 ოქტომბერი, გვ. 6
3. თ. ბოგვერაძე, „მომხმარებელთა უფლებები და საქართველო“, გაზ. „პრაიმტიმი“, 2014, 17 თებერვალი #6.
4. ვ. სულხანიშვილი, „მომხმარებელი ორიენტირებულია ხარისხზე“, ჟურნალი, მსოფლიო 2014, თბ., 2014. გვ. 165.
5. ლ. თოდუა, „რა უნდა ვიცოდეთ ტექნიკის შეძენისას და რატომ ვკარგავთ, როგორც მომხმარებელი, ყველა უფლებას, საგარანტიო წერილზე ხელისმოწერისას“, ჟურნალი „თბილისელები“, თბ., 2014. 12-18 მაისი, N19 (698), გვ. 8-9.
6. ნ. ბრეგვაძე, „არასაკმარისი მუშახელი და მომხმარებელი“, ჟურნალი „გზავნილი“, თბ., 2014, მაისი, გვ. 68-69.

Nana Nadiradze

Gori State Teaching University

THE REGULATIONS OF CONSUMERS' PROTECTION IN THE WORLD AND GEORGIA RESUME

Substandard products for consumer protection laws in foreign countries have a long history. For example, in the USA in 1960-1970 years was adopted 150 laws about degree of responsibility. A weekly magazine, "Commercial News", which contains information on the 2000 forms. There are 2 million copies and are distributed for free, to be available for all users.

In Japan, there are more than 50 national laws. In 1968 the basic law was adopted to protect consumers' interests.

In the UK there is the law on quality since 1988. In 1984 the trade ministry issued "White book", which refers to the product safety.

In Austria, there are about 200 laws to protect the interests of consumers. In many countries is organized consumers' movement for their rights' protection and was named as "consumerism" and has become international.

In Georgia consumers' rights protection was founded by the constitution, which was taken on 29th August 1995. In which according to state 30 of consumers rights are protected by the law, "consumers Rights Protection", which was the significant event in the country's consumers rights protection sphere, for legislative and institutional base formation. The Civil Code contains the regulations of consumers rights protection, laws about "Products and service certification", "The Standardization", "Food Safety and Quality", "Monopoly and Competition", and other legislative acts.

კონკურენციის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია საცალო ვაჭრობაში

კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის საფუძველია. კონკურენციის პრინციპი ფუნდამენტურია საცალო ვაჭრობისათვისაც. იმ პირობებში, როდესაც საცალო ვაჭრობის საწარმოები მომხმარებლებს სთავაზობენ ანალოგიურ საქონელსა და მომსახურებას, მომხმარებლები ბუნებრივია, პირველ რიგში შეიძენენ მათ იქ, სადაც ფასები უფრო დაბალია ან არ არის მაღალი, ხოლო შეთავაზებული საქონელი და მომსახურება უფრო ხარისხიანია. კონკურენცია აიძულებს სხვა საწარმოებს მიიღონ ქმედითი ზომები ფასების კორექტირებისა და საქონლის (მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის პრობლემები საცალო ვაჭრობაში პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში არ გამოკვლეულა. საზღვარგარეთელი ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ეს პრობლემები ფრაგმენტულად განიხილეს ფ. კოტლერმა, რ. მარკინმა, კ. კ. ცზემ.

საერთო თეორიული პოზიციიდან კონკურენტული ურთიერთობები დაწვრილებით გამოიკვლია მ. პორტერმა [6]. მაგალითად, იგი მიიჩნევს, რომ კონკურენტული ბრძოლის მდგომარეობა და მოგებიანობის დონე ნებისმიერ დარგში განისაზღვრება კონკურენციის ხუთი ფაქტორის ზემოქმედებით, რომლებსაც იგი უწოდებს კონკურენციის ძალებს; ახალი კონკურენტების გამოჩენის შესაძლებლობა; საქონელი-სუბსტიტუტების გამოჩენის შესაძლებლობა; მიმწოდებლების გავლენა; მომხმარებლების გავლენა; ფირმების კონკურენცია დარგის შიგნით. ამ ძალების გავლენა კონკურენტულ ბრძოლაზე. მ. პორტერის აზრით, განისაზღვრება კონკურენტული სიტუაციით. ერთი ან რამდენიმე ამ ძალებიდან (ფაქტორებიდან) შეიძლება დომინირებდეს და გადაწყვეტ გავლენას ახდენდეს მისაღები მოგების სიდიდეზე. ასეთ პირობებში აუცილებელია ფირმამ განსაზღვროს და დაიკავოს ისეთი მდგომარეობა დარგში, რომლის დროსაც ფირმა მაქსიმალურად იქნება დაცული კონკურენტული ბრძოლისათვის დამახასიათებელი ძალების ზემოქმედებისაგან, ან მან შეძლოს გავლენა მოახდინოს ამ ძალებზე თავის სასარგებლოდ.

საცალო ვაჭრობაში ახალი კონკურენტების დადგენა ძნელია, ვინაიდან ე. წ. შემოსასვლელი ბარიერები საკმაოდ დაბალია. მ. პორტერი გამოყოფს ექვს ასეთ ბარიერს პოტენციური კონკურენტებისათვის; ეკონომია წარმოების მასშტაბებზე; პროდუქციის დიფერენციაცია; მოთხოვნილება მნიშვნელოვან კაპიტალზე; კონვერსიის ხარჯები; განაწილების არხების უკმარისობა; განსაზღვრული უპირატესობების არსებობა. საცალო ვაჭრობას მათი უმრავლესობა არ მიესადაგება. მაგალითად, მასშტაბის ეფექტი არ არის დამახასიათებელი საცალო ვაჭრობის საწარმოებისათვის. აქედან ჩანს კაპიტალის ერთდროული დიდი დანახარჯების მიზანშეუწონლობა კონკრეტულ ბაზარზე შეღწევისათვის. საცალო საწარმოთა სპეციალიზაციის ცვლილება უმრავლეს შემთხვევაში აგრეთვე არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს, რაც შეეხება განაწილების არხების უკმარისობას, ეს საერთოდ მიუღებელია საცალო ვაჭრობისათვის, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მომხმარებლებთან.

საცალო ვაჭრობისათვის გამოუსადეგარია მ. პორტერის მიერ გამოყოფილი კონკურენციის ისეთი ძალა, როგორცაა ბაზარზე საქონელი-სუბსტიტუტების, ე. ი. ისეთი საქონლის გამოჩენა, რომელიც წარმოებულია არატრადიციული დარგების საწარმო-მიმწოდებლების მიერ და, რომელსაც გააჩნია ბაზარზე სარეალიზაციო ანალოგიური საქონლის სამომხმარებლო თვისებები. ეს განპირობებულია იმით, რომ საქონელი-სუბსტიტუტები გაიყიდება აგრეთვე საცალო ქსელის მეშვეობით. ამრიგად, საცალო საწარმოთა პოზიციიდან მოცემული პრობლემა არსებითად დაიყვანება მიმწოდებლების შეცვლამდე.

ბუნებრივია, რომ საქონლის მიმწოდებლები გავლენას ახდენენ საცალო ვაჭრობის საწარმოებზე მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტის, მისი ხარისხის და ფასის დიფერენციაციის გზით. მაგრამ საბაზრო პირობებში ეს პრობლემა წყდება საცალო საწარმოების მიერ საჭირო მიმწოდებლების არჩევისა და საქონლის აუცილებელი რაოდენობის შესყიდვის გზით. საერთოდ სამრეწველო საწარმოები - მიმწოდებლები არც ისახავდნენ მიზნად შეეცვალებათ კონკურენციის მდგომარეობა საცალო ვაჭრობაში, რომელიც წარიმართება მომხმარებელთა მოსაზიდად სავაჭრო საწარმოებში.

უდავოა, რომ მომხმარებლები გავლენას ახდენენ კონკურენტულ ბრძოლაზე საცალო ვაჭრობაში. საცალო საწარმოების (ფირმების) მთელი საქმიანობა განისაზღვრება მომხმარებელთა მოთხოვნის გამოვლინებითა და მისი დაკმაყოფილებით. მომხმარებლები მიისწრაფვიან შეიძინონ ფართო ასორტიმენტის და მაღალი ხარისხის საქონელი მინიმალური ფასით და ამჯობინებენ საცალო ვაჭრობის

იმ საწარმოებს, სადაც, მათი აზრით, შეიძლება ყველაზე სრულად დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნილებები.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ საცალო ვაჭრობის საწარმოები (ფირმები) ეწევიან კონკურენტულ ბრძოლას ერთმანეთს შორის მომხმარებელთა მოპოვებისა და მოზიდვისათვის. მომხმარებლები წარმოადგენენ საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის მიზანს, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ მის საშუალებას.

ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიურად მცდარია საცალო ვაჭრობის საწარმოებს შორის კონკურენციის აღიარება მხოლოდ ერთ-ერთ ძალად (ფაქტორად) კონკურენციის 5 ძალიდან, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენტული ბრძოლის მდგომარეობას დარგში. კონკურენცია საცალო ვაჭრობაში საბოლოოდ განისაზღვრება სწორედ კონკურენტული ბრძოლით საცალო საწარმოებს შორის.

საქონლის მიძვადებლები და მომხმარებლები არიან არა კონკურენციის ძალები, არამედ, გარე გარემოს ფაქტორები, მაგალითად, ისეთ ფაქტორებთან ერთად, როგორცაა სახელმწიფო ორგანოები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, კანონები და სხვ.

საქმე ის არის, რომ მ. პორტერის მიერ კონკურენტული ბრძოლის ანალიზისათვის შემოთავაზებული კონკურენციის ძალები განისაზღვრება საწარმოო დარგების მიმართ. ამ ავტორის მიერ მოტანილი მაჩვენებლები პირველ რიგში დამახასიათებელია საწარმოო დარგებისათვის და ვერ ხსნიან კონკურენციის შინაარსს საცალო ვაჭრობაში.

მ. პორტერის აზრით, კონკურენცია წარმოიშობა მაშინ, როცა ერთი ან რამდენიმე კონკურენტი იმყოფება მძიმე მდგომარეობაში ან ჩანს მისი გაუმჯობესების გზები. საცალო ვაჭრობის საწარმოებისათვის კონკურენტული ბრძოლის მდგომარეობა მრავალფეროვან ფირმაში წარმოადგენს მუდმივ ფაქტორს.

კონკურენცია საცალო ვაჭრობაში - ესაა მეტოქეთა ბრძოლა მომხმარებლებისა და ბაზრის თავისი წილის გაზრდის ან შენარჩუნებისათვის. თითოეული ბაზარი ხასიათდება სამომხმარებლო დოვლათის (საქონლის) სავსებით განსაზღვრული ტევადობით. ამასთან დაკავშირებით საცალო საწარმოთა ერთობლიობა ბაზარზე შეიძლება წარმოგვიდგეს სისტემის პარეტო-ოპტიმალური მდგომარეობის სახით, როდესაც ერთი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება მიიღწევა სხვათა მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. ამიტომ კონკურენტული ბრძოლის გამოკვლევისას, პირველ რიგში აქცენტი უნდა გაკეთდეს, ჩვენი აზრით, ბრძოლასა და მეტოქეობაზე. მაგრამ ზოგიერთი ავტორი ანალიზს უკეთებს კონკურენტულ ურთიერთობებს და ყურადღების გარეშე ტოვებს ამ მახასიათებელს.

მაგალითად, კ. მაკონელი და ს. ბრიუ კონკურენციის ცნებაში გულისხმობენ მხოლოდ დამოუკიდებელ მყიდველთა და გამყიდველთა დიდ რიცხვს ბაზარზე და მათთვის ბაზარზე თავისუფლად გამოსვლისა და მისი დატოვების შესაძლებლობას [3, გვ. 389]. ასეთი განსაზღვრა მხოლოდ კონკურენციის შესაძლებლობას ვარაუდობს, იგი სრულიად შეესაბამება, მაგალითად, წმინდა კონკურენციის ტიპის საბაზრო სიტუაციას, მაგრამ ამ სიტუაციაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ამას თვით ავტორები, ფირმებს შორის არ არსებობს არც ფასისმიერი და არც არაფასისმიერი კონკურენცია [3, გვ. 66].

კონკურენტული ურთიერთობების თავისებურება საცალო ვაჭრობაში განპირობებულია იმით, რომ საცალო საწარმოები მომხმარებლებზე ყიდიან სამომხმარებლო მომსახურებას. ეს მოიცავს არჩევანის შესაძლებლობას საქონლის მომსახურების, მოხერხებულობის და შეღავათის საკმაოდ ფართო ასორტიმენტიდან. ასეთი გარემოება ხელს უწყობს მომხმარებელთა მოზიდვას და შესაბამისად საქონელბრუნვისა და მოგების გადიდებას, რაც თავის მხრივ, აუმჯობესებს საცალო საწარმოთა საბაზრო პოზიციას.

მამასადამე, კონკურენცია საცალო ვაჭრობაში რთული პროცესია, რომლის შინაარსი განისაზღვრება მრავალი ფაქტორით. თავის მხრივ, ეს განაპირობებს მრავალფეროვან მეთოდოლოგიურ მიდგომებს კონკურენციის ელემენტების კლასიფიკაციისა და მათი შინაარსის განსაზღვრისადმი.

ფ. კოტლერი გამოყოფს კონკურენციის სამ ფორმას: 1) ფუნქციური - წარმოიშობა სხვა საქონლის არსებობისას, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებელთა ანალოგიურ მოთხოვნილებებს; 2) სახეობითი - შეეხება საქონლის სხვადასხვა ნაირსახეობას, რომელთაც შეუძლიათ კონკურირება ერთმანეთს შორის; 3) ფირმათაშორისი - დამახასიათებელია საწარმოებისათვის (ფირმებისათვის), რომლებიც აწარმოებენ, ან ეწევიან, ანალოგიურ საქონელსა და მომსახურებას [2, გვ. 34-35]. ამრიგად, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება მხოლოდ შესათავაზებელი საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის შედარებითობა.

ოვ. ამურჟევი და სხვა ავტორები ასხვავებენ ღია, არაკეთილსინდისიერ, არასრულყოფილ და წმინდა კონკურენციას [1, გვ. 89], უნდა აღინიშნოს, რომ ეს კლასიფიკაცია ერთდროულად ასახავს

კონკურენტების საბაზრო ქცევას და საქონლის თავისებურებებს. მაგალითად, ღია და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დამოკიდებულია მეტოქეთა საბაზრო ქცევაზე.

არასრულყოფილი და წმინდა კონკურენცია განისაზღვრება საქონლის თავისებებით. მაგალითად, წმინდა კონკურენცია, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო სიტუაციისათვის სტანდარტიზებული საქონლით, გულისხმობს ამ საქონლის გამყიდველთა დიდ რაოდენობას, საბაზრო სიტუაციაზე მათი გავლენის არარსებობას, მთელი ბაზრის თვალმისაწვდომობას, დიფერენციული საქონელი განაპირობებს ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის არსებობას.

კონკურენტული ბრძოლა საცალო ვაჭრობაში სპეციფიკურია. მაგალითად, საბოლოო ჯამში იგი ხორციელდება არა საცალო ორგანიზაციების (ე. წ. ვაჭრობების, გაერთიანებების) დონეზე, არამედ სავაჭრო ერთეულებს (მაღაზიებს, ჯიხურებს და სხვ.) შორის, რომლებიც შედიან მათ შედგენილობაში. ამასთანავე, ერთმანეთთან კონკურირებენ ერთი პროფილის სპეციალიზებული სავაჭრო ერთეულები. სამრეწველო დარგებში, პრიქით, კონკურენცია წარმოებს არა სამეურნეო ერთეულების დონეზე, არამედ მათი გამაერთიანებელი ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, საავტომობილო ძრავების მწარმოებელი ქარხანა, რომელიც შედის „ფორდის“ კომპანიაში, უშუალოდ არ კონკურირებს ანალოგიურ საწარმოსთან, რომელიც შედის „კრაისლერის“ კომპანიაში.

კონკურენცია საცალო ვაჭრობაში დამოკიდებულია საწარმოთა ტერიტორიულ განლაგებასთან. კონკურენტული ბრძოლა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც პოტენციური მეტოქეების საქმიანობის ზონები გადაიკვეთება.

საცალო ვაჭრობა კონკურენტული ურთიერთობების ანალიზისას განასხვავებენ კონკურენტული ბრძოლის სახეს, ფორმას და ტიპს.

სახეობითი კონკურენცია საცალო ვაჭრობაში თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ კონკურენტული ურთიერთობანი წარმოიშობა საწარმოებს შორის, რომლებიც ახორციელებენ ერთი ფუნქციური დანიშნულების საქონლის გაყიდვას. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ შიგასახეობით და სახეობათაშორის კონკურენციებს. თუ იკვლევენ კონკურენტულ ურთიერთობებს კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე, მაშინ, შიგასახეობით კონკურენციას უნდა მიეკუთვნოს ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ერთი სასორტიმენტო პროფილის ვიწროსპეციალიზებულ და სპეციალიზებული სავაჭრო საწარმოების გამაერთიანებელ ჯგუფში. კონკურენტული ურთიერთობანი ამ სავაჭრო საწარმოებს, ერთი მხრივ, და დანარჩენ სავაჭრო საწარმოებს შორის, რომლებიც ახორციელებენ რამდენიმე სასაქონლო ჯგუფის გაყიდვას, მათ შორის, რაც დამახასიათებელია ვიწრო სპეციალიზებული და სპეციალიზებული სავაჭრო საწარმოებისთვის, შეიძლება ჩაითვალოს სახეობათაშორის კონკურენციად.

საცალო ვაჭრობაში ბოლო დროს შეიმჩნევა საცალო ქსელის უნივერსალიზაციის ტენდენცია. ამიტომ სახეობითი კონკურენციის ანალიზისას საცალო საწარმოთა პოზიციიდან, რომლებიც ახორციელებენ ვაჭრობას საქონლის უნივერსალური ასორტიმენტით, შიგასახეობით კონკურენციად შეიძლება ჩაითვალოს კონკურენტული ურთიერთობანი უნივერსალურ, კომპლექსურ, არასპეციალიზებულ, შერეულ და კომბინირებულ სავაჭრო საწარმოებს შორის, ხოლო სახეობათაშორის კონკურენციად - მათი მეტოქეობა იმ სპეციალიზებული და ვიწროსპეციალიზებული სავაჭრო საწარმოების მიერ, რომლებიც ახორციელებენ ვაჭრობას უნივერსალური სავაჭრო საწარმოების საქონლებრუნვის სტრუქტურაში შემავალი სასაქონლო ჯგუფებით.

საცალო ვაჭრობაში უნდა განვასხვაოთ კონკურენციის ფორმებიც. ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში სავაჭრო საწარმოებს ყოფენ ორ ჯგუფად - საქალაქო დანიშნულების და საცხოვრებელი ზონის სავაჭრო საწარმოებად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება სავაჭრო საწარმოები, რომლებიც ემსახურება მთლიანად ქალაქის მოსახლეობას. ესენია: სავაჭრო ცენტრები, ჰიპერმარკეტები, სუპერმარკეტები, სპეციალიზებული მაღაზიები, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის ნაწილობრივ სტანდარტულ და არჩევით მომსახურებას. მეორე ჯგუფს განეკუთვნება სავაჭრო საწარმოები, რომელთა ასორტიმენტი მოიცავს მასობრივი, ყოველდღიური მოთხოვნის საქონელს, საცხოვრებელი ზონის საწარმოს ყველაზე დამახასიათებელი ტიპია მაღაზია „უნივერსამი“.

ამის გათვალისწინებით უნდა განვასხვაოთ კონკურენციის პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) ფორმები. კონკურენციის პირდაპირი ფორმა, ჩვენი აზრით, არის ისეთი კონკურენტული სიტუაცია, როდესაც ერთი ფუნქციური დანიშნულების სავაჭრო საწარმოების მომსახურების ზონები გადაიკვეთება. კონკურენციის ირიბი ფორმის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ კონკურენტული ურთიერთობანი სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების სავაჭრო საწარმოებს შორის. მაგალითად, კონკურენცია ქალაქში ორ უნივერსამს შორის კონკურენტული ბრძოლის პირდაპირი ფორმის მაგალითია. მეორე მხრივ, ბოსტნეულის მაღაზია, რომელიც განლაგებულია ამ ქალაქის მიკრორაიონში, უშუალოდ არ კონკურირებს ქალაქის სასურსათო ბაზართან. მაგრამ ირიბ კონკურენციას ამ შემთხვევაში უქვევლად აქვს ადგილი. ვინაიდან ტუ ამ მიკრორაიონის მცხოვრებთ არ აწყობთ მაღაზიაში ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის

ასორტიმენტი, ხარისხი ან ფასი, მაშინ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი პროდუქტებს შეისყიდის საქალაქო სასურსათო ბაზარზე (აგრარულ ბაზარზე).

საცალო ვაჭრობაში კონკურენციის ტიპი განისაზღვრება კონკურენტული ბრძოლისადმი კონცეპტუალური მიდგომით. აქ უნდა იქნეს გამიჯნული კომერციული, შეჯიბრებითი და წარმომადგენლობითი კონკურენცია.

კომერციული კონკურენციის შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა კონკურენტულ გარემოსთან ბრძოლაზე, არამედ სამომხმარებლო მოთხოვნის რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების ეფექტიანი ხერხის გამოვლინებასა და გამოყენებაზე. ამ ტიპის კონკურენტული ბრძოლის წარმატებით გამოყენების მაგალითად აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ორგანიზაცია - ინგლისური საცალო ფირმა „მარქს ენდ სპენსერი“.

შეჯიბრებითი კონკურენცია ემყარება დაინტერესებული მხარეების ინტერესთა შეუსაბამობას. იგი ითვალისწინებს მიზანმიმართულ ზემოქმედებას კონკურენტების თითოეულ ტაქტიკურ სვლაზე (მოდრაობაზე). მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ ამ შემთხვევაში ოპტიმალური გადაწყვეტილება შედარებით იოლად მიიღწევა ორ მონაწილეს შორის კონკურენტულ ურთიერთობათა ანალიზისას. მეტოქეთა რაოდენობის გაზრდის დროს წარმოიშობა „კომბინატორული აფეთქების“ სიტუაცია, რაც საკვლევი პრობლემის გადაწყვეტას ხდის საკმაოდ რთულს. ამრიგად, კონკურენციის შეჯიბრებითი ტიპი საცალო ვაჭრობაში მისაღებია ძირითადად სიტუაციებში, როდესაც კონკურენტული ბრძოლა წარმოებს ორ საცალო საწარმოს შორის.

საცალო ვაჭრობაში შესაძლებელია კონკურენტული ბრძოლის წარმომადგენლობითი ტიპიც, რომლის საფუძველი ხდება საწარმოების (ფირმების) ხელმძღვანელობის ამბიციური აზროვნება. კონკურენციის ასეთ ტიპს ადგილი აქვს კონკურენტულ გარემოზე ჭარბი უპირატესობების პირობებში. ამ შემთხვევაში საცალო საწარმოს ხელმძღვანელობა კონკურენტულ მოქმედებებს აწარმოებს არა იმდენად მოგების გადიდებისათვის, რამდენადაც პრესტიჟისა და წარმატებაში თავისი პატივმოყვარეობის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

კონკურენტული ბრძოლის კონკურენციის პროცესის სამი მახასიათებლის კომპონენტების ერთობლიობა განსაზღვრავს, ჩვენი აზრით, კონკურენციის შინაარსს საცალო ვაჭრობაში.

საცალო ვაჭრობის საწარმოები (ფირმები) ფუნქციონირებენ მსგავს გარემოში. ეს გარემო გამოირჩევა სირთულითა და დინამიკურობით, კონკრეტული ბრძოლით, ამიტომ კონკურენციის დიაგნოსტიკა საცალო საწარმოებისათვის წარმოადგენს განმსაზღვრელს მათ წარმატებულ საქმიანობაში ბაზარზე.

კონკურენციის ძალების გაანალიზებისას მ. პორტერი გამოყოფს ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს კონკურენციის დონეს ბაზარზე მოქმედ კომპანიებს შორის: კონკურენტების დიდი რაოდენობა ან მათი ძალების დაახლოებითი თანასწორობა, დარგის ნელი ზრდა; მუდმივი ხარჯების მნიშვნელოვანი დონე; დიფერენციაციის არარსებობა; რაოდენობრივი ნახტომი სიმძლავრეებში; სხვადასხვა სახის კონკურენტები; დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა; მაღალი გამოსასვლელი ბარიერები. განვიხილოთ ეს ფაქტორები საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის ინტენსივობის მიმართ.

საცალო ვაჭრობის საწარმოების (ფირმების) როგორც კონკურენტების დიდ რაოდენობას ბაზარზე, თავისთავად, არ შეუძლია კონკურენციის მაღალი დონის ინსპირირება. კონკურენტული ბრძოლა შეიძლება განხორციელდეს ყველაზე მკაცრ ფორმებში ბაზარზე ორი მეტოქის არსებობისაც კი. ამავე დროს კონკურენცია შეიძლება იყოს საკმაოდ თავაზიანი, როდესაც კონკურენტი, მაგალითად, ათია.


საცალო ვაჭრობის კონკურენტ საწარმოთა ძალების თანასწორობა ამცირებს კონკურენციის დონეს და, პირიქით, ბაზარზე ძლიერი და სუსტი მეტოქეების არსებობა ააქტიურებს კონკურენტულ ბრძოლას. დარგის ზრდის ტემპი საცალო საწარმოებისათვის აგრეთვე არ განსაზღვრავს კონკურენციის დონეს, ვინაიდან იგი ინდივიდუალურია თითოეული ბაზრის ან საწარმოს მომსახურების ზონისათვის. თუ სხვადასხვა სახის კონკურენტებში ვიგულისხმებთ ბაზარზე ერთდროულად შიგასახეობით და სახეობათაშორის კონკურენციას საცალო საწარმოებს შორის, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის დონე არსებითად იზრდება საბაზრო სიტუაციისათვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხოლოდ შიგასახეობითი კონკურენცია.

ისეთ ფაქტორებს, როგორცაა მუდმივი ხარჯების მნიშვნელოვანი დონე, რაოდენობრივი ნახტომი სიმძლავრეებში, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, მაღალი გამოსასვლელი ბარიერები საცალო ვაჭრობასთან, არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება.

ამგვარად, საცალო ვაჭრობაში კონკურენციის დონის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას შეიძლება დავეთანხმოთ მ. პორტერს მხოლოდ ორი კრიტერიუმის - ბაზრის ნელი ზრდა და საცალო საწარმოებს შორის დიფერენციაციის არარსებობა - შესახებ. ამასთან ეს ფაქტორები არ ახასიათებს

მიზეზობრივი პირობების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენტული ბრძოლის დონეს საცალო ვაჭრობაში, და არ წარმოადგენენ გადამწყვეტ ფაქტორებს.

საცალო ვაჭრობაში კონკურენციის დონე განისაზღვრება, ჩვენი აზრით, კონკურენციის ისეთი ფაქტორების მნიშვნელობითა და ურთიერთქმედებით, როგორც კონკურენტულ ურთიერთობათა სახე, ფორმა და ტიპი, საბაზრო სიტუაცია და საბაზრო ქცევა. სქემატურად ეს შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით (ნახაზი 1).



ნახაზი 1. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკურენციის დონეზე საცალო ვაჭრობაში

სინამდვილეში კონკურენტული ბრძოლის დონე საცალო ვაჭრობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკურენციის რომელი სახე ჭარბობს გამოსაკვლევ ბაზარზე - შიგნითი თუ სახეობათაშორისი, პირდაპირია ეს კონკურენცია თუ არაპირდაპირი (ირიბი). კონკურენციის სიდიდეზე გავლენას ახდენს საბაზრო სიტუაცია, მაგალითად, წმინდა მონოპოლიის პირობებში კონკურენტული ბრძოლა საერთოდ არ არსებობს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, როგორც საცალო ვაჭრობის საწარმოების ერთობლიობა კონკურენტულ ბაზრებზე, კონკურენტული ბრძოლის დონე მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ადამიანისეული ფაქტორით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გამოხატულებას პოულობს ბაზარზე გამოსაყენებელ კონკურენტულ ურთიერთობათა ტიპებსა (კომერციული, შეჯიბრებითი, წარმომადგენლობითი) და საბაზრო (მონოპოლიურ და კონკურენტულ) ქცევაში.

კონკურენტული ბრძოლის დონის გამოკვლევა საცალო ვაჭრობაში არ შეიძლება მეტოქეთა ქცევის გათვალისწინების გარეშე. ადამიანთა ქცევა ხშირად გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს კონკურენციის დონეზე. მაგრამ იგი ყოველთვის არ არის თანმიმდევრული და ზუსტი. ამის შედეგად ისეთი მიზანმიმართული სისტემის ქცევა, როგორც საცალო საწარმოთა ერთობლიობა, ხდება ნაკლებად განჭვრეტადი (პროგნოზირებადი).

ყველა ჩამოთვლილი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს კონკურენტული ბრძოლის დონეს საცალო ვაჭრობაში, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია, რაც ითვალისწინებს სინერგიული ეფექტის არსებობას მათი ურთიერთქმედებისგან.

ვითარება რთულდება კიდევ იმით, რომ კონკურენტული ბრძოლის დონე საცალო ვაჭრობაში დინამიკურია, ვინაიდან კრიტერიუმების მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ მას და მათი თანაფარდობა დროში არ არის მუდმივი. ეს მაჩვენებელი დიფერენციულია ბაზრისაგან დამოკიდებულებითაც, რომელზეც ტარდება შესაბამისი გამოკვლევები.

საცალო ვაჭრობის საწარმოთა ქცევის სირთულე კონკურენტულ ბრძოლაში დარგობრივ მეცნიერებას აყენებს სერიოზული ემპირიული პრობლემის წინაშე. მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ საწარმოთა კონკურენტული ურთიერთობების ანალიზის თეორიული პრობლემა ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არ გამხდარა ბოლო დრომდე კვლევის საგანი.

ამასთან დაკავშირებით, კონკურენტული ბრძოლის დონის ანალიზისათვის საცალო ვაჭრობაში, აუცილებელია მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა მოქმედების შესაძლებლობას სუსტი სტრუქტურის პრობლემის პირობებში. ამ მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს კრიტერიუმთა გავლენის სინთეზირება, რომლებსაც გააჩნიათ თვისებრივად სხვადასხვა მნიშვნელობა.

საჭიროა მეთოდოლოგია, რომელიც შეძლებს კრიტერიუმების ურთიერთქმედების შედეგად მიღებული სინერგიული ეფექტის ახალი თვისებების გათვალისწინებას. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ისეთი რთული პრობლემის გადაწყვეტა, როგორც კონკურენციის დონის განსაზღვრა

საცალო ვაჭრობაში, არ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მისი ცალკეული შემადგენელი საკითხების გამოყოფით, მათი გადაწყვეტით და მიღებული შედეგების აგრეგირებით, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია „ეროუს პარადოქსის“ ტიპის სიტუაციის წარმოშობა. ამის გათვალისწინებით საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის დონის გამოკვლევისათვის ჩვენ გამოვიყენეთ იერარქიების ანალიზის მეთოდი [7].

იერარქიის ანალიზის მეთოდის აქსიომატიკა მოიცავს წყვილ შედარებებს, სკალის დამუშავების მსჯელობათა რიცხვით მნიშვნელობებში გარდაქმნისათვის, უკუსიმეტრიულ ურთიერთობათა გამოყენებას, იერარქიული დონეების ჰომოგენურ კლასტერიზაციას, პრობლემის იერარქიულ კომპოზიციას. ამ აქსიომათა საფუძველზე დასაბუთებულია რამდენიმე თეორემა, რომლის შედეგად იერარქიის ანალიზის მეთოდი წარმოადგენს მათემატიკურად დასაბუთებულ აპარატს ურთიერთობათა სკალების განსაზღვრისათვის რთულ მრავალგანზომილებიან პრობლემებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე იერარქიის ანალიზის მეთოდი წარმოადგენს ყველაზე მისაღებ სისტემურ მიდგომას საცალო ვაჭრობაში კონკურენტულ ურთიერთობათა გამოკვლევისათვის.

ამ მიდგომის გამოყენებით კონკურენციის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია საცალო ვაჭრობაში უნდა დაეფუძნოს შემდეგ ეტაპებს: 1) იერარქიის აგება; 2) კრიტერიუმების პრიორიტეტთა დადგენა; 3) ლოკალური პრიორიტეტების შეთანხმებულობის განსაზღვრა; 4) იერარქიული სინთეზის განხორციელება.

პრობლემის იერარქიული კომპოზიცია აიგება შემდეგნაირად: განისაზღვრება ელემენტების დამოკიდებულება იერარქიის პირველ დონეზე. თითოეული ელემენტისათვის აიგება ელემენტების ვექტორი-სვეტების მატრიცა, რომლებიც იმყოფება იერარქიის შემდგომ დონეზე. ამ დონის ელემენტების დამოკიდებულების ვექტორები გამოიყენება საკუთარი ვექტორი-სვეტების დამოკიდებულების განსაზღვრისათვის. ვექტორების მატრიცის ვექტორ-სვეტზე გადამრავლების გზით გაიანგარიშება ქვედა დონის ელემენტების დამოკიდებულების საერთო ვექტორი.

საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის დონის განსაზღვრისათვის რეგიონულ და ლოკალურ ბაზარზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამი საკვლევი სცენარის გამოყენება.

1. კონკურენციის დაბალი დონე. ამ შემთხვევაში ჭარბობს სახეთამორისი კონკურენციის ელემენტები. მოცემული პროფილის სპეციალიზებული სავაჭრო საწარმოები არ არის ბევრი. კონკურენციის პირდაპირი ფორმა ბაზრისათვის არ არის დამახასიათებელი. საქონლის გაყიდვის ძირითადი მოცულობა მოდის საცხოვრებელი ზონის სავაჭრო საწარმოებზე. დამახასიათებელია კონკურენციის კომერციული ტიპი. საცალო ვაჭრობის საწარმოები ძირითადად ორიენტირებულია მყიდველთა ხარისხიან მომსახურებაზე. საბაზრო სიტუაცია მთლიანად შეიძლება დახასიათდეს როგორც ოლიგოპოლია ბაზრის სტრუქტურის გამოხატული მონოპოლიური ელემენტებით მაღაზიების მომსახურების ზონების დონეზე. საბაზრო ქცევა ხასიათდება როგორც მონოპოლიური. საცალო ვაჭრობის საწარმოები, რომლებიც ეწევიან აქტიურ კონკურენტულ მოქმედებებს, პრაქტიკულად ბაზარზე არ არიან.

2. კონკურენციის საშუალო დონე. ბაზარზე იგრძნობა როგორც შიგასახეობითი, ასევე, სახეობათამორისი კონკურენციის ელემენტები. განსაკუთრებული კონკურენტული ბრძოლა საქალაქო დანიშნულების და საცხოვრებელი ზონის სავაჭრო საწარმოებს შორის არ არის. კონკურენციის ტიპი ვარირებს კომერციულსა და შეჯიბრებითს შორის. მეტოქეები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ერთმანეთს, მაგრამ მცირეა აქტიური კონკურენტული მოქმედებები. საბაზრო სიტუაციის ტიპი ახლოსაა ოლიგოპოლიასთან. საბაზრო ქცევა არაერთგვაროვანია. არსებობს კონკურენტული ქცევა, მაგრამ იგი არ არის განმსაზღვრელი.

3. კონკურენციის მაღალი დონე. ამ შემთხვევაში ჭარბობს შიგასახეობითი კონკურენცია. ბაზარზე ბევრია ერთპროფილიანი სპეციალიზაციის, თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვილი სავაჭრო საწარმოები. დამახასიათებელია კონკურენციის პირდაპირი ფორმა, კონკურენციის ტიპი შეჯიბრებითია. საბაზრო სიტუაცია ხასიათდება, როგორც მონოპოლისტური კონკურენცია ძლიერი მეტოქეების დიდი რაოდენობის და მცირერიცხოვანი სუსტი კონკურენტული გარემოცვის არსებობით. საბაზრო ქცევა ატარებს აშკარად გამოხატულ კონკურენტულ ხასიათს. საცალო ვაჭრობის საწარმოები ახორციელებენ აქტიურ კონკურენტულ (როგორც ფასისმიერ, ასევე, არაფასისმიერ) მოქმედებებს.

კონკურენტული ბრძოლის დონის განსაზღვრისათვის საცხოვრებელი დონის საცალო ვაჭრობის საწარმოს მომსახურების ზონაში შეიძლება შევთავაზოთ შემდეგი საკვლევი სცენარი.

1. კონკურენციის დაბალი დონე. მომსახურების ზონაში არსებობს სახეობათამორისი კონკურენცია და ჭარბობს კონკურენტული ბრძოლის არაპირდაპირი ფორმა დამახასიათებელია კონკურენციის კომერციული ტიპი. მეტოქეობა, ძირითადად ორიენტირებული არიან მყიდველთა ხარისხიან მომსახურებაზე. საბაზრო სიტუაცია და ქცევა ხასიათდება როგორც მონოპოლიური.

2. **კონკურენციის საშუალო დონე.** მომსახურების ზონაში არის შიგასახეობითი და სახეობათაშორისი კონკურენციის ელემენტები, კონკურენტული ბრძოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები. კონკურენციის ტიპი ვარიერებს კომერციულსა და შეჯიბრებითს შორის. საბაზრო სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს როგორც ოლიგოპოლია. მცირეა აქტიური კონკურენტული მოქმედებები.

3. **კონკურენციის მაღალი დონე.** მომსახურების ზონისათვის დამახასიათებელია შიგასახეობითი კონკურენცია და კონკურენტული ბრძოლის პირდაპირი ფორმა. ჭარბობს კონკურენციის შეჯიბრებითი ტიპი. საბაზრო სიტუაცია ხასიათდება როგორც მონოპოლისტური კონკურენცია. საბაზრო ქცევა ატარებს აშკარად გამოხატულ კონკურენტულ ხასიათს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმები კონკურენტული ბრძოლის დონის განსაზღვრისათვის წვრილად უნდა შედარდეს ამ მაჩვენებელზე მათი გავლენის გათვალისწინებით. გაანგარიშებები აუცილებელია ჩატარდეს მატრიცულ ფორმაში. ამასთან, უნდა იქნეს დაცული უკუსიმეტრიის თვისება.

მსჯელობათა გაერთიანებისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს საშუალო გეომეტრიული მნიშვნელობის პოვნის წესი, რომელიც გულისხმობს შესაბამის მსჯელობათა და მონაწილეთა რიცხვის შესაბამისი ხარისხის ფესვის ამოღების რიცხვითი მნიშვნელობების გამრავლებას.

საცალო ვაჭრობაში კონკურენციის დონის განსაზღვრა ჩვენ მიერ შემოთავაზებული მიდგომის საფუძველზე იძლევა საბოლოოდ შემდეგ სურათს, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ფაქტორისა და სიტუაციის გათვალისწინებით.

საკვლევი სცენარების განზოგადებული პრიორიტეტები

სცენარები	სახეობათაშორისი კონკურენცია, 0, 124	ირიბი კონკურენცია, 0,051	კომერციული კონკურენცია, 0,471	მონოპოლიური კონკურენცია, 0,230	მონოპოლიური ქცევა, 0,124	განზოგადებული პრიორიტეტები
კონკურენციის დაბალი დონე	0,731	0,649	0,715	0,068	0,715	0,566
კონკურენციის საშუალო დონე	0,188	0,279	0,217	0,217	0,217	0,216
კონკურენციის მაღალი დონე	0,081	0,072	0,068	0,715	0,068	0,218

ამგვარად, საცალო ვაჭრობაში კონკურენციის დონე გამოსაკვლევ ბაზარზე მოცემულ შემთხვევაში უფრო მეტად შეესაბამება სცენარს კონკურენტული ბრძოლის დაბალი დონით.

ანალოგიურად განისაზღვრება კონკურენციის დონე საცალო ვაჭრობის საწარმოთა მომსახურების ზონაშიც.

კონკურენტული ბრძოლის დონის შესახებ მიღებული მონაცემები უნდა გაითვალისწინონ საცალო ვაჭრობის საწარმოებმა (ფირმებმა) რაციონალური კონკურენტული სტრატეგიების შედგენისას მაღალი კონკურენტუნარიანობის მიღწევის ან შენარჩუნების მიზნით.

ლიტერატურა:

1. ამურჯევი ო. ვ., ბოლვაჩევი ა. ი. და სხვ. საქმიანი კაცის ლექსიკონი, მ., 1992 (რუს. ენაზე).
2. კოტლერი ფ., მარკეტინგის მართვა. თარგმ. ინგლ. მ., 1980 (რუს. ენაზე).
3. მაკონელი კ. რ., ბრიუს ლ. ეკონომიკსი. მ., 2003.
4. ნანიტაშვილი მ., კონკურენტუნარიანობის პრობლემები სამომხმარებლო ბაზარზე. მონოგრაფია. თბ., 2009.
5. პორტერი მ., კონკურენტული გარემო: დარგებისა და კონკურენტების ანალიზის მეთოდოლოგია. მ., 2006 (რუს. ენაზე).
6. პორტერი მ., კონკურენცია. მ., 2005 (რუს. ენაზე).
7. საათი თ., კერნსი კ., ანალიტიკური დაგეგმვა. სისტემების ორგანიზაცია. მ., 2011 (რუს. ენაზე).
8. ცხე კ. კ. ეფექტიანი ვაჭრობის მეთოდები: გამოცდილება „წლის საუკეთესო ფორმის“. მ., 2008 (რუს. ენაზე).

**THE METHODOLOGY OF THE COMPETITION DIAGNOSTICS IN THE RETAIL TRADE
RESUME**

The Retail trade enterprises/firms operate in the environment, that is distinguished by the complexity and dynamic characteristics, by the competitive battle. Therefore, for the retail enterprises the study of the competition represents the determinant in their successful endeavors –in a market.

The level of a competition in the retail trade is dynamic, since the values of the criteria that define it and their ratio in time is not constant. This figure is differentiated by the attitude of the market too, on which appropriate researches are conducted.

The field of science is being put into serious empirical problems by the complexity of the behavior of the retail trade enterprises in a competitive battle. The state is aggravated by the fact that in our country the theoretical problem of the analysis of the enterprises' competitive battle has not been the subject of the studies until recently.

Concerning this, for the analyzes of the level of competition in a retail trade, the methodology, which allows for the possibility of an action in the conditions of the problem of the weak structure, is necessary. The methodology should provide synthesis of the impact of criteria, which have qualitatively different meanings, taking into account the new feature of synergy effect obtained as a result of the interaction of the criteria.

In retail trade to solve such a difficult problem, such as the determination of the level of competition cannot be successfully implemented by separating its individual constituent issues, by their resolution and by the aggregation of the results, because in this case it is possible to generate "Eros Paradox" type of a situation. Considering this, in order to examine the level of the competition in the retail trade, we used the method of hierarchical analysis, which is the most preferred systematic approach for the study of the competitive relations in the retail trade.

ნინო ორჯონიკიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქართული რეგიონალიზმის განვითარების ტენდენციები

ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალწლიან ისტორიაში განვითარების ყველა ეტაპზე მეტად აქტუალური იყო ოპტიმალური რეგიონული მოწყობისა და მართვის მოდელის ჩამოყალიბება, რაც მრავალეროვანი ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ძალზედ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულების მეცნიერული კვლევა-ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვან თეორიულ წინაპირობად უნდა იქნას მიჩნეული.

მიუხედავად აღნიშნული მიმართულების აქტუალობისა, საქართველოს სამიათწლიან ისტორიაში, ერთ-ერთი პირველი და წარმატებული მეცნიერული გამოკვლევა მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. კერძოდ, საუბარია დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის შრომებზე. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ცნობილი ნაშრომები, როგორცაა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „ქართლის ცხოვრება“, სადაც მის მიერ განხილულ და გაანალიზებულ საგნებს შორის განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს რეგიონების ბუნებრივ გეოგრაფიული და დემოგრაფიული პრობლემების კვლევას. მას მოცემული აქვს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ცდაც. მისი აზრით საქართველოს ისტორია ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი - ძველი ისტორია 1469 წლამდე და მეორე - ისტორია „შემდგომად განყოფისა“, ე.ი. სამეფოს დაშლიდან 1469 წლიდან, ვახუშტი ბაგრატიონის დრომდე.

ვახუშტი ბაგრატიონის კვლევა-ძიების ერთ-ერთ მთავარ, არსებით ნაწილს წარმოადგენდა გეოგრაფია. მან მოგვცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველი საფუძვლიანი, დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა და გეოგრაფიული ატლასები. ვახუშტი ბაგრატიონის მთავარი ნაშრომის

გეოგრაფიული თავების ერთობლიობის პირობითი სახელწოდება წარმოადგენს თავისი ეპოქის მეცნიერულ დონეზე დაწერილ ნაწარმოებს. მასში განხილულია ხუთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთეულის (ქართლისა და კახეთის სამეფოების, სამცხე-საათაბაგოს, ანუ ახალციხის საფაშოს, დასავლეთ საქართველოს და კავკასიონის მაღალმთიანი ჩრდილოეთის კალთის) ბუნებისა და მოსახლეობის თავისებურებანი. მის თხზულებებში საქართველო დაყოფილია ხუთ ბოტანიკურ ზონად. ამ დაყოფას საფუძვლად უდებდა ნიადაგების ნაყოფიერებასა და მოსავლიანობას.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხის თუ ადგილის აღწერისას, ისტორიული ტენდენციების გაანალიზებასთან ერთად, ვრცლად არის განხილული მათი გეოგრაფიული პირობები და მეურნეობის სივრცობრივი განლაგების პრობლემები. საქართველოს სივრცობრივი განლაგება პირველად მის ნაშრომშია მოცემული. ამ შემთხვევაში იგი გვევლინება, როგორც განსწავლული მეცნიერ-ეკონომისტი.

აღსანიშნავია მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნების, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის დამსახურება, რაც უკავშირდება სივრცობრივი განთავსების პრობლემების პრაქტიკულ რეალიზაციას. კერძოდ, იგი სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა თბილისის წყალსადენის, ფოთის ნავსადგურის, ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, გროზნო-ფოთის ნავთობსადგომებისა და სხვა პროექტების რეალიზაციას.

განიხილავდა, რა მთლიანად საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონში (კუთხეებში) სავაჭრო პროცესების ოპტიმალურად და მინიმალური დანახარჯებით წარმართვის პრობლემებს, ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებით უსვავდა ხაზს იაფი სატრანსპორტო გზების გამონახვის აუცილებლობას, პროდუქციის შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფას, პროდუქციის რეალიზაციისათვის დიდი რაოდენობით დასახლებული პუნქტების უპირატესობას და სხვ.

1871 წელს ნ. ნიკოლაძემ, სავაჭრო ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული ანალიზის შედეგად, უდიდესი მომავალი უწინასწარმეტყველა ფოთს: „ფოთს დიდი როლი აკისრია და კარგი მოელის მომავალში, რკინიგზა მალე შეაერთებს მას თბილისთან, კასპიის ზღვასთან, შემდგომ შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც.“

მთლიანობაში ქვეყნის პრობლემების დადებითად გადაწყვეტის საკითხს, რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინების კონტექსტში განიხილავდა დიდი ილია: „ყოველივე ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა ცვლილებების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი. ამისათვის, რასაკვირველია, ყველაზე უწინარესად კაცმა გონება უნდა მიაქციო ადგილობრივს ვითარებას, რადგან ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარების“. ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის ისეთი მეცნიერული გამოკვლევები, როგორცაა: „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, აგრეთვე პუბლიკაციები სახალხო მეურნეობის, ბანკებისა და ფინანსების საკითხებზე. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მისი ინიციატივით დაარსდა „სათავადაზნაურო“ ბანკი. იგი იყო საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების აქტიური მინაწილე.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი დიდ დაინტერესებას იჩენდა რეგიონული პრობლემებისადმი. ცნობილია, რომ მისი გამოკვლევების ინტერესთა სფეროში საკმაოდ ფართო სპექტრის მიმართულებები იყრიდა თავს. მათ შორის აღსანიშნავის მისი დაინტერესება რეგიონული პრობლემებით. მაგ. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-5 ტომში, მან სპეციალური თავიც კი მიუძღვნა საქალაქო თვითმმართველობის საკითხს, სადაც იგი აღნიშნავს: „საქალაქო თვითმმართველობანი თანდათან მეტ როლს ასრულებდნენ საზოგადოებით-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის კვალობაზე თანდათან მწვავედებოდა ბრძოლა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის თვითმმართველობაში გაბატონებისათვის.“

ივ. ჯავახიშვილი, აგრეთვე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლებში კაპიტალის დაბანდებასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და დარგების განვითარებას. იგი, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ მე-20 საუკუნის დამდეგიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ქალაქის გავლენა სოფელზე, ვაჭარ-მრეწველთა მიერ კაპიტალის დაბანდება სოფლის მეურნეობაში. თანდათან იზრდებოდა ადრე არსებული ბურჟუაზიულ მეურნეობათა მასშტაბები და ჩნდებოდა ახალი, კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. კაპიტალის დაბანდების ხელსაყრელ სფეროდ იყო მიჩნეული მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეთამბაქოება და სხვა დარგები.

ღვაწლმოსილი პროფესორი პ. გუგუშვილი ავითარებს საქართველოსა და კონკრეტულად თბილისის საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად მონაწილეობისათვის შესანიშნავი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის იდეას. ამ იდეის გასაძლიერებლად მას მოჰყავს სხვადასხვა პერიოდის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის პოზიციები. მაგალითად, ჯერ კიდევ 1715 წელს პეტრე პირველი შაჰთან მივლინებულ თავის ელჩს ავალებდა, შაჰი „დაიყოლოს. რომ უბრძანოს სომხებს მთელი თავისი აბრეშუმით ვაჭრობა (ევროპასთან) აწარმოონ რუსეთის სახელმწიფოზე გავლით.“

აბრეშუმით ვაჭრობა „უეჭველად ყველაზე უმნიშვნელოვანესი“ იყო მე-17-18 საუკუნეებში ევროპასა და აზიას შორის საყოველთაოდ აღიარებულ კომერციულ ურთიერთობაში.

მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა პროფესორმა ა. გუნამ ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურის პრობლემებს. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-გატარების პროცესში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების საკითხს, ხოლო რეგიონულ თავისებურებებს სამართლიანად განსაზღვრავს შემდეგ ასპექტებში: ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, დემოგრაფიულ თავისებურებებში, ეროვნული მეურნეობის სტრუქტურაში, როგორც მთლიანობაში, ასევე მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროებში. შიდა რეგიონულ და რეგიონთაშორისი მეურნეობების პროპორციებში, აგრეთვე საწარმოო და ეკონომიკურ კავშირებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფესორ ვ. მელქაძის ღვაწლი რეგიონული ეკონომიკის საკითხების კვლევაში. მან პირველმა გააანალიზა საქართველოს საზოგადოებრივი პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა, შეიმუშავა მთლიანი და წმინდა პროდუქტის რეგიონულ მოცულობათა გაანგარიშების მეთოდოლოგია. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მან დააყენა იმჟამად მოქმედი დარაიონების ბადის არსებული პრინციპების გადახედვის საკითხი. იგი აღნიშნავდა, რომ „ამჟამად მოქმედი დარაიონების ბადე, რომელიც თავის დროზე უეჭველად გამართლებულად წარმოგვიდგებოდა, საჭიროებს გადასინჯვას რეგიონული ეკონომიკის თვალსაზრისით. აუცილებელია ინტეგრალურმა დარაიონებამ ასახოს დარგობრივ (სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, საკურორტო-ტურისტული) ზონებად დაყოფის პრინციპი, გაითვალისწინოს ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობები. ინტეგრალური ეკონომიკური რაიონების ქსელის რევიზია, დარგობრივ ზონებთან დაყოფასთან მისი დაკავშირება უნდა ჩატარდეს თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე და თუ აუცილებელია, ხსენებულ ქსელში შევიდეს მეცნიერულად დასაბუთებული ცვლილებებიც“.

საქართველოს ეკონომიკური დარაიონების პრობლემებს არაერთი მკვლევარის ნაშრომი მიემდგნა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ი. მიქელაძის ღვაწლი. მან განიხილა ეროვნული სიმდიდრის პროპორციები, ჩამოაყალიბა შიდა რესპუბლიკური სახალხო მეურნეობრივი პროპორციების კლასიფიკაცია და სხვა, აგრეთვე, დააყენა საკითხი ზემოთ დასახელებული პროპორციების როლისა და მნიშვნელობის თაობაზე, რეგიონის, კერძოდ კი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების ფორმირებაზე.

რაც შეეხება დარაიონების პრობლემებს, შექმნილი იყო შიდა რესპუბლიკური დარაიონების რამოდენიმე, მეტწილად დარგობრივი ხასიათის სქემა. მათ შორის აღსანიშნავია აკადემიკოს ნი. კეცხოველის აგრო-ბოტანიკური დარაიონება, პროფესორების - პ. ჟღენტისა და ნ. კუპრავას მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარაიონების სქემა. ამ უკანასკნელმა სქემამ ფართო გავრცელება მოიპოვა ჩვენი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლისას. იგი ითვალისწინებს საქართველოს ფარგლებში 11 ზონისა და 3 ქვეზონის გამოყოფას.

აღსანიშნავია ეკონომისტ-გეოგრაფის პროფესორ ე. კობახიძის ღვაწლი საქართველოს ტერიტორიის რეკრეაციული დარაიონების საქმეში შეტანილი წვლილისათვის. მის მიერ გამოყოფილი იქნა 7 საკურორტო-ტურისტული რეგიონი: 1) აფხაზეთის, 2) აჭარის, 3) კოლხეთის, 4) ზემო რაჭის, 5) ბორჯომ-აბასთუმნის, 6) თბილისის, 7) აღმოსავლეთ კავკასიონის.

რეკრეაციული დარაიონების ტაქსონომიურ ერთეულებად იგი მიზანშეწონილად თვლიდა 4 საფეხურის გამოყოფას: 1) რეკრეაციული ზონა, 2) რეკრეაციული რაიონი, 3) რეკრეაციული ქვერაიონი, 4) პირველადი რეკრეაციული კომპლექსი.

ქვეყნის საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების რეგიონული თავისებურებების კვლევის საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული იქნა რეკრეაციული დარაიონების ახალი სქემა, რომლის მიხედვითაც გამოყოფილია 11 რეგიონი: აფხაზეთის, აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, ბორჯომ-ბაკურიანის, კოლხეთის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აღმოსავლეთ კავკასიონის, თბილისის, კახეთისა და სამაჩაბლოსი.

საქართველოს შიდა რესპუბლიკური დარაიონების ორიგინალური სქემა შეიმუშავა პროფესორმა გ. გველესიანმა. აღნიშნული სქემის ძირითადი პრინციპი ეფუძნება შიდა რეგიონულ და რეგიონთაშორის ურთიერთ-ეკონომიკურ და სოციალური მიზიდულობის პრინციპს, ოპტიმალური ტრანსპორტირების პირობებს და სხვ. მის მიერ შემუშავებულია საქართველოს საერთო ეკონომიკური დარაიონება, რომელიც 8 რეგიონული ერთეულისაგან შედგება:

1. აღმოსავლეთ-ცენტრალური (თბილისის) ეკონომიკური რაიონი-თბილისი-რუსთავის, გორი-ხაშურის (შიდა ქართლი), დუშეთ-თიანეთის (ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი) და თეთრი წყარო-ბოლნისის (ქვემო ქართლი) ქვერაიონებით;

2. აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონი - თელავი-ლაგოდეხის (შიდა კახეთი) და საგარეჯო-წითელწყაროს (გარე კახეთი) ქვერაიონებით;
3. დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისის) ეკონომიკური რაიონი - ქუთაისის (ქვემო იმერეთი), ჭიათურა-ზესტაფონის (ზემო იმერეთი) და ამბროლაურ-ცაგერის (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი) ქვერაიონებით;
4. დასავლეთის ეკონომიკური რაიონი - ლანჩხუთი (გურია), ზუგდიდი (სამეგრელო), ზემო სვანეთის ქვერაიონებით;
5. სამხრეთის ეკონომიკური რაიონი - ახალციხე, სამცხე და ახალქალაქის (ჯავახეთი) ქვერაიონებით;
6. აფხაზეთის ეკონომიკური რაიონი - ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვერაიონებით;
7. აჭარის ეკონომიკური რაიონი, აჭარის ზღვისპირთა და შიდა აჭარით;
8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

დარაიონების აღნიშნული სქემის მიხედვით, რაიონის ჩამოყალიბებაში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო და სატრანსპორტო კავშირთა შესაძლებლობებს და ტვირთთა ნაკადის განაწილებას. ის უახლოვდება პ. პოტიეს მიერ „განვითარების ღერძად“ მოდიფიცირებულ „ზრდის პოლუსების“ თეორიას.

მნიშვნელოვანი მონოგრაფია მიუძღვნა სივრცობრივ საკითხებს პროფესორმა ვ. ჯაოშვილმა. მან გამოიკვლია მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ბოლო საუკუნეების მანძილზე, დაადგინა სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენა მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაზე. საინტერესოა ის, რომ რეგიონული განვითარების პრობლემები მან კომპლექსურად განიხილა: ბუნებრივი გარემოს ძირითადი კომპონენტები ერთობლიობაში ქმნიან გარკვეულ კომპლექსს, რომელსაც ადამიანები იყენებენ როგორც უშუალოდ, მისი წარმოების მეშვეობით, ანუ სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნაში მონაწილეობის გზით.

ეკონომიკის მეცნიერების დოქტორი ნ. ჭითანავა აღნიშნავს, რომ „ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია რეგიონების (ადმინისტრაციული რაიონის, რაიონის ჯგუფის, მხარის) სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შედგენა“ და იქვე ასაბუთებს მას შვიდი ფაქტორით.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული რეგიონალიზმის განვითარებაში დ. მოურავიძემ. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „რეგიონები, მათი ეკონომიკა, რეგიონული მართვა არის ქვეყნის, მისი ეკონომიკისა და სახელმწიფოს საფუძველი, ის მასაზრდოებელი ფესვები და ტოტემი, რითაც სახელმწიფო სულდგულობს და ვითარდება. ფაქტობრივად ყველა პრობლემა - პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც, სოციალურიც - ანუ მთელი ქვეყნის ბედი ძირითადად რეგიონებში წყდება“.

Nino Orjonikidze
Gori State Teaching University
DEVELOPMENT TRENDS OF GEORGIAN REGIONALISM
RESUME

In the multiyear history of Georgian statehood at all stages of development it was very actual shaping of the model of optimal regional arrangement and management, which was and is still very important precondition for the sustainable development of the multinational country. Thus it can be said, that scientific research of these directions and elaboration of the appropriate recommendations must be considered as an important theory precondition for the realization country's socio- economic and military political interests.

აბრეშუმის გზის ამოქმედების პრობლემები და საქართველოს ლოგისტიკურ ცენტრად ქცევის შესაძლებლობა

ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩამოყალიბდა. თავდაპირველად სახმელეთო ტრანსპორტი ჩინეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთს აკავშირებდა. სავაჭრო ქარავნები კვეთდნენ ათასობით კილომეტრს, რათა პროდუქცია გაეცნოთ და მიეწოდებინათ განსხვავებული ცივილიზაციისათვის. აღნიშნულ გზას აბრეშუმის გზა უწოდეს, რადგან პირველ ეტაპზე ძირითადი სავაჭრო პროდუქტი სწორედ აღმოსავლური აბრეშუმი გახლდათ. შუა საუკუნეებში სახმელეთო მარშრუტმა ნელ-ნელა დაკარგა არსებული ფუნქცია, რადგან სახელმწიფოთა შორის არსებული არაერთი დაპირისპირების ფონზე გზებზე მოძრაობა უფრო და უფრო სახიფათო გახდა და იგი წარმატებით ჩაანაცვლა საზღვაო ტრანსპორტმა. საზღვაო ტრანსპორტი დღემდე ლიდერობს საერთაშორისო გადაზიდვებში და ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ვაჭრობა ყველაზე ხშირად სწორედ საზღვაო გადაზიდვების მეშვეობით ხდება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის არაერთი ინიციატივა გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მის ქვეშ მოიაზრებენ თითქმის ყველა პროექტს, რომლებიც ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს აკავშირებს. ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა პროექტი TRACECA, რომელიც 14 ქვეყანას აერთიანებს და ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო სისტემისა და ვაჭრობის განვითარებას ისახავს მიზნად რუსეთსა და ირანზე გამავალი მარშრუტების გვერდის ავლით. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ასევე გამოვიდა ინიციატივით, აღედგინა სავაჭრო ურთიერთობები აბრეშუმის გზის გასწვრივ, რომელიც მიზნად ისახავდა ავღანეთის როლის გაზრდას რეგიონალურ ურთიერთობებში. 2015 წლის 13 დეკემბერს ჩინეთის პორტ ლიანიუნგანის ტერმინალიდან სატრანზიტო მატარებელი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის გავლით საქართველოში შემოვიდა. პროექტის განხორციელებაში რამდენიმე ქვეყნის სარკინიგზო სისტემა და რამდენიმე საერთაშორისო სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპანია მონაწილეობდა. საქართველოს გავლით საქონელი თურქეთში ჩავა. აღნიშნული სატრანზიტო მარშრუტის განვითარების შემთხვევაში, რაც თანამედროვე აბრეშუმის გზის პროექტის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს, ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილიდან ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით სტამბულში მატარებელი დაახლოებით 12 დღეში ჩავა, საიდანაც მარმარის გვირაბის გავლით ევროპაში მოხვდება. ეს სატრანზიტო მარშრუტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩინეთსა და ევროპულ ქვეყნებს შორის არსებული ვაჭრობის მასშტაბის ფონზე, რაც, 2014 წლის მონაცემებით, 615 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს და, პროგნოზის თანახმად, 2020 წლამდე 800 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, უდავოდ, პოზიტიურ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და ახალისებს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, ურბანიზაციას, ინდუსტრიალიზაციას და საერთაშორისო ვაჭრობას. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საქართველოს ინტერესს, ჩაერთოს აბრეშუმის გზის პროექტში.

2013 წლიდან ჩინეთი ცდილობს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან. აღნიშნული პროექტით ჩინეთის დაინტერესება რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ძირითადად მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებზე აისახა, რადგან აღნიშნულ რეგიონში წარმოებული საქონლის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით ევროპისა და ამერიკის მიმართულებით გაცილებით მარტივია. შესაბამისად, ჩინეთი ნაკლებად განვითარებული დასავლეთ პროვინციების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზრუნავს და ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა სურს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პროვინციებს გამოაცოცხლებს. ასევე, საზღვაო გადაზიდვისთვის საჭირო შედარებით დიდი დრო ჩინურ პროდუქციას რიგ შემთხვევაში ნაკლებად კონკურენტულს ხდის ევროპულ ბაზარზე. ამასთან, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებული დავა და პოტენციური დაპირისპირება ჩინური პროდუქციის უსაფრთხო ექსპორტს უქმნის საფრთხეს.

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის კონცეფციამ შესაძლოა მიმდინარე საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევრაზიის კონტინენტის განვითარებაზე. ჩინეთი უკვე წარმოადგენს გლობალურ მოთამაშეს უდიდესი ეკონომიკური რესურსით და ყოველდღიურად მზარდი გავლენით. აბრეშუმის გზის განვითარების ჩინურ პროექტს მხარს უჭერს არაერთი სახელმწიფო, რომელთაც სურთ, თვითონაც გახდნენ აღნიშნული პროექტის ბენეფიციარი.

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტი, რომელსაც ასევე სახმელეთო აბრეშუმის გზასაც უწოდებენ, შეესაბამება ისტორიულ აბრეშუმის გზას, რომელიც საუკუნეების წინ გამოიყენებოდა და ის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს მოიაზრებს:

1. რუსეთზე გამავალი ჩრდილოეთის გზა - ეს გზა დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე განვითარებული მარშრუტია აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტში და ორ მარშრუტს მოიცავს. ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალი ჩინეთს რუსეთისა და ბელარუსის გავლით ევროპულ ქვეყნებთან აკავშირებს, ხოლო 2011 წელს ამოქმედებული ჩუნცინი-სინძიანი-დუისბურგის რკინიგზით ჩინეთი ყაზახეთის, რუსეთის, ბელარუსისა და პოლონეთის გავლით გერმანიაში დუისბურგის პორტს უკავშირდება. აღნიშნული მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 11,000 კილომეტრია და შესაძლებლობას იძლევა, ჩინური საქონელი დასავლეთ ევროპის ბაზარზე 16 დღეში მოხვდეს, რაც რამდენჯერმე ნაკლებია საზღვაო გადაზიდვასთან შედარებით, რასაც 45-60 დღე სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ სარკინიგზო გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტთან შედარებით ძვირი ჯდება, მისი ფასი საგრძნობლად ჩამოუვარდება საჰაერო გადაზიდვას და მნიშვნელოვან ალტერნატივას წარმოადგენს ძვირად ღირებული და მალეფუჭებადი საქონლის გადასაზიდად. ჩრდილოეთის გზას უკვე აქტიურად იყენებს არაერთი ცნობილი კომპანია, მაგალითად HP და კომპანია Foxconn-ი, რომელიც Apple-ის ერთ-ერთი მომწოდებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის გზაზე ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს და მარშრუტიც ფუნქციონირებს, ჩინეთი მაინც მუშაობს ალტერნატიულ გზებზე, რათა პროექტში ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც ჩაერთონ, მოხდეს მარშრუტების დივერსიფიცირება და ქვეყანა მხოლოდ რუსეთზე გამავალ გზაზე არ იყოს დამოკიდებული. ამასთან, აღნიშნული მარშრუტის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რკინიგზის მოვლის ხარჯები საკმაოდ დიდია, რაც აძვირებს ჩრდილოეთის გზის გამოყენებას, ხოლო კლიმატური პირობები სატრანსპორტო გადაადგილებას აფერხებს.

2. ირანზე გამავალი სამხრეთის გზა - აბრეშუმის გზის მეორე ვარიანტი, ცენტრალური აზიის ქვეყნების: ყირგიზეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის სარკინიგზო და საგზაო ინფრასტრუქტურის გავლით ჩინეთს სპარსეთის ყურეზე მდებარე ირანულ საპორტო ქალაქთან ბენდერ აბასთან აკავშირებს. თუმცა, ასევე შესაძლებელია ირანიდან მარშრუტი თურქეთის მიმართულელებით გაგრძელდეს და ევროპულ ქვეყნებთან დაკავშირება ამ გზით მოხდეს. როდესაც ჩინეთში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულმა მასმედიის საშუალებებმა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის სავარაუდო რუკა გამოაქვეყნეს, მასზე სწორედ ე.წ. სამხრეთის გზა გახლდათ ასახული, რომლის მეშვეობითაც ირანისა და თურქეთის გავლით ჩინეთი ევროპას უკავშირდება. ეს პროექტი შესაძლებლობას მისცემს ჩინეთს, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გავლენა გაზარდოს და ირანს დაუკავშირდეს, რაც გაუმარტივებს წვდომას ისეთ ენერგორესურსებზე, როგორიცაა თურქმენული გაზი და ირანული ნავთობი.

აღნიშნული პროექტის ამოქმედება მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან უმთავრესია თანამედროვე ინფრასტრუქტურის არ არსებობა (ამ მარშრუტის გამოყენებით მხოლოდ ყაზახეთსა და თურქეთს შორის სარკინიგზო გადაზიდვა 25-30 დღეს გრძელდება) და პოლიტიკური არასტაბილურობა. თურქეთსა და ირანს შორის არაერთ საკითხზე არსებობს დაპირისპირება და ეს ქვეყნები დღესდღეობით რეგიონში გავლენის მოპოვებისთვის ეცილებიან ერთმანეთს. ამასთან, მიუხედავად ირანისათვის დაწესებული დასავლური სანქციების ახლო მომავალში შესაძლო გაუქმებისა, ამ მასშტაბის პროექტში ირანის სტაბილურ პარტნიორად ჩამოყალიბებას გარკვეული დრო დასჭირდება.

3. სამხრეთ კავკასიაზე გამავალი გზა - ჩრდილოეთისა და სამხრეთის მარშრუტის ალტერნატივაა გზა, რომელიც სამხრეთ კავკასიაზე გადის. რამდენიმე თვის წინ თურქეთში მომუშავე ანალიტიკურმა ორგანიზაციამ, კასპიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კვლევა სახელწოდებით „კასპიის სატრანზიტო დერეფანი“, რომელიც სწორედ აღნიშნულ მარშრუტს ეძღვნება. კასპიის სატრანზიტო დერეფანი ითვალისწინებს ცენტრალური აზიის გავლით ჩინური ტვირთების რკინიგზით ტრანსპორტირებას კასპიის ზღვის პორტებამდე ყაზახეთსა და თურქმენეთში. კასპიის ზღვის გავლით ტვირთი ბაქოს პორტში ჩავა, ხოლო შემდეგ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით მოხდება ტვირთის ტრანსპორტირება თურქეთში, საიდანაც ევროპული ქვეყნებისკენ შემდგომი გადაადგილებაა შესაძლებელი. მარშრუტი ასევე უზრუნველყოფს ევროპული და თურქული საქონლის ცენტრალური აზიისა და ჩინეთის ბაზარზე მოხვედრას. აღნიშნული სატრანზიტო დერეფნის უპირატესობაა უკვე

თითქმის დასრულებული ინფრასტრუქტურა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სახით (ჯერჯერობით არ დასრულებულა თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრიდან ყარსამდე არსებული 76-კილომეტრიანი მონაკვეთი) და კასპიის ზღვის პორტების მშენებლობისა და გაფართოების პროექტები. აზერბაიჯანი (ალატის პორტი) და თურქმენეთი (თურქმენბაშის პორტი) უკვე აშენებენ ახალ პორტებს კასპიის ზღვაზე, ხოლო ყაზახეთი აფართოებს აქტაუს პორტს და აშენებს ახალ კურიკის პორტს. ამასთან, ყაზახეთის მიერ სულ ახლახან დასრულებული ჟეზკაზგან-ბეინეუს რკინიგზის მშენებლობის შედეგად მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 1,000 კილომეტრით შემცირდა და ამჟამინდელი სიგრძე ჩინეთ-ყაზახეთის საზღვრიდან საქართველო-თურქეთის საზღვრამდე დაახლოებით 9,700 კილომეტრია.

საქართველოს ასევე შეუძლია წახალისოს კასპიის სატრანზიტო დერეფნის გავლით საქართველოში შემოსული ტვირთების ქართული სარკინიგზო სისტემით გადაზიდვა საქართველოს პორტებამდე, ხოლო შემდეგ შავი ზღვის გავლით ტრანზიტით ევროპულ ქვეყნებში. ამგვარი მარშრუტი კასპიის სატრანზიტო დერეფანს კასპიისა და შავი ზღვის დერეფნად აქცევს. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. გეგმის მიხედვით, პირველ ეტაპზე ანაკლიის პორტის გამტარუნარიანობა წელიწადში 7 მილიონი ტონა ტვირთი იქნება, ხოლო ტვირთბრუნვის გაზრდის შემთხვევაში გამტარუნარიანობის 100 მილიონ ტონამდე გაზრდაა შესაძლებელი. ანაკლიის პორტის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს საშუალო და დიდი ზომის (პანამაქსის ტიპის) გემების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც 8,000-8,500 კონტეინერს იტევს. არსებული პორტებისა და დაგეგმილი ანაკლიის პორტის მეშვეობით შესაძლებელი გახდება კასპიის სატრანზიტო დერეფნით შემოსული საქონლის საქართველოდან ტრანსპორტირება ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის პორტებში, საიდანაც ტვირთი სხვა ევროპულ ქვეყნებში გადაადგილდება.

კასპიის სატრანზიტო დერეფნის როლი განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა რუსეთსა და თურქეთს შორის რამდენიმე კვირის წინ დაწყებული დაპირისპირების ფონზე. მას შემდეგ, რაც თურქული ტვირთებისათვის რუსეთის საზღვარი ჩაიკეტა, გართულდა თურქული საქონლის ექსპორტი არა მარტო რუსეთში, არამედ ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ჩინეთის მიმართულებით, რადგან ამ ქვეყნებში საქონელი ძირითადად სწორედ რუსეთის გავლით ხვდებოდა. აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა გამოთქვეს მზადყოფნა, შეესრულებინათ სატრანზიტო ფუნქცია და თურქული საქონლის ტრანსპორტირება სწორედ კასპიის სატრანზიტო დერეფნის გავლით გახდა შესაძლებელი. კასპიის სატრანზიტო დერეფნის გავლით შესაძლებელია ჩინეთიდან თურქეთამდე საქონლის ტრანსპორტირება 12 დღეში, რაც მას ყველაზე მომხიბვლელ ალტერნატივად წარმოაჩენს აბრეშუმის გზის სხვადასხვა მარშრუტს შორის. თუმცა ამ მარშრუტით სარგებლობისას რამდენიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლებაც იქმნება, რომელთაგან ყველაზე ანგარიშგასაწევია იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მარშრუტი კვეთს და თითოეული ქვეყნის განსხვავებული კანონმდებლობა, ინდივიდუალური საბაჟო პროცედურები თუ სარკინიგზო ტარიფები. სახელმწიფოები უკვე მუშაობენ გადამზიდავი კომპანიებისთვის საერთო ტარიფისა და ჰარმონიზებული საბაჟო პროცედურების შეთავაზებაზე, რათა მარშრუტის გამოყენება ნაკლებ დროსა და ფინანსურ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული.

სამხრეთ კავკასიაზე გამავალი გზის თანამედროვე აბრეშუმის გზის ძირითად მარშრუტად ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, მარშრუტის გასწვრივ მდებარე ყველა სახელმწიფომ განავითაროს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მოხდეს სავაჭრო პოლიტიკისა და საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზება. ამასთან, პროექტში ჩართულმა სახელმწიფოებმა გამართული ბიუროკრატიული აპარატისა და მიმზიდველი ლოგისტიკის სისტემის ჩამოყალიბება უნდა უზრუნველყონ, რათა ამ მარშრუტით გადაადგილება უფრო სწრაფი, სანდო და მოხერხებული გახდეს და ეს იქცეს მის დამატებით კონკურენტულ უპირატესობად ალტერნატიულ მარშრუტებთან შედარებით. შესაბამისად, ამ პროექტის წარმატება სახელმწიფოების საერთო ძალისხმევაზეა დამოკიდებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსთან ერთად ცენტრალური აზიის ქვეყნები, აზერბაიჯანი და თურქეთი დაინტერესებულნი არიან აღნიშნული მარშრუტით და მისი განვითარება სრულად შეესაბამება ამ ქვეყნების ძირითად ეკონომიკურ ინტერესებს, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არსებობს.

თანამედროვე აბრეშუმის გზის ნაწილად ქცევა გაზრდის თითოეული მონაწილე ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, შემოსავალს სატრანზიტო გადასახადის სახით, თუმცა მისი საერთო ეფექტი გაცილებით დიდი იქნება. სატრანზიტო დერეფანი გააჩენს რეალურ პოტენციალს, რომ საქართველო იქცეს ლოგისტიკურ ცენტრად და უფრო მარტივად დაუკავშირდეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილს. ეს კი მნიშვნელოვან წამახალისებელ ფაქტორად იქცევა ქვეყანაში წარმოების განსავითარებლად და სხვა ისეთ ინსტრუმენტებთან ერთად, როგორცაა თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან (ასევე ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადების შანსი), ქვეყანაში ინვესტირებას წახალისებს.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. გიორგი წარმანია, აბრეშუმის გზის მოლოდინში, სტრატეგიები, 25 იანვარი, 2016;
2. <http://www.ambioni.ge/abresumis-gzisistoriuli-mnisvneloba>
3. <http://news.ge/ge/news/story/125555-tu-akhali-abreshumis-gza-eqspluatatsiashi-sheva-chinetievrovavshirs-rusetis-gverdit-avlit-daukavshirdeba>
4. <http://www.economy.ge/ge/media/news/saavtomobilo-turis-mogzauroba-atiataskilometrian-abresumis-gzaze-monawilebs-saqartvelos-premier-ministri-da>
5. <http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/8720-„აბრეშუმის-გზა,-ეს-არის-ეკონომიკური-ინიციატივა“>

Lali Osadze

Gori State Teaching University

**PROBLEMS WITH FORMING THE MODERN SILK ROAD AND AN OPPORTUNITY OF BECOMING A LOGISTIC CENTER FOR GEORGIA
RESUME**

A number of initiatives to restore the historic Silk Road have emerged from the 90-ies of the past century.

Silk Road economic zone concept can play one of the most important roles in the development of the Eurasian continent.

For the road along the South Caucasus to become a main route for the Silk Road of the present day, all countries along the road need to develop transport infrastructure and harmonise trade policies and custom regulations as well as form an attractive logistic centres.

Becoming a part of the modern Silk Road will increase the transit revenue for all participant countries including Georgia, however the overall effect will be much greater. Transit corridor will create a real opportunity for Georgia to become a logistic center and interact with the rest of the world easier. This is important in terms of encouraging the development in production sector and combining with other factors such as free trade with European Union (as well as possible Free Trade Agreement with China) will attract new investments into the country.

მაკა სოსანიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების პრობლემები საქართველოში

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაში მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მომსახურების სრულყოფა უდიდეს როლს ასრულებს მომხმარებელთა გუნება-განწყობილების გაუმჯობესებასა და ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში. ზრდილობა, თავაზიანობა და პროფესიონალიზმის მაღალი დონე - ადამიანის ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფირმის წარმატებებსა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ბევრი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ცუდ მომსახურებას შეუძლია ბიზნესის დანგრევა. კლიენტებისადმი გულგრილობა აუცილებლად მიიყვანს კომპანიას გარდაუვალ დაღუპვამდე. კარგი მომსახურებით, ბიზნესმენი ინარჩუნებს კლიენტებს რაც გაცილებით უფრო ადვილი და იაფია, ვიდრე ახალი მომხმარებლის მიზიდვა. შეერთებული შტატებში “ნიუს ენდ ვორლდ რეპორტმა” ჩაატარა კვლევა და აღმოაჩინა, რომ საშუალოდ ამერიკელი ბიზნესმენები მომხმარებლების 15 % კარგავენ წლიურად. 68% იმ ადამიანებისა, ვინც წყვეტს ერთი კომპანიისგან შექმნას და მეორეს მომხმარებელი ხდება, მსგავს გადაწყვეტილებას იღებს ცუდი მომსახურების ან გულგრილობის გამო.

ნებისმიერი კომპანიისთვის მომხმარებლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება მენეჯმენტის მთავარი საკითხი უნდა იყოს. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლითაც კომპანიას შეუძლია უპირატესობის მოპოვება მეტოქეებთან შედარებით. მაღალი ხარისხის მომსახურება არის გასაღები მომხმარებელთა ერთგულებისკენ, ერთგული მომხმარებელი კი კომპანიის უდიდესი აქტივია. მომსახურების მაღალი დონე პირდაპირპროპორციულად უკავშირდება კომპანიის წარმატებას. მომსახურების სახეებს შორის მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების პრობლემა მუდმივად ადელვებს მომხმარებელსა და პროდუქტის გამყიდველს. იზრდება მომხმარებელთა კულტურული დონე, კეთილდღეობა და, შესაბამისად, იზრდება ხარისხიანი მომსახურებისადმი მოთხოვნა. ხარისხიანი სავაჭრო მომსახურება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კონკურენტულ ბრძოლაში, ამიტომ საბაზრო კონკურენციის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების ხარისხს. სწორედ მასზეა დამოკიდებული ნებისმიერი საწარმოს ეფექტიანი მომსახურება და, რაც მთავარია, მოგების ზომა.

სავაჭრო მომსახურება, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა მომსახურების კულტურა, მომსახურების დონე, რომელთა საფუძველს წარმოადგენს მომხმარებელზე ზრუნვა. სავაჭრო მომსახურების კულტურა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მაღაზიებში მაღალი ხარისხის, ადამიანთა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და ფართო ასორტიმენტის საქონლის არსებობას მომხმარებელთა ხელმისაწვდომ ფასში. სავაჭრო მომსახურების ხარისხი გულისხმობს შევუქმნათ მომხმარებელს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები საქონლის შეძენისას. სავაჭრო მომსახურების ხარისხი, თავის მხრივ, დამოკიდებულია სავაჭრო პერსონალის კულტურის დონეზე, მათ პროფესიონალიზმზე, პერსონალის მიერ მომხმარებელთა ფსიქოლოგიის ცოდნაში. სავაჭრო მომსახურების ხარისხი ფასდება შემდეგი მაჩვენებლებით:

- სავაჭრო საწარმოს მრავალფეროვანი ასორტიმენტი;
- მომხმარებელთა მომსახურების ტექნოლოგიების დაცვა (საქონლის დროული მიღება, გასაყიდად გამზადება, სავაჭრო დარბაზში რაციონალურად განთავსება, შენახვის პირობების დაცვა და ა.შ.);
- საქონლის გაყიდვისას პერსონალის აქტიურობა, პროფესიონალიზმი (გამყიდველის მიერ საქონლის ცოდნა, მყიდველთა ფსიქოლოგიის შეცნობა, შეთავაზების ხელოვნება, მომსახურების სიწრაფე, თავაზიანობა ა.შ.);
- მომხმარებელთა მაქსიმალური ინფორმირებულობა, რაც ეხმარება საქონლის შერჩევაში, სავაჭრო დარბაზში ორიენტირებაში; ინფორმაციის მიწოდება საქონლის განთავსების, ფასების, სარგებლიანობის შესახებ, მომხმარებლისთვის აუცილებელი კონსულტაციის გაწევა და ა.შ.);
- მომხმარებლისთვის დამატებითი მომსახურების გაწევა;
- ყიდვის პროცესის დასრულება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მომსახურების დონესთან;
- მომხმარებლის აზრი სავაჭრო მომსახურების დონის შესახებ, რომლის შეფასება შესაძლებელია მყიდველების გამოკითხვით.

მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურება საქართველოში გაუმჯობესების გზას ადგას. ქვეყანა ვითარდება, კონკურენცია უფრო ძლიერი ხდება და კომპანიები ცდილობენ მომსახურების გაუმჯობესებას. მიუხედავად ყველაფრისა მომსახურების დონე ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, მაინც შორსაა საერთაშორისო სტანდარტებისაგან: ჯერ კიდევ ხშირია მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევები, პერსონალის მხრიდან უხეში დამოკიდებულება, რაც იწვევს მომხმარებელთა სამართლიან უკმაყოფილებასა და კონფლიქტებს მყიდველსა და გამყიდველს შორის.

მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების დონის ერთ-ერთ მაჩვენებელს მყიდველთათვის კონსულტაციის გაწევა წარმოადგენს, რასაც ხშირად ვერ ღებულობს მყიდველი გამყიდველის არაკვალიფიციური და დაბალი პროფესიული მომზადების გამო. მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების დაბალი დონეს მრავალი სხვა ფაქტორიც განაპირობებს. კერძოდ, ის, რომ ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო საქონლის ბაზარი გადატვირთულია დაბალი ხარისხის, საექვო წარმომავლობის უცხოური საქონლით, მრავალი მათგანი ჯანმრთელობისათვის მავნე ან ექსპლოატაციისათვის სრულიად უვარგისია.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა მომსახურებას ტურიზმის სფეროში. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გადაიქცა. მომხმარებელთა ნაკადების ინტესიური ზრდა, როგორც წესი იწვევს საცალო სავაჭრო საწარმოებისა და მასობრივი კვების ობიექტების გადატვირთვასა და მასთან დაკავშირებით, მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების მკვეთრ გაუარესებას. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას საკურორტო ზონებში განლაგებულ სავაჭრო საწარმოთა მიმართ მომხმარებელთა საჩივრებისა და შენიშვნების საგრძნობი მატება.

ჩამოსული ტურისტი შეიძლება არ გაჩერდეს სასტუმროში, არ შევიდეს მარკეტსა და ბანკში, მაგრამ ვერასდროს აუვლის გვერდს კვების აუცილებელ მოთხოვნილებას და ერთხელ მაინც დააგემოვნებს ადგილობრივ სამზარეულოს. სად უნდა იკვებოს ჩამოსული ტურისტი თუ არა ადგილობრივ კვების ობიექტებში. სწორედ კვების ობიექტია ის ერთ-ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წერტილი, რომლის პერსონალის შერჩევასაც უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

ამ ნაკლოვანების თავიდან აცილების მიზნით, საწარმომ სისტემატიურად უნდა აკონტროლოს მის მომსახურების ზონაში შემავალ მომხმარებელთა რაოდენობრივი ცვლილებები და გაატაროს სათანადო ღონისძიებანი, რათა არ დაუშვას საწარმოში მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების გაუარესება. ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ სისტემური ცვლილებები. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც საშუალებას მისცემს გააუმჯობესონ მომსახურება.

➤ მომსახურების ხარისხის პრიორიტეტის დეკლარირება მენეჯმენტის მიერ: პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის მომსახურების ხარისხის პრიორიტეტის დეკლარირება მენეჯმენტის მიერ. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ შეძლოს მომხმარებლებისთვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება და არსებული მომსახურების ხარისხის მუდმივი ამაღლება, ჯერ თვითონ მენეჯმენტი უნდა შეთანხმდეს მის პრიორიტეტულობაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც თუ მენეჯმენტი არ აღიარებს მომსახურების ხარისხის პრიორიტეტს და არ მოახდენს ამის დეკლარირებას, ადრე თუ გვიან ეს ამოცანა დაკნინდება სხვა ამოცანებს შორის.

➤ მომსახურების წერტილების მოწყობა მომხმარებელთა (სეგმენტის) სპეციფიკის გათვალისწინებით; მომსახურების წერტილების სწორ მოწყობაში იგულისხმება: მომსახურების წერტილების სტრუქტურა, ფუნქციების გაყოფა, საბაზო სერვისების განხორციელების პროცესები, ასევე შიდა განლაგება - ამ ყველაფერში გათვალისწინებული უნდა იყოს მომხმარებელთა სპეციფიკა და მოთხოვნები. რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის - სისწრაფე, კომფორტი თუ ინდივიდუალური მიდგომა.

➤ დელეგირების სისტემის შემუშავება: დელეგირების სისტემის შემუშავება უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურების დროის მნიშვნელოვნად შემცირებას. იგი ასევე უზრუნველყოფს მომსახურების პროცესში ჩართული თანამშრომლების რაოდენობის შემცირებასაც. ასევე უნდა განისაზღვროს, ვინ რაზე იღებს გადაწყვეტილებას, რა დონეზე და როგორ ხდება დონეების გადახედვა.

➤ უკუკავშირის არხების აწყობა მომხმარებელთან და თანამშრომლებთან: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვექონდეს ზუსტი ინფორმაცია, როგორც მომხმარებლისგან, ასევე თანამშრომლებისგან - რა მოსწონთ და რა არის გამოსასწორებელი, რა მუშაობს კარგად და რა იწვევს შეფერხებებსა და მომხმარებლის უკმაყოფილებას. ამისათვის უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მომხმარებლებს და თანამშრომლებს მისცემს აზრის გამოხატვის საშუალებას - როგორც არსებულ პრობლემებზე, ასევე განვითარების შესაძლებლობებზე.

➤ მომსახურების სტანდარტების დამუშავების, განვითარების და დანერგვის პროცედურის შემუშავება და დანერგვა: ზოგ ორგანიზაციაში სტანდარტები მუშავდება, მაგრამ უბრალოდ ვერ ან არ ინერგება. საჭიროა დამუშავდეს და დაინერგოს “სტანდარტების დამუშავების, განვითარების და დანერგვის პროცედურა”, სადაც ცხადი იქნება, ვინ რაზეა პასუხისმგებელი.

➤ სტანდარტების დაცვის კონტროლი: უნდა ხდებოდეს უკვე შემუშავებული სტანდარტების დაცვის კონტროლი - რამდენად შეესაბამება გარემო დამტკიცებულ სტანდარტებს, თანამშრომლები, კონკრეტული პროცესების განხორციელებისას, რამდენად ხელმძღვანელობენ იმით თუ, რომელი სტანდარტი მუშაობს და რომელი - არა.

➤ კლიენტების მომსახურე თანამშრომლების რეკრუტირების პროცესის (პოლიტიკის) ჩამოყალიბება: მომსახურების ხარისხს, არსებულ პროცესებსა და გარემოსთან ერთად, განაპირობებს თანამშრომლების ფაქტორი - მათი კვალიფიკაცია, გარეგნული იარსახე, ინტელექტის დონე, მეტყველების უნარი. ამიტომ მნიშვნელოვანია იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ კლიენტთან, დამუშავდეს კადრების რეკრუტირების პროცესი/პოლიტიკა - როგორი კადრების აყვანა ხდება, რომელი არხებიდან, როგორი უნდა იყოს შერჩევის პროცესი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი პოზიციების მიხედვით. პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელზე დაყრდნობითაც კლიენტები აფასებენ მომსახურებას:

- გარეგნობა (ჩაცმულობა, გამომეტყველება, იერი);
- თავაზიანობა, კეთილგანწყობა;
- სრული, სწრაფი, სწორი პასუხი;
- თავდაჯერებულობა;
- ზოგადი განათლება, ინტელექტი;
- მეტყველების კულტურა;

- არასტანდარტული სიტუაციის მართვა;

- პროდუქტების ზედმიწევნით ცოდნა.

➤ მომხმარებელთა მომსახურებაში ჩართული პოზიციების საქმიანობის შეფასების და წახალისების სისტემის ჩამოყალიბება: უნდა ხდებოდეს მომხმარებელთა მომსახურების პროცესში ჩართული პოზიციების საქმიანობის პერიოდული შეფასება, სწორი კრიტერიუმების მიხედვით, ასევე შეფასების შედეგებიდან გამომდინარე მათი წახალისება. თანამშრომლების შეფასებისა და წახალისების სისტემა, სასურველია, იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე. თანამშრომელმა წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით მოხდება მისი საქმიანობის შეფასება და რა შედეგი მოჰყვება დადებით ან უარყოფით შედეგებს.

ლიტერატურა:

1. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი „მარკეტინგის საფუძვლები“, მე-14 გამოცემა, 2013.

2. ა. ჰაიამი, „მარკეტინგი მარტივად“ გამომცემლობა პალიტრა L, 2015.

3. გ. ქათამაძე, დ. ქათამაძე, „მომსახურების მარკეტინგი“, თბ., 2013.

4. გ. შუბლაძე, „მარკეტინგის საფუძვლები“, თბ., 2009.

ინტერნეტ რესურსები:

[http://www . strategy.ge/-about-service-quality/](http://www.strategy.ge/-about-service-quality/)

<http://www.interpressnews.ge>

<http://b2p.ge/momsaxurebis-problema/>

<http://geofeedback.weebly.com/>

<https://psychologica.wordpress.com/>

Maka Sosanidze

Gori State Teaching University

CUSTOMERS SHOPPING SERVICE PROBLEMS IN GEORGIA RESUME

The customer service improvement has a special place in the enhancing the level of the social-economic and cultural life of our population. Improving customer service has paramount role in improving the mood and psychological climate of the customer. Politeness, courtesy and high level of professionalism are the main human factors that often play the decisive role in success and competitiveness of the firm.

Customers' service has especially important role in the field of tourism. This is of particular interest for our country, where tourism has become a priority.

Consumers' trading service is continuously improving in Georgia. Country is developing, competition is becoming stronger and companies are trying to improve services. However, the level of service in our country, unfortunately, is still far from international standards. The paper presents the main recommendations, which will facilitate service problems.

ლალი სრესელი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მცირე მეწარმეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლის აგროსექტორში

მცირე მეწარმეობის განვითარებას საქართველოსთვის დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. მცირე ბიზნესის განვითარება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განხორციელების ოპტიმალური და უმოკლესი გზაა. იგი მნიშვნელოვანი ელემენტია ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში და სოციალური პრობლემების დაძლევაში.

დიდია მცირე და საშუალო საწარმოების როლი ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში. მცირე მასშტაბის ადგილობრივი რესურსების პირობებში მცირე საწარმოები გაცილებით უკეთ უზრუნველყოფენ ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენების მაღალ დონეს.

სოფლის მეურნეობა ყოველთვის იყო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგი. სოფლის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი მთელ მოსახლეობასთან 2014 წელს შეადგენდა 46,3 %-ს, ხოლო 2015 წელს 42,6 %-ს. სოფლის მეურნეობის გამომუშავებამ 2014 წელს 3,4 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 11,4% ზრდა არის წლის განმავლობაში. სულ გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქციამ შეადგინა 4,1 მილიარდი ლარი, ზრდა – 10,4%, სამწუხაროდ 1990-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში ყოველწლიურად მცირდებოდა და 1996 თუ მშპ-ს -33%-ს შეადგენდა, 2010 წლისთვის მისი წილი 8,4 %-მდე შემცირდა, 2011, 2012 წლებში შესაბამისად 8,8 და 8,6 %-ს შეადგენდა. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში გაიზარდა 2013-2014 წლებში და შესაბამისად შეადგენდა 9,4-9,2 %-ს.

საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მძიმე ვითრება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ქვეყანაში სამეწარმეო სექტორი განუვითარებელია. მომუშავეთა გარკვეული კატეგორიების ხარჯზე ხელოვნურად არის გაზრდილი დასაქმებულთა რაოდენობა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მომუშავეთა საერთო რაოდენობის 29,2% საოჯახო მეურნეობებში უსასყიდლოდ მომუშავე პირებზე მოდის. სპეციალისტთა შეფასებით, დამატებითი კრიტერიუმების (მაგ. ნამუშევარი დრო, მიღებული სარგებელი და სხვა) გარეშე,

მათი მიკუთვნება დასაქმებულებთან საკამათოა. ოფიციალური სტატისტიკით დასაქმებულთაგან ყოველი მე-4 სოფლად თვითდასაქმებულია, ხოლო ყოველი მე-10 არასასოფლო თვითდასაქმებით (ძირითადად ვაჭრობით) ირჩენს თავს. დამსაქმებულებზე მოდის დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 1%, რაც საქართველოში მეწარმეთა ფენის განუვითარებლობაზე, ბიზნესის მცირე ზომასა და დაბალ რენტაბელურობაზე მიანიშნებს.

საქართველოში მომუშავეთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია თავმოყრილი. სოფლად დასაქმება თითქმის მთლიანად თვითდასაქმების სახით არის წარმოდგენილი და ხასიათდება არაფორმალური, არასრული და დაბალრენტაბელური საქმიანობით.

სოფლად მცხოვრებთათვის საკუთარი მიწის ნაკვეთებზე საქმიანობა არსებითად თვითგადარჩენასა და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეოების ფულად შემოსავლებში 6-7%-ს შედგენს. ისეთი პრობლემების გადაუჭრელობის გამო, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა და ხელმიუწვდომლობა, მინერალური სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების უხარისხობა და სიმძირე, სარწყავი სისტემების განუვითარებლობა, სათესლე მასალების დაბალი ხარისხი, აგროტექნიკის არცოდნა და ა.შ. წლიდან წლამდე კლებულობს დამუშავებული მიწის ფართობები და მცირდება მოსავლიანობა.

ბოლო წლებში ხელისუფლებამ გაზარდა ძალისხმევა სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, თუმცა აღნიშნული პრობლემები კვლავ აქტუალურია.

შიდა ქართლი საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წარმატებული და შემოსავლიანი საქმიანობა აგროსექტორში და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ წარმოებებსა და სერვისებში.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რეგიონში წარმოიშვა რიგი ეკონომიკური და სოციალური სირთულეები. რეგიონის წილი მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებული დამატებული ღირებულების 5%-საც ვერ აღწევს, რაც საგრძნობლად ნაკლებია რეგიონის წილზე ქვეყნის მოსახლეობასა და ფართობში. ეს რეგიონის შედარებით ეკონომიკურ სისუსტეზე და ეკონომიკის ზრდაში არსებულ პრობლემებზე მეტყველებს, რაც გარკვეულწილად რუსეთთან ომისა და ეკონომიკური კრიზისის უშუალო შედეგია. რეგიონის მშპ-ის სტრუქტურა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის პროდუქციის დაახლოებით თანაბარი წილებით (დაახლოებით 20%) ხასიათდება, რასაც უტოლდება სახელმწიფო მმართველობის სექტორი. გამოკვეთილად აგრარული პროფილის მქონე მხარისათვის მშპ-ის ამგვარი შემადგენლობა სოფლის მეურნეობის დაბალპროდუქტიულობაზე მიგვანიშნებს.

ეკონომიკის დაბალგანვითარებულობას თან ახლავს **უმუშევრობის და არასრული დასაქმების** საკმაოდ მაღალი დონე. დასაქმებულთა რიცხვში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს თვითდასაქმებულებს (30,6%) - ეს არის ძირითადად სოფლის მოსახლეობა, რომელიც წვრილ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება.

2013 წელს შიდა ქართლის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 13 725 კაცი, მათ შორის მცირე ზომის საწარმოში 5 136 კაცი, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებში 3029, სოფლის მეურნეობაში

დასაქმებული იყო მთლიანად დასაქმებულთა 2,5%, მათ შორის მსხვილ წარმოებაში 1,8%, საშუალო წარმოებაში 3,1%, მცირე წარმოებაში 3,7%.

შიდა ქართლის რეგიონის სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის და მწარმოებლურობის მეტად დაბალი დონეა .

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი გლეხთა/ფერმერთა გაერთიანებებისა და კოოპერაციის არარსებობაა. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როცა მაღალია მიწის პარცელაციის ხარისხი.

1990-იანი წლების რეფორმის შედეგად ერთ საოჯახო მეურნეობაზე მოდის დაახლოებით 0.88 ჰა მიწის ნაკვეთი და ძირითადად საოჯახო მოხმარებისთვის აწარმოებენ პროდუქციას და თვითკმაყოფაზე არიან. მცირე მეურნეობები აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის 80%-ს, აქედან მხოლოდ 8%-10% აღწევს ადგილობრივ ბაზარზე დანარჩენი მოდის თვითმოხმარებაზე. შესაბამისად, მიწის მცირე ნაკვეთებად დაყოფა ხელს არ უწყობს დარგის კომერციალიზაციას, ინვესტიციების მოზიდვას და შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

შედეგად იზრდება თითოეული გლეხური/ ფერმერული მეურნეობის საწარმოო დანახარჯი და ეს აისახება საბოლოო პროდუქტის ფასსა და კონკურენტუნარიანობაზე. ყველანაირად ხელი უნდა შეეწყოს კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას. მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება ვერ უშველის დასახელებულ პრობლემას. უნდა მოხდეს მოსახლეობაში ჩამოყალიბებული სკეპტიკური დამოკიდებულების კარდინალური ცვლილება, რაც მხოლოდ ფართომასშტაბიანი და დროში განგრძობადი საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის მეშვეობითაა შესაძლებელი. ფერმერების დაბალი მწარმოებლურობა განპირობებულია მათ მიერ მარკეტინგული უნარისა და ცოდნის არქონითაც. ფერმერებს ხელი არ მიუწვდებათ საჭირო სამეცნიერო და ინოვაციურ ინფორმაციაზე. უნარ-ჩვევების გადაცემაზე ახლო წარსულში აქცენტი არ კეთდებოდა (ტრენინგები, კონსულტაციები, ექსტენცია). ახლანდელი აქტივობები ძალზე მცირე მასშტაბისაა და სურათს ვერ ცვლის. მათ არ გააჩნიათ მარკეტინგისა და მენეჯმენტის გამოცდილება. ყოველივე ზემოთქმული არ აძლევს მათ იმის საშუალებას, რომ იფიქრონ ღირებულებათა ჯაჭვის გაზრდაზე და ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებზე.

უნდა ჩატარდეს პრეზენტაციები უცხოური გამოცდილების დემონსტრირებით და გაზიარებით, გლეხმა/ფერმერმა უნდა დაინახოს, თუ რამდენად სარგებლიანია მიწისა და რესურსების კონსოლიდაციის მეშვეობით შემცირებულ იქნას წარმოების დანახარჯები და შესაბამისად გაიზარდოს შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან. მუდმივი ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი გავლენას ახდენს თანამედროვე წარმოებაზე და აჩენს არსებულ ტექნიკისა და ტექნოლოგიების განახლების აუცილებლობას. სახელმწიფოს ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განაგრძონ მრავალფუნქციური ტექნიკის იმპორტის პროცესი და არსებული პარკის განახლების პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება ამ სფეროში ლიზინგის ფართოდ გამოყენებაზე და მეწარმეების ჩართვაზე. ფერმერებისთვის ხელშეწყობისა და წახალისების საუკეთესო ფორმაა თანადაფინანსების მოქნილი და რეზონული სქემები.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორი ნაკლებად მიმზიდველია ინვესტორებისთვის. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ სექტორის წილი მთლიან საბანკო სესხებში 1-დან 2%-მდე მერყეობს. ძალიან მცირეა აგრეთვე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რომლის წილიც მთლიან უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში 1-3%-ის ფარგლებში მერყეობს რაც ამ სექტორის დაბალი უკუგებისა და მაღალი რისკის მაჩვენებელია. სოფლის მეურნეობის წილი საბიუჯეტო ასიგნებებში მხოლოდ 1-2%-ია.

მცირე მოცულობის ინვესტიციები და მაღალი საპროცენტო განაკვეთი საბანკო კრედიტებზე მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნოლოგიების გამოყენებისა და წარმოების საშუალებების გაფართოების შესაძლებლობებს. ამჟამად საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან საბანკო კრედიტებზე 25%-ს შეადგენს, გრძელვადიანზე კი – 22.8%-ს ეროვნულ ვალუტაში ზოგიერთ შემთხვევაში მაქსიმალური განაკვეთი საბანკო სექტორში 36%-ს აღწევს, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში – 48%-ს, რაც 3.5-5-ჯერ (გადახდის ვადის მიხედვით) აღემატება ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულს. საქართველოში მთლიანად სესხებზე საპროცენტო განაკვეთები ყველაზე მაღალია პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის (გარდა ტაჯიკეთისა), სასოფლო-სამეურნეო სექტორში კი ეს განაკვეთები ბევრად მაღალია. სესხების მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო ფერმერებს უმეტესწილად საკუთარი ხარჯით უწევთ მუშაობა. გირაოთი უზრუნველყოფა შეზღუდულია დაბალი ლიკვიდურობის გამო, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ფინანსური ინსტიტუტების დანახარჯებს.

რეგიონისთვის მეტად მნიშვნელოვანია გადამამუშავებელი საწარმოების გადაიარაღებისა და მშენებლობის სტიმულირება. თანადაფინანსების პრინციპით ასეთი გადამამუშავებელი საწარმოების

აღჭურვა უახლესი ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებით, ლაბორატორიებით, ყველა საჭირო სხვა ინვენტარით და მოწყობილობით. ეს სქემა უნდა ითვალისწინებდეს მეწარმის მიერ მთლიანი ღირებულების გამოსყიდვას გარკვეული პერიოდის განმავლობაში (2-5) წელი.

აგროწარმოების გამოცოცხლება რეგიონში შემდეგ ინოვაციურ მიდგომებსა და ახალი მეთოდების დანერგვასთანაა დაკავშირებული:

- ხეხილის თანამედროვე სანერგე მეურნეობების მოწყობა-გამდიერება და გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და კონდიციური ხეხილის ნერგის წარმოებისათვის ხელშეწყობა

- ხეხილის სადემონსტრაციო ნაკვეთების გაშენების ხელშეწყობა, როგორც სამეცნიერო დაწესებულებების ისე კომერციული გაერთიანებების საკუთრებაში არსებულ მიწაზე.

- ხეხილის ბაღებში თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემების მონტაჟი გრძელვადიანი სესხებით ან გრანტებით იმ ფერმერთათვის, ვისაც შეუძლია აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

- თანამედროვე სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შემოტანა რეგიონში და აგროსერვისის ცენტრების, როგორც კერძო ბიზნესის შექმნის სტიმულირება

- არსებული და ახალი ხილის შესანახი თანამედროვე სასაწყობე მაცივრების რეაბილიტაცია და მშენებლობა თითოეული რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით

- ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსების (ტრენინგ-ცენტრის) შექმნა.

მცირე მეწარმეობის ეფექტიანობა აგროწარმოების სფეროში დიდწილად დამოკიდებულია ამ დარგის საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

სამაცივრე-სასაწყობე მეურნეობის განვითარება არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ წარმოების ზრდას და წახალისებს იმპორტის ჩანაცვლებას. ხელს შეუწყობს მეწარმეს ყოველგვარი დანაკარგების, სეზონზე დაბალი ფასის არსებობის პირობებში დასაწყობოს ზედმეტი პროდუქტი და მოახდინოს მისი თანაბარი რეალიზაცია მთელი წლის განმავლობაში. იმპორტის ზრდის გამომწვევი ის ფაქტორი კი არ არის, რომ იმპორტირებული საქონელია იაფი და კონკურენტუნარიანი, არამედ ის, რომ იმპორტი იწყება მაშინ, როდესაც ადგილობრივი მიწოდება მცირდება ან წყდება. ამ ეტაპზე პრობლემა არის არა ახალი ბაზრების მოძიება, რომელთა დაკმაყოფილება ისეთივე სეზონური ხასიათის იქნება, როგორც ქვეყნის შიგნით მიწოდება, არამედ წარმოებული ჭარბი პროდუქციის დასაწყობების ინფრასტრუქტურის მძლავრი ქსელის შექმნა.

სასათბურე მეურნეობის სიმცირე და დაბალი რენტაბელობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ზამთრის პერიოდში შიდა ბაზრის მომარაგებას ბოსტნეულით და სწორედ ამ დროს ხორციელდება იმპორტი.

რეგიონში აგრობიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სფერო, სადაც სახელმწიფოს თუ ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო სახსრები უნდა მიემართოს, არის ინფრასტრუქტურის განვითარება და მშენებლობის ხელშეწყობა.

რეგიონის აგროსექტორის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტი და ფერმერთათვის მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა. ხელისუფლების როლი და ჩარევა უნდა არსებობდეს ამ ტექნიკის თავდაპირველი შესყიდვისა და იმპორტის ეტაპზე. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს აგრომექანიზაციის ცენტრების გარდაქმნა კვაზი-სახელმწიფო წარმონაქმნიდან მთლიანად კერძო ბიზნეს-სუბიექტებად.

შიდა ქართლის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო რისკების დაზღვევა და ზოგადად ამ დარგში სადაზღვევო კომპანიების მოღვაწეობა. აგროწარმოების დაზღვევასა და გადაზღვევას რეზონულად დაბალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონსა და ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარებისათვის.

ფერმერები დგანან რიგი რისკების წინაშე, რომლებიც მათ შემოსავალსა და კეთილდღეობას ემუქრება. ესენია ძირითადად, ამინდის პირობებთან, მავნებლებთან და დაავადებებთან, საბაზრო პირობებთან და ა.შ. დაკავშირებული საწარმოო რისკები. აქედან გამომდინარე, საფრთხე შეიძლება დაემუქროს სასოფლო-სამეურნეო სექტორთან დაკავშირებულ მეწარმეთა შემოსავლების სტაბილურობას. საქართველოში 15 სადაზღვევო კომპანიაა, მაგრამ მათი მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ემსახურება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მიწების, ცხოველების დაცვას რისკებისგან. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საწარმოო რისკების (პრემიის გადახდით) მესამე პირებისთვის გადაცემის საუკეთესო, გამოცდილი ფინანსური ინსტრუმენტია საერთაშორისო პრაქტიკაში. განუვითარებელი სადაზღვევო სისტემის გამო ფერმერებს არ გააჩნიათ მისი გამოყენების შესაძლებლობა სასოფლო-სამეურნეო რისკების შესამცირებლად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის არსებობს ბაზარი. ხორციელდება თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი, ანუ ქვეყნის შიგნით არსებობს იმპორტის მოცულობის

ტოლი მოთხოვნა. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იმპორტის ჩანაცვლებაზე ადგილობრივი პროდუქციით, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდასა და სიღარიბის შემცირებას.

აგროსასურსათო სექტორში არსებული პრობლემების გამო, მაღალ საწარმოო დანახარჯებთან შედარებით უფრო დაბალი საბაზრო ფასები განაპირობებს ადგილობრივ ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის ნაკლებკონკურენტუნარიანობას იმპორტულ პროდუქციასთან შედარებით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმპორტიორ ქვეყნებში ადგილი აქვს აგრარული სექტორის ფართომასშტაბიან პირდაპირ და არაპირდაპირ სუბსიდირებას, რაც კიდევ უფრო ამცირებს ადგილობრივი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას. 2003-2010 წლებში საქართველოში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი – მხოლოდ ორჯერ. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 15-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება ექსპორტის თემას, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შიდა ქართლში არსებული კომპანიების მხოლოდ 19 %-მა გაყიდა თავისი საქონლის 2/3-ზე მეტი შიდა ქარლის გარეთ და მხოლოდ 4%-მა, სულ 12 კომპანიამ განახორციელა ექსპორტი. ასეთი მაჩვენებელი მიუთითებს ბაზრების ათვისების სირთულეზე. მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და უვნებლობის პარამეტრების შესაბამისობის უზრუნველყოფა იმპორტიორ ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებთან, რომელთა უზრუნველყოფა რთული და ხანგრძლივადიანი განვითარების საქმეა ქართველი მეწარმეებისათვის, რაც მეწარმეთა მხრიდან მუდმივ თვითგანვითარებას, ინვესტირებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართულ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს მოიცავს.

2006 წლის რუსეთის ემბარგოს შემდეგ ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ქართველ მეწარმეს ამ ბაზარზე შეღწევის შემთხვევაშიც კი სულ სხვა პირობების დაკმაყოფილება მოუხდება. აუცილებელია, რომ ჩვენი ქვეყნის და მათ შორის შიდა ქართლის მეწარმეები განიხილავდნენ რუსეთის ბაზარს, როგორც ერთ-ერთ და არა ერთადერთ, ყველაზე სასურველ შესაძლებლობას. მათ უნდა მოიპოვონ და შეინარჩუნონ დივერსიფიცირებული გასაღების ბაზრები ქართული პროდუქტის მაღალი ხარისხისა და მიწოდების სტაბილურობის უზრუნველყოფით.

სახელმწიფოს ხელშეწყობით ფერმერებმა უნდა იზრუნონ ახალი, სწრაფად მზარდი ჩინეთის, ინდოეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნებისა და რეგიონის ბაზრებზე შეღწევა და დამკვიდრება, რაც მეტად პერსპექტიული მიმართულება იქნება.

სოფლის მეურნეობა არის ბიზნესი, რომელიც სისტემატურად აერთიანებს წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სახეობას და ორიენტირებულია საბაზრო პროდუქციის შექმნასა და მოგების მიღებაზე. შესაბამისად, რეგიონში უნდა მოხდეს უპირატესად ნატურალურიდან უპირატესად საბაზრო, კომერციულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა.

აგროსექტორში სათანადო გარდატეხის შესატანად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა. აუცილებელია ეფექტიანი ღონისძიებების გატარება შემდეგი მიმართულებებით:

- მეურნეობის გამსხვილება და მიწების კონსოლიდაცია, რომლის განხორციელების შესაძლებლობაა:

- საბაზრო კონსოლიდაცია, რაც გულისხმობს ინვესტორების მიერ ფრაგმენტირებული ნაკვეთების გარკვეული ნაწილის შესყიდვას და რამდენიმე წვრილი მეურნეობიდან ერთი უფრო დიდი მეურნეობის შექმნას

- ნებაყოფლობითი სასოფლო-სამეურნეო კოოპერირება – სოფლის მეურნეობაში არსებული სიტუაციის გამოსწორების ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური საშუალება. ეს მიდგომა საშუალებას მისცემს მოსახლეობას აწარმოოს პროდუქტი შედარებით დიდ ნაკვეთზე, იჯარით გასცეს მიწა და მიიღოს სტაბილური შემოსავალი (თუ თავად არ შეუძლია აგრობიზნესის წარმოება), დასაქმდეს კოოპერატივში და მიიღოს ხელფასი. კოოპერირება სოფლის მეურნეობიდან გამოათავისუფლებს იმ მუშახელს, ვინც თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ არის ჩაბმული ამ სექტორში და მეტ არჩევანს მისცემს მათ.

- მიწის შემდგომი ფრაგმენტაციის არდაშვება. ეს შეზღუდვა დაცული უნდა იქნას ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიწის ნაკვეთების გასხვისებისას.

- მიწაზე საკუთრების უფლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა რეგისტრაციის გზით.

რეგიონში დღემდე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების წილი შედარებით მცირეა და სავარაუდოდ, რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში არსებული ყველა სახის გამოყენების მიწის საერთო რაოდენობის 30%-ს არ აღემატება. მიწის ნაკვეთების დაურეგისტრირებლობა ძალიან ამცირებს მათზე საბაზრო ტრანსაქციებს და ინვესტიციების განხორციელების ალბათობას და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ბანკის მიერ მათ კრედიტირებას ან დაზღვევას შესაბამისი კომპანიების მიერ. სოფლად მიწის მესაკუთრეთა უსახსრობის და დაბალი შემოსავლების ფონზე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯერაც დაურეგისტრირებული ყველა არასადაო მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია მესაკუთრეთათვის უფასოდ ან მნიშვნელოვანი შეღავათით.

- აგროწარმოების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების, მიდგომებისა და მასალების დანერგვის და გამოყენების გარეშე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება ვერ მოხერხდება.

- ფერმერთა მიერ თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების ათვისება და სექტორში ინოვაციური მიდგომების დანერგვა.

სახელმწიფოს მიდგომა და როლი აგროსექტორის განვითარებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, როგორც რეგიონის ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მნიშვნელოვანია:

- სახელმწიფოს მიზნობრივი და ზომიერი ჩართვა აგრობიზნესში და ადგილობრივ ფერმერთა მხარდაჭერა;

- სექტორისათვის განვითარების სტრატეგიების შექმნა, როგორც ქვეყნის ასევე რეგიონის დონეზე;

- საბაზრო აგროსაწარმოო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

- ინვესტირება ცოდნის ამალგების და ინოვაციების დანერგვაში;

- მართვის სწორი, მოქნილი ფორმების დანერგვა და თანამშრომლობა კერძო და საზოგადოებრივ სექტორებს შორის;

- ფერმერთათვის თანაბარი პირობების შექმნა ბაზარზე, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე იმპორტიორებთან მიმართებაში;

- ადგილობრივ ფერმერთა საზიანო და უსამართლო კერძო და ჯგუფური ინტერესების გამორიცხვა საბაზრო კონკურენციისას.

კომერციული სოფლის მეურნეობის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს წარმოებისა და მომსახურების იმ დარგების განვითარებას, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული აგროსექტორის/აგრობიზნესის საჭიროებებთან. ეს შექმნის საფუძველს როგორც ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ახალი ბიზნესების შექმნის ასევე დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, რადგან მასში შეიძლება დასაქმდეს ნატურალური სოფლის მეურნეობიდან გამოთავისუფლებული პერსონალის ნაწილი/

შიდა ქართლის რეგიონს აქვს საკმარისი პოტენციალი და რესურსები ზოგიერთი დარგისა და წარმოების განვითარებისათვის, რაც რეგიონის კომპლექსურ განვითარებასთან ერთად მკვეთრად გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პერსპექტიული სფეროებია:

- კვების მრეწველობა

- ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავება, წვენების, კონცენტრატების და მზა პროდუქციის დამზადება. ამ დარგების განვითარებისათვის რეგიონში დიდი პოტენციალი არსებობს და მასში კაპიტალდაბანდება მომგებიანი უდა იყოს.

- სასაწყობე მეურნეობების, მაცივრების, წისქვილების, ხორცის დამამზადებელი პუნქტების შექმნა. ამ სფეროს და კვების მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს აგროწარმოების განვითარებას და გაფართოებას, ადგილობრივ ბაზარზე მის დომინირებას, პროდუქციის მთელი წლის განმავლობაში მიწოდებას.

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩასატვირთი და შესაფუთი პროდუქციის წარმოება. დღეს ყველა ეს პროდუქტი იმპორტირებულია.

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემკეთებელი სახელოსნოების შექმნა მეტად სასურველია აგროწარმოებისათვის და მომგებიანი უნდა იყოს ამ სფეროში დასაქმებულთათვის.

- აგროკონსალტინგური სერვისების შექმნა. ბაზარზე ორიენტირებული საშუალო და მსხვილი მწარმოებლების მომრავლება რეგიონში მნიშვნელოვნად გაზრდის ასეთი მომსახურების საჭიროებას და მასზე მოთხოვნას.

საქართველოში და მათ შორის ქალაქ გორშიც, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (მსს) ტრადიციულად განაპირობებენ ქვეყნის და შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სისტემის სიძლიერეს და წარმოადგენენ სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ევროკავშირში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად არის აღიარებული და ბოლო 10 წლის მანძილზე განსაკუთრებული ქმედებები იქნა განხორციელებული საკითხის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ინსტიტუციონალურ დონეებზე რეალიზებისათვის. სწორედ ამ მიზნით ქალაქ გორის მერიამ შეიმუშავდა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის, დასაქმების და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს როგორც მოქმედი მცირე მეწარმეობის განვითარებას, ასევე ახალი, ნოვატორული ბიზნეს იდეების განხორციელებას, რათა მათ სამომავლოდ თავად შეძლონ საკუთარი ბიზნესის განვითარება დამატებითი ინვესტიციების მოზიდვით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში, თბილისი 2010.
2. გ. ერქომაიშვილი, ბიზნესი - ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, ბილისი 2007.
3. მეწარმეობა საქართველოში, 2013, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2014.
4. ი. სალუქვაძე, მ. მაგანია, ლ. ბეგიაშვილი, თ. თორდინავა, ნ. სულხანიშვილი, შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2013-2017 წლები, დოკუმენტი მომზადებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების-GIZ-ის მხარდაჭერით, 2013.
5. შიდა ქართლის ბიზნეს-კვლევა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის დოკუმენტი.
6. საჯარო რეესტრის ინფორმაცია, 2013 წლის მაისი.
7. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის დასაქმებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015 წლის აპრილი ქ. გორი
8. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2014.
9. www.geostat.ge

Lali Sreseli

Gori State Teaching University

**THE PERSPECTIVES OF EXPANSION OF SMALL-SIZED INDUSTRY IN SHIDA KARTLI REGION
RESUME**

Shida Kartli is one of the most important agricultural regions of Georgia. The high income, given by the successful and profitable business through agricultural sectors with its services, is essentially prolific and beneficial for the region itself. Our region is advantageous with its location and resources for a great variety of businesses.

The development of small-sized industry in agricultural production is mainly depended on the infrastructural development of this field. Natural economy should be replaced by commercial agriculture in our region.

The development of commercial agriculture should encourages the development of production and service fields which are directly connected with the necessity of agricultural sectors and agricultural business affairs. All above mentioned affairs not only encourage the complex development of the region but also expand the possibilities of employment for the local people.

*ინგა ფრანგიშვილი, ნათია გოგოლაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საბრუნავი კაპიტალის ფინანსური უზრუნველყოფის საფუძვლები თანამედროვე ეკონომიკაში

საბრუნავი კაპიტალი (ანუ საბრუნავი საშუალებები) შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ფინანსური კატეგორია, რომელიც განეკუთვნება საწარმოს მობილურ აქტივებს. საბრუნავი საშუალებები ფულად გარდაქმნის უნარზე დამოკიდებულებით იყოფა ძნელად რეალიზებად, (მზა პროდუქციის მარაგები, ნედლეული და მასალები), სწრაფად რეალიზებად, (მზა პროდუქციის მარაგები, ნედლეული და მასალები) სწრაფად რეალიზებად (დებიტორული დავალიანება, სახსრები დეპოზიტებზე) და შედარებით ლიკვიდურ (ფულად სახსრები და ფასიანი მოკლევადიანი საბაზრო ქაღალდები) საშუალებებად. მარაგები - ესაა ეკონომიკური კატეგორია, რომელიც შესაძლებელს ხდის განისაზღვროს

მათი შექმნა ყველა განთავსების მიხედვით უშუალო მომხმარებელთან წარმართვის გზით. სხვადასხვა კატეგორიის მარაგებს (გამსაღებლობითი, საწარმოო, სასაქონლო), როგორც წესი, აქვთ ფორმირების ერთნაირი ხასიათი. თუმცა საწარმოთა ბაზრებზე ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან სადღეღამისო გადმოტვირთვის სიდიდით, მიწოდებით, წარმოების სადღეღამისო ოდენობით, დანახარჯებით და მიწოდებათა ინტერვალების მიხედვით. მარაგები იქმნება მომპოვებელ საწარმოებში, შახტებში, საბადოებში, სამთო გამამდიდრებელ კომბინატებში ანდა გადამამუშავებელ და დამამზადებელ საწარმოებში. მარაგები აუცილებელია საწარმო-მომხმარებლების, მსხვილი საბითუმო და წვრილი საბითუმო მომარაგების ბაზების შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად. სასაქონლო მარაგები იქმნება საქონელმწარმოებელ ქსელში. მომარაგების სპეციალიზებული ბაზები ღებულობენ მზა პროდუქციას დამამზადებელი საწარმოებისაგან სატრანზიტო ოდენობით და აწვდიან მომხმარებლებს მცირე ოდენობით. ისინი აუცილებელია მომარაგების შეუფერხებელი პროცესის უზრუნველსაყოფად და არის მომარაგების სასაწყობო ფორმა. საწარმოო საქმიანობის პროცესში ადგილი აქვს საბრუნავი საშუალებების ცალკეული ელემენტების ტრანსფორმაციას: საწარმოები ყიდულობენ ნედლეულს და მასალებს, აწარმოებენ პროდუქციას, შემდეგ კი ყველაფერს ყიდიან. შედეგად იქმნება დებიტორული დავალიანება, რომელიც, რაღაც გარკვეული დროის მონაკვეთის შემდეგ, გარდაიქმნება ფულად ფორმად. თანამედროვე პირობებში საბრუნავი კაპიტალის განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის შეფასების ტრადიციული მეთოდები ემყარება მაჩვენებელთა დიდ რიცხვს (დიდი რაოდენობის მაჩვენებლებს), რომლებიც ყალიბდება საწარმოს ბალანსის აქტივების და პასივების სტრუქტურებიდან. ცნებები "გადახდისუნარიანობა" და "ფინანსური მდგრადობა" პირობითია და არ გააჩნიათ მკაცრი საზღვრები. გადახდისუნარიანობა გამოიხატება კოეფიციენტებით, რომელთა მეშვეობით იზომება დამოკიდებულება საბრუნავ საშუალებებს ანდა ცალკეულ ელემენტებს და მოკლევადიან დავალიანებას შორის. ანუ იმ მაჩვენებლებით, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად, რა ზომით შეძლებენ წარმოების აქტივები ვალების დაფარვას. ფინანსური მდგრადობა გამოიხატება კოეფიციენტებით, რომლებიც სხვადასხვამხრივ აფასებენ ბალანსის სტრუქტურას საწარმოში. მათი მიზანია შეაფასოს საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხი იმ შემთხვევითობებთან მიმართებაში, რაც დაკავშირებულია ბაზრის პირობებთან, შეთანხმებების ჩვეულებრივ დარღვევებთან, გადაუხდელობასთან და ა.შ. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მთავარი კრიტერიუმებია გადახდისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები. შეფასების სქემა - ესაა ბალანსის მონაცემების მიხედვით ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტების გათვლა და მათი შედარება ექსპერტულად ანდა ოფიციალურად დადგენილ ნორმატიულ დონესთან. საწარმოს გადახდისუნარიანობა იზომება:

1) ლიკვიდურობის კოეფიციენტით - გათვლებისას გამოიყენება ყველაზე ლიკვიდური საბრუნავი აქტივები ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები

2) დაფარვის შუალედური კოეფიციენტით - ლიკვიდურ აქტივებს ემატება დებიტორული დავალიანება

3) დაფარვის საერთო კოეფიციენტით (ანუ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტით) ლიკვიდურ აქტივებს ემატება მარაგები, ანუ ესაა პრაქტიკულად გათვლილი საბრუნავი აქტივების მთელი სიდიდე ერთი ლარის მოკლევადიან დავალიანებაზე გაანგარიშებით. ეს მაჩვენებელი აღიარებულია საწარმოს გადახდისუნარიანობის ოფიციალურ კრიტერიუმად. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ესაა განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომელიც ითვალისწინებს საბრუნავი აქტივების მთლიან მოცულობას, თუმცა აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საბრუნავი აქტივების შემადგენელი ელემენტები სხვადასხვაგვარია ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით. მოცემული კოეფიციენტის დონის შეფასება ამ გარემოებების გაუთვალისწინებლად განაპირობებს არაზუსტი დასკვნების გაკეთებას. მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საბრუნავი კაპიტალის ფორმებს, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი პირობების სახით:

1) საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობისა და სტრუქტურის დადგენა;

2) საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნის განსაზღვრა;

3) საბრუნავი კაპიტალის ფორმირების წყაროების გამოვლენა;

4) საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაცია;

5) საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა.

საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის ასეთი დახასიათება იმის დასტურია, რომ დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი საბრუნავი ფონდები. ზოგიერთი ავტორის აზრით საბრუნავ ფონდებს უნდა მივაკუთვნოთ მარაგებში და წარმოებაში ჩადებული საშუალებები, თუმცა შეიძლება საბრუნავი კაპიტალის კლასიფიკაცია წარმოდგენილი იქნას დაგეგმვის ხარისხის მიხედვით, როგორც ნორმირებული და არანორმირებული საბრუნავი კაპიტალი. ეს დაკავშირებულია პრაქტიკის

მოთხოვნებთან და განვითარების ინტენსიურ ფაქტორებზე ორიენტაციასთან. წარმოდგენილი მახასიათებლების რეალიზაცია გულისხმობს საბრუნავი კაპიტალის ყველა სახეობის გავლენის რაოდენობრივ შეფასებას საბოლოო შედეგზე. ნორმირებულ საბრუნავ კაპიტალს შეიძლება მივაკუთვნოთ მარაგების სახით წარმოდგენილი სახსრები (შრომის საგნები, შრომის იარაღები). სახსრები წარმოებაში (დამთავრებული წარმოება, მომავალი პერიოდის ხარჯები) და მიმოქცევის ფონდების ნაწილი (მზა პროდუქცია). არანორმირებული საბრუნავი კაპიტალი მიზანშეწონილია წარმოდგენილი იქნას, როგორც საქონელი, ფული და დებიტორული დავალიანება. ბევრი ეკონომისტის შრომებში ფიქსირდება აზრთა სხვადასხვაობა საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის დასაბუთებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა უფრო სიღრმისეულად იქნას განხილული საბრუნავი კაპიტალის ელემენტები. შრომის საგნებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ნედლეული და ძირითადი მასალები, დამხმარე მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მკომპლექტებული ნაკეთობები. ნაყიდი ნახევარფაბრიკატები ასრულებენ იგივე როლს, რასაც ძირითადი მასალები. ისინი შეადგენენ პროდუქციის მატერიალურ საფუძველს. წარმოების საშუალებებს მიეკუთვნება დაუმთავრებელი წარმოება და მომავალი პერიოდის ხარჯები. დაუმთავრებელი წარმოება - ესაა პროდუქცია, რომელსაც არ გაუვლია დამუშავების ყველა ის ოპერაცია, რაც ტექნოლოგიური პროცესითაა გათვალისწინებული. მასვე მიაკუთვნებენ ასევე მზა პროდუქციას, რომელიც სრულად არაა დაკომპლექტებული ანდა არაა მიღებული დამკვეთის მიერ. მომავალი პერიოდის ხარჯები არის საბრუნავი კაპიტალის არამატერიალური ელემენტები. მასში შედის ხარჯები, რომლებიც გაიწევა ახალი პროდუქციის მომზადებაზე და ათვისებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომელიც გაიწევა მიმდინარე წელს, მაგრამ განეკუთვნება მომავალი წლის პროდუქციას. ნორმირებულ საბრუნავ კაპიტალს განეკუთვნება ასევე მიმოქცევის ფონდების ნაწილი მზა პროდუქციის სახით. მზა პროდუქცია წარმოდგენილია ნაკეთობებისა და პროდუქტების სახით, იგი ბოლომდეა დამუშავებული, გავლილი აქვს შემოწმება სტანდარტებთან შესაბამისობაზე და გაფორმებულია მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით. მზა პროდუქცია იყოფა საწარმოს საწყობში არსებულ მზა პროდუქციად და გადმოტვირთულ საქონლად.

გადმოტვირთული საქონელი განეკუთვნება არანორმირებულ საბრუნავ კაპიტალს, რამდენადაც იგი ასახავს რეალიზაციის პროცესს. არანორმირებული საბრუნავი კაპიტალის შემდეგი ჯგუფია ფულადი სახსრები, რომელსაც განეკუთვნება: ფულადი სახსრები ფინანსურ ინსტრუმენტებში (ბანკების ანგარიშებზე, ფასიან ქაღალდებში, წარმოდგენით აკრედიტივებში, საწარმოს სალაროში) და ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები (საფოსტო გზავნილებსა და სხვა ანგარიშებზე დანაკლისი). დებიტორული დავალიანება მოიცავს საქვეანგარიშგებო პირების დავალიანებებს, დამკვეთთა დავალიანებას გადახდის ამოწურული ვადით, საგადასახადო ორგანოების დავალიანების ზედმეტი გადასახდელების ამოღებისას და სხვა სავალდებულო გადახდების გადახდისას ავანსის სახით. აქვე შედის დებიტორების პრეტენზიები და სადაო ვალები. დებიტორული დავალიანება სახსრებს იღებს ბრუნვიდან, რაც განაპირობებს საწარმოს დამატებულ ფინანსურ მდგომარეობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბრუნავი კაპიტალის განხილვა სწრაფადრეალიზებადი და ძნელადრეალიზებადი საშუალებების ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით, სწრაფადრეალიზებად აქტივებს მიეკუთვნება მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები, (დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები, საქონელი, დებიტორული დავალიანება). ძნელადრეალიზებად საბრუნავ საშუალებებს განეკუთვნება ნახევარფაბრიკატები, დაუმთავრებელი წარმოება, საქონელი საწყობში, საექვო დავალიანება. საზღვარგარეთის პრაქტიკაში "საბრუნავი საშუალებების" ანალოგიური ცნებაა ტერმინი "საბრუნავი კაპიტალი".

საბრუნავ კაპიტალს განეკუთვნება საწარმოს მობილური აქტივები, რომლებიც არიან ფულადი სახსრები და შეიძლება ბრუნვაში ჩაერთოს ერთი წლის ანდა ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში. წმინდა საბრუნავი კაპიტალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა (საბრუნავი საშუალებები) და მიმდინარე ვალდებულებებს (საბრუნავი საშუალებები) შორის. იგი გვიჩვენებს, რა ოდენობის მიმდინარე აქტივები იფარება სახსრების გრძელვადიანი წყაროებიდან. ამ მაჩვენებლის ანალოგი სამამულო პრაქტიკაში არის საკუთარი საბრუნავი საშუალებების სიდიდე. საბრუნავი კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება არა მხოლოდ საწარმოო პროცესის მოთხოვნებით, არამედ შემთხვევითი სიდიდეებითაც. ამიტომაც მიღებულია საბრუნავი კაპიტალის დაყოფა მუდმივ და ცვალებად საბრუნავ კაპიტალად.

მუდმივი საბრუნავი კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს როგორც საწარმოო პროცესის განსახორციელებლად საჭირო მიმდინარე აქტივების მინიმუმი. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოსათვის აუცილებელია საბრუნავი საშუალებების მინიმუმი, მაგალითად ფულადი სახსრების მუდმივი ნაშთი ანგარიშსწორების ანგარიშზე (სარეზერვო კაპიტალი). ცვალებადი საბრუნავი კაპიტალი (მიმდინარე აქტივების ვარიანტი ნაწილი) ასახავს დამატებით მიმდინარე აქტივებს, რომლებიც აუცილებელია წარმოების პიკის პერიოდებში ანდა სადაზღვევო მარაგების სახით.

საბრუნავი კაპიტალის მართვა, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მიმდინარე აქტივების ოდენობისა და სტრუქტურის, მათი დაფარვის წყაროების და მათ შორის თანაფარდობის განსაზღვრა, რაც საჭიროა საწარმოს გრძელვადიანი საწარმოო და ეფექტიანი ფინანსური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. სინამდვილეში, ვალდებულებების შეუსრულებლობამ კრედიტორების წინაშე შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა მათი თანმდევი მთელი რიგი ნეგატიური შედეგებით. ზემოთ ჩამოყალიბებულ მიზნობრივ დებულებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, რამდენადაც საბრუნავი კაპიტალის ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნება ხელს უწყობს სამეურნეო საქმიანობის სტაბილურობას. კონკრეტული საწარმოსათვის რეალურია საბრუნავი კაპიტალის მართვის სტრატეგიის ოთხი მოდელი: საბრუნავი კაპიტალის მართვის იდეალური მოდელი, კონსერვატორული მოდელი, აგრესიული მოდელი და კომპრომისული მოდელი. თუმცა საბრუნავი კაპიტალის ფინანსური მართვის მოდელები ხელოვნური ხასიათის მატარებლები არიან და მაინც, კომპრომისული მოდელი შედარებით რეალურია. ამ შემთხვევაში არასაბრუნავი აქტივები, მიმდინარე აქტივების სისტემური ნაწილი და მიმდინარე აქტივების ვარირებადი ნაწილის დაახლოებით ნახევარი იფარება გრძელვადიანი პასივებით. განსაზღვრულ მომენტებში საწარმოს შეიძლება ჰქონდეს ჭარბი მიმდინარე აქტივები, რაც უარყოფითად იმოქმედებს მოგებაზე, თუმცა ეს განიხილება როგორც გადასახდელი ლიკვიდობის სათანადო დონეზე დანაკარგების რისკისათვის. საბრუნავი კაპიტალის ფორმირების ყველა წყარო შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: საკუთარი და მოზიდული.

საბრუნავი კაპიტალის ფორმირების საკუთარ წყაროებს განეკუთვნება: საწესდებო კაპიტალი, მოგება, სარეზერვო ფონდის, მოხმარების ფონდის, სოციალური განვითარების ფონდის, კეთილდღეობის ფონდის, სარემონტო ფონდის, შვებულებების ფონდის, მიმდინარე გადახდების რეზერვების გამოუყენებელი ნაშთი. საწესდებო კაპიტალი ყალიბდება მონაწილეთა საპაიო შენატანების საფუძველზე. შენატანები შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ფულად, ასევე მატერიალური ფასეულობების სახით. მოგების საფუძველზე იქმნება საწარმოს ფინანსური ბაზა, სრულდება ბიუჯეტის, ბანკებისა და სხვა საწარმოების წინაშე აღებული ვალდებულებები. მოგების ბაზაზე საწარმოები ქმნიან დაგროვების და მოხმარების ფონდებს, აქციონერებს ურიცხვავენ დივიდენდებს და ახორციელებენ იმ დანახარჯებს, რომელთა ჩართვა პროდუქციის თვითღირებულებაში არ შეიძლება. საწარმოში დარჩენილი მოგება შეიძლება განაწილდეს შემდეგი მიზნებისათვის: გადარიცხვები სარეზერვო, მოხმარების, დაგროვების ფონდებში საწარმოს აქტივების ზრდისათვის. საბრუნავი კაპიტალის ფორმირების მოზიდული წყაროების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ბანკის კრედიტები, კომერციული კრედიტები, ასევე საკრედიტო დავალიანება. მოზიდული სახსრებიდან იფარება საწარმოს მოთხოვნა საბრუნავ სახსრებზე, რაც შესაძლებელს ხდის შეძენილი იქნას ნედლეული, სათბობი, შეიქმნას მარაგები გადაუვადდეს გადასახადები მყიდველებს. თანამედროვე პირობებში წარმოჩინდა საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების რიგი დამატებითი წყაროები. ეს დაკავშირებულია მყარ პასივებთან, რომლებიც შეიძლება შეადგენდნენ იმ მსხვილი საწარმოების დაფინანსების წყაროების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელთაც შრომის ანაზღაურების დიდი ფონდი და ბიუჯეტში ასევე დიდი გადახდები აქვთ. შედეგად სახელფასო დავალიანება და გადახდები ბიუჯეტში გამუდმებით არის საწარმოს ბრუნვაში და შეიძლება გაუტოლდეს საბრუნავ კაპიტალს.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა საწარმოში შეიძლება დამოკიდებული იყოს ანდა არ იყოს დამოკიდებული თვით საწარმოს მუშაობაზე. საწარმომ შეიძლება ვერ შეძლოს საკუთარი საბრუნავი საშუალებების შენარჩუნება ანუ შეიძლება დაკარგოს განსაზღვრული თანხა. შეიძლება ჰქონდეს ზეგეგმიური ზარალი, არაკანონიერად მოიხიდოს საბრუნავი კაპიტალი (კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის, მოგების მიუღებლობის დროს). უნდა აღინიშნოს, რომ საბრუნავი საშუალებების მდგომარეობაზე არსებით გავლენას ახდენს ის ეკონომიკური პირობები, რომელშიც ფუნქციონირება უხდება საწარმოს. გაზრდილი ფასები შეძენილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე იწვევს საწარმოებში საკუთარი საბრუნავი საშუალებების დიდი მასშტაბებით დეფიციტს. განვსაზღვროთ ცნება "სტრუქტურა", როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. სტრუქტურა ეს არის ობიექტის შინაგანი კავშირების მყარი ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მთლიანობას. რამდენადაც მიმდინარე აქტივები (საბრუნავი კაპიტალი) დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი საწარმოს აქტივების მთლიანობაში, ყოველი სახეობის ხვედრითი წილის განხილვისას დასტურდება ურთიერთმიმართების ოპტიმალური თანაფარდობა საწარმოს საქმიანობისათვის. სტაბილური საწარმოო პროცესისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია საბრუნავი კაპიტალის სტაბილური სტრუქტურა. საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობის დასახასიათებლად ამოსავალი მონაცემები აიღება საანგარიშგებო წლის ბალანსიდან. როგორც წესი, გამოიყენება ბალანსის მეორე განყოფილების "საბრუნავი აქტივები" მონაცემები, სადაც წარმოდგენილია მონაცემები საწარმოს საბრუნავი საშუალებების შესახებ, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მატერიალურ-საწარმოო მარაგების, ფულადი საშუალებების, ფასიანი

ქალაქების, დებიტორებთან ანგარიშგების შესახებ. ქვეგანყოფილებაში "მარაგები" წარმოდგენილია საწარმოს საბრუნავი აქტივების ძირითადი ნაწილი, უფრო სწორად, მატერიალურ-ნივთობრივი ხასიათის მქონე აქტივები, რომლებიც უშუალოდაა ჩართული საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესში.

მატერიალურ-საწარმოო მარაგების შემადგენლობაში ანგარიშგების მიხედვით შედის: მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება, ნედლეული, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები და გადმოტვირთული საქონელი. მატერიალურ საწარმოო მარაგები (გადმოტვირთული საქონლის გამოკლებით) არის შედარებით ლიკვიდური მუხლები საბრუნავი საშუალებების მუხლებს შორის. ამ მუხლის ფულად სახსრებად გარდასაქმნელად საჭიროა დრო არა მარტო იმისათვის, რომ მოიძებნოს მყიდველი, არამედ იმისთვისაც, რომ მიღებული იქნას ანაზღაურება პროდუქციაზე. ასე, რომ ხორციელდება საბრუნავი საშუალებების (აქტივების) ტრანსფორმაცია. ამ მუხლმა შეიძლება შეადგინოს მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი არა მარტო საბრუნავი სახსრების შემადგენლობაში, არამედ საწარმოს აქტივებშიც, რაც შეიძლება იმის დასტური იყოს, რომ საწარმოს აქვს შეფერხებები პროდუქციის გასაღების საქმეში. ეს, თავის მხრივ, განპირობებულია პროდუქციის დაბალი ხარისხით, წარმოების ტექნოლოგიის დარღვევით და რეალიზაციის არაეფექტური მეთოდების შერჩევით, ბაზრის მოთხოვნისა და კონიუნქტურის არასათანადო დონეზე შესწავლით. მატერიალურ-საწარმოო მარაგები დებიტორული დავალიანება და სხვა საბრუნავი საშუალებები ფულადი სახსრები.

საბრუნავი კაპიტალის ტრანსფორმაციის სქემა მატერიალური-საწარმოო მარაგების ოპტიმალური დონის დარღვევა იწვევს საწარმოო საქმიანობაში ზარალს, რამდენადაც ჯერ ერთი, ზრდის ფინანსურ დანახარჯებს მარაგების შენახვაზე; მეორეც, ადიდებს ამ საქონლის და მისი სამომხმარებლო თვისებების გაუფასურების საფრთხეს; მესამეც, განაპირობებს კლიენტების დაკარგვას. დებიტორული დავალიანება მოსალოდნელი გადახდების ვადებზე დამოკიდებულებით ბალანსში წარმოდგენილია მუხლების ორი ჯგუფით: "დებიტორული დავალიანება" (რომელთა მიხედვით გადახდები მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ); "დებიტორულ დავალიანება" (რომელთა მიხედვით გადახდები მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში).

დებიტორული დავალიანება პირობითად ორ სახეობად შეიძლება დაიყოს: ნორმატიულად და არანორმატიულად. ნორმატიული დებიტორული დავალიანება ყალიბდება საქონელსა და მომსახურებაზე გამოყენებული ანგარიშსწორების ფორმების შედეგად, როცა სახსრები გაიცემა სხვადასხვა საჭიროებებზე ანგარიშგებით, როდესაც პრეტენზიები წაეყენება სხვა საწარმოებს. გაუმართლებელ დებიტორულ დავალიანებას ადგილი აქვს საწარმოს მუშაობაში ნაკლოვანებების შედეგად, როცა ვლინდება მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობებისა და ფულადი სახსრების უკმარისობა, გადახარჯვა ანდა დატაცება. მსხვილი დებიტორული დავალიანების არსებობა უარყოფითად მოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ხოლო მისი ზრდა დინამიკაში ადასტურებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები ესაა ინვესტიციები საწარმოში, რომლის სიდიდე დამოკიდებულია საზოგადოების სახეზე, სხვა ორგანიზაციებში ფასიან ქაღალდებზე. მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები წარმოდგენენ ადვილად რეალიზებად ფასიან ქაღალდებს, რომელსაც საწარმოსათვის შემოსავალი მოაქვს პროცენტის ანდა დივიდენდის სახით. ეს ქაღალდები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ადვილად რეალიზებული იქნას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და გარდაიქმნას ნაღდ ფასეულობებად. სახელმწიფო ანდა კერძო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა ხორციელდება არა გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად ანდა სხვა საწარმოებზე გავლენის მოსახდენად, არამედ ხორციელდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების წარმატებულად განსათავსებლად. ფასიანი ლიკვიდური ქაღალდები საწარმოების მიერ შეისყიდება დროის იმ პერიოდში, როცა მოთხოვნა ნაღდ ფულად სახსრებზე არ არის მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარავად. მუხლების ჯგუფში: "ფულადი სახსრები" მითითებულია ფულადი სახსრების ნაშთი სალაროში, საანგარიშგებო და სავალუტო ანგარიშებზე, ბანკებში, მას ასევე მიეწერება ფულადი დოკუმენტები: საპაიო მარკები, საბაჟო მარკები, განადღებული ავიაბილეთები და სხვა. ფულად დოკუმენტებს მიეკუთვნება ასევე აქციონერებიდან გამოსყიდული საწარმოს საკუთარი აქტივები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმდინარე აქტივების მუხლებს შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც საბრუნავი საწარმოო ფონდები და მიმოქცევის ფონდი, ამავდროულად ყურადღებას იმსახურებს დანახარჯების მარაგების მდგომარეობის შეფასება. კერძოდ: საწარმოო მარაგები; დაუმთავრებელი წარმოება; მომავალი პერიოდის ხარჯები; მზა პროდუქცია; სხვა ხარჯები და მარაგები. მობილურობის პოზიციიდან საბრუნავი აქტივები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

- 1) შედარებით მობილური საშუალებები-საღლო ანგარიშის მიხედვით;
- 2) სხვა მობილური აქტივები - მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები;
- 3) შედარებით ლიკვიდური აქტივები - მატერიალურ-საწარმოო მარაგები.

მიმდინარე აქტივების კლასიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება გათვლილი იქნას შემდეგი მაჩვენებლები:

- 1) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი $KLT = TA : KP$
- 2) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი $KLT = (DC + DB) : KP$
- 3) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი $KLB = DC : KP$

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი მიმდინარე მოკლევადიანი ვალდებულებები საბრუნავი კაპიტალით. ეკონომიკური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ განისაზღვრება ფინანსური წყაროების რაოდენობა ჩადებული საბრუნავ საშუალებებში. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტის გამოყენება საშუალებას იძლევა შევასაღებოთ აქტივების ტრანსფორმაცია ფულად სახსრებში. აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რა ოდენობას მოკლევადიანი ნასესხები ვალდებულებები შეიძლება დაიფაროს დაუყოვნებლივ. ბევრი ზემოთწარმოდგენილი მაჩვენებელი ამა თუ იმ ხარისხით გამოიყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში. თუმცა უმჯობესია გარდაიქმნას ბალანსი მუხლების აგრეგირების გზით და მათი გადაჯგუფებით. ამის შესაბამისად ბალანსის აქტივი ასე წარმოგვიდგება: - ქონება, სულ. მათ შორის: ა) იმობილიზებული აქტივები; ბ) საბრუნავი აქტივები - მარაგები; დებიტორული დავალიანება; ფულადი სახსრები. ასეთი მიდგომა უფრო უკეთესია ანგარიშგების ალგორითმების ლოგიკის პოზიციებიდან, რამდენადაც ყოველწლიურად იცვლება საწარმოს ბალანსი, შემჭიდროვებული ბალანსის აგება საშუალებას იძლევა გათვლების ალგორითმები უცვლელი დარჩეს. ამრიგად, საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია მათი სწორი ორგანიზაციის გარეშე. აუცილებელია, რომ თითოეულ საწარმოსა და ორგანიზაციაში დადგინდეს საბრუნავი საშუალებების რაციონალური სტრუქტურა, მიღწეული იქნეს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში, მატერიალურ და დანარჩენ აქტივებში დაბანდებულ საბრუნავ საშუალებებს შორის არსებული თანაფარდობის მკვეთრი გაუმჯობესება ზედმეტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემცირებით, გაგზავნილი საქონლისა და ჩაბარებული სამუშაოების ღირებულების და დანარჩენი დებიტორული დავალიანების ამოღებით და შემდგომისათვის ანგარიშსწორების მოწესრიგებით.

ლიტერატურა:

1. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. თბილისი 2014. გვ. 505-508
2. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ (მეთოდოლოგიური მიდგომა). "შრომები". თბ., 2000.
3. <http://www.odi.org>
4. <http://km-forum.org/KM-Characterization-Framework.pdf>
5. <http://www.systems-thinking.com>
6. <http://eeas.europa.eu>
7. Economic Indicators, Making Sense of Indicators, Sixth Edition, Bloomberg Press, New York, The Economist, ISBN-13: 978-1-57660-240-9 (alk. paper)
8. Research Methodology In Applied Economics, Organizing, Planning, and Conducting Economic Research Don Ethridge, Blackwell Publishing, Iowa State University of America, second Edition, 2004, ISBN-0-8138-2994-19 (alk. paper)

Inga Prangishvili, Natia Gogoladze
Georgian Technical University

FUNDAMENTALS OF FINANCIAL SUPPORT OF THE WORKING CAPITAL IN MODERN ECONOMICS RESUME

In this work we tried to research and analyze substantial content and appraisal indices of inner management of the company, to analyze current system of building-up of organization structure of inner management, its merits and demerits, to review them and to establish our view concerning the prerequisites of optimal structure's building, to classify factors acting on the organization structure of the management, to consider and offer the models of intercompany management optimization, to determine and characterize the effect of company's external and internal environment on the mechanism of management's perfection, to determine the criteria of inner management estimation and general indices.

ინოვაციები და ბიზნესის კონკურენტუნარიანობა საქართველოში

საინოვაციო საქმიანობა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის წარმატებულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს, ქვეყნის ჩამორჩენის დაძლევა. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის ის საწარმო თუ ფირმა, რომელიც თავის საქმიანობას აგებს ინოვაციური პოლიტიკის საფუძველზე. ამიტომ ინოვაციური საქმიანობის განვითარება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სინამდვილეში არსებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდისა და ქვეყნის პერსპექტიული განვითარების უზრუნველსაყოფად. იგი ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას, ქართულ ბაზარზე კონკურენტული ეროვნული პროდუქტების გამოჩენასა და მათ ექსპორტს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს მასშტაბების ზრდასა და ზოგადად, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას.

ამჟამად, მსოფლიოში ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად ითვლება ინფორმაციული, გარემოსდაცვითი, სამედიცინო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, ენერჯის ალტერნატიულ წყაროებთან დაკავშირებული ტექნოლოგიები და ზოგიერთი სხვა.

ეკონომიკის მდგომარეობას დღეს დიდწილად განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი. ამიტომაც, რომ კონკურენტუნარიანობის კვლევას მსოფლიოს მრავალი ანალიტიკური ორგანიზაცია ეწევა, მათ შორის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) და მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IMD). თავიანთ პარტნიორობთან - წამყვან კვლევით ინსტიტუტებთან და კომპანიებთან ერთად ისინი კონკურენტუნარიანობის რეიტინგს ორი მაჩვენებლით აფასებენ - გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით (GCI) და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსით (BCI), რომლებიც ქვეყნის მაკრო და მიკროეკონომიკურ მდგომარეობას ასახავენ. [1]

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოსათვლელად სამ მაჩვენებელს იყენებენ:

- ქვეყნის მაკროეკონომიკურ პირობებს,
- სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობას
- მისი ტექნოლოგიური განვითარების დონეს.

საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციური საქმიანობა დღეისათვის დაბალ დონეზეა, არ არის შექმნილი და განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც სიახლეებისთვის განსაკუთრებულ რეჟიმს უზრუნველყოფს, რაც ძირითადად დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებებისა და მოზიდული სახსრების სიმცირესთან, როგორც საბიუჯეტო ისე არასაბიუჯეტო წყაროების დაფინანსების უკმარისობასთან და სხვა. საქართველო დაადაგა რა საბაზრო რეფორმების გზას, საინოვაციო სფეროს ახალ პირობებში მუშაობისათვის იგი მოუზადებელი აღმოჩნდა, რადგან არ არსებობდა ამ საქმიანობისათვის სათანადო გამოცდილება და შესაბამისი სტრუქტურები. ბაზრის ფორმირების პროცესსა და მოთხოვნილებებს ჩამორჩება ინოვაციური პროდუქტის წამოგება. არსებობს სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები, არ არის შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტის ბაზარი და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა (სპეციალური ბანკები, ინოვაციური ფონდები, კონსალტინგური, ლიზინგური, ვენჩურული ფორმები, სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკები და სხვა). რომელთა გარეშეც შეუძლებელია საწარმოებმა უზრუნველყონ ინოვაციური საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესება. 2015 წლის დასაწყისისთვის ქვეყანაში არსებული 4 ათასამდე მცირე საწარმოდან მხოლოდ მათი 3% ეწეოდა ინოვაციური საქმიანობას. სირთულეების დასაძლევად აუცილებელია ინოვაციური პოლიტიკის განვითარების კუთხით განვითარებული ქვეყნის გამოცდილების მიზანმიმართული შესწავლა და გამოყენება ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საინოვაციო სფეროს გააქტიურებას.

მსხვილ ფირმებთან და გაერთიანებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე საწარმოებს. განვითარებულ ქვეყნებში ისინი უზრუნველყოფენ მთელი სიახლეების რეალიზების თითქმის ნახევარს, ამასთან აღსანიშნავია, რომ მცირე ფირმები სიახლეებს გაცილებით სწრაფად ნერგავენ, ვიდრე მსხვილი ორგანიზაციები, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით ჩვენს საწარმოებზე. 2015 წლის დასაწყისისთვის ქვეყანაში არსებული 4 ათასამდე მცირე საწარმოდან მხოლოდ მათი 3% ეწეოდა ინოვაციურ საქმიანობას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მცირე საწარმოები თავისი შესაძლებლობებით შეზღუდულია ფულად სახსრებში, რის გამოც ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი თანხების დაბანდება ახალ ტექნიკაში, ტექნოლოგიებში, მარკეტინგში, წარმოების გასაფართოებლად და სხვ.

ქვეყნის ინოვაციის დონე ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებებსა და რეიტინგებში, ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 წელს საქართველო მსოფლიოში 73 -ე ადგილზეა, ხოლო 2012 წელს 44-ე ადგილი ეკავა 131 ქვეყანას შორის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლის მდგომარეობით საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

ცხრილი 1

მაჩვენებლები	ადგილი
ინოვაციების განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი	118
კომპანიების დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე	128
უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა	100
კომპანიების მიერ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა	117
ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე	124

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონის მიხედვით საქართველო 124 -ე ადგილზეა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. მოსახლეობის მიერ ამ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების დონე კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

2016 წ. „გლობალური ინოვაციების ინდექსის მონაცემების მიხედვით, საქართველო 9 პუნქტით დაწინაურდა და მსოფლიოს 128 ქვეყანას შორის 64-ე ადგილი დაიკავა“ ხოლო „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, 3 პუნქტით დაწინაურდა და 69-ე ადგილიდან 66-ზე (4,22-იანი ქულით) გადმოინაცვლა 140 ქვეყანას შორის“. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა - სლოვაკეთი (67-ე ადგილი), მონტენეგრო (70-ე ადგილი), ხორვატია (77-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საბერძნეთი (81-ე ადგილი), სომხეთი (82-ე ადგილი), მოლდოვა (84-ე ადგილი), ალბანეთი (93-ე ადგილი), სერბეთი (94-ე ადგილი). საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან 1 ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან - 58 ქვეკომპონენტში.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველოს სადღეისოდ 72-ე პოზიცია უჭირავს 148 ქვეყანას შორის. ქვეყნის სოცილურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის თანახმად, 2017 წლისათვის იგი 58-ე, 2020 წლისთვის კი 40-ე პოზიციაზე გადაინაცვლებს. ჩვენი აზრით, ამ საკითხში ერთ-ერთი საგრძნობი წვლილი ინოვაციურ-ტექნოლოგიების განვითარებამ უნდა შეიტანოს. არადა, საკითხის ზერელედ შესწავლითაც კი ცხადი ხდება, რომ ამას არსებითად შეაფერხებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის სისუსტე, ინოვაციების პროგრამული საბიუჯეტო დაფინანსების სიმწირე და სტრატეგიების არასაკმარისი ეკონომიკური ანალიზი.

რაც შეეხება BCI-ის მას ფორმების კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად მიმართავენ და ამისათვის ორ სხვადასხვა ინდექსს ეყრდნობიან:

- კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების მოცულობას,
- ქვეყნის ბიზნეს - გარემოს ხარისხს.

საგულისხმოა, რომ 2001 წლიდან მოყოლებული კონკურენტუნარიანობის ორივე მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოში ისეთი ქვეყნები ლიდერობენ როგორცაა ფინეთი, აშშ, შვედეთი, დანია, შვეიცარია და სხვა მოწინავე ქვეყნები. ამასთან, კონკურენტუნარიანობის ინდექსში ინოვაციების ხვედრითი წილი 1/3-1/2-ის ფარგლებშია. [1]

ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში უაღრესად დიდ როლს თამაშობენ კორპორაციები. მეცნიერებასა და კვლევა-ძიებაზე ბიზნესის მიერ გაღებული ხარჯების ხვედრითი წილი ქვეყნის მასშტაბით დახარჯული სახსრების 65%-ს აჭარბებს აშშ-ში, ხოლო 70%-მდეა ან მეტია გერმანიასა, ჩინეთში და იაპონიაში. [2; 3] რაც შეეხება ევროკავშირის 27 ქვეყანას მასზე წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოცემული ცხრილი.

დანახარჯები მეცნიერებასა და განვითარებაზე %-ში მშპ-სთან

ქვეყანა თარიღი	2008	2009	2010	2015	2020 მიზანი
ევროკავშირის 27 ქვეყანა	1,92	2,01	2	2,03	3
გერმანია	2,69	2,82	2,8	2,84	3
ესტონეთი	1,28	1,43	1,63	2,38	3
ლატვია	0,62	0,46	0,6	0,7	1,5
ლიტვა	0,8	0,84	0,8	0,92	1,9
გაერთიანებული სამეფო	1,75	1,82	1,77	1,75	

საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია. ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი განვითარების საწინდარს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სისტემის გარდაქმნა. ქვეყანა უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის წევრია და მონაწილეობს კვლევის ევროპულ სივრცეში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრება საერთო ევროპულ სივრცეში.

მეცნიერ. ფატხუტდინოვის გათვლებით ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დანახარჯების ხვედრითი წილი მშპ-ს მიმართ მეცნიერებასა და სამეცნიერო კვლევებზე 3,7%-ს მიაღწევს, რაც საგრძნობლად დააჩქარებს ინტელექტუალური ეკონომიკის ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესს.

მიუხედავად აღნიშნულისა და გარდამავალი პერიოდის სხვა სიძნელეებისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ინარჩუნებს მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, კვალიფიციურ სამეცნიერო და საინჟინრო კადრებს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები, შიგა ბაზრის დიდი პოტენციალი. რეფორმების წლებმა უჩვენეს, რომ საქართველო ფლობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურსს - მეწარმეთა მაღალ პოტენციალს.

ქვეყნის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ეს რესურსი მიიმართოს ეკონომიკის აღორძინებისკენ. ამასთან დაკავშირებით ინოვაციური სფეროს განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ძირითადად ამ სფეროში ხდება ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების ბაზაზე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროდუქციის შექმნა, როგორც მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საბაზრო საქონლისა.

ამა თუ იმ ქვეყანაში ინოვაციურ აქტივობაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის ინოვაციური საწარმოებისა და ინოვაციური პროდუქტების ხვედრითი წილები წარმოების მთლიან მოცულობაში ან საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოს ინოვაციური ლიდერების ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების ამონაგები 83%-ია, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ხვედრითი წილი - 20%, ამონაგებში ინოვაციური პროდუქციის ხვედრითი წილი - 16%-ზე მეტი, ხოლო ინოვაციურ ორგანიზაციებში დასაქმებულია ყველა მომუშავეს ნახევარზე მეტი [4].

ცხადია ინოვაციური პროცესები და ქვეყანაში ინოვაციური სისტემების ფორმირება სოციალურ და ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ კონკურენტუნარიანობას და ბიზნესის კომერციულ წარმატებას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს კომპანიების მიერ სამეცნიერო კვლევების ჩატარებისა და ინოვაციების შექმნის უნარი. ასეთ პირობებში საინტერესოა თუ როგორია საქართველოს მთავრობის ხედვები ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. „სტრატეგიაში“ მოცემულია „არსებული მდგომარეობის მიმოხილვა“ და უახლოესი წარსულის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე ორი დასკვნაა გამოტანილი, რომელთაგან პირველი სწორედ იმას გვეუბნება, რომ ამ პოლიტიკამ საფუძველი ვერ შეუქმნა საქართველოს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას [5].

„სტრატეგიის“ შემუშავებისათვის მთავრობას ზრდის დიაგნოსტიკური მეთოდი გამოუყენებია და მისი მეშვეობით გამოუვლენია საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი სამი ყველაზე კრიტიკული პრობლემა. პირველი აქაც კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობაა. ამიტომ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას „სტრატეგიაში“ პირველი ადგილი აქვს მიკუთვნებული, პრობლემის დაძლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის მისი უზრუნველყოფი ღონისძიებების ნუსხაში კი

ჩამოთვლილია საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება; ინოვაცია და ტექნოლოგიები; ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით GCI-ის მიხედვით, საქართველოს სადღეისოდ 72-ე პოზიცია უჭირავს 148 ქვეყანას შორის. „სტრატეგიის“ მიზნების თანახმად, 2017 წლისათვის ჩვენი ქვეყანა 58-ე, 2020 წლისთვის კი მე-40 პოზიციას დაიკავებს. ამაში ერთ-ერთი საგრძნობი წვლილი ინოვაციურ-ტექნოლოგიურმა განვითარებამაც უნდა შეიტანოს. დღეს კი საქართველოში, სამწუხაროდ, დაბალია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის დონე, რაც ჩვენში წარმოებული საქონლის ასევე დაბალ დამატებულ ღირებულებას განაპირობებს, რესურსების არარაციონალურად გამოყენებას იწვევს, და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს; კვლევასა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობები უმნიშვნელოა კერძო სექტორშიც და სახელმწიფო დონეზეც, სუსტი და შეზღუდულია უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და კომპანიების მიერ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მასშტაბები. [5]

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ინოვაციურ-ტექნოლოგიური ფაქტორის როლის გასაძლიერებლად საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს ინოვაციურ საქმიანობასა და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემა-დანერგვას ეროვნულსა და რეგიონულ დონეებზე, წახალისოს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ტექნოლოგიები და ე.წ. „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება. მთავრობა პირდება კერძოს სექტორს, რომ სახელმწიფო დაფინანსების კუთხით დაეხმარება მას გამოყენებითი კვლევების ჩატარებაში და საამისოდ სხვა ინსტრუმენტებსაც გამოიყენებს; განავითარებს ბიზნეს - ინკუბატორებისა და ტექნოლოგიური პარკების ქსელს და შექმნის სათანადო ინფრასტრუქტურას; იზრუნებს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე, წახალისებს ისეთ ინვესტიციებს, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებასა და რესურსების დაზოგვას აძლევს ბიძგს.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში გატარებული პოლიტიკის შედეგად სტრატეგიაში ნაგარაუდევია კომპანიების მიერ პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის გაფართოება, მეცნიერებასა და ბიზნესს შორის კავშირის გაძლიერება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის მიღწევა, საბოლოოდ კი - ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ინოვაციურობისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ხედვების თვალსაზრისით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა „ციფრული საქართველო 2014-2018“ [6], რომელიც მთავრობის როლს ინოვაციის სტიმულირებაში მოიაზრებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებში მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. თვითონ მთავრობის, ეკონომიკისა და მთელი საზოგადოების ძირფესვიანი მოდერნიზებისათვის მთავარ საშუალებად ამ სტრატეგიაში (გეგმაში) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაა აღიარებული, რადგან ისინი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობენ ხელს [6].

ცნობილია, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ მთლიანი პროდუქტიულობის ზრდაში, რის 20% უშუალოდ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სექტორისაგან მოდის, 30% კი ამავე სექტორში განხორციელებული ინვესტიციებითაა განპირობებული [7]. კვლევებით დადგენილია, რომ ფინანსურ კრიზისებს ის ქვეყნები უფრო ადვილად ართმევს თავს, რომელიც აქტიურად იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. ქვეყანაში 2016 წლის ბოლოსათვის უკვე შექმნილი იქნება მაღალი კომპეტენციისა და რეპუტაციის მქონე კვლევითი ცენტრები, 2018 წლისთვის კი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი. ამავე წლისთვის ხსენებულ სექტორში იმუშავენ ქვეყანაში დასაქმებული მოსახლეობის 3% ელექტრონული სერვისების ინდუსტრიაში კი ექსპორტ-იმპორტის დადებითი ბალანსი ჩამოყალიბდა; კომპანიების 30% თავიანთ პარტნიორებთან მონაცემთა ავტომატურ გაცვლაზე გადავა, მათი 15% კი - ელექტრონულ ვაჭრობაზე და ა.შ. [6].

ჩნდება კითხვა: რამდენად რეალურია ეს მიზნები იმ პირობებში, როცა მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყანაში მცირეა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსება კი ინოვაციებზე არაა ორიენტირებული? კითხვები ჩნდება უმუშევრობასთან, შემოსავლების განაწილებასთან, სახელმწიფო ვალებთან და საპენსიო პოლიტიკასთან დაკავშირებითაც. საბოლოოდ, ეს ყოველივე ნეგატიურად აისახება არა თუ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ უშუალოდ მის ინოვაციურ-ტექნოლოგიურ განვითარებაზე და მომავალშიც შეუშლის ხელს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ლიტერატურა:

1. Семенова Е.А. Мировой рынок наукоемкой продукции и позиции России // Информационный бюллетень №3(8). РИСИ, 205
2. Конкурентоспособность и инновационная активность государств: анализ международных рейтингов и индикаторов. ელ.რესურსი: http://iee.org.ua/files/alushta/39-denisjuk-konkor_i_inov_aktiv.pdf
3. European Innovation Scoreboard 2009. comparative Analysis of Innovation Performance – EIS, 2009.
4. OECD. Main Science and Technology Indicators. Arial, 2000.
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ N40, 17.06.2014წ.
6. ბ. კრაზინა, პო-უენ ლიუ და სხვ. ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018.
ელ. რესურსი. www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20strategy%FINAL%20Geo_doc
7. A Digital Agenda for Europe, Com (2010) 245 saboloo/2, ბრიუსელი, 26.08.2010 8. გ. აბაშიშვილი, ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში ურთიერთ-გამომრიცხავი დასკვნებია. გაზ. „პრემიერი“. ელ.რესურსი: Premieri.ghn.ge/com/news/view/713

Nanuli Kokashvili
Gori State Teaching University
INNOVATION AND BUSINESS COMPETITIVENESS IN GEORGIA
RESUME

The report reviews innovative activity, which represents the priority direction of the development of the country and the competitiveness of business in Georgia.

Today the innovative activity in the economy of Georgia is at a low level. When it started market reforms, it turned out unprepared for the work in new conditions of innovative field, because there was not appropriate experience and the relevant structures for this activity. The production of the innovative products fall behind the process of the market formation and the needs. There are the problems of a legal and organizational character, there is not created scientific-technical products market and its relevant infrastructure (Special banks, funds innovative, consulting, leasing, venture forms, scientific technological parks, etc.). Without it is impossible to provide the significantly improvement of innovative activities by enterprises. The economic situation of the country is largely determine by the competitiveness indicator.

The innovation level of country is reflected in various international estimates and ratings, in global innovation index and the global competitiveness index, according to which Georgia has 72th position between 148 countries.

გიორგი ყაზიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**მომხმარებელთა კმაყოფილებისა და მომსახურე პერსონალის კმაყოფილების განსაზღვრა
საცალო ვაჭრობაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით**

საცალო ვაჭრობაში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია მომხმარებელთა კმაყოფილების განსაზღვრა. მომხმარებელთა კმაყოფილების გაზომვისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომები არსებობს. ამ მაჩვენებლის შეფასებისათვის მსოფლიოში შემუშავებულია მომხმარებელთა კმაყოფილების ნაციონალური ინდექსები (ამერიკული, შვეიცარიული და ევროპული).

მომხმარებელთა კმაყოფილების ამერიკული ინდექსი (American Customer Satisfaction Index - ACSI) წარმოადგენს ეკონომიკურ მაჩვენებელს, რომლითაც იზომება მომხმარებელთა კმაყოფილება აშშ-ს ეკონომიკაში. მისი გამოთვლისთვის გამოიყენება სამი აშკარა ცვლადი (რომელიც შედის ACSI-ის


კითხვარში). თითოეული მათგანი გაიანგარიშება 10 ბალიანი სკალით. აღნიშნული ცვლადები წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი 1) [6]

ცხრ. 1. აშკარა ცვლადები

აშკარა ცვლადები	1	10
ზოგადი კმაყოფილება (X_1)	ძალიან უკმაყოფილო	ძალიან კმაყოფილი
მოლოდინი (X_2)	ველოდებოდი მეტს	მოლოდინს აღემატება
შედარება იდეალთან (X_3)	შორსაა იდეალისგან	ახლოსაა იდეალთან

მომხმარებელთა კმაყოფილების ამერიკული ინდექსის მოდელს აქვს შემდეგი სახე:


ნახ. 1. მომხმარებელთა კმაყოფილების ამერიკული მოდელი [4]




შვეიცარიულ მოდელში „კლიენტის კმაყოფილება“ იგულისხმება რთული ფსიქოლოგიური პროცესის შეჯერება (შეპირისპირება), როცა გამოსაკითხი პირი ადარებს საქონლის ან მომსახურების შემდგომი საკუთარ გამოცდილებას (ფაქტიური კომპონენტი) სტანდარტებს (ნორმატიული კომპონენტი). კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს კიდევ ორი ფაქტორი: „კლიენტის სარგებელი“ და „კლიენტზე ორიენტაცია“. კმაყოფილების ინდექსი ყალიბდება შემდეგი მაჩვენებლისგან: ზოგადი კმაყოფილება, კმაყოფილების შედარება კლიენტთა მოლოდინებთან და საქონელსა და მომსახურებაზე იდეალურ შეხედულებებთან, რომლებიც სხვადასხვა დარგებში გამოიანგარიშება სხვადასხვა წონით. მაჩვენებელი „შედარება მოლოდინებთან“ ყალიბდება მიღებული მომსახურების პირდაპირი შედარებით მომხმარებელთა მოლოდინებთან, ხოლო მაჩვენებელი „შედარება იდეალთან“ - საქონელსა და მომსახურებაზე მის პირად იდეალურ წარმოდგენებთან შედარებით. პასუხების შეფასებისათვის გამოიყენება 10 ბალიანი სისტემა. კლიენტის კმაყოფილების შვეიცარიული ინდექსის სტრუქტურული მოდელი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ნახ. 2. მომხმარებელთა კმაყოფილების შვეიცარიული ინდექსის სტრუქტურული მოდელი [1]

ხარისხის პარამეტრები



მომხმარებელთა კმაყოფილების ევროპული ინდექსის (ECSI) საბაზო მოდელი წარმოადგენს სტრუქტურულ მოდელს ლატენტური ცვლადებით, რომელიც აკავშირებს მომხმარებლის კმაყოფილებას მის დეტერმინანტებთან და მის შედეგებთან, რომელსაც მომხმარებლის ლოიალურობას უწოდებენ. მომხმარებელთა კმაყოფილების ევროპული ინდექსის მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ნახაზის სახით:



რაც შეეხება ლატენტურ და აშკარა ცვლადებს, ისინი წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 2):

ცხრ. 2. მომხმარებელთა კმაყოფილების ევროპული ინდექსის ცვლადები [3]

ლატენტური ცვლადები	აშკარა ცვლადები
კორპორატიული იმიჯი	<ul style="list-style-type: none"> საერთო იმიჯი ფილიალის იმიჯი ეთიკა
მომხმარებლის მოლოდინი	<ul style="list-style-type: none"> საერთო მოლოდინი ინტერაქტიული მოლოდინი
აღქმული ღირებულება	<ul style="list-style-type: none"> ფასი ფულით შედარება კონკურენტებთან
აღქმული მომსახურების ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> ხარისხის აღქმა მთლიანობაში მოთხოვნილებებთან შესაბამისობა მომსახურების ხარისხი საიმედოობა და სიზუსტე პირობითად
აღქმული პროდუქციის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> ხარისხის აღქმა მთლიანობაში მოთხოვნილებებთან შესაბამისობა პროდუქტის ტექნიკური ხარისხი საიმედოობა
მომხმარებელთა კმაყოფილება	<ul style="list-style-type: none"> კმაყოფილების ზოგადი დონე მოლოდინების შესრულება იდეალთან შედარება
კლიენტების ლოიალურობა	<ul style="list-style-type: none"> შესყიდვის ქცევა დამატებითი შემენის განზრახვა რეკომენდაციის განზრახვა

მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაანგარიშებისათვის არსებობს სხვადასხვა მეთოდიკები.

ყველაზე გავრცელებულია მომხმარებელთა კმაყოფილების (CS) გაზომვა და მონიტორინგის გაანგარიშება შემდეგი ფორმულით [2]:

$$CS = P \cdot I, \quad (1)$$

სადაც P - კმაყოფილების კრიტერიუმების (ფაქტორების) შესრულების საშუალო მნიშვნელობაა, I - მნიშვნელოვნობის (მოლოდინებთან შესაბამისობის ხარისხი) საშუალო მნიშვნელობაა იმავე კრიტერიუმების მომხმარებლებისთვის.

შესრულება შეიძლება შეფასდეს ბალებში შემდეგი სკალით: 1 - დაბალი კმაყოფილება (სრული იმედგაცრუება), 2 - გაღიზიანება; 3 - მოლოდინები გამართლდა; 4 - სასიამოვნოდ გაკვირვებული; 5 - მაღალი კმაყოფილება (აღფრთოვანება).

მნიშვნელოვნობა შეიძლება შეფასდეს ბალებით შემდეგი სკალით: 5 - სასიცოცხლოდ აუცილებელი; 4 - მნიშვნელოვანი; 3 - ასე უნდა იყოს 2 - არ არის მნიშვნელოვანი; 1 - სრული გულგრილობა.

მოცემულ შემთხვევაში კმაყოფილების ინდექსის მნიშვნელობა იქნება 1-დან 25-ის ფარგლებში. ამასთან, შეიძლება წავაწყდეთ შემდეგ პრობლემებს:

1. თუ „შესრულების“ საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 5-ს და „მნიშვნელოვნობის“ – 1-ს, მაშინ კმაყოფილების ინდექსი იქნება 5-ის ტოლი. იმ შემთხვევაში, თუ „შესრულების“ საშუალო მნიშვნელობა იქნება 1, ხოლო „მნიშვნელოვნობისა“ – 5, ამ შემთხვევაში კმაყოფილების ინდექსი იქნება 5. ანუ ორივე განხილულ შემთხვევაში კმაყოფილების ინდექსი ერთი და იგივეა.

2. იმ შემთხვევაში, თუ „შესრულების“ მაჩვენებელი იქნება, მაგალითად, 2 (ანუ, როცა მომხმარებელმა ვერ მიიღო ის, რაც სურდა), ხოლო „მნიშვნელოვნობის“ მაჩვენებელი, ვთქვათ, შეადგენს 4-ს, მაშინ კმაყოფილების ინდექსი იქნება 8-ის ტოლი. დავუშვათ „შესრულების“ ინდექსი დარჩა ისევე 2, ხოლო „მნიშვნელოვნობის“ მაჩვენებელი შეადგენს 5, მაშინ კმაყოფილების ინდექსი იქნება 10, ანუ გამოდის, რომ „შესრულების“ ინდექსი იგივე დარჩა, ხოლო კმაყოფილების ინდექსი გაიზარდა, რაც ჯანსაღ აზრს მოკლებულია და სხვ. [2, 24-25]

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ასეთი მიდგომა არ იძლევა ადეკვატურ შეფასებას და მომხმარებელთა კმაყოფილების გასაზომად უფრო ზუსტი შედეგები მიიღება მაშინ, როდესაც კმაყოფილების ინდექსის გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$CS = \frac{(P - 1)^2 I^2}{80}. \quad (1)$$

კმაყოფილების ინდექსი ამ შემთხვევაში იქნება 0-დან 5-ის ფარგლებში. [2, 25]

საუკეთესო შედეგების მისაღებად მიზანშეწონილად ითვლება გამოვიყენოთ მოლოდინის თეორია. თუ მომხმარებელი საცალო ვაჭრობის მომსახურებისგან იღებს მხოლოდ იმას, რასაც იგი ელოდა, მისი კმაყოფილება დაახლოებით ნულის ტოლია, ე.ი. იგი აღიქვამს გაწეულ მომსახურებას ისე, როგორც უნდა იყოს. თუ საცალო ვაჭრობა საწარმომ ვერ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილებები, მაშინ მომხმარებელში წარმოიშობა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ხოლო თუ იგი, გარდა იმისა, რასაც მოელოდა, მომსახურების გაწევისას მიიღებს რაღაც ისეთს, რაც მის აღფრთოვანებას გამოიწვევს, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ მომხმარებელთა კმაყოფილებაზე.

მომხმარებელთა კმაყოფილების პარალელურად არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად მომსახურე პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელიც. სამუშაოთი კმაყოფილება მოიცავს ემოციურ, კოგნიტიურ და ქცევით კომპონენტებს, რომლებზეც გავლენას ახდენენ ინდივიდის უნარები და სამუშაო კონტექსტი. დასაქმებულები საკუთარი კმაყოფილების განსაზღვრისას აფასებენ სამუშაო გარემოს, იმას, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი მათ მოთხოვნებს. იმ ფაქტორებს შორის, რომელთაც დასაქმებული პირები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სამუშაოთი კმაყოფილების შეფასებისას, წარმოადგენენ: საკუთარი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება, უსაფრთხო სამუშაო გარემო, ანაზღაურების სისტემა, კავშირი თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობასთან, ურთიერთობა უშუალო ხელმძღვანელთან, ურთიერთობა თანამშრომლებთან, დამოუკიდებლობა, დაზღვევა და უფლებების დაცვა და სხვ.

შრომით კმაყოფილება ფორმირდება შრომითი საქმიანობის ხარისხის შეფასების შედეგად, მომუშავეთა მნიშვნელოვანი და აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც ფორმირდება მომუშავეს მოლოდინის (ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაკმაყოფილების ალბათობის შეფასებისას) შეფარდებით შრომის რეალურ პიროვნულ შედეგებთან (იმ დოვლათთან, რომელსაც მომუშავე ითვისებს თავისი შრომითი საქმიანობის მეშვეობით).

რესპონდენტთა პასუხების საფუძველზე შესაძლებელია პერსონალის კმაყოფილების (Iy) გაანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით [5]:

$$I_y = \frac{(+2) \times N_1 + (+1) \times N_2 + (0) \times N_3 + (-1) \times N_4 + (-2) \times N_5}{N} \quad (2)$$

სადაც (+2), (+1), (0), (-1), (-2) - ბალებია კმაყოფილების სკალის მიხედვით;

N₁ - რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც პასუხად აირჩიეს „ძალიან კმაყოფილი ვარ“;

N₂ - რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც პასუხად აირჩიეს „უფრო კმაყოფილი ვარ, ვიდრე უკმაყოფილო“;

N₃ - რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც პასუხად აირჩიეს „არ ვიცი“;

N₄ - რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც პასუხად აირჩიეს „უფრო უკმაყოფილო ვარ, ვიდრე კმაყოფილი“;

N₅ - რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც პასუხად აირჩიეს „ძალიან უკმაყოფილო ვარ“;

N - რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც უპასუხეს მოცემულ კითხვას. $N = N_1 + N_2 + N_3 + N_4 + N_5$.

წარმოდგენილი ფორმულის მიხედვით, კმაყოფილების ინდექსი არ შეიძლება იყოს (+2)-ზე მეტი და (-2)-ზე ნაკლები. მისი საშუალო მნიშვნელობა (0) მოწმობს შრომითი საქმიანობის კვლევის პარამეტრებით კმაყოფილი და უკმაყოფილო ადამიანთა რაოდენობას ბალანსში. ყველაზე დიდ ყურადღებას უნდა იწვევდეს კმაყოფილების ინდექსის უარყოფითი მნიშვნელობა. ინდექსის მნიშვნელობა (-1) ნიშნავს, რომ მომუშავეთა 75%-ზე მეტი უკმაყოფილოა კვლევის პარამეტრებით, ხოლო (-2) ინდექსთან მიახლოება წარმოადგენს კრიტიკულს.

კმაყოფილების ინდექსი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ის ფაქტორები, რომლებიც იწვევენ მოცემულ საწარმოში არსებული შრომითი ორგანიზაციით პერსონალის ყველაზე მეტ კმაყოფილებას და ყველაზე მეტ უკმაყოფილებას. ასეთ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

1. საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილება (მთლიანობაში);
2. მატერიალური სტიმულირება (ცხოვრების მატერიალური დონე, გამომუშავებული ხელფასის ოდენობა, ხელფასის გადახდის თავისდროულობა და ა.შ.);
3. ჯილდოებისა და დასჯის სამართლიანობა;
4. მატერიალური არაფულადი სტიმულირება (სამედიცინო მომსახურების აღმოჩენა, თანამშრომელთა საჭიროებებზე ხელმძღვანელთა ყურადღება და სხვ.);
5. შრომის ორგანიზაცია და პირობები (სამუშაო რეჟიმი, შრომის ორგანიზაცია, ფიზიკური და ნერვული დატვირთვის დონე, შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, შრომის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვ.);
6. შრომის შინაარსი (სამუშაოზე საკუთარი თავის რეალიზება, სამუშაოს შესაბამისობა შესაძლებლობებთან, დამოუკიდებლობა მუშაობაში და სხვ.);
7. კარიერული ზრდა, პროფესიული თვითრეალიზაცია (თანამდებობა, პროფესიული ზრდა, კარიერა, გამოცდილების გაზიარება და სხვ.);
8. მენეჯმენტი (თანამშრომელთა ინიციატივებთან და წინადადებებთან ურთიერთობა, ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა, მართვის სტილი და სხვ.);
9. ურთიერთობა (ურთიერთობა ქვეგანყოფილების ხელმძღვანელობასთან, ურთიერთობა ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან, ურთიერთობა კოლეგებთან სამუშაოზე და სხვ.);
10. შრომის შედეგები (შრომის პირადი შედეგები, ქვეგანყოფილების საქმიანობის შედეგები, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები მთლიანობაში და სხვ.) და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, არსებობს თუ არა კორელაციური კავშირი მომხმარებელთა კმაყოფილებას, მომსახურების ხარისხსა და პერსონალის (თანამშრომელთა) კმაყოფილებას შორის. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად შეირჩეს კვლევის ობიექტი და კვლევის მეთოდი. მიზანშეწონილია კვლევის მეთოდის შერჩევას არჩევანი გაკეთდეს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კვლევაზე. კვლევის განსახორციელებლად უნდა შემუშავდეს შესაბამისი კითხვარი ანკეტური გამოკითხვისათვის ცალ-ცალკე - ერთი მომხმარებლისთვის, მეორე - დასაქმებული პერსონალისთვის (თანამშრომლებისთვის).

პერსონალის კმაყოფილებასა და მომხმარებელთა კმაყოფილებას შორის კორელაციური დამოკიდებულების არსებობის დასადგენად უნდა შემუშავდეს და შემოწმდეს ჰიპოთეზები, მაგალითად *ნულოვანი ჰიპოთეზა* (პერსონალის კმაყოფილებასა და მომხმარებელთა კმაყოფილებას შორის არ არსებობს ურთიერთკავშირი) და *ალტერნატიული ჰიპოთეზა* (პერსონალის კმაყოფილებასა და მომხმარებელთა კმაყოფილებას შორის არსებობს ურთიერთკავშირი).

კვლევის შედეგად მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელია მოვახდინოთ კორელაციური ანალიზი მომხმარებელთა კმაყოფილებისა და თანამშრომელთა კმაყოფილების ხუთივე

ძირითადი პარამეტრის (მახასიათებლის) მიხედვით. კორელაციური ანალიზისათვის გამოიყენება როგორც თეორიული მიდგომა, ასევე ფართოდ აპრობირებული სტატისტიკური პროგრამული უზრუნველყოფები Stata, IBM SPSS Statistics და ა.შ.

თეორიული მიდგომის დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, მაგალითად პირსონის ცნობილი ფორმულა კორელაციის კოეფიციენტისათვის:

$$R = \frac{n \sum_{i=1}^n x_i y_i - \sum_{i=1}^n x_i \sum_{i=1}^n y_i}{\sqrt{\left[n \sum_{i=1}^n x_i^2 - \left(\sum_{i=1}^n x_i \right)^2 \right] \left[n \sum_{i=1}^n y_i^2 - \left(\sum_{i=1}^n y_i \right)^2 \right]}}, \quad (3)$$

სადაც ჩვენ შემთხვევაში n წარმოადგენს მახასიათებელთა რაოდენობას, x_i და y_i შესაბამისად წარმოადგენენ მომხმარებელთა კმაყოფილების და თანამშრომელთა კმაყოფილების საშუალო ბალის მნიშვნელობებს.

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდება, არსებობს თუ არა ურთიერთკავშირი მომხმარებელთა კმაყოფილებასა და თანამშრომელთა კმაყოფილებას შორის.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრის თვალსაზრისით აუცილებელია შემუშავდეს კმაყოფილების ისეთი ეროვნული ინდექსი, რომელიც მორგებული და მაქსიმალურად მისადაგებული იქნება ქართულ რეალობასთან, გათვალისწინებული იქნება ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ მომხმარებელთა კულტურისა და ტრადიციის თავისებურებები.

ლიტერატურა:

1. Брун М., Национальный индекс удовлетворенности клиентов: построение и использование, http://vasilieva.narod.ru/18_4_99.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.10.2016
2. Федотов В.В., Способы оценки и мониторинга степени удовлетворенности потребителя, Журнал «Методы менеджмента качества», 2005, №9, с. 24-29.
3. Haafte R., The European Customer Satisfaction Index (ECSI), <http://www.van-haafte.nl/customer-satisfaction/customer-satisfaction-models/137-the-european-customer-satisfaction-index> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.10.2016
4. <http://blog.verint.com/acsi-american-customer-satisfaction-index-model-strengths-and-weaknesses> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.10.2016
5. <http://kc-lab.com/articles/72.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.10.2016
6. https://en.wikipedia.org/wiki/American_Customer_Satisfaction_Index უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.10.2016

Giorgi Kazishvili

Gori State Teaching University

DETERMINATION OF CUSTOMER SATISFACTION AND EMPLOYEE SATISFACTION TO IMPROVE SERVICE QUALITY IN RETAIL TRADE RESUME

Retail quality of service in terms of improving customer satisfaction is very important to define. There are different approaches to customer satisfaction measures. The indicator for the assessment of the National Customer Satisfaction Index has been developed in the world (US, Swiss and European).

The satisfaction of the service personnel is also important along with customer satisfaction. Job satisfaction include emotional, cognitive and behavioral components, which affect an individual's skills and work context.

It is particularly important to determine whether there is a correlation between customer satisfaction, service quality and personnel (employees) contentment. Staff satisfaction and customer satisfaction to determine the presence of the correlation dependence may be used as a theoretical approach (the Pearson correlation coefficient formula), as well as broad statistical software Stata, IBM SPSS Statistics, etc. Correlation analysis reveals whether there is a relationship between customer satisfaction and employee satisfaction between.

ინოვაციები და მათი როლი ადამიანური კაპიტალის განვითარებაში და ცოდნის ეკონომიკის ფორმირებაში

ცოდნის ეკონომიკა პოსტინდუსტრიული და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების უმაღლეს ეტაპს წარმოადგენს. დასავლურ წყაროებში ტერმინები „პოსტინდუსტრიული ეკონომიკა“ და „ინოვაციური ეკონომიკა“ ხშირად გამოიყენება, როგორც სინონიმები. მაგრამ, ჩვენი აზრით, ცოდნის ეკონომიკა ინოვაციური ეკონომიკის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, რომლის ფორმირებისა და განვითარების მთავარ ფაქტორად ადამიანური კაპიტალი მიგვაჩნია.

ტერმინი „ცოდნის ეკონომიკა“ პირველად შემოიღო ავსტრიული წარმოშობის ამერიკელმა ეკონომისტმა ფრიც მაჰლუპმა (1962), რომელმაც დაასაბუთა ეკონომიკური აგენტების საწარმოო საქმიანობაზე მისი ზეგავლენა.

შემდგომში ახალი ცოდნის შექმნის ეფექტურობისადმი მიდგომები ი. ნონაკამ დაასაბუთა. კერძოდ, წარმოების ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმად ის მეწარმე სუბიექტის არაფორმალური ხეობის ცოდნის ფორმალური ხეობისადმი უპირატესობის უნარს გამოყოფს. უნდა აღინიშნოს, რომ ნონაკას არ შემოუთავაზებია მეწარმე სუბიექტების საქმიანობაში ახალი ცოდნის დანერგვის ეფექტიანობის შეფასების მოდელი.

დღეს ეს ტერმინი, ტერმინთან - „ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკა“ - ერთად, გამოიყენება ისეთი ეკონომიკის ტიპის განსაზღვრისათვის, რომელშიც ცოდნა გადამწყვეტ როლს თამაშობს, ხოლო ცოდნის წარმოება კი ზრდის წყაროს წარმოადგენს. ფართოდ გამოიყენებადი ცნებები - „ინოვაციური ეკონომიკა“, „მაღალტექნოლოგიური ცივილიზაცია“, „ცოდნის საზოგადოება“, „ინფორმაციული საზოგადოება“, - ძალზე ახლოს დგანან ცნებასთან „ცოდნის ეკონომიკა“.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების განვითარება, ეკონომიკური ზრდის პოზიტიური ტენდენციებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ახალი ხარისხის ფორმირება ეფუძნება ეკონომიკის ცოდნაზე დამყარებულ მიდევრებას საყოველთაო და მრავალმხრივ გამოყენებას.

XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება ცოდნის საზოგადოების ჩამოყალიბებით, რომელსაც „ახალ ეკონომიკასაც“ უწოდებენ და რომელშიც საკვანძო მნიშვნელობას ღებულობენ განვითარების ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ადამიანების გონების ძალა და ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მრავალჯერად ზრდას. კაცობრიობა უახლოვდება განვითარების ინოვაციურ ფაზაში გადასვლას. მის დამახასიათებელ თავისებურებას და ფუნდამენტურ ბაზას კი ცოდნისადმი, როგორც უშუალო წარმოების ძალისა და მთავარი საწარმოო რესურსისადმი, მზარდი ყურადღება წარმოადგენს.

კანონზომიერია და აქტუალური კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის, სტიმულებისა და ახალ ტექნოლოგიებზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი გაფართოების პირობების ეფექტიანი გამოყენების, აგრეთვე „ახალი ეკონომიკის“ სოციალურ და ეკონომიკურ სინამდვილეზე ზეგავლენის პრობლემა.


საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ალფრედ მარშალიდან დაწყებული და XX საუკუნის შუა წლებამდე) მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტები, აღიარებდნენ რა ახალი ცოდნის მნიშვნელოვან როლს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაში, განიხილავდნენ ცოდნის მხოლოდ ერთ ტიპს - წარმოების პროცესში საჭირო ფორმალურ ხეობის ცოდნას. ამდენად, XX საუკუნის 60-იან წლებამდე მსოფლიო მეცნიერულ აზროვნებაში არ არსებობდა ცოდნის კლასიფიკაციების მცდელობები. ეკონომიკური მეცნიერების ცოდნის ცნებისადმი არასაკმარისი ყურადღება განპირობებული იყო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისა და საწარმოო პროცესების საერთო ტენდენციებით. ახალი ცოდნის წარმოებაში დანერგვა მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ დაიწყო. განვითარებულ ქვეყნებში სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ანალიზის პროცესში ახალი ცოდნის ფაქტორის შეფასებისა და მხედველობაში მიღების პირველი მცდელობები, რამაც განაპირობა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარების დასაწყისი. ცოდნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ეტაპები ავსახეთ სქემაში (ნახ.1).

თანამედროვე „ცოდნის ეკონომიკა“ ეფუძნება ოთხ დედაბოძს. ესენია:

- **განათლება.** მხოლოდ განათლებულ და კარგად ნასწავლ საზოგადოებას შეუძლია ყოველივე ახლის შექმნა და ეფექტიანი გამოყენება;
- **ინფორმაციული ინფრასტრუქტურა.** ეს გულისხმობს კავშირისა და ინფორმაციის გაცვლის ქსელებს;

- ეკონომიკის სფეროში თამაშის წესები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი იდეისა და ტექნოლოგიების ადაპტაციას და ინვესტიციებს ეკონომიკაში;
- „ინოვაციური სისტემის“ არსებობა. გულისხმობს უნივერსიტეტების, ლაბორატორიების, სამეცნიერო ცენტრების განვითარებული ქსელის არსებობას.

ნახატი 1. ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ძირითადი ეტაპები



მსოფლიო წლიდან წლამდე სულ უფრო განათლებული ხდება. გაეროს შეფასებით, გასული ათწლეულის მანძილზე მსოფლიო საზოგადოებამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში. თუ 1960 წელს მსოფლიო მოსახლეობის 36%-ს დაწყებითი საბაზისო განათლებაც კი არ ჰქონდა, 2000 წლისათვის ეს ციფრი უკვე 25%-ს, ხოლო დღეისათვის კი - 21%-ს შეადგენს. და ეს მაშინ, როცა 1960 წლიდან 2000 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა 3 მილიარდიდან 6 მილიარდამდე გაიზარდა, ხოლო დღეისათვის კი იგი 7 მილიარდია. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის დღეს წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის რაოდენობა 1-2%-ს შეადგენს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (*Organization for Economic Cooperation and Development*) მონაცემებით მსოფლიო მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი ისწრაფვის და ღებულობს უმაღლეს განათლებას. 25-65 წლის კატეგორიაში შეფასებული შრომისუნარიანი ადამიანების საშუალოდ 32%-ს დღეს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი კი ისეთ ქვეყნებზე მოდის, როგორებიც არიან: კანადა (43%), აშშ (38%) და იაპონია (36%). ყველაზე ნაკლები კი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: მექსიკა (6%), თურქეთი და პორტუგალია (ორივეში 9%).

ცნება „ცოდნის ეკონომიკა“, ან „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“ გამოხატავს მატერიალური დოვლათის წარმოების ახალ წესს, რომელსაც ახალ ათასწლეულში გადასვლისას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება.

ცოდნის ეკონომიკა ინფორმაციულ საზოგადოებაში

უკანასკნელი დროის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტუალური გახდა ტერმინები: ინოვაციები, ინტელექტუალური კაპიტალი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ცოდნა. ქვეყნის პრემიერმინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში გამართულ საერთაშორისო სამიტზე თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ „უახლოესი პერიოდის მანძილზე საქართველო უნდა გახდეს ქვეყანა, რომლის კეთილდღეობა უნდა განაპირობონ ინტელექტუალურმა რესურსებმაც, კერძოდ კი, „ჰკვიანმა ეკონომიკამ“, რომელიც ქმნის უახლეს ცოდნასა და ტექნოლოგიებს“.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მეცნიერული პუბლიკაციების ნაკადში „ინფორმაციული საზოგადოების“ და „ცოდნის ეკონომიკის“ კონცეფციები ხშირად მეტოქეობენ კიდევ იმაში, თუ რომელი გამოხატავს უკეთ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პარადიგმას. ჩვენი აზრით კი ეს ორი ცნება სხვადასხვა შინაარსის მატარებელია, თუმცა მათ ბევრი საერთო ელემენტი გააჩნია.

ვფიქრობთ, რომ ცნებამ „ინფორმაციული საზოგადოება“ დიდი ხანია, დაკარგა თავისი ტექნოლოგიური შინაარსი და დღეს უბრალოდ საზოგადოების განვითარების ერთგვარ საფეხურს უფრო აღნიშნავს. განვითარების ეს საფეხური კი დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიური წყობის ფორმირებასთან, რომელიც ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული. არსებრივად, იგი ახასიათებს ადამიანური ცივილიზაციის მოქმედ ვექტორს.

ფართო გაგებით აღებული ცნებას „ცოდნის ეკონომიკა“ დღეს განაკუთვნიებენ სამ ძირითად სფეროს:

- სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოს და ინოვაციებს;
- განათლება-სწავლებას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის ფორმირებას;
- საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.


მიუხედავად იმისა, რომ ეს სფეროები დღემდე ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და თავისი კანონებით ფუნქციონირებენ, მათ შორის მაინც არსებობს ორგანული კავშირი და ერთი მათგანის წარმოდგენა სხვების გარეშე შეუძლებელია. ამის მტკიცებისათვის ცალკე მაგალითების მოყვანა დღეს უკვე ზედმეტად მიგვაჩნია. ფაქტიურად საზოგადოებრივი საქმიანობის ამ სამი სფეროს სულ უფრო მჭიდრო კონვერგენცია ჩვენ თვალწინ ხდება, ვინაიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა სფეროებში დიფუზია შეუძლებელია შემქმნელთა შესაბამისი პროფესიული დონისა და მომხმარებელთა მინიმალური საინფორმაციო განათლების გარეშე. გარდა ამისა, ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნისათვის აუცილებელია ახალი მეცნიერული ცოდნა და ამ ცოდნის კომერციულ პროდუქტებად ქცევის მექანიზმები. ანუ, ჩვენ ვუბრუნდებით ცოდნის ეკონომიკას, როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მთლიანად ინფორმაციული საზოგადოების განვითარების უმთავრეს პირობას. იმისათვის, რომ მოვახდინოთ ნათქვამის ვიზუალიზაცია, ჩვენ შევქმენით სქემა (ნახ. 1).

სამი წრეწირით შექმნილი ფიგურის გარე კონტური წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელების პოტენციურ საზღვრებს (ეკონომიკის სხვა დარგების გათვალისწინების გარეშე). სამი სექტორის გადაკვეთის საერთო არე - ის, რასაც ვუწოდებთ ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ბირთვი.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს სქემა საზოგადოების მომავალი განვითარების ყველაზე უფრო შესაძლო სცენარს წარმოადგენს, რომელიც გახდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი ზრდის კატალიზატორი.

ინვესტიციების მოცულობით თუ ვიმსჯელებთ, აშშ და იაპონია ცოდნის ეკონომიკას გაცილებით სწრაფად ავითარებენ, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნები. ამავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებმა, იციან რა საკუთარი ჩამორჩენის შესახებ, გამოვიდნენ ახალი ინიციატივით - 2015 წლამდე აიყვანონ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და ტექნოლოგიების დაფინანსება მთლიანი შიდა პროდუქტის 5,5%-მდე. ევროკომისიამ კი 2010 წელს დაადასტურა ახალი პოლიტიკური ინიციატივა „ევროპული საინფორმაციო საზოგადოება - 2010“.

ნახატი 2. ცოდნის ეკონომიკისა და ინფორმაციული საზოგადოების ურთიერთქმედება



დღეს ყველაზე უფრო პერსპექტიულ გზას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენს, პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით და ცოდნის წარმოება ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყარო ხდება.

ამ ტენდენციის განვითარების ტემპებზე მიგვითითებს თუნდაც ის, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებული მეცნიერებისა და ინჟინრების 90% - ჩვენი თანამედროვეები არიან, ხოლო ცოდნის მთელი მოცულობის 90% კი ბოლო სამი ათწლეულის მანძილზეა შექმნილი.

მთლიან შიდა პროდუქტში მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წილის მიხედვით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სია ასე გამოიყურება: სამხრეთ კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, შვეიცარია, გერმანია, იაპონია, აშშ. საინტერესოა, რომ ევროკავშირის ქვეყნები მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოების მოცულობით საგრძნობლად უსწრებენ იაპონიასა და აშშ-ს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი უკანასკნელის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ჭარბობენ ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებელს.

რიგ ქვეყნებში დღეს რეგულარულად ტარდება ცოდნის ეკონომიკის საერთაშორისო სამიტები. მაგალითად, ჩინეთში ცოდნის ეკონომიკა ოფიციალურადაა აღიარებული სახელმწიფო სტრატეგიად. მისი მიმდევრები, რომელთა რიცხვიც დღითიდღე მატულობს, ამ ქვეყნისათვის ჩვეული ენთუზიაზმით სწავლობენ ახალ ციტატას: „ცოდნის ეკონომიკის საფუძველი განათლებაა! თანამედროვე სამყაროში ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა - კონკურენცია - სულ უფრო მისწრაფის ცოდნაში კონკურენციისაკენ“. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში წლიდან წლამდე იზრდება ჩინელი სტუდენტების რაოდენობა, ქვეყანა მიზანმიმართულად ქმნის მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლეების ათვისების სახელმწიფო სისტემას. ჩინეთმა თავის უმთავრეს მიზნად დაისახა ცოდნაზე მოთხოვნის ორგანიზება. საყურადღებოა, რომ ქვეყანაში ოფიციალური მონაცემებით არსებულის 90%-ზე მეტი მოპარული კომპიუტერული პროგრამები ფუნქციონირებს.

ცოდნის წარმოება მსოფლიოში მკაფიოდაა ლოკალიზებული, ხოლო მათი მოხმარება კი საოცრად თანაბრადაა განაწილებული. ცოდნის წარმოების მსოფლიოში აღიარებულ ცენტრებს წარმოადგენენ კალიფორნიისა და მასსაჩუსეტისის შტატები (აშშ), საუნივერსიტეტო ქალაქები ოქსფორდი და კებრიჯი (დიდი ბრიტანეთი), პარიზი (საფრანგეთი), მოსკოვი, პეტერბურგი და ნოვოსიბირსკი (რუსეთი). ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვაობები ცოდნის ეკონომიკის მაჩვენებელთა შორის გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შტატების ეკონომიკის სხვა დარგებში. ამავდროულად ვენჩურული კაპიტალის თითქმის 2/3 ლოკალიზებულია მხოლოდ სამ შტატში - კალიფორნიის, მასსაჩუსეტისისა და ნიუ-იორკის.

როგორც ჩვეულებრივი ეკონომიკის დარგები, ისე ცოდნის ეკონომიკაც საჭიროებს გაზომვას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს არის გაცემული პატენტების რაოდენობა. გარდა ამისა, ამ სფეროში ოფიციალურ მაჩვენებლად მიჩნეულია ცოდნის მოხმარებელთა რაოდენობაც. მაგრამ ამ სფეროში დღეს მოთხოვნა და მიწოდება დღეს ხშირად არ ემთხვევა.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი:

- ცოდნის ეკონომიკაში არ შეიძლება, როგორც ბაზაზე, შეთავაზებულ იქნას გასაყიდი პროდუქტის საცდელი ერთეულები, იმისათვის რომ შემდეგ მთელი პარტია გაიყიდოს. ცოდნის ბაზარი ეფუძნება რეპუტაციასა და ურთიერთნდობას. სწორედ რეპუტაცია ღირს ამ სფეროში ყველაზე ურო ძვირი. საინტერესოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1999 წელს შექმნილი 800 ათასი ახალი კომპანიიდან 2014 წლისათვის გაკოტრდა და გაქრა 700 ათასი. მაგრამ დარჩენილი 100 ათასი კომპანია ცდილობს, დანერგოს მარალტექნოლოგიური პროდუქტია;
- როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, მსხვილმა კომპანიებმა პირველ რიგში საკუთარი სარგებლობისათვის უნდა შექმნან უფრო წვრილი ფირმები, ხოლო სახელმწიფო ინოვაციური და ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს, მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ უსაფრთხოებას, ფუნდამენტური მეცნიერებების, განათლებისა მაღალტექნოლოგიური სექტორები განვითარებას, ვინაიდან სწორედ ეს მიმართულებები შეადგენს დღეს ცოდნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს და დამასისტემებელ მიმართულებებს;
- დღეს სახელმწიფოსა და ეკონომიკის განვითარების ყველაზე უფრო პერსპექტიულ გზას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება;
- ქვეყნის კონკურენტუნარიანობა თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სამუშაო ძალების კონკურენტუნარიანობაზე, რაც განაპირობებს ადამიანური კაპიტალის განვითარების ახალი მექანიზმების ფორმირებას.

ლიტერატურა:

1. Dosi G., Innovation, organization and economic dynamics: sel. essays / Cheltenham; Northampton (Mass.): Elgar, cop. 2000;
2. Портер М. Международная конкуренция. М., Международные отношения, 1993.
3. Freeman C. The National System of Innovation in Historical Perspective // Cambridge Journal of Economics, 1995;
4. Lundvall B.-A. National Systems of Innovation. Towards a Theory of Innovation and Interactive Learning, London: Pinter Publishers, 1992;
5. Nelson R. National Innovation Systems. A Comparative Analysis. Oxford: Oxford University Press, 1993. 14

Maia Chechelashvili

Georgian Technical University

**INNOVATIONS AND THEIR ROLE IN HUMAN CAPITAL DEVELOPMENT AND THE
FORMATION OF THE KNOWLEDGE ECONOMY
RESUME**

The article discusses the knowledge economy, which is the highest stage of the post-industrial and innovative development of the economy.

The author mentions the Western sources, in which the terms "post-industrial economy" and "innovative economy" is often used as synonyms. But, according to the author, the knowledge economy, an innovative economy, the highest step of the formation and development of human capital remains a key factor.

Based on the experience of the world in this field, the author shows that large companies use to create their own first smaller firms. While the innovative and general economic policy should aim at a modern, knowledge-based economy in the construction, which will provide a high level of life of the population, its economic, political and social security, fundamental science, education, high-tech sectors. The author believes that the most important direction of the economy is the knowledge system.

ხალიანა ჩიტაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი თენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ვალდებულებების სწორად აღრიცხვა – ფინანსური ანგარიშგების მომზადების და
წარდგენის საფუძველი**

ბუღალტრულ აღრიცხვაში ორგანიზაციები ახდენენ იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულებათა ასახვას - მისი დებიტორების და ორგანიზაციის ვალდებულებას ფიზიკური და იურიდიული პირების - მისი კრედიტორების სახით. ვალდებულებების უპირველესი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე მოვალეობა. ვალდებულება არის საწარმოს მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება ექვემდებარება გარკვეულ ნორმებს. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესრულებული კონტრაქტის, ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. შეიძლება წარმოიშვას საქონლის ან მომსახურების მოწოდებისათვის. ვალდებულება წარმოიშობა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში, ასევე, თუ საწარმოს სურს შეინარჩუნოს კარგი საქმიანი ურთიერთობა დამკვეთთან, ან სხვა კლიენტებთან. საერთაშორისო პრაქტიკაში ვალდებულებებს ახასიათებს შემდეგი თვისებები: ვალდებულება, როგორც წესი, თავის თავში მოიცავს მომავალში აქტივების გასვლას საწარმოდან; ვალდებულება აუცილებელია შესრულდეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა საწარმო ვერ მიიღებს შემოსავალს (მოგებას); ვალდებულება

განპირობებულია საწარმოს წარსული საქმიანობით და არა მომავალი მოქმედებით. ვალდებულება, ანუ იგივე კრედიტორული დავალიანება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარსულში წარმოიშვა სამეურნეო მოვლენების შედეგად და გულისხმობს საწარმოდან ეკონომიკური რესურსების გასვლას. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ვალდებულების ქვეშ იგულისხმება ურთიერთდამოკიდებულება, რომლის ძალითაც ერთი მხარე (მოვალე) ვალდებულია განახორციელოს მეორე მხარის (კრედიტორის) სასარგებლოდ გარკვეული ქმედება (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაოები, გადაუხადოს ფული) ანდა თავი შეიკავოს აღნიშნული ქმედებისგან. ვალდებულებების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით: ფულადი სახსრების გადახდით, მომსახურების გაწევით, სხვა აქტივების გადაცემით. ყველა ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საგანს გააჩნია იურიდიული და ეკონომიკური შინაარსი. ვალდებულებები დაფარვის ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება დაყვით ორ ჯგუფად: გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად. ბასს-ის სტანდარტების მიხანს წარმოადგენს ვალდებულებათა აღრიცხვის თავისებურებები საერთაშორისო საანგარიშსწორებო ურთიერთობებით და ამ ურთიერთობების გაუმჯობესების გზების განსაზღვრა თანამედროვე საბაზრო პირობებში. ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საწარმოების ფუნქციონირებისათვის ნორმალური და აუცილებელი პირობების შექმნა ვალდებულებათა აღრიცხვის სფეროში, საერთაშორისო საანგარიშსწორებო ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის გზები.

ნაშრომის კვლევის მიზანია, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, განვსაზღვროთ საქართველოს საწარმოების ვალდებულებათა არსებობის დროს წარმოქმნილი ფინანსური შედეგი, რომლის იურიდიული შეფასება დროის გარკვეულ პერიოდში რჩება უცვლელი, ან იცვლება მისი წარმოშობის წყაროების მახასიათებლების შესაბამისად. ასევე ამ პრობლემის თეორიული გზების ძიება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოს ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სავაჭრო, ანუ მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც მოწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ღირებულება არაა გადახდილი. აღნიშნული კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადა დაფიქსირებულია მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ანუ კონტრაქტში.

საწარმოები ხშირად შეძენებს ახორციელებენ უცხოური ვალუტით შემდგომი გადახდის პირობით. ასეთ შემთხვევაში ვალდებულება წარმოიშობა ვალუტით წარმოებული ოპერაციების დროს. ასეთი ოპერაციები თავდაპირველად იმავე დროის სავალუტო კურსით წარმოებს, ხოლო ფინანსური ანგარიშების შედგენისას უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები უნდა აისახოს საბოლოო სავალუტო კურსით.

პრაქტიკაში მყიდველსა და მომწოდებელს შორის ხშირად გამოიყენება წინასწარი გადახდა (ავანსი). ურთიერთობის ეს ფორმა ნიშნავს, რომ წარმოიშობა ვალდებულება, რომელთა მიხედვით მიწოდება ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ კლიენტისგან წინასწარ მიღებული არის თანხები.

საწარმოს ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოს აღრიცხვას. ხშირად საწარმოს წარმოეშობა ვალდებულება იქ დასაქმებული პერსონალის მიმართ შრომის ანაზღაურების სახით. საქართველოში შრომის კოდექსის შესაბამისად ურთიერთდამოკიდებული პირები არიან დამქირავებელი და დაქირავებული ადამიანები. შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად დამქირავებელი უწესებს და დაქირავებული ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. შრომითი ხელშეკრულება არის დოკუმენტი, სადაც გაითვალისწინება მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ასევე შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად განისაზღვრება შრომის ანაზღაურების ფორმა, ვადა და ოდენობა.

დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა რეგულირდება ბასს 19 -ით.

საწარმო დახარჯული შრომის ასანაზღაურებლად გასცემს ხელფასს. ხელფასის გაცემა ხდება გარკვეული პერიოდულობით. უმეტეს შემთხვევაში თვეში ერთხელ. დასაქმებულის მიერ ყოველთვიურად გამოიმუშავებული თანხა, ერთი მხრივ, აისახება საწარმოს ხარჯებში, ხოლო მეორე მხრივ - ვალდებულებებაში.

როიალტი - ეს არის ვალდებულება, რომელსაც იხდის იურიდიული პირი ფასეულობის გამოყენებისათვის. როიალტს მიეკუთვნება: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოლოგიური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასური; საავტორო უფლების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის, ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის

გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი; სამრეწველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი; ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი; კინოფილმის, ვიდეოფილმის, ხმის ჩანაწერის, ან ჩაწერის სხვა საშუალების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი; საიდუმლო ფორმულის ან პროცესის, ასევე სამრეწველო, კომერციული ან მეცნიერული გამოცდილების შემცველი ინფორმაციის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირისთვის გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი; ამ ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებული შემოსავალი.

საკომისიო გადასახდელებზე თანხას ფირმა იხდის, როდესაც წარმოემოხა ვალდებულება შუამავალზე კრედიტით გაწეული მომსახურების დროს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების 49-ე პუნქტში ხაზგასმულია, რომ ვალდებულება არის გასული პერიოდის სავაჭრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, საგადასახადო ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი მომავალში გადასახდელი ვალი, რომელიც ეყრდნობა სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ ნორმებს და ძალაში შედის საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ვალდებულებათა მოცულობა იურიდიულ და ბუღალტრულ აზროვნებაში არ ემთხვევა ერთმანეთს და აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. იურიდიულ ჭრილში ვალდებულებათა მოცულობა განისაზღვრება ხელშეკრულებაში მითითებული თანხით და ისინი თითქმის ყოველთვის მეტია ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული ვალდებულებების თანხებზე. საქმე ის არის, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები იწყებენ ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვას მხოლოდ მათი შესრულების დაწყების მომენტიდან.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ყურადღება უნდა მიექცეს მიწოდებით და მომსახურებით წარმოშობილ კრედიტორულ დავალიანებას, გადასახდელ დივიდენდებს, ხარჯებთან დაკავშირებული ვალდებულებებს, ხელფასებთან დაკავშირებულ გადასახადებს, გამოუმუშავებელ შემოსავლებს, საგარანტიო ვალდებულებებს, გადასახდელ გადასახადებს და გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილის წარმოშობის საფუძვლის და რეალობის გაანალიზებას. შესაბამის ბუღალტრული კორექსიონდენციების სისწორეს და მათ ასახვას აღრიცხვაში.

ლიტერატურა:

1. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., „ბუღალტრული აღრიცხვა – თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით“, თბილისი, 2013.
2. ნანუაშვილი გ., ნანუაშვილი ს., „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, თბილისი, 2003.
3. ჩიტაძე ხ., თენაძე გ., „ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები“, გორი, 2009.

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://www.nbg.gov.ge/>
2. <http://www.mof.ge/>
3. <http://www.statistiks.ge/>
4. <http://www.parliament.ge>
5. www.pbo.ge
6. www.economists.ge

Khaliana Chitadze

Gori State Teaching University

Giorgi Tenadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CORRECT ACCOUNTING OF LIABILITIES AS A BASE OF PREPARING AND REPORTING FINANCIAL STATEMENTS RESUME

Work „Correct accounting of liabilities as a base of preparing and reporting financial statements” is discussed by the standards of IAS accordingly with particularities of calculation, international relations and to define improving in the modern market condition.

The aim of work is to define theoretical and practical knowledge with the opportunity of experience, during the existence of Georgian industrial obligations, formation of financial result, whose legal estimation stays invariable in some period or changes according to its origin characters.

Also to find theoretical ways according to the experience of developed countries and Georgia's economical particularities.

დავით ჭიოტაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფინანსური რისკების სადაზღვევო უზრუნველყოფა საქართველოში

აბსტრაქტი:

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარება საგრძნობია, თუმცა ის, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარს შეუძლია გლობალური სადაზღვევო დაცვის უზრუნველყოფა, ამაზე საუბარი ნაადრევია. ამის ბევრი წინაპირობა არსებობს და მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ისეთი სადაზღვევო პროდუქტის სრულფასოვნად შემოთავაზებას, როგორცაა ფინანსური რისკების დაზღვევა.

შესავალი:


ბიზნესის ფუნდამენტური კანონია - სწორად განვსაზღვროთ სხვა და სხვა სახის რისკები და შესაბამისად დავგეგმოთ საქმიანობა, თუმცა არსებობს რისკები, რომელსაც წინასწარ ვერ გაითვალისწინებ. ასეთმა გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ შეიძლება დიდი ფინანსური ზარალი მიაყენოს კომპანიას ან საწარმოს და რამდენიმე წლით უკან დახიოს მისი საქმიანობა. დაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რომ თავი დავიცვათ გაუთვალისწინებელი რისკებისგან და მათგან გამოწვეული ფინანსური დანაკარგისგან. ამ შედეგის მიღწევის ერთ-ერთი გზა სწორედ ფინანსური რისკების სადაზღვევო უზრუნველყოფაა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფინანსური რისკების დაზღვევა ძალიან დაბალი ტემპით იკიდებს ფეხს და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის განუვითარებელია. დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია გასცემს ფინანსურ გარანტიებს. სადაზღვევო ბაზარზე ნაკლებად არსებობს ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტი, რომლის გაცემა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების პრეროგატივაა. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რისკების დაზღვევაში კომერციული ბანკები გვევლინებიან სადაზღვევო კომპანიების კონკურენტებად. სადაზღვევო სფეროში ფინანსური რისკების დაზღვევის განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ პროექტების ზრდა, რომლებზედაც გამოცხადდება ტენდერები. ასევე მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლება. ამით მეწარმე შეეცდება ფინანსური გარანტიის საჭიროებისას მიმართოს არა ბანკს არამედ სადაზღვევო კომპანიას

საქართველოში ფინანსური რისკების დაზღვევას გარკვეულ სტიმულაციას აძლევს სახელმწიფო. სახელმწიფო ითხოვს გარანტებს კომპანიებისგან (გარანტი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელსაც გასცემს ან ბანკი ან სადაზღვევო კომპანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური რისკებისგან დაზღვევა ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სადაზღვევო ბაზარზე. ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტებიდან გამოყოფენ შემდეგ სადაზღვევო პაკეტებს: საგარანტიო მომსახურება - წინასატენდერო გარანტია; საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა; საბაჟო გარანტია; გარანტია საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად და ხარისხის გარანტია. ყველაზე აქტიური მოთხოვნა ფინანსური გარანტიებიდან არის წინასატენდერო, ხელშეკრულების შესრულების და საავანსო გარანტიებზე.

დისკუსია და სტატისტიკური მონაცემები:

სხვადასხვა რისკებისა და საფრთხეების დაზღვევა უპირველესი საზრუნავია ნებისმიერი ბიზნეს ორგანიზაციისთვის. ბიზნესის მფლობელები და თანამშრომლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ერთ გაუთვალისწინებელ შემთხვევას არ მოჰყვება საწარმოს დიდი ხნით გაჩერება, ან თუნდაც გაკოტრება. გაუთვალისწინებელი ფინანსური და არასაფინანსო რისკების გამო სამეწარმეო საქმიანობის შეფერხება ერთ-ერთი მთავარი რისკფაქტორია ბიზნესისათვის. მსოფლიოში წამყვანი სადაზღვევო ბროკერის, „აონის“ (AON) მონაცემებით ბიზნესის თითქმის 80% კოტრდება, თუ ბიზნეს საქმიანობის შეფერხების პერიოდი ერთ თვეს აჭარბებს.



ფინანსური რისკის დაზღვევა ეს არის კრედიტების, საბირჟო და სავალუტო რისკების, ვალუტის კურსის ცვლილების, მოგების დაკარგვის, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული ტვირთის გატარების დროს წარმოქმნილი ფინანსური პასუხისმგებლობის და სხვა ფინანსური კატეგორიების დაზღვევა.

ფინანსური რისკის დაზღვევის სახეობებია:

საბაჟო გარანტია

საბაჟო გარანტია ანუ ფინანსური რისკის დაზღვევა გულისხმობს კომპანიის, ან ფიზიკური პირის საქმიანობიდან გამომდინარე მესამე მხარისადმი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის დაზღვევას, ან საგარანტიო უზრუნველყოფას. ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოსადმი ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის დაზღვევას. ფინანსური რისკის დაზღვევის სახეობებია:

- საქონლის დროებითი გადამუშავების რეჟიმში მოქცევის ფინანსური რისკის დაზღვევა;
- სატერმინალო საქმიანობის ფინანსური რისკის დაზღვევა (ღია, ღია დროებითი, დახურული და დახურული დროებითი).

სადაზღვევო გარანტია:

საგარანტიო წერილი, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. სადაზღვევო გარანტიის სახეობებია:

- საავანსო გარანტია - გარანტია ეძლევა დამქირავებელს მასზედ, რომ მის მიერ კონტრაქტორისადმი წინასწარი ანგარიშსწორებისას გადახდილი თანხა ხელშეკრულების შესაბამისად გაიხარჯება, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა დაუბრუნდება დამქირავებელს კონტრაქტორის მიერ.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების უზრუნველყოფის გარანტია - აღნიშნული გარანტია არის პასუხისმგებლობა მასზედ, რომ კონტრაქტორი შეასრულებს სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. გარანტი პასუხისმგებელია შეუსრულებლობაზე, დაგვიანებაზე და განსაზღვრულ ჯარიმებზე.
- სატენდერო გარანტია - უზრუნველყოფს სატენდერო მასალების კეთილსინდისიერად მომზადებას. იგი გარანტიას აძლევს დამქირავებელს, რომ ტენდერის მონაწილე გამარჯვების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობებით გაფორმდება ხელშეკრულება.

სასაქონლო კრედიტის (კონსიგნაციის) რისკების დაზღვევა:

სასაქონლო კრედიტის რისკების დაზღვევა იცავს მომწოდებელს და მწარმოებელს კრედიტის პირობებით მიწოდებული საქონელის ან მომსახურების გადაუხდელობის რისკისაგან. წლიური ტარიფის სიდიდე დამოკიდებულია საგარანტიო/სადაზღვევო პერიოდის, საგარანტიო თანხისა და ქონებრივი უზრუნველყოფის სიდიდეზე.

საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიები რამდენიმე მიმართულებით სთავაზობენ ბიზნესს ორგანიზაციებს და საწარმოებს რისკების დაზღვევას და მომსახურების გარკვეულ სპექტრს მოიცავენ. მთავარია, ამ შეთავაზებებში კარგად გარკვევა და სასურველი და ოპტიმალური სადაზღვევო პაკეტის შერჩევა.

დღეისათვის ბევრი მეწარმე საჭიროებს საკუთარი ბიზნესის გაფართოვებას და განვითარებას. მომხმარებელთა პორტფელის ზრდა კი ყოველთვის დამატებით რისკებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ გადაჭარბებულმა სიფრთხილემ შეიძლება მკვეთრად შეაფერხოს წინსვლა და განვითარება. გამომდინარე აქედან, მსგავსი სიტუაციებიდან თავის დაღწევის საუკეთესო გამოსავალი არის ფინანსური რისკებისგან დაზღვევა, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს დამაჯერებლად დაგეგმონ თავიანთი ბიზნესის შემდგომი განვითარება.

ამ საკითხზე მომუშავე საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ერთერთი მონაწილე „აი სი“ ჯგუფი გვთავაზობს შემდეგ სადაზღვევო პროდუქტებს:

- კომპლექსური საბანკო დაზღვევა;
- საქმიანობის დროებითი შეჩერებისგან დაზღვევა;
- გირაოს დაზღვევა;
- საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი ფინანსური გარანტიები;
- სხვა ფინანსური გარანტიები.

სადაზღვევო კომპანია „არდის“ მიერ შემოთავაზებული ფინანსური რისკების დაზღვევა (საბანკო გარანტია) გულისხმობს მესამე მხარისადმი ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის დაზღვევას ან საგარანტიო უზრუნველყოფას. ფინანსური რისკის დაზღვევა ითვალისწინებს ბანკის, სახელმწიფოს ან სხვა კრედიტორისადმი ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის დაზღვევას.

- 1 - სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია;
- 2 - ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია;
- 3 - წინასწარი (საავანსო) გადახდის საბანკო გარანტია;
- 4 - საბაჟო ვალდებულების შესრულების გარანტია ფინანსური რისკების დაზღვევის პოლისი.

აღნიშნული პროდუქტი ბანკების მიერ შეთავაზებული გარანტიების ალტერნატიული ვარიანტის სახით გვევლინება და ბევრად ხელსაყრელი და მოსახერხებელია კლიენტისათვის ფინანსური და ოპერატიულობის თვალსაზრისით. გარანტიის თანხის მოცულობა დამოკიდებულია ბენეფიციარის (მოსარგებლის) კონკრეტულ მოთხოვნაზე.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ მიერ შემოთავაზებული ფინანსური რისკების დაზღვევა (საბანკო გარანტია) გულისხმობს:

- ფინანსური რისკის დაზღვევა
- საგარანტიო მომსახურება
- სასაქონლო კრედიტის რისკების დაზღვევა

მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო პროდუქტის გარკვეული სპექტრი არსებობს, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თუ გადავხედავთ სტატისტიკას, 2014 წლის მონაცემებით, საფინანსო რისკების დაზღვევით მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 1 082 503 ლ, რაც სადაზღვევო ბაზრის 0.36% შეადგენს. 2015 წლის მონაცემებით კი, მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 1 578 134 ლარი, რაც სადაზღვევო ბაზრის 0,44%-ია. აღნიშნული სტატისტიკა ნათლად ადასტურებს - საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ისეთი სადაზღვევო პროდუქტის სრულფასოვნად შემოთავაზებას, როგორცაა ფინანსური რისკების დაზღვევა. გამომდინარე აქედან, არსებულ პროდუქტებზე მოთხოვნაც შესაბამისია.

ინტერნეტ-რესურსები:

www.insurance.gov.ge

www.nbg.gov.ge

Davit Tchiotashvili
Gori State Teaching University
FINANCIAL RISK INSURANCE IN GEORGIA
RESUME

The insurance market in financial risks are very low and it may be taking place at a pace that is almost undeveloped. However, the insurance market there is a certain range of insurance products and insurance companies operating in Georgia in several areas of business organizations and enterprises to offer risk insurance, but the market can not provide a full offer insurance products, such as financial risks. Hence, the demand for the products in accordance with the modest.

თეა ხორგუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფინანსური რისკების გამოვლენის წყარო, შეფასება და მართვის თავისებურებები

საბაზრო ურთიერთობათა გარდამავალი პერიოდის პირობებში საზოგადოებრივი წარმოების განვითარება შეუძლებელია რისკების თავისებურებათა შესწავლისა და მათი სამეურნეო ბრუნვაში ოპტიმალურად მორგების გარეშე. არსებული თანამედროვე კონკურენტულ არაპროგნოზირებად ეკონომიკურ გარემოში ბიზნეს ორგანიზაციებისათვის სულ უფრო რთული ხდება ბაზარზე პოზიციების დამკვიდრება და არსებული მდგომარეობის შენარჩუნება.

ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას ყველა დროში მუდამ განსაზღვრული რისკის წილი ახლდა, რომლებიც ადამიანების საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგი იყო ან მათი სურვილისა და მისწრაფებისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. თუ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ადამიანისათვის მთავარ საშიშროებას ბუნებრივი მოვლენები, მტაცებლისა და მტრულად განწყობილი ტომების თავდასხმები წარმოადგენდა, თანამედროვე მსოფლიოში კი - ბუნების სტიქიასთან ერთად მუდმივად სახეცვალეზადი სხვა საშიშროებებიც არსებობს, როგორებიცაა: ტექნოლოგიური ავარიები, საერთაშორისო ტერორიზმი, ეკონომიკური კრიზისები და სხვა.

„რისკის“ ცნება ადამიანური საქმიანობის ნებისმიერი სახის განუყოფელი ატრიბუტი მყარად დგას ჩვენს ცხოვრებაში. აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, რისკის შესახებ მეცნიერების განვითარების, მისი ფუნქციების, თავისებურებების, რისკების ფაქტორების სახით დამატებით სტიმულს წარმოადგენს. მეორე მხრივ იგი - გამოკვლევების ნაირსახეობას, ეკონომიკური რისკის თეორიის ძირითადი ცნებისადმი მიდგომის მრავალფეროვნებას გამოხატავს.

საბაზრო ეკონომიკა სერიოზულ პრობლემებს აყენებს სამეურნეო სუბიექტების (ფირმების, კომპანიების, კორპორაციების და სხვა.) წინაშე.

ბიზნესში რისკის წარმოშობა დაკავშირებულია იმ სუბიექტთა მოქმედებასთან, რომლებიც ურთიერთობაშია კორპორაციის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობასთან (აქციონერები, კრედიტორები, კლიენტები, მომწოდებლები, საწარმოო პერსონალი და ხელისუფლება). ფირმის, კომპანიის, კორპორაციის სამეურნეო საქმიანობისათვის ძირითადად სამი სახის რისკებია დამახასიათებელი:

1. წარმოებასთან დაკავშირებული რისკები;
2. გამოშვებული პროდუქციის ფასების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები;
3. წარმოების ფაქტორების ფასებთან დაკავშირებული რისკები.

რისკის სრულად გამოვლენისათვის აუცილებელია იგი განხილულ იქნეს მასზე მოქმედი ფაქტორის გათვალისწინებით. კორპორაციაში რისკების მრავალრიცხოვანი სახეების გამოვლენა-შესწავლისათვის აუცილებელია ყველა იმ რისკის ჩამონათვალი გაკეთდეს, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კორპორაციაში.

რისკის შეფასება წარმოადგენს იმ დანახარჯების განსაზღვრას, რომლებიც დაკავშირებულია რისკის სახეებთან და გამოვლენილია რისკის მართვის პირველ ეტაპზე.

მსოფლიო პრაქტიკა იცნობს რისკის შესამცირებლად მისი მართვის 4 ძირითად საშუალებას - რისკისგან თავის დაღწევას, ზარალის თავიდან აცილებას, რისკის უშუალოდ მიღებას და რისკის გადატანას. გამოვლენილი რისკის დასაძლევად შერჩეული საშუალებების რეალიზაციის მთავარი პრინციპი უნდა გახდეს ნაკლები დანახარჯებით გამოვიყენოთ ეს საშუალებები.

იმის გამო, რომ რისკები დროში ცვალებადია, მასზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: საქმიანი ციკლის რყევადობა, ფისკალურ და ფულად პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები. ამიტომ არის, რომ კონკრეტული სიტუაციის რისკიანობის შესაფასებლად ნებისმიერი სახის ზოგადეკონომიკურ ინფორმაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

განვითარებად ქვეყანაში მოქმედ მაკროეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად საწარმოები და კორპორაციები მოვალენი არიან თვალყურის ადევნონ მათი ბიზნესისათვის დამახასიათებელ სტანდარტულ საფრთხეებს: იმ ახალ კონკურენტებს, რომლებიც ხშირად ცვლიან თამაშის წესებს, ტექნოლოგიურ გარდევებს, რომლებსაც შეუძლიათ არა მარტო ხელი შეუწყონ კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფას, არამედ გაანადგურონ ბიზნესი და ბოლოს გლობალიზაცია.

იმისათვის, რომ საწარმომ თავი დააღწიოს ფინანსურ საფრთხეებს, მათი ხელმძღვანელები მოვალენი არიან აამაღლონ მოქნილობა, მართვაში საგნობრიობა, ინტუიცია და პრობლემებისადმი მიდგომის სიმკაცრე. საწარმოს ხელმძღვანელობა ფინანსისტ-მენეჯერთა მთელი შემადგენლობა, დარგობრივი სამსახურები მოვალენი არიან პერიოდულად შეისწავლონ და გაანალიზონ გამოვლენილი რისკების უარყოფითი შედეგები და დასახონ მათი შემცირების უზრუნველყოფა ღონისძიებათა კომპლექსი.

საწარმოებში რისკების მართვა მოითხოვს სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ ინსტრუმენტებს, რომელთა ხელშეწყობითაც მათ ეძლევათ შესაძლებლობა აამაღლონ სააქციონერო ღირებულება და განახორციელონ ბიზნესის საერთო ხელმძღვანელობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რისკსა და შემოსავლებს შორის კომპრომისის კონცეფციის უზრუნველყოფას. რისკსა და შემოსავალს შორის კომპრომისის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ბიზნესში ნებისმიერი შემოსავლის მიღება ყველაზე მეტად კავშირშია რისკთან, თანაც ამ ორ ურთიერთდაკავშირებულ სიდიდეს შორის დამოკიდებულება პირდაპირპროპორციულია: რაც უფრო მაღალია მოსალოდნელი შემოსავლიანობა, დაბანდებულ კაპიტალზე უკუგება, მით უფრო მაღალია რისკის ხარისხი, ე.ი. იგი დაკავშირებულია შემოსავლიანობის შესაძლო მიუღებლობასთან და პირიქით.

თითოეული დაწესებულება ფუნქციონირებს გარკვეულ გარემოში, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების თანმდევ რისკებზე. შესაბამისად, რისკის ეფექტური მართვა სრულად უნდა ითვალისწინებდეს იმ გარემოს სპეციფიკას, რომელშიც დაწესებულება ფუნქციონირებს, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ამ დაწესებულებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზს. რისკის გარემოს შეფასება გულისხმობს იმ ძირითადი პარამეტრების განსაზღვრას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება რისკის მართვა და პროცესისათვის შესაბამისი ფორმატის განსაზღვრა.

რისკის გარემოს შეფასება მოიცავს:

- ა) რისკის მართვის შინაარსის განსაზღვრას;
- ბ) შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრას;
- გ) რისკის კრიტერიუმების ჩამოყალიბებას.

რისკის მართვის შინაარსის განსაზღვრა მოიცავს დაწესებულების მიზნების, ამოცანების, სტრატეგიის, მასშტაბის და პარამეტრების განსაზღვრას. ასევე, მთლიანად რისკის მართვის პროცესის განხორციელების მასშტაბისა და საზღვრების დადგენას, როგორც არის:

- დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების, მის მიერ განხორციელებული ქმედებების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- იმ გადაწყვეტილებების განსაზღვრა, რომელთა მიღებაც ხორციელდება დაწესებულების მიერ მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მართვის პროცესში;
- დაწესებულების საქმიანობის მოქმედების დროისა და ადგილის განსაზღვრა;
- რისკის მართვის ღონისძიებების მოცულობის წინასწარი განსაზღვრა, რაც არ გამოირცხავს შემდგომში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას და სხვ.

რისკის მართვის საწყის ეტაპზე საჭიროა მოხდეს რისკების შიდა და გარე ფაქტორების მიხედვით დაყოფა. შიდა რისკს წარმოადგენს დაწესებულების შიდა რესურსების შედეგად წარმოქმნილი რისკი, ხოლო გარე რისკს წარმოადგენს გარე ფაქტორების ზემოქმედებით წარმოქმნილი რისკი.

დაწესებულებაში რისკი შეიძლება დაიყოს სტრატეგიულ, ფინანსურ, ოპერაციულ და სხვა რისკებად. ასეთი კატეგორიის რისკები შეიძლება იყოს როგორც შიდა ან გარე ფაქტორით გამოწვეული, ასევე ორივე ფაქტორის ზემოქმედებით.

ძირითადი შიდა ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების რისკის მართვის ღონისძიებებზე არის: დაწესებულების მმართველობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციები და ანგარიშვალდებულების ფარგლები;


- დაწესებულების შესაძლებლობები რესურსებისა და ცოდნის თვალსაზრისით (დრო, პროცესები, ადამიანური რესურსები, სისტემები, დაწესებულების კაპიტალი, ტექნოლოგიები და სხვა);
- დაწესებულების მიზნები, ამოცანები და მათ მისაღწევად არსებული სტრატეგია და პოლიტიკა;
- ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციის მოძრაობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი (როგორც ფორმალური ისე არაფორმალური);
- დაწესებულების მიერ გამოყენებული სამართლებრივი აქტები, სტანდარტები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელოები;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმა, მოცულობა და სხვა.

გარე ფაქტორებს წარმოადგენს:

- ეკონომიკური, სოციალური, მარეგულირებელი, კულტურული, ფინანსური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე;
- დაწესებულების საქმიანობით დაინტერესებული დაწესებულების გარეთ არსებული პირები, ასევე მათთან ურთიერთობა, მათი მოლოდინი და აღქმა.


ზემოთ მოყვანილი გარე და შიდა ფაქტორებისა და რისკის მართვის შინაარსის შემუშავების შემდგომ უნდა განისაზღვროს რისკის კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება იყოს ოპერაციული, ტექნიკური, ფინანსური, სამართლებრივი, სოციალური, გარემოსდაცვითი, ჰუმანიტარული ან სხვა. ჩვეულებრივ კრიტერიუმი დამოკიდებულია დაწესებულების შიდა მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე, აგრეთვე შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებზე, მოლოდინებზე და მოსაზრებებზე.

პირველ ეტაპზე, უნდა ჩამოყალიბდეს ზოგადი კრიტერიუმი რისკის შეფასებისათვის, რაც შემდგომში უნდა განვითარდეს და დაიხვეწოს კონკრეტული რისკების იდენტიფიკაციის და რისკის ანალიზის ტექნიკის არჩევის შესაბამისად. ასევე, რისკის კრიტერიუმი უნდა შეესაბამებოდეს რისკის კატეგორიას და რისკის დონის გამოსახვის მეთოდს.



მას შემდეგ რაც მოხდება რისკის გარემოს შეფასება, შემდგომ ეტაპს წარმოადგენს რისკის შეფასება, რომელიც იყოფა 3 ეტაპად:

- რისკის იდენტიფიკაცია;
- რისკის ანალიზი;
- რისკის გაზომვა.



რისკის იდენტიფიკაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება რისკის მოძიება და დეტალური აღწერა. მნიშვნელოვანია, რომ იდენტიფიკაცია იყოს კარგად ჩამოყალიბებული და მაქსიმალურად ყველა რისკის მომცველი უწყვეტი პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაიდენტიფიცირებული ე.წ. „გამორჩენილი“ რისკი ვეღარ დაექვემდებარება რისკის მართვის პროცესს და შესაძლებელია, უარყოფითად იმოქმედოს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე. თითოეულმა დაწესებულებამ უნდა მოახდინოს თავისი სპეციფიკისა და მიზნებიდან გამომდინარე რისკების დაყოფა კატეგორიებად, საიდანაც ნათლად გამოჩნდება რისკის წარმოშობის წყარო.

რისკის იდენტიფიკაცია გულისხმობს ზემოქმედების შედეგების განსაზღვრას, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

რისკის ანალიზი ხორციელდება იდენტიფიცირებული რისკების ალბათობისა და გავლენის შესწავლის მიხედვით, რათა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა იმართონ ისინი.

შედეგად, რისკის ანალიზი გულისხმობს იმ ფაქტორების იდენტიფიკაციას, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ რისკის მოხდენის ალბათობაზე და შედეგებზე. საწყის ეტაპზე ხორციელდება წინასწარი ანალიზი, რომელიც გულისხმობს მსგავსი რისკების დაჯგუფებას, გაერთიანებას და დაბალი გავლენის მქონე რისკების გამორიცხვას (აღსანიშნავია, რომ გამორიცხვა არ გულისხმობს უგულებელყოფას, ვინაიდან მათი აღრიცხვა განხორციელდა რისკების იდენტიფიკაციის ეტაპზე.).

შემდეგი ეტაპია რისკის დონის განსაზღვრა მისი მასშტაბებიდან გამომდინარე. რისკის დონის განსაზღვრა ხდება არა მარტო რისკის მოხდენის ალბათობისა და გავლენის შესწავლით, არამედ ასევე ხდება რისკების ურთიერთდამოკიდებულებებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინება.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის გაღრმავების შედეგად ჩვენს ქვეყანაში იმატა საფინანსო რისკების წარმოქმნის საშიშროებამაც. საფინანსო რისკების კვალდაკვალ ფართო განვითარება ჰპოვა საბაზრო რისკებმაც. საინტერესოა, რამდენად არის შესაძლებელი ამ რისკებისაგან ბიზნესის დაზღვევის შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის რეალობაში. ბევრი რისკის დაზღვევა შეიძლება, მაგრამ, ცხადია ყველა სახის რისკს არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ დააზღვევს.

საქართველოში ბიზნეს რისკების მართვა მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ნორმატივების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველაზე უკეთესი დამცავი მექანიზმის ჩამოყალიბებას, გატარებულ ღონისძიებათა შედეგების ანალიზს, რისკების დაზღვევის საქმიანობის კორექტირებას და სხვა. საქართველოში ეკონომიკური სუბიექტების საფრთხისაგან დაზღვევა და ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ლიტერატურა:

1. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. ფინანსური კონტროლი, სახელმძღვანელო. - თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“. - თბილისი, 2012. - 357 გვ.
2. კაკულია რ, ლავთაძე გ. ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა, თბ., 2012. 342 გვ.
3. ლაზვიაშვილი ნ, „რისკ-მენეჯმენტი“, თბ., 2010.
4. ნარმანია დ., ფარესაშვილი ნ. რისკ-მენეჯმენტი, თბ., 2012, 233 გვ.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის და ფინანსური სექტორის სამართლებრივი რეგულირება. - თბილისი: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2015. - 600 გვ.
6. ცაავა გ. აბრამია თ., ცაავა დ, „რისკოლოგია“, თბ., 2007.
7. Вохмянина Ю. Н. Финансовая устойчивость банков в условиях макроэкономической нестабильности - Нижний Новгород, 2013

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://www.finrisk.ru>
2. <http://users.g.com.ua./finka>
3. <http://www.erisk.com>.
4. <http://forbes.ge/news>;
5. <http://www.geostat.ge>
6. <http://www.nplg.gov.ge/>

Tea Khorguashvili

Gori State Teaching University

FINANCIAL RISK EXPOSURE SOURCE, ASSESSMENT AND MANAGEMENT FEATURES RESUME

There was always a certain risk with human daily life, which was caused by them decision or exist despite of her/him wishes and aspirations. In the modern competitive and unpredictable economic conditions, maintenance and defense of current position is becoming more and more complicated. The development of social manufacture is impossible without optimally fitting and studying risk characters. We should remember that there is variety of risks (microeconomic, macroeconomic, general economic, financial, banking, currency, **portfolio and etc.**), **which is linked to financial relations.**

In the thesis are discussed risk factors, as considerable challenges of 21 century, which can make impact on financial sector and can cause probability of negative results. It is characterized by its nature and revealing specifics. We will discuss mechanisms of risk neutralize and defense, its forms and characters.

სოციალური მეცნიერებები და სამართალი Social Sciences and Law

ნუგ ზარ აბარმიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პლატონის ღმერთი

სიკეთის იდეა

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფრაგმენტულ ცნობებს ანაქსაგორას „ნუსზე“, პლატონი თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფილოსოფიური თეოლოგიის ფუძემდებლად და მის უდიდეს წარმომადგენლად. პლატონის იდეალისტურმა ფილოსოფიამ დიდი გავლენა მოახდინა III-IV საუკუნეების ეკლესიის მამათა აზროვნებაზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ღმერთის ქრისტიანულ-მონოთეისტური გაგება.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი პლატონს მოიხსენიებს, როგორც ელინ ღვთისმეტყველს, ხოლო ვილჰელმ ვინდელბანდი მიიჩნევს, რომ „...პლატონი ცდილობს რა რელიგიური დოგმატების ფილოსოფიურ დაფუძნებას, ის არის პირველი თეოლოგი“.

დიალოგ „ფილებოსში“ პლატონის ღმერთი სამი ჰიპოსტაზით, ანუ სამი სუბსტანციითაა წარმოდგენილი.

პირველი და უმაღლესი სუბსტანციაა სიკეთე, ანუ აბსოლუტური და თვითიგივეობრივი ზეერთი (ფილებოსი, 15 a-d, 16 cd, 19 b, 25 cd), რომელიც დიალოგ „პარმენიდეს“ აბსოლუტური ერთის დიალექტიკის ნათელყოფაა; „ფილებოსის“ მიხედვით, მეორე სუბსტანციაა კოსმიური გონება, რომელიც „პარმენიდეს“ შედარებითი ერთის დიალექტიკური ბუნების კონკრეტიზაციას წარმოადგენს.

მესამე სუბსტანცია კი - მსოფლიო სულია, რომელიც „პარმენიდეს“ მრავლობითი ერთია.

„პლატონის ღმერთი სამპიროვანია, ანუ საქმე გვაქვს ღვთაებრივ არსთა წარმართულ სამებასთან, რომლის პირველი ჰიპოსტაზი აბსოლუტური ერთი, ანუ უზენაესი სიკეთე-ქრისტიანობის მამა ღმერთია; მეორე ჰიპოსტაზი კოსმიური გონება-ქრისტიანობის ძე ღმერთია, ხოლო მესამე ჰიპოსტაზი-სამყაროს სული-ქრისტიანობის სულიწმინდაა“ (ბაჩანა ბრეგვაძე, პლატონური დიალექტიკის შედეგრი, თბ. 2002, გვ. 82).

სიკეთის იდეისგან დასაბამს იღებს კოსმიური გონება, გონებისგან კი სამყაროს სული.

აბსოლუტური ერთი, ანუ სიკეთის იდეა, ყოველგვარი თვისობრიობისგან განმარცხული არსსა და აზრზე მაღლა მდგომი ღმერთია, რომელსაც ვერ მივაწერთ ვერანაირ პრედიკატს; იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ის აზროვნებს ან არსებობს. მატერიალური თუ იდეალური სამყაროს მთელი სირთულის და მრავალფეროვნების მიღმა გონება დაემბნა აბსოლუტურად მარტივ, თვითმკმარ და თვითიდენტურ საწყისს. „ეს ერთია ყველაფერი და, იმავდროულად, არაფერი არ არის - ამბობს პლოტინი, რადგან ყველაფრის საწყისი ყველაფერი როდია; თუმცა, გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ის არის ყველაფერი, რადგანაც ყველაფერი მისგან გამოდის და მასვე უბრუნდება; ან, უფრო სწორად მის დონეზე ჯერ კიდევ არაფერი არ არის, არამედ მხოლოდ იქნება“ (პლოტინი, „ენეადა“, V, II, I).

აბსოლუტური ერთი, ანუ უზენაესი სიკეთე მთელი სინამდვილის პირველმიზეზი და პლატონის მთელი ფილოსოფიის გვირგვინია; იგია ჭეშმარიტება, სამართლიანობაც, მშვენიერებაც და მათზე მეტიც, მათზე უზენაესიც; იგია იდეალური სამყაროს დასაბამი, მისი სულიერი მზე, მისი ცენტრი: „ხილულ სამყაროში ის ბადებს ნათელს და მის მეუფეს, გონით საწვდომ სამყაროში კი თვითონვეა მბრძანებელი, რომელზედაც დამოკიდებულია ჭეშმარიტება და გონიერება“. (პლატონი, სახელმწიფო, VII, 517 c).

აბსოლუტური ერთი, ანუ ღმერთი გონით საწვდომი სამყაროს მბრძანებელია, მისი მზეა.

აბსოლუტური ერთი, ანუ ღმერთი ყველაფრის პირველ საწყისი და მიზეზია.

პლატონი „სახელმწიფოში“ სიკეთის იდეის ბუნების წარმოსაჩენად მიმართავს მზესთან ანალოგიას. რა მიმართებაცაა ხილულ სამყაროში მზესა, მზერასა და მზერით დასანახ საგნებს შორის ანალოგიურია მიმართება სიკეთის იდეას, ჩვენს გონსა და გონით საწვდომ იდეალურ სინამდვილეს შორის.

მზერა არ არის მზე, მაგრამ ჩვენს გრძნობებს შორის ყველაზე მზისდარია. ის უნარი, რასაც ფლობს მზერა, სწორედ მზისგან ეძლევა მას, როგორც ერთგვარი გამონაშუქი. მზე არა მარტო იმის უნარს ანიჭებს საგნებს, რომ მზერით იქნენ აღქმულნი, არამედ ბადებს, ასაზრდოებს და ზრდის მათ.

იმავეს მტკიცება შეიძლება სიკეთის იდეასა და გონით საწვდომი სინამდვილის მიმართ. „რასაც ნიშნავს სიკეთე აზრობრივ ადგილას, გონებისა და გონით საწვდომთა მიმართ, იმავეს ნიშნავს მზეც ხილულ ადგილას, მზერისა და მზერით საწვდომთა მიმართ“ (სახელმწიფო, VI, 508 c).

გონით საწვდომი საგნები ანუ იდეათა სინამდვილე, სიკეთის იდეის წყალობით ეზიარებიან თავიანთ არსებას და არსებობას. ის ჭეშმარიტებას ანიჭებს შეცნობად საგნებს, ადამიანის სულს კი - შეცნობის უნარს. რაგინდ მშვენიერიც არ უნდა იყოს ცოდნა და ჭეშმარიტება, სიკეთის იდეა უსაშველოდ აღემატება მათ მშვენიერებით. სიკეთის იდეა თავისი ღირსებით და ძალამოსილებით იმდენად აღემატება ნამდვილად არსებულთ, რომ ის არსებობაც კი არ არის, არსებობის მიღმურია.

აბსოლუტური ერთი არსისა და აზრის მიღმურია; არც აზრია და არც არსი, არამედ - მათზე უმაღლესი, უპირატესი „ზეარსი“, „ზეღმერთი“, „ზეკეთილი“, „ზეუცნაური“, „ზებრწყინვალე“, „უზენაესი“, „ზენათელი“, „ზემშვენიერი“ (საიდუმლო ღმრთისმეტყველებისთვის, „არსი“, #1, 1993, გვ. 9) როგორც ახასიათებს მას ფსევდო-დიონისე, არეოპაგელი.

დიდი ირლანდიელი ფილოსოფოსი იოანე-სკოტ ერიუგენა ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და დიდი ნეოპლატონიკოსის პლოტინის გავლენით. პლოტინისა მთელი სიღრმით რომ ჩაწვდა პირველი ერთის ანუ ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის პლატონისეულ თვალსაზრისს, ასე ახასიათებს „შესაქმის“ აქტს: „იმ სისავსიდან რომ გამოდის, რომელშიც ღმერთი არარაობად იწოდება და პირველ საფეხურზე რომ ჩამოდის (იგულისხმება კოსმიური გონების საფეხური), ის თვითონ ქმნის თავის თავს პირველსაწყისთა წიაღში. (იგულისხმება იდეების სამყარო) შემდეგ, როცა პირველსაწყისნი თავიანთ მოქმედებებში ვლინდებიან, პირველსაწყისებიდან ღმერთი მათ მოქმედებებამდე დადის და ამ უკანასკნელთა წიაღში ხორციელდება. ასე ეშვება იგი მოქმედებათა მრავალრიცხოვანი ფორმების გავლით მთელი ბუნების უკანასკნელ საფეხურამდე, ესე იგი სხეულებამდე. გარკვეული თანმიმდევრობით რომ გადადის ყველაფერში, ის ქმნის ყველაფერს და თვითონვე იქცევა ყველაფრად ყველაფერში, მაგრამ, ამასთანავე, კვლავ ყველაფერზე მაღლა რჩება.“ (ა. შტეკელი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ. 1994, გვ.79)

აზრისა და არსის მიღმური აბსოლუტური ერთი სრულიად მიუწვდომელია ადამიანური გონებისთვის და სიტყვით გამოუთქმელი. არ არსებობს მისთვის არც სახელი, არც სიტყვა, არც ცოდნა, არც გრძნობადი აღქმა, არც წარმოდგენა.

აბსოლუტური ერთი, ანუ სიკეთე ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელია, მაგრამ არა კოსმიური გონებისთვის. აქ აშკარაა გავლენა პირველი ერთის და კოსმიური გონების პლატონური მიმართებისა მამა ღმერთსა და ძე ღმერთს შორის არსებულ ქრისტიანულ მიმართებაზე „...არავინ იცის ძე, გარდა მამისა და არც მამა იცის ვინმემ, გარდა ძისა...“ (მათე, 11, 27).

ენით უთქმელი და გონებამიუწვდომელი ღმერთი თავისი უსასრულო, საკუთარ თავში დაუტყვევლი ძალმოსილების, თავისი ზესისავსის წყალობით ქმნის კოსმიურ გონებას, ხოლო მისი მემშვეობით - მთელ იდეალურ და მატერიალურ სინამდვილესაც.

კოსმიური გონება

ზეერთი, ანუ ღმერთი თავისი უსასრულო ძალმოსილებით ბადებს კოსმიურ გონებას, რომელიც უკვე არსიცაა და აზრიც და იდეათა იდეალური სიმრავლის დასაბამიც. ზეარსი იქცევა ჭეშმარიტ არსად. აბსოლუტური ერთი გადადის იდეალურ სიმრავლეში თავისი უსასრულო ძალმოსილების წყალობით. ის თავის ზესისავსეს ვერ იტევს და ისე ასხივებს ჭეშმარიტ არსს, როგორც მზე ასხივებს სინათლეს, ცეცხლი სიმბურვალეს, ან როგორც ყვავილი აფრქვევს სურნელებას.

ძალმოსილების სისავსე და სრულქმნილება საშუალებას არ აძლევს ყოვლისდასაბამიერ საწყისს თავისი თავით შემოიფარგლოს. ამიტომაც იქცევა ზეარსი ჭეშმარიტ არსად. თითქოს მზე თავისი სხივოსნობით გარს იხვევს ნათელ შარავანდედს, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა პლატონის სამპიროვანი ღმერთის მეორე ჰიპოსტასი - კოსმიური გონება, დემიურგოსად რომ იწოდება „ტიმეოსში“.

„ზეერთი ყველაფერიცაა და არაფერიც, ის ყველაფრის სათავეა და არა ყველაფერი. ერთის დონეზე ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის, არამედ უნდა იქნეს. კი მაგრამ, როგორ იქმნება ყველაფერი მარტივი ერთისგან, რომლის თვითიგივეობაც არავითარ განსხვავებას, არავითარ გაორებას არ ავლენს“?

სწორედ იმიტომ, რომ მასში არაფერია, მისგან წარმოსდგება ყოველივე; სწორედ იმიტომ, რომ არსი შეიქმნეს, ის არსი კი არ არის, არამედ- არსის მშობელი; და ესაა პირველი დაბადება. ერთი სრულქმნილია, არც არაფერს მიელტვის, არც რას ფლობს, არც არაფერი სჭირდება; როგორც სრულქმნილი, თავისი

თავიდან გადმოიღვრება და თავისი ზესისავსისგან შობს განსხვავებულს. შობილი მიიქცევა მშობლის მიმართ, მისით ივსება და თავისი თავის მჭვრეტელი, კოსმიურ გონებად იქცევა. მისი მიმართება ერთის მიმართ ქმნის არსს, ხოლო მისი თვითჭვრეტა - გონებას. ამრიგად, როცა გონება თვითჭვრეტაშია ერთდროულად გონებაც ხდება და არსიც“ (პლოტინი, ენეადა, V, II, I).

ამრიგად, აბსოლუტური ერთის, ანუ უზენაესი სიკეთისაკენ მიდრეკისა და თითქოს გარინდებით „დგომის“ წყალობით, გონება თავის თავს ამკვიდრებს, როგორც არსს, მეორეს მხრივ კი, თვითჭვრეტად მიქცეული, ის სხვა არა არის რა, თუ არა წმინდა აზრი, ვინაიდან კოსმიური გონების მთელი სიცოცხლე, მისი არსებობა მარად უშრეტი ქმედითობით განისაზღვრება, ეს ქმედითობა კი, ჭვრეტაა თუ აზროვნება, რომლის ერთადერთი საგანიც შეიძლება იყოს მხოლოდ გონება, რაკილა არსებობის ამ დონეზე საერთოდ არაფერია, გონების გარდა, მოაზროვნე გონება და მისი აზროვნების საგანი აქ მთლიანად ემთხვევა ერთიმეორეს. აზროვნება თვით აზროვნების პროცესშივე ქმნის თავის საგანს, ხოლო ეს საგანი მისი კორელატური აზროვნების პრინციპად თუ საფუძვლად გვევლინება, ასე რომ, გონება, ერთსა და იმავე დროს, აზროვნების სუბიექტიცაა და ობიექტიც. თავისი მარადიული აზროვნების პროცესში გონება, უწინარეს ყოვლისა, ქმნის არსებობის უზოგადეს გვარებს, რომლებიც კატეგორიებად იწოდებიან პლატონის „სოფისტში“ და მის კვალდაკვალ - პლოტინის „ენეადაებში“, ეს კატეგორიებია - არსი (ანუ, რაც იგივეა, აზრი), იგივეობა, სხვაობა, მოძრაობა და უძრაობა:

„გონება თავის აზროვნებით არსის საფუძვლად გვევლინება, არსი კი, როგორც აზროვნების საგანი, განაპირობებს გონების აზროვნებას და არსებობას. ხოლო საკუთრივ აზროვნებას მისგან განსხვავებული მიზეზი აქვს, რომელიც, იმავდროულად, არსის მიზეზიც არის. როგორც ერთის, ისე მეორის, აზროვნების და არსებობის, აზრის და არსის მიზეზი თავისთავად განსხვავდება ორივესაგან: ესაა წმინდა და უზენაესი ერთი. რაკილა აზრი და არსი ერთმანეთისაგან განუყრელნი და განუყოფელნი არიან, ისინი ასე წყვილად ქმნიან ერთარსს, რომელიც, ერთდროულად, აზრიცაა და აზრით საწვდომი არსიც; აზრი, იმდენად, რამდენადაც ეს ერთარსი აზროვნებს, არსი კი იმდენად, რამდენადაც თვითონვე გვევლინება თავისი აზროვნების საგნად.

მაგრამ თუ აზროვნება, ერთის მხრივ, შეუძლებელია ამ იგივეობის გარეშე, ის ასევე შეუძლებელია მაშინაც, თუ არ არსებობს არავითარი სხვაობა აზრსა და ამ აზრით საწვდომ არსს შორის. მაშასადამე, პირველადია გონება, არსი, სხვაობა და იგივეობა, რასაც უნდა დაემატოს მოძრაობა და უძრაობა; მოძრაობა, რამდენადაც არსებობს აზრი, უძრაობა, რათა აზრი იმავე დარჩეს, რაც არის. სხვაობა აუცილებელია, რათა აზრი და აზრის საგანი განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან; გააუქმეთ სხვაობა და მიიღებთ განურჩეველსა და მდუმარე ერთს. სხვაობა აუცილებელია იმიტომაც, რომ აზრით საწვდომი არსნი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, იგივეობა კი იმიტომ, რომ ისინი თავისთავად ერთნი არიან და ყველას რაღაცა აქვს საერთო, ხოლო მათი განსხვავება არის სხვაობა. და ბოლოს, აზროვნების საწყისთა ამ სიმრავლიდან იზადება რიცხვი და რაოდენობა, ხოლო თითოეული არსის განმასხვავებელი ნიშანი არის თვისება. აი, ამათგან, როგორც საწყისთაგან, დასაბამს იღებს ყოველი.

გონებისეული ინტელიგიბილური სამყაროს შემდგომი დიფერენციაცია ე.წ. „სუბსტანციური რიცხვის“ მეშვეობით ხორციელდება. რიცხვი ანაწევრებს არსებობის უზოგადეს გვარებს ცალკეულ სახეთა და, საერთოდ, იდეალურ არსთა სიმრავლედ: გონების ერთობა და ერთადერთობა სწორედ რიცხვის მეშვეობით გადადის გონით საწვდომ არსთა, ანუ იდეათა სიმრავლეში, „პარადიგმებად“ რომ იწოდებიან „ტიმეოსში“, რომელთა მიხედვითაც „დემიურგოსი“ ქმნის მთელ მატერიალურ სინამდვილეს, „უთვალავი ფერით მოცემულ“ გრძნობად საგანთა სამყაროს. გონების მიერ შობილი იდეები გრძნობად-კონკრეტულ საგანთა არქეტიპებად გვევლინებიან. „ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერი ქმნილება, ვიდრე ხორცს შეისხამდეს, იდეალური ჩანაფიქრისა თუ გეგმის სახით არსებობს ხელოვანის სულში, გრძნობად-კონკრეტული საგანიც, არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური პირველნიმუშის - პარადიგმის მიბაძვა, მისი ხორცშესხმული ხატი... კოსმოსის მთელი სიცოცხლე თვალნათლივ გვიმოწმებს იმას, რომ იდეა, როგორც ყოვლის მაფორმირებელი და მაორგანიზებელი საწყისი, ინტელიგიბილურ სამყაროში ჩაკეტილი კი არ რჩება, არამედ სინათლის ერთგვარი სხივოსანი ტალღის სახით უსასრულოდ ვრცელდება, კიდით-კიდემდე განიფინება და თავის „ნადავლად“ აქცევს ყველაფერს, რაც შეიძლება ფორმით ორგანიზებულ იქნეს. გრძნობად-კონკრეტულ სამყაროში ყველაფერი ამ კოსმოგონიური პრინციპების ნიშნითაა აღბეჭდილი. ასე რომ, იდეა სამყაროს არა მარტო ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური, ეთიკური თუ ესთეტიკური ცხოვრების ნორმად, ბუნების ურყევ კანონად იქცევა“.

„მთელი სამყარო გამოსხივებაა და გამოვლენა: გამოსხივება ღვთაებრივი გონების შედეგია, ხოლო გამოვლენა - ღვთაებრივი ნების ძალისხმევისა. ასე რომ, ყოველივე ის, რასაც ბუნების კანონებს ვუწოდებთ ჩვენ, სხვა არა არის რა, თუ არა დემიურგოსული გონების შედეგი“. ასეთია პლატონის სამპიროვანი ღმერთის მეორე ჰიპოსტასი - კოსმიური გონება, სამყაროს შემოქმედი.

არსი, რომელიც დასაბამს იღებს ზეერთისაგან არ შეიძლება იყოს მისი სწორი, ან მასზე უზენაესი, რადგან არაფერი არ შეიძლება იყოს ყოვლის მიღმურ ერთზე უზენაესი, ამრიგად, ის, რაც ერთისგან იღებს დასაბამს, მასზე უდარესი და უდაბლესია ანუ ნაკლებ სრულქმნილია.

აქ ჩანს ის არსებითი განსხვავება, რაც არსებობს პლატონის სამებასა და ქრისტიანულ სამებას შორის. ქრისტიანული სამება, ერთარსებაა და სამპიროვანი პლატონის ღმერთი კი სამპიროვანია, მაგრამ არა ერთარსება. შობილი მშობელზე უდარესია და უდაბლესი. კოსმიური გონება სიკეთის იდეაზე დაბლა დგას, ხოლო მსოფლიო სული კოსმიურ გონებაზე დაბლა.

სამყაროს სული

პლატონთან ღმერთის მესამე ჰიპოსტასია სამყაროს სული, ის ერთგვარი შუალედური საწყისია იდეალურ სინამდვილესა და გრძნობად - კონკრეტულ სამყაროს შორის, დემიურგოსული გონების პირმშო, კოსმოსის მაცოცხლებელი და მამოძრავებელი ძალა, მისი ერთიანობის წარუვალი პრინციპი; სამყაროს, როგორც ღვთაებრივი ცოცხალი არსის თვითშემეცნება; მათემატიკურ და მუსიკალურ თანაფარდობათა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც იგება ცვლადი და ქმნადი სინამდვილე; კოსმიური სრულქმნილების პირველსაწყისი, რომლის მეოხებითაც იდეები მატერიაში რეალიზდებიან, მატერიაში ისხამენ ხორცს.

სამყაროს სულის შესაქმნელად დემიურგოსი ერთმანეთს უზავებს „იგივეობრივს“, როგორც უცვლელობის საწყისს, რამდენადაც სული თვითიდენტურია, და „სხვას“ - მოძრაობისა და ცვალებადობის პრინციპს, რამდენადაც სული სამყაროს მოძრაობის მიზეზად გვევლინება. ციტირებული ფრაგმენტი იმასაც გვიჩვენებს, რომ „დაყოფელი“ „იგივეობრივთანაა“ იდენტიფიცირებული, ხოლო 'ის, რაც სხეულებში დაყოფას განიცდის“ - „სხვასთან“. პლატონი აღარ აზუსტებს ამ ორი უკანასკნელი ტერმინის მნიშვნელობას, ამიტომაც იძულებულნი ვართ კვლავ პლოტინს მივმართოთ. კოსმიური გონების აზროვნება, პლოტინის მიხედვით, შემოქმედებითი აზროვნებაა, რომელიც ქმნის იდეალურ სინამდვილეს. იდეები არსებობენ, მაგრამ მათი არსებობა რეალური როდია. ამიტომაც აუცილებელი კიდევ ერთი საწყისი, რომელიც სიცოცხლესა და რეალურ არსებობას მიანიჭებდა მათ. სწორედ ეს საწყისია სული, რომელიც ისევე იბადება გონებისაგან, როგორც გონება - ერთისაგან. სული გონების ხატებაა, მისი „გარეთ გამოვლენილი“ ე. ი. წარმოთქმული „სიტყვა“. იდეალური სინამდვილის სრულქმნილება, წმინდა არსისა და წმინდა აზრის მთელი სისავსე სწორედ სულს გამოაქვს გარეთ, მატერიაში პროეცირების გზით ხორცს ასხამს იდეებს და, ამრიგად, დასაბამს აძლევს გრძნობად-კონკრეტულ სამყაროს.

გონებას პლოტინი ადარებდა მზეს, სულს კი - მთვარეს, რომელიც თავის სინათლეს მზისგან სესხულობს. გონებაზე დამოკიდებულების მიუხედავად, სული სამყაროს დიად საწყისთა იმ ჰიერარქიულ მწკრივს ეკუთვნის, რომელსაც აგვირგვინებს უზენაესი სიკეთე, ანუ ერთი, გონების მსგავსად, სულიც მარადიულია, წმინდა, უცვლელი და წარუვალი. მაგრამ ჩვენ აქ სულის ქმედითობის მხოლოდ ერთი ასპექტი გვანტერესებს. პლოტინის მიხედვით, სული ისე იღვრება მატერიაში, როგორც მზის შუქი - სამყაროში, თუმცა მატერიალურ საგანთა და მოვლენათა უსასრულო სიმრავლეში კი არ ითქვიფება, კი არ იყოფა და ნაწევრდება მათში, არამედ, იმავე მზის შუქის მსგავსად ერთიანი და განუყოფელი რჩება, რაკილა სრულიად იდინფერენტულია მატერიისადმი. მართალია, პლოტინი ამბობს, რომ „სულის ბუნება დაყოფადია“, მაგრამ ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით როდი უნდა გვესმოდეს: თავისი მშობლის - გონებისაკენ მიქცეული სული წმინდა სულია, გონების მონათესავე და თანამსგავსი, ერთიანი და განუყოფელი, და მხოლოდ მატერიის მიმართ ქვედადრეკილი სული გვევლინება „დაყოფადად“, თუმცა, რაკი ეს უკანასკნელიც პირველის მონათესავე და იგივეობრივი რჩება,

სამყაროს სულის შექმნის შემდეგ დემიურგოსი ქმნის ცის თაღს. იგულისხმება არა ფიზიკური, არამედ იდეალური ცის თაღი თავისი ჰარმონიული სტრუქტურით და მარადიული კანონზომიერებით, რომლის არასრულყოფილი ასლია ჩვენი ხილული ცა. დემიურგოსი იმ ნაზავს, რომლისგანაც შექმნა სანაც შექმნა სამყაროს სული ორ ნაწილად განკვეთს და ჯვრის ფორმით ერთმანეთს გადააჯვარედინებს და ასე ქმნის კოსმიურ კარკასს. სამყაროს შექმნა, პლატონის მიხედვით, სხვა არაფერია, თუ არა ერთის, ანუ დემიურგოსის სიმრავლედ ქცევა. „სამყარო, პლატონის აზრით, „ჯვარცმულია“, ხოლო დემიურგოსის ანუ როისთვის ერთის გადასვლა სიმრავლეში კოსმიურ ჯვარცმად გაიგება. კაცობრიობის ისტორიაში, მაცხოვრის ამ ქვეყნად მოვლინების და მის მოწამეობრივ აღსასრულამდე ოთხი საუკუნით ადრე, პირველად ჩნდება „ჯვარცმის დიადი სიმბოლო. საქმე გვაქვს პროფეტულ ინტუიციასთან, მაცხოვრის ამქვეყნიური ჯვარცმის წინასწარჭკრეტასთან და ნათელხილვასთან. (ბ. ბრეგვაძე, პლატონური დიალექტიკის შედეგრი, თბ. 2002, გვ.108)

ტიმეოსის მიხედვით დემიურგოსი პიროვნული ღმერთია. ამ დიალოგშივე გვხვდება ღმერთის იმ დროისთვის უჩვეულო და მოულოდნელი ეპითეტი „მაცხოვარი“. სწორედ ამიტომ ქრისტიანობის პირველი აპოლოგეტები პლატონს, პითაგორასა და სოკრატესთან ერთად, „ქრისტემდელ ქრისტიანად“ მიიჩნევდნენ, ხოლო ნეტარი ავგუსტინე თავის „აღსარებაში“ წერს, რომ „პლატონის თხზულებებში, მართალია სხვა სიტყვებით გადმოცემული, მან ამოიკითხა ქრისტიანიზმის ყველა ძირითადი დოგმა, გარდა „ლოგოსის“ განკაცებისა“ (ნეტარი ავგუსტინე, თბ. 1995, გვ. 122).

ლიტერატურა:

1. პლატონი, სახელმწიფო
2. პლატონი, ფილებოსი
3. პლატონი, ტიმეოსი
4. პლატონი, პარმენიდე
5. ბაჩანა ბრეგვაძე, პლატონური დიალექტიკის შედეგები, თბ., 2002.
6. ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, თბ., 1995.
7. ა. შტეკელი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1994.
8. პლოტინი, ენეადები
9. საიდუმლო ღმერთისმეტყველებისთვის, თბ., 1993.
10. მათე, სახარება

Nugzar Abramishvili
Gori State Teaching University
THE GOD OF PLATO
RESUME

Plato is considered to be the first and greatest representative of the philosophical theology. His philosophy has had a profound effect on the Fathers of the Church and largely determined the Christian monotheistic understanding of the God.

Like the Christian view of the Trinity, Plato defines the God in three hypostases: the first is the idea of virtue or the absolute one – the Father; the second is the cosmic mind, the same as the Son and the third hypostasis is the soul of the world, similar to the Holy Spirit within the Christian theology.

Майя Сергеевна Айвазова
Антолий Васильевич Катышев
Константин Владимирович Айвазов
Дмитрий Анатольевич Катышев
Северный государственный медицинский университет (г. Архангельск, Россия)

ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ БОЛЬНЫХ С ПАТОЛОГИЕЙ ВИСОЧНО-НИЖНЕЧЕЛЮСТНОГО СУСТАВА

Взаимосвязь психического и физического состояния не вызывает сомнения ни в современной медицине, ни в современной психологии. В настоящее время психосоматические заболевания рассматриваются как телесное отражение душевной жизни и подсознательных процессов человека. В статье описывается исследование больных с патологией ВНЧС, изучены качество жизни, психологические особенности и тип отношения к болезни исследуемых.

Височно-нижнечелюстной сустав человека является элементом зубочелюстной системы. Патология височно-нижнечелюстного сустава – одно из наиболее распространенных заболеваний, встречающихся в стоматологической практике.

Рассмотрению данной проблемы посвящено большое количество работ, до сих пор вопросы этиологии и патогенеза заболевания трактуются неоднозначно. В последнее время многие исследователи в этой области стали обращать большее внимание на ее психологический аспект. Это свидетельствует о необходимости дальнейшего углубленного изучения психологических особенностей больных с патологией височно-нижнечелюстного сустава, что определило актуальность и создало предпосылки для проведения нашего исследования.

Объект – больные с патологией височно-нижнечелюстного сустава.

Предмет – личностные особенности и отношение к болезни больных с патологией височно-нижнечелюстного сустава.

Цель – изучить психологические особенности больных с патологией височно-нижнечелюстного сустава.

Задачи:

1. Изучить психологические характеристики и качество жизни больных с патологией височно-нижнечелюстного сустава.

2. Выявить эмоциональные характеристики личности больных с патологией височно-нижнечелюстного сустава.

3. Выделить личностные особенности больных с патологией височно-нижнечелюстного сустава.

Мы предполагаем, что у больных с патологией височно-нижнечелюстного сустава имеются определенные психологические особенности.

Методологическая основа: исследования О. Г. Торсунова, Л. Хей, Л. Бурбо, М. Петрушко, Р. Марксорса, Е. А. Булычевой, Е. Н. Жулева.

Практическая значимость исследования заключается в возможности использования полученных данных в стоматологической практике, а также при психологическом консультировании и разработке и реализации программ психокоррекции и личностного роста.

Настоящее исследование проводилось на базе ГБУЗ Архангельской области «Архангельская стоматологическая поликлиника № 2» - специализированного лечебно-профилактического учреждения, оказывающего квалифицированную стоматологическую помощь взрослому населению РФ, в том числе бесплатную стоматологическую помощь в рамках программы Государственных гарантий. Выборка сформирована из 28 больных с патологией височно-нижнечелюстного сустава.

С целью изучения качества жизни мы использовали методику «Краткая форма оценки здоровья» (англ. Medical Outcomes Study-Short Form, сокр. MOS SF-36). Автором является John E. Ware. Анализ данных показал, что у больных с патологией височно-нижнечелюстного сустава физическое состояние имеет наименьшее влияние на ролевое функционирование (RP), а именно на работу, выполнение будничной деятельности и т.п., и эмоциональное функционирование, воздействие эмоционального состояния на ролевое функционирование. Наибольшее влияние оказывается на психологическое здоровье (MH), которое характеризует настроение (наличие депрессии, тревоги, общий показатель положительных эмоций).

С целью изучения типа отношения к болезни у больных с патологией височно-нижнечелюстного сустава мы использовали методику «Тип отношения к болезни» (авторы Л.И. Вассерман, А.Я. Вукс, Б.В. Иовлев, Э.Б. Карпова). В результате анализа выявлено, что больным с патологией височно-нижнечелюстного сустава присущи эргопатический тип отношения к болезни (Р) и анозогнозический (З). Данные типы относятся к адаптивному варианту отношения к болезни. Психическая и социальная адаптация существенно не нарушается. Для больных с этими типами отношения к болезни характерно: снижение критичности к своему состоянию, преуменьшение «значения» заболевания вплоть до полного его вытеснения, иногда проявляющееся поведенческими нарушениями рекомендуемого врачом режима жизни, «уходом» в работу, отрицанием подчас факта заболевания.

Наименее свойственен больным с патологией височно-нижнечелюстного сустава апатический тип (А), которые определяется полным безразличием к своей судьбе, к исходу болезни, к результатам лечения.

С целью оценки личностных свойств у больных с патологией височно-нижнечелюстного сустава мы использовали Сокращенный многофакторный опросник для исследования личности (СМОЛ), который представляет собой сокращенный вариант опросника ММРІ и оценивает свойства личности. Методику разработал James C. Kincannon, русскоязычная адаптация сделана В. П. Зайцевым и В. Н. Козюлей.

Анализ данных, что больным с патологией височно-нижнечелюстного сустава характерны такие личностные свойства, как ипохондрия, депрессия и шизоидность.

Ипохондрия говорит о повышенной тревожности, которая возникает не за счет каких-то внешних социальных причин, а за счет состояния своего физического здоровья. Отмечается эмоциональная значимость для больных их соматических ощущений: общее самочувствие, работоспособность, нарушение соматических функций, болевых ощущений.

Высокие показатели по шкале «Депрессия» подтверждают наличие тревоги у большинства больных, ощущения неопределенной угрозы, характер и время возникновения которой не поддается предсказанию, диффузными опасениями и тревожными ожиданиями.

Шизоидность указывает на сочетание у больных повышенной чувствительности с эмоциональной холодностью и отчужденностью в межличностных отношениях.

Таким образом, в ходе исследования было выяснено, что данное заболевание наибольшее влияние оказывает на психологическое здоровье, которое характеризует настроение (наличие депрессии, тревоги,

общий показатель положительных эмоций). По результатам диагностики больных с патологией височно-нижнечелюстного сустава были выделены свойственные им типы отношения к болезни такие, как эргопатический и анозогнозический. При оценке личностных свойств из них были выделены наиболее характерные для больных с патологией височно-нижнечелюстного сустава: ипохондрия, депрессия и шизоидность.

Таким образом, задачи исследования выполнены, цель достигнута, наша гипотеза о том, что у больных с патологией височно-нижнечелюстного сустава имеются определенные психологические особенности подтверждается.

ЛИТЕРАТУРА:

1. Андреев И. Л., Березанцев А. Ю. Homo psychosomaticus // Человек. – 2012. – №4. – С. 24–37.
2. Булычева Е. А., Чикунов С. О., Трезубов В. Н., Грищенко А. С. Доказательства психического генеза гипертонии жевательных мышц. Часть I // Институт стоматологии. – 2011. – Т. 4. – №53. – С. 40–43
3. Жулев Е. Н., Вельмакина И. В., Брагина О. М. Экспертная система ранней диагностики синдрома мышечно-суставной дисфункции височно-нижнечелюстного сустава // Медицинский альманах. – 2015. – №3 (38). – С. 162–164.

Maia Aivazova, Anatoli Katishev, Konstantine Aivazov, Dimitri Katishev

Northern State Medical University (Arkhangelsk, Russia)

THE PATIENTS PSYCHOLOGICAL PECULIARITIES MEANWHILE THE PATHOLOGY OF THE LOWER JAW'S JOINT AND TEMPLE AREA RESUME

In the given article there is given information of the patient, the level of life, psychological peculiarities. According to the research there is proven that patients belonging to this group have specific psychological peculiarities which affect on strengthening the pathology.

Майя Сергеевна Айвазова

Антолий Васильевич Катышев

Константин Владимирович Айвазов

Дмитрий Анатольевич Катышев

Северный государственный медицинский университет (г. Архангельск, Россия)

ОСОБЕННОСТИ СТРЕССОУСТОЙЧИВОСТИ У БОЛЬНЫХ С ДИСФУНКЦИЕЙ ВИСОЧНО-НИЖНЕЧЕЛЮСТНОГО СУСТАВА

Патология ВНЧС является достаточно распространенным заболеванием. В литературе выделяют массу причин, способствующих развитию данной патологии, но большинство авторов указывают на психосоматическую основу данного недуга. В статье представлено исследование уровня стрессоустойчивости у больных с дисфункцией височно-нижнечелюстного сустава.

Распространенность заболеваний ВНЧС достаточно высока. По данным Всемирной организации здравоохранения от 40 до 70% населения в возрасте от 20 до 50 лет имеют различные нарушения функции ВНЧС [2].

Психогенные факторы относятся к важным причинам возникновения дисфункции височно-нижнечелюстного сустава, наряду с окклюзионными и структурными, так как они тесно связаны между собой и взаимно обуславливают друг друга. При сжимании челюсти, во время сильного стресса, приводят к несогласованному сокращению различных групп жевательных мышц и их чрезмерному напряжению. Гипертонус мышц челюсти приводит к развитию патологических состояний, тем самым ухудшая качество жизни больных [1].

Цель исследования – изучение стрессоустойчивости у больных с патологией височно-нижнечелюстного сустава

Объект – больные с патологией височно-нижнечелюстного сустава

Предмет – уровень стрессоустойчивости больных с патологией височно-нижнечелюстного сустава.

Исследование проводилось на базе ГБУЗ Архангельской области «Архангельская стоматологическая поликлиника № 2». Выборка сформирована из 30 больных с патологией височно-нижнечелюстного сустава, средний возраст составил $32,2 \pm 0,13$ лет.

С целью изучения уровня стрессоустойчивости у больных с патологией височно-нижнечелюстного сустава мы использовали методику определения стрессоустойчивости и социальной адаптации Холмса и Раге. Она представляет собой психометрическую шкалу самооценки актуального уровня стресса в течение последнего года. Разработана Holmes и Rahe.

Анализ данных исследования показал, что больным с патологией височно-нижнечелюстного сустава характерен средний (пороговый) уровень стрессоустойчивости – 251 баллов. При увеличении стрессовых ситуаций стрессоустойчивость понижается, что приводит к затрачиванию большей части энергии и ресурсов личности на борьбу с негативными психологическими состояниями, возникающими в процессе стресса.

Далее мы изучили распределение больных с патологией височно-нижнечелюстного сустава по уровню стрессоустойчивости (рис. 1).




Рис.1. Процентное распределение больных с патологией ВНЧС в зависимости от уровня стрессоустойчивости, %

У большинства больных с патологией височно-нижнечелюстного сустава наблюдается низкий уровень стрессоустойчивости (44%). Он характеризуется высокой напряженностью и наличием большого количества стресс-событий степени стрессовой нагрузки, которые еще не преодолены и не рассматриваются в качестве конструктивного жизненного опыта. При этом наиболее высокий уровень стрессоустойчивости отмечается у незначительного количества пациентов – 6%.

Таким образом, обнаружено, что у большинства больных с патологией височно-нижнечелюстного сустава наблюдается низкий уровень стрессоустойчивости (44%).

ЛИТЕРАТУРА:

1. Булычева Е. А., Чикунев С. О., Трезубов В. Н., Грищенков А. С. Доказательства психического генеза гипертонии жевательных мышц. Часть I // Институт стоматологии. – 2011. – Т. 4. – №53. – С. 40–43
2. Жулев Е. Н., Вельмакина И. В., Брагина О. М. Экспертная система ранней диагностики синдрома мышечно-суставной дисфункции височно-нижнечелюстного сустава // Медицинский альманах. – 2015. – №3 (38). – С. 162–164.

Maia Aivazova, Anatoli Katishev, Konstantine Aivazov, Dimitri Katishev

Northern State Medical University (Arkhangelsk, Russia)

**THE PATIENTS' STRESS' PECUALIARITIES MEANWHILE THE DISFUNCTION OF THE
LOWER JAW'S JOINT
RESUME**

The researches have show that in the process of the disfunction of the lower jaw's joint the 44 percent of the patients have low firmness to the stress and the 6 percent extremely low.

ივანე ბალახაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გირავნობის საგნის რეალიზაცია

გირავნობის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის 254-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში. „მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირთავის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მის საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. მოგირავნეს გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაიკმაყოფილების უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით“.

როგორც განსაზღვრებიდან ჩანს გირავნობა წარმოადგენს ისეთ საუზრუნველყოფო საშუალებას, რომლის ძალითაც მოგირავნეს აქვს უპირატესი უფლება, მოვალის სხვა კრედიტორებთან შედარებით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა გირავნობის საგნიდან ამ უკანასკნელის რეალიზაციის ან მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში მის საკუთრებაში მიღების გზით.

გირავნობა ყოველთვის უზრუნველყოფს განსაზღვრულ ვალდებულებას და, შესაბამისად, იგი ამ ვალდებულების გარეშე არ შეიძლება წარმოიშვას და არც არსებობდეს. გირავნობის უფლება აქცესორული უფლებაა თუმცა 254-ე მუხლში არსებობს ნორმა, რომელიც წარმოადგენს ამ პრინციპიდან გარკვეულ გადახვევას. კერძოდ, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გირავნობის უფლება შეიძლება დადგინდეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. როგორც სამომავლო, ასევე პირობითი მოთხოვნები არ ითვლება წარმოშობილად განსაზღვრული მომენტის – კონკრეტული ვადის ან მოვლენის დადგომამდე. ვინაიდან არ არსებობს მოთხოვნა, შესაბამისად, არც გირავნობის უფლება არ უნდა ითვლებოდეს წარმოშობილად, მაგრამ ამ შემთხვევაში კანონი უშვებს გამონაკლისს და გირავნობის უფლებას წარმოშობილად მიიჩნევს მოგირავნესა და დამირავებელს შორის შეთანხმებისა და ნივთის გადაცემის (რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში – რეგისტრაციის) მომენტიდან.

არ არის სავალდებულო, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნა აუცილებლად ფულადი სახით იყოს წარმოშობილი (სესხი, კრედიტი, ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა). დასაშვებია, გირავნობით იქნეს უზრუნველყოფილი არაფულადი მოთხოვნა იმ პირობით, რომ შესაძლო იყოს ასეთი მოთხოვნის გამოსახვა ფულადი ფორმით. ეს წინაპირობა აუცილებელია განსაკუთრებით გირავნობის საგნის რეალიზაციის დროს, ვინაიდან რეალიზაციის შედეგად მოგირავნე იღებს ფულად თანხას, რომელიც მიემართება სწორედ მოთხოვნის დაფარვისათვის.

გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილია არა მარტო (ძირითადი) მოთხოვნა, არამედ მასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები (უფლებები), კერძოდ, ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტები, ვალდებულებების დარღვევებისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო, მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობისა და რეალიზაციის ხარჯების გაწევასთან

დაკავშირებით (256-ე მუხლი). თუმცა ეს ნორმა არ არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა და იგი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. მაგ., დამგირავებელმა და მოგირავნემ გირავნობის ხელშეკრულებაში შეიძლება გამორიცხონ გირავნობის უფლებით სესხის (კრედიტის) პროცენტის უზრუნველყოფა.¹

ავტორთა ნაწილი საგირავნო სამართალს განიხილავს სხვის ნივთებზე უფლებების კონტექტში ასე იქცეოდა. მაგალითად. პროფ. ივანე ბორისის ძე ნოვიცკი თავის ნაშრომში „რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები“ (1956 წლის გამოცემა).

ი. ბ. ნოვიცკი საგირავნო სამართალს განიხილავდა, როგორც სხვის ნივთებზე უფლებათა ნაირსახეობას. თუმცა, მას კარგად ესმოდა, რომ გირავნობის დანიშნულება იყო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. გირავნობა განეკუთვნება სხვის ნივთებზე უფლებათა კატეგორიას, მაგრამ ამავე დროს დასაშვებია მისი განხილვა ვალდებულებითი სამართლის განყოფილებაშიც, რადგან მისი უპირველესი დანიშნულება სწორედ – აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. გირავნო კრედიტორს ჭირდებოდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სანივთო უზრუნველყოფისათვის.

რეგოლუციამდელი ხანის დიდი რომანისტებიდან პროფ. ვ.მ. ხვოსტოვი თავის, „რომის სამართლის ისტორიაში“ გირავნობის სამართალს განიხილავს სხვის ნივთებზე უფლებების განყოფილებაში.

გირავნობის ინსტიტუტმა რომის სახელმწიფოში განვითარების რთული გზა გაიარა. შეინიშნება ისიც, რომ რომის სამართლის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გირავნო სხვადასხვა ტერმინით გამოიხატებოდა. „დიგესტებში“ გირავნო აღსანიშნავად უკვე გვხვდება „ჰიპოტეკა“.

გირავნოს საფუძველია დებიტორის ვალდებულება და პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. ეს ვალდებულება – „ობლიგაცია“ განმტკიცებულია ნივთობრივად „ნივთის პასუხისმგებობით“. თუ დებიტორი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს კრედიტორის წინაშე, მაშინ კრედიტორს საშუალება ექნება გირავნო ნივთიდან დაიკმაყოფილოს თავი.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით დებიტორის მიმართ. ის პირველ ყოვლისა კრედიტორის ინტერესებს იცავდა.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, წარმოიშვა ე.წ. „ფიდუცია“–გირავნოს ისეთი ფორმა, რომლის მიხედვითაც გირავნო ნივთი გადაიცემოდა კრედიტორს იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც კრედიტორის კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა დებიტორის მიერ, გირავნო ნივთს კრედიტორი დებიტორს დაუბრუნებდა.

ჩვენამდე შემონახულია ახ. წ. პირველი თუ მეორე საუკუნის ფიდუციური გირავნობის ტექსტი, საიდანაც ჩანს, რომ თუ დებიტორი კრედიტორს დროზე არ დაუბრუნებდა ნასესხებ თანხას, მაშინ კრედიტორს უფლება ექნებოდა გაეყიდა ხსენებული თანხის ანგარიშში გირავნოდ აღებული ადგილ–მამული და მონა.

როგორც ჩანს, რესპუბლიკის ხანაში მაინც, ხალხი ენდობოდა ე.წ. „ფიდეს რომანა“–ს, რომელთა პატიოსნებას, მათ პატიოსან სიტყვას.

დროთა ვითარებაში „ფიდუციამ“ გზა დაუთმო პიგნუსს გირავნოს ასეთი ფორმის დროს დებიტორი გადასცემდა კრედიტორს ნივთის ვალის უზრუნველსაყოფად, მაგრამ უკვე არა საკუთრებაში, არამედ მხოლოდ მფლობელობაში.

„დიგესტებში“ მოთავსებული განმარტების თანახმად „პიგნუსის“ ტიპის გირავნოს შემთხვევაში დაგირავებული ნივთი ითვლებოდა დებიტორის საკუთრებად და მხოლოდ მფლობელობა გადადიოდა კრედიტორზე.

ფიდუციასთან შედარებით ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი სამოქალაქო ბრუნვისა და საკრედიტო ურთიერთობის განვითარების გზაზე.

მაგრამ რომის სამოქალაქო სამართალმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

წარმოიშვა და გაფორმდა ადგილ–მამულთა გირავნობის ახალი სახეობა–ჰიპოთეკა.

ჰიპოთეკის შემთხვევაში დაგირავებული ადგილ–მამული ისევ დებიტორის მფლობელობაში რჩებოდა. გონივრული არ იქნებოდა, რომ დაგირავებული ადგილმამული იმ კრედიტორის ხელში მოხვედრილიყო, რომელსაც მისი მართვის და დამუშავების გამოცდილება არ გააჩნდა, უფრო მიზანშეწონილად ჩათვალეს დაეტოვებინათ დაგირავებული ადგილ–მამული დებიტორის ხელში, რომ მას უფრო გაადვილებოდა კრედიტორისათვის ვალის გადახდა. თუ დებიტორი დროზე ვერ გადაუხდიდა ვალს კრედიტორს, ამ უკანასკნელს არ შეეძლო უცებ ხელთ ეგდო დებიტორის ადგილ–მამული და გაეყიდა ის, საჭირო იყო გარკვეული პროცენტის წამოწყება, რომ დებიტორის უძრავი ქონება კრედიტორის საკუთრებად ქცეულიყო.

¹ ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 402, 403, 404, 405.

ფიდუცია, ჰიგნუს და ჰიპოთეკა საგირავნო სამართლის განვითარების სათანადო ეტაპებთან იყო დაკავშირებული.

სავაჭრო ბრუნვის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობდა ვერც ფიდუცია და ვერც „ჰიგნუს“-ი. ფიდუციის შემთხვევაში მძიმე იყო დამგირავებლის ე.ი. იმ პირის მდგომარეობა, ვინც ნივთს აგირავებდა, ხოლო „ჰიგნუს“-ის დროს არ იყო სახარბიელო მოგირავნის მდგომარეობა, იმ პირის მდგომარეობა, ვინც მიიღო გირაო ნივთი. თუ ეს უკანასკნელი რაიმე მიზეზით ნივთს დაკარგავდა, მას ყოველთვის როდი შეეძლო თავისი უფლებების დაცვა და ნივთის უკანვე მიღება. თვით სამეურნეო პროგრესის მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოდიოდნენ გირავნობის ხსენებულ ფორმებთან.¹

გირავნობის წარმოშობა ხდება სანივთო გარიგების საფუძველზე დამგირავებელი და მოგირავნე თანხმდებიან იმაზე, რომ გირაოთი მოხდეს პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუ არ გვაქვს შეთანხმება ან იგი ბათილია, არავითარი გირავნობა არ წარმოიშობა. შეთანხმება ხდება გირაოს მესაკუთრესა (დამგირავებელსა) და მოგირავნეს შორის.²

განასხვავებენ შემდეგი სახის გირავნობის უფლებებს: კანონისმიერი გირავნობა, სახელშეკრულებო გირავნობა. კანონისმიერი გირავნობა წარმოიშობა კანონის ძალით და ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველყოფასთან მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 568-ე მუხლის თანახმად, გირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად უძრავი ქონების გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ შეტანილ ნივთებზე. გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილების მომენტიდან, თუ ეს ხორციელდება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად კი, მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთებზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კანონი გირავნობის უფლების წარმოშობას უკავშირებს არა მხოლოდ მოთხოვნის არსებობას, არამედ კრედიტორის მიერ მოძრავი ნივთის ფლობის ფაქტს. ამასთან, გირავნობის უფლების შენარჩუნებაც დამოკიდებულია კრედიტორის მიერ გირავნობის საგანზე პირდაპირი მფლობელობის განხორციელებაზე.

სახელშეკრულებო გირავნობა ორი სახისაა: მფლობელობითი გირავნობა, რეგისტრირებული გირავნობა. მფლობელობითი გირავნობის დადგენა ხდება დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის დადებული შეთანხმებით გირავნობის დადგენის შესახებ (გირავნობის ხელშეკრულებით) და მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემით (მ. 257.6.1). კანონი პირდაპირ საუბრობს გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმებაზე (სანივთო ხელშეკრულებაზე), რომელიც იდება, როგორც წესი, ზედაპირად თუმცა, მხარეებს გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმება შეუძლიათ დადონ წერილობითაც. მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა გირავნობის უფლების წარმოშობის მეორე აუცილებელი წინა პირობაა, რომელიც მიიღწევა ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით. 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ გირავნობის საგანი უკვე იმყოფება მოგირავნის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მფლობელობაში, გირავნობის წარმოშობისათვის საკმარისთა მხარეთა შეთანხმება.

მფლობელობითი გირავნობის სპეციალურ სახეს წარმოადგენს ლომბარდული გირავნობა. ლომბარდული გირავნობა სიახლეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

ლომბარდული გირავნობის მიმართ გამოიყენება მფლობელობითი გირავნობის მომწესრიგებელი ნორმები 260-ე მუხლში მოცემული სპეციალური წესების გათვალისწინებით. კანონი, ადგენს ლომბარდული გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმების (სანივთო ხელშეკრულების) სავალდებულო წერილობით ფორმას. ფორმის დაუცველობის გამო ლომბარდული გირავნობის შეთანხმება (ხელშეკრულება) ბათილად მიიჩნევა.

ლომბარდული გირავნობის მიმართ დადგენილი მეორე სპეციალურია წესი არ წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას და იგი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. კერძოდ, თუ მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმდებიან, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგანს რეალიზაციიდან ამონაგები თანხა სრულად ვერ ფარავს ლომბარდის მოთხოვნას.

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა საჭირო არ არის.

¹ გიორგი ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2005, გვ. 97. 98. 99.

² ბესარიონ ზოიძე, „ქართული სანივთო სამართალი“, „ბაკურ სულაკაური“, თბილისი, 2003, გვ. 293

რეგისტრირებული გირავნობის დროს პუბლიკაცია მიიღწევა გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, თავად გირავნობის დადგენის შესახებ შეთანხმება (ხელშეკრულება) უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით (მ. 258. ნ.1). მსგავსად ლომბარდული გირავნობის მიმართ დადგენილი წესისა, აღნიშნული ფორმის დაუცველობის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმება (ხელშეკრულება) ბათილია. 258-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს გირავნობის ხელშეკრულება: ხელშეკრულების შედგენის თარიღი, მონაცემები მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ, გირავნობის საგნის ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნებით აღწერა ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა, უზრუნველყოფილი ძირითადი მოთხოვნის ზოგადი ან კონკრეტული აღწერა და მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს მოძრავი ნივთების საუზრუნველყოფოდ გამოყენებისას აქვთ არჩევანი, შეთანხმდნენ ან მფლობელობით ან რეგისტრირებულ გირავნობაზე და, შესაბამისად, უზრუნველყონ მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა ან წერილობითი ფორმით დადებული გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, მაგრამ ასეთი არჩევანი არა აქვთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც გირავნობის საგანია მოთხოვნა. 2005 წლის 30 ივნისის კანონით შეიცვალა კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაგირავების წესი და დადგინდა გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) აუცილებელი სანოტარო წესით დამოწმება და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის თანახმად კი, მოვალისათვის შეტყობინება მაინც არსებობს მიუხედავად გირავნობის უფლების პუბლიკაციისა. შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით. შეტყობინების მიღებამდე მოვალეს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის მფლობელის წინაშე (მ. 259.ნ.2).

ფასიანი ქაღალდების დაგირავების მიმართ კანონი ადგენს ორგვარ წესს იმისდა მიხედვით, წარმოადგენს თუ არა ფასიანი ქაღალდი საჯარო ფასიან ქაღალდს. ამ უკანასკნელის დაგირავების წესი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.¹

მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია გირავნობით, ისეთივე ქონებრივ ობიექტს წარმოადგენს, როგორც ნებისმიერი ნივთი, ამიტომ მისი გასხვისებაც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დასაშვებია. მოთხოვნისა და უფლებების განსხვისების ინსტიტუტს სამოქალაქო კოდექსი მოთხოვნის დათმობას უწოდებს (198–202 მუხლები).

გირაოს ახალ კრედიტორზე გადასვლის წესში კიდევ ერთხელ ვლინდება გირავნობის უფლების აქცესორული ხასიათი. ახალ კრედიტორზე მოთხოვნის გადაცემა იწვევს გირავნობის უფლების გადასვლასაც. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ გირავნობა ძირითადი ვალდებულებების (მოთხოვნის) გარეშე არ არსებობს და მისი დამოუკიდებელი გადასვლა ახალ კრედიტორზე გამორიცხულია. „სხვა პირისათვის მოთხოვნის გადაცემით ამ პირზე (ახალ კრედიტორზე) გადადის გირავნობის უფლებაც. (მ. 269.ნ.1.).

მოგირავნის უფლებების დაცვას ისახავს მიზნად 269-ე მუხლის მე-4 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც გირაოს (გირავნობის საგნის) გასხვისება, მისი გადაცემა მესამე პირზე არ იწვევს მოთხოვნის გაქარწყლებას. მიუხედავად იმისა, რომ იცვლება დამგირავებლის პიროვნება, ამ საგანზე არსებული გირავნობის უფლება უცვლელი რჩება.

არის შემთხვევები, რომ მოგირავნე (კრედიტორი) თავის მოთხოვნას მესამე პირს გადასცემს, მაგრამ გირაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, გამრიცხულია გირაოს გადასვლა ახალ კრედიტორზე. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი: ახალი კრედიტორს არა აქვს ინტერესი დაგირავებული საგნის მიმართ ან დამგირავებელმა, რომელიც თვითონ არ არის მოთხოვნის პირადი მოვალე, მოგირავნისაგან შეიძინა მოთხოვნა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში გირავნობაც ისპობა (269-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

იმის გამო, რომ გირავნობის ურთიერთობაში დამგირავებელი ყოველთვის არაა მოთხოვნის პირადი მოვალე, ვალდებულების შეუსრულებლობით საფრთხე შეიძლება შეექმნას როგორც მესაკუთრეს, ისე მესამე პირს. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 269-ე მუხლის მე-3 ნაწილი მათი უფლებების დაცვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. კერძოდ, იმ პირებს, ვისაც გირაოს გასხვისების შედეგად უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების საფრთხე ემუქრებათ, შეუძლიათ თვითონ შეასრულონ მოთხოვნა და ამ გზით მოგირავნის ადგილი თვითონვე დაიკავონ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოხმობა:

გამომდინარეობს თუ არა მისი მოქმედება 269-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან? კერძოდ ეს ნორმა მესამე პირის უფლებამოსილების საფუძვლად მიიჩნევა ამ პირის „უფლებრივი მდგომარეობის

¹ ზურაბ ჭიჭქელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 407, 408. 409, 410, 411

გაუარესებას“ გიროს გასხვისების შედეგად. კონკრეტულ მაგალითში კი დედამთილის უფლებრივი მდგომარეობა არ უარესდება იმით, რომ რძლის ბეჭედი შეიძლება აუქციონზე გაიყიდოს.

„უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების“ რამენაირ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. უარესდება თუ არა უფლებრივი მდგომარეობა, ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. „რძალი – დედამთილის მაგალითში საქმე უფრო მორალურ ტკივილთან გვაქვს, ვიდრე უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებასთან. ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი საკითხები შეიძლება მოწესრიგდეს სამოქალაქო კოდექსის 969-975-ე მუხლებით (დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება).¹

გირავნობის უფლების ახალ კრედიტორზე გადასვლის მიღწევისათვის მხოლოდ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადება საკმარისი არ არის. მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში – გირავნობის საგნის ახალი კრედიტორის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა, ხოლო რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში – საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. თუ მოთხოვნის დათმობისას გამორიცხული გირავნობის უფლების გადაცემა, მაშინ გირავნობის უფლება უქმდება.

დაგირავებული ნივთი შეიძლება გასხვისებულ იქნეს მესაკუთრის მიერ მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ობიექტს და ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ არის დამდგარი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველ რედაქციაში აღნიშნულ საკითხს აწესრიგებდა ერთი ნორმა, რომელიც გათვალისწინებული იყო 264-ე მუხლში: „გირავნობის საგანზე გარიგების დადებისათვის აუცილებელია მოგირავნის წინასწარი თანხმობა“. ამ ნორმის თანახმად, დამგირავებლის (მესაკუთრის) მიერ დაგირავებულ ნივთზე ნებისმიერი სახის გარიგება, ე. ი. არა მარტო განკარგვა (მათ შორის, გასხვისება), არამედ მასზე ნებისმიერი ვალდებულებით – სამართლებრივი გარიგების დადებაც, დამოკიდებული იყო მოგირავნის თანხმობაზე. ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში გირავნობის საგანზე დადებული ნებისმიერი გარიგება ბათილად ითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქცია უფრო მეტ ყურადღებასა და, შესაბამისად, ნორმას უთმობს გირავნობის საგნის გასხვისების დროს წარმოშობილი საკითხების მოწესრიგების -5 ნორმა 274-ე მუხლში. გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციის 264-ე მუხლის ანალოგიურ ნორმას ახალი რედაქცია აღარ ითვალისწინებს და გირავნობის საგნის გასხვისებისათვის მოგირავნის თანხმობას იგი აღარ ითხოვს.

დამგირავებელს (მესაკუთრეს) შეუძლია თავისი სურვილით გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს ან სხვაგვარად გაასხვისოს დაგირავებული ნივთი, თუმცა, შემძენზე გადავა გირავნობით დატვირთული ნივთი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში მოგირავნე ან უფლებამოსილი მესამე პირი გირავნობის საგანს მფლობელობაში გადასცემს შემძენს, დამგირავებელი (მესაკუთრე) დაგირავებულ ნივთს ასხვისებს თავისი ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, იცოდა თუ არა შემძენმა ნივთზე დადგენილი გირავნობის უფლების თაობაზე. თუმცა, ეს წესი არ გამოიყენება, თუ შემძენი და დამგირავებელი მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად (მ. 274 ნ. 4).²

ლიტერატურა:

1. ზურაბ ჭეჭელაშვილი, ქართული სანივთო სამართალი, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2009.
2. გიორგი ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2005.
3. ლადო ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1994.
4. ლადო ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 1999.
5. ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2003.
6. ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, თბილისი, 1999.

¹ ლადო ჭანტურია, საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 1999, გვ. 31, 32, 33, 34.

² ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 419

Ivane Balakhashvili
Gori State Teaching University
MORTGAGED PROPERTY SALE
RESUME

Mortgaging is a significant institution of property of law. It's interpreted in the first and second parts of 254 article of Georgian Civil Code .it's considerable that the first part of 254 article in was amended in 2006-2007 years that is mentioned in the work.

Mortgaging is means of request. according to the law, a mortgagor is more entitled to meet his/her requirements than creditor.

The main and additional requirements/right are ensured with the right of mortgaging. The types of mortgaging and the issues relating to it are discussed in this work: the rights and duties of the parties, the limits bound of using a mortgage. The object of mortgaging can be personal estate (thing), property requests and rights.

თეიმურაზ დარსანია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი ამერიკულ სისხლის სამართალში

ინგლისური ზოგადი სამართლის დებულებები ამერიკულმა სისხლის სამართალმა კარგად მოიხრგო. means rea-ს თვალსაზრისით, მცდელობა ხასიათდება სპეციალური განზრახვით, ანუ განზრახვით მიმართული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ. ამასთან ხშირად ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში და კანონმდებლობაში დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ მხარეს უფრო მეტი მოთხოვნა წაეყენება, ვიდრე დამთავრებული დანაშაულისას. მაგალითად, ილინოისის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პირის მკვლელობაში დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისია დამტკიცება იმისა, რომ მას შეგნებული ჰქონდა სიკვდილის ან მძიმე დაზიანების მიყენების მაღალი ალბათობა, რასაც შეეძლო გამოეწვია სიკვდილი. ან დამტკიცება იმისა, რომ მკვლელობას ჰქონდა ადგილი ძალადობრივი ფელონიის ჩადენისას, ხოლო მკვლელობის მცდელობისას, გარდა ზემოთ მოყვანილისა, ასეთი დანაშაულის ჩადენის განზრახვა უნდა დამტკიცდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის სამაგალითო კოდექსში (პ.1 მ. 5. 01) მოცემულმა დანაშაულის მცდელობის ვრცელმა არასაკმარისად კონკრეტიზირებულმა თეორიულმა განმარტებამ დიდი ზეგავლენა ვერ მოახდინა ამ ინსტიტუტის რეგულირებაზე შტატების კანონმდებლობაში.

ბევრად უფრო კომპაქტური, მაგრამ არანაკლებ ბუნდოვანია დანაშაულის მცდელობის განმარტება ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსში: „პირისთვის, ნებისთ თუ შეგნებულად, ასევე იმ შემთხვევაში, თუ განზრახვა ან შეცნობა საკმარისია ბრალეულად ხელყოფისათვის, დაუშვებელია ქცევა, რომელიც თუ ის წარმატებული იქნებოდა (მიყვანილი იქნებოდა ბოლომდე), შეადგენდა დანაშაულებრივ ხელყოფას¹“. მოცემული დეფინიცია ყურადღებას იქცევს ორი მიზნით: პირველი იმით, რომ განზრახვა არ წარმოადგენს ბრალის ერთადერთ ფორმას დანაშაულის მცდელობისას, მეორე იმით, რომ მასში არ არის მოცემული არანაირი კრიტერიუმი ისეთი პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტისა, როგორცაა: გამიჯვნა მომზადებასა და დანაშაულის მცდელობას შორის. ეს მაშინ, როცა ამერიკული კანონებით მომზადება, არ წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას. ეს ბოლო შენიშვნა შეიძლება გავრცელდეს სხვა შტატების კოდექსებზეც.

სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსის ზეგავლენის ქვეშ ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა „მნიშვნელოვანი ნაბიჯის“ მოთხოვნა. მაგალითად, დანაშაულის მცდელობის მსგავსი განმარტებებია მოცემული ილინოისის, პენსილვანიის და ჯორჯიის შტატების

¹Козочкин И. Д. Уголовное право зарубежных государств, с. 320.

სისხლის სამართლის კოდექსებში: პირი ბრალეულია მცდელობაში, თუ „დანაშაულებრივი ხელყოფის განზრახვით ასრულებს რაიმე მოქმედებას, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს მიმართულს ამ ხელყოფის ჩასადენად“¹.

რა თქმა უნდა, გამოიჯენა მოქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენენ “მნიშვნელოვან ნაბიჯს”, ისეთებისაგან, რომელნიც არ არიან ამგვარი, საკმაოდ რთულია. ამ საკითხის გადაწყვეტის გასაადვილებლად სამაგალითო კოდექსში მოყვანილია შემთხვევები, როდესაც, შემდგენლების აზრით, ქმედება ქმნის „მნიშვნელოვან ნაბიჯს“: ჩასაფრება, შესაძლო მსხვერპლის ძებნა ან გამოდევნება, უკანონო შეღწევა შენობაში ან შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, მსხვერპლის შემოტყუება ან ცდა შემოტყუებისა დანაშაულისთვის წინაწარ განსაზღვრულ ადგილზე, ისეთი ნივთის ფლობა, რომელიც გამიზნულია დანაშაულის ჩასადენად და სხვა. ზემოთ თქმულიდან აშკარად ჩანს, რომ მოსამზადებელი ქმედებების ხარჯზე ხდება მცდელობის ცნების გაფართოება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შტატში, მაგალითად, კალიფორნიაში სასამართლოები იყენებენ „აშკარა ქმედების“ კრიტერიუმს, რომელიც არ უნდა იყოს უახლოეს ან ბოლო ნაბიჯად ძირითადი დანაშაულის ჩადენისას. ასეთი მიდგომა გვაძლევს სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გამოყენების შესაძლებლობას ნებისმიერი ნაბიჯისთვის, რომელშიც ასე თუ ისე ჩანს დანაშაულის ჩადენის ნება.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად ამერიკულ სისხლის სამართალში გამოიყენება სხვადასხვა თეორიები.

თეორია - „უკანასკნელი უახლოესი ნაბიჯი“: თუ პირმა გააკეთა ყველაფერი, რაც მას ჩაფიქრებული ჰქონდა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად და იმ შემთხვევაში, თუ მას ბოლომდე მიიყვანდა, შექმნიდა დამთავრებულ დანაშაულს. მაშინ ეს, გავრცელებული მოსაზრებით, არის მცდელობა.

თეორია - „ფიზიკური სიახლოვე“ - გამომდინარეობს იქიდან, რამდენად ახლოა ქმედება, რომელიც შეადგენს მცდელობას, დამთავრებულ დანაშაულთან. დამნაშავის ქმედება ამ შემთხვევაში განიხილება დროის, მანძილის, ქმედების თვალსაზრისით, რომელიც კიდევ საჭიროა დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად და მოქმედის შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაიდინოს დანაშაული.

თეორია - „სახიფათო სიახლოვე“ მოიცავს წინა თეორიას და მატებს მას ხელყოფის საფრთხეს. ასევე ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: საფრთხის სიახლოვე, მისი გააზრების ხარისხი და შესაძლო ზიანის ზომა. თუ ქცევა საკმარისად საშიშია, ის აღკვეთილი უნდა იქნეს.

თეორია - „აუცილებელი ელემენტი“. თუ მოქმედმა არ დაამყარა კონტროლი დანაშაულებრივი ქცევის მნიშვნელოვან ელემენტზე, ის არ მიეცემა მცდელობისთვის პასუხისგებაში. ასევე, თუ მოქმედ პირს დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად სჭირდება სხვა პირის ან რაიმე დამატებითი საშუალების მოძიება, მცდელობა ჯერ კიდევ არ ჩაითვლება დაწყებულად.

თეორია - „შესაძლო უარი“. თუ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების დროს, გარე ჩარევისაგან დამოუკიდებლად, არის შესაძლებლობა დანაშაულის ბოლომდე მიყვანისა იმის გათვალისწინებით, რამდენად შორს წავიდა დამნაშავის ქმედება, გვექნება დანაშაულის მცდელობა. მოცემულ შემთხვევაში შეხება გვაქვს ნებაყოფლობით ხელის აღების პრობლემასთან.

თეორია - „ანორმალური ნაბიჯის“ მიხედვით, მცდელობა ეს არის ზღვარს გადაცდენილი ისეთი ქმედება, რომელსაც ჩვეულებრივი ნორმალური ადამიანი არ ჩაიდენდა. ამ თეორიით შეუძლებელია განსაზღვრა, სად გაჩერდებოდა ჩვეულებრივი ნორმალური ადამიანი წინასწარი საქმიანობის განვითარების ეტაპზე.

თეორია - *res ipsa loquitur* გამომდინარეობს იქიდან, რომ პიროვნების ქმედება არაორაზროვნად უნდა მიუთითებდეს მის ჩამოყალიბებულ განზრახვაზე და ჩანდეს, რომ არა სხვა გარე ფაქტორები, ის ბოლომდე მიიყვანდა დანაშაულებრივ ქმედებას. ამ თეორიის თანახმად, უნდა დადასტურდეს, რომ არ არსებობს რაიმე სხვა ლოგიკური ახსნა პიროვნების ქმედებისა, თუ არა განზრახვა, ჩაიდინოს კონკრეტული დანაშაული.

ვფიქრობთ, არ არის აუცილებლობა გავაკეთოთ კომენტარი ზემომოყვანილ თეორიებზე, რადგან აშკარაა, რომ ამ თეორიებით წამოყენებული მრავალი კრიტერიუმი იძლევა შესაძლებლობას პირი პასუხისგებაში მიეცეს დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი, განზრახვის გამომჟღავნების დროსაც.

კონკრეტიზირებული მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების არარსებობას მივყავართ იქამდე, რომ ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა სასამართლოს მიერ შეფასებულია არაერთგვაროვნად. ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე პიროვნება, რომელიც მსხვერპლს ჩაუსაფრდა, ერთ შემთხვევაში მიჩნეულ იქნა დამნაშავედ ძარცვის მცდელობისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში გამართლებულ იქნა.

¹kozочкин И. Д. Уголовное право зарубежных государств, с. 323.

ამერიკის სისხლის სამართალი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მცდელობისათვის ნებისმიერ დანაშაულზე, მიუხედავად მისი კატეგორიისა. ფედერალური კანონმდებლობის თანახმად, ის ისევე შეიძლება დაისაჯოს, როგორც დამთავრებული დანაშაული. თუმცა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით, სასჯელი დანაშაულის მცდელობისათვის აუცილებლად უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაში. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მცდელობა ითვლება უფრო დაბალი კლასის ხელყოფად, ვიდრე დამთავრებული დანაშაული (მესამე ხარისხის ცეცხლის წაკიდება არის C კლასის ფელონია და ისჯება 15 წლით თავისუფლების აღკვეთით, ხოლო მასზე მცდელობა 7 წლით თავისუფლების აღკვეთით, რადგან წარმოადგენს D კლასის ფელონიას).

რაც შეეხება ეგრეთწოდებულ „შეკვეცილი შემადგენლობების“ დანაშაულებს, რომლის დროსაც მომზადება და უბრალოდ განზრახვის გამოძღვრება კი კანონმდებლის მიერ გამოცხადებულია დამთავრებულ დანაშაულად, ამერიკულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში საკმაოდ ბევრია. ეს ისეთი დანაშაულებია, როგორცაა: დამნაშავეთა გაერთიანებაში ანუ ბანდაში მონაწილეობა, დანაშაულის იარაღის ფლობა და სხვა.

სხვა პრობლემა დაკავშირებული მცდელობის actus reus - თან ეხება ეგრეთ წოდებულ დანაშაულის ჩადენის შეუძლებლობას.

სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსი თვლის, რომ „შეუძლებლობა“ არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული (პ. 1 მ. 5. 01). ასეთივე, ოღონდ უფრო მკაფიო პოზიციას დაფიქსირებული ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაშიც. მაგალითად, ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია, რომ „ბრალდების წაყენებისაგან არ შეიძლება იყოს დაცვა ის, რომ ხელყოფის ჩადენა, რაზეც მიმართულია მცდელობა, შეუძლებელია მოცემულ ვითარებაში¹“. ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში კი სისხლისსამართლებრივი დოქტრინიდან გადმოღებულია ორმაგი „შეუძლებლობა“ - ფაქტიური და იურიდიული.

ფაქტიური შეუძლებლობა არის შედეგი გარკვეული ფიზიკური ან ფაქტიური პირობებისა, რომელიც უცნობია მოქმედი პირისთვის. ის შეიძლება გამოიხატოს, როგორც მცდელობა უვარგის ობიექტზე, ან როგორც მცდელობა უვარგისი იარაღით. ამერიკელი ავტორები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ „ლეგალურმა შეუძლებლობამ შეიძლება გაანეიტრალოს მცდელობა და შექმნას დაცვის შესაძლებლობა“. ასე მაგალითად, ცდა ნაფიცი მსაჯულის მოსყიდვისა, თუ ეს უკანასკნელი არ არის ასეთი, არ წარმოადგენს მცდელობას.

ზოგიერთ შტატში იურიდიული შეუძლებლობა არ გამორიცხავს დანაშაულის არსებობას, თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად მინდობილია სასამართლოზე. მაგალითად, როგორც აღნიშნულია ტეხასის შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მიუთითებს საერთო სამართლის შესაბამის ნორმაზე, მოზარდი, რომელსაც არ მიუღწევია 14 წლამდე, პრეზიუმირებული შეუძლებლობის ძალით, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დამნაშავედ გაუპატიურების მცდელობაში.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა შევეხოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას. ზოგადი სამართლისათვის ეს ინსტიტუტი უცნობია. ითვლება, რომ ქმედება, რომელიც შეადგენს მცდელობას, უკვე შესრულებულია, პირის შემდგომ მოქმედებას მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობა, რომლებზეც სამაგალითო სისხლის სამართლის კოდექსმა იქონია ზეგავლენა (პ.4 მ.5. 01), გარკვეული პირობების არსებობისას, ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას დანაშაულის ბოლომდე მიყვანისაგან ხელის აღების შემთხვევაში².

ლიტერატურა:

1. კოზოჩკინი-2001-Козочкин И. Д. Уголовное право зарубежных государств, М. 2001.
2. Criminal Code of the Republic (2005). Chapter I General Provisions, Article 121-4 (English version)
3. W.Samuel (1997). Popular Justice: A History of American Criminal Justice. Publisher: Oxford University Press; New York Correction History Society- The Evolution of the New York Prison System. 1971; M. Misis (2011). History of Corrections in America. History I class notes - University of Southern Mississippi; W. Drakeford, K. Friedman (2011). History of the Criminal Justice System - National Center on Education, Disability, and Juvenile Justice and the University of Maryland.

¹Criminal Code of the Republic (2005). Chapter I General Provisions, Article 121-4(English version)

²W.Samuel(1997). Popular Justice: A History of American Criminal Justice. Publisher: Oxford University Press; New York Correction History Society- The Evolution of the New York Prison System. 1971; M. Misis (2011). History of Corrections in America. History I class notes - University of Southern Mississippi; W.Drakeford, K.Friedman (2011). History of the Criminal Justice System - National Center on Education, Disability, and Juvenile Justice and the University of Maryland.

Teimuraz Darsania
Georgian Technical University
INSTITUTION OF CRIMINAL ATTEMPT IN US CRIMINAL LAW
RESUME

American Criminal Law provides liability for attempts of any offense, regardless of its category. According to the Federal law, crime attempts can be punished as a felony. However, some of the state law, the punishment for attempting to do so will be less than the ending crime. For example, New York State law, with some exceptions, the attempt is considered a lower-class violation, rather than a felony.

However, some of the state law, the punishment for crime attempting should be less than the ended crime. For example, by the New York State law, with some exceptions, the attempt is considered a rather lower-class violation, than a felony.

American criminal grouping well adjusted English common law provisions. According to 'means rea'-s point of view, an attempt is characterized by a special intention, that is directed at the specific intent to commit the crime. In some states the legal impossibility does not exclude the existence of a crime, though solving this issue is completely trusted to Courts.

მაკა დოლოძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ეროვნული ურთიერთობები და საინფორმაციო საშუალებები

როგორც ცნობილია, საქართველო ერთ-ერთი მრავალეროვანია კავკასიაში. იგი ოდითგანვე წარმოადგენდა ერთიან მონათესავე ტომებით დასახლებულ ქვეყანას. ქართველებსა და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ყოველთვის ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. მიუხედავად რელიგიისა და ენების სხვადასხვაობისა მათ გარკვეული ინტერესი მუდამ აერთიანებდა. მაგრამ სამწუხაროდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ხშირ შემთხვევაში ისინი საინფორმაციო იზოლაციაში იმყოფებიან, რის შედეგადაც ეროვნული უმცირესობები არ არიან ინფორმირებულნი საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. რუსულ, თურქულ, სომხურ, აზერბაიჯანულ საინფორმაციო საშუალებებზე დამოკიდებულების გამო ისინი ფაქტობრივად სხვა ქვეყნის საინფორმაციო სივრცის ნაწილნი ხდებიან. ზოგჯერ უცხოური მედიის მიერ საქართველოში მიმდინარე პროცესების ტენდენციური გაშუქება ეროვნულ უმცირესობასა და სახელმწიფოს შორის პრობლემებს იწვევს.

იმისათვის რომ გაგვერკვია, თუ რა როლს უთმობს მედია ქართველებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობებს გადავწყვიტეთ გაგვეშუქებინა ქართულ მედიაში გავრცელებული პუბლიკაციები. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მედია ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ერების მეგობრულად ცხოვრების გამოცდილებაზე, ტოლერანტობაზე. ხშირად ამ თემებზე სხვადასხვა ჟანრის მასალები ქვეყნდება. ეთნიკური უმცირესობებისათვის განკუთვნილ საინფორმაციო პროგრამებს ამზადებს საზოგადოებრივი ტელევიზია, სადაც ეთნიკური უმცირესობის ენებზე გადაიცემა ინფორმაციები. სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლებს ეხება „რუსთავი 2-სა“ და „იმედის“ ეთერით გადაცემული სიუჟეტები.

ეთნიკური უმცირესობისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები ქვეყნდება აგრეთვე ქართულ პრესაში. ჯერ კიდევ გაზეთები „დროება“, „ივერია“, „საქართველო“ და სხვ. თავის გვერდებზე მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს, მათ ურთიერთობას. პუბლიკაციებში საუბარია, როგორ დასახლდნენ სამცხე-ჯავახეთში სომხები, როგორ შეიფარა ისინი ქართველებმა, როგორი ურთიერთობა იყო მათ შორის. საქართველოში ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში რომ არიან მოსახლეთ ამას არც თვით სომხები უარყოფენ. ერთ-ერთი სომეხი დეპუტატი სალათულიანი აღნიშნავდა, მუსულმანთაგან დევნილ სომხებს საქართველოში უშოვიათ მეორე სამშობლო. [1]

ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება პუბლიკაციები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ტრადიციების, რელიგიის შესახებ. ასეთი სახის პუბლიკაციები საყურადღებოა იმით, რომ ყველასათვის

გასაგები იყოს, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ქართველებისაგან არაფრით გამოირჩევიან და ისინი ისეთივე პრივილეგიებით სარგებლობენ. ქართული ჟურნალ-გაზეთები წერენ რა ქართველებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობებზე, საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან იმის შესახებ, რომ თბილისში ერთმანეთის გვერდით არის ქართული, რუსული და სომხური ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი. პუბლიცისტებს ამით იმის თქმა უნდათ, რომ საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მეგობრულად ცხოვრობენ. მათ არავითარი შეზღუდვა არა აქვთ და ისინი ზეწოლას არავისგან განიცდიან. ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ, რომ აზერბაიჯანელებს თბილისში აბანოთუბანის რაიონში ჯუმა მეჩეთი აქვთ, სადაც სუნიტები და შიიტები ერთად ლოცულობენ. მართალია, საქართველოში სტუმრად ჩამოსულ მუსულმანებს სუნიტებისა და შიიტების ერთად ლოცვა უკვირთ, მაგრამ ისე მოსწონთ ეს, რომ თავიანთი ახლობლებიც კი მოჰყავთ რომ ანახონ ეს „საოცრება“. ამ ინფორმაციაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. როგორც ვხედავთ ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ მესამე ძალა ყოველნაირად ცდილობს ისლამისტების დაყოფას და მათზე თავისი ძალაუფლების მოხვევას. მაგრამ თბილისში არსებული მეჩეთი მათ ამის საშუალებას არ აძლევს. „თბილისური ჯუმა ყველა მუსულმანისათვის საერთო იქნება“ – დასძენს პუბლიცისტი [2]

როგორც ცნობილია საქართველოში ასობით მუსლიმანური სალოცავია და მის მოქმედებას არავინ კრძალავს. ქართველები მეჩეთების აშენების, სარწმუნოების წინააღმდეგ არასოდეს წასულან. ის კი არადა ხშირად ისინი აზერბაიჯანელთა ტრადიციულ დღესასწაულებშიც კი მონაწილეობენ. პრესაში იბეჭდება პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ ქვემო ქართლის სოფლებში მცხოვრები აზერბაიჯანელები ნოემბრის გიორგობას ეკლესიაში მიდიან, საკლავს სწირავენ, სანთელს ანთებენ და ლოცულობენ.

საინფორმაციო საშუალებები საუბრობენ რა ეროვნული უმცირესობების ერთად ცხოვრების გამოცდილებაზე, აქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ მესამე ძალის ჩარევით მათ შორის განხეთქილებაც კი ხდება და მაგალითისათვის მოჰყავთ აფხაზები და ოსები. როგორც ცნობილია, ქართველები და ოსები ქრისტიანები არიან. მათ ერთმორწმუნეობასა და ნათესაურ ურთიერთობას არც ბორის ჩოჩიევი უარყოფს „ქართველ და ოს ხალხებს ნათესაური ურთიერთობები აკავშირებთ, ერთმორწმუნეები არიან და მეზობლად ცხოვრობენ.....“ [3] როგორც ქართველები, ასევე ოსები ოსეთის ტერიტორიას თავიანთ ისტორიულ მიწა-წყლად მიიჩნევენ და მასზე საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას ცდილობენ. არა და ეთნიკური ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაა. XVII-XVIII საუკუნეებში ოსებმა დაიწყეს საქართველოში ჩამოსახლება, კერძოდ, შიდა ქართლის ტერიტორიაზე. სოფრომ მაგალობლიშვილი მოგვითხრობს იმ ოსების შესახებ, რომლებიც მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ. როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელი ქართლის მთა-ტყეებს, ბარად იშვიათად ცხოვრობდნენ. ოსები მთელი ქართლის ტერიტორიაზე დათარეშობდნენ და თავიანთი მიზნების მისაღწევად არაფერს ერიდებოდნენ. ხანდახან, როდესაც ქართველები მათ შემოტევას აშკარად იგრძნობდნენ, განრისხდებოდნენ. მაგრამ წყენა მალე ავიწყდებოდათ, მალე ისევ დაწყნარდებოდნენ და მეგობრულ ხელს უწვდიდნენ ოსებს. [4] „ქართველთა და ოსთა კავშირი ისე განმტკიცდა, ისე შეიყვარეს ერთმანეთი, რომ მას შემდეგ, ამდენი ხნის განმავლობაში, ერთი მაგალითი არ მომხდარა, რომ ოსებს ან ქართველებს ერთმანეთისათვის ეღალატნოთ და რამე ბოროტება ჩაედინოთ. ასეთი ბოროტება ძველად ოსთა და ქართველთა შორის ამხათაც არ გაგონილა, ნაცვლად მტრობის, ოსები ქართლში გადმოსახლების შემდეგ, ქართველებთან ყოველთვის ერთად იბრძოდნენ, ბრძოლის დროს არასოდეს უღალატნიათ, უკან არ გამდგარან“ – ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“ [5]

საქართველოში გამოძვალ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟანრის მასალები ოსებისა და ქართველების ურთიერთობების შესახებ. როგორც ქართული, ასევე ოსური პუბლიკაციებიდან კარგად ჩანს, რომ ოსები საქართველოში უზრუნველად და უშფოთველად ცხოვრობდნენ. ჩვენ სულ სხვანაირი ცხოვრება გვქონდა: ვიღაცა სახლს აშენებდა, ვიღაცა მოსავალი მოჰყავდა, ვიღაცა თავის ეზოში თამაშობდა – წერდა ოსური გაზეთი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ოსები თავიანთ ბედს არ ემდუროდნენ. გაზეთში „იუჟნაია ოსეთია“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, თუ რა ბედნიერად ცხოვრობდნენ ოსები აგვისტოს ომამდე. თუ როგორ შრომობდნენ და როგორ ისვენებდნენ. ქართველებსა და ოსებს შორის მეგობრული და ნათესაური ურთიერთობებიც კი არსებობდა. ოსები სტუმრად ჩადიოდნენ ნათესავებთან თბილისში, თბილისელები კი ოსეთში. ალა გერგაულოვა მოგვითხრობს ორი ოსი ქალბატონის შესახებ, რომლებიც ომის პერიოდში თბილისში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ იქ არავითარი საფრთხე არ შეექმნათ. თუმცა ამ ფაქტს პუბლიცისტი ასე აშკარად არ ახმოვანებს. იგი წერს, თუ რა მოხდა და რატომ მოხდა. ე.ი. უბრალოდ ინფორმაციას გვაწვდის და ანალიზისგან თავს იკავებს. არა და უკეთესი იქნებოდა სწორედ ამაზე გაემახვილებინა ყურადღება, რადგანაც როგორც ქართული, ასევე ოსური პრესის მიზანი იმის ჩვენება უნდა ყოფილიყო, თუ მესამე ძალის ჩარევამდე როგორი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ. [6]

რაც შეეხება აფხაზეთს, იქ ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები. „არა მგონია, რომელიმე კუთხე კავკასიისა ისე იყვეს ჭრელი, როგორც დღეს არის აფხაზეთი. ის წმინდა მოზაიკას წარმოადგენს ამ მხრივ და ყველა ვისაც მოსვლა არ დაზარებია, მოსულა და აქ დასახლებულა: რუსი, ებრაელი, ბოლგარიელი, ალბანელი, ესტონელი...“ – წერდა ზაქარია ედილი [7] ქართული პრესა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობების საკითხს, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს. საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები „დროება“, „კრებული“ „ივერია“, „კვალი“ და სხვ. ყოველნაირად ცდილობდნენ მთელი სიმწვავეთ აესახათ აფხაზეთში არსებული მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობა. ქართული საინფორმაციო საშუალებები გვაწვდიდნენ ინფორმაციებს აფხაზების გენოციდის შესახებ: XIXს-ში მუჰაჯირობა, XXს-ში მასობრივი დახვრეტები, ხოლო მოგვიანებით მასობრივმა საშუალებებმა გააჟღერა ჟირინოვსკის განცხადება „აფხაზეთი რუსეთს „საგულაოდ“ სჭირდება, ხოლო აფხაზები ხელზე მოსამსახურედ“ [8] რუსებისაგან განსხვავებით ქართველებს აფხაზები ხელზე მოსამსახურედ კი არ სჭირდებათ, არამედ მათთან ერთად ცხოვრება და ურთიერთობა უნდათ. „საქართველოს აფხაზეთის ტერიტორიაზე უპირველესად აფხაზები სჭირდება“ – წერდა გაზეთი „კვირის პალიტრა“. [9]

აქვე ხაზი გვინდა გაუსვავთ იმას, რომ მიუხედავად კონფლიქტური სიტუაციისა საქართველო და ქართველი ერი ყოველნაირად ცდილობს იყოს მიმტვევებელი, შეინარჩუნოს ტოლერანტობა. საქართველოში დღეს სხვა მცირე ეთნიკურ წარმომადგენლებთან ერთად მრავალი რუსი ცხოვრობს. ისინი აქ თავს კარგად გრძნობენ და არავითარი საშიშროება ემუქრებათ. ის კი არადა, რუსეთ-საქართველოს ომის დროს ბევრი რუსი უცხადებდა თანაგრძნობას ქართველებს, ბევრს არ უნდოდა ქართველების წინააღმდეგ გამოსვლა. მათ შორის რუსის ჯარისკაცებიც იყვნენ. მათ საქართველოში ახლობლები ჰყავდათ და ერთი ტყვიაც კი არ გაუსროლიათ. მშვიდობისმოყვარე ქართველები და რუსები ომის შესაჩერებლად თავს არ ზოგავდნენ. ისინი სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს ეძებდნენ ამ საშიშროებიდან გამოსასვლელად. „რაც მოხდა, აღარაფერი ეშველება, მაგრამ ახლა პოლიტიკური და არა სამხედრო გზები უნდა გამოვნახოთ ამ ყველაფრის შესაჩერებლად“ – წერდა ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი ვიქტორ ლოშაკი. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი აცხადებდა, რომ რუსეთში ყველა გონიერი ადამიანი შემფოთებულა საქართველოს მდგომარეობით. ეს ინტერვიუ იმით არის საყურადღებო, რომ გვაწვდის რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას. პირველი – რუსებს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ; მეორე – ამ ინფორმაციებს ძირითადად იღებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა სატელევიზიო არხის მიერ; მესამე – რუსი მოქალაქეები შემფოთებულნი იყვნენ საქართველოს მდგომარეობით. [10] ეს ინფორმაციები, რა თქმა უნდა, ბევრისთვის უცხო არ იყო, მაგრამ კარგია, რომ ამ ფაქტმა სწორედ რუსი ჟურნალისტის მხრიდან გაიჟღერა.

როგორც ვხედავთ, საინფორმაციო საშუალებები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ქართველი ხალხისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ურთიერთობებს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პრესის ფურცლებზე უფრო მეტი მასალა უნდა იბეჭდებოდეს, სისტემატურად უნდა შექდებოდეს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება. საინფორმაციო საშუალებებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ეთნიკური უმცირესობისათვის აქტუალურ საკითხებს, ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონების პრობლემებს.

ლიტერატურა:

1. ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, #1, 1909 წელი;
2. <http://kavkasia.net/> “Кавказ Online”, 21 февраля 2011 года;
3. გაზ. „ახალი თაობა“, 2009 წლის 25 აგვისტო;
4. ჟურნ. „ერი“, #2-3, 1910 წელი;
5. ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959, გვ. 296;
6. газ. „Южная Осетия“, 6 сентября 2008 года. ;
7. გაზ. „საქართველო“, #35, 1917 წელი;
8. <http://www.presa.ge/new/> „პრესა. გე“, 2009 წლის 20 აგვისტო;
9. გაზ. „კვირის პალიტრა“, 2011 წლის 4-10 ივლისი;
10. გაზ. „კვირის პალიტრა“, 2008 წლის 11-17 აგვისტო

Maka Dolidze
David Aghmashenebeli University of Georgia
NATIONAL RELATIONS AND MEDIA
RESUME

As it is known, Georgia is one of the multi-national countries in Caucasus. Georgians and other nations always had much in common. Despite the variety of religions and languages, they have united some interest. In order to determine, what kind of attention pays Media to their relationships we tried to discuss publications. From publications discussed above we can conclude that: . It was very important that Georgian media information about mutual collaboration of Georgias and other nations. Mass Media has always paid great attention to Georgia events. This issue is printed publications of different genre. They say, that in Georgia Georgians and other nations have friendly relations, but also note, sometimes when third party involvement, the tension arises between them, as in Abkhazia and Ossetia.

კლარა ელჩიბეგაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სიყვარული ადამიანის საერთოღირებულებით სისტემაში

სიყვარული არის ყველაზე ძლიერი, ამოუხსნელი და ამაღლებელი გრძნობა, რომელსაც განიცდის ადამიანი. მარტივი გააზრებით ეს არის გრძნობა, რომელსაც ადამიანი საწინააღმდეგო სქესის მიმართ გრძნობს, მაგრამ სწორედ აქ იბადება კითხვა: როგორ ხდება homo sapiens (გონიერი ადამიანი) homo amans-ი (შეყვარებული ადამიანი)? რას წარმოადგენს ადამიანისათვის სიყვარული? ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას თუ არსებობის გაგრძელების ერთ-ერთ გზას. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ადამიანთა მოდგმის უდიდესი მოაზროვნენი, სიყვარულს უძღვნიდნენ თავიანთ შემოქმედებას უდიდესი მხატვრები და მწერლები, მუსიკოსები და პოეტები. შემოქმედი ხალხის გარდა სიყვარული ხშირად დიდ როლს ასრულებდა პოლიტიკაში და ცვლიდა მას. ეს ფაქტები ცხადყოფს მის უდიდეს როლს ადამიანის საერთოღირებულებით სისტემაში.

ადამიანურ სიყვარულს აქვს თავისი ე.წ. ბავშვობა. დიდი ხანია მეცნიერებმა დასვეს შეკითხვა: როდის წარმოიშვა სიყვარული? წამოიყოლა თუ არა ეს გრძნობა ადამიანმა ცხოველური სამყაროდან, თუ იგი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ სიყვარული ზიზღის, შურის და სხვა შედარებით ნეგატიური გრძნობების შემდეგ შეიქმნა. გამოქვაბულის ადამიანებისათვის ცხადია უცხო იყო სიყვარული, ეს იყო პრივიტივიზმის დონეზე არსებული რეპროდუქცია. მეცნიერები სიყვარულის წარმოშობას უკავშირებენ ადამიანის ყოფიერებაში ინდივიდუალური ქორწინების დომინირების პროცესს. თუმცა, აქედან დღევანდელ სიყვარულამდე მთელი ეპოქებია. ფილოსოფოსთა განსხვავებული ჯგუფი თვლის, რომ სიყვარული არ იყო ანტიკურ სამყაროშიც კი, აქ ადგილი ჰქონდა მხოლოდ ფიზიოლოგიურ ლტოლვას და მეტს არაფერს. ეს შეხედულება საკამათოა, რადგან ძველბერძნულ მითოლოგიაში საუბარია სიყვარულზე, ხოლო მოგვიანებით გვაქვს სოკრატეს, პლატონის და არისტოტელეს თეორიები სულიერი სიყვარულის შესახებ. ამის გარდა სად წავიყვანოთ სიყვარულის ღმერთები? აფროდიტა?

სიყვარულზე მსჯელობისას აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ მომენტზე, თუ როდის იწყება სიყვარული? მაშინ, როდესაც სუსტი სქესის წამომადგენელი მამაკაცის ყურადღების ცენტრში ექცევა. საუკუნეების განმავლობაში ყურადღება სულაც არ ნიშნავდა პატივისცემას, პირიქით, დიდი ხნის განმავლობაში ეს იყო მონობა, ძალადობა და ქალზე ძალაუფლების მკვეთრი გამოხატვა. ამ პროცესებში კი ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქალის დამორჩილების პროცესში მამაკაცი თვითონ აღმოჩნდებოდა მის ხაფანგში. ეს არის ადრეული საუკუნეების სიყვარულის ერთობ სწორხაზოვანი ხედვა. სიყვარულმა ვერ გაუძლო ფსიქოლოგიურად ასეთ გამყინვარებით პერიოდს და გაქრა.

საუკუნეების შემდეგ, ანტიკური პოეზია დასაბუთებს უსასრულო სიყვარულზე, ამ ეპოქისათვის სიყვარული თავის და საწამლავის ნაერთია, ეს არის გრძნობა, რომელსაც აღმაფრენასთან ერთად თან ახლავს ტკივილი და შფოთი. ამიტომ ანტიკურ დრამებში დიდ დოზითაა ტრაგიკული სიყვარულის ისტორიები.

ძველი ბერძნები განასხვავებდნენ სიყვარულის რამოდენიმე სახეს:

➤ ეს უპირველეს ყოვლისა ღვთიური ეროსია - სიყვარული, ლტოლვა, სიგიჟემდე მისული ღელვა, გიჟური სიყვარული. ძველი ბერძნები სწორედ ასე ამბობდნენ, „ეროტომანია“, რაც ნიშნავდა გიჟურ (გონების დაკარგვამდე მისულ) სიყვარულს. არსებობდა ზმნა „ერეომანეო“, რაც სიყვარულისაგან გაგიჟებას გულისხმობდა. ეროსი ფიზიკურ სიახლოვეს გულისხმობს, სწორედ აქედან მომდინარეობს სიტყვა „ეროტიკა“ - სიყვარულის ხელოვნება;

➤ ეროსისაგან შედარებით მშვიდი ფორმაა „ფილია“. სიყვარულის ამ ფორმას მნიშვნელობის ფართო სპექტრი აქვს, ვიდრე ეროსს. ესაა: მამის სიყვარული („ფილოპატორი“), დედის სიყვარული („ფილომეტორი“), ბავშვების სიყვარული („ფილოპაის“), ძმების და დების სიყვარული („ფილადელოფინა“), მეგობრების სიყვარული („ფილეტაირნა“), მშობლიური ქალაქის სიყვარული („ფილოპოლი“), ადამიანის სიყვარული („ფილანტროპია“) და ა.შ.

➤ აფროდიტა - სიყვარულის და სილამაზის ქალღმერთი. იგი დატვირთული იყო დიდი ფუნქციებით, მას ემორჩილებოდა ყოველივე სულიერი, იგი არეგულირებდა სასიყვარულო კავშირებს ღმერთებს შორისაც.

აღორძინების ხანის ეპოქაში ყოველივე მიწიერის და ადამიანური შეცნობის გაცხოველებული სურვილით, სიყვარული იფურჩქნება. თითქოს მან დაიბრუნა სიცოცხლის ფილოსოფიური კატეგორიის სტატუსი. იგი ცდილობს მოიხსნას რელიგიური ბორკილები და ხმამაღლა განაცხადოს თავისი უფლებების შესახებ. რენესანსის ეპოქის პათოსი სიყვარულზე კარგად ჩანს ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიურ სწავლებებში. დიალოგში „გმირული ენთუზიაზმი“ ბრუნო ამბობს, რომ სიყვარული ესაა ცეცხლოვანი ვნება, რომელიც ეხმარება ადამიანს შეიცნოს ბუნების საიდუმლოებანი, სწორედ ის ეხმარება ადამიანს გადაიტანოს დარდი და დაძლიოს სიკვდილის შიში, სიყვარული მოუწოდებს ადამიანს ჩაიდინოს საგმირო საქმეები. სწორედ სიყვარული აძლევს ადამიანს კოსმოსურ ენერჯიას, რომელიც მას ხდის დაუმარცხებელს.

ევროპული რენესანსისაგან განსხვავებით ქართულ რენესანსში სიყვარული წინააღმდეგობრივი გრძნობაა, მას ახაიათებს უზომო სიხარულის, თავგანწირვის, ტანჯვის, მწუხარების, აღმაფრენის განცდა. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი არსი - „ბოროტსა სძლია კეთილმან“ თავისთავად ღვთის გამარჯვებაა, რადგან იგი კეთილშობილების განსახიერებაა და სიყვარული თავის თავში გულისხმობს კეთილშობილებას. ანუ ის კეთილი, რომელმაც სძლია ბოროტს არის სიყვარული. რუსთაველი მეთორმეტე საუკუნიდან დღესაც გვასწავლის, რომ სიყვარული ზეციური, უზენაესია - „იგია საქმესაზეო მომცემი აღმაფრენათა.“ სიყვარული ის მთავარი გზავნილია, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ ამხელა ხიბლს აძლევს. აქ ყველანაირ სიყვარულს გადააწყდებით: ღმერთის, ოჯახის, ხალხის, ქალის - თითქმის ყველა იმ მიწიერ სიყვარულს, რომელიც ღმერთმა დედამიწაზე შექმნა და იმ ზეციურსაც, რომლის სწავლაც ასე რთულია - „ენა დაშვრების აღმაფრენითა“.

„რომანტიკული აღსარების შედეგია „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“. აქ სიყვარულისა და სიკეთის ჭეშმარიტი სამყარო უკვე მკვეთრად არის დაპირისპირებული რეალურ სინამდვილესთან და ზეციურისკენ ექსტატიური ლტოლვა სოფლის „შრომისაგან“, ამქვეყნიური ყოფისგან სრულ გათავისუფლებას, „დახსნას“ მოითხოვს. პოეტური თვალსაზრისით ეს ქართული რომანტიზმის, რომანტიკული მსოფლგაგების პირველი მანიფესტია, რომელიც მარცვალივით შეიცავს თავის თავში გურამიშვილისა და ბარათაშვილის მომავალ მისტიკურ ხილვებს.“¹

XVII საუკუნეში სიყვარულმა განსხვავებული გააზრება მიიღო. რენე დეკარტი ტრაქტატში „სულის სწრაფვა“ ამტკიცებს, რომ სიყვარული სულის ფორიაქია, რომელიც მისწრაფის იმასთან გაერთიანებისაკენ, რამაც მისი აღელვება გამოიწვია. გოეთეს აზრით სიყვარული მგრძობიარე და ტრაგიკულია, ამაღლებულია და გულახდილი.

ნიცშეს აზრით, სიყვარული ყოველთვის ეგოისტურია, ალტრუიზმი შეუძლებელია, ამიტომ სიყვარული და მორალი გამორიცხავს ურთიერთს, სიყვარული სიკეთისა და ბოროტების იქითა მხარეს რჩება. სიყვარული საკუთარ თავში დარწმუნების ძალის გამოვლინებაა, არა მხოლოდ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან მიმართებაში, არამედ ზოგადად ცხოვრებასთან და განსაკუთრებით ძალაუფლებასთან მიმართებაში.

¹ გურამ ასათიანი „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური პოეტიკა“. [http://www.litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=15159]

ამერიკელი სოციოლოგის ე. ფრომის მოსაზრებით, სიყვარულის სურვილი ესაა ადამიანის ყველაზე დადებითი სიცოცხლისეული ლტოლვა. სიყვარული ყველაზე კარგად პასუხობს შეკითხვას -ადამიანის არსებობის პრობლემის შესახებ.

სიყვარული ხშირად წინ უდგება გონიერებას და გამოდის პრიორიტეტის როლში. ლტოლვა ვულკანივით ემოციებით ავსებს ადამიანს და გონიერება უნებლიედ გადადის მეორე ადგილზე. ადამიანი კარგავს ცივი გონებით საკუთარი თავის მართვის უნარს და ემორჩილება დაუსაბუთებელ, მაგრამ მოთხოვნად ქმედებებს. მისი განცდები ცხადია, ესაა: დარდი, განცდა, ლტოლვა...

ინგლისელი ფილოსოფოსი ფ. ბეკონი მივიდა დასკვნამდე, რომ საუკეთესო ვარიანტია სიყვარული გავაცალკევოთ სერიოზული საქმისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩვენ დაგვაზარალებს. მის აზრს იზიარებს ჯ. ლოკიც, რომელიც გვარწმუნებს, რომ თუ ადამიანი შეძლებს საკუთარი გრძნობების და განცდების მართვას, ეს იქნება მისი პიროვნული ზრდის ჭეშმარიტი პროგრესი.

როგორია შეყვარებული ადამიანი? იქმნება ერთგვარი პარადოქსალური მდგომარეობა, რადგან ხშირად მას უყვარს არა ადამიანი რეალურად, არამედ ამ ადამიანის მის მიერვე შექმნილი სახე, იგი ხედავს შეყვარებულის არარეალურ, ღვთიურამდე გაკეთილშობილებულ თვისებებს.

რა აიძულებს ინდივიდს გაექცეს საკუთარ თავისუფლებას და გახდეს მართული? როგორ ერწყმის აქ ერთმანეთს ცნობიერი და ქვეცნობიერი? შეყვარებული ადამიანი გრძნობების მუდმივი დამაბულობის ქვეშ იმყოფება, იმდენად დიდია მეორე ადამიანისაკენ მიზიდულობის ძალა, რომ ადამიანს არ შესწევს უნარი წინ აღუდგეს მას. წინააღმდეგობის შემთხვევაში გადატანილი განცდა იმდენად ძლიერი და სასიამოვნოა, რომ ადამიანს კიდევ და კიდევ უნდა განიცადოს იგი. სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ამ განცდას ნარკოტიკული საშუალებების დამოკიდებულებას უთანაბრებენ, როდესაც შეუძლებელია სასიცოცხლო ძალის სტიმულიატორის გარეშე არსებობა.

სიყვარულს აქვს ალტრუისტული საწყისი, რადგან შეყვარებული ადამიანი პირველ რიგში ზრუნავს შეყვარებულზე. ე. ფრომმა ამ მდგომარეობას უწოდა სიყვარული ესაა არა ფლობა, არამედ ყოფა. ფლობის შემთხვევაში იკვეთება ყველაფრის საკუთრებაში მოქცევისაკენ ლტოლვა, ხოლო ყოფა - ეს არსებობის ის მეთოდია, როდესაც ადამიანს არაფრის ქონა არ აინტერესებს, ის ბედნიერია მხოლოდ იმით, რომ იმყოფება საყვარელი ადამიანის გვერდით.

სიყვარული რომ სიცოცხლის გაგრძელების ფიზიოლოგიური ციკლია, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ ეს მხოლოდ ამ სტადიაზე არ ჩერდება, მას აქვს სიცოცხლის გაგრძელების სულიერი ასპექტი. ადამიანის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე სიყვარულმა თავისი პირველსაწყისი დანიშნულებიდან ზრდა განიცადა და იქცა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებად, ადამიანის ინტელექტზე დამოკიდებულ გრძნობად. შესაბამისად, სიყვარულის მხოლოდ რეპროდუქციულმა ფუნქციამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ადგილი დაუთმო სულიერ მოთხოვნილებებს. მაგრამ ეს არ გულისხმობს მას, რომ სიყვარულმა დაკარგა ფიზიკური ლტოლვა. სწორედ ფიზიკური ლტოლვისა და სულიერი მოთხოვნილების ერთიანობა წარმოადგენს სიყვარულის კულმინაციურ წერტილს.

სიყვარული ესაა მდგომარეობა, როდესაც იაზრებ, რომ მეორე ადამიანის გარეშე ფიზიკური და სულიერი არსებობა შეუძლებელია, იმ ადამიანის გარეშე რომელსაც გინდა მიუძღვნა მთელი ცხოვრება, ყველაფერი საუკეთესო შენს ცხოვრებაში და აღფრთოვანდე მისით. სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანს. ამ დროს მასში ხდება დიდი მეტამორფოზი: ძუნწები ხდებიან ხელგამლილები, მოწყალენი, სიტყვაძუნწები ხდებიან ენაწყლიანები, დაუნდობლები ხდებიან შემყნარებლები... ანუ ადამიანში სიყვარულის მდგომარეობის დროს იღვიძებს ის დამატებითი რესურსები, რომლებიც ჩვეულებრივი მდგომარეობის დროს არ მოქმედებდნენ. სიყვარულს უფრო მეტი ჯადოქრობაც შეუძლია, როდესაც ადამიანი შეყვარებულია იგი ავლენს მის საუკეთესო თვისებებს, ისეთებსაც კი, რაც ბუნებას საიდუმლოდ ჩაუდია მასში.

შეყვარებული ადამიანი ბედნიერია, ბედნიერი ადამიანები კი ალამაზებენ სამყაროს, ისინი არ არიან აგრესიულები, ძალადობაზე და კონფრონტაციაზე ორიენტირებულები, პირიქით ორიენტირებულნი არიან კომპრომისებზე და პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე. როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი დილით სამსახურში აგრესიული განწყობით მოდის, თანამშრომლები ხვდებიან, რომ მას პირადი პრობლემები აქვს. ეს სტერეოტიპი ადამიანებმა საუკუნეებით დაამკვიდრეს.

შეყვარებული ადამიანი სამყაროს განსხვავებულად აღიქვამს, ყურადღებას ამახვილებს იმ დეტალებზე, რომლებსაც ადრე საერთოდ ვერ ამჩნევდა. შეყვარებული ადამიანის ცხოვრებაში ადარ არსებობს ყოველდღიური მოწყენილობა, იგი თავიდან განსაზღვრავს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს და განსხვავებულად აკეთებს აქცენტებს საკუთარ ღირებულებით სქემაზე. სიყვარული ეს ახალი შემოქმედებითი ძალაა, საუკეთესო სულიერი მდგომარეობაა, სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია სიყვარულის როლი ადამიანის საერთოღირებულებით სისტემაში.

ლიტერატურა:

1. „სიყვარულის ფილოსოფია“. პერსი ბიში შელი. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი. - თბილისი, 2015. ტ. II, გვ. 171
2. „პლატონისეული სიყვარულის ფილოსოფია და უილიამ შექსპირის სონეტები“. მაია ნატროშვილი. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. - თბილისი, 2013, გვ. 188-193.
3. „პროგრესის უწყვეტობის საფუძველი“ - სიცოცხლისადმი სიყვარულის ფილოსოფია (ფილომენოლოგია). ნათელა მაისურაძე. თბილისი, 2007. გვ. 118.
4. Философия любви. Ч. 1/Под общ. ред. Д. П. Горского; Сост. А. А.Ивин. – М.: Политиздат, 1990.
5. Василев К. Любовь. М.: Прогресс, 1992.
6. Жуховицкий Л. Счастливыми не рождаются... М.: Просвещение, 1989.
7. Соковня И. Бессонница в ожидании Любви. М.: Просвещение, 1992.
8. Фромм Э. Искусство любви. Минск: Полифакт, 1990.

Klara Elchibegashvili
Gori State Teaching University
LOVE IN HUMAN'S VALUE SYSTEM
RESUME

Love is the most powerful, unexplainable and exciting feeling experienced by a person. A simple interpretation of love, this is a human sense toward the opposite sex, but here the question is arises: How “Homo sapiens” (wise man, knowing man) becomes “Homo amans” (loving man)? What is love for a person? Is it physiological requirement or one of the way for continuing human existence? The greatest thinkers of the human race had been trying to answer these questions for centuries. The greatest artists and writers, musicians and poets dedicated their creations to love. Except the creator people, the love often played a great role in politics and even changed it. These facts clearly indicate a greater role in the Humanity's Common Values system.

Love - it is the condition, when you realize that you can't physical and spiritual existence without a second person, to whom you want to devote your entire life, all the best in your life and he/she can admire you. Love ennobles people. At this time a metamorphosis takes place in a person: Miserly becomes generous and clement, cagey becomes eloquent, And Ruthless become tolerant... So when a person falls in love, there are awaken the additional resources, which are not in normal condition. The love can be more magical, when the person falls in love, he reveals his best characteristics, and among them are characteristics, which nature conferred him secretly.

ანა იმნაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**პოლ ლაზარსფელდის კომუნიკაციის ორსაფეხურიანი მეთოდი და
ე.წ. „თოვლის გუნდის მეთოდი“**

კომუნიკაციური პროცესების კვლევის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი, მათემატიკოსი და სოციოლოგი პოლ ლაზარსფელდი (Paul Lazarsfeld). ლაზარსფელდს ეკუთვნის არაერთი თეორიული და პრაქტიკული ნოვაცია კომუნიკაციის თეორიასა და სოციოლოგიაში. მან პირველმა გამოიყენა სოციოლოგიაში პანელური კვლევები. ერთ-ერთმა პირველმა გამოსცადა შერჩევის “თოვლის გუნდის მეთოდი” (Snowball sampling).

ლაზარსფელდმა, როგორც ყოფილმა მათემატიკოსმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სოციოლოგიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებში. ამ მიმართულებით

ლაზარსფელდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს, მის მიერ შემუშავებული სოციოლოგიური კვლევის ლატენტური ფაქტორების (სტრუქტურების) ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდის მიზანს წარმოადგენდა განწყობების, ღირებულებების და სხვა ისეთი მახასიათებლების გამოვლენა, რომელთა დაფიქსირება (“დაჭერა”) შესაძლებელი გახდებოდა არა პირდაპირი, არამედ მათი ალბათური კავშირების საშუალებით დაკვირვებად ცვლადებთან.

1940-1950 წლებში პოლ ლაზარსფელდი კოლუმბიის უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური კვლევების ბიუროს ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდისთვის ლაზარსფელდის ჯგუფს ასობით სოციოლოგიური კვლევა ჰქონდა ჩატარებული. შედეგად მათ მიერ დაგროვილ იქნა მნიშვნელოვანი ემპირიული მონაცემები: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და მათი საზოგადოებაზე ზეგავლენის, ელექტორალური არჩევანის, სამომხმარებლო ქცევების და ა.შ. შესახებ.

1940 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ევროპაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე უნდა წარმართულიყო. იმ დროისთვის გარმანიას ოკუპირებული ჰქონდა ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი - ავსტრია, ნორვეგია, დანია, საფრანგეთი, ჰოლანდია... ევროპული კრიზისი სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იღებდა. მმართველ დემოკრატიულ პარტიას გასარკვევი ჰქონდა, დაუჭერდა თუ არა მხარს მოსახლეობა პრეზიდენტ რუზველტს არჩევნებში, თუ ის, უპრეცედენტო ნაბიჯს გადადგამდა და მესამე ვადით იყრიდა კენჭს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. იმის გასარკვევად, თუ რა ზეგავლენა ექნებოდა მედიას ამომრჩეველთა განწყობებზე და მათ არჩევანზე, ოჰაიოს შტატის ერი-ს ოლქში (Erie County, Ohio) პოლ ლაზარსფელდის ჯგუფმა ფართომასშტაბიანი კვლევები ჩატარა. კვლევა როკფელერის ფონდმა, ჟურნალმა Life და პოლსტერმა ელმო როუპერმა (Elmo Roper) დააფინანსეს.

პანელური კვლევა კარგად შერჩეულ 2400 რესპონდენტზე (ამომრჩეველზე) სპეციალურად მომზადებული 15 ინტერვიურის მიერ ჩატარდა. რესპონდენტები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ – თითოეული 600 რესპონდენტის ოდენობით. ამ ოთხი ჯგუფიდან სამი საკონტროლო ჯგუფი იყო, რომელთა რეინტერვიუება (განმეორებითი გამოკითხვა) მხოლოდ ერთხელ მოხდა, ხოლო მეოთხე ჯგუფი ექსპერიმენტულ ჯგუფს წარმოადგენდა, რომელთა გამოკითხვა ყოველთვიურად მიმდინარეობდა 1940 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით.

მონაცემთა ბაზის ერთი ნაწილი, რომელიც ამ კვლევების შედეგად იქნა მოპოვებული, შეიცავდა ინფორმაციას ერის რაიონის ამომრჩეველების წინასაარჩევნო განწყობების და პოლიტიკური შეხედულებების ფორმირების, ცვლილებების და შემდგომი დინამიკის შესახებ. შესწავლილ იქნა რესპონდენტების მიერ პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიური განსხვავებების აღქმის თავისებურებები. აგრეთვე პოლიტიკური ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები.

მონაცემთა ბაზის მეორე ნაწილი უკავშირდებოდა რესპონდენტებისა და მათი ოჯახების ელექტორალურ ისტორიას. მათ პიროვნულ ურთიერთობებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ამ ჯგუფების წევრებთან მიმართებაში. რესპონდენტების პოლიტიკურ არჩევანზე მათი ოჯახის წევრების, მეგობრების, მედიის, პოლიტიკური მიტინგებისა და მანიფესტაციების ზეგავლენის შესახებ.

მონაცემთა ბაზის მესამე ნაწილი წარმოადგენდა გამოკითხულთა დამოკიდებულებებს აშშ-ს მიერ ევროპაში მიმდინარე ომისა და ამ ომში მონაწილეთათვის სამხედრო ტექნიკის მიყიდვის შესახებ. აგრეთვე რესპონდენტების პოზიციას საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოღების თაობაზე. ამომრჩეველთა დამოკიდებულებას რუზველტის და უილკის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ. მკვლევრები ელოდნენ, რომ კვლევის შედეგად მოიპოვებდნენ ამომრჩეველთა ელექტორალურ ქცევებზე ინფორმაციის მასობრივი საშუალებების უშუალო (პირდაპირი) ზეგავლენის დამადასტურებელ ემპირიულ მონაცემებს. თუმცა შედეგები მათთვის სრულიად მოულოდნელი გამოდგა. აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტებზე და მათ ელექტორალურ ქცევებზე პირადი და არაოფიციალური (არაფორმალური) კონტაქტების საშუალებით მიღებული ინფორმაცია უფრო დიდ ზეგავლენას ახდენდა, ვიდრე რადიოსა და გაზეთების საშუალებით მიღებული ინფორმაცია.

სწორედ ამ კვლევების შემდეგ გაჩნდა ახალი ჰიპოთეზა კომუნიკაციური პროცესის ორსაფეხურიანობის შესახებ, რომელიც პოლ ლაზარსფელდმა, ბერნარდ ბერელსონთან (Bernard R. Berelson) და ჰეიზელ გოდესთან (Hazel Gaudet) ერთად 1944 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში “ხალხის არჩევანი” (The People's Choice) პირველად გამოაქვეყნა.

ერის ექსპერიმენტების შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება იქნა აღმოჩენილი:

1. ელექტორალური ქცევები, უმეტეს შემთხვევაში არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ქცევებს. ადამიანები ხმას აძლევენ “ჯგუფურად”: ადამიანები, რომლებიც ერთი და იმავე ოჯახის წევრები არიან, მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე რელიგიურ ან სოციალურ გაერთიანებას ხმას ერთნაირად იძლევიან;

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ზემოქმედებენ არა პირდაპირ, არამედ გაშუალებულად, იმ ადამიანების საშუალებით, რომელთა აზრი მნიშვნელოვანია ამა თუ იმ პირველადი ჯგუფის წევრებს შორის. სწორედ ასეთ ადამიანებთან განიხილავენ პირველადი ჯგუფების დანარჩენი წევრები მიღებულ ინფორმაციას. სწორედ ამ განხილვის პროცესში ყალიბდება ინფორმაციის მიმართ დამოკიდებულება (როგორც კოგნიტური, ისე ემოციურ-აფექტური).

3. ინფორმაციის ზეგავლენა გახანგრძლივებულია და ორი კვირის გასვლის შემდეგაც კი არ სუსტდება, არამედ გაძლიერების ტენდენციით ხასიათდება.

4. ზემოქმედების გაძლიერებას შუალედური რგოლის არსებობა განაპირობებს.

პირველადი ჯგუფის ყველაზე გავლენიან წევრებს, რომელთა აზრი განსაზღვრავს ჯგუფის სხვა წევრების მიერ მასობრივი ინფორმაციის აღქმის ვექტორებს, ლაზარსფელდმა "აზრის ლიდერები" (Opinion Leaders) დაარქვა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ადამიანები ამა თუ იმ ჯგუფის არაფორმალური ლიდერები არიან. ლაზარსფელდის აზრით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობების აღქმასა და შეფასებას განსაზღვრავს არაფორმალური, ინტერპერსონალური კომუნიკაცია (Paul F. Lazarsfeld, Bernard R. Berelson, and Hazel Gaudet - Erie County Study, 1940. Inter-university Consortium for Political and Social Research - ICPSR 7204. March 2002).

ინტერპერსონალური კომუნიკაციის ამ სპეციფიკურ პროცესს ლაზარსფელდმა "პირადი გავლენა" (Personal Influence) უწოდა.

დეკატურის კვლევები 1944-1945 წ. (ილინოისის შტატი)

1944 წელს ლაზარსფელდმა და მისმა კოლეგებმა მედიის და აზრის ლიდერების გავლენის შესწავლის მიზნით, მორიგი კვლევები დაგეგმეს, რომლებიც ერის კვლევის ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო. კვლევა 1945 წელს ილინოისის შტატის ქ. დეკატურში (Decatur) განხორციელდა. კოლუმბიის უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური კვლევების ბიურომ (Bureau of Applied Social Research of Columbia University) დაფინანსება გამომცემლობა მაკფადენისგან (McFadden Publications, Inc.) და ელმო როპერისაგან (Roper polling organizations) მიიღო.

ბიუროს ხელმძღვანელებმა პოლ ლაზარსფელდმა და რობერტ მერტონმა (Robert Merton) კვლევის ხელმძღვანელად ამერიკული სოციოლოგიის ამომავალი ვარსკვლავი ჩარლზ ვრაიტ მილსი (Charles Wright Mills) დანიშნეს, რომელსაც 1945 წლის ზაფხულში ტელმა ანდერსონთან ერთად (Thelma Ehrlich Anderson) ქ. დეკატურში პანელური კვლევები უნდა განეხორციელებინა.

კვლევა მიზნად ისახავდა ქ. დეკატურში მცხოვრები, წინასწარ შერჩეული 800 ქალის სამომხმარებლო ქცევებზე და მათ არჩევანზე ერთი მხრივ მედიის, და მეორე მხრივ აზრის ლიდერების გავლენის თავისებურებების შესწავლას.

მკვლევრების განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა აზრის იმ ლიდერების პერსონალური გავლენის ვექტორების შესწავლა, რომლებსაც ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდათ რესპონდენტებთან.

იმის დასადგენად, თუ რა გავლენა აქვს აზრის ლიდერებს სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე, გამოიყო პიროვნული გავლენის ოთხი სფერო:

- ა) "მარკეტინგი" (კვების პროდუქტები და საყოფაცხოვრებო ნივთები);
- ბ) მოდა (ტანსაცმელი, ვარცხნილობა, კოსმეტიკა);
- გ) საზოგადოებრივი აქტივობა (პოლიტიკური და სოციალური საკითხები);
- დ) მხატვრული ფილმები.

დეკატურის კვლევებმა დაადასტურეს ლაზარსფელდის და მისი კოლეგების მიერ 1940 წელს წამოყენებული ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, მედია სამიზნე აუდიტორიაზე გაშუალებულად, აზრის ლიდერებზე გავლით ზემოქმედებს. დეკატურის კვლევების უმთავრეს შედეგს წარმოადგენდა ის, რომ აზრის ლიდერები გამოკვლევაში მონაწილე რესპონდენტებზე გაცილებით უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ, ვიდრე მედია, რეკლამა ან გამყიდველები. რესპონდენტების სამომხმარებლო ქცევები,

საქონლის და მომსახურების შერჩევა, მათი შეძენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება უმეტესწილად არაფორმალური ლიდერების ზეგავლენით დეტერმინირდებოდა.

კვლევის შედეგებმა გამოავლინეს თუ ვინ იყვნენ აზრის ლიდერები და ვისი პერსონალური გავლენა იყო ყველაზე ძლიერი შერჩეულ ოთხ სფეროში: ა) მარკეტინგი; ბ) მოდა; გ) საზოგადოებრივი აქტივობა და დ) ფილმები.

„მარკეტინგი“ (კვების პროდუქტები და საყოფაცხოვრებო ნივთები)

მარკეტინგის სფეროში პერსონალური გავლენა ადამიანებს შორის ჰორიზონტალურ ჭრილში ვრცელდება. დიდ ოჯახებში დიასახლისებს აქვთ ყველაზე მეტი გავლენა, რომელთა რჩევები განსაზღვრავს სხვა წევრების სამომხმარებლო არჩევანსა და ქცევებს. ყველაზე გავლენიანი აზრის ლიდერები მარკეტინგის სფეროში აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი სოციალური კონტაქტების მქონე, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ქალები.

საზოგადოებრივი აქტივობა

საზოგადოებრივი აქტივობის სფერო წარმოადგენს არენას, სადაც ადამიანები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის, სოციალური განწყობების და დამოკიდებულებების ფორმირებაზე. პანელური კვლევის ის წევრები, რომლებიც გამოიკვეთნენ, როგორც საზოგადოებრივი აზრის ლიდერები, როგორც წესი, მაღალი სტატუსის მქონე ადამიანები.

პიროვნული გავლენა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა სოციალური კონტაქტების რაოდენობასთან – რაც უფრო მეტია კონტაქტი, მით უფრო ძლიერია გავლენა. ძლიერი კორელაცია დაფიქსირდა პიროვნულ გავლენასა და განათლებას შორის, აგრეთვე მატერიალურ მდგომარეობასა და პიროვნულ გავლენას შორის. ყველაზე გავლენიანი აზრის ლიდერები კარგი განათლებით და მაღალი მატერიალური შესაძლებლობებით ხასიათდებოდნენ.

მხატვრული ფილმები

დეკატურის კინოთეატრები ახალგაზრდული კულტურის მნიშვნელოვანი მდგენელი აღმოჩნდა. რაც შეეხება პერსონალურ გავლენას მხატვრულ ფილმებთან მიმართებაში, ამ მხრივ ყველაზე დიდ გავლენას ახალგაზრდა, მარტოხელა ინდივიდების პოზიციები განაპირობებდა.

კომუნიკაბელურობას და სოციალურ-ეკონომიურ სტატუსს აზრის ლიდერებად დეტერმინაციის მიმართულებით რაიმე რელევანტური გავლენა არ აღმოაჩნდა.

დეკატურის კვლევების შედეგად მიღებულმა ემპირიულმა მონაცემებმა, ლაზარსფელდს და მის კოლეგებს მასობრივი და პიროვნული კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ მნიშვნელოვანი პარადიგმების გაკეთების საშუალება მისცა.

როგორც აღმოჩნდა “პირად გავლენას”, ეფექტურობის თვალსაზრისით, მასობრივ კომუნიკაციასთან შედარებით რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია:

1. მიუხედავად იმისა, რომ ინტერპერსონალური კომუნიკაცია (“პირადი გავლენა”) ნაკლებად მიზანმიმართულია ზემოქმედების ეფექტურობის თვალსაზრისით, ის უფრო შედეგიანია ვიდრე პირდაპირი მასობრივი კომუნიკაცია.

დადგინდა, რომ შემთხვევით პიროვნულ ზემოქმედებას შეუძლია, გავლენა მოახდინოს იმ მსმენელზეც კი, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობს დიალოგში, რაც იმით არის განპირობებული, რომ ამგვარი პასიური კავშირის დროს ხდება, აღქმის შერჩევითი მექანიზმების შესუსტება.

2. “პირად გავლენას” ძლიერი ინფილტრაციის უნარი აღმოაჩნდა დამარწმუნებელი კომუნიკაციის პროცესში მონაწილე რეციპიენტის დაცვითი მექანიზმების გადალახვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ინტერპერსონალური კომუნიკაციის პროცესს თან ახლავს უშუალო უკუკავშირები. “პირადი გავლენა” თითქმის არასდროს არ იწვევს ბუმერანგის ეფექტს, მაშინ როცა მასობრივი კომუნიკაციის პროცესში ამგვარ ეფექტს ძალიან ხშირად ვხვდებით.

3. ინტერპერსონალური კომუნიკაციის დროს რეციპიენტი მყისიერად ღებულობს განმტკიცებას წახალისების სახით ანუ “ემოციურ ჯილდოს დაჯერებისთვის”. ამგვარი განმტკიცება მიმზიდველია კონფორმიზმისკენ მიდრეკილი პიროვნებებისთვის, განსაკუთრებით ქალებისთვის.

4. ინტერპერსონალური კომუნიკაციის მიმართ ადამიანებს უფრო მეტი ნდობა აქვთ, რადგან ამ შემთხვევაში ისინი ღებულობენ ინფორმაციას იმ მიკროჯგუფების წარმომადგენლებისგან, რომლის

წევრებიც თავად არიან. ბუნებრივია, რომ საკუთარი მიკროჯგუფის წევრების აზრი რეციპიენტისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და რელევანტურია, ვიდრე რომელიმე გაზეთის ანონიმური რედაქტორის, ჟურნალისტის ან რადიოწამყვანის აზრი.

5. “პირადი გავლენის” ზემოქმედების შედეგად ადამიანმა შესაძლოა განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომლის სისწორეში დარწმუნებული არც კი იყოს. ინტერპერსონალური ურთიერთობის პროცესში, პირადი კონტაქტების გავლენით, საკმაოდ ადვილია ადამიანის დარწმუნება, განახორციელოს ესა თუ ის ქცევა ისე, რომ არ შეიცვალოს მისი სოციალური განწყობა. მაგალითად პირადი კონტაქტის საშუალებით შესაძლებელია დაითანხმო ადამიანი ხმა მისცეს რომელიმე კანდიდატს, მისი პოლიტიკური პოზიციების განხილვის გარეშე.

დეკატურის და ერის კვლევის შედეგები

1955 წელს გამოიცა მონოგრაფია “Personal Influence: The Part Played by People in the Flow of Mass Communications”, რომელშიც პოლ ლაზარსფელდმა ელიუ კატან (Elihu Katz) ერთად განაზოგადა დეკატურის და ერის კვლევები.

ამრიგად, ლაზარსფელდმა და მისმა კოლეგებმა მრავალწლიანი კვლევების შემდეგ ემპირიულად დაადასტურეს ჰიპოთეზა კომუნიკაციის ორსაფეხურიანობის შესახებ. კომუნიკაციის ორსაფეხურიანი მოდელის (Two Step Flow Model) შემოტანამ მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა იმდროინდელ სოციალურ მეცნიერებებში და პრაქტიკულ საქმიანობაში (პროპაგანდა, რეკლამა, მარკეტინგი, პოლიტიკური ტექნოლოგიები და ა.შ.).

კომუნიკაციის ორსაფეხურიანი მოდელის ძირითადი დებულებები

კომუნიკაციის პროცესი არ არის მხოლოდ ვერტიკალური. კომუნიკაცია ხორციელდება ჰორიზონტალურ ჭრილშიც. უმეტეს შემთხვევებში ჰორიზონტალურ ჭრილში გავრცელებული ინფორმაცია, გავლენის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ვერტიკალური ზემოქმედება.

“აზრის ლიდერები” გვევლინებიან, როგორც საზოგადოებრივი აზრის გენერატორები. სწორედ ისინი არიან მასობრივი ინფორმაციის აქტიური მომხმარებლები. “აზრის ლიდერები” მედიის საშუალებით მიღებული ინფორმაციის “რეტრანსლიაციას” ახდენენ.

“აზრის ლიდერები” ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებსთვისაც ისინი ავტორიტეტს წარმოადგენენ.

მოსახლეობის ნაკლებად აქტიური წევრები ინფორმაციას იღებენ არა უშუალოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, არამედ შუალედური რგოლის – “აზრის ლიდერების” საშუალებით.

ელმირას კვლევები 1948 წ. (ნიუ-იორკის შტატი)

1948 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური კვლევების ბიურომ პოლ ლაზარსფელდის და რობერტ მერტენის ხელმძღვანელობით, ბერნარდ ბერელსონთან და უილიამ მაკფისთან (William N. McPhee) ერთად ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ელმირაში წინასასარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ელექტორალური კვლევები ჩაატარა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ამომრჩევლების პოლიტიკური ქცევების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლა, რათა გარკვეულიყო რა გავლენას ახდენს ამომრჩევლების ელექტორალურ ქცევებზე, მათი ამა თუ იმ ჯგუფებისადმი კუთვნილება. ინტერვიუს დროს ფიქსირდებოდა იყვნენ თუ არა რესპონდენტები პროფკავშირების ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები. შესწავლის საგანს წარმოადგენდა ისიც, ახდენს თუ არა გავლენას ამომრჩევლების ელექტორალურ ქცევებზე მათი სოციალური და ეთნიკური კუთვნილება, ოჯახი, მეგობრები, ნათესავები.

აგრეთვე რომელ პარტიას და საპრეზიდენტო კანდიდატს ანიჭებდნენ უპირატესობას ამომრჩევლები. რა მოლოდინი ჰქონდათ რესპონდენტებს დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების და მათი კანდიდატების მიმართ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით.

ამას გარდა, რესპონდენტებს შესაფასებლად ეძლეოდათ პრობლემათა მრავალფეროვანი ჩამონათვალი: აშშ-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობები, ახლოაღმოსავლეთის კრიზისი და მისი

გადაჭრის პერსპექტივები, მსხვილ კორპორაციებთან დაკავშირებული საკითხები, ფასებზე კონტროლის დაწესება, საარსებო მინიმუმი, უმუშევრობა და შრომის ორგანიზაცია და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენას ამომრჩეველთა ელექტორალურ არჩევანზე.

კვლევები 1948 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ელმირას ზრდასრული მოსახლეობიდან შემთხვევითი წესით შეირჩა 1030 რესპონდენტი. პანელური გამოკითხვა ოთხ ტალღად ჩატარდა. 1948 წლის ივნისში გამოკითხვა 1029 რესპონდენტი, აგვისტო-სექტემბერში – 881, ოქტომბერში – 814 და 944 ნოემბერში. გამოკითხვა პირისპირ ინერვიუს, სატელეფონო და საფოსტო (Mail back) გამოკითხვების მეთოდით ჩატარდა (Lazarsfeld, Paul F., Bernard R. Berelson, and William N. McPhee. *Elmira Community Study, 1948* [Computer file]. ICPSR07203 - v1. Ann Arbor, MI: Inter-university Consortium for Political and Social Research, 2002. doi:10.3886/ICPSR07203.v1).

ელმირაში მიღებული შედეგები განზოგადებული სახით კვლევის ავტორებმა 1954 წელს მონოგრაფიის სახით გამოსცეს (Berelson, Lazarsfeld, and McPhee. 1954. *Voting*. Chicago: University of Chicago Press).

აღსანიშნავია, რომ შორეულ 1948 წელს ლაზარსფელდის და კომპანიის მიერ აშშ-ში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილი კანონზომიერებები პრაქტიკული თვალსაზრისით დღესაც აქტუალურია და წარმატებით გამოიყენება საარჩევნო კამპანიების წარმოებისას.

ელმირას კვლევების შედეგად მკვლევართა მიერ გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

1. ამომრჩეველთა პარტიული სიმპათიები ოჯახურ ტრადიციას წარმოადგენს და მემკვიდრეობით გადადის ისევე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და რელიგიური კუთვნილება. საინტერესოა, რომ ბავშვები, რომლებმაც მიაღწიეს მშობლებზე უფრო მაღალ სტატუსს რესპუბლიკური პარტიის მომხრეები ხდებიან. უფროსები, რომლებიც ერთ სახლში ცხოვრობენ 90% შემთხვევებში ერთნაირად აძლევენ ხმას;

2. ჩვენი მეგობრების და კოლეგების უმრავლესობა იზიარებს ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებს. რაც უფრო ჰომოგენურია პოლიტიკურად ჩვენი მეგობარი, მით უფრო ძლიერია ჩვენი განზრახვა გავაკეთოთ იდენტური არჩევანი და ხმა მივცეთ იმავე კანდიდატს, რომელსაც ჩვენი მეგობარი აძლევს;

3. საუბრები პოლიტიკის შესახებ მეგობრებთან ან კოლეგებთან სელექციურ ხასიათს ატარებს. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩვენსაირები არიან ასაკით, პროფესიით, პოლიტიკური ინტერესებით და ა.შ.

პოლიტიკურად მკვდარი სეზონის პერიოდში (off-season) პოლიტიკაზე საუბრები, როგორც წესი, ოჯახში ხდება;

4. “აზრის ლიდერები” განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩევიან პოლიტიკური მოვლენების ცოდნის და წვდომის მიმართ. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ “სოციალურად სტრატეგიულ სივრცეებში (ადგილებში)”. მათ მრავალი საერთო აქვთ იმ ადამიანებთან, ვისთვისაც ისინი რეფერენტულები არიან და რომლებზეც გავლენას ახდენენ;

5. ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტიკაზე ადამიანებთან, რომლებიც ჩვენსაირები არიან. ერთგვაროვნება აძლიერებს პოლიტიკურ რწმენას;

6. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ელმირაში რესპუბლიკელები ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობენ და ეს სიმპათია რესპუბლიკური პარტიის მიმართ ტრადიციას წარმოადგენს;

7. ამომრჩეველი, რომლებიც თავდაპირველად მხარს არ უჭერს იმ კანდიდატს, რომელსაც ხმას აძლევს მისი ოჯახი, მეგობრები, კოლეგები ან რელიგიური აღმსარებლობის მიმდევართა უმეტესობა, დიდი ალბათობით შეიცვლის პოზიციას. მრავალმხრივი ჯვარედინი ზეწოლა უმეტეს შემთხვევაში აიძულებს ადამიანს კონფორმიზმისკენ;

8. ელექტორატის ის ნაწილი, რომელიც საარჩევნო კამპანიას თვალს ადევნებდა დასაწყისში, როგორც წესი, კამპანიის დასკვნით ეტაპზე იჩენდა ინტერესს და ყურადღებით აკვირდებოდა მას. სწორედ ეს ადამიანები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უსმენდნენ რადიოს, კითხულობდნენ პრესას და განიხილავდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებს. იგივე ადამიანები თვალყურს ადევნებდნენ ორივე პარტიის ყრილობებსა და სხვა ღონისძიებებს.

საინფორმაციო ზემოქმედება (ახალი ამბები რადიოსა და პრესაში) კორელაციაშია განათლებასთან, ინტერესთან და გრძნობების სიღრმესთან (ინტენსივობასთან).

Ana Imnadze
Gori State Teaching University
**PAUL LAZARFELD AND TWO-STEP FLOW OF COMMUNICATION, SO-CALLED
“THE SNOWBALL METHOD”
RESUME**

One of the most prominent member of the communication process researching is a university professor, psychologist, sociologist and mathematician Paul Lazarsfeld. Lazarsfeld owns many theoretical and practical innovations in theory of communication and sociology. He was first, who used panel researches in sociology. Also, he was one of the first man who examined selection's new method- “Snowball sampling”

As the former mathematician, Lazarsfeld took a special contribution into the sociology for the use of the mathematical methods. In this way, one of the most important innovations of the Lazarsfeld is his worked out sociological study of latent structures analysis method. This method is aimed at the attitudes, values and other such traits, catching them would not be possible such as direct way as their probable links to observable variables.

In 1940-1950, Paul Lazarsfeld headed Bureau of Applied Social Research of Columbian University. That time Lazarsfeld's group had already conducted Hundreds of surveys. As a result they have been accumulated many important informations.

ბესიკ კაიშური
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქოუჩინგი - მართვის პროგრესული სტილი საჯარო მართვაში

მენეჯმენტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეტაპზე ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობისთვის ადამიანის ფაქტორმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და დასავლეთის ქვეყნებში მას უკვე განიხილავენ არა როგორც უბრალოდ კადრებს, ანუ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ კომპონენტს, არამედ როგორც ადამიანური რესურსების, ადამიანური კაპიტალის, მიზნის მიღწევის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს [1,11].

ძველი მენეჯმენტის შეხედულებით საკმარისი იყო სამუშაო პირობების შექმნა, მოტივაციის მატერიალური და არამატერიალური მეთოდების გამოყენება და პერსონალი თვითონ მივიდოდა სასურველ მიზანამდე და წარმატებამდე. იმავე პერსონალის პოტენციალის რეალიზებაზე კი არავინ ფიქრობდა.

ხელმძღვანელებს ხშირად წარმოდგენაც არა აქვთ, როგორი ფარული რესურსებია მათი განკარგულების ქვეშ. ხოლო პერსონალის არარეალიზებული პოტენციალი, ეს არის ორგანიზაციის გაშვებული და დაკარგული სარგებელი, ხოლო ეფექტურად გამოყენებული პოტენციალი, ეს არის ორგანიზაციის (მათ შორის საჯარო სამსახურების) ახალი მიღწევების საწინდარი.

სწორედ პერსონალის პოტენციალისა და კომპეტენციის ზრდა - განვითარებას ემსახურება ქოუჩ-მენეჯმენტი. იგი არის თანამშრომელთა პიროვნული და პროფესიონალური განვითარების მიზანმიმართული პროცესი და ხელს უწყობს ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობას. იგი ეფუძნება ისეთი კითხვების დასმას, რითაც ხდება იმ პოტენციალის რეზერვით დაინტერესება, რომელიც თითოეულ მოსამსახურეშია დაფარული.

ეტიმოლოგიურად სიტყვა „ქოუჩინგი“ წარმოიშვა ინგლისური სიტყვიდან „coach“ და ნიშნავს წვრთნას, შთაგონებას...

ქოუჩინგის, როგორც მეთოდის ფუძემდებლად ითვლება ტიმოთი გალვეი, რომელმაც 1978 წელს გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით: „შინაგანი თამაში ჩოგბურთში“ მისი შემდგომი ნაშრომი იყო: „მუშაობა, როგორც შინაგანი თამაში“, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ „თუ ქოუჩ-მასწავლებელი (მწვრთნელი) დაეხმარება მოთამაშეს - თავის მოქმედებებში გამოსასწოროს ან შეამციროს შინაგანი ბარიერები, მაშინ მოულოდნელად გამოჩნდება შინაგანი შესაძლებლობები, რომელიც მას მიიყვანს წარმატებამდე, ყოველგვარი ტექნიკური ახსნა-განმარტებების გარეშე“ [2,252]

მამასადამე, ქოუჩინგი იშვა სპორტის სფეროში, მაგრამ გასული საუკუნის ბოლოს იგი აქტიურად დამკვიდრდა ბიზნესშიც, ვინაიდან იგი ხელს უწყობდა ორგანიზაციის ეფექტურ მართვას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქოუჩინგი ასევე წარმატებულად შეიძლება დაინერგოს საჯარო მმართველობის სფეროშიც.

მმართველობაში ქოუჩინგის გამოყენებით ორგანიზაციაში ჩამოყალიბდება უკუკავშირის, ნდობის და თანამშრომლობის სასურველი ატმოსფერო.

ქოუჩინგის გამოყენება საჯარო მართვაში შეამსუბუქებს უფლებამოსილებათა დელეგირებას, რაც მოემსახურება ხელმძღვანელის დროის ეკონომიას, ამასთანავე, ხელმძღვანელს შეეძლება დარწმუნებული იყოს, რომ მისი ხელქვეითები ზუსტად გადაჭრიან პრობლემას და ხელქვეითებსაც ზუსტად ეცოდინებათ, რას მოითხოვენ მათგან.

ქოუჩ-მენეჯმენტის შედეგად ქვეშევრდომები გააცნობიერებენ თავიანთ მოქმედებებს და აიღებენ სრულ პასუხისმგებლობას შედეგებზე.

ქოუჩინგის სისტემის დანერგვით ორგანიზაციის შიგნით ჩამოყალიბდება სრულყოფილი კომუნიკაცია როგორც თანამშრომლებს შორის, ასევე, პერსონალსა და ხელმძღვანელებს შორის.

ქოუჩინგის დანერგვა საჯარო მართვაში უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ და ეს ბუნებრივია, რადგან საუკეთესო „ქოუჩად“, თანამშრომლისთვის იქნება მისი ხელმძღვანელი, თუმცა შესაძლებელია და სასურველიცაა, რომ ერთი დონის თანამშრომლებს შორისაც იქნეს გამოყენებული ეს მეთოდი, ანუ თანამშრომლებმა ერთმანეთს გაუწიონ ქოუჩ-პროცესი გარკვეული ამოცანის გადასაჭრელად.

ქოუჩინგის დანერგვა და გამოყენება გამოიწვევს არა მხოლოდ ორგანიზაციის მართვის გაუმჯობესებას, არამედ თითოეული პერსონალის პიროვნულ ზრდას, ვინაიდან ქოუჩინგი არის გაცნობიერებული მართვა საკუთარი ყოფისა, რომელიც გვეხმარება ცხოვრების ბალანსის პოვნასა და ეფექტური მოქმედებების განხორციელებაში.

ქოუჩინგის მეშვეობით მენეჯერი მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად :

1. არკვევს, პერსონალმა სწორად გაიგო თუ არა დაყენებული ამოცანის არსი;
2. რთავს თანამშრომლებს პრობლემების გადაჭრაში და ეხმარება მოქმედების გეგმის შედგენაში;
3. შთააგონებს პერსონალს შედეგის მიღწევას და ქმნის ისეთ გარემოს, რომ თანამშრომელი წაყენებულ ამოცანას იღებს, როგორც საკუთარს;
4. ეფექტურად აკონტროლებს პერსონალის საქმიანობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქოუჩინგი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც რაიმე გასაიდუმლოებული მეთოდიცა, არამედ ყველა თანამშრომელმა წინასწარ უნდა იცოდეს ამ ახალი „თამაშის წესების“ შესახებ და უნდა ეთანხმებოდეს მას, წინააღმდეგ შემთხვევებში მოსალოდნელია გაუგებრობები, რომელიც დაამუხრუჭებს ქოუჩინგის დანერგვას ორგანიზაციაში.

ქოუჩინგის სტილით მართვისას იხსნება თანამშრომელთა დაფარული ტალანტები. ქოუჩინგი ავითარებს ადამიანებისა და გუნდის საუკეთესო თვისებებს, მაშინ, როცა მართვის სხვა სტილი არც კი ისწრაფვის ამისკენ.

სხვათა შორის, ტრენინგ-სემინარებით ვერ ხდება თანამშრომელთა შინაგანი პოტენციის გახსნა და ხშირად ასეთი სწავლებები არც იწვევს დადებით ემოციებს ზრდასრული თანამშრომლების მხრიდან.

რაც შეეხება ქოუჩინგს, იგი ეფუძნება არა სწავლებას, არამედ სწავლებაში დახმარებას, შესაბამისად, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის ეფექტურად გამოყენება ხდება სწორედ ქოუჩინგის მეშვეობით.

ვინაიდან ადამიანები ცხოვრების უმეტეს დროს ატარებენ სამსახურში, დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომელთა შორის პოზიტიური ატმოსფეროს შექმნას, რაშიც გვეხმარება ქოუჩინგი, მისი სისტემატიური და აქტიური გამოყენებით ორგანიზაციაში იქმნება ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ატმოსფერო. „პარალელურად იზრდება ემოციური კმაყოფილება თითოეულ თანამშრომელს შორის, რაც შეუძლებელია არ ახდენდეს ამ ადამიანების მოტივირებას ხარისხიანი საქმიანობისადმი“ [3]

უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს ქოუჩინგის როლი და დანიშნულება, წარმოგიდგინებ მოდელირებულ სიტუაციას:

მორიგი პრობლემის გადაჭრაზე დისკუსიის მიზნით საჯარო სამსახურის განყოფილების უფროსმა (გიორგიმ) ჩაატარა თათბირი, სადაც დასაწყისშივე წარმოთქვა რა თავისი მოსაზრება, გამოიწვია მწვავე რეაქცია, რის შემდეგაც შეუძლებელი გახდა დისკუსიის გაგრძელება.

მსგავს რთულ სიტუაციაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი ქოუჩ-მეთოდი, სახელწოდებით: PARLA, ეს არის ქვეცის ანალიზის მეთოდი, სადაც ხდება გაცნობიერება:

- პრობლემის (problem);
- მოქმედების (Action);
- შედეგის (Result);
- გაკვეთილის (Learned);

დასკვნები მომავლისათვის (Appliad). [3]

ვნახოთ, როგორ წარიმართებოდა დიალოგი ზემოთ ხსენებული მეთოდის გამოყენებით:

ხელმძღვანელი: რაშია პრობლემა?

გიორგი: დისკუსია ვერ შედგა;

ხელმძღვანელი: რა მოქმედებამ გამოიწვია ეს?

გიორგი: პირველმა გამოვხატე ჩემი მოსაზრება;

ხელმძღვანელი: შედეგი რა დადგა?

გიორგი: დისკუსია გადაიზარდა კამათში და მათ განიმტკიცეს თავიანთი მოსაზრებები;

ხელმძღვანელი: რატომ მოხდა ეს?

გიორგი: მე არ მოვისმინე მათი მოსაზრებები და თვიდანვე ჩემი წინადადების დაყენება მიიღეს, როგორც ძალით თავს მოხვეული დირექტივა.

ხელმძღვანელი: რა დასკვნა, რა გაკვეთილი გამოიტანე აქედან?

გიორგი: ჩემი მოსაზრება ბოლოს უნდა გამოვხატო;

ხელმძღვანელი: როგორ მოიქცევი შემდეგში?

გიორგი: ყურადღებით მოვუსმენ ყველას, მოვიწონებ მათ წინადადებებს, ბოლოს ჩემსას შევთავაზებ და დისკუსიას გავმართავ ამის შემდეგ...

ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი კი არ აკონტროლებს და საყვედურს კი არ ეუბნება ხელქვეით მენეჯერს, არამედ ეხმარება პრობლემის გაცნობიერებაში და გადაჭრაში. ხელქვეითი გრძნობს მხარდაჭერას და რაც მთავარია, კითხვებზე თავისივე პასუხებით აცნობიერებს რა შეცდომას, მეტად მოტივირებულია, რომ შემდგომში გამოასწოროს და უფრო მაღალ ეფექტურად წარმართოს თვისი საქმიანობა.

ტრადიციული მენეჯმენტისთვის დამახასიათებელი ბრძანებებით და დიქტატით შეიძლება მიიღო შესრულება, მაგრამ ვერ მიაღწევ მაღალ მწარმოებლობას და ეფექტურ მსახურებას.

„ქოუჩ-მენეჯმენტის“ შემთხვევაში, „როდესაც რიგითი მოსამსახურე თვისი მენეჯერის კითხვებს პასუხობს, იგი კონკრეტული დავალებისა და საქმის ირგვლივ იგებს ყველაფერს, რაც უნდა გააკეთოს, ანუ ხდება გარკვევა, საქმისა და პრობლემის გაცნობიერება, რაც შემსრულებელს სძენს მეტ პასუხისმგებლობას და - დიდ თავდაჯერებას.

რაც შეეხება თავად ხელმძღვანელს, იგი ხდება უფრო ინფორმირებული, ვიდრე მაშინ, როცა უბრალოდ აძლევს ბრძანებებს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელი უკეთესად აკონტროლებს მიმდინარე მოვლენებს“ [4,29]

ბოლოს, იმასაც აღვნიშნავთ, რომ საჯარო სამსახურებში დასაქმებული პერსონალი, ცალ-ცალკე და ერთობლიობაში მობილიზებული უნდა იყოს იმისთვის, თავისი წვლილი შეიტანოს ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში. ამ პროცესში საუკეთესო ინსტრუმენტს წარმოადგენს ქოუჩინგი, რომელიც ხანგრძლივ პარტნიორობაზე უნდა იყოს აგებული და უნდა ითვალისწინებდეს საკადრო პოტენციალის განვითარების უწყვეტ პროცედურას.

ლიტერატურა:

1. პერსონალის მართვა, მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო, (ავტორთა ჯგუფი), საჯარო სამსახურის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2005.
2. Голви Т. „Работа как внутренняя игра“, москва. 2005.
3. Управление в стиле коучинга. [http:// sorazvitie.ru/projeqt/buzness/](http://sorazvitie.ru/projeqt/buzness/)
4. Уитмор Джон, „Коучинг високо эффеktivности“, Мак. 2005.

Besik Kaishauri

Gori State Teaching University

COACHING - MODERN PROGRESSIVE STELE IN THE PUBLIC MANAGEMENT

RESUME

The introduction of Coaching in the public management will result increasing development.

The personal potencial of a personnel.

Coaching will helps to personnel with motivate, in the delegated of the rights, planning, implementation end control of the task.

Coaching will help not only the personnel, but also the development of the organization.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების გენდერული ასპექტები

„გენდერი“ ინგლისური ენიდან გავრცელებული ტერმინია. ამ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აქვს: ერთის მხრივ, გამოხატავს ბიოლოგიურ სქესს და მეორეს მხრივ, აქვს სქესის სოციალური მნიშვნელობაც, რომელიც განიხილება როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი განზომილება, რომლისთვისაც შესაბამისად, დამახასიათებელია ცვლილებები დროსა და სივრცეში.

თანამედროვე საზოგადოების წინაშე აქტუალურად დგას გენდერის პრობლემატიკა, რაც გულისხმობს ქალებსა და მამაკაცებს შორის სქესის, რასის, რელიგიურ და კულტურულ თავისებურებათა თანასწორობას. გენდერული თანასწორობა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

გენდერი-არის ცნება, რომელიც გულისხმობს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალისა და მამაკაცის ინტელექტუალური შესაძლებლობების, მათი პიროვნული თვისებებისა და ქცევის შესახებ.

გენდერი, როგორც კონსტრუქცია იქმნება საზოგადოების მიერ, როგორც ქალისა და მამაკაცის სოციალური მოდელი, რომელიც განსაზღვრავს მათ როლსა და მდგომარეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული როლები – არის კონკრეტული საზოგადოების მიერ, განსაზღვრული –ქალისა და მამაკაცის ქცევის ფორმები, ნორმები და ღირებულებები. გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ წარმოჩინებას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია.

გენდერის კატეგორიები ნორმატიულია, რაც იმას გულისხმობს, რომ წინასწარაა განსაზღვრული, თუ რა უნდა აკეთონ მამაკაცებმა - ქალებმა და როგორ მოიქცნენ ისინი. მამაკაცებისა და ქალების ქცევა, როლები, პასუხისმგებლობები და ნორმები წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქციებს, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური მოსაზრებით, ღირებულებებით და ემყარება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სოციალურ სტრუქტურებს. სქესისაგან განსხვავებით, გენდერი დინამიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ კულტურის, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური სტატუსის, ეთნიკურობის, ასაკობრივი ჯგუფის, რელიგიისა და ა.შ. შესაბამისად იცვლება.

გენდერი, როგორც პროცესი და მოვლენა გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალების ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად, ეს ტერმინი ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობების ფენომენს და შესაბამისად დამკვიდრდა, როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება, ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. გენდერის მიზანია, პირველ რიგში, ქალის დაცვა სექსიზმისაგან, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს. ხოლო, რაც შეეხება გენდერულ ძალადობას, იგი გამოიხატება აგრესიით, შეურაცხყოფით, მუქარით, ცემით, რომელსაც ახორციელებს ძლიერი სქესის წარმომადგენელი მეორე სქესის მიმართ. ქალებზე ძალადობა, აღმამფთობებელია და ითვლება უხეშ დარღვევად ადამიანთა უფლებებისა, მაგრამ ორმაგად მიუღებელია როცა საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წინაშე მრავალი გამოწვევაა, რაც განაპირობებს მათი უფლებების ინტენსიურ დარღვევას სხვადასხვა ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ ხშირად უფლებებსა და თავისუფლებებს საფრთხე ემუქრება დისკრიმინაციული მოტივებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა წინაშე, სულ მცირე ორმაგად მაინც იზრდება რისკი იმისა, რომ ისინი დაექვემდებარებიან ძალადობას. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ისინი არიან ქალები და შესაბამისად მიეკუთვნებიან გენდერული ნიშნით ძალადობის რისკ-ჯგუფს; მეორე მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნის გამო იზრდება მათზე მოძალადეობა. ზემოაღნიშნული ფაქტორები კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ძალადობის განსაკუთრებით მაღალი რისკის წინაშე აყენებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, რომლებიც არიან ოჯახში მრავალი სახის ძალადობის (მათ შორის სექსუალური ძალადობის, დევნის) მსხვერპლნი, სხვა ქალების მსგავსად, აწყდებიან მრავალ წინააღმდეგობას. როცა ისინი ცდილობენ, თავი დააღწიონ მოძალადეს ან ძალადობრივ გარემოს, მათ წინაშეა დამატებითი სირთულეები. ანუ ის დაწესებულებები, რომელთა მთავარი ვალდებულებაც არის

მსხვერპლთა დაცვა, მხარდაჭერა, დანაშაულთა იდენტიფიცირება, სწორი რეფერირება თუ გამოძიება, დაუნერგავი პრაქტიკის უქონლობის გამო, არ იცინა თუ როგორ მოიქცნენ შექმნილ სიტუაციაში.

მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები გაცილებით, ხშირად განიცდიან ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ შევიწროებას, ვიდრე შეუზღუდველი შესაძლებლობის მქონე ქალები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, საქართველოშიც საკმაოდ ფართო მასშტაბიან პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში პოლიტიკის შემქმნელთა და სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან საჭიროა, დიდი ძალისხმევა, რაც მოიაზრებს, საკანონმდებლო რეგულირების გადახედვას, მასზე კანონის აღსრულების დროს, რეაგირების მინიმალური სტანდარტების დაცვას.

საქართველოში ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, სსიპ „112“-ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში 2013 წლის 1 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების რაოდენობა შეადგენდა 5447-ს, რომელთაგან მხოლოდ 358 შემთხვევა იყო დაფიქსირებული, როგორც ოჯახში ძალადობა, ხოლო ორასთორმეტ შემთხვევაში კი შემაკავებელი ორდერი. განსაკუთრებით საგანგაშოა, ძალადობის ისეთი სასტიკი ფორმა, როგორიცაა მკვლელობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2013 წელს საქართველოში დაფიქსირდა ქალთა მკვლელობის 21 შემთხვევა, მათ შორის – ოჯახის წევრის მიერ ქალის სიცოცხლის მოსპობის 9 შემთხვევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის შესახებ „112“-ის ცხელ ხაზზე შევიდა 1000-ზე მეტი შეტყობინება, რომელთაგან ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გამოცემული იყო 817 შემაკავებელი ორდერი. იმავე სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2014 წელს მოხდა ქალთა მკვლელობის 19 შემთხვევა. ფაქტები მეტყველებენ, რომ წლიდან-წლამდე, კი არ უმჯობესდება მდგომარეობა, არამედ უარესდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია სასწრაფოდ პრობლემის სიღრმისეული შესწავლა და გზების დასახვა საკითხის მოგვარებისათვის.

ძალადობა, უძველესი ცნებაა და იგი სახელმწიფოსაგან მოითხოვს, როგორც საკანონმდებლო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას, ასევე, ბრძოლას საზოგადოების სტერეოტიპული შეხედულებების წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს მამაკაცის დომინანტურ მდგომარეობას სოციალურში. ქალის როლსა და მნიშვნელობას აკნინებს და საფრთხეს უქმნის აგრეთვე ის, რომ უმრავლეს შემთხვევაში ადამიანები არ სარგებლობენ კონსტიტუციური უფლებებით, რომელიც თანასწორობას გულისხმობს. ასეთ დამოკიდებულებას კი იქამდე მივყავართ, რომ ოჯახური და სხვა სახის გენდერული ძალადობის ფაქტები ხშირდება და ქალები ჩადენილი დანაშაულის შესახებ შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინებისაგან თავს იკავებენ.

დისკრიმინაციის ნიშნით, ქალებზე ძალადობის პროცენტული მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია მარტოხელა დედების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ხანდაზმულ და უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ. ამის ძირითადი მიზეზი, ერთი მხრივ, არის ისევ და ისევ წინასწარ ჩამოყალიბებული არასწორი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის სოციალური როლის შესახებ და მეორე, ნაკლებად შემწყნარებელი განწყობა, ზოგადად მრავალფეროვნებისადმი. ცალკე განხილვის საკითხს წარმოადგენს სოფლად მცხოვრები ქალების მდგომარეობა, სადაც ძალადობის რისკი უფრო მაღალია. ამ სიტუაციას შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ: ნაკლები შემოსავალი, შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე, ინფრასტრუქტურაზე, ტრანსპორტზე, სახელმწიფო თუ კერძო სერვისსა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მოუგვარებლობა, აფერხებს სოფელში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების მხრიდან დანაშაულის შეტყობინების ფაქტებს.

ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა დაცვას და მათთან ეფექტურ კომუნიკაციას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, ამათგან განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სისტემური ბარიერები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, ქვეყანაში, როგორც წესი, არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, პროგრამები, პროცედურები, ზოგადად, ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ძალადობის მსხვერპლთა დაცვისაკენ, თუმცა ხშირად აღნიშნული დოკუმენტები და წესები არ ითვალისწინებენ იმ მსხვერპლთა საჭიროებებს, რომლებიც განეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს. (მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება გარკვეული შეზღუდვის მქონე ქალები.)

სისტემური ბარიერები მნიშვნელოვნად აფერხებს მსხვერპლთა ეფექტური დაცვის შესაძლებლობებს. ხშირად ქვეყანაში არის მიდგომა, რომელიც გულისხმობს ისეთი მოქნილი პოლიტიკის შექმნას, რომელიც უპასუხებს ქალთა წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას, თუმცა, ამ დროს არ ითვალისწინებს იმას, რომ ზოგადი, თუნდაც მოქნილი რეგულაციები გამოუსადეგარია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთათვის. აუცილებელია, დაინერგოს მიდგომები, რომლებიც სპეციალური ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რათა თითოეულ პრობლემას დეტალურად გაეცეს პასუხი. რადგან, ზოგადად ქალების და მათ წინაშე არსებული ბარიერები განსხვავდება - სპეციალური საჭიროებების მქონე ქალთა ცხოვრების წესისაგან და მათი საჭიროებებისაგან.

ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე ქალებისათვის, განსაკუთრებით ინტელექტუალური, მენტალური და სენსორული შეზღუდვის მქონეთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საჭიროების დროს მთავარი პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც შეუძლებელია კომუნიკაციის დამყარება. თუ ქალს არ შეუძლია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს მოუთხრო ძალადობის ისტორია, აღწეროს ფაქტები, დასვას და უპასუხოს შეკითხვებს, გაიგოს, რა ტიპის სერვისებია ხელმისაწვდომი მისთვის და რა დახმარების მიღება შეუძლია სახელმწიფოსაგან, მაშინ სრულიად წარმოუდგენელია, მან ისარგებლოს მართლმსაჯულების უფლებით და ძალადობრივ გარემოს თავი დააღწიოს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ვერბალური კომუნიკაციის დროს, მთავარ სირთულეს წარმოადგენს მიწოდებული ინფორმაციის სწორად გაგება და აღქმა, გააზრებული დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა, ინფორმაციის რელევანტური დეტალების დამახსოვრება და უცხო პირებთან ურთიერთობა.

კომუნიკაცია ეფექტური რომ იყოს და შესაძლებელი გახდეს ყველა საჭირო დამხმარე საშუალების გამოყენება თუ პროფესიონალების ჩართვა, აუცილებელია აღნიშნული საკითხების შეთანხმება თავად მსხვერპლ ქალთან. ხშირად საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები შეზღუდულ შესაძლებლობის მქონეთა შესახებ იწვევს მათ სრულ განცალკევებას, იმ პროცესებისაგან, რომლებიც მათ ეხებათ კონკრეტულ სიტუაციაში, ხოლო მათ ბედს კი, სხვები განსაზღვრავენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდვის არმქონე ქალთა მიმართ გამოყენებული ძალადობის ფორმები ძირითადად, ერთმანეთის მსგავსია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები ძალადობის განსხვავებული გამოვლინებების მსხვერპლნი ხდებიან.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების მიმართ აღინიშნება შემდეგი ძალადობის ფორმები: ფიზიკური, სექსუალური, ემოციური და ფსიქოლოგიური. დავახასიათოთ თვითოეული მათგანი. ფიზიკურ ძალადობაში მოიაზრება შემდეგი: პირველი და ყველაზე გავრცელებული ფორმა ძალადობისა, რომელიც გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებში ესენია: დარტყმა, ჩქმეტა, დახრჩობის მცდელობა, ანთებული სიგარეტით სხეულის დაზიანება – განსაკუთრებით ფიზიკური შეზღუდვის დროს, როდესაც ქალს ნაკლებად აქვს რეაგირების, თავდაცვის და საფრთხისაგან გაქცევის შესაძლებლობა. დამხმარე და ადაპტაციის საშუალებების (ყავარჯენი, ეტლი, სმენის აპარატი) ჩამორთმევა ან ამ საშუალებებით შეზღუდვა, ქალის ნების წინააღმდეგ მისი გადაადგილება და ა. შ.

სექსუალური ძალადობა გულისხმობს შემდეგ ქმედებებს: არასასურველი ფორმით ჩახუტება ან ფიზიკური დისტანციის დარღვევა სექსუალური შინაარსის ქცევით. დახმარებაზე უარის თქმის მუქარით სექსუალურ აქტზე ან ქმედებაზე დათანხმება. ემოციურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში მოიაზრება: მუქარა შვილის, შინაური ცხოველის ან სხვა საყვარელი ობიექტის მიმართ, ინფორმაციის დამალვა, შეზღუდულობიდან გამომდინარე, მეტსახელების დარქმევა და ა.შ. ყველა ძალადობის განხილვა და გარჩევა შეუძლებელია, რადგან ეს მხოლოდ ის მოკლე ჩამონათვალია, რაც შეიძლება განხორციელდეს უნარშეზღუდული ქალის მიმართ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ: ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგივე მეთოდების გამოყენება კაცების მიმართ გამორიცხულია, პირიქით, საშიშროება მათაც ემუქრებათ რასაკვირველია, მაგრამ მამაკაცისთვის თავის დაცვა უფრო ადვილია ვიდრე ქალისათვის. ჩვენ ამ შემთხვევაში დავინტერესდით უნარშეზღუდული ქალების გენდერული ასპექტებით და სწორედ ამიტომ ვახდენთ აპელირებას სწორედ ქალებზე.

საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები დამაზიანებელ გავლენას ახდენს თავად ადრესატებზეც-შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე მსხვერპლ ქალებზეც, მათ ცნობიერებაზე, რაც ბარიერს კიდევ უფრო მდგრადს ხდის. სტერეოტიპული მოსაზრებები და შეგრძნებები მრავალგვარია. მათი უმეტესობა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს რწმენა, რომ თვითონ იმსახურებდა იმ ძალადობრივ მოპყრობას, რომელიც მის მიმართ განხორციელდა.

• რწმენა, რომ მის მიმართ განხორციელებული ძალადობა მისივე ბრალია, რადგან იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა.

• შიში იმისა, რომ არავინ დაუჯერებს და არავინ დაეხმარება.

• შიში იმისა, ძალადობის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში მოძალადე მას დასჯის.

ეს გახლავთ ის მოკლე ჩამონათვალი, რაც დამახასიათებელია უნარშეზღუდულ ქალებისათვის. სწორედ იმ ზემოაღნიშნული განწყობებისა და საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებული არასწორი შეხედულებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები არ ითხოვენ დახმარებას მაშინაც კი, როცა ისინი ძალადობის მსხვერპლნი არიან და თავიანთი მდგომარეობა გააზრებული აქვთ. ეს გამოწვევა არსებობს, ზოგადად ქალების წინაშე, თუმცა გარკვეულწილად განსხვავებულ სახეს იღებს მათში, როცა მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალია. ამიტომ, ისინი იძულებულნი არიან განაგრძონ ცხოვრება ძალადობრივ გარემოში და არ გამოიყენონ სამართლებრივი მექანიზმები, როგორცაა შეტყობინების განხორციელება საგამომიებო ორგანოებში და სოციალური მომსახურების სააგენტოში.

ამგვარად, ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება რომ შეუძლებელია ან რეაგირება არაეფექტური, ამის განაპირობებს არა მხოლოდ სისტემის გაუმართაობა ან მოძველებული საკანონმდებლო რეგულაციები, არამედ საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპული განწყობები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახედენენ პროფესიონალთა საქმიანობის შესრულების ხარისხზე. ამის შედეგად - ძალადობის, ან სხვაგვარი დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა შეუძლებელი ხდება, ან უბრალოდ, სისტემა ვერ ამჩნევს აღნიშნული სოციალური ჯგუფის წინაშე მდგარ პრობლემებს.

XXI საუკუნე ხასიათდება უამრავი ახალი გამოწვევებითა და ახალი პრობლემებით, რომელთა შორის ძალზედ აქტუალურია უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში, მათი შესაძლებლობების გამოყენება. განდერული მიდგომა უნარშეზღუდული ქალების მიმართ და ინტერესი განპირობებული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც ქართული სინამდვილისთვის არის დამახასიათებელი.

თანამედროვე სოციალური ცხოვრება ასოცირდება სახელმწიფოსთან, როგორც საზოგადოებრივი ქმედებების ფაქტიურად ყველა ფორმის განმსაზღვრელი. სახელმწიფო გვესახება, როგორც ყველგან მყოფი და მუდამ არსებული ფენომენი, რომელიც არეგულირებს ცხოვრების პირობებს, იცავს წესრიგს, უზრუნველყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ამდენად, სახელმწიფო ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ხელშეუხებელი და მფარველი ფენომენის სახით წარმოგვიდგება, რომელიც ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქეები ყოველგვარი ძალადობისაგან.

ლიტერატურა:

1. ანთელავა ლ. „გენდერული პრობლემატიკა საქართველოში“. თბ., 2012.
2. ანთელავა ლ. კულტურა და გენდერი“, თბ., 2007.
3. ბერეკაშვილი ნ. „გენდერული კულტურა“, თსუ თბილისი, 2001.
4. ბერეკაშვილი ნ. „გენდერული თეორიების ანთოლოგია“ თბ., 2003.
5. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები [www. pol.ce.ge](http://www.pol.ce.ge)
6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატისტიკა საქართველოში, 2015.
7. Гусейнова Х. Гендер и миротворчество Баку 2004.
8. Берн Ш. Гендерная психология. М., 2001.
9. Бадалов Р Сложная последствия у агр, 2004.
10. <http://www.niaendingviolence.org.uk/perch/resources/double-oppression-violence-against-disabled-women.pdf>
11. Double Oppression Violence against Disabled Women, A resource pask for practitioners. 2008.
12. ლომია ნ. გენდერის საკითხები. თბ., 2009.

Nestan Lomaia
Sokhumi State University
THE GENDER ASPECTS OF PEOPLE WITH DISABILITIES
RESUME

The paper in general deals with the problem of the "gender" as a concept, which includes culture-specific views of men and women's intellectual abilities, their personality and behavior.

In the paper it is highlighted the fact of violence against women with disabilities, which doubles because of their helplessness. It has been used the official statistics published by the Ministry of Internal Affairs, on the base of which have been exposed many cases of domestic violence.

The idea has been expanded in the paper about what kind of violence we deal with the issue concerned to disabled women.

At the end of the paper it is generally shown the need to care for disabled people and for this purpose it is summarized the necessary measures to be taken by the state.

პარცვის მაკვალიფიცირებელი ნიშნები

პარცვის კვალიფიკაცია და მისი ნიშნები, პარცვის კვალიფიციური შემადგენლობა

დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნებია ის გარემოებები, რომლებიც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციითაა გათვალისწინებული და ამძიმებს პასუხისმგებლობას.

ყველა ქმედების განმსაზღვრელი დისპოზიცია შეიცავს თავის მაკვალიფიცირებელ ნიშანს. ამ ნიშნებისა და ფაქტიურად ჩადენილი ქმედებების ნიშნების შეფასებისას ირკვევა კონკრეტულად რომელი დანაშაულია ჩადენილი.

ქმედების კვალიფიკაციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ქმედების სწორად დაკვალიფიცირების გარეშე ობიექტური და კანონიერი განაჩენის გამოტანა შეუძლებელია სწორი კვალიფიკაცია წარმოადგენს ერთი-ორ გარანტიას კანონიერების განხორციელებისა. ამასთან იძლევა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სწორად დაცვის საშუალებას. ის ასევე განაპირობებს პროცესუალურ წესრიგს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ხელს უწყობს სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანების შესრულებას, ამ ამოცანების საწინააღმდეგო გარემოებათა თავიდან აცილებას.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ დანაშაული, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ პირს, რომლის ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდის მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

თუ დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის.

განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავის ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.

ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავის ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

გაუფრთხილებელ ქმედებად ითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში.

დანაშაულის მომზადებად, კანონის მიხედვით, დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნაა მიჩნეული. პრაქტიკულად ამ ზოგად ცნებაში იგულისხმება ყოველგვარი კონკრეტული ქმედება, რომელიც დანაშაულის ჩასადენად რაიმე პირობას ქმნის. ამიტომ დანაშაულის მომზადებად არ

ჩათვლება განზრახვის გამომჟღავნება, როცა კაცმა გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არაფერი მოუმოქმედებია თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.

იურიდიულ ლიტერატურაში განზრახვი დანაშაულის განვითარების ოთხ სტადიას გამოყოფენ: 1) განზრახვის გამომჟღავნება; 2) დანაშაულის მომზადება; 3) დანაშაულის მცდელობა და 4) დამთავრებული დანაშაული.

იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ ითვლება, რომ განზრახვის გამომჟღავნება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. თანამედროვე სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. ადამიანი ისჯება არა აზრის გამოთქმისათვის, არამედ კონკრეტული ქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აზიანებს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს.

პირობების განზრახ შექმნა იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მომზადება, ისევე როგორც მცდელობა დამახასიათებელია მხოლოდ განზრახვი დანაშაულისათვის. დანაშაულის მომზადება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დროის ფაქტორს თუ მივიღებთ მხედველობაში, განზრახვა შეიძლება დავეყოს უეცრად აღმოცენებულ და წინასწარ მოფიქრებულ განზრახვად. დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მამინ, როცა წინასწარ მოფიქრებულ განზრახვასთან გვაქვს საქმე.

პირობების შექმნა ფართო ცნებაა და მრავალგვარ მოქმედებას მოიცავს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია კოდექსით გათვალისწინებული ამა თუ იმ ქმედების შემაღენლობის ობიექტური მხარე, რა ხერხით თუ საშუალებით შეიძლება მისი ჩადენა.

მოსამზადებელი მოქმედება დანაშაულის განვითარების ადრეული სტადიაა. და ის საკმაოდ დაცილებულია დამთავრების სტადიას. ამიტომ არის, რომ დანაშაულის მომზადება ყველა შემთხვევაში არ იწვევს პასუხისმგებლობას.

ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობას საერთოდ არ აწესებს. ეს საკითხი მწვავედ იდგა აგრეთვე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელ კომისიაში, საბოლოოდ გადაწყდა, რომ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის დაეწესებინათ პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში საქმე დანაშაულის მომზადებისათვის თითქმის არ არსებობს.

ზოგჯერ კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის მომზადებას, როცა ასეთი ქმედება დიდ საფრთხეს ქმნის, დამოუკიდებელ დანაშაულად აცხადებს. ამის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ზანდიტიზმი, აგრესიული ომის მომზადება.

დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახვი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არა მარტო იმ პირთა დასჯა, ვინც უკვე დააზიანა სამართლით დაცული სიკეთე, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება იმ პირთა მიმართ, რომლებიც საკუთარი ქმედებით საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს, საზოგადოებრივ თუ ცალკეულ ინდივიდთა კანონიერ ინტერესებს. კოდექსის კერძო ნაწილში ქმედებები დასრულებული სახითაა გათვალისწინებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიდრე ქმედება ბოლომდე არ განხორციელდება, მანამდე ამგვარი ქმედება სისხლის სამართლისათვის ირელევანტურია. ზემოაღნიშნული პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონში დამთავრებული დანაშაულის დასჯადობასთან ერთად განსაზღვრავს ამ დანაშაულთა მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის კრიტერიუმებს.

სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა ის, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება ზუსტად უნდა იყოს დაკვალიფიცირებული. იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის კვალიფიკაციის ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრება არსებობს. მისი არსი მაინც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია ეს არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებთან ამა თუ იმ კონკრეტულ ქმედების შესაბამისობის დადგენა.

სისხლის სამართლის თეორიაში კვალიფიკაცია გაგებულია ორგვარად: როგორც დანაშაულის შემაღენლობის კონკრეტული ნიშნების შესაბამისობის დადგენის პროცესი და ასევე ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. არსებითად აქ არ არსებობს წინააღმდეგობა, ვინაიდან შესაბამისობის დადგენის პროცესის შედეგი წარმოადგენს ქმედების ზუსტ სისხლისსამართლებრივ შეფასებას.

ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის, პირველ რიგში, დადგენილ უნდა იქნეს ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის ჯგუფი, რომელზეც მიმართულია ხელყოფა, ე.ი. განსაზღვრული უნდა იქნეს ხელყოფის ობიექტი. მათი დადგენა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, თუ კოდექსის კერძო ნაწილის რომელ კარსა და თავში უნდა ვეძებოთ ის ნორმა, რომელიც შეასრულა სუბიექტმა და დაარღვია ნორმა (აკრძალვა).

მეორე, აუცილებელია განისაზღვროს ჩადენილი ქმედების ნიშნები არა მიახლოებით, არამედ ზუსტად და შეესაბამება თუ არა ეს ქმედება სრული მოცულობით იმ ნიშნებს, რომელიც აღწერილია კერძო ნაწილის სათანადო ნორმაში.

შესაბამისობის სრული მოცულობით დადგენა გულისხმობს კანონში მითითებული კონკრეტული ყველა ნიშნის დამთხვევას პირის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი. მაგალითად, მარცვა განმარტებულია როგორც სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

სრული დამთხვევა იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის ყველა ელემენტი შეესაბამება კოდექსში აღწერილ სათანადო ნორმას.

მესამე, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციის საკითხის სწორ გადაჭრას. ასეთი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც ჩადენილი ქმედება ზოგადი და სპეციალური ნორმის ნიშნებში ექცევა.

უნდა შევნიშნოთ, რომ მოქმედმა კოდექსმა ეს საკითხი საკანონმდებლო წესით გადაჭრა. კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში ჩაწერილია, რომ თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით. მაგალითად, მარცვა არის ზოგადი ნორმა, ხოლო მოროდორობა სპეციალური ნორმა, თუ პირმა ჩაიდინა საომარი მოქმედების ზონაში მარცვა, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება არა კოდექსის 178-ე და 413-ე მუხლების ერთობლიობით, არამედ, მხოლოდ 413-ე (მაროდორობა).

პრაქტიკაში ყველა შესაძლო ვარიანტის ამოწურვა არც ერთ კოდექსს არ ძალუძს, თუნდაც მისი მოცულობა ძალიან დიდი იყოს. ამიტომაც სპეციალურ ნორმაში გადმოცემულია სპეციალური დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პრინციპებს და პირველ რიგში, კანონიერების პრინციპის რეალიზაციას. დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია არღვევს როგორც კანონიერების პრინციპს, ისე სამართლიანობის, პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებს. სასჯელის მიზნები, მისი ინდივიდუალიზაცია და სამართლიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მიღწეული, როდესაც დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული. ამასთანავე, დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია აქვს წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის უფლებათა დაცვის მყარ გარანტიას.

მარცვის კვალიფიციური შემადგენლობა

მარცვის კვალიფიციური შემადგენლობები ჩამოყალიბებულია კოდექსის 178-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში.

კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, მარცვის დროს ძლიერდება უმართლობის ხარისხი თუ მან გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითი კატეგორია იყო. ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა არ იყო ერთგვაროვანი. ძირითადად სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ: ნივთის მნიშვნელობით და სხვა.

როდესაც "მნიშვნელოვანი ზიანი" შეფასებითი კატეგორია იყო ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდებოდა. ასე მაგალითად, მატერიალურად გაჭირვებული პირისათვის 5 ლარიც მნიშვნელოვანი თანხა ყოფილიყო, მაგრამ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მნიშვნელოვან ზიანად. მ. ტურავას მიაჩნია, რომ "ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის დადგენისათვის გადამწყვეტია არა სუბიექტური მომენტი, არამედ — ობიექტური კრიტერიუმი — ნივთის სოციალური ღირებულება."¹

ამჟამად "მნიშვნელოვანი ზიანი" შეფასებით კატეგორიას აღარ წარმოადგენს. კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა თავში მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით.

კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, იმატებს უმართლობის ხარისხი და შესაბამისად გაძლიერებულად შეერაცხება პირს მარცვა, თუ იგი ჩადენილია სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით.

სადგომს წარმოადგენს დროებითი ან მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი სტაციონარული ან მოძრავი მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა მოსათავსებლად ან მატერიალურ ღირებულებათა შესანახად.

¹ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბილისი, 2004, გვ. 45.

სხვა საცავში იგულისხმება სპეციალურად დაცული ტერიტორიული მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია მატერიალურ ღირებულებათა მუდმივი ან დროებითი შენახვისათვის. ასევე კონტეინერები, სეიფები და სხვა მსგავსი საცავები.

საცავს არ წარმოადგენს ის ტერიტორია, რომელიც სპეციალურად არ არის დაცული და გამოიყენება მატერიალურ ფასეულობათა მოსათავსებლად, ასევე ავტომანქანები და სხვა გადახურული საწყობები, რომლებიც იმყოფება არადაცულ მდგომარეობაში, რადგან ისინი არ ქმნიან წინააღმდეგობას იქ არსებული ნივთების დასაუფლებლად.

უკანონო შეღწევა სადგომში ან საცავში მარცვის დროს შეიძლება მოხდეს ფარულად ან აშკარად. შეღწევა შეიძლება განხორციელდეს როგორც წინააღმდეგობის გადალახვით ან ადამიანთა წინააღმდეგობის დაძლევით, ასევე მის გარეშე.

მარცვის კვალიფიციური ნიშანი — შეღწევა არა გვაქვს მაშინ, როცა მარცვის განზრახვა პირს წარმოეშობა მას შემდეგ, რაც იგი სხვის სადგომში ან სხვა საცავში აღმოჩნდება სხვა მიზნით.

მარცვა არ შეიძლება ჩაითვალოს შეღწევით ჩადენილად, თუ პირს აქვს სადგომში ან სხვა საცავში შესვლის უფლება თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან შესასრულებელი სამუშაოს ძალით, ასევე იმის მიერ, ვისაც აქვს ერთჯერადი საშვით შესვლის უფლება და ამ უფლების გამოყენების დროს ჩაიდენს აშკარა დაუფლებას.

ავტომანქანის სალონიდან ნივთის აშკარა წაღება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც მარცვა საცავში შეღწევით. ასეთი ქმედების ჩადენა სასამართლო პრაქტიკაში, მართალია, ძირითადად ხდება ფარულად (ქურდობა), მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს მის აშკარა დაუფლებაში გადაზრდას.

კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით იზრდება უმართლობის ხარისხი და შესაბამისად გაძლიერებულად შეერაცხება სუბიექტს მარცვა თუ იგი ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. მარცვის შემადგენლობის ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი მაშინ გვაქვს, როცა მის ჩადენაში მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. თუ მარცვის შემადგენლობა განახორციელა ორმა ან მეტმა პირმა, რომელთაგან ერთი ამსრულებელია, ხოლო სხვები — თანამონაწილენი, მაშინ არ გვექნება ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაული.

კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით იზრდება ბრალის ხარისხი და შესაბამისად გაძლიერებულად შეერაცხება ბრალად სუბიექტს მარცვა, თუ იგი ჩადენილია არაერთგზის. არაერთგზისი დანაშაულის ზოგადი ცნება მოცემულია კოდექსის მე-15 მუხლში. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისი დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლი. სწორედ მარცვის შემადგენლობისათვის მნიშვნელოვანი ასეთი მითითება მოცემულია კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნაში. ამ შენიშვნის ძალით, მარცვა არაერთგზისი ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა არა მარტო მარცვის, არამედ კოდექსის 177-186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 364-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

არაერთგზისობა, როცა წინა დანაშაული არ არის დამთავრებული (მომზადება, მცდელობა), ან, პირიქით, — იწვევს შემდეგ კვალიფიკაციას: მარცვის არაერთგზისი ჩადენის მცდელობას (სსკ-ის მე-19, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი).

არაერთგზისობა გვაქვს მაშინ, როდესაც პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი.

არაერთგზისობა არ გვექნება, თუ სუბიექტი კანონით დადგენილი წესით წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მათ წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

არაერთგზისობისათვის არა აქვს მნიშვნელობა სუბიექტი ამსრულებელია თუ თანამონაწილე.

კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით იზრდება უმართლობით ხარისხი და შესაბამისად გაძლიერებულად შეერაცხება პირს მარცვა, თუ იგი ჩადენილია ბინაში უკანონო შეღწევით.

ბინა — ეს არის საცხოვრებელი სახლი ან ოთახი მრავალბინიან სახლში, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად. მასვე ეკუთვნის ასევე მისი შემადგენელი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება დასასვენებლად, ნივთების შესანახად ან გამოიყენება ადამიანის სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, სათავსი, სამზარეულო, აბაზანა, აივანი და ა.შ.).

ბინაში უკანონო შეღწევით მარცვის ჩადენისას ვრცელდება ყველა ის მოთხოვნები და დებულებები, რომლებიც განვიხილეთ "სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით" ჩადენილი მარცვისას.

კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით იზრდება უმართლობის ხარისხი და გაძლიერებულ შერაცხვასთან გვექნება საქმე, თუ მარცვა ჩადენილია ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა გულისხმობს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას ან ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ძალადობას ასეთი დაზიანების გარეშე. მთავარია არა რეალური შედეგი, არამედ სუბიექტის განზრახვა და დაზარალებულის მიერ ძალადობის მუქარის შინაარსის რეალური აღქმა.

რაიონულმა სასამართლომ მან-ის მოქმედება დააკვალიფიცირა ყაჩაღობად და არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ქმედების მარცვად დააკვალიფიცირების თაობაზე. ქმედების შინაარსი გამოიხატა შემდეგში: სამარშრუტო ტაქსის ბოლო გაჩერებაზე მან-მა მძღოლს ზურგზე მიადო სათამაშო პისტოლეტი და მოსთხოვა მისთვის ფულის გადაცემა. მძღოლმა, აღიქვა რა ეს იარაღი ნამდვილად და იმის შიშით, რომ მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა, მისცა 30 ლარი, რის შემდეგაც მან-ი შემთხვევის ადგილიდან წავიდა. მას სუბიექტურად განზრახული ჰქონდა შეშინებით მძღოლისათვის ფულის წართმევა.

მიცემული კვალიფიკაცია არასწორია შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) თუ სუბიექტი მძღოლს ხელის თითს მიადებდა და ეს უკანასკნელი აღიქვამდა მას იარაღად, გამოდის, რომ ქმედება უნდა დააკვალიფიცირდეს ყაჩაღობად;

ბ) თუ სუბიექტი დაზარალებულს დაუმინებებს სათამაშო იარაღს, ხოლო ეს უკანასკნელი მას ნამდვილად აღიქვამს, გავრცელებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ისეთი ქმედება უნდა დააკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობად.

გავრცელებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ყაჩაღობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ისეთი კომპონენტი, როგორცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა, გულისხმობს არა მხოლოდ ობიექტურად ასეთი საშიშროების არსებობას. ქმედება კვალიფიცირდება არა მარცვის, არამედ ყაჩაღობის მუხლით ისეთ შემთხვევაშიც, როცა ასეთი ძალადობა ობიექტურად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს და მხოლოდ დაზარალებულის რეალური სუბიექტური წარმოდგენით აღიქმება ასეთად და ბრალდებულები მიზნად ისახავს ასეთი ძალადობის ინიციატივით შეაშინოს დაზარალებული, რათა დაეუფლოს მის ქონებას.

ჩვენი აზრით, ასეთი ქმედებები უნდა დააკვალიფიცირდეს მარცვად ან უკიდურეს შემთხვევაში, ასეთი ქმედება შეიძლება გადაწყდეს საკანონმდებლო რეგლამენტაციის გზით, რომლის საკანონმდებლო წინადადება დასვა ო. გამყრელიძემ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მე-2 ნახევარში.¹

კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "უ" ქვეპუნქტით იზრდება უმართლობის ხარისხი და შესაბამისად მომეტებული შერაცხვა გვექნება, თუ მარცვა ჩადენილია სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. სატრანსპორტო საშუალებაში იგულისხმება მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტი.

კოდექსის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით იზრდება უმართლობის ხარისხი და შესაბამისად მომეტებულად შეერაცხება ბრალად სუბიექტს მარცვა თუ იგი ჩადენილია "ორგანიზებული ჯგუფის მიერ."

კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ორგანიზებული ჯგუფი არის დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებული, შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომლის წევრებიც წინასწარ შეკავშირებულები არიან ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

რაიონულმა სასამართლომ სწორად არ ჩათვალა ან-ის, ინ-ის და გან-ის ქმედება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად და გადააკვალიფიცირა იგი 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). მართალია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გარეშე მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება ჩაიდინა პირთა ჯგუფმა, რომლის წევრებიც წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ვინაიდან სასამართლომ გამომიებით უტყუარად ვერ დაადგინა ამ ჯგუფის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენა და ვერც მათ მიერ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად შეკავშირების განზრახვა, განსასჯელებს მოეხსნათ ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორცაა ორგანიზებული ჯგუფი.

დაბოლოს, კოდექსის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით იზრდება ბრალის ხარისხი და შესაბამისად გაძლიერებულად შეერაცხება ბრალად სუბიექტს მარცვის ჩადენა თუ იგი მარცვის ჩადენამდე ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალავისთვის. ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი პერსონალური ხასიათისაა, და

¹ ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბილისი, 1998, გვ. 209-212.

არსებობს მაშინ, როცა პირი ადრე ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევია არა ნებისმიერი დანაშაულისათვის, არამედ კონკრეტულად სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის.

Malkhaz Lomsadze
Gori State Teaching University
QUALIFYING SIGNS OF ROBBERY
RESUME

The paper deals with the problems of looting qualification. Based on afore said it is impossible to reach objective and legal judgment without proper qualification. Right qualification is a guarantee to legal actions. It gives a chance to protect a person's rights and legitimate interests. It also determines procedural order for criminal investigation and facilitates realization of Criminal Code, prevention of objections to these circumstances. The paper also deals with the robbery signs and composition that increases the responsibility according to the charge or degree of illegitimacy.

ნიკოლოზ მიდოდაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კოლექტიური ორგანოს როლი და მისი ფორმირების წესი თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციების ფონზე

თანამედროვე საზოგადოების განვითარების პროცესის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მიზნით ცოდნის ეფექტურად გამოყენებაზე ორიენტაცია, რაც თავის მხრივ განაპირობებს საზოგადოებრივი განვითარების კონტექსტში უმაღლესი განათლების როლის მნიშვნელოვან ამაღლებას და მისი შემდგომი განვითარების აქტუალურობას. ამასთან ერთად უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე წარმოიქმნა რიგი გამოწვევები, მათ შორის:

- დასაქმების ბაზარზე საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) სახელმწიფო დაფინანსების შემცირების გამო შემოსავლების დივერსიფიცირების უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის უკიდურესი გამძაფრება;
- საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხზე საზოგადოების კონტროლის გაძლიერება;
- სტუდენტთა მოთხოვნებისა და საზოგადოების მოლოდინების გაფართოება;
- უსდ-ის ავტონომიურობის ხარისხის გაზრდის გამო საკუთარ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის ამაღლება.

ამგვარი რეალობა წარმოშობს ახალ მოთხოვნებს უსდ-ის საქმიანობისადმი, რაც აიძულებს მას განახორციელოს სათანადო ცვლილებები საგანმანათლებლო პოლიტიკაში, მის შინაარსში, საგანმანათლებლო მეთოდებსა და ტექნოლოგიებში, ორგანიზაციულ ფორმებში, ხარისხის სტანდარტებში, უზრუნველყოს შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირება და არსებული რესურსების ოპტიმიზაციის გზით ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლება და სხვა.

შესაბამისად, აქტუალური ხდება უსდ-ის მიერ ისეთი მმართველობის სტრუქტურისა და მოდელის შერჩევა, რომელიც სრულად შეესაბამება არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოფს უსდ-ის შემდგომ მდგრად განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ფიქსირდება ტერმინოლოგიური განსხვავება უსდ-ის ინსტიტუციურ მართვასა და აღმასრულებელ მართვას შორის, მაშინ, როდესაც უმაღლესი განათლების სფეროს უცხოელი მკვლევარები ნათლად გამიჯნავენ აღნიშნულ კატეგორიებს და ინგლისურენოვან ლიტერატურაში პირველ მათგანს უწოდებენ

“governance”, ხოლო მეორეს კი - “management”. მათ შორის არსებული გარკვეული მსგავსებისა და მჭიდრო ურთიერთკავშირის მიუხედავად ეს ორი კატეგორია არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, ინსტიტუციური მართვა პასუხობს კითხვას, თუ მართვის რომელი ორგანო (ან ორგანოები) არის უფლებამოსილი განსაზღვროს დაწესებულების სტრატეგია და პოლიტიკა, დასახოს მისაღწევი მიზნები და განახორციელოს დაწესებულების აღმასრულებელი სტრუქტურებისათვის სამოქმედო-მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ფორმირება და მათი საქმიანობის ზედამხედველობა მაშინ, როდესაც აღმასრულებელი მართვა პასუხობს კითხვას, თუ როგორ ხდება ზემოაღნიშნული მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზით განსაზღვრული წესების გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, უსდ-ის ინსტიტუციური მართვა კონცენტრირებულია დაწესებულებისათვის ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი განხორციელების ზედამხედველობაზე, როგორცაა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებების, მისი ხედვისა და მისიის, გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, დაწესებულების ბიუჯეტის ფორმირება, აღმასრულებელი სტრუქტურების საქმიანობაზე ზედამხედველობა და სხვა, მაშინ, როდესაც აღმასრულებელი მართვა კონცენტრირებულია ორგანიზაციულ პროცესებზე, რომელიც მოიცავს დასახული მიზნების მიღწევას არსებული მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და ინფორმაციული რესურსების ეფექტურად გამოყენების საფუძველზე და დაინტერესებული მხარეებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფაზე (1).

მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ის საერთო წარმატებისათვის აუცილებელია როგორც ინსტიტუციური, ისე აღმასრულებელი მართვის ორგანოების წარმატებული საქმიანობა, დაწესებულების შეუფერხებელი ფუნქციონირების, დასახული მიზნების მიღწევისა და მდგრადი განვითარების თაობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების და, ზოგადად, საზოგადოების წინაშე, კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-ვალდებულებებიდან გამომდინარე, ეკისრება უსდ-ის ინსტიტუციური მართვის რგოლს. ამიტომ, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ყველა მნიშვნელოვანი (მათ შორის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა) ფაქტორის გათვალისწინებით უსდ-ის ინსტიტუციური მართვისათვის ოპტიმალური სამართლებრივი გარემოს განსაზღვრას უსდ-ის წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების განსხვავებული თავისებურებების, პოლიტიკური სისტემების, სოციო-კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციების, უმაღლესი განათლების სისტემების, ენების, მისწრაფებებისა და მოლოდინების ფონზე, უსდ-ის ინსტიტუციური მართვის საკითხებისადმი ერთიანი, მონოლითური მიდგომა არ არსებობს. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკიდან ნათლად იკვეთება ტენდენცია, რომელიც ინსტიტუციური მართვის უმაღლესი ორგანოს სახით განიხილავს კოლექტიურ ორგანოს (რომლის სახელწოდება, კონკრეტული უფლება-მოსილებანი და კომპოზიციის წესი სხვადასხვა ქვეყნებისათვის განსხვავებულია), რომელიც პასუხისმგებელია განსაზღვროს უსდ-ის მისია, მიიღოს გადაწყვეტილებები გრძელვადიან სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით და შეიმუშავოს სათანადო პოლიტიკა, განახორციელოს დაწესებულების აღმასრულებელი სტრუქტურებისათვის სამოქმედო-მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ფორმირება და აწარმოოს მათი საქმიანობის ზედამხედველობა (2).

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უსდ-ის მართვის კოლექტიურ (კერძოდ, წარმომადგენლობით) ორგანოებს (მმართველ სუბიექტებს) წარმოადგენს აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო (3).

საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებთან ერთად წარმომადგენლობითი საბჭო ახორციელებს უსდ-ის ინსტიტუციური მართვის სფეროში შემავალი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას - იგი შეიმუშავებს უსდ-ის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, უსდ-ის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, ამტკიცებს უსდ-ის ბიუჯეტის შედგენის წესსა და ბიუჯეტს, დაწესებულების ადმინისტრაციის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას და უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს.

ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიური საბჭოს კომპეტენციებს მიეკუთვნება დაწესებულების ინსტიტუციური მართვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა უსდ-ის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება, აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის - რექტორის არჩევა. აკადემიური საბჭო პასუხისმგებელია უსდ-ის

საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე, კერძოდ იგი ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს, დაწესებულებაში ყოველწლიურად მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს და სხვ.

ამრიგად, სსიპ უსდ-ის ორივე წარმომადგენლობითი ორგანო - სენატიც და აკადემიური საბჭოც იქმნება დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრის წარმომადგენლებისაგან, უპირატესად აკადემიური პერსონალისაგან, ორივე მათგანი მონაწილეობს დაწესებულების ინსტიტუციური მართვის სფეროში შემავალი საკითხების გადაწყვეტაში და შესაბამისად, ორივე მათგანი წარმოადგენს უსდ-ის ინსტიტუციური მართვის ორგანოს. ამიტომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სსიპ უსდ-ის ინსტიტუციური მართვა ხორციელდება ბიკამერალური (ან ორპალატიანი) აკადემიური მართვის მოდელის საფუძველზე, რომელშიც ერთი პალატა - კერძოდ, აკადემიური საბჭო - პასუხისმგებელია უსდ-ის სტრატეგიულ განვითარებაზე და მის საქმიანობაზე აკადემიურ სფეროში, ხოლო მეორე პალატა - სენატი - ძირითადად კონცენტრირებულია დაწესებულების საფინანსო-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაზე (4).

აღნიშნული მართვის ორგანოების დანიშნულების, როლისა და ფუნქციების თაობაზე საინტერესოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის ა. ლომიას მოსაზრება, რომლის მოღვაწეობის პერიოდშიც განხორციელდა პირველი, ყველაზე მასშტაბური რეფორმები განათლების სფეროში და მიღებულ იქნა კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. მისი აზრით, აღნიშნული რეფორმებით განხორციელდა უმაღლესი განათლების სფეროში ცენტრალიზებული, იდეოლოგიაზე დაფუძნებული, ბიუროკრატიული სისტემიდან დემოკრატიულ, დეცენტრალიზებულ მოდელზე გადასვლა. შედეგად უნივერსიტეტის ფაკულტეტების წარმომადგენლობის საფუძველზე შექმნილმა აკადემიურმა საბჭომ კვლავ შეინარჩუნა ძირითადი უფლებამოსილებები აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამასთანავე, სტუდენტთა მეტი ჩართულობით გაძლიერდა ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობა, რაც განაპირობებს უნივერსიტეტის ეფექტურობის ამაღლებასა და კორუფციის შემცირებას. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება და, ამავდროულად, ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დემოკრატიული შიდა მმართველობის შესაძლებლობას (5). აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობის გაძლიერება მართვის ორგანოებში სტუდენტთა მეტი ჩართულობით, ჩვენი აზრით, არ არის საუკეთესო გადაწყვეტილება ვინაიდან, ერთის მხრივ, სტუდენტთა კომპეტენციები არ არის საკმარისი მართვის ორგანოს ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობისათვის (და ეს გარემოება ვერ შეიცვლება მართვის ორგანოში სტუდენტთა წარმომადგენლების რაოდენობის გაზრდით), ხოლო მეორეს მხრივ, მართვის ორგანოების გადაწყვეტილებათა საჯაროობისა და საყოველთაოდ ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, აღნიშნული ზედამხედველობისათვის მართვის ორგანოებში სტუდენტთა ჩართულობა არ არის აუცილებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების როლების გადანაწილების თაობაზე (აკადემიური საბჭო პასუხისმგებელია აკადემიურ საქმიანობაზე ხოლო სენატი, რომელშიც შედიან სტუდენტთა წარმომადგენლები, ახორციელებს ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობას) სავსებით ლოგიკურია და მმართველობის ამგვარი ბიკამერალური მოდელი არცთუ იშვიათად გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უსდ-ებში. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭო ანუ სენატი, რომელიც ფოკუსირებულია დაწესებულებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ფინანსურ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებაზე და ახორციელებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე ზედამხედველობას, ჩვეულებრივ წარმოადგენს დაწესებულების მართვის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელსაც გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ, დაწესებულების აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, ესაჭიროება აკადემიური საბჭოს თანხმობა. აღნიშნული თანხმობის აუცილებლობა იმითაა განპირობებული, რომ აკადემიურ საბჭოს, რომელიც დაკომპლექტებულია დაწესებულების აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებით, გააჩნია ყველაზე მაღალი კომპეტენციები აკადემიურ სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებანი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება წარმომადგენლობითი ორგანოების როლების ურთიერთმიმართების ზემოაღწერილ სქემას და რიგ

შემთხვევებში აღნიშნული უფლებამოსილებების გადანაწილება არათანმიმდევრულია, ზოგჯერ წინააღმდეგობრივიც.

მაგალითად, არათანმიმდევრულად გვესახება ის გარემოება, რომ კანონმდებლობით აკადემიურ საბჭოს ეკისრება უსდ-ის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება მაშინ, როდესაც ამ გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად ფუნდამენტური მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღება უსდ-ის წესდების შემუშავების, ბიუჯეტის შედგენის წესსა და ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით ინსტიტუციური მართვის სხვა ორგანოს - სენატის კომპეტენციების სფეროშია მოქცეული. უნდა აღინიშნოს, რომ „სტრატეგიული დაგეგმვა ნებისმიერი ორგანიზაციის, მათ შორის უნივერსიტეტის, ეფექტური ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. სტრატეგიული დაგეგმვის მიზანია, განსაზღვროს უნივერსიტეტის ხედვა და მისია, გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის გზები. სტრატეგიული გეგმა მომავლის ერთგვარი პროგნოზია არსებული რეალური ვითარებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით. სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება უნივერსიტეტის განვითარების პროგნოზირებადი მიმართულებებისა და მომავლის ალტერნატიული სცენარების, ასევე უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების შიდა და გარე მაჩვენებლების ანალიზს.“ (6). შესაბამისად, თანამედროვე კომპლექსური და, რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამოწვევების ფონზე უსდ-ის განვითარების ადეკვატური სტრატეგიის შესამუშავებლად, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი აკადემიური საბჭოს წევრების (ანუ მხოლოდ აკადემიური პერსონალის) კომპეტენციები და მოითხოვს სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაში მაღალი კვალიფიკაციისა და სათანადო საქმიანობის გამოცდილების მქონე პროფესიონალი ფინანსისტების, იურისტებისა და მენეჯერების მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად აკადემიური საბჭო წარმოადგენს უსდ-ის მართვის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რაც, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობაშია იმ გარემოებასთან, რომ დაწესებულებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით (როგორცაა, მაგალითად აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის და უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დამტკიცება) საბოლოო გადაწყვეტილებას აკადემიური საბჭოს წარდგინებით იღებს წარმომადგენლობითი საბჭო, სენატი ამტკიცებს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და აკადემიური საბჭოს წლიურ ანგარიშს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, უფრო თანამიმდევრული იქნებოდა, რომ უსდ-ის ინსტიტუციური მართვის სფეროში შემავალი, მათ შორის აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შედიოდეს სენატის კომპეტენციებში, თუმცა იმ პირობით, რომ აკადემიურ სფეროს მიკუთვნებული გადაწყვეტილებებისათვის სავალდებულო იყოს აკადემიური საბჭოს თანხმობა. მართვის წარმომადგენლობით ორგანოებს შორის როლების ამგვარი გადანაწილება, ამ ორგანოების ფორმირების არსებული წესებიდან გამომდინარე, შესაბამისობაში იქნებოდა მათი წევრების კომპეტენციებთან (ცოდნა, უნარები, გამოცდილება). მართლაც, აკადემიური საბჭოს წევრების - აკადემიური პერსონალის კომპეტენციები სავსებით საკმარისია აკადემიური სფეროსათვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაჭრელად, ხოლო წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციები შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს, ვინაიდან მასში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გარდა, სენატის ფორმირების არსებული წესიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროფესიონალი იურისტების, ფინანსისტების, მენეჯერების და სხვა საჭირო გამოცდილების მქონე პირების შეყვანა. შესაბამისად, უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ სწორედ წარმომადგენლობით საბჭოს ჰქონოდა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სტატუსი და არა აკადემიურ საბჭოს.

უსდ-ის ინსტიტუციური მართვის ორგანოების წარმატებული საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი ფორმირების წესზე, კონკრეტულად იმაზე, თუ როგორ ხდება ამ წესით წარმომადგენლობით დემოკრატია და დაწესებულების ორგანიზაციულ ეფექტურობას შორის ბალანსის განსაზღვრა და დაცვა, რასაც მკვლევარები უნივერსიტეტის მმართველობის რეფორმის ერთერთ ძირითად დილემას უწოდებენ (7). მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღების გადატანა დაწესებულების ეფექტურობაზე, შედეგებსა და წარმატებებზე რიგი მკვლევარების მიერ ხშირად განიხილება როგორც რეაქცია ინსტიტუციური მმართველობის სტრუქტურების დემოკრატიზაციის მიზნით მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლებში განხორციელებულ რეფორმებზე, როდესაც ევროპის რიგ ქვეყნებში უნივერსიტეტების სტუდენტებისა და თანამშრომლების მოთხოვნების საპასუხოდ, უსდ-ში გადაწყვეტილების მიღების პროცესების დემოკრატიზაციის მიზნით განხორციელდა მმართველობის ახალი სტრუქტურების შემოღება, რითაც უზრუნველყოფილ იქნა სტუდენტების მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში (8). უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე გამოწვევების ფონზე, რომელიც უსდ-ის მმართველობის ეფექტურობის მნიშვნელოვან ამალეებას მოითხოვს, მმართველი ორგანოების ფორმირება მხოლოდ თანამშრომლებისა და სტუდენტების წარმომადგენლობით,

მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიერ განიხილება, როგორც დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების შემაფერხებელი გარემოება (8, 9).

საქართველოს საკანონმდებლო ნორმები, რომელიც უსდ-ის ინსტიტუციურ მართვაში ფაკულტეტების ჩართულობის აუცილებლობას გულისხმობს, ეფუძნება უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკული ასოციაციის მიერ (American Association of University Professors) 1920 წელს ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ღირებულებებზე და თანამონაწილეობაზე დაფუძნებულ მართვის პრინციპებს, რომელშიც ხაზგასმული იყო ფაკულტეტების ჩართულობის აუცილებლობა გადაწყვეტილების მიღების, ადმინისტრაციის არჩევის და ბიუჯეტის შემუშავების პროცესებში, აგრეთვე საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრაში ("Statement on Government of Colleges and Universities – 1966"). უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის ინსტიტუციური მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვილი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობის დომინანტობა ამ პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის მოდელის ძირითად უპირატესობად ითვლება, ვინაიდან აკადემიური პერსონალი, ჩვეულებრივ, ყველაზე უკეთესად აცნობიერებს უსდ-ის მიზნებსა და მისწრაფებებს და მათი მიღწევის გზებს (10, 11).

უნდა შევნიშნოთ, რომ ფაკულტეტების მონაწილეობის ფორმა საქართველოს სსიპ უსდ-ის ინსტიტუციურ მართვაში განსხვავდება ზემოაღნიშნული აკადემიური მართვის ტრადიციული მოდელისაგან იმით, რომ მართვის ორგანოებში (აკადემიურ საბჭოში და სენატში) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებიდან (ანუ ფაკულტეტებიდან) შედიან მხოლოდ სტუდენტებისა და პროფესორების წარმომადგენლები მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკული ასოციაციის მიერ შემუშავებული პრინციპები გულისხმობს ინსტიტუციური მართვის ორგანოებში ფაკულტეტის სხვა (მასწავლებელთა და დამხმარე) პერსონალის წარმომადგენლობასაც. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განათლება და მეცნიერული კვლევაა, იგი ვერ იარსებებს ჯეროვანი ადმინისტრირების გარეშე. თანამედროვე უსდ წარმომადგენს უაღრესად რთულ და კომპლექსურ სოციალურ ორგანიზაციას და მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მაღალკვალიფიციური ფინანსისტების, პროფესიონალი მენეჯერების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების, ფინანსური რესურსების მოზიდვისა და ადამიანური რესურსების მართვის გამოცდილების მქონე პროფესიონალების გამოყენება. მართალია ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ სწავლებასა და სამეცნიერო კვლევაში, მაგრამ თავისი საქმიანობით შეაქვთ გარკვეული წვლილი დაწესებულების მიერ დასახული მიზნების მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მათი რეალური უფლებამოსილებანი და, შესაბამისად, მათი როლი დაწესებულების ოპერატიულ საქმიანობაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად ამაღლდა, ისინი კვლავ შეუმჩნეველნი რჩებიან სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში (12).

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ცნობილი მკვლევარი სზეკერესი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მათი კარიერული მისწრაფებების ერთგვარი მარგინალიზაციის მიზეზს აკადემიური მმართველობის მოდელის თავისებურებებში ხედავს (13). აღნიშნულ კონტექსტში საქართველოს კანონმდებლობაში არსებული რეალობა, რომლითაც მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალს არ აქვთ დაწესებულების და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, ჩვენი აზრით, ხელს არ უწყობს ინსტიტუციური მართვის ორგანოების (აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს) ეფექტურობის ამაღლებას და, შესაბამისად, წარმოადგენს ამ მართვის ორგანოების ფორმირების კანონმდებლობით დადგენილი წესის ერთერთ ნაკლოვანებას. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ინსტიტუციური მართვის ორგანოებში ფაკულტეტებიდან წარმომადგენლების არჩევის პროცესში მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალისათვის მონაწილეობის უზრუნველყოფა, თუნდაც, კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებისათვის ხმის მიცემის უფლების სახით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაკულტეტის მონაწილეობა და მისი ჩართულობის ხარისხი ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მნიშვნელოვნად განაპირობებს დაწესებულების მმართველობის ეფექტურობას. განათლების სფეროს ცნობილი მკვლევარების მაკკორმიკის და მეინერსის მიერ შესწავლილ იქნა ურთიერთკავშირი უსდ-ის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ფაკულტეტის მონაწილეობის ხარისხსა და დაწესებულების განვითარებას შორის (14). კვლევის შედეგად მათ მიერ დადგენილ იქნა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ფაკულტეტის კონტროლის ამაღლება აფერხებს დაწესებულების განვითარებას. მათი დასკვნა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ჯგუფურ, კოლექტიურ მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობა ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში განაპირობებს უსდ-ის მმართველობის არაეფექტურობას. მკვლევარების ძირითად არგუმენტს წარმოადგენს დებულება, რომ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი მით ურო მაღალია, რაც უფრო

მეტადაა ცენტრალიზებული პასუხისმგებლობა და კონტროლი აღნიშნულ ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები აღიარებენ ფაკულტეტის პერსონალის დადებით როლს სასწავლო პროცესთან და სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, მათი დასკვნის შესაბამისად, ფაკულტეტის მონაწილეობით მიღებული სიკეთე ვერ გადაწონის კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. შესაბამისად, უსდ-ის ეფექტური მმართველობისათვის აუცილებელია, რომ ფაკულტეტების პერსონალს შეეძლოს წვლილის შეტანა გადაწყვეტილებაში, მაგრამ არ უნდა ფლობდეს კონტროლს გადაწყვეტილების პროცესზე. მითუმეტეს, რომ მმართველობის პროცესში ფაკულტეტის პერსონალის აქტიური მონაწილეობა და, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობების გაზრდა იწვევს ფაკულტეტის ძირითადი პროცესების (სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ეფექტურობის შემცირებას.

უსდ-ის მმართველობაში ფაკულტეტების ჩართულობის საკითხები შესწავლილია აგრეთვე ბროუნის ნაშრომში (15), რომელშიც ფაკულტეტის პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების როლის დეტალური ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია დასაბუთებული მოსაზრება, რომ ინსტიტუციური გადაწყვეტილების მიღებაში ფაკულტეტის მონაწილეობის ოპტიმალური დონე დამოკიდებულია გადაწყვეტილების ტიპზე. ფაკულტეტის კონტროლის ამაღლებით აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე დაწესებულების მმართველობის ეფექტურობა იზრდება, მაშინ, როდესაც ფაკულტეტის კონტროლის ამაღლება ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე იწვევს ინსტიტუციური მმართველობის ეფექტურობის შემცირებას.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე საქართველოს სსიპ უსდ-ის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებთან დაკავშირებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თანამედროვე გამოწვევებს სრულად ვერ პასუხობს არა მხოლოდ მათი უფლებამოსილებების განსაზღვრის წესი, არამედ აგრეთვე მათი ფორმირების წესები. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ აკადემიურ საბჭოში, რომელიც ძირითადად აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა იყოს ორიენტირებული, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან ერთად შედიოდნენ უსდ-ის დანარჩენი პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენლებიც. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში, მისი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვნად შემცირდეს სტუდენტთა წარმომადგენლების რაოდენობა, რაც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სენატის წევრთა რაოდენობის არანაკლებ ერთ მესამედს შეადგენს. ამგვარი მიდგომის მიზანშეწონილობა გამართლებულია იმით, რომ სტუდენტთა კომპეტენციები ვერ იქნება საკმარისი ისეთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებებით არის განსაზღვრული. ამავდროულად, წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციების გაფართოებისა და არაკადემიური საქმიანობის გამოცდილებით გამდიდრების მიზნით მიზანშეწონილი იქნება, რომ საბჭოს წევრობის უფლება მიეცეს არა მხოლოდ აკადემიური, არამედ დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებსაც.

ლიტერატურა:

1. Chandan, J.S. Management, Concepts and Strategies. New Delhi: Vikas Publishing House PVT Ltd., 2005.
2. Michael Sattock. International Trends in University Governance: Autonomy, self-government and the distribution of authority (International Studies in Higher Education). Routledge, 2014, ISBN-10: 0415842905
3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. საქართველოს პარლამენტი, N688, 21.12.2004.
4. Trakman, L. “Modeling university governance”, Higher Education Quarterly, Vol. 62 No. 1-2, January/April, pp 63–83, 2008.
5. Aleksander Lomaia. Educational reforms in Georgia –A case study. In “Higher education governance between democratic culture, academic aspirations and market forces”. Council of Europe Publishing, 2006, ISBN-10: 92-871-5957-2.
6. მ. ნარინდოშვილი, ქ. ჩაჩხიანი, ნ. ჯანაშია, დ. ცაგარეიშვილი. უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო, თბილისი, 2006.
7. Ingvild M. Larsen, Peter Maassen and Bjørn Stensaker. Four Basic Dilemmas in University Governance Reform. Higher Education Management and Policy Volume 21/3, 2009.
8. Boer, H.F. de and B. Stensaker. “An Internal Representative System: The Democratic Vision”, in P. Maassen and J.P. Olsen (eds.), University Dynamics and European Integration, Springer, Dordrecht, 2007.
9. Boffo, S., P. Dubois and R. Moscati. “Changes in University Governance in France and in Italy”, Tertiary Education and Management, Vol. 14, pp. 13-26, 2008.

10. Trow, M. Governance in the University of California: The Transformation of Politics into Administration. Higher Education Policy, 11, pp. 201–215, 1998.
11. Dill, D. and Helm, K. Faculty Participation in Strategic Policy Making. Higher Education: Handbook of Theory and Research, 4, pp. 320–355, 1988.
12. Szekeres, Judy. General Staff Experiences in the Corporate University. Journal of Higher Education Policy and Management 28:1, 2006.
13. Szekeres, J. The Invisible Workers. Journal of Higher Education Policy and Management 26(1) 7–22, 2004.
14. McCormick, R.E., Meiners, R. University governance: a property rights perspective. The Journal of Law and Economics 31, 423–442, 1989.
15. William O. Brown Jr. Faculty participation in university governance and the effects on university performance. Journal of Economic Behavior & Organization Vol. 44, 129–143, 2001.

Nikoloz Midodashvili

Gori State Teaching University

**THE ROLE OF GOVERNING BODY OF THE GEORGIAN HIGHER EDUCATIONAL
INSTITUTION AND THE RULE OF HIS FORMATION AGAINST THE BACKGROUND OF
MODERN INTERNATIONAL TRENDS
RESUME**

In this article the role and the rule of formation of collective governing body of the Georgian higher educational institution is considered. In the work the existing contradictions with the international practice are revealed and ways of correction of these shortcomings are specified.

Aleksandre Mghebrishvili

Gori State Teaching University

**INITIAL STEPS OF USING INTERVIEW IN GEORGIAN MEDIA. METHODS
AND DEVELOPMENT STAGES OF ITS PREPARATION
FROM POST SOVIET PRESS UNTIL PRESENT**

Abstract

Interview was formed in journalistic world by the end of XIX and the beginning of XX century which was not the case for other genres of publicism. The term “interview” was introduced by Joseph Burbidge Mc Culeg in American as well as in world journalism. In Oxford English Dictionary this term was mentioned since 1869 [1]. Based on certain opinions in Georgia, we can consider “Story of Kars captive” published in Newspaper “Droeba” as an interview [2]. The researcher P. Natsvlshvili considers “Sitkvisgeba” by Timote Gabashvilis and Eugenie Bulgaris as a first interview, which took place in Mount Athos in 1756 [3]. Professor I. Tchumburidze does not share the same opinion and he presents the words of Plato as an argument: „Socrates, you ask me excellent questions, therefore I am pleased to answer them” [4]. Forming texts with dialogues has ancient traditions. We can give you philosophical dialogues of Plato, Socrates and others as an example. However, we can absolutely share the opinion of N. Tabidze saying that we cannot consider the form of dialogue as a determinant of the interview main point [5].

Interview was developed in Georgian Media in the beginning of XX century. G. Tumanishvili wrote the following words in Magazine “Theatre and Life”: “The new magazine has some other objectives as its title says. Its aim is to bring theatre and real life together. In my opinion, this can be achieved by the following method: It would be great if the new magazine develops the new habit as in foreign press which is called “interview”, that means the conversations with different public figures about different interesting issues. Sometimes the assistant of magazine talks not only to famous public figures, but also to the readers or spectators (talking about theatre) generally. He/she publishes the information in the magazine he/she receives from them.

Aim and scope of the research

The current research examines the evolution of an interview as an informational genre and an excessively used method in Journalism. We critically analyze the stages of development of an interview as an informational genre in Georgia, while making comparative analysis via the different time frames, starting from the post soviet period until now.

Keywords: Interview; Journalism; Media; Georgia; Information;

Initial steps of using interview in Georgian Media. Methods and development stages of its preparation from post Soviet press until present

Interview was formed in journalistic world by the end of XIX and the beginning of XX century which was not the case for other genres of publicism. The term “interview” was introduced by Joseph Burbidge Mc Culeg in American as well as in world journalism. In Oxford English Dictionary this term was mentioned since 1869 [1]. Based on certain opinions in Georgia, we can consider “Story of Kars captive” published in Newspaper “Droeba” as an interview [2]. The researcher P. Natsvlishvili considers “Sitkvisgeba” by Timote Gabashvilis and Eugenie Bulgaris as a first interview, which took place in Mount Athos in 1756 [3]. Professor I. Tchumburidze does not share the same opinion and he presents the words of Plato as an argument: „Socrates, you ask me excellent questions, therefore I am pleased to answer them” [4]. Forming texts with dialogues has ancient traditions. We can give you philosophical dialogues of Plato, Socrates and others as an example. However, we can absolutely share the opinion of N. Tabidze saying that we cannot consider the form of dialogue as a determinant of the interview main point [5].

Interview was developed in Georgian Media in the beginning of XX century. G. Tumanishvili wrote the following words in Magazine “Theatre and Life”: “The new magazine has some other objectives as its title says. Its aim is to bring theatre and real life together. In my opinion, this can be achieved by the following method: It would be great if the new magazine develops the new habit as in foreign press which is called “interview”, that means the conversations with different public figures about different interesting issues. Sometimes the assistant of magazine talks not only to famous public figures, but also to the readers or spectators (talking about theatre) generally. He/she publishes the information in the magazine he/she receives from them.

This way will be too useful for us as the society is not used to publish their own opinions by themselves. This will simplify the process of bringing spectators, actors and play authors together“ [6].

Interview has developed up to a certain stage. It was very popular in West Media, but during a certain period of time, there was some indifference towards it as it was considered as bourgeois genre in former Soviet environment. Therefore, these circumstances affected the development of interview in Georgia as well.

Certainly, such approaches do not exist anymore and interview has developed perfectly in our reality. This is proved by our media sources as by observing them we can outline that interview is the significant part of contemporary media environment.

Interview is English originated word, which means the conversation. Interview belongs to the category of difficult genre even though it seems easy. Considering number of particularities, it is necessary to form the dialogue with relevant tactics and strategy in order to achieve the conversation you want. While speaking about this interesting and common genre of publicism, we have to take into consideration the difference between an interview and the conversation. We have to understand from the very beginning that they are not the same. However, both of them are characterized by questions and answers, **interview is the informational genre** (*there are some opinions of considering it as analytical genre, For instance: Marine Vekua, Jil Roue (authors), journalism, Tbilisi 2013*) **and therefore, its aim is to share information**, while the conversation (Often between equal qualifications) is mainly focused on sharing opinions, discussion and analysis. These are obviously the main particularities of analytical genre.

While talking about this issue, we have to consider that presented thesis is not changed due to changes of the channels. Publicism is common for all the channels. We only have to take into account specific factors of concrete media sources.

Interview is one of the applicable genres in contemporary media. High level of being depended on information stipulates the effective ways of referring fact/event to the society. So, this determines the high level of informational publicism and provides objective information reporting. Interview is among informational genres. This is one of the significant and substantial genres among others.

In interview, fact/ event is introduced with the assistance of the primary source. Journalist determines the direction of the dialogue by himself/herself and develops it. The specificity of this genre requires at least two persons- the one who asks the questions and the one who answers them.

According to professor N. Tabidze, interview, as journalistic genre should comply with the following requirements:

1. Characters (this terms is used with wide meaning) must be real persons;
2. They must really meet and talk to each other;
3. The regulations must be expressed by the concepts. Discussion must be based on logical categories;
4. The objective of the work should be the introduction of significant parts of current life and daily moments

[7].

There are different opinions among the researchers concerning the classification types of the interview.

Some of the researcher defines interview into informational, problematic and portrait types. There are other attempts to divide the interview into the following: conversation-information, conversation-idea, conversation-research,

informational, presenting individuals and etc. According to the classification of Mencher, reporters conduct two types of interviews: a) Informational interview (the aim of it is to collect information for further explanation of a certain event or situation); b) profile (focused on a concrete person).

E. Golanova outlines such interview type as Interview-narration [8].

According to A. Tertichn, there are informational and analytical types of interview [9].

M. Shostak offers us the following list of interview types: a) informational interview; b) expert interview; c) problematic interview; d) interview- "introduction"; e) portrait interview; f) identification interview; g) "star" interview [10].

Based on V. Voroshilov's opinion, there is an interview-opinion [11], and according to A. Grebelnikov there is interview-massage as well [12].

As we mentioned above, some researchers mix interview and conversation. Because of the similar features, conversation is considered either one of the interview type or in some cases interview-conversation is mentioned as a synonym of interview – dialogue [13].

Despite of variety of opinions, classification given by N. Tabidze is considered to be more reliable for us. Based on that classification there are the following types of the presented genre:

- Interview-monologue;
- Interview-dialogue;
- Interview - survey;
- Interview-questionnaire;
- Press-conference.

It is worth saying that, the following circumstances somehow make the interview essential for the society:

- ❖ Public is informed by the news with an interview;
- ❖ Participant of the dialogue is mainly the witness or participant of the fact or he/she knows the discussed subject perfectly. Involving people who has the knowledge about subject makes interview more interesting and increases its effectiveness;

- ❖ One of the objectives of interview is to present the internal world of a person;
- ❖ One of the main point of interview is documentality, creativity of the interviewee;
- ❖ The field of questions and issues discussed during the interview is wider and various in comparison with other genres;

- ❖ One of the particularities of interview is operativeness;
- ❖ Interviewee expresses his ideas as well as the opinion of the society, which is the effective opportunity for developing strong relations between media sources and audience.

Here are some of the main principles of conducting interview by Mencher:

- ❖ Make the interviewee feel comfortable;
- ❖ Give general descriptions of the questions. Don't ask direct questions. First, spontaneous answers are frequently the most open;

- ❖ Explain the situation- which microphone he/she is supposed to use and etc;
- ❖ Talk about the general issues before interview starts in order to dispel his/her excitement. Show your interest in his/her field to gain the trust;

- ❖ Be aware of the issue. Interviewee should feel that you understand what he/she is talking about;
- ❖ Know what you want. Be concentrated on what you are interested in as time is almost never enough;
- ❖ Don't spent interviewee's time on such questions about which you can get answers somewhere else. For instance-age, job, education, place of living. Such questions can cause some doubts in interviewee. Collect background information before interview;

- ❖ Start with simple questions. Save the difficult questions for later. If the first questions are too difficult, interviewee might leave. Simple questions in the beginning make a person feel comfortable;

- ❖ Don't ask "Yes" and "No" questions;
- ❖ Don't ask long and complicated questions;
- ❖ Don't offer him/her the answers;
- ❖ Consider the answers of interviewee. Don't ask the questions just because you have worked on them a lot.

Listen to the answers and ask the questions in accordance with his/her answers;

- ❖ Ask one question at a time. Don't ask couple of questions together;
- ❖ Feel the time. Interrupt the interviewee if he/she repeats what you have already said or if he/she has very long answers. Don't interrupt him/her if he/she wants to say something important;

- ❖ Try to keep a certain topic;
- ❖ Choose the question types according to the professional background of interviewee. You might ask direct questions to a politician [14].

Professor N. Tabidze determines five stages of working on interview:

- Defining the topic;
- Choosing a correspondent;
- Choosing an interviewee;
- Forming the questionnaire;
- Making conversations;

Mencher offers four rules of a successful interview:

- ❖ **Prepare well**, collect background information as much as possible;
- ❖ **Get in touch** with valuable source;
- ❖ **Ask questions** in accordance with a story and make the interviewee speak;
- ❖ **Listen carefully** and observe [15].

Based on professor T. Kvanchilashvili's opinion interview genre is attractive as well as responsible. Journalist must prepare well in advance not only to ask relevant questions, to understand the essence of the topic, but also to know the personality (nature, psychics) of the interviewee perfectly. We have to take into consideration that every public figure has certain individual characteristics. Due to this, some may answer questions easily, some may not. Some of them receive journalists happily, some don't. Some of them are talkative, some are reserved and etc [16].

There are the following ways of conducting the interview:

- ❖ There is a direct conversation between the journalist and an interviewee, which gives the possibility to get to know the topic immediately, specify the details and etc.

- ❖ Journalist sends written questions and receives the relevant written answers. The advantage of this method is to have more time to answer, to express personal opinions with extra examples and etc

In order to prepare successful interview, journalist should be a good listener says Mencher. For obtaining the skills of a good listener you have to do the following:

- ❖ Don't be ambitious. You are conducting the interview to listen to somebody and not to express your own ideas;

- ❖ Be ready to hear new, different opinions regardless you like them or not;

- ❖ Give time to an interviewee to form his/her own opinion;

- ❖ Try not to interrupt him/her;

- ❖ Be focused on what he/she says and not on his/her personality, behavior and appearance;

- ❖ Ask questions regarding planned topic or ask new but important questions which were raised during an interview;

- ❖ Don't ask too long questions [17].

You should remember, that the aim of a journalist is to receive information for preparing a complete reportage, to inform the audience, to develop his/her professional qualification and to promote his/her own media sources. On the other hand, source has its own aims. Namely, the aim of the source might be to fix fact/event precisely, the desire to help the journalist by sharing information. Meanwhile, the aim of a source can include: concealment of information or a certain segment of it, attempts of self protection and other circumstances.

It is good to be cautious in such situations. First step with an interviewee means "to approach the interviewee". Unofficial meeting with an interviewee before the interview contributes to confidence building with an interviewee. „Not everybody can repeat the text couple of times with the same cogency. That's why we should not be focused on the most serious and important questions before interview. In an unofficial meeting with an interviewee the questions should be related to the interview itself. Don't ask about absolutely unknown issues to the interlocutor...If the preparation meeting was successful, the interviewee will be focused on the conversation topic and not on the other things. Therefore he/she will be ready for the interview. You presumably will receive natural and convincing answers“ [18].

Like Mencher, Poul Stanley also gives us significant advices for a successful interview. Namely:

Don't ask rude questions – you will receive more useful information if you ask concrete questions calmly. In case you are rude or aggressive, interviewee may refuse answering your questions.

Not more than one question at a time – don't ask two questions simultaneously. The interviewee may avoid or forget to answer one of them. Get used to ask questions separately- you will achieve good results like that.

Give the interviewee possibility to express his/her own opinions – give the interviewee possibility to express his/her opinion completely even if the interviewee is not that kind to you. Don't interrupt him/her. Listen to everything he/she wants to say and only afterwards you can express your own ideas if you notice some attempts of avoiding the answers by the interviewee.

Don't let the interviewee avoid the answers – try not to ask next question if you haven't received the complete answer yet. If the interviewee wants to avoid answers let him/her avoid only simple answers, but force him/her to answer the main questions. Try to do your best to receive the answers to all the questions because this is important for you.

Repeat the questions – refusal from the interviewee might mean that you have touched the important topic that interviewee doesn't want to talk about. Repeat the question immediately if you have received unsatisfactory answer from your interlocutor and try to get more understandable answer this time.

Use the pause of the interviewee – Don't be afraid of the pause. Pause is a very effective way to force the interviewee to answer. Intentional pause sometimes encourages the interviewee to answer the undesirable questions.

Avoid the questions with only "yes" "no" answers – If you reviewed the answer with "yes" or "no", you can repeat the question to receive the detailed answer. You can always use such questions as: "Why do you think that...?", "Based on what do you think that...?", "Based on what do you say "no"?" [19].

These are the incomplete recommendations given in the work of Stanley. According to the author, successful professional work is achieved by considering such type of nuances.

In case of necessity, interview will give the reader possibility to listen, to see and to get accuanated with the interviewee by introducing the prepared material.

While preparing the interview, there are cases , when the interviewee asks the journalist not to use or take out certain details from his/her speech. On one hand, in such situation the reaction of the journalist can be positive (if it concerns to non important detail) and the request of the interviewee can be taken into consideration. On the other hand, if the subject of the interviewee's request is important for the society and includes the details of public interest, journalist might remind the interviewee that he/she was initially informed that he/she was talking to a journalist and does not have the right to ask for confidentiality instantly.

Journalistic works should be realized easily and completely by the sciety. Therefore, everything is done for that reason.

Thus, interview is a very popular informational type of genre. Its aim is to notify the audience about the news. Considering its particularities and using this genre effectively are the best ways for the professional journalists as well as for the amateurs.

REFERENCES:

1. M. Vekua, Jil Rue (authors), Journalistics, Tbilisi 2013, pg. 244;
2. Anthology. „Journalistic researches“, IX, 2006 (See newspaper “Droeba”, 1877, #74, #76, #77, #79;
3. P. Natsvlshvili, Old text from the new perspective, magazine ”Uplis tsikhe”, 2012, #2;
4. Magazine ”Chveni Mtserloba”, 2013, #2;
5. N. Tabizdze. Publisistic issues. Book I, Tbilisi 2011, pg.118;
6. Magazine ”Teatri da Tskhovreba”, 1910, #2, pg. 4;
7. N. Tabizdze. Journalistic issues. Book I, Tbilisi 2011, pg.112;
8. E. Golanova. Journalistic dialogue yesterday and today(communication-narrative evolution of interview genre), Moscow 2000, pg. 254;
9. A. Tertichn.Genres of periodical press, Moscow, 2000, pg. 75;
10. A. Shostak. Journalist and his creative works, Moscow, 1998, pg. 56;
11. V. Voroshilov. Journalism, Saint Petersburg 1999;
12. A. Grabelnikov. Work of journalist in press, Moscow 2001;
13. B. Streltsov, Bsics of publicism. Genres, Minsk 1990, pg. 51;
14. Melvin Mencher, Reporting and writing the news, Tbilisi 2013, pg. 209;
15. Melvin Mencher, Reporting and writing the news, Tbilisi 2013, pg. 295;
16. T. Kvanchilashvili, The issues of Soviet journalism, Tbilisi 1970, pg. 41;
17. Melvin Mencher, Reporting and writing the news, Tbilisi 2013, pg. 304;
18. P. Stanley, TV Reportage, Tbilisi 2001, pg. 24;
19. P. Stanley, TV Reportage, Tbilisi 2001, pg. 25.

*მაკა სალხინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

ოჯახური ძალადობის პრობლემების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა ბევრ სიახლეს გვთავაზობს. ეს განსაკუთრებით ითქმის ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე.¹ ერთ-ერთი საკანონმდებლო ნოვაცია 2006 წელს სწორედ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების ინსტიტუტის შემოღება იყო.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა. ძალადობის შემთხვევების სიხშირის პროცენტული მაჩვენებლები საქართველოს მოსახლეობაში 5%-დან 31%-მდე მერყეობს. თუმცა, ეს ქართული საზოგადოებისათვის ტაბუირებული თემაა და მენტალიტეტის გამო იშვიათად ხდება მისი გამჟღავნება. ოჯახური ძალადობა

¹ მ. სალხინაშვილი, ნ. შუბლაძე, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებანი“, ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“, 2008, #2.

გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელსაც ოჯახის რომელიმე წევრი სხვა წევრებზე ახორციელებს. იგი არის განმეორებადი, ხშირი სექსუალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა, რომელიც მოძალადის მიერ სხვაზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვებას გულისხმობს.¹

საერთაშორისო დონეზე ოჯახში ძალადობის თემა განსაკუთრებით აქტუალური მე-20 საუკუნის ბოლოდან გახდა. 90-იანი წლებიდან საერთაშორისო უწყებებმა აქტიურად დაიწყეს ოჯახში ძალადობის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პერიოდში, ოჯახში ძალადობის პრობლემამ ოჯახური სფეროდან გადაინაცვლა საზოგადოებრივი პრობლემის დონეზე: თუ აქამდე ითვლებოდა, რომ ოჯახში ძალადობა, მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული ოჯახის პრობლემაა, ახლა იგი მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემად, რომლის გადაწყვეტაც სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მოხდეს. ყოველივე ზევით აღნიშნული მიუთითებს ოჯახში ძალადობის პრობლემის უნივერსალურობასა და აქტუალურობაზე. მე-20 საუკუნის ბოლოდან საგრძნობი ცვლილებები შეინიშნა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეც. 2003 წელს მხოლოდ 45 ქვეყანას ჰქონდა კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006 წლისთვის კი, ეს რიცხვი 60-მდე გაიზარდა. 2011 წლის მონაცემებით, კი მსოფლიოს 196 ქვეყნიდან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონი 126 ქვეყანას აქვს.²

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად განსხვავებულ ღონისძიებებს მიმართავენ. თუ ზოგიერთ ქვეყანაში ამ საკითხებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არეგულირებს, რიგ ქვეყნებში იგი სამოქალაქო სამართლის დავის საგანია. ზოგან კი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრება, ეს სფერო სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის ნორმებით დარეგულირდეს. თუმცა, დღემდე გადაუჭრელია პრობლემა, ჩაითვალოს თუ არა ოჯახური ძალადობა ორ პირს შორის არსებულ კერძო საკითხად, რომელიც საჭიროებს თერაპიასა და არა ჩარევას. რადგან, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მეტად რთულია ზღვრის გავლება, სად მთავრდება "პირადი საქმე" და სად იწყება დანაშაული, რომელიც დასჯას უნდა ითვალისწინებდეს. ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.³

ოჯახის წევრებად, კანონის მიხედვით, ითვლება მეუღლე, დედა, მამა, ბაბუა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიმე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც ეწვეიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.⁴

ბოლო პერიოდში ოჯახური დანაშაულის, განსაკუთრებით კი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხი აქტიურად განიხილება უფლებადამცველებისა და ფართო საზოგადოების მიერ. სხვადასხვა მედია საშუალებებით ვრცელდება ინფორმაცია ქალთა წინააღმდეგ სასტიკი ძალადობის არაერთი ფაქტის შესახებ. IDFI დაინტერესდა იმით, რამდენად მწვავედ იდგა ქართულ საზოგადოებაში ოჯახში ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრობლემა. შესაბამისად, 2014 წლის დეკემბერში ინსტიტუტმა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას.

2014 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2014 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში მკვლელობის შემთხვევებს შორის მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების პროცენტული წილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიცავს მონაცემებს თბილისსა და რეგიონებში 2012 წლის მეორე ნახევრიდან (მუხლი 11 – პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსს 2012 წლის ივნისში დაემატა) 2014 წლის პირველი 10 თვის ჩათვლით ოჯახური დანაშაულის, კერძოდ კი მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შემთხვევების რაოდენობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ IDFI-ს ამ ეტაპზე არ მოუთხოვია სტატისტიკური ინფორმაცია ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. ე.ი. ქმედებისთვის რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა

¹<http://www.polity.ge/style/youayourfamily/1541-ojakhuri-dzaladoba-saqartveloshi.html>

თ. ჯიჯავაძე, „**ოჯახური ძალადობა საქართველოში**“ (უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 24 ივნისს)

² UN Women, Progress of the World's Women: In Pursuit of Justice, 2011

³ საქართველოს კანონი „**ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ**“

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 11¹- შენიშვნა)

მუხლით. აღნიშნული თავის თავში გულისხმობს ოჯახში მომხდარ ძალადობის ფაქტებს, რომელსაც შედეგად არ მოყოლია მკვლელობა თუ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება. IDFI მომავალშიც განაგრძობს მოცემულ საკითხზე მუშაობას, შესაბამისად უახლოეს მომავალში მიემართავთ შესაბამის უწყებებს ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების მოთხოვნით. აღნიშნულ მონაცემებს მათი მიღების შემდეგ ხელმისაწვდომს გავხდით ფართო საზოგადოებისთვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ოჯახური დანაშაულის შემთხვევებს, კერძოდ მკვლელობათა და მკვლელობის მცდელობათა შორის მოძალადეს ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა წარმოადგენდა **მამაკაცი**.¹

საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევები რეგულირდება როგორც კანონით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, ასევე სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმებითაც.

2012 წლის 12 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა და 25 ივნისს ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილება. კოდექსს დაემატა ოჯახური დანაშაულის განმსაზღვრელი ორი მუხლი - ერთი ზოგად ნაწილს, ხოლო ერთი – კერძოს.

- მუხლი 11¹ (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) და
- მუხლი 126¹ (ოჯახში ძალადობა).

ზოგადი ნაწილის მუხლის მიხედვით, ფიზიკურ პირს, რომელიც კოდექსით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულს ოჯახში ჩაიდენს, პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვისაც დაეკისრება. ოჯახში მომხდარ დანაშაულზე პროცესის მწარმოებლები ზოგადი ნაწილის ამ მუხლსაც უთითებენ (მუხლი 11⁷ - პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის).



¹ https://idfi.ge/ge/official_statistical_information_on_domestic_violence_in_georgia (უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 25 ივნისს)

ამასთან, კერძო ნაწილს დამატებული მუხლი (126') ოჯახში ძალადობის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის ახალ შემადგენლობას განსაზღვრავს. ამ მუხლის მიხედვით, ოჯახში ძალადობად ითვლება: ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება – რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რომელსაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ან განზრახ მსუბუქი დაზიანება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი ითვალისწინებს ძალადობის არა ყველა შემთხვევას, არამედ მხოლოდ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. რაც შეეხება სექსუალურ ძალადობასა და იძულებას, ოჯახში ჩადენილი ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება სქესობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით.¹

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისთვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად. დროებითი ღონისძიების სახით კი იყენებენ დამცავ და შემაკავებელ ორდერებს.

კანონით, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები განი-საზღვრება შემაკავებელი ორდერით, რომელსაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი გამოსცემს. აქტი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება. სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან უარის თქმის შესახებ. დამცავი ორდერი გამოიცემა სამი თვით და მისი ვადის გაგრძელების ან შემცირების საკითხს სასამართლო განსაზღვრავს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე არ აღასრულებს დამცავი და შემაკავებელი ორდერებით დადგენილ ნორმებს, მას ადმინისტრაციული სას-ჯელი ემუქრება, გარკვეულ პერიოდში განმეორებით დარღვევის შემთხვევაში კი, შესაძლოა, იგი პატიმ-რობაშიც აღმოჩნდეს. რაც შეეხება სამოქალაქო-სამართლებრივ მექანიზმებს, მათ იყენებენ ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175-ე მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის 381¹-ე მუხლით.

სამწუხაროდ, ძალადობა არ ცნობს კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ საზღვრებს და შეიძლება, ნებისმიერ საზოგადოებაში შეგვხვდეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა ამ მიმართულებით თითქმის არ არსებობს, რაც, ნაწილობრივ, სპეციალური კანონის არქონითაა გაპირობებული, არასამთავრობო სექტორის ძალისხმევით შექმნილ თავშესაფარსა და დახმარების ცენტრებს ბევრი მსხვერპლი მიმართავს. კვლევებიც ადასტურებს, რომ ფიზიკური ძალადობის ობიექტი გამხდარა, სულ მცირე, რესპონდენტთა მეხუთედი მაინც. მათ შორის, ქალთა გარკვეული ნაწილი საჭიროებს რაიმე სახის დაცვას სისტემატური ფიზიკური თავდასხმებისგან.²

საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 22 სექტემბერს #561 დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“³ მიგვაჩნია, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები შემდეგ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

➢ უნდა ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება ოჯახში ძალადობის პრობლემებთან დაკავშირებით;

➢ უნდა გაიძიჯნოს ოჯახური ძალადობა ოჯახური კონფლიქტისაგან;

➢ უნდა მოხდეს ოჯახში ძალადობის პრევენცია;

➢ უნდა მოხდეს იმ ოჯახების გამოაშკარავება საზოგადოებისათვის, სადაც ეს პრობლემები არსებობს;

➢ ადრეულ ეტაპზე ამ პრობლემის აღმოფხვრა რეალურად შეამცირებს მკვლელობებს;

➢ მაქსიმალურად უნდა მოხდეს მსხვერპლთა დაცვა;

➢ უნდა მოხდეს მსხვერპლთა ხელშეწყობა ახალი ცხოვრების დაწყების მიზნით.

სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემას, რას მიიჩნევს მის მიზეზად და რა გზებით ებრძვის მას. ევროპის კონვენციის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მიზეზი არის საზოგადოების სტრუქტურაში

¹ მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი - „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, წიგნი 1, თბილისი 2014, გვ. 144

² ელენე კავთუაშვილი ოჯახური ძალადობა, 2014, ჟურნალი „ადვოკატი“ #3-4 გვ. 64-70

³ <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzladoba> (უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 25 ივნისს)

არსებული გენდერული უთანასწორობა - კერძოდ, ქალის დაქვემდებარებული როლი საზოგადოებაში, შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად არის ქალი. კონვენციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას მნიშვნელოვანია გაცნობიერდეს, რომ ძალადობა არის ქალთა და მამაკაცთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული უთანასწორობის გამოვლინება (ევროსაბჭო, 2011).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს კანონი იმის გამოსავლენად, თუ როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობას, რას მიიჩნევს მის გამომწვევ პრობლემად და შესაბამისად, როგორ ესახება მისი დამლევის გზები.¹

ოჯახური ძალადობის პრობლემა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ეს კი თავისთავად გულისხმობს ეფექტურ თანამშრომლობას სამართალდამცავ, ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური სფეროს სტრუქტურებს, საკონსულტაციო პროგრამებსა და მსხვერპლთა დამცავ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ამასთან, არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც ყველა სიტუაციას მოერგება. თუმცა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დახმარების დროული და ეფექტური აღმოჩენის სისტემის შექმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის მექანიზმის მთავარი დანიშნულებაა.

საქართველოში, შესაბამისად, ინსტიტუციონალიზებულია ის მომსახურება და ინსტიტუტები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისთვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არის გათვალისწინებული. ამდენად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ყველა ის მექანიზმი და მომსახურებაა საქართველოში ხელმისაწვდომი, რაც შესაძლოა მათი უფლებების ეფექტურად დაცვისთვის იყო საჭირო.²

მიგვაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების როლი ამ მიმართულებით მუშაობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999.
2. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2006.
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999.
4. გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“
5. ნ. ჭაბუკიანი, გ. ჯიბლაძე, ნ. უბილავა, „საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის ანალიზი“, გენდერის კვლევა, 14.11.2013
6. ელენე კავთაშვილი ოჯახური ძალადობა, 2014, ჟურნალი „ადვოკატი“, №3-4
7. მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, წიგნი 1, თბილისი 2014.
8. მ. სალხინაშვილი, ნ. შუბლაძე, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებანი“, ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“ 2008, №2.
9. https://idfi.ge/ge/official_statistical_information_on_domestic_violence_in_georgia (უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 25 ივნისს)
10. <http://www.polity.ge/style/youayourfamily/1541-ojakhuri-dzaladoba-saqartveloshi.html> თ. ჯიჯავაძე, „ოჯახური ძალადობა საქართველოში“ (უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 24 ივნისს)
11. <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba> (უკანასკნელად გადამოწმდა 2016 წლის 25 ივნისს)
12. მ. მესხი, ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ 2011, №1
13. UN Women, Progress of the World's Women: In Pursuit of Justice, 2011

¹ ნ. ჭაბუკიანი, გ.ჯიბლაძე, ნ.უბილავა -„საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის ანალიზი“, გენდერის კვლევა, 14.11.2013, გვ.4-5

² მარინა მესხი, ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ თბ. 2011, #1 გვ. 61-71

Maka Salkhinashvili
Gori State Teaching University
LEGAL REGULATION OF DOMESTIC VIOLENCE PROBLEMS IN GEORGIA
RESUME

The success of the state policy largely depends on the state's outlook on domestic violence and its root causes, and the measures it undertakes to prevent and combat domestic violence. According to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, violence against women is a manifestation of gender inequality in the structure of society, in particular, subordinate role of women, which puts them at higher risk of violence. The Convention recognizes that violence against women is a manifestation of historically unequal power relations between women and men (Council of Europe, 2011).

It is therefore important to analyze the law to establish how domestic violence is perceived by the state, what it regards as the root cause of domestic violence and what measures it undertakes to overcome the problem.

Unfortunately, very few articles or television programs are devoted to the issue of domestic violence in Georgia. The press articles are focused on highlighting the problem and recognizing the need to tackle it. Coverage of the issue in the media is limited to brief description of particular cases, with hardly any defining, generalizing or examining of the problem or seeking expert opinions on mechanisms to eliminate domestic violence.

The problem of domestic violence requires comprehensive approach, which means an effective co-operation among the law enforcement, health, education and social agencies, consultancy programs and the advocacy organizations of victims of domestic violence. Although there is no universal action plan to suit every particular case, the main purpose of the mechanism for elimination of domestic violence is to ensure safety of victims of domestic violence and to provide a system for rendering timely and effective assistance to them.

ბეკა ტოლიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პანიკა და მისი გამომწვევი ფაქტორები საბრძოლო მოქმედებების დროს

ნებისმიერი გამოცდილი სამხედროსათვის ცნობილია, რომ ადამიანური ფაქტორი ბრძოლის ველზე, დამარცხების თუ გამარჯვების მიღწევაში, გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამიტომ ომის, განსაკუთრებით თანამედროვე ტიპის ომის, წარმოებისთვის მნიშვნელოვანია სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური მომზადების დონე, თუ რამდენად სტრესულად აღიქვამენ საომარ მოქმედებებს, რა ტიპის სტრესორები მოქმედებენ მათზე და როგორ ახერხებენ ისინი მათთან გამკლავებას.

სტრესი ფსიქოლოგიური დამაბულობაა, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა ინდივიდი რაიმე სიძნელეების წინაშე დგება. სტრესს თან ახლავს ორგანიზმის ენერგეტიკული მობილიზება, ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა, საყრდენ-მამოძრავებელ და ენდოკრინულ-ბიოლოგიურ ფუნქციებში, ამასთანავე ხდება ცვლილებები ფსიქიკის მუშაობაშიც - ემოციურ და ნებელობით სფეროში, განწყობებში და ა.შ. ზომიერი სტრესი ხელს უწყობს ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მობილიზებას, აქტიურდება ინტელექტუალური შესაძლებლობები. ხანგრძლივმა, ინტენსიურმა, უარყოფითმა სტრესორებმა შეიძლება ნეგატიური სტრესული მდგომარეობა - დისტრესი წარმოშვას, რომელმაც სხვადასხვა ფსიქიკური დარღვევები შეიძლება გამოიწვიოს. დისტრესი ჩნდება მაშინ, როცა ადამიანი დათრგუნულია, უსუსურია, ეშინია, განრისხებულია ან განაწყენებულია, დაღლილია ან ეიფორიაშია.

იმ უარყოფითი განცდებიდან, რომელსაც ჯარისკაცი განიცდის ბრძოლის დროს, განსაკუთრებული ადგილი შიშს უკავია. შიში წარმოადგენს ემოციას, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა ადამიანის ბიოლოგიურ და სოციალურ არსებობას საფრთხე ემუქრება, იგი მიმართული შეიძლება იყოს როგორც, რეალურად მოცემულ ასევე უკვე განვლილ საფრთხეებზე. შიშის ემოცია სასიცოცხლოდ აუცილებელი ფენომენია ადამიანისთვის, ის ერთგვარ შეტყობინებას წარმოადგენს შესაძლო საფრთხეების შესახებ, იგი ადამიანს საშუალებას აძლევს მობილიზება გაუკეთოს თავის შინაგან რესურსებს და აიცილოს ან გადალახოს ეს საფრთხეები.

დადგენილია, რომ „უშიშარი“ ფსიქიკურად ნორმალური ადამიანი არ არსებობს, სამხედრო ექსპერტების შეფასებით სამხედრო მოსამსახურეთა 90% , ომის დროს, მკაფიოდ გამოხატულ შიშს განიცდიან. აქედან 25% ჯარისკაცების შიშის განცდას თან ახლავს გულისრევის შეგრძნება და პირღებინება, 20% კი ვერ აკონტროლებს შარდის გამოყოფისა და ნაწლავის ფუნქციას. შიშის რეაქციები დამოკიდებულია ნერვული სისტემის თავისებურებებზე და სამხედრო მოსამსახურის ფსიქოლოგიური მომზადების დონეზე. კვლევების შედეგად დამტკიცდა რომ, ჯარისკაცთა 30% ყველაზე დიდ შიშს ბრძოლის დაწყების წინ განიცდიან, 35% ბრძოლის დროს, ხოლო 16% ბრძოლის შემდგომ. შიშის მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვა განცდებში აისახოს, როგორცაა: შეშინება, აფექტური შიში, ინდივიდუალური ან ჯგუფური პანიკა. თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია და გამოვლენის სპეციფიკური დინამიკა აქვს.

სამხედრო ფსიქოლოგიაში არსებობს ე.წ. „კოლექტიური განწყობების“ ცნება, აღნიშნული განწყობების თვისებაა ძალიან სწრაფად შეცვალოს ადამიანთა ქცევის ფორმები. განსაკუთრებით ნათელია მათი გავლენა, როცა ადამიანთა მასასთან გვაქვს საქმე, ამ დროს ერთი და იგივე სისწრაფით შეიძლება გავრცელდეს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი განწყობები. ექსტრემალურ საბრძოლო პირობებში, გამუდმებული ფიზიკური და ფსიქიკური დაძაბულობის ზეგავლენის შედეგად, ემოციური ფაქტორი განსაკუთრებულ როლს თამაშობს. საბრძოლო პირობებში ერთი და იგივე ალბათობით შეიძლება გამომჟღავნდეს სრულიად საწინააღმდეგო კოლექტიური განწყობები: ერთის მხრივ საბრძოლო ალტკინებისა და შეტევაზე გადასვლის დაუოკებელი სურვილი და მეორეს მხრივ ჯგუფური შიში, განწირულობა, უმწეობა, რომელიც პანიკის მიზეზები შეიძლება გახდეს.

საბრძოლო პირობებში ადამიანის ცნობიერება განსაკუთრებული ზეგავლენების ფონზე, განსხვავებულ რეჟიმში მუშაობს, ამ დროს წარმოსახვის პროცესი და მისი წარმოდგენები ხელს უშლიან ადამიანს რეალურად აღიქვან გარემო, ადამიანი არაადეკვატურად აფასებს მდგომარეობას, გადაჭარბებულად განიცდის საფრთხეებს, რაც ხელს უშლის მას მძიმე, ექსტრემალური სიტუაციებიდან წარმატებული გამოვიდეს. ამდაგვარი წარმოდგენები ყოველთვის ცდილობენ უკარნახონ ესა თუ ის ქცევები ადამიანს, რაც შიშისა და პანიკის მიზეზი შეიძლება გახდეს. ბრძოლის დროს ჯგუფური პანიკა წარმოადგენს შიშის მდგომარეობას, რომელსაც განიცდის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი, აღნიშნულ ჯგუფს შეუძლია გარკვეული „ინფიცირება“ მოახდინოს პანიკური განწყობების და დიდი სისწრაფით გაავრცელოს უსაფუძვლო შიში, რომლის შედეგადაც სამხედროები კარგავენ: შინაგანი რეზერვების მობილიზების, სიტუაციის რაციონალური შეფასების და მიზანშეწონილი ერთობლივი მოქმედებების უნარს.

საბრძოლო მდგომარეობა პანიკური განწყობების შექმნას განაპირობებს, ამას ხელს უწყობს მოწინააღმდეგის უეცარი მოქმედებები - საარტილერიო ან საავიაციო დაბომბვა, ფსიქიკური და ფიზიკური გადაღლა, ოფიციალური ინფორმაციის არქონა, უსაფუძვლო ჭორების გავრცელება, რომელიც დემორალიზაციის ტენდენციას ქმნის. პანიკის გამავრცელებლად ე.წ. პანიკიორები გვევლინებიან, ესენი შეიძლება იყვნენ სამხედროები, რომელთაც გადაჭარბებული თვითშეფასება აქვთ, საკუთარი ქცევების მიზანშეწონილობასთან მიმართ მცდარი შეხედულებები ამოძრავებთ, გააჩნიათ მკვეთრი, გამორჩეული გამომხატველი მოქმედებები და შთაგონებადობის გარკვეული ხარისხი. მათ ძალიან მცირე დროის მონაკვეთში შეუძლიათ დიდი მასა ადამიანებისა პანიკური განწყობებით დააინფიცირონ და მთლიანად დეზორგანიზებული გახადოს მათი მოქმედება.

მასობრივი პანიკის ფაქტები ხდებოდა ყველა ქვეყნის ჯარში და ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში. ამ მოვლენასთან საბრძოლველად სამხედრო ხელმძღვანელობა სხვადასხვა ხერხებს მიმართავდა, ზოგჯერ ცდილობდა აგიტაციით, ახსნა-განმარტებებით მოეგვარებინა პრობლემა, მაგრამ უმეტესად პანიკიორების განადგურებით იყვნენ დაკავებული და მკაცრ რეპრესიულ ზომებს მიმართავდნენ, პრინციპი შემდეგი იყო - „ჯარისკაცს საკუთარი ხელმძღვანელობის უფრო უნდა ეშინოდეს ვიდრე მტრისა“, ამიტომ იქმნებოდა სპეციალური დანაყოფები რომელთაც წინა ხაზიდან გამოქცეული და პანიკაში ჩავარდნილი ჯარისკაცების ადგილზე დახვრეტა ევალებოდათ, ამის ნათელი მაგალითია პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი ანალოგიური ისტორიული ფაქტები.

თანამედროვე ჯარში, ბუნებრივია აღნიშნული რეპრესიული მეთოდებით არ ხდება პანიკასთან ბრძოლა, მნიშვნელოვანია დაბალი რგოლის ოფიცრებს ჰქონდეთ გამომუშავებული პრაქტიკული ფსიქოლოგიური უნარები რომელთა მეშვეობით წარმატებულად შეძლებენ დანაყოფის ხელმძღვანელობას და სრული ნდობა ექნებათ რიგითი ჯარისკაცებისა. მნიშვნელოვანია, რომ ოფიცრმა უნდა გაითვალისწინოს და გაიაზროს ის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ჯარისკაცის აქტივობას საბრძოლო პირობებში. სოციალურ ფაქტორებს განსაკუთრებული ზეგავლენა აქვთ საბრძოლო პირობებში ჯარისკაცების ქმედებებზე, რადგანაც ისინი წარმართავენ ქცევის სოციალურ მოტივებს. გამოცდილება აჩვენებს, რომ საბრძოლო მოქმედებების ხასიათი (აქტიური,

პასიური, თავგანწირული და ა.შ) განპირობებულია იმ დამოკიდებულებებით, რომელიც გააჩნია ომისადმი ქვეყნის მოსახლეობას და მისი რა ნაწილი იღებს ომში მონაწილეობას, როგორც ფიზიკურად ასევე ფსიქოლოგიურად, ვის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და რამდენად წარმატებულია ბრძოლები. ომისადმი ხალხის დამოკიდებულება განსაზღვრავს ჯარისკაცების საბრძოლო აქტივობას, ფსიქიკური დაინფიცირების, შთაგონებადობის და მიმბაძველობის ხარჯზე სამხედრო მოსამსახურეები აცნობიერებენ საზოგადოებრივ განწყობებს და თავადაც უყალიბდებიან შესაბამისი მზაობები და საბრძოლო ქვეყნის მოტივები, ჯარისკაცები იმუხტებიან იმ ემოციური ტენდენციებით, რაც მოსახლეობას გააჩნია მტრის მიმართ, რომელიც გადამწყვეტ ზემოქმედებას ახორციელებს მათ საბრძოლო აქტივობაზე. ისტორიული გამოცდილება ამტკიცებს, რომ ბრძოლებში უმეტესად იმარჯვებს ის მხარე, რომელთა მეზობლები მოწინააღმდეგეში ხედავენ დაუძინებელ მტერს, რომელიც მზადაა გაანადგუროს მათი თავისუფლება, ღირსება, ოჯახის წევრები და სრულიად ქვეყანა. ამიტომ სამხედრო ფსიქოლოგთა აზრით აუცილებელია მშვიდობიან პერიოდშიც კი, ჯარის მომზადება პოტენციური მოწინააღმდეგის მიმართ, ნეგატიური განწყობების ფორმირების პირობებში მიმდინარეობდეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ჯარისკაცის საბრძოლო აქტივობას და ფსიქოლოგიურ მდგრადობას, საბრძოლო დანაყოფის მთლიანობაა. სამხედრო მოქმედებებისა და ომების ანალიზი აჩვენებს, რომ ეკიპაჟები და ქვედანაყოფები, რომლებიც შედგებიან ერთმანეთის ნაცნობი და საერთო გამოცდილებების მქონე წევრებისაგან, უფრო მეტ ინიციატივას, აქტივობას და მდგრადობას იჩენენ. სიმხდალის გამო მორალურ იზოლაციაში მოხვედრა და ასევე ჯგუფის მხრიდან ნდობის დაკარგვის შიში, ყველაზე ძლიერ მოქმედებს ჯარისკაცზე და გაბედული ნაბიჯების გადადგმის საშუალებას აძლევს. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით ბევრი თანამედროვე ქვეყნის ჯარი შიდა ტერიტორიული დაყოფის პრინციპით ყალიბდება.

ექსტრემალურ სიტუაციებში სამხედრო მოსამსახურეთა დაკვირვებამ ცხადყო, რომ მათი ქმედებები მნიშვნელოვნად განპირობებულია ტემპერამენტის ტიპით. სანგვინიკური ტემპერამენტის ჯარისკაცები რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილებებს იღებენ სწრაფად და მოქმედებენ გაბედულად. წარუმატებლობის შემთხვევაში დიდი ხნით არ იბნევიან და სწრაფად უბრუნდებიან ნორმას. ქოლერიკული ტემპერამენტის მქონე სამხედროები გამბედავები არიან მხოლოდ ემოციური აგზნების პირობებში, მაგრამ საწინააღმდეგო შემთხვევაში გაუცნობიერებელ შიშში ვარდებიან. ფლეგმატიკები აქტიურად და გაბედულად მოქმედებენ მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ მომზადებულნი არიან სამხედრო დავალებისთვის. მათ ახასიათებთ სტაბილური ემოციური განცდები, შეუპოვრობა და ამტანობა. მელანქოლიკ ჯარისკაცებს, რაც შეეხება, ისინი ძალიან ცოტა ხნით არიან აქტიურები და უმნიშვნელო სიძნელეების შემთხვევაში კარგავენ ძალებს.

ადამიანის ფსიქიკაზე საბრძოლო მოქმედებების ზეგავლენის ანალიზი, შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს: სახიფათო გარემო ჯარისკაცებში იწვევს გარდაუვალ ფსიქიკურ დაძაბულობას - სტრესს, რომელსაც ადამიანის ფსიქიკა მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაჰყავს, იგი ჯარისკაცისთვის შეიძლება იყოს, ერთის მხრივ შინაგანი რესურსების მობილიზების გარანტორი, მეორეს მხრივ დამთრგუნველი და ირაციონალური შიშის მიზეზიც. ამ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯარისკაცის მოტივაციას, ფსიქოლოგიურ მდგრადობას და საბრძოლო გამოცდილებას. ამიტომ, დღეისათვის აქტუალურია ჯარში, სამხედრო მოსამსახურეთა, ფსიქოლოგიური მომზადების პროცესის გაძლიერება, თანამედროვე მეთოდიკით და აპარატურით, საბრძოლო მდგომარეობასთან მიახლოებული წრთვების ინტენსიური წარმოება. როდესაც მეთაურს აქვს ფსიქოლოგიური განათლება, იცის შიშის ფენომენის ბუნება და მისი გამოვლენის სპეციფიკა, მას შეუძლია დააფიქსიროს და დროულად აღკვეთოს, თავისი აქტიური ქმედებებით, ის ფაქტორები რის გამოც ჩნდება ჯგუფური პანიკა, შეუძლია გათვალისწინოს ჯარისკაცების რეაქციები და შესაძლებლობები ბრძოლის დროს, რაც დასახული ამოცანების წარმატებული შესრულების საწინდარია.

ლიტერატურა:

1. ფილიპ ზიმბარდო, „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, 1990.
2. Черниавская А.Г., Психология господства и подчинения, 1998.
3. Авдурахманов Р.А., «Военная психология, теория, практика», 1996.

Beka Toliashvili

Gori State Teaching University

FACTORS RELATED TO THE PANIC ATTACKS IN COMBAT OPERATIONS RESUME

Professionalism of the military and firm discipline determine the effectiveness of the military forces that leads to the successful management of the troops and the fulfillment of the tasks. During the combat a problem might occur that is usually caused with the psychological quality of soldiers and officers' training. During the combat, under the influence of stress, a group or individual panic is possible to arise. This effects the army's combat ability.

The paper describes soldiers' psychological sustainability during the combat, it also refers to the reasons that cause panic among military and the ways how they can be avoided.

მარიკა შერაზადიშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რეკლამის ენის თავისებურებები

რეკლამა (ლათ. *reclamo* - „წამოვიყვირებ“) - ინფორმაცია, გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ნებისმიერი ფორმით და ხერხით, მიმართული საზოგადოების ფართო მასებისთვის, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის და/ან ინტერესის გაღვივების მიზნით. ალტერნატიული განსაზღვრებით, რეკლამა – საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში – საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

რეკლამის ვარიანტებია: პუბლიკაცია, "პიარი", პროდუქტის ჩასმა, სპონსორობა, გაყიდვების წახალისება. ამგვარი ინფორმაციის გასავრცელებლად მედიის ყველა სახეობა გამოიყენება: ტელევიზია, რადიო, ფილმები, ჟურნალები, გაზეთები, ინტერნეტი და ბილბორდები. ძველ საბერძნეთსა და რომში სარეკლამო განცხადებებს წერდნენ. ცნობილია ბეჭდური სარეკლამო განცხადება ინგლისში, რომელიც 1473 წლით თარიღდება, ხოლო 1611 წელს ლონდონში შეიქმნა მსოფლიოში პირველი სარეკლამო ბიურო.

დღეს რეკლამა განიხილება, როგორც მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ერთ-ერთი პირველი სარეკლამო მასალა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ეგვიპტური პაპირუსია, მასში მონის გაყიდვის შესახებ იუწყებიან. რეკლამას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სამი ძირითადი ფუნქცია: ინფორმირება, მარკის ან საქონლის შესახებ მოქმედებისკენ წაქეზება, შეხსენება და იმიჯის შექმნა. ჩვენთან მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც რეკლამა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 12 საათს, ზოგიერთ ქვეყანაში კიდევ უფრო მეტადაა შეზღუდული სარეკლამო ბლოკის ხანგრძლივობა. სარეკლამო ბაზარი საქართველოში უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა და დინამიურადაც ვითარდება. პირველი სატელევიზიო რეკლამა საქართველოში გავიდა 1950-იანი წლების ბოლოს. მაშინ ჯერ რეკლამას უწევდა ტელეწამყვანი ჟანრის არჩევად.

საქართველოში უკვე მთელი თაობა ჩამოყალიბდა, რომელსაც ვერ წარმოუდგენია ტელევიზია და რადიო სარეკლამო კლიპების გარეშე. არადა, სულ რაღაც 20 წლის წინ რეკლამა საბჭოთა კავშირში "ექსპლუატატორთა სოციალურ იარაღად" მიაჩნდათ. სატელევიზიო რეკლამა ჩვენში მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში დამკვიდრდა. მართალია, "ზურჯუაზიულად" ითვლებოდა, მაგრამ მაინც არსებობდა – არა სატელევიზიო რგოლების, არამედ პლაკატების სახით. მაგალითად, ამზობენ, რომ 70-იანი წლებში თბილისის საავადმყოფოების გინეკოლოგიური განყოფილებების დერეფნებში გამოფინეს პლაკატები ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალის პორტრეტით, რომელსაც ასეთი ტექსტი ახლდა: "ხომ შეიძლება, მეც აბორტის მსხვერპლი გავმხდარიყავი". რა თქმა უნდა, იბეჭდებოდა სხვა სახის პლაკატებიც, რომლებიც უფრო მეტად გვაგონებს თანამედროვე რეკლამას. როცა საბჭოთა ბაზარზე

ცილონის ჩაი შემოვიდა, საქართველოში გავრცელდა ასეთი ხასიათის რეკლამა: "ქართული ჩაი. როცა გცივათ – გაგათბობთ, როცა გცხელათ – გაგაგრილებთ!",

რეკლამამ საქართველოში ინგლისური ენაც დაამკვიდრა. მიუხედავად იმისა, რომ რეკლამის ბიზნესში ჩართული ადამიანები ერიდებიან შესაბამის ორგანოებთან კონფლიქტს, ცდილობენ დაიცვან რეკლამის კანონი და საქონლის სახელი ქართულ ენაზე "გადმოაქვთ", თავად ქართული კომპანიები, იმისათვის, რომ მათი სახელი ეფექტურად ჟღერდეს, ინგლისურად ან ინგლისურ-ქართულად "ინათლებიან"; "კოკა კოლა ბოთლერზ ჯორჯია", "თიბისი ბანკი", "არტ-იმედი", „დრიმ დენტალ გრუპი“... როცა მომხმარებელს ეს სახელები ესმის, იგი ამ კომპანიებს "უცხოურად" აღიქვამს და ნდობასაც უცხადებს.

დღეს რეკლამა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანამდევია. ადამიანს დღის განმავლობაში რეკლამასთან შეხება აქვს ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტის, ჟურნალ-გაზეთების, სარეკლამო ბილბორდების, რეკლამირებული ტრანსპორტის, მაღაზიების ვიტრინების და სხვათა მეშვეობით. ადამიანი საშუალოდ მხოლოდ 7-10 რეკლამას იმახსოვრებს. ისმის კითხვა: რა ხდის რეკლამას თვალში საცემს, ექსპრესიულს, ემოციურს და, რაც მთავარია - დასამახსოვრებელს? იქნებ, მთელი ოსტატობა სიტყვათა შერჩევაში გამოიხატება? სარეკლამო ტექსტის შედგენა რეკლამის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, თუმცა არა ერთადერთი. რეკლამამ შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს, ამას უნდა ემსახურებოდეს სწორად შერჩეული გრამატიკული ფორმებიც და სარეკლამო ტექსტის სინტაქსური წყობაც.

სარეკლამო ტექსტი საქმიანი ტექსტის განსაკუთრებული სახეა. ითვლება, რომ, თუ ჟურნალ-გაზეთებსა და ინტერნეტში გამოქვეყნებული რეკლამით მომხმარებელთა საერთო რაოდენობის 5% მაინც ინტერესდება, ეს უკვე ცოტა არ არის. რეკლამა პროპაგანდას უწევს საქონლის უპირატესობას, რათა წარმოაჩინოს მისი უპირატესობა. სარეკლამო ტექსტის მიზანია:

- ყურადღების მიპყრობა
- ინფორმაციის გადაცემა
- ქმედება, რომელიც მიწოდებულ ინფორმაციას ქვეშეცნეულად დაამკვიდრებს მომხმარებლის ცნობიერებაში.

საქართველოს სასაქონლო (სამუშაოთა, მომსახურების) და საფინანსო ბაზრებზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩათვლით) რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, რომლის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

სარეკლამო ტექსტი შემადგენელი ელემენტების განსაზღვრული თანამიმდევრობით ხასიათდება, რაც მას სამეცნიერო თუ მხატვრული ტექსტებისაგან განასხვავებს. მომხმარებლის ყურადღების მისაქცევად გამოიყენება სათაური, რომლის მიზანია სარეკლამო ობიექტის მხოლოდ ერთი მხარის (უპირატესობის) გაშუქება. შეიძლება გამოვიყენოთ ალიტერაცია, ფრთიანი გამოთქმები, სიტყვათა თამაში, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის საკმარისი მთავარი აზრის გადმოსაცემად. ამიტომ სარეკლამო ტექსტი უნდა იყოს მოკლე, უბრალო, ნათელი და გასაგები. რეკლამის მკითხველს არ აინტერესებს სტილი, მისთვის მთავარია - „რა არის ამაში ჩემთვის სასარგებლო?“

სათაური შეიძლება იყოს:

- ფირმის დასახელება ან სარეკლამო სლოგანი
 - i-Technic - ადგილი, სადაც ყოველთვის გელიან
 - ელდორადო - ხარისხი საუკეთესო ფასად
 - Carte Noire - ყავა, სახელად სურვილი
 - Societe Generale - გავაერთიანოთ ჩვენი ტალანტები
 - Credit Lionnals - ჩვენ ვალდებული ვიყავით, თქვენთვის ახალი ბანკი შეგვექმნა
 - Carrefour - იმიტომ, რომ ჩვენ ყოველდღე ვიზრდებით
 - Air France - ავფრინდეთ ცაში, ეს ხომ საუკეთესო ადგილია დედამიწაზე
- სარეკლამო სლოგანი და ფირმის დასახელება
 - იცხოვრეთ ლამაზად და მშვიდად -Dio
 - დაუჯერებელია, მაგრამ ეს რეალობაა -Dirsi
 - ითხოვე მეტი -Pepsi
 - ვერცკი წარმოიდგენთ, რის გაკეთება შეუძლია თქვენთვის Citroen-ს
- სარეკლამო სლოგანში შემავალი ფირმის დასახელება
 - მე ხომ ამაზე ვოცნებობდი, Sony-მ ეს გააკეთა

- არ შეჩერდე, წაუ“snickers”ე
- დაა“frixx”ირე მაგარი კადრები
- თქვენ ფეხი დაადგით Campbell-ის კლანის მიწას - ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.

სათაური შეიძლება/უნდა:

- ჰპირდებოდეს მომხმარებელს რაღაც სარგებელს
 - L'oreal - მე ხომ ამის ღირსი ვარ
 - Adecco - სამყაროს ვერ შეცვლის, მაგრამ ცვლილებებს ხელს შეუწყობს
 - ახალი თაობის ფანჯრები და სუფთა ჰაერი საჩუქრად -Plastburg
 - შეიცავდეს სიახლეს, სასარგებლო ინფორმაციას
 - Planner არქიტექტურა და დიზაინი: ჩვენ ვქმნით, თქვენ ცხოვრობთ
 - დექსალგინი -როდესაც ტკივილი გესხმით თავს
 - Elsev -ექვსი ზეთის ბრწყინვალეობა
 - Sensodyne - იმიტომ რომ მუშაობს
 - შეიცავდეს რეკლამირებული საქონლის დასახელებას
 - Coca Cola - გასინჯე, იგრძენი
 - Gillette - სრულყოფილება მამაკაცურად
 - Canal+ როცა მას უყურებთ, გავიწყდებათ, რომ ტელევიზორის წინ ზიხართ
 - შეიცავდეს ინფორმაციას საქონლის ხელმისაწვდომობის (დაბალი ფასის) ან ფასდაკლების შესახებ
 - My credit.ge -უპროცენტო სესხი 1 წუთში
 - შეიძინეთ ბინა არქი-ჯგუფში და გადაიხადეთ თანხა 10 წლის განმავლობაში, ზოგიერთი რეალობა სიზმარზე უკეთესია
 - „ელდორადოში“ ამას ამოყიდვა ჰქვია
 - შეიცავდეს ინფორმაციას ფირმის სანდოობის შესახებ
 - Renault Scenis - რომელიმე მანქანაში არ აგერიოთ
 - Nestle - ძალიან მაგარი შოკოლადი
 - Baton de Berge -მისი მირთმევა ყოველთვის შეგიძლიათ
 - იყოს იუმორისტული ხასიათის
 - გრძნობ თავს, როგორც ქაშაყი კასრში? თანაც ქურქში? – Rexona (*Чувствуешь себя как селёдка в бочке? Да ещё и "под шубой?"*).
- აქვე გვინდა მოვიყვანოთ რეკლამის რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც, ჩვენი აზრით, ზედმეტი გატაცებაა უცხოური ენით:
- Tbilisi Performance Hall გიწვევთ Late Halloween Party-ზე
 - თქვენი ღიმილი ჩვენი რეპუტაციაა - Dream Dental Group

გვხვდება ასეთიც - შექმენი შენი ნაყინი („თოლიას“ საოჯახო ნაყინი), მსგავსი რეკლამის წარმატებაში ეჭვი გვეპარება.

სათაური აუცილებლად უნდა გამოიყოფოდეს ძირითადი ტექსტისგან ფერით ან ზომით, მნიშვნელობა აქვს ობიექტთა ვიზუალურად განლაგებასაც, კერძოდ, ფოტო უნდა იყოს მარცხნივ, რადგან ადამიანის თვალი უკეთ აღიქვამს მას მარცხნივ, ხოლო ვერბალური კომპონენტი - ტექსტი უნდა იყოს მარჯვნივ.

ჭეშმარიტად საინტერესოა სარეკლამო ტექსტი, რომელიც გამუდმებით გვამცნობს იმას, რაც არ ვიცით, მაგრამ რისაც გვჯერა. განსაკუთრებით ღირებულია ტექსტი, რომელსაც შეუძლია ჩვენი გაოცება თავისი გულწრფელობით. სარეკლამო ტექსტის ზემოქმედების კულმინაციაა რეკლამირებული საქონლის დაუყოვნებლივ შეძენის სურვილი, განპირობებული ცნობისმოყვარეობით და უსაფრთხოებით. სარეკლამო ტექსტი სრულად არის დამყარებული ჩაგონებაზე, მისი ზემოქმედება უნდა იყოს უშუალო, ორიენტირებული მყისიერ წაკითხვაზე და 50 სიმბოლოს არ უნდა აღემატებოდეს.

რეკლამისათვის ძირითადად მოწვეული არიან ცნობილი სახეები, ლამაზი ქალები, ძლიერი მამაკაცები, ბედნიერი ოჯახები, საყვარელი ბავშვები, შინაური ცხოველები. ყოველივე ეს ჩვენს შეგნებაში ნერგავს მყარი მომავლის იმედს და არ აქვს მნიშვნელობა, როგორი გემო და ფერი აქვს რეკლამის ობიექტს, მთავარია - რეკლამა უნდა ასხივებდეს ბედნიერებას.

სარეკლამო ტექსტის შექმნისას მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია სტილისტიკური ფორმების დაცვა. ამ მიზნით გამოიყენება ტროპები და ფიგურები. მათ ერთი რამ აერთიანებს - ფარული აზრის გამოხატვა. ნებისმიერი სარეკლამო ტექსტის შესადგენად გამოიყენება მეტაფორა და მეტონიმი. როცა ავტორი რეკლამას უკეთებს კბილის პასტას და გვიჩვენებს ბედნიერ ოჯახს ქათქათა კბილებით - იგი იყენებს მეტონიმიას. რეკლამის ენისათვის დამახასიათებელია:

- სახეობრიობა, თვალში საცემი სიმკვეთრე
- ლაკონურობა, სინტაქსური დანაწევრება, ხშირად - კომპონენტებს შორის მაპირისპირებელი ურთიერთობა
- დიალოგის ფორმა, რაც პოტენციურ მყიდველთან საუბრის ეფექტს ქმნის.

ამრიგად, რეკლამის მიზანი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ცვლილებაა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა რეკლამის შედგენის წესებისა და მეთოდების დაცვა. ეს ყველაფერი მიმართულია იქით, რომ ქვეცნობიერად ვიმოქმედოთ მომხმარებელზე, რადგან ზოგიერთი მათგანი, როგორცაა გამოსახულების ადგილმდებარეობა და სათაური განსაზღვრულ ადგილას - მანამდე აღიბეჭდებიან მყიდველის მხსიერებაში, ვიდრე იგი რეკლამის აზრს ჩასწვდება.

რეკლამის ენა, უდავოდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. რეკლამა ხელს უწყობს მწარმოებელს, შეინარჩუნოს სტაბილურობა წარმოებაში, რეკლამის მეშვეობით ხორციელდება უწყვეტი საქონელბრუნვა. ტყუილად არ ამბობენ - „რეკლამა პროგრესის მამოძრავებელია“.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, 1228 II ს, თებერვალი 18, 1998;
2. ფრედერიკ ბეგბედერი, 99 ფრანკი, თბ., 2011;
3. www.myvideo.ge

Marika Sherazadishvili
Gori State Teaching University
CHARACTERISTICS OF THE LANGUAGE OF ADVERTISING
RESUME

Advertisement is the very important component of marketing. It may has the following three main functions: informing, the incitement to action about brand or goods, reminder and image creation. Advertising text is a special type of business text. Its purpose are:

- to attract attention
- to transfer of information
- action, which will establish provided information in consumer's mind unconsciously

Advertising text is characterized by the determined sequence of constituent elements, which differ from scientific or artistic texts. In order to attract attention is used the title, which aims to cover only one side (advantage) of the advertising object. There could be used alliteration, colorful expressions, word game, tropes and figures. Advertising language is characterized by:

- varieties, visible stridency
- laconism, syntactic cleavage, mostly - confrontation relationship between the components
- form of dialogue, which creates conversation effect with potential buyer.

ნანული (ნანა) ცხვედაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქეთევან ლომსაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფუნდამენტური ემოციები და მათი კროს-კულტურული თავისებურებები ქართველებთან

საკვანძო სიტყვები: ემოცია, ფუნდამენტური ემოცია, საბაზისო ემოცია, ემოციის პატერნი, ემოციის პროფილი, პარამეტრთა სკალა, დისკრეტული ემოცია, აფექტურ-კოგნიტური სტრუქტურა, მოტივაციური მდგომარეობა, სიხარული, ინტერესი, გაკვირვება, სევდა, ზიზღი, სიძულვილი, სირცხვილი, შიში, დანაშაულის გრძნობა.

ფუნდამენტური ან ბაზისური ემოციის ტერმინით აღინიშნება ემოციათა ჯგუფი, რომელიც თავისი გამოვლინებისა და განცდის თვალსაზრისით პანკულტურული და უნივერსალურია – ვლინდება ყველაზე განსხვავებულ კულტურებსა და ხალხებში; ისინი წარმოადგენენ ევოლუციურ-ბიოლოგიური პროცესების შედეგს. უზრუნველყოფილი არიან თანდაყოლილი ნეირონული პროგრამით და გავლენის თვალსაზრისით, ხასიათდებიან ადამიანის კოგნიტურ სფეროსა და ქცევაზე მხოლოდ მათთვის სპეციფიკური და დამოუკიდებელი მოტივაციურ-განცდადი პროცესითა და გამომხატველობით. ამ მახასიათებლებმა ემოციის კვლევის დიფერენცირებული მიდგომის თეორიებში (ასე იწოდებიან თეორიები, რომლებიც ფოკუსირებული არიან მათ შესწავლაზე), აქტუალური გახადა ბაზისური ემოციების რაოდენობის, მათი ფუნქციების და მიმართებების საკითხები პიროვნების აფექტურ, კოგნიტურ და აქტივობის სფეროებთან.

მათგან პირველის - *ბაზისური ემოციების რაოდენობის შესახებ* მკვლევართა პოზიციები განსხვავებულია. მაგალითად, ნიუენისა და ცინკისთვის ასეთი მხოლოდ ოთხი ემოციაა (სიხარული, რისხვა, შიში, მწუხარება/დარდი)[15]; ეკმანისთვის ექვსი (სიხარული, გაკვირვება, ზიზღი, შიში, ბრაზი/რისხვა, დარდი/სევდა)[11]; ფლიზიკ-ისთვის – რვა (მიღება, ზიზღი, რისხვა, სიხარული, შეშფოთება, იმედი ან ცნობისმოყვარეობა)[10]. ხოლო, იზარდ-ს, ფუნდამენტური ემოციების კატეგორიაში გაერთიანებული აქვს ათი ემოცია (ინტერესის, სიხარულის, გაკვირვების, მწუხარება/დარდის, რისხვის, ზიზღის, სიძულვილი/უარყოფის, შიშის, სირცხვილის და დანაშაულის გრძნობის)[16].

რაც შეეხება *ემოციათა ფუნქციებს* და *მათ კავშირს სხვა ფსიქიკურ ფენომენებსა* თუ *ქცევასთან*, აქ მკვლევართა მოსაზრებები შედარებით კონსოლიდირებულია. ითვლება, რომ ბაზისურ ემოციებს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი, უნიკალური მოტივაციური და ადაპტური ფუნქცია აქვს. მაგალითად, შიში, ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მიმართული რეაქციაა, ზიზღი – განრიდების რეაქციაა, რისხვის ფუნქციას თავდაცვისთვის ენერჯის მობილიზაცია შეადგენს, გაკვირვება – მოულოდნელობებისთვის მომზადებას და ა.შ. ფუნდამენტური ემოციები ერთმანეთთან და პერცეპტულ-კოგნიტურ პროცესებთან ურთიერთობაში შესვლით, გარკვეულ სტრუქტურებს – პიროვნულ წარმონაქმნებს ქმნიან. ეს სტრუქტურები, სათანადო პირობებში ან სოციო-კულტურულ კონტექსტში პიროვნული ნიშნის ხასიათს იძენს და იმ ინდივიდუალური განსხვავების სახით გვევლინება, რასაც ადგილი აქვს როგორც ცალკეული ადამიანის, ისე კონკრეტული კულტურების შემთხვევაში არსებული ცხოვრების წესის, ქცევითი რეაქციების ან სტილის, ღირებულებათა სისტემის, ინტერესების, მიდრეკილებების და ა.შ. ფორმით. ამიტომ მიიჩნევა, რომ აღნიშნულ ფენომენთა გაგებაში, ემოციას, ერთმნიშვნელოვნად ახსნითი ღირებულება აქვს: ის, პიროვნული მახასიათებლებისა და მოტივაციური პროცესების ანალიზის ერთეული და პიროვნების ქცევითი ტენდენციის განმსაზღვრელი პროგნოზისტიკული ღირებულების ცვლადია.

ემოციის კულტურით დეტერმინაციის იდეამ განსაკუთრებული ღირებულება ემოციის სოციოლოგიურ თეორიებში შეიძინა. მაგალითად, გორდონისთვის მაშინაც კი თუ ემოცია, ბიოლოგიური წარმოშობის იქნება, საბოლოო ჯამში მაინც კულტურული მნიშვნელობის მქონე სოციალურ ობიექტებად ტრანსფორმირდება, რადგან ემოცია ყოველთვის სხვა ადამიანებისკენ არის მიმართული (მაგ., შური მიმართულია ადამიანისკენ, ვის მიმართაც განიცდი აღფრთოვანებას); ინდივიდები სწავლობენ ემოციების სიტყვიერ გამოხატულებებს, ემოციური ქცევის ფორმებს და თითოეული ემოციის მნიშვნელობას აკავშირებენ სოციალური ორგანიზაციის განსხვავებულ ტიპებთან. მაგალითად, ეჭვიანობა ჩნდება მაღალი ღირებულების მქონე ურთიერთობაში სხვა ადამიანის შემოჭრის საპასუხოდ. ამა თუ იმ ემოციაზე მეტყველი, ჟესტებიც კი, კულტურით არის განპირობებული (მაგ., თვალების დახრა დანაშაულის ჩადენისას).

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ფუნდამენტურ ემოციებს ბიოლოგიურად განსაზღვრულად მივიჩნევთ, თუ კულტურით კონსტრუირებულ სოციალურ მოვლენად, უცვლელი რჩება მათი ახსნითი ღირებულება, როგორც პიროვნებისა და ქცევის, ისე სოციალური პროცესების შემეცნებაში. ანალიზი აჩვენებს, რომ ყველა ემოციის (როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციოლოგიური) თეორიის მიზანი იმის გარკვევაა, როგორ ახდენს სოციალური სტრუქტურები და კულტურა აფექტურ-კოგნიტური წარმონაქმნების/რესენტემენტების ფორმირებაზე გავლენას და პირიქით, როგორ განიცდის თვით კულტურა და სოციალური სტრუქტურები ემოციის გავლენას. სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები ერთსულოვანნი არიან ემოციის გაგებაშიც. ყველა მათგანისთვის, ემოცია, ქცევის მარგანიზებელი და მიმართულების მიმცემი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. ის სიგნიფიკაციური ცვლადია, რეაქციაა სასიცოცხლო სივრცეში არსებულ საგნებსა თუ მიმდინარე მოვლენებზე. ემოციისადმი ამგვარმა პოზიციამ განსაზღვრა წინამდებარე კვლევა, რომლის მიზანია:

ა) ქართველების, როგორც გარკვეული კულტურული იდენტობის მატარებელი პოპულაციის ფუნდამენტური ემოციების სტრუქტურული და დინამიკური თავისებურებების შესწავლა.

ბ) ქართველების ფუნდამენტური ემოციების კროს-კულტურული მახასიათებლების გამოვლენა-დადგენა.

საკვლევი ამოცანების რეალიზება შესაძლებლობას მოგვცემს ვიმსჯელოთ ქართულ სოციო-კულტურულ გარემოში მოქმედი ე.წ. ემოციურ განცდათა „კულტურული განაწესის“ და მისგან გამომდინარე ქართული შერჩევისთვის დამახასიათებელი ქცევის „მიკროპოლიტიკებსა და მიკროეკონომიკურ“ სტრატეგიებსა და მოდელებზე.

კვლევის აქტუალობა განისაზღვრავს: ა) ქართულ სინამდვილეში ფუნდამენტური ემოციების, როგორც ეთნოფსიქოლოგიის ერთ-ერთი მახასიათებლის შესწავლაზე ორიენტირებული კვლევის სიახლით; ბ) საქართველოში მცხოვრები ადამიანის წინაშე მდგომი აქტუალური ადაპტური ამოცანებით, რომელსაც უყენებს მას ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები და დასავლურ სივრცესთან კულტურული ინტეგრაციის ამოცანები.

განწყობის თეორიაში, ემოცია, გაგებულია, როგორც პირველადი განწყობის რეპრეზენტაცია ცნობიერებაში; ემოციის პოლარულობის ნიშანი (დადებითობა-უარყოფითობა) - განწყობის ქცევაში რეალიზების რაგვარობის მაჩვენებელი სიგნიფიკაციური ცვლადი (დადებითი ემოცია, მაგ. სიხარული ნიშნავს, რომ განწყობა რეალიზებულია, ქცევა-მიზანშეწონილი. უარყოფითი, მაგ., შფოთვა, განწყობა არარეალიზებულია ან ქცევის მიზანი - მიუღწეველი). ამ ლოგიკურ კონსტრუქტში, როგორც ვხედავთ, ემოციურ განცდათა თვისობრივ და რაოდენობრივ (სტრუქტურულ და დინამიკურ) მახასიათებლებს, იგივე ღირებულება აქვს ადამიანის პიროვნული ასპექტების, მისი სოციალური ქცევის მოტივაციური საფუძვლების, ქცევის პროგნოზირების, სოციალური სტრუქტურების და სოციალური ადაპტაციის პროცესების შესწავლაში, როგორც საზოგადოდ, მას მინიჭებული აქვს, ემოციის დიფერენცირებული ორიენტაციისა და ემოციის სოციოლოგიურ თეორიებში. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ემოციის განწყობის ცნების საფუძველზე გაგება, მნიშვნელოვნად გაზრდის ემოციის ცნების ოპერაციულ ღირებულებას როგორც გრძნობათა გამის სოციო-კულტურული საფუძვლების, ისე სოციალურ სტრუქტურებსა და კულტურაზე გრძნობად-ემოციური სფეროს გავლენის ეფექტების გაგებასა და ახსნაში. წინამდებარე შრომა ამ ამოცანის რეალიზების ერთგვარი მცდელობაცაა.

2. კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია

კვლევას მეთოდოლოგიურ სარჩულად დავუდეთ ემოციის დიფერენციალური მიდგომის ფსიქოლოგიური თეორიები (ეკმანი, იზარდი, პლუტჩიკი), ემოციის სოციოლოგიური თეორიები და ემოციის განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები და თეზისები.

კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა, ბარტლეტისა და იზარდის ემოციურ განცდათა სუბიექტური გამოცდილების თვითანგარიში [16]. მეთოდიკა შეფასების ორი ტიპის სკალათა ბატარეას შეიცავს:

1. ე.წ. დიფერენციალური ემოციების სკალა, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ფუნდამენტური ემოციის სხვა ემოციებთან კავშირის და ამ კავშირების საფუძველზე ემოციის სისტემის სტრუქტურული კომპოზიტების შესწავლა-დადგენაზე. სკალა აერთიანებს ათი ფუნდამენტური ემოციის ამსახველ 30 განსხვავებულ ემოციურ მდგომარეობას. ამ მდგომარეობებიდან თითოეულ ფუნდამენტურ ემოციას 3 სუბსკალა გამოხატავს.

2. ე. წ. პარამეტრული სკალები - პარამეტრული სკალების ინსტრუმენტი აერთიანებს ოთხი პარამეტრისგან შემდგარ პოლარულ სკალებს. ყოველი პარამეტრული სკალა, არკვევს ამა თუ იმ ემოციური მდგომარეობის დროს კონკრეტული პარამეტრის მიხედვით ემოციის სისტემის კავშირის თავისებურებას პიროვნების სტრუქტურის პერცეპტულ, კოგნიტურ და მოტორულ სისტემებთან. ეს პარამეტრებია:

1. **კმაყოფილების** (სიამოვნების) პარამეტრი. ის გამოიყენება განცდების ჰედონისტური შეფერილობის შესაფასებლად.

2. **დამაბულობა**. ის ემოციის ნეიროფიზიოლოგიური ატივაციის წარმდგენელად (პრეზენტატორი) განიხილება ცნობიერებაში და ამიტომ, ემოციის გამამდიერებელ ფაქტორად განიხილება.

3. **იმპულსურობის პარამეტრი**. გამოიყენება ანტიციპაციის ანუ კონკრეტული ემოციური სიტუაციის მიმართ მზაობის შესაფასებლად. სკალაზე იმპულსურობის მაღალი მაჩვენებელი ანტიციპაციის სისუსტის ან არარსებობის მანიშნებელია. გარდა ამისა, ავტორთა თქმით, იმპულსურობა კონოტატიურად დაკავშირებულია სპონტანურობასთან და ასახავს ემოციური განცდის შეუმჩნეველობა - შემჩნევადობის ხარისხს, აგრეთვე ემოციური ექსპრესიის ინდივიდუალურს ტილს. [12].

4. **დარწმუნებულობის პარამეტრი** - შემოტანილია Frijba_ს დარწმუნებულობა-დაურწმუნებლობის სკალის გავლენით (პარამეტრის დეტალური ანალიზი იხ. [13]. ის ამ სკალის დადებითი პოლუსის სახით არის წარმოდგენილი და ასახავს ემოციურად მნიშვნელოვან სიტუაციებში ადამიანის კომპეტენტურობის ან ადეკვატურობის განცდის არსებობა-არარსებობას.

10 ფუნდამენტური ემოცია და მათი ფუნქციები - როგორც აღნიშნული იყო, იზარდმა ათი ფუნდამენტური ემოცია გამოყო, რომლებიდან თითოეული სპეციფიკურ მოტივაციებს ფლობს და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ადაპტური ფუნქციონირებით ხასიათდება. ახლა მოკლედ შევხებით მათ ადაპტურ ფუნქციებს.

1. ინტერესის ემოცია - ის ადამიანის შემოქმედებითი და კვლევითი აქტივობის აღმძვრელ მთავარ მოტივაციურ მდგომარეობად არის მიჩნეული. ინტერესის ემოცია ორგანიზებას ახდენს და მიზანზე ორიენტირებულს ხდის ადამიანის ქცევას. ითვლება, რომ ინტერესი ყველა სხვა ემოციასთან შედარებით ყველაზე უფრო ხშირად განცდადი მდგომარეობაა და მისი აქტივაციისთვის გამონაკლისს მხოლოდ უარყოფითი ემოციების და მოთხოვნილებების მდგომარეობები წარმოადგენს. ინტერესის ემოციის ევოლუციური როლი შემეცნების გზით ცვალებად გარემოსთან ადაპტაციით განისაზღვრება, ხოლო თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში მისი მოტივაციური როლი წარმატებისა და თანდაყოლილი უნარების სრულყოფილებისკენ სწრაფვაა, რომელიც, შესაბამისად, ინტერესის ემოციით იზომება.

2. სიხარული - მისი ფუნქცია ბიოსოციალურია. სიხარულის ემოცია ამაღლებს თვითშეფასებას და ახდენს მის განმტკიცებას, ზრდის საკუთარ თავში დარწმუნებულობას, ააქტიურებს ფსიქიკური პროცესების მუშაობას, ხელს უწყობს ცნობიერების ღიაობას ახალი ინფორმაციის მიღებისა და ახალი გამოცდილების შეძენაში, აღძრავს ინტუიციას და შემოქმედებით უნარებს, ხელს უწყობს სოციალიზაციის პროცესს და ანვითარებს ალტრუიზმს.

3. გაკვირვება - მისი ადაპტური ფუნქცია მოულოდნელობებისთვის ადამიანის მომზადებაა. გაკვირვების ემოცია უცხო მოვლენებისა და გაუთვალისწინებელი შედეგების შემთხვევებში ინდივიდს ეფექტიანად მოქმედებაში ეხმარება. სხვა ემოციებისგან განსხვავებით მას ხანიერება არ ახასიათებს - მალე ქრება ან სხვა ემოციაში გადადის.

4. სევდა/დარდი - ანელებს ადამიანის ცხოვრების საერთო ტემპს და აძლიერებს რეტროსპექტულ აზროვნებას. ის საშუალებას აძლევს ადამიანს მოახდინოს პრობლემებზე ცენტრირება, მათი ობიექტივაცია და თვითრეფლექსია. აძლიერებს კომუნიკაციურ ფუნქციას, ადამიანებში აღძრავს სურვილს - დაუახლოვდეს/აღადგინოს ან შეწყვიტოს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. აღძრავს ადამიანებში ემპატიურ გრძნობებს და ხელს უწყობს მათ განვითარებას.

5. რისხვა/ზრახი - ითვლება, რომ მისი ადაპტური ფუნქცია ევოლუციის პერსპექტივაში მეტია, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში. რისხვა თავდაცვისთვის საჭირო ენერჯის მობილიზაციას ახდენს და ინდივიდს აძლევს ძალისა და სიმამაცის განცდას. თავდაჯერებულობის განცდა ადამიანს საშუალებას აძლევს დაიცვას საკუთარი უფლებები, როგორც პიროვნებამ. ამ თავისებურების გამო, ზომიერი რისხვა შიშის დასაძლევად თერაპიული მიზნითაც გამოიყენება.

6. ზიზღი - ითვლება განრიდების ქცევის მოტივაციურ საფუძვლად. ის უპირატესობის განცდასთანაა დაკავშირებული; ყალიბდება 6-7 წლის ასაკში. მისი ევოლუციურ-ბიოლოგიური ძირი დაკავშირებულია კვებასთან.

7. უარყოფა/სიძულვილის ემოცია - (მას ხშირად ნაკლსაც უწოდებენ). სიძულვილის ემოციის ფუნქცია კომუნიკაციურია. ის ინდივიდის (ან ჯგუფს) სახიფათო მოწინააღმდეგესთან შესახვედრად ამზადებს. ადამიანს სიმამაცეს მატებს და მას წინააღმდეგობის დასაძლევი ძალების მობილიზებაში ეხმარება. მისი ევოლუციურ-ადაპტური ფუნქცია მოწინააღმდეგისგან თავდაცვისთვის ან მოწინააღმდეგეზე თავდასხმისთვის მომზადებაა. მისი აღმოცენება დაკავშირებულია რეალურ ან წარმოსახული უპირატესობის განცდასთან.

8. შიში - ის რეალურ ან წარმოსახულ საშიშროებებზე მიმართული რეაქციაა. შიშის ადაპტური ფუნქცია ფიზიკურ ან ფსიქიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ფსიქო-ფიზიკური ძალების მობილიზაციაა.

9. სირცხვილი - მისი ევოლუციური ფუნქცია, სოციუმთან ინდივიდის ბიოლოგიური ადაპტაციაა. სირცხვილის გრძნობა ზრდის გარშემომყოფთა გრძნობებისა და შეფასებების მიმართ ადამიანის სენზიტურობას; ზრდის სოციალურ შეჭიდულობას; ხელს უწყობს სოციალური ჩვევების განვითარებას. სირცხვილით დასჯის შიში, შესაძლოა, ძლიერ მოტივაციად იქცეს პიროვნული ზრდა-განვითარებისთვის. ითვლება, რომ რაც მეტია სირცხვილის გრძნობა, მით მეტად აფასებს ადამიანი საკუთარ ღირსებას და პატივს. სირცხვილის ემოცია ხელს უწყობს თვითშეფასების აქტუალიზაციას, საკუთარი თავისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, აძლიერებს მე-ს ცნობიერებას, მე-ს ობიექტივაციის გზით ახალ-ახალიმე-ხატების ფორმირებას და ამცირებს პიროვნების მოწყვლადობას.

10. დანაშაულის გრძნობა - მისი მოტივაციური მნიშვნელობა მორალური და ეთიკური ქცევისთვის საფუძვლების შექმნაა. დანაშაულის/სინანულის გრძნობა ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას, სოციალური პასუხისმგებლობისა და სინდისის ფორმირების პროცესებს. მისი ადაპტური მნიშვნელობა სხვების განაწყენებაში, საკუთარი როლის გაცნობიერებაში მდგომარეობს.

კვლევა ჩატარდა საქართველოში მცხოვრებ 16-65 წლის 349 ცდისპირზე. კვლევის შედეგების კროსკულტურული ანალიზის ამოცანიდან გამომდინარე, ექსპერიმენტში მონაწილე პირებიდან ძირითად საკვლევ ჯგუფად გამოვყავით სტუდენტთა ჯგუფი (120 ც.პ.) და შევადარეთ მათთან მიღებული შედეგები იზარდის და ბარტლეტის მიერ ამერიკელებთან (საკონტროლო ჯგუფი) ჩატარებული ანალოგიური კვლევის მონაცემებთან [3].

დიფერენციალური სკალის მიხედვით მიღებული მონაცემების განხილვა და ანალიზი

⇒ ამერიკელების მსგავსად ქართველების შემთხვევაშიც ინტერესის ემოცია ყოველი ემოციის პროფილის დინამიკაზე გავლენის მქონე სტრუქტურული კომპონენტია. ე.ი. ემოციურად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქართველის და ამერიკელის ინტერესის ემოცია როგორც სტრუქტურის ისე სხვა ემოციებთან კავშირის მიხედვით არ განსხვავდება. ამიტომ, ინტერესის ემოციის გამოვლინებისა და განცდის ეს მსგავსება/ერთგვაროვანება, შეიძლება კულტურული კონტექსტის მიმართ ამ ემოციის რეზისტენტობად მივიჩნიოთ.

⇒ პროფილის დინამიკაზე გავლენის ძალის მიხედვით ქართველებისა და ამერიკელების ფუნდამენტური ემოციების შედარებით ირკვევა, რომ სხვადასხვა ემოციის პროფილებში მათი აქტუალიზაციის სიხშირე განსხვავებულია. კერძოდ: ინტერესის ემოციის შემდეგ, ქართველების გრძნობად აფექტურ მდგომარეობებში მნიშვნელოვან ადგილს სევდისა და რისხვის ემოციები იკავებს, ხოლო ამერიკელებთან – გაკვირვების და სევდის. ქართველის აფექტურ მდგომარეობებში ყველაზე იშვიათ კომპონენტს სირცხვილის ემოცია წარმოადგენს, ამერიკელის აფექტებში – დანაშაულის გრძნობა.

ჩვენი აზრით, განსხვავების მიზეზი მათი სასიცოცხლო სივრცის პრობლემებს და ამ პრობლემებით გამოწვეულ აქტუალურ ამოცანებს უნდა უკავშირდებოდეს.

⇒ სირთულის პარამეტრის მიხედვით ქართველების აფექტური მდგომარეობები მეტი სირთულით ხასიათდება.

⇒ ჩვენს კვლევაში არ დასტურდება იზარდის შედეგი, რომლის თანახმად, პოზიტიური ემოციების (ინტერესი, სიხარული, გაკვირვება) პროფილში არც ერთი უარყოფითი ემოცია არ მონაწილეობს. ქართველების შემთხვევაში, უარყოფითი ემოცია, კერძოდ, სევდა, ინტერესის ემოციის პროფილის დინამიკაზე გავლენის მქონე ემოცია აღმოჩნდა.

პარამეტრული სკალის მიხედვით მიღებული მონაცემების განხილვა და ანალიზი

პარამეტრული სკალის მონაცემების მიხედვით ქართველი და ამერიკელი სტუდენტების აფექტების შედარება აჩვენებს, რომ:

1. ქართველების ინტერესის ემოციის განცდა ამერიკელებთან შედარებით ნაკლები კმაყოფილებით ხასიათდება. ე.ი. ამერიკელის ინტერესის ემოცია ჰედონისტურად უფრო პოზიტიური შეფერილობისა და მათ მიერ უფრო სასიამოვნოდ განიცდება, ვიდრე ქართველის მიერ. სიამოვნების პარამეტრის მიხედვით გამოვლენილი განსხვავება, სავარაუდოდ, ქართველების ინტერესის ემოციის სტრუქტურულ კომპოზიტივში დარდის ემოციის მონაწილეობით უნდა აიხსნას.

2. ქართველის სიხარულის ემოციის განცდა ხასიათდება დაბალი დამაბულობით, ზომიერი იმპულსურობის და დარწმუნებულობით, აგრეთვე, კმაყოფილების მაღალი გრძნობით. ხოლო ამერიკელის, დაბალი დამაბულობით და იმპულსურობის, დარწმუნებულობისა და კმაყოფილების მაღალი გრძნობით. ამასთან შევნიშნავთ, რომ ამერიკელის შემთხვევაში სიხარული უფრო მეტი სიამოვნების ნიშნით ხასიათდება, ვიდრე ქართველთან. ეს განსხვავება, სავარაუდოდ, ქართველებთან იმპულსურობის სკალის ზომიერ საზღვრებში მოქცეული ინტენსივობით უნდა აიხსნას, როგორც სასიხარულო ემოციური სიტუაციების მიმართ ქართველის გარკვეული მზადყოფნის გამოხატულება.

3. ამერიკელთან შედარებით, ქართველის გაკვირვების ემოციის განცდა შედარებით დაბალი იმპულსურობის და კმაყოფილების ნიშნით ხასიათდება. ქართველის გაკვირვების განცდის შინაარსის ეს თავისებურება, პრაქტიკულად სიხარულის ემოციის შინაარსს იმეორებს იმ განსხვავებით, რომ ინტერესის ემოციაში ამერიკელი და ქართველი ცდისპირების იმპულსურობისა და კმაყოფილების პარამეტრთა სკალის მონაცემებს შორის განსხვავება უფრო მკვეთრია. შეიძლება დავუშვათ, რომ ამერიკელებთან შედარებით ქართველებისთვის სიხარულის და გაკვირვების ემოციურად მნიშვნელოვანი სიტუაციების წრე შედარებით კატეგორიზირებული და ადვილად ამოცნობადია. სავარაუდოდ, ამით უნდა აიხსნას ამ ორ ემოციაში სიამოვნების კომპონენტის შედარებით დაბალი მაჩვენებელიც.

4. ამერიკელთან შედარებით ქართველის დარდი/სევდა ხასიათდება იმპულსურობის, დარწმუნებულობისა და კმაყოფილების შედარებით მაღალი მაჩვენებლებით. განსხვავება განსაკუთრებით მკვეთრია დარწმუნებულობის პარამეტრულ სკალაზე. ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი დარდის ემოციურად მნიშვნელოვან სიტუაციებისადმი სუსტად გამოხატული მზაობის მიუხედავად, მეტ ადეკვატურობასა და კომპეტენტურობას ავლენს. ჩვენი აზრით, ეს შედეგი ქართველების დარდისადმი ტოლერანტობის გამოვლინებად შეიძლება შეფასდეს.

სავარაუდოდ ამით უნდა აიხსნას ქართველის დარდის განცდაში კმაყოფილების მეტი ხარისხი ამერიკელთან შედარებით.

5. ზიზლის ემოციის შინაარსი ქართველი და ამერიკელი სტუდენტების შემთხვევაში მხოლოდ კმაყოფილების პარამეტრის მიხედვით არის განსხვავებული. კერძოდ, ზიზლი ქართველისთვის ნაკლებ უსიამოვნოა ვიდრე ამერიკელისთვის. ამ განსხვავების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველის და ამერიკელის ზიზლის ემოციის შინაარსი იდენტურია, განსხვავებას კი განვიხილავთ, როგორც სტრუქტურული კომპოზიციის გავლენის შედეგს.

6. ქართველის რისხვის ემოცია ამერიკელთან შედარებით ხასიათდება ნაკლები დამაბულობით და მეტი დარწმუნებულობის და კმაყოფილების ხარისხით. სავარაუდოდ ეს განსხვავება ქართველის ემოციის პროფილში დარდის ემოციის არსებობით უნდა აიხსნას.

7. ქართველის უარყოფა/სიძულვილის ემოციის შინაარსი არსებითად არ განსხვავდება ამერიკელის იგივე ემოციის შინაარსისგან. ხოლო დარწმუნებულობის პარამეტრით განსხვავება, სავარაუდოდ ქართველის უარყოფა/სიძულვილის პროფილში სევდის ემოციის ყველაზე მაღალი ინტენსივობით არსებობას უნდა უკავშირდებოდეს.

8. შიშის ემოციის განცდის შინაარსში დამაბულობის და დარწმუნებულობის პარამეტრები იქცევის ყურადღებას. შიშის ემოციის სიტუაციაში ქართველის ადეკვატურობის განცდა და ზომიერი დამაბულობა წინააღმდეგობრივი შედეგია. ცნობილია, რომ შიში სწორედ სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვით გამოწვეული რეაქციაა.

9. სირცხვილის ემოციაში ოთხივე პარამეტრის მიხედვით გამოვლინდა განსხვავება. ამერიკელისგან განსხვავებით, ქართველი სირცხვილის ემოციის განცდისას ნაკლებდამაბულია, მეტად იპულსური, მეტად დარწმუნებული და უკმაყოფილო.

10. დანაშაულის გრძობა ქართველთან ხასიათდება მეტი იმპულსურობისა და დარწმუნებულობის ხარისხით. მოცემულ შემთხვევაში, ისე, როგორც შიშის ემოციაში, დარწმუნებულობის მაღალი მაჩვენებელი წინააღმდეგობრივი შედეგია. თუმცა, სკალების მნიშვნელობებით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებელია ამ ორი ემოციის მიმართ იგივე დაშვება გავაკეთოთ, რაც დარდის ემოციასთან მიმართებით გავაკეთეთ – ქართველები დანაშაულის და შიშის ემოციური მდგომარეობისადმი ტოლერანტულნი არიან.

დასკვნები

- კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი და ამერიკელი სტუდენტების ფუნდამენტური ემოციები ხასიათდებიან როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული სტრუქტურული და დინამიკური თავისებურებებით. მაგრამ იზარდის მონაცემებთან შედარებით გამოვლენილი განსხვავებები რამდენად არიან დამახასიათებელი სწორედ ქართველებისთვის და არა, მაგალითად, აღმოსავლური კულტურებისთვის, პოსტსაბჭოური მოსახლეობისთვის, ან კავკასიური კულტურებისთვის, ამას სპეციალური კვლევის გარეშე ვერ ვიტყვი.

- კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველ ცდისპირთა ემოციები უფრო რთული და მრავალფეროვანია, მაგრამ უფრო დიფუზურიც, ნაკლებად გამოკვეთილი საზღვრებით, უფრო ამბივალენტურია და მეტადაა ნეგატიურისადმი მიდრეკილი. თუმცა, ზოგიერთ ემოციათა მახასიათებლებში შედეგი ამერიკელის იდენტურია. ამ განსხვავებათა მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტუროლოგიურია, ამის ექსპერიმენტული კვლევა, თეორიული გააზრება და ინტერპრეტაცია ცალკე სერიოზულ მუშაობას ითხოვს.

ლიტერატურა:

1. ნ. ცხვედაძე, დ. ბერეკაშვილი, ემოციის, როგორც ფსიქიკური პროცესისადმი სოციალური განწყობის როლი მიზანშეწონილი ქცევის ორგანიზაციაში, ფსიქოლოგია XXII ტ. თბილისი, 2010.
2. ნ. ცხვედაძე, ფუნდამენტური ემოციათა პროფილების კროს-კულტურული კვლევა ქართველები-ამერიკელები - ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. დ. უზნაძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2012.
3. ნ. ცხვედაძე, განწყობის „თანდაყოლილისა“ და „შემენილის“ ცნებები ემოციის დიფერენციალური მიდგომის თეორიებსა და განწყობის ფსიქოლოგიაში. ხელნაწერი უფლებით, უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში შესრულებული წილური შრომა, 2010.
4. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია III-IV ტომი IV თავი. გვ.117-155 Tbilisi 2004.
5. დ. უზნაძე, „შენიშვნების რვეული“ მაცნე – ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია #2, 1988.
6. Tskhvedadze N., Mirtskhulava R., "Study of Georgian Student's Anxiety in the Process of the Educational Reform". London International Conference on Education-2011 LISE –ს მასალები 2011.WWW. iiedu. org.

7. Ausubell D.P. Relationships between shame and guilt in the socializing process. _ Psychological Review, 1955, 62, 378-480.
8. Bartlett E.S., Izard C.E. A dimensional discrete emotions investigation of the subjective experience of emotion. _ In: Izard (Ed.). Patterns of emotions: A new analysis of anxiety and depression. _ New York, Academic Press, 1972.
9. Daniel Goleman – Working with Emotional Intelligence. A Bantoman Book. Publishing History -1998. New York / Toronto / London / Sydney
10. Plutchik R., Emotion: A Psychoevolutionary Synthesis. _ New York, Random House, 1962.
11. Ekman P. Universal and cultural differences in facial expression. _ In: J.R. Cole (Ed.). Nebraska Symposium on Motivation, 1971. Lincoln, NE, University of Nebraska Press, 1972
12. Ekman P., Heider C.G. The universality of contempt expression: A replication. _ Motivation and Emotion, 1988, 12, 303-308.
13. Osgood C.E. Dimensionality of the semantic space for communication via facial expressions. _ Scandinavian Journal of Psychology, 1966, 7, 1-30
14. Frijba, N. H. The emotions. _ London, Cambridge University Press, 1986.
15. Classifying emotions: A developmental account//Synthese. – Dordrecht, 2008. – Vol. 161, n 1.-p. 1-25.
16. Э. Изард – „ Психология Эмоций ”. Санкт – Петербург, 2000.

Nanuli (Nana) Tskhvedadze

Sokhumi State University

Ketevan Lomsadze

Gori State Teaching University

**BASIC EMOTIONS AND THEIR CROSS-CULTURAL CHARACTERISTICS FOUND IN GEORGIANS
RESUME**

The crosscultural study of fundamental emotion's profiles (Georgians-Americans).

The profiles of fundamental emotions (C.Izard) of Georgian students was studied and compared with the same data of American students.

As the method of the research the self-report scales (Izard-Bartlett) were used.

The basis of that method was the Izard differential emotions theory according to which emotions have organizing and motivating function in behavior, interaction and personal development of human beings. This view corresponds to Usnadse's understanding of emotion in the context of theory of set (ganckhoba).

The study showed similarity and differences in the structural and dynamic indices of fundamental emotions between Georgian and American students. The emotions of Georgians are more complex and multicomponent but more diffuse with less definite frames. Therefore they are more ambivalent and negative. Some peculiarities of fundamental emotions of Georgian students are identical with those of American students.

იოსებ ჭუმბურიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პუბლიცისტიკის ჟანრები: თეორია და რეალობა

უცხო სიტყვათა რუსულენოვან ლექსიკონში *ჟანრი* განმარტებულია, როგორც *მხატვრული ნაწარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული, მყარი ნაირსახეობა* (1, 183). ნიმუშებად დასახელებულია პეიზაჟი, სიმფონია, რომანი...

ქართულ ენაზე გამოცემული ლექსიკონი აზუსტებს, რომ *ჟანრისთვის დამახასიათებელია ესა თუ ის სიუჟეტური და სტილისტიკური ნიშან-თვისებები* (2, 189).

ეს განმარტებანი, რა თქმა უნდა, პუბლიცისტიკაზეც ვრცელდება.

ნებისმიერი ჟანრის პუბლიცისტურ ნაწარმოებსაც აქვს თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული, მყარი სიუჟეტური და სტილისტიკური ნიშან-თვისებანი. მაგალითად, შეუძლებელია, ერთმანეთში აგვერიოს რეპორტაჟი და ნარკვევი, სტატია და რეცენზია.

თუმცა, ამას ყველა ჟანრზე ასე თამამად ვერ ვიტყვით, რადგან ახალი მედიის ეპოქაში უკვე ჩვეული ამბავია ჟანრებს შორის ზღვრის წაშლა. ისინი სხვადასხვა ელემენტით ერწყმის ერთმანეთს და ახალ ფორმებს ქმნის (3, 221 ; ციტატების სტილი ყველგან დაცულია - ი. ჭ.).

აღნიშნული ტენდენცია თანამედროვე მედიალოგიაში ბევრ გაუგებრობას წარმოშობს, მათ შორის, ჟანრობრივი კლასიფიკაციის თვალსაზრისითაც.

ეს ეხება ჟანრთა სახელდებლასაც, სადაც თითქოს ყველაფერი საბოლოოდ გარკვეულია. კერძოდ, იგულისხმება ინფორმაციული შენიშვნა, რომლის სახელდებლაც მოძველებული და, რაც მთავარია, გამოსაყენებლად მოუხერხებელი გვეჩვენება. ეს თვალსაზრისი საჯაროდ 2015 წელს გამოვთქვით, ამიტომაც შეუძლებელია, (ჩვენ(ც) გვეულისხმობდეს მედიამკვლევარი თამარ მაღალურაძე, რომელიც 2009 წელს გამოცემულ წიგნში (4, 14) აღნიშნავს: ამჟამად უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს „ნიუსი“ და ცდილობენ, მისით ჩაანაცვლონ ტერმინი ინფორმაციული შენიშვნა. ჩვენი აზრით, ეს არასწორია, რადგან ნიუსი ნიშნავს ახალ ამბავს. ამდენად, ეს ძალიან ზოგადი ცნებაა და არაფერს გვეუბნება კონკრეტული ჟანრის თავისებურებებზე - ნებისმიერ პუბლიცისტურ ნაწარმოებს ხომ საფუძვლად ახალი ამბავი უდევს.

ამკარად ძნელია ამ მსჯელობაში მეცნიერული ლოგიკის დანახვა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ამბავი საფუძვლად არ უდევს ნებისმიერი ჟანრის პუბლიცისტურ ნაწარმოებს (მაგალითად, სტატიას ან ნარკვევს); თუნდაც ასე იყოს, ამ არგუმენტით სახელდების დაწუნება ალოგიკურია. ჟანრი, რომელსაც ინფორმაციულ შენიშვნას ვუწოდებთ, სწორედ ახალ ამბავს ეფუძნება. საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფაქტი /მოვლენა, ახალი ამბავი განსაზღვრავს მის ფორმასაც და შინაარსსაც. რაც შეეხება ტერმინს, ის ვერასოდეს იქნება ყოვლისმომცველი. მან მთავარსა და არსებითზე უნდა მიგვანიშნოს. განა სახელდება რეპორტაჟი ბევრ რასმე გვეუბნება კონკრეტული ჟანრის თავისებურებებზე?

აღარაფერს ვიტყვით ტერმინზე ფელეტონი, რომელიც ფურცელს ნიშნავს და, როგორც ტერმინი, საერთოდ არაფრისმთქმელია.

და მაინც, ინფორმაციულ შენიშვნას, როგორც სახელდებას, უმთავრესად, რეალობის გათვალისწინებით ვიწუნებთ: მსოფლიოში, ალბათ, ერთ ჟურნალისტსაც არ დასცდება, ინფორმაციული შენიშვნა მაქვს დასაწერიო, ყველა ნიუსს იტყვის. დაწუნების საფუძვლიანობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მაშინ, როცა ჟანრის ქვესახეების გამოყოფას ვცდილობთ: ქრონიკა, მოკლე ინფორმაციული შენიშვნა, გაფართოებული ინფორმაციული შენიშვნა - ამგვარი დაყოფა დღეს უკვე ნამდვილ ანაქრონიზმად მოჩანს.

ნიუსი - სხარტია, მოქნილი, წარმოსათქმელად ადვილი, რაც მთავარია, არსის გამომხატველი და უკვე დამკვიდრებულიც. რატომ უნდა ვთქვათ უარი ასეთ სახელდებაზე?! ეს გაუგებარი ჩანს იმ ფონზე, როცა მსოფლიო მედიალოგია უპირატესობას სწორედ ამ ცნებას ანიჭებს: რაც შეეხება ამერიკულ ჟურნალისტიკაში გავრცელებულ ინფორმაციულ ჟანრებს, ისინი ორი ცნებით ამოიწურება: „მძიმე ახალი ამბები“ (Hard News) და „მსუბუქი ახალი ამბები“ (Soft News), რომლებიც ინტერვიუს, ანგარიშის, რეპორტაჟისა და ჩვენთვის ცნობილი სხვა ჟანრების ელემენტებს მოიცავს (3, 233).

კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორმა მელვინ მენჩერმა თავის წიგნს, როგორც მისი მთარგმნელები გვარწმუნებენ, ქართულ ენაზე დღემდე არსებულ ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოებს შორის ყველაზე სრულყოფილს, ასე უწოდა: ახალი ამბების გაშუქება და წერა (სხვათა შორის, პირველად იყო წერა და შემდეგ, საუკუნეების შემდეგ, გაშუქება).

ამ ყველაზე სრულყოფილ წიგნში ამბის ერთ-ერთ კომპონენტად გამოყოფილია სიცხადე. არგუმენტად მოხმობილია სტენდალის ფრაზა ბალზაკისათვის მიწერილი: ვალიარებ ერთადერთ წესს: გასაგებად წერას. იქვე ვკითხულობთ: „ნიუს -იორკერის“ რედაქტორი ჰაროლდ როსი ხშირად ეკითხებოდა ხოლმე თავის ავტორებს, როდესაც მათ ტექსტს წაიკითხავდა: ერთი გამაგებინე, რა ჯანდაბას გულისხმობ?“ (5, 48).

ზუსტად იგივე კითხვა გაგიჩნდება, როცა ყველაზე სრულყოფილ სახელმძღვანელოში ახალი ამბების ორ ასეთ განმარტებას წააწყდები:

. ახალი ამბავი არის ისეთი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს მოვლენათა ნორმალური მდინარების წყვეტას; როდესაც ხდება რამე მოულოდნელი; როცა საქმე გვაქვს ნორმიდან გადახრასთან.

. ახალი ამბავი არის ისეთი ინფორმაცია, რომელიც ადამიანებს შეუძლიათ გამოიყენონ გონივრული ცხოვრებისეული გადაწყვეტილების მისაღებად (5, 56).

ეს ის შემთხვევაა, როცა აზრის ბუნდოვანებას მხოლოდ უხეირო თარგმანს ვერ დააბრალებ.

საინტერესოც კი აღარ არის, რას ეტყოდა ბატონი როსი ბატონ მენჩერს, რადგან უეჭველია, რომ ჩვენთვის უკვე ნაცნობ ფრაზას წამოიძახებდა.

მივუბრუნდეთ ჟანრობრივი კლასიფიკაციის პრობლემას.

თამარ მაღალურაძემ, ზემოთ ნახსენებ წიგნში, პუბლიცისტიკის ჟანრები ასე დაალაგა:

ინფორმაციული - *ინფორმაციული შენიშვნა, ანგარიში, რეპორტაჟი, ინტერვიუ;*

ანალიტიკური - *კორესპონდენცია, სტატია, წერილი, მიმოხილვა, პრესის მიმოხილვა, რეცენზია, ნარკვევი, ფელეტონი.*

მკვლევარი ეყრდნობა და თითქმის სრულად იზიარებს გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ *ნოდარ ტაბიძის* თვალსაზრისს. *პუბლიცისტიკის საკითხების* პირველ წიგნში ინფორმაციული ჟანრები მან ზუსტად ასე წარმოადგინა. სამწუხაროდ, მეორე წიგნის გამოცემა ვერ მოასწრო. საინტერესო კი იყო, გადახედავდა თუ არა იგი ანალიტიკურ ჟანრთა კლასიფიკაციის საკითხს, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით.

ერთი უდავო და ნათელია: პროფესორმა *ნოდარ ტაბიძემ* მკაფიოდ გამოკვეთა ჟანრობრივი კლასიფიკაციის ყველაზე სწორი და მყარი პრინციპი: *მთავარია, დაჯგუფება მოხდეს ერთი კრიტერიუმის საფუძველზე და არსებითი მხარის თუ თვისებების ხაზგასმით. ასეთად ჩვენ ძირითად - ფუნქციურ პრინციპს ვირჩევთ. ერთი სიტყვით, ვითვალისწინებთ დანიშნულებას, მსჯელობა - კვალიფიკაციის მასშტაბურობას, განზოგადების ხარისხსა და გამოსახვის ფორმას* (6, 42).

ფაქტია, რომ გამოჩენილმა მეცნიერმა სახელდება *ინფორმაციული შენიშვნა* არ დათმო, მაგრამ საეჭვოა, რომ დამოუკიდებელ ჟანრებად ცალ - ცალკე გამოეყო *მიმოხილვა* და *პრესის მიმოხილვა*, მით უფრო, რომ ორივე ჟანრს იდენტური ქვესახეები აქვს მიკუთვნებული - *საერთო* და *თემატური*. აქ ლოგიკურად დაიბადება თუნდაც ასეთი კითხვა: გამოსახვის რა ფორმები განასხვავებს *მიმოხილვას* და *პრესის მიმოხილვას*? ასევე ლოგიკური იქნება კითხვა: რატომ არ შეიძლება, *პრესის მიმოხილვა მიმოხილვის* ერთ - ერთი სახე იყოს?

ასევე საეჭვოა, მეცნიერს ცალკე ჟანრად გამოეყო სარედაქციო სტატია (ედიტორიალი, ოპედი, მოსაზრების სვეტი) და არა სტატიის ერთ-ერთ ქვესახედ.

პროფესორი *ნოდარ ტაბიძე* ვერც *ანგარიშს* (როგორც ჟანრს) შეელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ჟანრი თითქმის გამქრალია და მისი ნიშან-თვისებები *რეპორტაჟმა* მიისაკუთრა. მხოლოდ კეთილ სურვილად თუ აღვიქვამთ *თამარ მაღალურაძის* ამ მსჯელობას: *ანგარიშზე, როგორც პუბლიცისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჟანრზე, დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირება. ამიტომ მას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს პრესის ფურცლებზე* (4, 27).

მეცნიერების ვალი ისიცაა, რომ ერთმანეთისგან გამიჯნოს სასურველი და რეალური. *უნდა დაეთმოს* - ეს სურვილია; *არ ეთმობა* - ეს ფაქტი, ანუ რეალობა.

დანიშნულების, ფორმისა და კომპოზიციის მიხედვით, პუბლიცისტიკის ყველაზე გამორჩეული ჟანრი *ინტერვიუა*. აქ, თითქოს, არაფერი უნდა იყოს სადავო და გასარკვევი, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათია. მკვლევართა ერთი ნაწილი მას ინფორმაციულ ჟანრად გამოყოფს, მეორე ნაწილი კი - ანალიტიკურად. კიდევ უფრო კურიოზულია მკვლევართა მესამე ჯგუფის პოზიცია, ხსენებულ ჟანრს ორივე კატეგორიას რომ მიაკუთვნებს. მაგალითად, ცხრა უნივერსიტეტის ცამეტი პროფესორის ავტორობით გამოცემულ უკვე ნახსენებ წიგნში *ინტერვიუ* ორივეგან გვხვდება - ინფორმაციულ ჟანრებშიც და ანალიტიკურშიც.

ამ საკითხში ნამდვილად შეუვალია პროფესორი *ნოდარ ტაბიძე*: *ჟანრებს შორის ჩინური კედელი როდია აღმართული. ურთიერთგავლენა დიდია. ხშირია სესხება - დიფუზია. და მაინც, ეს არ იძლევა უფლებას, რომელიმე ჟანრი „მცოცავ გრაფიკზე“ გადავიყვანოთ - ერთ შემთხვევაში ინფორმაციულ გვარს მივაკუთვნოთ, მეორე შემთხვევაში კი ანალიტიკურს* (7, 96).

პუბლიცისტიკის ჟანრთა თეორიაში კიდევ არაერთი საკითხია სადავო და ბუნდოვანი.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს შევხებით.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი მრწამსიც მტკიცე და ურყევეა: არ შეიძლება, ჟურნალისტიკის შესახებ თეორიულ ნაშრომებში სულ სხვა სურათი იყოს, ვიდრე ჟურნალისტურ პრაქტიკაში. ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი თეორიისა და რეალობის მაქსიმალურ დაახლოებას უნდა ემსახურებოდეს...

ლიტერატურა:

1. Словарь иностранных слов, М., 1989;
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1999;
3. ავტორთა ჯგუფი (იდეის ავტორები - მ. ვეკუა, ჟ. რუე), ჟურნალისტიკა, თბ., 2013;
4. თ. მაღალურაძე, თანამედროვე პუბლიცისტიკის ჟანრების თავისებურებანი, თბ., 2009;
5. მეღვინ მენჩერი, ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბ., 2013
6. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, თბ., 2011;
7. ჟურნალისტური მიებანი, III, თბ., 2002.

Ioseb Chumburidze
Gori State Teaching University
THE GENRES OF PUBLICISM: THEORY AND REALITY
RESUME

Disordering of sharp boundaries between the genres has already become common in modern journalism. This tendency causes lots of misunderstandings in media including in terms of their genre classification.

The goal of the present study is to eliminate this confusion and clarify the issue.

The author defines the critical pathos of his strong position according to which the true scientific sense must serve to the maximum approximation of theory and reality. There must not be a radical difference between the practice and theory of journalism.

ფილოლოგია
Philology

ნანა არახამია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურულ-ფილოსოფიური მემკვიდრეობა და ფოლკლორულ მასალათა ფორმირება
ვაჟა-ფშაველას კონცეფციით

ქართულ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ მისცა გარკვეული საფუძველი მკვლევრებს ემსჯელათ: ადამიანის შესაძლებლობათა, ცოდვა-მადლის, სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების, სილამაზისა და სიმახინჯის, წუთისოფლისა და სიკვდილ-სიცოცხლის ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოემა „გველისმჭამელი“ ყველაზე მძაფრად გამოვლინდა ამ უკვდავი კლასიკოსის შემოქმედების ეს ძირითადი ასპექტები და მსოფლმხედველობა.

ვაჟა-ფშაველა ის მწერალია, რომელმაც ქართული ლიტერატურა ყველაზე მეტად დაახლოვა და დაუკავშირა ფილოსოფიას. აქ უპირველესად მხედველობაში გვაქვს პოემა „გველისმჭამელი“, რომელიც სამეცნიერო სივრცეში თითქმის ერთხმადაა აღიარებული ფილოსოფიური ხასიათის, მარადიული ღირებულებების მქონე პოემად. სწორედ, რომ პოემა „გველისმჭამელი“ შეიქმნა საბაზი ძველი და ახალი დროის მკვლევრებისთვის, ემსჯელათ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მიმართების შესახებ ინდივიდუალისტურ-ფილოსოფიურ თეორიებთან. საიდან იღებს მგოსანი მასალას ტიპთა მისაღებად? როგორია მისი დამოკიდებულება მის მიერვე შექმნილი სახეებისადმი? რაში მდგომარეობს მისი ფენომენი? მაინც რა შეიძლებაოდა გამხდარიყო ვაჟასთვის შემოქმედებითი იმულის საგანი, როცა იწერებოდა პოემა „გველისმჭამელი? ლეგენდა?, გამოგონილი ამბავი?, თუ რელიგიებში, მითოლოგიასა და ზღაპრებში, ასევე ფილოსოფოს მოაზროვნეთა მზერაში არეკლილი ხატ- სიმბოლოები? ამ საკითხებზე მსჯელობით განისაზღვრება ჩვენი კვლევის არეალიც ნაშრომში.

კ. კაპანელის აზრით, „გველისმჭამელი“ ფილოსოფიური პოემაა ტანჯვისა, შემეცნებისა, სიყვარულის ტრაგედიისა” [1].

ვ. კოტეტიშვილი წერს: „მინდია შემოქმედი იყო პირდაპირ უპოვარი, ვიდრე ინდივიდუალიზმის მწვერვალზე იდგა, სადაც ადამიანი მსოფლიოს ურთედება, როგორც სიცოცხლის ერთი ნაწილი” [2].

ს. დანელიას თვალთახედვით, „ვაჟა აყენებს საკითხს სად არის ინდივიდუალიზმის ბოლო. ვაჟას აზრით, ბოლო ინდივიდუალიზმისა არის პიროვნების გამოსვლა ადამიანობიდან ასეთი ადამიანობიდან გამოსვლის მხატვრულ დახასიათებას გვაძლევს თავის პოემაში „გველისმჭამელი” [3].

დ. წოწკოლაური ფიქრობს, რომ პოემა „გველისმჭამელში“ ვაჟამ წინა პლანზე წამოსწია „პიროვნების თვითშემეცნების ღრმა ფილოსოფიურ- ფსქოლოგიური პრობლემები“ [4].

გ. რობაქიძე ვაჟას „გამოუცნობ“ პოეტს უწოდებს, ხოლო მისი შემოქმედებითი ცნობიერება შესაძლოა განისაზღვროს, როგორც მითოლოგიური“ [5].

განსხვავებულად უდგება საკითხს ს. დანელია ნაშრომში „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“. ავტორი ვაჟას მსოფლმხედველობაზე საუბრობს და წერს: „ვაჟას დამოკიდებულება კულტურასთან ემსგავსება ჰერაკლიტეს, ძენონ სტოელის, ჟან-ჟაკ რუსოს, ლევ ტოლსტოის დამოკიდებულებას. იმ ლევ ტოლსტოისა, რომელიც მერუჟოვსკის საყურადღებო დაკვირვებით წარმართია ახალი დროისა. მკვლევრის აზრით, ვაჟა გვერდით უდგას გეტეს, შოპენჰაუერს, ნიცშეს, ტოლსტოს [6].

ი. ევგენიძე ერთ-ერთ თავის კვლევაში „ვაჟა-ფშაველას მრწამსის საკითხი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში“ განიხილავს ს. დანელიას ზემოთ მოტანილ შეხედულებას და წერს: „ს. დანელია შეეცადა მოექცია ვაჟა ახალი დროის დიდ „წარმართთა“ გვერდით“ [7]. ამ შემთხვევაში იგი იზიარებს და მთლიანად ეყრდნობა გ. კიკნაძის თვალსაზრისს, რომელმაც სხვა მკვლევართაგან განსხვავებით მართებულად გაიგო ს. დანელიას მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება. გრ. კიკნაძე წერს: „ს. დანელიას ზემოთ დასახელებულ შეხედულებებში..... ლაპარაკია არა ვაჟას აზროვნებაზე, არამედ ვაჟას შემოქმედებაზე ე.ი. ვაჟას შემოქმედების მხატვრულ პროდუქციაზე... და ეს მოსაზრება ვაჟას პირველყოფილ ადამიანობას კი არ ნიშნავს... არამედ გენიალურ უნარს, რომლის მეოხებით, ვაჟას ძალუმს თავის შემოქმედებაში ისეთი მხატვრული სტილის გამჟღავნება, რომლის შესატყვისად გამოიხატებოდა პირველყოფილი ადამიანების განცდები.“ [8].

თავის მხრივ, ი. ევგენიძე ფართოდ და მეტად საინტერესოდ მსჯელობს ვაჟა ფშაველას მიმართების შესახებ ფ. ნიცშეს ეთიკურ კონცეფციასთან პოემა „გველისმჭამელზე“ დაყრდნობით [9].

კ. გამსახურდია თვლიდა, რომ „ვაჟა თავისი გაგებით გოეთეს მსოფლმხედველობას უახლოვდება“ [10].

თვალსაზრისი გოეთესა და ვაჟას სახელების დაწყვილებისა მსოფლმხედველობრივ-მხატვრულ კონტექსტში უფრო ადრე გ. რობაქიძესთან გვხვდება [11]. მომდევნო თაობის ლიტერატურათმცოდნეებმა (ა. გაწერელია, გ. ასათიანი, ლ. თეთრუაშვილი) და სხვებმა აღნიშნული თვალსაზრისები გაიზიარეს და ფაქტების სიუხვით გაამდიდრეს.

დიდი კლასიკოსის მრწამსისა და მსოფლმხედველობის ირგვლივ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დახვავებული კვლევები დასტურია ფაქტისა, რომ ქართულ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველამ, როგორც ხელოვანმა ურთულეს ლიტერატურულ- ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობის პრეცედენტი შექმნა. გვახსენდება ერთი ცნობილი ფრაზა „ენა მაშინ აღწევს თვისი განვითარების მწვერვალს, როცა ის ფილოსოფიის შემოქმედებას იწყებსო“ (ფილოსოფოსობსო). ქართულ სინამდვილეში ეს მისია სწორედ, რომ ვაჟა-ფშაველამ იკისრა და ქართული ჰუმანიტარული აზროვნების განვითარებას გარკვეული სიღრმე და განი მისცა. ღრმა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობას გარკვეული ტრადიცია შეუქმნა. ასეთი მასშტაბის პოეტებს შეუძლიათ შექმნან პოემა „გველისმჭამელის“ სადარი მსოფლიო მნიშვნელობის შედეგები.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ხშირად ვხვდებით მოსაზრებებს ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევლისა“ და ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ სიახლოვის შესახებ. პირველმა ა. გვენცაძემ აღნიშნა, რომ „ვაჟას თავისი დიდი წინაპარი ჰყავდა ილია ჭავჭავაძის „განდევლის“ სახით. განდევლის რწმენა სრულიად შეუსაბამო იყო საზოგადოებრივი პროგრესისათვის ადამიანთა საარსებო ძალ-ღონისათვის. ამიტომ მართებულად მოიქცა მწერალი, როცა ცხოვრების მიერ მიგზავნილ მწყემს ქალთან შეხვედრისას მწირი სასტიკად დაამარცხა. ღვთაებრივი ძალით აღჭურვილი მინდიას რწმენაც ამ მიზეზით იქნა ძლეული, იგი არ შეესაბამებოდა საზოგადოების არსებობისა და განვითარების კანონზომიერებას [12].

ამავე საკითხზე გამოთქმულია მოსაზრება კ. მემველიას მიერ. მისი თვალთახედვით, ორივე პოემა „ღრმა ფილოსოფიური შინაარსისაა და ორივე თხზულებაში ერთნაირად დგას საკითხი მისტიკურ და რეალურ სამყაროს იდეათა შეჯახებისა [13].

საგულისხმოა ვ. გოგუაძის დაკვირვებები ამ პოემათა სიახლოვის შესახებ. ავტორი თავისი ვრცელი ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „ღვთაებრივი სიწმინდისაკენ ლტოლვა წარმოშობს ასკეტიზმს, რისთვისაც აუცილებელია ყოველგვარი საამქვეყნო ღვაწლისგან განდგომა. მაგრამ დიდი ხელოვანის მიერ ეს პრობლემა გაშუქებულია მისი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ჭეშმარიტად ევროპელი მწერლის დონით. ვაჟასთან, ციურ ფიქრთა შინაგანი ენერგიით ამოაფრქვია ცნობის ჟინმა ევროპული ლიტერატურის, ხელოვნების, უღრმეს, უმდიდრეს პრობლემასთან, რაც სიბრძნის წყაროსთან ფაუსტურ გარიგებაში გამოიხატებოდა. „გველისმჭამელში,“ რომელიც დემონურ-ასკეტურის პრობლემას აშუქებს, ავტორი ბრწყინვალედ გვიხატავს, რომ არა მხოლოდ ღვთაებრივი სიწმინდისაკენ ლტოლვა წარმოშობს

ასკეტიზმს, არამედ, „სიბრძნის წვდომა, სამყაროს იდუმალების გონებით წვდომაც თავისებურ ნაცვალგებას ითხოვს.“ 14.

ვაჟას „გველისმჭამელისა“ და ილიას „განდეგილს“ შორის არსებულ პარალელთა გამო თავისი შეხედულებები გამოთქვა მ. შენგელიამ. იგი პოემა გველისმჭამელის ვრცლად მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ ამ პოემებს გაცილებით უფრო მეტი რამ აქვთ საერთო ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ილიას განდეგილის და ვაჟას გველისმჭამელის დამარცხების მიზეზი მათი პირადი ინტერესებია, რომელსაც ვერ აღუდგენენ წინ თხზულების გმირნი „პირველმა ვერ შეძლო უარყო ცხოვრება, მეორემ კი ვერ მოახერხა მთლიანად საზოგადოების კუთვნილება ყოფილიყო - სწორედ შუალედია მათი გზა. მათთვის საზოგადოებაც აუცილებელია და არც მარადიულობა უნდა დაკარგოს ერთმა, მეორეს კი, „ქვეყნის ბედნიერება“ ვერ დაუთმია და კვლავაც იმ დონეზე რჩებიან „უმთავრესთა ბრიყვთა და უზრუნველთა ხვედრად, რომ მიაჩნია ვაჟას“ [15].

ვფიქრობთ, რომ ზემოთ განხილული შრომები იყო ერთგვარი ბიძგი მ. შენგელიასათვის, რომ უფრო ფართოდ გაეშალა მსჯელობა „გველისმჭამელისა“ და „განდეგილის“ მსგავსების შესახებ .

მსგავსება განდეგილსა და მინდიას შორის ნ. გრიგალაშვილის მოსაზრებითაც იმაში მდგომარეობს, რომ ორივენი ღვთის რჩეულნი არიან. განდეგილი ასკეტური ცხოვრებით აღწევს იმას, რომ იმ მყინვარებში სახლობს, სადაც „აჩრდილის“ მიხედვით საქართველოს ბედის თანამდევნი ერის უკვდავი სულია დამკვიდრებული, ხოლო მინდია აქციდენციის წყალობით აღწევს ამას. ღვთის რჩეულთ უწყვეტ რჩეულთა გზის განვლა, მაგრამ ისინი მარცხდებიან, რადგან მათ უპირისპირდება არა ბოროტი, არამედ ჩვეულებრივი ამქვეყნიური ყოფა, მრავალთათვის სავალდებულო გზა [16].

ჩვენის ფიქრით, მკვლევართა მსჯელობა ამ ორი პერსონაჟის სიახლოვის შესახებ სრულიად სამართლიანია, რადგან სახელოვანი კლასიკოსები ცდილობენ ადამიანის ფსიქიკური საფუძვლების გადმოშლას, ორივე პოემაში შინაგანი დინამიკის საფუძვლად პერსონაჟთა ხასიათისა და განცდების წინააღმდეგობრივი ბუნებაა წარმოჩენილი, ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა-ფშაველამ სუბიექტურ და ობიექტურ საწყისებად პიროვნების გაორებული „მე“ წარმოაჩინეს. პოემებს აახლოებს ის ფაქტიც, რომ ავტორებმა პიროვნების გრძნობისა და გონების ჰარმონიის ფუნდამენტალური მნიშვნელობა გამოკვეთეს. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული ილიას პოემა „განდეგილი“ ყოფილიყო ერთ-ერთი მუხტი მწერლის შემოქმედებითი იმპულსისათვის „გველისმჭამელის“ შესაქმნელად. თუ გავითვალისწინებთ თვით ვაჟა ფშაველას სიტყვებს: „უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმცა არავითარი მსგავსება არ არსებობს და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს, „მოხუცის ნათქვამსა“ და თ. ილია ჭავჭავაძის, „დიმიტრი თავდადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს“ ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმას“ [17].

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა თვითონვე აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებები, ქცეულა მისთვის შემოქმედებით მომენტებში მასტიმულირებელ მასალად. ლიტერატურული ინტერესებით ვაჟას შემოქმედებით პროცესთან ახლოს მდგომი ფილოსოფიური ხასიათის პოემა „განდეგილი“, 1883 წელს დაიბეჭდა რატომაც გამორიცხული მივიჩნით იმ ლიტერატურულ ნაწარმოებად, რომელმაც გარკვეული შემოქმედებითი მუხტი მისცა ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ შესაქმნელად?!

გრ. რობაქიძე მიიჩნევდა, რომ ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“ შესაძლებელია ლიტერატურულად დავაწყვილოთ ნორვეგიელი დრამატურგის ჰენრიკ იბსენის დრამასთან „პერ გიუნტი“. მწერლის აზრით, ფშაველის მთებში შობილ მინდიას საკმაოდ ბევრი საერთო აქვს ნორვეგიის ფიორდებში დაბადებულ პერ-გიუნტთან. აი რა პარალელს გვთავაზობს დიდი კლასიკოსი: გუნტის მხატვრულ სახეში, პირველ ყოვლისა, მოცემულია ადამიანი, ვის არსებაშიც ორი ძალა იბრძვის დასაბამიდან: ბუნებრივი და ზებუნებრივი. იგი ტროლების სამეფოში კარგავს თავის მეობას, რჩება საკუთარი თავის გარეშე და რა მიიღტვის იმისკენ, რადაც შექმნა უზენაესმა, პოულობს კიდევ საკუთარ თავს. ამ ძალთა ორთაბრძოლაა მთელი დრამა, სადაც მტანჯველი პროცესია ასახული პიროვნების ჩამოყალიბება-ხორცშესხმისა. სიყვარულის გრძნობა ეხმარება მას იპოვოს საკუთარი თავი. მაგრამ ვაი, რომ ეს ყოველივე გუნტს სიცოცხლის ფასად უჯდება. იგემებს რა თვითდამკვიდრების ბედნიერებას, კვდება კიდევ.

მსგავსებასთან ერთად გრ. რობაქიძე საუბრობს პოემათა განსხვავებულ დრამაზე. გუნტმა სოლვეიგისადმი ტრფიალში იპოვა თავისი თავი, მინდიამ სამყაროს მიმართ სიყვარულში ჰპოვა თავისი „მე“. გუნტი მოკვდება თვითგასრულების მომენტში. მინდია ისწრაფვის, იპოვოს თვითგასრულება სამყაროულ მთლიანობაში. „იქ, სადაც გუნტის დრამა თავდება, იწყება მინდიასი და, ამ აზრით, პოემა „გველისმჭამელი“ თითქოსდა გაგრძელებას წარმოადგენს პოემა „პერ გიუნტისა“ [18].

სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია დიდი მწერლის გრ. რობაქიძის თვალსაზრისი ჰენრიკ იბსენის დრამა „პერ გიუნტის“ და ვაჟა ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ სიახლოვის შესახებ. მით უფრო, რომ პოემა „პერ გიუნტი“ ქრონოლოგიურად ბევრად უსწრებს წინ პოემა „გველისმჭამელს“ 1867 წელსაა

შექმნილი. ლიტერატურული ინტერესებით ვაჟასთან ახლოს მდგომ ჰენრიკ იბსენის დრამას „პერ გიუნტი“ სავსებით შესაძლებელია იცნობდა დიდი კლასიკოსი. მიუხედავად პოემათა განსხვავებული სიუჟეტური ხაზისა ამ თხზულებებს აერთიანებს ფილოსოფიურ-სიმბოლიური თემატიკა. იბსენი თავის ნაწარმოებებში ცდილობდა ადამიანის მაქსიმალურ ემანსიპაციას. ადამიანის შესაძლებლობათა საკითხი გახლდათ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა, და ამ საკითხის გარკვევას ცდილობს პოეტი პოემა „გველისმჭამელში“. ამდენად, სრულიად დასაშვებია „პერ გიუნტისა“ და პოემა გველისმჭამელის ლიტერატურული დაწყვილება.

ჩვენის აზრით, მინდია ბევრად უფრო კეთილშობილ პერსონაჟად წარმოგვიდგება, ვიდრე პერ გიუნტი. თუმცა თავისი ხალხისადმი თავისებური სიყვარული პერ გიუნტსაც გააჩნია. იგი უდაბნოს იდეალურ ქვეყანად გიუნტიანად აქცევს, მასში დასახლებს ნორვეგიელებს და ხელს შეუწყობს, რომ მეცნიერება და ხელოვნება განავითარონ. განსხვავებით მინდიასაგან, რომელიც ყოვლისმცოდნეობით ხასიათდება პერ გიუნტს მხოლოდ შეიცნობენ წინასწარმეტყველად ოაზისში არაბები. პერი ახსოვთ როგორც პოეტი, რომელსაც საკუთარი გამოგონილი ზღაპრული რეალობის სჯეროდა. რა იყო ყველაზე დიდი დანაშაული პერ გიუნტისა? ტრაგიკულია დრამის ფინალი, სადაც ამ კითხვაზე ცდლობს პასუხის გაცემას ავტორი პერ გიუნტმა ვერ შეასრულა დედამიწაზე თავისი დანიშნულება. მხოლოდ მოირგო რამდენიმე სტანდარტული როლი. მისი სული ვერც სამოთხეში, ვერც ჯოჯოხეთში ვერ მოხვდა, პერის სული მხოლოდ გადასადნობად თუ გამოდგება, ამიტომაც დაემებს დიდი ხანია მელილე. სოლვეიგი, რომელიც უკვე დაბერებულია, მაგრამ ბედნიერი, რომ ისევ იპოვა პერი გადაარჩენს მას, მაგრამ გზაგასაყარზე პერს ხომ მელილე ელოდება სულის გადასადნობად... [19].

მინდიას ტრაგედიის მიზეზიც, ხომ „დედამიწაზე თავისი დანიშნულების“ შეუსრულებლობაა. მხოლოდ განსხვავებით პერისგან მას საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ღწვა გაუხდია ცხოვრების მიზნად. ინტუიციური უნარის დაკარგვის შემდეგ მინდიას მთავარი სადარდებელი ისაა, რომ აღარ ძალუმს სხვებისთვის სარგებლის მოტანა.

„ველარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მომრიგებელს ჯარშია,
მიტომ, რომ წინანდებურად
ცნება აღარ მაქვს თავშია“

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია მრავალგვარი, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები პოემა „გველისმჭამელის“ ფოლკლორულ წყაროთა შესახებ. მათ შორის საყრდენ თვალსაზრისებად შეიძლება მივიჩნიოთ გ. თევდორაძის [20], მ. ჩიქოვანის [21], ა. გაჩეჩილაძის [22], დ. წოწკოლაურის თვალსაზრისები, რომლებზედაც დაყრდნობით ვითარდება აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სამეცნიერო სივრცეში.

„გველისმჭამელის“ წყაროსა და შემოქმედებითი ისტორიის თაობაზე ვაჟა ფშაველამ ორჯერ გამოთქვა აზრი. 1911 წელს მწერალმა პირველად დაახასიათა საკუთარი პოემის წყარო, ხოლო მეორედ 1914 წელს პასუხი გასცა კრიტიკოს იპ. ვართაგავას მცდარ მოსაზრებებს ხალხურ წყაროებთან ვაჟა ფშაველას დამოკიდებულების შესახებ. პოეტი არ დაეთანხმა „სტუმარ-მასპინძლისა“ და „გველისმჭამელის“ ხალხურ წყაროებთან მიმართების თაობაზე კრიტიკოსის მიერ გამოთქმულ აზრს. მან გამოყენებული ხალხური მასალა წარუდგინა საზოგადოებას. ლიტერატურის კრიტიკოსებს და გარე სინამდვილესთან, წყაროებთან, პოეტური მიმართების ბუნებაც დაუხასიათა [23].

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ თქმულის მერე საკითხის ასე დაყენება თუ რომელ მასალას ეყრდნობოდა მწერალი? ან როგორი იყო მისი შემოქმედებითი პოზიცია ხალხური წყაროს მიმართ? რომელი ლეგენდა თუ ხალხში გაგონილი ამბავი უდევს საფუძვლად „გველისმჭამელს“? ჩვენც არასწორად მიგვაჩნია. დ. წოწკოლაურმა საკმაოდ შრომატევადი საქმე გასწია ამ კუთხით. მან მკვლევართა მიერ დასახელებული თქმულებები შეადარა „გველისმჭამელს“ და დაასკვნა, რომ „თქმულების არც ერთი ვარიანტის ცნობით, არ კარგავს მინდია სიბრძნეს. მთქმელისთვის კითხვის დაყენებაც ვაჟას პოემის სიუჟეტით არის განპირობებული. როცა ეს გადმოცემები ჩაიწერა პოემა „გველისმჭამელის“ შინაარსი მთელმა ქვეყანამ იცოდა“ [24]. სრულიად სამართლიანად და მისაღებად მიგვაჩნია პროფესორის ის თვალსაზრისიც, რომ „ვაჟა-ფშაველამ ხალხური შემოქმედების ნიმუშების ჩამწერტ შორის პირველმა მოახდინა ფიქსაცია „გველისმჭამელის“ შესახებ არსებული გადმოცემისა. მან ეს გადმოცემა სალიტერატურო კრიტიკას 1914 წელს გააცნო და აღნიშნა, რომ ამ მასალას იყენებდა პოემის წერის დროს ე.ი. 1901 წელს. მამასადამე, მწერალმა ჯერ კიდევ 1901 წლამდე მოპოვებული მასალა წარუდგინა მკითხველს. ეს მასალა ერთადერთი ძველი ნიმუშია და თანაც ხალხური სიტყვიერების საერთო ბუნების დიდი მცოდნისგან შემონახული. თხზულების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლისას, უწინარეს ყოვლისა, მწერლის მიერ მოწოდებული ხალხური წყარო უნდა იქცეს დაკვირვების საგნად. ამასთანავე,

შემოქმედებითი მიმართების რაობის დახასიათებისას უნდა დავემყაროთ მწერლისეულ თვითგანმარტებას” [25].

ამდენად, ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის” ერთადერთ სანდო წყაროდ შეიძლება დავასახელოთ თვითონ პოეტის მიერ გამოთქმული არაკი. მკვლევართა ცდები მიუხედავად ავტორის გაცხადებისა, მაინც დაადგინონ პოემა „გველისმჭამელის“ ხალხური წყარო ცარიელ განცხადებად რჩება.

ჩვენ ვცადეთ წარმოგვეჩინა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული ძირითადი მოსაზრებები ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის” ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა შესახებ, რომელთანაც უშუალოდ გადაჯაჭვულია მგოსნის მსოფლმხედველობის და მრწამსის საკითხები. რა შეიძლება ითქვას ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა და ამგვარი პარალელების დაძებნის წყურვილით სავსე მკვლევართა მიმართ? რამდენად მართებულია და დამარწმუნებელი მათი ძიებები? რამდენად საჭიროა მსგავსი ოპერაციების ჩატარება? მკვლევართა გადამეტებული სურვილი - დაიძებნოს უხვი მაგალითები, რომ ერთი მწერალი ზამავს მეორეს, უშუალოდ იღებს მასალას მეორისაგან, ან როცა თავისუფალ ასოციაციებზეა მსჯელობა აგებული, თურმე ილიასთან ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობს ბერი და ასკეტურია თავისი ბუნებით მაგ., „გველისმჭამელის” პერსონაჟის ცხოვრებაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს გავლენის ფორმათა რეალური საფუძვლის პოვნას. ასეთი მომენტებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ პოემა „განდეგილი” იქნება ეს თუ სხვა თხზულებები, რომლებიც ავლენენ ლიტერატურულ ნათესაობას პოემა „გველისმჭამელთან” მხოლოდ პოეტური იმპულსის, ბიძგის მიმცემია ვაჟა-ფშაველასთვის პოემა „გველისმჭამელის” შექმნის პროცესში. ვაჟას უსაზღვროდ ფართო შემოქმედებითა ინტერესებმა მისცა გარკვეული საფუძველი მკვლევრებს ემსჯელათ „ვაჟას ჰომეროსისებურ მხატვრულ ხედვაზე, მის პერსონაჟთა შექსპირისეულ ვნებებზე, ნიცშეანურ ინდივიდუალიზმზე ...და რელიგიური უნივერსალიზმის ინტელექტისა და ინტუიციის პრობლემებზე, გოეთესებურ ფაუსტურ ძიებებსა და მითოსური ხილვის არსზე” [26].

სრულიად მისაღებია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული თვალსაზრისები, რომ დიდ მგოსანზე შემოქმედებითი ღწვის მომენტებში ზემოთ ჩამოთვლილ უკვდავ მოაზროვნეთა თვალსაზრისები გარკვეულ გავლენას ახდენდა. ამგვარი მსგავსება-მაუწყებელი ფაქტების ბუნება ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული დიდ ინგლისელ პოეტს პერსი ბიში შელის როცა წერდა: საერთოდ დიდი მწერლებიო „ეპოქის დიად შემთხვევათა წყალობით ... იღებენ აზრებს და გრძნობებს ახალი ახალი წყაროებიდან, ამიტომაცაა მსგავსი სახეები და გამოხატვის საშუალებანი მათ ხედვაში. ერთი ეპოქის საუკეთესო ზოგიერთი აუცილებლად გვანან ურთიერთს, რადგან დროის სულია არეკლილი ყოველ მათგანში” 27.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის” წყაროთა და პარალელთა მიმართაც უნდა მოვიმარჯვოთ. იგი საკუთრივ ვაჟას მხატვრულ ნატურაზეც ვრცელდება. ალბათ, დიდი მგოსნის ამ საოცრად ფართო შემოქმედებითა ინტერესებმა, რომელიც ისრუტავდა კაცობრიობის გრძნობა-გონების საუკეთესო მონაპოვარს, მისცა საფუძველი ძველი და ახალი დროის ავტორებს აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები.

ლიტერატურა:

1. კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიურ სახეებში, თბ., 1926, გვ. 238.
2. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, (19 საუკუნე), თბ., 1959, გვ. 609.
3. ს. დანელია, ინდივიდუალიზმის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, www.spekali.tsu.ge
4. დ. წოწკოლაური, ვაჟა-ფშაველა (თორიულ-ლიტერატურული ნააზრევი), თბ., 2008, გვ. 329.
5. გ. რობაქიძე, ვაჟა-ფშაველა, litklubi.ge.
6. ს. დანელია, ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი ტფ, 1927, გვ.23.
7. ი. ევგენიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., ტ. №3, 2009, გვ. 298.
8. გ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957, გვ. 204-205.
9. ი. ევგენიძე, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1989, გვ 385-403.
10. კ. გამსახურდია, ვაჟა-ფშაველა, რჩეული თხზულებები, ტ. 6, თბ., გვ. 320.
11. გ. რობაქიძე, „ენგადი”, ჟ., „მნათობი”, 1987, №8, გვ. 62, გადმოთქმულია ჟურნ. „ბედი ქართლისა”. №10-11.
12. ა. გვენცაძე, „გველისმჭამელი”, თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, №3, 1959, გვ. 521.
13. კ. მეძველია, „განდეგილი” და „გველისმჭამელი”, წიგნში, კ. მეძველია, ლიტერატურული ნარკვევები, 1967, გვ. 205-209.
14. ვ. გოგუაძე, „განდეგილობის იდეა ქართულ პოეზიაში, წიგნში ვ. გოგუაძე, ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, 1980, გვ. 157.

15. მ. შენგელია, უცნაური პოემა, ჟურნ. „ცისკარი“, 1982, №5, გვ. 124.
16. ნ. გრიგალაშვილი, გზა ხსნისა, ჟურნ. „ცისკარი“, 1984, №3, გვ. 160.
17. ვაჟა-ფშაველა, „pro domo sua“ თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 9, 1964, გვ. 180.
18. გ. რობაკიძე: „ვაჟა-ფშაველა“ www.google.ge
19. ჰენრიკ იბსენი, პერ გიუნტი, can.ge
20. გ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ ხევსურეთში, თბ., 1939, წიგნი 2, გვ. 97-102.
21. მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, 1956, გვ. 70.
22. ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ და პოემა „გველისმჭამელი“, თბ., 1959, გვ. 27.
23. ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ. ი. ვართაგავასი“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 9, თბ., 1964, გვ. 364.
24. დ. წოწკოლაური, ვაჟა-ფშაველა (თეორიულ ლიტერატურული ნააზრევი), თბ, 2008, გვ. 332.
25. იქვე, გვ. 348.
26. ი. ევგენიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ, 2003, გვ. 371.
27. Шелли, Письма, статьи, фрагменты, М., 1972, стр. 185.

Nana Arakhamia

Sokhumi State University

**LITERARY AND PHILOSOPHICAL HERITAGE AND VAZHA PSHAVELA CONCEPT
FORMATION OF FOLKLORE MATERIALS
RESUME**

The article highlights existed in Georgian literary criticism key considerations and beliefs of Vazha Pshavela ideology in poem “The Snake-Eater”. Taking in philosophical nature, eternal values is an evergreen classic author’s peak of creation, poem vividly demonstrate the main aspects of all mankind problems in Vazha Pshavela creativity: human capacity, sin - grace, beauty and ugliness, extinction, living- dying.

In the work introduced old and new generation researchers views with the poem (K.Kapaneli, V.Kotetishvili, S.Danelia, D.Tsotskolauri, I.Evgenidze, G.Kiknadze, K. Gamsakhurdia, G.Robakidze and others), about Vazha Pshavela addressing to individual philosophical theories. Great classics world view and beliefs of around host of studies give us reason to say that Ilia Chavchavadze’s „The Hermit ” and Vazha Pshavela’s “The Snake-Eater” exact writings, followed with difference opinions and criticism reflexions in Georgian literary studies.

In respect to basic viewpoint of existed Georgian literary studies about pairing of Vazha Pshavela’s “The Snake-Eater” and Ilia Chavchavadze’s „The Hermit" (A. Gventsadze, K. Medzvelia, V. Gogvadze, M.Shengelia, N. Grigalashvili) we fully agree with the views of researchers and think the Ilia Chavchavadze’s „The Hermit" - one of power of creative impulse source of Vazha Pshavela “The Snake-Eater”’s creating process.

The paper also discusses the writer Gr. Robakidze’s ideology about literary nearness with “The Snake-Eater”.

It is quite possible great classicist got acquainted with dramatic poem Henrik Ibsen “Peer Gynt”, moreover, that poem “Peer Gynt” created in 1867 , earlier than “The Snake-Eater” . Perhaps “Peer Gynt” with similar literary value was known to Vazha Pshavela. In the article we bring up poem folkloric sources issues. (G.Tevdoradze, M.chikovani, A. Gachechiladze, D. Tsotskolauri). Express the attitude of the issues and state our points of view. We express the attitude to issues and remark our ideology.

ჭანი, ლაზი, ზანი - ტერმინთა ურთიერთმიმართება და მათი ხმარების ქრონოლოგიური ასპექტები

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში წერდა: „ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამკრით, ჭანეთის მთას იქით არს ჭანეთი და აწ უწოდებენ ლაზსავე... კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა და სარწმუნოებით არიან სრულიად მოჰმატიანნი, გარნა მცირედი ვინმე მოიპოვებიათ ქრისტიანენი, არამედ იციან კვალად ქართული ენა ვიეთთამე“.

წერილობით წყაროებში ჭანეთზე, ჭანებზე ცნობათა სიუხვით გამოირჩევიან ძველბერძნული და ბიზანტიური ძეგლები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია VI საუკუნის ისტორიკოსების: პროკოპი კესარიელის და აგათია მისინელის თხზულებები.

პროკოპი კესარიელი „დე ბელო პერსიკო“-ში („ომი სპარსელებთან“) დაწვრილებით აგვიწერს ჭანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების დონეს, ბიზანტიელთა და ჭანთა ურთიერთობას, ქრისტიანობის გავრცელებას ჭანეთში და სხვა. აგათია მისინელი აღწერს ჭანთა 556 წლის აჯანყებას და მათ ბრძოლას ბიზანტიის ჯართან რიზეს ახლოს.

V საუკუნის მეორე ნახევარში ჭანთა ლაშქრობაზე კაბადოკიასა და სირიაში ცნობა დაუცავს VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალალას. საგულისხმო ცნობებს შეიცავს იმავე საუკუნის მწერლის, სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაც“.

VIII საუკუნის მეორე ნახევრის კონსტანტინეპოლელი მოღვაწის ეპიფანეს „ანდრიას ცხოვრებაში“ ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი, სადაც „ტრაპეზუნტი ლაზიკის ქალაქად“ იხსენიება. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსათვის ახალი სახელწოდების (ლაზიკა) დამკვიდრებისა და ამ მხარის საეკლესიო დაყოფაში განხორციელებულ ცვლილებათა გასათვალისწინებლად ძვირფას ჩვენებებს შეიცავს ბასილი საფონელის (IX ს. „ეკთესისები“) [სიხარულიძე, 1977, 8-9].

ჭანეთზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ებრაული, სომხური, უფრო გვიან ოსმალური წყაროები.

ჭანეთზე საკმაოდ ყურადსაღები მონაცემები მოცემულია ქართულ ორიგინალურ ძეგლებში - აბოს წამებაში, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, „მატიანე ქართლისაში“, ჟამთააღმწერლის თხზულებაში და სხვა.

როგორც ი. სიხარულიძე თავის წიგნში „ჭანეთი“ (ლაზეთი) მიუთითებს, სატომო სახელი „ჭანი“ ბიზანტიურ მწერლობაში ადრე ფეოდალურ ხანაში ჩნდება და გადმოიცემა ასეთი ფორმებით: „ტძანოი“ ან „ტძანოი“. „ტძ“ კომპლექსს ბერძნული უცხო ფონემების („ჭ“, „ჯ“ და სხვა) გადმოსაცემად მიმართავდა ხოლმე.

ბიზანტიელი მწერალი ევსტათი თესალონიკელი (XIII ს.) ამ ეთნონიმს „სანან“-ის „მდაბიურ“ ფორმად თვლიდა. ასეთივედ მიიჩნევდა ის ამ სატომო სახელიდან მომდინარე ქვეყნის სახელსაც - „ჭანიკე“. ამ ჩვენების საფუძველზე „ჭანიკე“ - „სანიკე“-ს იგივეობას ასკვნიდა ს. ჯანაშიაც [ს. ჯანაშია, 1937, 188].

ეს ზანური (კოლხური) ტომი ადრეფეოდალური ხანიდან გამოდის ისტორიულ სარბიელზე და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევს... და თანდათან შავი ზღვის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ჭანეთად აქცევს.

სატომო სახელს „ჭანს“ მოგვიანებით მეტოქედ გაუჩნდა „ლაზი“, რომელიც თანდათან იქამდე გაბატონდა, რომ თვით ჭანებსაც კი დაავიწყდა თავიანთი ძველი სახელი [ი. სიხარულიძე, 1977, 18-19]. აქ ბუნებრივად დგება საკითხი ამ ფორმათა ერთ-ერთ მიმართების შესახებ.

ს. ჯანაშიამ მიუთითა დრო („ლაზიკის სამეფოს დაშლის შემდეგ“), როცა „ტერმინი „ლაზი“ გადადის ჭანებზე“, თუმცა მაშინ დასაბუთება არ მიუცია, რადგან ამ საკითხის სპეციალურ შესწავლას ფიქრობდა.

...IX საუკუნის II ნახევარში ნეოკესარიის სამიტროპოლიტოდან გამოყოფილი ტრაპეზუნტის ეპარქია (ადრე-საეპისკოპოსო, ამიერიდან - სამიტროპოლიტო) იწოდა ლაზიკის სამწყმოსოდ. ამ გარემოებამ დროთა განმავლობაში ის ნაყოფი გამოიღო, რომ ეს სახელწოდება თანდათან გასცდა საეკლესიო უწყების ფარგლებს და ქვეყნის სახელად იქცა.

ქართულ წყაროებში ეს სახელწოდება XIII საუკუნის დამდეგიდან ჩნდება და „ლაზია“ ფორმით იხსენიება. ასევე ვახუშტისთანაც. „ლაზია“ ბერძნული ფორმაა. ადრინდელ ბიზანტიურ ძეგლებში ის იშვიათად გვხვდება (პირველად ეპიფანე კვიპრიელი (314-403) იხსენიებს). ხოლო მოგვიანებით უფრო ხშირდება და ასევე მკვიდრდება ქართულშიც. ქვეყნის სახელი შემდეგ მოსახლეობაზე გავრცელდა და ასე იქცა ძველი „ჭანი“ „ლაზად“. [ი. სიხარულიძე, 1977, 20]

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ჭან“ ტერმინს „სან“-ს უკავშირებენ და მისგან მომდინარედ თვლიან. ეს საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან, როგორც ჩანს, ფორმები ერთმანეთში თავისუფლად ვარიირებენ.

სომეხი მეცნიერის ნ. ადონცის მოსაზრებით, სატომო სახელი „ჭანი“ მიღებულია „ოკუნა“-დან (ხორხისმიერი კ-ს პალატალიზაციის გზით). ქვეყნის სახელი ოკენითი წარმოდგება მისი ცენტრის სოფელ კენას სახელწოდებიდან) [Н. Адонц, 1908, 63].

შემდეგ მკვლევარნი უფრო შორს წავიდნენ და „კენ“ დაუკავშირეს ბიბლიურ „კაენს“, „თუბალ-კაინს“, „კინა“-ს (რკინას) და სხვა ტერმინებსაც.

რაც შეეხება ტერმინ „ლაზ“-ს, მასზე არსებობს თვალსაზრისი, ლაზურ-მეგრული ტომობრივი სახელწოდება - „ლაზი“ სვანური წარმოშობისაა. ამ დებულების ავტორია აკად. ნ. მარი, რომლის აზრით, ტერმინი „ლაზ“ არის ელინიზირებული ფორმა „ზანები“-ს ან იმავე „ჭანებ“-ის ქვეყნის სახელწოდებისა. ის წარმოშობილია ლაპრეფიქსისა და „ზენი“-ს მეოხებით (la-sen-i), მაგრამ იგი წარმოშობით არც ჭანურია და არც მეგრული. ის შეიძლება იყოს ნაშთი იაფეტური შტოს სვანური ჯგუფის რომელიმე ენისა. ლაზიკის ქვეშ ხშირად იგულისხმება სამეგრელო. სამეგრელოს ქვეშ ესმოდათ ლაზიკა [ნ. მარი, 1905, 165-166].

როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობზე სვანებიც ბინადრობდნენ. ამით აიხსნება სვანური ენის ლექსიკური და ტოპონიმიური სუბსტრატი მეგრულში, განსაკუთრებით, მთისწინეთში მცხოვრებთა მეტყველებაში. ასურულ-ურარტული, ანტიკური თუ ბერძნულ-რომაული წყაროებიდან მიახლოებით ირკვევა, რომ ძვ. წელთაღრიცხვის XI-VIII საუკუნეებზე უნდა მოდიოდეს ძველი კოლხური სამეფოს - კოლხას - ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ხანა. კოლხას სამეფოს ეთნიკური შემადგენლობის საკითხი არ არის ნათელი. ეს სამეფო მხოლოდ მეგრულ-ლაზებით კი არ უნდა ყოფილიყო დასახლებული, არამედ ჰენიოხებ-მისიმიანებითაც („მისიმიან“ უნდა იყოს „მუშვანის“, ანუ სვანის, ბერძნულად ადაპტირებული ფორმა). კერძოდ, VIII-VI სს. (ძვ.წ.) რიონის ქვემო წელზე მეტწილად ჰენიოხ-მისიმიანები უნდა სახლებულიყვნენ, ხოლო სამხრეთით, მდინარე ჭოროხის აუზში, საკუთრივ კოლხები (ინგოროყვა, 1954, 119-145; მელიქიშვილი, (1965, 61). როგორც ჩანს, მოგვიანებით კოლხთაგან შევიწროების შედეგად ჰენიოხებმა (სვანებმა) ჩრდილოეთით, კავკასიის კალთებისაკენ, გადაინაცვლეს, რასაც ადასტურებს ლეჩხუმსა და სამეგრელოში შემორჩენილი სვანური წარმოების ტოპონიმები (კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია, 2010, 30).

აკად. ნ. მარის ზემოთ წარმოდგენილი დებულება დაედო საფუძველად აკად. ი. ჯავახიშვილის შემდეგ შეხედულებას: სვანები ეხლაც კი მეგრელებს „ზანარს“ ეძახიან. „არ“ სვანური მრავლობითი რიცხვის ნიშანი და საკვეცი არის. მაშასადამე, წინათ მხოლოდითი რიცხვი უნდა ყოფილიყო „ზან“, ეხლა ამ ფორმას მხოლოდ ქვეყნის მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული, მაგრამ ძველად სიტყვა „ზანი“ უეჭველია მეგრელებს ნიშნავდა. თვით სახელი „ლაზიკა“ „ლაზნიკის“ მაგიერ (სრული ფორმა იქნებოდა ლაზნიკა). სწორედ „ზან“-ის ანუ „ზანიკ“-ისაგან უნდა იყოს ნაწარმოები, მხოლოდ თავში სვანური ქვეყნიერების აღმნიშვნელი თავსართი ლა უზის. მაშასადამე „ლაზიკა“ საზანოს ანუ სამეგრელოს ნიშნავს. თვით ტომობრივი სახელწოდება „ლაზი“ აქედან უნდა იყოს წარმდგარი.

უცხოური წყაროები ლაზ-ჭან-ს ანიჭებენ უპირატესობას. ასე, მაგალითად, ბერძნულ-რომაულსა და სომხურში ჩვეულებრივია მათი გამოყენება. თურქეთის ქართველობაც (ჩვენებურების მეტყველება) ლაზების აღსანიშნავად მხოლოდ „ჭან“ ტერმინს იცნობს. ურარტულ წყაროებში ლაზის შესატყვისად ლომა/ლუმა ტერმინს ვარაუდობენ (გ. მელიქიშვილი). ლას, ლუმა ნიშნავს სხივს, ნათელს, სინათლეს.

ქართული წყაროები ლაზ-ჭან-ის აღსანიშნავად „მეგრელებ“ ტერმინს ხმარობენ, ამიტომ არ ჩანს ძველ ხელნაწერებში სუბეთნიკური სახელები ჭანი (ზანი), ლაზი, ხოლო ტრაპეზუნდი სამეგრელოდ არის მოაზრებული: „მიიწია ტრაპეზუნდად ქალაქსა მას სამეგრელომასას (სარჯველაძე) (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015, 9).

ჩვენ არ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომელიც ამტკიცებს, რომ ლაზი ისტორიულად აღნიშნავდა ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მეგრულ-ლაზს, ხოლო ჭან-ი მიემართებოდა მთაში მცხოვრებთ. მიუხედავად იმისა „არცერთი ლაზი საკუთარ თავს ჭან-ად არ მოიხსენიებს. მაგრამ მისი საცხოვრისიდან მოშორებით, მთაში მცხოვრებს, იმავე ლაზს ზღვისპირელი ლაზი ჭან-ს უწოდებს, ხოლო ის, ვისაც ზღვისპირელი ჭანს ეძახის, მასზე მაღლა სოფელში ლაზს ასევე ჭან სახელით მიმართავს... სახელები ლაზი და ჭანი საუკუნეების მანძილზე ურთიერთმონაცვლეობდა“ (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015, 10).

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ეთნიკური ღირებულება და პოლიტიკური მნიშვნელობა ამ ტერმინებისა (ლაზი, ჭანი, მაკრონი, სანი, ე. ი. ზანი) სხვადასხვა ისტორიულს ეპოქაში, აგრეთვე იმის გარკვევა, საიდან, რომელ ხალხთაგან მიმდინარეობს ეს სახელწოდებები, - ისტორიული ძიების საქმეა. ჩვენთვის მთავარია ის, რომ „ზან“ - ტერმინს აქვს ისტორიული ტრადიცია, რომ „ზან“ - ტერმინი ამჟამადაც რეალურად არსებობს, და რომ ეს რეალური მნიშვნელობაცა და ისტორიული ტრადიციაც მეგრელებისა და ჭანებისაკენ მიგვიბრუნებს.

იმერეთის „საზანო“ და სამეგრელოს „ზანა“ (სოფელიცა და მდინარეც) აგრეთვე „ზან“ - ტერმინის რეალურობას ამტკიცებენ ჩვენთვის საინტერესო სინამდვილისათვის. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ „ზანური“, როგორც პირობითი ტერმინი (ჭანურისა და მეგრულის ფუძე ენის აღსანიშნავად) ნებისმიერად აღებულად არ მივიჩნიოთ [არნ. ჩიქობავა, III, 2008, 26].

ლიტერატურა:

1. გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, 2010.
2. ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები I, ბათუმი, 1977.
3. ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, თბილისი, 2015.
4. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალა, ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937.
5. Адонц Н. Армения в эпоху Юстиниана, СМБ, 1908.
6. Марр Н, Крушение армян, грузин, абхазов и аланов Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического Общества, т. XVI, СПб, 1905.

Vianor Akhalaia

Gori State Teaching University

THE RELATION OF THE TERMS OF THE CHANS, LAZ, ZANI AND CHRONOLOGICAL ASPECTS OF THEIR USAGE RESUME

Ancient Greek and Byzantine sources provide with interesting information about the Chans and Laz together with the Jewish, Armenian and Ottoman ones as well. The term “Chan” is supposed to be connected with the term “Son”, from the different point of view it is produced from “Okena”.

In N. Maris’ opinion, the term “Laz” has Svan origin which is produced by the prefixes “la” and “zeni”.

According to the Urartian sources the relevant of “Laz” is supposed to be the term “Losh/Lusha” (G. Melikishvili) which means ray, brightness, light.

ქეთევან ბარბაქაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ვაჟა-ფშაველა და გერმანული ლიტერატურა

ვაჟა-ფშაველა ისეთ დროს გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებული თუ პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, არ დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურის გაცნობის გარეშე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ვაჟას თვალსაზრისი გერმანულ მწერლებზე მეტად საყურადღებოა, რამდენადაც მასში იკვეთება როგორც მწერლის, ისე ლიტერატურათმცოდნის შეხედულებანი. ვაჟა ბრწყინვალედ იცნობდა გერმანულ მწერლებს, ისე ფილოსოფოსებსაც და არაიშვიათად მიმართავდა მათ ციტირებას ამა თუ იმ საკითხის დასაბუთებისას, განსაკუთრებით მწერლის, როგორც გენიოსის, გამორჩეულობის წარმოსაჩენად. ამ თვალსაზრისით

საყურადღებოა მისი შეხედულებანი ცნობილ გერმანელ მწერალზე, გენიოსზე იოჰან ვოლფგანგ გოეთეზე (1749-1832), რომელსაც რუსული ტრანსკრიფციით „გიოტედ“ მოიხსენიებს თავის წერილებში. „ნამდვილ მწერალს ვაჟა-ფშაველა თავისი ერის სულისა და გულის გამოძახებულად თვლიდა, ასე აფასებდა იგი სერვანტესს, შექსპირსა და გოეთეს, ტოლსტოის, პუშკინსა და ტურგენევს“ (4: 21). როგორც ნინო ნაკაშიძე იხსენებს, ვაჟას „უყვარდა მასთან (ილიკო ნაკაშიძე) ისეთ პოეტებზე საუბარი, როგორც იყვნენ ჰაინე, გიოტე, ნეკრასოვი და აგრეთვე სხვადასხვა ფილოსოფოსების აზრების მოსმენა“ (4: 284). ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის პერიოდში მას წაუკითხავს როგორც ანტიკური ეპოქის, ისე მე-18-19 საუკუნეების ცნობილი ფილოსოფოსების ნააზრევი. სვიმონ სალარიძის მოგონებით, „მან შეისწავლა „ბნელი“ ჰერაკლიტი, სოკრატი, პლატონის „რესპუბლიკა“, ეპიკური, გადიკითხა ბეკონი, კონტი, ბოკლი, დრეპერი, ლეზბოლი, სპენსერი, „Современный социализм“ ლაველესი, „მცენარეთა მეტამორფოზა“ გიოტესი და ბოლოს მიუბრუნდა ჰომეროსს, ვირგილიუსს, დანტეს, მილტონს, შექსპირს, ზაირონსა და ფოხტს; მოლემოტისა და ბიუნერის მატერიალიზმში იგი ეძებდა პასუხს ნივთისა და სულის რაობაზე“ (4: 291). სიკო ფაშალიშვილის მოგონებებიც გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ თედო რაზიკაშვილის ოჯახში გორსა თუ ხელთუბანში ვაჟა არაერთგზის ახსენებდა „ხშირად გამოუჩნებდა“ ხოლმე ლესინგისა და გოეთეს სახელებს: „მათი ციტატებით ასაბუთებდა წამოყენებულ დებულებებს, აკრიტიკებდა თუ ეთანხმებოდა მათ“ (4: 294).

„დრო არის ყველაზე ობიექტური მსაჯული უკვდავებასთან შერკინებული შემოქმედის გენიოსად აღიარებისათვის. ვაჟაც გენიოსია და როგორც ყოველი გენიალური მოვლენა, მომავლის პოეტი, რომლის შემოქმედებით თავისებურებათა ახსნას დრო სჭირდება; მაგრამ რანაირ დონეზედაც უნდა იყოს ჩვენი მიმართება ამ ხელოვანისადმი, სადღეისოდ მაინც დგას კითხვა: რა ნიშნების მიხედვით გადალახა მან ლოკალური და დროებითი ჯებირები, არ დაიბინდა წარმომავლობის ბურუსისაგან და იქცა ჩვენი სულიერი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად?“ წერდა იუზა ევგენიძე (6: 543).

და მართლაც, მსოფლიო ლიტერატურის შედეგები სწორედ ის უღვევი წყაროა, რომლიდანაც იღებდა საზრდოს პოეტი და შემოქმედი, ის შემოქმედებითი, რომელშიც იწრთობა მისი გენია, ამიტომ ვაჟა-ფშაველა არაერთხელ მიმართავს მსოფლიოს ცნობილ მწერლებს მაგალითისთვის, იმავდროულად ანალიზებს მათაც და საკუთარი შემოქმედების ზოგიერთ პრობლემამდე გვარკვევს. თავის დროისათვის ვაჟა-ფშაველამ მათ ნააზრევიდან ბევრი რამე გამოიყენა წყაროდ, თუ შეეხო როგორც ნიმუშს.

ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ ვაჟას დაინტერესება გერმანული ლიტერატურით და იმით თუ როგორ მიუდგა იგი გერმანელ შემოქმედთა ნააზრევს ქართული სინამდვილისათვის და რა თარგმნა გერმანულიდან ქართულად. აქ უეჭველია გამოდგება თვით გერმანელი მწერლის, საქართველოს დიდი მეგობრის არტურ ლაისტის მოგონებანი.

„არტურ ლაისტი შემთხვევით არ უწოდებდა მას „ქართული ხელოვნების სულის განმასახიერებელ გენიოსს“ (6: 524). აი რას წერდა ის დიდი მგოსნის შესახებ: „ჩემთვის ვაჟა-ფშაველას მარტო სახელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს სახელი პოეტურ აზრს მინათებს მუდამ. როგორც ფრიგის მეფე მიდასი ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ვაჟაც ყველაფერს პოეზიად აქცევს.

ვაჟას პოეზია არ არის სალონური, იგი იშვა ჩაჟანგებულ მთებში, შალდაყიანსა და მუდამ ნორჩ ტყეებში. მისი შთამაგონებელი იყო ბუნება მშობელი ფშავეთისა, რომელსაც პოეტი ეკუთვნოდა სულითა და ხორციით. ცხოვრება ამ ბუნებისა, მისი სიტურფე და სიმკაცრე იყო მდიდარი ქარგა ვაჟას პოეზიისა, ფშავეთის ცხოვრება და წარსული იყო სული მისი პოეზიისა“ (5: 75). ლაისტის აზრით, „არც ერთ ქართველ პოეტს არ შეუქმნია ბუნების ასეთი დიდებული მხატვრული სურათები. თვით გრიგოლ ორბელიანმა ქართულ ლიტერატურაში ბუნების მხოლოდ რამდენიმე სურათი შეიტანა, იმ დროს, როცა ვაჟამ შექმნა მთელი გალერეა ამ სურათებისა. ეს გალერეა უდიდესი საუნჯეა, არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურისა, სადაც ვაჟა უთუოდ დაიჭერს საპატიო ადგილს. ფშავეთის მიწის სურნელება, რომლითაც გაჟღენთილია ვაჟა-ფშაველას ლექსები, ასკეცებს მისი პოეზიით ტკობას. გერმანელები ყველაზე მეტად იგრძნობენ ვაჟას, რადგან ისინი განსაკუთრებით ხვდებიან ხოლმე უცხო ერთი თავისებურებას“ (5: 74). სწორედ ეს უნდა ყოფილიყო იმის მიზეზიც, რომ „ვაჟას ზოგიერთი ქმნილება პოეტის სიცოცხლეშივე თარგმნა გერმანელმა არტურ ლაისტმა. მისი თქმით, პოეტის თხზულებების გაცნობამ „ევროპაში აღტაცება გამოიწვია“ (6: 561).

ვაჟას ფართო მსოფლმხედველობაზე მიუთითებდა იუზა ევგენიძე, რომელიც აღნიშნავდა: „ფართოა ვაჟას - ხელოვანისა და მოაზროვნის თვალსაწიერი; ამიტომაც შეუნელებელ ინტერესს აღუძრავს ენათმეცნიერებსა და ფილოსოფოსებს, ეთნოგრაფ-ისტორიკოსებსა და ფოლკლორისტებს, სოციოლოგებსა და ბიოლოგებს, ეკონომისტებსა და მრავალი სხვა სფეროს წარმომადგენელს, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასია ვაჟა-ფშაველა ლიტერატურათმცოდნეთათვის. ჩვენს სინამდვილეში სწორედ ვაჟამ, მის დიად მხატვრულ ქმნილებებში მოქცეულმა აზრებმა და პოეტის ხელოვნებამ მისცა გარკვეული საფუძველი გემოვნებაგაფაქიზებულ მკითხველებსა და მკვლევარებს ემსჯელათ ვაჟას ჰომეროსისეულ მხატვრულ

ხედვაზე, მის პერსონაჟთა შექსპირულ ვნებებზე; ნიცმეანური ინდივიდუალიზმისა და რელიგიური უნივერსალიზმის, ინტელექტისა და ინტუიციის პრობლემებზე, გოეთესებურ ფაუსტურ ძიებებსა და მითოსური ხილვის არსზე” (6: 551).

ვლ. სალარიძის აზრით, სწორედ ვაჟას საკუთარი შემოქმედებისათვის საფუძვლების ძიებისას ძალზე გამოსდგომია ბარატინსკის ლექსი „გიოტეს სიკვდილზე“:

„С природой одной он жизнью дышал,
Ручья разумел лепетанье,
И говор древесных листов понимал,
И чувствовал трав прозябанье;
И была ему звездная книга ясна,
И с ним говорила морская волна.

მთელი მთა სიხარულისა ამოსკდა ლუკას გულიდან, ციბრუტივით ტრიალებდა ჩემს ოთახში და გაიძახოდა: „აი ჩემი სარკე, მე ვიპოვე ჩემი თავი“. ლუკა - ეს ჩანასახშივე გენიალური ნიშნების გლეხი, ბუნების შეგრძნობასა და გაგებაში ორივე ფეხით იდგა სპინოზას პანთეისტურ თვალსაზრისზე და ღმერთად მიაჩნდა სამყაროს გასულიერებული სუბსტანცია” (4: 292).

მაგრამ საკუთრივ გოეთეს შემოქმედების შესახებ მას საკუთარი შეხედულებები გამოთქმული აქვს სტატიებში: „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“, „კრიტიკა ბ. ი. ვართაგავას“. წერილი „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ (რომელიც დაიწერა 1911 წელს) თუმცა ეხება შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას, რომელშიც იგი ცდილობს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის დასაბუთებას და მწერლური გავლენის მისეულ ახსნას პოეტი ცდილობს გამოკვეთოს ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ამბავი, ლეგენდა, ზღაპარი პოეტმა უნდა თავისებურად გადაამუშაოს, აქციოს თავისი გრძნობა-გონების საკუთრებად და მხოლოდ მაშინ იქცევა იგი ჭეშმარიტ ხელოვნების ნიმუშად. ამის მაგალითად ვაჟა ასახელებს ლეგენდას ფაუსტზე, რომელსაც ათასობით ავტორი ჰყავდა, მაგრამ იმათნი ნაწარმოებნი შთაინთქნენ უფსკრულში, ხოლო ფაუსტის ბატონ-პატრონი შეიქმნა გოეტე: (სხვათა შორის გოეთეს „ფაუსტი“ 1900-იან წლებში ითარგმნა ქართულ ენაზე პეტრე მირიანაშვილის მიერ, თუმცა არაა გამორიცხული, რომ იგი მან რუსულ თარგმანში გაიცნო).

„გოეტეს ამ (ფაუსტი) თხზულებას კარგად აფასებდნენ ჩვენშიაც, ვაჟა-ფშაველა მაგალითად შემდეგ სწერდა: „ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული სწორედ ისე, როგორც ზევით მოგახსენეთ, როგორც ამას ჩვეულან რჩეულნი ამა ქვეყნისანი, დიდი ნიჭის პატრონი მწერლები. ავტორები „ფაუსტს“ გიოტეს გარდა, ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერავინ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალმა ვერ შესძლო გადადუღება ხალხისგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა” (1: 187).

ვაჟას აზრით, „პოეტმა თუ ყოველივე ამბავი თავისებურად არ შეიმუშავა, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამაოდ დაშვრება, მის ნაწარმოებს არავინ ჭკვამყოფელი ხელოვნურს არ უწოდებს, ეს ჭეშმარიტება დღესავით, მზესავით აშკარაა.

ჩემთვის ძალიან ადვილად გასაგებია ის მოვლენა, რომ ლეგენდას ფაუსტზე ათასი ჰყავდა ავტორი, მაგრამ იმათი ნაწარმოებნი შთაინთქნენ უფსკრულში, ხოლო ფაუსტის ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქმნა გიოტე... რადა? რისთვის? მადა, რომ ეს ლეგენდა ჩაუვარდა ხელში დიადის ტვინისა და გრძნობის პატრონს, იმან შეასხა მას ახალი ხორცი და შთაჰბერა ახალი სული ცხოველი. რას იტყვით? როგორ გგონიათ? ფაუსტზე არსებულმა ლეგენდამ განადიდა, შექმნა გიოტე, გამოაშკარავა მისი გენიოსობა, თუ ფაუსტმა განადიდა, ახლად შექმნა და უკვდავ ჰყო ეს ლეგენდა? რა უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, რომ უგიოტეოდ „ფაუსტი“ არ ექმნებოდა კაცობრიობას? მამასადამე თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო ის აზრი რაც „ფაუსტშია“ გამოთქმული მაინც გამოითქმოდა გიოტეს პირით და თუმც შეიძლება სხვა რამ სახელი ჰრქმევოდა” (4: 196).

ამკარაა, აქ ვაჟას გერმანელი მწერლის შესახებ მაგალითი მოჰყავს იმ თვალსაზრისით, რათა აჩვენოს როგორ გარდაიქმნება გენიოსის ქურაში ხალხური წყარო. ამას შემდგომ იგი თვით ეწევა (მაგალითისთვის გამოდგებოდა ლეგენდა ხალხური მინდიას შესახებ და „გველისმჭამელი“).

მიუხედავად, იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას მიერ გერმანელი მწერლის გოეთეს შეფასება მის კრიტიკულ წერილში მოცემულია ფოლკლორული წყაროების ლიტერატურულ ნაწარმოებად ქცევის თვალსაზრისით გამოყენებისა და აღნიშნულ თემაზე გენიოსური ნაწარმოების დასაბუთება, ვფიქრობთ, იგი საყურადღებოა ქართველი მწერლის მიერ ევროპული ცივილიზაციის ჭრილში მოხვედრის კუთხითაც.

ალ. გარსევანიშვილი იხსენებს ერთ ეპიზოდს ვაჟასთან შეხვედრისა, სადაც ვაჟა უარყოფს ბელინსკის მიერ ფრიდრიხ შილერის უარყოფით შეფასებას: „აბა ყური დამიგდე: აი, ბელინსკის მთავარი

შეცდომები: გრიბოდოვის მხატვრული ნაწარმოები „ვაი ჭკუისაგან“ მან სისწორით ვერ შეაფასა. ამ პიესის გმირი ჩაცვი მასხარად აიგდო. რატომ? იმიტომ, რომ ჩაცვი პროტესტს უცხადებდა ბატონყმობას. გერმანელი დიდი მგოსანი შილერი კრიტიკოსმა მიწასთან გაასწორა. რატომ? იმიტომ, რომ მისი პიესის ერთ-ერთი გმირი კარლ მორი უსამართლობას და სოციალურ ბოროტებას ებრძოდა” (4: 269).

ვაჟას უცდია ქართულ ენაზე ეთარგმნა შილერის „ორლეანელი ქალწული“.

„როგორც ირკვევა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაინტერესებული იყო „ორლეანელი ქალის“ თარგმანით და ჰსურდა კიდევ მისი გამოცემა. ეს კარგად ჩანს საზოგადოების მდივნის სამსონ ფირცხალავას მოხსენებიდან, რომელიც მას 1905 წლის 24 იანვარს წარუდგენია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოგეობისათვის. იგი წერს:

„ვაჟა-ფშაველამ წარმოადგინა მის მიერ რუსულიდან ნათარგმნი შილერის „ორლეანელი ქალი“, თუ საზოგადოება გამოსცემს, სასყიდელს თხოულობს 300 მანეთს.

წიგნი მეტად სასურველია და სასარგებლო და საჭიროა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გამოსცეს ეს შესანიშნავი პიესა” (3: 403). როგორც ჩანს, საზოგადოებამ ზემოხსენებული თარგმანი გასაცნობად ილია ჭავჭავაძეს გადასცა, ამ უკანასკნელმა კი დაიწუნა შესრულებული სამუშაო. აი რას წერს იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას: „თარგმანი „ორლეანელი ქალის“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვინმეს გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისი ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება”.

ეს მეტად საგულისხმო დოკუმენტია, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, თუ როგორ დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველას და როგორი პასუხისმგებლობის გრძნობითა და სიფრთხილით ეკიდებოდა იგი ყოველ საქმეს” (3: 403). ნათელია, აქ მწერლის ავტორიტეტს გაუსვა ხაზი ილია ჭავჭავაძემ და, სამართლიანადაც, რამდენადაც, მისი აზრით, თარგმანი ღირსეული ავტორისა უნდა ითარგმნოს მაღალმხატვრულად. თუმცა, ჩვენი აზრით, თარგმანში მოიპოვება ადგილებიც, რომლებიც შეჭმარითად, ვაჟასეულია, რის მაგალითადაც გამოდგებოდა ის ფაქტი, რომ იოანას ერთი მონოლოგი ნაწარმოებიდან („გამოთხოვება“) დაიბეჭდა გაზეთ „დროების“ #101-ში 1909 წელს.

ვაჟასეული თარგმანიდან ჩვენთვის მხატვრულად გამართულად მივიჩნიეთ იოანას ბოლო მონოლოგი, რომელშიც აშკარაა ვიხილავთ როგორც პერსონაჟის შინაგანი ბუნება, ისე ავტორისეული წვდომა ტრაგიკულ გმირის სახეში:

„უცქირეთ, აგერ ცა განხმულია,
გამოსახულა ზედ ცისარტყელა,
გაბრწყინებული მოსჩანს ძე ღვთისა,
ანგელოზთ გუნდიც იქ შეკრებილა,
თვით ღვთისმშობელი იმათ წინ უდგათ,
ლმობიერებით ჩემსკენ სწვდის ხელებს.
რა მემართება? ფრთები მესხმება,
ეს სამოსელიც აღარ მამძიმებს.
ჰა, შევუერთდი ცაში ღრუბელთა,
იმათთან ერთად მივფრინავ, მივქრი.
შორს! იქ, სადაცა ამ ქვეყნიური
არ გამოდგება არც ერთი ფიქრი
და ნეტარებას დაუსრულებელს
გვაძლევს წვალეა აქ წუთიერი”

თავად ვაჟა, ვფიქრობთ, აგრძელებს ილიასეულ თვალთახედვას ჭემმარტი თარგმნის ღირსებებზე - თარგმანი ღირსეული ავტორისა უნდა ითარგმნოს მაღალმხატვრულად, ამაზე ჯერ კიდევ თავის პირველ წერილში („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდან „შემლილის“ თარგმანზე“) მიუთითებდა. „ამ წერილში ილიამ გაბედულად გამოაცხადა: 1. რომელი ავტორი და ნაწარმოები უნდა ითარგმნოს; 2. რატომ უნდა ითარგმნოს ამჯერად ეს ნაწარმოები; 3. როგორ უნდა ითარგმნოს; 4. ვინ უნდა ითარგმნოს” (7: 94).

ვაჟა-ფშაველას იდეალისტური პანთეიზმის ძირებიც ერთგვარად დაკავშირებულია გერმანულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან. როგორც იუზა ევგენიძე აღნიშნავს, „უკანასკნელ ხანებში გამოსულ წიგნშიც «Философский энциклопедический словарь» (М., 1989, მეორე გამოცემა) ვკითხულობთ: «Пантеизм... филос. учение, отождествляющее бога и мир... В пантеистич. концепциях нередко скрывались натуралистич. тенденции, растворявшие бога в природе и подводившие к материализму., представляя собой учения, оппозиционные по отношению к господствовавшему теист. религ. мировоззрению. Иногда же в форму П. облекались религ.-мистич. стремления, растворявшие природу в боге. В 1828 г. нем. философ

Краузе для обозначения своей идеалистич. системы, чтобы отличить ее от системы натуралистич. П., ввел термин пантеизм. Известны примеры причудливого переплетения элементов обоих типов П. в мировоззрении одного и того же мыслителя. Пантеистические идеи содержались уже в др.-инд. мысли (особенно в брахманизме, индуизме и в веданте), в др.-кит. мысли (даосизм), в др.-греч. философии (Фалес, Анаксимандр, Гераклит). Однако поскольку в эту эпоху политеизма еще не было понятия бога как единого мирового духа, указанные воззрения были одним из проявлений гилозоистич. одушевления всего мира” (2: 44).

„... В Германии 16-17 вв. наиболее выдающимися представителями пантеист. мистики были С. Франк, В. Вейгель, Я. Беме и поэт-философ Ангелус Силезиус (Иоганн Шефлер)... В 18 в. пантеист. воззрения развивали под влиянием Спинозы Гете и Гердер, некоторые, в противоположность механизму франц. материалистов 18 в., стремились разработать органическо-гилозоистич. элементы спинозизма” (2: 45).

ამკარაა, ვაჟა-ფშაველა შემოქმედებითად უდგება როგორც მსოფლიო გამოჩენილი გერმანელი კლასიკოსების, ისე ფილოსოფოსების ნააზრევს, ანალიზებს რა მათ თავის კრიტიკულ წერილებში, ისე შემოქმედებაში, ამით კიდევ ერთხელ ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობა არ შემოიფარგლებოდა საკუთარი ქვეყნის მოაზროვნეთა სამყაროთი და იჭრებოდა გლობალურ ასპექტშიც.

აღნიშნული სტატიაც ემსახურება სწორედ ამ მიზანს.

ლიტერატურა:

1. გაწერელია აკ., ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბ., 1938.
2. ევგენიძე ი., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 2000.
3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VIII, თბ., 1964.
4. ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, კრებული შეადგინეს, კომენტარები და საძიებლები დაურთეს გრ. კიკნაძემ, ნ. ყიასაშვილმა, ვ. შადურმა, ჯ. ჭუმბურიძემ, ს. ხუციშვილმა, თბ., 1967.
5. ლაისტი ა., საქართველოს გული, თბ., 1963.
6. ქართული მწერლობა, ვაჟა-ფშაველა, ტომი მეჩვიდმეტე, თბ., 2000.
7. ჩიტაური ნ., ილია ჭავჭავაძის უცნობი პროზაული თარგმანები და მათი ადგილი მწერლის შემოქმედებაში, „ლიტერატურული ძიებანი“, XXIX, 2008.

Ketevan Barbakadze
Gori State Teaching University
VAZHA-PSHAVELA AND GERMAN LITERATURE
RESUME

Vazha-Pshavela appeared on the literary arena at the time, when the graduate of the Master seminary or the free listener of Petersburg University, could not have been left without getting acquainted with the World Literature. Based on it, we believe, that Vazha's views on German writers are noteworthy, because both the writer's and the literary critic's views are being revealed in him. Vazha brilliantly knew not only German writers, but philosophers as well, and he often cited them while proving this or that question, in order to reveal the writer's distinction as a genius.

This again highlights the fact, that Vazha-Pshavela's outlook was not limited to his country, but it went beyond the global aspect.

The mentioned article serves the above-mentioned aim.

РАННИЙ ПЕРИОД ЖИЗНИ И ТВОРЧЕСТВА Д. К. МАЛИАШВИЛИ

Имя Дарьи Ведребисели (Дарьи Константиновны Малиашвили) было довольно известным в русской беллетристике конца 19 начала 20 вв. Она создавала свои художественные произведения на русском языке и таким образом знакомила русского читателя с жизнью и бытом грузинского народа всех сословий. Изучение жизненного пути и творческой деятельности Д.К. Малиашвили представляет интерес потому, что позволяет с сегодняшних позиций в новом ракурсе увидеть и оценить литературный и общественно-исторический процессы в Закавказье и России тех лет, обнаружить новые связи между писателями, пишущими как на грузинском, так и на русском языках, а также исследовать плоды их содружества с литературным миром других стран.

Д.К. Малиашвили родилась в 1874 году в «сердце» Грузии, во Внутренней Картли, в расположенном недалеко от города Гори небольшом селе Ведребиси, имении кн. Цицишвили, как утверждают её потомки, доставшемся её отцу от прадеда по материнской линии.

Когда Дарье исполнилось 16 лет, семья потеряла отца, и мать, Елизавета Григорьевна Григорашвили, незаурядная, образованная женщина, оставшись одна с четырьмя детьми на руках, решила отпустить старшую дочь к своему брату в Баку, где он занимал довольно видное положение на одном из бакинских нефтяных предприятий братьев Зубаловых, живших за границей. В те годы Баку представлял собой многонациональный город, нефтяной промысел которого стал довольно привлекательным и для предприимчивых людей и для нуждающихся в заработке простых людей.

К этому времени Дарья закончила гимназию св. Нины в Тифлисе, и в Баку она продолжила образование в Мариинской женской гимназии, где в 1891 году открылись двухгодичные Педагогические курсы (в 1991 году торжественно отмечался 100-летний юбилей этого учебного заведения).

Закончив эти курсы, Д.Малиашвили осталась там же на службе учительницей русского языка и литературы, тем самым помогая в материальном отношении матери и братьям. Её дядя, не имевший собственной семьи, несомненно, помогал сестре, но сама Дарья всю жизнь считала себя обязанной заботиться и опекать своих, даже потом уже взрослых братьев.

Жизненный отрезок Д. К. Малиашвили, который включал в себя бакинский период, был в высшей степени насыщен активной педагогической, общественной, журналистской и литературной деятельностью. Всё, что было в обществе тех лет прогрессивного, передового, нового находило отражение в жизни молодой учительницы гимназии. В тифлисском «Новом обозрении» постоянно публикуются её корреспонденции, по которым нетрудно проследить широту интересов, а также сферы деятельности Д.Малиашвили в бакинский период её жизни. Открытие воскресных школ в Баку происходило при её активном участии. Она показала себя и как активная сторонница женского образования. С помощью своих друзей открывает отдел детских книг при одной из читален, а позднее приобретает право на содержание библиотеки и обеспечивает для её посетителей бесплатный вход. Всё это было ответом на те настроения и шаги, которые предпринимала в 90-е годы 19 века демократически настроенная интеллигенция России. Так называемая, «теория малых дел», последовательницей которой была и Д. Малиашвили, было хотя и медленное, но всё-таки движение вперёд, к переменам к лучшему в жизни простого народа, к которому прогрессивная часть интеллигенции того времени относилась очень сочувственно. И Д. Малиашвили была одной из тех, кто не мог оставаться равнодушным к проблемам народа.

В большой степени вся деятельность Д. Малиашвили нашла отражение на страницах тифлисской местной периодической печати: газеты «Кавказ», «Кавказское обозрение», «Тифлисский листок», «Теми» печатают её публицистические статьи, а также художественные рассказы о жизни простого народа. Её рассказы печатаются и в детских изданиях «Накадули», «Джеджили», но бакинский период представлен публикациями, в основном, в бакинской газете «Каспий» и тифлисской газете «Новое обозрение», где она печатала свои очерки, корреспонденции, фельетоны и где она как неподкупный публицист вскрывала пороки и недостатки современного ей общества, часто с присущим ей острым сарказмом. В памяти её потомков остались воспоминания старшего поколения о том, что «Д. Малиашвили одно время была вынуждена прятаться от «местных князей», угрожавших ей за острый язык» (1). Дарья Малиашвили пользовалась псевдонимами «Омега», «Мамзель Заузе» «Джизальбо», подписывалась и девичьей фамилией «Малиева», а также «Д.Ведребисели». Последний псевдоним как связующее звено её родины, родного села с остальным миром стал постоянным спутником её художественных произведений, а также печатных выступлений в периодических изданиях.

Событием в жизни Д.Малиашвили было появление её рассказа «Кристины» в ведущем журнале столицы – «Русское богатство» в 1895 году. Это был период, когда выход в местную прессу ей был запрещён директором гимназии. Публикация рассказа подействовала как бальзам на раненую душу девушки. В её дневнике имеется запись этого периода: «Рассказ «Кристины» появился в самый разгар моей сердечной драмы,

и кто знает, может литературный дебют спас меня. Больная, несчастная, на душе мрачно, и «Крестины» - единственно светлый луч» (1). В связи с этим она пишет Н.К.Михайловскому: «Скажу откровенно, что появление «Крестин» в «Русском богатстве» сделало меня такой бодрой, что я писала даже в постели во время болезни. Не знаю, ошибаюсь ли я, но мне кажется, что «Крестины» указали мне настоящий путь, по которому мне надо идти» (1). Итак, этот факт окончательно решил творческую судьбу талантливой девушки. В дальнейшем один за другим печатаются её рассказы и на страницах местной газеты «Каспий», всегда с готовностью представлявшей ей эту возможность. В 1896 году один за другим выходят в печать рассказы «Коршун», «Кредитор», «Рождественский рассказ». В следующем году – «На храмовом празднике», «Над волчьим оврагом», «Волчья яма» и др. В 1898 году «Русское богатство» печатает рассказ «Хизаны», о жизни крестьян, так называемых, хизан, который вызвал особый интерес и резонанс и в России и в Грузии.

С целью установить более тесный контакт с русской столичной интеллигенцией, конкретнее, с литературным миром обеих столиц, Малиашвили летом 1897 года предприняла поездку в Москву и Петербург, но желаемых встреч не состоялось по объективным причинам, о чём она сетует в письмах тех лет. Но несмотря на это, сравнительно тесную связь она поддерживала и с Михайловским, в письмах к которому называет его «нашим дорогим учителем», и с известным литературным критиком Овсяннико-Куликовским и с писателем Короленко. Переписка с последним указывает на вероятность того, что в литературной судьбе Д.Малиашвили он сыграл немаловажную роль, так как состоял редактором беллетристического отдела в самом популярном журнале того времени – «Русское богатство»

Имея слабое здоровье, Малиашвили каждое лето выезжала из жаркого Баку на минеральные воды Северного Кавказа. Здесь, в Кисловодске, в 1902 году она имела счастье встретиться и лично познакомиться с авторитетнейшим литератором народнического толка, литературным критиком того времени Н.К. Михайловским. Возможно, знакомство произошло в доме талантливого русского художника-передвижника Н.П. Ярошенко, следы переписки с которым имеются в архиве Д. К. Малиашвили. Как известно, именно в доме Ярошенко там встречалась и общалась между собой наиболее прогрессивная часть русской интеллигенции.

Д. Малиашвили была девушкой не первой молодости, когда вышла замуж за русского архитектора Кальгина. В письмах молодой писательницы проявляются не только глубокие мысли и высокие устремления, но и высокая, чистая душа. Чувствуется повышенная требовательность к себе как человеку, писателю и гражданину своей родины. Эта повышенная требовательность к себе не могла не распространяться и на окружающих её людей. Видимо, не случайно мужем её стал Кальгин, в то время никому неизвестный, со скромным материальным достатком молодой человек. Малиашвили смогла рассмотреть в нём те незаурядные задатки, которые проявились позднее. Академик Е. Такашвили, с которым супруги предприняли совместную поездку в Западную Грузию с целью осмотреть грузинские памятники культуры, в своей книге «Избранные труды» упоминает Кальгина и отмечает его талант и трудолюбие, даёт высокую оценку его знаниям памятников грузинской архитектуры. Здесь же упоминает он и его супругу как о известной грузинской писательнице. Ал. Сигуа, писатель и журналист, вспоминает, что Кальгин как человек был обаятельной личностью с общительным, весёлым и увлекающимся характером.

Супруги переехали на постоянное жительство из Баку в Тифлис. С преподавательской деятельностью было покончено, но что касалось остальных интересов Малиашвили, они остались и здесь. В Тифлисе она не встала в ряды посторонних наблюдателей, а с присущей ей активностью продолжила свою деятельность, и более активно – на литературном поприще.

ЛИТЕРАТУРА:

1. Литературный музей им. Г. Леонидзе, Фонд Д.К. Малиашвили, №22337
2. Сигуа А. «Деятели грузинской культуры и искусства», Тб. 1985
3. Такашвили Э. «Избранные труды», Тб. 1968

Arsen Bertlani, Natela Ghudushauri

Iakob Gogebashvili Telavi State University

THE EARLY PERIOD OF D. K. MALIASHVILI'S LIVE AND CREATION RESUME

D. K. Maliashvili is the Georgian writer women, who was creating her artistic works in Russian Language and so she familiarized the Georgian village inhabitant's life and existence with the readers the Russian newspapers and magazines. Her life and literary activity was connected tightly as with her motherland, as well as with her people, to which's success she strongly felt responsibility. D. Maliashvili fixed the conscientious of writer and journalist in her numerous publications, which she inserted in such Transcaucasian popular Russian periodical publications, which were "Novoe Obozrenie" in Tiflisi and "Kaspi" in Bako. The cause of the pessimism didn't become for her own hard life, on the contrary, the early period life and creative work of Georgian writer women D. Maliashvili was characterized by the features, such as activation, strive for the entire progressive, which be found out in the society.

წარმართული და ქრისტიანული პარადიგმები კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“

XX საუკუნის პირველი მეოთხედი განსაკუთრებული ნიშნით იყო აღბეჭდილი. სწორედ ამ დროს დაიწყო რღვევა იმ ეპოქისა, რომლის ნახევრადფეოდალური, ნახევრადკაპიტალისტური წყობილებაც სისხლითა და მახვილით მოსულმა სოციალიზმმა შთანთქა. ეს პროცესი მეტად ხანგრძლივი და მტკივნეული იყო, რადგანაც საზოგადოებრივი რღვევა თანაბრად სპობდა და ანადგურებდა, როგორც ძველ სოციალურ ყოფას, ისე რელიგიურ რწმენასა თუ მსოფლგანცდას. წყალწადებულის პოზიციაში მყოფი თავადაზნაურობის კლასობრივი ეპოპეა კი მაინც განაგრძობდა თავგამოდებულ ბრძოლას არსებობისათვის. სწორედ ეს ურთულესი წინააღმდეგობები, სოციალურ-პოლიტიკური კრიზისით გამოწვეული სკეპსისი და ნიჰილიზმია ასახული კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“.

ამ მრავალპლანიანი, ვრცელი პროზაული ნაწარმოების აზრობრივ შინაარსს აკავი ბაქრაძემ „ეპოქის სიკვდილი“ უწოდა: „ეპოქის სიკვდილი ტრაგიკულია მით უმეტეს, რომ კვდება არა მარტო ის, რაც უვარგისი და მახინჯია, არამედ ხშირად ისიც, რაც ვარგისი და მშვენიერია“ (ბაქრაძე 2004(II):233). მართლაც, „მთვარის მოტაცება“ ტოტალური სიკვდილიანობით ხასიათდება. იხოცებიან წარმართულ-ქრისტიანული, ფეოდალური თუ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები, ანუ თითქმის ყველა, ვინც ძველი ცხოვრების ნაშიერია (მაია ემხვარი, ნოშრევან ფარჯანიანი, ლომკაც ესვანჯია, თარაშ ემხვარი, თამარ შარვაშიძე, კაც ზვამბაია, ლუკაია ლაბახუა, ქორა მახვი...), მაგრამ რომანის სიუჟეტის ტრაგიკულობას მარტო პერსონაჟთა მასობრივი სიკვდილიანობა არ განსაზღვრავს – ადამიანებთან ერთად კვდება და ნადგურდება ძველი ადათ-წესები; როგორც წარმართული რიტუალები და შეხედულებები, ისე ქრისტიანულ-რელიგიური ღირებულებები.

ამჯერად ყურადღებას კონსტანტინე გამსახურდიას რომანის ორ პროტაგონისტზე – თამარ შარვაშიძესა და თოთხმეტი წლის გლეხის გოგონაზე – როდამზე – გავამახვილებ, რადგან „მთვარის მოტაცებაში“ განვითარებული საყოველთაო აგონიის ფონზე, განსაკუთრებით მტკივნეულია ამ ორი ქალის, ნაწარმოების ორი უმშვენიერესი და უკეთილშობილესი პერსონაჟის ტრაგიკული ისტორია.

სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, სახისმეტყველებითი შინაარსით – სიმბოლურად – ქალი ორი პლანით არის წარმოდგენილი. ის ან **ღვთისმშობელს** განასახიერებს, ან – **ქვეყანას** (სამშობლოს). ასეა, მაგალითად: ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მძოვნელმან“, სადაც ანა საქართველოს ალეგორიად მოიაზრება. ამ ფაქტს ამირან გომართელი შემდეგნაირად აფასებს: „არა მხოლოდ ანა, არამედ საზოგადოდ ქალი მშობლიური მიწისა და ქვეყნის სიმბოლოდაა წარმოდგენილი რომანში: „ქალი... სხვა არაფერია... თუ არა მიწისა და მიწიურობის განსახიერება“, – ამბობს რომანის ავტორი“ [ოთარ ჭილაძე – თ. გ.] (გომართელი 1985:8).

თამარ შარვაშიძისა და როდამის თავგადასავალში მკაფიოდ აირეკლება ტრაგიზმით აღსავსე ქვეყნის – საქართველოს – ყოფაცა და მის მკვიდრთა სულიერი მდგომარეობაც. ისინი ახალი ცხოვრების მსხვერპლნი არიან, ახლის დამკვიდრებას ზვარაკად შეწირულნი – ვისაც ვერ უპატრონეს, ვერ დაიცვეს და ვერ მოუარეს. ამიტომ აუცილებელია, რომ ორივე ქალის სახე სკრუპულოზურად მიმოვიხილოთ, გამოწვლილვით გავანალიზოთ მათი მდგომარეობა.

თუ კარგად დავუკვირდებით, „მთვარის მოტაცებაში“ არსად, არც ერთ პერსონაჟში არ არის ისე ნათლად გაცხადებული ზნესრული და ზნეკეთილი ადამიანის აქსიოლოგიური ღირებულებანი, როგორც ამ ორ პროტაგონისტში, განსაკუთრებით კი თამარის სახეში, ვინაიდან ის ნაწარმოების წამყვანი ფიგურაა.

თამარ შარვაშიძისა და თოთხმეტი წლის გლეხის გოგონას ბედს ერთნაირი ტრაგიზმით გვიხატავს კონსტანტინე გამსახურდია, იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სოციალური წრისა და ინტელექტისანი არიან. ეს იმით აიხსნება, რომ ორივე ქალი ამ ქვეყნის შვილია, ახალი ცხოვრება (სოციალიზმი) კი ერთნაირად სპობს და ანადგურებს გლეხსაც და არისტოკრატსაც, უმწეოსაც და მშვენიერსაც. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თამარისა და როდამის პორტრეტები ერთმანეთის მსგავსია. მეტიც, თითქმის წაშლილია ზღვარი ამ პერსონაჟთა სულიერი სიფაქიზისა თუ გარეგნული მშვენიერების დახატვისას.

უნაკლო სილამაზისაა თამარი. გავიხსენოთ, რა ემოციას იწვევს ის თარაშ ემხვარში: „თითქოს პირველად ხედავდა (თარაშ ემხვარი – თ.გ.) ამ ქალს. მშვილდით გადრევილ, ამპარტავან წარბებს,

გრძელსა და შავ წამწამებს. მის სათნო სახეზე აღბეჭდილიყო ქართული მადონების თავშეკავებული ქალობა. ცხვირის ნესტოებში სამხრული გრძნობიერება მჟღავნდებოდა. ხოლო ზურგისა და ზემოტანის ხაზებში გარდამავალი ჯიშის რაფინირება ცხადდებოდა“.

ახლა როდამის სილამაზეს მივაღწევით თვალი. გავიხსენოთ, როგორ დაატყვევა მისმა სიმშვენიერემ თამარ შარვაშიძე: „ოვალურ, ნუშისებურ თვალებს უზომოდ გრძელი წამწამები ჰფარავდა. თვალს დააფახულებდა თუ არა, თამარს ასე ეგონა: ორი შავფრთიანი პეპელა დაფარფატებსო გოგონას თვალეზის უპეებზე. სალუქი სახე ჰქონდა პატარა ქალს, სადაფივით თეთრი, თეთრი კბილები... ხმა ჰქონდა პატარა გოგონას ისეთი ამოდსასმენი... ხელები გამოიღო პატარა როდამმა შალიდან, თამარი დააცქერდა. გაოცდა, ვინ მისცაო გლეხის ქალს ასეთი გასაოცარი თეთრი ხელები, გრძელი ვარდისფერი თითები“.

ანალოგიურ ემოციას იწვევს როდამის გასაოცარი სილამაზე კაროლინაშიც, როცა ამ ორ ქალს შორის პარალელს ავლებს გერმანელი ქალბატონი. მწერალმა ამ პასაჟში თამარისა და როდამის ნატივ ვიზუალს თანაბარზომიერებით შეუფარდა ღვთაებრივი, პირველყოფილი სიფაქიზე სულიერებისა. როდამის მშვენიერებამ გააოგნა დეკლასირებული ლუკაია ლაბახუაც. მწერალი როდამის სილამაზეს ღვთისმშობელ მარიამს ადარებს: „ელექტროს შუქზე უცნაურად ბრწყინავდა მისი (როდამის – თ.გ.) სალუქი კანის ფერი, მისი მშვენიერი თითები და მდელოსფერი, დიდი თვალები ახლა მუქლურჯად კი-აფობდნენ“.

ლუკაია იქვე დაცუცქული იჯდა და პირჯვარს იწერდა. ღვთისმშობელი მარიამი ხომ არ მოსულაო მეორედ მიწაზე (ხაზი ჩემია – თ.გ.).

ვიდრე სახელების – თამარისა და როდამის – პარადიგმებს შევხებით, უნდა აღინიშნოს, რომ „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟთა ცხოვრების წესსა თუ მსოფლგანცდაში, ქრისტიანობასთან ერთად, ჭარბადაა შეჭრილი წარმართული ელემენტებიც. სახელთა (თამარი და როდამი) ეტიმოლოგიური კვლევისას გამოვლინდა, რომ მათი ავთენტურობა წარმართული ეპოქიდან იღებს სათავეს. გარდა საკუთარი სახელებისა, რომანში ასახულმა არაერთმა წარმართულმა ელემენტმა სახეცვლილად გადაინაცვლა ქრისტიანობაში, თუმცა აღნიშნულ საკითხს ამჯერად განსაკუთრებულად არ ჩავუღრმავდები.

სახელი „როდამი“ სპარსული წარმომავლობისაა და ქართულად **„მდინარის წყალს“**, **„მდინარის ელვარებას“** ნიშნავს (ჭუმბურიძე 1992:20), მდინარეს კი, თავის მხრივ, ქრისტიანულ სახისმეტყველებაში, საკრალური დატვირთვა ენიჭება. წყალი ნათლისღების რიტუალში მდინარე იორდანეს იმ წმინდა წყალს განასახიერებს, რომელშიაც იოანე ნათლისმცემელმა იესო მონათლა. ამიტომაცაა, ბიბლიური სიმბოლიკით, მდინარე განწმენდის, სულიწმინდის მაღლისა და წყალობათა სიმბოლო (აზიანიძე, ელავილი 2012:139); იოანეს გამოცხადებაში ვკითხულობთ: „და მეჩვენა მე წმინდა მდინარე სიცოცხლის წყლისა, ანკარა, როგორც ბროლი, ღმრთისა და კრავის ტახტისგან გამომდინარე“ (იოანეს გამოცხადება, 20-21,1). მითოლოგიური გაგებით კი მდინარის ალეგორიაში, დიონისური საწყისის ელემენტებია შეჭრილი, კერძოდ: მდინარე, სიკვდილის საშუალებით, ხელმეორედ აღორძინება-განახლების სიმბოლოდ ითვლებოდა.

სახელი „თამარი“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჩვენში, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში, მაგრამ ის ოდენ ქართველთა წმინდანნი მეფის – თამარის – სახელს არ უკავშირდება. მისი გენეზისი წარმართობაში უნდა ვეძიოთ, საიდანაც შეცვლილი იერსახით გადმოვიდა ქრისტიანობაში.

ზოგიერთი თვალსაზრისით, „თამარი“ ხალხური „ამირანიანის“ პერსონაჟიდან – „ყამარიდან“ – მომდინარეობს, ანუ მისი სახეცვლილი ფორმაა. ვასილ ბარნოვის აზრით: „მის (თამარის – თ.გ.) სახეს აეთვისა ქართველთ ქალღმერთი ყამარ, რომლის ბრძოლის საყუდარი ოქროს ჯინჯილით იყო გადმოშვებული ცის კამარიდან და მაინც არ ეყრდნობოდა დედამიწას. თამარიც ლოცვის ჟამს ჰაერზედ იდგა“.

ყამარ-ქალი მფარველ ხატთაგანი იყო საქართველოსი; მის ყველა ნაწილში ჰქონდა მას ნიში, სად თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლს შესწირვიდნენ. ზექალი თამარ ბედნიერებად მოველინა მთელ ერს და ყამარივით დაივანა ქართველთ ტომის ყველა თემში. მის ციხე-დარბაზს საქართველოში ყველგან ვვიჩვენებენ“ (ბარნოვი 1964:133).

აქვე უნდა დავამატო – მოსაზრებას ყამარ-თამარის გაიგივების შესახებ, ისიც ადასტურებს, რომ ფშავ-ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი ნიშები, რომლებიც ატარებს არა ცალკე **ყამარის** ან **თამარის**, არამედ **ყამარ-თამარის** სახელს.

ახლა „ყამარის“ ეტიმოლოგიასაც თუ მივაქცევთ ყურადღებას, რომლის მიხედვითაც „ყამარი“ არაბულად **„მთვარეს“** ნიშნავს, ზოგიერთ ენაზე კი, მაგალითად: ხურიტულად – **„ცის თაღსა და „კამარას“** (ჭუმბურიძე 1992:181), მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება: ყამარ-თამარი წარმართობიდან ქრისტიანობაში გადმონაცვლებული და ფეხმოკიდებული სახელი ყოფილა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, საქართველოში, ასტრალურ ღვთაებათა პანთეონში, პირველი ადგილი **მზესა** და **მთვარეს** ეკავა.

„მთვარის მოტაცებაში“ ამ ორი პერსონაჟი ქალის – თამარისა და როდამის – სულიერებისა და ნივთიერების შერწყმის სრულ ჰარმონიასთან გვაქვს საქმე. ამავე დროს მათი ორპლანიანი სახე მათსავე სახელებშია დაქარაგმებული: **როდამიცა და თამარიც განასახიერებენ, როგორც პაგანისტური, ისე ქრისტიანული საქართველოს სახეს.**

გარდა ზემოთქმულისა, ერთი უმთავრესი მიზეზიც არსებობს იმისათვის, რომ ეს ორი ტრაგიკული პიროვნება რომანში ასახული ეპოქის, იმჟამინდელი საქართველოს სახედ მივიჩნიოთ. თამარიცა და თოთხმეტი წლის როდამიც იმ ადამიანების მსხვერპლნი შეიქნენ, რომლებიც ახალი საქართველოს – სოციალიზმის – სახეს წარმოადგენენ. გლეხის პატარა გოგოს ვიღაც სამოცი წლის აგრონომმა ახადა ნამუსი. აგრონომი კი ბოლშევიზმის მიერ აღზევებული ხორცმეტია. ის იმ მოძალადე ძალას განასახიერებს, რომლის ხელშიც იგავმიუწვდომელი უსამართლობის ბერკეტებია მოქცეული. კოლექტივიზაციის პირობებში ეს ახლადამოცნებული თანამდებობა უმაგრებს მას ზურგს ყოველგვარი უზნეობის ჩადენაში. სწორედ ეს იმუნიტეტი იქცა ბიძგის მიმცემად იმ ამორალიზმისა, რომლის დროსაც იმარჯვა პატარა ბავშვზე, რასაც რეზულტატად უმანკო არსების დადღუპვა მოჰყვა.

ასევე მოძალადეს განასახიერებს არზაყან ზვამბაია, რომელიც ახალმა ცხოვრებამ წარმოშვა. მართალია, მას თამარ შარვაშიძე გულწრფელად უყვარს და არც ძალა უხმარია მასზე, მაგრამ ქცევისა და აზროვნების ამდღებულის სისადავით გამორჩეული ქალიშვილის დადღუპვაში უმთავრესი პასუხისმგებლობა მაინც მას აკისრია. სწორედ მან დაუმალა თამარს ჯვარი, ქრისტიანობის სიმბოლო, რომელიც ყველაზე სამიმ მტრად მიაჩნდა სოციალიზმს, ვინაიდან ის საქართველოს ეროვნული თუ კულტურული თვითმყოფადობის უმთავრეს ციტადელს წარმოადგენდა. მკითხავის ტანსაცმელში გადაცმულ არზაყან ზვამბაიას რომ არ ერჩია შარვაშიძის ქალისთვის, ნაწნავები მოეკვცა და ჯვარზე უარი ეთქვა, ჯვრის მადლით აღზრდილი თამარი, რომელიც ამ აპოკალიფსურ ეპოქაში ტამრიდან განდევნილი და სასწაულებრივად გადარჩენილი ნახუცრის ქალიშვილი იყო, არასდროს გადაუხვევდა ოჯახური თუ ნაციონალური წეს-ჩვეულებიდან: არც თმებს შეიჭრიდა, არც დედისეული ჯვრის დაკარგვის დარდს გადაიყრიდა გულიდან, არც ფოქსტროტს იცეკვებდა ახალ ცხოვრებასთან შესისხლხორცებულ ანული ფარჯანიანთან ერთად და თარაშიც აღარ მიატოვებდა.

როდამიცა და თამარიც უხეში, არაადამიანური გარემოს მსხვერპლნი ხდებიან. ამიტომაც ორივე – გლეხიცა და თავადიც – ერთნაირად წყევლის საკუთარ ბედსა და გამწარებულ ყმაწვილქალობას.

როდამი: „ყოველ წუთში აგინებდა ადამიანს, სიყრმესა და უდროო ორსულობას მისას... პატარა როდამი სტიროდა, ხმის ამოუღებლად სტიროდა. ბროლის ნაკადული მოწანწკარებდა ატმისფრად მოვლვარე დასიცხულ ლოყებზე...“

თამარი: „სწყევლის იმ უხიაგ დღეს, ფოქსტროტი რომ იცეკვა „ორიანტში“, სწყევლის მარჩიელს თმის შეჭრა რომ შთააგონა.“

წყეული იყოს ანულიც, ეს მან წაიყვანა თამარი პარიკმახერთან.

კრული იყოს ის საღამო, თარაშთან გაყრის საღამო.

მიწა ექამა თამარს პეშვით და თარაშის ნათქვამი შეესმინა, რად უნდოდა ინსტიტუტი ან თმის შეკრეკა?“.

ორივე პერსონაჟი ერთნაირი მონდომებით წყევლის ახალ ცხოვრებას. პარადოქსია, მაგრამ თამარი არც ერთი სიტყვით არ გმობს თარაშს, ანუ მისი უბედურების უშუალო სათავეს. თავადის ქალის წყევლა მხოლოდ „მკითხავსა“ (არზაყანს) და ანული ფარჯანიანზე ვრცელდება, იმათზე, ვინც უარი ეთქვა წინაპართა ყოფიერების არსზე და უმტკივნეულოდ შეერწყნენ სოციალიზმს.

კონსტანტინე გამსახურდიას ეს მრავალპლანიანი ნაწარმოები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქვეტექსტის შემცველია. გარდა იმისა, რომ თამარი და როდამი ახალი ცხოვრების მიერ დადღასმული პერსონაჟები არიან, მათგან ვერც ერთი ვერ შობს მემკვიდრეს. ვერც როდამის პირმო ეღირსება ამ ქვეყნად მოვლინებას და ვერც თამარისა. ორივე ჩანასახი დედის საშოშივე წყვეტს არსებობას. ის ფაქტი, რომ ორივე ნაყოფმა საკუთარი მშობლებიც უნდა იმსხვერპლოს, როგორც ითქვა, გარკვეული ქვეტექსტის შემცველია: თუ თამარი და როდამი საქართველოს განასახიერებენ, იმ საქართველოს, რომლის ტრადიციული რელიგიური ღირებულებები ახალმა, ბოლშევიკურმა წყობამ უნდა შთანთქას, მაშინ, ბუნებრივია, ასეთი რწმენაშერყეული და წარსულის უარყოფელი ქვეყანა ახალ მემკვიდრეს ვეღარ შობს. ამის საშუალებას ახალი ცხოვრების ქარტეხილი აღარ მისცემს. ამიტომაც მისი ყველა ჩანასახი ემბრიონშივე უნდა გაწყალბულიყო და თავადვე მოეწამლა საკუთარი მშობლის სისხლი. ამდენად, თამარ შარვაშიძეცა და პატარა როდამიც ძველი და ახალი ეპოქების უსასტიკეს, დაუნდობელ ბრძოლას შეეწირნენ ზვარაკად. ორივე მსხვერპლია აპოკალიფსური ქრონოტოპისა. ისევე ვერ უპატრონეს და დაიცვეს ისინი ახლობლებმა, როგორც ქართველებმა ვერ მოუარეს ვერც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ვერც მის ქრისტიანულ მრწამსს.

ჯვარი და თმა, როგორც ღვთაებრივი რწმენის ხილული სახეები

ჯვარდაკარგული თამარი რელიგიაწარმეული საქართველოს სიმბოლური გამოხატულებაა. მას ხომ ჯვარი სწორედ ახალი ცხოვრების, სოციალიზმის სახემ – არზაყან ზვამბაიამ დაუმალა. მწერალმა ქვეყნის ტრაგედია ყველაზე მკაფიოდ მომაკვდავი გლეხის ქალის – როდამის – სარეცელთან პირქვე-დამხობილი, პერანგისამარა, ნატანჯი, ნაგვემი თამარის სახით წარმოგვიდგინა.

მოცემული ეპიზოდი ნათლად ასახავს იმ ტოტალურ ტრაგიზმს, რასაც მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფა წარმოადგენდა. თამარი (ქრისტიანული საქართველო) ერთნაირად დასტირის და გმობს პიროვნულსა და საზოგადო გაუტანლობას. სწორედ ის ფაქტორი გახდა თამარისა და როდამის დაღუპვის მიზეზი, რასაც უღმერთობა ჰქვია. რწმენაშერყეულ ქვეყანაში აღარავის ეცალა იმავე ქვეყნის მოსავლელად და საპატრონოდ, რომლის უპირველეს რელიგიურ მსოფლგანცდასაც წმინდა სამება, ხოლო ღვთიური რწმენის ხილულ სახეს ჯვარი და ხატი წარმოადგენდა. უფლისაგან განდგომილი არზაყან ზვამბაია იქცა თამარის (ქრისტიანული საქართველოს) ტრაგედიის მიზეზად. ასევე მოხდა პატარა როდამის შემთხვევაშიც. მისი დამღუპველსთვის, ვიღაც სამოცი წლის აგრონომისთვის, უცხოა ქრისტიანული თუ საზოგადოდ ყოველგვარი მორალურ-ზნეობრივი ღირებულებები. სწორედ ეს უღმერთობა გახდა მისთვის უსასტიკესი ცხოველური იმპულსის მიმცემი, რომელსაც აქტიურად ნერგავდა კომუნიზმი და რის გამოც არ დაინდო შვილიშვილის ტოლი გოგონა. სოციალიზმი ხომ ის იდეოლოგია გახლდათ, რომლის პრინციპებსაც ქრისტიანულ-რელიგიური რწმენის სრული დემორალიზაცია, მეტიც მისი ძირფესვიანად ამოძრვკა შეადგენდა. ამის შესახებ ფეოდორ დოსტოვესკი ჯერ კიდევ სოციალიზმის დამყარებამდე წინასწარმეტყველებდა: „სოციალიზმი მხოლოდ მშრომელთა ანუ ე.წ. მეოთხე ფენის საკითხებს კი არ მოიცავს, არამედ მასში ათეიზმიც მნიშვნელოვანი, – თანამედროვე ათეიზმის განსახიერება, ანუ ბაბილონის გოდოლი, ღმერთის გარეშე რომ აგებენ, იმისათვის კი არა, რომ მიწიდან ცას მისწვდნენ, არამედ პირიქით – მიწაზე ცის ჩამოსატანად“.

„მთვარის მოტაცებაში“ ქრისტიანობას ერთნაირად ებრძვის ორი ძალა: წარმართული და ათეისტური. ათეისტ მოწინააღმდეგეს არზაყანი რომ წარმოადგენს, უკვე ითქვა. რაც შეეხება მეორე ძალას, ანუ წარმართობას, მის სახეს თარაშ ემხვარი განასახიერებს. მისი სიძულვილი ქრისტიანობის მიმართ აშკარაა. ის ყოველგვარი მოიარების გარეშე „მოძღვრავს“ თამარს, რითაც ცდილობს, ქრისტიანული რწმენის მიმართ ზიზღი გაუღვივოს, აღმოფხვრას მისი არსებიდან ჯვრისა და ხატის თაყვანისცემა: „აჰ, ეს ქრისტეს ჯვარი!.. იცი, თამარ, როცა მე ევროპაში ვმგზავრობ და ამ უთვალავ ეკლესიებს და ტაძრებს შევცქერი, დარდნაელიდან ვიდრე შოტლანდიის ზღვამდე, მაკვირვებს კიდევაც, რა გახდა ეს ჯვარი! პატარა, ბინძურ პალესტინაში დაბადებულმა დურგლის ბუმბა ჯვრების ტყეები აღმართა მთელ ქვეყანაზე.“

ჩვენი ქვეყანაც ამ ჯვარს შეეწირა, შენ წარმოგიდგენია შუა საუკუნეთა ბნელი დღეები, თურქეთის შიშით გერმანელები ვენაში კანკალებდნენ და ასეთ დროს ჩვენი კავალერია ერზრუმში ებრძოდა თურქებს.

მე უნდა გაგინელო ეს ჯვრის სიყვარული. ჩემს სულში წარმართული ღმერთი ჩაჭრილი, ხოლო შენი გული ილორის დამსხვრეულ ზარსავით ჟღარუნებს, თამარ...

მე დიახაც, მწყინს შენი ჯვარის დაკარგვა, რადგანაც იგი რელიგიური სიმბოლო როდი იყო, არამედ უკვე ხელოვნების ძეგლად ქცეული ქმნილება. მე ვიჭვინულობ ქრისტეს მიმართ, რომ შენ მისადმი სიყვარული ჯერაც არ ამოგიტხრია გულიდან“.

„მთვარის მოტაცებაში“ ორი ძალის გააფთრებულ ომს ქრისტიანობასთან, ამ იდეოლოგიურ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, ყველაზე სათნო, ყველაზე სულგრძელი და სათუთი – თამარი (ქრისტიანული საქართველო) ეწირება. გავისხენოთ, როგორი რუდუნებით ელის იგი თარაშის დაბრუნებას. არც ისაა შემთხვევითი, რომ, მიუხედავად ემხვარის უპასუხისმგებლო, უპატივბელი საქციელისა, თამარს ერთი სიტყვითაც კი არ წამოსცდენია მისი გმობა, ვინც ყველაზე საჭირო დროს მიატოვა, ვინც ასე სასტიკად მოექცა. იმის ნაცვლად, რომ საყვედური თქვას ვარდანიძე-ემხვართა შტოს უკანასკნელი ნაშიერის მიმართ, სიზმარსა თუ ცხადში სულ მისი სახელის მლოცველია. ყველაფერს შეუნდობს ის თარაშს, ყველაფერს აპატიებს.

აღნიშნული ეპიზოდიც ნათლად გამოხატავს ქრისტიანული საქართველოს ალეგორიულ მდგომარეობას. თამარის სახით ის (საქართველო) ელოდება თავის გზააბნეულ შვილებს. ოღონდ დაუბრუნდნენ ისინი რწმენას და ყველაფერს აპატიებს, შეუნდობს მათ ღვთისგან განდგომას, მაგრამ ტრაგედია მაინც ხდება... თარაში არ ბრუნდება და იღუპება თამარი, რომელიც სასწორის პინაზე დადებული მსუბუქი ნივთივით მუდმივად მერყეობდა თარაშ ემხვარსა (წარმართობას) და არზაყან ზვამბაიას

(ათეიზმს) შორის. იღუპება ჯვარდაკარგული თამარი (ქრისტიანული საქართველო), რადგანაც ვერ მოუფრთხილდა თავის რელიგიას, იმას, რასაც მისი წინაპრები ასწლულებს მანძილზე სისხლითა და მახვილით იცავდნენ, რის გამოც იოვანე საბანისძის დროს, ქართველები: „ქრისტეს სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განემორებიან მხოლოდმოზობილსა ძესა ღმრთისა“.

ასე იღუპება ჯვრის გარეშე დარჩენილი თამარი (რელიგიაუარყოფილი საქართველო); იღუპება, რადგანაც ვერ მოუფრთხილდა ქრისტიანულ სიმბოლოებს: ჯვარსა და თმას. ქვემოთ სწორედ იმაზე გვექნება საუბარი, თუ რა სიმბოლური ფუნქცია აქვს რომანში ჯვარსა და თმას.

თმას „მთვარის მოტაცებაში“, ჯვრის მსგავსად, საკრალური დატვირთვა ენიჭება. მეტიც, ეს ორი სიმბოლო ერთმანეთისგან განუყოფელი მთლიანობაა. ეს მოსაზრება სიღრმისეულ განსჯასა და გაანალიზებას საჭიროებს.

ნაწარმოებში ნახსენები თამარის დაკარგული ჯვარი და შეჭრილი თმა, რომელიც შარვაშიძის ქალის ტრაგედიის უშუალო მიზეზი შეიქნა, ქრისტიანული პარადიგმაა.

როგორც ვიცით, წმინდა ნინომ, საქართველოში შემოსვლამდე, საკუთარი თმებით შეკრა ვაზის ჯვარი, რომელიც ღვთისმშობელმა გადასცა. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს გარკვეული მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რატომ გადასცა ღვთისმშობელმა ნინოს ვაზის ჯვარი ან მოციქულთა სწორმა რატომ შეკრა ის საკუთარი თმებით; ზოგადად, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ქართულ ქრისტიანულ სახისმეტყველებაში ქალის თმებით შეკრულ ჯვარს?

აკაკი ბაქრაძე თამარის ჯვრის დაკარგვისა და მის მიერ თმის შეჭრის ამბავს მხოლოდ წარმართულ-მითოლოგიურ ჭრილში განიხილავს. მკვლევარი „მთვარის მოტაცებაში“ შემდეგნაირად უკავშირებს ერთმანეთს ამ ორ ნივთიერ სახეს: „გარეშე სულის გარდა, ქართველს პარციალური სულის ანუ ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების სულის არსებობაც სჯეროდა. განსაკუთრებით ბევრი მასალა მოიპოვება თმის პარციალური სულის არსებობის შესახებ... არ შეიძლება არ გავიხსენოთ თმით შეკრული ვაზის ჯვრის ამბავი. განა ღვთისმშობელმა არ მოჰკიდა ხელი „რტოსა ვაზისასა და მოჰკუთა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა კელთა ღირსსა ნინოს“? და ეს ჯვარი ხომ ქალის თმებით იყო შეკრული. ეს არ არის მხოლოდ პოეტური ამბავი. მასში წარმართული რწმენის ანარეკლია და ცდაა წარმართობის ქრისტიანობასთან ერთგვარი შერიგებისა. ხეში (აქ: ვაზში) ადამიანის გარეშე სული ცხოვრობდა, თმაში – პარციალური. ერთად ისინი ადამიანის სიცოცხლესთან იყვნენ დაკავშირებული. ამიტომაც არის, რომ ეგზომ მწვავედ განიცდის თამარი დედისეული ჯვრის დაკარგვას. მართალია, თამარის ჯვარი ვაზისა არ იყო, მაგრამ ოქროს ჯვარსაც სიმბოლურად იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ არის, რომ ჯვრის დაკარგვა თამარისთვის დედის სიკვდილის ბადალია... რაკი ესოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან თამარის შეგნებაში ჯვარი და დედა, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ჯვრის დაკარგვის „ამბავს განიცდიდა როგორც უდიდესი უბედურების პრელუდიას“ (ტ.2, გვ.83). მართლაც, მალე თამარის სიყვარულიც და სიცოცხლეც ტრაგიკულად დამთავრდა“ (ბაქრაძე 2004:278-279).

რევაზ სირაძე კითხვაზე, რატომ მაინცდამაინც ვაზის ჯვარი გადასცა ღვთისმშობელმა წმ. ნინოს, ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „მითოსის ხანაში ვაზი ღვთაებრივ მცენარეთ ითვლებოდა. ქართველთა წარმოდგენით, ის იყო „სიცოცხლის ხე“... თითქოსდა, მოულოდნელია ჯვრის ვაზისგან გაკეთება. მაგრამ ნინოს უნდა სცოდნოდა, რომ ვაზს ქართველები ოდითგან აღმერთებდნენ. ისინი არ იცნობდნენ ქრისტიანობას, მაგრამ იცნობდნენ ვაზის ძალას. ამიტომ ქართველები ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ“ (სირაძე 1982:26).

რევაზ სირაძის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, თავის დროზე, აკაკი ბაქრაძემ ასე უპასუხა: „ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ხშირად იხსენიება ვაზი და ვენახი. ეს ბუნებრივია, რამეთუ ქრისტიანობა, როგორც რელიგია, გაჩნდა და განვითარდა ვაზისა და ღვინის კლასიკურ ქვეყნებში – იუდა-გალილეაში, საბერძნეთსა და იტალიაში.

იოანეს სახარებაში (XV,1,5) ქრისტე ამბობს:

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამა ჩემი მოქმედი არს“.

...

„მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი, რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა... „ (იოანე,15,5).

ამის პერიფრაზია მეფე დემეტრე პირველის ჰიმნის სიტყვები: „შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული...“

მაშასადამე, ვენახი, ვაზი ქრისტეს სიმბოლო ყოფილა დ სრულიად კანონზომიერი და ბუნებრივია ის, რომ წმ. ნინოს ღმრთისმშობელმა ვაზისაგან გაკეთებული ჯვარი მისცა. ამით ქრისტეს შეწევნა და მფარველობა აღუთქვა“ (ბაქრაძე 2004:484-485).

ესაა პასუხი იმაზე, თუ რა სიმბოლოური დატვირთვა აქვს ვაზის ჯვარს. ახლა კი რევაზ სირამის ამ ფრაზებს მივაქციოთ ყურადღება: „ნინოს უნდა სცოდნოდა, რომ ვაზს ქართველები ოდიტგანვე აღმერთებდნენ... ამიტომ ქართველები ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ“ (სირამე 1982:185).

აღნიშნულ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ დავეთანხმები, რადგან, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, წმინდა ნინო უმეცარი იყო ყოველგვარი ქართულისა. პირველად მან საქართველოს შესახებ სარა მიაფორისაგან შეიტყო: „ხოლო ვითარცა ესა წმიდასა ნინოს სარა მიაფორისაგან, მაშინ შეწირა ღმრთისა მადლობა და კურთხევა და კუალად ჰკითხა მას, თუ სადა არს ჩრდილოთა იგი ქუეყანა, სადათ მოსრულთა მათ ჰურიათა წილ-ხუდა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. მიუგო და ჰრქუა სარა მიაფორმან მან, ვითარმედ: „არს აღმოსავლეთით კერძო ქალაქი, რომელსა ჰრქიან სახელად მცხეთა, და ქუეყანა ქართლისა და სომხითისა მთეულეთი, და საწარმართო არს იგი ჟამსა ამას“ (ლეონტი მროველი 2012:70).

ასე რომ, საკითხავია, საიდან უნდა სცოდნოდა წმ. ნინოს იმ ქვეყნის მითოსურ-წარმართული კულტების შესახებ, რომლის არსებობაც არ იცოდა და წარმართ ქართველთა ღვთაებების: არმაზის, გაცისა და გაიმის შესახებაც კი მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო ჯავახელი მეთევზეებისაგან, როცა უკვე საქართველოს მიწაზე დადგა ფეხი?! ლეონტი მროველი გვაწვდის ცნობას, რომ ნინომ არც ქართული ენა იცოდა და მაცხოვრის კვართის გარდა, არც რაიმე ინფორმაციას ფლობდა ქართველთა შესახებ.

ფარავნის ტბასთან ჩამინებულ ნინოს უფალი გამოეცხადა. მისცა „წიგნი დაბეჭდილი და უთხრა: „მართუეს ესე მსწრაფლ ქალაქსა მცხეთას მეფესა მას წარმართთასა“. ხოლო წმინდამან ნინო იწყო ტირილად და ჰრქუა მას ვედრებითა, ვითარმედ: „მე, უფალო, დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი, არღა მრავლისა მეტყუელად მეცნიერ, ვითარ მივიდე უცხოთა ქუეყანასა და კაცთა მათ უცხო თესლთა“ (ლეონტი მროველი 2012: 68)?!

როგორც ვხედავთ, ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული იმის მტკიცება, რომ წმ. ნინომ საქართველოში შემოსვლამდე იცოდა ქართველთა მითოსური კულტების შესახებ.

აქ ყურადსაღებია ერთი ფაქტიც. ნინომ საკუთარი ნება-სურვილით კი არ ამოირჩია ვაზის ჯვარი, არამედ ღვთისმშობელმა „რტოსა ვაზისასა მოჰკუეთა“ საკუთარი ხელით და ისე გადასცა კაბადოკიელ ქალწულს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა სიმბოლოური დატვირთვა აქვს წმ. ნინოს თმებით ვაზის ჯვრის შეკვრას და რა კავშირშია ის კონსტანტინე გამსახურდიას რომანთან?

იმის თქმა, რომ ნინომ თმები მხოლოდ შესაკრავ საშუალებად გამოიყენა, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული და, მეორე მხრივ, აკნინებს თმის სიმბოლოურ მნიშვნელობას. ნინოს მარტივად შეეძლო ჯვრის დამაგრება. შესაძლებელია, ეს მომხდარიყო წმ. ქალწულის ხამლის საბელით ან სამოსლის მონახევით, ან (უფრო ლოგიკური იქნებოდა) იმავე ვაზის ლერწით, რომლისგანაც „მოჰკუეთა“ ღვთისმშობელმა ჯვარი. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი გაცილებით მასშტაბურია, უფრო ღრმა ფიქრისა და განსჯის საგანს წარმოადგენს, ვიდრე ზემოთ მოხმობილი მოსაზრებები.

ჩემი აზრით, ჯვრისა და თმის სიმბოლიკა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში ქრისტიანულ პარადიგმებს ემყარება და აქ არაფერ შუაშია წარმართობა. ამდენად, ვერ დავეთანხმები ისეთი დიდი ლიტერატორისა და მკვლევარის მოსაზრებას, როგორც აკაკი ბაქრაძე იყო, მიუხედავად იმისა, რომ პირველმა აკაკი ბაქრაძემ გაამახვილა ყურადღება „მთვარის მოტაცების“ ალეგორიულ პლანზე და პირადად ჩემთვისაც სწორედ მისი გამოკვლევა გახდა ბიძგის მიმცემი.

როგორც ითქვა, ჯვარი ნინომ საკუთარი თმებით შეკრა. ზემოთ ვახსენე, რომ ნებისმიერი საშუალებით შეეძლო მისი შეკვრა, განსაკუთრებით კი ვაზის ლერწით. მაშინ ეს სიმბოლოურ-ალეგორული აზრობრივი შინაარსი გაცილებით მარტივად ამოსაკითხი იქნებოდა. რადგანაც ვაზი ქრისტეს ჰიპოსტასია, ბუნებრივია, არც იქნებოდა მოულოდნელი, რომ ეს ვაზი თავისივე ლერწით შეკავშირებულიყო, მაგრამ ჯვარი, რომელიც ქრისტიანობის უპირველესი სიმბოლოა, აუცილებლად თმით უნდა შეკრულიყო, ვინაიდან, ქრისტოლოგიური კონცეფციის თანახმად, ღვთაებრივი მადლი ყველაზე მეტად ადამიანის თმებშია დავანებული. ნათლობის რიტუალის შემდეგ მონათლულს აჭრიან თმის მცირე ნაწილს, ნიშნად იმისა, რომ ის ღმერთს აძლევს თავის თმას და ამით ხდება უფლის მონა.

ბიბლიურ სამსონსაც სწორედ თმებში ჰქონდა ის უდიდესი ღვთაებრივი ძალა, რომლის მადლითაც ძეხორციელი ვერ ახერხებდა მის დამარცხებას. როდესაც თავისი სატრფო დალილა ცდილობს ამოიგნოს, თუ რაშია სამსონის ძლიერების საიდუმლო, ეს უკანასკნელი პასუხობს: „სამართლებელი არ

გაჰკარებია ჩემს თავს, რადგან დედის მუცლიდან ღვთის მოწინდარი ვარ. თავი რომ გადამპარსონ, ძალა გამომეცლება, დავებუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნები“ (მსაჯულნი, თ. 15-16,17).

შეუთვალა მოდალატე დალილამ ეს ყოველივე ფილისტიმელთა მთავრებს, საკუთარ კალთაში ჩააძინა მიჯნური და მისი თმის შვიდივე კოწოლი მოაპარსვინა. მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა სამსონს, ფილისტიმელები მოდიანო შენს დასამარცხებლად. სამსონმა გამოიღვიძა და იფიქრა: ავდგები და წინანდებურად დავიხსნიო თავს. „მაგრამ არ იცოდა, რომ ღმერთმა პირი იბრუნა მისგან“ (მსაჯულნი, თ. 15-16,20). შეიპყრეს იგი ფილისტიმელებმა და თვალები დასთხარეს. ასე დაკარგა ისრაელიანთა მსაჯულმა ის ღვთაებრივი ძალა, რაც ღმერთთან აკავშირებდა.

ღვთაებრივი მადლის სიმბოლოს განასახიერებს აგრეთვე სასულიერო პირთა თმა და წვერი. ამის შესახებ გვამცნობს დავით წინასწარმეტყველის 132-ე ფსალმუნიც:

*„აჰა, რა კარგია და რა საამურიც,
ერთად რომ ცხოვრობენ ძმები!
როგორც ძვირფასი მირონი თავზე, წვერებზე
ჩამოღვრილი,
აარონის წვერებზე, მისი სამოსის კალთებზე
ჩამოღვრილი.
ვითარცა ცვარი ხერმონისა, სიონის მთებზე
ამოღვრილი!
რადგან იქ დაადგინა უფალმა კურთხევა –
სიცოცხლე უკუნისამდე“.*

(ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1991:668)

ამდენად, თმებით შეკრული ვაზის ჯვარი, კვლავ ვიმეორებ, ღრმა სიმბოლიკის გამოხატულებაა: ვაზის ჯვარი, როგორც ითქვა, ქრისტეს ჰიპოსტასია, ხოლო თმები (ჩვენს შემთხვევაში ქალის თმა) – ღვთაებრივი მადლის გამოხატულება. მამასადამე, ნინო საქართველოში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხილული პარადიგმებით შემოვიდა. მან ზუსტად გაიმეორა ღვთისმშობლის მოდელი, ანუ ჩვენი ქვეყნის არა მარტო განმანათლებლად, მფარველადაც იქცა. ასე უკავშირდება ქალი „მთვარის მოტაცებას“: ქალი → საქართველოს მფარველი (ღვთისმშობელი), ქალი → საქართველოს განმანათლებელი (ნინო) და ქალი → ქრისტიანული საქართველო (თამარი). ამიტომაც დაკარგა თამარმა (საქართველომ) ღვთაებრივი მადლი თმის შეკვეცის შემდეგ, ამიტომაც შეირყა მისი სამშვინველი, ამიტომაც იტანჯება ის ორმაგად: ცალკე ჯვრის დაკარგვა ექვა კოშმარად, ცალკე – სიზმრები, სადაც დედას ჯვრით ხელში ხედავს.

თამარის სიზმრებსაც რელიგიურ-ალეგორიული პლანი აქვს:

საქართველომ საკუთარი ნებით თქვა უარი ქრისტეს მცნებებზე, წმინდა სამებაზე; სამრეკლოებიდან ჩამოყარა ზარები, შებილწა და შეურაცხყო ხატები, დაანგრია და დაარბია ეკლესია-მონასტრები. ამის გამო დაკარგა ჯვრის მადლი და შემწეობა და ღვთისმშობლის წყრომაც დაიმსახურა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ, თამარის სიზმრებში, შავებით მოსილი ჯახანა ირეალურ პლანში უკვე ღვთისმშობელს განასახიერებს. შავი ფერი ხომ გლოვის ფერია. ღვთისმშობელიც გლოვობს საკუთარი შვილების ღვთისაგან განდგომას, ამიტომაც გაურბის თამარს (საქართველოს). ჯახანა მუდმივად მის მიერ ნაჩუქარი ჯვრით ხელში ეცხადება თამარს, ანუ იმ ქართული ჯვრით, რომელიც ქართველთა განმანათლებლად მომავალ ნინოს გადასცა ღვთისმშობელმა და ამით შემწეობა აღუთქვა საქართველოს. მხოლოდ ერთხელ მიუახლოვდება სიზმარში ჯახანა თამარს და ფანჯრიდან გაახედებს. ღრუბლიანი ციდან შავი ჭვარტლი თოვდა. ეს პასაჟი, რაღა თქმა უნდა, ღრმა ქვეტექსტის შემცველია. ის ჩვენი ქვეყნის ურწმუნოებასა და უფლის მრწამსის უარყოფაზე მიუთითებს. ჯახანა (ღვთისმშობელი) თამარისთვის (საქართველოსთვის) ჯვრის ჩვენებით ქართველებს კვლავ უფლის გზაზე დადგომისკენ მოუწოდებს, მაგრამ თამარმა ის არ იკმარა, რომ ჯვრის დაკარგვით გამოწვეული დარდი გადაიყარა, „მკითხავის“ (სოციალიზმის) მოწოდებით, თმებიც მოიკვეცა, რითაც დაკარგა ღვთაებრივი მადლი და შემწეობა.

კლასობრივი ბრძოლით გამოწვეული საყოველთაო ტრაგიზმი, რითაც გაჟღენთილია „მთვარის მოტაცება“, არც რომანის ფინალში ნელდება. ნაწარმოების დასკვნით ნაწილში, რომელსაც ასეთი ქვესათური აქვს – „როგორ მოიტაცა ენგურმა მთვარე“, წარმოდგენილია ძველი ეპოქის ესქატოლოგიური აღსასრული.

თავგანწირული მხედარი – თარაშ ემხვარი – მომავლად თამარ შარვაშიძის სანახავად მის-წრაფვის. ამისათვის კი მას მოდიდებული ენგურის ზვირთებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება ელის.

ენგური რომ რევოლუციის სიმბოლოა, ეს თავად განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ „მთვარის მოტაცების“ გამო გამართულ დისკუსიაზე, 1936 წელს: „ჩემს ახალ რომანში ენგური რევოლუციის სიმბოლოა“-ო (გომართელი 1985:207). ეს სიმბოლო ისედაც თვალნათლივ იკითხება ტექსტში: როდესაც თარაში მოდიდებულ ენგურში შეაგდებს ცხენს, მწერალი ასე აღწერს ენგურის ტალღებს: „ადგა თარაშ ემხვარის თვალის წინ უმველებელი ჩქერალი წყლისა მთვარის მოსალბუნე ლივლივში, როგორც **ახალი ცხოვრების** ნათლით მოსილი გზა“ (აქ ეპითეტი „ნათლით მოსილი“ აშკარად პოლიტიკური კონიუნქტურაა – გაპირობებული ერთადერთი მიზნით – როგორმე დღის სინათლე ეხილა ანტისაბჭოთა რომანს).

ევროპულ იდეალებზე აღზრდილი დენდი – თარაშ ემხვარი – ეტრფის და აღმერთებს წარმართობას და სძულს ქრისტიანობა. ვინაიდან, სოციალიზმის ძალისხმევის შედეგად, ენგურში ერთდროულად უნდა შთაინთქას წარმართობაცა და ქრისტიანობაც, ამიტომაც ილუპება თარაში (წარმართობა) თამარის ჯვრით ხელში. დიახ, თარაში, აუცილებლად, ენგურს (რევოლუციას) უნდა შეეწიროს და არა ბრაუნინგის ტყვიას, მასთან ერთად კი უნდა დაილუპოს ქრისტიანული საქართველოც თამარის ჯვრის სახით.

არზაყანმა იცის, როგორ იტანჯება თამარი დაკარგული ჯვრის გამო, მაგრამ თავგამოდებული კომუნისტი არც კი ცდილობს საყვარელი ქალისთვის მის დაბრუნებას (მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ამის მცდელობა, როცა თამართან ერთად თბილისს აპირებდა წასვლას და, შესაბამისად, ქალი უკვე თავისად ეგულეობდა). ამას არზაყანი მაშინ დააპირებს, როცა იცის, რომ ჯვარი ადრესატამდე, ანუ თამარამდე ვერ მიადწევს. ვფიქრობ, შეთხვევითი არ არის არზაყანის მხრიდან თამარის ჯვრის გამოჩენის ამბავი მაშინ, როცა არაბიას სასიკვდილოდ განწირული თარაშისთვის კაზმავს. მან იცის, რომ არაბიაცა და თარაშიც ენგურში უეჭველად დაიხრჩობიან და მაინც ატანს მომავლად შარვაშიძის ქალთან ჯვარს. ამ ეპიზოდის სიღრმისეული პლანი, ვფიქრობ, ასე იკითხება: არზაყანი (სოციალიზმი) სიხარულით აგზავნის მოუსავლეთში, ანუ ენგურში (რევოლუციის ქარტეხილში) თავის ძუძუმტეს, თარაშ ემხვარს, წარმართული საქართველოს სახეს, საკუთარი ხელით უკაზმავს ასევე დასალუპავად განწირულ არაბიას და თან ატანს ჯვარს (ქრისტიანობის სიმბოლოს), რათა ეს ორი სიმბოლო წარმართული და ქრისტიანული საქართველოსი რევოლუციის ქარცეცხლში ჩაინთქას, თავად კი ძაბულიზე ქორწინდება და ახალ ცხოვრებას იწყებს.

ამრიგად, ცხენზე ამხედრებული თარაში, თამარის ჯვრით ხელში, სიმბოლურად გამოხატავს რევოლუციის ქარტეხილთან ბრძოლაში დასალუპავად განწირულ საქართველოს თავისი წარმართული და ქრისტიანული ატრიბუტებით.

როგორც ვნახეთ, თამარი მხოლოდ სოციალიზმის მსხვერპლი კი არ გახდა, არამედ – წარმართობისაც. ორი ძალა: ათეიზმი (არზაყანი) და წარმართობა (თარაში) ერთნაირი მონდომებით იბრძვის, რათა თამარი (ქრისტიანული საქართველო) საკუთარი მსოფლგანცდის მარწუხებში მოაქციოს. ორივე ერთნაირი შემართებით ცდილობს ამ ქალის გარდაქმნას. არზაყანი (სოციალიზმი) ქრისტიანული მრწამსის უარყოფისკენ მოუწოდებს (თმის შეჭრითა და ჯვარზე უარის თქმით), ხოლო თარაში (წარმართობა) თმის შეჭრის წინააღმდეგია, ოღონდ სრულად საწინააღმდეგო კუთხით – მისთვის გრძელ თმას წარმართული დატვირთვა ენიჭება და არა ქრისტიანული.

თამარი ამ ორი ძალის ჭიდილს ეწირება, ამიტომაც ილუპება იგი. ილუპება დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც ვერც წარმართულობისგან გათავისუფლდა და ვერც ქრისტიანობა შეინარჩუნა.

უნდა დავასკვნათ, რომ თამარ შარვაშიძის შეჭრილი თმები კონკრეტული რეალობის მიღმა, ირეალურ პლანში, ის თმებია, რითაც ქართული ვაზის ჯვარია შეკრული. თმების შეჭრით ამ ქართული ჯვრის მთლიანობა დაირღვა – საქართველომ ქრისტიანობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უარყო და ღვთაებრივი მაღლი განეშორა.

კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი მრავალპლანიანი, საკმაოდ რთული აზრობრივი შინაარსის მქონე ნაწარმოებით, საშინელი ცენზურის პირობებში, მეტად მწვავედ გააწნა სილა კომუნისტის სახელით დამკვიდრებულ პირსისხლიან რეჟიმს, რომლის უპირველეს მიზანსა და ამოსავალ წერტილს ხალხში ათეისტური იდეოლოგიის დამკვიდრება წარმოადგენდა.

ამდენად, ყველა სხვა ტრაგედიასთან ერთად, „მთვარის მოტაცების“ ტრაგიკული ეპოპეა იმასაც ცხადყოფს, რომ **ქვეყანამ (კომუნისტურმა საქართველომ) ქრისტესთან მისასვლელი გზა დაკარგა.**

ლიტერატურა:

1. აბზიანიძე, ელაშვილი 2012: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. I, თბილისი, 2012, „ბაკმი“, გვ. 139.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1991: ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1991, გვ. 668.
3. ბარნოვი 1964: ბარნოვი ვ., თხზულებანი, ტ. X, ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1964, გვ. 133.
4. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა., თხზულებანი, ტ. II, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი, 2004, გვ. 233.
5. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა., თხზულებანი, ტ. II, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი, 2004, გვ. 278-279.
6. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა., თხზულებანი, ტ. II, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი, 2004, გვ. 484-485.
7. გომართელი 1985: გომართელი ა., ჭირთა თქმა სჯობს, „მერანი“, თბილისი, 1985, გვ. 8.
8. გომართელი 1985: გომართელი ა., ჭირთა თქმა სჯობს, „მერანი“, თბილისი, 1985, გვ. 207.
9. ლეონტი მროველი 2012: ქართლის ცხოვრება, ტ. I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 70.
10. სირაძე 1982: სირაძე რ., წმინდა ნინო, თბილისი, 1982, გვ. 26.
11. სირაძე 1982: სირაძე რ., წმინდა ნინო, თბილისი, 1982, გვ. 185.

Tamar Gelitashvili

Gori State Teaching University

**PAGAN AND CHRISTIAN PARADIGM IN “KIDNAPPING THE MOON”
BY KONSTANTINE GAMSAKHURDIA
RESUME**

It is clearly reflected how deeply-rooted Christianity and success was being destroyed by newly--descended socialism

The symbolic of hair and cross are very significant. The main character Tamar Sharashenidze allegorically reflects Christian Georgia. she lost her cross and cut her hair. It is know that cross is the main symbol of Christianity and hairs as it is mentioned in new and old testament also has it's symbolic sense. The Devine mercy is in her.

That's why her feith is tragical (so of Christian Georgia).

By the denial of “cross” and “hair” she lost the way leading to the lord.

*ქეთევან გიგაშვილი, მზია გიგაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ვოდვეილის არსი და მისი ძირითადი მახასიათებლები ევროპასა და რუსეთში

ვოდვეილი, როგორც სანახაობის გარკვეული ფორმა, წარმოიშვა საფრანგეთში. მისი სახელწოდებაც წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან – ‘Val de Vire’ (‘Valley of Vire’), რაც ნიშნავს ვირის¹ ველს.

ვოდვეილის დაბადების ერთ-ერთი ვერსია პოლიტიკურ მოტივს ეფუძნება: საფრანგეთის პროვინციის – ნორმანდიის – ტერიტორია, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, იყო ნორმანებს, ფრანგებსა და ინგლისელებს შორის ხანგრძლივი ბრძოლის სუბიექტი. მე-15 საუკუნის 30-იან წლებში ინგლისი შეეცადა, აქ თავისი ბატონობა დაემყარებინა. მისი კანონები მიუღებელი იყო ნორმანდიელებისთვის და მათი გავრცელება აღინიშნებოდა შეთქმულებებისა და აჯანყებების წყებით

¹ მდინარის სახელწოდებაა ნორმანდიაში.

1435-1436 წლებში. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აჯანყება მომხდარა სწორედ Val de Vire-ს ტერიტორიაზე. მან ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი ბალადური ლიტერატურის – ‘Vaux de Vire’ (‘Voices of Vire’) („ვირის ხმები“) – დაბადებას, რომელიც, ძირითადად, შეეხებოდა ისტორიულ (ინგლისის ჯარების ნორმანდიაში შეჭრის) თემას (Tselebrovski 2003: 13).

მოგვიანებით, მე-17 საუკუნეში, აქ გავრცელდა სიმღერები სახელწოდებით ‘Chanson de val de Vire’,¹ რომელთაც უკავშირებდნენ უფრო ადრე მოღვაწე სახალხო პოეტებს – ოლივიე ბასსელენსა (1350-1408) და ჟან ლე-გუსს (1551-1616).²

ზოგი მკვლევარის აზრით, სიტყვა ‘vaudeville’ მომდინარეობს საშუალო ფრანგულის დიალექტიდან: *vauder* ‘to go’ (წასვლა) + *vire* ‘to turn’ (დაბრუნება). ზოგიერთი მას ფრანგულ სლენგად მიიჩნევს – „ქალაქის ხმები“ (‘voix de ville’).

ვხვდებით სხვა მოსაზრებებსაც ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ. მაგ., ალბერტ მკლინი ფიქრობს, რომ სახელი უბრალოდ შეირჩა მისი გაურკვეველი, ბუნდოვანი, მაგრამ უწყინარი ეგზოტიკური ხასიათის გამო (McClean 1965). ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ სიტყვის მნიშვნელობა ბოლომდე არ არის გარკვეული.

ქართულ, რუსულ თუ ინგლისურენოვან ენციკლოპედიებსა თუ ლექსიკონებში ვოდვეილის არაერთი განმარტება არსებობს. ინფორმაცია მისი წარმოშობის შესახებ თითქმის ყველა განსაზღვრებაში მეორდება. რამდენადაც იგი გავრცელებული იყო ევროპაში, ამერიკაში, რუსეთსა თუ საქართველოში, ვოდვეილის ზოგიერთ განმარტებაში მისი გავრცელების ადგილიც არის ხოლმე მითითებული. მაგ., მარკ ორველის სტატიაში – „რა არის ვოდვეილი“ – აღნიშნულია, რომ „ვოდვეილი არის სანახაობის განსაკუთრებული ჟანრი, რომელიც უკიდურესად პოპულარული იყო 1880-1930 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში.“³

საფრანგეთში ვოდვეილად თავდაპირველად იწოდებოდა სიმღერები. შემთხვევითი არ არის, რომ კათოლიკურ ენციკლოპედიაში ის ასეა განმარტებული: „სიმღერები, რომლებიც მოგვიანებით გახდა საქეიფო, ან სატრფიალო თავისი ხასიათით (რომელიც შემდგომ განვითარდა პოპულარულ დრამაში), იწოდება ვოდვეილად.“⁴

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვოდვეილი ახსნილია, როგორც „ერთ, ან ორმოქმედებიანი მსუბუქი კომედია, რომელშიც სასიმღერო კუპლეტებია ჩართული.“⁵

ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვითაც, ის არის „მსუბუქი შინაარსის კომედია მუსიკის თანხლებით შესრულებული კუპლეტებით“. არაფერია ნათქვამი მოქმედების რაოდენობაზე.⁶ ამ სეგმენტზე ყურადღება არ არის გამახვილებული არც საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონში. ამასთან, აქ მითითებულია, რომ ვოდვეილი უნდა იყოს მცირე ფორმის და, სასიმღერო კუპლეტებთან ერთად, უნდა ახლდეს ცეკვები (გიორგაძე... 1974).

კულტურული წიგნიერების ახალ ლექსიკონში ის ასეა ახსნილი: „მსუბუქი თეატრალური სანახაობა, პოპულარული გვიან მე-19 საუკუნესა და ადრეულ მე-20 საუკუნეში, რომელიც შედგება უწყვეტი მოკლე მოქმედებებისგან.“ შემადგენელ კომპონენტებში აქ დამატებულია გაწვრთნილი ცხოველები (Hirsch... 2002). ეს სეგმენტი სხვაგანაც ფიგურირებს.⁷

რუსულ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ვოდვეილის მრავალფეროვანი განმარტება წარმოდგენილი: ლიტერატურის ენციკლოპედიაში, რომელიც 1925 წელს გამოიცა რუსეთში, ვოდვეილი განმარტებულია, როგორც კრებითი სახელწოდება განსაკუთრებული ჟანრისა, მარტივი, სადა, მხიარული, ქუჩური სიმღერისა ხალხური ხასიათით, მსუბუქი მელოდიური კომპოზიციით, დამცინავ-სატირული შინაარსითა და თავისი წარმომავლობით დაკავშირებული ვირის ველის სოფლებთან. ამით ხსნიან სახელწოდების შემდგომ ტრასფორმაციას: Val de Vire-იდან Voix de vill-მდე („სოფლის ხმა“) (Волькенштейн... 1925).

¹ ფრანგ. „ვირის ველის სიმღერა“.

² ამ უკანასკნელმა გამოსცა ლექსების კრებული სათაურით: ‘Vaux de vire nouveaux’. ლეგუსა და ბასსელენის მიბაძვით, პარიზში ქმნიდნენ მსუბუქ სახუმარო სიმღერებს, რომლებსაც ხშირად პონ-ნევის ხიდზე მღეროდნენ მოხეტიალე მომღერლები.

³ http://www.ehow.com/about_4572346_what-is-vaudeville.html

⁴ <http://www.newadvent.org/cathen/11104a.htm>

⁵ უცხ. სიტყვ. ლექს.: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=14909>

⁶ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=7&t=202>

⁷ აღნიშნავენ, რომ ვოდვეილებში ჩართული იყო ყველა სახალისო ნომერი, რომელსაც შეეძლო, მაყურებლის ყურადღება მიეხიდა სამ წუთზე მეტი ხნის განმავლობაში.

უმაკოვის განმარტებით ლექსიკონში ვოდვეილი ასეა განსაზღვრული: „კომიკური პიესა ფარსის ხასიათით, წარმოშობით კუპლეტების სიმღერა“ (Ушаков 1935-1940). მის სინონიმებად დასახელებულია: სანახაობა, ტელეფოდვეილი, ფარსი, ხუმრობა.

რუსული ენის გალიციზმების ისტორიულ ლექსიკონში მისი რამდენიმე განსაზღვრება მოცემულია: „ხალხური სიმღერების სახეობა, რომელიც გავრცელებული იყო საფრანგეთში; თეატრალური პიესის ფინალი, სადაც ყველა მოქმედი პირი კითხულობს კუპლეტებს; მსუბუქი ჟანრის მოკლე დრამატული ნაწარმოები ინტრიგით, სასიმღერო-კუპლეტებითა და ცეკვებით; არასერიოზული ისტორია, ფარსი“ (Епишкин 2010).

ინგლისურენოვან ინტერნეტ ლექსიკონში მისი განმარტება ასეა ფორმულირებული: „1. თეატრალური სანახაობა, რომელიც შედგება ინდივიდუალური წარმოდგენებისგან: შერეული ნომრებისგან, რომელშიც მონაწილეობენ კომედიანტები, მომღერლები, მოცეკვავეები, აკრობატები, ილუზიონისტები; 2. მსუბუქი, ან გასართობი ხასიათის თეატრალური პიესა, რომელშიც შერეულია სიმღერები და ცეკვები; 3. სატირული კაბარე სიმღერა.“¹

სხვადასხვა დროს გამოცემულ რუსულენოვან უცხო სიტყვათა ლექსიკონებში ჟანრი ასეა დახასიათებული: „მსუბუქი თეატრალური ნაწარმოები, რომელშიც საუბარი შერეულია სიმღერასთან. ხშირად შედგება ერთი მოქმედებისაგან“ (Павленков 1907).

„მსუბუქი სატირული, ან იუმორისტული შინაარსის პიესა, წარმოდგენილი თეატრის სცენაზე, უპირატესად ერთ აქტში“ (Попов 1907).

„მხიარული, გასართობი შინაარსის თეატრალური პიესების სახეობა სიმღერით. წარმოიშვა საფრანგეთში მე-14 საუკუნის ბოლოს, სადაც ოლივიე ქმნიდა მხიარულ სუფრის სიმღერებს“ (Чудинов 1910).

„კომედიური ხასიათის თეატრალური პიესა კუპლეტებითა და ცეკვებით“ (Комлев 2006).

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონებში ის ყველგან თეატრალურ ჟანრშია განხილული.

ვოდვეილმა განვითარების საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო. მისი განვითარების თავისებურებები განსხვავებული იყო სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში. ამიტომ, როდესაც კითხვა ისმის, რა არის ვოდვეილი, პასუხი ცალსახა ვერ იქნება: გააჩნია, სად და როდის.

ქვემოთ მოკლედ ვაჩვენებთ განვითარების ამ საინტერესო გზას:

მე-17 საუკუნის II ნახევარში საფრანგეთში გაჩნდა მცირე თეატრალური პიესები „ვოდვეილის“ სახელწოდებით.

მე-18 საუკუნის შუა წლებში ვოდვეილი გამოიყო ცალკე თეატრალურ ჟანრად.

მე-18 საუკუნეში ფრანგი დრამატურგები თავიანთ კომედიებში რთავდნენ სასიმღერო კუპლეტებს, ანუ, ვოდვეილებს.² ამისთვის თავდაპირველად იყენებდნენ პოპულარულ და კარგად ნაცნობ მელოდიებს, შემდეგ კი პროფესიონალმა კომპოზიტორებმა დაიწყეს ორიგინალური მუსიკის შექმნა სპეციალურად ვოდვეილებისათვის. შეიცვალა ტექსტის სტრუქტურაც: ბალადური ტიპის პოემიდან ის იქცა მწვავე შინაარსის მქონე ტექსტებად. შემდგომი პერიოდის განმავლობაში კი მან დაკარგა სატირული ხასიათი და იქცა გასართობად პოლიტიკური დატვირთვის გარეშე.

ვოკალური მუსიკა „დიდ“ კომედიაში თანდათან იწოდებოდა ვოდვეილად (ჯინ-ფრანსუა რეგნარდიდან (1655-1709) მოყოლებული პიერ ბომარშემდე (1732-1799).

დრამატურგებმა და რეჟისორებმა – ფ. პიისმა (1755-1832) და მ. ბარემ (1749-1832)³ 1792 წლის 12 იანვარს პარიზში, პატარა პანთეონის დარბაზში გახსნეს ვოდვეილის თეატრი. მან მალე მოიპოვა პოპულარობა და კონკურენციას უწევდა პარიზის სხვა პატარა თეატრებს.

მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის ვოდვეილი მთელ ევროპაში გავრცელდა. ამ პერიოდისთვის ის ჩანართი სასიმღერო კუპლეტიდან თანდათან იქცა თეატრალური წარმოდგენის მნიშვნელოვან ნაწილად, მოქმედების განვითარების საშუალებად. სახელმა „ვოდვეილმა“ გაიფართოვა თავისი მნიშვნელობა – მის ქვეშ უკვე მოიაზრებოდა გარკვეული ტიპის დრამატული პიესა.

ასეთი პიესები საფრანგეთში იდგმებოდა სხვადასხვა კომპანიის მიერ ქალაქის სავაჭრო ადგილებში. მოგვიანებით ანგელა პაო თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ საბაზრო ადგილების

¹ <http://dictionary.reference.com/browse/vaudeville>.

² მაგალითად, მე-18 საუკუნის ცნობილი ფრანგმა რომანისტმა და დრამატურგმა ალენ რენე ლესაჟმა (1668-1747), ლ. ფიუზელესა და მ. დორნევალთან ერთად, მსგავსი შინაარსის ტექსტები შეადგინა კომიკური ოპერებისა და ბაზრის თეატრებისთვის.

³ ისინი ეპაექრობდნენ ფრანგ დრამატურგს, ლიბრეტისტსა და კომიკური ოპერის მმართველს – მიქელ-ჯინ სედენს (Michel-Jean Sedaine) (1719-1797), იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პარიზელები ვალდებულები იყვნენ, ჰქონოდათ ვოდვეილის თეატრი.

დასების უმრავლესობამ დაიწყო გადაადგილება ბულგარებიდან ტამრისაკენ, რომელიც მდებარეობდა პარიზის ჩრდილოეთ ნაწილში 1750-იანი წლების ბოლოსა და 1760-იან წლებში (Pao 1998).

1815-1830 წლების წარმოდგენებში ვოდვეილი ლიდერობდა კომიკურ ჟანრებს შორის. შემდგომი 50 წლის განმავლობაში იგი იყო წამყვანი და საყვარელი ჟანრი პარიზელებისათვის. ის დღესაც განიხილება, როგორც ფრანგული კულტურის ნაწილი.

ჟანრის კლასიკოსებად საფრანგეთში აღიარებულნი არიან დრამატურგი და ლიბრეტისტი ეჟენ სკრიბი (1791-1861) და დრამატურგი ეჟენ ლაბიში (1815-1888). ეჟენ სკრიბს ეკუთვნის 150-მდე ვოდვეილი. მისი ვოდვეილები – „ჭიქა წყალი“ და „ადრიენა ლეკუვერერი“ – განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში XIX საუკუნის 30-40-იან წლებში. ეჟენ ლაბიშის ვოდვეილი „ჩალის ქუდი“ კი დღესაც წარმატებით იდგმება მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენებზე.

მართალია, საკმაოდ ბევრი ავტორი მუშაობდა ვოდვეილის ჟანრში, მაგ., კაპელი, გუფე, ლოჟონი, დეზოგერი, მაგრამ მას განსაკუთრებული წარმატება და პოპულარობა მოუტანეს სწორედ სკრიბმა და ლაბიშმა და ის ლიტერატურულადაც საპატივსაცემო გახადეს (Tselebrovski 2003: 18).

ევროპიდან ვოდვეილი რუსეთსა და ამერიკაში გავრცელდა.

რუსეთში ვოდვეილის პროტოტიპად თვლიან მე-17 საუკუნის ბოლოს შექმნილ მცირე კომიკურ ოპერას, რომელიც რუსული თეატრის რეპერტუარში შედიოდა მე-19 ს-ის დასაწყისისთვისაც.

ადრეული პერიოდის ვოდვეილებია: კნიაჟინის 'Сбитеньщик', ნიკოლაევის 'Опекун-Профессор' და 'Несчастье от кареты', ლევინის 'Мнимые вдовцы', მატინსკის 'Санкт-Петербургский Гостинный двор', კრილოვის 'Кофейница; და სხვ. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა აბლესიმოვის ოპერა-ვოდვეილი 'Мельник-колдун, обманщик и сват', რომელიც დაიდგა 1779 წელს.

მე-18 საუკუნის II ნახევრიდან ვოდვეილს რუსეთში თან ახლდა მუსიკა. ამით აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ მთელი ვოდვეილის ტექსტი იწერებოდა ლექსად (მაგ., აბლესიმოვის 'Мельник, колдун, обманщик и сват').

მოგვიანებით ვოდვეილი რუსეთში ქალაქურ სიმღერებად იქცა. მასში დასცინოდნენ ფეოდალებს, რომლებიც აბსოლუტიზმის ეპოქაში მიიჩნეოდნენ მონარქიული ხელისუფლების მთავარ მტრებად.

ვოდვეილის განვითარების შემდგომი ეტაპი იყო პიესა 'Маленькая комедия с музыкой', როგორც მას განსაზღვრავს ბულგარინი. ის განსაკუთრებით გავრცელდა მე-19 ს-ის 20-იანი წლებიდან. ამგვარი ვოდვეილის ტიპურ ნიმუშებად ბულგარინი ასახელებს შახოვსკოის ვოდვეილებს: 'Казак-стихотворец', 'Ломоносов'.¹

მე-19 ს-ის დასაწყისისთვის რუსეთში პოპულარული იყო ვოდვეილის შექმნა ამა თუ იმ მსახიობის ბენეფისისთვის (ეს საქმიანობა განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ახალგაზრდა წარჩინებულ გვარდიელთა შორის). მაგ., ვოდვეილი 'Своя семья, или замужняя невеста' 1817 წელს მ. ი. ვალბერხოვისთვის დაწერა ალექსანდრე გრიბოედოვმა ა. ა. შახოვსკოისთან და ნ. ი. ხმელნიცკისთან თანავტორობით.

რუსული ვოდვეილის განვითარების ისტორიაში გამოყოფენ ორ ეტაპს: პირველი იწყება 1812 წლიდან, როდესაც შახოვსკოის პირველი ორიგინალური ვოდვეილი დაიწერა სანკ-პეტერბურგში, და გრძელდება 1825 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა რუსეთის მეფე ალექსანდრე I და ტახტზე ავიდა მისი შვილი ნიკოლოზ I. ამას უწოდებენ არისტოკრატიულ პერიოდს.

მეორე პერიოდი, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც დემოკრატიულ-რაზნოჩინურს, მოიცავს 1826-1855 წლებს, როცა მეფობდა ნიკოლოზ I. ასეთი დაყოფის საფუძველია ის, რომ პოლიტიკური მოვლენები რუსულ საზოგადოებაში ხშირად იწვევდა ცვლილებებს კულტურულ, სახელოვნებო, თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

პირველი პერიოდის წარმომადგენლები არიან, მაგ.: შახოვსკოი, ხმელნიცკი, გრიბოედოვი, პისარევი, ხოლო II პერიოდს მიეკუთვნებიან კონი, კარატიგინი, ნეკრასოვი და სხვები.

რუსეთში ვოდვეილს, უმრავლეს შემთხვევაში, წარმომადგენდნენ ხოლმე სერიოზული დრამის, ან ტრაგედიის შემდეგ. ამით განისაზღვრებოდა მისი მოცულობის სიმცირე, თუმცა რუსულ სინამდვილეში ცნობილია არა მხოლოდ სამმოქმედებიანი, არამედ ხუთმოქმედებიანი ვოდვეილებიც. მაგ., დიდი წარმატებით სარგებლობდა დ. თ. ლენსკის 5-მოქმედებიანი ვოდვეილი 'Лев Гурыч Синичкин или провинциальная дебитантка', რომელიც გადმოკეთებული იყო ფრანგული პიესიდან 'Отец дебитантки' (დაიდგა 1839 წელს). ეს პიესა რეპერტუარში დარჩა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (Волькенштейн 1925).

¹ ამ პიესის მნიშვნელობას ფ. ვიგელი ხაზს უსვამდა თავის „ჩანაწერებში“: „განსაკუთრებით ყურადსაღებია იმით, რომ პირველად გამოვიდა სცენაზე ვოდვეილის ნამდვილი სახელწოდებით.“

ვოდველით გატაცება საკმაოდ დიდი იყო. 1840 წლის ოქტომბერში პეტერბურგის ალექსანდრეს თეატრში დაიდგა 25 სპექტაკლი, რომელთაგან თითქმის თითოეულში შედიოდა ერთი-ორი ვოდველი.

ყოველ სეზონზე რუსეთში (მოსკოვსა და სანკ-პეტერბურგში) 200-300 ახალი ვოდველი იდგმებოდა.

თავდაპირველად ვოდველი იწერებოდა ლექსებად, რომლებიც შემდეგ მონაცვლეობდა პროზაულ დიალოგებთან, ხშირი იყო ერთი და იმავე კუპლეტების გამეორება პუბლიკისკენ მიმართვით. მოგვიანო პერიოდში კუპლეტები და მუსიკა აღარ იყო აუცილებელი.

რუსული ვოდველის აყვავება მოდის 1820-1840-იან წლებზე. ამ დროს მოღვაწეობდნენ ალექსანდრე შახოვსკოი (1777-1846),¹ დიმიტრი ლენსკი (1805-1860),² პეტრე კარატიგინი (1805-1879),³ თეოდორე კონი (1809-1879),⁴ ნიკოლოზ ნეკრასოვი (1821-1877/78) და სხვები.

ვოდველის ცნობილი რუსი მსახიობები არიან: მიხეილ შჩეპკინი (1788-1863),⁵ ვასილი ჟივოკინი (1805/7-1874), კონსტანტინე ვარლამოვი (1848-1915) და სხვები.

ვოდველის წერას არ თავილობდნენ კლასიკოსებიც. 1888 წლის 23 თებერვალს ანტონ ჩეხოვი (1860-1904) ერთ-ერთ თავის პიესაში აღიარებდა: „როდესაც წერით ვიღლები, ვიწყებ ვოდველის წერას და ამით ცხოვრებას. მეჩვენება, რომ მე შევძლებდი, დამეწერა 100-ობით ვოდველი წელიწადში.“ იმ პერიოდში მან დაწერა ხუმრობები ვოდველის სტილში: ‘О вреде табака’, ‘Медвед’, ‘Предложение’.⁶

არსებობს შეხედულება, რომ პუშკინიც არ იყო გულგრილი ამ გატაცების მიმართ და ახლო მეგობრების თხოვნით ქმნიდა ვოდველებს, თუმცა უეჭველი ტექსტები მისი ავტორობით არ დასტურდება.

დაახლოებით 40-იანი წლებიდან რუსულ ვოდველში შეინიშნება ცვლილებები შინაარსის თვალსაზრისით, მასში ჩნდება მწვავე სიუჟეტისა და პოლემიკის ელემენტები, რამაც მას კიდევ უფრო დიდი წარმატება მოუტანა. ამასთან, ამ პერიოდის ვოდველებში უკვე შეინიშნება მსახიობების ჩანართები თამაშის დროს, რაც იმპროვიზაციას ეფუძნებოდა.

60-იანი წლების ბოლოს რუსეთში ასევე საფრანგეთიდან შემოვიდა ოპერეტა, რომელმაც შეასუსტა ვოდველით გატაცება. მიუხედავად ამისა, ვოდველი საკმაოდ დიდხანს დარჩა რუსული თეატრის რეპერტუარში. მისი შესამჩნევი დადმასვლა იწყება მხოლოდ 80-იანი წლებიდან. თუმცა მიიჩნევენ, რომ ვოდველი, როგორც ჟანრმა, რუსეთში თავისი არსებობა დაამთავრა უფრო ადრე – 1850-იან წლებში.⁷

ვოდველის არსებით მახასიათებელ ნიშნებად რუსულ ლიტერატურაში დასახელებულია:

1. დრამატული წინააღმდეგობები კომედიურ პლანში;
2. კომედიური დარღვევის გამოხატვა რომელიმე მეტად არამნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ნორმისა, მაგ., სტუმართმოყვარეობისა, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ა. შ;
3. დარღვეული ნორმის ნაკლებმნიშვნელობის გამო, ვოდველის დასვლა ჩვეულებრივ მწვავე მოკლე წინააღმდეგობებამდე ერთ სცენაში;
4. მოცულობის სიმცირის გამო, კომიკური ელემენტების განსაკუთრებული სიჭარბე კომედიასთან შედარებით;

¹ რუსი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი, პედაგოგი, კრიტიკოსი, საიმპერატორო თეატრების სარეპერტუარო კომისიისა და რუსეთის აკადემიის წევრი (1810). თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მართავდა თეატრებს პეტერბურგში. მისმა პიესებმა ხელი შეუწყო რუსული ეროვნული კომედიის ფორმირებას. მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი პიესა.

² რუსი მწერალი, მთარგმნელი, მსახიობი, ხლესტაკოვის როლის პირველი შემსრულებელი გოგოლის კომედიაში „რევიზორი.“ ბელინსკი მას საუკეთესო ვოდველისტად მოიხსენიებდა.

³ რუსი დრამატურგი და მსახიობი. ცნობილია, როგორც ეპიზოდური კომიკური როლების შემსრულებელი, დაწერა დაახლოებით 70 პიესა, რომელთა შორის 46 ვოდველია, აქედან 20 – ორიგინალური, დანარჩენი – გადაკეთებულები ფრანგული ვოდველებიდან. მისი საუკეთესო ვოდველებია: ‘ом на Петербургской стороне, или искусство не платить за квартиру’(1838. გამოიცა 1943 წელს); ‘Ложа 1-го яруса на последний дебют Тальони’ (1838), ‘Булочная, или Петербургский немец’(1843), ‘Вицмундир’(1845), ‘Натуральная школа’(1847) და სხვ.

⁴ რუსი დრამატურგი, თეატრალური კრიტიკოსი, თეატრის ისტორიკოსი, მემუარისტი. 1833 წელს გამოვიდა მისი ვოდველი ‘Принц с хохлом, бельмом и горбом’. ამას მოჰყვა სხვა ვოდველები და აგრეთვე მოკლე კომედიები: ‘В тихом омуте черти водятся’, ‘Женишок-горбунок’, ‘Покойник-муж и вдова его’, ‘Женская натура’, ‘Не влюбляйся без памяти, не женись без расчета’, ‘Деловой человек’, ‘Петербургские квартиры’, ‘Всякий черт – Иван Иванович’, ‘Беда от сердца и горе от ума’, ‘Чему посмеешься – тому поработаешь’.

⁵ რუსული სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

⁶ <http://feb-web.ru/feb/litenc/encyclp/le2/le2-2706.htm>

⁷ 1979 წელს რუსეთში გადაიღეს მხატვრული მუსიკალური ფილმი: „ეხ, ვოდველი, ვოდველი“ პეტრე გრიგორიევის ხუმრობა-ვოდველის – „რუსი მსახიობის ქალიშვილი“ – მოტივზე (ფილმის რეჟისორი – გიორგი იუნგვალდი-ხილკევიჩი).

5. კომიზმის ჰიპერბოლურობის გამო, მოქმედების სწრაფი განვითარება;

6. სასაუბრო მეტყველების სიჭარბე;

ამრიგად, ვოდვეილმა ევროპასა და რუსეთში განვითარების საკმაოდ საინტერესო გზა განვლო. საფრანგეთში ის თავდაპირველად იყო მსუბუქი, გასართობი ხასიათის თეატრალური პიესა, რომელშიც შერეული იყო სიმღერები და ცეკვები. შემდეგში გადაიზარდა მწვავე შინაარსის მქონე ტექსტებში, მოგვიანებით კი ისევ დაკარგა სატირული ხასიათი და იქცა გასართობად პოლიტიკური დატვირთვის გარეშე. მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის ევროპაში შეადგენდა თეატრალური წარმოდგენის მნიშვნელოვან ნაწილს, მოქმედების განვითარების საშუალებას.

1815-1830 წლების წარმოდგენებში იგი ლიდერობდა კომიკურ ჟანრებს შორის. შემდგომი 50 წლის განმავლობაშიც ის იყო წამყვანი და საყვარელი ჟანრი პარიზელებისათვის. ის დღესაც განიხილება, როგორც ფრანგული კულტურის ნაწილი.

რუსეთში ვოდვეილი ევროპიდან გავრცელდა. მე-18 საუკუნის II ნახევრიდან მას თან ახლდა მუსიკა. მე-19 ს-ის დასაწყისისთვის რუსეთში პოპულარული იყო ვოდვეილის შექმნა ამა თუ იმ მსახიობის ბენეფისისთვის. დაახლოებით 40-იანი წლებიდან რუსულ ვოდვეილში შეინიშნება ცვლილებები შინაარსის თვალსაზრისით, მასში ჩნდება მწვავე სიუჟეტისა და პოლემიკის ელემენტები, რამაც მას კიდევ უფრო დიდი წარმატება მოუტანა.

რუსული ვოდვეილის განვითარების ისტორიაში გამოყოფენ ორ ეტაპს: პირველი მოიცავს 1812-1825 წლებს და მეორე - 1826-1855 წლებს. ასეთი დაყოფის საფუძველია ის, რომ პოლიტიკური მოვლენები რუსულ საზოგადოებაში ხშირად იწვევდა ცვლილებებს კულტურულ, სახელოვნებო, თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში. რუსული ვოდვეილის აყვავება მოდის 1820-1840-იან წლებზე.

60-იანი წლების ბოლოს რუსეთში ასევე საფრანგეთიდან შემოვიდა ოპერეტა, რომელმაც შეასუსტა ვოდვეილით გატაცება. მიუხედავად ამისა, ვოდვეილი საკმაოდ დიდხანს დარჩა რუსული თეატრის რეპერტუარში. მისი შესამჩნევი დაღმასვლა იწყება მხოლოდ 80-იანი წლებიდან. თუმცა მიიჩნევენ, რომ ვოდვეილმა, როგორც ჟანრმა, რუსეთში თავისი არსებობა დაამთავრა უფრო ადრე - 1850-იან წლებში.

ლიტერატურა:

1. გიორგაძე, გ., კარტოზია, გ. (1974). საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ცენტრ. სამეც. ბიბ-კა, მე-2 შვეს. და გადაამუშ. გამოც., თბ.
2. Волькенштейн, В., Лысков, Ив. (1925). Литературная энциклопедия: Словарь литературных терминов: В 2-х т. / Под редакцией Н. Бродского, А. Лаврецкого, Э. Лунина, В. Львова-Рогачевского, М. Розанова, В. Чехихина-Ветринского. - М.; Л.: Изд-во Л. Д. Френкель.
3. *Исторический словарь галлицизмов русского языка. Етишкин Н. И.. 2010.*
4. *Полный словарь иностранных слов, вошедших в употребление в русском языке.- Попов, М., 1907.*
5. *Словарь иностранных слов, вошедших в состав русского языка.- Павленков, Ф., 1907.*
6. *Словарь иностранных слов, вошедших в состав русского языка.- Чудинов, А. Н., 1910.*
7. *Словарь иностранных слов. - Комлев Н. Г., 2006.*
8. Толковый словарь русского языка: В 4 т. / Под ред. Д. Н. Ушакова. - М.: Государственный институт «Советская энциклопедия»; ОГИЗ (т. 1); Государственное издательство иностранных и национальных словарей (т. 2-4), 1935—1940
9. Hirsch, JR. E. D., Joseph, F. Kett, James, Trefil (2002). *The New Dictionary of Cultural Literacy: What Every American Needs to Know*, Boston, New York.
10. McLean, A. F. Jr., *American Vaudeville as Ritual (1965). Theatre History. Book 3.* http://uknowledge.uky.edu/upk_theatre_history/3
11. Pao A. C., (1998). *The Orient of the Boulevards: Exoticism, Empire, and Nineteenth-Century French Theater*, Philadelphia, Pennsylvania: University of Pennsylvania Press.
12. Tselebrovski, A. V. (2003). *The History of Russian Vaudeville from 1800 to 1850: A Dissertation Submitted to the Graduate Faculty of the Louisiana State University and Agricultural and Mechanical College in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy in The Department of Theatre:* http://etd.lsu.edu/docs/available/etd-0130103-053846/unrestricted/Tselebrovski_dis.pdf

ინტერნეტ წყაროები:

1. http://www.ehow.com/about_4572346_what-is-vaudeville.html
2. <http://www.newadvent.org/cathen/11104a.htm>
3. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=14909>
4. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=7&t=202>
5. <http://dictionary.reference.com/browse/vaudeville>
6. <http://feb-web.ru/feb/litenc/encyclop/le2/le2-2706.htm>

Ketevan Gigashvili, Mzia Gigashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
ESSENCE OF THE VAUDEVILLE AND ITS BASIC FEATURES IN EUROPE AND RUSSIA
RESUME

Vaudeville have passed quite interesting way of the development in Europe and Russia. In France it was first a light, entertaining theatrical play, mixed with songs and dances. Afterwards it overgrew into the texts of the acute nature, later it again lost satirical character and became entertaining without political load. In the early 19th century in Europe it constituted an important part of the theatrical performance, the means of development of act.

In the performances of 1815-1830 years it was leader among the comic genres. During following 50 years it was again leading and favorite genre for Parisians. He is still regarded as a part of French culture.

Vaudeville spread in Russia from Europe. From the second half of 18th century he was accompanied by music. In the beginning of the 19th century in Russia it was popular creating vaudeville for benefit performance of the actor. From 40-ies in the Russian vaudeville there observed changes in terms of content, in it there appeared sharp polemic elements that led it to even greater success.

In the history of development of Russian vaudeville there have been singled out two stages: the first covers the years 1812-1825 and the second - 1826-1855 years. Such a division is due to the political events often leading to changes in the cultural, artistic, or literary life. Russian vaudeville flourish comes to the 1820-1840-ies.

Late 60-ies in Russia there appeared operetta from France, which has weakened the passion for vaudeville. Nevertheless, vaudeville left in the Russian theater repertoire for a long time. His noticeable decline begins only in 80-ies, but it ceased to exist as a genre much more early - in the 1850-ies.

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქართულ-პოლონური ლიტერატურული დიალოგის დასაწყისი
(XIX საუკუნის I ნახევარი)

კულტურათმორისი დიალოგი ცივილიზებული სამყაროს არსებობის განუყოფელი ნაწილია. არაიშვიათად, გეოგრაფიულად სხვადასხვა მდებარეობის, ეთნიკურად მკვეთრად გამორჩეული კულტურები პოლიტიკური თუ სავაჭრო ურთიერთობის პროცესში საკმაოდ ახლოვდებიან. ამის მაგალითად წარმოგვიდგება კიდევ საქართველო და პოლონეთი, რომელთა კონტაქტების ისტორია XV საუკუნიდან იღებს სათავეს (ანჯეი ვოჟნიაკი). რეჩ პოსპოლიტას ლაშქარში, თურმე, სხვა უცხოელებთან ერთად ქართველებსაც უმსახურიათ, მაგრამ XVIII საუკუნიდან ინფორმაციები პოლონეთში სტუმრად მყოფ ქართველებზე შედარებით იშვიათ გამონაკლისს თუ წარმოადგენდა. რეჩ პოსპოლიტას დაშლას მოჰყვა პოლონეთისათვის მისი რამდენიმედ დანაწილების, 1794 წლის აჯანყების, განსაკუთრებით, ვენის კონგრესის შემდგომ ქვეყნის პროგრესული ძალები სწორედ XIX საუკუნის 30-იან წლებში იწყებენ ეროვნულ მოძრაობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის იმპერიაში ძალით მოქცეული ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორც საქართველო იყო. XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოში ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის სხვადასხვა ტიპის საბრძოლო გამოსვლები დაიწყო (1802 წლის სამეფო კარის აჯანყება, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება და სხვ.), რასაც მოჰყვა 1832 წლის ცნობილი თავადაზნაურთა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა რუსული მმართველობის დამხობას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. შეთქმულ ქართველთა ჯგუფი ამ მამულიშვილურ საქმეს ლოკალურ იერს არ აძლევდა. მათი მთავარი მიზანი (ოქროპირ ბატონიშვილის თაოსნობით) საფრანგეთ-ინგლისისაგან დახმარების მიღება იყო. „მაგრამ შეთქმულთა ყველაზე საიმედო მოკავშირე მაინც პოლონეთის აჯანყება იყო, რომელიც 1830 წლის ნოემბერში დაიწყო და თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა“ (რ. გრძელიძე 1993:19) „აღ. ორბელიანი

გამოდიებას უჩვენებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა, წარმომხმარებელმა პოლონელმა პ. ზავილეისკიმ იგი ერთ დღეს, ღამის 11 საათზე, თავისთან დაიბარა და წინადადება მისცა დაეწყოთ არეულობა. შეთქმულებს მართლაც ჰქონდათ განზრახული გამოსვლა 1831 წლის ზაფხულისათვის“ (რ. გრძელიძე 1993:19) ალ. ორბელიანის გადმოცემით: „გვექონდა შეთქმულება და განკარგულებაც იყო მოხდენილი, თუ რომელ ჩვენგანს როგორ უნდა ემოქმედა, მაგრამ ვუცდიდით მხოლოდ ამბავს, აიღებდნენ თუ ვერა რუსები ვარშავას? მაგრამ როგორც კი მივიღეთ ქალაქის აღების შესახებ ცნობა, ჩვენი საქმე ჩაიშალა“ (გ. გოზალიშვილი I, 1970:53). 1831 წლის სექტემბერში გენერალ-ფელდმარშალ პასკევიჩის (1782-1856) ჯარებმა ვარშავა აიღეს და სწორედ ამიტომაც მიიღო მან ტიტული „Светл. князь Варшавский“. პასკევიჩი კავკასიის მთავარმართებელიც იყო 1827-1831 წ.წ., ხოლო „პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დაინიშნა მეფისნაცვლად „პოლონეთის სამეფოში“ (გრ. ორბელიანი 1959:545) პასკევიჩისადმი მიძღვნილ ზეიმს კოვნოს მახლობლად ბანაკში შესწრებია 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ამისათვის დასჯილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი (1804-1883). „ხუთი წელი გაატარა გრიგოლმა აჯანყებულ და შემდეგ დამარცხებულ პოლონეთში, სადაც მოსახლეობას მკაცრი რეპრესიებით აშოშმინებდა გენერალი პასკევიჩი, მისი ყოფილი უფროსი კავკასიაში“ (გრ. ორბელიანი 1959:08).

რაც შეეხება პ. ზავილეისკის, საქართველოში შეთქმულების ჩახშობის შემდეგ, ის, ეტყობა, სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა, რაზედაც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ირაკლი ანდრონიკოვი გაზეთ „Неделя“-ში (1968 წლის №28-29 ნოემბერში) გამოქვეყნებულ წერილში „ვასილი ზავილეისკის*1 რვეული“. ვასილი ზავილეისკი იყო პეტრე დემიანის ძე ზავილეისკის ძმისშვილი, რომელიც არაერთხელ სტუმრობდა მას და დაკვირვებით აღწერდა თავის დღიურებში შთაბეჭდილებებს, რომელთა ნაწილი ეხება პოეტს, გენერალ-ლეიტენანტს ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეს (1786-1846). პ. ზავილეისკი მეგობრობდა ა. გრიბოე-დოვთან და ალექსანდრე ჭავჭავაძის მთელ ოჯახთან. როდესაც 1832 წლის შეთქმულება გამჟღავნდა, ისიც საეჭვო პირი აღმოჩნდა და ჯერ პეტერბურგში გაგზავნეს საქმის გამოსაძიებლად. მაგრამ, რამდენადაც ვერ დაუმტკიცდა ბრალდება, სამსახურიც მისცეს ფინანსთა სამინისტროში. იქ, ფონტანკაზე, მისი სტუმარია ჯერ ტამბოვში გადასახლებული, შემდგომ სანკტ-პეტერბურგში 3 წლით გამწესებული (შინაპატიმრობაში) ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე. სწორედ აქ, 1834 წელს, პეტერბურგელმა გამომცემელმა ადოლფ პლიუმარმა გადაწყვიტა გამოეცა მრავალტომიანი „ენციკლოპედიური ლექსიკონი“. პირველი ტომი გამოვიდა 1835 წელს. და აი სტატიაც ლექსიკონისათვის კავკასიაზე, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ ვ.ნ. გრიგორიევი და ვ.ს. ლეგკობიტოვი. მათთან ერთადაა ზავილეისკის ოჯახის სტუმარი ალექსანდრე ჭავჭავაძეც, რომლის გვარი დასახელებულია ხელისმომწერთა სიაში.

შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე პოეტი და დრამატურგი გიორგი დავითის ძე ერისთავი (1811-1864), მიაკუთვნეს რა დამნაშავეთა მეოთხე კატეგორიას, ყმაწვილკაცობის გამო, მცირეოდნად დაინდეს, გაგზავნეს პოლონეთში ფეხოსანთა პოლკში: „მას უხდებოდა ყოფნა სხვადასხვა ქალაქში - ვილნოში (ვილინიუსში), ბელოსტოკში, კოვნოში (კაუნასში), ვარშავაში... ფაქტობრივად გიორგი ერისთავი იყო პირველი ქართველი ინტელიგენტი, პირველი მწერალი, რომელმაც ხანგრძლივად იცხოვრა პოლონეთში - შვიდ წელზე მეტი, შეისწავლა პოლონური ენა, გაიცნო პოლონური მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელთა თხზულებები, მოიხიბლა ადამ მიცკევიჩით, ბევრი მისი ლექსი ქართულად თარგმნა.

როგორც ცნობილია, შეთქმულების გამომჟღავნებამდე ერთი წლით ადრე, პოლონეთის აჯანყება რუს დამპყობელთა წინააღმდეგ დამარცხდა. ამან ერთგვარად ქართველებსაც გაუტეხა გული. მათი მარცხი გარკვეულწილად ამანაც განაპირობა, მაგრამ დამარცხებულ და იმედგაცრუებულ პოლონელ და ქართველ პატრიოტებს შორის „წარმოიშვა ურთიერთისადმი სიმპათია, რომელიც შემდეგ აღარ განელეზულა“ (გერონტი ქიქოძე).

როგორც ჩანს, პოლონეთის მოწინავე, განათლებულმა საზოგადოებამაც გულთბილად მიიღო მათსავით „ბედითა მწარით“ ჩაგრული პოეტი“ - წერს ლადო მინაშვილი (ქართული ლიტერატურა II 2003:114-115) და ეს ვრცელი ამონარიდი, სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელიც გიორგი ერისთავმა შეასრულა სწორედ ქართულ-პოლონური კულტურათშორისი ურთიერთობის საფუძვლის ჩაყრის საქმეში.

აქვე აუცილებლად საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის გარემოებაც, რომ ზემოდასახელებული ქალაქები (ვილნო, კოვნო) ლუბლინის უნიით 1569 წლიდან რეჩ პოსპოლიტაში შედიან, ხოლო, როდესაც ვენის კონგრესის ძალით მეფის რუსეთმა „მიიღო ვარშავის საჰერცოგოს უდიდესი ნაწილი, რომელმაც შეადგინა ე.წ. პოლონეთის სამეფო“ (ქსე, ტ.8 1984:145-146). (ვილნო და კოვნო, თანამედროვე ლიტვის რესპუბლიკის ქალაქები ვილინიუსი და კაუნასი, მაშინ პოლონეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა).

¹ ქართულ წყაროებში პ. ზავილეისკია, ანდრონიკოვთან პ. ზავილეისკი. სტატიაში ჩვენ გამოვიყენებთ ზავილეისკის.

გიორგი ერისთავი გადასახლებაში ნახულობს გრიგოლ ორბელიანს. მათ შორის გაიბა მეტად აქტიური მიმოწერა, სადაც ორივე ყვება თავის სატრფიალო თავგადასავლებზე, სამხედრო წარმატებებსა და სამშობლოზე სევდა-ნალველით აღსავსე განწყობილებებზე. ეს განსაკუთრებით მძაფრად გაისმის გიორგი ერისთავის ერთ ლექსში „თ. სვიმონ მაჩაბელს“:

„მივალ, გარნალა სული აქ მრჩების,
მუნ სევდის ქოხი ობლად დამშთების,
უწყი, სოფელი არს სამჭვრეტელო,
ყველა დასჭკნების, ვით მწვანე მდელო“.
(გ. ერისთავი 1966:9)

პოეტის სულის თანაზიარი არაიშვიათად პოლონელი მაღალი წრის ქალბატონია. მათ უძღვნის გ. ერისთავი თავის ლექსებს: „პელაგია არცმოვიჩის ქალს“ „როზალია ბიშპინგის ქალს“, „თეოდოსია მირეცკას“.

ბელასტოკში, 1837 წლის 7 ნოემბერს, 14 წლის ქალიშვილის პელაგია არცმოვიჩას სიმღერით მოხიბლული პოეტი, თითქოს ერთგვარ ნუგეშს იღებს:

„უცხოს ქვეყანას მეც სვისაგან გადმოგდებულსა,
შენი ციური მღერა ესრეთ მანუგემბდის,
ვითა პატიმარს სასიკვდილოდ გამზადებულსა,
რა უეცრად თავისუფლების ნება ეცემის“.
(გ. ერისთავი 1936:10)

ვილნოში, 1835 წლის 15 თებერვალს, გ. ერისთავი ერთ ლექსში ერთგვარ აღსარებად აღმოთქვამს უცხო ქვეყნიდან მოსულ ჭაბუკისას, რომელიც თითქოს ბედნიერი უნდა იყოს ახალ გარემოში, ახალ მეგობრებში, მშვენიერი ქალბატონების გვერდით, მაგრამ

„მაგრამ არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი
და სიხარულად მიმაჩნია ვიტირო მისთვის!
სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩვილი,
სად სიჭაბუკის განვატარე დღენი ნეტარნი,
სადა მსუროდა მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი,
გლახ ამ მხარისთვის მეფრქვევიან ცრემლნი მდუღანი!“
(გ. ერისთავი 1936:17)

ლექსი, რომელიც გიორგი ერისთავს 1838 წლის 5 მარტს, ქ. ვოლკოვსკს დაუწერია, მიძღვნილია ვიღაც პოლონელი სამხედრო პირის, მაიორ ანტონ მიცევიჩისადმი (ზოგ ხელნაწერში მიცევიჩია), რომელიც ამავდროულად პოეტიც ყოფილა. სწორედ აქ, მასთან, საუბარში, იპოვა გადასახლებულმა ახალგაზრდამ სულის თანაზიარი:

„ოხ! ვით ტკბიად არს საამო,
მომღერლისათვის იგი სადამო,
რა ჰპოვებს კაცსა ერთისა გრძნობით,
ერთის ოცნებით, ერთისა ცნობით!“
(გ. ერისთავი 1936:11)

და კიდევ თარგმანები, თარგმანები პოლონური ენიდან, რაზეც ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა გ. ერისთავის „პიესების“ წინასიტყვაობაში (გ. ერისთავი თარგმნის ადამ მიცევიჩის)^{*1}

გ. ერისთავს თარგმნილი აქვს ა. მიცევიჩის (1798-1855) 6 ლექსი: „აკერმანის მინდორნი“, „ბალიჩისარაია“, „არამხანის საფლავნი“, „პატოცკას საფლავი“, „აიუდალი“ („ყირიმის სონეტებიდან“) და „გაქსუებული“, ხოლო თავად პოლონელი პოეტის მიერ სხვადასხვა მწერლის თარგმანებიდან ქართულ ენაზე გადმოუღია: პეტრარკას „მოგონება“, „კურთხევა“, შილერის „ხელჯავი“ და „განყოფა სოფლისა“.

„მიუხედავად იმისა, რომ გ. ერისთავის თარგმანები მხატვრულად საკმაოდ დაბალხარისხოვანია, თვით ფაქტი, რომ მან ქართველ მკითხველს პირველად გააცნო პოლონელი პოეტი ადამ მიცევიჩი, მას დიდ ღირსებას ჰმატებს“ (გ. ერისთავი 2014:13).

1849 წელს გიორგი ერისთავი წერს პიესას „გაყრა“, რომელიც იქცა ქართული თეატრის პირველ პიესად (1850 წელს). ამ ოთხმოქმედებიან პიესაში პირველად ჩნდება პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტში, განათლებამიღებული ახალგაზრდა ივანე დიდებულისძე და მისი მსახური გაბრიელი. ივანე მამულის ახალმოწყობაზე ოცნებობს ევროპულ ყაიდაზე და მასხარად იგდებს პატრიარქალურ ყოფას. მისი და მსახურ გაბრიელის დიალოგებში არაერთგან იელვებს რუსული ფრაზები და პოლონური

* იხ. გ. ერისთავი „პიესები“, „უნივერსალი“, თბილისი, 2014, გვ. 9-13

ლექსიკა. ივანეს „ვაშავსკი ფრანტს“ უწოდებენ. საქართველოში მისი მოქცევა და აზროვნება სავსებით განსხვავდება ქართული ყოფისა და აზროვნებისაგან.

აქაც და პირველ კომედია-პიესაში „შემოლილი“ გ. ერისთავს მუსიკა და ცეკვა შემოაქვს. საყურადღებოა, რომ პიესის პერსონაჟი ტასო „მაზურკას“ მღერის, რაც რომანტიკული მუსიკისათვისაა დამახასიათებელი და ცნობილი პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის სახელთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება ქართველთა სასწავლებლად წასვლას რუსეთსა და პოლონეთში, ეს პროცესი უფრო მეტად XIX საუკუნის 30-იან წლებიდან აქტიურდება. როგორც ანჯეი ვოჟნიაკი თავის სტატიაში „ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში“, აღნიშნავს, „სტუდენტური გარემო მცირერიცხოვანი, მაგრამ პოლიტიკურად აქტიური იყო. იმ დროისათვის, განათლების ვარშავაში მიღება დიდი პოპულარობით სარგებლობდა პატრიოტულად განწყობილ ქართველ ახალგაზრდებს შორის...“

სწორედ გიორგი ერისთავის სახელთანაა დაკავშირებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე თარგმნა XIX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ჩამოსულ პოლონელ ინჟინერ კაზიმირ (კაზიმეჟ) ლაპჩინსკისთან (1823-1893) ერთად.

ვილნოს ახალგაზრდა ორიენტალისტა ჯგუფის წევრს, კონსტანტინე რდუტლოვსკის, 1831 წელს კრებულში „Noworoczni Litewski na rok 1831“ გამოუქვეყნებია წერილი „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“, რომელშიც განხილულია რუსთაველის პოეტური ხელოვნება, მისი პოპულარობა, მოთხრობილია მისი მოკლე შინაარსი. „პოლონელმა მოღვაწემ პირველმა დაბეჭდა ვრცელი ხალხური გამოცემა ქართველ პოეტზე... მან პირველმა მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას შედარებით სრული ბიოგრაფიული ცნობები რუსთაველზე, პირველად გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტროფის თარგმანი“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში II, 1978:14). მანამდე კი რუსთაველის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ჯერ ბოლოხვიტინოვის, შემდეგ კი მარი ბროსეს თარგმანებმა.

ბევრი საკითხი ქართულ-პოლონური კულტურათმშორისი კომუნიკაციიდან კვლევის პროცესშია, მაგრამ დასკვნისათვის აუცილებელია აღინიშნოს რამდენიმე აუცილებელი მომენტი: XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ქართულ-პოლონური ურთიერთობის გააქტიურება, რასაც ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებებმა:

1. პოლონეთის 1830-1831 აჯანყებისა და საქართველოში 1832 წლის შეთქმულების პერიპეტიებმა და მისმა შედეგებმა;
2. ქართული და პოლონური ლიტერატურის შედეგების თარგმნით დაინტერესებამ ორივე მხრიდან;
3. ქართველი სტუდენტების გამგზავრებამ სწავლის გასაგრძელებლად პოლონეთში.

ლიტერატურა:

- გ. ერისთავი 1966: ერისთავი გ., „თხზულებანი, თბილისი, 1966;
- გ. ერისთავი 1936: ერისთავი გ., თხზულებანი, ფედერაცია, თბილისი, 1936;
- გ. ერისთავი 2014: ერისთავი გ. პიესები, „უნივერსალი“, თბილისი, 2014;
- ქართული ლიტერატურა II, 2009: „ქართული ლიტერატურა II, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003;
- ქსე VIII 1984: ქსე VIII, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1984;
- გრ. ორბელიანი 1959: ორბელიანი გრ., „თხზულებათა სრული კრებული“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1959;
- რ. გრძელიძე 1998: გრძელიძე რ., „1832 წლის შეთქმულება საქართველოში“, თსუ, 1998;
- ა. ჭავჭავაძე 1940: ჭავჭავაძე ა., თხზულებანი, ფედერაცია, თბილისი, 1940;
- რუსთაველი მსოფლიო... II, 1978: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში II, თსუ, თბილისი, 1978;
- И. Андроников 1968: Андроников И., «Тетрадь Василия Завлейского», г. «Неделя», 1968 №28-29

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University
BEGINNING OF GEORGIAN-POLISH LITERARY DIALOGUE
(The I half of the XIX century)
RESUME

The development of close cultural communication between Poland and Georgia in the XIX century are linked to several important factors: a) Both countries were under the yoke of the tsarist autocracy and tried to regain their statehood by means of rebellion (the Polish rebellion of 1830-1831 years, Georgian, aristocratic revolt in 1832); b)

being in a depression after the defeat of the rebellion, the leaders, the participants, the best representatives of the people, were severely punished or deported to other countries of the empire (the Georgians - in Vilna- Kovno, Poles in Georgia); c) Political and social events contributed to the beginning of the new literary connections with the help of the translation work of outstanding writers of both nations; d) Georgian nobles often sent their sons to get higher education in well-known universities of Moscow, St. Petersburg, Warsaw, so, where they often created their own national societies, where they communicated among themselves.

Polish-Georgian literary relations are often reported by the Polish and Georgian journalists, critics and literary critics, especially in the Soviet era. But by the end of the XX century and in the beginning of the XXI century a question about the new revision of the related cultural cardiology has matured, which we tried to present in this article.

*ანა დათუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

სოლარული და ლუნარული მითოლოგია და პერსონიფიცირებული მნათობები მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლების ქართულ პროზაში

როგორც ცნობილია, მითოლოგიური აზროვნების განვითარებაში საეტაპო აღმოჩნდა მითოლოგიური არსის ციდან მიწაზე გადმოტანა, ანუ, ის, რაც ადრე ხდებოდა ცის არენაზე, ღრუბლებს შორის, ელვითა და ჭექა-ქუხილით, ლოკალიზებულ იქნა მიწაზე [აბაშიძე, 1978:3]. 1970-80-იანი წლების ქართულმა ლიტერატურამ სწორედ ცის არენიდან ჩამოიყვანა ქართველთა უძველესი ღვთაებანი - მზე და მთვარე - და პერსონაჟებად აქცია. რატომ მაინცადამაინც მზე და მთვარე, ამაზე თუნდაც ერთი ყველასათვის ცნობილი ხალხური ლექსიც მიგვითითებს:

„მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამაჩემი
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმია ჩემი.“

კავკასიურ-იბერიული ხალხების მითოლოგიური წარმოდგენებისთვის დამახასიათებელია მზის, მთვარისა და სხვა მნათობების პერსონიფიცირება. ქართულ მითებში მთვარე მამაკაცია, მზე - ქალი; ისინი ხან და-ძმანი არიან, ხან - ცოლ-ქმარი, ხან კი - დედა-შვილი. დაღესტნის მთიელები მთვარეს და მზეს ქალიშვილის და ჭაბუკის იერით გამოსახავდნენ, ამასთანავე ზოგიერთ მითში ისინი და-ძმად გვევლინებიან, ზოგში კი - შეყვარებულებად.

ოდითგანვე, მაცოცხლებელ ციურ სხეულებს ადამიანი მოკავშირედ მიიჩნევდა; მეტიც, სისხლით ნათესავებად და ბოროტებასთან ჭიდილში დამხმარედ („სიცივეს კაცი მოუკლავს“). საქართველოში მნათობთა სახელებს არქმევდნენ შვილებს და ამით სიყვარულსაც გამოხატავდნენ მნათობებისადმი და კეთილად ცხოვრების იმედსაც იტოვებდნენ (მზია, მზევინარი, მზისავარი, მთვარისა და ა.შ.).

მზე მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში, ოდითგანვე, ღმერთად მიიჩნეოდა; ეგვიპტელების მთავარი ღმერთი მზე იყო, რომელსაც რა ეწოდებოდა: „ადამიანები მისი ხატები არიან, ის მათთვის ამოდის ცაზე“, - ასე აღწერს რას მითოლოგიური ენციკლოპედია. [საყმაწვილო მითოლოგიური ენციკლოპედია :82] მოგვიანებით ახალი კულტი შეიქმნა, რომელმაც ეგვიპტელების მრავალი ღმერთი სწორედ მზის სახეში გააერთიანა და მას ამონ-რა ეწოდა. მზე ორბიტის ცენტრალურ ციურ სხეულს წარმოადგენს და, სწორედ ამიტომ, მას ყველა ხალხის მითოლოგიაში განსაკუთრებული როლი ენიჭება; იგი გააზრებულია, როგორც მაცოცხლებელი, სასურველი, მაგრამ, იმავდროულად, სახიფათო მოვლენა. მზე ქართულ მითოლოგიურ პანთეონში იესოს სიმბოლოა, რადგან უძველესი მითოსის საფუძველზე იგი გარდაცვლილ და მკვდრეთით აღმდგარ ღმერთს განასახიერებს.

მკვდართა მზე ცნობილი იყო უძველეს ხალხებში, მათ შორის თრაკიელებსა და პაფლაგონიელებში, რომელთაც სწამდათ, რომ დაღლილი მზე მხოლოდ ნეტარ სულებს ეფინებოდა: „თრაკიელთა რელიგიურ წარმოდგენებს უცნაური სიზუსტით ემთხვევა ქართველ მთიელთა ხალხური წარმოდგენები, რომელზეც ვაჟა-ფშაველა მოგვითხრობს: „ფშაველის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის.

საიქიოს ის ემახის „შავეთს. შავეთში მართალნი არიან მკრთალ ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასული მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ ცოტადღა არიან ამ დროს წითლები. ამას ფშაველი ემახის „მკვდართა მზეს“. სვანურად შავეთის მკვდარ ნათელს „მუღიორ რიჰაარ“ ეწოდება. [ჩხენკელი:1989: 11]

მზისა და მთვარის არაერთი პერსონიფიცირებული სახე გვხვდება 1970-80-იანი წლების ქართულ მწერლობაში, მზე განსაკუთრებით პოპულარულია ნოდარ დუმბაძესთან:

„მზეს ხომ ხედავ? მზეც სამებაა - დისკო შარავანდედი და ნათელი. აი, როგორც ესენია განუყოფელი და წარმოუდგენელია მათი ცალ-ცალკე ყოფნა, ისე წარმოუდგენელია ცალ-ცალკე სამებაც, გაიგე?- ჰკითხა მღვდელმა“ [დუმბაძე, 1990:163] მღვდელი თავისი გადასახედიდან უხსნის საბჭოთა პოლიციელს მზიანი ღამის მისტიკას; თუ როგორ შეუძლია უფალს დაბრმავებული სულიერების აღდგენა; ის ცდილობს ჭეშმარიტება დაანახოს და სწორედ ამიტომ აიძულებს მზისთვის თვალის გასწორებას... სულის სიბრმავე აჩვენებს მზეს შავად, ბოლშევიკური უღმერთობის ფერია შავი.

ადამიანი ყველაზე უსუსურია. კლდემ იცის, რომ მზე შემოქმედი; ზღვამაც იცის, რომ მზე შემოქმედი, მხოლოდ ადამიანს არ შეუძლია დაინახოს მზე საკუთარ თავში. მას არ სურს ღვთის ნაწილად იგრძნოს თავი, რადგან ამპარტავანია: „მე შემოძლია სულ გაგაქრო შენ, რადგან შენ ხარ ჩემში. მე შემოძლია ისე გავაკეთო, რომ შენ აღარ იარსებო ჩემთვის. თან ისე უბრალოდ, რომ გაგეცინება, - უთხრა ადამიანმა მზეს და თვალზე ხელი აიფარა. - მორჩა, აღარ ხარ.“ [დუმბაძე, 1990: 170] ადამიანებმა საკუთარ თავში მზე ჩააქრეს, მზის ჩაქრობამ კი, სიძულვილისა და ბოროტების ათეულობით წელიწადი მოიტანა მზეჩამქრალ ქვეყანაში, რომლის საზღვრებიც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილს მოიცავდა. ზღვა სთხოვს მზეს, არ მიატოვოს სულელი ადამიანები, რომლებიც ასე ადვილად წირავენ და ტოვებენ ერთმანეთს. მზე ღმერთია და მას მიტევება მართებს; მან არ უნდა მიატოვოს ადამიანები:

„მანც, რა არის მზიანი ღამე? - ჩააცივდა მილიციელი.

- ღმერთი!

- თან მზეა და თან ღამე?

- ჰო და იმდენად ნათელია, რომ უკუნია, ღამეა ადამიანის თვალისათვის, ამიტომ არის მზიანი ღამე! - აუხსნა მღვდელმა. [დუმბაძე, 1990:164]

მზე იმდენად ნათელია, რომ ადამიანთა გონისათვის მიუწვდომელი ხდება. მზესთან დისტანცირებაა საჭირო და ამის გაუთვალისწინებლობა შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს. მზესთან მიახლოების სურვილმა ტრაგიკული შედეგი გამოიღო იკაროსისთვის; მისი ხვედრი გაიზიარა ფაეტონმაც - მზის, ჰელიოსის ვაჟმა; მან ვერ დაიმორჩილა მზის რაშები და დაიღუპა. დიდ საბჭოეთში ადამიანები დაშორდნენ მზეს; თავისი პატარა მზეები შექმნეს; მზესთან დაშორებამ კი, გაყინა მათი სულები და უგრძობი გახადა ყოველივე ადამიანურისადმი. სწორედ ამიტომ, მზე უარს ამბობს ადამიანებზე: „ტყუილია, მე მაგის შექმნაში მონაწილეობა არ მიმიღია. მე რომ მოვედი, ეგ უკვე არსებობდა. მე მაგისთვის სახელი არ შემორქმევია. თვითონ დაირქვა ადამიანი, და არ ვიცი ვინ არის, როდის გაჩნდა, როდის მოვიდა, - დაიბანა მზემ ხელი...“ [დუმბაძე, 1990: 165]

მიატოვა უფალმა მისი უარყოფელი, რომლებიც ამპარტავნებამ შეიპყრო; რომელთაც გადაწყვიტეს, რომ მზის ჩაქრობას შეძლებდნენ, თვალეზე ხელაფარებულები ივლიდნენ და ფეხს არაფერს წამოკრავდნენ. მხოლოდ პატარა, სულიერად სუფთა ადამიანმა შეძლო მწვანე მზის დანახვა, რადგან მისი სული ჯერ არანაირი „იზმებით“ არ იყო შებღალული. მზე შემოქმედის სიმბოლოა; შემოქმედი ბრძენია და მიმტვევებელი. ამიტომ, მზე ხვალაც ამოვა და ასე იქნება სამყაროს არსებობის მანძილზე. უფალი მიმტვევებელია და ამიტომ მშვიდად დაელოდება, როდის დაუბრუნდება ადამიანი ჭეშმარიტ სინათლეს ძე შეცდომილივით შერცხვენილი და მონანიე. მზე არ ებრძვის ადამიანთა უმადურობასა და უღმერთობას, რადგან ის არ არის მებრძოლი ღმერთი; მზე, თავისი სიმბოლური არსით, იესოს განასახიერებს, რომელიც მარჯვენა ლოყაში გარტყმის სანაცვლოდ მარცხენის მიშვერას გვთავაზობს, ამიტომაც, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში მას ზოგჯერ მკვდრების ღმერთსაც უწოდებდნენ და ალბათ, აქედან მოდის ფრაზა - მკვდრის მზე: „ერთმა შუბათელმა ბერიკაცმა ამიხსნა, მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდება... ზოგიერთს ჰგონია, ყველა მკვდრისთვის ამოდის ეს დაღლილი მზე, ნამდვილად კი, გრძელი სოფელიც წუთისოფელივით მაცდურია, არც იქაური მზე აშუქებს ყველასთვისო“. [შატბერაშვილი, 1991: 217]

მზის დანახვა იმის მიუხედავად შესაძლებელია ადამიანი თუ ბრმა, რადგან ღმერთი გულის თვალებით იცნობა. სიყვარულით სავსე გულია მხოლოდ საჭირო და ამიტომაც ხედავს ხატია მზეს („მე ვხედავ მზეს“): „მზე ისეთი სასწაულია, რომლის ცქერაც არასოდეს მოგწყინდება“ [დუმბაძე, 1982:395]. მზე, რა თქმა უნდა, ყველასთვის ერთნაირად ამოდის და ჩადის, მაგრამ ყველა ვერ მიდის მზესთან. ადამიანები საკუთარი ცხოვრების წესით, საკუთარ თავში მზის დაბნელებით იმ სოფლის გრძელ სამზეოზეც უმზეოდ დარჩენისთვის წირავენ თავს: „ან შემოდი და დარჩი, ან სულ ნუ

შემოხვალ და საერთოდ ნუ გამოჩნდები, მზეო, თორემ ხარ კიდევაც და არცა ხარ. თუ არ ხარ, მარტო ჩემთვის არ ხარ და თუ ხარ, მეტი წილი სხვებისთვის ხარ და ეს ჩემი წილი ისე მცირეა, რომ ხელში აღებას ვერ ვახერხებ, სადღაც თვალსა და ხელს შუა მეკარგება, ან ისე მწველია და გავარვარებული, ხელს ვერ ვკიდებ, როგორც თვალთა დასაშთობად გავარვარებულ შანთს.“ [დუმბაძე, 1973 :48]

მზე, ისევე როგორც უფალი, ყველას წილია, თუმცა იმის მიხედვით, ვის როგორ შეუძლია და რა დოზით სიყვარული, იმხელაა მისი წილიც. უფალი არ ნაწილდება ადამიანებში; ადამიანები თავად განსაზღვრავენ თავის წილ უფალს საკუთარ თავში: „მზე ღმერთია, ხოლო კაცნი მზის შვილები, ანუ ღვთისშვილები არიან. ქართველთა ამ უძველესი რწმენის გამოხატულებაა უზენაესთან თანაზიარობის გამომხატველი დაფიციება: ჩემმა მზემ, შენმა მზემ... კაცი მზის წილი, ამ ფიციით იგი თავის თავსა და ამავე დროს, თავის დამბადებელსაც იფიცებდა (შეადარე ხალხური „ჩემ წილ ღმერთს გეფიცები“)“ [ჩხენკელი,1989:15].

სიყვარულია უფალიც და მზეც, რომელიც იესოს სიმბოლოა, რომელიც თავად იქცა სიყვარულად და ადამიანთა სიყვარულით ევნო ჯვარზე: „მე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა აალებული და მოგიზგიზე სული ვარ. ჩემი სიცოცხლე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა სულით საზრდოობს... უკვე რამდენი ხანია, დედამიწაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით. დედამიწაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაცოცხლებელი სიყვარულისა, დადგა ჟამი ჩემი გარდაცვალებისა. გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ, და მე აღვსდგები კვლავ მკვდრეთით“ [დუმბაძე,1989: 577].

განსხვავებულია მთვარესთან დამოკიდებულება ქართველი კაცისა. მზე თუ შემოქმედია და მისი სხივები სასიცოცხლო ძალებს გვაძლევს, მთვარე მეზრდოლი ღვთაებაა, რომელიც ადამიანს ეშმაკეულისაგან იცავს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულ მითოლოგიაში უფრო მეტია მითი მთვარეზე, ვიდრე მზეზე. მზეს ერთი ჰიპოსტასი აქვს; ის უდავო ჭეშმარიტებაა, ყოვლისმომცველი სინათლეა და მისგან დისტანცირების არჩევანი ადამიანის თავისუფალ ნებას წარმოადგენს. რაც შეეხება მთვარეს, ის დუალისტური ჰიპოსტასის მქონეა, ლაქებიც აქვს, ანუ, ერთი მხრივ, არსებობს მთვარე მთვარეულების, მაქციების და სხვა უწმინდურ სულთათვის და, მეორე მხრივ, არსებობს მთვარე, რომელიც ადამიანის მოკავშირეა, ეშმაკეულის განმდევნელია და სიბნელის გამანათებელია. საქართველოში უძველესი დროიდან მთვარის კულტი წმინდა გიორგის კულტს უკავშირდებოდა. ცნობილია, რომ წმინდა გიორგიც ორი ჰიპოსტასის მატარებელია ქართულ მითოლოგიაში; არსებობს გადმოცემები უმზეური გიორგის შესახებ, რომელსაც სხვანაირად ჯოჯოხეთის წმინდა გიორგის ეძახდნენ და რომლის სიმბოლოს გველი წარმოადგენდა. (ჯოჯოხეთის წმინდა გიორგის შესახებ გადმოცემების კვალი აღმოჩენილია ატენის ხეობაში ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ფოლკლორული ექსპედიციისას). [ლიტერატურული ძიებანი 1999 №20]

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური სტატიაში - „აბესალომის დედისა და დების მითოსური ძირების შესწავლისათვის „ეთერიანში“ - ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებზე დაყრდნობით, უსანეთის წმინდა გიორგის უგუმბათო ეკლესიის შესახებ აცხადებს: „დასაშვებია, რომ უსანეთის მთის წმ. გიორგის უგუმბათო ეკლესია, სწორედ უმზეური გიორგის სახელზე იყო აშენებული და მთამაც სახელი უსანეთი-უმზეო, უსინათლო, მიიღო სახელწოდებად.“ [ლიტერატურული ძიებანი 1999 №20]

საქართველოში წმინდა გიორგის კულტისადმი ოდითგანვე განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობდა. ალბათ ამის გამოც, საქართველოს გეორგიკად მოიხსენიებდნენ მართლმორწმუნე ბერძნები. ქართველი ხალხის წარმოდგენაში წმინდა გიორგის ღმერთის ფუნქციაც ჰქონდა შეთავსებული. ივანე ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიაში“ მოყვანილი აქვს ერთი მეტად საგულისხმო გადმოცემა, რომელიც მას ქართლში ჩაუწერია: წმინდა გიორგი, ელია წინასწარმეტყველი და იესო ქრისტე მიდიან მეცხვარესთან და სათითაოდ სთხოვენ ცხვარს შიმშილის მოსაკლავად, რისთვისაც მათ უწევთ ახსნა საკუთარი ვინაობისა. მეცხვარე ელია წინასწარმეტყველს და იესო ქრისტეს განრისხებული აგდებს უკან და მხოლოდ წმინდა გიორგის წინაშე იჩოქებს და თანახმაა, მთელი ფარა გაატანოს. ამ თქმულების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ წმინდა გიორგი საქართველოს მთიანეთში მიიჩნეოდა მეცხვარეთა ღმერთად. ავტორი ყურადღებას ამახვილებს თქმულების იმ ეპიზოდზე, როდესაც თავად წმინდა გიორგი წარმოადგენს საკუთარ ვინაობას: „ეს მე ვარ, ეშმაკეულს რომ გამორებთო“; იესოს კი ასე მიმართავს მწყემსი: „ეს შენ ხარ, ერთადერთ სიმწრით გაზრდილ შვილს რომ უკლავ დედასო“. ამ თქმულებით დასტურდება, რომ ქართული წარმართული რწმენა ქრისტიანობასთან ისე გაითქვიფა, რომ ქართველ მთიელს არასწორი წარმოდგენა აქვს უფლის რაობაზე; იგი მას მხოლოდ მიცვალებულთა ღმერთად ან თავად სიკვდილად მოიაზრებს.

ზვიად გამსახურდია წერილში „ქართველი ერის სულიერი მისია“ აღნიშნავს: „გველემპთან მეზრდოლი წმინდა გიორგი ქართველებმა გააიგივეს იესო ქრისტესთან... საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გეორგიანობის სახე. ქრისტიანობა თავისი წმინდა სახით არსებობდა მხოლოდ

სამღვდელოებისთვის, ფეოდალური კლასისათვის, სამეფო კარისთვის, მაგრამ ხალხური ქრისტიანობა საქართველოში, შეიძლება ითქვას, გეორგიანობასთან არის შერწყმული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გეორგიანობამ დაჩრდილა ქრისტიანობა. წმინდა გიორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაბადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს... საქართველოს სახელწოდებაც დაუკავშირდა გიორგის და გიორგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე.“ [გამსახურდია, 1991:205] ანუ, ისინი სინამდვილეში ერთარსად მოიაზრებოდნენ და სწორედ ამიტომ, ხშირად ხალხურ ფოლკლორში გვხვდება მზისა და მთვარის ერთიანობის ან ერთად სიკეთის ქმნის მაგალითები. აქვე შევნიშნავთ, რომ სხვა ქვეყნების მითოლოგიაშიც ხშირად გვხვდება მზისა და მთვარის როგორც ერთი საწყისის მითები; მაგალითად, სკანდინავიური მითოლოგიის მთავარი ღმერთის - ოდინის თვალთაგან ერთი მზე იყო და მეორე მთვარე; თუმცა, მან სწორედ მზე გაწირა, რათა დიდ სიბრძნეს ზიარებოდა. ამდენად, თვალი მზის სიმბოლოა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, მზის სახელის უძველეს ფორმად მზირა (მზერა) და მჟარი უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით მთვარეც იესოს სიმბოლიკად იქცა, რომლის რევერსეც თეთრი გიორგია გამოსახული, ანუ, ქართული თეთრი გიორგი გადაიქცა იესოს განსახიერებად. მამა, შემოქმედი - უფლის სახეა და ხალხური ლექსის სიბრძნეც ამას ამბობს: „მთვარე - მამაჩემი“-ო. საინტერესოა რომ მსოფლიოს ხალხების მითოლოგიაში (მაგ., ძვ. ბერძნულში, რომაულში, ბასკურში, აცტეკებისა და მაიას ტომების მითოლოგიაში) მთვარე, მეტწილად, ქალური საწყისის ღვთაებაა. რაც შეეხება ქართულს, ფოლკლორიც და მითიც პირდაპირ ამბობს, რომ მთვარე მამაკაცია და ამ შეხედულების საფუძველი სწორედ მთვარის უფალთან გაიგივებაში უნდა ვეძებოთ.

მთვარე, იგივე თუთაშხა (იგივე ორშაბათი ანუ მთვარის დღე) კოლხური მითოლოგიის განსაკუთრებული ფიგურაა; „...მეგრელებს ისე ეშინათ მთვარისა, რომ არც ეშმაკისა, არც წმინდანებისა და არც თვით ღმერთის იმდენად არ ეშინათ. სწამთ, როგორც სიმბოლო სარწმუნოებისა, რომ მთვარისაგან არის დამოკიდებული ყოველივე, მათი ბედი და უბედობა“ [მეგრული ზღაპრები და მითები 1994: 221] სწორედ უფალს მოიაზრებს წმინდა გიორგის სახით ჭაბუასეული მითი თუთაშხას შესახებ; წმინდანს, რომელიც თავდაპირველად ებრძოდა ეშმაკს და ღმერთი არ იყო, ხოლო შემდეგ მან ბრძოლა სიყვარულად შეცვალა და ღმერთად იქცა. „დათა თუთაშხია“ იმთავითვე მითოლოგიზებულია; საქმე გვაქვს მითის ინტერპრეტაციასთან, მაგრამ ის დამყარებულია თავად თუთაშხას, ანუ, მთვარის კულტის მითზე. ქართულ მითოლოგიაში მთვარე თეთრი გიორგის სინონიმია, რომელიც წარმოადგენს ბოროტებასთან ბრძოლის არქეტიპულ მოდელს. რომანის თანახმად, რაინდი თუთაშხა გაიღებს ყველაფერს, რისი გაღებაც შეუძლია ქვეყნის საკეთილდღეოდ და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს. ის ებრძვის მრავალთავიან გველეშაპს, აჭრის თავებს, რომლებიც ისევ იზრდება. რაინდი თუთაშხა ებრძვის შედეგს და არ იცის, სადაა ბოროტების სათავე. ამიტომაც მისი ბრძოლა უშედეგოა, რადგან ერთი მოჭრილი თავის ადგილას ახალი ამოდის და გველეშაპიც უძლეველია.

გველეშაპთან ბრძოლის მოგება თავგანწირვის გარეშე შეუძლებელია. მსხვერპლშეწირვის იდეა უძველესი სიმბოლოა. გავიხსენოთ თუნდაც, ქართული ხალხური ზღაპრები, რომლებშიც გმირები ხშირად სხეულის ნაწილებს სწირავენ ზღაპრულ ურჩხულებს, რის შემდეგაც ურჩხული უძლური ხდება კეთილშობილების წინაშე და გმირის მოკავშირედ იქცევა. აქვე პარალელის გავლება შეგვიძლია ცნობილ ლეგენდასთან სურამის ციხის შესახებ, რომლის იდეა, ასევე, თავგანწირვას ემყარება: თუ კედელში არ ჩაეტანები, ციხე არ აშენდება. მხოლოდ ეს არის გამოსავალი და არა ძალადობით ძალადობის დათრგუნვა: „ხედედა ერი მას ურჩხულსა განსხეულებულს, ხორცქმნილს და მსახლობელს თვისთა სრა-სასახლეთა შინა გუშაგად მამონისა და ჰმორჩილებდა წესსა დადებულსა მისგან, რამეთუ უჩნდა იგი საწადელ, თუცა საზრდელი მისი - ხორცი და სული ერისავე... აღიღო შუბი თუთაშხამან, აღმხედრდა ჰუნესა თეთრსა ზედა და განიზრახა დათრგუნვა ბოროტისა - ძალითა თვისთა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა...“ [ამირეჯიბი, 1979 :183].

წმინდა გიორგის მებრძოლი ჰიპოსტასი ძალადობა კი არა, საკუთარ თავში ბოროტების დათრგუნვის სიმბოლოა. ეს არის ბოროტსა და კეთილს შორის დაუსრულებელი ჭიდილი და იმის გარკვევის მცდელობა, თუ სად არის ქვემარტების სათავე... „...განდგა თუთაშხა ქვეყნისაგან თვისისა, დაინთქა ჭურეტად და არღა გულისხმა ჰყო სადარდებელი ერისა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა“ [ამირეჯიბი, 1979:11]. დათა თუთაშხია ურჩხულთან მებრძოლი მარადიული გმირის ალეგორიული სახეა. ის ებრძვის ურჩხულს, რომელსაც იმპერიალიზმი ჰქვია და რომელიც ყველა დროში მცირე ერებისათვის მოუშორებელ ჭირად ქცეულა, მაგრამ თავდაპირველად ებრძვის მისივე ბინძური მეთოდებით და ცდილობს ძალადობა ძალადობით დათრგუნოს. ბიბლია გვასწავლის: ვინც აღიღოს მახვილი, მახვილითვე განიგმროსო; ამიტომ, დათას ბრძოლა ასეთი მეთოდებით არაფრის მომცემია და ზოგჯერ უარყოფითი შედეგიც კი მოაქვს, რადგან ეს არ არის სიყვარულის გზა. ასეთ დროს იგი წმინდა

გიორგის ბნელ ჰიპოსტასს განასახიერებს; სიმართლისათვის არასამართლიანი მეთოდებით მეზრძოლს, რომელიც თავადვე ვერ პოვებს სულიერ სიმშვიდეს.

შემთხვევითი არ არის ის მსგავსება დათასა და მუშნის შორის, რომელზეც აკ. ბაქრაძემ გაამახვილა ყურადღება. აქ ისევ ბიბლიურ სიმბოლიზებასთან გვაქვს საქმე; მუშნი და დათა ერთი მედლის ორი მხარეა, რადგან ძალიან ძნელია გაარჩიო ყალბი და ჭეშმარიტი ფასეულობები გარეგნულად; ამის გარჩევა მხოლოდ სულიერი წვდომით არის შესაძლებელი; „...სიმულვილიც სიყვარულით იწყება, რადგან გძულს ის, ვინც წაგართვა ის, რაც გიყვარდა“ [ამირეჯიბი 1979]

თუთაშხია კრებითი სულია; ამიტომ ის უკვდავია, როგორც წმინდა გიორგი, რომელიც მოგვიანებით ქართველმა კაცმა უფალთან გაათანაბრა და მის გვერდით მჯდომად წარმოაჩინა. „...სვანურ ხალხურ თქმულებებშიაც წმინდა გიორგი ისევეა დახასიათებული, როგორც სხვა ქართულ თქმულებებში: მისი მფარველობის წინააღმდეგ თვით ღმერთსაც ვერაფერი გაუწყვია რა. წმინდა გიორგი (ჯგრაგ), რომელიც მიქაელ მთავარანგელოზივით ღმერთს უზის გვერდით, მუდამ ადამიანებზე ზრუნავს და სულ იმის ცდაშია, კაცს რამე სიკეთე უყოს“ [წმინდა გიორგი, 1991: 8].

დათას სიკვდილთან ერთად არ კვდება სიცოცხლის არსის ძიების მარადიული იდეა. დათა არის ის სული, რომელიც საუკუნეებთან ერთად მოძრაობს მარადისობაში და როგორც კვეთი ისე ინახება, რათა სიკეთის სული ხელახლა შეადედოს კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ჭაბუა ამირეჯიბის რომანში ჩართული ავტორისეული მითის დასასრული ლოგიკურია. მტრის წინაშე მანამდე ხარ უძღლური, სანამ საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანას არ შეძლებ. ამიტომ მოიგლიჯა სხეულის ნაწილები თუთაშხამ, ურჩხულს მიუგდო შესაქმელად, სისხლის წყურვილი უკუაგდო და ამის შემდეგ თავად იქცა ღმერთად; „...დაუტყვა სულმან თუთაშხასამან ხორცნი მიწასა ზედა, აღევლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა იგი ძე ხორციელი ღმერთად.“ [ამირეჯიბი, 1979: 657]

კოლხური მითიც წმინდა გიორგის შესახებ მისი ცად აყვანით სრულდება; უფალმა ცაში დაასახლა წმინდა გიორგი და დაუწესა მას წვიმისა და ჭექა ქუხილის მოვლენა საჭირო დროს, მაგრამ მთავარი მისი დანიშნულება - ადამიანების ავი სულებისგან და ეშმაკეულისგან დაცვაა. სწორედ ამიტომ, როდესაც დიდი ჭექა-ქუხილი ატყდება ცაზე, მეგრელებს სწამთ, რომ ეს წმინდა გიორგი დასდევს და ებრძვის ბოროტ ძალებს, რათა მათ ადამიანებს არაფერი ავნონ. [მეგრული ზღაპრები და მითები, 1991: 327]

ზემოთ მოყვანილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მზის სიმბოლიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მზე სინათლის, სინათლე ცოდნის, ცოდნა კი სიყვარულის მომტანია. მზე ქართულ მითოლოგიაში იესო ქრისტეს სიმბოლოა, თავად ქრისტე კი - სიყვარულის სიმბოლო, სიყვარულის, რომელიც ასე აკლდათ ადამიანებს ახალ საბჭოთა სინამდვილეში. რაც შეეხება მთვარეს, ზემოთ მოყვანილი მითებისა და გადმოცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმართული მითოლოგიის თანახმად, მთვარე მეზრძოლი ჰიპოსტასის მქონე მნათობია, რომელიც მოგვიანებით წმინდა გიორგისთან იქნა გაიგივებული, ხოლო შემდგომ კი - თავად წმინდა გიორგი იქნა გაიგივებული იესოსთან. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იესო ქრისტე და წმინდა გიორგი მედლის ორ მხარეს წარმოადგენენ მზისა და მთვარის სახით, რომელთაგან ერთი მეზრძოლია და მეორე მიმტყვებელი. ასეთივეა ზემოთ მოყვანილ ნაწარმოებებში ამ ორი სიმბოლოს საზრისი: რომ გიყვარდეს უნდა იზრძოლო და რომ იზრძოლო უნდა გიყვარდეს. სიყვარულის გარეშე არ არსებობს თავგანწირვა, თავგანწირვის გარეშე კი - არავითარ ბრძოლას აზრი არა აქვს.

ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი ჭ., „დათა თუთაშხია“ თბ. : „საბჭოთა საქართველო“, 1978.
2. ჩხენკელი თ., „მშვენიერი მძლევალი“ თბილისი „მერანი“, 1989.
3. „მეგრული ზღაპრები და მითები“ თბილისი „მერანი“, 1994.
4. მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის. წიგნი მესამე, ქართული მითოლოგია, თბ., „ბაკმი“, 2006.
5. შატერაშვილი გ., „მკვდრის მზე“ თბ., „მერანი“, 1991.
6. დუმბაძე ნ., თხზულებანი 4 წიგნად, წიგნი მეორე თბ. : „მერანი“, 1989.
7. გამსახურდია ზ., „წერილები, ესეები“ ხელოვნება თბილისი, 1991.
8. ხუბუნაიშვილი-წიკლაური მ., „აბესალომის დედისა და დების მითოსური ძირების შესწავლისათვის „ეთერიანში“ ლიტერატურული ძიებანი 1999, №20
<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e>
9. „წმინდა გიორგი“, თბილისი „მერანი“, 1991.

Ana Datuashvili
Gori State Teaching University
**SOLAR AND LUNAR MYTHOLOGY AND PERSONIFIED STARS IN GEORGIAN POETRY,
'70^S-‘80^S OF XX CENTURY**
RESUME

The Solar and Lunar Mythology are the basis of all popular cosmogonic myths of the peoples from all over the world, thereby the people give to the Orbs role of Gods. The Georgian Literature is not excepting and we can find there several sides of the Sun and the Moon as a God.

There are widely used myths in Georgian literature of the twenties century and therefore we frequent meet the Sun and the moon as a person in Georgian literature of 70-80 years.

Discussing this period of the literature we can say that The Sun and the Moon both are personification of God, of which the face of Sun looks like a Love, and the moon is fighting against Evil. This is not accidental because in soviet epoch when was lack of human love it was necessary not only to love one another but also to fight against the evil called Soviet Impery.

მაია დარასელია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
თამარ ჯოჯუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცნებათა ნათესაობის იდეა მეტაფორის თეორიაში

მეტაფორა, ნომინაციის სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით ახდენს საგნის იდენტიფიცირებას ხატის საშუალებით (სწორედ ამაში მდგომარეობს მეტაფორის სისტემური მნიშვნელობა). რაც შეეხება მეტაფორის პარადიგმულ თვისებებს, რაც მას მეორადი ნომინაციის სხვა საშუალებებისაგან განასხვავებს, ვ. თელია მიუთითებს მეტაფორიზაციის, როგორც ახალი მნიშვნელობის წარმოქმნის საშუალებაზე. ეს ახალი მნიშვნელობის განვითარების “ნახტომისებურებას” განაპირობებს, რაც განსხვავდება, მაგალითად, მეტონიმისაგან. სადაც ერთი მნიშვნელობის მეორეში გადასვლას ტალღისებრი ხასიათი აქვს და მეტონომიურ გადააზრებას ობიექტურად აშკარას ხდის (თელია 2002, 65).

ენის, როგორც ნომინატური სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, მხატვრული გადატანის საფუძველზე წარმოქმნილი სახელდების ხატობრივი კომპონენტი სუსტდება, აღარ აღიქმება, როგორც “ხატი” და შემდეგ კი საერთოდ ქრება, ტოვებს რა თავის შემდეგ ახალ მნიშვნელობას, რომელიც დროთა განმავლობაში ნომინაციის ნორმატიულ საშუალებად იქცევა, რითაც ავსებს ენის ლექსიკურ სისტემას.

მეტაფორაზე ბევრი ნაშრომია დაწერილი. ის არაერთხელ გამხდარა მრავალასპექტური კვლევის საგანი როგორც მეორადი ნომინაციის ერთ-ერთი ხერხი და კოგნიტიური სფეროს მოვლენა. უკანასკნელ ხანს გამოსულ ნაშრომებში განსაკუთრებული ინტენსივობით მუშავდება ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ენის სისტემაში მეტაფორის ადგილის განსაზღვრასთან და გარემოში მიმდინარე მოვლენების გაგების პროცესში მეტაფორიზაციის სისტემის წარმოქმნილი როლის გააზრებასთან (არუთინოვა, 1990; ლაკოჯი, ჯონსონი 2000; სკლიარევსკაია, 2005). ასეთი კვლევის პროცესში აშკარა გახდა ის ფაქტი, რომ მეტაფორიზაციის მექანიზმი ინგერენტულადაა ჩართული ენობრივ სისტემაში, ხოლო მეტაფორა ენის ფუნდამენტურ თვისებას წარმოადგენს, არანაკლებ ფუნდამენტურს, ვიდრე ენის ელემენტთა ოპოზიციაა (ულმანი 2003; არუთინოვა 1990;)

მეტაფორისადმი ახლებური მიდგომის აუცილებლობა თანამედროვე სტრუქტურული სემანტიკისათვის დ. ბოლინჯერმა ამგვარად ჩამოაყალიბა: „სემანტიკურმა თეორიამ უნდა წარმოგვიჩინოს მეტაფორის შექმნის პროცესი. ბუნებრივი ენის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ არც ერთი სიტყვა არ დაიყვანება მნიშვნელობათა საბოლოო ერთობლიობამდე, ის ყოველთვის გამოხატავს რაღაც უფრო მეტს.” (ბოლინჯერი, 2012)

უნდა იყოს თუ არა მეტაფორის ახლებური თეორია ლინგვისტური თეორია? როგორც ჩანს, ყველა სხვაგვარმა მიდგომამ თავისი უსუსურობა გამოავლინა, ვინაიდან დღემდე არსებული არც ერთი განსაზღვრება ან თეორია ადეკვატურ ტაქსონომიასაც კი არ იძლევა, რომ არაფერი ვთქვათ მეტაფორის წარმოშობის “პროცესის ახსნა-განმარტებაზე”. არისტოტელე ცდილობდა მეტაფორის თუნდაც ფორმალური მხარე გამოეკვლინა. ის “პოეტიკაში” (1475 b) წერდა: „მეტაფორა არის უჩვეულო სახელის გადატანა გვარიდან სახეობაზე, სახეობიდან გვარზე, სახეობიდან სახეობაზე, ან ანალოგიის მიხედვით”. რომელი და აღორძინების ეპოქის მეცნიერები, ნაცვლად იმისა, რომ გაეგოთ და განევითარებინათ ეს საკმაოდ ბუნდოვანი განსაზღვრება და დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობს “უჩვეულო”, “გვარი”, “სახეობა” და “ანალოგია”, მეტაფორას განიხილავდნენ, როგორც უბრალოდ რიტორიკულ ხერხს. ამგვარი მიდგომის ტიპიური მაგალითია ბლერის განსაზღვრება, რომელიც მრავალგზის მეორდება სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ლიტერატურულ ნაშრომებში: „მეტაფორა – არის ფიგურა, რომელიც მთლიანად ეყრდნობა ერთი ობიექტის მსგავსებას მეორესთან. ამიტომ ის ახლო კავშირშია მსგავსებასთან და შედარებასთან და სხვა არაფერია გარდა შემოკლებული ფორმით წარმოდგენილი შედარება.” ისეთი ცნობილი კრიტიკოსიც კი, როგორცაა რიჩარდსი, თავს უფლებას აძლევს თქვას შემდეგი: „ადვილი იქნებოდა მეტაფორის, ჰიპერბოლისა და მეტყველების ფიგურების გრამატიკული თეორიის განვრცობა ისეთი ფარული გამოთქმების მითითებით, როგორცაა “თითქოს”, “მსგავსად” და ა. შ., რათა პოეზია ლოგიკურად გარდაიქმნას პროზად.” თუმცა უნდა ითქვას, რომ თვით რიჩარდსი საკმაოდ წინდახედული აღმოჩნდა და ამგვარი მცდელობები მას არ ჰქონია (ბიკერტონი 2010, 285). მ.ბირდსლის აზრით, „მეტაფორა არის ის, რაც არასიცოცხლისუნარიან, შინაგანად წინააღმდეგობრივ გამოთქმას ასევე შინაგანად წინააღმდეგობრივ, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობის და აზრობრივი დატვირთვის მქონე გამოთქმად გადააქცევს. სწორედ ამგვარი გარდაქმნის განხორციელებაში ენიჭება მსგავსებას გადაწყვეტი რილი, მაგრამ ეს რილი მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოვლინდეს, როდესაც უარს ვიტყვით მსგავსებისა და სუბსტიტუციის (ჩანაცვლების) ცნებების დაახლოებაზე (რაც თავისი ბუნებით წმინდა სემიოტიკური მოვლენაა) და მივმართავთ მსგავსების საკუთრივ ასპექტს.” (ბირდსლი 2002, 293). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავსება (თუკი ამ ცნებას საერთოდ გამოვიყენებთ მეტაფორის აღწერისას) უნდა განიხილებოდეს, როგორც ნიშან-თვისების სუბიექტისათვის პრედიკაციის და არა როგორც სახელთა სუბსტიტუციის ხერხი.

მეტაფორაში აღმოცენებული ახალი სემანტიკური თანხმობის არსებობა შესაძლებელი ხდება იმის წყალობით, რომ რომელიმე ორ ტერმინს შორის მყარდება გარკვეული აზრობრივი “სიახლოვე”, მიუხედავად მათ შორის არსებული რეალური “დაშორებულობისა”. ორი ცნება, რომელიც აქამდე “დაშორებული” იყო ერთმანეთისაგან, “უახლოვდება” ერთმანეთს. არისტოტელე ანალოგიის ამ წმინდა პრედიკატულ ეფექტს აღნიშნავს იმაზე მსჯელობისას, რომ საჭიროა შესაფერისი მეტაფორების გამოყენება (რიტორიკა, III, 1405a, 10). არისტოტელე ერიდება ორი ძალიან განსხვავებული მოვლენის ან საგნის დამახლოვებელი მეტაფორების გამოყენებას და გვიჩვენებს გამოვიყენოთ “ერთი და იმავე რიგის საგნების” მეტაფორები, სახელწოდებები კი “მოვიტანოთ არა შორიდან, არამედ მონათესავე და მსგავსი საგნიდან, რათა ნათელი იყოს ორივე საგნის სიახლოვე” (იქვე, 1405a, 37).

ცნებათა ნათესაობის იდეა ძალიან მნიშვნელოვანია. ის ფაქტი, რომ ეს ნათესაობა მეტაფორულად აისახება, ამ შემთხვევაში არ არის მნიშვნელოვანი. მეტაფორა ხომ სწორედ ნათესაობის დადგენისათვისაა განკუთვნილი. სიახლოვისა თუ დაშორებულობის მიუხედავად, მაინც ხდება ერთგვარი “გადატანა”, ხოლო “გადატანა” ამ შემთხვევაში ნიშნავს დაახლოებას, ანუ არსებული დისტანციის დაძლევას.

შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ მსგავსება ცუდად ასრულებს აზრობრივი თანხმობის დასაბუთების ან წარმოშობის მიზეზის როლს, ვინაიდან ის თვით გამოთქმიდან მომდინარეობს, რომელშიც დაახლოებაა მოცემული. ამ თეზისის უარყოფისათვის მოგვიწევს მივმართოთ ერთ პარადოქსს, რომელიც დაგვეხმარება მეტაფორის თეორიის ახლებურად წარმოჩენაში.

ვ. უილრაითი თავის წიგნში “მეტაფორა და სინამდვილე” სწორედ ამგვარი პარადოქსის ილუსტრირებას ახდენს. ის გვთავაზობს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ეპიფორა და დიაფორა. ეპიფორა არისტოტელეს მიერ შემოღებული ტერმინია და აღნიშნავს ტრანსპოზიციას, გადატანას როგორც ასეთს, ანუ ეს არ არის გაერთიანების, ერთგვარი ასიმილაციის პროცესი, რომელიც ორ დაშორებულ ცნებას შორის ხდება. შეერთების აქტი ითვალისწინებს აღქმის განსაზღვრულ ტიპს, კერძოდ კი – განჭვრეტისას (insight) (უილრაითი 2010, 111).

აღქმის ამ ტიპის შესახებ არისტოტელე წერდა: “კარგი მეტაფორის შექმნა ნიშნავს მსგავსებათა დანახვას” (პოეტიკა, 1459a). „ეპიფორა კი არის გენიოსის მიერ ნატყორცნი მზერა – არაპროგნოზირებადი და მიუწვდომელი, მაგრამ არ არსებობს ეპიფორა დიაფორის გარეშე, ისევე, როგორც ინტუიცია კონსტრუქციის გარეშე. მართლაც, ინტუიციური პროცესი, რომელიც ახდენს

შორეულის დაახლოებას, აუცილებლად გულისხმობს ენობრივ მომენტებსაც.” იგივე არისტოტელე, რომელიც პატივს სცემდა “მსგავსებათა დანახვას”, ამავე დროს პროპორციული მეტაფორის თეორეტიკოსი იყო, რაც გულისხმობს მსგავსების უფრო მეტად კონსტრუირებას, ვიდრე უშუალოდ აღქმას. ამავე ენობრივ მომენტს ასახავს მ. ბლეკის მიერ გამოყენებული მეტაფორის მეტაფორული აღნიშვნები, როგორცაა “ეკრანი” და “ფილტრი”, რაც საშუალებას იძლევა არჩევის პროცესი წარმოდგენილ იქნეს მთავარი სუბიექტის განსაზღვრულ თვისებათა პრედიკატის გამოყენებით. ამიტომ არ არის არავითარი წინააღმდეგობა იმაში, რომ მეტაფორა აღიწეროს აღქმის (მხედველობის) და გათვლის, კონსტრუქციის ტერმინებით. როგორც აღნიშნავენ, მეტაფორა ერთდროულად წარმოადგენს “გენიოსის ნიჭსა” და გეომეტრიის ოსტატობას, “პროპორციის კანონების” ცოდნის უპირატესობას. (ბლეკი 2012, 25).

არისტოტელე “მსგავსს” “იგივეს” უწოდებდა, რაც არ შეიძლება გაუგებრად ჩაითვალოს – სწორედ განსხვავებაში იგივეობის დანახვა ნიშნავს მსგავსების შემჩნევას. მეორე მხრივ, სწორედ მეტაფორა ხსნის “მსგავსების” ლოგიკურ სტრუქტურას, ვინაიდან მეტაფორულ გამოთქმაში “მსგავსება” აღმოჩნდება განსხვავებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად. ამგვარად, მსგავსება წარმოადგენს პრედიკაციის შესატყვის ლოგიკურ კატეგორიას, რომლის დროსაც “დაახლოება” აწყდება “სიშორისა” პრობლემას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ მეტაფორა წარმოაჩენს მსგავსების ფუნქციას, ვინაიდან მეტაფორულ გამოთქმაში განსხვავება შენარჩუნდება პირდაპირი მნიშვნელობის დონეზე არსებული წინააღმდეგობებით; “იგივე” და განსხვავებული” ერთმანეთს კი არ ერევა, არამედ ისინი ებრძვიან ერთმანეთს. სწორედ ამ თვისების წყალობით მეტაფორის საიდუმლოება მის წიაღში რჩება (რიკერი 1990, 438).

მ. ტერბინი, რომელსაც ბრალს ვერ დავდებთ ფ. უილრაითის მსგავსი იდიოსინკრეტული ჟარგონის გამოყენებაში (“მეტაპოეტიკა”, “სტენო-ენა”, “მიფოიდი”, პოეტოონტოლოგიური საკითხი” და ა. შ.) ასევე ცვალებადია თავის მოსაზრებაში. იწყებს მეტაფორის, როგორც “სახეობრივი გადაკვეთის” (sort-crossing) განსაზღვრებით, რაც მეტნაკლებად ეკვივალენტურია რაილის “კატეგორიული შეცდომისა”, ის ახდენს მეტაფორათა გამოყენების ილუსტრირებას და ბოლოს იძულებული ხდება აღიაროს, რომ აბსტრაქტულ მსჯელობაში მეტაფორული ენის გამოყენება პრაქტიკულად გარდაუვალია.

ხესეს აზრით, ამგვარად ის უახლოვდება XIX საუკუნის ფილოლოგების - ა. სეისისა და მაქს მიულერის პოზიციას, რომელსაც მიაჩნდათ, რომ “ენა საბოლოო ჯამში მეტაფორულია”. თუმცა ნებისმიერი ენის სიტყვათა უმრავლესობამ, სავარაუდოდ, გაიარა მნიშვნელობათა მეტაფორული გადატანის სტადია, მოსაუბრე საკმაოდ იშვიათად აწყდება ისეთ ენობრივ მოვლენას, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად მეტაფორად აღიქვამს.

თ. დრეინჯი თავის ერთ-ერთ ნაშრომში მიზნად ისახავს “უაზრო წინადადებების” განხილვას, თუმცა საბოლოო ჯამში თავისდა გასაკვირად აღმოაჩენს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მას საქმე ჰქონია მეტაფორასთან: “სინამდვილეში, მეტაფორული წინადადება, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით განიხილება, აუცილებლად შეიცავს ტიპთა გადაკვეთის (type-crossing). (დრეინჯი 2002, 32) აქედან გამომდინარე, დ. ბიკერტონის თეორიის თანახმად, ამგვარი წინადადებების პირდაპირი ინტერპრეტაცია სრულიად წარმოუდგენელია. შესაძლოა, სწორედ ამით არის მეტაფორა საინტერესო, ვინაიდან ის არ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით იქნეს გაგებული, მკითხველი ან მსმენელი იძულებულია მიწოდებული ინფორმაცია სხვაგვარად “გაიაზროს”. ამასთან დრეინჯერმა აღნიშნა, რომ “ხშირად ის, რაც წარმოადგენდა სიტყვის მეტაფორულ გამოყენებას, მოგვიანებით მის პირდაპირ მნიშვნელობად იქცევა. მაგალითად, “She planted an idea his mind” (სიტყვასიტყვით: “მან მას აზრი ჩაუნერგა”). ეს შენიშვნა და აგრეთვე ის რომ დრეინჯის მიერ მოყვანილ “მცდარი მსჯელობის” განსაზღვრება აბსოლუტურად მცდარია, ანგრევს მის ყველა არგუმენტაციას, ვინაიდან, თუ ერთი მეტაფორა შეიძლება გახდეს “სიტყვასიტყვითი” და ამგვარი გარდაქმნა არანაირად არ იზღუდება, იგივე შეიძლება მოხდეს ყველა დანარჩენის შემთხვევაშიც, ხოლო, თუ მეტაფორა არ არის მხოლოდ მცდარი მსჯელობის განსაკუთრებული შემთხვევა, მაშინ შეუძლებლის დიდი ნაწილი პოტენციურად შესაძლებელი (ანუ ავტორის ტერმინოლოგიით – სავსებით მისაღები) უნდა იყოს. (დრეინჯი 2005, 34-52)

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ არალინგვისტური მიდგომა უფრო ბუნდოვანს ხდის საკითხის არსს და შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამგვარი მიდგომის წარუმატებლობა სწორედ მათი არალინგვისტურობით აიხსნება (ბიკერტონი 2010, 286).

ლიტერატურა:

1. Aristotle on Rhetoric. A Theory on Civic Discourse. Translated by George A Kennedy. Oxford University Press, 1991.
2. Beardsley M., The Metaphorical Twist. –“Philosophy and Phenomonological Research, vol. 22, 2002.
3. Bickerton D., Prolegomena to a Linguistic Theory of Metaphor. Linguistic Perspectives on Literature. London,

- Boston and Henley: Routledge and Keagan Paul, 2010.
4. Black M., Metaphor. –In M. Black. Model and Metaphor. Studies in Language and Philosophy. Cornell University Press, 2012.
 5. Bolinger D., Aspects of Language. Language and Symbolic Systems by Yuen Ren Chao. Review by: Jane H.Hill. Vol.46, No.3. Published by Linguistic Society of America, 2012.
 6. Drange R. in Sh. Lappin's "Sorts, Ontology and Metaphor. The Semantics of Sortal Structure". Foundation of Communication and Cognition, 2005; 32.
 7. Ivor A. Richards. Theory of Metaphor in Modern Philology, Published by The "The University of Chicago Press", 2015.
 8. Lakoff G., Johnson M. Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press, 2000.
 9. Ricoeur P. The Metaphorical Process as Cognition, Imagination and Feeling. –"Critical Inquiry" 2002, vol.5, N1; The University of Chicago, 1990.
 10. Teliya, V. "Metaphor in Language and Text.", Moscow University Press, 2000.
 11. The Poetics of Aristotle, edited with Critical Notes and a Translation by S.H Butcher, Professor of Greek in the University of Edinburgh. The Third Edition Revised, London, 1905.
 12. Ullmann S., The Principles of Semantics: A Linguistic Approach to Meaning. Duke University Press, 2003.
 13. Wheelwright Ph. Metaphor and Reality. Ch. IV: "Two Ways of Metaphor", Ch.VI "The Archetypal Symbol" Indiana University Press. Bloomington-London, 2010.
 14. Арутюнова Н. Метафора и дискурс. Теория Метафоры. М.:Прогресс, 1990.
 15. Склярёвская Г. Метафора в Системе Языка.-С.Петербург. Наука, 2005.

Maya Daraselia
Gori State Teaching University
Tamar Jojua
Sokhumi State University

IDEA OF CONCEPTUAL INTERACTION IN THE THEORY OF METAPHOR RESUME

In the present paper we should like to show that theories of metaphor have come a long way – from treating metaphor as a fancy rhetorical trick with words to acknowledging the all-pervasive cognitive operation surfacing in a multitude of linguistic expressions. More specifically Bolinger (2012, p.567) requires that "A semantic theory must account for the process of metaphorical invention". Bickerton (2010, p.230), convinced that these exigencies demand a "new look at metaphor" as well as "new theory", requires further that this new theory be linguistic because thus far "non-linguistic approaches have done little more than obscure the issues, and it can be argued that they have failed precisely because they are non-linguistic" (1969, p.36). Even Aristotle (1457 b) in his Poetics tried to show the formal side of the metaphor, giving his famous full definition: "Metaphor consists in giving the thing a name that belongs to something else; the transference being either from genius to species, or from species to genius, or from species to species, or on grounds of analogy.

ნინო ვახანია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კაპიტალისტური და ნაციონალურ-რელიგიური ეთოსის დაპირისპირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ რეალისტურ პროზაში (გ. ერისთავი)

XIX საუკუნეში საქართველოში კაპიტალისტური და ნაციონალური ერთმანეთს დაუპირისპირდა და ეს აისახა ლიტერატურაში. ქართველები, სიამაყით აღსავსენი, ვაჭრობას არ კადრულობდნენ, ხოლო სომხები ფულის მოგების (და დაგროვების) მიზნით არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ.

სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა,
 პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან, – წერდა ალექსანდრე ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე 1992: 68). თუ ფულის მოგების, გამდიდრების სიყვარული შეიძლება ჩაითვალოს

ნაციონალურ ხასიათად, მაშინ ეს თვისება უთუოდ აქვთ სომხებს. ალექსანდრე ორბელიანი მიხაილ ვორონცოვზე საუბრის დროს ერთგან ასეთ რამეს ამბობს: „ქართველებს უნდოდათ დიდკაცობით გამოჩენა ვარანცოვის კარზე, თვითონ ვარანცოვთანაც და გარეშე ხალხში ხომ რასაკვირველია და სომხებსა ფული, რომელმაცა ორსაც მისცა რაც უნდოდათ: ქართველებს ფუჭი დიდკაცობა და სომხებსა გატენილი პარკი ფულებითა (სხვადასხვა სახაზინო შემოსავლებიდან)“ (ორბელიანი 1999: 70). ეს ამონაწერიც კარგად ხსნის ნაციონალური ბუნების განსხვავებას ქართველებსა და სომხებს შორის. სიტყვა „სომეხი“ ჩვენში იქცა ვაჭრის სინონიმად და არა ეროვნების აღმნიშვნელად. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ის საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდი, ლელთ ღუნია რომ ესაუბრება მგზავრს. ახასიათებს რა თანამედროვე ყოფას, მოხევე ამბობს: „აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს“ (ჭავჭავაძე 1988: 31). აქ ეს „სვამეხი“ ნიშნავს ვაჭარს (ქართველიც რომ იყოს, სომხად უხმობენ).

ბუნებრივია, რომ გიორგი ერისთავის კომედიების ვაჭრები ძირითადად სომხები (მევახშეები თუ დიდი კაპიტალისტები) არიან. რეალისტი ავტორი თვითონ, საკუთარი ცხოვრებით გახლდათ დაახლოებულ-დაკავშირებული მათთან (პირველი ცოლი ამ წრიდან ჰყავდა) და ამდენად ზედმიწევნით კარგად იცნობდა მათ ცხოვრებასა და ფსიქოტიკს. რა თქმა უნდა, კომედიებში იყენებდა გროტესკსა და სატირასაც ჟანრის კანონების შესაბამისად, არსებითად კი სწორად გადმოსცემდა დეტალებს. საყურადღებოა, რომ ისეთ პიესებშიც კი, რომლებშიც კაპიტალის დაგროვება, ვაჭრობა მთავარი თემა არაა, მაინც კარგად იხატება გარემო, საზოგადოებრივი ყოფა, შეუღლამაზებელი სახე ვაჭრისა. ხელშესახებად იგრძნობა განსხვავება და დაპირისპირება კი სომეხ ვაჭარსა და ქართველ ფრანტს შორის. კომედიაში „უჩინმაჩინის ქუდი“ მსახური რომ ქალბატონს სამახარობლო ამბავს უხსენებს, სუსანას (სომეხი ვაჭრის ცოლის) პირველი შეკითხვაა: -რა? თევზის ურმები მოსულან? (ერისთავი 1936: 218). ამ პიესას სიტუაციური კომიზმი უდევს საფუძვლად (ექვიანი ქმრის გაცუცურაკება ვითომ უჩინმაჩინის ქუდით), ამდენად თითქოს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა ცოლ-ქმრის (სუსანასა და მარტირუხას) საუბარი ახალი ნივთის შეძენაზე. თუმცა კაპიტალიზმის დამკვიდრების პერიპეტეიების გასაცნობად ერთ-ერთი საუკეთესოა. ცოლთან შერიგების ხასიათზე დამდგარი მარტირუხა მისთვის რაიმე ნივთის შეძენას სთავაზობს. სუსანას „ვარატნიკი“ უნდა, ოღონდ იწუნებს იმას, რაც „ქვეყანას ასხია“. გამორჩეულობა, როგორც ჩანს, მის სიმდიდრეს გაუსვამს ხაზს. ქმარს ენანება სამოცი თუმანი ერთი ვარატნიკისთვის, მაგრამ ცოლი მიუთითებს: „წადი აბა, ჯიგრამენში წადი კვირასა, ფარალათოვიანთ ცოლი ნახე, ბობრიათ ვარატნიკით... ასეთი გაბერილი დადის, როგორც ბატი. არავის უყურებს. განა იმაზე ნაკლები ვარ?“ (იქვე: 223). მაშასადამე, გამორჩეული ტანსაცმლით, სამკაულითა თუ სხვა აქსესუარით თავის მოწონება, სიმდიდრის საქვეყნოდ დანახვება დამახასიათებელი ყოფილა ბურჟუებისთვის. ოღონდ, როგორც ჩანს, მთლად საყოველთაოც ჯერ ვერ გამხდარა.

ხელმომჭირნეობა და სიძუნწე ზოგადად დამახასიათებელია იმ ადამიანისთვის, ვინც ფულს შრომით შოულობს. გასაგებია, მან იცის, რა ვაი-ვაგლახი, რამდენი დაბრკოლება, რამდენი გასაჭირი უნდა გადაიტანოს ფულის მოსაგებად. უნდა გამოიჩინოს ნიჭი, უნარი, მოხერხება, გამძლეობა და სხვა. სულ გაკოტრების შიში აქვს და ეს ბუნებრივია. ამიტომაც წარმოიდგენს მარტირუხა იმ ფარალათოვის გაკოტრებას და „ტორგს“... საყურადღებოა, რომ, როგორც ჩანს, გასაყიდი საქონელი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოაქვთ, მათ შორის, ცხადია, მოსკოვიდანაც. ეხლა სარქისაანთ ღაღო მიდის მოსკოვს, დააბარე, – ამბობს შუმანა. მოსკოვს მარტო „ვარატნიკისთვის“ ან სხვა ნივთისთვის არ მიდიოდნენ ვაჭრები – ურთიერთობას ამყარებდნენ იქაურ მწარმოებლებთან (ფაბრიკანტებთან და სხვა), ეცნობოდნენ იქაურ ბაზარს, ფასებს, ჩამოტანილ თუ ადგილობრივ საქონელს, ფრთხილად წონიდნენ და განსჯიდნენ, რა წამოეღოთ საქართველოში, რას რამდენს მოუგებდნენ. ასე მდიდრდებოდნენ, იშვიათად კოტრდებოდნენ ვაჭრები. ამ საქმიანობას, ალბათ, დიდი რისკი ახლდა თან, არც ამხელა გზაზე მისვლა-მოსვლა ან საქონლის გამოგზავნა იქნებოდა უსაფრთხო, მაგრამ, როგორც ყველაფერს, ამასაც თავდადებული და ფულის გემოს მცნობი ადამიანები ედგნენ სათავეში და წარმატებითაც ახორციელებდნენ. საყურადღებოა, რომ „უჩინმაჩინის ქუდში“ „გაყრის“ მიკირტუმ გასპარიჩისგან ან „ძუნწის“ კარაპეტასგან განსხვავებით, გამოჩნდა ე.წ. „ფრანტი ვაჭარი“, ანუ მდიდარი, რომელიც ფულს დაგროვების გარდა, კიდევ მოიხმარს. „ვეროპიული“ ცხოვრების ნახვამ, გაცნობამ დღის წესრიგში დააყენა ცხოვრების წესის, სტილის შეცვლა. სხვა ქვეყნების სოვდაგრების წაბადვით თბილისშიც დაიწყეს სახლების ევროპულად მორთვა, სადილ-ბალების მოწყობა, მოსამსახურეების დაქირავება, ეტლების შეძენა და სხვა.

შეწუხებული მარტირუხა ჩივის: „ვნახოთ თუ ბობრები რა ქნან, აი, დაინახამთ. გეთაყვა, ვაჭრობაში ეს გაგონილა? ღაღოს მამა ერთი ოთახი ჰქონდა, სპალნაც იყო, გოსტინაც, სტოლოვიც, შაბათობით მწვადი ძლივს ჰსწვამდა, ვა, მამ ყველა იმითი მოუგია. ახლა შვილი ნახე, ერთი

დვარეცი დაუდგამს, ცოლი ბობრით დაჰყავს. ჯანი გავარდეს, დაარბენინოს თავის ცოლი ბობრითა, თითონ გაკოტრდეს, ჩვენ რას გვემართება ყაირათიანი ხალხისა, ჩვენც გავაკოტრებს. მამ ხედავ ჩვენი ცოლები ბუნტი შვრებიან“ (იქვე: 224).

სომეხ ვაჭართა უმრავლესობა სიღარიბიდან, უქონლობიდან წამოვიდა და საოცარი მოთმინებისა და ეკონომიის ხარჯზე გამდიდრდა. ეს პროცესი რეალისტურადაა ასახული ჩვენს ლიტერატურაში და კიდევ ერთხელ, ერთი დეტალით დასტურდება „უჩინმაჩინის ქუდში“. საოცნებო ქუდის დასაუფლებლად მარტირუხას რამდენიმე წესის დაცვას სთავაზობენ, მათ შორის იმასაც, რომ ლობიოს მეტი არა ჭამოს რა. რაზეც გახარებული ვაჭარი პასუხობს: - ეგ ჩემი ხელობაა. ეს ნიუანსი, სულაც არაარსებითი პასაჟი, ნათლად, ხელშესახებად წარმოგვადგენინებს, როგორ შიმშილობდა, ოჯახსაც აშიმშილებდა, ოღონდ კაპიკი არ დახარჯვოდა და ლობიოს მეტს პირში არაფერს ჩაიკარებდა მარტირუხ რიზნიკოვი (თავისივე მოძმეების მსგავსად, ლავრენტი არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილივით ან გიორგი ერისთავისავე სხვა ახალგამდიდრებული ვაჭრებივით). ქართველებს „მუცლის ნებეიერებს“ ეძახის, ამიტომაც არა აქვთ ფულიო, - ფიქრობს სომეხი.

არ ვიცი, აიხსნება თუ არა ნაციონალურ-რელიგიური თავისებურებებით ის ფაქტი, რომ ქართველი დაგროვებაზე მეტად ხარჯვას ესწრაფვოდა. თუმცა ის კი ცხადია, რომ, როცა ქართველებმაც მოჰკიდეს ხელი საქმოსნობას, სომხებზე არანაკლები ნიჭი და უნარი გამოიჩინეს ამ საქმეში, გაუსწრეს კიდევ მათ ახალი, ევროპული ყაიდის ვაჭრობით და, მამასადამე, ფულის, ქონების შოვნითაც.

„წარსული დროების სურათებში“ გამდიდრებული ვაჭრების ზნეობრივი დეგრადაციაა ნაჩვენები. ძმებს მინასოვებს, ჩანს, ვაჭრობის არეალი გაფართოებული აქვთ. „მთელი ქალაქის კუჭები“ მათ ხელშია. დიდკაცთ (ჩინოვნიკებს, სხვადასხვა თანამდებობაზე მყოფთ) საკუთარი მოგებიდან წილს უგზავნიან, ღარიბებს კი არას არგუნებენ „აყროლებული თევზის“ გარდა. ივანე და გაბრიელ მინასოვებიც და ჯიმშერ აკუნინაციც ქალაქის მოსახმარად რაღაც გარკვეულ თანხას სწირავენ. ესენი ერთმანეთს ემტერებიან, სასამართლოში უჩივიან, ერთმანეთის ბიზნესის ჩამირვას ცდილობენ და ამით გამდიდრებას. რა თქმა უნდა, არ ერიდებიან მოქრთამვას საჭირო ხალხისა, თუმცა ორივე მხარე გარკვეულ თანხას საქველმოქმედოდ სთავაზობს ქალაქს. როგორც ჩანს, ეს იძულებითი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია. რადგან მინასოვების მიერ გაღებული თანხა ბევრად მეტია, საბჭოს მიაჩნია, რომ სწორედ მათ უნდა დაუჭირონ მხარი. ქალაქის საბჭო ითვალისწინებს იმას, რომ სამი წლის ომის განმავლობაში ნანახი დიდი ზარალის მიუხედავად, ძმებმა ქალაქის სასარგებლოდ მაინც გადაიხადეს 300 მან., მათი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის გათვალისწინებით კი ჩინოვნიკებს იმედი აქვთ, რომ მომდევნო წლებში ეს ძმები თავიანთ ბიზნესს კიდევ უფრო გაზრდიან და ქალაქის ბიუჯეტშიც ბევრად მეტ თანხას შეიტანენ. მხოლოდ აკუნინაციისგან მოქრთამულ გრაფს უჭირს, დაეთანხმოს ამ მსჯელობას, თუმცა ხედავს, რომ გადაწყვეტილება სამართალიანია. სასაცილო და სახალისოა მისი გამოსვლის ბოლო სიტყვები: „ყვირთელი ხიზილალა ენას ისე მიბამს, რომ საუბარს ვერ ვახერხებ“ (ერისთავი 1936: 276).

ქრთამით (ფულით, საჩუქრებით) ადამიანების მოსყიდვა არც მინასოვებისთვისაა უცხო. „უსტაბაშების“ გარდა, „ყარტა-მარტა“ ხალხსაც აძლევენ ძღვენს. „ქართველებიც ვინც დიდია, სულ ჩემ ჯიბეზე ჰკიდია!“ – მღერის გაბრიელ მინასოვი (იქვე: 274). თუმცა, როგორც ვთქვით, მათგან აუცილებლობა ითხოვს საზოგადო სარგებლობისთვისაც თანხის ნაწილის გაღებას.

მინასოვებს სახლი, საცხოვრებელი ევროპულად აქვთ მოწყობილი – ძველებურად ტახტზე კი არ სხდებიან, არამედ „კრესლაზე“ მოკალათდებიან, ქალები ფერუმარილს იყენებენ (მარეხი: „ლემენცის ყვითელმა გომბიომ მიფეშქაშა. კარგი რამ არის! მაგრამ ეს ჩემი ქმრის შტუკაა!“ გვ. 269). ქმრებს გერმანელი და ფრანგი ქალები ჰყავთ საყვარლებად. ალბათ, მათგანაც სწავლობენ, ითვისებენ ევროპულ გემოვნებას. ქალებს კი, ცოლების სამართლიანი შენიშვნით, „განა თუ იმათ თავი უყვართ, იმათი ფულები“. ეს კი ასეა, თუმცა ფული, ოქრო, თვალი, მარგალიტი არც ხამფერასა და შუმანას (ივან და გაბრიელ მინასოვების ცოლებს) აკლიათ, სულაც თავზე საყრელად აქვთ, მაგრამ თავს ბედნიერად მაინც ვერ გრძნობენ. ბუნებითი ჭკუა და გამოცდილება კარნახობს მათ, რომ დრომ შეიძლება ფულები ისე გაფანტოს, როგორც ქართველმა თავადმა. მართალია, ქონებასთან, სიმდიდრესთან ქართველი თავადის აგდებულ, ქედმაღლურ, ზერელე დამოკიდებულებას კიცხავენ, ირონიულად მოიხსენიებენ, სამაგიეროდ, მოსწონთ მათი ზნეობა – ერთგულება, სიყვარული მეუღლისა, ოჯახისა. ჩვენ ქმრები გვეუბნებიან: „ყველა გაქვთო, რაღა გინდათო! ქართველი თავადი კი ცოლს უაღერსებს. ნეტა იმიტომ, ჯიბეში დიდმარხვა რომ უძევთ?“ – ასე სჯის ხამფერა. ეს ჭკვიანი ქალი ხვდება, რომ ბედნიერება სიმდიდრეში არაა. ქმარს მიუთითებს, რომ ღარიბი ხალხისთვის თევზის მიცემა მაღლია, რომ სხვის ხარჯზე გამდიდრება საშიშია სულისთვის, რომ

ბევრნი წყევლიან და სხვა... ჭკუა, გათვლა-გაანგარიშების უნარი, მუდამ ფხიზლად, ყურადღებით ყოფნა ივანე მინასოვის დამახასიათებელი თვისებებია. ურთიერთობა სხვა სოცდაგრებთან, შეძლებულ ხალხთან, ჩინოვნიკებთან, საზღვარგარეთელ მწარმოებლებთან, პარტნიორებთან თუ კონკურენტებთან – დიდ უნარს, ცოდნას, სიახლისკენ სწრაფვის სურვილს, ნიჭსა და გამოცდილებას მოითხოვს. საამაყოდ მიაჩნია და არის კიდევ თავმოსაწონებელი: „მამა ჩემი კევი ჰყიდდა! ეხლა ბლადროდნი ხარ! განა ის ბლადროდნი, ქართველი, ფეხშიშველა აზნაური... ჩემი სახელი ევროპამ იცის“ (იქვე: 270). მართალია, განათლება, წიგნი, ენის ცოდნა მისგან შორსაა (ვერაფრით დაიმახსოვრა „ჩლენამ“. მუდმივად შეცდომით ამბობს „ჩნელამ“), მაგრამ, კარგად იცის, როგორ მოექცეს „სოვეტის“ წევრებს – რა შესზთავაზოს, როგორ გადაარჩინოს და კიდევ უფრო გაზარდოს წარმოება და სხვა.

თუ თავიანთი უზნეობით, ყოფითი ცხოვრებით, გაუნათლებლობით, ტრაბახითა და სხვა თვისებებით ეს ვაჭრები სასაცილონი არიან, სამაგიეროდ პატივისცემას იმსახურებენ საქმიანობის, შრომისუნარიანობის, მომავლის განჭვრეტისა და სწორად დაგეგმვის უნარის გამო.

მრავალმხრივ საყურადღებოა გიორგი ერისთავის „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა და 13 ივნისიდან“. ეს ჩანაწერები იმ მხრივაც იწვევს ინტერესს, რომ ავტორი აშკარად ევროპეიზაციის მქადაგებლად გვევლინება. მოსწონს ევროპული ცხოვრების წესი, სისუფთავე, სიმდიდრე, გართობა და სხვა. გიორგი ერისთავი, რომელიც თავის კომედიებში დასცინის და ამასხრებს ვაჭრებს, ამ მოგზაურობითი ჟანრის თხზულებაში პატივისცემით მოიხსენიებს მათ. არ მალავს სიამოვნებას სიმდიდრის, შეძლებული ხალხის ნახვისას. მოგზაურობის დაწყებისთანავე, ორპირიდან ფოთისკენ გემით მიმავალი მწერლის ყურადღება მიუპყრია რიონის პირას მცხოვრებ ხალხს – მეგრელებსა და გურულებს. „აგერ რამდენიმე ლოტკა მოსცურავს და სეირნობენ ქალნი და კაცნი, სიმკვირცხლე და მოძრაობა შემოსულა მათში, - შეძლება, ვაჭრობა გარდასხმულა ამ მხარეს,“ – წერს მოგზაური. სიამოვნება და სიამაყე გამოსჭვივის ამ აღწერაშიც: „აბა, ახლა ნახეთ ტანოვანნი, ფეროვანნი, სუფთად, მსხდომარენი ვაჭრად დუქნებში, მენავენი, ჩალვადარნი, - მაგრამ არ არის საკვირველი“... (ერისთავი 1936: 331).

ვაჭრობის განვითარება ქვეყნის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ XIX საუკუნის 50-იან წლებიდან ჩვენს მოღვაწეებს. ამ მოსაზრებას მხარს უზამდა, ამაგრებდა და პრაქტიკულად ხელს უწყობდა მეფისნაცვალის მიხაილ ვორონცოვი, რომელსაც იმპერიული პოლიტიკის გამტარებელი კი გახლდათ საქართველოში, მაგრამ ისარგებლეს რა მისი ლოიალობით, ამ პერიოდში ქართველებმა ბევრი სამომავლო, სასიკეთო საქმე წამოიწყეს. თავის დროზე ვორონცოვთან დაახლოებულ გიორგი ერისთავს მოგზაურობის დროსაც ახსენდება „კეთილისმყოფელი მეფისნაცვალი“: „მე მომაგონდა, განსვენებული ვარანცოვი იტყოდა, მგონია კიდევ მისწერა ხელმწიფეს, რომ ქუთაისიდან ტრაპიზონამდის გაეკეთებინა გზა, ამისთვის რომ იტყოდა ანგლიჩნები ტრაპიზონიდან გააკეთებენ გზასო და ვაჭრობა სპარსეთისა იმათ დარჩებაო და აქ რო გაკეთდესო, ვაჭრობა ჩვენი იქნებაო!“ (იქვე: 334). მამასადამე, გზის გაყვანა ვაჭრობის განვითარებას და ქვეყნის გამდიდრება-გამდიდრებას შეუწყობდა ხელს.

სხვაგან, სხვა ადგილასაც საუბრობს მწერალი გზების გაყვანის აუცილებლობის შესახებ. პარიზიდან წამოსულისთვის ერთ ნაცნობს უთქვამს: „როჩილდი არის აქაო და ჰპირდება რკინის გზისთვის საქართველოში მე მოგცემთ ფულებსო“ და ამას მოსდევს გიორგი ერისთავის გულწრფელი ნატვრა: „როდის მომასწრებს ღმერთი რომ ჩვენ ქვეყანას გზა ეშველოს.“ ევროპაში სხვა ბევრ რამესთან ერთად ქართველი მოგზაურები გაუკვირვებია ფაიფურის ჭურჭელსა და საკერავ მანქანებს. ფაიფურის წარმოება არ გვიჩვენესო, - დანაწებით წერს ავტორი, საკერავი მანქანების მუშაობის პრინციპის შესწავლა კი მოუნდომებიათ, ორი მანქანა უყიდათ კიდევ...

ასე, რომ, გიორგი ერისთავი გვევლინება ევროპასთან ვაჭრობის, ევროპული საქონლის შემოტანის, ევროპული გემოვნების ჩვენში დამკვიდრების მხურვალე მომხრედა და ქომაგად.

ლიტერატურა:

1. ერისთავი 1936: 218 - ერისთავი გ., უჩინმაჩინის ქუდი, თხზულებანი, თბ.
2. ერისთავი 1936: 276 - ერისთავი გ., წარსული დროების სურათები, თხზულებანი, თბ.
3. ერისთავი 1936: 331) - ერისთავი გ., ჩემი მოგზაურობა ევროპაში, იხ. თხზულებანი, თბ.
4. ორბელიანი 1999: 70 - ორბელიანი ალ., ვარანცოვთან ჩემი დაბეზლება, „სიტყვა მამულის ტრაპესზედ“, თბ.
5. ჭავჭავაძე 1992: 68 - ჭავჭავაძე ალ. გოგზა, ქართული მწერლობა, თბ.
6. ჭავჭავაძე 1988: 31 - ჭავჭავაძე ი. მგზავრის წერილები, თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. II, თბ.

Nino Vakhanina
Sokhumi State University
**OPPOSITION OF CAPITALISTIC AND NATIONAL-RELIGIOUS EPOS
IN THE GEORGIAN REALISTIC PROSE OF THE SECOND HALF OF XIX CENTURY
(G. ERISTAVI)
RESUME**

In XIX century capitalistic and national epos opposed in Georgia and this reflected in literature. Georgians, full of pride, did not deign trade and the Armenians, for the purpose of money-making (and saving up), stopped at nothing.

If love for money-making and enrichment can be considered to be a national character, then the Armenians undoubtedly have this quality. The word “the Armenian” became a trader’s synonym in us and not the nation signifier.

It’s natural that traders of Giorgi Eristavi’s comedies are mainly Armenians (money-lenders or big capitalists). Realist author quite well knew their life and psychotype. Of course in the comedies he used both grotesque and satire in accordance with genre laws and significantly he correctly reproduced the details. Environment, social existence, unbeatified face of a trader are well painted in his plays. Perceptibly is felt difference and even opposition between the Armenian trader and the Georgian dandy. Majority of the Armenian traders originated from poverty, absence and enriched at the expense of astonishing patience and economy. I do not know whether by the national-religious peculiarities is explained the fact that the Georgian strived for spending more than for saving.

Armenian traders, true, condemn lofty, haughty, perfunctory dependence of the Georgian nobleman to the property, wealth; ironically speak of, but instead like their morality – loyalty, love for a spouse, family. If by their immorality, existence, lack of education, swagger and other qualities, these traders are ridiculous, on the other hand they deserve respect owing to activity, ability to work, foreseeing future and skill of correct planning.

Showing us the difference between various nations’ nationalities, at the same time Giorgi Eristavi appears before us as the ardent supporter and defender of trade with Europe, import of the European commodity, consolidation of the European taste in us.

თამილა ზვიადაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მყარ გამონათქვამებში შემავალი ზოგი ლექსიკური ერთეულის სემანტიკისათვის

ენაში ფრაზების აგება ხდება ლექსემათა და სიტყვაფორმათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგადი კანონზომიერების - მათ შორის სემანტიკური წესების - მიხედვით. მაგრამ ზოგადი სემანტიკური წესებით ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა მასში შემავალ ლექსემათა მნიშვნელობებზე არ დაიყვანება. ასეთი ფრაზების კომპონენტებს შორის მჭიდრო კავშირია, ამიტომ მათ მყარ შესიტყვებებს უწოდებენ ამ ტიპის გამოთქმებში გულისხმობენ იდიომებს, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს, ფრაზეოლსქემებს, სამეტყველო შტამპებს, ფრთიან გამოთქმებს (თ. გამყრელიძე, 2008, 374). მყარი შესიტყვებებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ყველაზე უკეთ ლექსიკური ერთეულის „შენახვა“ სწორედ მყარ შესიტყვებებში ხდება. რიგ შემთხვევაში სიტყვა მხოლოდ მათი საშუალებით არის შემორჩენილი. ეს ლექსიკური ერთეულები შეიძლება იყოს არქაული წარმოშობის, დიალექტიდან დამკვიდრებული ან ნასესხები.

არქაული ლექსიკური ერთეულია „საციქველი“, რომელიც შემორჩენილია ანდაზებში: „ავ მეზობელს ცეცხლიც **საციქველი** ეგონაო“, „როგორი ოქროს **საციქველა** ხარ, რომ არ გვათხუებო“; „**მოსაციქვლეს** დახედე და **საციქველზე** უარი ისე უთხარიო“, „**საციქველი** ვის დაუბრუნებიაო“, „**საციქველი** პატრონს უნდა ჰგავდესო“ და სხვ.

სიტყვის ძირია „ციქ“: საციქუელი, საციქუეჰლი, სამოციქულო: მოსახმარებელი, სათხოვნელი, სათხოვარი. ციქუა – ოხა, გინა მოციქულობა. მოციქული..., არს კაცმან ვინმე ამხანაგსა ანუ უადრესაა მიაგზავნოს საქმესა რასმე ზედა“ (ორბელიანი, 1993, 68).

საციქველი - საოჯახო ნივთები (ჭურჭელი, ავეჯი და სხვა იარაღი), რომლებიც შეიძლება მეზობლებმა ერთმანეთს ათხოვონ (<http://www.ena.ge/explanatory-online>):

„წაღება რო იცი, კაცო, მოტანაც იცოდე. გაგაქვ, რაც **საციქველი** მქონდა, სუ შენ გაიტანე. წაიღებ, შე დალოცვილო, და მოტანა აღარ იცი, დასდებ შინა და გიძე - აღარა ჰფიქრობ - იქნება პატრონს სჭირდება, წავილო, ჩავებარო“ (<http://tagiweb.com/fshavlebi-gv-2>).

სვანურში მნიშვნელობა გაფართოებული აქვს და აღნიშნავს ყველა სახის წვრილმანს, რაც კი შეიძლება სთხოვო მეზობელს (მაწვნის ძირი, მჭადის ფქვილი, კვერცხი...). სვანური **ლისციქვ** აქტიურად მონაწილეობს სახელურ და ზმნურ დერივაციასა და პარადიკმატიკაში, ასევე ფრაზეოლოგიზმებში. საციქვ „საციქველი“, **ლისციქვ** - „საციქველზე მეზობელთან გადასვლა, ხოლო **საციქვ-იმ**, ოჯახი, რომელიც გარკვეულ დღეებში (ორშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს) არ გასცემს საციქველს, რადგან ეს ცუდად იმოქმედებს ოჯახის შემოსავლებზე.

საციქვი ნაუპვედი – საციქველის მიუცემლობა, უარით გასტუმრება (ქ. მარგიანი);

იგივე სემანტიკაა დაცული დიალექტებშიც:

„ბავში ვიყავი... სუსტი, ავადმყოფი, დედისა და ბებუის ნებაზე სამწყემსურში და **საციქველზე** გასაგზავნ – გამოსაგზავნი (ო. იოსელიანი);

„თებერა მარჯვე თვალისა და ხელის პატრონი ბიჭი იყო და აბა ისე როგორ გაუვლიდა ახლო რამე იარაღისათვის ან **საციქვლისათვის** გამოსადეგ ხეს, რომ არ მოეჭრა და არ გამოეყენებინა?!“ <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/06/88-vasil-barnovi-krebuli.pdf>

გვხვდება ნასახელარი ზმნის ძირადაც:

„რამდენს არ ეცადნენ გარედან ხელის შეწყობას; ეძახდა მეზობელი, ნათესავი, მოკეთე...**საციქვლობდნენ**, ივალბდნენ“ (ო. იოსელიანი);

საციქვლობდნენ – ჩუქნიდნენ, ეხმარებოდნენ (იმერ.).

დავიწროებული მნიშვნელობით აღნიშნავს მხოლოდ მეალილოეთათვის მიცემულ საჩუქარს - კვერცხი, ხილი, ნაზუქი... (იმერ.).

არქაული სიტყვაა **კვრინჩხი**, რომელიც დიალექტურადაა გააზრებული და გვხვდება ანდაზებში: „**უეკლო კვრინჩხს სულ ფეხით გასთელავენო**“; „**კვრინჩხს რომ ეკალი არ ესხას, მასაც ფეხს დაადგამენო**“; „**კვრინჩხს თავისი ეკალი იცავსო**“; სემანტიკა უკავშირდება იმპლიციტურ შინაარსს: მშვიდი, უწყინარი ადამიანი დაუცველია.

კვრინჩხი – ღორტყემალია, ნაყოფიანი ხე(ლექხ.). ამ მნიშვნელობით დასტურდება „დავითიანში“: „ათი დღის მშვიერს მომერთვა სადილი საკვეხურია/ მოუწყვარი **კვრინჩხი** და მკვახე კოწახურია“.

საბა განმარტავს, როგორც ეკლიან ხეს (ორბელიანი, 1991, 401), ასეა იმერულშიც:

კვრინჩხი – „ჯაგრცხილაა“, იგივე **კვინცხა**: „პლატონმა ... ცხენი მიაბა სამზარეულო სახლის გვერდით მდგარ კვინცხასთან“ (დ. კლდიაშვილი).

არქაული სიტყვაა **მაზმანი** - ბალნის მგრეხელი, თოკების მგრეხავ-გამკეთებელი (ორბელიანი, 1991, 428), ასევე რამდენიმე ანდაზის საყრდენი სიტყვაა: „კაცი გამოვა კაცობრივ, წვერი არ გაახარებსო, თხასაც ასხია ბალანი, **მაზმანი** დააფასებსო“; „**მაზმანი** თოკს დაემბდა, თავისა ჩამოსახრჩობლად“. „ერთ უღელს ორი აპეური სჭირდებოდა. აპეური ღორის ჯაგრისა ან თხის ბეწვისა იგრეხებოდა. აპეურის მგრეხავს „**მაზმანი**“ ერქვა“ (ნ. შატაძე, „პურის მოთხოვა“ <http://meskhi.net/puri.htm>).

დიალექტურადაა გააზრებული სიტყვა **ჭიმურიც** - ეს არს პური დაფხვნილი, გინა ბრინჯი, ერბოსა მოხრაკული, რომელსა სპარსნი **ფლავსა** ეძახიან (ორბელიანი, 1993, 402): „სოფლის ქვრივმა იჩივლა: **ჭიმურმა** და ღორის ქონმა ლამის შვილები დამიხოცოსო. მეზობელმა ჰკითხა: - ქა, კიდევ გაქვს?- არ გებრალეები? ბეჩავს ისიც გამომელიაო. - აბა, ახლა ნახე, გაწყვეტიაო?“

მარმაში - თხელი, გამჭირვალე ქსოვილი: „გაზაფხულის ნელი სიო ნაზად არხევს **მარმაშის** ფარდას (შ. დადიანი).

შემორჩენილია ანდაზაში: „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახვე **მარმაშებსა**“.

ენა აქტიურად ითვისებს ყოფა-ცხოვრებითი სიახლეების ამსახველ ლექსიკას, მათ შორის უცხოენოვანს. ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა, რაც ძირითადად შეპირობებული იყო გეოგრაფიული მდებარეობით და კულტურულ-ეკონომიკური კავშირებით. ეთნოკულტურული კონტაქტები ნათლად აღიბეჭდება ენის სტრუქტურაში, განსაკუთრებით - ლექსიკაში. ქართულ ენას აქვს უნარი საკუთარ ყალიბში მოაქციოს ნასესხები ლექსიკური ერთეული, თავის გრამატიკულ წესებს დაუქვემდებაროს, მსგავსი ან ახალი სემანტიკით დატვირთოს. ფრაზეოლოგიზმებში, ანდაზებში, იდიომებში დაცული ნასესხობები ხან პირდაპირი მნიშვნელობით შემორჩა ენას, რიგ შემთხვევაში - ნაწილობრივ შეცვლილი სემანტიკით.

თურქულ სიტყვად მოიაზრებს სულხან-საბა ორბელიანი „**ზაფრას**“: „თურქთა ენაა, ქართულად მწითური ნაღველი ჰქვია (ორბელიანი, 1991, 277), რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, როგორც არაბულადან მომდინარე: 1. ნაღველი, ღვიძლის ავადმყოფობა. 2. გადატ. ბოდმა, ჯავრი, ნაღველი, სიმწარე (ქველ). ქართულში სიტყვის მნიშვნელობა განზოგადებულია და

განყენებული ცნების აღმნიშვნელი. ამავე მნიშვნელობით გვხვდება კლასიკური თუ აღორძინების ეპოქის ტექსტებში („ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“, „უსწორო კარაბადინი“, „სამკურნალო წიგნი“). დ. ჩუბინაშვილის აზრით, „ზაფრა“ ქართულში სპარსულ ნასესხობას წარმოადგენს: „ნუზლა ნალველისა, გვიანი დანდალუკი; სენი ნალველის ბალღამისა სიჭარბისაგან ან გულისრევა“ (დ. ჩუბინაშვილი 1984, 514).

დასტურდება გამოთქმებში:

„ზაფრა დაეცა“ – შეეშინდა, ელდა ეცა (შდრ.: დაზაფრული, შეშინებული);

ზაფრა აეშლება/დააწვება - სევდა მოერევა, დანალვლიანდება: „ასმათს გზაზე რაღაც გამოურკვეველი **ზაფრა დააწვა** გულზე“ (გ. წერეთელი);

ზაფრის ქარებს აუტებს-გაამწარებს, გააბოროტებს: „მემამულეს ადგილ - მამულის სავაჭროდ გამოცხადებამ **ზაფრის ქარები აუტება**“ (გ. წერეთელი).

საყრდენი სიტყვა თურქული წარმოშობისაა ასევე ფრაზიოლოგიურ გამოთქმაში **„დამალი ჩამოვიდა“**:

დამალი - (damak) - ცხენის ავადმყოფობაა ერთგვარი, ცხენის მაგარი სასა ჩამოსული, დასიებული (ალ. დლონტი, 1984, 178); საღერღელი, ძალზე სასურველი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=58989>). ქერნაჩვევ ცხენს თუ დროზე არ მიუტანეს ქერი, დამლა ჩამოუვა ანუ ქვემო ტუჩზე შიგნით ძიძიბო გაუჩნდება, რომელსაც შემდეგ მოჭრიან ხოლმე. გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით: კაცს, რომელიც დანიშნულ დროს არ გამოჩნდება, ეტყვიან: შენს ლოდინში **დამალი ჩამომივიდაო**: „ჩვენ კი **დამალი ჩამოვივიდა** მაგდენ ლაპარაკში“; „მომაწოდე ეგ ღვინო, ნდობისაგან ლამის **დამალი ჩამომივიდეს** (ი. გრიშაშვილი, 1997, 304).

ულური - ბედი, იღბალი, ბედნიერება (თურქ.) გვაქვს გამოთქმაში: **ულურს არ იტებს** - იხტიბარს არ იტებს (ქეგლ) : „- სხვა რო არა შემიძლია რა?, სხვა **ულური** რო აღარა მაქვს? მუხლებში ძალა გამომელია“ (გ. ჩოხელი); „მაინც **ულური არ გაიტება** და ფეხი წინ წადგა“ (თ. რაზიკაშვილი).

იათალი (თურქ. ითაგ - ბუნაგი) - ცხვრის ფარები, რომელსაც ზამთარში აქირავებენ (ქეგლ) არის საყრდენი გამოთქმაში: **იათალი ვქენი** - გამოვიძინე (ი. გრიშაშვილი, 1997, 304);

ანჯახი - (თურქ. ანჯახ - ძლივს, გაჭირვებით). გადატანითი მნიშვნელობით: უხასიათო ადამიანი, ავი, ანჩხლი, კაპასი (ქეგლ): „საშინელი **ანჯახი** იყო, ჭირვეული, მოსისხლე“ (ვ. ბარნოვი); „მის სიტყვას ოჯახში მაინცდამაინც დიდი ფასი არა პქონდა, არც გასავალი; მისი **ანჯახი თქმა**, თუნდ ძახილი უბრალო რყევა იყო ჰაერისა და გუგუნი“ (ვ. ბარნოვი);

ყულფი (თურქ. Kulb - „კაუჭი“, „სახელური“) - რისამე გასაყოფი, გასაყრელი ნასკვი, ცალი წვერის გამოწვევით რომ იხსნება ან ეჭირება - მარყუჭი : „ჯალათი მიუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზე, მოსწია **ყულფი**, რომ თავი გააყოფინოს“ (ი. გოგებაშვილი); დასტურდება ფრაზეოლოგიზმში: **თავი ყულფში გაყო** - უბედურებაში გაეხვია; „პოლიტიკაში მოსვლით **ყულფში გაყო** **თავი** და როგორ დაიხსნის, ძნელი სათქმელია...“ „ევროპამ **თავი** საკუთარი ნებით **ყულფში გაყო** და ელის, როდის გაიგუდება (doc. Atsu, edu.ge);

ქართულში რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება გამოთქმა „ალაიაში გატარება“:

ალაიაში გატარება (გადგერენა) დასჯის სახეობა იყო ძველად-დასაჯელს ატარებდნენ ჯარისკაცთა ორ მწკვივს შორის, ურტყამდნენ წკეპლას, ჯოხს. გადატანითი მნიშვნელობით: ადამიანის საჯაროდ შერცხვენა: „ფეხს არ აუჩქარებს, ისე გაივლის ამ ალაიაში“; „ალაიაში გამამგვრინეთ და მეტი რაღაი“ (ქეგლ);

„ენავ, ნუ იტყვი და ყურო, ნუ გაიგონებ, ისეთ **ალაიაში გაატარეს** ყმაწვილი ქალი (ვ. ლორთქიფანიძე);

გამოთქმის საყრდენი სიტყვა „ალაი“ თურქულში აღნიშნავს პოლკს, პოლკის ქვედანაყოფს, როტას, ბატალიონს, სამხედრო ნაწილს, გურულსა და აჭარულში კი პირისპირ დამდგარ ადამიანთა ორ მწკვივს.

აქვს სხვა მნიშვნელობაც: ხალხმრავლობა, თავყრილობა: „აბა, გავპირუტყვდე მთლად და **ალაიაში გამოვიდე**, ჯაშუში ვარ-მეთქი?!“ (ქრფლ, 1966, 31).

„ალაია ხალხი უყურებდა მაგათ ჩხუბს და იცინოდა“ (ოზურგეთი, ჩიბათი); „უყურე ერთი ამას, არ გამომაჭენა ამ ალაია ხალხში“- ლანჩუთი, შუხუთი (ნ. გურგენიძე, 2014, 23).

ლაქირდი (თურქ.: ლაქირდ) - ლაყბობა, რაღაცის ბოლომდე არ თქმა, სიტყვის ბანზე აგდება - ფშავურ დიალექტში აღნიშნავს ტკბილ სიტყვას: „ჯავარა სასტიკი იყო, **ლაქარდებს** განშორებული...“ (ქეგლ), **ლაქარდიანი** - მოთნე, პირმოთნე, ფარისეველი, ორპირი, ორგული, ლაქუცა, ქლესა, ლაციცა, მანამბელი, მასიამოვნებელი, მონურად მორჩილი, თავდრეკია, ენამოქარგული, ენამოთაფლული, ქვემძრომი, გაქნილი, იშკილბაზი, კაცთმოთნე, თითლიბაზი, ფოლორცი... (ალ. ნეიმანი, 1978, 559); **ლაქარდიანი ენა** - გბიერი, ქლესა, **ლაქუცა სიტყვა**: „კაცის **ცრუ ბაგე მისივე მტერია** და **ლაქარდიანი ენა** საფრთხეს უმზადებს (იგავნი სოლომონისა); „სიკვდილს ვერავინ ემაღვის, ვერ ვინ

გაექცა რბენითა... ვერც ვინ ცბიერის სიტყვითა, ვერც ლაქარდიან ენითა“ (ი.გრიშაშვილი). „მივიდა მოყურიადე ლაქარდიანის ენითა“ (ვაჟა).

თურქულიდან შემოსულია ასევე სიტყვა **ყავარი** - ხის სახურავი, რომელიც საყრდენი სიტყვაა ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში **კუდი ყავარზე აქვს** გადებული-ყოყოჩია, მედიდური, ამაყი, კუდაბზიკა, მეტიარა: „დიდი ხანია, მაკოს **კუდი ყავარზე აქვს გადებული**, დიდი ხანია, ემალება კარზე მომდგარ გაჭირვებას...“ (<http://litklubi.ge/biblioteka/print.php>).

თურქული სიტყვები დასტურდება მსგავსებით შედარებებშიც, რომელთაც კონვენციურს უწოდებენ. ასეთი ტიპის ხატოვან გამონთქვამებში მტკიცების ფორმით ვლინდება აზრი, რომ ერთი ობიექტი მეორეს ჰგავს. მაგალითად, გამოთქმა: **ბაიყუშივით ზის** აღნიშნავს: უცხვირპიროა, უხეირო, მუდო, ზედმეტად გულჩათხრობილი; დიალექტები: გაუგებელი, საცოდავი, გლახაკი: „ჩვენ **ბაიყუშივით** მიგვაჩნდა და ახლა შეხედე, რა დიდი კაცი გამხდარა“ (ეგნ. ნინოშვილი), „შე სასიკვდილე, სანამდე გინდა დარჩე ასე პროვინციულ ხეპრედ, ასე **ბაიყუში**, ყრუ და უბირი“ (ო. იოსელიანი).

ბაიყუში (ბაიკუმ-ჭაობის ბუ, ჭოტი) თურქული წარმოშობისაა, ამოსავალი, ძირითადი მნიშვნელობა მას დაკარგული აქვს, (ჭოტის სინონიმად არ გამოიყენება), მაგრამ შენარჩუნებულია ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში.

ყარფუზი (თურქ.) – იგივეა, რაც საზამთრო (ქეგლ): „მოულერა, მოუქნევედა, დააპნევედა **ყარფუზივითა**, როგორც რო იტყოდნენ, შუაბაზარშია“ (ო. ჩხეიძე).

ყურბანი - (თურქ.: kurban) - ა) ზვარაკი, სამსხვერპლო ცხვარი (ალ. ლლონტი, 1984, 616): „მუსლიმანებმა ყურბანი, დაკლილი პირუტყვის ხორცი დაარიგეს. ყურბან-ბაირამობა მარხვისთვის, რამაზან ბაირამიდან 70-ე დღეს აღინიშნება“ (sknews.ge/index.php?newsid=2534).

ბ) *ყრუ, უბირი, გაუნათლებელი (გურ., ქვ. იმერ.)*: „ერთი სოფელი გავიარეთ, ჩაბნელებული... მერე გზა ორად გაიყო, გავაჩერეთ... ბედზე ვიღაც **ყურბანა** ვნახეთ. იმასაც ვკითხეთ“ („უსინათლოები საზღვრებს გარეშე“); „სულ მცირე, დედაეკლესიაში რომ შეხვალ, **ყურბანივით** არ იმკითხავებ ხატთან... და წაიკითხავ მაინც“ (<https://forum.ge/?f=29&showtopic=34170770&st=49>).

ცნებითი აზროვნების დონეზე ფორმირებული, სტერეოტიპულ ფორმულაში გამოხატული მყარი გამონათქვამები გამოიყენება ყოველდღიურ საუბარში, მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტიკაში. მათი საშუალებით შესაძლებელია, ენას შემორჩეს ლექსიკური ერთეული, რომელიც უკვე აღარც არის პროდუქტიული, მეტიც - მხოლოდ მყარ გამოთქმაშია დადასტურებული. ამიტომაც ამ გამოთქმების შესწავლა ენათმეცნიერთათვის განსაკუთრებული ღირებულებებისაა.

ლიტერატურა:

1. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2008;
2. ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბ., 1997;
3. ნ. გურგენიძე, ქართულ დიალექტიზმებში ნასესხებ თურქიზმთა ეტიმოლოგიისათვის“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VIII, 2014.
4. გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბ., 2014;
5. ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1979;
6. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2006;
7. რუსულ-ქართული ფრაზ. ლექსიკონი, თბ., 1966;
8. ლ. რუხაძე, თურქიზმები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, (დისერტ.), თბ., 1999;
9. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I – 1991; წიგნი II – 1993;
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი , I- VIII, თბ., 1950 – 1964; ახალი რედ. – I, 2008;
11. ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984;
12. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ენის ლექსიკონი, 1961;
13. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

Tamila Zviadadze

Sokhumi State University

FOR THE SEMANTICS OF SOME LEXICAL UNITS THAT ARE INCLUDED IN THE FIXED EXPRESSIONS RESUME

The language has an ability of reflecting not only certain fact, but even attitude to this fact, among them are those moral and ethical values expressed in stereotypic expressions, in the forms with generalized meaning that is a rich source of knowledge about people's mentality and culture. They prominently express objectively existed and socially

developed importance. The language easily masters vocabulary reflecting news of life, among them in foreign language. Stereotypic expressions often save lexical units of this type. Eastern lingual material is interesting that part in some places is approved under direct meaning, in some cases – partly in changed form. Sometimes the meaning is even obscure. It happens when the lexical unit is not productive and is saved only in such types of expressions.

Mobility of social relation of individuals and semantic changeability caused due to the influence of various extralinguistic factors enables us to observe viability of borrowed words.

In the article is provided analysis of illustration material.

*მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

კონცეპტი „ხელი“ ქართველურში

სიტყვა „ხელის“ ლექსიკურ-სემანტიკური ველის ყველა ლექსემა სამივე ქართველურ ენაში - სვანურში, მეგრულსა და ლაზურში - ერთ ლექსიკურ ბუდეს მიეკუთვნება. ირკვევა, რომ ლექსემა „ხელი“ საერთოა ქართველური ძირითადი ლექსიკური ბირთვისათვის და კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობებს იძლევა ქართველურ ენებში (ქართ. ხელი, მეგრ. ხე, ლაზ. ხე, სვან. ჯალ). როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო ქართველურ ფორმატში კვლევამ აჩვენა, რომ ლექსემა „ხელი“ მსგავსი ტიპოლოგიით მონაწილეობს სიტყვათწარმოებაში, კომპოზიტებში, ფრაზეოლოგიზმებში.

მეგრული:

ხე -ხელი; **ხე დო დუდი** - ხელი და თავი; **ხე დო კუჩხი** - ხელ-ფეხი; **ხეგედვალირი** - ხელდადებული; **ხეგეწკურილი** - ხელდაკრეფილი; **ხეაკოკირილი** - ხელშეკრული; **ხე დო ხეთ** - ხელით; **ხეგვიანი** - ხელგვიანი; **ხეგიორაყაფალი** - ხელდასაკარები; **ხეგოტებული** - ხელგაშვებული; **ხეგოფაჩილი** - ხელგაშლილი; **ხეგოფაჩილობა** - ხელგაშლილობა; **ხეგუმოღალირი** - შშრომელი; სიტყვ.-სიტყვ. ხელგამოტანილი; **ხედამშვენებული** - ხელდამშვენებული; **ხედასქვამებული** - ხელდამშვენებული; **ხეეფორაფილი** - ხელაფარებული; **ხეეფმა** - ხელსავსე; **ხეზგსხირამი** - ხელსისხლიანი. **ხეკირილი** - ხელშეკრული; **ხელამი** -ხელიანი; **ხემანჩალარი, ხემანჩალუ** - ხელისშემშლელი; **ხემანწყუ, ხემანწყოუ** - ხელშემწყობი; **ხენწყალა** - ხელშემწყობა; **ხემანჯღვერი, ხემანჯღვერუ** ხელმძღვანელი; **ხემაჭკადუ/გ** - ხელმარჯვე, ხელმჭედელი; **ხემოჭარილი** - ხელმოწერილი, ხელწერილი; **ხემოჭკადილი** - ხელმოჭკადილი; **ხემეთხიმილი** - ხელმოკიდებული; **ხემიოჭირინაფალი** - ხელმისაწვდომი. გადატ. ახლოს; **ხემონჭირელი** - ხელმოჭირილი, გადატ. ძუნწი; **ხემეჭვილი** - ხელდამწვარი, გადატ. ძუნწი; **ხემანჯღვერი, ხემანჯღვერუ** - ხელმძღვანელი; **ხეკულა, ხეკულე** - ხელგაფუჭებული, უხელო, ხელმოჭირილი, ცალხელ; **ხეკუნტა** - ხელმოკლე; **ხეკობუ** - ხელმწარე, მაგრად (მწარედ) დამრტყმელი; **ხეკვარჩხი** - ხელმარცხიანი, გადატ. ხელმრუდი, ქურდი; **ხელულა** - ხელმრუდი, გადატ. ქურდი; **ხეკინოკართელი** - ხელწაკაპიწებული; **ხეუგმულუ** - ხელიდან არაფერი რომ არ გამოუვა, ხელგამოუსვლელი; **ხეუხეხუ** - ხელშეუხეხელი, გადატ. შენდობილი; **ხეფორჩა** - ტანსაცმლის სახელო; **ხეფორჩაგოტებული** - სახელოჩამოშვებული; **ხემეულირი** - გაცულლუტებული (ხელიდან წასული), გაქსუებული; **ხეშათმანი** - ხელთათმანი; **ხეში კარაჩხა (კარანჩხა)** - ხელის პატარა კალათა; **ხეში კვერი** - ხელის კვერი, გადატ. მუშტი; **ხეში კეტი** - ხელკეტი (ხელის კეტი); **ხეშნარდი** - ხელზე გაზრდილი; **ხეშნაჭა** - ხელით ნაკერი; **ხეშტოტი** - მკლავდამკლავ; **ხეშქაგური** - ხელის შუა გული, ნები; **ხეს აშალურა** -ხელში ჩაკვდომა.

ხეშქოსალი (ხეში+ოქოსალი) - ხელსახოცი, ხელის სახვეტი; **ხეშაშადინაფილი** -გაპარული, გაქცეული (ხელში დაკარგული); **ხეკანკალაფირი** - ხელაკანკალეებული; **ხეში მალასარი** - ხელის შემშლელი.

ლაზური:

ხე¹ - ხელი; **ხე²** - ტარი; **ხე³** - სახელური; **ხე-ბუკი** - ხელმოუქნელი; **ხე-გომპა** || **ხე-გომფა** - ხელგაშლილი; **ხე-გონძიქერი** - ხელეხდაკაპიწებული; **ხე-გური, ხაგური** - ხელის გული; **ხე-დიკი, ხე-**

დიდი - თოვლში სასიარულო თხილამური; **ხე-დური, ხემ-დუყუ (დურყუ, დული)** - იდაყვი; **ხე-ზდიმერი** - ხელმომჭირნე, ძუნწი; **ხე-თათი, ხემ-თათი** - ხელთათმანი; **ხე-კაძი /ხე-კოტი** - ხელმოუქნელი, რომელსაც საქმე არ გამოდის ხელიდან; **ხე-კლავი** (ქართ.) - მკლავი; **ხე-კაპულა** - ხელის ზურგი; **ხე-კურხე** - ხელ-ფეხი; **ხერცალი** - ხელისგული; **ხეტაწი** - ხელმარჯვე; **ხეფორჩა** - სახელო; **ხელულა** - ხელმრუდი, ქურდი (მეგრ. ხელულა); **ხემა, ხეში** - მუჭა, მუშტი; **ხემ-არაბა** - ხელის ურემი; **ხემგემდგინუ** - ხელის მოსამსახურე; **ხემე(რ)ი, ხეში II ინკილი** - კონა, მუჭა; **ხეში-გური, ხემტაბუ** - ხელის გული; **ხეში-კაპულა** - ხელის ზურგი; **ხემ-კალათი** - კალათი; **ხემ-კლავი** - მკლავი; **ხემქერი** - ხელბადე თევზაობისას; **ხემ-ხოპე** - ხელის ბარი; **ხეჩატალი, ხეკოტი** -

სვანური:

კელჷჷან „ხელოსანი“; **კელჷჷანარ** „ხელოსნები“; **ლი-კელჷჷან-ი** „ხელოსნობა“; **კალარ** „მკლავები“, „ხელები“; **ლი-კლარ-ალ** „ხელები გადახვევა, მოხვევა“;

ში „ხელი“; **შიარ** „ხელები“ **ტუეტ** „ხელი“ (მდრ. ქართ. ტოტი); იტყვიან: **ხომა ტოტარ ხარ** და არა **ხომა შიარ ხარ** „დიდი ხელები აქვს“; მაგრამ ხელის ჩამორთმევის მნიშვნელობით ითქმის **შის ვხბიშ** და არა **ტუეტს ვხბიშ**; **ლეშიტ** „ხელსაქმე“; **ლამშიარ** „ხელსაწყო“; **შიტუტ ნაარტ** „ხელმწერი“; **კელწიფ** „ხელმწიფე“; **საწელწიფ** „სახელმწიფო“; **ხოჩა შირემ** „ხელმარჯვე“; **შიურ** „უხელო“.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ხელთან დაკავშირებით წარმოდგენილია შემდეგი მასალა: ქართ. **კელ-ი; ხელი; სა-კელ-ი; ერთ-კელ-ი; მე-კელ-ე; კელ-ოსან-ი; კელ-ოვან-ი** და სხვ.

მეგრ. **ხე/ხუ; ხე** „ხელი“, **ხუ** „მუჭი“;

ლაზ. **ხე** „ხელი“;

სვან. **კალ- კალ** „ორი გაშლილი მკლავის სიგრძე“.

გვხვდება ძველ ქართულში: **კელი; ერთკელი; უკელოა...**

ქართული ხელ-ძირის შესატყვისად მეგრულში გვაქვს **ხუ** „მუჭი“ და **ხე**, ლაზ. **ხე** „ხალ-ლ-ს დაკარგვითა და უმლაუტით და სვან. **კალ** (გასარკვევია სვან. ა-ს წარმომავლობა) (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 495);

სვანური საახალწლო სუფრის უმნიშვნელოვანესი რიტუალი არის **ლი-შე-აში** < (ლი-ში-აში-ი), რომელსაც მეკვლის მოსვლამდე ასრულებს ოჯახის უფროსი, შემდეგ კი - მეკვლე; ახალწლის ღამეს საგანგებოდ დაცხობილ კვერზე ფუსნმუჟელზე აწყვია კლდის ბალახი - თომის კონა, კანფეტები, ზამბის ფთილა, ფული... **მეშაშში** (ე. ი. **ხელის ამხსნელი**) ამ კვერით პირველ რიგში მიდის ზავშვებთან, შემდეგ ოჯახის ყველა წევრთან, სახის წინ მარჯვნიდან მარცხნივ უტრიალებს ამ კვერს და თან ლოცავს შემდეგი ფორმულებით: ზაჲ ყერი მგცაჲდი ხოჩა ზაჲს უვ ჯიცაჲდი „ჟამთმცვალეხელი ღვთაება კარგ წელიწადსამც გინაცვლებდეს“. ბოლოს ვინც დალოცეს, იმან უნდა აკოცოს კვერს, **მეშაშშიმ/ხელის ამხსნელმა** კი ტკბილი უნდა ჩაუდოს პირში. **შიმი ლიფშვდე** „ხელის ახსნა“ შიმი მუფშვდე „ხელის ამხსნელი“; სოფელში, მეზობლებში ადამიანები ფასობენ იმის მიხედვით, ვის აქვს **ხოჩა შიმი ნაფიშტდუ** - კარგი ხელი ანუ კარგი ხელის ანახსნევი.

კონცეპტი „ხელი“ ფრაზეოლოგიზმებში:

მეგრული:

ხე ხეს ბონუნს - ხელი ხელს ბანს, -- გადატ. ეხმარება, ხელს უწყობს.

ხე გიბონუ - ხელი დაიბანა, -- გადატ. პასუხისმგებლობა მოიხსნა.

პიჯიშა ხე ვაიაფორე - პირზე ხელს არ აიფარებს, -- გადატ. ვერ გაჩუმდება.

ხე გაანწყუმუ - ხელი გაეხსნება, -- გადატ. მოქმედების თავისუფალი საშუალება მიეცემა.

ხე დო კურხიქ აკაკირუ - ხელ-ფეხი შეეკრა, -- გადატ. ხელი შეეშალა.

ი კოს მუ ხე ულუ ე ამხეს - იმ კაცს რა ხელი აქვს ამ საქმეში, -- გადატ. იმ კაცს რა ესაქმება (შუაშია) ამ ამბავში.

თიში უჩა ხე ოკათუ - იმისი შავი ხელი ურევია, -- გადატ. იმისი მონაწილეობითაა ჩადენილი.

ხე დო ხე შქას ჩუურცხინუ - ხელსა და ხელს შუა გამოაცალა, -- გადატ. წაართვა; მოჰპარა.

გური ხეთ გილულუ - გული ხელით დააქვს, -- გადატ. ძალიან ავადაა.

ხეთი რდუნს - ხელით ზრდის, -- გადატ. თვითონ აჭმევს (ზრდის).

ჟირიხოლო ხეთ თანახმა რე - ორივე ხელით თანახმაა, -- გადატ. უყოყმანოდ თანახმაა.

ხეს აჩამ - ხელზე ექავება, ეფხანება, -- გადატ. ფული მოდის; საქმის გაკეთების სურვილი აქვს; ვისმე ცემის სურვილი აქვს.

ხეს გეგმადალაფუანს - ხელს გამოატანინებს, -- გადატ. ამოქმედებს, წინააღმდეგობის გასაწევად განაწყობს.

ხეს გეგნაყუნუანს - ხელს გადააყოლებს, -- გადატ. მოიპარავს.

ხეს გინმაფორუანს - ხელს აფარებს, -- გადატ. დანაშაულის დაფარვაში ეხმარება.

ხეს ვა დაარკენს - ხელს არ დააკლებს, -- გადატ. ზრუნვას არ მოაკლებს.

ხეს ვამკურაყუნანს - ხელს არ ახლებს, -- გადატ. არაფერს ავნებს.

ხეს ვაკურთინუანს - ხელს არ დაუბრუნებს, -- გადატ. სამაგიეროს არ დაართყამს, არ შეუბრუნებს ხელს.

დუდიშე ხეს ითმიდანს - თავზე (თავიდან) ხელს იღებს, -- გადატ. უკიდურესობამდე მიდის.

თოლიშა ხეს იფორუანს - თვალებზე ხელს იფარებს, -- გადატ. არ ამჩნევს, არ რეაგირებს.

ხეს კიდირიშა ქიგიიწკურანს - ხელს მკერდზე დაიკრევს, -- გადატ. უდანაშაულოდ აჩვენებს თავს.

ხეს დო კურხის აკმუვირუნს - ხელსა და ფეხს უკრავს, -- გადატ. ხელს უშლის, აბრკოლებს, ბოჭავს.

ბედნიერ ხეს მეჩუ - ბედნიერ ხელზე მისცა, -- გადატ. საქმე კეთილად წარიმართა.

ხეს მეჩანს - ხელს მისცემს, -- გადატ. ხელსაყრელი, სასარგებლო იქნება.

ხეს მიიტიბუანს - ხელს მოითხოვს, -- გადატ. უპატიოსნო გზით ფულს იშოვის.

ხეს მუუთენს - ხელს მოუთავებს, -- გადატ. ბოლოს მოუდებს, მოსპობს.

ხეს მუუნჭირანს - ხელს მოუჭერს, -- გადატ. მუნწად დახარჯავს.

ხეს ოჭარანს - ხელს აწერს, -- გადატ. ყველაფერს კადრულობს.

მიში ხეს რე, აშარდუნი - ვის ხელშია, რომ ჩაყარა!, -- გადატ. ვისი დამოკიდებული გახადა!

ხეს უკებუ - ხელში უჭირავს, -- გადატ. თავის ნებაზე ამოქმედებს (ვისმე).

ხეს ულასუნს - ხელს უშლის, -- გადატ. აბრკოლებს. **ხეს ულონტკუნს** ხელს ულოკავს, -- გადატ. ელაქუცება, ფეხქვეშ ეგება.

ხეს უნწყუნს - ხელს უწყობს, -- გადატ. ეხმარება.

შხვაში ხეს უჯინე - სხვის ხელს უყურებს, -- გადატ. სხვისგან რაიმე გამორჩენას ელის.

ხეს ქაშაადინუ - ხელში ჩაადნა, -- გადატ. გაქრა, დაიკარგა.

ძღაბიქ ოსურენს ხეს ქაშაადინუ - გოგო ქალებს ხელეში გაუქრა.

ხეს ქაჭიშუანს - ხელს შეამველებს, -- გადატ. დაეხმარება.

ხეს ქაშარჩინუ - ხელში ჩააბერდა, -- გადატ. გაუთხოვარი (// ცოლშეურთავი) დარჩა.

ხეს ქეშელიებუ, ქაშადინუ, -- ხელში ჩაადნება, გაქრება.

ხეს ცუნს ჭოფილი - თავის ხელში ჰყავს დაჭერილი, - მასზეა დამოკიდებული, უმისოდ ფეხს ვერ გადადგამს.

ხეშა აშალაფა - ხელში ჩავარდნა, - მისი საკუთრება ხდება.

ხეშა აშაყვილუა - ხელში ჩაკვლა, - გადატ. ძალიან დატანჯვა, შეწუხება.

ხეშა აშაყოთამა - ხელში ჩაგდება: **ხეშა ქაშეყოთანს** - დაეუფლება, დაეპატრონება.

ხეშა გოკარკატაფა - ხელზე შემოხვევა, - გადატ. საბაზად, მიზეზად გახდომა რისამე.

ხეშე ირფელი გიშმალე - ხელიდან ყველაფერი გამოუდის, - გადატ. ყველაფერი შეუძლია გააკეთოს.

ხეშე გიშულა - ხელიდან გამოსვლა, -- გადატ. დახსნა.

ხეშე ხეშა გინშურს - ხელიდან ხელზე გადადის, -- გადატ. რიგრიგობით მრავლის ხელში მოექცევა.

ხეშე გოტება - ხელიდან გაშვება, -- გადატ. თავის მინებება, დაკარგვა.

ხეშე დარსხება - ხელიდან დახსნა, -- გადატ. გადარჩენა.

ხეშე ულირი - ხელიდან წასული, -- გადატ. ძალიან დასუსტებული; გაფუჭებული.

ხეშე ჩათხინაფა - ხელიდან მოშორება, -- გადატ. დაკარგვა.

ხეში აღარჩინუა - ხელის მასთან ერთად დაბერება, -- გადატ. ლოცვაა:

ხე ქალაარჩინუ ეშ მაკეთებელს -- ხელი შეაბერდეს ამის გამკეთებელს.

გურიშა ხეში გედვალა - გულზე ხელის დადება, -- სიცრუის გარეშე (გაურევლად).

ართი ხეში გედვალა - ერთი ხელის დადება, -- ძალიან მცირე.

ხეში გიმოღალა - ხელის გამოღება, -- ამოძრავება წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

დუდშა ხეში გინოსუმალა - თავზე ხელის გადასმა, -- გადატ. მოფერება, დაყვავება.

ხეში გოთირუა - ხელის გაცვლა, -- გადატ. ხელის ჩამორთმევა, მისაღმება.

ხეში გონწყუმა - ხელის გახსნა, -- გადატ. თავისუფალი მოქმედების საშუალების მიცემა; რელიგ. გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულის ოჯახში პირველად ხორცეულის ჭამა.

შხვაში ლუბას ხეში დინოჩანაფა - სხვის უბეში ხელის ჩაყოფა, -- გადატ. სხვის საქმეში აქტიური ჩარევა.

ხეში ეღალა - ხელის აღება, -- გადატ. თავის დანებება; უარის თქმა რაიმეზე:
დუდიშე ხეში ეჭოფუა - თავზე (თავიდან) ხელის აღება, -- გადატ. პასუხისმგებლობის მოხსნა და ანგარიშის არგაწევა არაფრისათვის.
ხეშა ხეში მეჩამა - ხელის ხელზე მიცემა, -- გადატ. ერთმანეთის დახმარებით მოქმედება.
ნწარე ხეში მინჯე რე - მწარე ხელის პატრონია, -- გადატ. მწარედ იცის დარტყმა.
ართი ხეში მოსუმათი - ხელის ერთი მოსმით, -- გადატ. ერთბაშად.
ხეში ართი მორქიათ, **ართი ხეში მოსუმათი**. - ხელის ერთი მოქნევით.
თოლი დო ხეში შქას მედინუ - თვალსა და ხელს შუა დაიკარგა, -- გადატ. მოულოდნელად, თვალწინ დაიკარგა, გაქრა.
ხეში წიკუა - ხელის დასვრა: **ხე აფუ წიკვილი** - ხელი აქვს დასვრილი, -- გადატ. ცუდ საქმეშია გარეული.
ხეში წიკუაშა ვადირუ - ხელის დასვრად არ ღირს, -- გადატ. უმნიშვნელო რამ არის.
ხეში წიმოჭირინაფა - ხელის გაწვდენა, -- გადატ. დახმარება.
შხვაში ხეში ჯინა - სხვისი ხელის ყურება, -- გადატ. სხვის იმედზე ყოფნა.
ხეში კვერი - ხელის კვერი, -- გადატ. მუშტი.
შხვაში ხეში მაჯინუ - სხვის იმედზე მყოფი (შემყურე).
„ხე ხეს ზონუნცია დო ჟირხოლო პიც“ - ხალხ. სიბრ., 1, გვ. 197 - ხელი ხელს ბანსო და ორივე პირს.
„ხე დო დუც გოილუა“ - კ. სამუშ., ქართ. ზებ., გვ. 35 - ხელსა და თავს შემოგავლებ.
„ხეთ ქუკებუ“ - ქსს, 1, გვ. 227 - ხელით უკავია.
„ქირი ქეგუხე ხეშა“ - მ. ხუბ., გვ. 7 - ქორი (კი) უზის ხელზე.
„ხე დო კურხიში ჭუალა“ - ი. ყიფშ., გვ. 161 - ხელისა და ფეხის (ხელ-ფეხის) წვა.
„გილამილუნა ხე დო ხეთ“ - დაგვაქვს ხელით (და ხელით).
„უმარდუთ ხემანჯღვერენს“ - ქსს, 1, გვ. 313 - ვუმადლით ხელმძღვანელებს.
„იყიი ხემოჭარილი დოდვალირი“ - მ. ხუბ., გვ. 35 - იქნება ხელწერილი (ხელმოწერილი) დადებული.
„ხემოჭკადილი რენია“ - ხალხ. სიბრ., 1, გვ. 183 - ხელმოჭკადილი არისო.
„ხემეთხემილო თის მეუზინდგ თე ჯაჭვი“ - ხელმოკიდებულად ის მიათრევს ამ ჯაჭვს.
„ხემოჭირინაფუს ქოილუ-და, ქომური“ - ხელმისაწვდომზე (ახლოს) თუ გაქვს, მომეცი.
„ხეკულე რეჩიევე, ხელენციავა ქიმკოიდგენქია“ - მ. ხუბ., გვ. 187 - უხელო რომ ხარო, ხელეგსო მიგიდგამო.
„ხეკულექ ქიმიახვამუ ოში მანათი“ - უხელომ (ხელმოკლემ) მიულოცა ასი მანეთი.
„ნახეტანი ხეკობუ ბოში რე „ - ნამეტანი ხელმწარე ბიჭია.
„ხეკვარჩხი ზაღანაე, ართ წუნს ვადიტენე“ - ხელმრუდი (ქურდი) ბავშვია, ერთ წუთს არ შეიძლება დატოვო.
„ხელულა რენია“ - ხალხ. სიბრ., გვ. 183 - ხელმრუდე არისო.
„დუ ოჭოფუ დო ხეფორჩაშა ქიმთიხუნუ“ - ა. ცაგ., გვ. 50 - ბუ დაიჭირა და სახელოში შეიჯინა.
„ათე ჩქეჩქეს ხეფორჩაქ დააკორდგ“ - მ. ხუბ., გვ. 262 - ამ ჩვილს სახელო დააკლდა
„თაში ხვადგ მოლალატეს, ქიფოთგ ხეში კვერიშა“ - ი. ყიფშ., გვ. 158 - ასე ხვდება მოლალატეს, იგდო საცემად (ხელის კვერის -- მუშტის დასარტყმელად).
„დუცვილუნა ხოჯი, ხემკეტეფიშა ქეგეუკირაფუნა“ - ი. ყიფშ., გვ. 12 - დაუკლავთ ხარი, ხელკეტებზე (ზევიდან) დაუბამთ.
„ათე გინი ხემწარდი მაფუ“ - ეხ ხბო ხელზე (ხელში) გაზრდილი მყავს.
„აკანთხეს და ხემტოტიშა ქიმერთეს ართმაჟიაშა“ - ემგერენ და მკლავდამკლავ მივიდნენ ერთმანეთთან.
„კვარჩხანი ხემქაგურს მაჩამ“ - მარცხენა ნებზე მეფხანება.
„ხემქაგურიცალო მოჩქ“ - ქსს, 1, გვ. 316 - ხელისგულივით მოჩანს.
„ხემქაგურიცალო მოჩქე ჯვეში ოხვამე წენდიხური“ - კ. სამუშ., ქართ. ზებ., გვ. 141 - ხელისგულივით მოჩანს ძველი ეკლესია წალენჯიხური.
„ხემქაგურშა ქეშამიდოხოლა“ - ხალხ. სიბრ., 1, გვ. 183 - (შუა) ხელის გულში ჩამიჯდაო.
„ართი ჩქიმი ხემქოსალი ვოსქირეე, ვოსქირეე დო დღასი ვა მასქირუ“ - ა. ცან., გვ. 135 - ერთი ჩემი ხელსახოცი ვაშრე, ვაშრე და (ვერასოდეს) ვერ გავაშრე (გამოცანა: ენა).
„ქიმვაზადი, ხე გუთგრე უჩინებუ მა სუმარც“ - მივეგებე, მივესალმე (ხელი ჩამოვართვი) უცნობ სტუმარს.
„ხე იოდი სქანი სახენწიფოსია“ - მ. ხუბ., გვ. 1 - ხელი აიღე (უარი თქვი) შენს სახელმწიფოზეო.

„კიდას მიკოხედეს ხეგეჭურილო“ - კედელთან ისხდნენ ხელდაკრეფილად (ხელგადაჯვარდინებულად).

„თენფეიში ხენწყულას დიდხანც ქასქვდ მეხუნდე“- კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 95 - ამათ ხელშეწყობას დიდხანს შერჩა მეხუნდე.

სვანური:

შიწრჭუნაჟლდე „ხელცარიელი“ (სიტყვასიტყვით „ხელებსახელოებში ჩადებული“. ხოლამ შირე პატრტენ „ქურდბაცაცა“, სიტყვასიტყვით – „ცუდი ხელების პატრონი“. შიმი ლისყენე „ხელშეწყობა“. შიმი ლიბშე „ხელის ჩამორთმევა“. შუნ ლიღვენე „თან ქონა, ხელთ ქონა“. შუნურიქუნურ „გაურევლად“ სიტყვასიტყვით „ხელისა და სულის გარეშე“.

ლაზური:

„ოკაჩხე ხე დო ფუზი დევიმზონით“ – მერე ხელ-პირი დავიბანეთ (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 104).

„არგუნის ხე ვარ მოძინ“ – ნაჯახს ტარი არ აქვს გაყრილი. „კასნაღის ყვილიში ხე უღუტუ“ – კასნაღს ძვლის ტარი ჰქონდა (ა. თ.).

„ქომოჯის ტიკინას ხე ნუჭკოდუ დო ქაფჩა ქოდიბლუ“ – ქმარს კალათის სახელური გაუწყდა და ქაფშია დაიყარა (ყდენტი – ჭანური ტექსტები, გვ. 7).

„ჰამ ხეგური“ – აგი ხელის გული (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 112).

„ჰამ ხე-დული“ – ეს იდაყვი (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 112).

„ჰამ ხე-კაპულა“ – ეს ხელის ზურგი (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 112).

„აა ხეფორჩა რენ“ – ეს სახელოა (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, გვ. 150³⁵).

„არ ხეშა (აუჯი) მჭითა ალთუნი ქომეჩუ დო იგზალუ“ – ერთი მუჭა წითელი ოქრო მისცა და წავიდა (ყიფშიძე – ჭანური ტექსტები, გვ. 72).

„ქოდუჯოხეს აა ხეშგემდგინუს“ – დაუძახეს ამ ხელის მოსამსახურეს (კარტოზია – ლაზური ტექსტები, გვ. 63¹⁶).

„თასიშენი ხეშ(რ)ი დიქომან დო ქოგოკვიდამან სერენთის“ – თესლისთვის კონას გააკეთენ (დაკონავენ) და ჩამოჰკიდებენ (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 60).

„ხემ-თათი, აახმა, ბერეფემ დოლოქუნუ დო ირ ხოლო ანდლა მნახუმ (ფალუმ)“ – ხელთათმანი, დოლბანდი, ბავშვების ტანსაცმელი ყველაფერს დღეს ვრეცხავ (ვწმენდავ).

„ხეში პკიუტი“ – კონას ვკრავდი (ვკონავდი) (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, გვ. 79¹⁰).

როგორც ცნობილია, კონცეპტი აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის სემანტიკური წარმონაქმნია და წარმოადგენს აზრის ვერბალურ გამოვლინებას. კონკრეტული სახელის წარმოთქმისას ადამიანებს ამ საგნის სრულიად განსხვავებული ფორმები უჩნდებათ ცნობიერებაში, აბსტრაქტულ სახელებთან მიმართებით კი სურათი სრულიად სიურეალისტურია, მით უფრო, თუ ეს სიტყვა, ამავე დროს, კონცეპტიცაა. ასეთ შემთხვევაში, რთულდება სიტყვა-კონცეპტის ერთი ძირითადი მნიშვნელობის დადგენა და მას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენი ადამიანიც წარმოთქვამს მას. კონცეპტის აზრის გასაგებად საჭირო ხდება ამ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზი, ანუ როგორი და როგორი მნიშვნელობით იყენებენ ამ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ სიტყვათშეხამებებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე, ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში. ამ კუთხით ძალზედ საინტერესო აღმოჩნდა ქართველურ ენათა მონაცემებზე დაკვირვება, კონცეპტი „ხელის“ შესწავლის მიზნით.

ირკვევა, რომ ლექსემა „ხელი“ საერთოა ქართველური ძირითადი ლექსიკური ბირთვისათვის და კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობებს იძლევა ქართველურ ენებში:

ქართ. ჯელ-ი; ხელი; სა-ჯელ-ი; ერთ-ჯელ-ი; მე-ჯელ-ე; ჯელ-ოსან-ი; ჯელ-ოვან-ი... მეგრ. ხე/ხუ; ხე „ხელი“, ხუ „მუჭი“; ლაზ. ხე „ხელი“; სვან. ჯალ- ჯალ „ორი გამლილი მკლავის სიგრძე“; ძველი ქართული: ჯელი; ერთჯელი; უჯელოჲ...

ქართული ხელ- ძირის შესატყვისად მეგრულში გვაქვს ხუ „მუჭი“ და ხე, ლაზ. ხე-ხალ- ლ-ს დაკარგვითა და უმლაუტით და სვან. ჯალ (გასარკვევია სვან. ა-ს წარმომავლობა) (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 495);

როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო ქართველურ ფორმატში კვლევამ აჩვენა, რომ ლექსემა „ხელი“ სვანურში, მეგრულსა და ლაზურში სიტყვათწარმოებაში, კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში მსგავსი ტიპოლოგიით, ერთგვარი ყალიბითა და მოდელით მონაწილეობს.

ლიტერატურა:

1. ასათიანი - ი. ასათიანი, „ლაზური ლექსიკონი“, თბ., 2012;
2. დიუმეზილი - ჟ. დიუმეზილი, „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“ (მ. ბუკია, ლექსიკონი), თბილისი, 2009);
3. თანდილავა - ა. თანდილავა, „ლაზური ლექსიკონი“, თბ., 2013;
4. 5. იაკობიძე - ნ. იაკობიძე, ემოციის აღმნიშვნელ აბსტრაქტულ სახელთა სემანტიკა ქართულსა და გერმანულ ენებში, თბ., 2015;
6. მარი - Н. Марр, „Грамматика чанского (лазского) языка“, С-Пб, 1910;
7. სამუშია - ვ სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბ., 1979.
8. სვანური ენის კრესტომათია, თბ., 1978;
9. ქაჯაია I-II - ო.ქაჯაია, „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, I-IV ტომები, თბილისი, 2001-2006;
10. ჩიქობავა I - არნ. ჩიქობავა, „ჭანური ტექსტები“, ტფ., 1029;
11. ჩიქობავა II - არნ. ჩიქობავა, „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, 1936;
12. ჩუხუა - მ. ჩუხუა, „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი შედარებითი ლექსიკონი“, თბ., 2000-2003.
13. ყიფშიძე - ი ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
14. ხუბუა - მ.ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.
15. ფეინრიხი, სარჯველაძე - ჰაინც ფეინრიხი, ზურაბ სარჯველაძე „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 2000.

Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava
Sokhumi State University
CONCEPT „HAND” IN KARTVELIAN LANGUAGES
RESUME

The presented article deals with Concept ‘hand’ and all lexemes of lexico-semantic field in three Kartvelian languages--in Svan, Megrelian and Laz. It is found out that Lexeme ‘hand’ belongs to the basic vocabulary kernel of Common Kartvelian and it has its natural phonetic *equivalents* in these languages (Georgian---‘kheli’, Megrelian---‘Khe’, Svan-‘khal’).

As it was expected, the research conducted on common Kartvelian showed, that lexeme ‘hand’ with the same typology operates in word-building, composites, *phraseological units in Svan, Megrelian and Laz.*

The material containing concept ‘hand’ of the Kartvelian Languages is obtained and analyzed from modern speech as well as from dictionaries.

მარიამ კობერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

წინადადების წევრების განლაგების საკითხი იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში

იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკის“ შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მცირე ცნობები მოგვეპოვება. საყურადღებო საისტორიო-სალიტერატურო ხასიათის შემცველ ცნობებს ვხვდებით პლატონ იოსელიანის აკადემიკოს მარი ბროსესადმი მიწერილ პირად ბარათში, სადაც დასახელებულია იოანე ქართველიშვილის ოთხამდე ხელნაწერი ნაშრომი. „ღირსება ლიტერატურისა აღიწონების და დაფასების არა რაოდენობითა წიგნთათა, არამედ ვითარებითა მათითა... წიგნი #118 ეკუთვნის საკეთილშობილოს სასწავლებლის ყოფილის მოძღუარს მდღუდელს იოანე ქართველოვს, რომელისაცა შთავად აღწერილი საკუთარი ხელწერილი მე მაქუს დღეს, მასვე უწერია სხ. წიგნი რომელნიცა დღეს მე მაქუნან მოშოვნილნი. არა ჯერ არს, რათა დაეკარგოს თვისი ღვაწლი კაცსა ღირსსა, და ისტორიულსაცა გუამსა უკანასკნელთა დროთა ქართულთასა“ (იოსელიანი, 1941: 155-156).

იოანე ქართველიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქარგას წარმოგვიდგენს მისი „მემუარები“. 1801 წლამდე იოანე თითქმის განუყრელად ახლდა იულონ ბატონიშვილს, როგორც კარის მღვდელი და შვილების მასწავლებელი. დროდადრო მას ემსახურებოდა როგორც მდივანიც. 1802 წლის მარტიდან ახლავს დარეჯან დედოფალს. 1803 წლიდან სამეფო ოჯახს ჩამოშორებულ იოანე ქართველიშვილს კათალიკოს ანტონ მეორისათვის მიუმართავს. მცხეთაში საპასუხისმგებლო საეკლესიო ხარისხი და თანამდებობა მიუღია. იგი იხსენიება საქართველოს საკათალიკოსოს დიგასტერიის წევრად და მცხეთის დიდი ეკლესიის პროტოიერად (Акты, 1868: 180).

1804 წლის 16 იანვარს თბილისში სკოლის გახსნის სამზადისით დაინტერესებულ საქართველოს იმდროინდელ მთავარმართებელ პავლე ციციანოვს ანტონ II კათალიკოსისათვის უთხოვია იოანე ქართველიშვილის მცხეთიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გადაგზავნა. „1804 წლის 1 მაისს სკოლაში განწესებულ ვიქმენ ქართული ენის პირველ მოძღვრად, ჯამაგირი მომეცა ორმოცი თუმანი თეთრი ფული“ - წერს იოანე „მემუარებში“. წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მას მიუღია სახელმწიფო ჯილდო: „ჯუარი მებოძა ხელმწიფისაგან და მომემატა ათი თუმანი ჯამაგირი 1806 წელსა დეკემბრის 2-სა დღესა“ (ქართველიშვილი, 1952: 96).

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართველი ახალგაზრდობა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში გაიოზ რექტორის „ქართული გრამმატიკით“ სწავლობდა მშობლიურ ენას. ის იყო ქართული გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე დაბეჭდილი. ცნობილია, რომ 1804 წელს გაიოზმა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს გაუგზავნა თავისი გრამატიკის სახელმძღვანელოს 630 ცალი (თავიშვილი, 1948: 261; ნიკოლაიშვილი, 1970: 18-19). შემდეგ იოანე ქართველიშვილს შეუდგენია სასწავლო სახელმძღვანელო „ქართული ღრამმატიკა“. ამ გრამატიკის შესახებ „ქართულ წიგნში“ გვხვდება ასეთი ცნობები: „1801-1815 წ.წ. არა გვაქვს არც ერთი თბილისში დაბეჭდილი წიგნი. გამონაკლისს წარმოადგენს იოანე ქართველიშვილის უთარილო გრამატიკა, რომელიც ვარაუდით თბილისში 1815 წ. გამოცემულად ითვლება“ (1941: 88-97). პროფ. ალ. ცაგარელის გვაუწყებს, რომ იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამმატიკა“ შედგენილია 1809 წელს თბილისში ხელნაწერის სახით. აქვე უთითებს: მე არ მინახავს ეს ხელნაწერიო (Цагарели, 1873: 81).

იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ხელნაწერ ტექსტს გარეკანზე აქვს წარწერა: „ქართული ღრამმატიკა შეთხზული ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებლის მოძღვრის პროტოპაპის იოანე ქართველიშვილისაგან სახმარად მისსავე სასწავლებელსა 1809 წ. ტფილისი“. გრამატიკას წამმდვარებული აქვს „წინათუწყება მკითხველთათვის“, სადაც ავტორი წერს: „თუმცა ცნობა კანონთა ღრამმატიკასათა კმად აღწერილ არს განსვენებულისა საქართველოს კათალიკოს პატრიარხისა ანტონისაგან მის მიერ ქმნილსა ღრამმატიკასა შინა. გარნა ვინაითგან სივრცისაგან მისა არა ადვილ ძალუძსთ ჰსწავლად იგი მცირეწლოვანთა ყრმათა, ამისათვის და გულმოდგინებისა ძალითაც თანამდებობისა ჩემისადმი, ეგრეთვე სასარგებლოდაცა ყრმათა თანამემამულეთა ჩემთათა დავშვერ შეთხზვასა შინა წინამდებარისა ამა წიგნისა“. აქვე აღნიშნავს, რომ რუსული გრამატიკის მიხედვით აღწერეო, მაგრამ „ლექსთწარმოებისა და ლექსთხზულებისანი დავსდევ ყოველნივე ესრეთნი, ვითარცა მოითხოვდა თვისება ქართულისა ენისა“ (ხელნაწერი ფონდი S-4432; H-239). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში იოანე ქართველიშვილის გრამატიკა მასობრივად იყო გავრცელებული, 1830-იან წლამდე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო თაობები იოანე ქართველიშვილის ამ გრამატიკაზე იზრდებოდნენ.

იოანე ქართველიშვილის გრამატიკის პოპულარობაზე მეტყველებს ხელნაწერთა სიმრავლე. ალექსანდრე ფოცხიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია იოანე ქართველიშვილის ნაბეჭდი და ხელნაწერი გრამატიკების ურთიერთობის საკითხი. ალექსანდრე ფოცხიშვილის აღწერით იოანე ქართველიშვილის გრამატიკის 14 ხელნაწერი არსებობს: თერთმეტი ხელნაწერი -კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში; ორი ლენინგრადში (ერთი-სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის იოანესეულ ფონდში, ხოლო მეორე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ბროსესეულ ფონდში); ერთიც - გორის ისტორიულ მუზეუმში (ფოცხიშვილი, 1979: 260-261).

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ორი ხელნაწერის (თბილისის S-4432 და ლენინგრადის) ავტორობასთან დაკავშირებით. ზოგი მეცნიერი ამ გრამატიკის ავტორად იესე ჩუბინაშვილს მიიჩნევდა (Цагарели, 1873: 39-40; აბესაძე, 1967: 239). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე ფოცხიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია იოანე ქართველიშვილის ნაბეჭდი და ხელნაწერი გრამატიკების ურთიერთობის საკითხი. სადავო ხელნაწერების ფოტოპირისა და იოანე ქართველიშვილის „მემუარების“ ხელის შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ ხელნაწერის ავტორაფი და დედნის ხელნაწერი ეკუთვნის იოანე ქართველიშვილს (ფოცხიშვილი, 1968: 95; 1979: 266-267).

იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“ ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის მდიდარი გრამატიკული მემკვიდრეობის ლოგიკური გაგრძელებაა. ის ტრადიციულად ჰყოფს გრამატიკას შემდეგ ნაწილებად: 1. ეტიმოლოგიასა ზედა ანუ ლექსთწარმოება; 2. სინტაქსთა ზედა ანუ ლექსთხზულება; 3. ორთოგრაფიასა ზედა ანუ მართლწერა.

იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის საკითხებს მოჰყვება ახალი თავი „საზოგადოთა კანონთათვის ლექსთხზულებისადმი მისაწერთა“. ამ თავში განხილულია საკითხების წყება, რომელიც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მანამდე არ ყოფილა და რომლისაგანაც ძირითადად სათავეს იღებს მსგავსი თავი სოლომონ დოდაშვილის გრამატიკაში (ფოცხიშვილი, 1979: 306). აქ, პირველად ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში საუბარია წინადადების განსაზღვრაზე: „ოდეს ვითარისამე ჰაზრსა ჩვენსა განვუცხადებთ სხვასა და გამოვსთქვამთ მას ორთა, სამთა ანუ რაოდენთამე ლექსთა მიერ, ესრეთ რომელ იწარმოების მათთაგან მთელი ჰაზრი, მაშინ ესევეთარი გამოთქმა ჰაზრთა ჩვენთა იწოდების წინადადებად“. ალ. ფოცხიშვილის აზრით, ეს განსაზღვრა სხვანაირი რედაქციითა და ფორმით იგივეა, რაც ტრადიციული განსაზღვრა: „წინადადება არის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც გადმოგვცემს დასრულებულ აზრს“ (1979: 306-307).

იოანე ქართველიშვილი გთავაზობს წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების გარკვეულ წესს. მისი აზრით, წინადადებას აქვს სამი შემადგენელი ნაწილი: ქვემდებარე, შემსმენელი და კავშირი. „ქვემდებარედ იწოდება თვით ნივთი იგი, რომლისთვისაცაა მოითხოვრების რაიმე, ესე იგი უფალი ზმნისა“. „შესმენილად იწოდება იგი, რაიცა დაიმტკიცების ანუ უკუითქმის ქვემდებარისათვის“. ესე იგი ძიება ზმნისა. „კავშირად შემაერთებლად ანუ განმყოფელად მათდა იქმნების ზმნა ესე არს. მაგ.: „ხელმწიფე არს მამა ქვემდებარდომთა თვისთა“. ამის შინა ხელმწიფე არს ქვემდებარე, მამა ქვემევერდომთა თვისთა შესმენილი, ლექსი ესე „არს“ კავშირი (ხელნაწერი ფონდი S-4432).

იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში აღნიშნულია, რომ წინადადება შეიძლება იყოს მარტივი და რთული, რაც დამოკიდებულია „ქვემდებარესა“ და „შესმენილზე“. მარტივი წინადადება „ერთი ქვემდებარისა“ და „ერთი შესმენილისაგან“ შედგება, რთული - „ორთა ანუ მრავალთა ქვემდებარეთა და შესმენილთაგან შეერთებულთა ვითარითამე კავშირთა“. მაგ.: „განცხრომა და უქმება მოადლურებენ ხორცსა და სულსა და ჰყოფენ კაცსა არარაისადმი ღონის მექონ“ (იქვე).

წინადადებათა შეერთებისაგან მიიღება პერიოდი. პერიოდისათვის დამახასიათებელია ის, რომ „წარმოსდგების მათგან მთელი განსჯა“. პერიოდი შეიძლება იყოს ერთწევროვანი, ანუ ერთი წინადადებისაგან შემდგარი. „უკეთუ შეადგენს იგი მრთელსა და სრულსა სიტყვასა გავრცელებულსა შესაფერთა ლექსთა მიერ და განდიდებულსა ვითარითამე გარემოებათა მიერ“. სხვა შემთხვევაში პერიოდი შეიძლება იყოს ორწევროვანი, სამწევროვანი....

იოანე ქართველიშვილი განიხილავს მრავალი წინადადებისაგან შედგენილ პერიოდს: „გარნა ერთი ამით წინადადებათაგანი იქმნების მარადის უმთავრესი, რომელიც იპყრობს თვისში ცნობილსა საგანსა, რომლისადმიცა, მისდრკების სიტყვა ჩვენი, ხოლო სხვანი ყოველნივე მოკიდებულნი მისდამი იწოდებიან დამეტებულად ანუ განცხადებად უმთავრესისა წინადადებისა“. საილუსტრაციოდ მოტანილია მაგალითები: 1. „მცონარესა არ ძალუძს მიღებად საწადელ დასასრულ მოქმედებათა თვისთა“; 2. „ვინაითგან ყოველი ჩვენ მიერ დაწყებული საქმე მოითხოვს შრომასა და ძალოვნებასა“. იოანე ქართველიშვილის აზრით, ამ პერიოდის პირველი წინადადება მთავარია, ხოლო მეორე - დამეტებული. ავტორი შენიშნავს, რომ მთავარი წინადადების ადგილი შეიძლება ბოლოშიც იყოსო. „დამეტებულის“ გარდა ავტორი ახსენებს „შემოტანილ“ ან „შემოსხმულ“ წინადადებებს. ამ სახელწოდებაში იგულისხმება: „ყოველი იგი, რომელნიც მოკლედ შემოსხმულ იქმნებიან ვითარსამე სიტყვასა შინა ანუ პერიოდსა“ (იქვე).

ალ. ფოცხიშვილის მოსაზრებით, იოანე ქართველიშვილის „შემოტანილი“ თუ „შემოსხმული“ წინადადება დღევანდელი ჩართული წინადადების ფარდი ჩანს, მაგრამ საილუსტრაციოდ მაგალითები ჩვეულებრივი დამოუკიდებელი წინადადებებია (1979: 308). საილუსტრაციოდ მოვიტანოთ იოანე ქართველიშვილის მიერ დასახელებული პერიოდი: „კაცი (რომელიცა განატარებს ცხოვრებასა თვისსა უქმობასა შინა) მოიძებნება პირველ დასჯად თვისად მას რომელ ყოველთაგან შეუდგების მას მოწყინება; მშობელნი თანამდებ არიან შვილთა თვისთადმი (ოდესცა მოიწევან იგინი მდგომარეობასა შინა მიღებად მოძღვრებათა) უწინარეს ყოვლისა მეცადინეობად, რაითამცა ჰმეტყველებდნენ იგინი მარადის მართალსა“.

იოანე ქართველიშვილის აზრით, პერიოდშიც და წინადადებაშიც წინადადების წევრთა (სიტყვის ნაწილთა) განლაგების შემდეგი წესის დაცვაა აუცილებელი: პირველ ადგილზე უნდა იყოს ქვემდებარე ანუ უფალი თავისი დამხმარე სიტყვებით, შემდეგ უნდა იყოს ზმნა (ზმნიზედებით და სხვა სიტყვებით), მის შემდეგ უნდა მოდიოდეს შესმენილი ანუ ძიება ზმნისა მათზე დამოკიდებული სიტყვებით. დამოკიდებულ სიტყვებში, ვფიქრობთ, დამატებები უნდა იგულისხმებოდეს.

თუ წინადადება კითხვითია, ან ზმნიზედით იწყება, მაშინ ქვემდებარე მოსდევს ზმნას, ასევე ქვემდებარის წინ დაისმის ზმნა ბრძანებითის სქესისა. „აშკარაა, რომ ყველაფერი ეს განსხვავებულია იმისაგან, რაც მანამდე გვქონდა გრამატიკაში და ისიც ფაქტია, რომ ამ მოსაზრებებში უნდა ვეძიოთ დღევანდელი რთული წინადადების სინტაქსის ფესვები, ამაზე მიუთითებენ ტერმინებიც „მთავარი“ და „დამეტებული“ (ფოცხიშვილი, 1979: 308).

ზუნებრივია დაისმის კითხვა: როგორ დგას წინადადების წევრთა განლაგების საკითხი ანტონ კათალიკოსისა და გაიოზ რექტორის გრამატიკებში? რა გადმოიღო მათგან იოანე ქართველიშვილმა?

ანტონის მოსაზრებით, წინადადებაში ერთმანეთთან შეწყობილ სიტყვებს შორის კანონზომიერი დამოკიდებულებაა. „სინტაქსი არს განკარგუა წესიერ თანკმობითი ნაწილთა ხელოვნებითა ყოვლადსა შინა“ (ანტონი, 1885: 213). ამ დამოკიდებულებას ანტონი ადარებს სასახლის ერთ მთლიან ერთეულად დალაგებულ მდიდრულად მოპირკეთებულ იატაკსა და კედელს, როდესაც ძვირფასი ქვები თუ სხვა სამკაული დიდი გემოვნებით არის გაშენებული: „ვითარ იგი ნაკუჭთნი მარმარილომანნი პორფირისა ანუ ამარტისანი სამეფოთა პალატა შინა იატაკად ანუ კედლად კმეულნი ნაკუჭთნი ყუავილენი ანუ ვაკედნი ერთმანერთსა შესაფერ და თანკმობით განიკარგვან ყოვლადსა შინა თვსსა, ანუ ყუავილნი წესიერ თანკმობით განკარგულნი წალკოტსა შინა, ეგრეთცა თანკმობით ნაწილნი თვსნი სიტყუასა შინა და სიტყუანი თავითა შინა და თავნი წიგნთა შინა ჰყოფენ წესიერ თანკმობით ნაწილნი თვსნი სიტყუასა შინა და სიტყუანი თავითა შინა და თავნი წიგნთა შინა ჰყოფენ წესიერ სინტაქსსა“ (იქვე).

აქედან ჩანს, რომ წინადადებაში სიტყვები გარკვეულ მტკიცე ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ეს ურთიერთობა გვაქვს წინადადებაში („სიტყუაში“), რომელიც „არს შეერთება ლექსთა ცხადმყოფი მოგონებისა“, ე.ი. წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც ცხადყოფს (გადმოგვცემს) აზრს (კიზირია, 1997: 7). ანტონი განიხილავს სრულსა და უსრულ წინადადებებს: „სრული სიტყვა არს ნათხზი ლექსთაგან, ცხადმყოფი ყოვლისა იდეაჲსა. არასრული სიტყა არს, დადათუ თხზული ლექსთაგან მართალ-უზნობითა, ანუ წესიერ-წერითა და დაჰნიშნავს იდეასა რადმესა კაცობრივისა გონებისასა, მაგრა უსრულად“. ამის შესაბამისად მას დასახელებული აქვს მაგალითები: „კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვსისა გამოიღის კეთილი“; „უკეთუ დაჰსცხრეს სჯული ესე პირისაგან ჩემისა თქუა უფალმან“ (ანტონი, 1885: 121).

ანტონი მსჯელობს წინადადების წევრების ურთიერთშეწყობასა და თანამიმდევრობაზე. ის წარმოგვიდგენს წინადადების წევრების „განკარგვის“ (განაწილების) სქემას: სახელი (ზედმესრული მისი - ძიება ზედმესრულისა - თანდებულთურთ - ძიება თანდებულისა - ზედმესრული მისი - ზნიზედა) → ზმნა (ძიება ზმნისა თანდებულთურთ (- ზედმესრული ძიებისა).

ანტონმა იცის, რომ ეს წესი ყოველთვის არ გამოგვადგება, რადგან ყოველი წინადადება მასში გამოთქმული აზრის მიხედვით მოითხოვს წევრების რაოდენობას და ურთიერთშეწყობაც იმაზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს რაღაც აუცილებელი ნორმა, რომელიც საჭიროა წინადადების შესადგენად. ეს აუცილებელი ნორმაა წინადადების შემდეგი წევრების არსებობა: 1. სახელი ზმნისა, 2. ზმნა, 3. საძიებო ზმნისა (ორივე). დანარჩენები შეიძლება საჭირო იყოს, შეიძლება-არაო (ანტონი, 1885: 217). ანტონ კათალიკოსის ეს შეხედულება შესაძლებელია გავუთანასწოროთ თანამედროვე ქართულ სინტაქსში გამოთქმულ დებულებას წინადადების მთავარ წევრთა შესახებ, რომლებადაც მიჩნეულია ქვემდებარე, შემასმენელი და პირმიმართი დამატებები (ფოცხიშვილი, 1979: 148).

გაიოზ რექტორს სინტაქსის საქმედ მიაჩნია ჩვეულებრივი სასაუბრო ენის ლექსთა თანხმობის გადმოცემა, უკანონო თანხმობის კი გასწორება, რათა „შესამეცნებლად მოიყვანნეს ძნელნი იგი ხვანჯნი“. „მარტივი თანხმობის“ გადმოცემას ეძღვნება ექვსი თავი, ხოლო „ხელოვნებითისა“ და „უხვსიტყვაობითისა“ მხოლოდ ორი თავი, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა მიაჩნია ავტორს ძირითადად. მარტივი თანხმობა მოიცავს იმავე ოთხ ნაირსახეობას, რაც ანტონთან გვქონდა: 1. ზმნისა სახელისა თანა; 2. სახელისა სახელისა თანა; 3. სხვა ნაწილთა სიტყვისათა სახელისათა; 4. კითხვა-მოგების თანა (გაიოზი, 1970: 120). ელენე ნიკოლეიშვილი შენიშნავს, რომ „სიტყვათა რიგის შეცვლა, რაიმეს დამატება ან დაკლება გაიოზს საზოგადო წესის დარღვევად მიაჩნია და ამიტომაც უწოდებს მას „ხელოვნებითს აღნაქუსსო“ (1965: 183).

როგორ განვითარდა წინადადების წევრების განლაგების საკითხი სოლომონ დოდაშვილისა და პლატონ იოსელიანის გრამატიკებში?

სოლომონ დოდაშვილი იოანე ქართველიშვილის მსგავსად მსჯელობს „პერიოდთა“ შესახებ. „სჯა, ლექსთა მიერ გამოთქმული იწოდების წინადადებად“. წინადადებას აქვს სამი ნაწილი: ქვემდებარე, შესმენილი და კავშირი. „ქვემდებარე არს საგანი, რომლისთვისაც მოითხოვობს წინადადებასა შინა. შესმენილი არს თვისება, რომელიც მიეწერება ქვემდებარეს, კავშირი კი აერთებს შესმენილსა და ქვემდებარეს“. „წინადადება განჯისადმი ქვემდებარისა და შესმენილისა განიყოფების მარტივად და რთულად“. მარტივი წინადადება შედგება ერთი ქვემდებარისა და შესმენილისაგან. რთული - „მრავალი

ქვემდებარისა და შესემნილისაგან". რთულში შემავალ მარტივ წინადადებებში ერთი იქნება „უმთავრესი, მეორე ზედსართავითი ანუ დამეტებული" (დოდაშვილი, 1960: 156). სოლომონ დოდაშვილი ტრადიციულად აგრძელებს წინადადების აგებულების შესახებ მსჯელობას, მაგრამ გვერდს უვლის წინადადების წევრთა თანამიმდევრობის საკითხს. სამაგიეროდ ახასიათებს პერიოდებს: წინააღმდეგობითი, ნებართვითი, პირობითი, ალყვანებითი, შეერთებითი, განმარტებითი, განყოფითი, შედგომითი და ხარისხობითი. ის აქვე შენიშნავს, რომ პერიოდით სრულდება გრამატიკა, ხოლო „სხვანი საშუალებანი და კანონნი განკარგულებისანი და აღრჩევანი ლექსთანი გამოლებისათვის აზრთა ჩვენთასა ეკუთვნის რიტორიკასა" (იქვე: 156).

პლატონ იოსელიანი „ლექსთთხზულებაში" (სინტაქსში) ლაპარაკობს სჯაზე, წინადადებაზე, მის წევრებზე („ქვემდებარე", „შესემნილი", „კავშირი"), წინადადების სახეებზე („მარტივსა" და „რთულზე") (იოსელიანი, 1979: 352). პლატონ იოსელიანის გრამატიკაში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები წინადადების წევრების განლაგება. არაა ნახსენები აგრეთვე პერიოდები, რომელიც ორიგინალურად იყო მოცემული იოანე ქართველიშვილთან და სოლომონ დოდაშვილთან.

როგორც ცნობილია, მიმოსახრელი აფიქსების სიმდიდრის გამო სიტყვათა განლაგება ქართულში შედარებით თავისუფალია, მაგრამ აბსოლიტურად თავისუფალი მაინც არ არის; ამა თუ იმ წინადადებაში წარმოდგენილ სიტყვათა განლაგების ყველა შესაძლო ვარიანტს ერთნაირი ღირებულება არ აქვს: ზოგი ბუნებრივია, ზოგიც-ხელოვნური. თანამედროვე ქართულ ენაში გვაქვს ერთგვარი შეზღუდვებიც: განსაზღვრება, ჩვეულებრივ, საზღვრული წევრის წინ დგას; გარემოება და უბრალო დამატება წინ უსწრებს სახელზმნით გადმოცემულ წევრს; კითხვით წინადადებაში შემასმენლის წინ დგას კითხვითი ნაცვალსახელებითა და კითხვითი ზმნიზედებით გადმოცემული ქვემდებარე, დამატება და გარემოება (კვაჭაძე, 1988: 216). წინადადების მოდალობასა და აგებულებას მნიშვნელობა აქვს სიტყვათა განლაგებისათვის. ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ წინადადების წევრთა განლაგების საკითხი მარტივ, რთულ და შერწყმულ წინადადებებში. სიტყვათა განლაგების საკითხს ქართულ წინადადებაში იოანე ქართველიშვილის შემდეგ პირველად შეეხო სერგი გორგაძე ნაშრომში „ქართული სადასიტყვაობა", სადაც აღნიშნა: „გამოკვლევის ფარგალი ახალი სალიტერატურო ქართულია, ხოლო პირდაპირი საგანი - სიტყვათა დალაგების წესი „ქართული სადასიტყვაობაში" (1915: 3).

ამრიგად, გაანალიზებული მასალები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იოანე ქართველიშვილმა „ქართულ გრამატიკაში" გადმოიტანა ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის გრამატიკის დადებითი დებულებების უმეტესი ნაწილი, ლოგიკურად გააგრძელა მათი გრამატიკული მემკვიდრეობა, მაგრამ განსხვავება და სიახლეც შეიტანა ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში. იოანე ქართველიშვილმა ძველი გრამატიკოსებიდან პირველმა შემოგვთავაზა წინადადების წევრების განლაგების გარკვეული წესი, პირველმა ჩაუყარა საფუძველი წინადადების სტრუქტურული ტიპების კვლევას, გამოყო მთავარი და დამეტებული ანუ დამოუკიდებელი წინადადებები და პერიოდები.

ლიტერატურა:

1. ნ. აბესაძე, მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის: „მაცნე", # 1, თბ., 1967.
2. ანტონ I, ქართული დრამატიკა, თბ., 1885.
3. ს. გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა, თბ., 1915.
4. ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961.
5. გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870), თბ., 1948.
6. ა. იოსელიანი, იოანე ქართველიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: იოანე ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1952.
7. პ. იოსელიანი, პირველ-დაწყებითი კანონი ქართული დრამატიკისა, თბ., 1863.
8. პ. იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით და შენიშვნებით: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, ბ., 1941.
9. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.
10. ა. კიზირია, ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, თბ., 1997.
11. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H, #239.
12. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S, #4432.
13. ე. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორის ქართული გრამატიკა: „მაცნე", #4, თბ., 1965.

14. ე. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა: გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970.
15. გ. რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970.
16. ალ. ფოცხიშვილი, XIX საუკუნის ერთი ნაბეჭდი ანონიმური გრამატიკა: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია, თბ., 1968.
17. ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
18. ი. ქართველიშვილი, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952.
19. ქართული წიგნი, I, შემდგენელი ქრ. შარაშიძე, თბ., 1941.
20. Акты, собранные Кавказского Археографического Комиссиею, II.
21. А. Цагарели, О Грамматической литературе грузинского языка, С- П., 1873.

Mariam Koberidze
Gori State Teaching University
**THE QUESTION OF ORDER OF THE PARTS OF SPEECH
 IN THE IOANE KARTVELISHVILI GRAMMAR
 RESUME**

We have a little information about Ioane Kartvelishvili's grammar in the scientific literature. Ioane Kartvelishvili moved in its grammar the main part of positive provisions from the grammar of Anton I and rector Gaioz, but the difference and innovation are noticed in his considerations. He offers some rules of the order of members of the sentence: 1. Sentence has three components: Subject, predicate and conjunction. 2. Sentence may be simple and complex. Simple sentence consists of one subject and one predicate. 3. It is necessary protection of the following rules of the order of members of the sentence: In the first place must be subject with auxiliary words, after that must be the verb, adverb and other words. 4. If the sentence is interrogative, or if it begins with the adverb, then the subject is after the verb. Aswell, before the subject is the verb of the command sex. This consideration is different from, that which was in the previous grammar. 5. In complex sentence the first sentence must be the main sentence, and the second must be – subordinated. Ioane Kartvelishvili was the first founder of the researches of the structural types of sentence, emitted the main and added/subordinated sentences.

ნანა კუცია, მარინე ტურავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნოველის ჟანრული თავისებურებების საკითხისათვის

უფლის უმნიშვნელოვანესი ქმნილება, ადამიანი, ესწრაფოდა, მიმსგავსებოდა პირველხატს, ქაოსისაგან კოსმოსის მქმნელს – შეექმნა „სახე ყოვლისა ტანისა,“ ეპოვა სიტყვიერი ფორმა ფიზიკურად უკვე ფორმადქმნილისა.

„ურწმუნოება არღვევს ფორმას“, შენიშნა თავის დროზე გერმანული პროზის მკვლევარმა იოჰანეს კლაინმა“ [რ. ყარალაშვილი, აღსარებითი პროზის ტრადიცია და თანამედროვე ცენტრისკენული რომანი წიგნში დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), თბ., 1988, 127]. ფორმის ძიება საუფლო გზის ძიების ნაწილი იყო. სიტყვისმიერ ფორმათა ძიების ნაყოფია ნოველაც – ლიტერატურულ ჟანრთაგან ერთი ურთულესი. ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ჟანრის განმარტება თითქოს მკაფიოა, ამომწურავიც, მაგრამ განსაზღვრებათა მიღმა მუდამ რჩება რაღაც ბოლომდის ამოუცნობი და აუხსნელი.

„ანტიკურობის ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ნოველა (იტალ. ნოველა – ახალი ამბავი) – მოკლე, გასართობი მოთხრობა რეალურ, ან სინამდვილეს მიმსგავსებულ მოვლენებზე – არსებობდა საბერძნეთში ჯერ კიდევ ჰომეროსამდე ეპოქაში. ბერძნულ ტომთაგან უმაღლეს ოსტატობას სიუჟეტური თხრობის ხელოვნებაში იონიელებმა მიაღწიეს, არცთუ აღმოსავლეთის გავლენის გარეშე, აღმოსავლეთისა, რომელმაც ალაზევა ეს ჟანრი. თავდაპირველად მოთხრობები ზეპირი გზით გადაიცემოდა, შემდეგ ლიტერატურულ ნაწარმოებებში აირეკლა. ნოველური ჩანარები ასრულებდა გასართობ, ან დიდაქტიკურ ფუნქციას. მრავალ ამგვარ ეპიზოდს ვხვდებით ჰეროდოტესთან (მოთხრობა არიონზე, პოლიკრატეს ბეჭედზე (მოგვიანებით უკანასკნელი თემა შილერმაც დაამუშავა) (იხ. Историки Античности, Древняя Греция, Геродот, История, т. I, М., 1989, 40).

ელინიზმის ეპოქაში ნოველა დამოუკიდებელ ჟანრად, ეროტიკული შინაარსის მოკლე მოთხრობად ჩამოყალიბდა (განსაკუთრებით ცნობილია ე.წ. „მილეთური მოთხრობები“ („მილესიკა“) არისტოტიდეს მილეთელისა (მვ. წ. 100წ)“ [Словарь Античности, пер. с немецкого, М., 1989, 382-383].

აღნიშნულ ლექსიკონშივე მითითებულია (სტატია „შუა საუკუნეების ლათინური ლიტერატურა“): „ბიოგრაფიულმა მოთხრობებმა კარლოს დიდის შესახებ სათავე დაუდო ჟანრს ლიტერატურული ნოველისა. უკანასკნელმა ფართო გავრცელება პოვა შუა საუკუნეებში“ [იქვე, 546].

„ლიტერატურის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ნოველის ჟანრი ამგვარადაა განმარტებული: „მცირე პროზაული ჟანრი (მოცულობით სადარი მოთხრობისა, რაც ხშირად მათი გაიგივების საბაზს იძლევა. არსებობს თვალსაზრისიც, თითქოს ნოველა მოთხრობის სახესხვაობაა), მოთხრობისაგან განსხვავებული მძაფრი ცენტრისკენული სიუჟეტით, ხშირად პარადოქსულითაც კი, აღწერითობის უარყოფითა და კომპოზიციური სიმკაცრით. ახდენს რა შემთხვევის პოეტიზაციას, ნოველა მაქსიმალურად აშიშვლებს სიუჟეტის ბირთვს – ცენტრალურ პერიპეტას, მასალას ერთი მოვლენის ფოკუსში აქცევს. განსხვავებით მოთხრობისაგან, ჟანრისაგან, რომელიც წინა პლანზე სწევს თხრობის გამომსახველობით-სიტყვიერ ფაქტურას, ესწრაფვის განვრცობილ დახასიათებებს), ნოველა არის ხელოვნება სიუჟეტისა მაქსიმალურად წმინდა ფორმით, ხელოვნება, რომელიც ჩამოყალიბდა უხსოვარ დროს, უმჭიდროეს კავშირში მითთან, რიტუალთან. ნოველური სიუჟეტი, აგებული მკვეთრ ანტითეზებსა და მეტამორფოზებზე, ... გავრცელებულია მრავალ ფოლკლორულ ჟანრში (ზღაპარი, იგავი, ანეკდოტი, ფაბლიო...) [Литературный энциклопедический словарь, М., 1987, 248].

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ კონსტატირებულია: „ნოველა – მცირე მოცულობის ეპიკური ჟანრი, რომელიც ემყარება თხრობის ხერხს და პროზის (იშვიათად – ლექსის) ფორმით წარმოსახავს ადამიანის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, ერთ მომენტს, ერთ ასპექტს. მისთვის დამახასიათებელია მარტივი სიუჟეტი, პერსონაჟთა უკიდურესი სიმცირე... შეკუმშულადაა ნაჩვენები ყოფითი დეტალები, გარემო, ხასიათის ფორმირების პროცესი, უცხოა აღწერითი მომენტები. აქცენტი გადატანილია მოვლენის რომელიმე ერთი მხარის, პერსონაჟის რომელიმე თვისების განსახოვნებაზე, რაც განაპირობებს თხრობის ლაკონიზმსა და მოქმედების ექსპრესიას. კომპოზიციურად ნოველა შეკრულია. კვანძის შეკვრა და გახსნა სწრაფად ხდება. ფინალი, რომელიც ხშირად მოულოდნელი შედეგით ხასიათდება, მკითხველის მძაფრ ემოციებს იწვევს“ [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984, 460].

შლეგელის განმარტებით, ნოველა არის „ანეკდოტი, ისტორია, ახალი ამბავი, მოვლენა, ფაქტობრივად, მაგრამ ისეთი კი, რომელიც არსებობდა თავად ხელოვანამდის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნოველის მარგანიზებული სიუჟეტი – ერთი შეხედვით, გარეგანი ფაქტორი მოქმედ პირებთან მიმართებით, არა მათგან ქმნილი, მაგრამ – მათი მომქცევი საკუთარ ორბიტაში“ [Затонский Д., Художественные ориентиры, XX в., М., 1988, 123].

ზემოთქმული ჟანრის სპეციფიკაზე მხოლოდ თეორიული მსჯელობაა. აზრი გამოხატულია ლექსიკონ-ცნობარათათვის დამახასიათებელი ლაკონიურობით.

მრავალ მკვლევარს უმსჯელია ნოველის ჟანრულ თავისებურებათა შესახებ.

რუსი კრიტიკოსი, ბ. ბელინსკი, წერდა რა მცირე პროზის უსაზღვრო შესაძლებლობათა შესახებ, აღნიშნავდა: „არსებობს შემთხვევა, მოვლენა, რომელიც, როგორც იტყვიან, არ „კმარა“ დრამის, რომანისათვის, მაგრამ ღრმად, ერთ წამში თავს უყრის იმდენ სიცოცხლეს, საუკუნეებს რომ გასწვდება (ბელინსკი საუბრობს ე.წ. „повесть“-ზე (ვრცელ მოთხრობაზე), მაგრამ ამავეს განმეორება უპრიანია ნოველასთან მიმართებითაც). მოთხრობა თავის ვიწრო ჩარჩოებში აქცევს ამგვარ შემთხვევებს. ეს ფორმა მოიცავს ყველაფერს, რასაც კი ინებებთ – ზნეთა აღწერას, სულის ღრმა საიდუმლოებებს, ვნებათა სასტიკ თამაშს“ [Белинский В., Собр. соч. в 3-х томах, т I, М., 1948, გვ. 112].

ინგლისელი პროზაიკოსის, უილიამ სენსონის, აზრით კი, „მოთხრობამ უნდა განაღვიძოს ექო. მხატვრული სივრცის მთელი ასკეტიზმის მიუხედავად, მან უნდა გადალახოს საზღვრები. ეს მცირე ჟანრია, მაგრამ მის „მოცულობითობას“ საზღვრები არ უნდა ჰქონდეს“ [Дом англичанина (Английская классическая новелла), Предисловие В.Скороденко, М., 1989, 5].

კონსტანტინე გამსახურდია ესეში „ნოველა“ (ტრანსლიტერაცია ავტორისეულია), იკვლევს რა აღნიშნული ჟანრის მხატვრულ თავისებურებებს, შინაგან კანონზომიერებებს, აღნიშნავს: „როგორც ძველი, ისე უახლესი თაობის კრიტიკოსები ურთიერთში ურევენ მოთხრობას, იგავს, ეტიუდსა და ნოველას. ნამდვილი ბაბილონური აღრევაა ჩვენი კრიტიკოსების სიტყვიერების თეორიაში“ [კონსტანტინე გამსახურდია, ნოველა, თხზ. 10 ტომად, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 27].

„სიტყვიერების თეორიაში ბაბილონური აღრევის“ სამწუხარო შედეგად მიაჩნია მწერალს ის, რომ „ზოგს ისე ჰგონია, თუ მწერალმა მოკლე მოთხრობას „ნოველა“ მიაწერა ძველებურად, მოთხრობა ნოველად იქცევაო ანაზღაურად, ზოგიც ასე განმარტავს, ნოველა რომანისაგან ფაბულის სიმარტივით განსხვავდებაო.“

თავად კ. გამსახურდია სიმარტივეს როდი მიიჩნევს ნოველის უპირველეს ნიშნად. სიმოკლე, მწერლის აზრით, „კუდა მოთხრობას“ ნოველად ვერ აქცევს, ვერც სიუჟეტის სიმარტივე. აოცებს, რომ შიო არაგვისპირელის ეტიუდებს ნოველებად ნათლავენ; თვლის, რომ არც საბას იგავები „შეიცავენ ნოველის ფორმას“ (როგორც შკლოვსკის ავტორიტეტის მომხრეებით ამტკიცებდნენ მავანნი).

მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსხვავებული ლიტერატურული მიმდინარეობანი განსაზღვრულ ჟანრს ანიჭებენ უპირატესობას (რომანტიკოსებმა, სიმბოლისტებმა, ნეორომანტიკოსებმა, ნეოკლასიკოსებმა სათქმელი კლასიკურ ფორმათა (სონეტის, ბალადის, ტერცინების, ტრაგედიების, ნოველების) რეგენერაციით გამოხატეს). ნოველისა და მოთხრობის სუროგატად მიიჩნევს კ. გამსახურდია ნარკვევს, საკუთრივ ნოველას კი მითოსთან – შორეულთან, იდუმალთან – აკავშირებს: „ყოველ ხალხსა და ყოველ დროში შემოქმედის მსოფლმხედველობა იყო მუდამ შემოქმედებითი ფორმების შერჩევისას პირველადი და უმთავრესი მომენტი... როდის მოკვდა ბერძნული ტრაგედია? როგორც კი ძველ ბერძენს ჰეროს და მოირას რწმენა შეერყა... ტრაგედიას ვერავინ დაწერს, თუ დამწერს ტრაგიკულის შეგრძნება არა აქვს... კიდევ ერთი მიზეზის გამო დაიღუპა ტრაგედია – მითოსის მოსპობის გამო! და ნოველაც სწორედ ამ მხრივ ენათესავება ტრაგედიას, რომ იგი უთუოდ მითოსს ემყარება“ [იქვე, 29].

„ცნებათა ბაბილონურ აღრევადევ“ მიაჩნია მწერალს მოსაზრება, რომ ნოველა და რომანი მხოლოდ „რკალთა რაოდენობით“ განსხვავდება ერთმანეთისაგან. გამსახურდია თვლის, რომ „ნოველა პროზის ურთულეს ფორმათაგანია. ნოველაში სიუჟეტური რკალი მარტოოდენ ერთი როდია, არამედ იგი უთუოდ გულისხმობს უაღრესად დახლართულსა და რთულ კომპოზიციას სიუჟეტისას (ამ მხრივ იგი არ განსხვავდება რომანისაგან. ნოველა საშუალო ფორმაა რომანსა და იგავს შორის. რომანთან მას აერთებს ერთი, ორი ან რამდენიმე რკალის ფაბულური გაშლა, ხოლო იგავთან – მზასახიანი პერსონაჟები“ [იქვე, 29].

კ. გამსახურდია ლოგიკურად მიიჩნევს ფაქტს, რომ ნოველა ვერ შეთხზეს „რომელიმე ზოლამ, იოჰანეს შლაგმა, ზუდერმანმა, ან რომელიმე ნატურალისტმა, ან რეალისტმა.“ ამის მიზეზად მწერალი დასახელებულ ავტორთა „მითოსმოკლებულობას“ ასახელებს, მითოსური ელემენტი აუცილებელიაო ნოველისათვის: „ნოველაში უთუოდ უნდა იყოს ერთი უეცარი, შეუძლებელი, პოზიტიურად დაუჯერებელი ელემენტი – აი, სწორედ ეს გახლავთ ნოველის ჭიპი, სწორედ ეს მომენტი გულისხმობს ნოველის კავშირს მითოსთან.“

მწერლის დამოკიდებულება ნოველისადმი ამალღებულია. გამსახურდიას მრწამსით, პროზაულ ფორმათა შორის ნოველა იგივეა, რაც პოეტურთა შორის – სონეტი. ჟანრში თხრობის სიმკვრივეა აქცენტირებული: „ნოველის ფაბულარული განვითარება ისეთი ძლიერი კრემჩენდოთი მიილტვის ფაბულის შესკვნიდან ფაბულის შეხსნადის, რომ რომანისებრი სიგრძე და სივრცე უთუოდ აუტანელს გახდიდა, რადგან ვერც ერთი რომანი ვერ აიტანს ნოველისათვის მიუცილებელ დინამიურობას, სიმოკლეს, მეტყველების კონდენსირებას. მოცულობის ეკონომია ნოველაში კომპოზიციური აუცილებლობითაა ნაკარნახევი, და არა იმის გამო, რომ ნოველა იოლად დაბეჭდოს ავტორმა გაზეთის ფურცლებზე, ან ზერელე მკითხველმა ზერელედ გადაიკითხოს.“

იდენტურია ჰერბერტ უელსის აზრიც: „ნოველაში ძალიან ადვილად დაგაბნევს გაუმართლებელი დეტალები, ეს კი ნაწარმოებს ღუპავს. ნოველა ისე უნდა მიქროდეს მიზნისაკენ, როგორც ვეფხვდადევნებული კაცი. არა მგონია, როდესაც ადამიანი ვეფხვს გაურბის, ბილიკთან აყვავებული გვირილების მოსაკრეფად შეჩერდეს. ისიც საეჭვოა, რომ იმ ხის ხავერდოვანი ხავსით ტკბობის დრო დარჩეს, რომელზეც, საფრთხისაგან გადასარჩენად, ფაციფუცით მიძვრება. ნოველის მიზანი დამაბული მოქმედების ილუზიის შექმნაა“ [ჰერბერტ უელსი, თანამედროვე რომანი, „ცისკარი“ #9, 1988, გვ.102].

ყველა მკვლევართან როდი ვაწყდებით ნოველისადმი ამალღებულ დამოკიდებულებას. არცთუ იშვიათად მიმართება ზედაპირულია, ჟანრი ლამის გასართობადაა გამოცხადებული, რაც საკითხის ისტორიის არასაფუძვლიანი ცოდნით, ჟანრის შინაგანი კანონზომიერებებისადმი ზერელე მიდგომით თუ აიხსნება.

მკვლევარი ნ. გულიაევი ნოველას მიაკუთვნებს მცირე ეპიკურ ჟანრთა რიგს და უთითებს, რომ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, რომელნიც მას მოთხრობისაგან განასხვავებს, თუმც იქვე დასძენს, რომ მრავალი კრიტიკოსი მაინც პოულობს ჟანრისათვის სპეციფიკურს, დამახასიათებელს. გულიაევი აღნიშნავს, რომ ნოველა აღორძინების ხანაში ჩაისახა („ანტიკურობის ლექსიკონის“ მიხედვით, ჩანასახის, ზოგჯერ კი საკმაოდ ჩამოყალიბებული, სახით ეს ჟანრი უკვე ანტიკურ ეპოქაში არსებობდა, ხოლო ახ. წ. აღ-ის IX საუკუნეში ნოტკერ სენტ-გალენელმა კარლოს დიდის შესახებ შექმნილი, თუ შეკრებილი თხზულებებით სათავე დაუდო ლიტერატურულ ნოველას).

რუსი მკვლევარი ნოველას მიიჩნევს ნაყოფად ევროპული ჰუმანიზმისა, რომელმაც შუა საუკუნეების მორალთან ადრე ჩამოყალიბებულისაგან განსხვავებული დამოკიდებულება დაამკვიდრა. ნოველის პერსონაჟები ეწინააღმდეგებოდნენ შეზღუდვას პიროვნების უფლებებისა, არად დაგიდევდნენ არსებულ წესრიგს, იწვევდნენ შეჩქვიფებას, ფარულ აღფრთოვანებას“ [Н. Гуляев, Теория литературы, М., 1985, 137].

თომას მანის აზრი, გერმანელი მწერალი ხელოვანთან მიმართებით რომ გამოთქვამს, კონკრეტული ეპოქის ნოველასთან მიმართებითაც გასათვალისწინებელია: აღორძინების ხანის დასავლეთევროპული ნოველა „არსებითად, არა მორალური, არამედ ესთეტიური ფენომენია... მისი მთავარი იმპულსი თამაშია და არა სათნოება. იგი გულუბრყვილოდ ბედავს, მორალის პრობლემებითა და ანტინომიებით დიალექტიკურად ითამაშოს“ [ნოდარ კაკაბაძე, თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XXსაუკუნე), თბ., 1988, 91].

ზემოაღნიშნული ეხება მხოლოდ აღორძინების ხანის დასავლეთევროპულ ნოველას (ისიც – ნოველისტიკის განსაზღვრულ ნაწილს). რაც შეეხება ქრისტიანული აღმოსავლეთის ნოველისტიკას, აქ აბსოლუტურად განსხვავებული სურათია.

აღორძინების ხანაში დასავლეთ ევროპაში ნოველა მართლაც მიიჩნეოდა „გასართობ“ ჟანრად. სიენელი ნოველისტი, შიპიონე ბარგალი, განიხილავს „ნოველას, როგორც ერთგვარ თამაშს, მაღალი საზოგადოების გართობის აუცილებელ ატრიბუტს (ბარგალის ნოველათა კრებულს ასეც ჰქვია – „გართობანი“ (ოინები~)) [Итальянская новелла Возрождения, Предисловие Н. Томашевского, М., 1984, 7].

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს მკითხველისადმი ფრიდრიჰ შლეგელს, ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ ფუძემდებელს. მისთვის მკითხველი ის პიროვნება როდია, ვინც უნდა გაართო: „საზოგადოებაზე ზოგჯერ ისე საუბრობენ, თითქოს ეს იყოს ვინმე, ვისთან ერთადაც შეიძლება ისადილო ოტელ „საქსონიაში“. საზოგადოება სულაც არ არის ნივთი – ეს აზრია, პოსტულატია, ეკლესიის მსგავსი“ [Эстетические взгляды немецких романтиков, წიგნში Зарубежная литература XIX в., Романтизм, Хрестоматия ист. - литературных материалов, М., 1990, 38].

რენესანსის ნოველისტიკის გმირთა ხასიათში იკვეთება დეტალები, რაც მათ პრომეთე-ამირანს ამსგავსებს – მათ დაივიწყეს, რომ მათივე ძალის სათავე უფლის უსაზღვრო ძალი იყო. ამდენად, ნ. გულიაევისა და ნ. ბერკოვსკის აღტაცება რენესანსის ეპოქის ნოველისტიკის „შეჩქვიფებულ-აღფრთოვანებული~ გმირით ემსგავსება მკვლევართა აღფრთოვანებას იმით, რამაც, წესით, ისინი უნდა შეაჩქვიფოს. ბერკოვსკი წერს: „ნოველა – მკაფიო განაცხადია ინდივიდუუმისა, რომელიც მსოფლიო ძალად გარდაიქმნება“ [Н. Берковский, Статьи о литературе, М., 1962, 259].

ნ. გულიაევის აზრით, ნოველის საოცარ დინამიკურობას განაპირობებს ის, რომ ამ ჟანრის ნაწარმოებთა გმირები, „შეპყრობილნი მწველი ვნებებით, მიმართავენ ათასგვარ ხრიკს სასურველი მიზნის მისაღწევად.“ ნოველის (ნაგულისხმევია შუა საუკუნეების, კერძოდ, შუა საუკუნეების მიწურულისა და აღორძინების ხანის ნოველა) „ინტრიგა“ ეფუძნება მდგომარეობის კომიკურობას. გულიაევი ნიმუშად მოჰყავს პერსონაჟები „დეკამერონისა“, რომელნიც „იშვიათად ხვდებიან ტრაგიკულ სიტუაციებში, რაც რთული შინაგანი განცდებისათვის განაწყობს პიროვნებას“ [Н. Гуляев, Теория литературы, М., 1985, 138]. მკვლევარს ნოველის საფუძვლად მიაჩნია ანეკდოტური შემთხვევა, კვანძის მძაფრი, უეცარი გახსნით. ეს მოთხრობისაგან ნოველის უმთავრეს განმასხვავებელ ნიშნად წარმოუდგენია კრიტიკოსს (მოთხრობაში კი, მისი აზრით, გადმოცემულია ხოლმე ჩვეულებრივი, ყოფითი, არაფრით გამორჩეული ამბები). ნოველისტი გაურბის „ყოფითი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული დეტალების“ აღწერას.

საბჭოთა კრიტიკოსი ურთიერთგამომრიცხავ აზრებს გამოთქვამს ნოველათა პერსონაჟების შესახებ. თუკი ზოგან აღნიშნავს, რომ პორტრეტები არასოდესაა ფსიქოლოგიურად სრულყოფილად დახატული, სხვაგან წერს: „ავტორი ხატავს გმირს არა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, არამედ მორალურ სახეს“. განა პიროვნების ზნეობრივი არსის წარმოჩენა იმთავითვე არ გულისხმობს ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას?!

რენესანსის ეპოქაში დახატულ პერსონაჟთა მსგავსად, გულიაევის აზრით, რომანტიკოსთა მიერ შექმნილი გმირებიც „პროტესტანტები“ არიან, მეამბოხენი, ოღონდ მათი ამბოხი სულიერია. „ესაა ჯანყი

პიროვნებისა, რომელიც იტანჯება სამყაროში, სადაც საგნები მეფობს“ (მკვლევარს ნიმუშად მოჰყავს ჰოფმანის პერსონაჟები). მართებულია კრიტიკოსის აზრი, რომ რომანტიკოსებმა, ღრმა ფსიქოლოგიზმის გარდა, ნოველას შესძინეს ეროვნული შტრიხები, ნაციონალური კოლორიტი (ჩვენში ეს პროცესი არ წარმართულა, რადგან ქართული ლიტერატურა თავიდანვე ეროვნული სახიერებით გამოირჩეოდა). გულიაევი თვლის, რომ რეალიზმმა ნოველას მოთხრობა ამჯობინა, რადგან ეს უკანასკნელი იძლევა ცხოვრების, ყოფის ბუნებრივი მდინარების, სიმდოვრის აღწერის საშუალებას, განსხვავებით ნოველისაგან, რომელსაც განსაკუთრებული დრამატიზმი და დამაბულობა ახასიათებს, მაგრამ კრიტიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ მოთხრობის პრივილეგიურმა მდგომარეობამ როდი გააქრო ინტერესი ნოველისადმი. ჟანრის ფსიქოლოგიური ვარიანტი (მერიმე, ჰოფმანსტალი...) არსებობას განაგრძობდა.

ბორის გრიფცოვი ესეში „ნოველა“ იკვლევს ჟანრის თავისებურებებს. წერილის შესავალში განხილულია სიზმრისა და ზღაპრის ურთიერთმიმართება: „ზღაპარში ისტორიული წარსული კი არა, ჩვენში მუდმივად არსებული „ფსიქიურის მეორე მხარე“ აირეკლება. იქნებ, ზღაპარი მხოლოდ იმიტომ „დასრულებულ-შეკრული“, რომ იგი სიზმრის „დასრულებულ-შეკრულ“ პროცესს აღადგენს?! ხომ არაა ზღაპრის მეტაფიზიკა სიზმრისეული?!~ [Борис Грифцов, Психология писателя, Новелла. М., 1988, 54] (ხორხე ლუის ბორხესიც წერს: „სიზმარი ესთეტიურის ყველაზე არქაულ სახეს წარმოადგენს“) [ხორხე ლუის ბორხესი, სიზმარი, „არილი“, 19-25 ივნისი, 1997, 7].

გრიფცოვი განასხვავებს ზღაპრისა და ნოველის მეტაფიზიკას და მიიჩნევს, რომ ნოველა „წმინდა სახით“ მხოლოდ აღორძინების ეპოქაში არსებობდა, მოგვიანებით კი ამ სახელით მოიხსენიებდნენ ფსიქოლოგიურ მოთხრობას, რომანის მონახაზს, კონსპექტს. კრიტიკოსის აზრით, ნოველაში არაფერი ხდება განსაკუთრებული, ღრმა, წინასწარმეტყველური. „არაკებში წარმოდგენილ მსჯელობას დასცინის ნოველა, და თუ რაიმეს ასწავლის, მხოლოდ იმას, რაც „მიუღებელია“, „არაკეთილგონივრული“... ზღაპარი დღის შუქს გაურბის. ზღაპარში რომ სიმდიდრე მოიხვეჭო და მეფის ასულზე დაქორწინდე, სულელი უნდა იყო. ნოველაში სულელი მუდამ სულელად რჩება, მხოლოდ ილბლიანი ზეიმობს, გაბედული და მოხერხებული.“

ნოველაში აღწერილი მოქმედების დროსა და ადგილს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მკვლევარი და მკვეთრად მიჯნავს ზღაპრისეულისაგან: „ზღაპარს მოქმედება „რომელიდაც სახელმწიფოში“ გადააქვს, სადაც ყველაფერი სიზმრის მსგავსად ხდება. ნოველა კი მაშინაც კი, როცა დაუჯერებელ ამბავს გვიამბობს, მას მშობლიურ ქალაქში გაათამაშებს, ნაცნობ პირებს შეუსაბამებს. ნოველისტი გვარწმუნებს, რა მშვენიერი შეიძლება იყოს ცხოვრება მშობლიურ ქალაქში... თუ ზღაპარი იწყება კლიშე-ფორმულით: „იყო და არა იყო რა...“ კლასიკურ ნოველაში დრო კონკრეტდება: „ქალწული მარიამის ძის განკაცების ჟამიდან 1540 წელიწადი გარდასულიყო...“ [გრიფცოვი, 59].

ნოველას ურთულეს და, მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისით, უღრმეს ჟანრად მიიჩნევენ XX ს-ის მოაზროვნენი ხორხე ლუის ბორხესი, უილიამ ფოლკნერი... ბორხესი წერს: „რა თქმა უნდა, რომანიც ტოვებს ხსოვნაში რაიმე ხატს, მაგრამ, ვფიქრობ, ნოველასავით რეალურს – ვერა“ [დონ კიხოტი სერვანტესზე ბევრად რეალურია (ინტერვიუ ხორხე ლუის ბორხესთან), „სალიტერატურო გაზეთი“ 10, 1996წ, 11]. ფოლკნერიც, არსებითად, ამავე აზრს გამოთქვამს სინთია გრენიესათვის 1955 წელს მიცემულ ინტერვიუში: „მეჩვენება, ყოველი რომანისტი არშემდგარი პოეტია. თავიდან ადამიანი შეეცდება, დაწეროს ლექსები და დარწმუნდება, რომ არ ძალუძს. შემდეგ ცდის თავს მოთხრობის ჟანრში, რომელიც სირთულით მეორე ადგილზე დგას, პოეზიის შემდეგ და, აქაც იწვინებს რა მარცხს, შეუდგება რომანთა თხზვას“ (მიუხედავად იმისა, რომ აქ საუბარია არა უშუალოდ ნოველაზე, არამედ, ზოგადად, მოთხრობაზე, ხაზგასმულია სირთულე მცირე ფორმის ნაწარმოებთა თხზვისა) [У. Фолкнер, Статьи, речи, интервью, письма, М., 1985, 216].

განსხვავებულია ჟანრისადმი რუსი კრიტიკოსის, ბორის გრიფცოვის დამოკიდებულება – არსებითად, გამეორება ისტორიკოს ე. გებჰარტის მოსაზრებისა. გებჰარტი ნოველის წარმოშობას უკავშირებს შუასაუკუნეობრივ მოგზაურობებს: „საომარ ლაშქრობებს, სავაჭრო ქარავნებს, მლოცველთა სვლებს ტრადიციულად მშვიდ შუასაუკუნეობრივ ყოფაში შეჰქონდა უცხო ქვეყანათა, საოცარ წეს-ჩვეულებათა და მოვლენათა ამბები. გრძელ, მომქანცველ გზაზე მგზავრობისას, ზამთრობით მონასტრებში, ზაფხულობით – ღია ზღვაში შტილის გამო გაჩერებულ ხომალდებზე დროის მოსაკლავად აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო ვინმე – „გრძლად“ მოთხრობელი, რომელსაც ბევრი რამ ენახა“.

გრიფცოვის აზრით, „ნოველის მიზანი არაა, აღმოაჩინოს ახალი სამყარო, გამოიკვლიოს სულიერი ცხოვრების ანტითეზები. ნოველა არაა თვითმკმარი და ყოვლისმომცველი. ის გამოხატავს უზრუნველ მოცალეობას ადამიანებისა, რომელნიც ამბის მოსმენის შემდეგაც იგივენი დარჩებიან: დარწმუნებულნი საკუთარ ინსტინქტთა სისწორეში, მატერიალურ-ყოფითი კეთილდღეობის სამართლიანობასა და გამართლებულობაში. ამაოდ როდი უძებნიან ჟანრს ერთგვარ ფსიქოლოგიურ მოტივირებას ნოველისტები: შავ ჭირს განრიდებული ახალგაზრდები ქალაქგარე ვილაში შეკრებილან, რათა საშინელს

განერიდონ, განწყობა გაიუმჯობესონ... „დეკამერონს“ შეიძლება ეწოდოს „ნადიმი ჭირის მძვინვარებისას“ [Б. Грифцов, Психология писателя, новелла, М., 1988, გვ. 63].

„დეკამერონის“ კითხვისას მართლაც რჩება მსგავსი შთაბეჭდილება, მაგრამ აზრის განზოგადოება, ჟანრის დაკნინება არასწორია. გამორჩეულ ნოველისტთა თხზულებები ამტკიცებს – ჟანრს შესწევს ძალა, საოცარი ფსიქოლოგიზმით, სიღრმისეულად წარმოაჩინოს ურთულესი მოვლენები, პიროვნული სულისძვრანი. გრიფცოვის შენიშვნით, „ფსიქოლოგიური მოთხრობა იწყება იქ, სადაც ნოველის თემა იწურება.“

ნორვეგიელი მწერალი, რომანისტი და ესეისტი იუჰან ბორგენი საინტერესოდ განმარტავს: „ნოველა ახლოა მუსიკასთან – სონატასთან, რა თქმა უნდა, და არა სიმფონიასთან... ნოველა დრამასაც უახლოვდება. ზოგჯერ მას ფერწერასაც ადარებენ, დაზგურს და არა მონუმენტურს. ეს შედარებები ემყარება ნოველის განსაზღვრებას, როგორც ინტუიტიურად თუ რაციონალურად აგებული სინთეზური თხრობის სახეს, სადაც თანაფარდობა ნათქვამსა და უთქმელს, გამოთქმულსა და ნაგულისხმევს შორის ავტორის ნება-სურვილით არის ნაკარნახევი... ნოველების წერა დიდ შემოქმედებით დამაბულობას მოითხოვს. ეს ტემპერით ნახატსა ჰგავს, სადაც მოხაზული შტრიხის შეცვლა უკვე შეუძლებელია. სუსტი ადგილით აღძრული შთაბეჭდილებების შეცვლა უკეთ დაწერილი ადგილით, როგორც რომანში ხდება, აქ შეუძლებელია. ნოველები, ისე, როგორც ლექსები და დრამები, გარკვეულად პრეტენზიულნი არიან. ეს ჟანრები სხვა ჟანრებზე მეტად გულისხმობს ერთი სულის უშუალო ზემოქმედებას მეორეზე და, თუ ამას ვერ ახერხებს, თამაში წაგებულია“ [იუჰან ბორგენი, ნოველა, კრებული „სკანდინავიური ესეები“, თბ., 1992, 120].

მოთხრობისა და ნოველის გამიჯვნა ურთულესი პრობლემაა. „გერმანული მოთხრობისათვის“ წამდვარებულ წინასიტყვაობაში ნოდარ კაკაბაძე წერს, რომ „ნოველის ცნების განსაზღვრა ლიტერატურის თეორიასა და, საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეობას, ყოველთვის უჭირდა... ჯერ კიდევ გოეთე სწერდა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს, ნოველა არისო „რუბრიკა, რომელშიც უამრავ უცნაურ რასმე ათავსებენ.“ ბერნჰარდ ფონ არქსი... ნოველას უწოდებს უბრალოდ „საშუალო სიგრძის მოთხრობას.“

მკვლევარი ჩამოთვლის ნოველის უარსებითეს ნიშნებს:

1. შემოფარგვლა „ერთი შემთხვევით“, „ერთი სიტუაციით“ – „ნოველისათვის დამახასიათებელია არა ამბავი, არა ისტორია, არამედ შემთხვევა – განსაკუთრებული, განუმეორებელი, არაჩვეულებრივი (გოეთეს უთქვამს ეკერმანისთვის: „სხვა რაღაა ნოველა, თუ არა გაუგონარი შემთხვევა?“);

2. შემოფარგლული დრო და სივრცე;

3. მასალის „ეკონომიური, შეკუმშული, კონცენტრირებული“ თხრობა. ნოველას არა აქვს უხარვეზო სისრულე, თანაბარი, თანდათანობითი განვითარება, ვერ იგუებს ფართო, დაწვრილებით აღწერებსა და გაშლილ ეპიზოდებს. მოქმედება ვითარდება პირდაპირ, სწორხაზოვნად, ყოველგვარი განშტოების გარეშე – ნოველა უნდა მთავრდებოდეს კულმინაციით, ზოგჯერ კატასტროფით, ერთგვარი განმუხტვით“ [გერმანული მოთხრობა, XIX საუკუნე (წინასიტყვაობა ნოდარ კაკაბაძისა „XIX საუკუნის გერმანული ნოველა“), თბ., 1984, 20].

ბ. გრიფცოვთანაც კვითხულობთ: ნოველაში „თხრობა მთავრდება ისევე, როგორც ამბავი მთავრდება ცხოვრებაში. გრძობებშიც არსებობს გარკვეული სამანი, მიჯნა, რომლის მიღმაც ლიტერატურა კარგავს არსებობის მიზანს. ამ სამანს ერთგვარად გამოხატავს ნოველა“ [Б. Грифцов, Психология писателя, новелла, М., 1988, 65].

ნოდარ კაკაბაძე უთითებს: „ნოველა გამოსახავს სინამდვილის მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთს და პერსონაჟის ცხოვრების ერთ, მაგრამ მნიშვნელოვან, ცენტრალურ (ზოგჯერ საბედისწერო, ტრაგიკულ) ეპიზოდს, მომენტს, რაც მისი ცხოვრების ან დასასრული, ან შემობრუნება-გარდატეხის წერტილი უნდა იყოს... მოთხრობაში შეიძლება იყოს რამდენიმე თანაბარმნიშვნელოვანი ამბავი, ნოველაში კი შესაძლებელია მხოლოდ ერთი ცენტრალური შემთხვევა“ [გერმანული მოთხრობა, XIX ს. (წინასიტყვაობა ნ. კაკაბაძისა „XIX ს. გერმანული ნოველა“), თბ., 1984, 21].

თუკი გრიფცოვი და გეზარტი ნოველის, როგორც ჟანრის, განვითარებას, გარკვეული თვალსაზრისით, შუა საუკუნეებში გავრცელებულ მოგზაურობებთან აკავშირებენ, XX ს. გერმანული მწერლის, არნო შმიდტის „ესკიზებისა და შორტსტორების კრებულის – „მედოლე მეფის კარზე“ – დასაწყისში პერსონაჟი ამბობს: „მე თვითონ არაფერი გადამიტანია, რაც, სხვათა შორის, არაფრად მენადვლება. არც ისეთი სულელი ვარ, იმ მოგზაურისა შემშურდეს, მსოფლიო რომ შემოივლია. ამისთვის მე ბევრი წამიკითხავს ზაიდლიცსა და დიდ ბრემში“ [ნ. კაკაბაძე, თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), თბ., 1988, გვ. 65].

რადიკალურად შეცვლილია ხედვის კუთხე, ხდება თვითჩადრმავება, მხერის ჩაბრუნება საკუთარ სულში (ნ. კაკაბაძე დაესესხება გამონათქვამს, თხრობა მიმდინარეობსო „მინაგანი პერსპექტივის

პოზიციიდან.“ თომას მანიც თხრობის „ჩაშინაგანებას“ მთხრობლის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდა: „ჩაშინაგანების პრინციპი უეჭველად დაკავშირებული უნდა იყოს იმ საიდუმლოებასთან, რის გამოც სულგანაბული ყურს ვუგდებთ იმას, რაც თავისთავად სრულიად უმნიშვნელოა და ყოველგვარ ინტერესს ვკარგავთ უხეში სიუჟეტისადმი, რომელიც გრძნობებს გვიფორიაქებს“ [რ. ყარალაშვილი, „აღსარებითი“ პროზის ტრადიცია და თანამედროვე ცენტრისკენული რომანი, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე), თბ., 1988, 126].

„ანტიკურობის ლექსიკონში“ ნოველის სამშობლოდ აღმოსავლეთი ცხადდება. ჟანრი აღმოსავლეთიდან ძველ ელადასა და რომში გავრცელებულა (რა თქმა უნდა, ნაგულისხმევია ნოველა არა კლასიკური გაგებით, არამედ ნოველის პირველსახე, არქეტიპული წანამძღვარი).

კლასიკური სახე ჟანრმა აღორძინების ხანის იტალიაში მიიღო. მკვლევარი ნ. ტომაშევსკი „აღორძინების ხანის იტალიური ნოველის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ბოკაჩო როდი იყო ნოველის შემქმნელი (თუკი ნოველად მივიჩნევთ უბრალო, მოკლე, მარტივ მოთხრობას, რომელსაც სიახლის ელფერი დაჰკრავს, მოგვითხრობს რაიმეს, აქამდის ჩვენთვის უცნობს...), მაგრამ სწორედ ბოკაჩომ შექმნა ნოველის ლიტერატურული ფორმა თხრობის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონებითა და ენით. სწორედ ნოველისტიკაში გამოიკვეთა ყველაზე უკეთ კონტურები იმ გონებრივი მოძრაობისა, რასაც რენესანსი ეწოდება... ჯოვანი ბოკაჩომ და ჩეზარე პეტრარკამ მისცეს `მწვანე გზა~ ეროვნულ ლიტერატურულ ენას, საერთოდ, ეროვნულ ლიტერატურასა და იტალიის ერთიანობის შეგნება-გააზრებას“ [Итальянская новелла Возрождения, Предисловие Н. Томашевского, М., 1984, 3].

მკვლევარი ჩამოთვლის აღორძინების ხანის იტალიელ ნოველისტებს (სერ-ჯოვანი ფლორენციელს, ფრანკო საკეტის, ანჯელო პოლიციანოს, ლუიჯი პულჩის, მაზუჩო სალერნოელს, ლუიჯი და პორტოს, ჯოვან-ფრანჩესკო სტრაპაროლას (სწორედ მის სახელს უკავშირდება ბრძოლა ტოსკანური დიალექტის დამკვიდრებისათვის. ტოსკანური იქცა საერთო-იტალიურის საყრდენად), მატეო ბანდელოს, შიპიონე და ჯიროლამო ბარგალეს...).

ტომაშევსკი წერს, რომ ბოკაჩოსავე სახელს უკავშირდება ნოველათა გაერთიანების სისტემის ჩამოყალიბება, ცალკეულის მთელისადმი დაქვემდებარება. „დეკამერონის“ მოდელი საუკუნეთა მანძილზე ეტალონად და ნიმუშად ითვლებოდა ნოველისტებისათვის.

სიახლე, უპირველესად, ის იყო, რომ „ნოველისტებმა მასალად გამოიყენეს თანამედროვე ისტორიული მომენტები. ისტორიული მოვლენებისადმი ინტერესიდან კი არცთუ დიდი მანძილია ისტორიის გააზრებამდის არა როგორც უბრალო, სწორხაზოვანი მოვლენების თანმიმდევრობისა, არამედ – მდგომარეობათა ცვლილებებისა“ [Итальянская новелла Возрождения, М., 1984,11].

Nana Kutsia, Marine Turava

Sokhumi State University

**PROBLEMS OF THE GENRE GENERALIZATION OF THE LITERARY
FORM OF SHORT-STORY
RESUME**

Multifarious and noteworthy opinions have been expressed in the scientific literature on the problems concerning the literary form of short-story. It is quite natural not to be able to embrace all of them in one article, however the present work is only an attempt at clarifying the existing point of view.

The given article surveys the works of well-known scientists and writers: Konstantine Gamsakhurdia, Nodar Kakabadze, Revaz Karalashvili as well as the foreign thinkers: William Faulkner, Luis Borguess, Boris Griftsov, Nikolay Tomashevsky and others.

**მწერლობის სოციალური პოტენციალის გააზრებისათვის
(უ. ფოლკნერისა და ო. ჭილაძის ნააზრების მიხედვით)**

საკვანძო სიტყვები: მწერლობის არსი, მხატვრული სიტყვის ოსტატები, ახალგაზრდა მწერლები, თვალსაზრისი, მოსაზრება.

„მწერლის... დანიშნულებაა შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას, თავგანწირვას დიდებით რომ მოსავდა ადამიანის წარსულს. პოეტის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლებინოს“.
უილიამ ფოლკნერი.

მწერლობის არსის გარკვევა ყოველი დროის შემოქმედისათვის მნიშვნელოვან საფიქრალს წარმოადგენდა, რადგან, ერთი მხრივ, იგი განსაზღვრავდა მწერლის სააზროვნო სივრცეს, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესს, ღირებულებებსა და ესთეტიკას. ამდენად, თემა მუდმივად აქტუალური და მგრძნობიარეა. ამ საკითხისადმი ჩვენს ინტერესს თანამედროვე სამამულო და უცხოური ლიტერატურის მდგომარეობაც განაპირობებს. ქართული მწერლობის ზოგიერთი ნიმუშის გაცნობამ გაგვახსენა მეტაფორულად გამოხატული მოსაზრება გასული საუკუნის 90-იანი წლების დემოკრატიის პირობებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მდგომარეობის შესახებ: „აუშვით დაბმული ძაღლი და ნახავთ, რაც მოხდება. ასე აუშვეს ჩვენთან დაბმული სიმორცხვე და ვხედავთ, რაც ხდება.“ [3].

ცხადია, დემოკრატიული პლურალიზმი გამოიწვევს გამოხატვის ნებისმიერი უკიდურესად განსხვავებული ფორმის შეზღუდვასაც კი, რაც კანონმდებლობითაცაა განსაზღვრული. მაგრამ სენსაციურობასა და სკანდალურობაზე გამოდევნებული მედიისა და მეტადრე მწერლების მიერ შექმნილი პროდუქტი სრულიად უგულვებელყოფს შემოქმედებითი საქმიანობის, კერძოდ, მწერლობის, გაგების იმ პოსტულატებს, რომელთა შესახებაც გვექნება საუბარი სტატიაში.

დავიწყებთ მოკლე ისტორიული ექსკურსით. ქართული მხატვრული სიტყვის კლასიკოსები არაერთგზის გამოეხმაურნენ განსახილველ საკითხს პუბლიცისტურ სტატიებში. მაგ., საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის მოსაზრება ლიტერატურის შესახებ: „...იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა“ [5, 257]. აკაკი წერეთელმა მწერლობის არსი საკმაოდ ხატოვნად და, ერთგვარად, ფილოსოფიურად განსაზღვრა: „მწერლობა ზნეობითი და გონებრივი მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა იხახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებად გადაეცეს მომავალ დროებს. და როგორც სარკეში ის იხახება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მის გულში ჩაჰყურებს, ისე პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია“ [4, 355].

მწერლობის ფუნქციის გააზრების ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ასევე უცხოელ მწერალთა პუბლიკაციებიდან. გასული საუკუნის ორ დიდ მწერალს დავით კლდიაშვილსა და ანდრე მორუას ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდათ მწერლობის ასახვის ობიექტის შესახებ. ქართველი პროზაიკოსი აღნიშნავდა, რომ მის ნაწერებში იყო სინამდვილე და მხოლოდ სინამდვილე, რასაც იგი განუხრელად ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ფრანგი ბელეტრისტის აზრით, აუცილებლად დგება ხოლმე წუთი, როცა მწერალი სწყდება სინამდვილეს, რათა მასზე ამაღლდეს. ცხადია, ეს ორი მიდგომა თავს იჩენს შემოქმედებითი აზროვნების თითქმის ყველა დარგში, განსაკუთრებით მხატვრული სიტყვის ოსტატებთან.

ჩვენი სტატიის შესწავლის საგანს განვიხილავთ უახლესი ისტორიის ორი დიდი ამერიკელი და ქართველი მწერლის - უილიამ ფოლკნერისა და ოთარ ჭილაძის - ნააზრების მიხედვით. ამგვარი ტანდემის წარმოჩენის საბაბი, ჩვენი აზრით, რამდენიმეა:

ა) ორივე მათგანი მე-20 საუკუნის, და არამარტო გასული ასწლეულის, გამოჩენილი შემოქმედია: ამერიკელი მწერლის მოღვაწეობა უმაღლესი ჯილდოთი - ნობელის პრემიითაა აღიარებული, ხოლო ქართველი - ნობელის პრემიის ნომინანტი და საქართველოს არაერთი პრესტიჟული პრემიის (საქართველოს სახელმწიფო, შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძისა სახელობის) ლაურეატია;

ბ) სპეციალისტთა აზრით, ფოლკნერისა და ჭილაძის სამყარო იდენტურია. [7, 102];

გ) ორივე თავს იკავებდა ინტერვიუებისაგან [2, 36; 7, 26] თავიანთი პირადი ცხოვრების გასაჯაროების გამო, მაგრამ როცა ინტერვიუზე თანხმდებოდნენ, პროფესიონალ ჟურნალისტებს მედიაპროდუქტის ნიმუშების შექმნის საფუძველს აძლევდნენ;

დ) ორივე უაღრესად საინტერესოდ, გულწრფელობით, იუმორითაც პასუხობდა შეკითხვებს, საუბრობდა საკუთარი წერის მანერის, ცხოვრებისეული შემთხვევების შესახებ. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არც ერთი მათგანი არ ცდილობდა საკუთარი აზრი მოეხვია თანამოსაუბრეებისათვის, იქნებოდა ეს ჟურნალისტი, სტუდენტი თუ სხვა.

სტატიაში შევეცდებით წინა პლანზე წამოვიწიოთ მწერლობის სოციალური პოტენციალის გააზრების ზოგიერთი ასპექტი, რომელიც წარმოაჩენს თითქმის ერთ დროში (ფოლკნერი - 1897-1962 წწ., ჭილაძე - 1933-2009 წწ.), მაგრამ გეოგრაფიული სივრცით დაშორებულ ორიგინალურად მოაზროვნე მხატვრული სიტყვის ოსტატებს.

საკუთარ თავთან გულის ჭიდილი იყო უ. ფოლკნერის მრწამსი. „მწერლის საქმეა მოჰყვეს წარმტაცი ამბავი ადამიანის გულის ჭიდილისა.“[2,161]. მას სჯეროდა, რომ ერთ დროს ადამიანი სწავლავდა გაეყრებოდა, ომსაც აიცილებდა თავიდან... და უკანასკნელი ხმა ამ წუთისოფელში იქნებოდა ხმა ორი ადამიანისა, რომ დავობენ, ახლა რაღა ვქნათო [2,162].

ო. ჭილაძისათვის მწერლობა სინამდვილის პიროვნული ასახვის ხელოვნებაა „...და, რაც მთავარია, არავინ გვავალდებულებს, არავინ გვაიძულებს მის არჩევას. ვინც ამ გზაზე დგება, ან გიჟია, ან გმირი. გინდაც მარადიულ ომში წასულხარ მოხალისედ და გინდაც კალმისათვის მოგიკიდია ხელი. ქართული მწერლობა, ბუნებისა თუ განგების ნებით, ცის კაზადონზე ერთხელ და სამუდამოდ დავანებული თანავარსკვლავედი კი არ არის, არამედ ცას მომწყდარი და ჩვენს საარსებო სივრცეში უთავბოლოდ მიმოფანტული, ოზლად მბრწყინავი ნამსხვრევებია ცალკეული ვარსკვლავებისა, ვარსკვლავების მტვერი, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე აგროვებს... და ამით იკლავს გამწარებული სულის შიმშილს. დიახ, იკლავს, დღესაც!“ [7,145].

მწერლის შემოქმედებითი ნატურა აისახება სამყაროს ინდივიდუალური ხედვისა და წარმოჩენის თავისებურებებით. უ. ფოლკნერი თითოეულ ხელოვანს მიზნად უსახავს „დაიჭიროს მოძრაობა, ანუ სიცოცხლე მხატვრული საშუალებებით და ისე აღბეჭდოს, რომ ასეული წლების შემდგომ უცხომ რომ იხილოს, კვლავ ცოცხალივით მოძრაობდეს. რადგან ადამიანი მოკვდავია, მისთვის უკვდავობის ერთადერთი შესაძლებლობა ისაა, რომ რაიმე დატოვოს, უკვდავი რამ, რაც მუდამ იცოცხლებს. ამგვარად ფხაჭნის ხელოვანი „ აქ ვიყავიო“ იმ გარდაუვალი დავიწყების კარიბჭეზე, რომელიც ერთ დღეს უნდა გაიაროს.“[2,65-66].

ის, რა იდეის ჩამოყალიბებაც სურს, მწერალმა იცის. მთავარია, საკუთარი აზრის, სუბიექტური განცდისა და ემოციის მკითხველისათვის გასაგებად გარდასახვა. ყოველგვარი გამოხატვის ამოსავალს სათქმელის მოტივი და გამოთქმის მოთხოვნილება წარმოადგენს. უ. ფოლკნერის აზრით, „მწერალს სამი რამ სჭირდება: გამოცდილება, დაკვირვება და წარმოსახვა. აქედან რომელიმეს ... შეუძლია დანარჩენები შეცვალოს. ჩემთვის მოთხრობა ყოველთვის იწყება ერთი იდეით, ან მოგონებით, ან წარმოსახვითი სურათით... მწერალი ესწრაფის შექმნას დამაჯერებელი სახეები რეალურ ყოფაში, რაც შეიძლება უფრო შემძვრელი საშუალებებით.“ ფოლკნერს ხმაურს სიჩუმე ურჩევნია, სიტყვისმიერი ხატი კი სიჩუმეს უკავშირდება. პროზის გრგვინვა სიჩუმეში სრულდება. [2,56]. მწერლის ერთადერთი მოვალეობა მისი ხელოვნებაა. ხელოვნებას კი იოტისოდენა საერთოც არა აქვს სიმშვიდესა და კმაყოფილებასთან [2,39].

ო. ჭილაძისათვის ერთი თანამდგომი მკითხველიც კი საკმარისია, რომ პასუხისმგებლობითა და სიდინჯით აკეთოს საქმე. „ერთი ადამიანი თუ უსმენს, მწერალს შეუძლია მშვიდად აკეთოს თავისი საქმე. განუზომელია, აუწონავია მნიშვნელობა იმ ერთი ადამიანისა, რომლის თანადგომასაც განუწყვეტლივ გრძნობს ნებისმიერი მწერალი და რომლის თანადგომაც ხელობაზე კი არ უცრუებს გულს, არამედ ავალდებულებს უკეთესად დაეუფლოს ამ ხელობას. ვიდრე საქართველოში ერთი კაცი მაინც წერს და ერთი კაცი მაინც კითხულობს, მართლა შეიძლება ყველაფერი დავიბრუნოთ, არამარტო მიწები, არამედ ზნეობაც!“ [7,141].

უ. ფოლკნერი და ო. ჭილაძე დიდ ყურადღებას უთმობდნენ ახალგაზრდა მწერლებს. მხოლოდ ამ ერთი ასპექტის განხილვაც საკმარისი იქნება ცხადი გახდეს მათი თვალსაზრისი მწერლობის სოციალური პოტენციალის შესახებ.

ჯერ კიდევ 1950 წელს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღებისადმი მიძღვნილი ცერემონია ფოლკნერმა გადააქცია უმაღლეს ტრიბუნად ახალგაზრდა მწერლებისადმი ხმის მიწვდენის მიზნით. მას სწამდა, რომ მათ შორის უკვე იყო ის პიროვნება, ვინც სამომავლოდ დაიკავებდა იმ ადგილს, საიდანაც მათ ფოლკნერი მიმართავდა. ეს საჯარო გამოსვლა - საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა, უნიკალურია თავისი შინაარსობრივი სისავსითა და ლაკონიური მოცულობით. სიტყვა, როგორც ხატოვანი აზროვნების ნიმუში, სრულიად პასუხობს ამ ფორმატის სპეციფიკას.

მწერლის აზრით, გასული საუკუნის 50-იანი წლების ტრაგედია საყოველთაო და ყოვლისმომცველი შიში და მისი გაცამტვერების მოლოდინია, რის გამოც „ახალგაზრდა მწერლებმა მიივიწყეს მთავარი - ადამიანის გულის ჭიდილი საკუთარ თავთან, ურომლისოდაც ღირებული ვერაფერი შეიქმნება, რადგან მხოლოდ ესაა დაწერის ღირსი, ღირსი ტანჯვისა და ოფლის ღვრისა“ [2, 20].

საჯარო გამოსვლაში ახალგაზრდა მწერლებისადმი ჩამოყალიბებული სურვილები წარმოადგენს შემოქმედებით კრედოსა და ცხოვრების წესს, რომელმაც ფოლკნერი ნობელიანტ მწერლად აქცია. მისი აზრით, შიშის დაძლევა, ძველისძველი ქვეყნობისა და სიმართლის, სიყვარულის, პატიოსნების, ღმობიერების, სიამაყის, თანაგრძნობისა და თავგანწირვის განცდაა ყოველი ნაწარმოების წარმატების გასაღები. ამის გარეშე მწერალი „ჯირკვლებზე დაწერს, გულზე კი არა“. ფოლკნერის ღრმა რწმენით, უამისოდ მწერალს ძალა არ ეყოფა დამაჯერებლად წეროს ადამიანის მარადისობაზე. ადამიანი კი უკვდავია, რადგან „მომადლებული აქვს სული, რომელსაც თანაგრძნობის, თავგანწირვისა და ამტანობის უნარი შესწევს. პოეტის, მწერლის ვალი ამაზე წერაა. მისი დანიშნულებაა შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ღმობიერებას, თავგანწირვას- დიდებით რომ მოსავდა ადამიანის წარსულს. პოეტის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლიეროს“ [2, 21].

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ (1999 წელს) ოთარ ჭილაძე ერთ-ერთ ინტერვიუში იგივე თვალსაზრისს აყალიბებს: „ნიჰილიზმი სახიფათო სენია, პირველ რიგში, სიცოცხლის ხალისს უკლავს ადამიანს შიდად, რადგან ლიტერატურა თავისი ბუნებით იმუნიტეტის გამამლიერებელი, იმედის მომცემი, გამამხნეველი და ჭირში გვერდით დამდგომი ნათესავია ადამიანისა“ [7, 145].

1958 წელს, ფოლკნერმა ვირჯინიის სტუდენტებთან შეხვედრისას, ახალგაზრდა მწერლებისადმი მიმართვაში პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის პოლიტიკა გააკრიტიკა. იგი ფიქრობდა, რომ პრეზიდენტის ძირითადად სწორ იდეაზე დაფუძნებული გეგმა პიროვნების როლს აკნინებდა, ხოლო პრეზიდენტის „ხალხთა ურთიერთობის“ კომიტეტის“ საქმიანობა ხელოვანის მოღვაწეობას აზრს უკარგავდა. ამით მტკიცდებოდა მითი, რომ, „პიროვნება არარაობაა და წონასა მნიშვნელობას მაშინ შეიძენს, როცა უსახელოდ ჩაიკარგება რომელიმე ჯგუფში და თავის პიროვნებას მას შესწირავს.“ [2, 24]. მწერლის აზრით, სწორედ ამ მითის უარყოფას ესწრაფვის ხელოვანი მთელი სიცოცხლე. მისი არგუმენტები აღნიშნული მოსაზრების გასამტკიცებლად საფუძვლიანი და დამაფიქრებელი აღმოჩნდა.

ახალგაზრდა მწერლებისადმი ფოლკნერის ყველა გამოსვლას ლაიტმოტივად გასდევს კაცთმოყვარეობა. მისი აზრით, ლიტერატურის მთავარი ღირებულება პიროვნების გადარჩენაა. „დაცვა არაადამიანად გადაქცევისაგან“, რადგან მწერალს, პოეტსა და ხელოვანს შესწევთ პიროვნების ადამიანურობის ახსნის უნარი.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ო. ჭილაძის ახალგაზრდა მწერლებისადმი დამოკიდებულება, რომლის შესახებაც იგი არაერთგზის საუბრობდა ინტერვიუებში. განსაკუთრებულია ამ თემისადმი მწერლის მოსაზრება, რაფინირებული მგრძნობელობით აღვსილი საქმიანი მოსაზრებები დაცლილია მენტორული, პათეტიკური მოწოდებებისაგან, პროპაგანდისტული განცხადებებისგან. მწერალი შეფასებისას ფრთხილი, მოზომილი და ტაქტიანია, რაც ამგვარი საკითხებისადმი პოზიციის გამოხატვის ფორმას მისაბამს ხდის (7, 96).

ჟურნალისტის კითხვაზე: „ფოლკნერმა ახალგაზრდა პროზაიკოსებს უთხრა: მირჩევნია თავად დავუშვა შეცდომები, ვიდრე მივიღო რჩევა, როგორ ავიცილო ისინი... თქვენ რას ურჩევდით დამწყებ მწერლებს“, ო. ჭილაძე მისთვის ჩვეული გულწრფელობითა და სიბრძნით დაეთანხმა ამერიკელ კოლეგას. მან ახალგაზრდა მწერლისათვის ვალდებულებად განსაზღვრა შეცდომა, შეცოდება და მონანიება. თავისი მოსაზრებები სათანადო არგუმენტებითაც გაამყარა: თუ არ შეცდა, ვერ გაიგებს შეცდომის არსს; თუ არ შესცოდა, ვერ გააცნობიერებს ცოდვის სიმძიმეს; თუ არ მოინანია, ვერასოდეს ჩასწვდება მონანიების მნიშვნელობას. ეს ყველაფერი უნდა განიცადოს, რომ ისე აღწეროს, რომ დამაჯეროსო. ყველა თაობის მწერლები ვერასოდეს ვსწავლობთ ჭკუას, - აღნიშნავს ო. ჭილაძე,- ალბათ, ამიტომაც არის ჩვენი ხელობა მიმზიდველი და მომხიბლავი. ყოველი მარცხის შემდეგ კიდევ უფრო მეტად ვინდომებთ და მკითხველიც „დიდი ინტერესით ადევნებს თვალს, რომელი ჩვენგანი ვერ შეძლებს, კიდევ ერთხელ, არარსებული ლოდის ათრევას არარსებულ მწვერვალზე...“ [7, 110-111].

ოთარ ჭილაძე, ფოლკნერის მსგავსად, საგანგებო ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მწერალთა მიერ სხვა ავტორების ნაწარმოებების კითხვის პრობლემას. იგი ამბობს: „...ყველაფერს უნდა კითხულობდე და კითხულობ კიდევ, ხარბად, დიდი ინტერესითაც... ყოველ სიტყვას ლოკავ, როგორც ერთ-ერთ ფილმში მშვიერი ჩაპლინი - ლურსმანს. ოღონდ შენ შიმშილს კი არ იკლავ, იწაფები, ვარჯიშობ, დიდი ბრძოლებისათვის ემზადები“... [7, 144].

ო. ჭილაძე გვერდს ვერ აუვლიდა ჩვენი დროისათვის ლიტერატურის ეროვნულობისა და მნიშვნელობის საჭირობორტო ასპექტს, რომელმაც ახალგაზრდა ქართველი მწერლები, უდავოდ, უნდა დააფიქროს. ისინი „ქართულად კი წერენ, - აღნიშნავს მწერალი, - მაგრამ ყველანაირად ცდილობენ თავიანთი განცდებით არ გამოირჩეოდნენ დანარჩენი მსოფლიოსაგან. არადა, მხოლოდ განცდათა განსხვავებულობა, თავისებურება ანიჭებს ლიტერატურას ეროვნულობასაც და, სხვათა შორის, მნიშვნელობასაც.“ [7, 141-142]. სხვაგან ო. ჭილაძე ამბობს, რომ ლიტერატურა მხოლოდ გართობის სახეობა არ არის და იგი სულიერი ფენომენია, ანუ მხოლოდ ხალხის სულთან ერთად, ხალხის სულიანად შეიძლება მისი ამოკვეთა თუ ამოშანთვა საერთო ეროვნული სხეულიდან“ [7, 62].

უდავოა, რომ ორი უნიკალური მწერლის უ. ფოლკნერისა და ო. ჭილაძის ზემოაღნიშნული მოსაზრებები მწერლობის არსის წვდომის, მისი სოციალური პოტენციალის განსაზღვრის ყველა დროის გენიალური ფორმულაა.

ლიტერატურა:

1. კრიტიკა, 5, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2010.
2. უ. ფოლკნერი, საუბრები „ნაკადული“, თბილისი, 1984.
- 3 ბ. ხარანაული, ცნობიერების რღვევის სამსახურში. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ., 24-31 ოქტომბერი.
4. ა. წერეთელი, ფოლადი თუ ტალს არ მოხვდა, ისე ნაპერწკალს ვერ გაჰყრის! რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, გამომცემლობა „საქართველო“. თბ., 1990.
5. ი. ჭავჭავაძე, „ივერიის“ წინასიტყვაობა (I), თბ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. III, თბ., 1953.
6. ი. ჭავჭავაძე, „ივერიის“ წინასიტყვაობა (II), თბ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. III, თბ., 1953.
7. ო. ჭილაძე, ღრუბელი. დიალოგები, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014.

Marine Lomidze, Lia Metreveli
Georgian Technical University
SOCIAL POTENTIALITY OF LITERATURE
(BY WILLIAM FAULKNER AND OTAR CHILADZE)
RESUME

Understanding of the essence of literature has always been the subject to discussion for writers, as on one hand it defined the mentality of a writer and on the other hand it determined the public interest, values and esthetics. Master writers have responded to the given issues many times.

We will discuss the article research subject according to the works by two great writers – William Faulkner and Otar Chiladze. We believe there are several reasons for the appearance of such a tandem: both of them are distinguished creators of the 20th century; certain specialists claim that Faulkner’s and Chiladze’s worlds are identical; both of them usually refrained from giving interviews for avoiding publicity of their private lives, but when they agreed to an interview, they always gave professional journalists the basis for creating quality media products; both of them answered questions in a very interesting and honest way; they both spoke about their writing manner and life stories. And what is especially important, none of them every tried to impose their opinion on the interlocutors. Their attitude towards young writers is also important. It is enough to discuss just this one aspect for understanding their conception of the essence of literature. For both writers the designation of literature is human kindness. Faulkner believes that this is the main value – saving an individual and “protecting them from turning into unhuman being”, as writers, poets and artists have the possibility to describe the humanity of an individual. The poet’s, the writer’s, duty is to write about these things. It is his privilege to help man endure by lifting his heart, by reminding him of the courage and honor and hope and pride and compassion and pity and sacrifice which have been the glory of his past. The poet’s voice need not merely be the record of man, it can be one of the props, the pillars to help him endure and prevail – this was the main message of the 1950 Nobel Prize acceptance speech by William Faulkner.

After half a century, Otar Chiladze expresses the same opinion in an interview: literature, by its essence, is the friend of a human, which strengthens the immunity, creates hope, encourages and supports him. There is no doubt that the aforementioned ideas are the all-time universal formula of understanding the essence of literature.

ენობრივი მსოფლხედვა და მიკროობიექტთა სახელდება სვანურ ტოპონიმიაში
(დალის ხეობის მასალების მიხედვით)

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ცდა დასაბუთებისა, თუ რამდენად აისახა ენობრივი მსოფლხედვა, მეტაფორული სახელდება კოდორის ხეობის ისეთ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა ნალჭამი, ჯგერაგ შყერიშ, გირგოლიშ დალ ნალზიგუ, ლაქნაშერა, ლანკელა, ლასკარ, ლაჯრებ, ფუყვარ შაჭვროლ, ლაციქარალ, ჯალდეშრე ლაქტცნორ, ქაჯრაჲ ტვიბროლ, ქათლინდამ გუგვეულ, მუშული ტვიბრა, დალია ნაცხენილჭარ, შაშმარე ლაყბალ, მკკნწერი მოლულდ, შდავლარე ლარდა, მაშდაშა გგგბარ, ჰულდმარ, ჩიჩხულდარ, ნადაუშუარ, კოჯ/კოჯროლ, ლახტ/ლახულდ, ტტიბრა/ტტიბროლ ჯარჯ/ჯარჯ-გლდ, მურყმინლარ, ბიქულდარ, სარგლდ, წდგლდ...

სხვადასხვა ხალხის მიერ სამყაროს აღქმა და შემეცნება განსხვავებულია. ეს განსხვავება ყველა ენაში თავისებურად აისახება. თითოეული ენა ინდივიდუალური სამყაროა. იგი ადამიანის გონითი კულტურის უმთავრესი ფორმაა. ყოველ ერს თავისი ენობრივი მსოფლხედვა გააჩნია. ენა განსაზღვრავს არა მხოლოდ მსოფლხედვას, არამედ ეთნოსის, ერის ეროვნულ ცნობიერებას. ერის მსოფლხეობა ენისა და ერის შინაგანი ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენდება.

ყოველი ენა თავისი სემანტიკური სტრუქტურით გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე.ი. გარკვეული ენის - ქართულის, ფრანგულის, ჩინურის ... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს (რამიშვილი 1995: 23). ენა არის მსოფლხედვა; ენა არის ერის სულის უშუალო გამოხატულება; ახალი ენის დაუფლება ახალი მსოფლხედვის შექმნაა – ვ. ჰუმბოლტის ამ კონცეფციამ მისცა ბიძგი ენის რაობის კვლევას აზროვნებასთან, ცნობიერებასთან, კულტურასთან მიმართებით.

ნადირობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების არსებობა, სავსებით ბუნებრივია იმ ხეობისათვის, რომელსაც უძველესი დროიდან ეწოდება დალის ხეობა, აქაურ სვანებს კი მდგალ „დალეი“ /დალარ (შდრ. ძვ. ქართ. მ-ეგვიპტელი, მ-ასპინძელი, მ-აჩაბელი...) დალია კოჯარ „დალის კლდეები“, ჯალდეშრე ლაქტცნორ „ხალდეველთა საჯიხვე“, დალ „ნადირობის ქალღმერთი, მონადირეთა მფარველი“... რელიგიური ლექსიკა კოდორის ტოპონიმიაში: ნალჭამი (სვან. ნალჭამ „ნაეკლესიარი“ ლაჭში „ეკლესია“ შდრ. სვან. მაჭამ „მადლობა“, ე.ი. ლაჭში/ლაჭამ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“)... კოდორელთათვის, ადგილობრივ მკვიდრთათვის ნალჭამის სახელითაა ცნობილი ქვის ზღუდის სახით შემორჩენილი ძველი აქარის ერთ-ერთ შემადგენელ გორაზე, რომელიც, ხალხური გადმოცემით, მაცხოვრის სახელობის სალოცავს წარმოადგენდა და საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა აჯარა ჯგერაგს – აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. ჯგერაგ შყერიშ – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კოდორის სათავეებთან. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ სალოცავის – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის – განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში; ტრადიციულად, „იარუნესგას“ კვირეულში, ზემო სვანეთში, სრულიად საქართველოს წმინდა სალოცავების მოხსენიებისას კალენდრით დასახელებული ასზე მეტი სალოცავიდან სვანი მომლოცველი პირველს, სწორედ, ჯგერაგ შყერიშ-ს მოიხსენიებდა (ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი 1939:27); შიყერის სალოცავს ყველა დალელისათვის, ყველა კოდორელისათვის განსაკუთრებული მადლი და ძალა აქვს. მას ღვთაებრივის გარდა მედიატორის მისიაც აქვს შეთავსებული. აქ მოსისხლე მტრებიც კი შერიგებულან; რამდენადაც შიყერის მალა სალოცავზე (აქედან ხომ მთელი დალის ხეობა ხელისგულივით მოჩანს) ნათქვამი ყოველი სიტყვა თითოეული კოდორელისათვის მუდამ იყო წმიდათაწმიდა, საბოლოო და სავალდებულოდ შესასრულებელი. პარალელისათვის საინტერესოდ მიგვაჩნია გეოგრაფიული სახელი ლაბსყალდ<(ბასყ „მარწყვი“) – სოფელი მესტიამში. უნდა შევნიშნოთ, რომ კოდორულ ქრონიკებზე მუშაობისას ერთ-ერთი კოდორელი ინფორმატორი, ხალურ გურჩიანი, თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ტოპონიმი ლაბსყალდი მომდინარეობს სვან ლი-სყალ ლექსებიდან, რაც სიტყვასიტყვით აღნიშნავს „შერიგებას“, ლაბსყალდი კი – შესარიგებელ ადგილს ნიშნავს და არა „სამარწყვეს//მარწყვიანს“ (კოდორული ქრონიკები, 2010:454). ჩვენი აზრით, კოდორელი ინფორმატორის თვალსაზრისი მართებულია. ხალხური გადმოცემებით,

XIX საუკუნის მიწურულისათვის ნანგრევების სახითა მოღწეულ სალოცავზე **ჯგერაზ შყერიშ**-ზე ადრეულ ეპოქაშიც კი ადგილობრივი სვანებისაგან შეწირული ათეულობით ზვარაკი იკვლებოდაო.

გირგოლიშ ღალ ნაწიგუტ „გირგოლის ნამოსახლარი“ <(გირგოლ-იშ ღალ ნა-ლ-ზიგ-ჟ) – მინდორი, ყანა, სათიბი; საინტერესოა, რომ ტოპონიმად არის ქცეული მართული მსაზღვრელ-საზღვრული ანთროპონიმისა და წინა ვითარების სახელთა კომბინაციით შედგენილი, რომელსაც ემატება სპეციფიკური ღალ ნაწილაკი, რომელიც სვანურში სიბრალულის, თანაგრძნობის შინაარსის შემცველია და გამოხატავს მთქმელის თანადგომით დამოკიდებულებას; **ღალ** სპეციფიკურია სვანურისათვის, ზუსტი სემანტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტი მას ქართულსა და მეგრულ-ლაზურში არ ეძებნება, ამიტომაც თარგმნისას ძალზედ ჭირს იმ სპეციფიკისა და ნიუანსური სემანტიკის გადმოცემა, რომელსაც ღალ დართული ფორმები სვანურში გამოხატავენ; ამ ტიპის მაგალითები ხშირია ყოველდღიურ საუბარში, მეტყველებაში, მაგრამ ტოპონიმიაში, გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ღალ ნაწილაკიანი ადგილთა სახელების, თუნდაც ერთეულების სახით, გამოვლენა საინტერესოდ გვეჩვენება და ესეც მსოფლადქმის ასახვა მიკროობიექტთა სახელდებაში.

ლაქნაშერა <(ლა-ქნაშერა) სვან. ქან „კანაფი“ – ადგილის სახელია ომარიშალში; ქან, მოგეხსენებათ, ძველესი კულტურაა. დიდია მისი გამოყენების არეალი, როგორც სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებებისა. ქანაშ – კანაფის თესლისგან დამზადებული უგემრიელესი კერძია, გიმბაშ კანაფის ნაყოფის სახელია. გიმბაშ-ს ურევენ ყველში და აცხობენ ხაჭაპურებს. გიმბაშ-ის ზეთი უებარი სამკურნალო საშუალებაა სიმსივნური დაავადებებისა. კანაფის გამხმარ ფოთოლს ზამთრობით აჭმევენ საქონელს, რითაც იცავენ მათ ღვიძლის დაავადებებისაგან. ასეთი მრავალმხრივი გამოყენების გამო ლალქანა და ლა-ქნაშერა უამრავ ადგილას იყო კოდორის ხეობაში. თუმცა, ახალგაზრდების მიერ მისი არასწორად გამოყენების გამო კანაფის დათესვა აიკრძალა სახელმწიფოს მიერ და მოსახლეობაც იძულებული გახდა კანაფისა (სვან. ქან) და მისი თესლის (სვან. გიმბაშ) ამდენ სიკეთეზე ეთქვა უარი. თუმცა, დალის ხეობაში კანაფს დათესვა არც სჭირდებოდა, ის ბუნებრივად ამოდიოდა და მოსახლეობა იძულებული გახდა გაენადგურებინა და მიკროობიექტთა სახელები – ლალქანა და ლა-ქნაშერა სამუდამოდ დაევიწყებინა.

ლანკელა<(ლა-ნკელა) მომდინარეობს ლი-ნკელე-დან, რაც სვანურად მომწყვდევას, მოხელთებას ნიშნავს; ლანკელას არქმევენ ძირითადად მთებში ცხენების, უფრო იშვიათად ნადირისა და ნანადირევის მოსამწყვდევ, ჩასაკეტ ადგილებს.

ლასკარ <(ლა-სკარ) ადგილის სახელია გვანდრაში; ტოპონიმი მომდინარეობს სვან. სკარ რელიგიური სემანტიკის ტერმინიდან, რაც ნიშნავს სხვადასხვა სახის **ღვნ-ებზე** ანუ რელიგიურ დღესასწაულებზე რამდენიმე ოჯახის, ან თემის, ან სოფლის გაერთიანებას, ზვარაკის ერთად შეწირვას და ლოცვას.

ლაჯრებ <(ლა-ჯრებ) „კლდის მარილის მოსაპოვებელი ადგილი“ <სვან. ჯერაზ „კლდის მარილი“; **ლა-ცოქჟ-არ-ალ** „სათვალთვალო“; **ლა-ყსგრ** < სვან. ყსგრ „არამეწველი საქონელი“ – ხარი, მოზვერი, დეკეული, ბერწად დარჩენილი ძროხა... (ამავე სქრუქტურისაა სახელები: ლა-მანჩუ, ლა-ნესგირ, ლა-ჩხტარ, ლა-ჯმუნ ჰლ, ლა-ხერხა, ლა-დრელ...)

ფუყვარ ჟავგროლ „ძირმაგარებიანი არყის ხე“ შესასვენებელი ადგილის სახელია მთაში, აჭაფარაში. ამ ეპითეტის ტოპონიმად გამოყენება, მით უფრო მისის სვანური სემანტიკის გათვალისწინებით, ენობრივი ხედვის საინტერესო მაგალითად გვეჩვენება.

ჰიდრონიმები: **მემხე ტუბრა** „შავი ღელე“ **იალცუნესგა < ძარტ-ლიც-ნესგა** „ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“...

ქაჯრაჲ ტვიბროლ „ანცი/დაუდეგარი/ცელქი ნაკადული“ მდინარის პატარა შენაკადის, ღელის სახელია აჭაფარაში, სადაც მყინვარიდან გამომავალი ეს ნაკადული (სვანურად ლელჰენ), გიჯმაური სისწრაფით მიედინება კლდოვან ფერდობებზე, ხან შხეფებად იფრქვევა, ხანაც ოდნავ მშვიდდება დავაკებისას, შედარებით დაბლობებზე მდინარებისას და ხმაურით უერთდება აჭაფარის მდინარეს, რომელიც გვანდრის მდინარესთან ერთად ქმნის სათავეს კოდორისას.

ქათლადშ გუგფულ (სიტყვასიტყვით იქნება „ქათამუკას გულმკერდუკა“) მალლობის სახელია მთაში; ტოპონიმი მხატვრული შედარების მაგალითადაც კი შეიძლება ჩავთვალოთ.

მუშული ტვიბრა „ხმაურიანი //მყვირალი ნაკადული“ ნაკადულის სახელია კლუხორისაკენ მიმავალ გზაზე;

დალიჲ ნაცხენილტარ – სათიბის სახელია მთაში. ეს მიკროობიექტი მეტაფორული აზროვნებისა და გეოგრაფიულ სახელთა სახელდებაში ენობრივი მსოფლხედვის ასახვის კარგი მაგალითია. როგორც ინფორმატორებმა ამიხსნეს, ადგილს ეს სახელი – **დალიჲ ნა-ცხენ-ჲალ-ჟ-არ** რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს დალის თმების გადასავარცხნ/ გადანავარცხნ ალაგს, ეწოდა იმის

გამო, რომ ფერდობი საკმაოდ ციცაბოა და მთლიანად წერეკვით თომით (სვან. წერეკვით) მთის სწორი ბალახით მოფენილი. სხვათაშორის, როგორც ეს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშია აღწერილი, თომს (წერეკვს), როგორც ბუნებრივ ჰაეროვან მასალას, ივენდნენ ქალამნებში. შემოდგომის პირზედ ეს წვრილფერობიანი, ყელყელა თომი ისე ლამაზად გადმოეკიდება ფერდობებზე, რომ მისმა შემხედვარემ ძალაუნებურად უნდა წარმოიდგინო ულამაზესი ქალღმერთი, მონადირეთა მაცდუნებელი დალი, რომელიც ლამაზად ივარცხნის თავის ლამაზ თმას.

შაშშარე ლაყუბალ – დაბურული პატარა ხევის სახელია დალის ხეობაში. შაშშარე თვალით უხილავი მითიური არსებების, ალქაჯების, ჭინკების სვანური სახელია. მიკროობიექტი, შესაბამისად, იშიფრება, როგორც ალქაჯთა, ჭინკათა შესაკრებელი ალაგი. იქ გავლა მარტო ერთი ადამიანისათვის, განსაკუთრებით ღამით, ზამთარში, ქრისტეშობის მარხვაში ითვლებოდა საშიშად. ამიტომაც არიდებდნენ კიდეც თავს, რამეთუ რომ ალქაჯები თავგზას აუბნევდნენ მგზავრს.

მგკენწერი მოლულდ „ჩამოკონწიალებული მდელუკა“ – სამოვრის სახელია მთაში; **ბეროლრე ნალზიგტ** „ბერების ნამოსახლარი“; **შდავლარე ლარდა** „მერცხლების სამყოფი, სამერცხლე“; **ბწწ ბოგ** „ქვის ხიდი“; **მაკლათხე ზავარ** „უმაღლესი ზეგანი, მწვერვალი“...

მაშდაშა გგგბარ „მარტოხელა ფიჭვები“ – ადგილის სახელია აჭაფარაში; სვანურში, როგორც წესი, **მაშდაშა** ითქმის მხოლოდ ადამიანზე. ფიჭვების ეპითეტად მისი გამოყენება საინტერესოდ გვეჩვენება.

ჰულდმ-არ <ჰულდუმ „ურდული“ მდინარის ციცაბოკალაპოტიანი ზოლისა და მისი შემოგარენის სახელია კლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც კლდეები თითქოს ურდულივით კეტავენ მთის ბობოქარ, ჩანჩქერებად მომავალ მდინარეს;

ჩიჩხულდარ < (ჩიჩხუ-გლდ- არ) „გაფსკვნილმაფებოლოებიანი ფოჩი“ -გლდ –კნინობითის სუფიქსია; სახელია კლდის ფერდობისა, სადაც შხეფებად მოდის და მოწანწკარებს ჩანჩქერი და მყინვარების ნადნობ-ნაჟური წყალი...

ნადაუშუარ<ნა-დაუშ-არ<(ლი-დაშუ-ე „დალუპვა, გაფუჭება“), სიტყვასიტყვით „დანალუპებები“, ადგილის სახელია კლუხორის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით ბევრი მეომარი, როგორც საბჭოთა, ისე გერმანელი დაიღუპა თურმე. როგორც ცნობილია, დალის ხეობაში მეორე მსოფლიო ომის დროს საბრძოლო ოპერაციები მიმდინარეობდა სწორედ კლუხორის/ქლუხორის უღელტეხილით გადმოსული გერმანელების წინააღმდეგ, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მოსახლეობა. რამდენიმეწლიანი საბრძოლო ეპოპეა გარკვეულწილად აისახა კიდეც დალის ხეობის მიკროტოპონიმიაში: ამიტომაც გვხვდება აქ ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა ბომბი ნაყირუ ნაკ „ბომბის დანარტყამი ვაკე“, წერნი ბუტკა „წითელი ჯიხური“ – ადგილის სახელია მთაში, სადაც შტაბი ჰქონიათ საჭოთა მეომრებს და ა.შ.

საყურადღებოა ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოს მახასიათებელი ტერმინების უაღრესად ხშირი გამოყენება კნინობითის ფორმით; ზოგადად, სვანურს, მსგავსად რაჭულისა, ძალიან უყვარს მოფერებით-კნინობითი ფორმები, რაც მიკროობიექტთა სახელდებაში მკაფიოდ ასახულა და გამოვლენილა: კოჯ/კოჯ-ოლ „კლდე“ (კნინობ. ფორმა.) ლახუ/ლახუ-ლდ „მთა“, ტუბირა/ტუბიროლ „ღელე/ღელუკა“, ჯარჯ/ჯარჯ-გლდ „გადასასვლელი//გადასასვლელუკა“, მურყმ-ოლ-არ „კომკუნები“ < მურყამ „კომკი“, ბიქუ-ლდ-არ< ბიქუ „ქარი“... (ამავე ყალიბისაა სახელები: ზუგ-ლანდ, ზავარ-გლდ, ნალზიგტ-ულ, კიბ-გლდ-არ, სარგლდ, წგდგლდ...) ჰიდრონიმებია: მეშხე ტუბირა „შავი ღელე“ იალცუნესგა<ჟარტ-ლიც-ნესგა „ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“...

ზოგადად, სვანური ტოპონიმით არაერთი ცნობილი მკვლევარი თუ ქართველოლოგი დაინტერესებულა. კვლევა-ძიების შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნებიც არის გაკეთებული: „ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები სვანების მრავალრიცხოვნების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმური მასალის ანალიზი... რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში აშკარად შეინიშნება სვანური ენის კვალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უცხოვრიათ, ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზეც. მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში. ამას მოწმობს იქაური ტოპონიმები: ხუმარი (შდრ. ცხუმარი), უშკალანი (შდრ. უშკულ,) და სხვა...“ (ჭუმბურიძე, ლავროვი). (ჭუმბურიძე, 2007, გვ. 25-34; ლავროვი, 1956, გვ. 78).

მცირე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსი დალის ხეობაზე, ამ ეგზოტიკურ კუთხეზე: კოდორის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში

– ზემო აფხაზეთი. უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. კოდორის ხეობა მდებარეობს დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდინარე კოდორის ხეობის ზედა წელზე, სათავეებიდან 70 კმ-ის მანძილზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ნაჰარვისა (გონდორაის) და კლუხორის უღელტეხილებიდან მარუხის უღელტეხილამდე (დაახლოებით 80-90 კმ.) დალის სვანეთს აღმოსავლეთით მესტიის რაიონი ესაზღვრება. მათ ერთმანეთისაგან ყოფს ხვარაშისა და ჯერილის საკმაოდ მაღალი მთაგრები; სამხრეთით ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიებია (ურთიერთგამყოფია ფანავის ქედი, ჰარვასა და ბარუმბას მთები), დასავლეთით კი – ბაგადის კლდეებია. ვარაუდობენ, რომ კლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები სრულიად სხვადასხვა ეთნოსთა შორის, ხოლო `ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში - IV-VII სს. კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის (ბონდარევი 1981, გვ. 89). ითვლება, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დალის ხეობას საუკუნეების მანძილზე ხალხთა და ტომთა გადაადგილება-გადანაცვლებისა თუ დროებითი განსახლების მრავალმა გრიგალმა გადაუქროლა, რამაც გარკვეულწილად ჰპოვა ასახვა ამ მხარის ტოპონიმიაში, ყოფაში, სულიერ და მატერიალურ კულტურაში. თუმცა ფაქტია, რომ არცერთ ეპოქაში, არც ერთ საუკუნეში, დალის (კოდორის) ხეობა დედა სამშობლოსაგან მოკვეთილი არ ყოფილა, იქ მუდამ სუფევდა მძლავრი ეროვნული სულისკვეთება და გაისმოდა ძლიერი ქართული სიტყვა. კოდორის ხეობა ისტორიული მისიმიანეთია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თითქმის 15 საუკუნის შემდგომ მისიმიანელთა ნაფუძარზე მოსახლე მათმა მემკვიდრე დალელებმა ღირსეულად გაიმორეს წინაპართა გმირობანი და 1993-2008 წლებში გმირულად შეინარჩუნეს ქართული სულისკვეთება და კოდორის ხეობა საქართველოდ შემოინახეს დედა სამშობლოსაგან დროებით მოკვეთილ აფხაზეთში.

ამდენად, სემანტიკური თვალსაზრისით საინტერესოა დალის ხეობის მიკროობიექტები – ნალჭამ, ჯგერნგ შყრიმ, ჯალდემრე ლაჰტეწრ, გირგოლიმ დალ ნალზიგუ, ლაქნაშერა, ლანკელა, ლასკარ, ლაჯრებ, ფუყვარ ჟანვაროლ, ლაცექარალ, ქაჯრან ტვიბროლ, ქათლონდამ გუგვეფულ, მუშული ტვიბრა, დალიან ნაცხენილჭარ, შაშმარე ლაყუბალ, მკკნწერი მოლულდ, შდავლარე ლარდა, მაშდამა გგგბარ, ჰულდმარ, ჩიჩხულდარ, ნადაუმუშარ, კოჯ/კოჯოლ, ლახტ/ლახულდ, ტუბრა/ტუბროლ ვარჯ/ვარჯ-გლდ, მურყმლარ, ბიქულდარ, სარგლდ, წდგლდ... რამდენად აისახა ენობრივი მსოფლხედვა ამ გეოგრაფიულ ობიექტთა სახელდებაში, ამის გარკვევას შევეცადეთ დალის ხეობის მიკროტოპონიმის მაგალითზე. ეს არის წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი. სწორედ ენობრივი მსოფლხედვის ზედმიწევნით გადმოსაცემად მოგვიწია გეოგრაფიულ სახელთა ზედმიწევნითი, სიტყვასიტყვითი თარგმანი (თუმცა ზოგადი ონომასტიკური წესის თანახმად, გეოგრაფიული სახელი არ ითარგმნება). მუშაობის პროცესში არაერთ სირთულეს წავაწყდით. ვგრძნობთ, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, თარგმანში მაინც დაგვეკარგა ენობრივი მსოფლალქმის წარმომჩენელი, ამსახველი დეტალები, ნიუანსები და ქართულად სრულყოფილად ვერ გადმოვევით ძირითადი არსი. არადა, სვანურად ეს გეოგრაფიული სახელები ძალზედ ლამაზად, მიმზიდველად, ასახავენ სამყაროს და დალელებისეულ/კოდორელებისეულ აღქმას ამ სამყაროსას. (მე თითოეული ეს ადგილი მეტად მიყვარს, ვიდრე, ალბათ, სხვას... ჩემს წარმოსახვაში მე მათ ადგილის დედასთან, ოდაბადესთან ვაიგივებ... ისინი მე ჩემს ბავშვობაში მბრუნებენ, ბავშვობა კი მშობლიურ აფხაზეთსა და დალის ხეობაში... დღეს კი ეს ძირძველი კუთხე მოკვეთილია დედა-სამშობლოს! დროებით? ვინ იცის, იქნებ – სამუდამოდაც).

ამრიგად, მიკროობიექტებში გამოვლენილი ეპითეტების, მხატვრული შედარებების, მეტაფორების... საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება მსჯელობა გეოგრაფიულ სახელებში გამოვლენილ ენობრივი მსოფლხედვის, მსოფლალქმის ნიუანსებსა და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანური ტოპონიმის კვლევა იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იქნება ეს ეტიმოლოგიური, სტრუქტურული თუ ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული დალის ხეობისა და ზოგადად, სვანურენოვან ტოპონიმიაში მთელი სისრულით არის ასახული არქაული საქართველო, სვანეთის რთული ყოფა-ცხოვრება, განუმეორებელი ბუნება და მიმზიდველი სანახაობანი...

ლიტერატურა:

- ასლანიშვილი, 1933 – ს. ასლანიშვილი, აფხაზეთის სვანეთი, ტფილისი;
ბარდაველიძე, 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი;
ბატონიშვილი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი;
ზარდალიშვილი, 1949 – გ. ზარდალიშვილი, ქლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის, თსუ შრომები, ტ. 36. თბილისი;
რამიშვილი, 1995 – გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბილისი;
ქალდანი, 1999 – მ. ქალდანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „აფხაზეთის მოამბე“, #2, თბილისი;
ცხადაია, 1986 – პ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“ 122, №1, თბილისი;
ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე, 2007 – ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე – სვანური ტოპონიმია, სვანური ენა, თბილისი;
ხორავა, 2008 – ბ. ხორავა ბ., წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება, სვანეთი – ქართული კულტურის სვანე, თბილისი;
მასლოვა, 2001 – Маслова В. А. Лингвокультурология. М., 2001;
Бондарев Н. 1981 – В горах Абхазий, Москва, 1981;
Бгажба Х. 1956. – Некоторые вопросы этнонимии топонимии Абхазий, Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. 27. 1956.

Ketevan Margiani

Sokhumi State University

LINGUAL IDEOLOGY AND SELECTION OF MICROOBJECTS IN SVAN TOPONYMY (ACCORDING TO THE DALI GORGE MATERIALS) RESUME

Following geographical names of Kodori Gorge are analyzed in the publication: **Nalxvam, Girgolish gal nalzgv, Laqnashera, Lankela, Lascar, Lajreb, Qajrai tvibrol, Mushuli tvibra, Mashdasha gigbar, Dalia naxenialvar, Mukunwuri moluld, Murkmilar...** Under the basis of epithets, artistic comparisons, metaphors presented in the microtoponyms of Dali gorge, to our minds we may discuss lingual ideology, understanding, details and extralinguistic factors in Svan toponymy revealed in geographical names.

Kodori Gorge Toponymy is characterized by the abundance of environment describing terms. The main characteristic of Dali Gorge modern Toponymy is its lingual diversity.

Kodori Gorge is a historical part of the West Georgia, Abkhazia. In the antique epoch it was called Mivsiyaneti or Misimianeti, in the middle ages - Dali Gorge, in the XIX century – Tsebelda Dali Sabokaulo (the area controlled by a certain police department), in the Soviet epoch it was called Abkhazian Svaneti, and in the XXI century – Upper Abkhazia. Such a variety of the names speaks for itself, of the importance and special role of this gorge in the history of Georgia. Whereas for Svaneti, Svanians and immediate neighbors, Kodori Gorge always been known as Dali.

მაერთებელი ელემენტები გერმანული ენის კომპოზიტებსა და დერივატებში

გერმანულ ენაში კომპოზიტებსა და სუფიქსურ დერივატებში ხშირად გვხვდება ფონემატური/ფონემური ერთეულები (ფლექსიის ფუნქციის გარეშე), რომლებიც სიტყვაწარმოებით სტრუქტურებში კონსტიტუენტებს ერთმანეთთან აკავშირებენ. ასეთი ელემენტები სემანტიკურად "ცარიელი" სემენტებია. მათ არ გააჩნიათ ენობრივი ნიშნის თვისებები და როგორც ფონეტიკური ჩართული ელემენტები კომპლექსური სიტყვის კონსტიტუენტების ერთმანეთთან "მორფონოლოგიური მისადაგების" („morphologische Anpassung“) ფუნქციას ასრულებენ (Gumirowa, წიგნში: Fleischer/Barz 2007, 32). ასეთი ელემენტების ერთი საერთო ფუნქციის საფუძველზე, და გამომდინარე იქიდან, რომ მათ არა აქვთ მნიშვნელობა, ისინი განაზოგადეს "ინტერფიქსის" ცნებაში (Fleischer/Barz, იქვე). საუბარია ფონემებსა ან ფონემათა კომბინაციებზე, რომლებიც ძირითადად სუბსტანტიურ კომპოზიტებში კომპონენტების შეხვედრის ადგილს ავსებენ, როგორცაა ელემენტები: -e-, -(e)s-, -(e)n-, -ens-, -er-, -o-, -i-, მაგალითად, სიტყვებში: Gäns-e-blume, Arbeit-s-zeit, Alte-n-heim, Katze-n-sprung, Herz-ens-lust, Ei-er-schale, Zeig-e-finger, Frag-e-zeichen, ahnung-s-los, angl-o-amerikanisch. გარდა ამისა, ასეთებად განიხილავენ ისეთ სემენტებსაც, რომლებიც სუბსტანტიურ და ადიექტიურ დერივატებში ფუძესა და სუფიქსს შორის გვხვდება, მაგალითად, სიტყვებში: Chin-es-e, Büche-er-ei, problem-at-isch, theor-et-isch, Afrika-n-er, will-ent-lich და სხვ. (შდრ. Lohde 2006, 21; Fleischer/Barz 2007, 32-33), რასაც გერმანისტიკაში ხშირად განიხილავენ ან როგორც "ფონემურ ცვლილებას სიტყვის ფუძის ბოლოკიდურში" "phonemische Alternationen im Wortkernauslaut" (v. Polenz 1980, 173), ან შესაბამისი სუფიქსის გავრცობილ ვარიანტებს (შდრ. Deutsche Wortbildung 1973, 21-22; 1978, 27-28).

დღეს ტერმინი "Fugenelement" ("მაერთებელი ელემენტი") ფართოდ არის გავრცელებული გერმანისტიკაში (შდრ. Fleischer 1976, 56, 121-122; v. Polenz 1980, 172; Fuhrhop 1996; Wellmann 1998, 416, 494; Naumann 2000, 16-17; Lohde 2006, 21 და შემდ.; H. Günther, წიგნში: Metzler Lexikon Sprache, 1993, 199; Barz 2009, 651-652; Donalies 2005, 42 და შემდ.); ი. ერბენი (Erben 2006, 34, 69, 75) აღნიშნულ ელემენტებს უწოდებს "Fugenzeichen"-ს¹ ("მაერთებელი ნიშანი"), მ. დ. სტეპანოვა (Stepanowa 1973, 60-61) თავის შრომებში გამოიყენებს ტერმინს "Bindeelement" ("მაკავშირებელი ელემენტი").

თანამედროვე გერმანულ ენაში კომპოზიტების ორ მესამედზე მეტი გვხვდება მაერთებელი ელემენტის გარეშე (შდრ. Wellmann 1998, 494). დაახლოებით 30% კომპოზიტებისა გვხვდება მაერთებელი ელემენტით. სუბსტანტიურ პირველ კონსტიტუენტთან სხვადასხვა მაერთებელი ელემენტი გამოიყენება, ზმნურთან - მხოლოდ ელემენტი -e- (Barz 2009, 712), შდრ. Heirat-s-antrag, Trennung-s-schmerz, Autor-en-lesung; Bind-e-element, Wart-e-zimmer. ადიექტიურ და ფორმაუცვლელ პირველ კონსტიტუენტს მაერთებელი ელემენტი არ უკავშირდება (Fremdsprache) (იქვე).

ისტორიულად მაერთებელი ელემენტების დიდი ნაწილი ფლექსიური სუფიქსებიდან განვითარდა (Henzen 1965, 48 და შემდ.). მას შემდეგ, რაც ენობრივი განვითარების პროცესში ფლექსიური სუფიქსები დამოუკიდებელი ერთეულები გახდნენ, მათ დაკარგეს თავისი ეტიმოლოგიური, წმინდა გრამატიკული (მორფოსინტაქსური), ფუნქცია: გენიტივის, შესაბამისად მრავლობითის მარკირება (შდრ. Lohde 2006, 22; v. Polenz 1980, 172). მაგალითად, მაერთებელი ელემენტი -s- გვხვდება სუბსტანტიური პირველი კონსტიტუენტის შემდეგ გენიტივის მნიშვნელობით (შდრ. Bischof-s-sitz = der (Amts)Sitz des Bischofs); თუმცა იგი ზოგიერთი სიტყვის პირველ კომპონენტთან ასევე ცალსახად ჩნდება მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით, შდრ. Bischof-s-konferenz (= Konferenz von Bischöfen), Freunde-s-kreis (= Kreis von Freunden), შდრ. ასევე: Anwalt-s-kammer, Dreikönig-s-tag, Schiff-s-verkehr, Zwilling-s-paar (მაგალითები მოყვანილია წიგნიდან: Paul 1957, 13). გარდა ამისა, აღნიშნული ელემენტი გვხვდება მდებარეობითი სქესის სუბსტანტიური კომპონენტების შემდეგაც, ასეთი დაბოლოება კი, როგორც წესი, არსებითი სახელის ბრუნების პარადიგმაში არ გვაქვს (Stepanowa/Fleischer 1985, 113; Fleischer/Barz 2012, 187), შდრ. Arbeit-s-zeit, Liebe-s-brief, Liebe-s-paar, Universität-s-straße. ამასთან დაკავშირებით ჰ. პაული აღნიშნავს, რომ ასეთი -s- თანამედროვე გერმანულში მდებარეობითი სქესის კონსტიტუენტებთანაც გაჩნდა, თავდაპირველად ქვემოგერმანულში, შდრ.: Arbeit-s-lust, Himmelfahrt-s-tag, Geburt-s-tag, Geschicht-s-unterricht, Heirat-s-gut,

¹ ვ. ფლაიშერი არ გამოიყენებს ტერმინს "Fugenzeichen"-ს, გამომდინარე იქიდან, რომ "Zeichen" ("ნიშანი") გაიგება როგორც მნიშვნელობისმატარებელი ენობრივი ერთეული (Fleischer 1976, 12: სქოლიო).

Hochzeit-s-fest, Ankunft-s-halle, Auskunft-s-mittel, Liebe-s-kummer, Mitternacht-s-stunde, Eifersucht-s-drama, rücksicht-s-los, sehnsucht-s-voll (Paul 1957, 13, მაგალითები ავტორისაა).

კონფიქსური კომპოზიტები ან არ ჩაირთავენ მაერთებელ ელემენტს (Bioprodukt), ან გვხვდება -o- და იშვიათად -i- მაერთებელი ელემენტებით. პირველი ელემენტი ბერძნული წარმოშობისაა, მეორე კი - ლათინური. მაერთებელი ელემენტი -o- ძალიან გავრცელებულია და გვხვდება რთულ სიტყვებში, სადაც ორივე კომპონენტი კონფიქსია (Therm-o-meter), ასევე კონფიქსითა და გერმანული ფუძით (Therm-o-jacke, Elektr-o-gerät), ან უცხო ფუძითა და კონფიქსით (Film-o-thek) შედგენილ სიტყვებში, როგორც არსებით სახელებთან, ასევე ზედსართავებთან. ზედსართავ სახელებში ელემენტი გვხვდება უმეტესად კოპულატიურ კომპოზიტებში (angl-o-amerikanisch, morph-o-syntaktisch).

მ.დ. სტეპანოვა თვლის, რომ მაერთებელ ელემენტებს ვერ განვიხილავთ როგორც სიტყვათშეერთების ფუნქციონალურ ნიშანს, მათი არათანამიმდევრული გამოყენებისა და ამავე დროს ერთნაირი მნიშვნელობის პარალელური ფორმების არსებობის გამო, მაგ.: Berg-, Berges-gipfel, Schiff- და Schiffsbau და მისთ. (შდრ. Степанова / Фляйшер 1984, 94); იგი აკეთებს დასკვნას, რომ მაერთებელი ელემენტი თანამედროვე ენაში არ არის სრულფასოვანი მორფემა, არამედ არის მხოლოდ და მხოლოდ ორი კომპონენტის შემაერთებელი ფაკულტატიური ნიშანი, რომელიც გამოიყენება ნაწილობრივ ისტორიული ტრადიციიდან გამომდინარე, ნაწილობრივ კი - ფონეტიკური მიზეზებით (წარმოთქმის გაადვილების მიზნით), ისე რომ მათ ფაქტობრივად არა აქვთ რაიმე სემანტიკური დატვირთვა (Erholung-s-heim, Liebe-s-kummer და სხვ.) (Stepanova / Černyševa 1975, 101). სხვაგან გამოყოფს მაერთებელი ელემენტების ერთ ჯგუფს, რომელიც პირობითად შეიძლება განვიხილოთ მორფემებად (Tag-es-licht), სხვა შემთხვევებს კი მიიჩნევს "ცარიელ მორფებად" (იხ. Степанова / Хельниц 1978, 81-82).

უნდა აღინიშნოს, რომ რთული სიტყვის პირველი კომპონენტი შესაძლებელია შეგვხვდეს განსხვავებული ვარიანტების სახით, შდრ.: Eiweiß – Ei-er-becher – Ei-er-schale; Kind-er-arzt – Kind-er-wagen – Kindbett – Kind-s-kopf (Fuhrhop 1996, 528). სტრუქტურებში მაერთებელი ელემენტების ჩასმა თვითნებურად არ ხდება, არამედ მათი ხმარება გარკვეულ პირობებს ექვემდებარება. მაერთებელი ელემენტი და მისი ვარიაცია მთლიანად დამოკიდებულია რთული სიტყვის პირველი წევრზე, მსაზღვრელ სიტყვაზე. ამასთან რელევანტურია სიტყვის პირველი წევრის შემდეგი თავისებურებები:

- 1) მეტყველების ნაწილის სახეობა; მაერთებელი ელემენტი გვხვდება თითქმის გამონაკლისების გარდა სუბსტანტიური ან ზმნური პირველი კომპონენტის შემდეგ;
- 2) ფლექსიური კლასი (გენტივისა და მრავლობითი რიცხვის მარკირება);
- 3) ბგერითი სტრუქტურა (მარცვლების რაოდენობა, ბოლოკიდური ბგერა, სუფიქსის სახეობა);
- 4) სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა (სიმპლექსი, ე.ი. მარტივი სიტყვა, კომპოზიცია/ თხზვა, დერივაცია);
- 5) რეგიონალური თავისებურებები გერმანულენოვან სივრცეში (იხ. Lohde 2006, 22-23).

კომპლექსური სიტყვის პირველი წევრის მორფოლოგიურ თავისებებსა და მაერთებელ ელემენტს შორის არსებული მიმართებების გათვალისწინებით განასხვავებენ პარადიგმულ და არაპარადიგმულ მაერთებელ ელემენტებს (Fuhrhop 1996, 528).

პარადიგმული მაერთებელი ელემენტები ფორმალურად სიტყვის პირველი წევრის ფლექსიურ დაბოლოებას ემთხვევა, მაგრამ გრამატიკულ მნიშვნელობას არ გამოხატავს. ასეთებია: -e-, -(e)n-, -(e)s-, -ens-, -er- (Barz 2009, 713), კომპოზიტებში: Tag-es-licht (Licht des Tages), Tag-es-lohn, Meer-es-spiegel, Land-es-grenze, Gäns-e-haut, Kind-er-wagen. პარადიგმული მაერთებელი ელემენტები -en და -n გვხვდება სუსტი ბრუნების მამრობითი სქესის სახელებთან (Held-en-tat, Löwe-n-anteil, Affe-n-käfig), მდედრობითი სქესის სახელებთან (Frau-en-kleid), ასევე მამრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან, რომლებიც მხოლობითი რიცხვის გენტივს -s/-es და მრავლობით რიცხვის ფორმას -en სუფიქსებით აწარმოებენ (Professor-en-titel, Motor-en-öl, Autor-en-kollektiv).

პარადიგმული მაერთებელი ელემენტი -s-, რომელიც მამრობითი და საშუალო სქესის გენტივის ფლექსიას ემთხვევა, სისტემატიურად გვხვდება -ling და -tum სუფიქსებით შედგენილი პირველი წევრის შემდეგ (Frühling-s-lied, Flüchtling-s-politik, Altertum-s-forschung), მაგრამ არსებითი სახელები, რომლებიც მრავლობით რიცხვს -s სუფიქსით აწარმოებენ, არასოდეს დაირთავენ -s- მაკავშირებელ ელემენტს (შდრ. Autohaus, Fotoalbum).

არაპარადიგმული მაერთებელი ელემენტები ისეთი ერთეულებია, რომლებიც არ შეესაბამება კომპოზიტის პირველი კომპონენტის ფლექსიურ პარადიგმას, მაგ., Schwan-en-hals = Hals des Schwanes, Geburt-s-stunde = Stunde der Geburt (Fleischer/Barz 2012, 187); სხვა მაგალითები: Hochzeit-s-torte, Liebe-s-kummer, Erholung-s-heim, Heirat-s-anzeige და სხვ.

არაპარადიგმული მაერთებელი ელემენტი -s- დაირთეს ასევე -heit/ -keit/-igkeit, -schaft, -ung, -ion, -ität სუფიქსებით ნაწარმოებმა მდედრობითი სქესის პირველმა კონსტიტუენტებმა. ელემენტი გვხვდება ასევე

მრავალმარცვლიან მდედრობითი სქესის არსებით სახელებთან -t ბოლოკიდურით, შდრ., Kindheit-s-erinnerungen, Gelegenheit-s-job, Kindheit-s-traum, Fruchtbarkeit-s-göttin, Tätigkeit-s-feld, Wissenschaft-s-zweig, Prüfung-s-thema, Versicherung-s-vertreter, Universität-s-straße.

დღეს სინქრონიულ დონეზე არაპარადიგმულია ისტორიულად პარადიგმული -en მართებული ელემენტი, მაგალითად, სიტყვებში: Mond-en-schein, Hahn-en-schrei, Schwan-en-hals. საქმე ისაა, რომ აღნიშნული არსებითი სახელები ადრე იბრუნებოდნენ სუსტი ბრუნების მიხედვით (შდრ. სამ.ზგ. der han, des hanen), თანამედროვე გერმანულში კი ისინი ძლიერ ბრუნებას ეკუთვნის (შდრ. der Hahn, des Hahnes) (Barz 2009, 714, მაგალითები ავტორისა).

ზმნური პირველი კომპონენტების შემდეგ მართებული ელემენტი უფრო იშვიათად გვხვდება ვიდრე სუბსტანტიურთან. კონსტიტუენტების დასაკავშირებლად გამოიყენება მართებული ელემენტი -e-, რომელიც უმეტესად გვხვდება მქდერ -b, -d, -g, -ng, ასევე ყრუ -s, -t თანხმოვნებზე დამთავრებულ ზმნურ ფუძეებთან (Lohde 2006, 26), შდრ. Bind-e-element, Bad-e-salz, Zeig-e-finger, Sterb-e-stunde, Nag-e-tier, Wart-e-zimmer. დონალიზი არ განიხილავს ზმნური პირველი წევრის შემდეგ -e- ელემენტს როგორც მართებელ ელემენტს, როგორც, მაგალითად: Haltestelle, Liegestuhl, Lös-e-geld, bademüde. მას მიაჩნია, რომ აღნიშნულ თანხმოვნებზე დასრულებულ ზმნურ ფუძეებთან კანონზომიერი -e- ელემენტის არსებობა უფრო ფუძის ვარიანტებით უნდა აიხსნას და არა ნამდვილი მართებული ელემენტით (Donalies 2005, 48).

ძირითადად მართებელ ელემენტებს აქვთ მორფოლოგიური დანაწევრების ფუნქცია (morphologische Gliederungsfunktion). ასეთი ელემენტები „ახდენენ საზღვრის მარკირებას“ პირველ და მეორე კონსტიტუენტს შორის (Wellmann 1998, 494). თუ პირველი უშუალო შემადგენელი / კონსტიტუენტი კომპლექსური სიტყვაა, მაკავშირებელი ელემენტი გამოყოფს ძირითადი შეერთების ადგილს (შდრ. Werkzeug – Handwerk-s-zeug), შესაბამისად აადვილებს კომპლექსური სიტყვის რეცეფციის პროცესს (Fleischer/Barz 2012, 67). წარმოთქმის გაადვილების, შესაბამისად კეთილხმოვნების მიღწევის (ეგფონურობის, ბერძნ. Euphonie – 'კეთილხმოვნება') მიზნით ხდება კომპოზიტებში კონსტიტუენტებს შორის მაკავშირებელი ელემენტის ჩართვა (Geburt-s-tag), თუმცა არა ყოველთვის (Nachtisch). კომპოზიტებში მართებელ ელემენტებს აქვთ ასევე "პირველი წევრის რითმული ოპტიმირების" („rhythmische Optimierung des Erstglieds“) ფუნქცია (Nübling/Szczepaniak, წიგნში: Fleischer/Barz 2012, 189).

თუმცა მართებელ ელემენტებს არა აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ მათი ხმარება ზოგჯერ სემანტიკურ დიფერენციაციაციას ემსახურება, უმეტესად პოლისემიურ პირველ კონსტიტუენტებთან, მაგ., Stabhochsprung – Stab-s-arzt (Fleischer/Barz 2012, იქვე). არის შემთხვევები, როდესაც პარალელურ, ასევე ცალკეულ ფორმებში ასეთი ელემენტი სიტყვას აძლევს გარკვეულ მნიშვნელობას და ამით მიუთითებს სემანტიკურ განსხვავებაზე (დისტინქტიური ფუნქცია), მაგალითად, Storchschnabel ("სახაზავი ხელსაწყო") – Storch-en-schnabel ("ყარყატის ნისკარტი") (მაგალითები მოყვანილია წიგნიდან: Lohde 2006, 22); შდრ. ასევე: Sonn-en-tag ("მზიანი დღე") - Sonn-tag ("კვირა"), Sonn-en-licht ("მზის სინათლე") და მისთ., ან სიტყვას სძენს სხვა სტილისტურ ელფერს (სტილისტური დიფერენციაციის ფუნქცია), შდრ.: Waldrand (ნეიტრალური, ე.ი. ნორმალურ-ენობრივი სტილი) – Wald-es-rand (ამაღლებული სტილი); შდრ. სხვა მაგალითები: Mondschein - Mond-en-schein, Mainacht - Mai(-en-)nacht და სხვ.). ენთიმენიერები ინტერფიქსების საპირისპიროდ განიხილავენ ინფიქსებს (სიტყვაწარმოებითი მორფემები), რომლებიც როგორც პრეფიქსები და სუფიქსები სემანტიკურად რელევანტურია (იხ. Fleischer / Barz 2007, 33).

მართებული ელემენტების ხმარებაში სხვაობა შესაძლებელია შეგვხვდეს ეროვნულ, რეგიონალურ ვარიანტებში, ან დარგობრივ ენაში, შდრ.: Adventkalender (ავსტრ.) vs. Advent-s-kalender, Adventkranz (ავსტრ.) vs. Advent-s-kranz, Adventsonntag (ავსტრ.) vs. Advent-s-sonntag, Advent-s-lied (DUW 2001, 105), Beileid-s-karte (შვეიც.); Abfahrt-s-gleis (დარგობრ.) vs. Abfahrtgleis, Abfahrt-s-zeit (დარგობრ.) vs. Abfahrtzeit (იქვე, 78).

არის სხვა შემთხვევებიც: ეტიმოლოგიური კვლევით დგინდება, რომ ელემენტებს: "mord" (der Mord) და "mords-" (სიტყვებში: Mordgeschichte – Mordsgeschichte, იხ. ეტიმონები) არაფერი აქვთ საერთო და ელემენტი "s", რომელსაც ზოგჯერ მიიჩნევენ მართებელ ელემენტად, ისტორიულად მიეკუთვნება რთული სიტყვის პირველი კონსტიტუენტის ფუძეს და უკავშირდება ბოშურ "murs"-ს მნიშვნელობით - "besonders starker, eindrucksvoller, männlicher Kerl" (Karbelaschwili 1998: 88-9). კომპონენტი "mords-" გამოიყენება როგორც გაძლიერება (Kluge, 631). თვითონ Mordskerl კი ტავტოლოგიური წარმონაქმნია (განმარტებითი რთული სიტყვა) (G. A. Wolf წიგნში: Карбелашвили 1987, 32-33).

სიტყვებში Nachtigall, Bräutigam ელემენტები -igall და -igam დღეს გერმანულ ენაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ფსევდომორფემებია. ეტიმოლოგიურად კი აღნიშნული ერთეულები კონსტრუქციებია, შდრ. სამ. ზგ. *nahtegal(e)* 'ბულბული, დამის მომდერალი' (Lexer 1992, 148), ძვ. ზგ. *nah(a)gala*, ძვ. საქს. *nahtagala, nahtigala* (Kluge 2002, 643)¹, მეორე უშუალო შემადგენელი უკავშირდება დასავლეთგერმანიკულ

¹ სამ. ზგ. – საშუალო ზემოგერმანული; ძვ. ზგ. – ძველი ზემოგერმანული; ძვ. საქს. – ძველი საქსონური

სიტყვას *galōn* 'მომღერალი', რომელიც ნაწარმოებია გერმანიკული ზმნით *galan* 'მღერა (მღერის)' (Duden 2007, 549); სიტყვის *Bräutigam* 'საქმრო, სასიძო, ახალდაქორწინებული' (საშ. ზგ. *briutego(u)me*, ძვ. ზგ. *brūtigomo*, ძვ. საქს. *brūdigumo*) მეორე უმუშალო შემადგენელი შეესაბამება ძვ. ზგ. *gomo* 'კაცი' (Kluge, 147). დიაქრონიული ანალიზით *i* ელემენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც მაერთებელი ელემენტი, მაგრამ სინქრონიულ დონეზე მას ვერ გამოვაწვევებთ.

გარდა ამისა, გერმანულ ენაში გვხვდება ე.წ. "არაორგანული t" ("anorganisches t", ასევე: "Übergangslaut") (იხ. Henzen 1965, 204], "Gleit -t-" (Степанова/Хельниг 1978, 82-83). მას ნაშრომში წარმოვადგენთ როგორც "ჩართულ -t"-ს¹. "ჩართული -t-" ("Gleit -t-") გერმანისტიკაში განიხილება როგორც წმინდა ფონეტიკური მოვლენა, რომელიც უმეტესად ჩნდება სუფიქსურ სიტყვებში -en -სა და -e -ზე დაბოლოებულ ფუძეებთან, მაგალითად, სიტყვებში: *wesentlich, eigentlich, meinet-, seinet-, ihretwegen* (Степанова / Хельниг, იქვე). მ. დ. სტეპანოვას მიაჩნია, რომ -lich და -tlich შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მორფემის ალომორფები, რომლებიც დამატებით ფონეტიკურ დისტრიბუციაში გვხვდება; ამ შემთხვევებში "t" ბგერა აადვილებს გადასვლას n -დან l -ზე (Stepanova / Černyševa 1975, 101).

ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის სიტყვებში "t"-ს გაჩენა მხოლოდ ფონეტიკური მიზეზებიდან არ უნდა მოდიოდეს. მაგალითად, სიტყვებში: *meinethalben, -willen, -wegen* "t-" ჩნდება მხოლოდ საშ. ზგ. პერიოდში (შდრ., საშ. ზგ. *minent-halben, -halb*), რადგან არც მის პარალელურ ფორმებში (შდრ. საშ. ზგ. *min-halben, -halp* - Lexer 1992, 140) და არც უფრო ძველ ფორმებში (ძვ. ზგ. *mīnhalb – Schützeichel* 1995, 213) არ გვაქვს ეს ელემენტი (შდრ., ასევე ძვ. ზგ. ფორმა *irohalb 'ihretwegen'* (იქვე, 176). სიტყვაში *eigentlich* "ჩართული -t-" საშ. ზგ. დროის ფორმებში ჯერ კიდევ არ არის (შდრ. საშ. ზგ. ზედსართავი *eigenlich 'lieb]eigen'*, ზმნიზება *eigenliche 'ausdrücklich, bestimmt'* (Duden 2007, 172; Lexer: 36), ასევე სიტყვაში *wöchentlich* "t-" ჩნდება მხოლოდ ადრეულ ახალ გერმანულ ფორმებში (შდრ. საშ. ზგ. *wochenlich* - Duden 2007, 932). პრეფიქსული ზმნა *vermeinen* -ის "შეცდომით მიჩნევა" '[irrtümlich]glauben' შესაბამისი საშ. ზგ. ფორმიდან *vermeinen* მე-16 საუკუნეში აწარმოეს სიტყვა *vermeintlich* (Duden, 893, 519). "ჩართული -t-" გვხვდება შემდეგ ფორმებშიც: *dessentwillen, -halben, -wegen*, მაგრამ არ არის სიტყვაში - *dessenungeachtet*.

ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, სიტყვაში *Sintflut* (შდრ., საშ. ზგ. *sin(t)vluot*, ძვ. ზგ. *sin(t)fluot* 'მსოფლიო წარღვნა; წყლის ადიდება, წყალდიდობა') ისტორიულად გვაქვს "ჩართული -t-" ("Gleitlaut -t-"). სიტყვა შედგენილია საერთოგერმანიკული ელემენტით, რასაც შეესატყვისება საშ. ზგ. *sin[e]-*, ძვ. ზგ. *sin[a]-*, გუთ. *sin-*, ძვ. ინგლ. *sin[e]*, ძვ. ისლ.² *sī-* მნიშვნელობით - 'გამუდმებით, მუდამ, ყოველთვის, ძლიერად' (იხ. Kluge 1989, 674; Duden 2007, 771; Naumann 1972, 3-4). აღნიშნული ავტორები t ელემენტს არ მიაკუთვნებენ სიტყვის პირველ წევრს. სხვა მკვლევრებს (M. Lexer, R. Schützeichel) მიაჩნიათ, რომ საშ. ზგ. *sint-(sin-)vluot, -(sin-)vlüeten* ფორმებში სიტყვის პირველი კონსტიტუენტი არის საშ. ზგ. *sint* (ან მისი შეცვლილი ფორმა *sin* 'მომრაობა, მიმართულება, მხარე'; შდრ., *meres sint* 'ზღვის ტალღები, ზღვის მოქცევა' (Lexer, 1992, 195). ე.ი. t ამ შემთხვევაში, მ. ლექსერის მიხედვით, არ არის ჩართული, ის ფუძის ნაწილია. მოვიყვანთ ასევე *Singrün* -ის ძველ ფორმებს, შდრ.: საშ. ზგ. *singrüene*, გვ. ძვ. ზგ. *sin(t)gruoni*, საშ. ნიდერ. *sindegroen*³ (Kluge 1989, 673). განსახილველი სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ჩვენ წარმოვადგინეთ სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრება. ჩვენ ვთვლით, რომ ელემენტი t ისტორიულად არ უნდა ეკუთვნოდეს სიტყვის პირველ კომპონენტს, ეტიმოლოგიური ანალიზით ის არის სიტყვის ისტორიულ კომპონენტებს შორის ჩართული ელემენტი. კომპლექსურ სიტყვაში სინქრონიულ დონეზე *flut* ('წყალდიდობა') სრულფასოვანი თავისუფალი მორფემის მოცილებით გამოწვევრდება პირველი კონსტიტუენტი - ელემენტი *sint-*, რომელიც დღეს სემანტიკურად გაუმჭვირვალე ფსევდომორფემაა. შესაბამისად სინქრონიულ დონეზე სიტყვაში ე.წ. "ჩართული -t-" ვეღარ გამოწვევრდება, რაც დიაქრონიული ანალიზით არის შესაძლებელი.

დასკვნისათვის ვიტყვით, რომ სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტებთან ე.წ. ფსევდომორფემებთან სინქრონიულ დონეზე მაერთებელი ელემენტი ვერ გამოწვევრდება. ეს შესაძლებელია მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით.

ამდენად, მაერთებელი ელემენტები ისტორიულად გრამატიკული მორფემებია. თანამედროვე გერმანულ ენაში სინქრონიული ანალიზით მათ ვერ განვიხილავთ როგორც მორფემებს, არამედ განვიხილავთ როგორც მნიშვნელობის არმქონე ფონემურ სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც სიტყვაწარმოებით სტრუქტურებში კონსტიტუენტებს ერთმანეთთან აკავშირებენ. შესაბამისად გარკვეული

¹ "ჩართული -t-" - როგორც სამუშაო ტერმინი - ლ. მ. (იხ. მახვილაძე 2001, 21-22).

² გუთ. - გუთური; ძვ. ინგლ. - ძველი ინგლისური; ძვ. ისლ. - ძველი ისლანდიური

³ გვ.ძვ. ზგ. - გვიანდელი ძველი ზემოგერმანული; საშ. ნიდერ. - საშუალო ნიდერლანდური.

სემანტიკური ან სტილისტური დატვირთვის შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ როგორც ინფიქსის მოვლენა. ამ შემთხვევაში, ფიქრობთ, შეიძლება ვილაპარაკოთ ომონიმიაზე.

რაც შეეხება “ჩართული -t“-ს „Gleit“-t- (wesentlich, meinetwegen), იგი უმეტეს შემთხვევებში გაჩენილია წმინდა ფონეტიკური მიზეზით. მაგრამ, მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული ისიც, რომ ამ ელემენტს შესაძლოა ისტორიულად სემანტიკური დატვირთვაც ჰქონოდა, ე.ი. ყოფილიყო მორფოლოგიური ელემენტი. ასეთ სიტყვებში -t- დაფიქსირებულია თავდაპირველი ფორმებიდანვე. ისეთ შემთხვევებში კი, სადაც “ჩართული -t-“ შეინიშნება მხოლოდ სიტყვის ადრეულ ახალ ფორმებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელემენტი გაჩნდა სხვა სიტყვების ანალოგიით. ამიტომ, ჩვენი აზრით, “ჩართული -t-“ შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიულად ფონეტიკურ-მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც გაჩენილია სხვადასხვა მიზეზით და რომელსაც თანამედროვე გერმანულ ენაში არა აქვს სემანტიკური დატვირთვა. ამასთან, მიგვაჩნია, რომ “ჩართული -t“-ს საკითხი შემდგომი კვლევის საგანია.

ლიტერატურა:

1. Barz, I. (2009): Die Wortbildung. In: Duden (Hrsg.), *Duden. Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch*. 8., überarb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim et al. S. 634-762.
2. Barz, I. et al. (2007): *Wortbildung praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch*. 4., überarb. Aufl. Peter Lang: Frankfurt a.M. et al.
3. *Deutsche Wortbildung. Typen und Tendenzen in der Gegenwartssprache*. (1973, 1975). Düsseldorf
Erster Hauptteil: Wellmann, H./Kühnhold, I. (1973): Das Verb.
Zweiter Hauptteil: Wellmann, H. (1975): Das Substantiv.
4. Donalies, E. (2005): *Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick*. Zweite, überarb. Aufl., Gunter Narr: Tübingen.
5. Duden (2007): *Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache* (4., neu bearb. Aufl.). Bd.7. Dudenverlag: Mannheim et al.
6. DUW = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*, 4. neu bearb. u. erw. Aufl., Mannheim, et al.
7. Erben, J. (2006): *Einführung in die deutsche Wortbildungslehre*. 5., durchges. u. erg. Aufl. Erich Schmidt: Berlin.
8. Fleischer W. (1976): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4., durchgesehene Aufl. Leipzig.
9. Fleischer, W. / Barz, I. (2007): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. Unter Mitarbeit von M. Schröder. 3., unveränd. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
10. Fleischer, W. / Barz, I. (2012): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4. Aufl.; völlig neu bearb. von Irmhild Barz unter Mitarbeit von M. Schröder. Berlin: De Gruyter.
11. Fuhrhop, N. (1996): Fugenelemente. In: *Deutsch-typologisch*. S. 525-550.
12. Henzen, W. (1965): *Deutsche Wortbildung* (3., durchges. u. erg. Aufl.). Max Niemeyer: Tübingen.
13. Карбелашвили, С.О. (1987): *Категории augmentативности и диминутивности в современном немецком языке. Словообразовательный аспект*. Тбилиси.
14. Kluge Fr. (1989): *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache*. 22. Aufl. unter Mithilfe von M.Bürgisser u. B.Gregor völlig neu bearb. von E.Seebold. Berlin, New York.
15. Lexer, M. (1992): *Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch*. Mit den Nachträgen von Ulrich Pretzel. 38., unveränd. Aufl. Hirzel: Stuttgart.
16. Lohde, M. (2006): *Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch*. Tübingen: Gunter Narr.
17. მახვილაძე, ლ. (2001): *სემანტიკურად გაზუნდოვნებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში*. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
18. Naumann B. (1972): *Wortbildung in der deutschen Gegenwartssprache*. Germanistische Arbeitshefte Tübingen.
19. Naumann B. (2000): *Einführung in die Wortbildungslehre des Deutschen*. 3. neubearb. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
20. Paul, H. (1957): *Deutsche Grammatik*. Bd.5 (Wortbildungslehre). 3. Aufl. Max Niemeyer: Halle (Saale).
21. Polenz, P. von (1980): Wortbildung. In: Althaus, H. P./Henne, H./Wiegand, H. E. (Hg.), *Lexikon der Germanistischen Linguistik*. 2., vollst. neu bearb. u. erw. Aufl., Tübingen: Max Niemeyer Verlag, S. 169-180.
22. Schützeichel, R. (1995): *Althochdeutsches Wörterbuch*. 5., überarb. und erw. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
23. Stepanowa, M.D. / Fleischer, W. (1985): *Grundzüge der deutschen Wortbildung*. Bibliographisches Institut: Leipzig.
24. Stepanova M.D. / Černyševa I.I. (1975): *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. Moskau. Stepanova M.D./Fleischer W. (1985): Grundzüge der deutschen Wortbildung. 1. Auflage. Leipzig.
25. Степанова М.Д. / Хельбиг Г. (1978): *Части речи и проблема валентности в современном немецком языке*. Москва.
26. Wellmann, H. (1998): Die Wortbildung. In: Duden (Hrsg.), *Duden. Grammatik. der deutschen Gegenwartssprache*. 6., neu bearb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim et al. 408-557.

Lela Makhviladze
Gori State Teaching University
LINKING ELEMENTS IN GERMAN COMPOSITES AND DERIVATIVES
RESUME

In the presented work the so called “linking elements” (“Fugenelemente”) are discussed. It means the semantically empty segments, which occur between the constituents of the composites and suffix derivatives, such elements as: *-e-*, *-(e)s-*, *-(e)n-*, *-ens-*, *-er-*, *-o-*, *-i-*, for example in words: *Gäns-e-blume*, *Arbeit-s-zeit*, *Alte-n-heim*, *Katze-n-sprung*, *Herz-ens-lust*, *Ei-er-schale*, *Zeig-e-finger*, *ahnung-s-los*, *angl-o-amerikanisch*. In the work the morphological status, types, functions of such elements are discussed. The linking elements were mainly developed from the inflexional suffixes historically. In the modern German language they are structural phonematic elements without semantic. If they have certain stylistic or semantic features, we treat them as infixes. The linking elements on synchronical level cannot be separated from the semantically non-transparent pseudomorpheme.

In the work the so called “inorganic -t-“ („anorganisches -t-“, also: „Übergangslaut“, „Gleit“-t- in words: *wesen-t-lich*, *eigen-t-lich*, *meine-t-wegen*) is discussed. The element is presented as an “inserted -t-“ (das „eingeschobene -t-“), as we have named.

Linguistic phenomenon is presented and discussed on the bases of the analyzing materials on synchronical and diachronical level.

მაია მელანაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**„ლასარილიო ტორმესელის ცხოვრება“ - პიკარესკული ჟანრის
რენესანსული არქეტიპი**

„ლასარილიო ტორმესელის ცხოვრების“ პირველი გამოცემები თარიღდება 1554 წლით, თუმცა ესპანური ლიტერატურის მკვლევართა აზრით, ნაწარმოების დაწერის ყველაზე უტყუარი თარიღი 1525-1526 წლებია. არსებობს ინფორმაცია მისი 1550 წლის გამოცემის შესახებაც. იმის მიუხედავად, რომ ამ ნაწარმოების შესახებ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, ავტორობის საკითხი ჯერაც დაუზუსტებელია; სხვადასხვა მკვლევრები მას მიაწერენ ხუან დე ორტეგას, დონ დიეგო ურტადო დე მენდოსას, ძმები ვალდესების წრის წარმომადგენელ ერანზიმოსს, ლოპე დე რუედას, სებასტიან დე ოროსკოს და სხვ. მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე დადგენილია „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრების“ სხვადასხვა ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროები; ასევე, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია რიგი მოტივების (მაგ., „მრავალი ბატონის მსახური“, „სახლი, სადაც არასოდეს სვამენ და არასოდეს ჭამენ“, „ბოლოვი შამფურზე ძეხვის ნაცვლად“ და სხვ.) ნასესხობა, თუმცა ყველა ეს მოტივი და თემატიკა სრულიად განსხვავებულად არის გადმოცემული მოკლე რომანში ლასარილიოს სახიფათო თავგადასავლების შესახებ და სხვა ელემენტებთან ერთობლიობაში ქმნის ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს.

ზოგადად, ანონიმი ავტორის რომანი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ირონიულ დაპირისპირებას იმდროინდელ ესპანეთში ძალზე პოპულარული რაინდული რომანების მშვენიერ, სენტიმენტალურ სამყაროსთან. ნაწარმოებში უამრავი ირონიული პარალელიზმი და ოპოზიციური თვალსაზრისია წარმოჩენილი; მათ შორის უპირველესია რაინდი გმირისა და პიკარესკული ანტიგმირის აღზრდის მოტივი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების პირველი ნიმუშებიდან მოყოლებული, რაინდული რომანი ორიენტირებული იყო მკითხველში რაინდული ცხოვრების სურვილის გაღვივებაზე; ამდენად, იგი ეთიკურ-სენტიმენტალურ სრულყოფაზე ორიენტირებულ ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენდა. მისგან განსხვავებით, წიგნი ლასარილიოს შესახებ არის მწარე, ირონიული ავტობიოგრაფია, „გაჭირვებასა და უბედურებაში“ ცხოვრების ხელოვნებისა და მისგან თავის დაღწევის სახელმძღვანელო. „ლასარილიო“ უპირისპირდება თავისი

დროის აბსტრაქტულ და წიგნიერ აღმზრდელობით ლიტერატურას, რომელშიც სრულიად იგნორირებულია გარემომცველი სინამდვილე.

სიუჟეტის თანახმად, მამისა და მამინაცვლის დაკარგვის შემდეგ, რომლებიც ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლას შეეწირნენ, ლასარო ბრმა კაცის მოწაფე გახდება. სწორედ მისგან იღებს პატარა ბიჭი პირველ ცხოვრებისეულ გაკვეთილებს. ბრმამ „მხედველობის გარეშე გაანათლა“ ლასარილიო, „სწორ გზაზე“ დააყენა იგი. მისი საგანმანათლებლო სისტემა ფიზიკურ დასჯას ანუ „ხელით აღზრდასა“ და ყოფით პრაქტიკას ეფუძნებოდა; „...ბრმა ადამიანის მსახური თვით ეშმაკზე უფრო გაქნილი უნდა იყოს!“ - შთააგონებს იგი თავის მოწაფეს. და მართლაც, პირველივე გამოცდა, რომელსაც ბრმა კაცი საცოდავ ლასარილიოს მოუწყო (ეპიზოდი „ქვის ცხოველთან, რომელიც ძალიან ჰგავს ხარს“), უმაღვე მიახვედრებს ბიჭს ერთ-ერთ ცხოვრებისეულ სიბრძნეს: „...მუდამ მზადყოფნაში უნდა ვიყო, არ ვიმცონარო, რადგან ობოლი ვარ და საკუთარი თავის დაცვა უნდა შემეძლოს“. ამ დღიდან ლასარო ცდილობს „დაიცვას საკუთარი თავი“. გასაოცარი სტოიციზმით ითვისებს ბიჭუნა ბრმა მასწავლებლის გაკვეთილებს (ღვინოსთან, ძეხვსა და თალგამთან, ყურძნის მტევანთან დაკავშირებული ეპიზოდები). ყოველ ჯერზე ლასარილიოს ფიზიკური ტკივილის ატანის ხარჯზე უწევს ცხოვრებისეული სიბრძნის ათვისება. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ლასარო არ აჯობებს საკუთარ დამრიგებელს მოხერხებულობაში და მისივე მეთოდით არ გადაუხდის სამაგიერო: დააყენებს ბრმას ქვის სვეტის მოპირდაპირედ, რომელზეც ეს უკანასკნელი თავს გაიხეთქავს. ცხოვრებისეული გაკვეთილების საწყისი კურსი ამით დასრულდება; ახლა ლასაროს შეუძლია საკუთარი თავის დაცვა და იგი მზად არის მორიგი „გაჭირვებისა და უბედურების“ გადასალახავად.

თუ „ამბავი პირველი“ გვასწავლის, რომ ცხოვრებაში აუცილებელია ეშმაკობა, მოხერხებულობა, თაღლითობა და უგრძობლობა, რომ მათ გარეშე ფონს ვერ გახვალ, რომ მხოლოდ მათი დახმარებით არის შესაძლებელი სხვისი ეშმაკობის, სისასტიკისა და თაღლითობის დამლევა, „ამბავი მეორე“ გადმოგვცემს ლასაროს მიერ თაღლითობის ხელოვნების დახვეწის შესახებ. ამ „ხელოვნების სკოლას“ იგი მაკედელი მღვდლის ხელმძღვანელობით გაივლის, რომელიც ბრმაზე უფრო ძუნწი აღმოჩნდება. სწორედ მის სახლში მსახურობისას დაიხვეწება ლასაროს თაღლითობის ხერხები. მაკედელი მღვდლის პერსონაჟის მეშვეობით ანონიმი ავტორი ხაზს უსვამს, რომ ბრმა არ არის გამონაკლისი ან განსაკუთრებული შემთხვევა; რომ წუწურაქობა და ეგოიზმი ზოგადადამიანური თვისებაა; იგი ყველას ახასიათებს და მაკედელი მღვდლის შემთხვევაში, ფარისევლობით არის დამძიმებული.

„ამბავი მესამე“ ეძღვნება ლასარილიოს მსახურებას დიდგვაროვანთან, რომელიც ალბათ, ყველაზე გროტესკული ფიგურაა რომანში. ახალი მეპატრონე ლასაროსთვის იმის თვალსაჩინო ნიმუშია, რომ ღირსება მხოლოდ ცარიელი სიტყვაა და მის დაცვასა და შენარჩუნებას, საბოლოო ჯამში, მათხოვრობასა და სხვა დამცირებებთან მივყავართ. დიდგვაროვანთან მსახურებისას ლასარო კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან რამეს შეიმეცნებს: იგი დარწმუნდება, რომ რეალური და მოჩვენებითი - ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავებული ცნებებია. ამ აღმოჩენის დადასტურებას იგი თვალნათლივ იხილავს, როდესაც პაპის სიგელების გამყიდველთან გადავა სამსახურში („ამბავი მეხუთე“). განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დიდგვაროვნის სასურველი მოჩვენებითობა - მტრულ რეალობას აწყდება, ხოლო სიგელების გამყიდველის სასურველი რეალობა - მტრულ მოჩვენებითობას.

ამგვარად, ლასარილიოს განათლება დასრულებულია: მას უკვე შეუძლია დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ყოველდღიურ ყოფით სირთულეებს; მისთვის მისაღებია საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით სიხარბის გამოვლენა; მას გაცნობიერებული აქვს ამავე მიზნით ტყუილის, სიცრუის გამოყენების აუცილებლობა. ლასარო მიხვდა, რომ პატივისა და მოვალეობის ცნებები ამაოა; საზოგადოებრივი მოსაზრებები - ილუზორულია. ლასარილიოს დამრიგებლური ავტობიოგრაფია სრულდება ძლიერთა მფარველობის სანაცვლოდ პირად ღირსებაზე უარის თქმით; საკუთარ ოცნებებში შექმნილი კომფორტული სამყაროს სანაცვლოდ ობიექტურ რეალობაზე უარის თქმით. სხვადასხვა დროს გამოითქვა მოსაზრებები, რომ „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრება“ სოციალური სატირაა, „შიშხილის პოემა“ და ა.შ. მაგ., ტომაშევსკი მეორე მოსაზრებას უარყოფს; მისი აზრით, რომანში *შიშხილი* მხოლოდ პირველად ინსტინქტურ გრძობას უკავშირდება, რომელიც ამოძრავებს გმირს სიღარიბიდან მატერიალური კეთილდღეობისკენ მიმავალ გზაზე. მკვლევრის აზრით, „ლასარილიო“ არის წიგნი, რომელიც გვასწავლის ფორტუნის/ზედისწერის დამარცხებას ეშმაკობისა და მოტყუების გზით, დასახული მიზნის მიღწევისას სხვა შენაირი გაუმადლარი და ყალთაბანდი კონკურენტების მოურიდებლად ჩამოშორების გზით [Томашевский, 1975:12].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმზრდელობით-დიდაქტიკური ხაზი ნაწარმოებში ირონიულ ხასიათს ატარებს. ლიტერატურული და პედაგოგიური ტრადიციების დეკლარაციულობასა და აბსტრაქტულობას ანონიმი ავტორი უპირისპირებს კონკრეტულ სინამდვილეს, რომელსაც იგი საკუთარ მიწა-წყალზე ადევნებს თვალს. ავტორი მწვავე ირონიით რეაგირებს ამ რეალობაზე; უფრო დაზუსტებით

რომ ვთქვათ, გარემომცველი სინამდვილე, რომელსაც ის ასახავს, ყველა იმ მრავალრიცხოვანი ლასარილიობების რეალობაა, რომლებიც სხვადასხვა სახით/იერით მოქმედებენ იმდროინდელ ესპანურ საზოგადოებას. ლასარო-ნარატორი თავის „ცხოვრებას“ წარმოადგენს როგორც სანიმუშოს, სხვებისთვის ჭკუის სასწავლებელ მოდელს; ამავდროულად, ანონიმი ავტორი დასცინის თავის გმირს, ააშკარავებს მის უზნეობას, თუმცა ამას ყოველგვარი კომენტარებისა და დიდაქტიკური განსჯის გარეშე ახერხებს. ავტორის ირონია აშკარად გამოსჭვივის იმ ეპიზოდებში, რომლებშიც გმირი თვითკმაყოფილებით გვიყვება საკუთარ წარმატებულ ცხოვრებასა და საქმიანობაზე; გვიზიარებს თაღლითურ სქემებს, რომელთა დახმარებით გულუბრყვილო ადამიანებს ატყუებდა; თავს იწონებს საკუთარი პრაქტიციზმით და უშურველად გასცემს თაღლითურ რეკომენდაციებს ესპანური საზოგადოების იმ წევრებზეც, რომლებსაც საბედნიეროდ, ჯერ არ დაუკარგავთ ზნეობრივი სახე, შეუწარმუნებიათ მორალური პოსტულატები.

სამყარო, რომელსაც ლასარო ასახავს, საკმაოდ სასტიკია. მთავარი გმირი ამას აცნობიერებს და ამიტომაც მისი თანაგრძნობა მეტწილად მიემართება საკუთარ მოხერხებულობას და გარკვეულწილად - მათ, ვინც მასზე უფრო ღარიბია და არ გააჩნია სხვების ხარჯზე რაიმე სარგებლის ნახვის უნარი. ლასარომ ბავშვობიდანვე უპირობოდ მიიღო ეს სამყარო; იგი თავად არის ამ სამყაროს ნაწილი და არ განსჯის მას, ხოლო თუ განსჯის - მხოლოდ „საკუთარი მუცლის“ გადმოსახედიდან. სხვა არავითარი მორალური ან სოციალური ხასიათის განსჯანი ლასარილი არ ახასიათებს. ბრმასთან გატარებული პირველი ცხოვრებისეული სკოლის გავლისას ლასარომ სრულად გააცნობიერა თავისი მარტოსულობა. იგი არ ელის გარემომცველი საზოგადოებისგან რაიმე სახის სოლიდარობის გამოვლენას; მისთვის სამყარო მოკლებულია ყოველგვარ ხიბლს და შესაბამისად, იმედგაცრუებასაც. მიუხედავად ტანჯვა-წვალებისა, უბედურებისა და გადატანილი დამცირებისა, ლასარო ოპტიმისტია; მას საკუთარი ძალებისა და მოხერხებულობისა სჯერა. მტრულად განწყობილ ბედისწერასთან დაპირისპირებისას, ის მუდმივად ხვეწს თავის მთავარ იარაღს - მოხერხებულობას. ოპტიმიზმი და ბურლესკური იუმორი, რომლის თანხლებით ლასარო მიღწეული წარმატებების გადმოსახედიდან იხსენებს წარსულში ჩადენილ საკუთარ თაღლითობებს, არ ეწინააღმდეგება გარემომცველ პირქუშ რეალობას. ლასაროს იუმორი სწორედ ამ პირქუშ გარემოს ნაყოფია.

ანონიმი ავტორი დისტანცირებულია თავისი ქმნილებისგან (და შესაბამისად, ლასარო-ნარატორისგან). ავტორი არ იზიარებს ლასაროს შეუნიღბავ ამორალურობას, მის ყოფით ოპტიმიზმს, თუმცა, არ ერევა თხრობის მიმდინარეობაში. ცხადია იგი აცნობიერებს ეგოიზმით, თვალთმაქცობით, კორუფციით, მორალური გარყვნილებითა და უპასუხისმგებლობით გაყდენილი საზოგადოების სავალალო მდგომარეობას, თუმცა ურჩევნია თავისი დამოკიდებულება დისტანცირებულად, მოშორებით მდგომმა გამოხატოს - ირონიულად მოწოდებული ფაქტებისა და აპოლოგეტური ავტორისეული ტონის მეშვეობით. ეს ხერხი ძალიან საინტერესო გამოდგა და მოგვიანებით იგი არა ერთმა მწერალმა გამოიყენა თავის შემოქმედებაში.

საყურადღებოა კიდევ ერთი რამ; ლასარო თავის ცხოვრებისეულ კონცეფციას აგებს ერთ, გარკვეულწილად, გაუგებრობაზე: მას ცხოვრებისეული სინამდვილე დაანახა იმ ადამიანმა, რომელიც თავად მისი ძალზე საეჭვოდ მცოდნე იყო - სიმარტოვეში და ეჭვებში იძულებით მყოფმა ბრმა ადამიანმა. ასე რომ, ლასარო გაანათლა იმან, ვისაც სინათლე თვალთ არ უნახავს; მან სინამდვილე, გარემომცველი რეალობა შეიმეცნა ბრმა ადამიანის თვალთ. ფიზიკური სიბრმავე, ამ შემთხვევაში, უტოლდება სულიერ სიბრმავეს. ბრმის ცხოვრებისეულ წარმოდგენაში არსებობს მხოლოდ მოხერხებულობა, თვალთმაქცობა, მანიაკალური სიეშმაკე, სარკაზმი. ეს ყველაფერი ლასარომ ზედმიწევნითი სიზუსტით აითვისა და მისმა შემდგომმა სახიფათო თავგადასავლებმა გააძლიერეს რეალობის ეს საწყისი მისტიფიკაცია. დატაკ იდალგოსთან სამსახურში ყოფნისას ლასარო ორი რეალობის წინაშე აღმოჩნდა: ერთს მისი პატრონი წარმოადგენდა, რომელიც აღსავსე იყო ღირსებისა და თავმოყვარეობის ისეთი გრძნობით, რომ გარშემომყოფნი მას მდიდარ ადამიანად მიიჩნევდნენ; მეორე რეალობასაც იგივე პატრონი წარმოადგენს, ოღონდ ამჯერად მშვიერი და ღარიბი. ასე რომ, ერთ შემთხვევაში მოჩვენებითი - გარეგნობაა, ხოლო მეორეში - რეალობა.

კვლავ ორი რეალობის წინაშე აღმოჩნდა ლასარო პაპის სიგელების გამყიდველთან სამსახურში ყოფნისას: ერთი მხრივ - მტრობა გამყიდველსა და ალგვასილს შორის, ამ უკანასკნელის მიერ პაპის სიგელების გამყიდველის მხილება, ღვთის რისხვა, სასჯელი და პაპის - ბულას მეშვეობით მოვლენილი სასწაული; მეორე მხრივ - ამ ორი თაღლითის შეთქმულება, გულუბრყვილო მრევლის მოტყუება. ამ შემთხვევაშიც ერთია - მოჩვენებითობა და სულ სხვაა - რეალობა. მაგრამ პირველი (მოჩვენებითი) უცოდინარი მრევლისთვის რეალობას წარმოადგენს, რომელსაც თავიდან სჯეროდა ალგვასილის მხილებებისა, ხოლო მოგვიანებით კი - ასევე იოლად ირწმუნა პაპის - ბულას სასწაულებრივი ძალა. ავტორი თანმიმდევრულად გვიჩვენებს, რომ ალგვასილის მხილებები არსობრივად მართებულია, მაგრამ

იმთავითვე ცრუ მიზნების მქონე. ალგვასილი სიმართლეს მხოლოდ სხვების მოტყუების მიზნით ამბობს. ეს ეპიზოდები გამსჭვალულია იდეით, რომელსაც სერვანტესმა „engano a los ojos“ („მხედველობის მოტყუება“) უწოდა; იგი ტიპური იყო რენესანსის ეპოქისთვის და მის თანახმად, ერთია, თუ რა ხდება სინამდვილეში და სულ სხვაა - ის, რაც გვეჩვენება; ამიტომაც, ადამიანი ხშირად ხდება „მხედველობის მოტყუების“ მსხვერპლი.

ლასარომ მშვენივრად შეიმეცნა გაყალბებული რეალობა; მიხვდა, რომ სიმართლე შეიძლება მარტივი მისტიფიკაცია იყოს, ღირსება კი - ცარიელი მოჩვენებითობა, ხოლო სიღარიბე და შიმშილი - ერთადერთი უეჭველი რეალობაა. იგი მიხვდა, რომ ხალხის სალაპარაკო თემა მეტწილად უაზრობაა და რეალობასთან არანაირ კავშირში არ არის. ამიტომაც ლასარო დარწმუნებულია, რომ ბედნიერება მატერიალურ კეთილდღეობაშია - ამ უდავო რეალობაში - და არა ღირსებაში - ცარიელ მოჩვენებითობაში. ამ თვალსაზრისით, ლასარო *ანტიღირსებას* წარმოადგენს; იგი გვევლინება დიდგვაროვნის საპირისპირო სიმბოლოდ, რომელიც, თავის მხრივ, *ღირსებას* განასახიერებს. თავის საარსებო ფორმად ლასარო ნებაყოფლობით ირჩევს *სიბრძვეს*, რომელიც შეესაბამება მისი პირველი მასწავლებლის ბუნებრივ სიბრძვეს. საბოლოოდ, „კეთილდღეობა და ამქვეყნიური კეთილდღეობის მწვერვალი“ ლასაროსთვის ცოლის ღალატი და ეკლესიის მოძღვრის უსინდისო მფარველობა აღმოჩნდება. როგორც ვხედავთ, ფინალი საკმაოდ მწარეა, თუმცა ავტორი ამასაც არ დასჯერდა.

ესპანური რომანის მკვლევრები ცალსახად აღიარებენ, რომ „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრებაში“ ისტორიული ფაქტები არ არის მოტანილი; თუმცა ორი ზუსტი ისტორიული მინიშნება მაინც ფიქსირდება:

- წიგნის დასაწყისში მოხსენიებულია ბრძოლა კუნძულ ჯერბასთან;
- წიგნის ბოლოს მოხსენიებულია „გამარჯვებული იმპერატორის“ მსვლელობა „დიდებულ ქალაქ ტოლედოში“.

ამასთან დაკავშირებით არა ერთმა მკვლევარმა წამოჭრა საკითხი, თუ რამდენად მართებულია იმის ვარაუდი, რომ რომანის ფინალში იმპერატორ კარლ V გამარჯვებებიც ზოგადირონიულ კონტექსტშია მოხსენიებული.

აღსანიშნავია, რომ ბრძოლა კუნძულ ჯერბასთან (1510 წ.) ესპანეთისთვის ნამდვილი კატასტროფა იყო. კარლ V (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესპანეთისთვის კარლოს I) მეფობის დასაწყისი აღინიშნა არა მხოლოდ ესპანეთის ეკონომიკის ვარდნით, არამედ მავრების წინააღმდეგ ომში დამარცხებით; არადა ესპანელთა თვალთახედვით, ეს იყო იდეალური ომი, რომელიც განიხილებოდა რეკონკისტას¹ და კათოლიკე მეფეების პოლიტიკის ბუნებრივ გაგრძელებად. კარლის საგარეო პოლიტიკა თანდათან აგრესიულ ხასიათს იძენდა. ესპანეთი სისხლს ღვრიდა ევროპის ომებში, ეკონომიკურად და მორალურად იფიტებოდა. საზოგადოებაში იზრდებოდა რწმენა, რომ კარლ მეხუთის იმპერიული პოლიტიკა ესპანელი ხალხის სურვილებს ეწინააღმდეგებოდა, რადგან საბოლოო ჯამში გაუთავებელი ომები რეალურად ჰაბსბურგების იმპერიის სამხედრო დიდებას ემსახურებოდა და არა ესპანეთისა. სწორედ ამიტომ, ოპოზიციაში მყოფ ანონიმ ავტორს ნარატიულ თხრობაში შემოაქვს ორი ფაქტი: *რეალური* დამარცხება ჯერბასთან და იმპერატორის *ილუზორული* წარმატება პავიასთან ბრძოლაში.²

ამგვარად იკვრება სევდიანი და ირონიული თხრობის ქრონოლოგიური და ისტორიული ჩარჩოები. ანონიმი ავტორის პესიმისტურ თხრობაში ბედკრული ლასაროს თავგადასავლის მაგალითზე სიმბოლურად არის ასახული ესპანური საზოგადოების სასოწარკვეთა და უიმედობა, რომელიც ილუზორული სამხედრო დიდების სანაცვლოდ რეალურად სიღარიბესა და სახელმწიფოს ეკონომიკურ ნანგრევებში აღმოჩნდა.

რომანი ლასარილიოს უბედურებების შესახებ, ყველა თავისი სტრუქტურული და სტილისტური ელემენტის თანხლებით, ძალზე შთამბეჭდავია. ეს გამოიხატება ავტორის მწარე ირონიისა და გმირი-ნარატორის გულუბრყვილო ოპტიმიზმის სრულყოფილ შერწყმაში; ამორალობის აპოლოგიაში, რომელიც „შებლალული უმანკოების“ ტროპით არის მოწოდებული და, რა თქმა უნდა, პიკაროს ავტობიოგრაფიის მეშვეობით მთელი ერის ბედის წარმოჩენაში. აქვე შევნიშნავთ, რომ ანონიმი ავტორის სარკასტული ტონი ზოგჯერ დაკნინებულია; იგი ნებსით თუ უნებლიეთ, დაუფარავი სიმპათიის გრძნობას გამოხატავს

¹ რეკონკისტა (ესპ. და პორტ. *Reconquista* - ბრძოლით დაბრუნება) - პირენეელი ქრისტიანების, ძირითადად ესპანელებისა და პორტუგალიელების, ხანგრძლივი ბრძოლა მავრების/არაბების ემირატების წინააღმდეგ პირინეის ნახევარკუნძულის ტერიტორიების დასაბრუნებლად. აღნიშნული პროცესი დაიწყო VIII საუკუნის პირველ ნახევარში და დასრულდა 1492 წელს, როდესაც ფერდინანდ II არაგონელმა და იზაბელა I კასტილიელმა საბოლოოდ გააძევეს მავრიტანელები პირენეის ნახევარკუნძულიდან.

² პავიასთან ბრძოლა (1525 წლის 24 თებერვალი) - საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მიმდინარე *იტალიური ომების* (1494—1559) მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელშიც ფრანგები დამარცხდნენ.

გმირი-პიკაროს ცხოველმყოფელი სიცოცხლის წყურვილის მიმართ, რაც სავსებით გასაგებია რენესანსის ადამიანისთვის.

ლიტერატურა:

1. ლაზარლიო ტორმესელის ცხოვრება (თარგმ. პეტრე უმიკაშვილმა). თბილისი, 1959.
2. Томашевский Н. Плутувской роман // Плутувской роман. Библиотека всемирной литературы: В 200 т., Т. 40., М., 1975, с. 5-20.

Maia Melanashvili

Gori State Teaching University

**"THE LIFE OF LAZARILLO OF TORMES" - RENAISSANCE ARCHETYPE OF PICARESQUE
GENRE
RESUME**

"The Life of Lazarillo of Tormes" by an anonymous author is first of all an ironic controversy towards beautiful, sentimental world of popular chivalric novel in Spain of that time. There are quite a lot of ironic parallelisms and oppositional ideas; mainly among them is a motive of upbringing of night and picaresque anti-hero.

The book about Lazarillo is bitter, ironic autobiography about "poor and unhappy" life and its way out. Lazarillo confronts the literature of his time which is abstract and literate, where the surrounding reality is absolutely ignored.

On the example and adventure of poor Lazarillo's pessimistic narration we can see the despair and hopelessness of Spanish society, which is in the existing poverty and among the economic ruins of the state instead of illusive military glory.

ციალა მესხია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ზვიად გამსახურდიას „მთვარის ნიშნობა“
მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია**

ზვიად გამსახურდია ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული კოლორიტული ფიგურაა, პოეტი გმირი, პოეტი პრეზიდენტი და დიდი პოეტი მოწამე - ერთ ადამიანში განხორციელებული...

ზვიად გამსახურდიამ უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესო პოეზია დაგვიტოვა. „მთვარის ნიშნობა“ ერთ-ერთი საინტერესო კრებულია, რომელშიც მისი გრძნობა, ფიქრი და განცდა სრულიად სხვაგვარ მიმართულებას იძენს, სხვაგვარი სიმალე აქვს სხვა „დახვეწილობა“. ზვიად გამსახურდია თავის ეკლიან გზაზე ბავშობიდან მავალი სიკვდილს აჩვევდა ფიქრსა და მზერას. ფიქრობდა სიკვდილზე ისევე როგორც სხვა შემოქმედნი სიცოცხლეზე ფიქრობენ. „მთვარის ნიშნობაში“ თითოეული ლექსი ახალი ნოველაა, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.. ღვთიური ზეიმის უსასრულობის შეგრძნებაა თითოეულ სტრიქონში, საოცარი მუსიკალური ჰარმონიაა შენარჩუნებული და თვით შემოქმედის სულის საიდუმლო სიღრმეებია ამომხვევებული.

„მთვარის ნიშნობა“ „საკრალური ჰიმნი“ (ლივერ ქადაგიშვილი). აქ ინდივიდი „მე“ თავად მართავს მოვლენას ჭეშმარიტების სინათლეში. პოეტი უძირთავის ფანტაზიით, სინამდვილის შეგრძნებითა და ზეციური სამყაროსკენ სწრაფვის დიადი სურვილით. ზვიადის პოეტური ალღო, ხედავს ქართველი ადამიანის ტანჯვისა და ტრაგედიის მარადიული სარკეა, მესამე თვალია, „თვალი სხივნათელი“ (გენო კალანდია), რომელიც გამჭოლად იმზირება შორეულში, მიუწვდომელში და მაინც, ეს მის ლექსებშია საქართველოს ისტორიული წარსულის მარადიული ხსოვნაც და აწმყო მომავლით თავისი მომავადობული ფერებითა და ჩაუქრობელი სიცოცხლის წყურვილით ... „ვისაც შეუძლია

სახისმეტყველური აღქმა და გააზრება ძველქართული ტექსტებისა, მისთვის არც „მთვარის ნიშნობა“ იქნება წაუკითხავი წიგნი“ (1, გვ. 12).

„მთვარის ნიშნობა“ სრული მარადიულობის ღვთიური ფენომენია, ღვთიური აზროვნება. ფერებით ხედვა, მუსიკალური - ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია: საოცარი ფერადოვანი მძაფრი ხაზებითა და კოსმიური განწყობილების მოულოდნელი შემოჭრაა უსასრულობაში, ყოვლისმომცველი სულის ბიბლიური ხატი. უფრო მეტიც, „მთვარის ნიშნობა“ – „ეს მიძღვნა სხივი ფარული“, რომელშიც „გრაალის კოშკი შორით მოსჩანს ქიმგაბზარული, პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად რეზულს შავი ყორანი აზის თავზე და გაფითრებულს გარს ახვევია დემონების ბილწი არული („მიძღვნა, სონეტი 2, გვ.25). აქ გასაოცარი ხატ-სახეები იქცევენ ყურადღებას: გრაალის კოშკი პალლას ათენა, სიბრძნის ველი, შავი ყორანი.

საქართველოს გამირულ წარსულთანაა დაკავშირებული სახე-სიმბოლოები - „დიადი იბერია“, ვაჰანი და ძველი ვარძია, მთვლემარე არმაზი, მოწამე-მისანი მტკვარი, სიონი, ქაშვეთი, მარაბდა: „შორია შარიშური შარათა, მოჰქრიან სოფელნი ქარნი, ბორიო - ფლოქვების მარაბდა, ალები ტალეზად მდგარნი“ ან „ქვიშათა ქუშია ქაშვეთი, დროთა მარაბდული სევდა, ვის ავი ლაშებით ღლაგ-შეთი, მუსვრად და სალმობად სდევდა!“ („ქაშვეთი“).

„ვინც მეტნაკლებად მაინც იცნობს ზვიად გამსახურდიას შემოქმედებას, მან იცის, რაოდენ ბევრს ფიქრობს და წერს იგი უცხოურ ლიტერატურასა და კულტურაზე, ძველზეც და ახალზეც. ამიტომაცაა ზოგად - კულტურული სიტყვა - სიმბოლოები უხვად მის პოეზიაში და ამ სიმბოლოებს ემატება საკუთრივ მის მიერ დანახული და შექმნილი სიტყვა - სიმბოლოები, რომელსაც ექსტერნალურ ხედვას უწოდებენ თანამედროვე ლინგვისტები“... (3, გვ.155). ასე მგონია, ნიუანსირებულ ბგერათა საოცარი ვიბრაცია, ემოციათა სუფთა უჩვეულო სპექტრი ლივლივებს ამ კრებულში, და უნებლიედ ვფიქრობ, რომ ზვიადის უღრმესი, ქვეცნობიერი, პლასტებიდან მომდინარეობენ ისინი და მისი ენა იმდენად თავისებურია რომ არ შეიძლება პუშკინი არ გაგახსენდეს: „მე შენი შენი შეცნობა მწყურია, მაგრამ იდუმალია შენი ენა“... და მართლაც, შეიმეცნო ზვიადის, როგორც პოეტის ხმის ტემბრი, წარმოიდგინო თვით უნაზესი მოდულაცია ბგერათა რხევისა აზრობრივ ნიუანსთა თანხლებში ერთობ რთულია და ძნელი. და მართლაც, ზვიადის როგორც პოეტის ხმის გაგონების, ლექსის შეცნობისათვის უმთავრესი რიტმული სისტემის აღქმაა. ყველას როდი აქვს უნარი თქვას ასეთი სიტყვები: „გარდასულ ჟამის ამ ხილვებით მარად ნეტარი, მტკიცე ნაბიჯით მომავლისკენ მიიკვლევს შარას, წმინდა გიორგი საქართველოს ნათლის მხედარი, ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს“... („მესხეთისადმი“).

„თანამედროვე ენაში ორი საწყისია მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი. პირველის პრევალირებას „გლოსოლალიისა“ და „ზაუმისკენ“ მივყავართ, მეორისას კი მშრალი ლოგიზირებისა და რეზონანსობისაკენ. მათ შორის ბალანსი იდეალი უნდა იყოს ჭეშმარიტი პოეტური მეტყველებისა“ (4, გვ. 24).

დღენიადაგ ფიქრი, ნეტარება და გაოცება, უცხო სურნელი და ღვთიური მაგიის დაუსრულებლობის შეგრძნება „მთვარის ნიშნობაში“: „არფაზე გაკრული გველი ფერისცვალებაა ქარის, ცის გარდაცვალებას ელი, ახლოა დარობა დარის!“ - ესაა გალაკტიონ ტაბიძის სულიერებაში წვდომა. „მთვარის ნიშნობა“ სათაურია ლექსისა, რომელიც მიემდვნა გალაკტიონს, ვფიქრობთ, არჩევანი შემთხვევითი არაა, თითოეული სტრიქონი გალაკტიონისეული მჩქეფარე სხივების ორკესტრია, კოსმიურ სამყაროში შედწევაა და ჩვენი პლანეტის სიცოცხლის სრულყოფილი პორტრეტიცაა... ჰოდა, „გათავდა ვარსკვლავთა რთველი“...“მნათობთა ეს სამეული სარკვე ანგელოზთ მხარის“, რადგან „ზავდები კმარა ვრცელი და იხსნება ცხოვნეთის კარი“... („მთვარის ნიშნობა“).

პოეტი მიგვაყურადებს თუ როგორ იღვრება ღამე, ზევაც მუქია და პოეტის სულიც ზევამი დანავარდობს, თავად დედამიწას მოწყვეტილი უფლის დონეზე აწესრიგებს და ქმნის მუსიკალურ-ესთეტიკურ აზრისმიერ სიმფონიას, ფერისა და მელოდიის რიტმულ ანსამბლს. და ასე დაუსრულებლად, სულის უხილავი ძაფებით ქარგავს ფერწერულ საოცრებებს, ყოველი სიტყვა, კოსმოსური ელვარება, ფსიქოლოგიურ-ნერვიული აღტკინება და ზვიადისეული სულის ქროლვა... „სანთელი მთიების მფანტველი, ლიცლიცებს ციალით ნელი, კანკალებს კილამონ-კანკელი, ბანი და ებანი ბნელი. ღვთისმშობლის ღმილი მიტირე, დამთიე სუდარა დარად, - ამით რამ იდარა მითი რამ, არკადებს აკრია; კამარა!...(„ქაშვეთი“) აქ პოეტი თავის თავს არ ეკუთვნის და მთლიან კოსმიურ ორომტრიალშია ჩართული. ჰოდა: „თენდება, საცაა მერცხლები ავრიან კამარას“ და „ტრფიალება სულის ამარა იწვოდა“. „ცამ ციურ ცელებმა შხამიან აღმასებად მიტია“ – „ო, მომიტევე“, ივედრება პოეტი, „ეგ, შენი ცრემლები“, „...დათრთვილულ სიზმართა გოდების მჩენლები“, „წყაროა აღმასები“, „ლაღნარეც სადაფთა დასები“, ნათესაობაა დიდ წინაპრებთან, სულის სიმაღლე და მშვენიერება.

„მთვარის ნიშნობაში“ ჩვენს თვალწინ თითქოს დაჰქრიან ოცნებათა ანგელოზები, ლეგენდებიდან გადმოდიან ქართლოსი და ჰამოსი, თარგამოსი და მცხეთოსი. ქართლის მთებზე დგებიან არმაზი და

ფარნავაზი, გაცი და გაიმი, ნანა და დანანა. აქ მიწა ფეთქავს საუკუნეთა სუნთქვით, მთები კი წინაპართა დაცრილი ფილტვებით არის ამოწეული, წლები ვარსკვლავთა რაოდენობაა და აქ ფიქრის სიღრმე და ფართო განსწავლულობა იქცევს მკითხველის ყურადღებას, რასაც თავის მხრივ ამაღლებს პოეტური სიზუსტე. სიმდიდრე და დახვეწილობა“... (5, გვ.115).

ზვიად გამსახურდიას პოეზიაშია გასაღები იდეისა ადამიანის სამყაროზე ზეამაღლების შესახებ. მისი რწმენით სულს შეუძლია რეალისტურ სამყარომდე ამაღლება და ეზიაროს მის ნათელს, რეალური პარალელებით ამის წარმოდგენა შეუძლებელია. ეს კარგად ჩანს „ღრუბლების პრინცი“ ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ ერთერთ ლექსში: ტერენტი ზვიად გამსახურდიასთვის გახლდათ დამარცხებული საქართველოს გლოვის მუსიკა. სამარიდან ამოსული აჩრდილი, სისხლიანი თვალებით ცისკენ მაცქერალი... „ლოდინის გველი გესლს ჩაიგუბებს და აღარ იცი, შეგანთხევს როდის, შუქი ჩაუქრა შენს შავ უპეებს და მოგერია კოშმარი ბოდვის. თურმე დრო აგებს ლოდინს ხაფანგებრ და მერმე გაბმულ სულს უაღერსებს, ბედნიერი ხარ, თუ დრო გათანგე და მის სალესზე სული ალესე, („მარტოობა“).

ზვიად გამსახურდიას პოეზია ხმამაღალი ფიქრია, სიხარულისა და ტკივილის აღსარებამდე მისული გულწრფელობით გამჟღავნება. ბოლოსდაბოლოს თითოეული ლექსი მისი სულის ზღვიდან გამორიყული ნიჟარაა, რომელშიც მისი გუგუნია ჩარჩენილი...

საოცარი და უზადო იყო ზვიადის კულტურული მიწრაფებანი, ქვევის ამგვარი წესი ოჯახიდან მოსდგამდა, პოეტისთვის უცხოეთის პალიტრაზე „ლომისფერი ლომები სთვლემენ“, „ბოდლერში შავი თესლია“: „...სიკვდილის შავი თესლი ბოდლერი ავ ზმანებათა წარღვნად მზადები, სუნთქვა მიხდილის სული მბოდველი, წყევლა - ქვესკნელით ნაღადადები, იყო კუზენი დიდი სატანის, და როს შესცვალა ბედმა ტაროსი, ჰაშიშის გველმა მორკალა ტანი და გამოეყო ცას იკაროსი“ („ბოდლერი“). „საქართველოზე საუბრისას პოეტის წარმოსახვაში ნათელი ფერები იწყებენ ლაციცს, თითქოს ლექსები კოლხური კოშკის ეზოს მონაბერი ჰაერით აავსო და თვალახელილ სიტყვებში ჩვენი სხივნათელი წინაპრები ისე იცქირებიან როგორც ამომავალი მზის სხივები. და აჰა: „განათდა სიონი, დაემხო მონღოლი“, ან „ღამეა თეთრ ეკლესიათა არსაით მოჰქრიან სიონი“. ან კიდევ: „შენ გეზმანება ოლთისი და მდუმარე ბანა, ჟამთა სიავით დასეტყვილი და ჭირნახული“ („მესხეთისადმი“).

“პოეზია აზრის, ფერწერის და ბგერის, მუსიკის ჰარმონიაა და ვინც ამას აწესრიგებს ის არის პოეტი, პოეტი და კიდევ პოეტი... პოეზია მომავლის ფენომენია და სწორედ დრო (მომავალში) აფასებს ამა თუ იმ შემოქმედის სიმცირე - სიდიადეს - დროში, სივრცეში“ (6, გვ. 5).

ზვიად გამსახურდიას პოეზიაში კალმის მონასმით, მისეული გონით ამაღლებული სულისკვეთებაა აღბეჭდილი. თითოეული სიტყვა პოეტური საოცრებაა და გრძნობ უფლისმიერ და კოსმიურ ძალთა სისავსეს... ლექსი „მამა“ ღმერთზე გულმხურვალე ლოცვითაა გალიცლიცებული, აქა ზეციური ჰარმონია, მისტიკური ხილვები და ანდამატურ აზრთა უსასრულობა, მშობლიური მამულისა და მოყვასისადმი უსაზღვრო სიყვარული, რომელსაც პოეტი წმინდანით ატარებდა.

ლექსს წითელი ზოლივით გასდევს ფსალმუნთა ინტონაციები! „ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი, თავად ნება ხარ სიმართლის მჩენი“... ეს წმინდანი კაცი „სავსე ქართული პატიოსნებით“, უფალივით გულლია და მართალი საქართველოს თავისუფლებისათვის თავგანწირული მეომარი გახლდათ. მას ღრმად სწამდა, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია არის მარადიული ბრძოლა ბოროტებასთან, და ალბათ ამიტომაც „სატანის მანქანა“ ეცხადებოდა. ყვითელი სახლი „ემმაკუელთა საბუდარია“. ანა კალანდაძის აზრით: „...ქ ძირი ეთხრება წმინდა ოცნებას სოფლის საცთური როცა ძალადობს“... ზვიადის ხილვებში ღვთისაგან ხელდასმული ადამიანის ხილვებია: „ყვითელო სახლო, ჯოჯოხეთო გადასაბუგო, საბედისწეროდ დაგიღია უძღები ხახა, შენგან მრავალი გაიტანეს იმედის კუბო, მაინც მძვინვარებ და მოითხოვ მსხვერპლს ახალ-ახალს... დღეს ახალ-ახალ სიავეთა გაქვს თადარიგი, გიგზავნი წყევლას, დე წარწყმედად შეგერგოს იგი!“ („ყვითელი სახლი“).

სამშობლო ზვიადისთვის უპირველესი ხატი და სალოცავია, აქ მისი აზროვნების სიმაღლეა, მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე. აზრთა სიმძაფრე მუდმივად მისი თანამდევია. როგორ ფაქიზად, მაგრამ ამავე დროს როგორ ამაღლებულად, ზმანებით შემოდის „გიორგის ელვარე გორდა“ და „სისხლით ისხურება ტბორი“ და „ლომები ლომისად ვლენან „... ეზმანება: გარუჯული სამცხის კედლები, „კუმურდოს თალი დაღარული და ზარზმის ზარი“ და პოეტის ხილვებში ყოველივე ამქვეყნიურ და ზექვეყნიურ საოცარ სურათებად იფანტება სივრცეში... ჰოდა: „შენ გეზმანება ოლთისი და მდუმარე ბანა, იშხანი, ოშკი, პარხალი და წმინდა ხახული, ვინაც ხილვები ხახულისა ცრემლებით ბანა, ჟამთა სიავით დასეტყვილი და ჭირნახული“... გასცქერის ზევას პოეტი და ზმანებათა ამ საგანძურში ხედავს განთიადს: „მოდის განთიადი, ლეგენდით ნაფერი“ და მზის ათინათში მისი „ნათელმხილველი მზერა მზეობს მოგვური ხედვით“, გენის უტყუარი ალღოთი, საკვირველი კოლორიტით საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ წარსულზე გვესაუბრება. და სარწმუნოა, რომ „გარდასულ ჟამის ამ ხილვებით მარად ნეტარი, მტკიცე ნაბიჯით მომავლისკენ მიიკვლევს შარას, წმინდა გიორგი საქართველოს ნათლის მხედარი,

ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს“. და უხილავი მძიმე სევდა, ღვთიური სიყვარული, არამიწიერი კოსმოსური მშვენიერება და უცნაური განწყობილება აქ და გჯერა პოეტთან ერთად განთიადის მობრძანების, „თითქოს მდინარეა მტკვრისა და ჟამის უეცარ ხილვაში შენივთდა წამისად და ამცნო სამყაროს „მზიანთა მზისობა, დიდი იბერიის ცის მარადისობა“ („განთიადი არმაზისხევში“). - რა არის ეს თუ არა ქართული სულის მარადისობა, კოსმიურ სივრცეში მანათობელ პლანეტად ატყორცნილი ზვიადისეული პოეტური სახე და ხატი. სიტყვისა და მუსიკის უსაზღვრო ფუნქციების ერთ მთლიან მონოლითად ქცევა. თავად მკითხველის განცდა, ფიქრი და გრძნობა რომ ერთვის პოეტის სულიერ სამყაროს და შენ წინ ჯადოსნური ძალით იხსნება ძალიან მართალი, ასე ძვირფასი და მახლობელი სამყარო...

„ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ - დადასტურებაა თუ ვით დიადობს სამყაროზე „მზიანი ღამე!“ „არ დაიმცრობის მამაცურთა მკლავთა კვეთება, მიჯნურის სახმილს რა ძალით ძალუმს, აბა დაშრეტა, დგას შეუღწეველ სრა დარბაზად შემოქმედება, ვით უზურდავი კლდე-გრეხილი ურღვევთა შრეთა!“ - ეს ის ხილვებია, რომლებიც პოეტის მთელ არსებაშია განსხეულებული და გრძნობ კოსმიურ სურნელს, და შენდა უნებურად გენანება დიდი პოეტის ეკლიანი გზა და კომპარული სიზმარივით დასრულებული მისი სიცოცხლე...“ლექსში „ყორნების გადაძახილი“ მთელი სიმძაფრითაა წარმოჩენილი ქართული სინამდვილე, ის სისასტიკე და ბოროტება, რომელიც მოჰქონდა აპოკალიფსურ ტირანთა ნაშიერებს. „დაიწყო ყორნების ლეშებით სხდომა, კლანჭით არიგებენ საკბილოს მყრალს, დაზაფრულ ოცნების იწყება კვდომა, ყველა სასოება მიჰყვება წყალს“...კითხულობ ამ სტრიქონებს და გახსენდება გალაკტიონი: „ხმობით საშინელით თხრილში ჩაჩრილები, ნისლი მორგებია სახეფითრებული, ეხლა საშინელი გროვა დაჭრილების. თითქო მორგებია დასახიჩრებული ...განა სისასტიკით, რაც აქ დაიღვარა, სისხლის მორევები, გამოიზომება? მხეცი თოკიანი დაჰქრის უვნებელი, ქვეყნებს შევლებია ოკვანე დაუსრულებელი, ეს ხომ ცრემლებია, მაგრამ ესოდენი?“... (7, გვ. 235).

ზვიად გამსახურდია განჭვრეტს თავისი პიროვნების ტრაგიკულ დასასრულს, მისთვის როგორც ტერენტი გრანელისთვის საქართველო „მკვდარია“. „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია, ციხეში ვზივარ, გარეთ მთვარეა, შორს გაუსხლავი ლურჯი ბაღია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“ (ეს ტერენტი გრანელია).

და მაინც, „კოსმიური წირვა“ მაკროკოსმიური პოეზიაა. ხილვათა ქმნა, რუსთაველისა და გურამიშვილის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული მოძღვრება და ღვთისმეტყველება პოეტური ოპტიკით ისე არავის გაუშუქებია როგორც ზვიად გამსახურდიას. ამ ტექსტებს „ფსალმუნური პროსოდის ელფერი დაჰკრავს“. (კონსტანტინე ზ. გამსახურდია). ამიტომაცაა რომ ისინი ლოცვებად და საგალობლებად აღიქმება და კიდევ: აქაა ადამიანის ინდივიდუალურობით გადასვლა მაკროსამყაროულ სინამდვილეში, სადაც ის კოსმიურ წირვაში მონაწილეობს. „მთვარის ნიშნობაში“ გლოსოლალის, ალიტერაციებისა და ასონანსების გზით საკრალური ტექსტების აღორძინების დისკურსია.

„კოსმიური წირვა“ ზეციერის, ჯერარნახულ კოსმიური სანახაობათა აღმოჩენაა, სადაც უჩვეულო განწყობილებათა თავისებურებებისა და განცდათა სიმძაფრეა... კითხულობ და გრძნობ, როგორ მკვიდრდება ახალი სიცოცხლე და სულიერება პოეტის სულით გაჟღენთილი. დიახ, მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი სიმფონია მთელ კოსმიურ სამყაროს განეფინება: „მარიამ სამოთხის ვარდი, შვიდთა ანგელოზთა კრებული, სხივ-შარავანდედთა მფენი, სულთა ცისარტყელა ქებული, მეუფე ფიქრია შენი!“ ან: „სვეტი ხარ, ცით ჩამოშვერილი, ვარსკვლავთა გვირგვინით მშვენი, წმინდა ხე გაბაონს ხებული, მეუფე ხატია შენი“... და აჰა, „გუმბათი გაირღვა. ტამარი და ელვათა კვეთებამ კედლები დაბზარა“ - ეს სტრიქონები მარადიულ სილამაზედ ქებული მუსიკალურ-ესთეტიკური და აზრისმიერი შემოქმედების ანარეკლია. და ჰოი, საოცრება: „საკურთხეველში გამდნარი ვარსკვლავთა იღვრება ღვარი“. - ზეციური აზროვნება და ძალაა ამ სტრიქონებში. შუქრდილთა და მათი კონტრასტის კულიმინაცია, სადაც განსჯა და ემოცია ჰარმონიულად ერწყმის ურთიერთს, რაც მნიშვნელოვნად აპირობებს მის სიძლიერეს: „შენგნით აღცისკრდება სულთა ალიონი, შენ გამო ვარდისობს ფლასი. შენგნით იბადრება ცა-ლიგვრილიონი და მნათთა ანგელოზთ დასი“... და ასე უსასრულოდ ციალებს „სულთა მზის ათინათი“.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია წერილში „ტამრების ესთეტიკა და ყოფიერების ღრმა საზრისები“ წერს: „გალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ, რომლითაც ვირტუალური ქმნილებები დაგვიტოვეს ქართულ ტამრებზე, ქართულ ლიტერატურაში იშვიათია ტამრის ესთეტიკის და მისი საზეო დანიშნულების ისეთი განცდა, როგორსაც ზვიად გამსახურდიას პოეზიაში ვხედავთ“. „დრომ სივრცემორგებულ გუმბათს და ბჭეს გადმოხედა და წყრომით, ლაჟვარდს ითოვს იაგუნდად და იგალობებს წრომი“... სილამაზისა და მშვენიერების სამყაროსეული უნაზესი ხილვაა აქ, „ტამრის

ესთეტიკური აღქმა და ტკბობა არქიტექტურული ფორმებისა და ჩუქურთმების ჰარმონიულობით“... (კონსტანტინე ზ. გამსახურდია).

„მთვარის ნიშნობაში“ მზის მარადიული ნათელი ირეკლება, მიწიერი სიცოცხლის სრული სევდაა აქ და უჩვეულო ანგელოზური გარინდებაც, როცა: „წირვათა კურთხეულ ალში დნება ტკივილით, ჩუქურთმების კოვრებს გაშლის ხილვის ყვავილებად“. ღვთიური ელემენტების შეზავებით პოეტი ზეციური საოცრებების მოწმეს გვხდის. და აშკარად იკვეთება ზვიადის ნერვ-მაფეხად დაბინდული პოეტური სასწაულები.

პოეტის ხილვებში განსხვავებულია უძღვები შვილის სინანული: „ქვესკნელს დამნთქა სულთა მტერმა, სად შენა და მე სადაო, მომიძიე კრავი შენი, მეუფეო ზეცათაო!“ - ამაშია მთავარი არსი ბიბლიური იგავისა, უძღვები შვილის ტრაგედია და გასაღები სულიერი გადარჩენისა ანუ ცხოვნებისა: „სინანულის ცრემლთა რუებს აწ კი უნდა ესათაო, მოხვედ ჩვენდა სინანულად, მეუფეო ზეცათაო“... „ძე შეცდომილის პრობლემა ჩვენ ამომწურავად განვიხილეთ წერილში: „ზვიად გამსახურდიას ლიტერატურულ - ესთეტიკურ სამყაროში“ (8, გვ. 179) ამაჟამად კი დავსძენთ, რომ ადამიანი, რომელიც წრფელი გულით მოინანიებს ცოდვას, გაივლის კათარზისის გზას და ნათლისღების მადლით შეიმოსება - ამ მადლთან ერთად ქრისტესაც შემოსავს და აღადგენს მის სულში ღვთის ხატებას. „გულს შთაიბეჭდე სიტყვანი სათნოებისა“ - მიმართავს თავის ვაჟიშვილს ცოტნეს, რამეთუ: „განმართლებულხარ, განბანილხარ, განწმენდილხარ, მირონცხებულხარ, შენ შესაქმის ანბანი ხარ, ხატად ღვთისად ტაძრად გებულხარ“!.

პოეტი მუხლებდაჩოქილი უფალს ევედრება ერის, ქვეყნიერების გადარჩენას და ამ ლოცვაში უმთავრესია „წმინდა მიწა“, ასევე „ბეთანია, ბეთეხედა, ბეთსაიდა“. „სად აწვდილა ამაღლებული ტაძარი, სად უფალმა აღადგინა ლაზარი“...

ზვიად გამსახურდიას წმინდა გიორგის მეშვეობით სწადია ბოროტების დათრგუნვა: „წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არის, შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია, იხსენ სამკვიდრო შენი გეორგია!“

მერაბ კოსტავას რწმენით, ზვიად გამსახურდია პარსიფალის ნახევარძმაა, ტაძარელი, გრაალის მცველი რაინდი: „ხარ მწირი თამარ დედოფლის სულიერ სინედლის გულში აღმძვრელი თუ ნახევარძმა პარსიფალისა, დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი, სამსხვერპლო სისხლით აღვსილი, წმინდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული, თუ, საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიკესავით დაბრუნებული“ (9, გვ.116).

კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი მიძღვნილ ლექსში წერს: „გველემპები იწვოდნენ ცაზე, რაში რაშობდა რუმი რებული, გაფითრებული მოჰყვებოდი ედემის ვაზებს ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა... მაშინ ლოგოსმა იფეთქა შენში და მოზღვაული დაინთხა ლექსი და ამ ნალექში შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ნათება და მით დალუქე ცისებრ სალუქი სულის შენის უნაზესი ფოლიანტები“... აქ ზვიად გამსახურდიამ შთამბეჭდავად მიგვანიშნა გრაალზე, ყველაზე დიდ საუნჯეზე, ხელუხლებელ განძზე, რომელიც მუდმივად იყო მისი ინტერესის საგანი...

ლექსი „პალადიუმის რაინდისადმი“ მიუძღვნა ავტორმა ჯორჯ გორდონ ბაირონს - პალადიუმი ზვიადისთვის ანტიურობის გრაალი იყო, სიმბოლო ძველი სამყარო ჟამის დამდევის ეპოქის სიბრძნისა... ბაირონი როგორც პელაზგთა დევგმირი ალბათ წარმომავლობამ წაიყვანა საბერძნეთში რომ გვერდში დადგომოდა ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულ ფავორიტებს. პოეტი სულისშემძვრელად განგვაცდევინებს დიდი პოეტის ბედისწერას: „ვენუსის რაინდი ოდეს დაიფერფლა და წვათა სიმძიმით დადუმდა ებანი, მუზებმა დასტოვეს მაშინ შესუდრულ დარდებით პარნასი, იგლოვეს სალარო მაღალი სიბრძნისა და აწ დაშრეტილნი გრძნობათ სავსებანი და დაჰკმეს არესი ვინაც აღასრულა პარკების კარნახი... აროდეს შობილა მის მშობელ მიწაზე დიდების რაყიფად არც ერთი მგოსანი ფატუმის ეტლისთვის მსგავსი გაემართოს ორგიის მარულა!“

კოსმიური ციკლის გვირგვინია საკრალური ლექსი „აღდგომა“. პოეტისთვის აღდგომა სულის აღფრთოვანება და ზეცაში ამაღლებაა. „რა შვებაა, რა ზარია აღსდგა ღმერთი სულმნათი, დედამიწა ტაძარია, ზეცა-მისი გუმბათი“.

„მთვარის ნიშნობა“ მთავრდება ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლით და გრძნობ რაღაცნაირი მისნური წინასწარი განჭვრეტა პოეტის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულისა. ორი თვე პოეტმა ტერენტის მშობლიურ კუთხეში გაატარა. მისი ცხოვრება, ისევე როგორც ტერენტი გრანელისა, მოწამეობრივი იყო: „რარიგ ვევეცხოვე სამყაროს ცივდენას, ნექტარიც წავილე და შხამიც იმდენი, რარიგ ვევეცხოვე მიწის გაშლილ მკლავებს, დასცქერის გოლგოთა განძარცვულ საფლავებს“...

P.S. დაბოლოს, კონსტანტინე ზ. გამსახურდიას დავესესხები: „მთვარის ნიშნობა“ („კოსმიური წირვა“) სრულად ორიგინალური სტილის პოეზიაა, იგი ისეთივე აღმოჩენა გახდება ქართველი მკითხველისთვის, როგორც თავის დროზე გურამიშვილისა და ბარათაშვილის პოეზია, ამ დიდოსტატთა გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია კ.ზ., „კოსმიური წირვა“, ქუთაისი, 2014.
2. გამსახურდია კ.ზ., პოეზია, საქართველოს სამრეკლო, 2010. N1
3. ტაბიძე მ. სახე-სიმბოლოები ზვიად გამსახურდიას პოეზიაში, ზვიად გამსახურდია, თბ., 2004.
4. გამსახურდია კ.ზ., „კოსმიური წირვა“, ქუთაისი, 2014.
5. მესხია ც., „იგი ძალიან ჰგავდა საქართველოს“, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ., 2008. N3
6. შავლაძე თ., „სტროფის სურნელი“, ლიტერატურული საქართველო, თბ., 2016. N7
7. ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1977.
8. მესხია ც., ზვიად გამსახურდიას ლიტერატურულ-ესთეტიკურ სამყაროში, ზვიად გამსახურდია, თბ., 2004.
9. კოსტავა მ., ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991.

Tsiala Meskhia
Sokhumi State University
“MOON WEDDING“ BY ZVIAD GAMSAKHURDIA
(AESTHETIC-MUSICAL AND THOUGHT SYMPHONY)
RESUME

Zviad Gamsakhurdia was an outstanding Person – poet a hero , a president, a writer as well. His poetical heritage is too wealthy.

“Moon Wedding is one of the most important and interesting verse-collection of modern Georgian poetry. I think it’s sacral hymn, Divine phenomenon of eternity, Divine thinking, chromate would – outlook, esthetic-musical and thought symphony.

The title of the verse-collection is a title to the poem, dedicated to Galaktion Tabidze as well. Both of the poets had a spiritual world-outlook. A lot of images are inspired by Galaktions “poetical space”.

“Space Messa”, “Morning in armaziskhevi”, “to the Messiah”, Symphony of “The knight in the Panther’s Skin”, “Sion Elegy”, “words of Qvatakhevi”, “Moon Wedding”, “Qashueti” and others are the verses-prays, harmony, Mystical melodies eternal thoughts are reflected there at well at love to the native country and mankind.

Zviad Gamsakhurdia continued traditions of Shota Rustaveli and Davit Guramishvili, Christian liturgy is reflected in his verses, poetry and melody of Psalms as well. There individual person`s existence transforms into eternal being of transcendental space. The poet is a participant of Messa.

მურად მთვარელიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ - ლიტერატურასა და პირად ცხოვრებაში
(გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი)

1871 წელს ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნდა გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოს“ საბოლოო ვარიანტი და იმავე წელს ივანე კერესელიძემ იგი ცალკე წიგნად გამოსცა.

პოემის დაბეჭდვამ მკითხველი საზოგადოების დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. დაიბეჭდა დადებითი რეცენზიები მის შესახებ. გაზეთი „დროება“ მიმოიხილავდა რა ჟურნალ „კრებულის“ პირველ ორ ნომერს, წერდა: „ამ ორ წიგნში პირველი ადგილი უჭირავს სამს სტატიას: „სადღეგრძელო“ გრიგოლ ორბელიანისა, „მგზავრის წერილები“ სამწერტილიან ავტორისა, (იგულისხმება ილია ჭავჭავაძე) და „ჯიბრი“ კომედია გ. წერეთლისა. ეს სამი თხზულება დაიჭერს პირველ ადგილს საზოგადოდ ჩვენს

ლიტერატურაშიც“. იქვე წერილის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოზე“ და შენიშნავდა „სადღეგრძელო გრ. ორბელიანისა სავსეა აზრითა და გრძნობით, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ჯერ არ გაყინული გულის პატრონი. ზოგიერთი ადგილი ამ თხზულებისა ზეპირად დასასწავლებელია ჩვენთვის“. 1 (N8)

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა არაერთი ადგილი ამ პოემისა, როგორც აფორისტული აზროვნების უბადლო ნიმუში.

ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებთ ამ ნაწარმოების იდეურ მხატვრულ მხარეზე. ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს. გვინდა შევჩერდეთ პოემის ერთ მონაკვეთზე, სადაც გრიგოლ ორბელიანი იძლევა ადამიანის შეფასების მეტად დემოკრატიულ, იმდროისათვის მართლაც მოწინავე და დასაფასებელ იდეას. საქმე ეხება პოეტის საყოველთაოდ ცნობილ აფორისტულ გამონათქვამს:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მაღლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე-დამშვენებული“.

გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესანიშნავი მკვლევარი ბატონი ელგუჯა მალრადე ეხებოდა რა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ჰუმანისტურ იდეებს, წერდა; „ამ გრძნობით თითქოს გულაჩუყებული პოეტი მორიგ სადღეგრძელოში საყოველთაო სიკეთის, მშობის, მოყვასთა სიყვარულის დითირამბს ამბობს:

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი,
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნათ ნუგემ-მცემელი.
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?

პოეტი ბრძოლას ქადაგებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც უშლის „კაცისა სულის მაღლობას“. ადამიანი უნდა ებრძოდეს, სდევნიდეს „ძალას დამჩაგვრელს“ და ამ ბრძოლაში უზენაესი მაღლია არა ტლანქი ძალა, არამედ ნიჭი. ნიჭისა და ადამიანის ხალასი ღირსების პრიორიტეტის ნამდვილი ჰიმნია „სადღეგრძელოს“ ეს ადგილი: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო...“ 2 (320-321).

ასეთი შეფასებები „სადღეგრძელოს“ ამ აფორისტული გამონათქვამის შესახებ ასევე უხვად გვხვდება ამ ნაწარმოებზე დაწერილ წერილებსა და გამოკვლევებში.

რასაკვირველია, ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ციტირებული ტექსტის იდეურ მხარეს, ადამიანის შეფასების ტექსტისეულ ახსნას და ა. შ., მაგრამ გვინდა დავსვათ საკითხი, რამდენად გულწრფელია გრიგოლ ორბელიანი ამ შემთხვევაში, რამდენად ერთგულია ის თავის მიერ ასე ხატოვნად წარმოდგენილი პრინციპისა ადამიანის ნიჭისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით შეფასების შესახებ.

ვფიქრობ, თვითონ საკითხის ასე დასმა მნიშვნელოვანია არა მარტო ამ კონკრეტული მწერლის, არამედ ზოგადად მწერლის ნააზრებისა და მისი ცხოვრებისეული მომენტების შესაბამისობების დადგენის თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ გრიგოლ ორბელიანი, თავისთავად, დიდი მამულიშვილი და მხატვრული სიტყვის საკმაოდ მაღალი რანგის ოსტატი, ყოველთვის არ ხელმძღვანელობდა ამ პრინციპით. უფრო მეტიც, ის ცხოვრებაში, ძირითადად, მიდიოდა ამ პრინციპის საწინააღმდეგო გზით და მხოლოდ ერთმა კონკრეტულმა შემთხვევამ მოახდინა მის შეხედულებებზე გარდამქმნელი ზეგავლენა. ამის მაგალითად ამჯერად შევხებით დიდ ქართველ მამულიშვილთან დიმიტრი ყიფიანთან მისი დამოკიდებულების საკითხს.

დიმიტრი ყიფიანი და გრიგოლ ორბელიანი განსაკუთრებით დაუახლოვდნენ ერთმანეთს ბარიატინსკის მთავარმართებლად დანიშვნის შემდეგ, საგლეხო რეფორმის წარმატებით განხორციელების მიზნით, მთავარმართებელმა ამ საქმეს სათავეში გრ. ორბელიანი ჩაუყენა. „მეტადრე მას სურდა გლეხთა რეფორმა იმ თავითვე დაეწყო და სწორედ ეს საქმე ჩააბარა თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს, რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა დაემუშავებია პროექტი და წარედგინა“, - წერს დ. ყიფიანი. 3 (68)

ამ გარემოებას, რომ დიმიტრი ყიფიანი და გრიგოლ ორბელიანი მთავარმართებელმა ყველაზე მეტად დაიახლოვა, ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძეც.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ორბელიანი კარგად გრძნობდა დ. ყიფიანის შესაძლებლობებს, 1864 წელს ის წინ აღუდგა დ. ყიფიანის არჩევნებს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად.

ერთ-ერთ კრებაზე, რომელიც გრ. ორბელიანთან გაიმართა, ის აზრიც კი გამოითქვა, რომ აეკრძალათ დიმიტრი ყიფიანისათვის კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და თვითონვე მოეხსნა თავისი კანდიდატურა. თვითონ გრ. ორბელიანი და მუხრან-ბატონი თავისი გავლენის გამოყენებასა და ყიფიანის

არჩევნებისათვის ხელის შეშლას გეგმავდნენ. იმ დროს დიმიტრი ყიფიანი ზუგდიდში იმყოფებოდა. თბილისში დაბრუნებულმა ყიფიანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. „ჩემი თავმოყვარეობა უზომოდ იყო შელახული. მეწყინა, რომ ჩვენი არისტოკრატები უმრავლესობის სურვილს არაფრად აგდებდნენ და თუმცა არასდროს აზრადაც არ მქონდა თავადაზნაურობის წინამძღოლობის თანამდებობა მეკისრა, მაგრამ ეხლა გადავწყვიტე, დავემორჩილო უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

საგუბერნიო კრება გაიხსნა 1864 წელს. კრების მოწვევამდე ბარონ ნიკოლაისთან მიმიწვიეს. ბარონი ნიკოლაი მირჩევდა, ხელი ამელო არჩევნებზე, მაგრამ მგონი დავარწმუნე, რომ სამსახურის გარეშე მყოფს აზნაურს ნება არა აქვს უარი სთქვას თავის საზოგადოების სამსახურზე, თუ საზოგადოება ითხოვს მისგან ამგვარ სამსახურს, ამიტომ უარს ვერ ვიტყვი-მეთქი“. 3 (116).

ყიფიანის მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე გამოკვეთილი პიროვნება გრიგოლ ორბელიანი იყო. ამას ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძეც. ის ასე აღწერს კრებაზე გრიგოლის გამოსვლას:

– ბატონებო! ჩვენთვის შეურაცხყოფა არის, რომ ყიფიანს ვირჩევთ. **ერთ ვიდაცა უბრალო აზნაურის შვილს. ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ, ეს რიგი არ არის.** გარდა ამისა ეგ მმართველობის წინაშეც საპატიო პირათ არ არის მიღებული. ეგ ერთხელ მთავრობამ სამსახურიდანაც გამოაგდო. თუ კრება ამაებს ყურადღებას არ მიაქცევს და მაინც მაგას ამოარჩევენ, მაშინ ჩვენ აქ არავითარს მონაწილეობას არ მივიღებთ და გავალთ აქედამო.

ხალხმა დაუყვირა:

- წადით! წადით! არ გვინდა, ჩვენ სხვას არ ამოვირჩევთ. ეს გვინდა!

გრიგოლ ორბელიანი მაშინვე გავიდა კრებულიდამ და ამას გაჰყვინენ სუყველა უდიდეს არისტოკრატიულ პირებთან....

გრიგოლ ორბელიანის ასეთი საქციელი დ. ყიფიანს ერთობ უკვირდა. უკვირდა მით უფრო, რადგან წინეთ და თვით იმ დროსაც, ერთმანეთში კარგი განწყობა ჰქონდათ. ამ დროს გრ. ორბელიანი ავად გახდა და წინააღმდეგობას თავი გაანება, თორემ ყიფიანს ავებდა“.

როგორც ჩანს, ეს იმდენად მტკივნეული მომენტი იყო დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებაში, რომ მიუხედავად არჩევნებში მოპოვებული დიდი წარმატებისა, მას მაინც მძიმედ აწვა გულზე გრიგოლ ორბელიანის ასეთი აგრესიული დამოკიდებულება.

დიმიტრი ყიფიანის ვაჟი ნიკო ყიფიანი, მამაზე საუბრისას, ამ ამბავსაც არ ტოვებს ყურადღების გარეშე და არჩევნების მიმდინარეობას და ამ საქმეში გრიგოლის უარყოფით როლს ასე გადმოგვცემს: „როდესაც მოვიდა დღე მარშლად არჩევისა, ზალა გაჭედილი იყო ხალხითა. პირველ რიგში დამწკრივებული იყვნენ კრესლოებში ძლიერნი - გენერლობა: თ-დი გრ. ორბელიანი, თ-დი ივანე მუხრან-ბატონი, თ-დი გიორგი რომანოზის ზე ერისთავი (ატამანი), თ-დი სოსიკო ორბელიანი, თავადნი ამილახვარნი, ანდრონიკაშვილნი, თარხნიშვილნი, ერისთავნი, ჩოლოყაშვილნი და სხვანი.

ამათ უკან დანარჩენი თავადაზნაურობა. ზევით ლოჟებში - მანდილოსნები და სტუმრები....

წამოდგა მეორედ თ-დი გრ. ორბელიანი, ჩვენი პოეტი, ჩვენი გრძნობით აღსავსე პოეტი-პატრიოტი, შემთხვევითი უკვდავის ლექსებისა, მოუბრუნდა საზოგადოებას და მხურვალე გრძნობით აღსავსემ, თითქოს ცეცხლმოკიდებულმა დაიძახა:

– მოგმართავთ თქვენ, საქართველოს კეთილშობილს თავადაზნაურობასა! სად არიან დღეს სახელოვანნი გვარნი სოლოდაშვილებისა, ბასტაშვილებისა და სხვა? (აქ ჩამოთვალა რამდენიმე გვარი, რომელიც აღარ მახსოვს) განიფანტნენ, განჰქრნენ, როგორც გაჰქრა ჩვენი დიდება! აღარ გვიბრწყინვენ დღეს იგინი, ვინც უწინ ბრწყინავდნენ ქართლ-კახეთში! დავეცენით, წავხდით წარჩინებულთა, უკეთეს გვართა შვილნი, მოგმართავთ საქართველოს კეთილშობილსა თავადაზნაურობას, მოგმართავთ ჩვენ, თქვენი უფროსნი ძმანი, თქვენ ჩვენს უმცროსს ძმათა - **ნუ გვაჭმევთ სირცხვილსა, ნუ დაგვასვამთ თავზედ ჩვენ, ქართლ-კახეთის განმარწყინებელ გვართა, აზაურიშვილსა, აბაშიძის ნააზნაურევის შვილსა.**

– გაუმარჯოს დიმიტრი ყიფიანს, ყიფიანი მარშლად, დიმიტრი ყიფიანი! დასძახა პასუხად თ. გრ. ორბელიანს საზოგადოებამ.

– თვითონ მთავრობასაც არ ეამება დიმიტრი ყიფიანის მარშლად ამორჩევა! _ დაიძახა თ-მა გრ. ორბელიანმა, - ხომ იცით, რომ მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა. მთავრობის წინააღმდეგი იქნება იმის მარშლად ამორჩევა!

შეიქმნა სიჩუმე...

წამოდგა დიმიტრი ყიფიანი წყნარად, ჩვეულებისამებრ მშვიდობიანად, გულდასმით და ამასთანავე თავისი მაგარი ბოხი ხმით წარმოსთქვა შემდეგი:

– ნება მიბოძეთ, ბატონებო, მარტო ერთ საგანზედ მოვახსენო მოკლე პასუხი დიდად პატივცემულს თ. გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს, მარტო ერთ საგანზედ...

ამ დროს იმისთანა სიჩუმე იყო, რომ ფოთოლი არ გაინძრეოდა.

– მთავრობის წინააღმდეგი არცა ვყოფილვარ ჩემს სიცოცხლეში და არცა ვარ... და თან მთავრობაც არა მთვლის მოწინააღმდეგედ. ეს იქიდან ჩანს, რომ პენცია ორმოცი თუმნის მაგივრად, რომელიც კანონით მერგებოდა, ეს არის, აგერ ამ დღეებში, ასორმოცი თუმანი დამინიშნა. სხვას არას მოგახსენებთ თ. გრ. ორბელიანის პასუხად იმის მეტსა, რომ თავადაზნაურობას თუ ჰსურს ჩემი სამსახური, მზადა ვარ ვემსახურო...

გრიგოლმა თურმე ამ დროს თქვა ერთი ფრაზა: „საქართველო მაშინ დაიღუპა, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შეგვასწორესო“. 4(81)

აქ ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიმიტრი ყიფიანის დიდმა ადამიანურმა ბუნებამ როდი გააღვივა საკუთარ არსებაში წყენა გამოჩენილი პოეტისადმი, არა, ის დადგა ყველა ადამიანურ წვრილმანზე მაღლა და როცა საქვეყნო საქმემ მოითხოვა ერისშვილთა სამსახური, ქართველ მამულიშვილთა შორის მისი ერთ-ერთ პირველი ადრესატი გრიგოლ ორბელიანი იყო. „კერძოობით მე იქნება დანაშაული მიმიძლოდეს რაიმე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყვე წყრომისა, - წერდა დიმიტრი გრიგოლ ორბელიანს, - თუმცა კი დიდის სიამოვნებით შევინანიებდი, რომ ვიცოდე ჩემი დანაშაული, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მივმართავ თქვენს ბრწყინვალეობას: დიდს შემწეობას გვედრებით არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისთვის, რომელსაც უეჭველია ყურადღებასაც მიაპყრობდით და არც თქვენი კეთილი გულისაგან შეუწყნარებელი განაგდებდით. თუ თქვენი სახიერი გრძნობით სასარგებლო ჰპოვოთ ეს საქმე ჩვენი საზოგადოებისათვის, პირადად ჩემს დამდურებას ნულარ გაიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენი სიტყვებითა და მონაწილეობით“.

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობამ, მისმა დიდმა ერუდიციამ, მაღალმა ადამიანურმა თვისებებმა, მამულიშვილობის საოცარმა გრძნობამ ქართველ საზოგადოებაში დიდი ნდობა და პატივისცემის განცდა დაამკვიდრა, გრიგოლ ორბელიანის არსებაშიც, როგორც ჩანს, მოხდა ერთგვარი გადაფასება თავისი შეხედულებისა არა მარტო დიმიტრი ყიფიანის, არამედ ზოგადად, ადამიანის შესაძლებლობების, პირადი ღირსებების მიხედვით საზოგადოებაში სათანადო ადგილის დამკვიდრების თვალსაზრისითაც. იქნებ ეს კონკრეტული შემთხვევაც აღმოჩნდა მიზეზი იმისა, რომ წარჩინებულ ქართველ პოეტს მთლიანად უარყო თავისი დამოკიდებულება წოდებრივად მასზე დაბლა მდგომი ადამიანების მიმართ.

გრ. ორბელიანის შემდგომი ცხოვრება ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. დიმიტრი ყიფიანის პიროვნებითა და მოღვაწეობით კმაყოფილ გრიგოლი ამ ამბიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ იწყებს მუშაობას თავის პოემაზე, რომლის სრულ, საბოლოო ვარიანტს ის 1871 წელს ჩამოაყალიბებს, სადაც უკვე აფორისტული სიბრძნით წარმოაჩენს თავის დამოკიდებულებას ადამიანის პირადი ღირსებისა და შესაძლებლობების მიხედვით დაფასების შესახებ. უფრო მეტიც, 1879 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანს უკვე გრიგოლ ორბელიანის წინადადებით ირჩევენ.

ვფიქრობ, საქმე გვაქვს საყურადღებო გარემოებასთან. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ჭეშმარიტმა ნიჭმა და მოღვაწეობამ შეაცვლევინოს შემოქმედს აზრი არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში, არამედ, ზოგადად.

გრიგოლ ორბელიანისათვის დიმიტრი ყიფიანი იქცა ერთგვარ მაგალითად, რომელმაც მისი შეხედულება ადამიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებით რადიკალურად შეცვალა. უფრო მეტიც, ამ კონკრეტულმა შემთხვევამ გრიგოლი მიიყვანა საკაცობრიო იდეამდე, რომ არ შეიძლება პიროვნება შევაფასოთ მისი წარმომავლობის თვალსაზრისით, რომ გადამწყვეტია იმ შინაგანი თვისებების დანახვა და შეფასება, რაც კონკრეტულ პიროვნებას სხვებისაგან გამოარჩევს. სწორედ ამ კონკრეტული ისტორიის შემდეგ უკვე თავის მხატვრულ ნააზრევში პოეტი გვთავაზობს იმდროისათვის უადრესად მნიშვნელოვან და რაც მთავარია მისი წოდების ადამიანებისათვის უცხო თვალსაზრისს, „იდეალს მეგობრობის გრძნობით შეკავშირებული, არა გვარიშვილობისა და წარმომავლობის, არამედ ნიჭისა და ღირსების დამფასებელი ერისას, რომელიც სამეფო ტახტზე კაცთმოყვარეობასა და სათნოებას დასვამს. წინაპართა თავგანწირვით გადარჩენილი მამულის მკვიდრთა ზრუნვის საგნად მხოლოდ ის მხარე შეიძლება იქცეს, რომელსაც საერთო მიზნით, საერთო გულისთქმით შეკავშირებული, ზეციური მადლით დადაფნული საზოგადოება დაამშვენებს.“ 5 (16-17).

ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“, 1871.
2. ელ. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, წერილები, თბ., 1989.
3. დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990.
4. საშვილიშვილო მოკავშირე დიმიტრი ყიფიანი, II, თბ., 2007.
5. რ. დევდარიანი, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება, ქუთაისი, 2002.

Murad Mtvarelidze
Gori State Teaching University
“PAVE THE ROAD TO TALENTED PEOPLE”- IN LITERATURE AND IN LIFE
(GRIGOL ORBELIANI AND DIMITRI KIPIANI)
RESUME

Specific cases of human thinking and attitude often leads to sharp breakthrough. G. Orbeliani's expression about appreciation of human talent is considered as such case. I think one moment defined the poet's leading to such point of view, namely it is related to electing Dimitri Kipiani as a leader of the nobility.

ნაილე მიქელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ლექსები აჭარისა და თურქეთში
მცხოვრებთა ფოლკლორში

მუჰაჯირობა ერთი მძიმე და ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა. აჭარის ფოლკლორში შემონახულ ტრაგიკულ ეპიზოდებს თან ერთვის ხალხური პოეზიის ნიმუშებიც, სადაც მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი იმდროინდელი ყოფის მოვლენები. კერძოდ: მუჰაჯირთა განცდები, მათი სულიერი და მორალური მდგომარეობა. და ბოლოს, მოტყუებულთა სულის ტკივილი, რომელიც საუკუნეების მიუხედავად, არც ჩვენებურთა (თურქეთში მცხოვრებ ქართველების) და არც აქაურთა ცნობიერებაში არ წაშლილა, პირიქით უფრო და უფრო ტკივილიან მოგონებებად რჩება.

ოსმალთა მმართველობიდან ამ კუთხის განთავისუფლების პერიოდში მოსახლეობის ერთი ნაწილი შექმნილი ეკონომიკური პირობებისა და საომარი სიტუაციის გამო ოსმალეთში გაიხიზნა. ამ პერიოდში აჭარელთა ოსმალეთში გახიზვნა „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი, რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი გამოთქმა, ვინაიდან სიტყვა „მუჰაჯირი“ ნება-სურვილით გადასახლებულს ნიშნავს, აჭარლებს კი ოსმალთა რუსეთის ჯარის აჭარაში შემოსვლამდე ძალითაც მიერეკებოდნენ (მგელაძე, 2014: 140).

რუსეთს 250 ათასი მოსახლე, ბერლინის ხელშეკრულებით შემოუერთდა, ამავე ხელშეკრულებით ბათუმი გადაკეთდა პონტო-ფრანკად. იგივე დოკუმენტი ადგენდა აჭარიდან ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლის ვადასაც – 1879 წლის 8 თებერვლიდან 1882 წლის თებერვლამდე (ახვლედიანი, 1978: 161).

ალექსანდრე ფრენკელი მუჰაჯირობასთან დაკავშირებით წერდა: „დამიდასტურეს, რომ თურქები კრებენ ხალხს და ძალათვე მიჰყავთ გემებზე... ისინი ცდილობდნენ ჯერ ქალები და ბავშვები გაეგზავნათ, დარწმუნებული იმაში, რომ შემდეგ ყველა მამაკაცი მიაშურებდა თავის ოჯახს თურქეთში“ (ფრენკელი, 2012 :72). უკეთესი ცხოვრების იმედი და „ალაჰის შიშით“ მიემგზავრებოდნენ აჭარლები მუჰაჯირად:

„ავდგეთ წევდეთ მუჰაჯირათ,
რა ლამაზი დარიაო,
ჩვენ რომ გემში ჩავჯდებით
ჩვენი გული კდარიაო“.

(ფუტკარაძე, 1993:16).

რუსეთის შემოსვლის წინ გაზეთებში იწერებოდა, რომ სამხრეთ საქართველოში შემოსვლა უნდა მოხდეს სრული წესიერების დაცვით, რათა ხალხი არ დაფრთხეს და ინგლისისა და სულთნის აგენტებს არ მიეცათ საშუალება, ეს მდგომარეობა გამოიყენონ (ახვლედიანი, 1978: 141).

ისტორიულად, როგორც ცნობილია, ადგილობრივთა გასახლების საქმეში ოსმალთა სამსახურში მყოფ ქართველებს იყენებდნენ, რომლებიც დიდი ძალისხმევით არწმუნებდნენ ქართველებს, რომ გადასულიყვნენ ოსმალეთში. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ ურთიერთობების დაძაბვას აჭარის მოსახლეობასა და რუსს ჯარისკაცებს შორის, თუმცა ამ ამბებთან დაკავშირებით 1878 წლის აგვისტოში

გენერალ-მაიორი ტრეიტერი კავკასიის მთავარსარდალს სწერდა: ჩემს ნაწილებს შეურთდა თავადი ერისთავის ნაწილები. აჭარის ფარგლებში ყველა გზაზე რაზმის მოძრაობას ზემო და ქვემო აჭარის დეპუტაცია და მოსახლეობა ხვდებოდა პურ-მარილით, ერთი სიტყვით, მცხოვრებთა განწყობილება კარგია (Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 г.г., стр. 254).

აჭარლებს ყოველთვის ახსოვდათ ამ კუთხის ტრაგიკული ისტორიები, მათი გამუსლიმანება და საქართველოს გულიდან მოგლეჯა. თუმცა ბედისწერის წინაშე ყველანი უძლურნი აღმოჩნდნენ. სერგეი მესხი გადმოგვცემს ერთი აჭარელი გლეხის ნაამბობს: „მართალია, ჩვენ სარწმუნოება გამოგვიცვალეს, მაგრამ არც ისეთი უგუნური ვართ, არ გვესმოდეს, რომ სარწმუნოების გამოცვლა ნათესაურ სისხლს ვერ დაგვიკარგავდა. ხედავთ მიაგ, დღესაც ჩვენი მამა-პაპების ნანგრევი ტაძრების პატივისცემა გვაქვს. მართალია მაჰმადიანი ვართ, მაგრამ ჩვენი მამა-პაპების სალოცავები კიდევ გვწამს, მივდივართ აღდგომას და შობას სხალთას, ზარზმას, ოპიზას, კვირიკეს მიგვაქვს იქ სანთელი, საკმეველი, წითელი კვერცხები, ვლოცულობთ, როცა ავად გაგვიხდება ვინმე, საწირავი მიგვაქვს იქ და ჩვენი მამა-პაპების ღმერთს ვევედრებით.

არა, მიაგ, ჩვენ გვახსოვს ჩვენი ქართველობა, იქნება ჩვენც თქვენსავით გვიხაროდა ერთმანეთის დაახლოება, ერთმანეთთან შეერთება (გაზეთი „დროება“, 1879 წ., #24. ს. მესხის წერილი).

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებამ ხალხში დიდი სიხარული გამოიწვია, რომელიც ერთ-ერთ ლექსშია გადმოცემული:

„შედგა თოფების, ზარბაზნების ქუხილი ელვა...
ქრისტიანების, ოსმალების, შედგა სისხლის ღვრა...
და ითქვა სიტყვა, სიტყვა ტკბილი: შევისვენოთ
და ესოდენი ცრემლი, სისხლი ხალხს ვაკმართ“.
(გაზეთი „დროება“, 1878 წ., #26.).

ფოლკლორული პოეზიის მოცემულ ტაეპში კარგად ჩანს საზოგადოებრივი აზრის გაყოფა – ნაწილი რუსეთის პოლიტიკის, ნაწილი კი ოსმალეთის მხარეზეა. ასევე მნიშვნელოვანია „ისტორიული“ ინფორმაცია ჩინსა და დაპირებულ თანხაზე, რაც ლექსის ავტორის ერთ - ერთ მთავარ სათქმელს წარმოადგენს:

„ქობლეთლებიც ასე ჩივა,
ჩვენ არ გვინდა თათრის პური,
რუსს ავართვათ თეთრი ფული,
გულზე დევკიდოთ მენდლები“...
(ლექსი მუჰაჯირობაზე).

(აჭარის სახალხო მეღეესეთა ანთოლოგია, წიგნი გამოვიდა ემენ დავითაძის რედაქციით, 1993:403).

საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, პრესა აქტიურად აქვეყნებდა ინფორმაციას მუჰაჯირთა შესახებ: „ბათუმიდან გვამცნობენ, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩამოსულა იქ ორასამდის მოსახლე კაცი მაჭახლიდან, რომელნიც ტრაპიზონიდან გემს უცდიან ოსმალეთში წასაყვანად, ანუ გადასასახლებად. საცოდაობა იყო ამათი ნახვა, მშვიერი - მწყურვალე დედაკაცები და ბავშვები რამდენიმე დღე ეყარნენ ზღვის ნაპირას, გემს ელოდებოდნენ“ (ჭიჭინაძე, 1914: 111). ხალხი სრულ ანარქიას განიცდიდა, არ იცოდნენ ვისთვის დაეჯერებინათ. მაჰმადის მსახურები გამუდმებით ჩასჩიჩინებდნენ: „წავიდეთ ოსმალში, აქ თქვენ დასადგომი პირი არ გაქვთ, რუსის ხელში თქვენ არ გაძლებით. გიაურთ მართლმსაჯულება მაჰმადიან კაცს არასოდეს შეიწყნარებს. მაჰმადის ბრძანება არის, რომ ვინც გიაურის ქვეყანაში მოკვდება, იგი ედემს ვერ ეღირსება, წაწყდებაო“ (ჭიჭინაძე, 1914: 112).

აჭარის ხალხურმა სიტყვიერებამ, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით არაერთი ისტორიული მოვლენა თუ ფაქტი, ლექსად შემოგვინახა. ხალხურ ლექსში „ლექსი მუჰაჯირობაზე“ საუბარია ხინოელების მუჰაჯირად წასვლაზე, ბეგების, მოღვლების შეგონებასა და ფარისევლობაზე:

„ხინო მუხაჯირად მია,
ჭახათლებს სტკივით მუცელი,
აჭყვისთვლებიც აპირებენ,
წყავს რუმ გასცივა ფურცელი“...

მთქმელი გულდაწყვეტით აღნიშნავს მუჰაჯირთა ბედის შესახებ, რომლებიც შემდგომში ბეგებისა და მოღვების მსხვერპლნი გახდნენ:

„ვინცხამ მუხაჯირში წევდა,
შიმშილით წყდება სუნთელი,
ტირილ-ყვირილით მოჰრბიან

ობტომს ზედაი კეჭიეთლები“...

ასევე ლექსში კარგადაა წარმოდგენილი ხინველების აქტიური, „ძღვენი“ (ჭვირთად წეიღეს მანათები) დატვირთული შორეული მგზავრობის ისტორია:

**„ჩვენ ხინველებს რას ვუყურებთ
ხავს ალიები ბარათლები,
მუჰაჯირათ რომ წევიდენ,
ჭვირთად წეიღეს მანათები“...**

მატერიალური რესურსების მიუხედავად, ტრაგიკულადაა დახატული მუჰაჯირთა ბედი. ლექსის დასასრულს ვკითხულობთ:

**„ქვბლიანი მათ დააფსეს
სერ-გადაღმა აჭარლები.
დეილოცა მათი ჯანი
ჩამორიგეს ოჯახები“...**

(ლექსი მუჰაჯირობაზე).

(აჭარის სახალხო მეღეღესეთა ანთოლოგია, წიგნი გამოვიდა ემენ დავითაძის რედაქციით, 1993:403).

1880 წლის 14 მაისს სერგეი მესხი ბათუმიდან გაზეთ კავკასს აქტიურად აწოდებდა ინფორმაციას მუჰაჯირთა შესახებ: „ამჟამად, ბათუმში 400 სული ჩამოსულა მაჭახლის მთებიდან იმ განზრახვით, რომ აქ ოსმალოს გემი მოვიდოდა და წაიყვანდა. ათი დღე თითქმის მშიერ-მწყურვალ ხალხი ყრილა გარეთ, ზღვის ნაპირას, მაგრამ გემი არ მოსულა. ოსმალოს კონსულს კი იმათვის ვერ გაუბედნია პირდაპირ გამოეცხადა, რომ გემს ნუ მოელითო. ბოლოს რუსის გემს როსტოვს წაუყვანია ეს ხალხი ნახევარ ფასად. შარშანდელი წასულებიდან შიმშილისა და ტაჯვა-წამების გამო, ოსმალეთიდან ნაწილი უკან დაბრუნებულა“ (ჭიჭინაძე, 1914: 113).

მუჰაჯირობასთან დაკავშირებით გულო - ალა კაიკაციშვილი გაზეთ „დროებას“ წერდა: „ამის გარდა ძიავ, ძველი გადასახლებული ქობულეთელები რომ არიან, თავისთვის ვერ უშოვნიათ ადგილი და გამოდიან ჩვენში და გვეუბნებიან, რომ წამოდი, ნუ დადგებით აქაო. რასაკვირველია, დაქცეულს დაქცეული უყვარს, იმას კიდევ არ დავუჯერებთ, მოლებმა შეგვაწუხეს, წამოდითო, გველაპარაკებიან, აქ ნუ მოკვდებით, წესი არ აგეგებათო“ (გაზეთი „დროება“, 1880 წ., #89. გ. კაიკაციშვილის წერილი „ძიავ თბილისის „დროების“ მეგაზეთე“). კონკრეტულ შემთხვევაში ხოჯები აგენტების მოვალეობასაც ასრულებდნენ და ისედაც დაბეჩავებულ ხალხს უფრო მეტად აშინებდნენ, იძულებულნი კი ყველაფრის ფასად მშობლიური კუთხიდან მიემგზავრებოდნენ:

**„დაგველები გამგზავრდენ,
გადიკიდენ ინთები,
შით ჩააწყვეს საგზოლები,
თურქეთში რუმ ჩევიდენ,
აღარ ხონდენ აფერი“...**

ოსმალეთში ვაივაგლახით ჩასულ მოტყუებულ, მშიერ-მწყურვალ მუჰაჯირებს დაპირებული „სამოთხე“ ადგილები არ დახვედრიათ და იმედგაცრუებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

**ერთმანეთსა ჰკითხავდნენ,
სადაა ჩვენი ადგილი?
დამირჩენ უკაცრავადა
აღარ იყო ადგილი.**

(„დაგველების მუჰაჯირად წასვლა“)(იგივე გვ.403).

პირველად გასჭირვებიან უცხო ბუნებრივ პირობებთან შეგუება, ხშირი ყოფილა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა. ბევრიც გზაშივე დაღუპულა გემით მოგზაურობისას, ზოგიც კატასტროფაში მოჰყოლია ზღვის ღელვის დროს... აი რას იხსენებენ პროფესორ შუმანა ფუტკარაძესთან საუბრისას „ჩვენებურები“ გულსევდიანად იხსენებდნენ: „ჩვენ თავზე, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა მარტო, სხვა ყველამფერი გადაგვხდა, მუჰაჯირობაში დიდი ღეზაბი გავწიეთ, გაჭირვებისგან დერდით გვეღეწეთ, თვალეზე ცრემლი და ზრუგში ოფლი არ შეგვშრობია ცხოვრებაშიო“, - იგონებენ ღრმად მოხუცი მუჰაჯირები (ფუტკარაძე, 1993: 16).

მშობლიურ მიწა-წყალს მოცილებულნი, უცხო მხარეში გადახვეწილნი, დრო-ჟამის მიუხედავად დღესაც ობლად გრძნობენ თავს. მათი ტკივილი და ჭრილობა შეუხორცებელ- მოუშუშებელია. თურქეთის რესპუბლიკის სოფელ აქჩაიში დღესაც ქართული ოჯახები ცხოვრობენ: ლომინაძეები (ლომანოვლები), ხახუტაიშვილები და ჩელებაძეები. მათთან საუბრისას ერთ-ერთმა მუჰაჯირთა შთამომავალმა

მუჰაჯირობასთან დაკავშირებით თქვა: „მათ რომ დაამიწყდნენ, თურქები არ დაამიწყებენ... ასი წელი იქნა, ას ოცი წელი იქნა ჩვენი აქ ჩამოსვლიდან გულში ვერ შეიდვენ“... მოგვიანებით – თურქების ქართველებთან დამოკიდებულება ერთი წინადადებით გამოხატა: „სახეში გიგიცინებს, უკანედან შეგაგინებს, ან რაცხა ...ჩუმით - ხმით ვერა“ (ფაღავა, 2016: 59).

გაჭირვებისა და უბედურებისა მიუხედავად, მათ გონებას არ შორდებოდა „მემლექეთზე“ ფიქრი. მათ ყოველთვის აინტერესებდათ საზღვარს გადმოღმა დარჩენილთა ბედი:

**ბათუმ იქით კახაბერი,
ჩემ ბაბოიდან რა ხებერი?**

(შიოშვილი, 2016: 259).

მუჰაჯირებს, თავდაპირველად, დიდი დაპირისპირება ჰქონიათ დამხდურებთან - თურქებთან, ბერძენ - რუმებთან, სომხებთან. „სკოლაში ბაღანამ წამაქცია. გავკერსდი, ქართულად დავაგინე. მასწავლებელმა გიმიბლუხდა და ენაზე ლემსი დამასო, გურჯულაი რატომ დეილაპარიკო“. თურქები ათასგვარ სასჯელს იგონებდნენ მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა დასასჯელად (ფაღავა, 2016:28).

და დღეს, მუჰაჯირ ქართველებს, ჩვენებურებს, არათუ დღემდე შეუნახავთ ძველი ქართული ადათ-წესები, ამავე დროს შეუქმნიათ ახალიც. ერთ - ერთი ასეთი ლექსია „ლალე“ :

„ბათუმი და ქედა, რომ დიმიჩა დედა, ლალე ...

წვეულ, გავხდი ფირალი, დედა დავტიე მტირალი, ლალე ...

მემლექეთის მტრედი, გოგო დამრჩა ერთი, ლალე...

იმიტება დერდი, შიმიბრალებს ღმერთი, ლალე...

საყვარელი ვედარ ვნახე, დიმიფინეს ფეხ-ქვეშ მახე,

ლოცვით მთები გადავლახე, გამჩენელო შიმიწახე“.

(ფუტკარაძე, 1993:16).

იქაურებიც და აქაურებიც ვერ ივიწყებდნენ მამა-პაპეულს. სისხლხორცეულად განიცდიდნენ „მემლექეთთან „განშორებას.

ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ ტრაგიკული ყოფილა მათი განშორება, ტკივილი, ცხოვრება. ერთის მხრივ, აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება სამხრეთი საქართველო კვლავ დაუბრუნდა დედა საქართველოს, თუმცა მოუშუშებელ იარაღ რჩება თურქეთში მცხოვრებთა ბედი. მუჰაჯირობის თემა კი იყო, არის და იქნება ამოუწურავი, დაუსრულებელი ისტორია ბედკრული საქართველოსი.

ლიტერატურა:

1. **ახვლედიანი 1978:** ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გამ. „საბჭოთა აჭარა, ბათ.,
2. **ანთოლოგია... 1993:** აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგია, წიგნი გამოვიდა ემენ დავითაძის რედაქციით, გამ. მამია ხარაზი, ბათუმი.
3. **გაზეთი „დროება“, 1878 წ., #26.**
4. **გაზეთი „დროება“, 1879 წ., #24. ს. მესხის წერილი.**
5. **გაზეთი „დროება“, 1880 წ., #89. გ. კაიკაციშვილის წერილი „ძიავ თბილისის „დროების“ მეგაზეთევე“.**
6. **დიასამიძე 2016:** დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ტ II. გამ. ბათუმი.
7. **Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 г.г., 1909.**
8. **მგელაძე, 2014:** მგელაძე ვლადიმერ, პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობის დროინდელი სამხრეთ საქართველო, გამ. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
9. **მესხი, 2000:** მესხი ს., წერილები აჭარაზე, 1875-1882, შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები, და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.
10. **სცსია** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 545, საქმე 89, ფურცელი 2, 3,3.
11. **ფაღავა, 2016:** ფაღავა მამია, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“.
12. **ფრენკელი, 2012:** ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.
13. **ფუტკარაძე, 1993:** ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.
14. **შიოშვილი, 2016:** შიოშვილი თინა, ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ნაწილი I, შავშური ფოლკლორი, გამომც. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი.

Naile Mikeladze
Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute
**THE POETRY CONNECTED WITH EXILED IN THE FOLKLORE OF ADJARIANS AND
GEORGIANS IN TURKEY**
RESUME

The significant details of the lives of exiled Georgians to Turkey are kept in the folklore of Adjara and memories “ours” (Chveneburebi) in Turkey. The process of forced exile is one of the heaviest and tragic episodes in the History of Georgia. It influenced not only on the social-economic and demographic situation of Georgia in that period, but also it left a lot of care and trouble for the future generation how to keep and strengthen the national consciousness and patriotism within the descendants of the exiled Georgians.

The work represents the hard life episodes of the trekked, historical facts, etc. kept in Adjarian folklore, as well as the samples of folk poetry distinctly expressing the life of that time.

ციური ნოზაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ბუნებრივ ენაზე ტექსტის დამუშავების და მართვის ინტელექტუალური ტექნოლოგიების
პრობლემური საკითხები**

კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობა უკვე აღარ განისაზღვრება არც ქვეყნის ზომით და არც მისი ბუნებრივი რესურსებით. ამჟამად ყველაფერს წყვეტს განათლების დონე და საზოგადოების მიერ დაგროვილი ცოდნის მოცულობა, მომავალში სახელმწიფოს ადგილი და მნიშვნელობა განპირობებული იქნება ახალი ცოდნის შექმნის, დაგროვების და ათვისების მოცულობითა და ტემპებით. ამში განსაკუთრებულ როლს ინტელექტუალური ტექნოლოგიები - განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტი თამაშობს. ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიები ინფორმატიკის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი სფერო გახდა. მისი ძირითადი მიმართულებებიდან ტექსტების დამუშავება ბუნებრივ ენაზე, ცოდნის და ცოდნის ბაზების მოდელირება, ცოდნის მართვა, ინტერნეტის ინტელექტუალიზაცია სხვადასხვა ენოვანი მომხმარებლების ინტერნეტ-კომუნიკაციებისათვის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა.

ეს საკითხები დომინანტი ენებისათვის თითქმის გადაწყვეტილია თუმცა ხარვეზები ტექსტების კომპიუტერულ თარგმანებში აქაც შესამჩნევია. განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი მცირე ენოვანი მომხმარებლების წინაშე დგას. ამას ადასტურებს იუნესკოს შეფასებები, რომლის მიხედვითაც 2100 წლისთვის, დღეს არსებული ენების 90% შესაძლოა ჩანაცვლდეს დომინანტური ენებით. აღსანიშნავია, რომ ენების 96%-ზე მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 3% საუბრობს. გლობალიზაციის არსებული ტემპის გათვალისწინებით, სიტუაცია მართლაც საგანგაშოა.

დღეისათვის ინტერნეტში არსებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ინგლისურენოვანია და არის მოსაზრება, რომ ინგლისური გახდება მომავლის ენა, ე.წ. ინტერლინგვა.

ინტერნეტში ქართულენოვანი ინფორმაციის წილი დღეს მხოლოდ 6/1000 %-ია, რაც ძალზედ დაბალი მაჩვენებელია. შედარებისთვის, იგი დაახლოებით 1000-ჯერ ნაკლებია, ვიდრე რუსულენოვანი ინფორმაცია, 17 -ჯერ, ვიდრე, ვთქვათ, ლიტვური. აქვე აღსანიშნავია, ისიც, რომ ჯერ ერთი; ინტერნეტის მომხმარებელთა 70%-ი ინგლისურს არ ფლობს და მეორეც ცოდნის დაგროვებაში მცირეენოვანი საზოგადოებების წილი არცთუ უმნიშვნელოა. გარდა ამისა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ბიზნესის განვითარებისათვის ერთენოვანი მარკეტინგი ვერ უმკლავდება მსოფლიო ბაზარზე არსებულ გამოწვევებს და წარმოაჩენს მრავალენოვანი მარკეტინგის აუცილებლობას. ინტერ- ბიზნესი ვერ დაელოდება იმ დროს, როცა მსოფლიო ერთ ინტერლინგვაზე ალაპარაკდება. შესაბამისად, დღეს, როგორც არასდროს, განსაკუთრებით მწვავედ დგას მანქანური თარგმანის პროგრამების შექმნის საკითხი

და ისეთი მასშტაბის კომერციული კომპანიები, როგორცაა გუგლი და მაიკროსოფტი, რესურსებს არ იშურებენ ამ პრობლემის გადასაწყვეტად¹.

ქართულად მოსაუბრე ადამიანების სიმცირის გამო იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ მათ მიერ შექმნილი ქართულენოვანი კონტენტი დააკმაყოფილებს ინფორმაციაზე მზარდ მოთხოვნილებას. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი აქვს, ეს არ არის სრული გარანტია იმისა, რომ გლობალიზაციის პირობებში, როგორც სრულფასოვან ენას საფრთხე არ ემუქრება. სავსებით რეალურია, რომ ციფრულ ერაში იგი დარჩეს მხოლოდ ოფიციალური, ოჯახურ და ნაცნობ-მეგობრებთან კომუნიკაციის ენად, მაგრამ დაკარგოს სამუშაო, საგანმანათლებლო და ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული ენის ფუნქცია. ამიტომ ერთად ერთი გამოსავალი მანქანური თარჯიმნის შექმნის პროგრამაა.

ამჟამად პროგრამულ ბაზარზე რამოდენიმე ოფიციალური მთარგმნელი პროგრამაა; გუგლის Translate.Google.com, მაიკროსოფტის Translate.com, რომელიც აგრეთვე ინტეგრირებულია მაიკროსოფტის თანამედროვე საოფისე პროგრამებში, ელექტრონული ლექსიკონები - Lingvo, Targmne.com და სხვა.

კომპანიების გუგლის და მაიკროსოფტის მთარგმნელ პროგრამებში, translate. Google.com და translate.com, ლექსიკონში Targmne.com შეტანილია ქართულენოვანი ტექსტების თარგმნის ფუნქცია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თარგმანი მეტად უზუსტოა და ხშირად შინაარსის გაგება გაძნელებულია.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ორიგინალი ტექსტის აზრი დამოკიდებულია არა მხოლოდ თვითონ წინადადებაზე, არამედ კონტექსტზეც, რომელიც დაკავშირებულია სიტყვების მრავალმნიშვნელოვნებასა და სინტაქსურ კონსტრუქციაზე, აგრეთვე თუნდაც შეზღუდულ საგნობრივ სფეროში სემანტიკური სტრუქტურის გლობალური აღწერის და ლინგვისტური კანონზომიერების აღწერის ეფექტური, ფორმალური მეთოდების არსებობის თითქმის შეუძლებლობაზე.

ბუნებრივი ენის გაგება, იქნება ეს ტექსტი თუ დიალოგი ბევრადაა დამოკიდებული საგნობრივი სფეროს ცოდნაზე. ენის გაგება მოითხოვს მოსაუბრის მიზნებისა და კონტექსტის ცოდნას, აუცილებელია ასევე დაუმთავრებელი აზრებისა და სხვანაირად გამოთქმის მხედველობაში მიღება, ასევე ერთი და იგივე წინადადების სხვადასხვაგვარი გაგება, თუნცა ის შეიძლება შედგენილი იყოს გრამატიკული ყველა წესის დაცვით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივ ენაზე ტექსტის მანქანური გაგების მრავალი პრობლემა არსებობს, მოვიტანოთ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად:

1. აზრი-ტექსტის პრობლემა - ანუ ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვანაირად შეიძლება იქნას გაგებული;

2. თანაბარი მნიშვნელობის პრობლემა - ანუ იქნება თუ არა თანაბარი მნიშვნელობის ორი წინადადება: „გალიაში არის სპილო“ და „გალიაში არის ცხოველი ხორთუმიტა და დიდი ყურებით“. ერთი შეხედვით ეს ორი წინადადება თანაბარმნიშვნელოვანია, მაგრამ ჩნდება ეჭვი რაც გამომდინარეობს იქიდან რომ ცოდნის ბაზაში შეიძლება იყოს ცხოველის ორი სახეობა ასეთი ნიშნებით - სპილო და მამონტი;

3. დიალოგის მონაწილეთა მოდელის პრობლემა - დიალოგია მონაწილეებს უნდა ჰქონდეს ცოდნის წარმოდგენის თავსებადი მოდელი, გაგების აუცილებელი სიღრმე, ლოგიკური დასკვნების შესაძლებლობა, მოქმედების შესაძლებლობა;


4. ელიპტიკური კონსტრუქციების პრობლემა;

5. დროითი წინააღმდეგობის პრობლემა და სხვა.

პროგრამასთან ურთიერთობის ენების რანგში შეიძლება იყოს: მენიუს ენა, ბრძანებების ენა, ანკეტის ენა და სხვა. ეს რეგლამენტირებული ენებია, მათში შეიძლება მუშაობდეს გარჩევის გამარტივებული სქემები, მაგ., გასაღები სიტყვები.

ბუნებრივი ენის ფარგლებში განვიხილოთ მისი შეზღუდული ქვესიმრავლე - პროფესიულად ორიენტირებული ქვესიმრავლე. შეზღუდული ბუნებრივი ენის გასარჩევად გამოიყენება პროგრამული კომპლექსი - ლინგვისტური ტრანსლიატორები, რომლის სტრუქტურული სქემა მოტანილია ნახაზზე 1.

¹ www.ena.ge



ნახ.1 პრობლემური ცოდნის წარმოდგენის ენა

როგორც სქემაზეა ნაჩვენები ორიგინალი და დამუშავებული ტექსტი გადიან დამუშავების ერთი და იმავე ეტაპებს შესაბამისი მეთოდოლოგიით (წესებისა და პროცედურების ერთობლიობა), რომლებიც ინახება ცოდნის ბაზაში¹.

თარგმანის სიზუსტე დამოკიდებულია, როგორც ორიგინალი ტექსტის სტრუქტურულ და სტილისტურ გამართულობაზე, ასევე თარჯიმანი პროგრამის მეთოდოლოგიური წესებისა და პროცედურების სისრულეზე.

მანქანური თარგმანის გადაუწყვეტელი პრობლემების რიგს მიეკუთვნება:

- ტექსტის იზოლირებული წინადადებების ფორმალური სინტაქსური ანალიზის არაერთმნიშვნელოვნების გადაწყვეტა;
- ტექსტის ფრაგმენტების სტრუქტურული და აზრობრივი უსრულობის გადალახვა;
- სხვადასხვა საგნობრივი სფეროს ჩართვის მოქნილი ორგანიზაცია, ტექსტის, როგორც მთლიანი წარმონაქმნის გაგების აუცილებლობა.

მთარგმნელი პროგრამები უკეთესად ამუშავებენ სამეცნიერო, ტექნიკურ და საგანმანათლებლო ტექსტებს, რამეთუ მათთვის დამახასიათებელია მასალის მკაცრი თხრობა ანუ უკეთესადაა სტრუქტურირებული.

მარტივი წინადადებების მანქანური თარგმანის შემთხვევაში აზრობრივი და სტრუქტურული სიზუსტე მიღწევადია, თუმცა აქაც თავს იჩენს თითოეული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათა ტოპოლოგიის განსაკუთრებულობა. რთული სტრუქტურის წინადადებების თარგმანის სიზუსტის დაცვა თითქმის შეუძლებელია, რაშიც მომხმარებელი პრაქტიკულად დარწმუნდა.

სალაპარაკო და პუბლიცისტურ სტილში მრავალი სპეციფიკური გამონათქვამებია (კილოები), მაგრამ სიტყვების უმეტესობა პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება. ასეთი თარგმანი გამოსადეგია გაცნობითი თარგმანისათვის, ანუ თარგმანში მოიაზრება ტექსტის ძირითადი თემატიკური მიმართულება და სრულყოფილი თარგმანისათვის საჭიროა ტექსტის ხელით რედაქტირება.

მაგალითისათვის განვიხილოთ თურქულ-ქართული მანქანური თარგმანის პრობლემები და მოვიყვანოთ სხვადასხვა თარჯიმანი პროგრამების საშუალებით სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანის ანალიზი.² ვინაიდან სიტყვათა რიგის ტოპოლოგია ამ ენებში განსხვავებულია, შესაბამისად თარგმანიც სტრუქტურულად ორიგინალისაგან განსხვავებულია.

განვიხილოთ თურქული წინადადება „Benim okuduğum kitap çok interesan“ – „წიგნი, რომელიც მე წავიკითხე ძალიან საინტერესო იყო“. ამ წინადადებაში ზმნასთან „oku“ (კითხვა) გამოყენებულია სიტყვის „რომელიც“ შესაბამისი აფიქსი DIK (duğ). მოვიყვანოთ სხვადასხვა თარჯიმანი პროგრამებით შესრულებული თარგმანის ანალიზი.

¹ <http://www.intuit.ru/studies/courses/46/46/lecture/1376>

² მ. კობერიძე, სიტყვათა რიგის ტოპოლოგია ქართულსა და თურქულში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია, 2014 წლის 12-13 დეკემბერი (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), 2015.

- **თარჯიმანი Translate. Google.com**

თურქულიდან ქართულ და ინგლისურ ენაზე

ორიგინალი: „Benim okuduğum kitap çok interesan“.

მანქანური თარგმანი:

„- მე წავიკითხე ძალიან საინტერესო წიგნი“.

„- I have read a very interesting book“.

ქართულიდან თურქულ და ინგლისურ ენაზე

ორიგინალი: „წიგნი, რომელიც მე წავიკითხე ძალიან საინტერესო იყო“

მანქანური თარგმანი:

„- Okuduğum kitap çok ilginçti.“

„- The book, which I read was very interesting.“

- **თარჯიმანის Translate.com თარგმანი**

თურქულიდან ქართულ და ინგლისურ ენაზე

ორიგინალი: „Benim okuduğum kitap çok interesan“.

სწორი თარგმანი - „წიგნი, რომელიც მე წავიკითხე ძალიან საინტერესო იყო“.

მანქანური თარგმანი

„- მე წავიკითხე ძალიან საინტერესო წიგნი“.

„- I read the book very interesan“.

ქართულიდან თურქულ ენაზე

ორიგინალი: „წიგნი, რომელიც მე წავიკითხე ძალიან საინტერესო იყო“.

მანქანური თარგმანი

„- Okuduğum kitap çok ilginçti“

„- The book, which I read was very interesting“.

როგორც ვხედავთ, თურქულიდან ქართულ და ინგლისურ ენებზე ორივე ტრანსლიატორის მიერ შესრულებული თარგმანი არაა ზუსტი, თუმცა აზრი გასაგებია, მაგრამ დროს ფორმა ყველგან დარღვეულია. ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ თურქულ ენაში სიტყვა „რომელიც“ ზმნის კონსტრუქციაში შედის აფიქსის სახით - „Okuduğum“ – „რომელიც წავიკითხე“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კონსტრუქცია ცოდნის ბაზაში არაა ასახული.

ასევე, თუ თურქულ წინადადებაში გამოყენებულია ამ ენისათვის დამახასიათებელი მაკავშირებელი აფიქსები, ირიბი გამოთქმები, ასევე მიმღეობა და გერუნდები სწორად არ ითარგმნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცოდნის ბაზა და ანალიზის მეთოდოლოგია არასრულყოფილია.

ასეთი უზუსტობების შესამცირებლად მიზანშეწონილი იქნება შემდეგი წესების დაცვა:

- თემატური ლექსიკონის სწორად აწყობა;
- ორიგინალი ტექსტის შინაარსობრივი შემოწმება თარგმანამდე;
- ტექსტის რედაქტირება გრამატიკულად და სტრუქტურულად;
- სწორად გამოვიყენოთ ლექსიკონების პროგრამები;
- კარგად ვიცოდეთ ორიგინალი ტექსტის ენის გრამატიკა და ლექსიკა;
- დროულად შევავსოთ სპეციალური ლექსიკონები ახალი ტერმინებით.

ლიტერატურა:

1. <http://www.intuit.ru/studies/courses/46/46/lecture/1376>
2. web-local.rudn.ru/web-local/prep/rj/files.php?f=pf...
3. ena.ge ენის მოდელირების ასოციაცია
4. <https://ka-ge.facebook.com/notes/537131829685865/>
5. მ. კობერიძე, სიტყვათა რიგის ტიპოლოგია ქართულსა და თურქულში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია, 2014 წლის 12-13 დეკემბერი, (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), 2015.
6. მ. კობერიძე, ც. ნოზაძე, ქართულენოვანი ტექსტების კომპიუტერული მოდელირების საკითხებისათვის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, 24 ივნისი, 2016 (წაკითხული მოხსენება).

Tsiuri Nozadze
Gori State Teaching University
**PROBLEMATIC ISSUES OF INTELLIGENT TECHNOLOGY FOR PROCESSING AND
MANAGEMENT OF TEXT IN A NATURAL LANGUAGE**
RESUME

The article deals processing natural language text with an important area of intelligent technology. That is an important factor in the Internet communication for the small lingual nation. Noting the significant efforts of Google and Microsoft in this direction for the establishment and improvement of relevant transliator.

Analyzed text translation from Turkish language in Georgian, Russian and English languages by translators Google.com and Translate.com. Noted the reasons for the transfer of shortcomings and proposed some ideas to improve the translation result. In particular, the grammatical and structural editing of the original text before the transfer, improvement of the knowledge base, the improvement of specialized dictionaries and others.

მაკა ნუცუბიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სტიქისა და ადამიანის ურთიერთობა გ. რჩეულიშვილის მოთხრობის
„მუნჯი ახმედი და სიცოცხლეს“ მიხედვით**

1958 წელს დაწერილ მოთხრობაში „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ გურამ რჩეულიშვილმა დაგვანახა კიდევ ერთი ახალი სახე ადამიანისა, რომელსაც ცხოვრებამ და ზღვამ ბევრი მისცა, მაგრამ იმავდროულად, ბევრიც წაართვა. სანამ მოთხრობის ანალიზზე გადავიდოდეთ, შევნიშნავთ, რომ ავტორის არაერთი მეგობრის მიერ დასტურდება ის ფაქტი, რომ რჩეულიშვილის ერთ-ერთი კუმირი მწერლობაში ერნესტ ჰემინგუეი იყო. აქვე შევნიშნავთ, რომ ჰემინგუეი, თავისი არაორდინალური ცხოვრების სტილითა და შემოქმედებით, ზოგადად, საბჭოურ სივრცეში, 60-იანელთა კერპს წარმოადგენდა.

ჰემინგუეის შემოქმედებამ, გარკვეულწილად ასახვა პოვა ახალგაზრდა ქართველი მწერლის შემოქმედებაშიც თემატიკის, თხრობის მანერის, სტილისა და გადმოცემის თავისებურებების თვალსაზრისით. „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ ამის ნათელი მაგალითია. დავიწყოთ სათაურით; იგი ასოციაციურად მიემართება ე. ჰემინგუეის მოთხრობას „მოხუცი და ზღვა“; თითქოს ერთნაირი შინაარსი იკითხება სათაურშივე. აქედანვე ნათელი ხდება, რომ თუ მთლიანი პრობლემატიკა არა, უამრავი გადაკვეთის წერტილი ექნება ამ ორ ნაწარმოებს. სიუჟეტის თანახმად, მუნჯი ახმედი ჯანბეგმა, მოხუცმა მეთევზემ, გაზარდა; ასწავლა მას ყველაფერი, რაც თვითონ იცოდა: თევზის ჭერა, ბადის ქსოვა, ზღვაში გასვლა და უამრავი წვრილმანი, რისი ცოდნაც ნამდვილ მეთევზეს აუცილებლად ესაჭიროება. სწორედ მან შეაყვარა ახმედს ზღვა, თუმცა თვითონ ახმედმა არც იცის, როდის უყვარს იგი და როდის არა, მისთვის ზღვა, ერთგვარად, ცოცხალი ორგანიზმია, რომელთან ერთადაც გაიზარდა, რომელიც ასაზრდოებს, რომელმაც ლილი აჩუქა: „თხუთმეტი წლისა ზღვაში ღრმად შესული ათენებდა ღამეს. მისთვის წყალი იგივე იყო, რაც მიწა, უფრო მეტიც: ის აძლევდა თევზს, რითაც ცხოვრობდა. ზღვა მისთვის არც ლამაზი იყო და არც უშნო“ (რჩეულიშვილი :1965:247).

მოთხრობა მოხუცი ახმედის გამოჩენით იწყება. იგი თავის ფარდულში ცეცხლთან ზის, ფეხებს ითბობს და განუწყვეტლივ ფიქრობს, მოგონებებშია ჩაფლული. ვხედავთ, რომ მას ამ მოგონებების გარდა არც არაფერი დარჩენია - მხოლოდ ზღვა და მოგონებები. ეს, ერთი მხრივ, ძალიან სევდიანი სურათია, თუმცა აქვე ვხედავთ მის გაუტეხელ სულსაც. ყველაფრის მიუხედავად, ახმედს ცხოვრებაზე ხელი ჩაქნეული არა აქვს; მოხუცი ქალის შეკედლება ამის მაჩვენებელია. მასში, ახმედში, კაცთმოყვარე ბუნება ბოლომდე შენარჩუნებულია. სიყვარული და ბედნიერება იმ ნათელი დღეებისა, რომელიც ახალგაზრდობაში განეცადა, არ განელებია: „აჰ, ნაპირზე, მიმქრალ ცეცხლთან იჯდა ბებერი მეთევზე, მუნჯი ახმედი, გამბდარი, ჩამოყრილი მხრებით და უძლური სხეულით სიცოცხლეს უნარჩუნებდა კერა“

(რჩეულიშვილი 1965: 245). მართალია, განვლილი ცხოვრება მხოლოდ მოგონებად ქცეოდა მოხუც მეთევზეს, თუმცა მას მოსწონდა ამ მოგონებების დროინდელი ახმედი, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ზღვის საჩუქართან ერთად: „ყველა ამ მოგონებიდან ახლა მხოლოდ ყრუ, უფერული შეგრძნება ჰქონდა მოხუცს გულში. წინათ, სულ წინათ, ამ ახმედისგან შორს, რომელიც აქ იჯდა, ბებერი და უძლური, იყო სხვა ახმედი, ღონიერი, ახალგაზრდა ახმედი, რომელსაც ჰყავდა ლილი“ (რჩეულიშვილი 1965:246).

ახმედის დამოკიდებულება ზღვისადმი განსხვავებული და ორიგინალურია; არც უყვარს და არც ეჯავრებაო - გვეუბნება ავტორი, თუმცა მოთხრობის მანძილზე აშკარად იკვეთება ახმედისა და ზღვის ძლიერი ურთიერთკავშირი, რაც უზომო მიჯაჭვულობისა და სიყვარულის მაჩვენებელია. საყოველთაოდაა ცნობილი თავად გ. რჩეულიშვილის დამოკიდებულება ამ სტიქიის მიმართ; მისი მუდმივი ლტოლვა და სიყვარული, შეიძლება ითქვას, ზღვარგადასული სიყვარული ზღვისადმი და, ალბათ, საბედისწეროც, რადგან სწორედ ზღვაში დასრულდა მისი ძალიან ახალგაზრდა სიცოცხლე. ზღვა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ძალიან დიდ დატვირთვას იღებს მის შემოქმედებაში ზოგადად. ეს კარგად დავინახეთ მოთხრობაში „ნელი ტანგო“, რომელიც თითქოს თავისსავე აღსასრულის წინასწარმეტყველებას წააგავს. მუნჯი ახმედი განსაკუთრებული გრძნობებითაა აღსავსე ზღვისადმი, რადგან „საჩუქარი“ რომელიც მან უძღვნა, მისთვის ფასდაუდებელია. ლილი, გოგონა, რომელიც ზღვამ აჩუქა, ახმედის სიცოცხლის ერთადერთი ნათელი წერტილია. სწორედ ეს ნათელი მოგონება შეინარჩუნა გმირმა ღრმა მოხუცებულობამდე; სწორედ ის უნათებდა გზას გულგრილ სამყაროში, რადგან მას მარტოობაში, სრულიად ეულს, უწევდა ყოფნა.

ზღვა არის ის ძლიერი სასიცოცხლო იმპულსი (ლილის სახით), რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მუნჯი ბიჭისათვის. სწორედ მან დაინახა წყალში პატარა, მიტოვებული ბარკასი, რომლის ძირზეც იწვა შიმშილისაგან გულშეწუხებული მისი საჩუქარი: „იმ ადგილებში თევზაობდა ახმედი მამასთან ერთად; მან პირველმა დაინახა ცარიელი ბარკასი, რომელიც ტალღებზე ქანაობდა: იქით გაცურა. ნავის ნაპირზე პატარა გოგოს უმოდრაო სხეული დახვდა. ნაპირზე ძლივს მოასულიერეს. ლილი ერქვა“ (რჩეულიშვილი 1965:247). ზღვისადმი საოცარი მიჯაჭვულობა ჩანს ერთ ეპიზოდშიც: ერთი პერიოდი ახმედს ნავი არ ჰქონდა და დიდხანს, სანამ ახალს იშოვა, ზღვაში ვერ გადიოდა; ბოლოს და ბოლოს, როცა მოახერხა ზღვაში გასვლა, დიდი სიხარული არც კი უგრძნობდა; ეს იყო ბუნებრივი შეხვედრა, თითქოს დიდი ხნის შემდეგ ოჯახში დაბრუნებულიყოს; ზღვაც, როგორც მშობელი მონატრებულ შვილს, ხელგამლილი შეხვდა: „ამდენი ხნის დაშორების შემდეგ წყალში შესვლას არ გამოუწვევია მის გულში დიდი სიხარული. ეს ამბავი მისმა სხეულმა მიიღო, როგორც აუცილებელი, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მისი არსებობა: პირველივე ბადეები თევზით სავსე ამოვიდა, სანაპიროზე კი თევზი იშვიათი საშოვნელი იყო, კარგ ფასში გაყიდეს ნანადირევი“ (რჩეულიშვილი 1965: 248).

ახმედისთვის ზღვა ლილის გამოჩენამდე სიცოცხლის, არსებობის წყარო იყო, ხოლო საჩუქრის მიღების შემდეგ საერთოდ მისი სულის ნავთსაყუდელიც შეიქმნა: „მას სჯეროდა ზღვის. ზღვა აძლევდა საჭმელს, ზღვამ მისცა ძველი ნავი, იქ დაიჭირა ყველაზე მეტი თევზი და ისევ აყიდინებდა ახალ, დიდ, აფრებიან ნავს. ერთ დღეს, როდესაც ბადეები სავსე იყო თევზებით, ზღვამ მოუტანა ახმედს ლილი“ (რჩეულიშვილი 1965: 248). ახმედისთვის ზღვა ყველაფერი იყო: მისი გამომკვები, სიცოცხლის მიმცემი, ამხანაგი, მაგრამ გაცილებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა ამ სტიქიამ ლილისადმი გრძნობების გაჩენის შემდეგ. მუნჯი ბიჭისთვის ის გახდა გრძნობების გამოხატვის საშუალებაც. სწორედ ზღვაზე, თევზის ჭერის დროს მოხდა მათი პირველი დაახლოებაც და მერე, ნაპირისკენ დაბრუნებისას, მან ახალი რამ აღმოაჩინა თავისთვის: „ახმედი მძიმედ უსვამდა ნიჩბებს, ახლა მან იცოდა, რომ ზღვამ თევზის ჭერაში დახმარებასთან ერთად აჩუქა ცოლი“ (რჩეულიშვილი 1965: 249).

უკვე ცოლიან ახმედს, რომელსაც საყვარელი ლილისადმი გრძნობების გამოხატვა ძლიერ უჭირდა, მხსნელად ისევ ზღვა მოველინა. იგი ყრუ ტკივილს გრძნობდა იმის გამო, რომ ქალს ვერ უხსნიდა და ვერ უჩვენებდა, თუ როგორ ძლიერ უყვარდა, მხოლოდ ზღვაში გასვლის შემდეგ, ნაპირზე დარჩენილმა ლილიმ შეიგრძნო ქმრის სიყვარულის ძალა: „... ძალიან უნდოდა ეთქვა რამე ლილისთვის: მას უყვარდა ზღვა, ზღვაზე მეტად მისი საჩუქარი - თავისი ცოლი, მაგრამ არ იცოდა როგორ გამოეხატა ეს გრძნობა. მან არც ის იცოდა, რა ერქვა იმას, როცა რაიმე სიამოვნებდა, თანაც ყველაზე ძალიან. ყრუ ტკივილი იგრძნო, რომ ვერ გააგებინა ცოლს თავისი ფიქრი, წამოდგა, მძლავრი ზიძგიით შეაცურა ნავი წყალში, პირველივე ნიჩბის მოსმით გადაახტუნა ერთ ტალღას, მერე მეორეს. ლილი ნაპირზე იდგა და ხელს უქნევდა, ის ხმამაღლა კისკისებდა, ახმედმა მარცხენა მალა აწია, თეთრი, მსხვილი კბილები გამოაჩინა გაცილების მაგიერ. ის ბედნიერი იყო, ზღვაში შესული ახმედისა ესმოდა ცოლს“ (რჩეულიშვილი 1965:250).

აკ. ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ ერთგან აღნიშნავდა, რომ კომპარტია, ძალიან უფრთხოდა სიყვარულის თემატიკას. მისი დაკვეთით მომუშავე „მწერლებისთვის“ გაცილებით მარტივი იყო შაბლონური ოჯახური იდილიის აღწერა (რაც, როგორც ოჯახის ტროპი, ისევ და ისევ პარტიის იდეალების სადიდებლად იქმნებოდა). ღრმა გრძნობების წარმოსაჩენად, მწერლები მიმართავდნენ

„არასწორი სიყვარულის“ დემონსტრირებას; ანუ, გმირს შეიძლება შეჰყვარებოდა ნამდვილი, წრფელი სიყვარულით, მაგრამ ეს გრძნობა მისთვის აუცილებლად დამღუპველი აღმოჩნდებოდა.

გ. რჩეულიშვილთან სრულიად განსხვავებულ სურათს ვხედავთ; მასთან სიყვარული და ამ გრძნობასთან დაკავშირებული ტრაგიზმი ან სხვა სახის განცდები, ცალსახად სუბიექტურია, ორგანულია და არანაირი შთაგონებიდან არ მომდინარეობს. გასაანალიზებელ მოთხრობაში წარმოჩენილი მუნჯი ადამიანის გრძნობების გადმოცემა, ცხადია, სირთულეებს უკავშირდება, რადგან, უპირველეს ყოვლისა, გამორიცხავს გმირის მხრიდან ლექსიკური ერთეულების გამოყენებას; თუმცა მწერლის მხატვრული მიგნებები იძლევა იმის საშუალებას, რომ მკითხველმა გააცნობიეროს და გაიზიაროს ახმედის წრფელი და უანგარო განცდები, რომელიც არანაირ კავშირში არ არის სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ თუ სოციალურ ცვლილებებთან; იგი ბუნებისა და ზღვის შვილია და სიყვარული ზღვასავით უსაზღვრო შეუძლია: „დამდებოდა და თენდებოდა. კმაყოფილების რიტმით ივსებოდა ახმედის გული. გრძნობდა ჭარბ ძალას ხელებში, რომლითაც უსვამდა ნიჩბებს და რომლითაც ბავშვივით აყვანილი ეჭირა ლილი. ახლა მისი ასე ტარება ყველაზე ძალიან შეუყვარდა ახმედს. დადიოდა ქვიშიან ნაპირზე. მკლავებზე გადაწვენილ ცოლს არწევდა, თან მის წამოსულ მუცელს უყურებდა. ახალი ძალა იღვრებოდა მის გულში” (რჩეულიშვილი 1965:252). მეტყველებაწართმეულ ჭაბუკს ისევ ზღვა ევლინება მხსნელად. ისევე როგორც ამ მოთხრობის ავტორისთვის, მუნჯი ახმედისთვისაც ზღვა არის მფეთქავი, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ყოველთვის მის გვერდითაა და ახალი, სასიცოცხლო ძალებით ავსებს მას.

იმის მიუხედავად, რომ მოთხრობის მანძილზე ნელ-ნელა ეცლება საყვარელი ადამიანები გმირს, იგი მაინც არ არის მარტო. თუმცა ტკივილი, რომელსაც ახმედი განიცდის, იმავე ზღვასავით უსაზღვრო და უნაპიროა: „- ჯერ ახალგაზრდები ხართ, - ყრუდ თქვა ჯანბეგმა. ლილიმ ამოისლუკუნა, ახმედმა სიბნელეში გაარჩია, როგორ შეირხა მისი მხრები და გული შეეკუმშა. მისი სხეული ჰაერში სიკვდილის, სიმარტოვის სუნსა გრძნობდა, პირველად თავის სიცოცხლეში მოუნდა ტირილი, მაგრამ არც ლილისთან მისვლა შეეძლო, რომ მოფერებოდა” (რჩეულიშვილი 1965:254). შვილის სიკვდილმა შეძრა მუნჯი მამა. მან იგრძნო, რა ფენომენია იგი, პირველად შეეჩება ასე პირისპირ მას. აღსანიშნავია, რომ ეს ეპიზოდიც უკავშირდება ტაბუირებული სიკვდილის თემის ახლებურ გააზრებას „დათბობის“ პერიოდის ლიტერატურაში. საქმე ისაა, რომ სოცრეალისტურ ლიტერატურაში მიზანმიმართულად უვლიდნენ გვერდს ეგზისტენციალურ საკითხებს, მათ შორის, სიკვდილის ფენომენის გააზრებასაც. რა თქმა უნდა, იწერებოდა ნაწარმოებები, რომლებშიც დადებითი გმირი იღუპებოდა (როგორც წესი, მტრის ხელით), თუმცა მწერალი ასეთ ფინალს იყენებდა დადებითი გმირის მიერ წამოწყებული საქმის უკვდავსაყოფად; როგორც წესი, გმირის საქმის გამგრძელებლად მოიაზრებოდნენ ის პერსონაჟები, რომლებიც იდეურ სიახლოვეს ამჟღავნებდნენ ტრაგიკულად დაღუპულ გმირთან და მისგან ესტავეტით გადმოეცემოდათ კომპარტიისა და კომუნისტების მშენებლობის დიადი იდეალები. მათგან განსხვავებით, გურამ რჩეულიშვილმა სიკვდილის ფენომენი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილად გაიაზრა; ნათლად წარმოაჩინა მისით გამოწვეული მძაფრი შეგრძნებები (ამით იგი წინარე საუკუნეების ქართველ კლასიკოსებს უახლოვდება). მუნჯი ახმედი სიტყვების გარეშეც კი, განსაკუთრებით მძაფრად განიცდის სიკვდილის მოახლოებას: „- ახმედ, ასეთი გაჩნდა, იცა? მკვდარი! - ქვითინებდა ლილი. ახლა, როგორც არასოდეს, უნდოდა რომ ქმარი მისულიყო და მოაღერებოდა. ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი, მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი - პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი” (რჩეულიშვილი 1965: 254).

სიკვდილი კიდევ ერთხელ აკითხავთ მათ, როცა მოხუცი მამა, მეთევზე ჯანბეგი კვდება; ახლა იგი გაცილებით მძაფრად შეიგრძნობა, რადგან ლილის ერთადერთი მოლაპარაკე ეცლება ხელიდან; ადამიანი, რომელიც შვილის სიკვდილის შემდეგ სულების ხმებით აფორიაქებულ ქალს, ღამის სიჩუმეში გაძლებას უადვილებდა. მოთხრობის აბსოლუტურად რეალისტურ ფონზე, მოსაუბრე სულები იმ ბოროტ ძალად მოიაზრება, რომელიც მკვდარი ჩვილის დაბადების შემდეგ ისადგურებს პატარა ქოხში. ჯანბეგის სიკვდილის შემდეგ ლილი უხმო ქოხში მუნჯი მეუღლის ანაბარა რჩება, რაც საბოლოოდ მისი დაკარგვის (ან გარდაცვალების) მიზეზი შეიქმნება: „ერთხელ თევზაობიდან დაბრუნებულ ახმედს სახლი ცარიელი დაუხვდა. აღარ იყო იქ ლილი. იჯდა ახმედი მარტო ცივ, პატარა ქოხში და გრძნობდა, ის ვინც უკითხავად წავიდა, აღარასოდეს დაბრუნდა” (რჩეულიშვილი 1965: 259). სრულიად მარტო დარჩენილ მუნჯ ახმედს ისევ და ისევ ზღვა აგონდება და ხვდება, რომ ის ერთადერთია, ვინც არასოდეს მიატოვებს მას. ნინო გოგიაშვილი აღნიშნავს: „რჩეულიშვილის ზღვა პირდაპირ და ცალსახად წარმოადგენს ცხოვრების სიმბოლოს. ლილის სიკვდილის შემდეგ მუნჯი ახმედი ისევ ზღვის იმედზე რჩება (გოგიაშვილი ნ. ზღვა, როგორც ცხოვრების სიმბოლო, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში <http://www.nplg.gov.ge/>). სრულიად მარტო დარჩენილი მუნჯი ახმედი ისევ ელოდა დამტვრეული ბარკასის ნახვას, ისევ ელოდა ზღვისგან საჩუქარს, თუმცა ამაოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ამას არ გაუბოროტებია იგი, პირიქით, მისი ცხოვრება მხოლოდ თევზაობით აღარ შემოიფარგლებოდა, ახლა იგი ყველას დამხმარედ და მხსნელად

ველინებოდა: „ახმედის ძალა ეხმარებოდა თევზით ღარიბებს, იკედლებდა ღამის გასათევად მგზავრებს, არჩენდა ზღვის ტალღებიდან სხვის სიცოცხლეს. მისთვის სიცოცხლის გადასარჩენად არ არსებობდა წინააღმდეგობა. მან, მარტო დარჩენილმა, ყველაზე კარგად იცოდა, რა იყო სიკვდილი. მას ხომ სიკვდილმა წაართვა ლილიც - ასე ფიქრობდა ის” (რჩეულიშვილის 1965: 260).

რჩეულიშვილის თანახმად, ზღვა ცხოვრებაა, ბედისწერაა, გარდაუვალობაა; ცხოვრებას მოაქვს სიცოცხლე, სიყვარული, შვილი; მოაქვს ასევე სიკვდილიც, როგორც ყველა მოკვდავის გარდაუვალი დასასრული. ახმედი თავიდან ბოლომდე შეიგრძნობს ამას, მაგრამ სასოწარკვეთას არ მიეცემა. მკითხველს საფუძვლიანად უჩნდება ასოციაციური პარალელის გავლების სურვილი ჰემინგუეისთან („მოხუცი და ზღვა“); იქაც მოხუცია, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ზღვის ერთგულია; სწორედ ზღვამ მისცა მას დიდი თევზი, როგორც ბედისწერა; მისთვის ზღვა ხან ჭირვეული, ხან მოსიყვარულე, ხანაც გაბრაზებული მშვენიერი ქალია, რომელზეც იგი მუდამ სიყვარულით საუბრობს, სხვა მეთევზეებისაგან განსხვავებით: „ოკეანე კეთილი და მშვენიერია, მაგრამ ზოგჯერ უცერად გაავდება... გუნებაში მოხუცი ზღვას ყოველთვის La mar-ს ეძახდა, როგორც მას ეძახიან ხოლმე ესპანურად ის ადამიანები, რომელთაც უყვართ ზღვა” (ჰემინგუეი 1983:180). მუნჯი ახმედი ძალიან ჰგავს მოხუც სანტიაგოს; ორივესთვის ყველაფრის საწყისი და დასასრული სწორედ ზღვა არის; მათ სიყვარულიც ერთნაირი აქვთ - სანტიაგოსთვის იგი ქალია, ახმედს კი, მან ლილი აჩუქა; სანტიაგო ბედისწერას - თევზს - ებრძვის, უძალიანდება როგორც შეუძლია; ახმედი თავს დამტყდარ უბედურებას - მარტობას - ზღვაში გასვლით იქარვებს. მოთხრობის ფინალში მუნჯ ახმედს, უკვე ძალაგამოლეულ მოხუცს, ერთი მოხუცი ქალი შეუფარებია და ერთადერთი, რასაც თავგამოდებით ცდილობს, კერიაში ცეცხლის არჩაქრობაა. ამდენი სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე მაინც გრძელდება; მართალია, იგი ახმედის სულიერ სატკივარს ან უსაშველო მარტობას ვერ უმსუბუქებს, მაგრამ მაინც გრძელდება. სიცოცხლე ხომ, ზღვასავით უკიდევანო და დაუსრულებელია. ჰემინგუეის მოხუც სანტიაგოს ცხოვრებას ბიჭი უხალისებს; რჩეულიშვილის ახმედს კი - მოხუცი სედარი და ლეკვის მეტი არაფერი დარჩენია, თუმცა იგი ცეცხლს კერაში მაინც ინარჩუნებს. ამ ორ პერსონაჟს ძალიან ბევრი აქვს საერთო.

ინგლისელი მწერალი ჯეიმს ალენი თავის წიგნში „როგორ აზროვნებს ადამიანი“ წერს: “ბევრი ადამიანი დაჟინებით მიისწრაფვის საკუთარი ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ საკუთარი თავის გაუმჯობესებისათვის მზად არა არიან. სწორედ ამ მიზეზით ისინი შებოჭილებად რჩებიან” (ალენი 2014:9). იმავეს ვერ ვიტყვით მუნჯ ახმედსა და სანტიაგოზე. ისინი არ იღვწიან საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ისინი თავის გატანისა და გადარჩენისათვის შრომობენ. მათთვის მატერიალურს არ აქვს მნიშვნელობა. მათი ზრუნვა გარშემომყოფების მიმართ (ახმედი-ლილი, ჯანბეგი, სედა და სანტიაგო-დამხმარე ბიჭი) უსასყიდლო და უანგაროა, ზღვასავით უსასრულოა მათი ფიქრიცა და მოთმინებაც. სწორედ ეს მატებს მათ გმირებს ინტერესს, რომელიც არ ნელდება დროის გასვლასთან ერთად. ალბათ ჰემინგუეით მოხიბლული გურამ რჩეულიშვილი კიდევ მრავალ მსგავს ნაწარმოებს შექმნიდა რომ დასცლოდა.

ლიტერატურა:

1. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, თბილისი, 1965.
2. ჰემინგუეი ე., მოთხრობები, თბილისი, 1992.
3. ალენი ჯ., როგორ აზროვნებს ადამიანი, თბილისი, 2014.

Maka Nutsubidze

Sokhumi State University

THE RELATION OF NATURAL DISASTER AND HUMAN, ACCORDING TO THE STORY OF GURAM RCHEULISHVILI “LIFE AND DUMB AHMED” RESUME

The art of Guram Rcheulishvili gives us very interesting material for research and discussion. His work raises issues, that were not widely discussed in the Soviet literature. However, his short career was coincided with a so called "thaw" period in the literature, and this too has led to the diversity of some raised issues.

It's very typical for Rcheulishvili to feel the sea as a living organism. "Life and Dumb Ahmed" is the story, which tells about relationship of man and the sea on various aspects, their close ties or problems. For analysis we have shown semantic connection to Rcheulishvili's beloved American writer Ernst Hemingway, with whom he is very closely related according to the themes of this story, even the titles. The leitmotif of both story are the relation of lonely person with sea. So they have a lot of common features. It's not out of interest to pay attention on some aspects.

სოფელ ახალშენის ონომასტიკური მასალები

სოფელი ახალშენი მდებარეობს შიდა ქართლში, მდინარე ფცის ფრონეს ხეობაში. ვახუშტი ბაგრატიონი „საქართველოს გეოგრაფიაში“ ხეობის აღწერის დროს არ ასახელებს სოფელს, მაგრამ დატანილი აქვს თავის მიერ შედგენილ რუკაზე საკულტო ნაგებობის ნიშნით. მაშინ სოფელი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მდინარის მარცხენა მხარეს, შემადლებულ ადგილზე მდებარეობდა (ბაგრატიონი ვ., 1997, 209). სოფელს, როგორც „მოსახლეს“ აღნიშნავს მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი მოღვაწე ი. ბაგრატიონი (ბაგრატიონი ი., 1986, 43).

ხეობისა და სოფლის შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა „რუსის საეპისკოპოსოს დავთარი“, რომელიც 1715 წელს შეუდგენია რუსის ეპისკოპოსს ნიკოლოზ მროველს. ამ დროისათვის ახალშენი დიდი სოფელი ყოფილა, რომელიც ძირითადად გაშენებული იყო სოფელ არამგამას ტერიტორიაზე, რომელიც მთა ლებეურის ჩრდილოეთის განშტოებაზე ვრცელ მამულებს ფლობდა. მოხდა ისე, რომ დროთა განმავლობაში ახალშენი გაიზარდა და მას შეერწყა არამგამა, ეს უკანასკნელი ნასოფლარად იქცა.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როგორც აღინიშნა ახალშენი დიდი სოფელია, სადაც სახლობდნენ ჩუბინიშვილები, იობაშვილები, ხუციშვილები, ჯიბორიშვილები, ზუბიაშვილები, ჟოჟუაშვილები, ბიძინაშვილები, პაპუნაშვილები, შიომშვილები, მესხები, გოჩაშვილები. აღნიშნული გვარების კვლევისას მთელი რიგი საკითხები გამოიკვეთა, რომელთა დაზუსტება საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა.

როგორც ინფორმატორები მოგვითხრობენ მესხების გვარი თურქთა აგრესიის შედეგად ხიზაზავრიდან მოვიდა და გვარად სატომო სახელი აიღეს. მათი ძველი გვარი კი მაისურაძე ყოფილა. ხუციშვილიც მესხეთიდან არის მოსული, ასევე კვესაძე და ჟოჟუაშვილი. კასრაძე მოსულია დიდი ლიახვის სოფელ ქემერტიდან, ხოლო უფრო ადრე კავკასიის მთიანეთიდან, კერძოდ კასრის კარიდან და მათაც გვარად საგეოგრაფო სახელის ფუძე აიღეს - კასრ-კასრაძე. კასრაძეებს კონფლიქტი მოსვლიათ აზნაურ ქემერტელიძის მოურავთან და მესისხლეობის გამო ფრონეს ხეობაში გახიზნულან. სადღობელაშვილი მოსულია ზემო იმერეთიდან, როგორც მიუთითებენ, ისინი თავად აბაშიძის ერთ-ერთი განაყარი ყოფილა და სოფელ ჭალადან ფრონეს ხეობაში მოსულებს გვარად სადღობელაშვილი აუღიათ.

დღეს სოფელი ძველ ადგილზე აღარ არის, იგი გაშენებულია მდინარე ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, ძველი ადგილები კი ისევ მათ საკუთრებაშია, ოღონდ საიალადოდ. დღეს სოფელი სანახევროდ დაცლილია. ძველი გვარებიდან სახლობენ: მესხი, სადღობელაშვილი, ხუციშვილი, კასრაძე, ბუზალაძე მოსულია ამავე ხეობის სოფელ ოქონადან, ფეხშველაშვილი დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ხეთიდან, ღონლაძე იმერეთიდან, რომელთა დიდი ნაწილი გორის რაიონის სოფლებში არიან და იწერებიან ღონლაძედ.

1715 წლის აღწერის დავთრებიდან დღეს სოფელ ახალშენში აღარ არიან: ზუბიაშვილები, რომელიც გორის რაიონის სოფელ ზერტში გადასახლდნენ. ჟოჟუაშვილები გორში და მიმდებარე სოფლებში, ქიტიაშვილები ძირითადად ქარელის სოფელ ხვედურეთში, ბიძინაშვილები გორის სოფელ ბერშოეთში. ახალშენსა და არამგამაში მცხოვრები იობაშვილები ერთი ოჯახის განაყრებია და დღესაც ნათესაობენ. ნასოფლარ არამგამაში, რომლის მამულები უკვე ახალშენის შემოგარენშია, ეწოდება „არამგამები“. ამ ადგილებში ახლაც არის იობაანთ მიწები, რომლებიც დაახლოებით 6 ჰექტარია. აქვე სახლობდა გვარი დვალი და არის დვალიანთ ადგილი, იქვე ბუჩქნარი და ნასახლარებია.

ძველი 1715 წლის ანთროპონიმებიდან ასევე დავადასტურეთ მაშინდელი მცხოვრები პიროვნების ბერი პაპუნაშვილის - პაპუნაანთ ტბა და ბერის წყარო, რომლებიც აღნიშნავენ სახნავ-სამოვარსა და ჰიდრონიმს. ვაკე ადგილებს სოფლის სამხრეთით ეწოდებათ ზუბიაანთ ვაკე და ბიძინაანთ ხევი.

გვარის წარმოების დროს ძირითადად დაჩნდება -ანთ სუფიქსური წარმოება, რომელიც საკუთრებას გამოხატავს:

მესხიანთ (მესხი) უბანი, კასრაანთ (კასრაძე) უბანი, სადღობელაანთ (სადღობელაშვილი) უბანი, ახალ უბანი, სადაც სხვადასხვა გვარებია განსახლებული. ჭალის უბანი მდინარის მარცხენა მხარეს. აღსანიშნავია, რომ ძველი სოფლის არამგამას მამულების ძირითადი მფლობელები სადღობელაშვილები

არიან. ასევე არის ფილიანთ (ფილიშვილი) უბანი. ღონღამიანთ (ღონღამე) უბანი, ბუზალამიანთ (ბუზალამე) უბანი.

შტოგვარის საწარმოებლად - ანთ სუფიქსია გამოყენებული. ხუციშვილების შტოგვარებია: მგელიანთი, ტოლუბაშიანთი, თევდორანთი.

კასრამეების შტოგვარებია: ლაღანთი, იოსებანთი, თაზიანთი, ლაღოანთი.

სადღობელაშვილებისა: შოთაანთი, თამაზაანთი, მიხაანთი.

ფეხშველაშვილებისა: ვანოანთი, თამაზაანთი.

ღონღამეებისა: შერმაზაანთი, რამაზაანთი.

ტოპონიმებიდან კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება წყალი, წყარო, ახო, ხევი, მთა.

წყალი: ფილიანთ წყალი, აბგარას წყალი, ზუნას წყალი, ხუციანთ თევდორეს წყალი, გიორგის წყალი (იობაშვილი)

წყარო: ყარამანის წყარო, არსენას წყარო, სოფლის წყარო, ფეხშველაანთ წყარო, გიორგის წყარო, ცივი წყარო, ჟუჟუნას წყარო, გიორგას წყარო, კოტეს წყარო. აქვე კოტეს ველი (სადღობელაშვილი).

ახო: მათეს ახო, დათას ახო, მალღა ახო, ბესას ახო. იესეს ახო, ზურას ახო.

ხევი: ფილიანთ ხევი, ხუციანთ ხევი, მოკლე ხევი, გადასავარდნი ხევი, ჩიტუნების ხევი.

მთა: სერი მთა, ნამყენების მთა, პეტრიაულების მთა.

ძველ ნასოფლარში ვრცელი მამულებია, სადაც ითესებოდა მთელი რიგი კულტურები და სოფელი ყოველთვის ეკონომიურად უზრუნველყოფილი იყო. ყოფილის შინაარსი აქვს მინიჭებული -ნა, -სა, -არ დანიშნულების აფიქსებს.

პრეფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებს: ნადიკვარი ნასოფლარის აღმოსავლეთით, სადაც დიკა ითესებოდა, ნაპურალი აქვეა. ეს მამულები ძირითადად სადღობელაშვილების საკუთრება იყო. ნასიმინდარი, რომელიც ძირითადად ხუციშვილებს ეკუთვნოდათ და მდებარეობს ზემოხსენებულ ხუციანთ წყაროსთან, ეწოდება ხუციანთ ტბები.

ნასახლარები - ეს ადგილები ნასოფლარ არამგამაშია. ნასერვალი, სადაც სელი მოჰყავდათ.

სანამყენე, სადაც ხილის ნერგები გამოჰყავდათ, ბაღები გაშენებულია მდინარის მარჯვენა მხარეს. სანახშირე, ეს იყო ბუნებრივი საბადო სადაც ნახშირს მოიპოვებდნენ სოფლები და ოჯახებში გასათბობად იყენებდნენ. ეს ადგილები ძველ სოფელში ლოკალიზდება. 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში სოფელ ახალშენში გვხვდება საკუთარი სახელები, რომლებიც ხმოვან ა-ზე არის დაბოლოებული, მაგალითად: თევდორა, დათუნა, რამაზა, პაატა, ზაქარია (თაყაიშვილი, 1907, 126). ასეთი ფორმით გვხვდება დღეს საკუთარი სახელები: დათა, ლადიკა, ჟორა, მიშა, გრიშა, შოთა, შაქრა, ზურა და სხვები. მიგვაჩნია, რომ ასეთი სახელები კუთხური კოლორიტის გამომხატველია. ამავე დროს ის ფუძის კომპონენტია და არა სუფიქსური ფორმანტი.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997.
2. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
3. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, ტფ., 1907. (დავთარნი ანუ მატანე რუისის სამწყსოისა).

Nikoloz Otinashvili
Gori State Teaching University
ONOMASTIC INFORMATION ABOUT AKHALSHENI
RESUME

Akhalshen: is a village in Shida Kartli, next to the river of Ftsa. It's a ravine of Frone. The village is mentioned in writings, which authors were famous scientists Vakhushhti Bagrationi and Ioane Bagrationi. Formerly the village was situated on the left side of river, in a high place.

Nowadays this village isn't similar to old one, because it's on the right side of the river, and it's half occupied.

I through writing, which was created in 1715 there aren't the following surnames in the village: Zubiashvili, Zhozhuashvili, Otiashvili, Bidzinashvili and Iobashvili. Except that, here are some townships that are established through surnames. Townships of Meskhi, Kasradze, Sadgobelashvili, Philishvili, Ghongadze, Buzaladze. Township of chald it's on the bank of the river and there are different ones: Khutsishvili and Pheshvelashvili. Townships and original surnames are stamped formed. And there is used Georgian suffix Ant.

We have to underline that we can find some surnames which are similar to old ones and there old ones aren't used nowadays anymore. Nut trees of Zhozhuashvili. Qitishvilis hand mill. Qitishvili createe the hand mill that was on the left bank of Frone and the handmill was used by other inhabits from the other villages.

Also there was a lake and on the bank there had lived Papunashvili. The lake is small.

Research and published information about the village is popular.

ზურაბ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

900-ნი წლების ეროვნულ-სოციალური ბრძოლის სურათები ნიკო შიუკაშვილის პიესაში „სულელი“

XX ს-ის დასაწყისის ქართული დრამატურგიის განმსაზღვრელი თემატიკა ძირითადად ოჯახურ-ყოფითი ხასიათის იყო, მაგრამ 1905-07 წლების მოვლენებმა ერთობ გააფართოვა დრამატურგთა ამ თაობის თხზულებების თემატურ-სიუჟეტური რეალი. ახალი სახე-ხასიათებით გაამდიდრა ქართული მწერლობა. სხვა ქართველ დრამატურგებთან ერთად მიმდინარე პროცესებს აქტიურად გამოეხმაურა დიდი ილიას ეროვნულ იდეებზე აღზრდილი თვალსაჩინო ქართველი დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი (1870-1938). მის შემოქმედებაში მხატვრულად აისახა 900-იან წლებში რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის სურათები. ეს თემა ორიგინალურადაა გაშლილი დრამატურგის მეტად პოპულარულ პიესაში „სულელი“ (1908 წ., - I ვარიანტი, 1936 – II ვარიანტი)

„სულელი“ XX საუკუნის ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ პიესას, უნდა შევხედეთ მის შინაარსსა და ხასიათზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ათეული წლების მანძილზე მიჩქმალული იყო 1905-07 წლების რევოლუციური გამოსვლების ჭეშმარიტი არსი. აღნიშნული წლების გამოსვლებს საქართველოში რუსეთის რევოლუციასთან აიგივებდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ რა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციებს, ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა მემამულური კლასის ინტერესების დამცველად და ნაციონალისტებად გამოაცხადეს. მათი მოძღვრების მიხედვით ეროვნული საკითხი კლასობრივს ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოსა და რუსეთის მშრომელ მასებს უნდა ჰქონოდათ ერთი საბრძოლო ამოცანა. ისინი (ქართველი მარქსისტები) ივიწყებდნენ, რომ რუსეთს ჩვენგან განსხვავებით ეროვნული საკითხი არ აწუხებდა.

ილიას ეროვნული მოძრაობის პროგრამა ითვალისწინებდა სოციალურ საკითხსაც, რასაც თვალნათლივ ამტკიცებს მთელი მისი შემოქმედება, ამდენად, ამ ორი დიდი მოტივის ურთიერთდაპირისპირება ხელოვნური იყო და მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. არავინ უარყოფს მშრომელი ხალხის დიდ როლს რევოლუციებში, მაგრამ მათი ეროვნული ინტერესების გარეშე წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან სწორედ ეროვნული ჩაგვრა აორმაგებს ხალხის ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. საქართველოში სწორედ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმართავდა რევოლუციების ხასიათს. ეროვნული ხასიათის გამოსვლების გამო თვითმპყრობელობა სასტიკად უსწორდებოდა საქართველოს. ცნობილი ფაქტია, როგორ ემუქრებოდა დასავლეთ საქართველოს შოვინისტი გენერლის - ალიხანოვ - ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და მთელი ქართული საზოგადოებრიობის უდიდესი ძალისხმევის შედეგად აცილებულ იქნა. უამრავი ადამიანი გადაასახლეს საქართველოდან. ჩამოახრჩვეს სამასზე მეტი ადამიანი. თუ ამას მივუმატებთ ბრძოლებში დაღუპულთ, ნათელი გახდება ის დიდი მსხვერპლი, რომელიც გაიღო ქართველმა ხალხმა 1905-07 წლების განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ყოველი შემოქმედი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობს იპოვოს გმირი, რომელსაც თავის იდეალებს დაუკავშირებს და ბოლომდე ანდობს მას. ასეთად შიუკაშვილმა თავადი ბარათაშვილი ჩათვალა. იგი მკითხველის წინაშე წარსდგება როგორც ზნეობრივი გმირი, ერთგული ჯარისკაცი თავისი ქვეყნისა. გიორგის აზრით, სამართლიანობა, ზნეობრიობა, ეროვნული თავისუფლება, უმაღლესი

ვასეულობებია და იგი მსხვერპლს მოითხოვს. გიორგი ბარათაშვილი ქართველი ხალხის წიაღში აღზრდილი ტიპიზირებული სახეა, რომლისთვისაც სამშობლო და მშობელი ხალხი ხატად ქცეულა. მას გასიგრძეგანებული აქვს, რომ რუსული თვითმპყრობელობის დამსხვრევის გარეშე ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვება შეუძლებელია. იგი პიესის ცენტრში დგას. ბარათაშვილი შეთქმულთა ორგანიზაციის აქტიური წევრია. მისთვის სისულელე ფარია, რათა უფრო ღრმად ჩაიხედოს სასახლის ინტრიგებში. ამ ახალგაზრდაში იგრძნობა დიდი თავგანწირვა, ურყევი რწმენა ცხოვრების ნათელი მომავლისა. შიუკაშვილს თავისი სხვა გმირებისგან განსხვავებით, ბარათაშვილისთვის მიუნიჭებია მტკიცე ხასიათი, ძლიერი ნება, რომელიც მაშინაც არ ჰკარგავს წონასწორობას, როცა სიკვდილს უყურებს თვალებში.

ნიკო შიუკაშვილის პიესა „სულელის“ პათოსი მიმართულია საქართველოში რუსეთის სახელმწიფოებრივი რეჟიმის წინააღმდეგ. ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა ასეთია: ფრიად განსწავლულმა თავადმა გიორგი ბარათაშვილმა შეთქმულთა ჯგუფისგან ურთულესი დავალება მიიღო - შეაღწიოს მთავარმართებლის შენობაში. დრამატურგმა ორიგინალურად გადაწყვიტა ეს საკითხი: გიორგის სულელის ნიღაბი მოარგო - პიესაში მხოლოდ მისი ლაზღანდარობა ისმის, არ ჩანს საქმიანობა, მაგრამ საოცრად მდიდარი ქვეტექსტების მეშვეობით ვიგებთ, რომ იგი ერთ წუთსაც არ კარგავს უქმად და აგროვებს ყველა საჭირო მასალას, რაც მოძრაობას სჭირდება. ნაწარმოებში ძირითადი იდეური დატვირთვა „სულელზე“ მოდის. მთავარი კონფლიქტები და წინააღმდეგობანი მასთან მიმართებაში იქმნება და იხსნება. ძველი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლობა მას საშუალებას აძლევს დაიკავოს ადგილი კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში. ამაში ბარათაშვილს ხელს უწყობს შესანიშნავი გარეგნობა, რითაც დაინტერესდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი - ბარონესა შტრონგერი. გიორგი თავს ისულელეებს, ამით ცდილობს თვალი აუხვიოს ყველას და განახორციელოს საიდუმლო დავალება (მოკლას ქართველთმომძულე მთავარმართებელი და გენერალ-გუბერნატორი). უკანასკნელ წუთებში იგი ამას ვერ ახორციელებს. მას შეიპყრობენ. მასთან ერთად აპატიმრებენ ლიზისაც - პოლკოვნიკ გაუფმანის დისწულს. ბარათაშვილმა თავისი სისპეტაკით დაარწმუნა გოგონა, რომ მისი მამა ქართველებმა კი არა, საკუთარმა ბიძამ მოკლა. ლიზი შურს იძიებს და ტყვიით განგმირავს თავის დედის ძმას.

ამ ბრძოლაში ბარათაშვილი მარტო არ არის, მას გარედან ზურგს უმაგრებენ მეგობრები, რომელნიც არ ჩანან პიესაში, მაგრამ უთუოდ არსებობენ: „ორწმუნებიან, ეუბნება კანცელარიის მმართველი შტრონგერს, რომ მთელი წრე ახალგაზრდა, განათლებულ პირთაგან არისო შემდგარი ... ათ კაცს თავი აქვს გადადებული და ხიფათიც დიდიაო“ [1, 7] ე.ი. ამ მოძრაობას ინტელიგენცია ედგა სათავეში, რასაც მტკივნეულად აღიქვამდა თვითმპყრობელობა. უსაზღვრო რწმენა, ეროვნული სიამაყე და ბრძოლის დიდი სურვილი მკლავნდება გიორგის პიროვნებაში. მართალია, ბარათაშვილის გეგმა ჩაიშალა, მაგრამ ეს დროებითი მარცხია. პიესის ფინალი ოპტიმისტურია. ნაწარმოები დატვირთულია ეროვნულ-სოციალური პრობლემატიკით. იგი წარმოადგენს ეპოქის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც დიდი მხატვრული შთაბეჭდილებით ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ხალხის ჩაგვრაზე და ექსპლუატაციაზე დამყარებული სოციალური სისტემა აუცილებლად დაინგრევა. პიესის მიხედვით, ქართულ ინტელიგენციაში შესამჩნევადაა ამდღეული ეროვნული ცნობიერება. დრამატურგის წინა ნაწარმოებთა გმირები თითქოს მზად არიან ბრძოლისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ არ შესწევთ ძალა, გადამწყვეტი მოქმედებისათვის. ნიკო შიუკაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია XX საუკუნის დასაწყისის ქართულ დრამატურგიაში, რომელმაც ყურადღება შეაჩერა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ინტელიგენტის სახეზე.

პიესა 1910 წელს წაუკითხა ავტორმა ქუთაისის დასს. ლადო მესხიშვილს ძალიან მოსწონებია იგი და გადაუწყვეტია თავის საბენეფისოდ დაედგა, მაგრამ ცენზურამ აკრძალა. პირველად წარმოდგენილ იქნა ქუთაისში მხოლოდ 1917 წლის 5 ოქტომბერს, რომელსაც თავად ავტორიც ესწრებოდა (დაიბეჭდა 1921 წელს). პრესაში დაიბეჭდა უამრავი რეცენზია. რეცენზენტთა აზრით, მკვეთრი სახეები გამოძერწეს პიესაში ნ. ჩხეიძემ (ლიზი), მ. ჭიაურელმა (გიორგი), ალ. იმედაშვილმა (გერცინსკი), გ. გელოვანმა (შტრონგერი), ა. ვასაძემ (უსიტყვო როლი) და სხვებმა. წარმოდგენის შემდეგ დრამატურგი მოგვითხრობს: „წარმოდგენაზედ აუდიტორიის ასეთი განწყობილება პირველად ვნახე თეატრში; რევოლუციური ცეცხლით აღზნებული ხალხი უცებ წამოიშლებოდა ხოლმე. მსახიობები ჩერდებოდნენ, ვიდრე არ შეწყდებოდა აუდიტორიაში გადასული მოქმედება. გადმომცეს ასეთი შემთხვევა: „სულელის“ ერთ-ერთ წარმოდგენაზე დარბაზში ვიღაც ახალგაზრდას რევოლუციური ამოელო გენცინსკის (ალ. იმედაშვილი) მოსაკლავად - ამხანაგებს შეეკავებინათ“ [8, N13926, ფ. 3,]. ეს შემთხვევა ცხადყოფს პიესისა და მსახიობის დიდ ზემოქმედებით ძალას.

ცნობილი მსახიობი ნუცა ჩხეიძე თავის მოგონებებში წერს: „ჩვენი უბედურება ის იყო, რომ პიესების განმეორება იშვიათად შეიძლებოდა. აუდიტორია ერთი და იგივე იყო, მაგრამ ერთგვარ რისკს ვეწეოდით და ვიმეორებდით ორჯერ, ხოლო როცა შიუკაშვილის პიესა „სულელი“ სეზონში 17 -ჯერ

გავიმეორეთ და ყოველთვის სავსე დარბაზი გვექონდა, ეს მაშინ არაჩვეულებრივი ამბავი იყო. მაყურებელს, ერთი მხრივ იზიდავდა პიესა, მეორე მხრივ - ახალგაზრდა ჭიაურელის თამაში.... როდესაც როლები გავინაწილეთ - აგრძელებს ნუცა ჩხეიძე, რეჟისორმა (მიხ. ქორელი) თავადი ბარათაშვილი ჭიაურელს არგუნა. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თეატრში ამ ამბავმა. ჭიაურელი ჯერ ახალგაზრდა, გამოუცდელი როგორ დასძლევს ასეთ როლსო... დიდი სურვილი და შრომა ახალგაზრდა მსახიობის და რეჟისორის დახმარება გახდა საწინდარი გამარჯვებისა და ჭიაურელმაც ისე გაიმარჯვა, რომ ყველას საყვარელ მსახიობად იქცა“ [3, 82]. პიესისა და მისი ავტორის ღირსებად მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ მისმა წარმატებულმა დადგამმა აღუძრა სურვილი შემდგომში სახელოვან მსახიობს აკაკი ვასაძეს გაჰყოლოდა თეატრს [2, 63]. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა უკრაინაში გასტროლების დროს „სულელი“ წარმოადგინა და დიდი წარმატებაც ხვდა წილად.

მწერალი შალვა აფხაიძე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ წერდა: „სულელი“ დრამატურგმა დაწერა 1908 წელს. თვითმყრობელობის მკაცრი ცენზურისა და რეაქციის მძვინვარების გამო მისი დადგმა ვერ მოხერხდა. პირველად იგი 1917 წელს დაიდგა და საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც მსახიობთა საუცხოო თამაშით, ისე პიესაში დასმული საკითხებით...“ [5]. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ვკითხულობთ: „სულელში“ ნიკოს მიერ აღებული ტონი, სცენების დაკვირვებული განლაგება ჩვენს წინაშე აყენებს ავტორ-შემოქმედს, რომელსაც ოსტატის სახელი ეწოდება“ [7, 34].

„სულელი“ 1905-1907 წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ქართული სინამდვილის უაღრესად რეალისტური და მაღალმხატვრული ქმნილებაა. დრამატურგი საღებავს არ იშურებს, რათა ერთი მხრით, გვიჩვენოს ბინძური, საზიზღარი სახე რუსული თვითმპყრობელობისა და მეორე მხრით, ქართველთა ეროვნულ-სოციალური მოძრაობის გააქტიურება. ბარათაშვილს და მის მეგობრებს ესმით, რომ სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირვა დიდი ღირსება და განსაკუთრებული პატივია მისთვის, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება. ავტორმა გიორგი ბარათაშვილის სახით შესანიშნავად დახატა 900-იანი წლების გამათავისუფლებელი მოძრაობის სურათი. აღნიშნული გამოსვლები გაგრძელება იყო ნაციონალური ბრძოლისა, რომელსაც ახალი სული შთაბერეს დიდმა სამოციანელებმა.

აღმავალი ძალით ამდაფრებს მწერალი თავისი გმირის სულიერ დრამას, მიაქანებს პიესის სიუჟეტს კულმინაციისაკენ, თითქოს ეჩქარებაო თავისი გმირის გაუტეხელი ბუნების ჩვენება. პიესის გმირს ალბათ სამაგალითოდაც დასჯიან, მაგრამ ეს არ არის პესიმინიზმის ნიშანი. გიორგი შეგუებულია იმ აზრს, რომ ბრძოლაში შეიძლება დაიღუპოს, სანაცვლოდ, ათასები დაამსხვრევენ საძულველ ბორკილებს. ამის დადასტურებაა ოპტიმისტური ფინალი პიესისა - ახალგაზრდების ბრძოლის ხმა სასახლეს აზანზარებს. „სულელი“ - კონკრეტული პიროვნება, ამავე დროს განზოგადებული სახე-სიმბოლოა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხისა. დრამატურგმა ასეთი სრულყოფილი ტიპის დახატვით დიდ მხატვრულ გამარჯვებას მიაღწია.

შიუკაშვილის გმირები დიდი გრძნობის მატარებელნი არიან. მათი სიცოცხლე ერთი პატარა გაელვებაა, მაგრამ ისეთი ბრწყინვალე და კაშკაშა, სხვების საუკუნოვან სიცოცხლეს რომ უდრის. სადაც წმინდა გრძნობაა, იქაა სიცოცხლე, ზნეობრივი სრულყოფილება. ესაა მთავარი საყრდენი პიესისა. საინტერესო სახე გამოდერწა დრამატურგმა ახალგაზრდა რუსი ქალიშვილის, ლიზის სახით. თავისი პატიოსნებით იგი კონტრასტული სახეა სასახლის ქალბატონებისა. გაუფმანის დისწული უაღრესად ნაზი, მიმზიდველი პიროვნებაა, იცის ერთგულების ფასი. ლიზი ვერ ერკვევა სიტუაციაში, სასახლის ჩინოვნიკების ჩაგონებით იგიც იჯერებს, რომ მამამისი ქართველებმა მოკლეს. ამიტომ ზიზღით უყურებს გიორგისაც. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსული პოლიტიკის საშენ მასალას იმთავითვე ცილისწამება წარმოადგენდა. იგი ჩახვდა თვითმპყრობელობის ინტრიგებს და უყოყმანოდ დაიჭირა გიორგის მხარე. სუსტი და ნარნარი არსება პიროვნული ღირსების გრძნობამ გმირად აქცია. რუსი ქალიშვილი აღტაცებულია გიორგის პიროვნებით: „ზნეობრივი ძალა ყოველთვის გამარჯვებულია! ადამიანი, მსხვერპლი, გმირობა მხოლოდ ზღაპრად მქონდა გაგონილი!.. პირველად ვხედავ სიმართლისათვის თავგანწირულ მებრძოლს და მუხლს ვუდრეკ“... [1, 28] ზოგად-ადამიანურმა ინტერესებმა ლიზი და გიორგი თანამებრძოლებად აქცია. მათი გულები სამუდამოდ დაუკავშირა ერთმანეთს. ადამიანის სულიერი სამყაროს დიდი ცოდნით არის შესრულებული მათი დაპატიმრების წინ უკანასკნელი დიალოგის მთელი ქსოვილი. რაც უფრო უახლოვდებათ უბედურება, მით უფრო მიმზიდველნი და მომხიბლავნი ხდებიან ისინი. ვერც დრამატურგი იმეტებს მათ, მაგრამ მკაცრი რეალობა სხვა გზას არ ტოვებს.

„სულელი“ ერთ-ერთი პოპულარული პიესაა ქართულ დრამატურგიაში, რაც განპირობებულია მისი ღრმა იდეურობითა და მხატვრულ-შინაარსობრივი ღირებულებით. ნაწარმოების შესანიშნავი მხატვრული თვისებები ერაერთხელ აღნიშნულა ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ. მოქმედ

პირთა ტიპიურობა, ხალისიანად მიმდინარე მოქმედება, სცენიურობა, სხარტი, მოქნილი დიალოგი და მოსწრებული რეპლიკები „სულელს“ ქართული დრამატურგიის შესანიშნავ ნაწარმოებად აქცევს. როგორც დრამატურგის მთელ შემოქმედებაში, ისე „სულელშიც“, თვალში საცემია ქართული ენის ხვავი და ბარაქა. ენა მისი ყოველთვის მარტივია და ნათელი, რაც უძლიერესი იარაღია მწერლის ხელში სხვადასხვა ტიპთა და ხასიათთა შესაქმნელად. ავტორი ისწრაფვის ფსიქოლოგიური დახასიათების გადრმავებისაკენ, გრძობათა და ინტერესთა მძაფრი ჭიდილისაკენ. პიესის პერსონაჟთა უმრავლესობა მკვეთრი მხატვრული ფერებით შესრულებული ცოცხალი ხასიათებია, რომლებიც მტკიცედ აღიბეჭდებიან მკითხველისა და მაყურებლის მეხსიერებაში. მათ იტაცებთ საოცრად მძაფრი კონფლიქტები, მოქმედების დინამიური განვითარება, გამოქანდაკებული მხატვრული სახეები, მძაფრი ოპტიმისტური პათოსი. ამიტომ იყო, რომ იგი ორი ათეული წლის მანძილზე არ ჩამოსულა სცენიდან. პიესის მთელი მოქმედება გაშლილია მთავარმართებლის შენობაში, მაგრამ მოქმედების ასეთი შეზღუდვა არ იწვევს ერთფეროვნებას, რასაც მოვლენების სიმძაფრე, დახვეწილი დიალოგი და ბუნებრივი სიტუაციები განაპირობებენ.

1936 წელს ნიკო შიუკაშვილმა აღნიშნული პიესა გადააკეთა. დრამატურგი წერს: „გავიდა ოცი წელი ... ერთი ბაასის დრო მეგობრებმა წამომამხეს: „მიდი, განახლე შენი „სულელი“ სადღეისოდო. ამ სიტყვამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემში... მაგრამ გმირული სარევოლუციო პიესა დაწერილი იყო მსუბუქი ოპერატული ტონით და ამდენად პიესის იდეის ხორცშესახმელად სოციალისტური სინამდვილის საჭირო დრამატურგიული სურათები აკრძალა და ეს იყო პიესის პოლიტიკური ნაკლი“ ... [8, N13926, ფ.3]

რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია დრამატურგის ეს სიტყვები, მაგრამ მიზეზი პიესის გადაკეთებისა არა მხოლოდ „ოპერეტული ტონის“ დაძლევის სურვილში, არამედ უმთავრესად კომუნისტურ რეჟიმში უნდა ვეძიოთ. ჩვენ ვიცით, დრამატურგს თავის დროზე გადააკეთებინეს პიესები: „ამერიკელი ძია“, „ბერიკობა“, რადგან იქ არ ჩანდა საბჭოთა საზოგადოებისათვის მისაღები დადებითი გმირი და ვერ პასუხობდა ეპოქის მოთხოვნებს. 30-იანი წლებიდან ახალი ძალით გაჩაღდა ქართული მწერლობის დევნა-შევიწროება. „სოციალისტურმა რეალიზმმა“ და პარტიულმა დირექტივებმა აიძულა მწერლობა ეხელმძღვანელა პარტიის მითითებებით, ანუ როგორც აკაკი ბაქრაძემ თქვა დამდგარიყო „მოთვინიერების გზაზე“. „სულელს“ ნაკლად ჩაუთვალეს, რომ „აკლდა ისტორიული სინამდვილის სწორი ანალიზი, სიღრმე, რევოლუციის გამომსახველი ძალების სწორი განლაგება... მასში არ იყო მოცემული ის მოქმედი ძალა, რომელიც უფრო მეტი სიმძაფრით განაგრძობდა მუშებისა და გლეხების დარაზმვას...“ რეცენზენტის სიტყვით, პიესის გადაკეთებაში „ავტორისათვის დიდი დახმარება გაუწევია ბერიას შესანიშნავ შრომას - „ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის ამიერკავკასიაში“. იმავე გაზეთში ნიკო შიუკაშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ წერილში ვკითხულობთ: „ნიკო შიუკაშვილის პიესა „სულელის“ პირველი ვარიანტი სწორად და ტიპიურად ვერ იძლეოდა მაშინდელ სინამდვილეს. მას შემდეგ, რაც ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენებამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ შუქი მოჰფინა ამიერკავკასიის და საქართველოს ახლო რევოლუციურ წარსულს, როგორც ვიცით, ნიკო შიუკაშვილმა ამ მოხსენების საფუძველზე ხელახლა გადააკეთა თავისი პიესა, გვიჩვენა რა ბოლშევიკთა ბრძოლა ცარიზმის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დიდი ბელადის სტალინის ხელმძღვანელი როლი ამ ბრძოლაში, საბჭოთა მაყურებელმა მიიღო და მოიწონა ეს პიესა“ [6].

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ცხადი გახდეს პიესის გადაკეთების ისტორია. მწერალს მიუთითეს ბერიას მოხსენების საფუძველზე პიესა შეესწორებინა და მასში წინა პლანზე წამოეწია ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა. ნუ დაგავიწყდება, რომ ეს იყო 1936 წელი!

ამ საკითხს კიდევ უფრო ნათელს ჰფენს ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“: „ნიკოს წინადადება მისცეს აღედგინა პიესა „სულელი“ ... და შეეტანა მასში შესწორებანი ბერიას ისტორიული მოხსენების „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ მიხედვით. ეს ახალი პიესა უფრო კოლექტიურ შრომას წარმოადგენს, ვიდრე ინდივიდუალურს. პიესამ გაიმარჯვა, ყოველი დადგმა დიდის ანშლაგით მიდის“ [7, 34]. ყველა მწერალი ვალდებული იყო ეს მითითება გაეთვალისწინებინა. ცნობილია, რა შავი დღე აყარეს მიხეილ ჯავახიშვილს რომანის „ქალის ტვირთის“ განხილვისას, რომ მან თავის თხზულებაში სტალინის სახე არ შექმნა. რადაც დაუჯდა ეს „სიჯიუტე“ დიდ შემოქმედს - ცნობილია.

პიესის აღნიშნული ვარიანტი მასში მომხდარი ცვლილებების გამო (ორი ახალი მოქმედება, დამატებული პერსონაჟები) განივრცო, ნაწილობრივ შეიცვალა სტრუქტურულ-კომპოზიციური წყობა. ნაწარმოების სიუჟეტური ღერძი მცირეოდენი სახეცვლილებების გარდა იგივე დარჩა. ავტორი აიძულეს „გამოესწორებინა“ პიესის პოლიტიკური ნაკლი, როგორც თავად აღნიშნავდა „პიესის იდეის ხორცშესახმელად სოციალისტური სინამდვილის საჭირო დრამატურგიული სურათებით შეავსო იგი“ [8, N13926, ფ.3].

„სულელის“ მაგივრობას ამჯერად შევიცარიაში სწავლა-მიღებული ახალგაზრდა გიორგი სარდიონიძე ასრულებს (იგი თავადი აღარ არის), რომელიც ჯერ ანარქისტულ პოეზიაზე დგას, შემდეგ კი ბოლშევიკთა რიგებში დგება. სასახლეში კვლავ გიორგი ბარათაშვილის სახელით იცნობენ (რა თქმა უნდა, თავადის ბოლშევიკის როლში გამოყვანა მიუღებელი იქნებოდა რევოლუციური სინამდვილისათვის).

ახალი პერსონაჟია ელენე - მტკიცე რევოლუციონერი, სარდიონიძის საცოლე, რომელიც საქმროს ხელს ააღებინებს ანარქისტობასა და ტერორზე (სარდიონიძეს სურს შური იძიოს ბოლშევიკი ძმისა და მამის დაღუპვისათვის და ამ მიზნით მოკლას შტრონგერი და გერცინსკი). ახალია სცენა სოფლელი თავდებისა, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

პიესის მეორე ვარიანტის დადგმა 1938 წელს წარმატებით განახორციელა რუსთაველის თეატრმა. „სულელის“ როლი შეასრულა მსახიობმა გელოვანმა. ამ როლის შესრულება ორმაგ სიძნელეს წარმოადგენდა. სასახლეში ჯერ ბარათაშვილად უნდა მოეჩვენებინა თავი, შემდეგ სულელად. რეცენზენტთა აზრით, გელოვანი ამ მეტად რთულ როლს წარმატებით ასრულებდა. ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურეს მსახიობებმა დ. მჟავიამ (გერცინსკი) და გ. დავითაშვილმა (შტრონგერი), რომელთაც „შექმნეს შავნელი რეაქციის ტირანის გამოკვეთილი სახეები, იგი მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება“ [6]. იმავე გაზეთში ვკითხულობთ: „გადამუშავებული პიესის ყურადღების ცენტრში დგას რეაქციის წინააღმდეგ რევოლუციური ძალების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამით სპექტაკლი აყვანილია მაღალ იდეურ დონეზე, ეპოქის სწორად და მხატვრულ სახეებში ამსახველი სპექტაკლის დონეზე“ [6].

თუ ადრინდელი პიესის გმირს, განათლებულ თავადს, გიორგი ბარათაშვილს ეროვნულ-სოციალური ინტერესები ამოძრავებს და ამ მოძრაობის წევრთა დავალებით სრულიად გააზრებულად, შეგნებულად ცდილობს დამპყრობთა ფიზიკურ განადგურებას, პიესის მეორე ვარიანტში „სულელი“, იგივე გიორგი სარდიონიძე ჯერ უბრალო შურისმგებლის როლში გვევლინება, ხოლო შემდეგ, როცა ბოლშევიკთა პლატფორმაზე დგება, მხოლოდ სოციალურ-ყოფითი საკითხით იფარგლება. ამ ფაქტით მწერალი მიგვანიშნებს პარტიის უარყოფით დამოკიდებულებაზე ეროვნული საკითხისადმი, მათ კოსმოპოლიტიზმსა და ნიჰილიზმზე.

მართალია, დრამატურგი აუცილებლობით გამოწვეულ კომპრომისზე წავიდა და ასე, ვთქვათ, პიესა „გაასოციალისტურა“, მაგრამ ისე ღრმად და ექსპრესიულად დაგვისურათხატა საქართველოს მოძულე რუსთა სახეები, მათი თავხედური თარეში და გარყვნილი ცხოვრება, რომ მკითხველი გაოცებას ვერ ფარავს.

დიდი ოსტატობითაა შექმნილი შტრონგერის სახე, როგორც მოძულე და სისხლისმსმელი ქართველებისა. იგი იმ უხეში ძალის სიმბოლოა, რომელიც ორმაგი ჩაგვრის ქვეშ მოქცეულ საქართველოს სულს ხდის. კავკასიის მეფისნაცვალი ველურებს, უკულტუროებს უწოდებს იმ ხალხს, ვისი სიკეთითაც იგი სარგებლობს.

საინტერესო კონტრასტულ სიტუაციებს ქმნის დრამატურგი, რომელთაც, ნაწარმოების იდეურ-მხატვრული სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ავტორს პიესაში შემოჰყავს ქვრივი, გაჭირვებული ქალი, რომელიც მთავარმართველს პენსიის დანიშვნას თხოვს. რუსი მოხელის ჩრდილოური გული ვერ მოალობო ქვრივი ქალის კანონიერმა თხოვნამ და იმედგაცრუებული უკანვე გაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი სცენაზე არ ჩანს, ამ მომენტს დიდი იდეური დატვირთვა აქვს. იგი იმ დაბეჩავებული ხალხის სახეა, ვისაც რუსულმა თვითმპყრობელობამ სიდატაკის, დამცირებისა და აბუჩად აგდების მეტი არაფერი მოუტანა. ამ ქალის წასვლის შემდეგ შტრონგერი სიხარულით იღებს ვაჭარ მნდოიანცს, რადგან მისგან დიდძალ ფულს ელოდება. აღნიშნული კონტრასტული სახეების დახატვით დრამატურგი გვიჩვენებს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის გაჩენილ სოციალურ უფსკრულს, რომელიც უფრო ღრმავდება დამპყრობთა უსულგულო და უსამართლო საქციელის გამო.

შტრონგერს არ ჩამოუვარდება ასევე კანცელარიის მმართველი გერცინსკი, ყოველგვარი ადამიანურობისაგან დაცლილი პიროვნება, რომლის მიზანს გუბერნატორის ჩინის მიღება წარმოადგენს და ამის გულისათვის არ ერიდება არაფერს. ღმერთს მისთვის ერთადერთი - ბოროტებისა და მლიქვნელობის ნიჭი მიუცია. ეს ბატონები ისე დაჰყურებენ ქართველობას ზემოდან, თითქოს პლანეტის რომელიმე ცივილიზებული ქვეყნიდან მოსულან ქართველთა გასანათლებლად, ჩვენ კი, უმადურებს, ეს ვერ შეგვიგნია და ამ დიდ სიკეთეზე ჯიუტად უარს ვეუბნებით.

შტრონგერ-გერცინსკის სახეები უმაღლეს ხარისხზე აღ. ყაზბეგისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების პერსონაჟებს. ანალოგიურად იქცევიან მათი მაზრის უფროსები, „ნაჩალნიკ“ დიამბეგები, რომელნიც განსაკუთრებული სისასტიკით ცდილობენ ეროვნული სულის ჩაკვლას. ისინი ტყუპისცალეზებით ჰგვანან შ. დადიანის პიესის „გუშინდელნი“ (1917 წ.) პერსონაჟებს. მაზრის უფროსი გრენგოლმი „ჭკუას არიგებს“ ქართველებს: „...თქვენი ქალები უცხოელებზე უნდა გაათხოვოთ, თუ

გინდათ, - რომ სისხლი განაახლოთ... მუდამ მონები იყავით ქართველები და ერთხელაც არ ცდილობართ ამ მონობისაგან თავი დაგედღიათ... ერთი ბატონიდან მეორე ბატონის ხელში ხვდებოდით. ყველა თქვენ გირტყამდათ... რის კულტურა, რა კულტურა?... ეხლა მაინც უნდა მოეგოთ გონს, ეხლა ჩვენ უნდა შეგვიერთდეთ სულით, სისხლით, სხეულით..." [9, 50-51]

ამ საზიზღარ სახეთა გამოქანდაკებით დრამატურგი ამხელს მზაკვრულ ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომლითაც ცდილობს თვითმპყრობელობა ანგარიში გაუსწოროს თავისუფლებისათვის მეზრძოლ ხალხს. ავტორმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ რუსეთი იმპერიული სულის ქვეყანაა. შტრონგერი, გერცინსკი და მმანი მათნი რუს მოხელეთა ტიპური სახეებია.

სასახლის გარყვნილი ცხოვრების ფერხულში მშვენივრად არიან ჩაბმულნი მისი ბინადარი ქალბატონებიც. ისინი უმთავრესად დაკავებულნი არიან ლამაზი მამაკაცების ძებნა-შერჩევით. გიორგი ბარათაშვილს სწორედ სილამაზემ შეუწყო ხელი გამხდარიყო ბარონესას საყვარელი. სასაცილო ურთიერთობა აქვთ მეუღლეებს, ერთიც ღალატობს და მეორეც - „ოღონდ დაცული იყოს დეკორუმი, სხვაფრივ თავისუფლება“ [1, 14] - აცხადებენ ისინი. მათი სულისა და გონების მამოძრავებელი მხოლოდ ადამიანის ქვეყნა ინსტიქტებია.

დრამატურგი არც ვაჭრის სახეს ტოვებს უყურადღებოდ, ხაზს უსვამს მის სიფლიდესა და გაიძვერობას. იგი გ. ერისთავის პერსონაჟების ღირსეული მემკვიდრეა. ისარგებლეს რა ჩვენი თავადაზნაურობის უნიათობითა და სიბეცით, მოახერხეს დიდძალი კაპიტალი ჩაეგდოთ ხელში. მწერალი მკვეთრი ფერებით ხატავს მნდოიანცის ხარბ ბუნებას, გვიჩვენებს მას გამარჯვებულის იერსახით. ფული მისთვის ერთადერთი საზომია ადამიანობისა.

პიესის დიდი წარმატება განპირობებული იყო დიდი იდეურ-მხატვრული ღირსეულობით, რეალისტური სიმართლით, ხალხურობით, ღრმა ჰუმანიზმით, უმშვენიერესი ენით გადმოცემული რთული და საინტერესო სიტუაციებით, სახე-ხასიათთა ცხოველმყოფელობით. ნაწარმოებს ახლაც არ დაუკარგავს თავისი შემეცნებითი მნიშვნელობა. ამ პიესით ავტორი წარმოგვიდგება როგორც ღირსეული მოქალაქე, მოაზროვნე და მამულიშვილი, რომელიც ფლობს დრამატურგიის რთულ ხელოვნებას.

ლიტერატურა და წყაროები:

1. შიუკაშვილი ნ., პიესა „სულელი“, თბ., 1921;
2. ჯავახიშვილი გ., ნიკო შიუკაშვილის „სულელის“ ირგვლივ, „თეატრალური მოამბე“, 1976, N2;
3. ჩხეიძე ნ., მოგონებები, თბ., 1950;
4. ნიკო შიუკაშვილის ხსოვნის საღამოს ანგარიში, თბ., 1951;
5. „ლიტერატურული საქართველო“, 1928, N8;
6. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, N20;
7. „საბჭოთა ხელოვნება“, 1938, N5;
8. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ნ. შიუკაშვილის ფონდი.
9. დადიანი შ., „გუმინდელნი“, თბ., 1948.

Zurab Okropiridze

Gori State Teaching University

900 YEARS NATIONAL-SOCIAL FIGHT PICTURES IN THE COMEDY "STUPID" OF NIKO SHIUKASHVILI RESUME

The main theme of the comedy ("Stupid") of Niko Shiukashvili is Georgians fight against the Russian autocracy. In it highlights that in 1905 - 07 years in Georgia Speeches were primarily national character. Giorgi Baratashvili - the main character of the play symbolically represents the freedom-loving people of Georgia. In 1936, the dramatist had rebuilt into play, in which the central character has been portrayed Bolshevik.

ერთმორწმუნე მტერი და გაორებული რომანტიკოსები

მე-19 საუკუნის დასაწყისი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილია ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში. ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი, მისი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება ამ დროიდან დაუკავშირდა რუსეთის იმპერიას, ქართველი პოლიტიკოსები რუსეთში ხედავდნენ ერთმორწმუნე ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლებით და შინაგანი პარტიკულარიზმით დაუძღვრებული საქართველო ეხსნა აღმოსავლეთის აგრესიული ქვეყნების ხელყოფისაგან.

საქართველოსათვის მეცხრამეტე საუკუნე შავითა და ბნელით არის მოცული. საქართველო, როგორც პოლიტიკური არსება, მოისპო მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წელიწადში. მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ ერს თავისი სრული ცხოვრება აღარა ჰქონია, იგი ცხოვრობდა სიტყვით სხვის “მფარველობის” ქვეშე, ხოლო საქმით სხვის “მონობას” განიცდიდა. ჩვენ თუ ჩვენისავე ნებით დავმორჩილდით ჩვენ მეზობელ ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც მასთან ქრისტეს მოსავიც იყო, ამით ისტორიულად მიუცილებელის მსვლელობის საქმე ცოტათი დავაჩქარეთ, აღარ ვიხმარეთ ყოველი საშვალეა მტრისაგან ნიშანში ამოღებულის სამშობლოს საშველად, არამედ პირდაპირ აღვასრულეთ ის, რაც, “ადრე იქნებოდა თუ გვიან”, მაინც უნდა მომხდარიყო. ჩვენ აქ მხოლოდ ის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სახელმწიფოს, რომლის კალთის ქვეშაც ჩვენ გამგეთ თავი შეაფარეს, საქმე გავუადვილეთ და დიდი შრომა და ჯაფა ავაცილეთ. (კიტა აბაშიძე, ეტიუდები: 3)

რუსული აგრესია მხოლოდ საერო ცხოვრებას არ შეხებია, გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც. პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობები ისეთი იყო, რომ ღრმა სევდით ავსებდა ყოველი შეგნებული ქართველის გულს და უსასო პესიმიზმისაკენ მიაქანებდა ჩვენ მწერლობას. წარმოუდგენელია ამ ისტორიულ ვითარებას მნიშვნელოვანი კვალი არ დაემჩნია ქართულ მწერლობაზე.

ამჯერად ჩვენ გვინდა განვიხილოთ სწორედ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება, რომელშიც „მტრის ხატი“ სარწმუნოების მტერს კი აღარ ნიშნავს, არამედ სახელმწიფოებრიობის, ეროვნული დამოუკიდებლობის მტერს.

რჯულს ამოფარებული მტერი ბევრად უფრო საშიში და ძნელად მოსაშორებელი აღმოჩნდა ქართველთათვის, ვიდრე ისლამური ჩალმით შემოსილი დამპყრობელი. სწორედ ეს მტერია შენიღბულ-შეფუთული და მეტაფორულად გაცხადებული ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში, რომლებსაც მთლად ბნელით მოსილი არ ეჩვენებოდათ საქართველო-რუსეთის პოლიტიკური კავშირი.

ქართული რომანტიზმი სწორედ ეროვნული საკითხების წინა პლანზე წამოწევით ხასიათდება. როგორც შენიშნავენ, „ჩვენში რომანტიზმის განვითარების პირველ ეტაპზე ეროვნულმა პრობლემამ უკანა პლანზე გადასწია პროვინციის პრობლემა და დაიყვანა მის როლზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. რადგან რეალობა ქართველი რომანტიკოსებისათვის ციხე იყო, რომელშიც სატრფო-სამშობლო იტანჯებოდა, იდეალი, ბუნებრივია თავისუფლება იქნებოდა.“ (ნინო ნაკუდაშვილი; 1997; 10)

ძალადობამ საეკლესიო ცხოვრებაში, ძალადობამ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის დროს, ქართული ტრადიციების და ადათ-წესების ტოტალურმა უგულვებლყოფამ, რა თქმა უნდა, ქართული საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის უკმაყოფილება თავიდანვე გამოიწვია, დაიწყო რუსეთის მარწმუნებულებიდან გამოხსნის გზების ძიება. ამას ერთმანეთის დამოუკიდებლად ახორციელებდნენ როგორც პეტერბურგში ჩასახლებული ბაგრატიონი უფლისწულები, ისე საქართველოში დარჩენილი ბატონიშვილები და ახალგაზრდა თავადების გარკვეული ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდა იმპერატორების ეკატერინე II-ისა და ალექსანდრე I-ის ნათლული ალექსანდრე ჭავჭავაძეც კი. (საქართველოს ისტორია; 2012: 397)

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში თითქოს რაღაც შეიცვალა, სევდა ნაღველთან ერთად შეგუებად იჩინა თავი.

„მტრის ხატის“ კუთხით, საყურადღებოა წარმოვადგინოთ იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილი „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევი“, რომელშიც პოეტი აღწერს უკულტურო მტერ-მოყვრის ზნესა და მათი ჩინოვნიკების მიერ შეწუხებული თანამოქალაქეების ხვედრს: „მეფის მოხელეთა უსამართლობამა და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩავგვადო, ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როდესაც თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ. ჩვენი

საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს, ხელებს აფათურებდნენ და სჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს; ორმოებს, მარნებს გვიტეხდნენ, ღვინით ილემებოდნენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდნენ, ქვევრებში სიბინძურეს გვიყრიდნენ, ბოლოს ჩვენს თვალწინვე ჩვენს ცოლებს და ქალებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ასეთი შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასი-ლა ექნება?“

მიუხედავად ამისა, ის მაინც ამართლებს საქართველოს პოლიტიკურ კავშირს დამპყრობელთან: „ეს ქვეყანა, ეგზომ ჩამორჩენილი, შინაური მიმოსვლისთვისაც კი ხეირიან გზებს მოკლებული, რუსეთის მზრუნველი მმართველობის წყალობით და შეჯიბრის ფერხულში ჩაბმული, სულ მალე შესძლებს, რუსეთს, ინდოეთისა და ამერიკის ახალშენების მაგივრობა გაუწიოს, და თავის კეთილისმყოფელს უხვად მიუზღოს ზრუნვისთვის“.

ამ ნარკვევს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პოეტის, ისე იმ დროის (20-30-იანი) წლების საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების გასაგებად. ნარკვევის ავტორი თანაუგრძნობს საქართველოს შეერთებას რუსეთთან, სხვანაირად არ შეიძლებოდა იმპერატორისადმი წარდგენილ დოკუმენტში, მაგრამ იგი მაინც ვერ (თუ არ) ფარავს თავის პატრიოტულ-პოლიტიკურ სულისკვეთებას: „ახლანდელი საქართველოს მნახველი,- წერს იგი,- ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვავდა... მას, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონდა დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგოსნები და მწერლები“. (ალ. ჭავჭავაძე: 241)

რამდენად ღრმად ერთმორწმუნე დაუძინებელი მტრის აგრესიის გამოხატულება ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში საინტერესო შეხედულებები აქვთ ჩვენს კრიტიკოსებს: **გურამ ასათიანსა და როზა დედარიანს**.

გურამ ასათიანი მიიჩნევს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის პატრიოტულ ლირიკაში „სამკვიდროს დაკარგვის მოტივი ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული, როგორც ეპოქალური მნიშვნელობის კატასტროფა, როგორც ძველი საქართველოს ტრაგიკული დასასრული“.

სამკვიდროს დაკარგვით, სოფლის უკუღმართობით გამოწვეულმა მწუხარებამ, სრულიად სხვა გზით წარმართა მისი ინტერესები და მხატვრული ფანტაზია. თავისი დროით შეძრწუნებული პოეტი უკუიქცა არსებული რეალობისგან და „ურვისგან გულშეპყრობილმა“ საკუთარი სუბიექტური განცდების, „სიყვარულით მტკბარი“ ფერიული ხილვების სამყაროს მიმართა“. (გურამ ასათიანი, 2004: 29)

როზა დედარიანს კი მიაჩნია, რომ „შარავანდედმოსილი წარსულის განდიდება-გაიდებალბებით ალექსანდრე ჭავჭავაძე ძალზე ხელშესახებად გამოხატავს თავის მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას ბურჟუაზიის მოსილი აწმყოსადმი, „რუსობაჩი მყოფი“, „დავარდნილ-გალახული, ვრდომილ-კრთომილი“ (ილია) მამულის დუხჭირი, უსიხარულო ხვედრისადმი“.

უალრესად საყურადღებოა ერთი გარემოება: განსხვავებით თავისი უმცროსი თანამედროვეებისაგან ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი ქვეყნის „შავსევობის“ მიზეზს არ განიცდიდა, როგორც აბსოლუტური მნიშვნელობის კრახს, როგორც საბედისწერო ისტორიულ მიჯნას. ძველი საქართველო მისთვის ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ განწირული... თუ ჭაბუკი ბარათაშვილისთვის 1839 წელს უკვე სავსებით ცხადია საქართველოს „ბედის გადაწყვეტა“, ალ. ჭავჭავაძე არ გამოირცხავს „გულთ მამა ჟამის“ განმეორებას, „კვლავცა“ აღდგენის რეალურ შესაძლებლობას. (ქრესტომათიული კრიტიკა; 2004: 29)

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, სამშობლოს რუსეთის კოლონიად ქცევა ალევორიული ფორმითაა წარმოდგენილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში. რომანტიკოსი პოეტი მიხვდა, რომ არ გამართლდა ქართველთა ჩანაფიქრი, ჩრდილოელმა მეზობელმა ფარის ნაცვლად ორმხრივ ალესილი მახვილი მოგვიდერა, თავისუფლებაწართმეული სამშობლოს სავალალო მდგომარეობა კარგად გაისიგრძეგანა:

„ოჰ, ვით გვემტყუნვა სოფლისა ბრუნვა...“

დავიდნენ მთენი შარავანდ მფენი აწ იგი მზენი“ (ოჰ, ვით გვემტყუნვა“)

ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეაჩვენა ის დრო, როცა ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში სისხლითა და მახვილით შენარჩუნებული თავისუფლების სანაცვლოდ „ცეცხლნი ხშირნი“ და „მწველნი აღმურნი“ მოიპოვა: „წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი, გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი“ („სიმინეთ მსმენნო“).

ლექსში „ჰე საქართველო“ ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეაფასა ქართულ-რუსული კავშირი და ალევორიულად წარმოადგინა საქართველოს კოლონიური ვითარება: „...როსნი მოიხმო საშველად მან, იმედგადაღეულმა./მათ, ნაცვლად მშობის, ერთობის, დაგტოვა დანასხეულად./მახვილღებული მოვიდა, მზაკვრულად მიგცა გვემასა, /ყელსა შეგვაბა სარაზი მიმოდგონარედ მთვლემარსა/“ ლექსში გაცხადდა შენიღბული მტრის ნამდვილი სახე, მისი ფარისეველობა და ცბიერება.

მტერს, „ნების წარმტაცველს“, რომელიც პატიმარ ჰყოფს, ქვეყანას, პოეტი ირონიით „გუშავს“ უწოდებს, რომელიც ხელყოფს თავისუფლებას: „გუშავნი ბევრნი თვითოსა მცველად გვყავნ ნების წარმტაცველად“...

ალ. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და მოქალაქე, თავის წმიდათაწმიდა ვალად რაცხს, დაანახვოს ქართველ ხალხს, რომ ჯვარს ამოფარებული „მცველები“ - კრონიგი და ციცინაოვი, პასკევიჩი და გუდოვიჩი, ტორმასოვი და პაულიჩი - ერთ მიზანს - საქართველოს სრული იავარქმნის საქმეს ემსახურებიან და, ამდენად, თავიანთი გველური ბუნებით არაფრით განსხვავდებიან იმ მტარვალთაგან, რომლებიც „პირამპულნი და... მბრდღვინავ ლომებრ და ... განძვინებულ მგლებრ“ (ერეკლე II) უტევდნენ საქართველოს, ისინი, ჩვენდა საუბედუროდ, ერთმანეთს ცვლიან: „ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცვლელად, გველივე შთება გველად („ვისაც გსურთ“)“ (გვ.51)

ამავე კუთხით საყურადღებოა მისი ლექსები: „კავკასია“, „პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ“, „ვისაც გსურთ“, „ახლოით განჩხრევილი კაცი“.

რომანტიკოსი პოეტი კარგად ხვდება, რომ რჯულისა და სახელმწიფოებრიობის მტერი, რას გაუყვია?! ორივე საფრთხილო და საშიშია და რადგან ქართველი ერის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სწორედ ქრისტიანული რელიგია გახლდათ, საყურადღებო შტრიხია ალ. ჭავჭავაძის „**მუხამბაზი ლათაიური**“, რომელშიც პოეტი ამბობს: „რჯულისთვის მაინც დავლიოთ, მაჰმადის გამოჯავრებით“, რითაც, რასაკვირველია, მტრის რჯულის შეურაცხყოფას კი არა აპირებს, არამედ - მთელი არსებით საკუთარის დაცვას, მის ერთგულებას.

მტრის ხატის რომანტიზმისეული აღქმისათვის აუცილებლად უნდა განვიხილოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „**ვაჰ, სოფელსა ამას**“, მასში გამოკვეთილია „ღიმილით მოსიარულე“ დამპყრობელი, რომელიც „ფერხით ლახავს გზაზედა“ სიმართლეს, ღირსებას, სიწმინდეს: „ძალი დავალს ღიმიტ ნაქცევთა ზედა, სად სიმართლე, მისგან შენარაზედა“... საინტერესოდ შენიშნავს ამ ლექსის შესახებ როზა დევდარიანი: „ლექსში შემზარავი ფერებითაა დახატული სახე ბოროტი დამპყრობლისა, რომელიც „ღიმიტ“ დააბიჯებს მისგან დაქცეულ ქვეყანაში და უხეშად თელავს ფეხქვეშ რაზადადებული სიმართლის მშვენიერ ყვავილებს. პოეტი ზოგადად მსჯელობს ძალმომრეობის საშინელებაზე, მაგრამ ძნელი დასანახი არ არის, რომ „ნაქცევთა ზედა“ ცინიკური ღიმილით მავალ მტარვალში ის „გაიძვერა მოყვარე“ იგულისხმება, ეგზეკუციებითა და ხიმტებით მიწასთან გასწორებულ, შიმშილით ილაჯმიხდილ ადამიანებს კეთილმოსურნის იერით რომ შთააგონებდა, ბალახი სძოვეთო!“ (როზა დევდარიანი, 2002: 22)

უაღრესად საყურადღებოა ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ახლოით განჩხრევილი კაცი“, რომელიც დასტურია მშველელად მოხმობილი და დამსჯელად შემოსული მტრის სახისა.

საინტერესო ლექსია „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“, მასში პოეტი მიანიშნებს, რომ დიდებული წარსული გაქრა და მის ნაცვლად „შავი დრო“ დაუდგა ქვეყანას: / მშვენიერ იყო მარა რა? ვით ამა სოფლის ყოველი, მოსაწონელი, შავმა დრომ ფეხით გასთელა/ დააჰკნო ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მოსთვლილა,/ წინაპართა დიდებაც მიინავლა: „გაჰკრა დავითის ხმლის ელვა,/ ჩაჰკრა თამარის ლამპარი, /ოქროს დრო-ჟამი შესცვალა აგარეანთა სრბოლამა,/ შეიქმნა ვაი-ვიშვიში, საქრისტიანოს რბევა და ქართველთა სისხლის დინება,/ გული შეზარა სრევამა“. არანაკლებ საყურადღებოა ლექსის მეორე ნაწილიც, რომელშიც ერთგვარად გამართლებულია საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი, მიუხედავად ამისა, ლექსში დაგმობილია რუსი ჩინოვნიკების ქმედება, რომელზეც წარმოუდგენელია თვალი დახუჭოს მამულიშვილმა, განსაკუთრებით კი შემოქმედმა „რომელიც „ერის მოძმედ უნდა იყოს ჭმუნვასა და სიხარულში“. (ილიას „პოეტი“), ამიტომაც ალექსანდრე ჭავჭავაძე პირუთვნელად ამხელს მტრის ვერაგ ჩანაფიქრთ, ქართველთა სასოწარკვეთას: „მახვილდებული მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა, / ყელსა შეგვაბა სარაზი, მიმოძგონარედ მთვლემარსა, / ლაქათთა იწყეს ლაქათი, ძვალი არა აქვს ენასა, / მკადედ ედინა ცრემლები, ხალხს, მიცემულსა სენასა.“

ქართველ რომანტიკოსებს შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურას, გრიგოლ ორბელიანს, ყველაზე მეტად ეტყობა ის გაორება, რომელიც მთელი მისი პოეტური თაობისთვის დამახასიათებელია

გრ. ორბელიანის ლექსი „**აღსარება**“, რომელიც წარმოადგენს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტის კონდრატი რილევის დაუმთავრებელი ნაწარმოების „Наливайко“-ს ერთ-ერთი თავის („ნალივაიკოს აღსარება“) მიზამძვასა და გადმოქართულებას. შთამბეჭდავად ალწერილი პოეტის დამოკიდებულება, შეცნობილი მტრის მიმართ: „ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილით ლესულსა“. ლექსში რომ ჩრდილოელი მეზობელი იგულისხმება, მტერს შეუმჩნეველი არ დარჩენია, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1832 წლის შეთქმულებასთან კავშირის გამო გრ. ორბელიანი გაჩხრიკეს და დაატუსაღეს ნოვგოროდში, ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა სხვათა შორის ჰკითხა მას, „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთ თუ არაო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „აღსარების“ ერთ-ერთი პირი ჟანდარმერიის უპოვია შეთქმულთა ყველაზე რადიკალური წევრის, რესპუბლიკელი სოლომონ დოდაშვილის, ბინაზე.

ქართველთა ისტორიული მტრების: მონღოლებისა და სპარსელების კვალზე მიანიშნებს გრიგოლ ორბელიანი ლექსში „**თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში**: „ყვავილოვანი წალკოტი შენი, შენის დიდების სხივ-მოკლებული, აღარა ჰშვენის, აღარ გვიბრწყინვის, შავ დროთა ძალით ფერწახდენილი!...“ (ქართველი რომანტიკოსები 1776: 115)

ვერაგ მტერს ისე დაუყრუებია ჩვენი თვისტომნი, რომ წირვა-ლოცვა შეუჩერებიათ, „რუსთაველის სიტყვა“ დაუკარგავთ, „ექვით აღვსილან“, რწმენა უკუუგდიათ, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაპატრონებინან, ქართველთა სულისჩამდგმელ თამარსაც კი „ცად თვალნი აქვს მიქცეული“ და ვედარ სცნობს მტრისგან იავარქმნილი თავისი სალოცავი ქვეყნის შვილებს, აღარც მოსმენა უნდა მათი.

ისტორიული მტრების სახეს ასევე აღწერს პოეტი პოემაში „სადღეგრძელო“ და ამით თითქოს მიგვანიშნებს რატომ ავირჩიეთ რუსეთთან დაახლოების გზა.

საანალიზო კუთხით უდიდეს ყურადღებას იპყრობს გრიგოლ ორბელიანის ლექსი „იარალის“, რომელიც გაჩხრეკისას უპოვეს ავტორს ნოვგოროდში და რომელშიც სიმბოლურია ქართულ-რუსული დაპირისპირება: „ღვინის წილ კვასი, მზისა წილ ყინვა!“, რომელიც „მტრის ხატს“ საოცარი უშუალობით ხსნის მკითხველის თვალწინ. დაპყრობილი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხები წამოჭრა გრიგოლ ორბელიანმა: გმირის არარსებობა და ვეშაპი (მტერი), რომლის დამარცხებაც, პირველი კონცეპტის გარეშე წარმოუდგენელია: „ვინ აღჩნდეს გმირი, / რომ მის ძლიერი / ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს? / რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით / უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?

ასევე გვერდს ვერ ავუვლით გრიგოლ ორბელიანის ალეგორიული ხასიათის ლექსს „მისი სახელი კიცხვითა“ (ელ-რესურსი: <http://poetry.ge/poets/grigol-orbeliani/poems/1340.misi-sakheli-kitskhvita.htm>) რომელშიც დაპყრობილი ქვეყნის სურათია ნაჩვენები და იშვიათი პასაჟითაა დახატული ჩრდილოელი ერთმორწმუნე რუსეთის სახე და ძალმომრეობითი სამართალი: „ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს.../სად სჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!“ უდავოა, რომ ძალმომრეობითი სამართალი ყველაზე დიდი უსამართლობაა და რა თქმა უნდა, პატრიოტ პოეტს ვერ წარმოუდგენია ამასთან შეგუება, ვერც მამულიშვილთა გულგრილობა და საჭიროდ რაცხს „მათი სახლის კიცხვას“, ვინც სამშობლოს „ტყვეობას გულისგრილითა ჰხედავდეს“. უფრო მეტიც, ორბელიანი რადიკალურია აღარაფერს ერიდება და აცხადებს, რომ ღირსეული მამულიშვილი „მტერს ხანჯალზე აღგებულს“ უნდა ხედავდეს.

აღსანიშნავია, ის, რომ „საიდუმლო მეგობრობის“ პოლიტიკურმა სულისკვეთებამ უშუალო გამოხატულება ჰპოვა გრ. ორბელიანის ცნობილ პოეტურ თარგმანში, უფრო სწორად, მის მიერ კონდრატე რილევის პოემის გავლენით შექმნილ თავისუფლების ოდაში „ნალივაიკოს აღსარება“, ერთ-ერთი ბრწყინვალე პოეტური დოკუმენტი გასული საუკუნის ეროვნული მოძრაობისა. მამულისადმი საღმრთო სიყვარული აქ უშუალოდ უკავშირდება თავისუფლების იდეალებს და თავის დროისთვის არა მხოლოდ პროგრესული, არამედ რევოლუციური სულისკვეთებით არის აღბეჭდილი. (გურამ ასათიანი, 1988:63)

გრიგოლ ორბელიანის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია გარე მტრის მოძალემა თუ შინაური მტრის გააქტიურება: „ჩვენზე მტერნი აღმსდგარან და ჩვენვე ვებრძვით ურთიერთს“.

ამასთანავე პოეტს არც ის ავიწყდება, რომ „თავისუფლების მოპოვება იოლი არ არის: „თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდნიეს“. ე.ი. გრიგოლ ორბელიანი ბრძოლას უცხადებს მტერს.

რომანტიკოს პოეტს, რომელსაც ხშირად ემჩნევა გაორება და თავგამოდებით ვერ დაუცავს თავისი პოზიცია ჩრდილოელი მეზობელ-„მეგობრის“ მიმართ, ავ-კარგის გარჩევა არ შეშლია და არ გაჩუმებულა, საკუთარი მოსაზრება მეტ-ნაკლებად მაინც დაუფიქსირებია.

რუსი ჩინოვნიკების უწესობა-უზნეობას, მათ უკონტროლო ქვევას გრიგოლ ორბელიანი აღწერს ერთ-ერთ პროზაულ კონსპექტში, რომელიც 30-იან წლებს ეკუთვნის და დასათარებულია „საქართველო ჩემის დროისა“, სხვათა შორის ჩამოთვლის ყველა იმ სისამაგლეს, რასაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი საქართველოში და რაც ხალხის სტიქიურ ამბოხებას იწვევდა ხოლმე. „სასამართლო, გარყვნილი მოხელეები, და მათი უსამართლობა და ქრთამობა... ლოთობა და ცემა-ტყევა ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან ღალატისი წყევისა... ბუნტი კახეთში, (იგულისხმება 1812 წლის კახეთის აჯანყება) და მისი უმთავრესი მიზეზი: კომისიონერები, აფიცრებისა და სალდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლ-შვილებისა სოფლებში... ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა თავადებისა“. (ქართ. ლიტ.ისტ. ტომი III: 105)

რასაკვირველია, გრ. ორბელიანს არაერთხელ გამოუთქვამს ნიკოლოზ პირველის ქება, მაგრამ მას ხელი არ დაუფარებია რუს მოხელეთა უზნეობისათვის. სააშკარაოზე გამოუტანია და გაუმათრახებია მათი მიზეზ-მიზანი საქართველოში მოსვლისა.

„იარალის“ ავტორს საქართველოში ბიუროკრატიული რეჟიმის არც ერთი პერიოდი არ მიაჩნდა ბედნიერ ხანად: „ოთხმოცი წლის განმავლობაში ხომ ვნახეთ, რაც ბრძანდებთან ლუბერნატორები და ვიგემეთ მამობრივი მათი მზრუნველობა ჩვენზე... შორიდან მოსული ჩინოვნიკი, რომელიც არ იცნობს ხალხსა, რომელმანც არ იცის მისი ენა, ჩვეულება, ცხოვრება, ისტორია, აბა, რისთვის გაიხეთქს თავსა? ... სამიათისის ვერსტიდან მოსულა აქა ჩინოვნიკი მხოლოდ იმისათვის, რომ მიიღოს ჩინები, იშოვნოს აქედამ, იქიდან ფულები, და გაჰსწიოს მშვიდობიანად თავისვე ქვეყანაში! მე ბევრი მინახავს დიდროანი სასახლეები რუსეთში აქაურის ფულით აშენებული. ქართულ ენას აღარ ასწავლიან ღიმნაზიაში და აღარც

სემინარიში...“ ასე სწერდა გრ. ორბელიანი გენ. ნიკო ჭავჭავაძეს 1881 წლის 7 აგვისტოს. (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. III, ხელნაწერი)

გრიგოლ ორბელიანის გაორება საინტერესო პასაჟით ცხადდება მის დღიურში - „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის“ (1831-1832), რომელშიც ძალიან საინტერესო დიალოგია პოეტისა ივანე აფხაზთან, რომელსაც ვერც კი წარმოუდგენია საქართველო რუსეთის გარეშე.

ივანე აფხაზის მიერ გამოთქმული აზრი ქართველი ტომების ერთმანეთთან მტრობისა და შუღლის შესახებ რაც (ქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდა) მშვენიერ პარალელს პოულობს გრ. ორბელიანის შემდეგ სიტყვებში: „შიში სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენნი /არიან მარად მონების ნაყოფნი ესე საძაგნი! / ძველი ქებული სამეფო უფსკრულსა შთანთქავს ესრეთს, / რომ ჩვენზე მტერნი აღმდგარან და ჩვენვე ვებრძვით ურთიერთს. („აღსარება“) დღიურში ფიქსირებული დიალოგი ნაწილობრივ მაინც გადმოგვცემს პოეტის არსებიდან მომდინარე მეორე, სუბკტიკურ ხმას, რომელიც „მგზავრობაში“ მოსაუბრე აფხაზის პირითაა გამჟღავნებული. (ქართ. ლიტ. ისტ., ტომი III, 105).

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიკული პოეზიის მწვერვალია, მაგრამ გაორებისაგან ანუ რეალური საფრთხის არასწორი აღქმისაგან არც ისაა თავისუფალი. პოემაში „ბედი ქართლისა“ ირაკლი და მისი მსაჯული მამულისათვის გულმტკივნეულნი, ქართლისა ბედსა განსამართლებენ“. მეფე კიდევ ერთხელ გულისტკივილით მსჯელობს თავისი ქვეყნის მტრებზე, მათ ზნე-ხასიათზე, წინასწარ ზომავს მათ ვერაგ ჩანაფიქრთ და გულისტკივილით აცხადებს: „მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული / არ დაგვაწყნარებს სიამაყითა“... „ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს; ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს“. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ შინ არ არის ერთობა და ურთიერთნდობა: „და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ, / როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!“ აქვე მეფე ამხელს თავის ჩანაფიქრს, რომელშიც ერთმორწმუნე რუსეთის ხელმწიფეს ახასიათებს და მათზე იმედს ამყარებს: „აწ განთქმულია რუსთა სახელი, / ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი“.

ძალიან საინტერესოა ის, რომ მეფე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს „რჯულის ერთობას“: „დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, / მტკიცე კავშირი, -სარწმუნოება, / მას მსურს, რომ მივცე მემკვიდრეობა,“ როგორც ერთმორწმუნე ქვეყნისგან, მეფე ჩრდილოეთიდან „კეთილდღეობას“ ელოდება, საქვეყნო „კეთილდღეობას“.

საყვარელი მეფის გადაწყვეტილებამ განაცვიფრა მისი უერთგულესი მრჩეველი და უდიდესი პატრიოტი სოლომონ ლიონიძე და მოკრძალებით ჰკადრა მეფეს: „ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს, ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა, / ეზდენ შენზედა მსასოებელთა!“ სოლომონ ლიონიძე „თავისუფლების განსყიდვად“ მიიჩნევს მეფის გადაწყვეტილებას, მას ჩრდილოელი მეზობელი ჩვენთვის შეუთვისებელ და მიუღებელ მოკეთედ წარმოუდგენია, მსაჯულს არც „რუსთა საფარქვეშ“ ქართველთა ბედნიერების სჯერა, სოლომონმა იცის, რომ „ვით შეიწყნარებს“ რუსეთი ქართველთა სურვილებს მაშინ, როდესაც ისინი განსხვავებული ხასიათის, მენტალობის, ადათ-წესების მატარებელნი და ქართველები ჩვეულებათა თავდადებული დამცველნი არიან, სოლომონი ღრმადაა დარწმუნებული, რომ „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა / არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს,“ მას ვერ წარმოუდგენია ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელთან ქართველთა შეთვისება, მათი სურვილების ასრულება, პირიქით, მან იცის, რომ „კაცთ მართალთ“ გული მოუკვდებათ მტრის ხრიკებით, ტანჯვით. ბარათაშვილიც შთამაგონებლად აცხადებს მსაჯულის შესახებ: „სადღა არიან აწ ესე კაცნი, რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი“ და, შესაბამისად, გამოხატავს თავის სიმპათიასა და კეთილგანწყობას მის მიმართ.

„განძვინებული“ სპარსეთის დამარცხებას კი ერთმორწმუნე მეზობლის წყალობით აპირებს პატარა კახი: „მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის / ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“ და სჯერა, „რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, / ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება“.

პოემაში საინტერესო პასაჟია, „ჩრდილოეთის ქარით გულშეცვლილი“ დედების ჩვენება, და ბარათაშვილის წუხილი: „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ / გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!“ უდავოა სინანული რომანტიკოსისა, იგი არ სცნობს გულშეცვლილ ქართველ ქალებს, ნატრობს ქართველ დედებს, რომლებსაც აღმერთებენ და ადიდებდნენ ნებისმიერი დროის საქართველოში.

ამ ლექსისგან კონტრასტულად განსხვავდება „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელზეც საინტერესოდ მსჯელობს გურამ ასათიანი: „საფლავი მეფის ირაკლისა“ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შინაარსის ლექსია, უკმაყოფილების თემა აქ მოულოდნელად იცვლება არსებულ ისტორიულ რეალობაში პოზიტიური გონიერი საწყისების განჭვრეტის ცდით, ეს ლექსი პოეტური აპოლოგიაა იმ „ტკბილი ნაყოფისა“, რომელიც ერეკლე მეორის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა გამოიღო ახალ საუკუნეში. მართალია, ერეკლეს „ანდერძნამაგი“ აქ გამართლებულია მხოლოდ ნაწილობრივ, როგორც მშვიდობისა და განათლების წინაპირობა, მაგრამ თანამედროვეთათვის ეს ლექსი უფრო ფართო მნიშვნელობითაც უნდა აქდერებულოყო.“ (გ. ასათიანი, 1982: 226)

ალეგორიულია ბარათაშვილის ლექსი „სუმბული და მწერი“. კაცის გადარჩენილ ყვავილს, ოქროთი შემკულ სადგურში არაფერი ახარებს, სული ეხუთება, სუნთქვა უჭირს, სიხარულის შეგრძნებაც კი დაჰკარგვია: „ვით გააღიმებს ჩემს შევნებას ხშული ჰაერი?“

რალა თქმა უნდა, ლექსში მოყვრის ნიღბით შემოსილი კაცი რუსეთის საშინელი იმპერიის სახეა, ფაქტია, მტრად მოგვეკიდა ჩრდილოელი დამპყრობელი, „მფარველად მოვლენილი მხსნელი“, რომელიც დამპყრობლად ექცა „გადარჩენილს“ და სამუდამო პატიმრობისთვის გაიწირა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

- ქართველი რომანტიკოსები ერთგვარად გაორებულნი იყვნენ შეფასებაში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა, მიუხედავად იმისა, რომ შედეგებით კმაყოფილნი არ იყვნენ, მაინც დადებითად განიხილავდნენ რუსეთის მფარველობაში საქართველოს ყოფნას;
- მათი გაორება გამოწვეული იყო ძირითადად მათი რუსულ სამსახურში ყოფნითა და ახლო ურთიერთობებით რუსეთის იმპერიის გარემოცვასთან და თავად იმპერატორთან, რომლის მართლმადიდებელი მონარქის სტატუსი განაპირობებდა პატივისცემას მისადმი;
- რომანტიკოსების შეფასებით, ის, რაც ხდებოდა ქართველთა თავს, მხოლოდ ადგილობრივი ჩინოვნიკების დანაშაული იყო, ანუ თვლიდნენ რომ არსებობდა „კეთილი და ბოროტი რუსეთი“ და საერთო ჯამში მაინც სიკეთედ მიაჩნდათ ის, რომ მუსლიმ დამპყრობლებთან ბრძოლაში რუსეთის მფარველობა შეუცვლელი საჭიროება იყო ქვეყნისთვის;
- სწორედ ამ გაორებით აიხსნება ქართული რომანტიზმის ძირითადი თავისებურება, რომელიც პიროვნების სულიერი მოძრაობისაკენ კი არაა მიპყრობილი, არამედ მთლიანად პატრიოტულ თემატიკას ეძღვნება.

ლიტერატურა:

1. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, 1897.
2. კ. აბაშიძე, ეტიუდები: ელექტრონული მისამართი: [file:///C:/Users/user/Downloads/Abaschidse%20Kita_koreqt%20(5).pdf]
3. ნ. ნაკუდაშვილი, „ლიტერატურული მიმდინარეობები“, თბ., 1997.
4. დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს ისტორია გამომცემლობა გუმბათი, თბილისი 2012.
5. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940.
6. ქრესტომათიული კრიტიკა XIX საუკუნე, II, „წყაროსთვალი“, თბ., 2004.
7. რ. დევდარიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება, ქუთაისი 2002.
8. ქართველი რომანტიკოსები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბ., 1976.
9. „მისი სახელი კიცხვითა“
[ელ-რესურსი: <http://poetry.ge/poets/grigol-orbeliani/poems/1340.misi-sakheli-kitskhvita.htm>]
10. გ. ასათიანი ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, „საუკუნის პოეტები“, თბ., 1988.
11. „ქართველი მწერლები სკოლაში“, წიგნი V, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2001.
12. burusi.wordpress.com/2009/10/01/grigol-orbeliani/
13. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. III, (ხელნაწერი) 1879.
14. ქართ. ლიტ. ისტ. ტომი III, 1969.

Neli Petriashvili

Sokhumi State University

THE ENEMY WITH COMMON BELIEFS AND ROMANTICIST WITH MIXED EMOTIONS RESUME

Georgian romanticists were split in two about Russian-Georgian relationship. Although the results would not be satisfied they were still favorably disposed to the protection of the Russian presence.

The reason of their doublethink was their presence in the Russian service, close relationship with the Russian Empire and his surroundings. The orthodox monarch determined the feeling of respect.

Georgian romanticists blamed local officials, they were guilty for what was happening in Georgia then. They considered that there were “kind and wicked Russia” but Russia’s patronage was an indispensable necessity for the country in fighting against Muslim invaders.

**ახალი სიტყვა თანამედროვე ქართულ პოეზიაში – როსტომ ჩხეიძის „მზის საფეხურები“.
ლექსები პროზად**

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის უპირველესი მისია უცვლელია, ესაა სიბრძნის ძიება, სიბრძნე, ცოდნა კი ორგვარია: ურწმუნოთა, ღმერთისგან განდგომილთა მიწიერი ცოდნა (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (1,90), „წუთისოფლის მთავართა წარმავალი სიბრძნე და ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,6,7) (2,358).

სიბრძნის გამოვლენის მრავალი გზა არსებობს. ერთ–ერთია იგავური, სიმბოლური, რომელზედაც დავით წინასწარმეტყველი ბრძანებდა: „იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“ (ფს.49,5) (2,572).

როსტომ ჩხეიძის ახალი წიგნი „მზის საფეხურები“. ლექსები პროზად – ენიგმებით გამჟღავნებული საღვთო, მარადიული სიბრძნით იქცევა ყურადღებას.

მწერლის ცოდნა, სიბრძნე იმ კატეგორიისა, რომელზედაც გრიგოლ ნოსელი აცხადებდა: „ცოდნა სიყვარულია“ (3,15).

„მზის საფეხურების“ რელიგიურ–ფილოსოფიური, ეროვნულ–სოციალური სატკივრები, მისი საკრალური ხასიათი განსხვავებულ სამოსელს ითხოვს და მთავარი პრობლემები სიმბოლურ–იგავურ სახეებშია საძიებელი.

„ყველაზე უკეთესი ქმნილება ის არის, რომელიც ყველაზე დიდხანს მალავს თავის საიდუმლოს“. რომელიც „აღმოჩენის შთაბეჭდილებას“ ახდენს“ და „ხელს უწყობს სულის ზრდას“. განმარტავდა პოლ ვალერი (4, 301, 369-370).

დაახლოებით იგივეს გვამცნობს ფსევდო ლონგინე: „ყველაზე უკეთესია ის ფიგურა, რომელიც ყველაზე უკეთ მალავს თავის ფიგურულ აზრს“ (ამაღლებულისათვის) (5, 145).

როსტომ ჩხეიძის მეცნიერული მოღვაწეობა, მწერლის მხატვრულ–დოკუმენტური პროზა, უცხოური პოეზიის თარგმანები, განუმეორებელი ხელწერა ქმნიდა მისი დიდი ნიჭის კიდევ ახალი რაკურსით გამოვლენის მოლოდინს და „მზის საფეხურები“ – ლექსები პროზად არათუ უბრალო გამართლებაა ამ მოლოდინის, არამედ სასიამოვნო გაცემის, სრულიად ახალ სამყაროსთან ზიარების ღირსსახსოვარი ფაქტი.

წამში მარადისობის, ლოკალურში გლობალურის, დეტალებში მთელის მოხელთება, სამივე დროის პრობლემების გასიგრძეგანება უთუოდ ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატებს ხელეწიფებათ.

წმინდა წერილიდან დაწყებული, მსოფლიოს მრავალ წარუვალ სიბრძნეს ზიარებია წიგნის ავტორი და ჩნდება რა წინაპართა ასოციაციები, თვითონაც ტოლივით ეპაექრება მარადიული სიბრძნის ადეპტებს.

დიდი კლასიკოსების გზებზე მავალი შემოქმედის წიგნში ხშირად ჩნდება რემინისცენციები თუ ალუზიები წინამორბედთა ნააზრევიდან.

„მზის საფეხურებში“ მკითხველს იტაცებს მრავალმნიშვნელოვანი სახეები, ქვეტექსტები, ენიგმები.

ლექსები პროზად იწყება მიმართვით მკითხველისადმი. აქვე, ეპიგრაფში დამოწმებულია იოანე მოციქულის გამოცხადების მე-14 თავის მე-18 მუხლი, რომელშიაც მიწის ვენახის ყურძენს ანგელოზი ღვთის მძვინვარების საწნახელში ყრის.

ამ მრავლისმთქმელ გაფრთხილებას სხვა კონტექსტში მრავალგზის გააჟღერებს ავტორი.

აქვე მიწის ვაზის სხვა ჩანაფიქრიც გვახსენდება, რომელიც მოაზრებულია ებრაელი ხალხის მეტაფორად: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7) (1,77).

ხოლო ზეციური ვაზის საიდუმლოს იოანე მოციქულის სახარება გვაზიარებს ძე ღმერთის განაცხადით: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“ (იოანე, 15,1)(2,203).

მიწა და ზეცა „მზის საფეხურებში“ მუდმივი ინტერესის საგანია.

ზემოხსენებული ეპიგრაფით წიგნის ავტორი ამაფრებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას და ამ ქარაგმაში შეფარულ აზრს სხვაგანაც გვიცნობიერებს, როცა ვენახის, მევენახის, ღვინისა და მამის პრობლემას თავისი პოეზიის გამჭოლ თემად აქცევს.

სულისშემძვრელია „მეხდაცემული ამბების“ (გვ.10) ჩანაფიქრი. მასში კაკლის ყოვლისდამტევი, თითქოს ცის და მიწის შემაერთებელი, ცისარტყელით გასხვიოსნებული ფულურო ის ლაბირინთია, რომელშიც ფიქრი ქმნის უკიდევანო სამყაროს.

მაგრამ მოდის „დეღამა“, „ჭექა-ქუხილი“, წარღვნა, რომელიც, ფულუროსთან ერთად, კაკლის ხესაც შეიწირავს, ხოლო ბალი გადარჩება, „ამბების ანარეკლთან“ ერთად.

ეს „ამბების ანარეკლი“, ეს დაუვიწყარი მოგონება ასაზრდოებს პოეტის შთაგონებას.

და გვახსენდება პლატონი: „სული ყოვლისმცოდნეა. ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება, მოგონება ღვთიური ნიჭია“ („მენო“) (6, 100).

ნეტარი ავგუსტინე ასე აკურთხებდა შემოქმედისთვის აუცილებელ მეხსიერების ძალას: „...ველებსა და დარბაზებში ჩემი მეხსიერებისა... აღსავსეთ უამრავი განმოსაცავით... იქ ვხვდები ხოლმე საკუთარ თავსაც...“

„დიდია, უფალო, ეს ძალი მეხსიერებისა, განუზომელი სიდიადის საკურთხეველია ეს“ (7,3,10,319).

როსტომ ჩხეიძის მიერ განცდილი „დეღამა“, „მეხი“ მთელი ერის ტრაგედიაზე მიგვანიშნებს, რაც მუდმივად უნდა იყოს ხსოვნაში. ასევე, მეხდაცემული ბალი და ხეც სიმბოლური გააზრებაა ჩვენი ხალხის მიერ გამოვლილ უბედურებათა.

როგორც ვენახი, ბალიც ებრაელი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში: „იქნები მორწყული ბალივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს დაშრება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58,11) (1,217).

როსტომ ჩხეიძის მრავლისდამტევი სტრიქონები იწვევს ასოციაციებს ქართველი კლასიკოსებისა, რომლებიც ასევე ენიგმებში, სიმბოლურ-მეტაფორული სახეებში ხვევდნენ სათქმელს: ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი“, გრიგოლ რობაქიძის ფულუროიანი მუხა (საუბარი კარდუსთან), კონსტანტინე გამსახურდიას ხუთასწლოვანი, კომუნისტების მიერ აკაფული მუხა „მთვარის მოტაცებაში“, გალაკტიონის იავარქმნილი „ძველი კაკლები“, მისივე მუხის ღრუში დაბუდებული ჭოტი ან კიდევ მოყვრის ნიღბით მოსული „მეორე მტრის“ მიერ განადგურებული ბალი და ხეები „მშვიდობის წიგნში“, „ძმებისაგან“ გაყოფილი „მოხუცი ბალი“ მისსავე „პირიმზეში“, ტერენტი გრანელის „ქარებისაგან“ „ყაჩაღივით“ აკლებული ძველი ბალი (ძველ ბალებს დაეცნენ ქარები ყაჩაღივით)... „ბევრი ხნიერი მუხა აკაფეს, ... ყელში ამომდეს მეც აპური (წერილები ბოთლში), შემთხვევით როდი ჩიოდა იოსებ გრიშაშვილი.

ამ მაგალითების გათვალისწინებით, როსტომ ჩხეიძის მეტაფორა ნისლს მოიცლის, გამჭვირვალე ხდება და აშკარაა, რომ ფულუროიანი კაკალი, შემდეგ „ნაკაკლარს“ რომ შეარქმევს, სამშობლოს განსაცდელზე მიმანიშნებელი სახეა.

კონსტანტინე გამსახურდია აზუსტებს: „...ბერმუხა მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა“ („ვაზის ყვავილობა“) (8, 629).

და ისევ როსტომ ჩხეიძის მუხა: „მდევედა, მემახდა, მიზიდავედა მუხის ტოტი“, რაც გვაგრძნობინებს, რომ ეს ოდენ ხე როდია, ერის სულია და პოეტს სწყურია, მისი არგადაშენების, მარადიულობის სიმღერა იგალობოს...

„დეღამა“ და „მეხი“ რომ მხოლოდ ბუნების რისხვა არ არის, ნათელი ხდება აგვისტოს ხსენებისას, როცა ქვეყნის ავბედითმა მოვლენებმა 1924 წ. აგვისტოში ექვსი ათასი ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

ასე ერთვის პოეტის დიდმნიშვნელოვან სათქმელს წარსულის ხსოვნა, მიზეზ-შედეგობრიობა, აწმყოს სატკივრები, 1924 წ. აგვისტოს მოვლენებისა და 2008 წლის აგვისტოს ეროვნულ ტრაგედიებზე მინიშნება და მომავლის გადასახედის ძიება (მეხდაცემული ამბები) (9,10).

შემდეგ ისევ საჭირობოროტო კითხვა და სურვილი: „და ისე ერთბაშად მომინდება, რომ წელში გავსწორდე, მხრები შევათამაშო და ამაყადაც მიმოვიხედო, რატომ დავივიწყო, რომ მეცა მქონდა ერთი დრო“...

და რწმენა: „ჰაი გიდი... ვისაც ჰქონია ის ერთი დრო, კიდევ შემოატრიალებს ჟამთა მსვლელობას და გარდასულ წამს ამოზიდავს გასაცოცხლებლად“ (ჰაი გიდი) (9,14-18).

ქართულ პოეზიაში ვერხვის შესახებ უკვე არსებობდა გენიალური გალაკტიონის შედეგრი – „ვერხვები“, რომელშიც აზრი და მუსიკა ტოლფარდი ძალით იჭრება სულში.

ქართველთა პოეტების მეფე „ქარის დაბერვის“ – შთაგონების მოვლინების ჟამს „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქრის უშორეს ზღაპარს“ უსმენდა, ხოლო ვერხვი სიცოცხლის ხის, უზენაესის სიმბოლოა ბიბლიის მიხედვით.

როსტომ ჩხეიძის ალტერ ეგოს – გეგენას ესმოდა ხეების ჩივილი, ხეების ვედრება. ის ზამთრის ყინვიან სუსხში ვერხვს გადაარჩენს პრაგმატისტთა მიერ მოღერებული ცულისგან მასზე ღვთისმშობლის ხატის მიკვრით და ხე ღია ეკლესიად იქცევა, ხალხთა სათაყვანებელ-სალოცავად. „ვერხვის იდუმალი შრიალი საგალობლად“ ეწვეთება სმენას.

ასე ამარცხებს რწმენა ურწმუნობას, სიკეთისკენ მიაქცევს მხოლოდ მიწიური ინტერესებით მცხოვრებთ (რას შრიალებს ტოტი ვერხვისა) (9, 37-42).

როსტომ ჩხეიძის მიერ შემოქმედებითად, თავისებურად, ორიგინალურად არის ჩაფიქრებული ქართული კლასიკური პოეზიის მარგალიტში შეფარვით მოწოდებული პრობლემა რწმენა-ურწმუნობის მარადიული ჭიდილისა. ამალღებული იდეალის მსახურ გეგენას მიგნებული, განუმეორებელი შტრიხებით გამოძერწილი სულიერი პორტრეტი უნებურად იწვევს როგორც ვაჟა-ფშაველას მინდიას, ისე გალაკტიონის „ვერხვების“ ლირიკული სახის რემინისცენციებს და, ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ამალღებს და უკვდავ პერსონაჟთა გალერეაში უმკვიდრებს სამარადისო ადგილს როსტომ ჩხეიძის პერსონაჟს.

საკრალურია „პურის სურნელი“ (9,21-23), რომელშიაც პურის სურნელზე საუბარს მზე ენაცვლება და ავტორის გულისტკივილიანი ფრაზა: „სადღაც გამწყდარიყო მზის ძალა და მადლი“.

ასე მიგვანიშნებს ავტორი რწმენის უზენაესობაზე, რადგან წმინდა წერილის მიხედვით, „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12). (2,614).

ღმერთი არის „მზე სიმართლისა: „ამოგობრწყინდებათ, უფლის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი. 3,20) (1,307).

ხოლო როსტომ ჩხეიძის ლექსში ხორცის საზრდელ პურს სულის საზრდელი პური, ზეციური პური ენაცვლება, ანუ ქრისტეს მცნებები, როგორც ძე ღმერთი ამბობს: „მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასდროს არ მოსწყურდება“ (იოანე, 6,34) (2,190).

ღვთისმეტყველები აზუსტებენ: „პური ცხოვრებისა ქრისტეა“ (კიპრიანე) (10,107).

„პური არსობისა“ აღნიშნავს მომავლის, ანუ საუკუნო ცხოვრების პურს, ანუ იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ“ (იოანე დამასკელი) (11,310).

როსტომ ჩხეიძის წიგნში ისევ და ისევ სიმბოლურ ჭრილში გაიაზრება მზე, ბილიკი, ბალი.

მთავარია „მზის ბილიკი“, „ბალის ბილიკი“ და „სასაფლაოს ბილიკი“.

ხაზგასმულია, რომ „ბილიკს არ უნდა მოსდებოდა შამბი და ეკალი.

ბალი სუნთქავდა ბილიკით.

სასაფლაო ბილიკით სუნთქავდა“.

ბაღში ისევ მშობლიური ეთნოსი გვეცნაურება, ხოლო გზა, ბილიკი საღვთო სახელია: „წავიყვან ბრძემს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკებზე გავატარებ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 42, 16).

გვახსენდება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ დაკარგულია ეკლესიისკენ მიმავალი ბილიკი, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“ გზას კატაბალახა მოსდებია, როგორც ურწმუნობის მაცნე.

შამბი, ეკალი ცოდვათა მომრავლების მაუწყებელია: „ეკლები ცდომილების შემდეგ აღმოცენდა მიწიდან, თანახმად უფლის განჩინებისა. ამის შემდეგ ვარდის საამურობას ეკალიც თანაშეეწყვილა, რომ შეგვახსენოს ის ცდომილებები, რის გამოც ეკლებისა და კუროსთავების აღმოცენება მიესაჯა ჩვენთვის მიწას“ (11,357).

„კურთხეულია და სასარგებლო მწვანის აღმოცენებელი მიწა, ხოლო რომელიც იძლევა ეკალსა და კუროსთავს, უვარგისია და ლამის დაწყევლილი. მისი ბოლოა დაწვა“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 6,7,8) (2,474).

„მზის ბილიკში“ შემოდის „ავვისტოს ნათელში შემოჭრილი მწუხრის, სისხლში განბანილი“ მოვლენების ხსოვნა, „ავვისტოს ახალი ტრაგედიის“ განცდაც.

კაკლიანი „ნაკაკლარად“ ქცეულა, ამიტომ შეუძლებელია „წარუვალი მუსიკის“ შეგრძნება.

ბილიკის სიამაყე იყო „მაღალი ალვები, ამ სოფლის, ამ გვარის, ამ ოჯახის ხელშესახები სიმბოლო“ (9, 46-49).

ალვა საღვთო სახელია: „დავრგავ უდაბნოში ნაძვს, ურთხელს, მურტსა და ზეთისხილს, აღვმართავ ტრამალზე ალვას ნეკერჩხალთან და ბზასთან ერთად“ (ესაია წინასწარმეტყველი, 41,19) (1,104).

საკრალურ მხესთან, „მზის ბილიკთან“ ერთად, ნაწარმოებში „წუთისოფლის მზეც“ ფიგურირებს.

„ბილიკის უჩვეულობის“ შემგრძნებად მოაზრებულია გერონტი ქიქოძე, რომელიც „ცის კაბადონზე დაუწყებდა პოვნას ამ ბილიკის პირველსახეს“.

ასეთი ამალღებული, წმინდა გზებით დაჰყავს ავტორს მკითხველი მზის, გზის, ბილიკის იდუმალებით გასაოგნებლად.

„ამალღებული სულიერი სიმადლის გამოძახილია“ (ფსევდო-ლონგინე) (5,114).

მთავარია „ბილიკის საიდუმლო“, „მზის საიდუმლო“.

სევდა ახლავს „სადირბოზე დაქანებული მზის საიდუმლოს“, როგორც ურწმუნობაზე მინიშნებას.

პოეტის სულის თანამდევია „შუადღის წყვდიადი“ თუ „შუადამის მზის“ ხილვები, როგორც ინიციაციის გზა.

უმზეო, უვარსკვლავო ღამეში სევდის მომგვრელია წყვდიადში გახვეული, ჩაბნელებული მუხა და მით უფრო ძლიერია მზის ხილვის სურვილი, მარანში, ქვევრთან მიახლების, ქვევრის სარქველის ახდის და იქიდან მზის ამობრდღვიალების ნატვრა, მზისა, რომელიც მარტო მარანს და კარ-მიდამოს კი არა, მთელ სამყაროს გადაანათებს.

ენატრება, სწყურია თითქოს „ქვესკნელიდან დახსნილი მზის ხილვა და მის იდუმალ ჰანგს აყოლილი ბუტბუტი მუხის“. ელანდება „იდუმალი აჩრდილი“, როგორც გალაკტიონს, (პავლე მოციქულის მიხედვით, „მომავლის ჩრდილი“, სწყურია უზენაესი სული, რომელიც მარნისკენ წაუძღვება, ქვევრის თავს აახდევინებს, რათა იქიდან მთელი სამყაროს მანათობელი მზე ამობრდღვიალდეს, რათა იხილოს „ძველი, დაწმენდილი ღვინო“, როგორც ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადობს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი დაწმენდილი ღვინით“ (25,16) (1,91).

პოეტს სურს ეზიაროს „სულიერ ღვინოს“, ზეციურ ღვინოს რომელიც, წმიდა სვიმონ ღვთისმეტყველის მიხედვით, უზენაესია და კურნავს სულიერ წყლულებს“ (10,163).

არც „ქვესკნელიდან დახსნილი მზის“ ანუ შემთხვევითი, არც მზის „იდუმალ ჰანგს აყოლილი ბუტბუტი მუხის“.

ისევ საკრალური სტრიქონები, იდუმალება, მიწიდან მოწყვეტა, რწმენის მზით სულის გასხივოსნების დაუვიწყარი მისტერია (მზე წყვდიადში) (9, 56-57).

და კვლავ გზის ძიება, კვლავ გზაჯვარედინი, ოთხივე მხრით საფრთხე. კლდეებში ისევ ამირანის კენესა, არგონავტების მოლანდება, კოლხეთის კვირბები.

გაურკვეველობა და არა გზა.

„მაფს უნდა ჩაებლაუჭო, გზა უნდა ეძიო, ბეწვის ხიდზე უნდა იარო“.

„ხიფათში მყოფო ვაზო და მდელი, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანდა იქნება მერე“, „უფრო მეტად გამჭირახობა იყოს იმედად“, მოძღვრავდა ერს მოსალოდნელ საშიშროებათა შემცნობი გალაკტიონი „მშვიდობის წიგნში“.

იგივე სატკივარს გაუთანგავს „მზის საფეხურების“ ავტორის სული. (გზაჯვარედინზე) (9, 49-51).

როსტომ ჩხეიძის თვალთახედვით, ცხოვრება მორევია, გრიგოლ რობაქიძის თქმით, მალშტრემი.

„მორევის“ ავტორის სურვილი: ეკლესია შეიძლება იდგეს მდინარეში, ტბაში, ზღვაში...

აკი წმინდა წერილში ცხოვრება ზღვასთან არის შედარებული: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20)(1,116).

ხოლო იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, ამ ცოდვების ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, ჯვარი, ჯვარცმა“ (7,519).

ცოდვების ზღვაზე გასაგნები გზების გაკვლევაში გვეხმარება „ლექსები პროზად“, გვინერგავს, რწმენას, როგორც წმინდა მამები.

როსტომ ჩხეიძეს ენატრება „მზიანი ღამე“ (ღმერთი), „შუალამის მზე“, მოვლინება როგორც ინიციაციაციის უმაღლესი საფეხური, სულიერი ნათელდება.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა მამის სახეს, მიწიერი მამის მადლთან ერთად, ზეციური მამის ძიებას დიდი გალაკტიონის მაგალითზე. ძიება იწყება სიტყვის ოსტატებიდან-აკაკი წერეთელთან, ილია ჭავჭავაძესთან, პოლ ვერლენთან.

მერე საინფორმაციო ველი იხსნება და მამის ლანდი ჩნდება ვენახის ფონზე სასხლავით ხელში. ხდება სასხლავისა და მამის ხატების შერწყმა.

„ესაა ღრმა სიმბოლიკა-ყოფითი რეალურობის იერიოთაც და კონტურებითაც“ (მამა) (9,70-73).

„მამულის“ ავტორი წუხს ღვთისნიერ წინაპართა წასვლას და შემთხვევით როდი ელანდება „მოხუცი მამა“ (ღმერთი) სასხლავით ხელში, რადგან ვაზს უნდა მოსცილდეს უნაყოფო ლერწმები, ხოლო ვენახის გადაჯიშება პოეტს ამწუხრებს. ვენახი და მამა მალზე ღრმა სიმბოლოა და ამის შემცნობი როსტომ ჩხეიძე ცალკე წუხს და დიდი წინაპარივით ენანება.

და უცბად იბმება ლოგიკური კავშირი წიგნის ეპიგრაფთან: ანგელოზის მიერ მიწის ვაზის ღვთის მძვინვარების საწნახელში ჩაყრასა და გასასხლავ ვაზს შორის...

აკი „გაუსხლავ ლურჯ ბაღზე“ სწუხდა ტერენტი გრანელიც (1921)(12,245).

როსტომ ჩხეიძის ლექსში ერთმანეთს ენაცვლება მამის კიბე და ზეცის კიბე, ჰაერში მიმოზნეული კიბის საფეხურები, ერთმანეთისკენ რომ მიიწევენ და ვერც მიიწევენ, ეკვრიან და ვერც ეკვრიან“ (კიბე ზეცამდე) (9, 66-69).

ასე გაუთავისებია პოეტს სასულიერო პოეზიაში კიბის სახით მოაზრებული მარიამ ღვთისმშობელი და „არტისტული ყვავილების“ ავტორის „ისფერი თოვლის“ ხატები.

„მზის ბილიკების“ ავტორს ამრწუნებს საწყობად გადაკეთებული ეკლესია, ღმერთისგან განდგომა, უაზრო ტაშ-ფანდური, დოლ-გარმონი, ხოლო წინაპართა ცოდვების საზღაურია ძირძველი საცხოვრისიდან აყრა და ქალღმერთის, როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, ქართველთა პირველი სამშობლოს მონატრება.

პოეტის სული პლატონივით ვერ შერიგებია სულის ტყვეობას, ცხოვრების აღქმას გამოქვაბულად, სატუსალოდ, სამუდამოდ მოზორიალე ჩრდილებში ყოფნას, გრანდიოზული ჩრდილების სპექტაკლს, მით უფრო, უბედურებაა ჩრდილის (სულის) დაკარგვა.

აკი ეროვნულ მწერლობაშიც იყო გამოხატული მიწაზე ვერდატეული სულის სევდა.

დედამიწა გალია, ყუთი, მიწა-სამარე, ჰგოდებდა ტერენტი გრანელი და „მარადისობის ლაჟვარდებს“ იგულვებდა თავის სამუდამო სავანედ.

როსტომ ჩხეიძე მიელტვის მიწის ბორკილების დამსხვრევას, რათა ეზიაროს ნეტარებას, სრულქმნილ ექსტაზს-სულის განთავისუფლებას სხეულიდან.

მაგრამ არეოპაგელისეული „წმინდა ნათლის“ სიწყვდიადის განცდა ეუფლება და იმის იქიდან გადახედვის შეუძლებლობა აწუხებს.

თავისუფლების შეგრძნება თითქოს იყო, მხოლოდ თითქოს... და მზის, ბალახის, ახალშობილის მონატრებას ამჯობინებს ანგელოზთა გალობას და ემორჩილება ადამიანისთვის დადგენილ წესებს, ისევ მიწაზე ბრუნდება და მზის საფეხურებს ელტვის.

„ორი ქვეყნის საზღვრად“ იდგა ანა კალანდაძე, რომელიც ცაში მალღებოდა, მაგრამ ისევ მიწას უბრუნდებოდა: „ვერწყმი უდაბურ ლაჟვარდებს, მოულოდნელად ვლონდები და ისევ მიწას ვისურვებ თავის დარდით და ცოდვებით“.

ამასთან, ანა კალანდაძე წუხდა მიწისკენ მიქცეულ, ცა და ციურის, მიუწვდომლის დამვიწყებელ სულებზე (შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცნი“).

პოეზიის დედოფალი ჰკვირობდა: „რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი?“

მარადისობის ლაჟვარდებს მიახლებული და ისევ მიწაზე დაბრუნებული ტერენტი გრანელი აცხადებდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

დანტე ამბობდა: „მიწაზე ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისას“.

მის პოემაში მიწიერი ინტერესების მონებს მისჯილი აქვთ მიწისთვის ცქერა: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის ცქერა“ (13,197).

„ჩვენ პირდაპირ მიწაში ვართ ჩათხრილი. სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძალებს.

„ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“, შეგვაგონებდა რუდოლფ შტაინერი (14,169,270,273).

შემოქმედება სხვათაგან უხილავის ხილვაა, იდუმალთან თანაზიარობა, ხოლო სულიერი აღზევება განუზომელ მსხვერპლს მოითხოვს, როსტომ ჩხეიძემ იცის: ვინც დროს უსწრებს და ერს სწორ ორიენტირს უჩვენებს, ბიბლიური წინასწარმეტყველივით ორმოში ჩაგდებას, ოც ვერცხლად გაყიდვას ვერ აცდება და ისიც მზად არის სრული თვითგაღებისთვის (სიზმარია, სხვა არაფერი) (9,63-65).

„მიიქეც შენივე სულის ჭვრეტად.

„თუ შენი მზერა მახვილია“ და ღრმად მხედი,-მიიქეც შენივე სულიერი ცხოვრების ჭვრეტად“, მოგვიწოდებს მარკუს ავრელიუსი (15,204).

როსტომ ჩხეიძის „მზის საფეხურები“ საკუთარი სულის ჭვრეტაც არის, ეროვნული ფენომენის გასიგრძეგანება, ტაძრისკენ გზის გაკვეთვაც, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე მართებული პასუხიც.

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს და საერთაშორისო მასშტაბით საგულისხმოა „გალობანი გალობისანი“ (9, 23-29).

წიგნის ავტორი წუხს, რომ სისხლში განზანთილი აგვისტოს ტრაგედიებმა შეუძლებელი გახადა „წარუვალი მუსიკის“, „სამყაროს ორატორიის“ მოსმენა, მაგრამ ის მაინც მთელი არსებით აყურადებს მხოლოდ რჩეულთათვის გასაგონ ჰანგებს.

აღნიშნულია, რამ სფეროების, შორეული სამყაროს მუსიკის გაგონება მიწაზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური.

სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიისგან, არამედ რიტმისგან.

კოსმოსში ცხოვრობს ის გონიერი ძალა, რომელსაც ეწოდება კოსმიური რიტმი. მარადისობის ხმას მიეყავართ სიკეთისა და სინათლისკენ.

მღერის სინათლე და ხმიანობს განუზომელი სივრცე.

სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის, გარემოს მუსიკის გაგონება შესაძლებელია, მაგრამ უმაღლესი სულის ხმის გაგონებისთვის აუცილებელია სულიერი ცნობიერების განვითარება“ (წერს ელენე რერიხი (16, 56, 63, 910, 143, 164, 191, 245, 411).

დანტემ, გოეთემ მოისმინეს ზეციური ხმები, რუსთველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს ესმოდათ „ციურთა დასთა გალობის ზარი“.

ილია ჭავჭავაძემ, ვაჟა-ფშაველამ, აკაკი წერეთელმა, გალაკტიონმა, ტერენტი გრანელმა გაიგონეს ეს სხვათაგან მოუსმენელი ხმები.

„უგალობეთ უფალს გალობა ახალი, უგალობეთ ღმერთს, უგალობეთ გონივრულად“, ასეთია ბიბლიური წინასწარმეტყველის მოწოდება (ფს. 32-33, 3, 47, 7,8) (2,553, 635).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში იმ ზეციური გალობის გათავისება მხოლოდ რწმენისთვის მსხვერპლის გამღებთ, თეთრად შემოსილ წმინდანებს ხელეწიფებათ.

როსტომ ჩხეიძის აზრით, „გალობანი გალობისანი“ ესმოდათ სასაფლაოზე ნიკოლოზ ბარათაშვილს, ლადო ასათიანს, ტერენტი გრანელს.

გალაკტიონის პოეზიიდან გვესმის „ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი“.

პოეტების მეფეს, ეზეკიელ წინასწარმეტყველივით, ესხნებოდა „ლაჟვარდი ბროლის“, ხედავდა „ბროლის ზმანებას“, ესმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“ (დაბმული ჭინკა) (17) ესმოდა „ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“, ციური გალობა (ღიაა ქალაქის ქალა) სიხარულის ღმერთის ხმა (სიშორით შენით), „გაზაფხულის გამმა“, „კოსმიური, ერთადერთი მძლავრი მუსიკა“.

ე. რერიხი ირწმუნება, რომ ასტრალური სამყაროში სულს ესმის 14 ხმა, მიწაზე–9 ხმა.

უცნობი ხმები აფართოებს შემეცნებას.

რაკი სამყაროში არაფერი ქრება, ის იდუმალი ხმები „ედებიან გულს ნიავექარად“, მთაში, ზღვაზე, ქვესკნელში, სასაფლაოებზე ხმიანებენ უზენაესი ჰანგები.

როსტომ ჩხეიძის აზრით, „ზექვეყნიური, უკვდავი ხმები“ ისმის სასაფლაოებზეც და მღერის სივრცე, სასაფლაო, „მღერის არა მხოლოდ ბაგე და ყელი, მღერის ძვალი“.

გალაკტიონს ესმოდა „ციური დასის გალობა“, „სინათლის ხმა“, „საგანთიადო ხმები“, „მომავლის ხმები“, არაქვეყნიური სუნთქვა.

დანტეს სმენას მისწვდა გაბრიელ მთავარანგელოზის მახარობელი ხმები, „სინათლის ხმაი მეტყველი“, ზეციური სულის ხმა, „მიუწვდომელი, გადაცდენილი შემეცნების ჩვენის სამანებს“, „ზეციური ღირა, გალობა“ (13,322).

გოეთეს ესმოდა „სფეროთა ცეკვა, ჰარმონია, ციური ჰანგი“.

როსტომ ჩხეიძეს მოუსმენია „გალობანი გალობისანი“ რაც რჩეულთა, სულიწმიდისგან მომადლებულთა ხვედრია.

ასეთი მრავალთემიანი, მრავალსახოვანი და აქტუალურია „მზის საფეხურები“, ჭემმარიტად ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში.

ლიტერატურა:

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. „გზა სამეუფო“, 1994, №1
4. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1983
5. ფსევდო ლონგინე, ამაღლებულისათვის, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1975
6. პლატონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ. 1974
7. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. კონსტანტინე გამსახურდია, ვაზის ყვავილობა, თბ. 1956
9. როსტომ ჩხეიძე, მზის საფეხურები, ლექსები პროზად, თბ. 2016
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ. 1990
11. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
12. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
14. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994
15. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1972
16. Мозайка Агни Йоги, Тб. 1990
17. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977

Luara Sordia

Sokhumi State University

**THE NEW WORD IN MODERN GEORGIAN POETRY – ROSTOM CHKHEIDZE’S STEPS OF THE SUN-POEMS IN PROSE
RESUME**

Rostom Chkheidze’s Steps of the Sun attracts attention by revealing religious-philosophical and national-social problems.

In the book, Georgia’s national tragedies are displayed in the images of thunderstruck orchard, walnut tree with hollows, Natural disaster and thunder, fatal August, are indications towards August 1924 and August 2008 tragedies.

In the Steps of the Sun, examples of Christian tropology are: the sun, path, the poplar, bread, wine and the road. The ladder and “the purple snow” are the metaphors of Virgin Mary.

The main concerns of the author are Godlessness, fate of his homeland, loss of spirituality and the sun covered in darkness. The author seeks for future paths, sees the crossroad and believes that the nation with the great past will make the right choice and will spread the wings again.

In the book of poems there are multiple reminiscences from mythology, the Bible, Georgian and foreign classic literature, but the new directions are found through creative comprehension of traditions.

The Steps of the Sun represents the diverse talent of the celebrated scientist, writer and translator in a completely new capacity and establishes an honorable place for him in the Georgian classic poetry arena.

ელზა ფუტყარაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი*

ერთი მუჰაჯირის პოეტური სამყაროდან

მუჰაჯირობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ავადსახსენებელი ფურცელია. სამშობლო ქვეყნის, წინაპართა საძვლეების დატოვება, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტა, ეზო-კარს მოშორება ადვილი არ არის ადამიანისათვის. ეს იყო დიდი ეროვნული ტრაგედია. აღნიშნულთან დაკავშირებით ს. მესხი წერდა: „საშინელ სურათს წარმოადგენს თურმე ეს ხალხის გადასახლება. მნახველთ უამბიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედამიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი ტოვებენ. ცხარე ცრემლების ღვრით გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ასე მიდიანო (ს. მესხი, 2000:174). ამ ტრაგედიით შეძრწუნებული ილია ჭავჭავაძე კითხულობდა: „ნუთუ ხალხი ჰტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, სადაც დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა და მიდის სად? ოსმალეთში... ეს დაუჯერებელი ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან: ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? (ი. ჭავჭავაძე, 1987:470).

მუჰაჯირად წასულთა რიცხვი, სამწუხაროდ, ბევრი იყო. აჭარის ბევრი სოფლის მცხოვრებელი დაადგა მუჰაჯირობის გზას. მიდიოდნენ ცრემლებით, გულისტკივილით და იმის იმედით, რომ მაინც ვინმე იზრუნებდა მათზე. მათი საწუხარი თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ ა. წერეთლის დაკრძალვაზე აკანკალებული ხმით თქვა აცრემლებულმა მოხუცმა გულს ალა კაიკაციშვილმა: „გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგენიონ ჩვენი ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით!“

ამ ნამეტურ გაჭირვებულ მდგომარეობაში, სამწუხაროდ, ბევრი აღმოჩნდა. მუჰაჯირთაგან ერთ-ერთია შუახევის რაიონის სოფ. ტბეთიდან 30-იან წლებში წასული მამა-შვილი – ახმედ და ბინალ დავითაძეები (ქუფჩიოღლები). ისინი თურქეთში, ინეგოლის რაიონის სოფ. თუფექჩიქონაღში დასახლდნენ. სწორედ ბინალ დავითაძის ცხოვრების რამოდენიმე ეპიზოდი მინდა გაგაცნოთ.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში რამდენი მაგალითი ვნახეთ ხალხის მამაპაპისეული ძირიდან აყრისა და გადასახლებისა. დე, ამაზედ ჩვენს შემდეგ ისტორიკოსები განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულისტკივილი შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატთანში“. სწორედ ამ მიზნით მინდა გაგაცნოთ ამ ერთი მუჰაჯირის გულისტკივილი და ისიც შემორჩეს ჩვენს მატთანს.

ბინალ დავითაძე 17–18 წლისა იყო, როცა მამასთან ერთად საკუთარ თავზე იწვნია მუჰაჯირობის უბედურება. ძნელი წარმოსადგენი არაა რამდენად გაუსაძლისია, გამოგონებელია ეს საკუთრივ მუჰაჯირობა გამოვლილი ადამიანისათვის. მე მას 2002 წლის ზაფხულში შევხვდი თუფექჩიონალში, უკვე ღრმად მოხუცებულს. ეხლაც თვალწინ მიდგას მისი გატეხილი და ცრემლებჩაგუბებული თვალები, აკანკალებული, ტირილნარევი ხმა, ნაწყვეტ–ნაწყვეტი, ამოოხვრითი ნაამბობი: მამას ადრე გაუფრთხილებია, რომ უნდა წასულიყვნენ. „ამის მოლოდინში გული ტიროდაო. ერთ საღამოსაც გიმომჟღავნა, რომ შეთენებამდის სოფელი უნდა დაეტოვებინათ. მათ მახლობლად ტყეში უნდა შეეფარებინათ თავი და საზღვარზე გადაპარულიყვნენ. მე მაშინ მოვკვდი ერთი მოკდენა, დერდიანს რა დამამინებდა, დედამ არაფერი იცოდა. მთელი საღამო დედას ვუყურებდი თვალებში, რომ არ დამვიწყებოდა. ჩუმად დავტოვეთ სახლი, ხმამაღლა ტირილი მინდოდა, ვერც ეს ვქენი. დევმალეთ ტყეში. იხათა, ვიფიქრე უკან გამოვიქცე, დავტოო მამა–მეთქი, ვერც ეს ვქენი. მაშინ რომ მუცელში რაცხა ტამარი გიმოწყდა და მეტკინა, ის სულ მტკივა, არ მომირჩა, სულ მინედლდება მორჩენის მაგიერ. რა არი ეს ტკივილი არვინ იცოდეს, არვის გამოაცდევოს გამჩენელმა. სანამ საზღვარს გადავიდოდი, მანამ ხეზე ჩემი სახელი, გვარი ამოვჭარი. ჩემ სოფლებზემა დეინახეს კაი ხნის მერე“ (პირადი არქივი).

კიდევ ერთი დეტალი მისი ცხოვრებიდან. სახლის ერთ ოთახში კედლები სურათებით ჰქონდა დაფარული. სანათესაოს სურათები გამოეფინა და ეს იყო მისთვის ყველაფერი. სიცოცხლის მიწურულისაკენ მთელი დღეები ამ ოთახში იყო გამოკეტილი, იგონებს მისი შვილი სელათინი. ხან ერთი კუთხესთან იჯდა და დიდხანს გაყურებული უმზერდა თურმე სურათებს, ხან ოთახის მეორე კუთხისკენ გადაჯდებოდა და მთელი დღე ასე შემოიარდა ოთახს, ყველა სურათს ათვალიერებდა: „ამ სურათებ ველაპარიკები, ვეფერები“ (პირადი არქივი).

მართლაც, მისი მზერა ამ სურათებისაკენ რაღაც არაამქვეყნიური იყო, იმ რეალობით ცხოვრობდა. ოთახში პატარა საქართველო გაეცოცხლებინა. ამოიხრა: ჩემი საქართველოა ეს, ჩემი ვათანია, ჩემი გულის მომკლელი ჩემი ტბეთია ეს (პირადი არქივი). აი პატარა, მაგრამ ტკივილით, სევდით სავსე ეპიზოდები მუჰაჯირი კაცისა.

სამშობლოს მონატრების ტკივილმა ხელში კალამი დააჭერინა მუჰაჯირს. სამშობლოს, მშობლიური კუთხის მონატრებით გამოწვეული უდიდესი ტკივილია გადმოცემული ბინალ დავითაძის ერთ-ერთ ლექსში. ლექსი უსათაუროა (პირობითად, პირველი ტაეპის მიხედვით ვუწოდებთ „გულის კოვზმა გიმოტყდა“). ეს არის ერთგვარი სამანს გადასული მწუხარების, სევდა–ნაღველის ამოხეთქვა გულიდან. სიტყვებს მიღმა შევიგრძნობთ და ლამის გვესმის სამშობლოს მოწყვეტილი კაცის გულის ფეთქვა. ფაქტიურად ლექსი კი არა, ეს არის მოთქმა, გოდება, ტკივილით ნაკვები სიტყვებისა და გრძნობების ჭიდილი. ცრემლნარევი და მწარე ფიქრითაა ნასაზრდოები ლექსის თითოეული სიტყვა. სამშობლოს უსაზღვრო მონატრებით გამოწვეული ემოცია მკითხველისათვისაც გადამდებია და ასე თანაზიარი ვხვდებით მუჰაჯირის ნაფიქრალისა თუ განცდილისა. მშობლიურ კარ–მიდამოს ნახვას მოწყურებულ–დანატრებული მუჰაჯირის თვალებში ნისლია ჩაწოლილი. სული კი, როგორც თავად ამბობს „ჩიმიკუნაპეტდაო“, ანუ სულში სიმავე, ბინდია დასადგურებული; მისი ყოფა კი დარდს ისე დაუმძიმებია, რომ ბოლო მომიღო–კვნესის მუჰაჯირი. და მართლაც, შეუძლებელია გადამდები არ იყოს მუჰაჯირის სიტყვები: „სამშობლოს კარი მემძრა“. იმედიც რაა, ისიც აღარ ასაზრდოებს მის სულს; ის მწარე რეალობის წინაშე დგას–მისთვის სამშობლოს კარი მიძრულია–დახურულია. ერთადერთი ნატვრა, იმედის ნაპერწკალია დარჩენია და ესაა სიზმრად ხილვა მონატრებული სამშობლოსი. ლექსის თითოეულ ტაეპს რეფრენად გასდევს სიტყვები – „ახ ვათან, ახ ვათან“. ეს არ არის სიტყვათა უბრალო განმეორება, ესაა აქცენტირება და გამაფრება მისი ისედაც ტკივილიანი, სევდიანი, უიმედო ყოფისა. ლექსის ემოციურ ფონს კიდევ უფრო ამაფრებს ეს ცრემლიან–ტკივილიანი სულის ამონაკვნესი. მისი ვათანის–სამშობლოს–ნატრულია ის და ისიც უწყის, რომ მშობლიური მიწის არტახები ვერ ჩაიკრავს მის ტკივილით, მწუხარებითა და დარდით დამძიმებულ სხეულს:

„გულის კოვზმა გიმოტყდა,
ახ ვათან, ახ ვათან,
თვალში ნისლმა ჩიმიდგა,
ახ ვათან, ახ ვათან,

სული ჩიმიკუნაპეტდა,
ახ ვათან, ახ ვათან,
ფიშმანმა ბოლო მომილო,
ახ ვათან, ახ ვათან,
დერდმა ბითევ გამამწარა,
ახ ვათან, ახ ვათან,
სამშობლოს კარი მემემრა
ახ ვათან, ახ ვათან,
სიზმრის გავხდი მონატრული,
ახ ვათან, ახ ვათან“ (პირადი არქივი).

არანაკლებ სევდიანია მისი მეორე ლექსი. ლექსით ის მშობლიურ სოფელს–ტბეთს ეფერება შორიდან. მისთვის სანატრელიცაა და სევდის ამშლელიცაა მშობლიური სოფლის გახსენება. ამჯერად ის წარმოსახვით დაივლის სოფლის უბნებს–პატარეთს, ნასახლევს, ჭურკვეთს, მესხავს, ბარდნალას, ფარცხვანას, ხოლო მისი პატარა სამოსახლოს გოჩიეთის ცივი წყლის გემო ათასგზის აფორიაქებულ სულს ისევ ჩვეულად აუფორიაქებს, წისქვილ კარს ჩამონადენი ღურღუმელა ღელის მონატრება კი მოსვენებას აკარგვინებს:

„ჩემო სანატრელო ტბეთო,
ჩემო გულის დარდო,
ჯამიკარო, პატარეთო,
ნასახლევო, მესხავო,
ყულიენტო, ჭურკვეთო,
ჩემი გოჩიეთის წყალო
შენი გემო დამდევეს
და ეს გემო დამლევს.
ჩემო ბარდნალას ჭალებო,
ფარცხვანის ცივო ჭირხლო,
წისქვილკარ ჩამონადენო
ღურღუმელა ღელევ,
მომენატრეთ, მომენატრეთ
უთქვენოდ მე ვერ ვძლებ“ (პირადი არქივი).

აი, ეს მცირე მოგონებანი ერთი მუჰაჯირის ცხოვრებიდან. ეს ტკივილი ერთი კაცის როდია მხოლოდ, ესაა საერთო საწუხარი, საზოგადო ეროვნული ტკივილი. აღნიშნულთან დაკავშირებით რამდენიმე ეპიზოდს დავიმოწმებ „ჩვენებურების ქართულიდან“: „ჩემი დედეი რომ მემლექეთ მეიგონებდა, ერთ ჰავთას იტირებდა, შუიდ დღე იტირებდა, კერაზე მიდებდა თავსა და იტირებდა... მემრე ანჯახ ადგებოდა, თუალ გაახილებდა, რატომ ტირიო–გვითხევდით ბადიშები, – ჩემი მემლექეთი, ჩემი ანაი, ჩემი ძმები მემენატრა და იმიტომ ვტირიო–იგონებს მუქერემ ჩიბუქი (გოგიტიძე) (შ. ფუტკარაძე, 1993:85).

ბუნებრივია, მშობლიურ მიწა–წყლიდან გადახვეწა ურთულესია. გამანადგურებელია სამშობლოს მონატრების გრძნობა. მუჰაჯირთა შთამომავალი მუნთაჰა ბაიკოხოლოლი–თავდგირიძისა ყვება: ჩიტი შუუგდიან ალთუნის ყეფეში. მეგემ ჩიტი ტირის–ვახ ვათან, ვათან! გუულიან ყეფეს კარი. გამოფრენილა და კირკატის ბუძგებში შემძრალა და დამუდარა. მივდენ, გუუხედეს, ალთუნის ყეფედან ჰად წევდაო, რა ფერი აქო. ნახეს, რომ კირკატის ბუძგებშია შემძრალი. ყუელას მისი ვათანი, მისი მემლექეთი უყუარს, ენატრება (შ. ფუტკარაძე, 1993:110).

ასე მრავალი დარჩა ნატრული საყვარელი მემლექეთისა. მათი ნაამბობიდან ჩანს, როგორ კრძალვით ეპყრობიან და სათუთად, რელიქვიასავით ინახავენ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ მათთვის უძვირფასეს ნივთებს, რადგან სამშობლოს სურნელი დაჰყვება მათ“: მემლექეთიდან მუჰაჯირობის გადმოტანილი ჯაჭვი ჯერ კიდევს გუაქ. სახლები რომ დეგვეწვა, ჯაჭვები გადარჩა, არ დეიწვა. მეც ეს ჯაჭვი მიყუარს, იქიდან მოტანილია, მემლექეთურია, გემი აქ გამოვლილი“ (ჰავა ოზბეგი–თავდგირიძე), ან კიდევ: „შამპიონის ყუთი რომ იყო გამოტანილი გაცლილი, ისიც არ გიდიმიგდია“ (ხენიფე ბაშთურქი–ვახტანგიძე). „მემლექეთში ბიძიკოები მყავს, იმათი ნაწერავი გადმოიდა და იმა ვეხაფიფები რამდენხანია“ (ემინე ჩიბუქი–გოგიტიძე) (შ. ფუტკარაძე, 1993:156).

მუჰაჯირთაგან ხშირად გავიგონებთ: ჩვენს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა. ევეხებეთ და დავრჩით აქავრობაში, მეფუჟღეთ. სწორედ, სხვის მიწა–წყალზე ახეხებულ მუჰაჯირთა მცირე ტკივილიანი მოგონებები მოვიტანე თქვენამდე.

ლიტერატურა:

1. ს. მესხი, წერილები აჭარაზე, ბათუმი, 2000.
2. პირადი არქივი, 2002.
3. შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
4. ი. ჭავჭავაძე, წერილები, ტ. IV, თბ., 1987.

Elza Putkaradze

Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute

POETIC WORLD OF AN EXILED GEORGIAN

RESUME

Resettlement is one of the terrible stages in the history of our country. Unfortunately, the number of people suffered from the process of resettlement is not small. A lot of Adjarian villagers were made to leave the homeland and resettle in Turkey.

The work informs about the sad memories of one of the victims of resettlement, Binal Davitadze, from the village of Tbeti, in Shuakhevi Region. It also represents his two poems, which describe the sorrow caused by parting from the native land, native village.

თამარ ყალიჩავა

ოთარ ჩხეიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

ბრბოს ფსიქოლოგია - თამაზ ბიბილურის „ჟამი კითხულისა“

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ბრეჟნევისეული „სტაგნაციის“ წლებში, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების შესუსტებამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა მწერლობა; როგორც თამაზ ბიბილური აღნიშნავს, ლიტერატურული ჟანრი უფრო მრავალფეროვანი გახდა: „თვალსაწიერი გაიზარდა, ალბათ იმ უცილობელი ჭეშმარიტების გამო, რომ შემოქმედებას ფართო და ლაღი სუნთქვა სჭირდება. ეგებ ამ ფართო თვალსაწიერში მითოლოგიურება, მითოლოგიური მოტივი თუ შენაკადიც იგულისხმება. ღმერთმა დაიფაროს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმემ თქვას, თავი დაანებეთ ამ მითოსს, ან მთვარეზე წერასო, ან ვარსკვლავების თვლასო. ვინმეს აჩემებით, არც ამქვეყნად და არც ლიტერატურაში, არაფერი ხდება, ან თუ ხდება, ხელოვნურია და დროებითი. ყველაფერი, რაც მართლა ხდება, ობიექტურ საფუძველს ემყარება. ხომ ყოფილა შემთხვევა იმისა, რომ რაც ერთბაშად ვერ მიგვიღია, წლების მერე ჩავვითვლია მონაპოვრად“ [ბიბილური, 2010: 371-372].

თამაზ ბიბილურის საკულტო რომანი „ჟამი კითხულისა“ 1974-75 წლებში დაიწერა. მისი დაბეჭდვა მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა, რადგანაც კრიტიკოსებმა პროტაგონისტის სახე სტალინს დაუკავშირეს. ავტორის თქმით, რომანში დაუწყიათ „უკუღმართი ანალოგიების ძებნა, რომ კითხულია სტალინი, ხირჩლა - ბერია და ა.შ. რა თქმა უნდა, აქ არის ფენომენი დიქტატურისა, მაგრამ მე მაინც ქვეშეცნეულად ასეთი აზრი მქონდა, რაც უნდა დიდი ადამიანი გახდეს, რაც უნდა უფლებები მოიპოვოს, რაც უნდა მაღალ კვარცხლბეკზე შედგეს, ნურასოდეს დაგავიწყდება, რომ ხარ ჩვეულებრივი ადამიანი, თორემ შენი შედგომა კვარცხლბეკზე აუცილებლად კატასტროფით და მარცხით დამთავრდება“ [ბიბილური, 1993: 7].

ქართულ სალიტერატურო სივრცეში თამაზ ბიბილურის რომანის კვლევა და მასზე კამათი დღემდე გრძელდება. ჩვენთვის ნაცნობ მკვლევართაგან ამ თემაზე საგულისხმო თეორიული და კრიტიკული სტატიების ავტორები არიან: გურამ გვერდწითელი, ლუიზა ბოჩკოვა, ლევან ბრეგაძე, ჯარჯი ფხოველი, სოსო სიგუა, ჯანსუღ ღვინჯილია, თამარ ლომიძე, ეკა ცხადაძე, თემურ შავლაძე და სხვა. რომანი 1978 წელს ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა; ეს არის ძალაუფლების მოხვეჭისაკენ,

აღზევებისაკენ მიდრეკილი სულის ამბავი, ოდითგანვე კარგად დამუშავებული თავისი დასაწყისითა და ფინალით. რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი და მთხრობელი გარეჯელი ბერი ზოსიმე ამბობს: „ყველაფერი თითქოს წინასწარ იყო ცნობილი, წინასწარ დაწერილი ბედისწერის მწერლისაგან და ახლა ადამიანთაგან მხოლოდ ამბავიდა თამაშდებოდა. მე ეს წიგნი უკვე წაკითხული მქონდა და ამბის თავიც და ბოლოც თავდაპირველადვე იყო ცნობილი. ჩემ წინ ჯიქურ აღმართული სახეები, საკუთარი ვნებებითა და დაუოკებელი სურვილებით გახელებულნი, თავაწყვეტილნი მისწრაფოდნენ დასასრულისაკენ...“ [ბიბილური, 2010: 7].

თამაზ ბიბილურის რომანი ორიგინალურადაა დაწერილი. ესაა „ამბავი, მოთხრობილი გარეჯელი ბერის - ზოსიმესი (ერობაში მათე)“. მოთხრობელი თავშივე გვიმხელს: „მე იმ პატარა სოფელში ვავიზარდე და ქვეყანაც ვნახე. და როცა იმ პატარა სოფელზე ვფიქრობ, მგონია, ქვეყნიერებაზე ვფიქრობ-მეთქი. ამის გაფიქრებამ შემმატა ძალა, როცა წერად ვჯდებოდი. ის ერთი ბეწო სოფელიც ერთბაშად გადიდდა, სოფლის ასიოდე მხედარი ლაშქრად იქცა, სოფლის კითხული - ძღვევამოსილ მეფედ და წინამძღოლად, სოფლის კომკები - სრასასახლეებად, ასიოდე კომლი - ხალხად და ჯამათად“. რომანს ორი ეპიგრაფი აქვს: „ამბავი, მოთხრობილი გარეჯელი ბერის - ზოსიმესი (ერობაში მათე)“ და იქვეა ნაწყვეტი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“: - „ჟამი რაი წუხილითა და ავთა აღმოფხვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, მამინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“ [ბიბილური, 2010: 3].

ცხადია, იმ პირობებში, როდესაც მწერალთა დევნას გაასმაგებული „მონდომებით“ ეწეოდა ტოტალიტარული სახელმწიფო, ტირანია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ხალხისათვის მიუწვდომელი ყოფილიყო მწერლის სიტყვა ან მისი ნაზრებისათვის საპირისპირო მიმართულება მიეცა. მწერალი შიშის გაბატონებას ისე ასახავს, რომ პირველივე სტრიქონებიდან სიტყვის ყოვლისშემძლებლობასთან შეაპირისპიროს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ, სწორედ დავით აღმაშენებლის სიტყვებია დამოწმებული; სიტყვები, რომლებიც ყველაზე უკეთ გვიხსნიან სახელმწიფოს მოწყობის პროცესში ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვათა გარდღუვალობას.

რომანის დაწერის ბიძგისმიმცემად ბიბილური ქართული მთის ლეგენდებს ასახელებს. გიორგი თევდორაძის წიგნში „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ მოთხრობილია თათია ბალიაურის საგულისხმო ამბავი, ვისი საქციელიც ხალხურმა სიბრძნემ ჭკუის სასწავლად შემოუნახა შთამომავლობას. თათია ბალიაური სოფლის კითხული, დინჯი და ჭკვიანი კაცი იყო. მას ეკითხებოდნენ ცოდო-მადლის განსჯას, მაგრამ ერთხელ ისიც მწარედ შემცდარა, შეუცოდავს. კითხულის გამკითხავი ვინ იყო და თვითონვე გამოუტანა მსჯავრი საკუთარ თავს - თავი მოიკლა. მხატვრულად დამუშავებული ეს ხალხური თქმულება, გავრცობილი, ფსიქოლოგიური ჩაღრმავებებით, თამაზ ბიბილურმა „ჟამი კითხულისას“ ეპიზოდად აქცია: ღულა ბალიაურს ას წლამდე უცოცხლია: „სოფლის საქმეთა განსჯაში სასწორი მრუდედ ერთხელაც არ გადაუწონია“. მცირე შეცოდებას თვალს უხუჭავდა, მაგრამ დიდ ცოდვას არავის პატიობდა, რადგანაც სწამდა, დაუსჯელ ცოდვას უფრო დიდი ცოდვა მოჰყვებოდა. ასე უცხოვრია ბერიკაცს, ვიდრე თვითონაც ცოდვას ჩაიდენდა - მეზობლის თხუთმეტი წლის გოგო შეჰყვარებია. მწერალი აგვიწერს მოხუცის განცდებსა და ტკივილებს: როდესაც კითხულმა ნახა როგორ ეალერსებოდა საკუთარი ძმისწული მეზობლის გოგონას, გააცნობიერა, რომ სოფლის მართვას ვეღარ შეძლებდა და სამუდამოდ დატოვა სოფელი.

„ჟამი კითხულისა“ ცოდვიან ადამიანთა გალერეას წარმოაჩენს; ზოგს გამოკვეთილი სახე აქვს და სახელიც შესაბამისი შეურჩევია ავტორს (ხეჩინა - ხირჩლა). ავტორი უმთავრეს ყურადღებას სოფლის მხატვრული სახის შექმნას უთმობს. სოფელი სამყაროს მიკრომოდელს წარმოადგენს, განზოგადებულ პერსონაჟთა გალერეა ცოდვის ჭაობში ჩაფლული კაცობრიობის ანარეკლია. ერთი შეხედვით, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება: ხალხი რუტინული, ყოველდღიური ყოფით ცხოვრობს, მაგრამ ამ უძრობაში თვლემს ცოდვის საწყისი, მხატვრის ოსტატობით გვიხატავს ბიბილური, როგორ მზადდება ნიადაგი ეროვნული ცოდვის აღმოსაგენებელ-გასავითარებლად: მკითხველის ხელდასხმის შემდეგ ხალხი მშვიდად ამოისუნთქავს - ჰყავს წინამძღოლი, რომელსაც მათივე სულიერ მისწრაფებათა განხორციელება ხელეწიფება. ამაოდ ჩურჩულებს ზოსიმე მღვდელი: „ღმერთო, უშველე სოფელს!“ მწერალი გვიხატავს ღმერთსმოკლებულ საზოგადოებას; ეს სოციუმი უღმერთოდ ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ სოციუმი შეკრულ-შედუღებულ მთლიანობაა, ცოდვა აერთიანებთ ადამიანებს; უფრომოდ მასადექვეულ სოფელში ჭირს ინდივიდუალიზმის შენარჩუნება, იკარგება შინაგანი ნათლის გამომზეურების სურვილი.

რომანს სამი მთავარი პერსონაჟი ჰყავს - ზოსიმე, გიორგი და ხირჩლა. მწერალი ოსტატურად ხსნის თითოეულის ფსიქიკას, ცნობიერებას, ქცევას, ნებელობასა და არა გარეგნობას, საუბრის თავისებურებას, ოჯახური წრეს, პერსონაჟები შინაგანად ნათდებიან, მათი სულიერი პორტრეტი იძერწება. თამაზ ბიბილურის თქმით, გიორგი, არ არის „გაუაზრებლად, ერთი ხელის მოქნევით, შერქმეული სახელი“. ეს

სახელი, როგორც ქართული ბუნების ერთგვარი გამომხატველი, მხოლოდ ამ რომანში არ გამოუყენებია ავტორს. გიორგი ჰქვია მისი მოთხრობის - „ჩივილის“ ჭაბუკ პერსონაჟს, რომელიც დიდ მსოფლიო ომში უნდა მოკვდეს, როგორც კვდებოდა წინათ მრავალი მისი თანატოლი, ვისაც გიორგი ერქვა... „გიორგი ჰქვია ბალიაურსაც - „ჟამი კითხულისას“ მთავარ პერსონაჟს. გიორგია ის ჭაბუკი, რომელიც რომანის ფინალში, თეთრ ცხენზე ამხედრებული ქედის თავზე გაიელვებს, როგორც მარადიული იმედი სიჭაბუკის, სინათლისა და განახლების. და ბოლოს, გიორგისთან შესახვედრად მიდის ჩემი ბოლო რომანის („შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“) ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, აბრია მახაური, რომელსაც გადაუწყვეტია იმ ქვეყნად წასვლის წინ თავის ყველაზე დიდ იმედს („შენ ჩემო დიდო იმედო“), ჭაბუკ შვილიშვილს, გიორგის უყუროს, როგორც გამართლებას ამქვეყნად ყოფნისა“ [ბიბილური, 2008: 440].

მწერალი აღიარებს, რომ ასეთი „დამთხვევები“ შემთხვევით არ ხდება: „როცა რომელიმე ავტორი თავს იქებს, ჩემი გმირის აზროვნება ასოციაციურია, მეც არ ვიცი თავში რა მოუვა და, რას იტყვისო, ამგვარ განცხადებას ყოველთვის პირობითად ვიღებ. დაე, რაც სურს ისა თქვას ჩემმა გმირმა, როგორც თავისი ბუნება კარნახობს, ისე მოიქცეს, მაგრამ ჩემდათავად, სანამ არ მეცოდინება, ეს გმირი, რომელიმე კეთილშობილ საზოგადოებაში თავისთვის მიჯდება კუთხეში თუ გინებას მოჰყვება, წერას ვერ დავიწყებ. ჩემი გმირი მაინც ჩემია და მე მასზე ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, წინდაწინვე უნდა ვიცოდე. ეს აუცილებელია, თუკი შეგნებული გაქვს რისთვის იწყებ წერას. ყოველი ნაწარმოები პატივს უნდა სცემდეს თავის `ზეამოცანას“ [ბიბილური, 2008: 440].

თამაზ ბიბილურის შეხედულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ტირანი ერთადერთ დამნაშავედ მივიჩნიოთ, ემთხვევა პიტირიმ სოროკინის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, დიქტატორებს საზოგადოება და ის სულიერი კრიზისი წარმოშობს, რომელიც გლობალურადაა სამყაროსა თუ ამა თუ იმ სახელმწიფოში: „რომანის მთავარი გმირი, გიორგი ბალიაური ისე არ მემეტება, როგორც რეცენზენტებმა გაიმეტეს, აქაოდა ტირანიაო. გახსოვთ თუ არა ცნობილი თქმა, ტირანებს ხალხი ქმნისო. გიორგი ბალიაურიც ხალხმა შექმნა, მისმა უტყვემა მორჩილებამ და განუსჯელობამ“ [ბიბილური, 2008: 363]. ტოტალიტარიზმმა ადამიანური კავშირები „საყოველთაო თანასწორობით“ დაანგრია. დიქტატურის დასამყარებლად ყალბ, ერთგვაროვან სივრცედ აქცია. ბრბოდქცეული მასის ფსიქოლოგიის კვლევას ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა, განსაკუთრებით ანტიტოტალიტარულ რომანში. საინტერესოა თამაზ ბიბილურის მიმართება აღნიშნული პრობლემისადმი.

ხალხსა და ბრბოს ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს მწერალი, მათ აღრევას დაუშვებლად მიიჩნევს: „ხალხი“ ერის სინდისია, ერის გონებაა, ისტორიული გამოცდილებაა და მომავალზე ფიქრია... „ბრბო“ კი, დაბნეული, წუთიერ შთაბეჭდილებებს აყოლილი ან ვინმე ავანტიურისტის ანკესზე წამოგებული ადამიანთა კრებულია. ბრბოს აზრის ხალხის აზრად გასაღება ისევე დიდი დანაშაულია, როგორც ჭეშმარიტი ხალხის აზრის უგულებელყოფა. „ბრბოს სახელით ლაპარაკი ან ბრბოს გულის მოგების ცდა, იმის იმედით _ ხალხი მოვიმხროთო, შარლატანობაა. გიორგი ბალიაურს, მგონი, სურდა კიდევ, რომ ხალხი ბრბო არ ყოფილიყო. გაიხსენეთ კოშკის სარკმლიდან მზირალი ბალიაური, როცა გამარჯვებით ალტკინებულ ბრბოს გასცქერის. იმ წუთში ეს კაცი დამცინავი ხდება... გაიხსენეთ, როგორ წაეკიდა ერთმანეთს ორი ჯარისკაცი ერთი ხანჯლის მისათვისებლად. აქაც გიორგი ბალიაური ვერ ხედავს ვაჟკაცობას...“ [ბიბილური, 2008: 363].

რომანის საფუძველია სამი სიუჟეტური არქეტიპი, მათი ახსნა მითოლოგიურ მოდელს გვაპოვინებს. გიორგი კაენია, რომლის სიცოცხლეს აზრს აძლევს სულში დასადგურებული ძალაუფლების ნება. იგი მასისაგან განმდგარი, ერთადერთი ამალგებული არსებია. ზოსიმეს არსებაში ჩაკლულია ძლიერი პიროვნება. იგი სულიერად რეპრესირებული ადამიანია, რომელიც მოაშორეს სოფლის ბრუნვას. რომანის სიუჟეტს ავითარებს ორი კომპოზიციური წყვილი: ზოსიმე _ ხეჩინა და გიორგი _ ხირჩლა. ხეჩინა და ხირჩლა ერთი იდეის ორი ჰიპოსტასია. არაა შემთხვევითი, რომ სახელები ფონეტიკურადაც ძალიან წააგავს ერთმანეთს. რომანის მიხედვით, სოფელს გიორგი განაგებს, მაგრამ გიორგის ხირჩლა მართავს. მასზე განუზომელ გავლენას მოიპვებს, ლანდივით დასდევს ბალიაურს. კითხულის სახელით სოფელს აშინებს და აჩიავებს. ადამიანები უკვალოდ ქრებიან. არავინ იცის, ვის რა დანაშაული მიუძღვის. სოფელს გაუგონარი რისხვა დაატყდა თავს. იძებნება არარსებული მტერი, თავად ხირჩლას მოგონილი, რათა ხალხის გულში შიში დათესოს, კითხულის ნდობა მოიპოვოს და ამით თავისი სატანური ძლიერება იხეიძოს. გიორგი-ხირჩლას მოდელი ისტორიულად ცნობილია. ის ცხოვრებაში ხშირად მეორდება და მუდამ ერთი დასასრული აქვს. ბოროტი სული იმორჩილებს ადამიანს და ღუპავს მას. ხირჩლამ ბოლოს თავად მოინდომა კითხულის ადგილის დაკავება, როცა იგრძნო, რომ ეს კაცი ვნებას მოუტანდა, მაგრამ მოცილება ვერ შეძლო.

საინტერესოა მწერლის მიმართება ენასთან, რომელსაც იგი შესანიშნავად ფლობს. რომანის ენობრივი გარსი თავიდანვე იმორჩილებს მკითხველს. ავტორის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ასპექტია სინამდვილის ენობრივი მოდელირება. თ. ბიბილურის მეტყველება

ბუნებრივი, სადა და მომხიბლავია. ის გრძობს, რომ ენა ინახავს ხალხის ფსიქიკის აუხსნელ ნიშნებს, კოლექტიურ გამოცდილებას. მისი ლაღი მდინარება ადგაქმევიწინებს სტილიზებულ გარემოს.

სოსო სიგუა მიიჩნევს, რომ რომანის ყველა გმირი ერთნაირად მეტყველებს, ენობრივი ინდივიდუალიზება შეგნებულად უარყოფილია, ასევე – ზუსტი დეტალიზება, გარემოს კონკრეტიზირება. გარეგნულ ნიშნებს, ფიზიკურად არსებულ საგნებს ნაკლებად ვხედავთ, რადგან ბატონობს გაუცხოების მირაჟი, რომელიც გულისხმობს ადამიანური ურთიერთობის მარადიული მოდელების ხელახალ წვდომას, ზოგადი ლანდშაფტის შექმნას [სიგუა, 2008: 118].

რომანი რთულ სიმბოლურ ინფორმაციას ემყარება. სოფელი სამყაროს მიკრომოდელია, ტერმინი „კითხული“ – ქვეყნის დესპოტ მმართველის ფარდი სახელი. ავტორი რომანის ჟანრობრივ თავისებურებას ძალზე მარტივად ხსნის: „გულახდილად რომ ვთქვათ, თავად რომ არ ვიყო ავტორი, „ჟამი კითხულისაში“ დავინახავდი არა რაიმე „მითოსურ მოდელებს“, „ანტიმითს“, ან სხვა ამგვარს, არამედ ნაწარმოების სტილში გამოვლენილ „მითოსურ პოეტიკას“. პოეტიკა კი, მოგვხსენებთ, ინტუიციანზეც არის დამოკიდებული და ზოგჯერ იმგვარ ასპექტში გამოვლინდება, რომ ქმნის ილუზიას, თითქოს ყოველივე მწერლისაგან დამოუკიდებლად მოხდა. მე კი მჯერა: მწერლის უნებურად ნაწარმოებში არაფერი არ ხდება“ [ბიბილური, 2008: 440].

მწერლის თქმით, მან განგებ შეარჩია რომანისათვის ორანოვანი სახელწოდება. „ჟამი კითხულისა“ – ანუ დრო, როცა მავანი კითხული ცხოვრობდა და მწყემსავდა თავის სამწყსოს, და „ჟამი კითხულისა“ – ანუ კითხულისა და მის სამწყსოს თავს დატეხილი ჟამი, ჭირიანობა. თვით „კითხულიც“ იღბლიანად ნაპოვნ სიტყვად მივიჩნე. შეიძლება სადმე ვინმესაც ჰქონდეს, მაგრამ მაინცდამაინც მე არსად შემხვედრია. ეს სიტყვა ვიპოვე ექიმ თევდორადის წიგნში, რომელიც ავტორმა ოციან წლებში გამოსცა და ხევსურეთში მის დასტაქრობას აღწერს. ამ წიგნში ერთადერთი, სულ ერთაზნაგისანი ეპიზოდია ვინმე კითხულ კაცზე... ამ ფეხქტურ ეპიზოდს, რომანში მხოლოდ რამდენიმე გვერდი უკავია, მიწერილი აქვს მოხუც გიორგი ბალიაურს, ახლანდელი კითხულის წინაპარს“ [ბიბილური, 2008: 442].

რომანის მსოფლმხედველობრივ ქვაკუთხედად თავისუფლებადაკარგულ პიროვნებათა განცდები, მათი მსოფლაღქმა გვევილენება. აქ ხშირად ვხვდებით სიტყვებს – მარტოობა, შიში. როგორც ჩანს, შიშის სინდრომი, მისი ფსიქოლოგიური საფუძველი, ანამნეზი თამაზ ბიბილურს იმთავითვე აინტერესებდა, ამიტომაც სხვა ნაწარმოებში „მთვარის შვილი“, ამ თემას ასე პასუხობს: „ბიჭმა იცოდა, რომ სოფლის შიში მარტო კაცის გოროზი ბუნებიდან მოდიოდა, რომ კაცი სულაც არ იყო საშიში და თვითონ უფრო ეშინოდა სოფლისა“ [ბიბილური, 2010: 300].

მითოსურ-პოეტურ რომანში დროს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს, გვხვდება მხატვრული ქრონოტოპის განსაკუთრებული გაგება. თამაზ ბიბილურის რომანი „ჟამი კითხულისა“ არ მოიცავს კონკრეტულ დრო-სივრცეს. ავტორი აღნიშნავს, რომ აღწერილ ამბავს არავითარი კავშირი არ აქვს არც ხევსურეთთან და არც საქართველოს სხვა რომელიმე კუთხესთან: „მე უფრო „მუდმივი დრო“ მიზიდავდა, „მუდმივი დროს“ კი არ უყვარს ერთი კონკრეტული ადგილი. სიუჟეტი „მუდმივი დროისა“ მუდამ ხეტიალშია, მთელ ქვეყანაზე დადის. მას არ ამინებს არც საზღვრები და არც სინამდვილის რეალიების ღალატი...“ [ბიბილური, 2008: 442].

პირველად თამაზ ბიბილურის რომანის გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომასთან“ მსგავსებაზე გურამ გვერდწითელმა 1979 წლის „მნათობის“ #6-ში დაწერა. ეს შეპირისპირება უდავოდ საინტერესო იყო, რაკი საშუალებას გვაძლევდა ორი მწერლის მიერ, განსხვავებულ გარემოში შექმნილი ორი ნარატივით სამყაროს მრავალპლანიაანობასა და სიღრმეს ჩავწვდომოდით. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ორივე რომანში აქცენტირებული აზრი დიდად საყურადღებოსა და საგულისხმოს ხდიდა ამ რომანებს. ამასთან აახლოებდა კიდევ ერთმანეთთან, მაგრამ იგი იმ მოსალოდნელ მითქმა-მოთქმასაც ითვალისწინებდა, რომელიც პირველწყაროს მიებას შეიძლებოდა გამოეწვია და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წერდა: „როცა თამაზ ბიბილურის რომანი იწერებოდა და, მგონი, უკვე დამთავრებულიც იყო, მარკესის „პატრიარქის შემოდგომას“ ჩვენში ჯერ არავინ იცნობდა და არც არავის შეეძლო მის შესახებ რაიმე სცოდნოდა. სხვათა შორის კი, ისიც უნდა ითქვას ზოგიერთთა გასაგონად, რომ თუნდაც, მწერლობის წყალობით, მიღებული ნაპერწკალი, რომელიც თავად დაანთებს დიდ შემოქმედებით ხანძარს, არავითარი სამრახისი საქმე არ არის. მითუმეტეს, იმის მშვენიერი მაგალითებიც გვაქვს, როცა ჩვენს დიდ წინაპრებს სიუჟეტებიც კი უსესხნიათ და ასე შეუქმნიათ მსოფლიო მწერლობის შედეგები [გვერდწითელი, 1979: 163].

გურამ გვერდწითელისთვის მთავარი ამ ორი რომანის მწვავე პრობლემატურობაა, რაც მათ დიდ რეზონანსს ანიჭებს. ძნელია გამოარკვიო, როგორ იკითხება მარკესის განხმარებული რომანი ორიგინალში, ესპანურ ენაზე, თარგმანებიდან მიღებული შთაბეჭდილებით კი ადვილად გაიზიარებ მკვლევრის იმ მოსაზრებასაც, რომ ამ ორი რომანიდან უფრო დიდ შთაბეჭდილებას „ჟამი კითხულისა“ ახდენს მკითხველზე.

ეს თემა არაერთგზისაა დამუშავებული, მაგრამ თამაზ ბიბილურის გამორჩეული მწერლური მანერა, ცხოვრებისეული ტრაგედიის თანამონაწილედ და განცდილ-აღქმულის განმსჯელად კიდევ ერთხელ გვაქცევს, რასაც აადვილებს ძალდაუტანებელი, მსუბუქი თხრობა, საინტერესო ამბავი და პერსონაჟთა რთული შინაგანი სამყაროს ოსტატურად ხატვა. რომანში ვერ ვხვდებით ყალბ სიტყვას, ფრაზას, დეტალს. ფსიქოლოგიური სიღრმით, მხატვრის ოსტატობით შექმნილი ტირანი დამაჯერებელი და რეალისტური პერსონაჟია. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ XX საუკუნის მიწურულს ამ მიმზიდველ ჟანრს _ მითოლოგიურ რომანს _ მწერალი არ მიჯნავს რეალისტურისაგან.

თამაზ ბიბილური თავისი მწერლური მანერით შეუბრალებლად ამხელს საკუთარ პერსონაჟებს. მათ ცოდვებსა და ბნელ მხარეებს დაუფარავად აშკარავებს, რითაც უახლოვდება კიდევაც მათ სამყაროს. მთხრობელი - ბერი ზოსიმეა, რომლის საშუალებითაც ავტორი ნოვატორულ დამოკიდებულებას გვთავაზობს. მწერლის ალტერ-ეგო [მწერლის მოძღვრად, ბერად წარმოდგენა უცხო როდია ლიტერატურისათვის], იცავს ტირანს ბრბოდქცეული მასისაგან, იმ საზოგადოებისაგან, რომელიც თვითონ შობს ხოლმე ამგვარ ტირანებს: „...სოფელს ჩემი შიში ვერ შეაკრობდა, ჩემი შიში არავის არასოდეს ჰქონია. და მაინც სოფელმა ჩასაქოლად წამოკრეფილი ქვები მიწაზე დაყარა და ზურგი შემაქცია. მაშინ ალბათ მე და ჩემი მეგობარიც სოფელი ვიყავით და სოფელს საკუთარი თავისა შეემინდა“ [ბიბილური, 2010: 244].

გამეფებულ მდუმარებას, ზარივით გადაუვლის ძახილი: „ჟამი!“. ბერი ზოსიმე სოფლის თავზე გადმომდგარ ხირჩლას დაინახავს. იგი თეთრ ცხენზე ამხედრებულმა პატარა გიორგი ბალიურმა უნდა მოკლას, რის შემდეგაც „ცხენი ჭიხვინით შედგა, მერე საფიხვნოს გადმოეწო და თავის მხედრიანად გაქრა. ვიდრე სოფელი გონს მოეგებოდა, იმ ადგილს გადავეშე, სადაც პატარა გიორგი ბალიურის ტყვიით განგმირული ხირჩლა მეგულეობდა. იმ ადგილზე, ნახშირსა და ნაცარში, განგმირული გვამის ნაცვლად ერთი ნაბდისძველა ეგდო... ხირჩლა თითქოს არცა ყოფილა, თითქოს მის ნაცვლად სატანა დამრწოდა აჩრდილივით და აქაურობას თავის ნებაზე დაატარებდა, თითქოს არც სახე ჰქონდა, არც ფერი, არც წარსული, არც მომავალი და ეს არსაითგან მოსული აჩრდილი ისევე გაქრა, როგორც მოვიდა...“

სოფელი თითქოს თვალდახელშეუა, ერთი დამახილით კვლავ დაიმცრო და დაილია. კომპები დადაბლდნენ, სახლები დაპატარავდნენ, სოფელი მოიბუზა და ქედის ძირს მერცხლის ბუდესავით შეეხიზნა, ამგვარი იყო ჩვენი ერთი ბეწო სოფელი, ქედის თავზე გადმომდგარმა პირველად რომ დავინახეთ. ამ ერთმა ბეწო სოფელმა მთელი ქვეყნის ცოდვა-მადლი ვერ დაიტია და ახლა, ამ ცოდვა-მადლში ჩაჩუმებული და დარცხვენილი, კვლავ, მთების ყურეს შეეყუჟა. დაცარილებულ სოფელში ჟამმა ჩამოიარა“ [ბიბილური, 2010: 244-245].

ლიტერატურა:

1. ბიბილური თამაზ, ჟამი კითხულისა, თბილისი, 2010.
2. ბიბილური თამაზ, რადიოინტერვიუ, „ლიტერატურული საქართველო“, 1993 წლის 22 იანვარი
3. ბიბილური თამაზ, დიდებული ჰარმონიის მაძიებელი, თბილისი, აბული-7, 2008.
4. გვერდწითელი გურამ, „უსიყვარულოდ არ არსებობს...“ ჟურნალი „მნათობი“, №6, 1979.
5. სიგუა სოსო, „ჟამი კითხულისა“. თამაზ ბიბილური, დიდებული ჰარმონიის მაძიებელი, 2008.

Tamar Kalichava

Otar Chkheidze Scientific Research Center

THE CROWD PSYCHOLOGY - TAMAZ BIBILURI'S "THE TIME OF THE PLAGUE" RESUME

A lot of space is devoted to the study of the psychology of crowd in literature, especially in an anti-totalitarian novel. In that respect, we considered Tamaz Bibiluri's attitude to the problem interesting. ``*The Time of the Plague*`` depicts an array of the sinned; some have distinct faces and names are chosen respectively (Khechina-Khirschla). The author pays a great attention to the portrayal of the artistic image of a village. A village is a micro-model of the world, generalized gallery of characters - the reflection of the mankind sunk in the swamp of the sin. At first glance nothing extraordinary happens: people follow the origin of sin.

Thus, in the novel, the human tragedy of the protagonist fighting against the dictatorship/tyranny in terms of the world, village sin is depicted with artistic simplicity, depth, versatility and semantic wittiness, which can be discerned as a formula: rise-fall-catharsis. The fate of a person in a totalitarian world - this tragic and dramatic theme allows for many directions. The novel gives birth to a new epoch sober mind, conscious origin and even for today's society, it remains as a kind of warning so that by repeating the same mistakes, people will not go round the same vicious circle.

ვნებითი გვარის თავისებურებანი ქართულსა და თურქულში

ქართულ ენაში ზმნა ერთ-ერთი ურთულესი მეტყველების ნაწილია. ზმნის სირთულეს განაპირობებს არა მარტო მისი მრავალპირიანობა, არამედ ზმნის ფორმაში ერთდროულად წარმოდგენილი კატეგორიები (პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, გვარი, გზისობა და სხვ.). ქართული ზმნის ამ მრავალფეროვან კატეგორიებს შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გვარს. სირთულეს ქმნის როგორც ის, რომ ამა თუ იმ გვარს არა აქვს საკუთარი, სპეციფიკური ნიშანი (გარდა ვნებითი გვარისა), აგრეთვე ისიც, რომ ერთი გვარი ძალზე წააგავს მეორეს მთელი რიგი ნიშნებით (თალაკვაძე 1959: 229).

ზმნის გვარი, საზოგადოდ, ურთულეს გრამატიკულ კატეგორიად ითვლება. სირთულე მით უმეტეს საგრძნობია ქართულ ენაში, რომელშიც ზმნა მრავალპირიანია და ზმნის ფორმა ერთდროულად არის მრავალგვარი ურთიერთობის გამომხატველი (ჩიქობავა 1929: 46). იგი ზმნური კატეგორიების სისტემაში, მიუხედავად გარკვეული არათანმიმდევრულობისა, საგრამატიკო ლიტერატურის მიხედვით ერთ-ერთი წარმართველი კატეგორიაა. ზმნის გვარის კატეგორიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაირგვარი და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს. ვარაუდობენ, რომ გვარი, როგორც ზმნის კატეგორია, ქართულში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და მისი ფორმირების პროცესი დღესაც არ არის დასრულებული (ჯორბენაძე 1975: 31). ამის შესახებ დ. მელიქიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ: „ზოგადენათმეცნიერულ თუ კერძო გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის ცნების ერთიანი გაგება არ არის გამომუშავებული. დიდი სირთულეები ახლავს გვარის კატეგორიის განსაზღვრასა და აქტივ-პასივის, განსაკუთრებით კი მედიუმის, როგორც გვარის საოპოზიციო ცალეების გამოყოფის ფორმალურ-სემანტიკური თუ მორფოლოგიურ-სინტაქსური კრიტერიუმების დადგენას და არა მხოლოდ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში“ (მელიქიშვილი 2014: 73).

მართალია, გვარის კატეგორია ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა სხვადასხვა ენაში, მაგრამ ენებში განსხვავებულია გვართა რაოდენობა. ასეა თურქულ ენაშიც. თუ ქართულში ტრადიციული მოსაზრებების მიხედვით გვარი სამია (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი), თურქულში გამოყოფენ გვარის ხუთ სახეს (მოქმედებითი, ვნებითი, უკუქცევითი, ურთიერთობითი და შუალობითი) (Korkmaz 2009: 545).

ჩვენი ინტერესის საგანია ვნებითი გვარი, რომელიც ყველაზე პრობლემურია ორივე ენაში და ხასიათდება მრავალი თავისებურებით.

ტრადიციული ქართული გრამატიკების მიხედვით, გვარი ასე განიშარტება: გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა „პირდაპირ დამართებული“, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა „დამართებული“ და არც განცდილია სხვისი ზემოქმედებით. ამის მიხედვით გამოიყოფა სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი (შანიძე 73: 280).

მოცემული განმარტების მიხედვით, გვარის კატეგორია ორაქტანტიანი გარდამავალი ზმნის კატეგორიაა, რომელიც ზმნასთან სემანტიკურად და სინტაქსურად დაკავშირებული სახელების, კერძოდ, სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის (ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების) მიმართებას ასახავს (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 421-422).

შეფარდება სამივე გვარის ფორმებს შორის თანაბარი არ არის. მოქმედებითი გვარი (აქტივი) გვიჩვენებს, რომ გრამატიკული სუბიექტი რეალურადაც მოქმედი პირია, რომელსაც მოეპოვება სამოქმედო პირდაპირ-ობიექტური პირის სახით; ვნებითი გვარის (პასივის) ფორმა გამოხატავს, რომ გრამატიკული სუბიექტი რეალურად სამოქმედოა და იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური პირი სათანადო მოქმედებითი (ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს რეალური სუბიექტი). მოქმედებითი და ვნებითი კვალდაკვალ მიჰყვება ერთმანეთს. რაც შეეხება საშუალი გვარის ზმნას, იგი გრამატიკული სუბიექტის „მოქმედებას“ გვიჩვენებს ისე, რომ მას არ გააჩნია სამოქმედო პირდაპირ-ობიექტური პირის სახით (კვაჭაძე 1993: 233). საშუალი გვარის საკითხი საერთოდ პრობლემურია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.

რაც შეეხება ფორმათა წარმოებას, ქართულ ზმნებში გამოიყოფა ვნებითი გვარის ორი დიდი

ჯგუფი: პირველ ჯგუფს პასივის საწარმოებლად პრეფიქსაცია ახასიათებს, მეორეს კი – სუფიქსაცია. ამის მიხედვით პირველი ჯგუფის ვნებითი არის პრეფიქსიანი, მეორე ჯგუფისა კი – სუფიქსიანი.

ამას გარდა, მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რიცხვით ძალზე მცირე, რომელთაც ვნებითი სულ სხვა პრინციპზე აქვთ აგებული, თუმცა მათი ფორმები სათანადო მოქმედებითის ფორმათაგან ყველა მწკრივშია გარჩეული, მაგრამ მათ არ გააჩნიათ რაიმე გარკვეული ნიშანი, რომ იგი ყველა ფორმას გასდევდეს I-სა და II სერიაში. ამიტომ მათ შეგვიძლია „უნიშნო“ ვუწოდოთ.

პრეფიქსიანი ვნებითი საზოგადოდ პირველად ზმნებს ახასიათებს: წერს – იწერება, ჭამს – იჭმება. ამავე წარმოების ვნებითი რამდენადმე ნასახელარ ზმნებშიც არის: ბარ-ი: ბარავს – იბარება; ფერ-ი: ფერავს – იფერება.

ყველა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმის მქონე ზმნა ყოველთვის არ არის პასივი. ამასთან დაკავშირებით ა. შანიძეს მიაჩნია, რომ ვნებითი გვარის განმარტებასთან მიმართებაში არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა. ვნებითი გვარის ზმნები გამოირჩევიან პასივობის ფუნქციით, რაც ქართულ ენაში ყოველთვის არ დასტურდება. მაგალითად, ასეთია ვნებითად მიჩნეული ზმნები, ე.წ. დეპონენსები, რომლებიც გამოხატავენ აქტიურ მოქმედებებს: იგინება, ეზიდება, ელაპარაკება და სხვ. (შანიძე, 1980, 96). ამასთან დაკავშირებით დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „ეს კრიტერიუმი ქართულში უმეტეს შემთხვევაში ვერ მუშაობს. მაშინაც კი, როდესაც, ეს ფორმები აქტივის სასუბიექტო ვერსიისა და ობიექტური ვერსიის უ- პრეფიქსიანი და ი- პრეფიქსიანი ფორმების კონვერსიის შედეგადაა მიღებული (და-ი-მალ-ა მან იგი; მაგრამ – და-ი-მალ-ა იგი თვითონ; დაუმალა დედამ ბავშვი ავაზაკს; მაგრამ – დაემალა ბავშვი ავაზაკს თვითონ; გაადევნა ბავშვი დედას მამამ; მაგრამ – გაედევნა ბავშვი დედას თვითონ), ხშირად აქტივის კონვერსიული ფორმის უსულო სუბიექტიც აქტიურად, მოქმედად წარმოგვიდგება: მზის სხივები ეფინება დედამიწას; დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით...“ (მელიქიშვილი 2014: 76). ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის დეპონენსების გარჩევა არც ისე ადვილია, რადგან ფორმა ერთია. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადასაჭრელად აქცენტი უნდა გაკეთდეს წინადადების შინაარსზე, ზმნის სემანტიკაზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბით ნაწარმოები ისეთი ფორმებიც, რომლებიც ვნებითობის სემანტიკისანი არ არია, ა. შანიძემ ცალკე განიხილა და მათ მიერ გამოხატულ მნიშვნელობებს უწოდა ვნებითის ნიუანსები. ესენია: შესაძლებლობის (პოტენციალის), მიჩნევისა და გუნების ვნებითები (დათუკიშვილი, 1996, 73).

შესაძლებლობისაა ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება შესაძლებელია. ეს შესაძლებლობა ან ფიზიკური ხასიათისაა, ან გულისხმობს, რომ მოქმედება დაშვებულია, მიღებულია, ნება-დართულია, აკრძალული არ არის, ე.ი. ისეთია, რომ „შეიძლება“. ასეთი ზმნებია: იჭმევა, ისმევა და სხვა.

მიჩნევისაა ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რად მიაჩნია გრამატიკული სუბიექტი გრამატიკულ ობიექტს ან რად ეჩვენება სუბიექტი ობიექტს. ასეთი ფორმა ყოველთვის ორპირიანია და მხოლოდ ნასახელარ ზმნებში გვხვდება. ამ შემთხვევაშიც ვნებითი პრეფიქსიანია, მისი ნიშანია ე: მედიდება, მებევერება, მეცოტავება და სხვა.

გუნებისაა ვნებითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ადამიანის სულიერი განწყობილება მიმართულია იმ მოქმედებისაკენ, რომელიც ზმნით არის აღნიშნული. იგი უთუოდ ორპირიან-ია დანაწარმოებია ე-პრეფიქსით. ასეთი ზმნა შეიძლება პირველად იყოს და ნასახელარიც: მემდერება, მეცინება (სიცილის გუნებაზე ვარ), არ მეტირება (ტირილის გუნებაზე არა ვარ), მეცეკვება და სხვა (შანიძე 1980: 291-292).

წარმოების მიხედვით განარჩევენ ვნებითის ორ ტიპს: ანალიზური (აღწერითი) და სინთეზური (ორგანული).

ანალიზური (აღწერითი) პასივები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ძირითადად ისეთ შემთხვევებში დასტურდება, როდესაც ზმნას ჩვეულებრივი ვნებითის წარმოება არ უხერხდება. ასეთი ფორმები შემდეგნაირად იწარმოება: საულლებელი ზმნა ვნებითის წარსულ-დროიანი მიმდევობის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მწკრივის წარმოება დაკისრებული აქვს დამხმარე ზმნებს: „იქნა“, „იქნება“. მაგალითად: განხილულ იქნა – განხილული იქნება... ასეთი ფორმები მაშინაც იხმარება, როცა ამავე ფუძის სინთეზური (ორგანული) ფორმებიც არსებობს: გარიცხულ იქნა || გაირიცხა, გაგზავნილ იქნა || გაიგზავნა... აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ანალიზურ (აღწერით) ვნებითში მიმდევობა ფუძის სახით არის წარმოდგენილი (მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მიმდევობა უძღვის მეშველზმნას), სინთეზურ (ორგანულ) ფორმებში კი მას სახელობითის ნიშანიც ახლავს თანამედროვე ქართულში (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 442).

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში აღწერითი ფორმები აღწერილობით ანუ პერიფრასტულ ვნებითად არის მოხსენიებული (შანიძე 1953: 304-305; კვაჭაძე 1981: 266). უფრო ზუსტად, აღწერით ვნებითს უწოდებენ ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმდევობის ფუძითა და მეშველი ზმნით (იქნა

/ იქნეს, იქნება) შედგენილ ფორმას (ხსენებულ იქნა / იქნეს / იქნება), თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ ზოგჯერ ასეთი ფორმა კვალიფიცირებულია მიმღებთან შედგენილ შემასმენლად, ხოლო იქნა / იქნეს ფორმები კი – მის ზმნურ წევრად ნამყო ძირითადას და მყოფადში.

ვნებითი ორგვარია: დინამიკური და სტატიკური. დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ვნებითი გამოხატავს მოქმედების პროცესს, ს ტ ა ტ ი კ უ რ ი – მოქმედების შედეგს. ქართულში დინამიკური ზმნა ბევრია, სტატიკური – ცოტა. სტატიკური ვნებითი ზმნისწინს არ დაირთავს და ღარიბია ფორმებით (მწკრივებით) (კვაჭაძე 1993: 235).

პასივის ფორმათა ხშირი ხმარება მეტად დამახასიათებელია ზოგიერთი ენისთვის. ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა და პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პასიური კონსტრუქციების გამოყენება ძალზე გაიზარდა სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში, აგრეთვე საგაზეთო წერილებში, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა რუსულიდან და სხვა ენებიდან. ზოგჯერ პასივის ფორმები ისეთი ფუნქციებისაგან იწარმოება, რომლებიც წინათ მხოლოდ აქტივის სახით იხმარებოდა: განიხილება, მიიღება, წარმოიდგინება, შეინიშნება, ხასიათდება და მისთ.

ქართულსა და საგრძნობლად განსხვავებულია ვნებითი გვარის საკითხი. უფრო მეტიც, თვით გვარის, როგორც ზმნის მორფოლოგიური კატეგორიის, განსაზღვრა განსხვავებულ პრინციპებს ემყარება. განსაზღვრაში საერთო ის არის, რომ, როდესაც საუბარია გვარის კატეგორიაზე, ორივე შემთხვევაში გამოიხატება ზმნის პროცესის მიმართების დიფერენცირება. მიმართებაში იგულისხმება მხოლოდ გრამატიკულად და არა სხვა რაიმე საშუალებით გადმოცემული მიმართება.

თურქულ ენაში გვარის საკითხი გაცილებით უფრო მარტივად დგას, ვიდრე ქართულში. თურქულში ნათლად ჩანს განსხვავება აქტივისა და პასივის შორის, რამდენადაც აქ პასივი არის ოპოზიციის ნიშნაანი წევრი. მართალია, ქართულ ენაშიც აწარმოებს ვნებით გვარს თავსართ-ბოლოსართები (ი-, ე-, -დ), მაგრამ აქტივ-პასივის მიმართების საკითხი თურქულისაგან განსხვავებით ძალიან პრობლემურია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორივე ენაში გვარის საკითხი ზმნის გარდამავლობასთან არის დაკავშირებული.

კიდევ ერთი საკითხი, რაც თურქულსა და ქართულ ენებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, პასივის ფორმის ანალიზური (აღწერითი) და სინთეზური (ორგანული) ხასიათია. თურქულისათვის დამახასიათებელია მხოლოდ სინთეზური (ორგანული) ვნებითის ფორმები, რომლებშიც გვარის კონსტრუირება ბოლოსართების მეშვეობით ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენას აქვს როგორც პრეფიქსიანი, სუფიქსიანი, ასევე უნიშნო ვნებითის ფორმები, იგი მაინც იყენებს აღწერით ფორმებს და ზოგჯერ შედგენილ შემასმენელსაც. ასეთი რამ ხშირად გვხვდება თარგმანებში, რაც თურქული ენის გავლენას უნდა მივაწეროთ. ყოველივე ამას კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თანამედროვე ქართული ენა ვნებითი გვარის სინთეზურ ფორმებზე უკეთ ანალიზური ფორმებით ახერხებს ინფორმაციის გადმოცემას.

უმეტეს შემთხვევაში თურქული ენის ვნებითი გვარის ზმნა ქართულად ითარგმნება მოქმედებითი გვარის ფორმით (თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ენის სიტყვათა რიგი შეზღუდული არ არის და, ამასთანავე, პირი ნაცნობი პიროვნებაა თუ უცნობი, ერთნაირად აისახება ქართულ ზმნაში). მაგალითად: *Derste yalnız Türkçe konuşulur* – ლექციაზე მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ; *Aradan çok zaman geçmeden uyandırıldık* – ბევრი დრო არ იყო გასული, გაგვადვიძეს... როგორც ორივე შემთხვევაში ჩანს, თურქულის პასივის ფორმები (*konusulur, uyandırıldık*) ქართულად მოქმედებითი გვარის ფორმებით (*ლაპარაკობენ, გაგვადვიძეს*) არის გადმოცემული.

თურქულშიც ვნებითი გვარის ზმნა აუცილებლად მოქმედებითი გვარისგან არის ნაწარმოები ვნებითი გვარის სუფიქსების საშუალებით. ვნებითი გვარის ზმნაში მოქმედება, რომელიც გრამატიკული ან ე.წ. ლოგიკური სუბიექტისგან მომდინარეობს, თვით სუბიექტზე გადადის. ასევე: ვნებითი გვარის ზმნაში ამოსავალი მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი ობიექტური პირი გადაიქცევა ვნებითი გვარის სუბიექტად, სუბიექტი კი – ობიექტად (ჯანაშია 1998: 63; კვანტალიანი, ჯანაშია 1999: 76). მაგალითები: *Boyacılar evi beş günde boyadılar* (მღებავებმა სახლი ხუთ დღეში შეღებეს) – *Ev beş günde boyandı* (სახლი ხუთ დღეში შეიღება); *Temizlikçi kadın evi çok kısa bir zamanda temizledi* (დამლაგებელმა ქალმა ბინა მოკლე ხანში დაასუფთავა) – *Ev çok kısa bir zamanda temizlendi* (ბინა მოკლე ხანში დასუფთავდა); *Müşteri bu elbiseyi birkaç kez denedi* (კლიენტმა ეს კაბა რამდენჯერმე მოისინჯა) – *Bu elbise birkaç kez denendi* (ეს კაბა რამდენჯერმე მოისინჯეს)...

ვნებითი გვარის სუფიქსები წარმოდგენილია მორფოლოგიურად და ფონეტიკურად შეპირობებული ალომორფებით:

1. **-n/** ხმოვანზე დაბლოებული ზმნებისათვის: *Oku-mak* —წაკითხვა, *Yika-mak* —გარეცხვა (*Oku-n-du* —წაკითხულ იქნა, *Yika-n-dı* —გაირეცხა)...

2. **-il,-il,-ul,-ül/** თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნებისათვის: Yap-mak —კეთება, Git-mek —წასვლა (Yap-il-di —გაკეთდა, Git-il-di —წავიდნენ)...

3. **-in, -in,-un, -ün/ -l** თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნებისათვის: Al-mak —აღება, Kal-mak —დარჩენა (Al-in-di —აღებულ იქნა, Kal-in-di —დარჩნენ)...

თანამედროვე ქართულ ენაში გვარის კატეგორია გამონაკლისის სახით გვხვდება საწყისთანაც. მაგალითად, ტყდომა, წყდომა, სკდომა და სხვ. საინტერესოა, რომ, რაც ქართულისათვის იშვიათობაა, თურქული ენისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ყველა ზმნური საწყისი შეიძლება იყოს სხვადასხვა გვარზე მორგებული. მაგალითად, yapmak – yap-il-mak (კეთება), konuşmak – konuş-ul-mak (ლაპარაკი), yemek –ye-n-mek (ჭამა)...

თურქულში ზმნის ფორმას ზედიზედ შეიძლება დაერთოს ორი, იშვიათ შემთხვევაში კი სამი, ოთხი და ხუთი სხვადასხვაგვარი ნიშანი (Açıkla-t-tır-ıl – აახსნევენეს, döv-üş-tür-t-ül – აჩხუბეს...). რა თქმა უნდა, აღნიშნული გრამატიკული ცვლილება წესების გარეშე არ ხდება. არსებობს კანონზომიერება. მაგალითად, **Böl-üş-ül-dü** (გაყოფილ იქნა). ამ ზმნურ ფორმაში **Böl** ზმნის ფუძეა, **-üş** – ურთიერთობითის ნიშანი, **-ül** კი ვნებითი გვარის ნიშანია. ეს წესი, ვნებითი გვარის გარდა, დანარჩენი ყველა გვარისათვის არის მისაღები. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ვნებითი გვარის ნიშნის შემდეგ არ მოდის არც ერთი გვარის ნიშანი (Korkmaz 2009: 563-564). ასეთი რამ ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი.

თურქულში ზოგიერთი ზმნური ფორმა, რომელიც მოქმედებითი გვარის სახით არის წარმოდგენილი, შინაარსობრივად ვნებითი გვარის მატარებელია (Gencan 2001: 367). მაგალითად, შესიტყვებაში „Gemi battı“ (გემი ჩაიძირა) სიტყვა „Gemi“ არ არის მოქმედების ჩამდენი, პირიქით, გრამატიკული სუბიექტი რეალურად სამოქმედოა. სხვანაირად რომ ყოფილიყო გააზრებული, მაშინ ისეთ დასკვნამდე მივიდოდით, რომ გემი თავისი სურვილით ჩაიძირა, რაც არ არის რეალური (Şen, Özgen 2016: 250).

თურქულში ვნებითგვარიან წინადადებაში ქვემდებარე არ არის და ზმნის ფორმა ყოველთვის დგას მესამე პირში. მაგალითად, Doğru söze kızılmaz – მართალ სიტყვაზე გაბრაზება არ შეიძლება, Burada birkaç gün oturuldu – აქ რამდენიმე დღე დასხდნენ... როგორც მაგალითებში ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ქვემდებარე საერთოდ არ არის.

თუ წინადადებაში არის რეალურად მოქმედი პირი ანუ ლოგიკური სუბიექტი, რომელიც ვნებით გვარში ობიექტია, იგი ფორმდება **-ca, -ce, -ça, çe** ბრუნვის ნიშნებით ან ახლავს თანდებული **tarafından** (მხრიდან, მიერ). მაგალითად: Yaban Yakup Kadri Karaosmanoğlu tarafından yazılmıştır – რომანი „Yaban“ (უცხო) იაკობ კადრი კარაოსმანოღლუს მიერ არის დაწერილი; Anayasa milletçe kabul edildi – კონსტიტუცია ხალხის მიერ იქნა მიღებული...

თურქ მეცნიერს ზ. ქორქმაზს მიაჩნია, რომ ვნებითი გვარის ნიშნები გარდამავალ ზმნებს აქცევს გარდაუვალად და ასეთ წინადადებაში ქვემდებარე და დამატება აღარ არის. ამ თვალსაზრისით ვნებითი გვარის ზმნებში არ ჩანს, ვის მიერ არის შესრულებული მოქმედება. მაგალითად, Resim sergisi gezildi – სურათების გამოფენა დათვალიერებულ იქნა (Korkmaz 2009: 547).

თურქულ ენაში მესამე პირის ფორმა უნიშნოა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ იგი გამოყენებულ იქნეს არა მარტო მესამე პირის, არამედ განზოგადებული პირის გადმოსაცემადაც: Yazın denize girilir – ზაფხულში ზღვაში შესვლა შეიძლება (შდრ. ქართ. შეისვლება. მაგალითად: სახლში არ შეისვლება); Kışın kardan adam yapılır (ზამთარში თოვლის ბაბუა კეთდება). **შეისვლება** ტიპის ფორმები ქართულშიც გამოიყენება, ოღონდ თურქულთან შედარებით უფრო ნაკლებადაა: **წაისვლება, აისვლება, გაისვლება** (დღისით მზისით ვერ გაისვლება მანდ), **მიისვლება** (ანუ მანქანით არ მიისვლება მონასტრამდე?), **მოისვლება, ჩაისვლება, ამოისვლება, შემოისვლება, გამოისვლება, გადაისვლება, ჩამოისვლება, წამოისვლება, მიმოისვლება**. ასეთი ფორმები გამოყენებულია ინტერნეტსივრცეშიც (იხ.: <https://forum.ge>). თურქულში ეს ზმნები ყველა დროში შეიძლება შეგვხვდეს, რაც ქართულისათვის უცხოა. მაგალითად, ზმნა **Gitmek** (წასვლა): **Gidiliyor** (აწმყო), **gidilecek** (მომავალი), **gidilir** (განუსაზღვრელი), **gidildi** (ნამყო), **gidiliyordu** (უწყვეტელი), **gidilecekti** (ხოლმეობითი), **gidilmiş** (I შედეგობითი), **gidilmişti** (II შედეგობითი), **gidilsin** (ბრძანებითი)... მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, რომ თურქული ენა ამ თვალსაზრისით უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ქართული. თურქულ ენას აბსოლუტურად ყველა ზმნური ფორმის გადაყვანა შეუძლია ვნებით გვარში, გამონაკლისი არ არსებობს.

მართალია, ქართულ ზმნაში შეიძლება გამოხატული იყოს ყველა კატეგორია, მაგრამ თურქულისაგან განსხვავებით ქართული ამ მხრივ მაინც შეზღუდულია. მაგალითად: ვნებითი გვარის ზმნის ყველა ფორმას არ ეწარმოებაშუალობითი კონტაქტის ფორმები, მაგრამ იშვიათად შეიძლება იყოს ამის შემთხვევებიც. ასეთია: **ეთრევილება, ეთლევილება, ეკვლევილება...** (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 426).

გარდა ამისა, თურქულში ვნებითი გვარი გამოიყენება გაფრთხილების აღმნიშვნელ შემთხვევებშიც. მაგალითად: Burada sigara içilmez — აქ სიგარეტის მოწევა არ შეიძლება, Buraya park yapılmaz — აქ მანქანის გაჩერება არ შეიძლება...

თურქულში არის ისეთი შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ზმნურ ფუძეს ერთდროულად ერთვის ვნებითი გვარის ორი ნიშანი. ასეთია **Demek > de-n-il-di, Söyle-n-il-di** (თქმა — ითქვა), **İstemek > iste-n-di — iste-n-il-di** (მოსურვება — მოისურვეს), **Beslemek > besle-n-di — besle-n-il-di** (კვება — გამოიკვება)... ზ. ქორქმაზის აზრით, მეორე ნიშნის დამატების მიზანი ვნებითისა და უკუქცევითი გვარების აღრევის თავიდან აცილებაა (Korkmaz 2009: 547). ჩვენი აზრით, მეორე ნიშნის დამატება გვარის თვალსაზრისით არაფერს არ ცვლის. ორივე შემთხვევაში მოცემული ფორმები ვნებით გვარში დგას, რადგან მოქმედების ჩამდენი პირი არსად არ ჩანს. თურქულიდან ქართულად თარგმნის დროს ორივე ერთნაირად ითარგმნება.

არის ისეთი შემთხვევაც, როცა ვნებითი გვარის ნიშანი ყოველგვარი წესის გარეშე გამოიყენება. მაგალითად, **anla-ş-il-** (გასაგებია). ამ შემთხვევაში, რადგან ზმნის ფუძის ბოლოს **-a** ხმოვანია, წესით უნდა დართვოდან **-n** სუფიქსი და არა **-il**, რომელიც თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძის მქონე ზმნებს ერთვის.

თურქული ენით დაინტერესებულებს ხშირად ერევათ ვნებითი გვარი უკუქცევით გვარში, რადგან ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ნიშნებია გამოყენებული. ორივე ფორმა ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ შინაარსის მიხედვით. უკუქცევითია ისეთი ზმნები, რომლებშიც რეალურ მოქმედებას განიცდის თვით სუბიექტი და მოქმედი პირი ამ შემთხვევაში ჩანს. ვნებითი გვარის შემთხვევაში კი არ არის ცნობილი, ვის მიერ არის მოქმედება შესრულებული. მაგალითად, **Araba yıka-n-ıyor** — მანქანა ირეცხება, **Kardeşim banyoda yıka-n-ıyor** — ჩემი ძმა აბანოში თავს იბანს. როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, თურქულად ორივე გვარის ფორმა ერთნაირად იწერება. ამ შემთხვევაში გამოსავალია შინაარსი. უკუქცევითის შემთხვევაში კარგად ჩანს, ვის ეხება მოქმედება (**yıkanıyor** — თავს იბანს), ხოლო ვნებითში არ ჩანს, ვის მიერ სრულდება მოქმედება. ზოგად ელფერს ატარებს ვნებითი გვარის ფორმა (**yıkanıyor** — ირეცხება).

ამრიგად, გრამატიკული გვარის კატეგორიის საკითხი სრულიად განსხვავებულად დგას თურქულსა და ქართულ ენებში. ამ მხრივ ქართული ენის გვარის კატეგორიაში გარკვევა უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს, ვიდრე თურქულისა, თუმცა, თურქული ენის გვარიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

როგორც ვნახეთ, ზმნის გვარი, ზოგადად, ურთულეს გრამატიკულ კატეგორიად ითვლება. როგორც გამოხატვის, ისე — ფუნქციონირების თვალსაზრისით, ზმნის ეს კატეგორია შეიძლება სრულიად განსხვავებული აღმოჩნდეს სხვადასხვა ენაში. ჩვენს შემთხვევაშიც, გრამატიკული გვარის კატეგორიის საკითხი სრულიად განსხვავებულად დგას თურქულსა და ქართულ ენებში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თურქულში გვარის სწავლება გაცილებით უფრო მარტივია, თუმცა, რა თქმა უნდა, გარკვეული თავისებურებებით მაინც ხასიათდება; უნდა აღინიშნოს, რომ მშობლიური ენის გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნა სხვა ენათა დაუფლებასაც ეხმარება. მშობლიური ენის გრამატიკული წესების, გრამატიკული კატეგორიებისა და კანონების ცოდნა და მათი არამშობლიური ენის გრამატიკულ წესებთან, კანონებთან, კატეგორიებთან შედარება-შეპირისპირება უფრო გასაგებსა და მისაწვდომს ხდის ენის შემსწავლელთათვის არამშობლიური ენის მასალას და აადვილებს მის დაუფლებას. ეს საკითხი თურქულ ენაში გაცილებით მარტივად დგას, თუმცა, თავისებურებები თურქულ ენასაც გააჩნია და მისი შესწავლისას თურქული ენით დაინტერესებულები გარკვეულ სირთულეებს მაინც აწყდებიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ წინაშე გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი პრობლემა: ზოგადად, უცხო ენის გრამატიკის და, კერძოდ, გვარის კატეგორიის შესწავლა/სწავლება მეტად რთული პროცესია, ვინაიდან უცხოური და მშობლიური ენების გრამატიკულ სისტემებს შორის არსებული განსხვავება მეტად დიდ სიძნელეებს უქმნის ენის შემსწავლელებს.

ლიტერატურა:

1. დათუკიშვილი, ქ. (1996). ვნებითის ყალიბის მქონე სტატიკური ფორმები ქართულში. საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. V. ემდგნება ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავს, თბილისი: ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება.
2. თალაკვაძე, მ. (1959). ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდთა, თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია — სალიტერატურო ენა (2011). გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

4. კვანტალიანი, ე., ჯანაშია, ნ. (1999). თურქული ენის სახელმძღვანელო, თბილისი: გამომცემლობა „ეგროსი“.
5. კვაჭაძე, ლ. (1977). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
6. კვაჭაძე, ლ. (1981). ქართული ენა, ნაწილი I. მე-3 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
7. კვაჭაძე, ლ. (1993). ქართული ენა – მეოთხე შესწორებული გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“.
8. მელიქიშვილი, დ. (2014). ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
9. შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტომი III, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
11. ჩიქობავა, არნ. (1929). რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? წერილი ახალი სკოლისაკენ, #9-10. თბილისი.
12. ჯანაშია, ნ. (1998). ზმნა თანამედროვე თურქული ენაში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. ჯორბენაძე, ბ. (1975). ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
14. GENCAN, T. N. (2001). *Dilbilgisi*, Ankara: Ayraç Yayınevi.
15. KORKMAZ Zeynep (2009). *Türkiye Türkçesi Grameri (Şekil Bilgisi)*, Ankara: Türk Dili Kurumu Yayınları.
16. Ekin ŞEN, Murat ÖZGEN (2016). *Türkçede Edilgen Çatı: Bilişsel Yaklaşım Çerçevesinde İşe-Dayalı Öğretim Materyali Önerisi*, International Journal of Language Academy Volume 4/2 Summer

Harun Chimke

Recep Tayyip Erdogan University (Turkey)

**PECULIARITIES OF THE PASSIVE VOICE IN GEORGIAN AND TURKISH
RESUME**

Verb is one of the most complicated parts of speech in Georgian. The complexity of the Georgian verb is constituted not only by its polyphony but by the categories represented in the verb form as well (person, number, tense, mood, aspect, voice etc.). Grammatical voice is one of the special categories among other various ones in Georgian.

The category of voice is one of the main grammatical categories in all languages, however, number of voices differs from language to language. The same rule applies to Turkish as well. While we have three basic voices in Georgian (active voice, passive voice, neuter voice), there are five forms of grammatical voice in Turkish (active voice, passive voice, reflexive voice, reciprocal voice, causative voice).

Passive voice in Georgian is completely different from the passive voice in Turkish. Moreover, the voice itself as a morphological category of a verb is based on different principles. What is common in definition is that when we talk about the category of voice, in both cases we imply the differentiation of the verb process relation. What is implied under the term relation is only a type of relation expressed grammatically and not by any other means.

Keywords: passive voice, in Georgian, in Turkish, with various peculiarities, distinct

„შეურიგებლობის, შეუგუებლობის სულის“ რამდენიმე ნიმუში ქართულ ესეისტიკასა და დოკუმენტურ პროზაში

საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაზე, იმ ტკივილზე, ყველა ქართველი გულით რომ ატარებს, შაჰ-აბასზე, ქეთევან დედოფალზე, უნდილაძეებზე, ფერეიდანზე და იქაურ ქართველებზე უამრავი რამ დაწერილა და კვლავ დაიწერება. საქართველოს ისტორიის ეს ტრაგიკული, და ამავე დროს საამაყო, ეპიზოდი კიდევ დიდხანს იქნება განსჯის თემა ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში.

შაჰ-აბასის მმართველობის ორმოცი წელი ძალიან მძიმე იყო საქართველოსათვის, განსაკუთრებით დაზარალდა კახეთი, საიდანაც უამრავი ქართველი იქნა აყრილი და გადასახლებული ირანში, კერძოდ ფერეიდანში. მას შემდეგ „ფერეიდნელი ქართველების“ ბედი მუდმივად აღელვებს ქართველი კაცის ცნობისმოყვარეობას. მათ შესახებ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ცნობები.

ნაშრომში განვიხილავთ, თუ როგორ აისახება ეს პერიოდი თამაზ ნატროშვილის მეცნიერულ-მხატვრულ ნარკვევებში, გურამ ასათიანის რამდენიმე ცდაში ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად და გიორგი სოსიაშვილის ფერეიდნულ ნოველებში.

თამაზ ნატროშვილი, ეყრდნობა რა უცხოურ წყაროებს (მათ შორის ბევრი ისეთიცაა, მანამდე უცნობი რომ იყო მკითხველისათვის), ყველაზე სრულყოფილად აგვიწერს ამ დროის მოვლენებს და ცდილობს განსხვავებული ინტერპრეტაციით განიხილოს ეს ტრაგიკული მომენტები საქართველოს ისტორიისა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ყოველ გამოხდომას (1615 წლიდან 1625 წლამდე) შაჰ-აბასი უსასტიკესი შურისძიებით პასუხობდა, თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფიჩქევის ცნობით, თავისი მეფობის ორმოცი წლის მანძილზე შაჰ-აბასს ისეთი მძიმე დანაკლისი არ განუცდია, როგორც განიცადა საქართველოში 1625 წელს. ეს წელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი, როგორც დიდი გამარჯვების წელი, როცა ქართველმა ხალხმა სამარადისოდ დაამტკიცა, რომ მას არ ეწერა არც გათათრება და არც გადაშენება. ამ გამარჯვებაში უდიდესი როლი ქეთევან დედოფლის თავგანწირვამ ითამაშა. ყველამ კარგად იცის, რომ ის შაჰმა აწამა, მაგრამ არსებობს უამრავი მიზეზი წამებისა. განიხილავს რა ყველა მიზეზს, თამაზ ნატროშვილი ერთ-ერთ უმთავრესად მიიჩნევს შემდეგს: ერთ ევროპელ მისიონერს თუ დავუჯერებთ: „არავინ იცის რა სწამს ამ კაცს (შაჰ-აბასს), ან თუ სწამს რამე: მაჰმადიანური სარწმუნოების წესებს ის უხალისოდ ასრულებს, მაგრამ არც ქრისტიანია“ [4, გვ. 175]. ეს იმას ნიშნავს, რომ შაჰი არ ყოფილა ფანატიკოსი მაჰმადიანი, არამედ სარწმუნოებას ყოველთვის იყენებდა სასურველი მიზნის მისაღწევად.

მოიშველიებს რა სომეხ ისტორიკოსს – არაქელ თავრიზელს, თამაზ ნატროშვილი გვიყვება საინტერესო ისტორიას, რომ ირანში მცხოვრები გათათრებული და შაჰის სამსახურში ჩამდგარი ქართველების დედები ქრისტიანებად რჩებოდნენ. ამან დააეჭვა სეფიანთა ხელმწიფე და გადაწყვიტა გაეგო, რატომ ხდებოდა ასე. შვილების შეკითხვას დედებმა უპასუხეს - თეიმურაზის დედა თუ ქრისტიანად რჩება, ჩვენ რატომ უნდა გავმაჰმადიანდეთო?

შაჰ-აბასი მიხვდა, რომ ქეთევანი თავისი სიმტკიცით სხვებსაც მოუწოდებდა ქრისტიანობის დაცვას, „მას კი სურდა გამაჰმადიანებული ეხილა მთელი საქართველო“ და რომ „აბსტრაქტული ქადაგება კონკრეტული ნიმუშის გარეშე სასაცილოა და მისი არავის სჯერა. ქრისტიანული იდეალისთვის ქეთევანს თავი რომ არ გაეწირა, მის ქადაგებას არავინ ირწმუნებდა“ [2, გვ. 54].

არის ერთი საინტერესო მომენტი, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ: სანამ დასჯიან, ქეთევან დედოფალი შვიდი წლის განმავლობაში იმყოფება იმამყული-ხან უნდილაძის - შირაზის ხანის სასახლეში და, ფაქტიურად, მისი ტყვეა. ამ „უნდილაძემ“ როგორც მას გურამ ასათიანი მოიხსენიებს, (თუმცა იყო მამაც, მეორე ძმაც, არანაკლებ ალზევებულნი), დიდი როლი ითამაშა ირანის ტახტზე შაჰ-აბასის განმტკიცებაში, იყო მისი მხედართმთავარი, მთელს ირანში ვერავინ შეედრებოდა ვერც სიმამაცით, ვერც გონიერებით, ვერც სამხედრო ნიჭით. მას აქვს ყველა და ეს ქება შემოუნახავთ უცხოურ წყაროებს: ინგლისელი თომას ჰერბერტი, იტალიელი პიეტრო დელა ვალე, ფრანგი ჟან-ბატისტ ტერნიე, გერმანელი ადამ ოლეარიუსი. ვკითხულობთ ევროპულ წყაროებში შემონახულ ამ ცნობებს და ჩვენც, „გვიხილავს უცხო ქვეყანაში ალზევებული ქართველი

კაცი, გვხიზღავს მიუხედავად იმისა, რომ იგი მაჰმადიანია რჯულით, ზნე-ჩვეულებებით, საქართველოში არ დაბადებულა, საქართველო თვალთ არ უნახავს“ [4, გვ. 218]. ეს გასაგებია, გაუგებარია მხოლოდ თეიმურაზის პოზიცია უნდილაძისადმი, როდესაც პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ ხოტბას ასხამს მას, თუმცა „ვოტა უცნაურად გამოიყურება ამ შემადრწუნებელი გულწრფელობით დაწერილ პოემაში ქება შირაზის ხანისა.... რომლის სამფლობელო ქალაქში აღასრულა თავისი სიცოცხლე ქეთევან დედოფალმა“ [4, გვ. 190].

თეიმურაზი გამოჩნდება შირაზში ინგლისის ელჩობის დროსაც, როცა ნადიმზე „იმამყული - ხანის ხელმარჯვნივ იჯდა თეიმურაზი - უბედური მეფე საქართველოსი, მამაცი პიროვნება, ომებში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი“ [4, გვ. 195] ამას თავისი ისტორია აქვსო, გვიყვება თ. ნატროშვილი: ეს იყო შერიგების მცდელობა შაჰ-აბასთან, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მთავარი ის არის, რომ ინიციატივა შაჰის მხრიდან მოდიოდა და ის კატეგორიულად მოითხოვდა თეიმურაზის ჩასვლას ირანში, რადგან 1625 წელს დარწმუნდა, რომ საქართველოს მოთხრა არ ძალუძდა. თეიმურაზიც მიდის ამ კომპრომისზე. თავისთავად, პოემაშიც, თეიმურაზი ფრთხილია თავის შეფასებებში:

„შირაზი ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სრულად ქვენანი“.

ალექსანდრე ბარამიძე ფიქრობს, რომ თეიმურაზ პირველის დროისათვის ერთ-ერთ უმწვავეს კითხვათაგანს წარმოადგენს სასულიერო და საერო მიმართულებათა ურთიერთობა. მის მიერ ნაციონალური თემატიკის დამუშავება პირველი მაგალითია ქართულ მწერლობაში და ის ამ მიმართულების დამწყები ხდება, რითაც მან „ერთგვარი თემატიკური კრიზისი სძლია და მომავლისთვის მწერლობას ახალი გზები დაუსახა, რომელსაც აგრძელებენ არჩილი, გურამიშვილი და სხვები“ [3, გვ. 217].

რაც არ უნდა დიპლომატიით იყვეს განპირობებული თეიმურაზის ეს ნაბიჯი და რაც არ უნდა ქართული მწერლობის მომავალზე ფიქრით, მაინც უცნაურად ჟღერს ქება-დიდება კაცისა, რომელიც ორჯერ ჩაერია თეიმურაზის შვილების ბედის გადაწყვეტაში და მესამედ მაინც ვერაფერი უშველა მათ. ქეთევანის უღმობელი განაჩენის გამოტანის საქმეში კი ერთხელაც ვერ გაჭრა მისმა ჩარევამ. ქეთევანი იქით ამშვიდებს: „ფრიად მადრიელი ვარ და მაქებელ კაცობრიობითსა ღმობასა მაგას შენსა ზედა გულმტკიცეულებასა ჩემთვის, მაგრამ შეუძლებელ არს ჩემ მიერ უარის ყოფა ქრისტე მეუფისა ჩემისა“ [4, გვ. 174].

და როგორია ამ ორი ადამიანის აღსასრული? რა მიიღო თითოეულმა?

სასიკვდილოდ გამოხადებული დედოფალი უკანასკნელ ლოცვაში ღმერთს ევედრება მისმა შვილმა დაიბრუნოს ღვთიანკურთხეული საქართველოს ტახტი. ექვსი თუ შვიდი თვის შემდეგ მისი ნანატრი ახდა, თეიმურაზი, დედის ღვაწლის აღმწერელი, დაჯდა „ტახტსა ზედა“, ხოლო „ქეთევანის სახელსა და დიდებას მთელს ევროპაში მოჰყვენენ უცხოელი მწერლები“ [1, გვ. 180].

რაც შეეხება უნდილაძეს, რომელიც ირანის მეორე მეფედ ითვლებოდა და რომელსაც არც შაჰ-სეფისა შეეშინდა და ქედმაღლურად შეეპასუხა: „ჩემზე აღმდგარ ძალას ძალასვე დავახვედრებ და თავს დავიცავ, ირანის საუკეთესო ციხეები მიჭირავსო“ [3, გვ. 197], ასეთი ბედი ერგო: წარბშეუხრელად მიმართა ჯალათებს - „აი, მზად ვარ დავემორჩილო შაჰის ბრძანებას, მხოლოდ ერთსა გთხოვთ - ნუ მომკლავთ ამ საბრალო ქალების თვალწინ, თავზარი არ დაეცეთო“ [4, გვ. 198]. და თუ ქეთევანის სურვილი - მომკალით, მაგრამ სიშიშვლით ნუ შეურაცხმყოფთო, არ დააკმაყოფილეს, უნდილაძისა დააკმაყოფილეს, თუმცა მისი და მისი შვილების გვამები სამ დღეს ეყარა მოედანზე, სამ დღეს, ალბათ, ქართულად დასტიროდა „მოხუცი ქართველი დედა იმამყული-ხანისა თავის სპარსელ შვილებს და შვილიშვილებს“ [4, გვ. 198]. ამის შემდეგ შაჰმა ბრძანა მიწისთვის მიებარებინათ მათი გვამები.

გურამ ასათიანი, წიგნში „სათავეებთან“, მესამე ჩანართში „უნდილაძე“, მთლიანად თამაზ ნატროშვილის მონაცემებს ეყრდნობა. თამაზ ნატროშვილს გურამ ასათიანის ამ წიგნმა კიდევ უფრო გაუღვივა ინტერესი და აიძულა ახალი ასპექტით დაენახა ზოგი რამ, თუნდაც ის, რომ, მაშინ, როცა „თითქოს უკვე ყველაფერი იყო თქმული შირაზის ხანის შესახებ, არაკი, თუ მართალი, დითირამში თუ ფხიზელი შედარება... შეძლო ახალი და გაბედული სიტყვა ეთქვა. მან ახალი კუთხით შეავლო თვალი შირაზის ხანის ფენომენს“ [5, გვ. 219] და აღნიშნავს - გ. ასათიანს ეკუთვნის „მნიშვნელოვანი.... დასკვნა იმის თაობაზე, რომ ყველაზე ზუსტი..... ემბლემა ქართული ხასიათისა არის პრომეთე (ანუ ამირანი) - შეურიგებლობის, შეუგუებლობის სული“ [5, გვ. 221]. ამ სულის მატარებელ ქართველთა შორის ერთ-ერთი ადგილი უჭირავს ქეთევან დედოფალს და მისი თავდადება, რომელიც გ. ასათიანის აზრით სულაც არ იყო ნაკარნახევი რელიგიური ფანატიზმით, იყო „დაუგეგმავი პრელუდია“ გმირული 1525 წლისა. გ. ასათიანის დასკვნა ასეთია: რომ ქეთევან

დედოფალი არ გათათრდება, ყველამ კარგად იცის და რაც არ უნდა ეხვეწონ, არ გათათრდება და მორჩა. ეს კი „შირაზის ხანისთვის პირველი წაგებული ბრძოლაა და ის იძულებულია საბოლოოდ პილატეს ქესტით დაკმაყოფილდეს“ [1, გვ. 50]. მთელი თავისი ძალაუფლების, მთელი თავისი შინაგანი საუცხოო თვისებების, დიპლომატიური ნიჭის მიუხედავად, იმამყული-ხანი მხოლოდ პილატეა და „ვიდრე ქართველი ხალხი ქეთევან წამებულის წმიდა აჩრდილს ეთაყვანება, იმამყული-ხანის სახებას ველარავინ ჩამორეცხავს ამ საზარელ ლაქას“ [1, გვ. 51]. ეს ძალზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო დასკვნაა, რადგან „გურამ ასათიანმა ამ სიტყვებით თამამად გაარღვია პიეტეტის ის მოჯადოებული წრე, რომელიც შემოვარტყით სახელგანთქმულ შირაზის ხანს და სადღაც სქოლიოში მივჩქმალეთ მართლაცდა საზარელი ლაქა“ [5, გვ. 225]. ამდენად, თამაზ ნატროშვილს ძალზე მართებულად ეჩვენება გ. ასათიანის დასკვნა.

ზემოთ აღნიშნული “შეუგუებლობის სულის” თავისებურ ინტერპრეტაციას აგრძელებს გიორგი სოსიაშვილი. მისი „ფერეიდნული ნოველები“ დოკუმენტური პროზის ნიმუშია, მაგრამ აქ თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ თ. ნატროშვილის სიტყვების პერიფრაზირება, რომ მწერალ-დოკუმენტალისტის კალამი არ სჯერდება ისტორიული სინამდვილის თავისთავად მიმზიდველ კოლორიტს, დაჟინებით ეძებს ფარულ კოლიზიებს, კიდევ უფრო აცოცხლებს ჩვენთვის ცნობილ ფაქტებსა და ფსიქოლოგიურ სურათებს.

გიორგი სოსიაშვილის წიგნი ნონფიქშენის კარგი ნიმუშია. ნონფიქშენი ფიქშენის საპირისპირო ცნებაა და უბრალოდ არაგამოგონილს ნიშნავს. ამ წიგნში მწერალი აგრძელებს ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს და თუ კარგა ხანია მთელ მსოფლიოში შეინიშნება ნონფიქშენისადმი ინტერესის გაძლიერება, ქართულ მწერლობასაც ლიტერატურის ამ დარგში ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. უფრო მეტიც: „ჩვენი მწერლობა ნონფიქშენით იწყება“ [7, გვ. 54].

გვიყვება გ. სოსიაშვილი - ქართულად რომ ვთქვათ „არაგამოგონილ“, უცხო სიტყვით კი „დოკუმენტურ“ ამბებს და, თუ ლევან ბრეგამეს მოვიხმობთ, ლიტერატურული ტერმინების ეს ჩანაცვლება იმიტომ არის, რომ, თითქოს, არაბელეტრისტიული (ბელეტრისტიკა-ლამაზი წერილობა), ნამდვილი ამბების ამსახველი დოკუმენტური ტექსტი არ შეიძლება ლამაზი იყოს, „რაც ცხადია ასე არ არის - მოსაწყენი ბელეტრისტიული (მხატვრული) თხზულებაც ბევრი გვინახავს [7, გვ. 54].“

წიგნში ლოგიკურ განსჯას მხატვრული შედარებები, ლირიკული გადახვევები, ქართულ გენთან წარმოსახვითი საუბრები და ავტორის ხილვები სჭარბობს: ზემოთხსენებული მწარე მოგონებებით შთაგონებული ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიუყვება ფერეიდნისაკენ მიმავალ გზას და იხსენებს ყველაფერ იმას, რაც სპარსეთთან ურთიერთობისას გადაგვხდენია თავს, შემდეგ სულში დალექილა და არ იშლება არც საქართველოში და არც ფერეიდანში მცხოვრები ქართველების მეხსიერებიდან. მიჰქრიან და უკან რჩება ერუშეთის მთები, რომელთაც „როგორც დედაბრის ჩამომჰკნარი სილამაზე და სიკასკასე, ისე შერჩენია თოვლი, სისპეტაკედაკარგული, უბიწოება წაგვრილი თოვლი“ [6, გვ. 8]. მიდიან და გზას ბოლო არ უჩანს და როცა სერგო ვარდოსანიძე შეახსენებთ, რომ ეს აღზევანის გზაა, უკვირთ - როგორ მიდიოდა მარილზე ამ სიშორეზე ხალხი.

ნაშრომის ფორმატი არ მოგვცემს უფლებას ყველა ნოველაზე დაწვრილებით ვისაუბროთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის მხატვრულ ღირსებებზე საუბარს გვერდს ვერ ავუვლით.

გზად ქაშანს გაივლიან და როგორ შეიძლება თვალი არ შეავლო შაჰ-აბასის საფლავს; ჰოდა, დადიან ქაშანის ქუჩებში და ეძებენ „იმ დამპყრობლის განსასვენებელს, ვინც წელში გატეხა და სისხლისგან დაწრიტა ჩემი ქვეყანა“ [6, გვ.28]. როგორც იქნა მიაგნეს და ერთად ჩაესმის ავტორს ყურში „ათასობით თუ ასიათასობით ქართველის გოდება“, დახუჭავს თვალებს და „წარმოსახვაში გაჩნდება XVII საუკუნე, აოხრებული, ტყე-ღრედ გადაქცეული ქართლ-კახეთი“ [6, გვ.28]. ეჩვენება, რომ ზორგავს ქაშანის მიწაში შაჰ-აბასის სული, რადგან სიცოცხლის ბოლოს აღიარა: ორი რამ ვერ დავამარცხე-სიკვდილი და ქართველიო. რა იცოდა სპარსეთის მბრძანებელმა, რომ გავიდოდა რამდენიმე საუკუნე და ფერეიდანში, მის მიერ გადმოსახლებული ქართველების სანახავად ჩასულები, მის საფლავს დაუწყებდა ძებნას ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი; გზად არარატის ფონზე სურათსაც გადაიღებენ: „შალვა კირთაძის ობიექტივში ცადაქნილი არარატი ჩანს. კალთებზე სასუფევლის ნათელივით უბრწყინავს ნაზამთრალი თოვლი... ჩალმასავით მოხვევია კორტოხზე ლეგა ღრუბელი“ [6, გვ.18]. შესანიშნავი შედარებაა - არარატი და ჩალმა, ქრისტიანული და მუსულმანური სარწმუნოების სიმბოლოები.

აღბეჭდავენ ფირზე ამ ყველაფერს და ისევ ფერეიდანის გზას გაუყვებიან, რომ ნახონ ის ქართველები, მეჩვიდმეტე საუკუნეში რომ გადმოსახლა შაჰ-აბასმა, თუმცა, ეგონა ყველა უდაბნოში ჩაკვდებოდა და ამით დამთავრდებოდა მათი არსებობა, მაგრამ „იპლაა“, არ ყოფილა ასე ადვილი. ახლა იმ ქართველთა ნაშიერი ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეგხვდეს, წინ გადაგიდგეს, გაგიღიმოს და გითხრას: „მე ქართველი ვარ“, ამით გული გაგიტბოს, შენი ხელიც გულზე მარცხენა

მხარეს დაიდოს და ისე გაგიმხილოს: „მიყვარს! აი გული, ჩემი გული“- მეტი ქართული ადარ ყოფნის. „დგას და შემოგყურებს მხერაანთებული თავრიზელი ქართველი - მე, ასათ ქართველი ვარ, ასათ ქართველი“ [6, გვ.25].

ავტორს არც ჩიტი ავიწყდება, რომელიც ირანის გზებზე მიმავალთ თავს დასტრიალებს და მალ-მალე ჩამოსძახებს: „ნუ გათათრდები!“ სულხან-საბას ლექსიკონის ფურცლებზე ასეთი ჩანაწერია: „ნუ გათათრდები-ეგვიპტის მტრედი, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა; მისირსა და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრ კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გათათრდები! და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ გიაურ-ყურში, ვითომც უშჯულო ფრინველი“. ძნელი სათქმელია, მართლა არსებობდა თუ არა ასეთი ჩიტი, მაგრამ ლეგენდის დაბადებას თავისი სიმართლე გააჩნია. ნუთუ, იმ ქართველ დიდებულებს არ მისდევდა ეს ჩიტი, დიდების საძებნელად რომ მიდიოდნენ, მაგრამ ავტორი დანაშაულით ამბობს: „დიდების მოპოვების სურვილი და შაჰის ხალათი რას არ გააკეთებინებს კაცს“ [6, გვ.72]. აქ ერთი პარალელი შეიძლება გავაკეთოთ: 1618 წელს ყაზვინისკენ მიმავალ პიეტრო დელა ვალეს ქართველები შეხვდებიან და გზას ერთად აგრძელებენ. ქართველები უზომოდ გაიხარებენ, როცა გაიგებენ, რომ მათი თანამგზავრები ქრისტიანები არიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ქართველია ყველა, ვინც ქრისტეს ჯვარს ატარებს. ერთად აგრძელებენ გზას ქართველი დიდებულები და პიეტრო დელა ვალე, საუბრობენ ჟესტების ენით და სიყვარულს უზიარებენ ერთმანეთს. მათ ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან სხვა ქართველები და დაკვირვებული პიეტრო დელა ვალეს თვალს არ გამოეპარა, რომ „ქართველთა ძალაუნებური გამაჰმადიანება მეტწილად ფორმალური ნაბიჯი იყო; თუმცა ისინი გარეგნულად გამაჰმადიანებულები არიან და ირანის შაჰს ემსახურებიან, უფალმა უწყის გულში რას ფიქრობენ და ბევრზე ნამდვილად ვიცი, ქრისტიანულ სარწმუნოებას არ ღალატობსო“ [4, გვ. 181].

ამ გზად შეხვედრილ, „გარეგნულად გამაჰმადიანებულ“, ქართველთა შთამომავლების ემოციებს ხატავს მწერალი მხატვრული ოსტატობით, მოგვითხრობს იმ სიხარულზე, შუა ირანში „ჩონების“ გამოჩენა რომ იწვევს; ქმნის მათ შთამბეჭდავ გარეგნულ და შინაგან (სულიერ) პორტრეტებს, ეს კი, არც ისე იოლია, რადგან: „ნამდვილად მომხდარი ამბების სიტყვის მეშვეობით ასახვა-გაცოცხლება, ანუ ნატურიდან ხატვა, მწერლისგან განსაკუთრებულ უნარებს მოითხოვს, ნონ-ფიქშენში მხატვრული თხზულებებისგან, ანუ ფიქშენისგან, საგრძნობლად განსხვავებული ესთეტიკური პრინციპები მოქმედებს“ [6, გვ.55]. მწერალი ყველაფერ ამას ითვალისწინებს და კარგადაც გამოსდის.

თუ არა ამ ქართველთა შთამომავალი, მაშ, ვინ არის თამარა, რომელიც ალავერდი-ხან უნდილაძის ხიდთან ელოდებათ. მას ხომ საქართველოში ცხოვრება უნდა და მოქალაქეობის მიღებაზე ოცნებობს. თამარი ფანიაშვილია გვარად და სჯერა - „ქართველები გამორჩეულები ვართ“ [6, გვ. 32].

ვინ არიან ეს ქართველები, საიდ-მულიანის მოსწავლეები (რომლებიც საიდ მულიანს ასე მიმართავენ: ჩვენი საიდა, ჩვენი მასწავლებელი. საიდ მულიანი, თავისი სკოლით, ცალკე სტატიის თემა). ვინ არიან: ზვიადი, ტარიელი, ასლანი ონიკაშვილი, ზვიადი კურდღელაშვილი, რეზო ბათუაშვილი და უამრავი სხვა, რომლებიც გახარებულნი შეკრებილან „ქართველების საფიხვნოზე“ „ჩონების“ სანახავად, ყველას უნდა გამოირჩეს, თავი რაღაცით დაამახსოვროს ძვირფას თანამემამულეებს, განსაკუთრებით ისინი ამყობენ, ვინც უკვე ნამყოფია საქართველოში, „ხან ერთი გვეპატიჟება, ხან მეორე, ხან მესამე“ [6, გვ.82], დრო კი არ იცდის, გზა უნდა გააგრძელონ, ორ დღეში ბევრი რამ უნდათ მოასწრონ. მწერალს, უნებურად, ახსენდება ფრაზები ამბაკო ჭელიძის წიგნიდან: „ქართველები ნელ-ნელა გადაგვარდნენ“, ან, თუნდაც „გადაგვარების გზაზე მყოფი ფერეიდნელი ქართველები“. როგორ შეიძლება ასე წერა, მაშინ, როდესაც: „ოთხი საუკუნე უპატრონოდ, უმოყვროდ, დევნასა და მიუსაფრობაში მყოფმა ადამიანებმა საკუთარი იდენტობა, საკუთარი ქართველობა გულით ატარეს, დღემდე მოვიდნენ, დღემდე მოიტანეს ქართული სული, რის ფასად, რის ხარჯზე, სისხლის ნთხევის, შევიწროვების, დამცირების, აბუჩად აგდების!!!... აქედან ადვილია საუბარი, აქედან ადვილია განკითხვა“ [6, გვ.72].

და ისევ უნდილაძეებს დავუბრუნდეთ. ალავერდი-ხან უნდილაძე, მამა სახელოვანი შირაზის ხანისა. მისი სახელი რამდენჯერმე გამოჩნდება წიგნში „ვერცხლის ყვავილები“. ზემოთ აღვნიშნეთ - ალავერდი ხანის ხიდთან და ძეგლთან ელოდებათ თამარ ფანიაშვილი და ეჩვენება ავტორს მზეს მიშტერებული ალავერდი-ხანი, სულ ცოტა რომ დარჩენია მდ. ზიანდერუდზე აგებული ხიდის დამთავრებამდე და ისეა გართული თავის ხილებში, რომ ვეღარც ერთგულ მსახურს ამჩნევს, შაჰის ბრძანება რომ უნდა გადასცეს. ის ქართველი ბიჭი ელანდება, წინა დღეს რომ მივიდა „შაჰის მარჯვენა ხელთან“ და ისეთი სიტყვები უთხრა, დამე მილი ადარ მიკარებია - „ეგ დიდება დროებითია, საქართველო კი მარადიულია, ყველა ჩვენებურმა რაღაც უნდა გაუკეთოს

სამშობლოს...გაივლის დრო, დავიწყებას მიეცემა ეგ დიდება და როგორ მოგიხსენიებენ, მაგაზე იფიქრე“ [6, გვ. 112].

დრო გასულა, უნდილაძეების დიდება თან წაუღია, ალავერდი ხანის ბიუსტზე წარწერა, რომელიც მის „ქართულ წარმომავლობას გვამცნობდა...აქაურებს დაუზიანებიათ და აღარ იკითხება“ [6, გვ. 33].

ყველაფერი მთავრდება და წიგნიც მთავრდება „ცრემლიანი ეპილოგით“. ცოტა დრო იყო ამ ურთიერთსიყვარულის გასამქლავებლად, სულ ერთი დღე, რომელმაც გადაატრიალა ავტორის ცხოვრება: „ქართველი ვიყავი, მაგრამ უფრო გავქართველდი“, საბედნიეროდ, ყველაფერი ჩაიწერა, გადაიღო, წიგნიც დაწერა და ამით წარმოთქვა ფერეიდნელი ქართველების დასალოცი სადღეგრძელო.

წიგნს ანათებს ის სხივი, რომელიც თამარ ფანიაშვილს უკრთის თვალეზში და რომელიც არც ერთი სხვა ეროვნების ადამიანს არ აქვს ქართველის გარდა და რომ „ეს ამბავი მარადიულია, ვერა გაჭირვება, ვერა ტანჯვა, ვერა შიმშილი, ვერა სამშობლოსგან მოწყვეტა ვერ აქრობს; როცა ქართველად ჩნდები, ეს სხივი შენს თვალეზში სახლდება, მერე გადადის შვილებზე, შვილიშვილებზე“ [6, გვ. 152]. ასეთია ავტორის და თითოეული ქართველის რწმენა.

ეს სხივი უკრთის უკვე საქართველოში ჩამოსულ, ატენის სიონის საკურთხევლის წინ სანთლებით ხელში მდგომ თამარ ფანიაშვილს, რომელიც გულში ფიქრობს: „როგორი უბედური კაცია შაჰ-აბასი. ქართველები გადმოგვასახლა, უდაბნოში მიმოფანტა, ეგონა რო ამით დაამთავრებდა ჩვენს არსებობას, ჩვენ, კი... და გულიანად კისკისებს, რადგან ანგარიში გაუსწორა „ქართველთა მოძულე აბასს“. თან საკუთარ „მეს“ ესაუბრება: „ჩამოვალ, ჩამოვალ, აბა, იქ რა მინდა, შვილებსაც წამოვიყვან და წამოვალ, არ მინდა მთელი ცხოვრება ტკივილში გავატარო“ [6, გვ.35]. ასეთივე ბევრი ფერეიდნელი ქართველის ოცნება.

ბოლოს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნოველას „პატრიარქის სტუმრობა“. (და რადგან ტერმინი „ნონფიქშენი“ ტექსტისადმი შემფასებლობითი დამოკიდებულების პრეტენზიას არ ამქლავებს, დავარქვათ მას მხატვრული „ნონფიქშენი“), რომელშიც ავტორი აგრძელებს გზას იმ ქართველი მწერლებისა, რომლებიც „არაჩვეულებრივი ოსტატობით მოგვითხრობენ.....ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, ისტორიული პიროვნებების შთამბეჭდავ გარეგნულ და შინაგან (სულიერ) პორტრეტებს ქმნიან“ [7, გვ. 54]. როგორც მამას, ისე ენატრება პატრიარქს ოთხასი წლის წინ ფერეიდანში გადასახლებული ქართველები, ბევრი წაუკითხავს მათ შესახებ, საქართველოში ჩამოსულებიც უნახავს, და აი, მიდის მათ მოსანახულებლად: „მიდიოდა პატრიარქი ფერეიდანში და თან მისდევდნენ ანგელოზები“ [6, გვ. 72]. ფერეიდნელებიც სიხარულით ხვდებიან: „ჩონი პატრიარქ, ჩონი კაცი“. ეხვევიან გარს და „ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს პატრიარქის შეხებისთანავე საქართველოში დაბრუნების, სამშობლოს მონატრების სურვილი აუხდებოდათ“ [6, გვ. 75]. პატრიარქს კი ცრემლი უბრწყინავს თვალეზში და უფალს ავედრებს ფერეიდნელ ქართველებს.

ასე აისახება საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული მომენტი ქართულ დოკუმენტურ პროზასა და მეცნიერულ-მხატვრულ ნარკვევებში.

ლიტერატურა:

1. ასათიანი გურამ, „სათავეებთან“ თბ., 1982.
2. ბაქრაძე აკაკი, თხზ. სრული კრებული, ტ. VII, თბ., 2006.
3. თეიმურაზ I, თხზ. სრული კრებული, პირველი გამოცემა, თბ., 1934.
4. ნატროშვილი თამაზ, „მამრიყით მალრიბამდე“, თბ., 1978.
5. ნატროშვილი თამაზ, „წელი ერთი და ათასი“, თბ., 1988.
6. სოსიაშვილი გიორგი, „ვერცხლის ყვავილები“, თბ., 2015.
7. ჟურნალი „ცისკარი“, #5, 2015.

Marine Tsertsvadze

Gori State Teaching University

SOME SAMPLES OF “INTRANSIGENCE, UNSOCIABILITY OF THE SOUL” IN GEORGIAN ESSAYS AND DOCUMENTARY PROSE RESUME

A lot of is written and will be written in future about Persia and Georgia relations, the pain which is carried by all Georgians in their hearts, about Shah-Abas and the King Ketevan, about the Undiladzes, Fereydan and the

Georgians living there. This tragic but at the same time glorious episode of the history of Georgia will be the topic of discussion in the Georgian and World literatures for a long time again. The present study deals with the item that how this period is represented in Tamaz Natroshvili's scientific-fictional works, in Guram Asatiani's some attempts which are dedicated to explain the Georgian phenomenon and its esthetic peculiarities and in Giorgi Sosiashvili's Fereidianian short prose.

ჯულიეტა ძაძუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აფხაზეთში ტოპონიმთა წარამარა გადაკეთებისათვის

კოლხეთის ტოპონიმთა ათასწლეულების მანძილზე იქმნებოდა... ტოპონიმური ლექსიკა არის ჯგუფი ცალკეული სიტყვებისა ან სიტყვათმეხამებისა, რომლებიც გრამატიკულად შეიძლება წარმოადგენდნენ ნებისმიერ მეტყველების ნაწილს, მაგრამ, როგორც საკუთარი სახელი, ემსახურებიან ცალკეული ობიექტების გამოყოფა-ინდივიდუალიზაციას¹.

ცნობილი ქართველი ონომასტიკების მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილ ტოპონიმურ მასალათა თავმოყრა, აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებსა და მონოგრაფიებში, აფხაზი სეპარატისტებისთვის ვერ გახდა დაფიქრების საბაზი, რადგან მათი მიზანმიმართული ქმედებით ჩვენ თვალწინ საოცარი სიჩქარით და აუნაზღაურებლად იკარგება სამურზაყანოს ისტორიული წარსული. დევნილობაში თითქმის მეოთხედი საუკუნე ძალიან ჩქარა გავიდა. თვალის დახამხამებაში გაივლის ისევე ოცდახუთი წელიწადი და ჩვენი „ოდაბადეს“ გაუცხოების მიზეზი შეიძლება გახდეს ქალაქებისა და სოფლების, ტყეებისა და მინდვრების, სახნავ-სათესი ადგილების... სახელთა თვითნებური და გაუმართლებელი გადარქმევა, გაქრობა იმ ობიექტებისა, რომლებსაც ეს ტოპონიმები აღნიშნავდნენ. უფრო მეტიც „სოციალ-პოლიტიკურმა მოვლენებმა სრულიად წაშალა იმ ადგილის სახელები, რომლებიც ფონეტიკურად განსხვავებულია და, შეიძლება ითქვას, „პირისაგან მიწისა აღგავა“ ქართველთა (კოლხთა) განსახლების მატთანე-აუნაზღაურებელი ტოპონიმური მასალა მთელ სამურზაყანოსა და დანარჩენ აფხაზეთში. არადა, მეცნიერებისათვის არახალია და საკმაოდ ცნობილი, რომ ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებანი ანუ ტოპონიმები საინტერესო ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს.

რამდენი შემთხვევაა ცნობილი, როცა თუნდაც მხოლოდ ტოპონიმურ მასალებზე დაყრდნობით გამოუთქვამთ ანგარიშგასაწევი ვარაუდი ამა თუ იმ გამქრალი ან ადგილგადანაცვლებული ეთნოსის უწინდელი განსახლების არეალის შესახებ. ივანე ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიულ ტოპონიმთა კვლევას: მკვლევარმა, „უპირველესად, ამა თუ იმ ადგილის მდებარეობისა და თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და დაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიული სახელების აგებულებასა და მნიშვნელობას“². მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება: სწორედ ტოპონიმთა ანალიზის შედეგების გათვალისწინებამ მისცა ივ. ჯავახიშვილს ლოგიკური წანამძღვრები ქართველური ტომების მიგრაციასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად:

ა) „კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს ნაწილში მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ.“

ბ) ძველად სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ“³.

მიუხედავად ტოპონიმთა ასეთი ფასდაუდებელი მნიშვნელობისა, ნახევარი საუკუნეა, რაც მათი ინტენსიური შეცვლა მიმდინარეობს ძირძველ ქართულ მიწაზე, აფხაზეთში. გალის რაიონშიც ეს აშკარად გამოიკვეთა რუსეთ-საქართველოს (1992-1993 წლები, ბრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის) ომის პერიოდშივე და მაშინ დაწყებული ძირგამომთხრელი საქმიანობა დღემდე არ აღკვეთილა - წარამარა

¹ პ. ცხადაია, მეგრული ტოპონიმის ლექსიკა, გვ. 353.

² ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 2, ქართველი ერის ისტორია, გვ. 319.

³ მისივე, თხზ. ტ. 5. გვ. 199.

ცვლიან ქართულ სახელწოდებებს აფხაზური ძირის აპელატივებით. (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერც სემანტიკით შეესაბამება ბუნებრივ ტოპონიმს და ვერც ფორმით). ყოველივე ქართულის ამოძიკვის მიმდევართათვის (აფხაზეთის ფაქტობრივი მთავრობა) მთავარი გახლავთ, გეოგრაფიულ სახელწოდებებში ქართველური ძირი წაშალონ. ვალერიან ზუხბაიას მიერ დამოწმებული ქართველური სახელწოდებების აფსურად შეცვლის ორ ათეულამდე ნიმუშში: შაშიკვარა, აიპვა იძიხ, აკვარიქვა, აკვალა, ახუნა, აბააჟ, აკვარ და სხვ. გალის რაიონის სოფლების სახელებია (მართალია, აქედან ზოგიერთი სეპარატისტებმა რამდენჯერმე გადაასხვაფერეს, ძირი შეუცვალეს აფხაზურით და დღეს უკვე სხვა სახელწოდებით არის წარმოდგენილი). მათზე მკვლევარი წერს, რომ „ჩვენ არაფერს ვიტყვით, ეს ტოპონიმები ნამდვილი აფხაზური რომ ყოფილიყო, მაგრამ ისინი ჩრდილოეთკავკასიური, აზისინურია. რატომ უნდა ერქვას ქართულ მიწაზე სოფლებს ჩრდილოკავკასიური, აზისინური ტოპონიმები. ერთიანი საქართველოს აღდგენისთანავე უნდა აღსდგეს აფხაზურის ნაცვლად ქართული ტოპონიმები. ეს წერილიც ამ მიზანს ემსახურება“¹. ჩვენ აფხაზი ძმების საყურადღებოდ დავძენთ, რომ „ტოპონიმთა წარამარა გადაკეთებით კი ჩვენს ისტორიულ წარსულს შეურაცხვეფოფთ, რასაც ზოგიერთები ვერ გრძნობენ და ვერ ხედავენ“². არადა, ამ პროცესებმა შეიძლება ქართველურ ტომთა და აფხაზთა აბორიგენობის ნიშნები სრულიად წაშალოს.

გალის ტოპონიმთა აღწერასა და თვითნებურად შეცვლაზე „სპეციალისტების“ მთელი ჯგუფი მუშაობდა და დღესაც აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. უფრო მეტიც, ტოპონიმებზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფი სოხუმში მოტივირებულია სხვადასხვა საშუალებით მოახერხოს ძირფესვიანად ამოძიკვა ყოველივე ქართველურის... პირადი ინფორმაციით ქართველ სტუდენტებს, რომლებიც სოხუმში იღებენ განათლებას, 2016 წლის გაზაფხულზე, დაევალოთ, რომ ინტენსიურად შეისწავლონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილების (სოფლებისა და ქალაქების) ტოპონიმია. პირველ რიგში, დაინტერესდნენ მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ლექსიკით, ფლორასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდებებით, ჭაობით, მორევით, გუბით, ღელით, მთა-გორით, ტბორით, წყალსაცავით, ჭით, მეჩქითა თუ ნასახლარებით, ... შეისწავლონ შუკა, შესახვევი, მინდორი, ხიდი, ფონი, გორაკი, მალაკი, რიყე, სერი, ფერდობი, კლდე, ნაპრალი, სალოცავები, სანაპირო, სახნავი ადგილები, სათევზაო ადგილები, ბორცვი, ტყე, კორომი, ნაძვნარი, ჩირგვნარი, ბუჩქნარი, სანადირო ადგილები, სათიბი ადგილები ... ასევე ქართული გვარების ხალხური ეტიმოლოგია. ამაში კი, ჩვენი მოსაზრებით, ჩადებულია ის, რომ „აფხაზური ძირები“ ეძიონ ქართველურ გვარსახელებში.

აფხაზეთმა ზედმიწევნით იციან, რომ „ტოპონიმთა ფასდაუდებელი საგანმურია“³ და მეტად ხელსაყრელი მათი ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის - „ყოველივე ქართულის წასაშლელად აფხაზეთის ტერიტორიაზე“⁴. ამით ცდილობენ საბოლოოდ ქართული სულის ჩაკვლას საქართველოს ერთ-ერთ მეტად საინტერესო და სტრატეგიულ მხარეში და, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ წარმატებითაც აღწევენ დასახულ მიზანს - სამურზაყანოს (და არამარტო) „გააფხაზეთაში“. მსგავსი კამპანიები აფხაზეთში უკვე რამდენიმე ათეული წელია თითქმის „უმტკივნეულოდ“ მიმდინარეობს, რაც დღითიდღე ჩვენი მოსახლეობის გაუცხოებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდშივე მოხდა თვითნებურად გალის ტერიტორიული დანაწილება (მაგალითისათვის: გალის რაიონში შემავალი ერთ-ერთი სოფელი ოქუმი გამოაცხადეს ტყვარჩელის შემადგენლობაში, ასევე, უმტკივნეულოდ, ოჩამჩირეს მიაკუთვნეს გალის რამდენიმე დასახლება და ა. შ.). ქართველ სტუდენტებს, რომლებიც სოხუმში სწავლობენ, დამატებითი ცნობებიც ჰქონდათ მოძიებული, რომელსაც თან ერთვოდა ჩამწერის მოსაზრებანი თითოეულ ტოპონიმთან დაკავშირებით, რატომ დაერქვა ამა თუ იმ ობიექტს ეს სახელი, როგორია ხალხური თქმულება, გადმოცემა, ეტიმოლოგია. ჩვენი მოსაზრებით, ეს ცნობები „აფხაზეთის წისქვილზე ვერ დაასხამს წყალს“, მაგრამ დაინტერესებული პირები როგორ გამოიყენებენ სტუდენტთა ნამუშევრებს, ჩვენთვის დიდი გამოცანა არ უნდა იყოს.

გალის რაიონში აღწერილი აპელატივების, რომელთაც გორა, გორაკი, ბორცვი, სერი, ზეგანი, მთა, ფერდობი, ქედი, მწვერვალი, სასაზღვრო ზოლი, გადასასვლელი, აღმართი, ხრამი, კლდე, ნაპრალი, უფსკრული, გამოქვაბული, მღვიმე, გვირაბი, მალარო, კუნძული, მდინარე... სათიბი, ტყე, ჭალა, კორომი, ჩირგვნარი, ბუჩქნარი, ახო, დაბლობი, მინდორი, ველი... სამოვარი, სახნავ-სათესი მიწა, ბად-ზოსტანი, ვენახი, ზვარი, ადგილ-მამული, საკარმიდამო ნაკვეთი... სათიბი, კალო... ნაკრძალი, სანადირო ადგილები, პლანტაცია... წარმოადგენს, ამოსავალი ფუძე ქართული ეტიმოლოგიისა (თუ არ მივიღებთ

¹ ზუხბაია, 2003 - ვ. ზუხბაია, აღვადგინოთ ქართული ტოპონიმები. გაზ. „მხარია“, # 3.

² ცხადაია, 2015-პ. ცხადაია, ქართველური ონომასტიკა, გვ.133.

³ პ. ცხადაია, მეგრული ტოპონიმის ლექსიკა, გვ. 351

⁴ ჯ. მაძუა, სოფელ ნაკარდალის ონომასტიკონი, გვ. 377.

მხედველობაში საბჭოთა პერიოდში წარმოქმნილ და საგანგებოდ სახელდებულ ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებას (მაგალითისათვის: პრიმორსკოე I, პრიმორსკოე II). ახლა მათ ცკუარა და გუდაა ჰქვიათ (პრიმორსკოე I გალის რაიონის სოფელია, პრიმორსკოე II კი გუდაუთის რაიონში მდებარეობს). აფხაზებს, ასევე, სახელწოდებები აქვთ შეცვლილი, საბჭოთა ხელისუფლების მცდარი პოლიტიკის შედეგად, ჩამოსახლებული რუსებით, უკრაინელებით, ესტონელებით და სხვ. დასახლებული ზოგიერთი სოფლებისათვის, როგორცაა ესტონკა, გეორგიევსკოე, სტარუშკინო, პავლოვსკოე, ხოლოდნაია რეჩკა, რომლებიც შედის გულრიფშის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში. აღსანიშნავია, ასევე, სომხებით დასახლებული სოფლის შაუმთანოვკას ხელმეორედ „მონათვლა“ და ცკიბინის-აფხაზური ძირის-სახელის დარქმევა.

აფხაზეთის ეთნოისტორიის საველე მკვლევარმა ვ. ზუხბაიამ ჯერ კიდევ 90-იან წლებში გამოწლილვით შეისწავლა გალის რაიონში შემავალი თითქმის ყველა ობიექტი. მართალია, მისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობი, მშობლიური გარემო უცხო არასოდეს ყოფილა, მაგრამ ომისშემდგომ 10 წელიწადში იქაურ ბუნებაზე, ისტორიაზე, სახალხო მეურნეობასა და სოციალ-პოლიტიკური ვითარებაზე შექმნა მონოგრაფია, რომელმაც რეალური სახე აღუდგინა რაიონს და გაყალბებულ ისტორიას ფარდა ახადა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ გალის რაიონის ყველა სოფლის სახელწოდება ისტორიულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გადარქმეული ორი სოფლის სახელს (სოფელ ცხიროგალს ეწოდა მზიური, ხოლო ოკვინორეს განახლება დაარქვეს). შუა საუკუნეების ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული სახელწოდებანი თანამედროვე გალის ტერიტორიაზე თავიდანვე ქართული იყო და არა აფხაზური, როგორც ამას ამტკიცებენ აფხაზი სეპარატისტები. ქართული იყო ისტორიულ ძეგლთა სახელწოდებანიც: ზიგანეონი (გუდაყვა), ბედია, ფშაური, ილორი, წარჩე, ღუმურიში, სათანჯო, ბარბალეს ეკლესია, ჩხორთოლი, ოცარცე, ჭუბურხინჯი, წიფურია, ათანგელო, საბათარის ციხე-სიმაგრე და სხვ.¹

ბოლო ათი წლის განმავლობაში სეპარატისტების მიერ რამდენჯერმე არის შეცვლილი მათ მიერ შერქმეული აფხაზური სახელწოდებანიც. ცნობილი ონომასტიკოსი პროფესორი პაატა ცხადაია აცხადებს, რომ ქართული ტოპონიმიკის წაბილწვა დღეს არ დაწყებულა. მისი უნიკალური კვლევებით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა შეცვლა ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უცხო ტომთა მოძალებამ გამოიწვია, რომლებიც განსახლდნენ აფხაზეთში და ხელი შეუწყვეს „ეროვნულ სახელწოდებათა გაქრობას“².

მიუხედავად აფხაზ სეპარატისტთა მცდელობისა არა მხოლოდ ქალაქებისა და სოფლების სახელწოდებანი შეცვალონ წარამარა, ასევე შუკას, გუბეს, მინდორს, საკარმიდამო ნაკვეთს, სახნავ-სათეს მიწებს, საძოვრებს და ა. შ. დაუკარგონ ქართველური სახელწოდებანი. მათი მხრიდან არ იქნება ზნეობრივი ქმედება, რადგან მათ მიერ შეცვლილი ცალკეული სახელები ქართულ და უცხოურ დამწერლობით ძეგლებში საუკუნეების მიღმა ფიქსირდება, ხოლო მოგვიანებით გაჩენილი სახელწოდებანი, ცნობილია, რომ მათგანაა მიღებული (პ. ცხადაია).

და ბოლოს, დავძენთ, რომ აფხაზეთის ტოპონიმიკის ქართველური ძირები მკვლევართა მიერ საკმარისად შესწავლილია და დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს მათი კვლევა. აქედან გამომდინარე, მათი წარამარა გადაკეთება ვერ იქნება გამოსავალი იმის მტკიცებისათვის, რომ აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი კუთხე არ არის.

ლიტერატურა:

1. ზუხბაია, 2003 - ზუხბაია, ვ. აღვადგინოთ ქართული ტოპონიმები. გაზეთი, „მახარია“, #3, თბ.
2. ზუხბაია, 2001 - ზუხბაია, ვ. გალი და გალელები, გაზეთი „მახარია“, #5, თბ.
3. ცხადაია, 2015 - ცხადაია, პ. მეგრული ტოპონიმიის ლექსიკა, ქართველური ონომასტიკა, VII, 2015.
4. ცხადაია, ჯოჯუა, 2010 - ჯოჯუა, ვ. ცხადაია, პ. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ.
5. ძაძუა, 2015 - ძაძუა, ჯ. ქართველური ონომასტიკა, VII, სოფელ ნაკარდალის ონომასტიკონი, თბ.
6. ჯავახიშვილი, 1983 - ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II -V, ქართველი ერის ისტორია, თბ.
7. ცხადაია, ჯოჯუა, 2010 - ჯოჯუა, ვ. ცხადაია, პ. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ.

¹ ზუხბაია, აღვადგინოთ ქართული ტოპონიმები, გაზეთი, „მახარია“, #3.

² ვ. ჯოჯუა, პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, გვ. 97.

Julietta Dzadzua
Sokhumi State University
FOR CONSTANT AMENDMENT OF ABKHAZIAN TOPONYMS
RESUME

This paper deals with invaluable significance of toponyms in order to state the old areas of settlement of disappeared ethnic group or inside place-moved ethnos. Despite of the importance of such toponyms, within the last half century an intense change is taking place in Abkhazia. This became evident in Gali district during the war among Russia and Georgia and the underground activities which begun in those period is still continuing - Georgian toponyms are constantly changed by Abkhazian names. The followers of erasing everything Georgian the principal thing is to erase everything Georgian roots in toponyms of Geographic names. This way they try to become abkhaz.

Елена Хирсели
Горийский государственный учебный университет

МОРТАЛЬНОСТЬ В РАННЕЙ ЛИРИКЕ С. ЕСЕНИНА

В ранней лирике Есенина смерть-это физическое умирание человека, в отличие от поздних стихотворений, в которых понятие «смерть», осложняется, становясь более глубоким и ёмким.

Жизнь в поэзии С. Есенина –это «бытие к смерти», т. е. путь, идущий к смерти. Родившись, человек сразу же начинает отчёт и стремительное движение к конечной точке отчёта. Этот путь проходит на фоне и движется согласно вечному закону природы-закону цикличности-от «расцвета» до «отцвета», с такой же последовательностью и определённой.

В ранней поэзии Есенина совсем юные девушки и парни, которым судьба ограничила срок пребывания на земле, все слишком красивые, избранные, особые, которые стоят выше остальных. Поэтому им выпала честь быть всегда молодыми и красивыми, ведь их просто невозможно представить «выцветшими», «увядшими». Смерть избавляет их от той злой участи, которая называется старостью, забирая их также красиво, какими являются сами.

В стихотворении «Хороша была Танюша, краше не было в селе...» (1911) (С. Есенин, 1967), повествуется о юной красавице, «краше» которой «не было в селе». Насколько прекрасна Танюша, настолько трагична её судьба. Она становится жертвой измены:

Вышел парень, поклонился кучерявой головой:
«Ты прощай ли, моя радость, я женюсь на другой.»

И когда она «похолодела» и «побледнела», «словно саван»-ассоциации, связанные с могилой,-предвещают что-то очень недоброе. Девушка в отместку, тоже решает выйти замуж «за другого»-венчается с холодной, всемогущей «Смертью». В поэзии Есенина, «свадьба», «венчание», обычно символизируют смерть.

В раннем творчестве насчитывается целый ряд стихотворений, где юные и красивые добровольно покидают этот мир, виной чему, почти всегда несчастная любовь.

В стихотворении «Под венком лесной ромашки» (1911) (С. Есенин, 1967), ушедшая вместе с колечкой «милашкина» любовь навевает лирического героя на суицидные мысли. Он задумал утопить свою боль в воде:

Повенчаюсь в непогоду
С перезвонною волной.

Фольклорный образ русалки-утопленницы, использует поэт в стихотворении «Русалка под Новый год» (1915). (С. Есенин, 1967), –Это, как правило, красна-девица, утопившаяся ради несчастной любви. В стихотворении «чёрная прорубь»-врата, через которые девушка попадает в потусторонний мир, преобразуясь в обительницу водных пространств-в прекрасную русалку:

Ах, пойду я к реке под горою,
Кинусь с берега в чёрную прорубь.

Не отыщет никто мои кости,
Я русалкой вернусь весною.
Приведёшь ты коня к водопою,
И коня напою я из горсти.

Образ девушки, которая из горсти поит коня, встречаем и в другом стихотворении :

«Ты поила коня из горстей в поводу» («Подражанье песне» 1910), (4.Есенин С., 1967), в котором девушка поит коня, находясь ещё только у преддверия иного мира, ещё не перешагнув в запредельный мир, в отличие от трансформированной в русалку девицы, уже перешагнувшей пределы этого мира.

В ранних стихотворениях, поэт идеализирует героическую смерть. В стихотворении «Узоры» (1914) (5.Есенин С., 1967), девушка тяжело переживает смерть любимого, павшего в бою. Храбрый, отважный воин, «принц её души» отдаёт за Родину жизнь. Его смерть такая же прекрасная, как цвета крови «красные цветы», лежащие на груди у павших. Здесь даже неэстетические понятия эстетичны:

И в узорах крови смяты камыши.

Тоска девушки сублимируется в удивительные узоры. Здесь всё узорчатое: полночь, копыта и кресты, даже кровь, расплывающаяся узорами по горячей земле. Сама тоска, здесь узорчатая, декоративная. Девушка тоже в белом покрывале, находящаяся как-бы всецело во власти Смерти, под её крылом. Белый цвет-символ смерти в поэзии Есенина. Здесь всё пронизано символами смерти, оружием смерти. Все эти приёмы служат для эстетизации и романтизации героической смерти, как и смерти вообще.

В стихотворении «Ус» (1914) (6.Есенин С., 1967), место возлюбленной, занимает мать, проважающая удальца на войну, которая ждёт-не дожждётся сына, но

На крутой горе, под Калугой,
Повенчался Ус с синей вьюгой

«Верный сын», теперь верен только «своей супруге» «Белокосой девице-вьюге». И сыграли они свадьбу величественную, где «все знать да бояры», у котрых «в руках золотые чары». И льются «вина красносokie» - кровь багряная, лежащего «на снегу под елью» молодца. И как это бывает в поэзии Есенина, торжественность и величие свадьбы созвучно с торжеством и величием смерти.

Но кажется жениху вовсе не по душе весь этот пир:

Молчит Ус, не кинет взгляда,-
Ничему от земли не надо.
О другой он земле гадает,
О других небесах вздыхает...

В стихотворении «Что прошло- не вернуть» (1911-1912), (7.Есенин С., 1967), счастливая пора, пора полёта и парения, всё самое лучшее что было, уходит вместе с любимой, туда откуда нет возврата:

Крепким сном спит в могиле подруга,
Схороня в своём сердце любовь.

.....
Не слышать мне ту песню отрадную,
Что в саду распевал соловей!

Осенний дождь затопил в сердце весну. В этих строках юношеского стихотворения просматриваются первые зачатки есенинских осенних ассоциаций, связанных со смертью :

Наступила погода осенняя,
Бесконечные льются дожди.

Лирического героя давит чувство невосполнимой потери, потери того, что переполняло, воспламеняло душу. Всё расстаяло и рассыпалось как песок, и уж не собрать по камочкам.

Пролетели и радости милые,
Что испытывал в жизни тогда.
На душе уже чувства остылые.
Что прошло –не вернуть никогда.

Во всём виновата смерть-воровка, похитившая всё светлое, звонкое, свежее, весеннее... Всё прекрасное неповторимо! Всё преходяще! Именно это неповторимость, непостоянство счастья и делает её привлекательным, желанным, прекрасным. Ведь ценим и дорожим этим, потому, что понимаем , рано или поздно, когданибудь всё это обязательно уйдёт от нас безоглядно.

В поэзии Есенина смерть бывает не только узорчатой, она и кружевная. В стихотворении «Туча кружево в роще связала» (1915) (8.Есенин С., 1967), перед нами раскрывается картина красивой, изящной печали. Душу гложет такая-то тихая грусть. Всё охватило странное беспокойство и предчувствие чего-то нерадостного:

Сердце гложет плакучая дума,
Ой не весел ты край мой родной.

Подуло лёгкой, прозрачной грустью с чарующим ароматом смерти.

В стихотворении «Устал я жить в родном краю...» (1916) (9.Есенин С., 1967), лирический герой, уставший от себя и от всех, протестует по-своему, дерзит:

Покину хижину мою,
Уйду бродягою и вором.
Проникнув романтическим духом, стремится к странному, неординарному:
Пойду по белым кудрям дня
Искать убогое жилище.

И не пугает его вовсе то, что за каждым углом, его поджидает смерть:

И друг любимый на меня
Наточит нож на голенище.

Он даже заигрывает со смертью, и казалось бы, ничего не стоит, в один прекрасный вечер, обнять его собственным рукавом, легко и свободно, как само собой полагающееся, и этим расставить всё на свои места:

В зелёный вечер под окном
На рукаве своём повешусь.

И так, между прочим, «необмытого» его :

Под лай собачий похоронят.

В стихотворении возникает тема «чужой радости»- по аналогии «чужому счастью», «чужой молодости», развитая в более поздних стихотворениях поэта:

И вновь вернуся в отчий дом,
Чужою радостью утешусь.

Потерявшемуся и мечущемуся, не находящему счастья и радости ни в чём, приходится утешаться «чужой радостью», но «чужая радость» не своя, не настоящая, она не осчастливит, она лишь сделает больнее. А от сознания, что после тебя всё будет по-прежнему, что твой уход ничего не изменит, его даже не заметят, ощущаешь себя пешинкой в вечном круговороте, становится грустно:

И Русь всё так же будет жить,
Плясать и плакать у забора.

Итак, смерть в ранней лирике Есенина, это ещё только физическая смерть. Понятие смерти в поэзии Есенина со временем усложняется, приобретая дихотомический характер, репрезентованный в двух аспектах: как смерть души (внутренняя смерть) и смерть тела (физическая смерть), идентичные в семантически-эмоциональном плане. А пока что, в ранней поэзии, смерть настигает в сражении, в старости, или приходит по причине несчастной любви, её принимают и добровольно. Центральное место занимают стихотворения прославляющие раннюю смерть. Прекрасные герои и героини уходят в небытие в самую прекрасную пору их жизни. Жизненная тропа их очень коротка. Поэт воспевает, возвеличивает такую воистину прекрасную смерть.

ЛИТЕРАТУРА:

1. Есенин С. Собрание сочинений. Издательство «Художественная литература». Москва, 1967, т. 1; с. 74 ;
2. там же, т. 1; с. 72;
3. там же, т. 1, с. 159;
4. там же, т. 1, с. 67;
5. там же, т. 1, с. 99;
6. там же, т. 1, с. 101;
7. там же, т. 1, с.324;
8. там же, т. 1, с.167;
9. там же, т. 1, с.;193.

Elene Khirseli

Gori State Teaching University

DEATH-IN EARLY LYRICS BY SERGEI YESENIN RESUME

Here is presented the searching which at first discusses the death in Serge Esenin's work, as estetic category. It's different from other scientists opinion. We mark his possitive-emouitional parts and come to the point that the poet sees beauty just in minor, and the death is it's end, highest step of beauty, the highest estetic category.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი - ზოგადი ტენდენციები

ლიტერატურის მკვლევარნი ყოველთვის ფრთხილობენ თანამედროვე ავტორებზე მსჯელობისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე უმაღლესი ხარისხის შეფასებებს ეხება; იმისათვის, რომ ავტორი გამორჩეულად, ხოლო მისი მოღვაწეობა ეპოქალურად შეფასდეს, ერთი მცირეოდენი შეცდომაც, ერთი კითხვის ნიშანიც კი უნდა გამოირიცხოს. ეს კი საფრთხილო თემაც გახლავთ და, შესაბამისად, მკვლევარისათვის ურთულესი პასუხისმგებლობაც. ამიტომ, შემოქმედის მოღვაწეობას კრიტიკოსის თვალის ხანგრძლივად მიდევნება სჭირდება, ბადაგივით დადუღებასა და დაღვინებას ველით შემოქმედებითი პროცესისას, რამდენადაც შეცდომის დაშვების შიში კეთილსინდისიერი კრიტიკოსისთვის არც ერთ სხვა შიშზე ნაკლები არ არის. არადა, ზოგჯერ ზედმეტად კი მოგვდის და „სიფრთხილეს თავი არ სტკივას“ პოზიცია გვაიძულებს, გარკვეულ ჩარჩოში მოვექცეთ და თვალსაწიერზე ყოვლად უქველად გადაშლილ რეალობას თვალი განვებ ავარიდოთ. ზოგჯერ ასეა და ზოგჯერ ისე, მაგრამ პასუხისმგებლობის შიშით მხოლოდ ავს ავი ვუწოდოთ და კარგს სახელად არა დავარქვათ რა, ესეც რომ უპასუხისმგებლობას წააგავს, აშკარაა. და მაინც, ვინ შეიძლება უპრობლემოდ, დამატებითი განსჯის გარეშეც წარმოვიდგინოთ და გამოვკვეთოთ, როცა განსაკუთრებით განსწავლულ მოაზროვნეს, მწერალს, პუბლიცისტს, ლიტერატურათმცოდნეს დავეძებთ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში? ლიტერატურათმცოდნეს, რომელსაც ზედმიწევნით, ეპოქებისდამიუხედავად, ლიტერატურული პერიოდების განურჩევლად შეუძლია ჩაუღრმავდეს ქართული ლიტერატურის რთულ და დაფარულ საკითხებს; მკვლევარი, რომელსაც ჯიუტი პოზიცია კი არ უკავია, არამედ არგუმენტებს ობიექტურ მოსაზრებებზე და დოკუმენტურ წყაროებზე ხანგრძლივი მუშაობით აყალიბებს, შესაბამისად, საპირისპირო არგუმენტებსაც მარტოოდენ არგუმენტებით უპირისპირდება, ვისთვის მისაღებით და ვისთვის მიუღებლით, ეს მეორე საკითხია, თუმცა, ვერცერთი ოპონენტი ვერ უარყოფს, რომ მისთვის მეცნიერულად სრულყოფილი, არგუმენტებით აღჭურვილი მსჯელობაა ბრძოლისა და შრომის იარაღი. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენ მიერ ნაგულისხმევი მოღვაწე, ლიტერატორის თვალსაწიერიდან დეტალურად უღრმავდება სამშობლოს ისტორიასაც და დისკუსიაში სკრუპულოზური სიზუსტით არა თუ მიჰყვება, ხშირად ტოლს არ უდებს სამეცნიერო წრეებში აღიარებულ ისტორიკოსებს. მეცნიერის გზა მარტივი არ არის, მაგრამ, მეცნიერისა და მწერლისა, ერთად, უფრო რთულია; რთულია, ასევე ისტორიკოსისა და ფილოლოგის სამუშაოს გაწევა, თანაც, კომბინირებულად, ერთმანეთისაგან გაუმიჯნავად, ამ ყოველივესთან ერთად კი, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიების მისხალ-მისხალ შემგროვებლის ხვედრიც უნდა დავუმატოთ უცილობლად და ერთ ეპოქალურ სახელს მივიღებთ.

ბუნებრივია, რომ ზემოთ განვითარებულ მსჯელობაში, დაუკონკრეტებლადაც გამოიკვეთა კონკრეტული სახელი და გვარი, დიახ, ჩვენ როსტომ ჩხეიძის შემოქმედების ზოგად დახასიათებას ვცდილობდით და იმდენად, რამდენადაც მისი შემოქმედებითი ნიმუშების მხოლოდ ჩამონათვალი უკვე რამდენიმე გვერდს დაიკავებდა, ხოლო თითოეულზე ორიოდე წინადადებაანი კომენტარი ათეულობით გვერდს - რაც ერთი სტატიის ფორმატს აშკარად სცილდება, წინამდებარე ნაშრომში მწერლისა და მეცნიერის შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის - ბიოგრაფიული რომანების ზოგად ანალიზს შემოგთავაზებთ; მის შემოქმედებაში ამ ჟანრის ნაწარმოებებს გამორჩეული, საპატიო ნიშა აშკარად უკავია. ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო, კვლევა ერთი წიგნის, ან ნაწარმოების ირგვლივ შეგვეჩერებინა, მისი ანალიზის საფუძველზე მიმოგვეხილა ზოგიერთი საკითხი და გამოგვეტანა კონკრეტული დასკვნები, თუმცა ამჯერად, ზოგადი, მიმოხილვითი ანალიზი ვარჩიეთ, იმდენად, რამდენადაც მსგავსი ხასიათის კვლევა, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც ერთგვარი შესავალი და პირველდაწყებითი ნაწილი მასშტაბური და ნიუანსობრივი კვლევებისა, რომელთა ერთობლიობით შესაძლებელია სოლიდური ნარკვევისა თუ მონოგრაფიის ჩამოყალიბება. ამდენად, ვფიქრობთ, დაგეგმილ, მორიგ კვლევებში, კვლავ შევხვით როსტომ ჩხეიძის შემოქმედების რამდენიმე საინტერესო საკითხს და მათზე დამოუკიდებელი კვლევა განვახორციელოთ, რაც, ამავდროულად, ერთგვარი გაგრძელება იქნება წინამდებარე მიმოხილვითი ანალიზისა. დავესესხებით ნორთოპ ფრანს, რომ „ლიტერატურული ნაწარმოებების ინტერპრეტაცია აუცილებლად უნდა მოხდეს ყოველი ცნობილი ლიტერატურის შუქზე“ [3, 235] და ვეცდებით, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების ერთიანი შუქის გამოკვეთის შემდეგ გადავინაცვლოთ კონკრეტული ნაწარმოებების კონკრეტულ საკითხებზე. აქვე, ხაზს ვუსვამთ, რომ

მკვლევართა თვალსაწიერში არაერთგზის არის მოხვედრილი როსტომ ჩხეიძის შემოქმედება, თუმცა, ყველა მკვლევარი მაინც საკუთარი ლამპრით აშუქებს და ჩვენც უფლებას ვიტოვებთ, ჩვენებური შუქი მივანათოთ ამ მეტად საინტერესო მოღვაწის შემოქმედებით ლაბორატორიას.

უნდა აღინიშნოს, რომ როსტომ ჩხეიძე ის მკვლევარი და მწერალია, რომელიც ყველა ღირსეულ შემოქმედს სიხარულით ეგებება, არც სტრიქონს ამაღლის და არც სიტყვას, არაერთი ახალგაზრდა შემოქმედისთვის მიუცია მას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტიმული, მისეული, ობიექტური და დროული შეფასებით. არაერთი ღვაწლმოსილი და ჩრდილში მოხვედრილი მოღვაწის სახელისთვის მიუფიცებია სხივი, თუმცა, თავად მის შემოქმედებასაც რომ სჭირდება ჯეროვანი შეფასება, ზოგჯერ ეს კი გვავიწყდება. სხვისი არ ვიცი და საკუთარ განწყობას რომ ჩავუფიქრდი, ერთი პატარა პარადოქსი აღმოვაჩინე - ქვეცნობიერად ველოდი, რომ მსგავსი გამორჩეული მოღვაწის შეფასება, თავად როსტომ ჩხეიძის უპრიანი იყო, ხოლო სხვა მკვლევარისგან „საკუთარ თავზე ბევრის აღება“. არადა, ავტორის მხრიდან რომ არ უნდა ველოდოთ საკუთარი შემოქმედების კვლევას, ეს ბანალური ჭეშმარიტებაა, ამიტომ ვეცდებით შეძლებისდაგვარად ვუპასუხოთ გამოწვევას და როსტომ ჩხეიძის შემოქმედების სტილისტური თავისებურებების კვალდაკვალ, მიმოვიხილავთ მისი ბიოგრაფიული რომანების ზოგად პერიპეტიებს.

შემოქმედების მხატვრულ და სტილურ თავისებურებას, პირველ ყოვლისა, ინდივიდუალიზმი განაპირობებს, ხოლო თავად ცნება - ინდივიდუალიზმი, როსტომ ჩხეიძის შემოქმედების ფუნდამენტი. „გონებამახვილურად შენიშნავენ ხოლმე, რომ სტილი ის კი არ არის, რაც ხელოვნებას ახასიათებს, არამედ სტილი თავად არის ხელოვნება“ [1, 174]. როსტომ ჩხეიძის წერის მანერა და მხატვრული ლიტერატურის ფენომენი - სტილი, აყვანილია სწორედ ხელოვნების სიმაღლეზე, რაც განაპირობებს კიდევ იმდენად ორიგინალური მხატვრული პროდუქტის შეთავაზებას მკითხველისთვის, რომ პრაქტიკულად რამდენიმე აბზაცის წაკითხვისთანავე შეიცნობა მწერლისეული ხელწერა. როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსები განმარტავენ: „სტილი იქმნება მრავალი მდგრადი ელემენტის ერთობლიობით, მათი ორგანული მთლიანობითა და ერთობით და არა მექანიკური ჯამით“ [1, 174]. სტილს, როგორც ესთეტიკურ ფენომენს, თავისი „მატერიალური“ გამოხატულებაც აქვს. „მას ქმნის მრავალი სხვადასხვა დონის, მნიშვნელობისა და ფუნქციის მქონე იდეურ-მხატვრული კომპონენტი: მხატვრულ სახეთა სისტემა, კომპოზიცია, მწერლის მსოფლმხედველობა, ეპოქისა და ეროვნული მხატვრულ-ესთეტიკური ტრადიციები და სხვა“ [1, 174].

ლიტერატურათმცოდნეობაში ტერმინი „სტილი“ სხვადასხვა დონის ფენომენის აღსანიშნავად გამოიყენება. მისი კვლევის ობიექტად შეიძლება იქცეს ნაწარმოების, მწერლის, ლიტერატურული მიმართულების, ეპოქის სტილი და სხვა. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა კონკრეტული მწერლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, მწერლის შემოქმედების ყველა მხატვრულ-ექსპრესიული დეტალის ესთეტიკური ერთიანობა, თუმცა, ასევე საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს როსტომ ჩხეიძის შემოქმედებაში ასახულ ამა თუ იმ ეპოქის თავისებურებების ერთობლიობაზე, რასაც განაპირობებს საერთო მსოფლმხედველობა, იდეურ-ესთეტიკური კონცეფცია, ეროვნული ტრადიციებისადმი დამოკიდებულება და ა. შ. ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად, ხაზი უნდა გაესვას ყველა ჩამოთვლილ კომპონენტს იმდენად, რამდენადაც სწორედ მათი ერთიანობა განაპირობებს როსტომ ჩხეიძის სტილსა და ზოგადად, შემოქმედებით სამყაროს.

ნებისმიერი ხასიათის კვლევისას, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე აღნიშვნას საჭიროებს როსტომ ჩხეიძის შემოქმედების ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიმართულება - ბიოგრაფიული რომანი, რომელიც, ჩვენი აზრით, სწორედ როსტომ ჩხეიძის კალამმა აიყვანა განსაკუთრებულ სამაღლეზე ქართულ ლიტერატურაში. მანამდე შექმნილ ბიოგრაფიულ რომანებში შეინიშნება ორი ძირითადი ტენდენცია. პირველნი უფროოდენ აქცენტირებულია დოკუმენტალისტიკაზე და არცთუ იშვიათად, საკმაოდ არის დისტანცირებული მხატვრული ელემენტებისაგან, ხოლო მეორე შემთხვევაში მხატვრული მიმართულებაა წინა პლანზე გადმოწეული და მნიშვნელოვანი კონკრეტული ფაქტები რომანის მხატვრულ საჭიროებებსაა „შეწირული“. სწორედ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების ციკლია უნიკალური ნიმუში ამ ორ თანაფარდობას შორის ოქროს შუალედის, ბალანსის ოპტიმალური მოძიების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ ბიოგრაფიული რომანი შედარებით ახალი ლიტერატურული ფენომენია. შესაბამისად, მისი არა მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, არამედ აღქმის თვალსაზრისითაც და შეფასებით ნაწილშიც აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არსებობს. როგორც წესი, ბიოგრაფიულ რომანში წარმოდგენილია გამოჩენილი პიროვნების (მწერალი, მეცნიერი, ხელოვანი...) ცხოვრებისეული გზა. თუმცა, როგორი უნდა იყოს ნაწარმოები, რომ იგი ბიოგრაფიული რომანის ჟანრს მივაკუთვნოთ? მაგალითად, გ. ლუკაჩი თვლის, რომ „რომანის დანიშნულებაა მხატვრული ფანტაზიის საშუალებით ისეთ გმირთა სახეების შექმნა, რომლებშიც კონცენტრირებული იქნება ამა თუ იმ ერის თუ სოციალური ფენის სულიერი მისწრაფებანი, ვნებანი, შინაგანი თვისებები. ბიოგრაფიული რომანის

ფორმა კი, მკვლევრის აზრით, ზღუდავს მწერლის ფანტაზიას და ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ისტორიული ფაქტის ავთენტიკური ასახვით შეგვიძლია მხატვრულ შემოქმედებას მივაღწიოთ. ერთი შეხედვით, მართლაც, მახვილგონივრული და დამაჯერებელია გ. ლუკაჩის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ცალკეული ფაქტები სულაც არ ხსნიან მწერლის შემოქმედების სიღრმისეულ შრეებს” [1, 310], მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ ეს თავად ავტორის ნიჭიერებაზეა დამოკიდებული; სწორედ როსტომ ჩხეიძის შემოქმედების ეს ნაწილი გამოდგება არგუმენტად ანდრე მორუას მოსაზრებისათვის, რომელიც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება გ. ლუკაჩის პოზიციას. მისი აზრით: „ბიოგრაფიული პერსონაჟების რეალობა არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი მათი მხატვრული ნაწარმოების გმირებად ყოფნისა. მორუა მიუთითებდა იმაზეც, რომ მწერალმა ბიოგრაფმა, უპირველეს ყოვლისა, სწორად უნდა შეარჩიოს თემა, რადგანაც კარგად შერჩეული თემა ნაწარმოების წარმატების საწინდარია. ფრანგი მწერალი აღნიშნავდა, რომ, თურმე, იმპრესიონისტი მხატვრები დიდხანს სეირნობდნენ ხოლმე ბუნების წიაღში ჩარჩოთი, რათა მიესადაგებინათ იგი პეიზაჟის სხვადასხვა ელემენტისათვის. მათ მსგავსად, მწერალმა - ბიოგრაფმაც ხელში „ჩარჩოთი“ უნდა „გაისეირნოს“ ამა თუ იმ პირის ბიოგრაფიაში, რათა სწორად ამოარჩიოს ის მონაკვეთი, ის თემა, რომელიც შემდგომ ბიოგრაფიული რომანის ღერძად იქცევა” [1, 310]. აღნიშნულ მოსაზრებას ხშირად ეხმიანება ზეპირი გამოსვლებისას როსტომ ჩხეიძეც (სხვა და სხვა წიგნის პრეზენტაციაზე, ლიტერატურულ საღამოსა თუ საჯარო ლექციაზე და ა. შ.), მას არაერთი ბიოგრაფიული რომანის შესახებ უსაუბრია მსმენელთან - მისი ბიოგრაფიული რომანის მომავალი გმირის, კონკრეტულად რომელიც ცხოვრებისეული მონაკვეთი იყო მთავარი ბიძგის მიმცემი რომანის შესაქმნელად და იქცა კიდევ ნაწარმოების მთავარ ღერძად. ამ დროისათვის ბოლო, მეცხრამეტე ბიოგრაფიული რომანის - „მისიონერის“ გარეკანზე ვკითხულობთ: „სოლომონ დოდაშვილის პიროვნება და ღვაწლი იყო შთამაგონებელი როსტომ ჩხეიძისათვის ბიოგრაფიული რომანების მთელი ციკლის წამოსაწყებად, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ შეიქმნებოდა 18 ნიმუში და ამ დიდებული მოღვაწის ცხოვრების ქრონიკა კი აქამდე დაუწერელი რჩებოდა.

...ისტორიული ქრონოლოგიის კვალობაზე ამ ციკლში მესამე ადგილს დაიკავეს ალექსანდრე ბატონიშვილისა და ალექსანდრე ორბელიანის შემდგომ.” ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ რომანის შექმნის დრო, არც ქრონოლოგიას ემთხვევა და არც მწერლის პირველ სურვილს - სოლომონ დოდაშვილის ღვაწლისადმი მიემდვნა ბიოგრაფიული რომანი, მისი შექმნა ემთხვევა მხოლოდ და მხოლოდ ერთ გარემოებას, უფრო სწორედ, კონკრეტულ მომენტს - როცა მწერალი იჭერს იმ დეტალს, რომელიც საძირკვლად, ფუნდამენტად გამოადგება და რომლის ზედნაშენადაც წარმოუდგენია თავად რომანი. დასახელებულ წიგნს ახლავს ინტერვიუ ავტორთან, სადაც როსტომ ჩხეიძე უშუალოდაც ადასტურებს ჩვენს შემჩნევას: „ბედად მივაგენი იმ მარღვს, ერთბაშად რომ აიყოლია თხრობა” [4, 488], ამბობს ავტორი.

ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში, ავტორები მარიამ მირესაშვილი და ნანა გაფრინდაშვილი ბიოგრაფიული რომანის მიმოხილვისას, რამდენიმე ბიოგრაფიულ რომანს ასახელებენ, მათ შორისაა როსტომ ჩხეიძის „ბედი პავლე ინგოროყვასი.“ ავტორები დასახელებულ ნაწარმოებს მიიჩნევენ იმგვარი თანამედროვე ბიოგრაფიული რომანის ნიმუშად, რომელშიც „გამოვლენილია სწრაფვა დოკუმენტური მასალის იმგვარი განზოგადებისკენ, როდესაც იგი აღიქმება როგორც პიროვნების ბიოგრაფიაც და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ეტაპის განვითარების ტენდენციათა წარმოჩენაც. მართალია, ასეთ დროს ძალზე ცოტა ადგილი რჩება მწერლის ფანტაზიისთვის, მაგრამ მისი სრული გამორიცხვა ბიოგრაფიული რომანიდან ვერც მოხერხდება და არც არის სასურველი” [1, 311]. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო 2008 წელს არის გამოცემული. მას შემდეგ როსტომ ჩხეიძემ არაერთი ძალზე საინტერესო ბიოგრაფიული რომანი წარუდგინა საზოგადოებას, ვფიქრობთ, ლიტერატურის თეორეტიკოსები მათაც ვერ აუვლიან გვერდს, რამდენადაც თითოეული მათგანი არა მხოლოდ პიროვნების ბიოგრაფიაა, არამედ „მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ეტაპის განვითარების ტენდენციათა წარმოჩენაც”. ამასთანავე, ავტორი სრულიად განსხვავებულად პოულობს სივრცეებს მხატვრული სიუჟეტების განვითარებისა და ფანტაზიისთვის. მკითხველის თვალისთვის მიუღწეველია ამ მიმართულებით დაძლიებული სირთულეები და რჩება შთაბეჭდილება, რომ, არსებითად, მხატვრულ შემოქმედებას ვადევნებთ თვალს. ს. თ. კოლრიჯი ამბობს, რომ „არაფრით გამორჩეული ადამიანის ცხოვრების ისტორიაც კი საინტერესო გახდება მკითხველისათვის, თუ ის კარგად და დამაჯერებლად იქნება მოთხრობილი” [2, 103]. იმის მიუხედავად, რომ მისი ნაწარმოებები, ძირითადად, გამოჩენილ მოღვაწეებს შეეხება, ხშირად, სწორედ მათი ცხოვრების ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ დეტალებს ანიჭებს მწერალი ძირითად დატვირთვას, თანაც ეს ისე ზუსტად და საინტერესოდ არის შემოქმედებითად დამუშავებული, რომ მკითხველმა მარტივად გაარჩიოს გმირის შინაგანი სამყარო, მისი ეროვნული სულისკვეთება. დეტალები, რომლებიც რომანის შექმნამდე უმნიშვნელო ფაქტებად რჩებოდნენ, მნიშვნელოვან ნიუანსებად გარდაისახებიან, რათა გმირის სრულყოფილი სურათი გამოიკვეთოს. ასე გაიაზრებს ავტორი და კითხვის პროცესშივე აიყოლიებს

მკითხველსაც, რამდენადაც, მზა რეცეპტს სთავაზობს გმირის ფსიქოტიპის შესაცნობად. ასეთია მწერლის გათვლა. რეციპიენტი იძულებულია, დაემორჩილოს მწერლის ამ მხატვრულ შეთავაზებას, რადგან როსტომ ჩხეიძის თავისუფალი სივრცე „მხარ-თემოზე წოლისას“ მოფიქრებული კი არ არის, არამედ დეტალური ძიების, რუტინული შრომის შედეგად მიკვლეული და აღმოჩენილია. ეს კი აძლევს შესაძლებლობას, არ დაარღვიოს ფაქტობრივ-რეალური სურათი და თავისუფლად განავითაროს მხატვრული წიაღსვლები. შესაბამისად, პირნათელი დარჩეს გმირის წინაშე და მკითხველის წინაშე. ავტორის ეს დამოკიდებულება იკვეთება როგორც მთელი მისი შემოქმედების გამაერთიანებელი პრინციპი და ზოგად-ესთეტიკური მიზანი, რომელსაც ექვემდებარება ნაწარმოების ყველა ელემენტი. მკითხველი, პირველ ყოვლისა, სიყალბეს ვერ ეგუება, ის არა მარტო მხატვრული ნაწარმოების შემფასებელია, არამედ ერთგვარად მონაწილეობს კიდევ შემოქმედებით პროცესში. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, თანაავტორიცაა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, საბოლოოდ, სწორედ მკითხველთა და მკვლევართა შემოქმედებითი აქტივობა „კრავს“ სტილს.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების უმთავრესი სტილისტური თავისებურება დამაჯერებლობაა. მწერლის ენა არც მარტივია და არც ზედმეტად რთული, იგი ისე ჰყვება ამბავს, თითქოს მკითხველს ემუსაიფებოდეს. თუმცა, მუსაიფის მეორე მონაწილისაგან მწერალიც მზაობას ელის. როსტომ ჩხეიძის ტექსტის კითხვა რაღაცნაირად ტალღებში ცურვას გვაგონებს: უნდა მიენდო, უნდა აჰყვე, რომ წინაღობას არ შეეჯახო და მხოლოდ მას შემდეგ გაგიშინაურდება და გაგიმარტივდება, მხოლოდ ასე შეგაგრძნობინებს საკუთარ დინამიკასა და პულსაციას. მწერალი მოკლე აზრებით, მოზომილი, ზედმეტსიტყვაობისაგან დაწმენდილი წინადადებებით ეკონტაქტება მკითხველს და უკვე მუსაიფში საგულდაგულოდ აყოლიებული მკითხველი დროდადრო დასმულ შეკითხვებს პასუხებსაც მარტივად უძებნის, რადგან ავტორი თანამოაზრედ სწორედ მკითხველს იხდის. ხშირად დასმული შეკითხვები კი იმის დემონსტრირება უნდა იყოს, რომ ავტორი სწორედ „მოკავშირეებთან“ ერთად მივიდეს ლოგიკურ პასუხებთან. წინადადებების აგებულება, ისევე როგორც მთელს შემოქმედებაში, ბიოგრაფიულ რომანებშიც ძალზედ სპეციფიკურია და განსხვავებული. წლების და ზოგჯერ ასწლეულების წინათ განვითარებული მოვლენები, თითქოს წინმსწრები მოსაზრებებია: „ცხადია, სტუმრობის მიზეზს დაუმაღავდა“; „შამპანურით კი დალევენ იმათ სადღეგრძელოს, თავისუფლება რომელთაც სურდათ“; „გარეგნულად შენარჩუნდებოდა მათი კეთილგანწყობა“ და. ა. შ.[4, 12-16-18] საინტერესოა, რას უნდა ემსახურებოდეს ასეთი სტილი? ვითომ მხოლოდ და მხოლოდ ორიგინალურობაა მისი დატვირთვა? შესაძლოა, ამ კითხვაზე სრულყოფილ პასუხად მივიჩნიოთ ორიგინალურობა, მეტი დამაჯერებლობის ეფექტი და მკითხველისთვის აზრის გაზიარების მწერლური ხერხი. თუმცა, არც ჩამოთვლილი იძლევა სრულყოფილ პასუხს, ვინაიდან ყველაზე მთავარი ნიშანი გასაცხადებელი დავგრჩა. ჩვენი აზრით, ეს სტილისტური თავისებურება, ამჟღავნებს მწერლის შინაგან მრწამსსაც: როსტომ ჩხეიძეს სჯერა წარსულის, სჯერა რეალური და პერსონაჟი გმირების, მთელი შეგნებით სწამს უფალი და ბედისწერა, რაც ზუსტადაც რომ მისეულ სტილშიც ამკარად მჟღავნდება. ის, რაც მოხდა, სხვაგვარად ვერ მოხდებოდა, ასე იყო განსაზღვრული უფლის მიერ და ასე უნდა შეწირულიყვნენ სამშობლოსა და იდეებს მისი ბიოგრაფიული რომანის გმირებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ერთი მათგანი საკუთარ თავს აღარ ემგვანებოდა. ამიტომაც, რომ კი არ დაუმალა, დაუმაღავდა (აბა რას იზამდა?!); კი არ დალიეს, დალევენ (აბა რას იზამდნენ?!); კი არ შენარჩუნდა, შენარჩუნდებოდა (აბა რა იქნებოდა?!). ხომ მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს ამდაგვარ სტილს, მაგრამ მთავარი მაინც სწორედ მწერლის შინაგანი სამყაროა, რომელსაც წინადადების ფორმაც კი ქურქივით მოურგია.

უკვე ითქვა, რომ ამ ეტაპზე, როსტომ ჩხეიძე უკვე 19 ბიოგრაფიული რომანის ავტორია. თითოეულ რომანში საკმაოდ საინტერესო ცხოვრებისეული ფრაგმენტებით შემოდიან ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც კი ბიოგრაფიული შეხება ჰქონიათ მთავარ გმირთან. შესაბამისად, თითოეული ბიოგრაფიული რომანი არა ერთი, არამედ რამდენიმე მოღვაწის ცხოვრებას მოიცავს, რაც ნაწარმოებს მეტად საინტერესოს ხდის და, იმავდროულად, ავლენს, რომ ავტორი ბიოგრაფიულ შტრიხებს ეპოქის წიაღში დაეძებს და არა მხოლოდ ერთი მოღვაწის ცხოვრებაში. მაგალითად ნებისმიერი რომანი გამოგვადგებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ერთს გამოვარჩევთ (ისიც სულ სხვა ნიშნით, თორემ ჩვენი შენიშვნა ტენდენციური ხასიათისაა ნებისმიერი რომანისათვის): იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“, რომლის გამომახილიც უნდა იყოს, როსტომ ჩხეიძისავე პიესა - „ის სურნელი თოვლში“, რომელიც წარმატებით დაიდგა გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში და უაღრესად საინტერესო სცენური სახე შეიქმნა „დედაენის“ ავტორისა. წიგნების კითხვისასაც და სპექტაკლის მსვლელობისასაც, რჩება შთაბეჭდილება, რომ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიის პარალელურად, თანდათანობით ვითარდება და საგრძნობლად შემოდის არაერთი მოღვაწის (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ხიზანიშვილი, ნიკო ცხვედაძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური და ა. შ.) მათ შორის, განსაკუთრებით, ვასილ ბარნოვის ბიოგრაფია. ვინაიდან ვასილ ბარნოვის

ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე არსებობს ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი წიგნი „რომანი და ისტორია“, როსტომ ჩხეიძე, ბუნებრივია, უკანა პლანზე გადაწვედა ვასილ ბარნოვის შესახებ ბიოგრაფიული რომანის შექმნის საკითხს, ამიტომ დასახელებულ ნაწარმოებში მისი შემოყვანით, თითქოს მისგან „ურომანოდ დატოვებულ“ მოღვაწეს ებოდიშება და პატივს სხვა, მის ხელთ არსებული ფორმით მიაგებს. აქვე უნდა გავიხსენოთ მწერლის დიდი ინტერესი საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების სრულიად უცნობი ფაქტების ძიებისადმი. მაგალითად, როგორ იგეგმებოდა ილიას მკვლელობა? სად გაქრა ივანე მაჩაბელი და ა. შ. მსგავსი საკითხების დაფარულ მხარეებს, რომელთა თაობაზეც დოკუმენტური წყაროს მოძიება შეუძლებელია, როსტომ ჩხეიძემ თავი მოუყარა კიდევ ერთ შემოქმედებით მიმართულებაში - „დეტექტიური ცდა“, მწერალი კვლევის შედეგად მიღწეულ, ძალზედ ლოგიკურ, თუმცა მტკიცებულებათა გარეშე არსებულ დასკვნებს შესანიშნავად არგებს ამ მხატვრულ ფორმატს და, შესაბამისად, კიდევ უფრო სრულყოფილად წარდგება საზოგადოების წინაშე, როგორც მწერალი-ბიოგრაფოსი. ამკარაა, რომ როსტომ ჩხეიძე გულმოდგინედ და თავდაუზოგავად ცდილობს შეძლებისდაგვარად გასწვდეს ყველა ღირსეულ მოღვაწეს და მათ სამაგალითო, განსხვავებულ და მდიდარ შინაგან სამყაროს აზიაროს ფართო მკითხველი. ეს კი არც მწერლური ჟინია და არც თვითრეალიზების გზა (ვის, ვის და როსტომ ჩხეიძეს თვითრეალიზება არ აკლია), ესაა სიყვარულისა და ერთგულების გამოხატვის ფორმა საკუთარი სამშობლოსა და იმ მოღვაწეებისადმი, რომლებიც თავად იყვნენ ერთგულების განსახიერებანი ჩვენი ქვეყნისადმი. ალბათ, დიდი მტკიცება არ სჭირდება იმასაც, რომ ამ ყოველივესთვის, წარმოუდგენელი, თვითგვემამდე მიახლოებული შრომის გარეშე შეუძლებელია თავის გართმევა.

ამრიგად, ჩვენ ერთიან კონტექსტში მიმოვიხილეთ გამორჩეული ქართველი მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის - როსტომ ჩხეიძის შემოქმედების ერთი გამოკვეთილი მიმართულება - ბიოგრაფიული რომანი. გავანალიზეთ, მწერლის ზოგადი სტილი და მისი ბიოგრაფიული რომანების თავისებურებები, რაც ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურასა და ბიოგრაფიული რომანის ჟანრში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ როსტომ ჩხეიძის ყველა ბიოგრაფიული რომანის ერთობლიობა ქმნის დიდ და მასშტაბურ ერთიან მხატვრულ სივრცეს, რამდენადაც თითოეული მათგანი ერთმანეთის განუყოფელ წინა ან მომდევნო ტომადაც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ყოველ რომანს აქვს ქრონოლოგია სხვა რომანებთან მიმართებაში და თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია იმ საერთო ციკლისთვის, რომელსაც მათი ერთიანობა ქმნის. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, სრული წრედი ბიოგრაფიული რომანებისა ჯერ კიდევ შესაკრავია და, სავარაუდოდ, ამ ციკლს კიდევ რამდენიმე რომანი დაემატება. ეს გვაძლევს უფლებას, დაბეჯითებით ვთქვათ, რომ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი - ეს არის სრულიად ინდივიდუალური ლიტერატურული სივრცე, რომლის კვლევაც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008: გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი, 2008.
2. კოლრიჯი, 1895: Coleridge S. T., Letters, London, 1895.
3. ფრაი, 1960: Frye Northop, Literary Criticism, in: The Aims and Methods of Schoiarship in Languages and Literatures. Ed. Jaames Thorpe, New York, 1960.
4. ჩხეიძე, 2016: ჩხეიძე როსტომ, „მისიონერი“, თბილისი, 2016.

Giorgi Khorbaladze

Gori State Teaching University

A ROSTOM CHKHEIDZE BIOGRAPHICAL NOVEL – GENERAL TENDENCIES RESUME

In the current work, a general analysis of Rostom Chkhiedze's biographical novels is presented, which represents an important part in the works of the writer and scientist. The works of this genre have obviously a distinguished and honorable place. We are likely to discuss the similar research as a kind of introductory and primary part of large-scale and nuanced research, and by combining them, it will be possible to create solid essays or monographs. We believe, that in our planned, future research, we will touch upon interesting issues in the works of Rostom Chkhiedze and make an independent research, which, at the same time, will be a kind of sequel to the previous analysis. We will cite Northrop Frye, who said that “the interpretation of every work of literature should happen in the light of all literature”, and will try to move to specific issues of specific works after highlighting the unified light of Rostom Chkhiedze's biographical novels.

We will also analyze the writer's general style and peculiarities of his biographical novels, which is a novelty in Georgian literature and in the genre of biographical novels. It is important to note that the combination of all biographical novels of Rostom Chkheidze create big and massive fiction space, as each of them represents an inseparable part of either a previous or following volume. Each novel has a chronology that relates to other novels, and each of them is important for the common cycle, which is created by their unity. As far as we know, the circle of biographical novels is yet to be closed, and supposedly, several novels will be added to the circle. It gives us the right to confirm that the biographical novel of Rostom Chkheidze is a completely individual literary space, and its research should definitely be carried on.

ელენე ხოჯევანიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პოეტურ სტრიქონებად ტრანსფორმირებული ფერები ესმა ონიანის პოეზიაში

„სიტყვებს ჩემსას ავლიათ ამოსუნთქვის მსუბუქი ქარი
ისინი ფურცლის თეთრ სივრცეში შუაღელდურ პაუზებით ამოჰყვავიან“
ესმა ონიანი

ფერის ესთეტიკა მრავალსაუკუნოვანი ქართული პროზისა და პოეზიისათვის უცხო არ არის, მაგრამ გალაკტიონის, ლეონიძის, გამსახურდიას, რობაქიძის შემდეგ თითქოს აღარაფერი რჩება სათქმელი, თითქოს თემაც მოძველდა, მაგრამ ჯერ ერთი, თემის სიძველე მის აქტუალობაზეც მიგვითითებს და მეორეც, ესმა ონიანი ახერხებს სწორედ ფერის გამომხატველი ლექსიკით შექმნას ექსპრესიული სალექსო სტრიქონები და ორიგინალური, მხოლოდ მისეული ფორმა მიუსადაგოს სათქმელს.

თვალშისაცემია ფერთა სიუხვე მის პოეზიაში და ეს მისი ენის ერთ-ერთი სტილური თავისებურება და მხატვრული ხერხია სათქმელის მკითხველამდე ორიგინალურად მიტანისათვის. ასი ლექსია ესმა ონიანის ერთ-ერთ კრებულში და თითქმის ყველა მათგანში მოხმობილია მინიმუმ ერთი რომელიმე ფერი მაინც. უფრო მეტიც, იგი ცალკეულ ფერებს უძღვნის ლექსებს. ეს ლექსებია: „ყვითელი“, „შავი“, „წითელი“, „ვარდისფერი“... ესმა ონიანს ეკუთვნის ნეოლოგიზმი-ფერთმწერლობა. იგი თავად არის ფერით მწერალი: უთვალავი ფერით აფერადებს ლექსს, თავად ფერს კი ლექსად აქცევს (3; 412).

პოეტი ლექსებში უხვად იყენებს საგნობრივ ფერებს: ყვავილებთან, ძვირფას ქვებთან და ლითონებთან, ცხოველებთან, მცენარეებსა და სხვა ნივთებთან შედარების საფუძველზე მიღებულ ფორმებს, ფერ-კომპოზიტებით შექმნილ ოქსიმორონულ ჯგუფებს, რაც უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის. ამჯერად, მის ლექსებში გამოყენებულ ე.წ. ბაზისურ ფერებზე შევჩერდებით.

ლექსის სტრიქონებით „დახატულ“ მახლობელ ადამიანთა პორტრეტებს სწორედ მწერლის მიერ მხატვრის თვალით და გამორჩეული გემოვნებით შერჩეული ფერები სძენს განსაკუთრებულ ელფერს. პოეტს ახსოვს „დედის დედა! მზე მიმდგარი სახე, შავი ჩრდილებით ჩამოტორილი. კისერთან თეთრი თმის ნახვევს სინათლე გასრუტავს“ (5; 140), არ ავიწყდება „იმერეთში ბებიას გაშლილ მკერდზე ლურჯ კაბაში, ქინძისთავების ვერცხლის ქინძები“ (5; 43).

ამ მრავლისმეტყველ მოგონებაში მწერლის მიერ გამოყენებულ ფერებს უზადო მხატვრული დეტალი შეაქვს.

მამის გარდაცვალებით გამოწვეულ მძიმე განცდას ეხმაურება მისი სალექსო სტრიქონები:

„სულთმობრძავი თეთრი ზეწრის სიმძიმეთა გიგანტური ფენით

აგონიაში მოძიგმიგე ხელის უცხად აფარფატებით

გაზვიადებულ სიუხვეშეთა ამორებას ტანჯვით ლამობდი“ (5; 83).

აქ უძლიერეს ემოციურ ფონს სტრიქონში თეთრი ფერი ქმნის, რომლის სიმბოლური „მეტყველება“ ანგელოზთა ზეციურსა და მაცხოვრის თეთრ სამოსს შეესაბამება, სწორედ ამ გაგებით უნდა იყოს აქცენტირებული იგი ფრაზაში, რაც ტექსტის მხატვრულად გარდასახვის ერთ-ერთი პირობაა.

„ჩამოეშვება შავი პრიალა ქოჩრის ტალღა

თეთრი დიმილი ხმელი ლოყების ორი ნაკეცი“ (5; 160).

აქ ესმა ონიანი ერთნაირი სიძლიერით წარმოჩინდება როგორც პოეტი და როგორც ფერმწერი და სიყვარულით შესრულებული ეს პორტრეტები პოეტურ სტრიქონებად ტრანსფორმირდება.

ფერი სტილისტურ დატვირთვას იძენს, როცა იგი ადამიანის სულიერ სამყაროს, მის შიანაგან განწყობას გამოხატავს:

თვალები **სილურჯის** ნაცვლად **უფერულ** ნისლებით ამევსო (5; 123)

ვფიქრობ, მხოლოდ მოყვანილი მაგალითებიც კმარა იმის დასასკვნელად, რომ სიტყვიერ ფერწერას, ანუ საგნებთან ფერის ოსტატურად მისადაგებას უფრო დიდი ზემოქმედების ძალა აქვს, ვიდრე მათს სხვაგვარად განმარტებას.

წარმოუდგენელია არ აღფრთოვანდე პოეტის მიერ „მზით დანაჩვრეტი გამოშიგნული ყვითელი უდაბნოს“ სილამაზით, სადაც „კლდეზე ახრილი“ ხეები „წითელ ხრიოკებს“ მიმხობიან, რომლებზეც ბერთა სენაკები გადაშლილან „შავვულა, აბედისფერ“ ყვავილებად. ალბათ შეუძლებელია უფრო ლამაზად გამოხატო სათქმელი...

წარმოსახვის გამორჩეული უნარი და ხედვის განსხვავებული რაკურსი ჩანს მის სტრიქონებში: „ჩაყურებულა ცის **სიყვითლევ შავ** დაგუბებით მიწა ბორცვებად ზედ მიეგმანა“ (5;36).

პოეტი ულამაზეს წამებს ინახავს ფრაზებით: „გარეთ დაქრიან ფრინველები ჩუმ **შავ** ლაქებად“ (5;47), „ირგვლივ **თეთრად**, ყვავილთა პენტვით, გორაკის ფერდი გადაფარულა“ (5;45).

„შემოდგომის ცა **ყვითლად** ღუის ნათელ გადმოღვრით“ (5; 46). „**სირუხეში** გორაკები, ხეთა კოჭრები, კორომები **შავი** ბრიალით ამოილტვიან“ (5; 53). „განათებულა მთვარით **თეთრად** მთებში მინდვრები თვითონ ისინიც თითქოს **თეთრი** მთვარეებია“. (5; 93).

ფანტაზიითა და სიზმრისეული ხილვებით სავსე პოეტური წარმოსახვა შეაგრძნობინებს მკითხველს ბუნების ძალას და სილამაზეს:

„რა ღამეა, **ლურჯი**, დიდი! რა წყნარად დგას მთვარე ზემოთ!

წევს სიგრილე, მდინარეც წევს მთების ძირში...

ყველაფერი ერთ **ლურჯ** ღამით ესიზმრება მუხას ძილში“ (5; 171)

მკითხველი ხედავს და იხიბლება „იასამნის **ლურჯი** სინაზით“ (5; 38), „**წითლად** ნაწვიმი კოწახურებით“ (5; 132), „კომშის ბუსუსის **მწვანე** ნათებით“ (5; 44), „**თეთრად** ყვავილთა პენტვით“ (5; 45), „კორომების **შავი** ბრიალით“ (5;53), „**მეწამული** ყვავილების დიდი გუნდებით“ (5;64), „ფოთოლ **ყვითელი** კაკლებით“ (5; 168) ...

ეს სიტყვისა და ფერების დიდოსტატის მიერ შექმნილი ბუნების სურათებია. ასე სტრიქონ-სტრიქონ იქსოვება პოეტის მიერ ბუნების საოცარი, უთვალავი ფერით მოხატული სამყარო.

მკითხველის წინაშე სიტყვასა და ფერში გადმოცემული ბუნების მეტამორფოზის სურათი იშლება არა ერთ ფრაზაში:

„მძაღე **თბილისფერ ყვითელ** ხრიოკებს **თეთრი** ტყემლები ხროვებად ესხმიან“ (5;149).

„უნაბი ფმატებს შეფოთლებია, **მწვანე** წენგო აქვს **მოყვითლებული**“ (5; 137).

ფერადოვნებას ანიჭებს მზე თბილისის ძველი უბნის პეიზაჟს:

„მზიურია ყველაფერი... აბანოს უბნის **ჭრელი**, **ლურჯი** თაღოვანება“ (5; 31).

გულწრფელი სიყვარულითაა აღბეჭდილი პოეტური ალუზიით გადმოცემული თბილისის დაუვიწყარი სურათი:

„გადმოხედვისას თბილისის სახლებს სახეები განათებით,

თბილი კედლებით მიყუჟვიან საკუთარ ხეებს,

ამოიბნევა ალაგ-ალაგ მტრედების პეშვი,

თეთრი ციმციმით ეშვება სადღაც“ (5; 159).

თუ გავითვალისწინებთ, რომ მტრედი სულიწმინდის პარადიგმაა, მტრედების **თეთრი** ციმციმით დაშვება თბილისის თავზე, მიწიერი სამოთხის ლიტერატურულ რეფლექსად აღიქმება და სწორედ ასეთად ესახება პოეტს თავისი საყვარელი ქალაქი.

ყველაფერში სილამაზეს ჭვრეტს ესმა ონიანი: „**ოქრო-ვარდისფერ** ლაქებში ვეშაპთა მოშავოდ მზინავ ნაფრცქვენში“ (5; 24), „ჩამავალი მზით აღმოდებულ“ „**წითელ** ფანჯრებსა“ (5;33) თუ „ყვავილ-ვარსკვლავთა **ლურჯ** ეკლებში ვენახის პირთან“ (5; 46), „**ცისფერ** მარღვებით დაბზარულ **თეთრ** სასმისსა“ (5; 93) თუ „**ლურჯი** სინაზით ანთებულ იასამანში“. (5; 25)

არ შეიძლება არ მოიხიბლო მისი სალექსო სტრიქონებით, როცა მიმწუხრისას, ჩამავალი მზის შუქში „**უნაბისფერი** კედლების **წითლად** აბრიალებას“ უყურებ პოეტურ ნახატში, კითხულობ ლექსს და გინდა შეჩერდეს ულამაზესი წამი, რათა ხედავდე „სახლების ხვავში, შუშაბანდების **წითელ** მინებზე მზის შემუქებით,“ როგორ მოაჭრელებს მზე „აივნის ფილებს, **თეთრ** კვადრატებს **წითელ** ფორაჯით“ (5; 155).

ზღაპრული სამყაროს თანაზიარი ხდება მკითხველი, როცა იგი თვალნათლივ ხედავს პოეტის მიერ დახატულ, კალმანების ლაღობით **ვერცხლისფრად** განათებულ **სიშავეს**:

„**შავი** ნათდება **ვერცხლისფერი** კალმანების ცინცხალ ლაღობით“ (5; 36).

მხოლოდ თვალის საამბებელად არ უნდა იყოს სტრიქონში შერჩეული ეს ფერები. აქ ალბათ, მოძრაობის, ენერჯის, სიცოცხლის ძალის მიერ ბნელის დაძლევის მარადიული სურვილიცაა გამოხატული. წარმოსახვის ორიგინალურობით გამოირჩევა სიტყვაზე მიყურადებელი პოეტის მიერ მიღებული ფრაზა:

„ამოვა მთვარე, ამოგრგვინდება მთვარის შუქში **შავად** კუნელი“ (5; 47)...

ასე მისდევს ერთი პოეტური სურათი მეორეს, ფერი-ფერს, სიმბოლო-სიმბოლოს და იქმნება ფერებად ნაქარგი პოეზია.

ხშირად პოეტის მიერ ლექსებში ჩათქმულ ენიგმათა ამოხსნა-ამოცნობა ძნელდება. სტრიქონებში ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების ჩართვა კი ფრაზას ექსპრესიულობას და იდუმალებას ჰმატებს. რთული სათქმელია, რას გულისხმობდა პოეტი ფრაზებში:

„მამადავითის **თეთრი** ლებანი, **შავ-მწვანე** კალთები სამმხრიდან“ (5; 23).

„ყვავილი ვაზით - მალლა მხრჩოლავი **თეთრ** გახშირებით“ (5; 19).

ასევე შეცნობის წადილს აღძრავს ლექსის სტრიქონები: „აღარ ღელავს ამიერი-იმირამდე, სხვა ხმიანობის, **განსხვავებების** დავფრენთ უფსკრულებს“ (5; 80). („განსხვავება“ პოეტის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმი უნდა იყოს). „ჭლექის **სიყვითლის**“ და „შემოდგომის წვიმიანი შრიალით“ ავსებს პოეტს მოძველებული სიმღერის ექო, ხოლო მკითხველს, იდუმალებით სავსე სტრიქონები, უამრავ კითხვას უჩენს. მე კი ანა კალანდაძის სიტყვებს მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ ეს ფრაზები „ზესაიდუმლოთა რიგისაა და განმარტებას არ ექვემდებარება“.

პოეტი უშურველად გვჩუქნის და ისევე გულუხვი ფერებით „ხატავს“ ლექსებს, როგორც ფერწერულ ტილოებს და ფერწერის მსგავსად პოეზიაშიც მიმართავს ფერის სიღრმეთა გრადაციას.

მის პოეტურ მხერაში ეტევა არა მხოლოდ საგანთა ტიპური შეფერილობა, არამედ ბაზისურ ფერთა ველში შემავალი ფერებიც: მაგალითად **წითელი** ფერის ველში მოქცეული თითქმის ყველა ფერი (**უნაბისფერი, ჟანგისფერი, ენდროსფერი, მოწითალო, ყირმიზი, სინგური, ჭიაფერი, მეწამული, ვარდისფერი**) გვხვდება მის ლექსებში და ყველა მათგანი სხვადასხვა სახის სიმბოლოურ-ემოციურ დატვირთვას ავლენს: „**ჟანგისფერივე** მზით მიჩრდილული მღვრიედ დამძიმდა“ (5; 128), „**უნაბისფერი** კედლები ჩამავალ მზეში წითლად შრიალებს“ (5; 22), „დახარჯული **სინგური** აძლევს გარე სინათლით ჯერ დაუთმობ მჭკირვალ ოთახებს ბროწეულის ყვავილების, ინდურ ქომების, აღმოსავლეთის სიმცხუნვარის უეცარ ძალას“ (5; 63), „გამოხმობილა ფხვნილიანი დაპრესილი მოკვდინებიდან **ენდროს** ფესვები, ჭიების **ყირმიზი** ხვედრი; **ჭიაფერი**, ტყვიის სურიხვი“ (5; 63)... „სისხლი მოშივდა, **მეწამული** ყვავილების დიდი გუნდებით პირის ავსება“ (5; 64), **ვარდისფერი** ეს იყო **წითლის** დასაწყისი, **წითლის** ფერმკრთალი შვილიკო“ (5; 67), „**მოწითალო** კედლების რული“.... (5; 74).

არა ერთი შთამბეჭდავი ფრაზა იქმნება მეტაფორებში ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა ჩართვით, რადგან სწორედ ესა თუ ის ფერი აღრმავებს წარმოსახვის ექსპრესიას: „შეგინგრევ, მოგიშლი შუბლის **თეთრ** გალავანს“ (5; 116), „შემოდგომის ცა **ყვითლად** ღუის ნათელ გად-მოღვრით“ (5; 46); „ტახტის საფარზე ქობა აინთო, მოჩითულ **ყვითელ** ალუბლის კრუნჩხვად“ (5; 137),

„**ლურჯი** ღრმულიდან მოიფრქვევა სცენის სიგრილე“ (5; 157)... **ლურჯი** ფერი ხშირად სიშორის სივრცით წარმოდგენას უკავშირდება და ამ შემთხვევაშიც მკითხველს სცენიდან რაღაც შორეული, ფარული ჭეშმარიტების შეცნობის მოლოდინს უჩენს.

ესმა ონიანის ლექსებში ფერთან დაკავშირებით ხშირად სემანტიკური ნიუანსია წინ წამოწეული და არა უბრალოდ რეალური ფერადოვნების გამოვლინება. მზე, მისი ლექსების სამკაულად რომ ქცეულა, ხან „დამსკდარ მიწაზე ფეხისგულის ქვეშ **თეთრად** აღდება“ (5; 59), „ხანაც „სპილენძის ტამბზე აყვავდება **ყვითელ** ვარდებად“ (5; 59), ზოგჯერ კი „იქცევა **შავ** ჩრდილებად, ქვა - ფენილებში **შავ-ფრჩხილებად** ქვა-ქვა ფენილი“ (5; 59).

პოეტს სიტყვათა სრულიად ჩვეულებრივი წყობითაც შეუძლია უჩვეულო სიმძაფრით შეაგრძნობინოს მკითხველს ირგვლივ არსებულ ნივთთა სილამაზე და ყოფითი სინამდვილეც პოეზიად აქციოს: „ფეხი შემოვდგით, მზეში მეზობლის **ჭრელი** ფარდაა, ოთახის ბინდში **წითელ** იატაკს ხალიჩა ბურავს“ (5; 27), „წელგაღუნული **თეთრი** ღერები ფანჯრის მესერის“ (5; 25), „განჯინის თავზე **ყვითელ** ფქვილად ცვენილ მიმოზას ნაზ - უილაჯოდ გამოუშლია მიზეზიანი ღეროები, ჩამოყრილები“ (5; 32), „ლამფა ანთია ბროწეულის **ყვითელ** ყვავილად“ (5; 34), „**ჭრუნა** ქათამი ჩირგვთან ფართხუნით რაღაცას უფრთხის“ (5; 37), „კაკლების ქვეშ **თეთრად** ავარდა, სუფრა იშლება ტკეცილ დაჯვარულ დანაკეცებით, **ლურჯი** არშიით (5; 46).

ესმა ონიანის ლექსებში ყურადღებას იქცევს ანთროპომორფიზაციის შემთხვევები: „გრძელ კლდეზე სიწითლე კუთხემდე მიწვა“ (5; 23), „ცა ყვითლად ცურავს ქუჩის აივნის შავ გრეხილებში (5; 31), „შავი გვირგვინები მოედგათ ანწლებს დარდით“ (5; 115), „შემოუცურდა გელას თვალეებში მთვარის თეთრი ზედაპირი მის ტირილს გრილად დაეფარა“ (5; 119), „შუქს მოწითალოს ძველ ბათქაშზე შეუსვენია“ (5; 164).

ფერი ესმა ონიანის პოეზიაში პერსონაჟების აღწერისას, მათი სილამაზის, სამიჯნურო გრძნობების გამომხეურებასაც ემსახურება: „შავი ფრთებივით გავშლი თმებს ქარსა და მზეში“ (5;124), „ჩემი მკლავების თეთრი ერთობა ახლა ეჩვენებოდათ თრობად და სიკვდილად“ (5;23), „მისი ლავიწი თეთრი სანთელივით ილექება“ (5; 23), „შავ თვალეებად იშლებოდი აბრეშუმისფერ კაბაში“ (5; 26), „ახსოვს თვალეები მწვანე, როგორც ციციანთელას სულ თხელ ფოთოლში რომ გახედო ძალიან ახლოს“ (5; 170). „ატმისფერ სახეს შავად ატყვია წარბები ფართო“ (5; 36).

აღბათ, ძნელად თუ მოიძებნება ხანში შესული მანდილოსნის კდემამოსილებით და სინაზით აღვსილი ისეთი მიძიბიდევილი სახე, როგორც ესმა ონიანმა შექმნა:

„შემოდის შალის გასხვიოსნებით მანდილოსანი, შუბლის გარშემო თეთრი თმების მსუბუქი ქარით, სავარძელში ჩაესვენა მქრქალი სოსანი, კარაქისფერი ქამეოს ნუში გულზე დამკვდარი“ (5; 25).

ამ და მსგავსი ფრაზებით, ფერადოვანი სტრიქონებით ახერხებს ესმა ონიანი მკითხველის თვალწინ წაშალოს ზღვარი პოეზიასა და ფერწერას შორის!

სინერგიის ძალითაა აღსავსე პოეტის მიმართვა მზისადმი:

მზეო „ჩაიწურე, ჩაიღვენთე,
ჩვენს ქულებში ყვითლად ენთე!“ (5; 90)

„ამართული ქვის კომპეები
თითქოს მკვრივი სხეულები.
ყველა ერთად, უცებ თეთრად გამართული
უნდა მოხდეს ზემოთ ცაში

თეთრ მთვარესთან ერთმანეთთან უსასრულო შე-ერთ-ება!“ (5; 94)

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ჯადოსნურ შელოცვას“ (ბოდლერი) ჰგავს ესმა ონიანის ლექსები, რომლებიც თავისი მაგიური პოეტური ძალით, სიღრმითა და გულწრფელობით მართლაც აჯადოებენ მკითხველს და ჩვენს წარმოსახვაში ქმნიან წარუშლელ „სურათებს, ფერთა ხატებს, ფიქრთა დელების ფერად ნამქერს“ (5; 100)

ლიტერატურა:

1. არაბული ა., ენა ჩვენი არსობისა, თბ., 2013.
2. გოგოლაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბ., 2013.
3. კუცია ნ., „მუქი ვარდის სუნი - მედიტაცია“, კრებული - ესმა ონიანი, თბ., 2015.
4. მირიანაშვილი ნ., ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ქართულსა და რუსულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბ., 1983.
5. ონიანი ე. 100 ლექსი, თბ., 2010.
6. ჩიქოვანი ნ., ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ძველ ქართულში, საენათმეცნიერო კრებული, I, 1982.
7. ჯორბენაძე ბ., მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბ., 1983.
8. Berlin b., Kay P., Basic color terms: Their universality and evolution. Berkeley: University of California press. 1969
9. Якобсон Р., Работы по поэтике, М. 1987

Elene Khojevanishvili

Gori State Teaching University

TRANSFORMED COLORS AS POETIC ROWS ACCORDING TO ESMA ONIANI'S POETRY RESUME

The abundance of striking colors in Esma Oniani's poetry is one of the stylistic features of her own language and fictional devices for delivery of the idea originally to a reader. The poet manages to erase the margin between poetry and painting through her colorful rows.. She definitely creates expressive poetic rows with the help of specific vocabulary which express colors, with the syntagmas made by colors and matches her mind with the original, only her own forms. Her poetry gives us a chance to conclude once more that verbal painting or matching colors with the subjects skillfully gains more strength than its different definition. Esma Oniani left us lots of thoughts and discussions along with her poetry, mysterious voices and the poetical world created by the most beautiful colors.

რეზო ჭეიშვილის შემოქმედება „დათობის“ ტროპების კონტექსტში

1960–იანი წლებიდან საბჭოთა მწერლობაში ირონიული ტენდენციების დამკვიდრება ქართული მწერლობისთვისაც ნიშანდობლივი გახდა. რეალური, ცხოვრებისეული მასალისაკენ მოზრუნებამ ქართულ ახალგაზრდულ პროზას დამატებითი ნიშნები შესძინა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1950–იანი წლების შუახანებიდან ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში „დათა“; შესუსტდა იდეოლოგიური ზეწოლა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე; შესაძლებელი გახდა ლიტერატურული ჟურნალებისა და ალმანახების გამოცემა, რომლებშიც პირველად დაიბეჭდა ახალგაზრდა ქართველი მწერლების, მეოცე საუკუნის „სამოციანელების“ ნაწარმოებები. ამ პერიოდში ქართველმა პროზაიკოსებმა შექმნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები – რომანები და მოთხრობები, ნოველები და ნარკვევები, რომლებშიც აშკარად ჩანდა ავტორთა მოქალაქეობრივი სულისკვეთება, ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებული შემოქმედის თვალი, თანამედროვე პრობლემატიკით დაინტერესება. ამასთან ერთად, აშკარად გამოჩნდა ახალი ფორმების, ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიების პროცესი. ლიტერატურული ცხოვრების უფერულობის, ზერელობის, იდეოლოგიური ნიღბით დაცული მხატვრული უსუსურობის ფონზე ახალგაზრდა პროზაიკოსებმა იოლად, „დიმილითა“ და „სიცილით“ დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაში. სწორედ „სამოციანელთა“ პლეადას უკავშირდება რეზო ჭეიშვილის სახელიც. მისი დებიუტი 1962 წელს შედგა მოთხრობების კრებულით „ბზიანეთი“ (მოთხრობები: „ბზიანეთი“, „ჰოპ“, „ჩვენებური ნოველა“, „მერცხლები“, „დუქანი“, „დაბრუნება“, „მთვარიან ღამით“, „გამოცდა“, „ჩემპიონი“, „ლუკა პაჩიოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“, „ბერსათრიელა“). კრებულში გაერთიანებული მოთხრობები ძირითადად ყოფითი ხასიათის იყო. სავსებით გასაზიარებელია მწერლისა და კრიტიკოსის, გ. ხუხაშვილის შენიშვნა: „ბზიანეთი - ეს მწერლის სულიერ ცხოვრებაში არეკლილი სურათებია. გარკვეულ ჩარჩოში მოქცეული „ბზიანეთის“ მხატვრული სახეები ცხადყოფენ მწერლის ორიგინალურ ხედვას. პრეტენზიული განცხადებებისა და პოზიორობის გარეშე მწერალი გვახედებს ადამიანთა სულიერ სამყაროში და მათ საკუთარ აღმოჩენად თვლის, უფრო ზუსტად, თავისად მიიჩნევს. სინამდვილე, რა თქმა უნდა, ერთია და საყოველთაო, მაგრამ ამ სინამდვილის ლიტერატურული ადექვატი ყოველი მწერლის სუბიექტურ ნიშანსაც ატარებს“ [ხუხაშვილი, 1965:141].

რეზო ჭეიშვილის შემოქმედების მკვლევარი, პროფესორი კახაბერ ლორია თავის მონოგრაფიაში მწერლის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდს შემდეგ დახასიათებს აძლევს: „XX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისი. ქართულ სინამდვილეში ჩავლილია ღია რეპრესიებისა და აშკარა, უაპელაციო ტერორის წლები... მთელ იმპერიულ სისტემაში, მთელ საბჭოთა მწერლობაში ისევ და ისევ ინერგება ყბადაღებული მეთოდი სოციალისტური რეალიზმისა, საზოგადოება დგას მორჩილებისა და დეგრადირების გზაზე. ამავე დროს, ბოლშევიზმი იწყებს მორიგ კოსმეტიკას – ე.წ. ხრუმჭოვისეულ „ოტტეპელს“. მწერლობა „გმობს“ უკონფლიქტობის თეორიას, იგი უნდა შეიცვალოს „ვითომ კონფლიქტების“ მსოფლმხედველობით, არა ბოლომდე გააზრებული და გამომზეურებული, არამედ ზედაპირული კონფლიქტებით. ეს არის საკმარისად დრამატული მომენტი მთელი იმპერიის და, კონკრეტულად, ქართული საზოგადოების ცხოვრებაში და მას, ბუნებრივია, ალღოს ალება სჭირდება. მაგრამ, ამავე დროს, ეროვნულ მწერლობაში მოინახა ისეთი ძალები, რომლებიც შეიძლება, არ გამოსულან ოფიციალური კონიუქტურისადმი აშკარა ლიტერატურული კონფრონტაციით, მაგრამ შემდგომში უხმაუროდ, აჟიოტაჟისა და პომპეზურობის გარეშე, მოწამეობრივი გვირგვინის დადგმის გარეშე, შეეცდებიან, ასახონ ჩურჩულით, ყოველგვარი დეკლარირების გარეშე იქადაგონ ჰუმანიზმი და ჭეშმარიტი ადამიანთმოყვარეობა. ეს ტენდენციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომვე ჩნდება და ისინი ნიჭიერ და პატიოსან ახალგაზრდა მწერალთაგან შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. ბუნებრივია, ყოველივე ეს მახლობელია და საცნაური რეზო ჭეიშვილისთვისაც“ [ლორია, 2005:32].

როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი გ. ხუხაშვილი შენიშნავს, რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ავტორ–პერსონაჟის დატვირთვა. ეს მოვლენა ცნობილია როგორც ეროვნულ სინამდვილეში, ისე მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთი ნაწარმოებები ხშირად აღმოცენდებიან როგორც ავტობიოგრაფიული ძირებიდან, ისე ავტორისეული ფანტაზიიდან/ ლიტერატურული გამონაგონიდან. „...და მაინც, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებითაც დასახლებულია რეზო ჭეიშვილის „ბზიანეთი“?

პროვინციული კლუბის ლოტბარი, თეატრის მეორე თუ მეათეხარისხოვანი მსახიობი, რიგითი ბუღალტერი, ღვინის სარდაფის მედუქნეები, ერთი სიტყვით, რიგითი ადამიანები, რომლებიც, თითქოს, არაფერს განსაკუთრებულს არ სჩადიან; თავს არ ადგათ გმირობის შარავანდედი; ცხოვრობენ თავიანთი მშვიდი ცხოვრებით და კეთილ საქმეს აკეთებენ. მწერლის სწრაფვაა თითქოს უმნიშვნელო მოვლენათა წიაღში იპოვოს იდეალური მოძრაობანი ადამიანის სულისა“ [ხუბაშვილი, 1965:166]. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმაც: „რეზო ჭეიშვილის ნოველის გმირები არ არიან განსაკუთრებული გრძნობებითა და ვნებათა დელევით შეპყრობილი, გამორჩეული ადამიანები. ისინი რიგითი, უბრალო ადამიანები, პიროვნებები არიან, რომლებიც ყოველდღიურად გვხვდებიან, ჩვენს გვერდით მოქმედებენ. მათ ცხოვრებაში ხშირად სულ პატარა, უბრალო შემთხვევა ხდება განმსაზღვრელი და გადაწყვეტი. ისინი ხშირად დარდობენ და ფიქრობენ იმაზე, რაც სხვებისათვის შეიძლება, სასაცილო ან, უბრალოდ, მოსაწყენი ერთფეროვნება იყოს. მაგრამ ყოველივე ეს მწერალს იმდენად დამაჯერებლად და ხშირად გროტესკულ, თბილ, იუმორისტულ ფერებში აქვს წარმოდგენილი, რომ მარტივ ხასიათებს, მათ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, გეზულობს მათ ასავალ-დასავალს, ადვილად ექცევა მათი განწყობილებების გარემოში და, ისინი მისთვის საყვარელი და მახლობელი ადამიანები ხდებიან“ [ნიკოლეიშვილი, 1975:167].

სწორედ, რიგითი, „პატარა“ ადამიანებით დასახლებული ზზიანეთი მოექცა მწერლის თვალსაწიერში. აღსანიშნავია, რომ მწერლის დებიუტი, „ზზიანეთის“ სახით, შეუმჩნეველი არ დარჩა 1960-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკისთვის. პროფესორი გურამ ბენაშვილი აღნიშნავდა: „რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა ამ ბოლო დროს რეზო ჭეიშვილმა. ამ მოთხრობებში ჩვენი ცხოვრების ის მხარეებია წარმოჩენილი, რომელთა მოჩვენებითი რესპექტაბელობის ატმოსფერო შინაგანი მოუწყვრებლობის იმგვარი ძალისხმევით სუნთქავს, რომელიც მხოლოდ უნაყოფობისა და უნიადაგო ფაციფუცის ინერციას უკმევს გუნდრუკს. პერსონაჟთა ინდივიდუალურ გამომსახველობას ყოფიერების საერთო დისკარმონიაში თავისი განსაკუთრებული წვლილი შეაქვს. არაფერია მათთვის უნაყოფო, უცხო და არაორგანული დინამიკაში, რადგან იგი მათ მიძინებულ ცნობიერებაში შემოდის თანამედროვე ცივილიზაციის ძლევამოსილი ტენდენციის ლოგიკურ გამოვლინებად“ [ბენაშვილი, 1989:138].

კრებულის ერთ-ერთი საკვანძო მოთხრობა - „ზზიანეთი“ - მხატვრული მიგნებისა და განხორციელების თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესოა. ნაწარმოები საოცარი ლირიზმით გამოირჩევა. მოგვიანებით, აღნიშნული პერიოდის ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესების დახასიათებისას, პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე აღნიშნავდა: „ეს იყო 60-იანი წლების დასაწყისი. ამ დროის კრიტიკას რომ თვალი გადავავლოთ, ვნახავთ, რომ იქ ხშირად მეორდება აზრი ჟანრთა ურთიერთმერწყმის თაობაზე. აღინიშნება, რომ პოეზიაში სულ მეტად იკავებს ადგილს ცხოვრებისეული დეტალის, ფაქტის მნიშვნელობა, ხოლო პროზაში - პოეტურობის მომენტი“ [გაჩეჩილაძე 1986:4]. როგორც ვხედავთ, კრიტიკოსი „დათბობის“ პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტროპზე, *ლირიზმზე* მიუთითებს, რომლის შესანიშნავ ილუსტრირებას ზემოაღნიშნული მოთხრობათა კრებული წარმოადგენს. „ზზიანეთში“ აღწერილია თორმეტი მამაკაცის ნაცრისფერი ყოველდღიურობიდან ამოვარდნილი ის ნათელი მომენტები, როცა ისინი ძალზე ბედნიერად გრძნობენ თავს. ეს ხდება სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, როდესაც თორმეტივე მამაკაცი მიიჩქარის რეპეტიციაზე გუნდურ სიმღერაში. მაესტრო, რასაკვირველია, ქალია, რომელზეც თორმეტივე მამაკაცს გული აქვს შევარდნილი; თუმცა, თითოეული მათგანი აცნობიერებს, რომ ამ გრძნობას გაგრძელება არ უწერია: ზოგი, თამართან შედარებით, უმცროსია, ზოგი - უფროსი, ზოგს - ცოლ-შვილი ჰყავს... და მაინც, ყველა ეტრფის ლამაზ ქალბატონს. მართალია, ცუდი არაფერია ფარულ ტრფობაში, როდესაც სიტყვიერად გუნდის ვერც ერთი წევრი გრძნობების გამჟღავნებას ვერ ბედავს. მომღერლები ვერც იმას აცნობიერებენ, თუ რატომ უყვართ თავიანთი მაესტრო; ფიქრობენ, რომ ეს რთული საკითხია და თავს აიძებნენ, რომ თამარი ვერაფერს ხვდება. სინამდვილეში კი, ქალი ხვდება; იცის, რომ ყველანი ეარშიყებიან და ეს სიამოვნებს, თუმცა არავის აძლევს უფლებას, რომ თავი სხვებზე იმედიანად იგრძნოს. იგი თორმეტივეს უტოვებს უფლებას, რომ მას შესტროფოდნენ [ჭეიშვილი, 1962:7]. რეპეტიციის დასრულების შემდეგ გუნდი იშლება; „გუნდის წევრები პალტოებს იცვამენ; ადგილზე ბაკუნობენ, ხელებს იფშენებენ და იორთქლავენ; ყველა თითქოს ეხლა ხვდება, რომ ციოდა. ისინი ილანძღებიან კლუბის ადმინისტრაციის მისამართით. ამბობენ, რომ: ეს უსამართლობაა, ასე გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია, ნეტავი რისთვის ვიკლავთ თავს ამ სიცივეში, რა ძალა გვადგია, აწი აღარც მოვიდეთო და სხვა...“ [ჭეიშვილი, 1962:12]. ყველანი თავიანთ მონოტონურ ყოველდღიურობას - ოჯახურ, წვრილმან, ყოფით საქმეებს - უბრუნდებიან და მოთმინებით ელიან მომდევნო რეპეტიციას, რომელიც კვლავ შედგება სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს; და მერე ისევ ყველაფერი თავიდან დაიწყება.

გამორჩეული ლირიზმი, რომელიც ნაწარმოებს გასდევს, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მოთხრობის სიუჟეტი საფუძვლად დაედო კინოსცენარს და 1968 წელს შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. ფილმმა შეინარჩუნა მოთხრობის სიუჟეტური ღერძი: აქაც, კვირაში ორჯერ, დარსა თუ ავდარში, სხვადასხვა ასაკის მამაკაცები ბზიანეთის ქუჩაზე არსებულ კლუბში იკრიბებიან, ქართულ სიმღერებს მღერიან და მალულად შესტრფიან გუნდის ხელმძღვანელს. 1969 წელს, კიევში, „ბზიანეთმა“ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და უკრაინის ტელეფილმების X დათვალიერების დიპლომი დაიმსახურა რეჟისორული დებიუტისთვის; 1970 წელს კი, მოსკოვში კინომატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო (ВГИК) კინოფესტივალის პრიზი.

ზემოაღნიშნულ კრებულშია შესული მოთხრობა „გამოცდა“, რომელშიც ავტორი იუმორისტულ ჭრილში წარმოაჩენს ერთ მნიშვნელოვან სათქმელს. შევნიშნავთ, რომ რეზო ჭეიშვილი 1960-იანელთა თაობაში ერთ-ერთი იმათაგანია, ვისაც ყურადღება გადააქვს პერსონაჟის მორალურ-ზნეობრივ ასპექტზე; ამდენად, ხშირად მწერლის მიერ იუმორით გადმოცემული ნარატივი დამაფიქრებელია და გარკვეული სევდის კვალსაც ტოვებს მკითხველში. „ცხელა. დიდ, ნათელ აუდიტორიას მზე ჯიქურ მისდგომია...“; ორმოციოდე წლის ლექტორი, ხვადაგიანი, გამოცდას იბარებს [ჭეიშვილი, 1962:65]. დალილობისგან გათანგულს, არც გამოცდა აინტერესებს და არც გამოსაცდელები: „ერთი შეხედვით ატყობს, რას უპასუხებს სტუდენტი და წინასწარ იცის, რას დაუწერს გამოცდის შემდეგ“ [ჭეიშვილი, 1962:65]. სტუდენტი ბიჭი ძლივს აბამს თავს პასუხს; დამატებით წყაროებად სრულიად ურცხვად ასახელებს თავად ლექტორ ხვადაგიანის ლექციებს, რითაც, ბუნებრივია, გამომცდელს ეპირფერება. საუბარი სხვა მიმართულებას იძენს და ლექტორის „თავმდაბლური“ განცხადება, რომ იგი საუკეთესო ფეხბურთელი ყოფილა და ომშიც გამირობა გამოუჩენია, სტუდენტის მიერ ჰეროიკულ რეგისტრში იქნა გადატანილი. აშკარა პირფერობის მიუხედავად, ხვადაგიანი სტუდენტისთვის მაინც ორიანის დაწერას აპირებს; თან გაიძახის, რომ შვილსაც არ დაინდობს გამოცდაზე. სტუდენტი რაღაცას უჩურჩულებს. მდგომარეობა იცვლება; როგორც ირკვევა, სტუდენტის მშობლები ლექტორის ნაცნობები ყოფილან. ხვადაგიანი „გულწრფელად“ აცხადებს, რომ ყმაწვილმა სამზე იცის საგანი. ამის შემდეგ იწყება დამატებითი კითხვები (დამატებითი კითხვების სახით ლექტორი ეკითხება ახალგაზრდას, თუ როგორ არიან მშობლები, ბებია და ა.შ.), რასაც მოსდევს ლექტორის განცხადება: „არ პასუხობდით ურიგოდ, ხუთი მინდოდა დამეწერა“, რასაც მოყვება სტუდენტის „თავმდაბლური“ პასუხი: „არა უშავს, ოთხი დამიწერეთ, ამ საკითხებს ამ ზაფხულში გადავიმეორებ თავიდან“; და ბოლოს, ლექტორის მხრიდან გაჟღერებული დამავიწყებელი აკორდი: „ოთხს ისედაც გიწერდი, შე კაცო!“ [ჭეიშვილი, 1962:72].

ლექტორისა და სტუდენტის დიალოგს ისმენენ აუდიტორიაში მსხდომი შიშისგან აწურული გოგონები, რომლებმაც ყველა საკითხი ზეპირად იციან; „...თვალს ვერ უმართავენ მრისხანე გამომცდელს. სინამდვილეში ხვადაგიანი ვერც ამჩნევს მათ. იგი სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობს. ხანდახან ამოიოხრებს და კაცი ვერ გაიგებს სიცხე აწუხებს თუ სხვა რამე კიდევ“ [ჭეიშვილი, 1962:72]. ამ ბოლო ფრაზაშიც ავტორის შეფარული ირონიაა; სხარტად, რამდენიმე ნიუანსით იხატება გამომცდელის პორტრეტი არსებული საზოგადოების ფონზე: გაორებული საზოგადოება; ამბიციური, ინდიფერენტული ლექტორი, რომელმაც არ იცის, რისთვის ან ვისთვის იომა; ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენელი, რომელსაც აბსოლუტურად არ აინტერესებს, რა ცოდნა შეიძინეს მისმა სტუდენტებმა; ვერ აცნობიერებს, რაოდენ მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის ცხოვრების საწყის ეტაპზე სამართლიანობის გრძნობის გაღვივება და არა მისი ჩაკვლა. „გამოცდა“ ყურადღებას იპყრობს დახვეწილი გამომსახველობითი ტექნიკით, კომპოზიციური წონასწორობით, პერსონაჟების, ერთგვარ, იმპრესიონისტულ მანერაში წარმოსახვით. თუ განვაზოგადებთ, ტრაგიკომიკური სიტუაცია, რომელიც ავტორმა წარმოაჩინა მოთხრობაში, მხოლოდ გამოცდა არ არის; ეს საზოგადოების მიკროსურათია, მწერლის მიერ ირონიულ პრიზმაში წარმოჩენილი. ზოგადად, ნაწარმოებში უმაღლესი სასწავლებლების გამოცდები და მისი უარყოფითი მხარეებია გაქილიკებული, მაგრამ მწერლის მთავარი სათქმელი ის არის, რომ ამ მოვლენას ორი მხარე აქვს; რომ მასში უარყოფით როლს ასრულებენ არა მარტო გამომცდელები, არამედ აბიტურიენტები და მათი მშობლებიც. აქ შევნიშნავთ, რომ რეზო ჭეიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა წარმოაჩინა ეს საჭირბოროტო პრობლემა და ცალსახად უარყოფითად შეაფასა იგი.

სიტუაციები, რომელშიც რეზო ჭეიშვილის ნოველების გმირები აღმოჩნდებიან, ხშირ შემთხვევაში, გროტესკული და სასაცილოა, მაგრამ ისინი დაცინვასა და გაკიცხვას როდი იმსახურებენ. ეს არის ჭეიშვილისეული კეთილი, თანაგრძნობის სიცილი, რომელიც გმირის სულიერ ვნებათაღელვასთან თანადგომაა, მისი სევდის გაზიარებაა. მწერლის მოთხრობებში ხშირად ჟღერს ოცნებისკენ სწრაფვის სულშიჩამწვდომი მელოდია, უეცრად რომ ამოტივტივდება ჩვეულებრივი ცხოვრების უფერულ, უდიდამო დღეთა შორის. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს მოთხრობა „ლუკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“. მისი მთავარი გმირის, გრიშა ნემსაძის ცხოვრება ისე აეწყო, რომ ყოველდღიურობამ და ცხოვრებისეულმა წვრილმანებმა სრულად შეიწირეს მისი ოცნებები.

ახალგაზრდობაში გრიმას უფრო რომანტიკულად და მიმზიდველად ესახებოდა თავისი მომავალი, მაგრამ მას სულ სხვა გზებით მოუწია სიარულმა. მიყრუებული პროვინციის მკვიდრი, მოკრძალებული გრიმა ნემსაძე „...ოცდაშვიდი წელი მუშაობდა უფროს ბუღალტრად ქალაქ აიას ერთ რიგით საწარმოში. ოცდაშვიდი წელი ერთსა და იმავე თანამდებობაზე, ერთსა და იმავე შენობაში გადააგორა ამ კაცმა. ეს რომ თავიდანვე სცოდნოდა, ჯავრისაგან მოკვდებოდა“ [ჭეიშვილი, 1962:87].

გრიმა ნემსაძემ ღირსეულად უპატრონა ოჯახს, გაზარდა და გზაზე დააყენა შვილები და მოულოდნელად, ოცდაშვიდი წლის შემდეგ გაახსენდა თავისი სიჭაბუკის ოცნებები და ერთბაშად იგრძნო, რომ მან სულ სხვა ცხოვრება გამოიარა, ვიდრე მიზნად ჰქონდა დასახული. მოთხრობის გმირი აცნობიერებს, რომ მისი დაუწერელი დისერტაცია - „ლუკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“ - უკვე ილუზიად იქცა; ის ვეღარ დაიწერება, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ვერ ანებებს თავს მასზე ფიქრს (სიზმრადაც კი ეცხადება პაჩოლი). მეორე მხრივ, გრიმას ცხოვრებაში სხვა ოცნების საგანიც ჰქონდა; მას გატაცებით უყვარდა თავისი ცოლი. მართალია, ლუკა პაჩოლისგან განსხვავებით, მისი ცოლი ცოცხალია, მაგრამ იგი ის არ აღმოჩნდა, ვინც გრიმას უყვარდა. გმირი იხსენებს რომანტიზმით აღსავსე ურთიერთობებს: „ეს მოგონება, სადღაც შორიდან მოდიოდა... მოდიოდა მთვარის შუქზე მოგონებები. ყველა ეს გრიმას შეეძლო დაეთვალი, ან ხელით შეხებოდა რომელიმეს. იგი იგონებდა და უყურებდა იმ ქალს, რომელიც უყვარდა. იმ ქალს გრიმა ეძახდა - „იმას“ ან „ის“, ერთი სიტყვით, ნაცვალსახელში ატრიალებდა... გრიმასა და „იმის“ სიყვარულმა და ცხოვრებამ შემდეგ ისე თვალსაჩინოდ და ხელშესახებად ჩაიარა, რომ გრიმას მისი ბოლო წლების ცხოვრების ყველა მომენტი შეეძლო დაეთვალი, გაეყო, გაემრავლებინა. ახლა „ის“, ე. ი. მისი ცოლი, მეორე ოთახში იწვა. ვინც მეორე ოთახში იწვა, ის იყო ერთი და ნამდვილი, ხოლო ის, რომელიც უყვარდა, იყო უსაზღვრო და არაკონკრეტული. სინამდვილეში ის იყო ის, რომელიც მერე მისი ცოლი გახდა, მაგრამ მისი ცოლი მაინც სხვა იყო და ის კიდევ სხვა“ [ჭეიშვილი, 1962:96]. ავტორის მიერ ფსიქოლოგიურად არის ახსნილი პიროვნების მდგომარეობა, როდესაც ვინმეში გიყვარს არა ნამდვილად „ის“, არამედ საკუთარი წარმოდგენა „მასზე“; როდესაც ფანტაზიისა და რეალობის ზღვარზე იმყოფები; როდესაც შენს ოცნებებს ახდენა არ უწერიათ და აცნობიერებ, რომ შენი ილუზიები საბოლოოდ დასამარდა.

რეზო ჭეიშვილი დაწვრილებით გადმოგვცემს გამოჩენილი იტალიელი მათემატიკოსის, საბუღალტრო მეცნიერების ფუძემდებლის, ლუკა პაჩოლის ცხოვრების ისტორიას, რომელიც ლეონარდო და ვინჩის ერთგული მეგობარი იყო. ლუკა პაჩოლი ის იდეალია, რომელიც, ყველა ახალგაზრდის მსგავსად, გრიმა ნემსაძესაც ჰყავდა ყმაწვილკაცობაში; თუმცა, გულგრილი, ეგოისტი ოჯახის წევრებით გარშემორტყმულმა, რომელთაც მატერიალური კეთილდღეობის გარდა სხვა ინტერესი არ გააჩნდათ, გრიმა ნემსაძემაც თანდათან დაივიწყა დიდი მათემატიკოსის ამალელებული და რომანტიკული სახე. მოთხრობის კულმინაციურ მომენტში, როდესაც მკითხველი გმირისგან გაბედულ ნაბიჯს მოელის, რომელიც სავარაუდოდ, მის ცხოვრებაში გარდატეხას შეიტანს, გრიმა მოულოდნელად გადაწყვეტს ოპერაციის გაკეთებას ხვრინვის შესაწყვეტად, რათა შინაურები აღარ შეაწუხოს. ამგვარად, გმირობა ჩანაცვლებულია ყოფითი ქმედებით; დრამატული - კომიკურით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ავტორს უყვარს ამგვარი მოულოდნელი გადასვლები, რითაც ხშირად აღწევს სასურველ ეფექტს.

ოპერაციის შემდგომ ყველას სძინავს; მხოლოდ „მრავალტანჯულ გმირს“ არ ეკარება რული; „გრიმამ არ იცოდა, ძილში რა ელოდა. არ იცოდა, იხვრინებდა თუ არა, არაფერი იცოდა. ძილბურანში თვლემდა და ეზმანებოდა არა კაპიტალური შრომების ავტორი სივერსი, ვინც მარტივი ბუღალტერია ორმაგ ბუღალტერიაზე გადაიყვანა, არც ქირურგი, რომელმაც პოლიპები ამოაღლიტა და არც ნეაპოლეელი ანგარიშმწარმოებელი ბენედიქტე კოტრელი, არამედ ეზმანებოდა შავ მანტიამი გამოწყობილი, წარბშეკრული ადამიანი, რომელსაც მანტიისავე ჩაბალახი ეხურა და წელზე უბრალო, სელის თოკი ჰქონდა შემორტყმული. ასკეტურად, სადად, მაგრამ პროპორციულად ჩაცმული კაცი იდგა მდუმარედ და სევდიანი, ჰკვიანი თვალებით სადღაც იხედებოდა, უყურებდა თითქოს ყველაფერს ერთად და – არაფერს კონკრეტულად. ეს იყო ლუკა პაჩოლი - გენიალური მათემატიკოსი, პირველი საბუღალტრო წიგნის ავტორი და ყველა მოკვდავთა შორის უპირველესი დიდოსტატის, ლეონარდო და ვინჩის ჭეშმარიტი მეგობარი“ [ჭეიშვილი, 1962:97].

ცხადია, ზემოთ გაანალიზებული ნოველების მსგავსად, აღნიშნულ ნაწარმოებშიც მწერალი ყურადღებას აფიქსირებს უბრალო, „პატარა“ ადამიანზე, რომლის ოცნებები ასე დაუნდობლად შეიწირა ყოველდღიურმა ყოფამ. უნდა აღინიშნოს, რომ მარადიული ადამიანური ღირებულებებისკენ შემობრუნება, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიება - „დათბობის“ პერიოდის ნიშნულ ტენდენციად მიიჩნევა; ამდენად, მათი ასახვა მწერლის შემოქმედებაში სავსებით კანონზომიერია.

რეზო ჭეიშვილი მრავალი საინტერესო და საგულისხმომ ნაწარმოების ავტორია, მაგრამ ჩვენ სტატიაში რამდენიმე მათგანზე გავამახვილეთ ყურადღება. ზემოაღნიშნული ნაწარმოებების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში საინტერესოდ აისახა „დათობის“ ეპოქის ძირითადი მარკერები: გულწრფელობა, ლირიზმი და ირონიულობა. მწერალმა შემოგვთავაზა ჯანსაღი იუმორისა და მამხილებელი სატირის საინტერესო ნიმუშები;
- იუმორთან ერთად, მწერლის შემოქმედებას ახასიათებს გროტესკი, აბსურდულობა, ირონიულობა და გარკვეულწილად, სარკაზმიც. მის ნაწარმოებებში ასახულია სოციალური მოვლენების მძაფრი კრიტიკა, წარმოჩენილია პროტესტი წვრილმანობის, უხეშობის, მეშხანურობის წინააღმდეგ. ზემოთ გაანალიზებული ნაწარმოებები ნათელი ილუსტრაციაა მწერლის სარკაზმისა, რომელიც მიმართულია ადამიანთა შინაგანი (და არა გეოგრაფიული), სულიერი პროვინციალიზმის წინააღმდეგ; იმათ მიმართ, ვისაც გულგრილობის ჭაობში ჩაძირულთ, ნაკლებად აღელვებთ და აფიქრებთ სხვების, მით უფრო საზოგადოების, ქვეყნის საფიქრალი.
- რ. ჭეიშვილი ირონიული გამოხატულების მძლავრ საშუალებად იყენებს მხატვრულ ინტონაციას. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ავტორ-პერსონაჟის დატვირთვა. აღნიშნული მოვლენა ცნობილია როგორც ეროვნულ სინამდვილეში, ისე მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთი ნაწარმოებები ხშირად ავტობიოგრაფიული ძირებისა და მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის ერთობლივ გამოვლინებას წარმოადგენენ;
- სიტუაციები, რომელშიც რეზო ჭეიშვილის პერსონაჟები აღმოჩნდებიან, ხშირ შემთხვევაში, გროტესკული და სასაცილოა, მაგრამ ისინი მკითხველის დაცინვასა და გაკიცხვას როდი იმსახურებენ. ეს არის ჭეიშვილისეული კეთილი, თანაგრძნობის სიცილი, რომელიც ავტორის მხრიდან გმირის სულიერ ვნებათაღელვასთან თანადგომას, მისი სევდის გაზიარებას გამოხატავს;
- რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში წარმოდგენილი ნაწარმოებების თემატური რკალი (ზოგჯერ განსხვავებული, ზოგჯერ მსგავსი ვარიაციებისა) ფოკუსირებულია მწერლის თანადროულ პრობლემებსა და არსებულ რეალობაზე. მწერალი აკვირდება ცხოვრებას და როგორც ქვეყნის გულწრფელი გულშემატკივარი, ქომაგი, ცდილობს იუმორისტულ ასპექტში დაანახოს მკითხველს ცხოვრებისეული/ყოფითი პრობლემების გამო მისი სულის სიღრმეში მიკარგული ის წმინდა სათავეები, რომელთა აღმოჩენა ყოველდღიურ ყოფაში ასე გართულებულა;
- რეზო ჭეიშვილის შემოქმედება მუდამ სინამდვილით საზრდოობს. იგი თავის პერსონაჟებს ყველასათვის ნაცნობ, ხელშესახებ ხასიათებად იაზრებს, რომელთაც თითქოს აკლიათ რაღაც არა ძალზე მნიშვნელოვანი, არამედ უბრალო, უმნიშვნელო, სხვებისთვის არაფრად ჩასაგდები რამ, მაგრამ ისეთი, რომელიც ყველაზე ღამაზად და დამახასიათებლად ავლენს პერსონაჟების კეთილშობილურ, უწყინარ ბუნებას;
- რეზო ჭეიშვილის ნაწარმოებებში კოლორიტულად არის გადმოცემული მწერლის თანამედროვეთა ცხოვრება; ერთი შეხედვით, „უბრალოდ“, მარტივად გადმოხატული ცხოვრებისეული სურათები ზუსტად მიემართებიან მწერლისეულ კონცეფციას და წარმოაჩენენ ქალაქისა და ქალაქის მკვიდრთა ყოფას, მათ ყოველდღიურობას, ფიქრებსა და საზრუნავს, რომელშიც იკვეთება ზოგადად, ქვეყნის ტკივილი და საზრუნავი.
- ჩვენ მიერ ზემოთ გაანალიზებული ნაწარმოებები ნათელი ილუსტრაციაა მწერლის სარკაზმისა, რომელიც მიმართულია ადამიანთა სულიერი (და არა გეოგრაფიული) პროვინციალიზმის წინააღმდეგ; იმათ მიმართ, ვისაც გულგრილობის ჭაობში ჩაძირულთ, ნაკლებად აღელვებთ და აფიქრებთ სხვების, მით უფრო საზოგადოების, ქვეყნის საფიქრალი.

ლიტერატურა:

1. ხუხაშვილი გ. ორი ახალგაზრდა მწერლის პროზა. *ქ. მნათობი*. 1965. N3.
2. ლორია კ. მოწოდებაც და მოვალეობაც. *თბ.* 2005. 202 გვ.
3. ნიკოლეიშვილი ა. რეზო ჭეიშვილის ნოველები. *ქ. მნათობი*. 1975. N1.
4. ბენაშვილი გ. ყოფიერების პროზაული მისტერიები. ლიტერატურულ კრიტიკული ეტიუდები. გამომცემლობა „მერანი“. *თბ.*, 1989. 301 გვ.
5. გაჩეჩილაძე გ. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო*. 1986.
6. ჭეიშვილი რ. ბზიანეთი“. გამომცემლობა ნაკადული. 1962, 110 გვ.

Nana Jalaghonia
Sokhumi State University
WORK OF REZO CHEISHVILI IN “WARMING” TROPE CONTEXT
RESUME

Since the 1960s, the Soviet writings ironic tendencies became the establishment of a significant Georgian literature. Rotation of Real life materials added additional signs to the Georgian youth prose. After Stalin's death, from the mid-1950s Public life " got warmer "; ideological pressure in literature and art have weakened. It became possible to publish literary journals and almanacs, in which was first printed the works of young writers "the sixties" of the twentieth century. As an example we will take this period writer's work Rezo Tcheishvili and try in this article to present a thematic arc (sometimes different, sometimes similar variations) which focuses on the contemporary problems and existing reality of the writer.

ისტორია
History

იოსებ ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რუსეთ-ოსმალეთ-ირანის მიზნები ქართლის სამეფო ტახტის მიმართ
XVIII ს. 20-30-იან წლებში და დომენტი კათალიკოსი

ირანიდან სამშობლოში 1719 წელს დაბრუნებულ ვახტანგ VI-ს უკვე საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, პეტრე I-სა და რუსული ჯარის დახმარებით გაერკვია ისპაჰანთან და შაჰ ჰუსეინთან ურთიერთობა.

1722 წლის 2 ივლისს, რუსეთის იმპერატორი ქართლის მეფეს ბორის თურქესტანოვის (თურქესტანიშვილის) საშუალებით ატყობინებდა, რომ „მალე იგი სპარსეთის სამზღვრებს მიადგება და ამიტომ მეფე (ვახტანგ VI – ი. ა.) საჩქაროდ ლეკებს უნდა დასცემოდა“ [ჯავახიშვილი, 1919:9].

როგორც ჩანს, ვახტანგს მართლა ეიმედებოდა პეტრე დიდის ირანზე ლაშქრობისა. ამავე წლის 19 სექტემბერს, საპასუხო წერილში, იგი რუსეთის იმპერატორს ლაშქრობის დაწვრილებით გეგმას აცნობს: „დიდო მეფეო, ...რაჟამს მოიწია დიდებულნი ბრძანებანნი თქვენ მიერნი ჩვენ ზედან, მაშინ ყენისაგან ჩაფარიც მოგვივიდა, ადრიბეჟანის სპასალარობა ჩვენთვის მოეცათ და ლეკის გარდახდევინება მოეწერათ: ჩვენ ამ მიზეზით და საქმით, ლაშქარს დაუძახეთ, ღთით ოცს მარიამობას, განჯას ჩავალთ. ვინც იქაურნი სომეხნი და თათარნი არიან იმათს ჯარსაც შემოვიყრიოთ, იქიდან ლეკთ მტერობას დავუწყებთ, თქვენის დიდებულის ბძანების მაყურებელნი ვიქმნებითო“ [Броссе, 1861:140].

ვახტანგის იმედი არ ჩანდა უსაფუძვლო. რუსეთის საიმპერატორო კარს სერიოზული საბაზი გააჩნდა კასპიისპირეთში ლაშქრობის დასაწყებად. რუსი ვაჭრები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან და სპარსეთთან ვაჭრობდნენ, ჯერ ერთი, გზებზე მიმოსვლისას მთიელი დაღესტნელების თავდასხმების მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ და მეორეც – სპარსელი მმართველები, რომლებიც რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრებას ეწინააღმდეგებოდნენ, რუსი ვაჭრების მიმართ თვითნებობდნენ [Юзефович, 1869:XII].

რუსეთისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთის ფაქტორიც, რადგან საქმე დასწრებაზე იყო. როგორც ზურაბ ავალიშვილი წერდა: „მთავარი პოლიტიკური სტიმული რუსეთისათვის ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისა, იყო იმის საშიშროება, რომ ირანის დასუსტებით

კასპის ზღვის ნაპირებზე თურქეთი დამკვიდრდებოდა“ [Авваловь, 1901:55]. თუმცა, ამ ეტაპზე ოსმალეთის აშკარა გაღიზიანებას რუსეთი მაინც ერიდებოდა.

სამხედრო მოქმედებებისათვის საბაზი ადვილად გამოიძებნა. პეტრე I-მა ისარგებლა იმით, რომ შემახაში ლეკები და კუმიკები თავს დაესხნენ რუს ვაჭრებს, გამარცხეს და დახოცეს ისინი, ამიტომ 1722 წელს ლაშქრობა წამოიწყო კასპისპირეთში. პორტასათვის რომ ეჭვის საფუძველი არ მიეცათ, პეტრემ მათ შესთავაზა, რომ იქ მათაც გაეგზავნათ დამკვირვებლად თავისი კომისარი [Смирнов, 1958:66].

სტამბოლში ჩრდილოელთა დიპლომატიურ ხრიკებს კარგად ხვდებოდნენ. ამიტომ პეტრე I-ს მოსთხოვეს დაუყოვნებლივ შეეჩერებინა სამხედრო მოქმედებები ერთმორწმუნე და მათ მფარველობაში შესული ლეკების წინააღმდეგ და გაეყვანა ჯარები დაღესტნიდან [Смирнов, 1958:66].

ასეთ რთულ ვითარებაში რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი მეორეხარისხოვნად იქცა, მისთვის ამ ეტაპზე მთავარი ირანსა და ოსმალეთთან ურთიერთობების დალაგება იყო.

ვახტანგ VI-ის გეგმამ, რუსეთის დახმარებით მოეგვარებინა ირანთან ურთიერთობები, კრახი განიცადა. განრისხებულმა შაჰმა ჰუსეინმა ვახტანგი ქართლის მეფობიდან გადააყენა და იგი კახელ კონსტანტინე მაჰმადყული ხანს გადასცა, რომელმაც, 1723 წლის 4 მაისს საქართველოს დედაქალაქი აიღო და ლეკებს გაამარცხა. კონსტანტინემ ესეც არ იკმარა და თბილისის მაცხოვრებლებს 40 ათასი თუმანი შეაწერა, რომელსაც დაქირავებული ლეკებისათვის იყო შეპირებული [კაკაბაძე, 1922:137].

თუ სომხურ ანონიმურ ქრონიკას ვენდობით, დომენტი კათალიკოსი ამ დაპირისპირებაში კონსტანტინეს მხარეს ჩანს, რის სანაცვლოდ კახეთს ჰპირდებოდნენ [Бунятов, 1988:7].

ამასობაში, 1723 წლის აპრილში ოსმალეთსა და ირანს შორის ომიც დაიწყო და ორივე მხარისათვის ქართლისა და კახეთის ხელისუფალთა პოზიცია მნიშვნელოვანი გახდა.

კონსტანტინეს ნამოქმედართ კმაყოფილმა შაჰმა ჰუსეინმა კახეთის მეფეს ერევანიც გადასცა. მანაც არ დააყოვნა და 1724 წლის ივნისში 10 ათასიანი ქართული ჯარითა და ლეკებით აქტიურად ეხმარება ერევნის მოსახლეობას ოსმალთა წინააღმდეგ [აბულაძე, 1975:54].

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და სერასკირ იბრაჰიმ ფაშას 50 ათასიანი ჯარი თბილისისაკენ დაიძრა. კონსტანტინე იძულებული გახდა ქალაქიდან გამოსულიყო და ოსმალთათვის თბილისის გასაღები გადაეცა, მაგრამ დაატყვევეს და ნარიყალაში გამოკეტეს, თუმცა, მან გაქცევა მაღვე მოახერხა და კახეთში გადავიდა.

თბილისის შემდეგ ოსმალებმა გორიც უბრძოლველად დაიკავეს. 1723 წლის 9 ივლისს სულთან აჰმედ III-ს სტამბოლში მიართვეს თბილისისა და გორის ციხეების გასაღებები [გიგინეიშვილი, 1982:72].

რუსეთის იმპერატორის მიერ კასპისპირეთში ლაშქრობის მოშლამ ვახტანგ მეფე უაღრესად მძიმე სიტუაციაში ჩააგდო. ახლა მის მოწინააღმდეგეთა რიცხვში იყვნენ შაჰიც, სულთანიც, კახეთის მეფეც და ქართლის თავადთა ის ნაწილიც, რომლებიც რუსეთის ქართლში დამკვიდრებით უფრო დიდ საფრთხეს ხედავდნენ, ვიდრე სპარსეთის, ან ოსმალეთის მფარველობის ქვეშ ყოფნით.

მალე ვახტანგ VI-ს უკანასკნელი იმედიც გადაეწურა. მეფეს აცნობეს, რომ 1724 წლის 22 ივნისს მის მოიმედე პეტრე I-ს სულთანთან სტამბოლში ზავი დაედო, რომლის ძალითაც ოსმალების მხარეს გადადიოდა ირანის ყოფილი ტერიტორიები აზერბაიჯანში (არდებლის გარდა), საქართველო, სომხეთი და ირანის დასავლეთი ნაწილი. ამის მიუხედავად, ეს ხელშეკრულება რუსული დიპლომატიის წარმატებად ჩაითვალა, რადგან რუსეთი პირველად გახდა საერთაშორისო ურთიერთობების სრულყოფილიანი მონაწილე კავკასიის საქმეებში [Кидирниязовь, 2012:3].

1724 წლის 15 ივლისს, ოჯახისა და დიდი ამაღლის თანხლებით, ვახტანგ VI რუსეთს გაემგზავრა, როგორც გაირკვა, საბოლოოდ.

მეფეს თან გაჰყვნენ შვილები - ბაქარ, გიორგი, ვახუშტი ბატონიშვილები, ძმა - სვიმონი, რომლებიც ასევე ვეღარ ეღირსნენ საქართველოში დაბრუნებას.

ქართლში დარჩნენ ვახტანგის ღვიძლი ძმა დომენტი IV კათალიკოსი და ნახევარძმა იესე, ოსმალთა სამსახურში ჩამდგარი და მუსტაფად წოდებული.

მარცხს ვერც მაჰმად-ყული-ხანი შეეგუა, თუმ-ფშავ-ხეცსურთა ჯარი შეჰყარა, კახელებიც მოიშველია და იესე-ოსმალების წინააღმდეგ გორში წამოვიდა. ბრძოლა მოხდა 1724 წლის 26 სექტემბერს სოფ. ხიდისთავთან, ზედაველას ველზე. კონსტანტინე დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა [ალიმზარაშვილი, 2008:153-162].

იესეს ხელ-ფეხი გაეხსნა. მართალია, ვახუშტის თქმით, ოსმალები „არა უწოდდენ მეპატრონედ“, მაგრამ ქვეყანაში ბევრი რამ მისი კითხული შეიქნა.

ოსმალებმა ქართლში პოლიტიკური ცვლილებები მოახდინეს. დომენტი კათალიკოსმა თავი ლორეს შეაფარა და იქ სამი თვე გაატარა, მაგრამ, როცა ოსმალები იქაც გამოჩნდნენ, ქსნის ერისთავებს შეეხიზნა, სადაც ასევე სამი თვე დაჰყო [Такаишвили, 1885:75].

იესემ ძმის გაცლით ისარგებლა და კათალიკოსად თავისი ფავორიტი ბესარიონი დასვა¹.

ოსმალებმა საეკლესიო ქონება და ყმა-მამული მიმედ დახარკეს. თავადებმა ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და საეკლესიო მამულები კვლავ მიიტაცეს **[ბერძენიშვილი, 1944:179]**.

პატრიარქი ხვდებოდა, რომ წლების განმავლობაში დიდი შრომის ფასად აწყობილი საქმე თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, ამიტომ რაღაც გამოსავლის მოძიება იყო საჭირო. კათალიკოსს დახმარებისათვის მისადმი კეთილგანწყობილ რაჯაბ ფაშასათვის მიუმართავს, რომელსაც ჯერ თბილისში დაუბრუნებია იგი, ხოლო 6 თვის შემდეგ კონსტანტინოპოლს გაუგზავნია სულთნის წინაშე. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „რამეთუ ჰგონებდა მუნიდამ ლხინებასა რასმე ქართლისასა“ **[ყაუხჩიშვილი, 1973:508]**.

თუმცა, არსებობს რამდენიმე საბუთი, რომელიც პატრიარქის სურვილს ოსმალეთში გამგზავრების შესახებ, ეჭვ-ქვეშ აყენებს. მოგვიანებით (1737 წ. 15.05.), რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მისი ოსმალეთში გამგზავრება იძულებითია: „მოვიდა ბძანება ხელმწიფისა (იგულისხმება ოსმალეთის სულთანი - ი. ა.): „თუ მოხვალ და მონახაო, შენსა ქვეყანასაო სამწყსოსა და ეკლესიასა ყოველსავე შევბითა და მყუდროებითა ვამყოფებო“. ამისთვისაცა მეცა ვითარცა გვიბძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე წმინდასა სახარებასა შინა „დასდევ სული შენი ცხოვართა შენთათვისო“, დავსდევ სული ჩემი და წარმუელ წინაშე მათსაო“ **[Броссе, 1861:216-217]**. სხვაგან წერს: „მოვიღინა ბრძანებანი, ქურქი და ფარმანი დიდისა კეისრისა, სულთან აჰმადისაგან, ხოლო ქართლსა შინა ჯდა რაჯაბ, ხოლო ქრისტესიდეგან გარდასულ იყვნეს წელნი ვითარ: ჩღკე (=1725 წ. - ი. ა.), კარზედ ვეხმენით და უარი აღარ გაეწყობოდაო“ **[ჯანაშვილი, 1900:3]**.

ე. ი. პატრიარქის ოსმალეთში გამგზავრება სულთნის მოთხოვნა ყოფილა, გარკვეული გარანტიების სანაცვლოდ და არა დომენტის სურვილი, რაშიც ქვემოთაც დავრწმუნდებით.

პატრიარქის ოსმალეთში გამგზავრების იძულებითი მიზეზი კარგად ჩანს მისსავე ბიოგრაფიულ ნაშრომშიც, სადაც იესე ტლაშადის პირით ამბობს:

„ვის ახსოვს კათალიკოზი ასე ამ გვარად წამდგარა
ქართლისათის შესახვეწებლად ზელმწიფის ტახტის წინ დამდგარა“
[თაყაიშვილი, 1895:35].

„ბაქარიანში“ დეტალურადაა გადმოცემული დომენტი კათალიკოსის ოსმალეთის დედაქალაქში გამგზავრების მარშრუტი. იგი თბილისიდან 1725 წლის 20 აპრილს გასულა² და სტამბოლამდე მანძილი 40 დღეში დაუფარავს. თორმეტი დღის შემდეგ მისულა ერზრუმში, სადაც შვიდი დღე დაუყვია. აქედან გამგზავრებულა ქ. თოღათში, რომლის ახლოს, სოფ. კუკუსოში მოუნახულებია და მოულოცავს იოანე ოქროპირის საფლავი. ოსმანჯუხის ხიდის გავლით მისულა ამასიას, სადაც ულოცია წმ. ბასილის საფლავზე, აქედან - ნიკომიდიას, ქალაქ იზმითს, მოულოცავს წმ. პანტელეიმონის საფლავი და ქ. უსკულარის გავლით ჩაუდწევია სტამბოლს. სულთანთან შეხვედრამდე კათალიკოსს მოუნახულებია აია სოფიას ტაძარი. აქვე შეხვედრია იგი იერუსალიმის პატრიარქ - იერემიას **[თაყაიშვილი, 1895:28-32]**.

ზოგიერთი ცნობით, დომენტი კათალიკოსის ოსმალეთში გამგზავრებამდე, თითქოს იგი იესესთან შერიგებულა (სავარაუდოდ, რაჯაბ ფაშას ინიციატივით). კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის - ანდრეზელის 1725 წლის 24 სექტემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ პატრიარქი აჩქარებს დიდვეზირის მოადგილეს და სთავაზობს მას ქრთამად ორმოცდაათი ათას ეკიუს, რათა დაუმტკიცონ ქართლის მეფობა მუსტაფა-ფაშას (იესეს) და წასვლის ნება მისცენ მას (დომენტის). იმავე წლის 11 ნოემბრით დათარიღებულ წერილიდან ვიგებთ, რომ მუსტაფა-ფაშას საქმე კარგად შეტრიალებულა, ვინაიდან თბილისის ფაშას გამოუწვევია ოსმალეთის მთავრობის უკმაყოფილება. წერილში ხაზგასმულია, რომ დომენტი კათალიკოსი ითხოვდა მეფობას თავისი ძმისათვის **[ნატროშვილი, 1991:533]**.

თ. ნატროშვილს, ძმების ურთიერთობიდან გამომდინარე, ეჭვი ეპარება დომენტის შუამდგომლობაზე იესეს მიმართ და მოჰყავს კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩის რუმინანცევისა და რეზიდენტ ნეპლუევის თავის მთავრობასთან 1725 წლის 28 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნულია: „ქართველი პატრიარქი ისევ აქ არის. ხმა გავრცელდა, რომ მას უშვებენ საქართველოში, მაგრამ პორტას არა სურს იქ ქრისტიანი ხანი და ურჩევნია ოსმალთა ფაშა“ **[ნატროშვილი, 1991:533]**. თ. ნატროშვილს მიაჩნია, რომ ერთადერთი, ვინც შესაძლოა იმ დროს კონსტანტინოპოლში „ქრისტიანი ხანად“ მოეხსენებინათ, დომენტი კათალიკოსი იყო **[ნატროშვილი, 1991:534]**.

იმ დროისათვის დომენტი-იესეს ალიანსს და კათალიკოსის სურვილს საქართველოში გამეფების შესახებ, ჩვენ ნაკლებ შესაძლებლად მივიჩნევთ. ეს დრო უფრო მოგვიანებით უნდა დამდგარიყო. თუ ოსმალებს საქართველოში „ქრისტიანი ხანის“ (დომენტის - ი. ა.) გამეფება არ უნდოდათ, გასუნიტებული იესე-მუსტაფა იქ არ ჰყავდათ?

ვიფიქრობთ, რომ „ქრისტიან ხანში“ დომენტი კი არა, სწორედ იესე უნდა ვიგულისხმოთ, ამ შემთხვევაში სიტყვა „ქრისტიანი“ კონტექსტიდან ამოვარდნილია და უფრო ეთნიკურობის (ქართველობის) მაჩვენებელია. სხვანაირად „ქრისტიანი“ და „ხანი“ ერთმანეთთან შეუთავსებელია.

საქმე იმაშია, რომ ოსმალებმა 1724 წელს მართლაც გაამეფეს იესე და გარდაცვალებამდე (+1727 წ.) მეფობდა, მაგრამ დომენტი კათალიკოსი ამის შემდეგაც არ გამოუშვეს ქართლში. ესეც არ აკმარეს, დააპატიმრეს და „ექსორია“ უყვეს კონსტანტინოპოლის მახლობლად კუნძულზე, მისივე სიტყვით: „რომელსა უხმობენ თათართა ენითა ბოლჩა ადას, ხოლო ბერძნულზე სახელ სძევს ტენედო“ [Такаишвили, 1885:68], სადაც ცხრა წელი დაუყვია. კუნძულ ტენედოსზე კათალიკოსთან ერთად „ექსორირებულ“ იქნენ მასთან მყოფი ქართველები: წინამძღვარი დომენტი გერმანოზიშვილი, წინამძღვარი ელისე მაგალობლიშვილი, მოლარეთუხუცესი პაატა გედევანიშვილი, მეჯინიბეთუხუცესი გაბრიელ ჭარმაული, ანჩისხატის დეკანოზი გიორგი და სხვები [ჯანაშვილი, 1900]. რომელთაც, შემნილი მდგომარეობის მიუხედავად, გადასახლებაშიც არ შეუწყვეტიათ გადაწერა- მთარგმნელობითი საქმიანობა.

ვახუშტი ბატონიშვილი დომენტის დაპატიმრებას რაჯაბ ფაშას გარდაცვალებითა და მის ნაცვლად დასმულ, კათალიკოსის მოშურნე ისაყ-ფაშას მიერ სულთანთან დასმენებით ხსნის: „შეუძნდა პატივი კათალიკოზისა (ისაყ-ფაშას - ი. ა.) და ქართველთა მოწმობითა შეასმინა ხონთქარსაო“ [ვახუშტიშვილი, 1973:509].

იასე ტლაშადის გადმოცემით, გადასახლებაში მყოფ კათალიკოსს გზა-კვალი აურია სულთნის კარზე მოღვაწე საფრანგეთის ელჩის თარჯიმანმა - იოსებ ქართველმა, რომელიც ცდილობდა იგი კათოლიკური საფრანგეთის უპირატესობაში დაერწმუნებინა: „შემოატყუა ბატონსა სიტყვა და სიტყვა მრავალი, თარჯიმნობასა ჩემობდა, იყო აქა-იქ მავალიო“, აღნიშნავს ტლაშაძე [თაყაიშვილი, 1895:35].

ცხადია, საქმე ბევრად სერიოზულად იყო და დომენტი კათალიკოსი სულთნის კარის პოლიტიკურ მძევალს წარმოადგენდა.

არც ვახტანგ VI იჯდა პეტერბურგში უქმად. იგი ცდილობდა რუსეთის მთავრობას უარი ეთქვა 1724 წლის ოსმალებთან დადებულ ხელშეკრულებაზე და საქართველოსათვის ქმედითი დახმარება გაეწია, სამაგიეროდ რუსეთის მხარეზე მთელი საქართველოსა და სომხეთის გამოსვლის გარანტიას იძლეოდა [პაიჭაძე, 1981:139].

რუსული გეგმის მიხედვით, ვახტანგი გილანში უნდა გამგზავრებულიყო და ქართველებსა და სომხებთან ერთად, შაჰთან მიმოწერაც უნდა ეწარმოებინა მისი რუსეთის მხარეზე გადმობირების მიზნით. ამასთან, რუსეთს პორტასათვის არ უნდა ეგრძნობინებინა ხელშეკრულების დარღვევა, ვიდრე ამის საბაზს ოსმალები არ მისცემდნენ, რადგან რუსეთს ჯერ კიდევ არ შეეძლო სპარსეთში აქტიური მოქმედებების დაწყება [პაიჭაძე, 1981:139].

ვახტანგი მართლაც გამოიგზავნა გილანში საგანგებო ინსტრუქციით, მაგრამ იქვე იყო განმარტებული, რომ რუსეთი ქართლის ტახტის დაბრუნებაში ვერ დაეხმარებოდა, სანამ ირანთან ურთიერთობას არ მოაწესრიგებდა [პაიჭაძე, 1981:140].

რადგან მისი სამშობლოში დაბრუნება ამ ეტაპზე გამოირიცხა, ვახტანგმა გეგმა ნაწილობრივ შეცვალა და 1731 წლის მარტში რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივ ხელმძღვანელს - ა. ოსტერმანს მიმართა თხოვნით, რათა სულთნის წინაშე ოფიციალურად დაესვათ საკითხი დომენტი კათალიკოსის ოსმალთა ტყვეობიდან გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ [პაიჭაძე, 1981:170], მაგრამ ვერც აქედან გამოვიდა რამე.

სანამ დომენტი და ვახტანგი გადასახლებაში იმყოფებოდნენ, რუსეთს, ირანსა და ოსმალეთს შორის ხუთი ომი მოხდა და ამდენივე ზავი დაიდო. თითოეულ მათგანში ქართლის სამეფო ტახტის საკითხს გარკვეული ადგილი ეკავა: რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რემტის ხელშეკრულების მესამე მუხლით რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები ქართლისა და კახეთის სამეფოებზე [Юзефович, 1869:190-191].

1731 წელს ოსმალებმა შაჰ-თამასპი დაამარცხეს და ჰამადანის საზავო ხელშეკრულებით ირანმა კვლავ აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს გადასვლა ოსმალთა ხელში [გურული, 2011:15-16].

1732 წლის 21 იანვრის რუსეთ-ირანის რემტის ხელშეკრულების მეორე მუხლით, შაჰი ვალდებულებას იღებდა ქართლის ტახტზე დაბრუნებას ვახტანგ VI-ს, როგორც კი ქართლზე ირანის პროტექტორატი აღსდგებოდა [Юзефович, 1869:201].

რუსებთან დროებითი მშვიდობით ისარგებლა ირანის ტახტზე ახლად ასულმა ნადირ-ხანმა, ქერმანშაჰთან 15 ათასიანი ჯარით 45 ათასი ოსმალთა სასტიკად დაამარცხა და ბაღდადს ალყა შემოარტყა. 1733 წლის 9 დეკემბერს ნადირსა და ოსმალთა აჰმედ ფაშას შორის ზავი დაიდო, რომლის მიხედვით, ირანს უბრუნდებოდა ოსმალთაგან მიტაცებული ტერიტორია: ერევანი, განჯა, შირვანი, თბილისისა (ქართლის) და კახეთის ჩათვლით [Бунятов, 1988:48, შენიშვნა106], თუმცა, სულთანმა მაჰმუდ I-მა (1730-1754 წწ.) ზავი არ ცნო და ირანთან ომი განაახლა. პორტას გეგმის მიხედვით, ყირიმის ხანი ჩრდილოეთიდან,

დადესტინის გავლით უნდა შეჭრილიყო ირანში. ეს ყველაფერი რუსული ტერიტორიების სიახლოვეს ხდებოდა, რაც მის ომში ჩაბმასაც არ გამოორიცხავდა ერთდროულად ირანსა და ოსმალეთთან.

1735 წლის 10 მარტს ირანმა კიდევ ერთი ზავი დადო რუსეთთან განჯაში. შაჰი პირობას იძლეოდა, რომ რუსეთის მუდმივი მოკავშირე იქნებოდა, სამაგიეროდ, რუსეთი ირანს უბრუნებდა რემტის ხელშეკრულებით მიღებულ დარუბანდსა და ბაქოს. ირანის შაჰი კვლავ აღუთქვამდა ვახტანგ VI-ს ტახტზე დაბრუნებას, და, ამას გარდა, დერბენტში არსებული ქართული ეკლესიის დაცვასა და იქ ღვთისმსახურების გაგრძელების უზრუნველყოფის გარანტიას [Юзефович, 1869:204-205].

რუსებთან ზავის დადებისთანავე, ნადირ-ხანმა რეზა ყული მირზა გააგზავნა თბილისზე 50 ათასიანი ჯარით და ოსმალთა ფაშას გარნიზონის განადგურებით დაემუქრა, თუ ციხეს ნებაყოფლობით არ დატოვებდა. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, ოსმალებმა თბილისთან ერთად ქართლიც დატოვეს. ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ კახელი დავით იმამყული ხანის ვაჟი თეიმურაზი დაამტკიცა [Бутков, 1869:134-136].

მაღევე, ქართლის მეფობის კიდევ ერთი პრეტენდენტი თეიმურაზ იესეს ძე, თეიმურაზ II-მ, ნადირ-შაჰის დახმარებით, მოხერხებულად ჩამოიცილა გზიდან. იგი ბერად შედგა ანტონ I-ის სახელით და საერო ცხოვრებას სამუდამოდ განერიდა [ჯავახიშვილი, 2011:75-82; ავალიანი, 1987:15-17].

1735 წელსვე ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ოფიციალური მიზეზი ჩრდილო კავკასიასა და შავიზღვისპირეთში ამ ორი ქვეყნის ინტერესების შეჯახება გახდა [გურული, 2011:24-25; Юзефович, 1869:IV].

ამ ეტაპზე დომენტი კათალიკოსის ფაქტორმა ოსმალეთისათვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. თუ საქმე ისე წავიდოდა, რომ რუსები ვახტანგს, ან მის ვაჟს ქართლში მეფედ გამოუშვებდნენ, ოსმალების საპასუხო ნაბიჯი დომენტის გამეფება უნდა ყოფილიყო. ასე რომ ქართლის მეფობა ვახტანგ-დომენტის სურვილით კი არა, არამედ ბრწყინვალე პორტასა და საიმპერატორო კარის კაბინეტებში წყდებოდა.

თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. „პორტა“ მიხვდა, რომ ერთდროულად რუსეთსა და ირანთან ჭიდილს ვერ შეძლებდა და ძირითადი ყურადღება დასავლეთისაკენ გადაიტანა. „ოსმალეთის“ ნაცვლად ქართლში „ციხილბაშობა“ დამყარდა.

1736 წელს ოსმალებმა ხელშეკრულებაც გააფორმეს ნადირ-ხანთან ერზერუმში, რომლის მიხედვით, ირანის ხელში გადადიოდა თავრიზი, ერევანი, სომხეთი და აღმოსავლეთ საქართველო [Бутков, 1869:134]. ამის შემდეგ, დომენტი კათალიკოსმა, როგორც ქართლის მეფობის პრეტენდენტმა, პორტასათვის აზრი დაკარგა და სტამბოლში მყოფ სპარსელების დიპლომატიურ კორპუსს გადასცეს.

„პორტას“ დედაქალაქიდან პატრიარქი 1737 წლის 15 მაისს წამოუყვანიათ [Броссе, 1861:216-219], მაგრამ ორი წლის შემდეგ იგი კვლავ ამ ქალაქში ჩანს. საბოლოოდ, მხოლოდ 1739 წლის 6 მარტს დაუტოვია იგი [ქორდანი, III, 1967:158].

სამოც წელს გადაცილებული და ცხოვრებაზე საბოლოოდ გულგატეხილი კათალიკოსი, ისევ ერთმორწმუნე იმპერატრიცას სთხოვს მფარველობის ქვეშ აყვანას: „...აქამდინ ბოხჩას ექსორია ვიყენით. ახლა ციხილბაშის ელჩმა გვითხოვა. აქ სტანბულს მოგვიყვანეს. ახლა ამას მოვასხენებთ და ვეხვეწებით, რომ ჩვენი ქვეყანა და სამწყსო საქართველო თათართ როგორ წახდინეს ყველა მოეხსენება. იქ ჩვენთან აღარ გაიძლება, აქ მცველნი და მფარველნი არავინა გვყავს, არცა რა საზრდო გვეპოვება რამ. ამთონი დიდის კელმწიფის წყალობა იყოს რომ ყური მოგვიგდოს, მოწყალება ყოთ, გვიპატრონოთ, ერთს ალაგას დაგვაყენოთ და გაგვადლებინოთ, აშტრახანი იყოს, თუ თერგი, თუ სოლადი, თუ თარღუ, თუ დარუბანდი. ამაებში ალაგში საზდოს და სარჩოს წყალობაც გვიყონ“ [Броссе, 1861:218-219].

სამწუხაროდ, არ ვიცით, რა უპასუხა რუსეთის იმპერატრიცამ კათალიკოსს. უპასუხა კი? ფაქტია, რომ იგი რუსეთის ნაცვლად სამშობლოში ბრუნდება. იმ დროისათვის, მის მრავალრიცხოვან დედმამიშვილთაგან მხოლოდ სვიმონილაა ცოცხალი, ისიც სამუდამოდ რუსეთს გადახვეწილი (თეიმურაზი გარდაიცვალა 1710 წელს, ქაიხოსრო - 1711, როსტომი - 1722, იესე - 1727, ვახტანგი - 1737 წელს). ქართლში დაბრუნების შემდეგ, აღარც დომენტის უცოცხლია დიდხანს. დიდი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოველში [ალიმბარაშვილი, 2013-2015:116].

რაც შეეხება დომენტი კათალიკოსის სურვილს მეფობის შესახებ. იესესა და ვახტანგის გარდაცვალების (+1737 წ.) შემდეგ, კათალიკოსს ქართლის მეფობაზე პრეტენზია, გამორიცხული არ არის, მართლაც ჰქონდა. როგორც ითქვა, „ოსმალეთის“ შემდეგ, 1735 წლიდან ქართლში „ციხილბაშობა“ დაიწყო. ბუნებრივია, ირანელებისათვის ოსმალების კანდიდატი (დომენტი) მიუღებელი იყო, ამიტომ ქართლის ტახტზე კახელ ბაგრატიონს - თეიმურაზს ამზადებდნენ. ამ ფაქტს ქართლები დიდხანს ვერ შეეგუვნენ, რაც „ბაქარიანშიც“ ხაზგასმულად არის ნაჩვენები: „რატომ არ გეთაკილება, თქვენ ხართ ზელმწიფის შვილია, სხვა ვინმე დაჯდეს შენს ტახტზე, კაცი უგბილო, ლბილია“, - მიმართავს ავტორი კათალიკოსს [თაყაიშვილი, 1895:35].

ეს საკითხი მოგვიანებითაც არაერთხელ გამხდარა ქართლელი მუხრანბატონების (აბდულა ბეგი, ანტონ I კათალიკოსი, პაატა ბატონიშვილი, ალექსანდრე ბაქარის ძე) პრეტენზიის მიზეზი კახელი მამაშვილის (თეიმურაზ-ერეკლეს) მიმართ და დომენტი კათალიკოსი გამონაკლისად არ უნდა ჩაითვალოს.

შენიშვნები:

¹ დომენტის ოსმალეთში წასვლიდან (1725 წ.) გარდაცვალებამდე კათალიკოსის მოვალეობას ბესარიონი (ორბელიშვილი) ასრულებდა (+1735 წ.), მაგრამ, რამდენადაც იგი არ უკურთხებიათ, 1705-1741 წ.წ. ქართლის კათალიკოსად ითვლება დომენტი IV [ლომინაძე, 1951:69-70].

² ბ. ლომინაძის აზრით, დომენტი საქართველოდან 1725 წლის თებერვალში უნდა გამგზავრებულიყო, რადგან ამ წლის მარტში კათალიკოსად უკვე ბესარიონია მოხსენიებული [ლომინაძე, 1951:69-70].

დამოწმებანი:

აბულაძე, 1975 - გურჯი ზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი. *თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ*. თბ., 1975.

ავალიანი, 1987 - ავალიანი სერგი. ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბ., 1987.

ალიმზარაშვილი, 2008 - ალიმზარაშვილი სოსო. ზედაველას ბრძოლები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი 2008, № 5-6.

ალიმზარაშვილი, 2013-15 - ალიმზარაშვილი იოსებ (სოსო). კათალიკოსი დომენტი IV. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული „საისტორიო მივანი“, XII, თბ., 2013-2015.

ბერძენიშვილი, 1944 - ბერძენიშვილი ნიკო. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. I, 1944.

გიგინეიშვილი, 1982 - გიგინეიშვილი ოთარ. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.

გურული, 2011 - გურული ვახტანგ. საქართველო და გარე სამყარო (1700-1921), თბ., 2011.

თაყაიშვილი, 1895 - იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი. *ე. თაყაიშვილის გამოცემა*, ტფ., 1895.

კაკაბაძე, 1922 - კაკაბაძე სარგის. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წ.წ.), ტფ., 1922.

ლომინაძე, 1951 - ლომინაძე ბაბილინა, მასალები საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 29, თბ., 1951.

ნატროშვილი, 1991 - ნატროშვილი თამაზ. მაშრიყით-მალრიბამდე, თბ., 1991.

პაიჭაძე, 1981 - პაიჭაძე გიორგი. ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981.

ჟორდანიას, III, 1967 - ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს-ის 60 – იან წლებამდე). *გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ*. თბ., 1967.

ყაუხჩიშვილი, 1973 - ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*, თბ., 1973.

ჯავახიშვილი, 1919 - ჯავახიშვილი ივანე. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში. თბ., 1919.

ჯავახიშვილი, 2011, ჯავახიშვილი ნიკო. აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინების ისტორიიდან. წელიწდეული „საისტორიო კრებული“, ტ. I, თბ., 2011.

ჯანაშვილი, 1900 - ჯანაშვილი მოსე. „საისტორიო და საბიბლიოგრაფიული წერილები“, წერილი „ოდ“, გაზ. „ივერია“, 02. 09. 1900 წ. №191.

Авваловъ, 1901 - Авваловъ Зураб. Присоединение Грузии къ Россiи, СПб 1901.

Бунятов, 1988 - Армянская анонимная хроника 1722-1736 г.г. пер. З.М. Бунятова. Баку 1988.

Броссе, 1861 - Броссе Марри. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1659 г. по 1770 г. СПб 1861.

Бутков, 1869 - Бутков Пётр. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ч. I. СПб., 1869.

Кидирниязовъ, 2012 - Д. Кидирниязовъ, К. Махмудова. Стамбульский договор 1724 г. и его значение для кавказской политики России, Вестник Адигейского государственного университета, серия 1, вып. № 2, 2012.

Смирнов, 1958 - Смирнов Николай, Политика Россii на Кавказе в XVI-XIX веках. Москва 1958.

Такаишвили, 1885 - Такаишвили Еквtime. Материалы для истории Грузии, Тифл., 1885.

Юзефович, 1869 - Договоры России с Востоком (политические и торговые), *собрал и издал Т. Юзефович*, СПб 1869.

ელ-ვერსიები:

http://www.vostlit.info/Texts/rus16/Arm_Chr_1722_1736/frametext.htm

http://books.google.ge/books?id=Jz9MAAAAcAAJ&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false

<http://cyberleninka.ru/article/n/stambulskiy-dogovor-1724-g-i-ego-znachenie-dlya-kavkazskoy-politiki-rossii>

Ioseb Alimbarashvili

Gori State Teaching University

**AIMS OF RUSSIA, OTTOMAN EMPIRE AND IRAN TOWARDS KARTLI THRONE IN 20-30S OF 18TH CENTURY AND DOMENTI, CATHOLICOS OF GEORGIA
RESUME**

In the article is discussed situation of Kartli throne in 20-30s of 18th century.

That period was tough and full of contradictions in East Georgia, when afflicted Vakhtang VI left for Russia together with his family (including heirs of the throne) and retinue in order to resolve problems of Georgia with the help of Empire throne.

Vakhtang VI-th brother was temporarily enthroned in Kartli, who passed away very soon after enthronisation (in 1727), and at first Ottomans supremacy and later Iranian supremacy was established in the country.

Interests, contradictions and political steps of Russia, Iran and Ottoman Empire for the purposes to enthrone their candidate in Kartli are analysed based on documental and narrative sources.

Factor of Catholicos Domenti IV is highlighted and underscored in the article who spent a long period in all three countries (Russia, Iran, and Ottoman Empire).

დავით ახლოური

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქსნის საერისთავოს ურთიერთობა ირანთან შანშე ერისთავის დროს

ქსნის საერისთავო ერთ-ერთი მძლავრი სათავადო იყო აღმოსავლეთ საქართველოში. აქ არაერთხელ შემუშავებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გეგმები, მათ შორის ბახტრიონის ცნობილი აჯანყების (1660 წ.) წინ და შანშე ერისთავის მმართველობის პერიოდში, როცა ჯერ ოსმალეთის წინააღმდეგ უწყევდათ ქართველებს ბრძოლა, შემდეგ ყიზილბაშების...

„ოსმალეთის“ „ყიზილბაშებით“ შეცვლის შემდეგ, შანშე არც ყიზილბაშთა ქართლში მოძალეხას შერიგებია. უფრო მეტიც, იგი მომხდურთა წინააღმდეგ მებრძოლთა მედროშედ გვევლინება. „ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის შეურიგებლობით გამოირჩეოდა შანშე ქსნის ერისთავი. მან თავის მამულში მოიწვია დაღესტნელები, რომელთაც მალაჩი ბელადი მეთაურობდა და ისინი ყიზილბაშებს დაუპირისპირა (დ. მეგრელაძე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 448). შანშე უცხო ტომთა დაქირავების მეთოდს ხშირად იყენებს გარეშე თუ შინაური მტრის მოსაგერიებლად. ახალგორი კი ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო. შანშესთან ერთად ყიზილბაშთა წინააღმდეგ მებრძოლთა შორის იყვნენ გივი ამილახვარი, ვახუშტი აბაშიძე, თარხან ლუარსაბი და სხვები. თუმცა, ქართველებში არ იყო ერთსულოვნება. ყიზილბაშთა ბანაკში აღმოჩნდნენ ბარათაშვილები, ციციშვილები, არაგვის ერისთავი ბარძიმი. „ქსნის საერისთავოს ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ (1736-1741) ოთხ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა ერთგვარი ინტერვალებით“ (დ. გვრიტიშვილი, გვ. 323-324).

ყიზილბაშები აჯანყებული ქსნის ერისთავის დასასჯელად არაერთხელ შეესივნენ მის მამულს. 1736 წლის ივნისს ყიზილბაშებმა მოტყუებით შეიპყრეს კახთბატონი თეიმურაზი, ბარძიმ ერისთავი, გივი ამილახორი, ლუარსაბ თარხანი, გივი ჩოლოყაშვილი, თამაზ ანდრონიკაშვილი, ქაიხოსრო

ჩერქეზიშვილი, „დაიჭირეს ესენი და გაგზავნეს ქალაქის ციხეში და შემდეგ გაისტუმრეს ისპაანში“ (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 68). შანშე ყიზილბაშებთან არ გამოცხადებულა, რის გამოც მათ „ჯარი გაუსიეს მის მამულს“ (დ. მეგრელაძე, გვ. 448). შანშემ ყიზილბაშებთან ბრძოლაში გაიმარჯვა. სეფი-ხანი იძულებული გახდა ბრძოლაზე ხელი აეღო. „გაემარჯვა შანშეს, ჩამოვიდნენ გორს, აქ ნაიბად დააგდო აბდულა ბეგი სეფი-ხანმა, თითონ კი წავიდა ქალაქს“ (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 68).

სეფი-ხანის ქსნის საერისთავოში პირველ ლაშქრობაზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ხოცუაშვილიც: შანშემ „ირანელთა პირველი დარტყმა, შაჰის სახელგანთქმული სარდლის სეფი-ხანის მეთაურობით თავის რეზიდენციაში - ახალგორთან მიიღო. შანშემ უეცარი თავდასხმით ისე გაანადგურა მტერი, რომ ულაშქროდ დარჩენილმა სეფი-ხანმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას და თბილისს შეაფარა თავი“ (ვ. ხოცუაშვილი, ახალგორი, „ლენინელი“, №10, 23.1.1968, გვ. 4).

იმავე 1736 წლის მოვლენად მიიჩნევს ვ. ხოცუაშვილი ნადირ-შაჰის მიერ ქსნის ხეობის ასაკლებად და ხელში ჩასაგდებად სეფი-ხანის მეთაურობით ლაშქრის გამოგზავნას (ვ. ხოცუაშვილი, ახალგორი, „ლენინელი“, №10, 23.1.1968, გვ. 4). საქართველოს ისტორიის ქრონიკების მიხედვით კი ეს ამბავი 1737 წლის მიწურულს უნდა მომხდარიყო (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 69), რაც უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. ნადირ-შაჰს სეფი-ხანისათვის დაუბარებია „თუ დამიჭიროთ შანშე, ყოველი თქვენი საწადელი აღვასრულო და მოგცე წყალობა უშურველი“ (პაპუნა ორბელიანი, გვ. 346). სეფი-ხანს აუღია ციხეები: იკორთა, ვანათი, კულბითი, აწერისხევი, ბეხუშე, მონასტერი, მისდგომია ვახუშტი აბაშიძესაც და დაურბევიათ ციხისძირი, სურამი. დაუტყვევებიათ ერისთავის ცოლ-შვილი (პაპუნა ორბელიანი, გვ. 346). ვერ აისრულა მაინც ბოლომდე გულისწადილი ნადირ-შაჰმა - ყიზილბაშებთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული შანშე ქსნის ხეობიდან იმერეთში გაიქცა, იმერეთიდან - რუსეთში.

ქსნის ხეობიდან განდევნილი შანშე ერისთავის მამული სეფი-ხანს ლევან მუხრან-ბატონისთვის უბოძებია (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 69). მაგრამ მალე ეს მამულები გივი ამილახორის ხელში აღმოჩნდა. „ამავე დროს „საუბარია სეფი-ხანის ქსანზე ჩატარებული დამსჯელი ოპერაციის ახლო პერიოდზე - დ.ა.) ნადირ-შაჰმა ქსნის ერისთავობა გივი ამილახორს უწყალობა“ (დ. გვრიტიშვილი, გვ. 324). გივი ამილახორისადმი შანშე ერისთავის მამულების გადაცემა კიდევ ერთი „ყიზილბაშური ფანდი“ იყო, მიმართული ნადირ-შაჰთან დაპირისპირებული ორი ძლიერი თავადის ერთმანეთთან დასაპირისპირებლად.

რუსეთში გამგზავრებული შანშე კი ცდილობდა რუსთავს ან დახმარება მიეღო, ან თავშესაფარი. „ყიზილბაშთა მოწინააღმდეგე ქართველი თავადები ავალებდნენ (შანშეს - დ.ა.), რომ რუს ხელმწიფისათვის ეთხოვა ბაქარ ვახტანგის ძის სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მაშინ შანშეს მიღება რუსმა დიპლომატებმა საჭიროდ არ ცნეს“ (დ. გვრიტიშვილი, გვ. 324). გაწვილებული შანშე ბრუნდება თავის მამულში, ახალგორში, და განაგრძობს ბრძოლას ყიზილბაშთა წინააღმდეგ, რუსეთიდან შანშე 1738 წელს უნდა დაბრუნებულიყო (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 71). აქედან იწყება ფაქტიურად მისი ყიზილბაშებთან ბრძოლის მეორე ეტაპი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შანშეს იერიში მეზობელ არაგვის საერისთავოზე მიაქვს, რადგან რუსეთში ლტოლვილობის დროს მის ძმას იესეს „წაჰგვარეს ... ცოლი არაგვს ერისთავთა და მისცეს ყიზილბაშთა. ამისათვის შეიკრიბნა შანშემ ლეკნი და მოადგა ანანურს, შემუსრა, აღიღო იგი და მოსწყვდნა არაგვს ერისთავნი სრულიად, რამეთუ არავინ განერა“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 516). შანშეს მიერ ლეკთა ჯარით არაგვის საერისთავოს შემუსვრა 1739 წელს უნდა მომხდარიყო „1739 წელს მოუხდა ქსნის ერისთავი შანშე ლეკის ჯარით ჯერ ხაშმის ციხეს, აიღეს და იავარ ჰყვეს, მერე ანანურს, აიღეს ციხე, შეუპოვარი და ამოწყვიტეს არაგვის ერისთავნი. გიორგის ცოლი ორსული წაიყვანეს და ერთიანად აიკლეს. „აქედან ლეკის თარეში გადავიდა სომხითში და აიკლეს, შემოადგნენ დმანისის ციხეს, მოეშველა სეფიხან განჯიდან დიდის ჯარით და დაამარცხა ლეკნი, დანარჩენი ჯარი ახალგორს მოვიდა, ხაშმის-ანანურის ალაფი იქ შეენახათ“ (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 73). ლეკებს ახმეტის ბოლოს სეფი-ხანი დაწვევია და ქსანსა და არაგვის ხეობაში ნაშოვარი ნადავლი დაუყრევინებიათ (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 73).

შანშე სულ უფრო საშიში ხდებოდა ყიზილბაშებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ყიზილბაშები შანშეს ხელში ჩასაგდებად გადამწყვეტი შეტევისთვის მოემზადნენ. 1740 წელს აბდულა ბეგის დამსჯელი რაზმები არაგვის საერისთავოდან შანშეს მამულებს შეესივნენ. მათ ლომისის მთის გადავლით ცხრაზმის ხეობაში „გარემო სოფლები“ აუოხრებიათ, მაგრამ ახალგორამდე ჩაღწევა ყიზილბაშებმა ვერც ამჟამად შეძლეს. „ვერა ავნესრა ერისთავ შანშეს“ (პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 344-3475).

როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს, ქსნის ხეობის მცხოვრებელთა თანდათან დაღლა დაერთყოთ. შანშეს განუდგა შვილი იოანე, რომელიც 1741 წელს ჯერ იმამ ყული ხანს თბილისში ეახლა, მერე კი შაჰნადირთან გაემგზავრა. ამასთან, „ზოგიერთი ფეოდალი, რომელიც აქამდე ყიზილბაშებს ებრძოდა,

ახლა ყიზილბაშებს შერიგებოდა და შანშეს მტრობდა“ (დ. გვრიტიშვილი, გვ. 324). შანშეს ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო. ნადირ-შაჰი გადაწყვეტი იერიშისათვის და შანშეს ცოცხლად შეპყრობისათვის არაფერს არ იშურებდა. თამამად შეიძლება ითქვას, 1736-1741 წლებში, საქართველოში არავის მიუყენებია იმდენი ტკივილი ნადირისთვის, საერთოდ ყიზილბაშებისათვის, რამდენიც შანშეს.

1741 წლის აგვისტოში ნადირმა იმამყული-ხანს ბეგლარბეგობა უბოძა და ქართლში გამოისტუმრა. მას, ძირითადად, ქსნის ხეობის აოხრებაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ქსნის ხეობაში შემოჭრილ ბეგლარბეგს ქართველთა და სპარსელთა გარდა თან ახლდნენ ინდოელები, ლაურელნი, ფშაურელნი, ოთხი სულთანი და ავღანთა ველური ტომები. „წავიდა ეს ჯარი ქსანს, რა მიეახლნენ მუხრანს აბელადეს ამილახვარი გივი, ვითარცა ხელმწიფეს ბელადობა მისთვის დაედვა, გაყვეს ჯარი სამად, მისცეს ერთი ჯარი არავის ერისთავს და გარდუსიეს ლომისზე, მეორე ჯარი ქსანზე შევიდა და მესამე ჯარი ლიახვზე. უყვეს თარეში, ააოხრეს ქსანი, დაწვეს, დაატყვევეს, ამოწყვიტეს ურიცხვი, დააქციეს ციხეები ან საცა კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა“ (პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 346) შანშე ერისთავმა ოჯახთან ერთად აწერის ციხეს შეაფარა თავი. „მაშინვე მივიდა ხანი ღამითვე და შემოადგა გარს, ვედარა სძლო შანშემ და გაიპარა ციხიდან, თავის ძმა იესე და მცირე რამ კაცნი თან გაიტანა, შეიარა ხეობაზე, მივიდა ახალციხესა, შეეხვეწა ფაშას, შეიწყნარეს პატივით და დააყენეს ქალაქსა შინა“ (პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, გვ. 346). უნდა აღინიშნოს, რომ ყიზილბაშთა ლაშქარმა ქსნის ხეობის ბოლომდე დამორჩილება ვერ შეძლო. ჟამურის ხეობაში „ოვსთა აოტეს ხანი“ (ვახუშტი, გვ. 517). ახალციხის ფაშამ კი დამარცხებული ერისთავი ნადირ-შაჰს გადასცა.

მძიმე შედეგები მოჰყვა შანშეს შეურიგებელ, თავგანწირულ ბრძოლას ოსმალთა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ქსნის ხეობაში. „ირანელთა წინააღმდეგ ოთხწლიანმა აჯანყებამ და ოსმალ-ყიზილბაშ-ლეკთა განუწყვეტელმა თარეშმა ქსნის ხეობა დიდად დააზარალა... ისედაც განადგურებულ-აყრილი ხეობა ნადირ-შაჰმა ერთგული სამსახურისთვის ველურ ავღანელებს გადასცა ბოლომდე გასამარცხად. იოლი წარმოსადგენია, თუ რა დღე დაადგებოდა დაუცველსა და უპატრონოდ მიტოვებულ ქსნის ხეობას და ერისთავების საიმედო რეზიდენციას - ახალგორს.

ასე მოიშალა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლის ეს აქტიური კერა. ამიერიდან ახალგორს და საერთოდ ქსნის ხეობას მეფის კარი დაეპატრონა, ერისთავის მოვალეობას კი ფორმალურად გივი ამილახვარი ასრულებდა.

1744 წელი მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ისტორიაში. თეიმურაზ II ქართლის, ხოლო ერეკლე II კახეთის მეფე ხდება. თეიმურაზის შუამდგომლობით, 1745 წელს, ნადირ-შაჰის მიერ ნაწამები, თვალეზდათხრილი შანშე ირანიდან საქართველოში დაბრუნდა. 1747 წელს კი ერეკლე II-მ შანშეს კვლავ უბოძა ერისთავობა და ქსნის საერისთავოს მაცხოვრებლებს შანშეს ერთგულებისაკენ მოუწოდა: „ქსნის საერისთავოს აზნაურშვილნი და გლეხნი, ოსო და ქართველნი, მთისა და ბარის კაცნი, - თქვენ ისევ ბატონის შანშე ერისთავისათვის წყალობა გვიქნისხართა და გვიბომბისხართ, ყველანი ამას მოუდექით, რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე ემსახურებით (სცსსა, ფ. 229, დავ. 23, საბ. 238). პაპუნა ორბელიანის მიხედვით, შანშე და მისი ქსნისხეველები ერეკლეს ქართლის გამგებელი აბდულა-ბეგის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებოდა: „უბოძა მეფემ ერეკლემ შანშეს ისევ ერისთავობა ქსნისა და მამული თვისი და სთხოვა ჯარი. შეიყარა მაშინვე კაი ჯარი და ჩამოვიდა ქალაქს და დაუდვა ფიცი მტკიცე, პატრიარქიცა თავდებობითა“ (პაპუნა ორბელიანი, გვ. 400). როგორც ჩანს, შანშე განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა ქსნის ხეობაში. ამ ავტორიტეტს ანგარიშს უწევს ერეკლე II, უბოძებს შანშეს ერისთავობას და სთხოვს ჯარს. გარეშე და შინაურ მტერთა ბრძოლების მიუხედავად, შანშეს კვლავ შემორჩენია ანგარიშგასაწევი საომარი ძალა.

სამწუხაროდ, ვერც თეიმურაზისა და ერეკლეს ერთგული დარჩა შანშე ერისთავი „არა დაცხრებოდა ამასაცა ორგულობისაგან მეფეთასა“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H ფონდი, საბ. 138). შანშეს ორგულობას ხაზგასმით აღნიშნავს ერეკლე: „ჩვენს ორგულობაში მოკვდაო“ (სცსსა, ფ. 226, საბ. 352). ერეკლემ შანშე ღალატისათვის შეიპყრო და 1753 წელს ერისთავობა მის ძმისშვილს დავითს გადასცა. დატყვევებული შანშე თბილისში გარდაიცვალა.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006.
2. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.
3. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), 1955.
4. მეგრელაძე დ., ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973.

5. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, 1981.
6. ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., მეფის ირაკლი მეორის დროის ცოტა ამბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი, 1981.
7. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტები მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980.
8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 229, დავ. 23, საბ. 138.
9. სცსსა, ფ. 226, საბ. 352.
10. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H ფონდი, საბ. 138.
11. ხოცუაშვილი ვ., ახალგორი, „ლენინელი“, №10, 1988.

Davit Akhlouri

Gori State Teaching University

RELATIONSHIP IRANIAN DUCHY OF QSANI PERIOD OF SHANSHE ERISTAVI RESUME

Qsnis Magistrates residence which drag out in the Akhalgori increase center of political importance for Akhalgori. Especially it can be say period of Shanshe Eristavi. In the eighteenth century residence of Qsani several times inveded. At first Empire of Ottoman and then Kissas. This work is about residence of Qsani and relationships of Iranian when Omalos change kizilbas. Kizilbas rebelled against of Qsnis Erisravi because punished them. This battle last four years for more than.

რომან გოგოლაური

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიეთის ქტიტორ ხუაშაქის ვინაობის საკითხისათვის

სამცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფერსათის ქედის სამხრეთი კალთის ერთ-ერთ განშტოებაზე, მდინარე წინუბნის წყლის (აბანოს ხევი, გურჯლის ხევი) მარცხენა მხარეს, მაღალ გაშლილ გორაკზე, წიწვოვანი ტყის შუაგულში მდებარეობს ბიეთის გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც ვ. ბერიძის შენიშვნით „მეოთხე მნიშვნელოვანი ძეგლია სამცხისა“ საფარა-ზარზმა ჭულესთან ერთად ჯაყელთა სამცხის კულტურულ-რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. როგორც ე. თაყაიშვილი ფიქრობს, ვახუშტი სწორედ ბიეთის ტაძარს გულისხმობს, როცა წერს: „ამ ხევზედ არს წნის ზეით, მონასტერი, მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი გუმბათიანი და აწ უქმი“ (ვახუშტი, 1973: 663). მაგრამ აქ არც სახელწოდებაა მითითებული და არც ტაძრის მდებარეობაა სწორად ნაჩვენები და იგი მაღალ კლდეზე არ დგას - შენიშნავს ვ. ბერიძე (ბერიძე, 1955: 155). მართალია ეს ჩვენთვის საინტერესო საკითხს ცოტა სცილდება, მაგრამ დავძენთ, რომ ვახუშტის ზემოთ აღწერილი ტაძარი, წნისის ხევში, არის ხომის მონასტერი.

როგორც ჩანს, ვახუშტი არ იცნობს სამცხეში მდებარე ბიეთს და თავის გეოგრაფიულ აღწერაში ბიეთს არ უთითებს. „ჩრდილოდამ მოერთვის მტკვარს წინუბანს აბანოს ხევი, გამოსდის ფერსათს და მოდის სამხრით“ (ვახუშტი, 1973: 663). სახელოვანი მეცნიერი მხოლოდ შიდა ქართლში მდებარე ბიეთს იცნობს: „არს მონასტერი მეჯვდის მდინარის დასვლეთად, მთის ძირში, ბიეთს, მონასტერი კეთილს მშვენიერს ადგილს“ (ვახუშტი, 1973: 368).

სამეცნიერო თვალსაზრისით პირველი ცნობა ბიეთის შესახებ დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის. ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიის“ I წიგნის შენიშვნებში მკვლევარი წერს: „ბიეთის საყდარი თუმცა მდებარეობს ოთხ ვერსზე, აწყურვიდან, მაგრამ იმაზე ორ-სამ წლამდე სრულებით არა ვიცოდით რა, ვიდრე შემთხვევით არა ვცანით მისი არსებობა. ახლა ჩვენ გვაქვს იმისი ფოტოგრაფიული

სურათი, ერმაკოვისგან ჩემის თხოვნით გადმოღებული და ვინც ნახავს იმას, იმედი გვაქვს დარწმუნდება, რომ ეს დიდი გუმბათიანი ეკლესია ერთი უკეთესთაგანია ახალციხის მაზრაში“ (ბაქრაძე, 1885). მონასტრის შესახებ დიმიტრი ბაქრაძისათვის ივანე გვარამაძეს უცნობებია, მასვე გამოუგზავნია ეკლესიის წარწერიანი ქვა, რომელიც აჟამად დაკარგულად ითვლება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერმაკოვის მიერ გადაღებული სურათი ტაძრის პირველყოფილი სახის წარმოსადგენად და მისი ხუროთმოძღვრების ანალიზისთვის, პრაქტიკულად ერთადერთი წყაროა, რაც მის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის.

ვინაიდან ჩვენთვის საინტერესოა ბიეთის აღმშენებლის ვინაობა, პირველ რიგში საჭიროა გაირკვეს მისი აშენების თარიღი.

პირველი მკვლევარი, ვინც ბიეთის მონასტრის მეცნიერული აღწერილობა მოგვცა იყო ექვთიმე თაყაიშვილი. მან ბიეთი 1902 წელს მოინახულა და მონასტერს პატარა ნაშრომიც მიუძღვნა, სადაც იგი წერს: „... О Биетской церкви до сих порь мало что знали. Мы имели только фотографический снимокъ Ермакова и одно упоминание у Д. Бакрадзе, что ему доставлена священникомъ Гварамадзе надпись изъ... Биети, въ которой собственныя имена не разбираются, а корониконь 215, если онъ верно снятъ соответствуетъ 995 г. Такого короникона на Биетской церкви как мы видели нетъ“ (ჭუმბურიძე, 1975). მართალია ბიეთის სამშენებლო წარწერა თარიღს არ შეიცავს, მაგრამ წარწერაში მოხსენიებული დაქარაგმებული სახელი „ԷԿԻ“ ე. თაყაიშვილმა წაიკითხა, როგორც „ხუაშაქი“ და იგი თამარის თანამედროვე ხუაშაქი ცოქალად სცნო და ამდენად ტაძრის აგება XII-XIII სს-თა მიჯნას მიაკუთვნა (Такаишвили, 1909: 3-5).

1932-33 წლებში სამცხე-ჯავახეთში, სიძველეთა შესწავლის მიზნით იმოგზაურა ისტორიკოსმა გიორგი ბოჭორიძემ. მისმა ჩანაწერებმა მზის შუქი მხოლოდ 1992 წელს იხილა, როდესაც წიგნად გამოიცა (ბოჭორიძე, 1992). წიგნი გამოსაცემად მოამზადეს დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა და ლ. ხუციშვილმა. წიგნი აქტუალურია ქართველოლოგიის ბევრი დარგისათვის, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხს - ხუაშაქის ვინაობას და მისი მოღვაწეობის ხანას მკვლევარი არ შეხება.

1946 წელს ბიეთი მოინახულა ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ძეგლის ცალკეული ხუროთმოძღვრული დეტალები და მოგვცა მისი სრულყოფილი მეცნიერული ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა ძეგლის აგების თარიღის დადგენისა (ბერიძე, 1955). ძეგლის დათარიღებისას ვ. ბერიძისათვის სწორედ ნაგებობის არქიტექტურული იერსახის ანალიზი იყო ამოსავალი: გუმბათი ყელის ექვსი ნამდვილი და ექვსი ცრუ სარკმელი, მისი თქმით, „საკმარისია ძეგლის დასათარიღებლად“. მეცნიერის დასკვნით, ტაძრის აგების თარიღი XIII ს-ის მიწურულში თავსდება. ბიეთი შესრულების დონითა და ტრადიციით ემსგავსება XIII-XIV საუკუნის საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლებს. „ბიეთის ტაძარი, საფარა, ზარზმასა და ჭულესთან ერთად, კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიმუშია ჩვენი ხუროთმოძღვრების ევოლუციისა XIII-XIV ს-თა ეპოქაში. (ბერიძე, 1955:164). ვ. ბერიძის ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი ბიეთისადმი მიძღვნილი ფუნდამენტალური გამოკვლევაა, რომელსაც ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

1974 წელს ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ დაიბეჭდა ვაჟა სამსონიძის წერილი „სამცხის ხუროთმოძღვრება“, რომელიც სამცხის ისტორიულ ძეგლთა მეტად მძიმე მდგომარეობას ასახავს. ავტორი ძეგლის ქტიტორის შესახებ არაფერს გვამცნობს. ისმის მოწოდება ძეგლის გადაუდებელი რესტავრაციისათვის (სამსონიძე, 1974). ჩვენი მხრიდან დავსკვნთ, რომ სამწუხაროდ ძეგლი დღესაც იგივე მდგომარეობაშია, უნიკალური ფრესკები ჩამოშლა-ჩამორეცხვის საშიშროების წინაშეა და მისი აღდგენა-რესტავრაცია დღეისათვის საშურ საქმეს წარმოადგენს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო პროფ. შ. მესხია ნაშრომში: „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში“ (მესხია, 1979). მისი აზრით, ავაგის ასულს ხოშაქს უნდა ეკუთვნოდეს ბიეთის ტაძრის აშენება სამცხეში, რომელიც XIII ს-ის მიწურულს უნდა მივაკუთვნოთ (მესხია, 1979, 262).

2007 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა მკვლევარ გურამ კუტალაძის წიგნი „ბიეთი“ (კუტალაძე, 2007), სადაც გარდა აღნიშნული ძეგლისა, განხილულია ხეობაში არსებული თითქმის ყველა ისტორიული ღირსშესანიშნაობა. აღნიშნული ნაშრომი ბიეთისა და მთლიანად ხეობისადმი მიძღვნილი დღემდე ერთადერთი სრულყოფილი აკადემიური შრომაა. ჩვენი სტატიის გარკვეული ნაწილი ამ ნაშრომს ემყარება. ძეგლის დათარიღებაში გ. კუტალაძე ეთანხმება მკვლევარ ვ. ბერიძეს და მას XIII-XIV ს-ის ძეგლად მიიჩნევს. (კუტალაძე, 2007: 25).

აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი, ამჯერად გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“, რომლის 2016 წლის მაისის N209-ე ნომერში თამაზ ჩიკვაიძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „მნიშვნელოვანი სიახლე ბიეთის ეკლესიის შესახებ“. ავტორი სავსებით იზიარებს პროფესორ შოთა მესხიას მოსაზრებას ბიეთის აშენებელ ხუაშაქის ვინაობის შესახებ (ჩიკვაიძე, 2016) და ამ ვერსიის გასამყარებლად მოჰყავს გიორგი კალანდიას მიერ 2006 წელს ქობერში (სომხეთი) ახლად აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ოთხი სტრიქონისაგან შედგება და შემდეგნაირად იკითხება: „ესე

ს(ა)ფლ(ა)ვი ივ(ა)ნე მ(ა)ნდატ(უ)რთ(უ)ხ(უ)ც(ე)სისა ას(უ)ლისა და გურკენელისა ს(უ)ლას მეუღლისა თამ(ა)რისი, შ(ე)უნდვენ ღ(მ)ერთმან“ (კალანდია ასათიანი, 2012:173). ე.ი თ. ჩიკვაიძის ვარაუდით, მანდატურთუხუცესის, ივანე მხარგრძელის ასულის თამარის, გათხოვება სულა გურკლელზე საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ ხუაშაქ მხარგრძელს ყოფილ გურკლელთა ფეოდალურ მამულში მონასტერი აეგო. სამწუხაროდ ჩვენ ამაში ვერანაირ ლოგიკას ვერ ვხედავთ და ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

დღეისათვის ბიეთის ტაძარს ორი სამშენებლო წარწერა შემორჩა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკურთხეველში გამავალი კარის თავზე ორ ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც ბოჭორიძეს ასე აქვს წაკითხული: „ქრისტე ადიდე ხოში, რომელმან ესე საყდარი აღაშენა“. „ქრისტე, წმინდაო ღმრთისმშობელო მეოხ ეყავ ხოშასა შვილითურთ ორთავე შინა ცხოვრებასა“ (ბოჭორიძე, 1992: 37). ვ. ბერიძეს, რომელიც ასე კითხულობს წარწერას: „ქრისტე ადიდე ხ-ში, რომელ ესე საყდარი აღაშენა. წმინდაო ღვთისმშობელო მეოხ ეყავ ხ-შ-სა შვილითურთ ორთავე შინა ცხოვრებასა“. არც კი ეეჭვება, რომ „ხ-ში“ სხვა პირის სახელს ფარავს, დასანანია, წერს ის, რომ ჩვენ ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვს ამ ქარაგმის სწორად ამოხსნისათვის და ამგვარად, ამ წარწერის საფუძველზე ვერც თარიღის საკითხს გადავწყვეტთ სასურველი სიზუსტით“ (ბერიძე, 1955:163).

მეორე სამშენებლო წარწერა მინაშენის კარის თავზე ჩასმულ ორ ქვაზეა შესრულებული. წარწერის სრული ტექსტი ასე იკითხება: „ქწ. მე თოხასძემან ზაალ აღვაშენე წმინდა ესე ეკვტერი შესავედრებლად მშობელთა და ჩუენთა მიცვალეულთათვის, ქორონიკონსა რჰა“. ეს დრო კი წარწერის ქორონიკონის მიხედვით 1493 წელს (181-1312=1493) უდრის. გ. კუტალაძის შენიშვნით, აღნიშნული თარიღი მხოლოდ ამ მცირე მინაშენის აგების ამბავს გვამცნობს და არა მთელი ეკლესიისა. სამწუხაროდ, ეკვტერის მაშენებლის შესახებ რაიმე დამატებითი ინფორმაციის მოძიება ჯერჯერობით არ ხერხდება. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ის თავისი დროისათვის სოციალურ იერარქიაში დაწინაურებულ პირად გვევლინება (კუტალაძე, 2007:30).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიეთის ტაძრის აღმშენებელია ვინმე ხ-ში, რომელსაც ერთი შვილი ჰყავს და რომელიც საერთოდ არ იხსენიებს მეუღლეს. ამასთან ერთად მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ „ხოშა“ ქალის სახელია. ბუნებრივად ისმის კითხვა, მაინც ვინ უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი ხოშა?

პროფესორ შ. მესხიას ცნობით XII- XIII საუკუნე იცნობს სამ ხოშაქს: 1) რატი სურამელის დედა ხვაშაქ ცოქალი, 2) ხოშა (ხოშაქი) ივანე მხარგრძელის მეუღლე ა 3) ხოშაქი (ხოშა) ივანე მხარგრძელის შვილიშვილი, ავგ სარგისის ასული (მესხია, 1979:261). პროფესორი ვ. სილოგავა გარდა ხვაშაქ ცოქალისა მარტო მხარგრძელთა გვარში ოთხ ხვაშაქს ასახელებს: 1) ივანე მხარგრძელის მეუღლე ხუაშა, 2) ივანე მხარგრძელის შვილიშვილი, ავგ სარგისის ასული, 3) შანშე ზაქარიაძეს მეუღლე ხვაშა, 4) ივანე შანშეს ძის მეუღლე ხუაში (სილოგავა, 1990:117). გარდა ზემოხსენებული ისტორიული პიროვნებებისა, XII- XIII ს-ის ისტორია კიდევ იცნობს რამდენიმე ხოშაქს. ესენია:

1. გიორგი III-ის (1156-1184) სამეფო კარის მსახურთუხუცესის აფრიდონის მეუღლე ხოშა, რომელიც თრიალეთში ქვემო ჯინისში წმინდა გიორგის ეკლესიის მაშენებელია. წარწერა ასე იკითხება: „სახელთა ღვთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა მომადლა ღმერთმა მე, ხოშაქს ერისთავ-ერისთავისა მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმას ასულსა, აღშენებაი წმინდის ამის ეკლესიისა ვარძიისა ღმრთისმშობლისა სამსახურებად...“

2. ქართლის ერისთავის ბეგა სურამელის ასული ხვაშაქი, მეუღლე ბედან დადიანისა, რომლის შესახებ ცნობა დაცულია ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერებში. ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „ღვთისმშობელო დედოფალო, შემწე, მეოხ და მფარველ ეყავ გულსმოდგინედ მამკობსა წმიდისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ერისთავთ-ერისთავისა მანდატურთუხუცესისა ბედანსა დადიანსა და დიოფალოთ-დიოფალოსა ხვაშაქსა, რომლისა შემოწირვითა მოიჭედა ზურგი ესე“ (ქორდანია, 1897:129).

3. ალაპი სილხან ხვაშაქის გაზრდილისა, რომელიც XIII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება (მეტრეველი, 1962: 142).

4. სახელი ხვაშაქ ასევე გვხვდება უშგულის თემის სოფელ ჩაქაშში მაცხოვრის ხატის XII- XIII საუკუნეების წარწერაში: „წახანელიძე ვახტანგ და მისი მეუღლე ხუაშაქი“. როგორც მკვლევარი რ. თოფჩიშვილი ფიქრობს, ასეთი გვარსახელი სვანეთში დადასტურებული არაა. ხატი აქ ალბათ გარიდან უნდა იყოს შემოტანილი. გვარსახელი ორი სუფიქსითაა (-ელ+ძე) ნაწარმოები და ტოპონიმ წახანს უკავშირდება. (თოფჩიშვილი, 2015:59).

ამრიგად ზემოთ დასახელებულ ამ ცხრა ხოშათაგან, არცერთი არ შეიძლება მივაკუთვნოთ ბიეთის აღმშენებელ ხოშაქს, ვინაიდან არცერთ მათგანს, აქამდე არსებული პირდაპირი თუ ირიბი ცნობებით არავითარი შეხება არ ჰქონია სამცხესთან. როგორც ვნახეთ, ჩამოთვლილ ხოშათა შორის ოთხი მხარგრძელთა გვარის წარმომადგენელია.

ჩვენი აზრით ბიეთის აღმშენებელი უნდა იყოს შანშე I მანდატურთუხუცესის შვილის ზაქარია ამირსპასალარის ქალიშვილი ხოშაქი, რომელიც თავისი ბების შანშე I-ის მეუღლის ხოშაქის მოსახლე უნდა ყოფილიყო. ამდენად საინტერესოა მხარგრძელის მოხსენიება გურკლელთა სოფელში. რა ხელი ჰქონდა მას სამცხის ჩრდილო-დასავლეთ განაპირა სოფელში? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მოკლედ შევხვით მხარგრძელთა საგვარეულო ისტორიას.

მხარგრძელთა წინაპრები წარმოშობით ქურთები იყვნენ, რომელთაც ჯერ კიდევ თავიანთ პირველსაცხოვრისში მიიღეს ქრისტიანობა-მონოფიზიტობა. ამიტომ იძულებული გახდნენ გასცლოდნენ, გამოყოფოდნენ ქურთულ ტომებს და თავი შეეფარებინათ სომხური მონოფიზიტური ეკლესიისათვის. ასე იქცნენ მხარგრძელთა წინაპრები „სჯულით სომხებად“. მაგრამ მათი გადმოსახლება ამიერკავკასიაში ისეთ დროს დაემთხვა (XI ს. შუაწლები), როცა სომხური პოლიტიკური ერთეულები ან მოშლილი იყო, ან დაცემის გზაზე იდგნენ. ძორაკერტის, ლორე-ტაშირის სამეფო, სადაც მხარგრძელთა წინაპრებმა პირველი თავშესაფარი ჰპოვეს, სულ მალე (XII ს-ის დამდეგი) საქართველოს შემოუერთდა და ამ ყოფილი სომხური სამეფოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად გაბატონდა ქართული სახელმწიფო და ეკლესია თავისი ენით. ასე რომ, მხარგრძელთა წინაპრები თითქმის მაშინვე მოექცნენ ქართული სახელმწიფოსა და ქართული ფეოდალების სამსახურსა და გარემოში. მხარგრძელთა „სჯულით სომხობას“ არ დასცალდა ენითა და კულტურით გასომხებამდე მისვლა - უკეთ რომ ვთქვათ, მათი გასომხების პროცესის დამთავრება. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ ქურთული წარმოშობის საგვარეულო მხარგრძელთა ქართულ საგვარეულოდ აქცია. მალე გაქრა მათი „სომხობის“ ერთადერთი ნიშანიც – სარწმუნოებრივი კუთვნილება.

მხარგრძელთა წინაპრები, ლორე-ტაშირის კვირიკიანთა ყოფილი სამეფოს შემოერთების შემდეგ საქართველოს მეფეებისა და ქართველი ფეოდალების სამსახურში დგებდნენ. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილის, თავისთავად საინტერესო მითითება სარგის მხარგრძელის წინაპრების „შეყვარების“ შესახებ თამარის მამა-პაპათა მიერ. მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს სამოხელეო ასპარეზზე დაწინაურების პირობები გიორგი III-ის დროიდან შეექმნათ. სწორედ გიორგი III-ის დროიდან დაიწყო მეტნაკლებად მნიშვნელოვანი როლის შესრულება საქართველოს სამეფო კარზე. პირველი ამ მხრივ სარგის მხარგრძელი იყო.

მკვლევართა უმეტესობა სარგის მხარგრძელის გამოჩენას საქართველოს სამეფო კარზე და მის დაწინაურებას გიორგი III-ის მიერ 1161 წ. ანისის აღებას უკავშირებს. თამარის მეფობის დროს კიდევ უფრო დაწინაურდა მხარგრძელთა საგვარეულო. ამ დროს ასპარეზზე გამოდიან ზაქარია და ივანე მხარგრძელები.

მხარგრძელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გიორგი რუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. გიორგი რუსის აჯანყებამ მხარგრძელებს კიდევ უფრო დიდი წარმატება მოუტანა: ივანე მხარგრძელს, ვარდან დადიანის სახელოსთან, მსახურთუხუცესობასთან ერთად მისი ყოფილი სამფლობელო, კაენი გადაეცა და დადიანთა სხვა სამფლობელოც კაეწონიც მიემატა. ზაქარიას ამირსპასალარობა ებოძა და ლორესთან ერთად რუსთავიც მას გადასცეს. ზაქარია ვარამის ძეს გაგი და მისი მიმდგომი ტერიტორიები ებოძა. სარგის ვარამის ძეს უბოძეს თმოგვი. ამრიგად, გიორგი რუსის აჯანყებამ თამარის წინააღმდეგ ისეთივე როლი შეასრულა მხარგრძელთა დაწინაურების საქმეში, როგორც ორბელთა აჯანყებამ მხარგრძელთა გამოჩენასა და საქართველოს სამეფო კარზე მათი პოზიციების განმტკიცებაში (მესხია, 1979: 298).

ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ყველა მისი ადგილ-მამული ლორე-ტაშირი, ანის-შირაკი და ამ დიდი ქონების შესაბამისი ატრიბუტი - სახელოები, მანდატურთუხუცესისა თუ ამირსპასალარის სათანადო წოდებებითურთ მხარგრძელთა საგვარეულოს კუთვნილებად დარჩა. ზაქარიას შემდეგ თამარ მეფემ ამირსპასალარის სახელო მის ძმას, მსახურთუხუცეს ივანეს გადასცა. ჩანს, რომ ივანემ „უღირსად ჩათვალა“ თავი ასე „დიდად დიდი“ პატივის მიღებისა, ასევე მისი სახელგანთქმული ძმის შემდეგ ამ თანამდებობით მოხსენიებისა და მეფისაგან ახალი თანამდებობის შემოღება და მისთვის ბოძება მოითხოვა (მესხია, 1979: 309). ეს ახალი თანამდებობა ათაბაგობა იყო, რომელიც გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროში და მეფეთა აღმზრდელის ფუნქციას წარმოადგენდა.

მხარგრძელთა საგვარეულოს პირველი შტოს წარმომადგენელთა სახლებში კი ზაქარიას გარდაცვალების შემდეგაც სამი მაღალი თანამდებობა იყრიდა თავს - ათაბაგის, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის. ივანე სპასალარი, რომელიც ამჯერად ერთადერთი იყო მხარგრძელთა ამ ორ სახლში, რომელსაც შეეძლო რეალურად გაძლოდა ამ თანამდებობებს, ყოველნაირად ცდილობდა მათ შენარჩუნებას და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ყველას ვინც კი შეიძლებოდა ამა თუ იმ თანამდებობის რეალური პრეტენდენტი ყოფილიყო. სწორედ ეს იყო მხარგრძელთა და ახალციხელთა შუღლის მიზეზი და სწორედ ამიტომ დალუპა ივანე მხარგრძელმა შალვა ახალციხელი - ამირსპასალარის თანამდებობის ყველაზე უფრო შესაძლო კანდიდატი (მესხია, 1979:314).

საქართველოს სამეფო კარის დიდმოხელე იყო აგრეთვე ივანე მხარგრძელის მემკვიდრე ავაგ-სარგისი. იგი განსაკუთრებით დაწინაურდა მამის, ივანეს გარდაცვალების შემდეგ. ჟამთააღმწერელი მას ათაბაგად და ამირსპასალარად მოიხსენიებს. ავაგი 1250 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა მცირეწლოვანი ქალიშვილი ხოშაქი, ასევე თავისი ბების მოსახელე. ავაგის ქვრივი, რაჭის ერისთავის კახაბერიძის ასული გვანცა, დავით ულუმ შერთო ცოლად. „...ხოლო ქალი იგი ავაგისი (ხუშაქი - რ.გ) დაუტევა მამულსა თვისა ზედა, და შეავედრა მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო, კაცი ბრძენი და გონიერი და კეთილისგანმზრახავი და ჰაეროვანი. ძალითა ფრიად ძლიერი და მორკინალი რჩეული... ესე შეყვარებულ იქმნა ყაენ ულოსაგან (ჰულაგუ - რ.გ) და იწყო განდიდებად და გონიერებითა მისითა მეფემენცა დავით პატივ-სცა და შევედრა სახლი ავაგისი“. ე.ი. სადუნ მანკაბერდელს, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ჰულაგუ ყაენის წინაშე, მეფემ დავით ულუმ ავაგ ათაბაგის სამფლობელო უწყალობა. ხოშაქი ჯერ ჰულაგუ ჰაენს (1256-1265), ხოლო შემდეგ აბალა ყაენის (1265-1282) ვაზირს, საჰიბ დივანს, ხოჯა შამსედინს მოსთხოვდა (ქართლის ცხოვრება, 2008: 593). ეს სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით 1269 წელს მოხდა (მესხია, 1979:262). ხოჯა შამსადინი არღუნის გადაყენების (1284წ.) დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამით აიხსნება, რომ არღუნმა „სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბ დივანს“, მისცა დემეტრე მეორეს. პროფესორ შ. მესხიას ვარაუდით, საჰიბ დივანის მეუღლე ხოშაქი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დემეტრე მეორის ურდოში წასვლის წინ. „მივიდა ქუეყანასა ხუშაგისა ავაგის ასულისა, მუნ დახვდა მე მისი დავით, რომელი იგიცა წარიტანა“ (ქართლის ცხოვრება, 2008:625). მისივე ცნობით, ხვაშაგ ავაგის ასულის ხსენება ჟამთააღმწერელის თხზულებაში წყდება. როგორც ჩანს, იგი XIV საუკუნის დამდეგისათვის უკვე ცოცხალი აღარ უნდა იყოს (მესხია, 1979:262). სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან, არათუ XIV ს-ის დამდეგისთვის აღარაა ცოცხალი ხუშაგი, არამედ სათუთა მისი ცოცხლად მოხსენიება XIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოსთვისაც, რადგანაც წყაროში მოხსენიებული „მივიდა ქუეყანასა ხუშაგისა ავაგის ასულისა“, ჩვენი აზრით, უფრო გეოგრაფიული პუნქტის განმარტებისთვის არის ნახმარი და არა ხუშაგის ცოცხლად აღნიშვნის გამო.

სწორედ ავაგის ასულ ხუშაგს (ხოშა) მიიჩნევს პროფესორი შ. მესხია ბიეთის მონასტრის ამშენებლად, ხოლო გიორგი ბრწყინვალეს გამეფებასთან დაკავშირებით ჟამთააღმწერლის ტექსტში საქართველოს მთავართა შორის მოხსენიებულ „ზაქარია, ავაგის ასულის ხუშაგის ნაშობს (ქართლის ცხოვრება, 2008:652) მის შვილად.

კვლავ გვგვადება კითხვა: რა ხელი ჰქონდა ლორე-ტაშირის დიდი ფეოდალისა და საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარის ქალიშვილს ხუშაგს (ხოშა) სამცხეში, ნუთუ ქვემო ქართლში არ მოიძებნა შესაბამისი ადგილი მონასტრის ასაგებად? სამწუხაროდ ჩვენ არანაირი საბუთი არ გავგაჩნია კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, ბიეთის აღმშენებელი უნდა იყოს ზაქარია ამირსპასალარის ქალიშვილი, რომელსაც თავისი ბების, შანშე I-ის მეუღლის ხოშაქის სახელი უნდა რქმეოდა. ამის შესაბამისი ცნობა დაცული არ არის არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში. ეს არის ჩვენეული ვარაუდი, რის ახსნასაც ქვემოთ შევეცდებით.

ზაქარია შანშეს ძემ ამირსპასალარობა ავაგის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ამირსპასალარად მოიხსენიებს მას ჟამთააღმწერელი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ზაქარია აჯანყებულ დავით ულუსა და სარგის ჯაყელს მიემხრო, რის გამოც ჰულაგუ ყაენმა იგი სიკვდილით დასაჯა 1261 წელს. შვილის დაღუპვამ დიდად იმოქმედა შანშეზე და ისიც იმავე წელს გარდაიცვალა. სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განმაცემის ცნობით ზაქარია დაქორწინებული იყო უხტიაცის (ოლთისი) მფლობელ სარგისის ასულზე (განმაცემი, 1976: 236), რომლის სახელსაც იგი არ უთითებს.


სარგის ჯაყელის სახლობიდან მხოლოდ სამი წევრი ჩანს: ესაა თანამეცხედრე თეკლა, ასული უსახელოდ და მე ბექა (სიხარულიძე, 1975:36).

შეეხო რა პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებულ ქობერის (ქობაირი) მონასტრის XIII- XIV სს-ის საფლავის ქვების წარწერებს, პროფ. ვ. სილოგავამ გამოთქვა ვარაუდი, „რომ გარდა პ. მურადიანის მიერ გამოქვეყნებული ეპიტაფიებისა, ქობერის მონასტრის ეზოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ეს წარწერები აღმოჩნდა კიდევ არის მოსალოდნელი სხვა დღემდე უცნობი საფლავის ქვების ქართული წარწერების გამოვლენა (სილოგავა, 1990: 111).

2012 წელს „საისტორიო კრებულში“ გამოქვეყნდა გიორგი კალანდიას და ქეთევან ასათიანის მასალები ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შედეგებისა, სადაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთი უცნობი საფლავის ეპიტაფიამ. წარწერა ასე იშიფრება: [სა] რდლისა ჯაყელისა ასულსა რუსუდანს შეუნდოს ღმერთმან“ (კალანდია, ასათიანი, 2012:179). წარწერა XIII საუკუნის II ნახევრით შეიძლება დავათარილოთ. მკვლევარი გ. კალანდია ხაზს უსვამს შემდეგ მოსაზრებას: „XIII საუკუნის მესამედსა და XIV ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდატურთუხუცესობა, ათაბაგობა და სამცხის სპასალარობა ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს

ხელში აღმოჩნდა. სწორედ ამ ფაქტორით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ჯაყელის ასული ქობერში იკრძალება? ანუ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ტაძარი მოცემულ პერიოდში საქართველოს მანდატურთუხუცესთა საძვალე იყო? ჯერ მხარგრძელებისა, შემდეგ კი ჯაყელებისა (კალანდია, ასათიანი, 2012:180). ჩვენ აქ ამაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ დავსძენთ რომ სარგის I ჯაყელის ასულის ვინაობა აქამდე უცნობი იყო, მაგრამ ქობერში აღმოჩენილმა ზემოაღნიშნულმა ეპიტაფიამ, რომელსაც კირაკოსის ცნობაც ამყარებს, საშუალება მოგვცა, გაგვერკვია, რომ ის იყო ზაქარია ამირსპასალარის მეუღლე რუსუდან ჯაყელი. რუსუდანი გარდაცვალების შემდეგ ქობერში დაიკრძალა. ჩვენი აზრით, სწორედ ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის ასული უნდა იყოს ბიეთის აღმშენებელი ხუაშაგი (ხოშა). მის შესახებაც ისმის ანალოგიური კითხვა: რა ხელი ჰქონდა მხარგრძელთა შთამომავალს სამცხის ამ განაპირა სოფელში? როგორც ჟამთააღმწერლის ცნობებიდან ჩანს, იგი ერთ დროს გურკლელთა ფეოდალური სახლის სამფლობელო იყო. როგორც ჩანს, ეს მამული მოგვიანებით ჯაყელებმა ჩაიგდეს ხელში. ჯერ კიდევ XIII ს-ის 60-იან წლებში გურკელი მურვან მახუნჯაგის ძე გურკლელის სამფლობელოა (ქართლის ცხოვრება, 2008: 594), ხოლო ყაენისაგან სამცხის „ხან-ინჯუდ შეწყალების შემდეგ ეს მხარე მთლიანად ჩამოსცილდა საქართველოს. გურკლელთა მამული სოფ. გურკლელთან ერთად კი გაძლიერებულმა ჯაყელთა სახლმა შეიერთა. (გოგოლაური, 2015). ეს უნდა მომხდარიყო 1266 წელს. ამ დროიდან, ჩვენი აზრით, გურკელი უნდა გადაქცეულიყო სამხითვე მამულად, რომელიც სარგის ჯაყელმა ქალიშვილს რუსუდანს უბოძა. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მისი ქალიშვილი ხოშაქი თავის შვილთან (ასეა ბიეთის წარწერაში) გადმოდის სამხითვე მამულ გურკელში და აქ აშენებს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას. შესაძლებლად მიგვაჩნია ხოშაქიც ბიეთის მონასტერში იყოს დაკრძალული. ამას მომავალი კვლევა-ძიება გვიჩვენებს. ყურადღებას მივაქცევთ ჟამთააღმწერლის თხზულების ერთ ადგილს, კერძოდ გიორგი ბრწყინვალეს მეფედ დამტკიცების შემდეგ მასთან ვხედავთ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას ზაქარიას, რომელსაც უცნობი მემატინე „ავაგის ასულის, ხუაშაქის ნაშობს“ უწოდებს. ჩვენი აზრით, აქ ნახსენები ავაგი არ უნდა გავაიგივოთ ივანე ათაბაგის ძე ავაგ სარგისში. თუ წყაროში ნახსენები ხუაშაქი მართლა ავაგ სარგისის (ათაბაგ ამირსპასალარი) შვილია, თანაც ერთადერთი, მაშინ რატომ არ უნდა დაერქვა თავისი შვილისათვის პაპის სახელი ავაგი, ან თუნდაც დიდი პაპის ივანეს (ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, სპასალარი) სახელი. მეორე და უმთავრესი აქ ის არის, რომ პროფ. შ. მესხიას მიერ ბიეთის აღმშენებლად დასახელებულ ხუაშაქს, არანაირად ხელი არ შეუვიდოდა სამცხის ამ განაპირა სოფელ გურკელზე და შესაბამისად ვერც ტაძარს ააშენებდა. რაც შეეხება ჟამთააღმწერელთან მოხსენიებულ ზაქარიას, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის შვილიშვილი, ბიეთის აღმშენებელ ხოშაქის ვაჟი, რომელიც ტაძრის საამშენებლო წარწერაში ხოშაქთან ერთად მოიხსენიება. ზაქარია, რომელმაც ჩვენი ვარაუდით აღზრდა მიიღო სამცხეში პაპის სარგის ჯაყელის კარზე, თანშეზრდილი უნდა ყოფილიყო ასევე სამცხეში აღზრდილ გიორგისთან (გიორგი V) და როგორც ჯაყელთა და მხარგრძელთა გვარის წარმომადგენელს, არ უნდა გასჭირვებოდა სამეფო კარზე რაიმე თანამდებობის მოპოვება. ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს ეწინააღმდეგება ჟამთააღმწერლის მიერ ხუაშაქის მოხსენიება ავაგის ასულად. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საკმე უნდა გვქონდეს გარკვეულ ხარვეზებთან, რომელიც ან ჟამთააღმწერლის, ან კიდევ გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე. „ასწლოვანი მატინე“ მართალია ძირითადად მაინც ისტორიული წყაროების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ სავარაუდოა მას ზეპირი გადმოცემებითაც ესარგებლა, რისი კვალიც აშკარად ჩანს თხზულებაში. მაგრამ ნარატიულ წყაროთა მონაცემების საფუძველიანი შესწორება და შევსებაც შესაძლებელი ხდება ეპიგრაფიკული მონაცემებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დახმარება გავიწვია ქობერში აღმოჩენილმა უცნობი საფლავის ეპიტაფიამ, რომელიც რუსუდან ჯაყელს ეკუთვნის. სწორედ ამ წარწერამ საშუალება მოგვცა გადაგვეფასებინა ბიეთის ტაძარზე არსებული წარწერის შესახებ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ავაგის მოხსენიებას, ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს არა ათაბაგ-ამირსპასალარი ავაგ-სარგისი, რომელიც 1250 წელს გარდაიცვალა, არამედ ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ავაგ სარგისი შანშეს ძე, რომელიც ბიძა იყო ხუაშაქ ზაქარიას ასულისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზაქარია და მისი მამა შანშე ერთსა და იმავე წელს (1261 წ) გარდაიცვალნენ. ცხადია, მცირეწლოვანი ძმისშვილის (ხუაშაქი) აღზრდა ავაგ სარგისს უნდა ეკისრა და მისი ეს მამობრივი მზრუნველობის ანარეკლი აისახა კიდევ ჟამთააღმწერელთან. საინტერესოა, ვინ იყო ხოშაქის მეუღლე? შესაძლოა ის იყო რომელიმე მონღოლი მოხელე ან ნოინი, რომელიც მიზეზთა გამო ვერ მოხვდა ბიეთის წარწერაში.

მამასადამე, მხარგრძელთა ფეოდალურ სახლში წყაროებისა და ჩვენი ინტერპრეტაციის მიხედვით სახელი ხუაშა შემდეგ პოზიციებში დასტურდება:



როგორც ჩანს, სახელი ხუაშა მხარგრძელთა ფეოდალურ სახლში ხუთჯერ დადასტურდა: ერთხელ რძალ-დედამთილის და ორჯერ ბებია-შვილიშვილის სახელად. აქედან ქრონოლოგიურად უკანასკნელი ხუაშა უნდა იყოს ბიეთის ამშენებელი, რომელიც XIII- XIV სს მოღვაწე უნდა იყოს.

ამრიგად, ქობერში აღმოჩენილმა უცნობი საფლავის ეპიტაფიამ, რომელიც ყველა მონაცემის მიხედვით სარგის I ჯაყელის ასულს რუსუდანს ეკუთვნის, საშუალება მოგვცა მეტი დაბეჭდვით ვამტკიცოთ, რომ ბიეთის მონასტრის აღმშენებელი არის ზაქარია ამირსპასალარისა და რუსუდან ჯაყელის ასული, რომლის სახელი უცნობი იყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ვივარაუდეთ, რომ მას ხუაშა ერქვა, ისევე როგორც მის ბებიას - ზაქარიას დედას. პირდაპირი წყაროების უქონლობის გამო, საბოლოო ჭეშმარიტების დასადგენად ამკარად იგრძნობა ახალი წყაროებისა და არგუმენტაციის მოპოვების საჭიროება.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი, 1973 - ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
2. ბერიძე, 1955 - ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955.
3. ბაქრაძე, 1885 - დ. ბაქრაძე, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“ წ. I., შენიშვნები, ტფ., 1885.
4. ჭუმბურიძე, 1975 - ზ. ჭუმბურიძე, ტოპონიმიკური ძიებანი, თსუ შრომები, 164, ენათმეცნიერება, თბ., 1975.
5. Такаишвили, 1909 – Э. Такаишвили, Материалы по археологии Кавказа, XII, СПб., 1909.
6. ბოჭორიძე, 1992 - გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
7. სამსონიძე 1974 - ვ. სამსონიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1974.
8. კუტალაძე, 2007 - გ. კუტალაძე, ბიეთი, ახალციხე-თბილისი, 2007.
9. მესხია, 1979 - შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში, თბ., 1979.
10. ჩიკვაძე, 2016 - თ. ჩიკვაძე, მნიშვნელოვანი სიახლე ბიეთის ეკლესიის შესახებ, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, N209, მაისი, 2016.
11. კალანდია, ასათიანი, 2012 - გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შედეგები, საისტორიო კრებული, თბ., 2012.
12. სილოგავა, 1990 - ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, მაცნე, ისტორიული სერია, N4, თბ., 1990.

13. ჟორდანია, 1897 - თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. II, ტფ., 1897.
14. მეტრეველი, 1962 - ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.
15. თოფჩიშვილი, 2015 - რ. თოფჩიშვილი, სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი, თბ., 2015.
16. ქართლის ცხოვრება, 2008 - ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.
17. Гандзакеци, 1976 – Киракос Гандзакеци, История Армении, М., 1976.
18. სიხარულიძე, 1975 - ი. სიხარულიძე, სამცხის სამტავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII-XIV სს, კრებ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის საკითხები, VIII, ბათუმი, 1975.
19. გოგოლაური, 2015 - რ. გოგოლაური, გურკლელთა ვინაობის საკითხისათვის, მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „განათლება XXI საუკუნეში“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, საქართველო, 13-14 ნოემბერი, 2015.

Roman Gogolauri
Samtskhe-Javakheti State University
THE ISSUE OF IDENTITY OF KHUASHAK FROM QITTOR
RESUME

In samtskhe, on the left bank of the river Tsinubnistskali is situated is built by the Khuashak (Khosha). According to researchers the tempk was built in the XII-XIII century. During this peried is observed about nine Khuashaks. According to our research this temple must be built by Zakaria Amirspasalari and by the daughter Rusudan, who was the daughter of Sargis I Jakeli. Her name was is unkoun, but we just assumed Hat his name was Khuasha, as well as her grandmoher who was mother of Zakaria. Due to lack of direct sourcer we need to find new sources and arguments to outline the ultimate truth.

გიორგი გოცირიძე, ქეთევან გიგაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შამილი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის პროვინცია გახდა. თავისთავად, ამ პატარა პოლიტიკური ერთეულის მიერთება არ წარმოადგენდა დიდ მნიშვნელოვან ინტერესს უზარმაზარი რუსეთისათვის, მაგრამ ჩრდილოეთის იმპერიას სხვა მიზნები ჰქონდა, რომელიც დაკავშირებული იყო მის წინსვლასთან როგორც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისკენ, ასევე სპარსეთისკენ.

მეფის რუსეთმა კავკასიონის ქედის გადმოღმა უბრძოლველად ჩაიგდო ხელში მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფორპოსტი, გზა გახსნა სამხრეთისაკენ, მაგრამ ამ გზაზე გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდა დაუმორჩილებელი, თავისუფალი კავკასიის მოსახლეობის სახით. ექვსი ათეული წელი მიმდინარეობდა ბრძოლა კავკასიის დამორჩილებისათვის. ამ ბრძოლაში რუსეთის იმპერიამ მიმართა ყველა ხერხს, გამოიყენა ყველა საშუალება კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის წინააღმდეგობის გასატეხად.

ბრძოლის ამ არსენალში დიდი წარმატებით იყენებდა საქართველოს მოსახლეობას, რომლის საშუალებით, პრაქტიკულად, მოახერხა კავკასიის დაჩოქება. ამ ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ რუსეთის სამხედრო ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ქართველი პოეტი და

საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი და კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი შამილი.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის საფუძველზე, წარმოვაჩინოთ ამ ორი ისტორიული პიროვნების ურთიერთობა, რათა მეტი წარმოდგენა შეგვექმნას მათ მსოფლმხედველობაზე, მათ ადგილსა და როლზე ისტორიის მოცემულ დრამატულ პერიოდში, ადგილობრივი მოსახლეობის შამილისადმი დამოკიდებულების ევოლუციაზე. გრიგოლ ორბელიანის წერილებში არც ერთ ისტორიულ პიროვნებაზე იმდენი არ არის საუბარი, რამდენიც შამილზე. ამასთან ერთად, მისი წერილები საუცხოო წყაროა კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის განწყობების, სურვილების, დამოკიდებულებებისა თუ აზროვნების წესის გასაცნობად.

გრიგოლ ორბელიანსა და შამილს შორის არსებული ურთიერთობები მოიცავს როგორც ბრძოლას იარაღით ხელში ერთმანეთის წინააღმდეგ, ისე ორბელიანის მცდელობას შამილის გავლენისაგან მოსახლეობის გასათავისუფლებლად.

მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვისადმი 1843 წლის 14 ივლისით დათარიღებულ წერილში გადმოცემულია გრიგოლ ორბელიანის მიერ თავის საგამგებლო ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ, რომლის მიზანიც აქ რუსეთის ხელისუფლების გამტკიცება იყო. მას ყველაზე სერიოზულ პრობლემად შამილის გავლენისაგან ადგილობრივი მოსახლეობის განთავისუფლება მიაჩნდა: „დამრჩა შამილა, რომლისა პარტია იყო და არისცა უხილავი, და ამით უფრო არის საშიში, რომ სარწმუნოებაც აქუსთ ერთი“, - ნათქვამია წერილში (ტ. II, 161).

წერილებიდან ნათლად ჩანს, როგორ ცდილობდა გრიგოლ ორბელიანი ჩაწვდომოდა შამილის მოქმედებების სტრატეგიას და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებასაც აღწევდა (ტ. II, 162-163). მას მუდმივი ყურადღების ქვეშ ჰყავდა დაღესტნელი იმამი, რასაც ახერხებდა უთვალავი მსტოვრების საშუალებით.

წერილები საინტერესო ინფორმაციას შეიცავს შამილის კავკასიის მთიანეთის მოსახლეობასთან ურთიერთობის გასაცნობად. ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში, რომელიც 1845 წლის იანვრით თარიღდება, ვკითხულობთ: „ჩაჩანი თითქმის მთლიანად გადუღდა შამილასა, და ისე თავისუფლად მოდიან რუსის ჯარში, ვაჭრობენ, სახლდებიან, მითომ სრულებით არაფერი ყოფილა იმათში“ (ტ. III, 7).

წერილებში შამილის პირად ცხოვრებაზეც გვხვდება ცნობები: „მთიდან ახალი არა ისმისრა, მისმეტი, რომ მითომ ერთი ცოლთაგანი შამილას გაუშვია, უწინდელი გიმრელი, და გამოუსტუმრებია აშილთასა, სადაცა თან გამოუტანებია საიდუმლოდ დასამალავად, მითომ, შვიდი ვირის საპალნე ხაზინა“ (ტ. V, 9).

ბარათებში, ძირითადად, შამილის სამხედრო ოპერაციებსა და მთაში მის გადაადგილებებზეა საუბარი. ასე, მაგალითად: „მთებიდამ მიღებულის ცნობებით უფრო და უფრო მართლდება ზრახვა შამილისა, შეიჭრას ჭარბელაქნის ოკრულში“ (ტ. V, 37). მსგავსი პასაჟები ხშირია.

გრიგოლ ორბელიანი კარგად ხედავდა შამილის როლს კავკასიის მოსახლეობაში. ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „დაღისტანი მხოლოდ შამილით არის ძლიერი“ (ტ. V, 16). სხვაგან ხაზს უსვამს მთიელთა აღტყინებას თავდასასხმელად, რომელიც შამილით იყო გამოწვეული და, ამავე დროს, ზაქათალის ბინადართა დაცემულ სულისკვეთებას და მშფოთვარე შიშს, „რომელიც მათ შთაენერგათ შამილის გამოჩენით უზარმაზარ ბრბოსთან ერთად“ (ტ. V, 41).

ყურადღებას იქცევს ალექსანდრე ბარიატინსკისადმი 1854 წლის 27 აპრილს გაგზავნილი წერილი, რომელიც დაღესტნის ერთეულის სავარაუდო გაუქმების საკითხს შეეხება რუსეთის სპარსეთთან ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში. გრიგოლ ორბელიანი თავის მოსაზრებას აყალიბებს წერილში და ცდილობს, ბარიატინსკის დაანახოს ის აღუწახავი შედეგები, რაც ამ ფაქტის განხორციელებას მოჰყვება. ამ მსჯელობაში ცენტრალური ადგილი უკავია შამილს, როგორც დაღესტნის სიძლიერის განმაპირობებელ უმნიშვნელოვანეს ფიგურას.

ორბელიანს სწამდა, რომ დაღესტნის გაუქმება მთელი ამიერკავკასიის მხარის გაუქმებას ნიშნავდა, რადგან დაიკარგებოდა რუსეთის ხელქვეითი მუსლიმების ნდობა მათი იარაღის სიძლიერისადმი. ამასთან, დაღესტნის ვეებერთელა ნაწილი შეურთდებოდა შამილს, რომელსაც ამით საშუალება მიეცემოდა, უფრო მეტი ძალებით შეწინააღმდეგებოდა რუსეთს. აჯანყების ცეცხლი მოედებოდა მთელ მხარეს, რუსეთის ჯარები კი უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მას მოუწევდა შებრძოლება, ერთი მხრივ, შამილის უზარმაზარ ძალებთან და აჯანყებულ ხალხთან, მეორე მხრივ კი, სპარსეთთან. „სპარსეთის შაჰი კი არაა ჩვენთვის საშიში - რომლის წინააღმდეგ საკმარისია ბეხმენა მირზა ჩვენი ჯარის ბრიგადითურთ, არამედ საშიში იქნება შამილი, თუკი ის მთელ დაღესტანს დაეპატრონება. სრულიად ამიერკავკასიის სიმშვიდე დამოკიდებულია დაღისტანზე; ესრე იყო მუდამ. ნუ გააღვიძებთ დრაკონსა, რომელმაც ჯერ კიდევ ბოლომდის არ უწყის საკუთარი ძალები“, - წერს იგი (ტ. V, 103).

შამილმა განსაკუთრებით გაააქტიურა სამხედრო ოპერაციები ყირიმის ომის დროს (ტ. V, 88). „ტურციის ომი ძლიერად აგუგუნდა კავკასიის მთათა წიაღში; შამილი აგროვებს უზარმაზარ კავალერიას და ჩვენი ქვეშევრდომი საზოგადოებები ყრუდ ჰღელავენ, განსაკუთრებით ყაითალი და ტაბასარანი“ (ტ. V, 99).

წერილებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შამილის ჰაჯი-მურატთან ურთიერთობის ამბების გადმოცემას. ძალზედ საყურადღებოა მოსე არლუთინსკი-დოლოგორუკოვისადმი მიწერილი ბარათი, რომელშიც გრიგოლ ორბელიანი საუბრობს რა შამილზე, ხაზს უსვამს ამ უკანასკნელის მიერ მოვლენების სწორად შეფასების უნარს. კერძოდ, როდესაც შამილი ხედავდა ძალების უთანაბრობას, ის ყოველთვის გაცლას ამჯობინებდა მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენის მიზნით. წერილში ვკითხულობთ: „... დანიელ ბეგი ...მთაში გაიქცა მთელი ბრბოთი, რომელიც თითქოს 4 ათასი კაცისაგან შედგებოდა, და რომ ის გაიქცა შამილის ბრძანებითა, რომელმაც როგორც კი შეიტყო რუსული რაზმის შეტევის შესახებ, არ ისურვა აოხრებულიყო გორნის მაჰალის მოსახლეობა“ (ტ. IV, 130).

გრიგოლ ორბელიანი ცდილობდა, აეხსნა შამილის ეს მოქმედება და ის ამას უკავშირებდა სოფლებიდან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც შამილის სიძლიერის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა: „... შამილს, ხედავდა რა მნიშვნელოვანი რაზმის შეკრებას ამ მაჰალის სოფლების წინააღმდეგ, არ სურდა აოხრება დამუქრებოდა სოფლებს, როგორც მთიელთათვის მოგების საიმედო წყაროს“ (ტ. IV, 131).

გრიგოლ ორბელიანს შამილთან ორჯერ ჰქონდა ურთიერთობა მისი ოჯახის წევრების ტყვეობიდან დახსნის თაობაზე. პირველად, როდესაც მისი ძმა ილია ორბელიანი ჩავარდა ტყვედ და მეორედ, როცა შამილის მიურიდები თავს დაესხნენ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ოჯახს და, მის ცოლ-შვილთან, გუვერნანტთან და მსახურებთან ერთად, ტყვედ აიყვანეს გრიგოლის ახალგაზრდაცვლილი ძმის, ილიას, ცოლ-შვილი და დისშვილი ნინო ბარათაშვილი.

შამილის ტყვეობიდან ილია გათავისუფლდა 1842 წელს, რომელიც ჩირქის ნაიბ შაჰმანდარ-ჰაჯიზე გაიცვალა.

გაცილებით რთული აღმოჩნდა 1854 წელს დატყვევებულთა გამოსხნა. გრიგოლ ორბელიანის არაერთი წერილია შემონახული, რომელიც ამ ცნობილ ისტორიულ ფაქტს შეეხება. ბევრი მათგანი პირველად გამოქვეყნდა „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის“ აკადემიური გამოცემის V ტომში. ეს ბარათები ამდიდრებს არა მხოლოდ გრიგოლისა და შამილის პიროვნულ პორტრეტებს, არამედ ბევრ ახალ ინფორმაციას შეიცავს აღნიშნული ფაქტის შესახებ. მათში ჩანს გრიგოლის საოცარი დიპლომატიური ნიჭი, გამჭრიახობა, გონიერება, მოვლენების სტრატეგიული ხედვა და პიროვნული სიძლიერე.

იგი ანალოზებდა თითოეულ დეტალს, განიხილავდა მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და გადაწყვეტილებას შესაბამისად იღებდა. წერდა ყველა ახლობელს, ვისთანაც შეიძლებოდა მოწოლილი დარდის გაქარვება და ტყვეების მდგომარეობის შესახებ საუბარი. თითოეულს გარკვეულ დავალებას აძლევდა, ან მოსალოდნელ საშიშროებაზე აფრთხილებდა. საოცარია მისი მასშტაბურობა და მოვლენების ფლობის უნარი.

დიმიტრი ჯორჯაძემ 1854 წლის 9 აგვისტოს წერილში შეატყობინა დავით ჭავჭავაძის გაპოლკოვნიკების ამბავი და გააფრთხილა, ეს ამბავი არსად გამოეაშკარავებინა, რადგან შამილს შეიძლებოდა გაერთულებინა ტყვეთა გათავისუფლება (ტ. V, 114). იგივე მისწერა ბარონ ლეონტი ნიკოლაის 10 აგვისტოს.

ხსენებულ ბარონს, რომლის დახმარებითაც უგზავნიდა წერილებს შამილს, ერთ ბარათში მოუყვა ამ უკანასკნელისადმი გაგზავნილი წერილის შინაარსი. ამ წერილებში ის სთხოვდა შამილს, არ ევაჭრა მასთან, რადგან არც ერთი მათგანი ვაჭარი არ იყო. ყველაფერს, რაც შეეძლო გაეღო მათი გათავისუფლებისათვის, მისცემდა ვაჭრობის გარეშე. თუკი შამილი ფიქრობდა, რომ ამ საქმეში ხელისუფლება ჩაერთვებოდა, ცდებოდა, ამით ტყუილად დაიკარგებოდა დრო და ქალები და ბავშვები კი შეიძლებოდა დაღუპულიყვნენ. ეს სარგებელს არ მოუტანდა მას და მხოლოდ გრიგოლი ჩავარდებოდა უბედურებაში, რაც ორივეს დააზარალებდა (ტ. V, 115-116).

გრიგოლის წერილებიდან ირკვევა, რომ ხშირად სწერდა შამილს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ბარათია შემორჩენილი. ირკვევა ისიც, რომ იმამსაც დაუბრუნებია პასუხი, რომლის შინაარსსაც დიმიტრი ჯორჯაძისადმი გაგზავნილი გრიგოლის წერილიდან ვიგებთ. შამილს მიუწერია, რომ ღვთისაგან გამოგზავნილი იყო და მისი ყოველი ბრძანება უნდა აღესრულებინა, ისევე როგორც გრიგოლი იყო ხელმწიფის ბრძანების აღმასრულებელი. ჰპირდებოდა, რომ ტყვეებს კარგად შეინახავდა და პატივით მოექცეოდა. ამ პატარა ფრაგმენტითაც ჩანს, რომ ორივეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, ვის ესაუბრებოდა (ტ. V, 122).

ჩვენამდე მოღწეული შამილისადმი გაგზავნილი წერილები 30 აგვისტოთი და 14 სექტემბრით თარიღდება. იმის გათვალისწინებით, რომ ამ წერილებს ფართო მკითხველი საზოგადოება, შესაძლოა, არ იცნობდეს (გამოქვეყნდა 2014 წელს), და იმის გათვალისწინებითაც, რომ ორივე წერილი ავლენს გრიგოლის საოცარ გონიერებასა და გამჭრიახობას, საგანგებოდ შევკრებდებით მათზე. ორივე მათგანი უნდა ჩაითვალოს დიპლომატიური წერილის შესანიშნავ ნიმუშებად.

ბარათებს აქვთ შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. 30 აგვისტოს წერილის შესავალ ნაწილში, პირველივე ფრაზაში, გრიგოლი შამილს ღვთის სახელს უხსენებს და ეუბნება, რომ მისი საქმეებისა და აზრების შესაბამისად მიუზღავდა მას უფალი. აქ არც ქრისტიანთა ღმერთზეა საუბარი და არც მაჰმადიანთაზე, არამედ, ზოგადად, ღმერთზე, „რომლის ხელთ არის ყოველი და არაფერი ხდება მისი ნების გარეშე.“ ამიტომაც „ადამიანი, ჭეშმარიტად ღვთის მორწმუნე, არ ყოყმობს ბედნიერების დროს, არც სასოწარკვეთას ეძლევა, როცა უბედურება წამოეწევა წარმავალი სიცოცხლის გზაზე.“ ამ მსჯელობით გრიგოლი შამილს შეფარვით უმყდევნებს, რომ თავისი ახლობლების დატყვევების ამბავს ის ღვთის ნებად მიიჩნევს. ამით შამილის უარყოფით როლს განზე წევს, რათა მისი კეთილგანწყობა მოიპოვოს და წერილში გადმოცემული სათხოვრისადმი თავიდანვე დადებითად განაწყოს.

გრიგოლი საუბრობს ცრუ წუთისოფელზე, სადაც ყოველი წარმავალია, ყველაფერი კვდება, რჩება მხოლოდ კეთილი საქმეები, რომლითაც ბოლოს ღვთისმოსავი ადამიანი ყოველისშემძლის სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს. ამით გრიგოლი ასევე შეფარვით მიანიშნებს, რომ შამილმაც კეთილი საქმეებით დაიმსახუროს ღვთის მოწყალება და ეს კეთილი საქმეები კი, მისი გათვლით, უთუოდ ტყვეების გამოხსნასთან უნდა იყოს დაკავშირებული. „ვაი მას, ვინც უწყოდა ეს ყველაფერი, მაგრამ არ აღასრულა მცნებანი უფლისანი; ხოლო უკვდავების დიდება მას, ვინც მყარად და განუხრელად ვიდოდა გადარჩენის გზაზე“, - მიანიშნებს ორბელიანი (ტ. V, 126).

ამ მრავლისმეტყველი შესავლის შემდეგ საუბარია უშუალოდ საქმეზე - გრიგოლი შამილს ახსენებს მის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების ფაქტს და ეხება ახალ დატყვევებულებსაც. ამის შემდეგ ეუბნება, რომ ეს სასჯელი მას ღვთისგან გამოეგზავნა და ის უდრტვინველად ემორჩილება მის ნებას. რთული არ არის, აქ ამოვიცნოთ გრიგოლის სურვილი - ერთგვარი სინანულის განცდა დაანახოს შამილს იმ სისასტიკისა და ძალადობის გამო, რომელსაც მთიელების წინააღმდეგ იჩენდა რუსეთის ჯარებთან ერთად. აი, ამ ამბების გამო მსჯის ღმერთიო, - უტყდება იმამს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გრიგოლი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტის პირობას უდებს შამილს. არა, რა თქმა უნდა. ამ წერილის შემდეგაც ისევე იქნებოდა მათი მტერი, როგორც ამ წერილამდე, მაგრამ მიანიშნებს, რომ გაცნობიერებული აქვს თავისი უარყოფითი როლი მათ წინაშე. გასათვალისწინებელია, რომ დატყვევებული ნათესავები გრიგოლის ოჯახის წევრები არიან - ძმის ცოლ-შვილი და დისშვილი, ყველაზე ძვირფასი ადამიანები, ვინც მას ამქვეყნად ებადა, საკუთარი ოჯახის არყოლის გამო. ამიტომ ყველაფერს აკეთებდა, რათა დახმარებოდა მათ.

წერილში მაღლობას უხდის შამილს ტყვეებისადმი გამოჩენილი სითბოსა და ყურადღების გამო და ეუბნება, რომ ამისათვის მას ღმერთი დაასაჩუქრებდა. ცნობილია, რომ იმამი მართლაც პატივისცემით ექცეოდა მათ და ცუდს არაფერს კადრებდა.

ამის შემდეგ გრიგოლი საკუთარ პერსონას უსვამს ხაზს, რომ ისიც რაღაცას წარმოადგენს - „მერწმუნეთ, არც მე ვარ ვინმე დაკარგული ამ ქვეყნად“ (ტ. V, 126). გავლენისა და ავტორიტეტის გამო, შეიძლება ისიც გამხდარიყო საჭირო, თუ მისთვის არა, მისი შვილებისთვის მაინც. ამით ის თავის სამსახურს სთავაზობს შამილს და პირობას უდებს, რომ სიკეთეს არ დაუვიწყებს, რადგან „მაღლიერება, ისევე როგორც შურისგება, დიდი ხნით სუფევენ ქვეყანაზე“ (იქვე).

ზემოთ ნახსენებ ლეონტი ნიკოლაისადმი 10 აგვისტოს გაგზავნილ წერილში, როგორც უკვე ვნახეთ, საუბარია შამილისადმი მიწერილ ბარათზე, სადაც ავტორი წერს, რომ შამილი არ ევაჭროს მას, რადგან არც ერთი მათგანი ვაჭარი არ არის. 30 აგვისტოს დაწერილ წერილშიც შამილისადმი იმავეზეა საუბარი. როგორც ჩანს, გრიგოლი ერთსა და იმავე სათქმელს სიტყვა-სიტყვით იმეორებს სამი კვირით დაშორებულ წერილებში, რათა შამილს მიახვედროს, რომ არავითარ შემთხვევაში ფულზე არ შეევაჭროს და ტყვეების გამოსასყიდად გრიგოლისათვის მისაღები თანხა დაასახელოს. ამასთან, თავის მხრივ, ჰპირდება, რომ სიტყვას არ უღალატებს და მისცემს ყველაფერს, რისი საშუალებაც ექნება. უდასტურებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ გრიგოლი დაზარალდება შამილისთვის ყოველგვარი სარგებლის გარეშე (იქვე).

გრიგოლი ცდილობს, დაარწმუნოს იმამი, რომ ქალები და ბავშვები ჰავის სისასტიკეს ვერ გადაიტანენ. ის უშვებს იმის ალბათობას, რომ შესაძლოა, შამილი არ ენდოს მის სიტყვას. ამიტომ სთავაზობს, მოავადე ტყვეები გაათავისუფლოს და მძევლად დაიტოვოს მისი რძალი ბარბარე - ილიას მეუღლე. „თუმც მტრები ვართ, მაგრამ თქვენ, თქვენი კეთილშობილი გულის ძახილითა და დიდსულოვნებით, უნდა შეასრულოთ ჩემი ეს ბოლო თხოვნა“, - სწერს იგი (იქვე, 127).

წერილის დასკვნით ნაწილში გრიგოლი ისევ უბრუნდება შესავალში განვითარებულ მსჯელობას სიკეთის შესახებ: „ღვთის წერილში ნათქვამია: მხოლოდ კეთილი, ღმრთის სათნო საქმეებით ეხსნება ადამიანს კარი გადარჩენისა; ყველა დანარჩენი მტვერია და ამაოება“ (იქვე). ის კიდევ ერთხელ ცდილობს, დააჯეროს მოწინააღმდეგე მხარე, რომ მისი სიკეთე ამ ეტაპზე დატყვევებულების განთავისუფლებაზე გადის და ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რათა გადარჩენის კარი გაეხსნას.

ასეთივე საინტერესოა ორი კვირის შემდეგ - 14 სექტემბერს - დაწერილი წერილი, რომლის პირველ ფრაზაშიც გრიგოლი შამილს ღმერთს ავედრებს, რომ სწყალობდეს მას განკითხვის ჟამს. ცნობილი ფაქტია, რომ შამილი ქართველ ტყვეთა სანაცვლოდ მოითხოვდა თავისი უფროსი ვაჟის, ჯემალ-ედ-დინის, აგრეთვე დისწულისა და ორი სხვა მთიელის მისთვის გადაცემას, აგრეთვე დიდძალ თანხას - ერთ მილიონს. 1839 წელს, როდესაც მისი ვაჟი 6 წლისა იყო, მან ის რუს გენერალს, ალექსანდრე გრაბეს, მძევლად გადასცა ოჯახის სხვა წევრებისა და მებრძოლების გადარჩენის მიზნით. იმპერატორის ბრძანებით, ჯემალ-ედ-დინი შეიყვანეს პეტერბურგის ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო სასწავლებელში, ალექსანდრეს სახელობის კადეტთა კორპუსში, რომლის დამთავრების შემდეგაც მიენიჭა პორუჩიკის წოდება. შამილის დისწული ჰამზათ-ბეკი რუსებმა მძევლად აიყვანეს 1837 წელს. სხვა ორი მთიელი, რომლის გადაცემასაც ითხოვდა შამილი, იყვნენ ჰარისილაუ - მისი ერთგული თანამებრძოლის, ალიბეგ ავარელის, ვაჟი და შეიხ ულ ისლამი, ამირ ამზას ვაჟი, რომელიც 1839 წელს გაუსახლებიათ რუსეთში.

მათი გამოსხნა გრიგოლს ისეთივე რთულად ეჩვენებოდა, როგორც ფულთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ მოლაპარაკების შედეგად შამილი დასახელებულ თანხას დააკლავდა. ის მას ყურადღებას უმახვილებდა გონიერებასა და კეთილშობილ გულზე, რომელიც ყველასთვის ცნობილი იყო და მოუწოდებდა, კარგად დაფიქრებულიყო ამ საკითხზე. „შეუძლებელს ნუ ითხოვთ: ეს უსარგებლოა თქვენთვისაც, ჩვენთვისაც“, - სთხოვს და ისევ ხსნის გზაზე მიანიშნებს: „მერწმუნეთ, მხოლოდ სამართლიანობა და კეთილი საქმენი უხსნიან ადამიანს ხსნის გზას“ (იქვე, 130).

ამიტომ შამილს დაბეჯითებით ეუბნება, რომ მის მიერ შემოთვლილი პირობები მძიმე და აღუსრულებელია მისი მხრიდან. მისი არგუმენტები ასე გამოიყურება: შამილის ვაჟი არ იმყოფებოდა მათი ძალაუფლების ქვეშ, რადგან ის იყო არა ტყვე, არამედ ოფიცერი, რომელზედაც უზომოდ დიდი იყო ხელმწიფის მოწყალება. ამიტომ შეუძლებელი იყო მისი გამოსყიდვა, ან ტყვეებზე გაცვლა. უფრო დასაშვები იყო მისი მამასთან დაბრუნება ყოველგვარი გამოსასყიდისა და გადაცვლის გარეშე, თუ შამილი თავის სურვილს აცნობებდა რუსეთის ხელმწიფეს, ან მისი ვაჟი თავად მოისურვებდა მთაში დაბრუნებას. „ჩვენ კი არ ძალგვიძს ამ საქმეში ჩარევა. მერწმუნეთ, ეს ასეა: და მე არა მაქვს არც არანაირი სარგებელი, რომ არ მსურდეს დაბრუნებს თქვენი ძისა; მაგრამ ვიმეორებ, ეს არ არის დამოკიდებული ჩემზედ“, - სწერს იგი (იქვე, 130).

დანარჩენი ტყვეების დაბრუნება, გრიგოლის აზრით, შესაძლებელი კი იყო, მაგრამ ისინი დიდი ხნის წინ იყვნენ აყვანილები მძევლებად და მათი მოძებნა-გადაცემა ძალიან დიდ დროს მოითხოვდა, რაც გააჭიანურებდა მისი ნათესავების გამოსხნას. თუმცა ის ჰპირდებოდა, რომ, თუ ისინი ცოცხლები იყვნენ, დაუბრუნებდა მათ, მაგრამ არა მალე. აქედანაც ჩანს, რომ გრიგოლი თითოეულ სიტყვაზე პასუხისმგებლობას იღებდა და არაფერს კისრულობდა თავის თავზე, რისი შესრულებაც არ შეეძლო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის - ალექსანდრე ბარიატინსკისადმი მიწერილი ბარათი იმავე წლის 22 სექტემბერს, სადაც გრიგოლი ისევ ტყვეთა განთავისუფლების საკითხს განიხილავს. იგი შამილის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს აცნობს ადრესატს სულ სხვა კუთხით - ის ამართლებს იმას: „შამილის მოთხოვნა ძალზედ ბუნებრივია: მამა ითხოვს საკუთარი ვაჟის დაბრუნებას“ (იქვე, 135). გასაგებია გრიგოლის სურვილი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მიაღწიოს შამილისთვის შვილის დაბრუნებას. ალექსანდრე ბარიატინსკის არწმუნებს, რომ რუსეთის იმპერატორს ყველაფერი ხელეწიფება: „დიდი და დიდსულოვანი ხელმწიფისათვის არა არის რა შეუძლებელი“ (იქვე, 135).

ამავე დროს, უსაბუთებს, რომ შამილის ვაჟებს არანაირი წონა არ გააჩნიათ მთებში, მხოლოდ შამილია მნიშვნელოვანი. შესაბამისად, მის დაბრუნებას არანაირი საშიშროება არ მოჰყვება, პირიქით: შამილის ვაჟებს შორის გარდაუვლად წარმოიშობა განხეთქილება მემკვიდრეობაზე, რაც სასარგებლო იქნება რუსეთისთვის. ამასთან, უმტკიცებს, რომ რუსეთმა გონივრულად უნდა გამოიყენოს შამილის თხოვნა თავის სასარგებლოდ: „ვიმეორებ, მისი შვილის დაბრუნება ძალზედ სასარგებლო იქნება ჩვენთვის ახლა, როცა თავად შამილი ითხოვს ამას, ვიდრე სხვა დროს, როცა მასზედ არავინ ინაღვლებს და, შესაბამისად, არავინ იქნება მაღლიერი მისი განთავისუფლებით“ (იქვე, 136).

გრიგოლის წერილებში კარგად ჩანს შამილის დამოკიდებულება ტყვეებისადმი. მაგ., ქეთევან ორბელიანს სწერს: „როგორათაც უწინ შამილ დიდის პატივით ექცევა ტყვეებს, სახლებს უმატებს, პოლსა და ფეჩებს თურმე უმზადებინებს“ (იქვე, 131). „უწინში“ იგულისხმება ილია ორბელიანის დატყვევების ფაქტი 1842 წელს.

მიხეილ ვორონცოვს 1854 წლის 12 ნოემბრის წერილში აცნობს შამილის ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ: „არ შეიძლება არ გაგიკვირდეს შამილისა და არ იყო მისი მადლიერი იმ პატივისცემისა და ალერსიანი ყურადღებისათვის, რასაც ის ნიადაგ ავლენს ჩვენი უბედური ტყვე ქალების მიმართ“ (იქვე, 147).

ალექსანდრე და ბაბაღე საგინაშვილებს კი 1855 წლის 3 იანვარს სწერს: „დავითის ქალებიც¹ ასე შეეჩვივნენ შამილასა, რომ სულ წვერს უგლეჯენ“ (იქვე, 159).

გრიგოლმა უდიდესი ძალისხმევითა და რუს ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებების სწორად წარმართვით მიაღწია ტყვეთა განთავისუფლებას.

ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვილისადმი 1857 წლის 2 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „წლებანდელი ზაფხული და შემოდგომა განვიდა ჩემთვის მეტად დიდს შრომაში, მაგრამ ეს მანუგებებს რომ ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდან: სულ რჯული გავაგდებინე, მივამტვრიე-მივამსხვრიე მრავალ-ჯერ, ბევრი დავატყვევე, მრავალი დაუხოცე, მიმოვფანტე მისი ჯარი, უკანასკნელი მისი ნავთსაყუდელი სალათავიაში ბურთუნაი, ძლიერ გამაგრებული, წავართვი; გუშინწინაც ერთი მისი დარჩომილი ციხეც ავიღე და მივჰყავ ხელი ტყის გაკაფასა და ამით წავართვი მთლად სალათავია, სადაცა ავაშენე შტაბკვარტირა პოლკისა. - თვითონაც გამექცა შამილ აქედამ და ახლა ზის დარღოში“ (ტ. VI, 112).

შამილის წინააღმდეგ საომარი ოპერაციები გააქტიურდა ყირიმის ომის დასრულებისთანავე. ამ ბრძოლებში თავს გრიგოლ ორბელიანი წარმოაჩენს, როგორც ენერგიულ სამხედრო პირს, რომლის მოქმედებები წარმატებულია. ერთ წერილში წერს: „შამილის ძალაუფლებას ძლიერად არყვევენ მასზედ წლეულს მიტანილი დარტყმები, რომელნიც ექოებრ მოედვნენ შორეულს მთებსა. ყოველის მხრიდან გაისმის სახალხო სიძულვილის დრტვინვა მის წინააღმდეგ და აღწევს თავად შამილამდეცა. უფრო და უფრო მიძიდება მისი მდგომარეობა; განჰქრა ხალხის სიყვარული მისდამი; მხოლოდ შიში, 20 წლის მანძილზედ მის მიერ ხალხში შთანერგილი, ასულდგმულელებდა მის ძალაუფლებასა. დადგა ჟამი შევუტოთ მას“ (ტ. VI, 123). გრიგოლ ორბელიანის წერილებით ჩვენ შეგვიძლია მივადევნოთ თვალი შამილისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების ევოლუციას, როგორ გადაიქცა შამილი საყოველთაო გმირიდან, რომლისთვისაც თავს სწირავდნენ, მათი ფიზიკური არსებობისთვის საფრთხის შემცველ პიროვნებად, რომელსაც გაურბოდნენ, ღალატობდნენ, მოწინააღმდეგის ბანაკში გადადიოდნენ. ზემოთ დასახელებულ წერილში, მსგავსად ბევრი სხვა წერილისა, ნათლად ჩანს, რომ ძალა აღმართა ხნავს. 60 წლიანმა სისხლიანმა ბრძოლებმა კავკასიის მოსახლეობა წელში გადაამტვრია და შამილის წინააღმდეგ განაწყობ. დასასრულიც მალე დადგა. 1859 წელს დაქანცული და უამრავ გასაჭირში მყოფი შამილი რუსებს დანებდა. იგი ჯერ კალუგაში, შემდეგ კიევში ცხოვრობდა. გარდაიცვალა მედინაში, წმინდა ქალაქში მომლოცველად წასული, რამდენიმე წლით ადრე გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებამდე.

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დაცულია უძვირფასესი ცნობები იმ დროის უმნიშვნელოვანესი ფიგურების - გრიგოლისა და კავკასიელთა თავკაცის - შამილის - ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მათში თვალსაჩინოა არეკლილი ის რთული ისტორიული ეპოქა მისთვის დამახასიათებელი კატაკლიზმებით, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წყალობით შეიქმნა. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ორი ბუმბერაზი პიროვნება უშრეტი ენერგიით, სამხედრო ნიჭით, სტრატეგიული ხედვით, მასშტაბურობითა და სოციალური გავლენებით. ეს ის რესურსები იყო, რომელსაც ორივე მშვენივრად იყენებდა ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი მათგანი თავისი მხარის თავისუფლებისა და ღირსებისათვის იბრძოდა, მეორე კი ამ თავისუფლებისა და ღირსების ჩასახშობად ენერგიას არ იშურებდა, ამ ქმედებას იმით ამართლებდა, რომ ქართველების სისხლს შამილის კისრიდან იღებდა, ანუ შურს იძიებდა საქართველოს წინააღმდეგ დაღესტნის საუკუნეობრივი მტრობის გამო. ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ ორივე მათგანი ებრძოდა შედეგს და არა მიზეზს, რომელიც მეფის რუსეთის „დაყავი და იბატონე“-ს იმპერიული პოლიტიკით იყო განსაზღვრული. წერილებში გამოკვეთილია ორივე პიროვნების დიდბუნებოვნება, ერთმანეთის შეცნობისა და დაფასების საინტერესო ფაქტები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თითოეულ მათგანზე საუბრის დროს.

ლიტერატურა:

1. გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. II, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი I, თბ., 2012.
2. გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. III, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი II, თბ., 2012.

¹ საუბარია დავით ჭავჭავაძის შვილებზე.

3. გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. IV, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი III, თბ., 2013.
4. გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. V, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი IV, თბ., 2014.
5. გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. VI, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი V, თბ., 2015.

Giorgi Gotsiridze, Ketevan Gigashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
SHAMIL IN GRIGOL ORBELIANI'S EPISTOLARY LEGACY
RESUME

By the manifesto of the September 12th of 1801 the Kartli-Kakheti Kingdom became the province of Russian Empire, which occupied important strategic outpost across Caucasus without fighting, opening way to the Middle East, but encountering obstacles from free Caucasus people, against which Tsarist Russia used Georgian population with great success. In this battle against each other there appeared the brilliant representative of Russia's military elite, Georgian poet and public figure Grigol Orbeliani, and political, military and religious leader of Caucasus National-Liberation Movement - Shamil.

The research purpose is to show the relationship of these two historical persons on the bases of Grigol Orbeliani's epistolary legacy, for more understanding their perception of the world, their place and role in the history of this dramatic period and the evolution of the attitude of the Caucasus indigenous population towards to Shamil. His letters present excellent source for familiarizing with moods, desires, attitudes, and mentality of Caucasus people. There were two titanic persons facing each other with inexhaustible energy, military talent, strategic vision, scalability and social impact. These were those recourses, which were perfectly used by both in the battle against each other. One of them was fighting for freedom and dignity of own country and the second one – against these freedom and dignity, justifying his behavior by the desire to take the blood of Georgian people from Shamil's neck, revenging for age-long feud of Dagestan against Georgia. Historical truth demands to notice out that the both were fighting with the result, and not with the cause, defined by the Tsarist Russia's imperial policy - 'divide and rule'.

The letters reveal the greatness of both persons, interesting facts of recognizing and appreciating each other, which should definitely be foreseen while discussing about them.

ნოდარ დარსანია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაპოლეონ III და ზისმარკი

მე-19 საუკუნის გამოჩენილ პოლიტიკოსთა და დიპლომატთა პლეადაში ნაპოლეონ III-ს და ოტო ზისმარკს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ. ათეული წლის განმავლობაში ამ ორ სახელმწიფო მოღვაწეს შორის არსებულმა ექსტრაორდინალურმა ურთიერთობამ, ხანგრძლივმა პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა ორთაბრძოლამ უდიდესი გავლენა იქონია როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ბედ-იღბალზე.

ვენის კონგრესის მიერ ევროპაში დამყარებული სისტემის, უფრო სწორად, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ისა და ავსტრიის კანცლერის მეტერნიხის მიერ შემუშავებული „ძალთა თანასწორობის“ პრინციპზე დაფუძნებული კონტინენტის საერთაშორისო წესრიგის ნგრევა მე-19 საუკუნის შუახანებიდან ნაპოლეონ III-მ დაიწყო, ზისმარკმა კი დაასრულა.

გამომდინარე აქედან, წინამდებარე სტატიაში შევეცდებით იმის გარკვევას, მაინც როგორი იყო პოლიტიკური ურთიერთობა პრუსიასა და საფრანგეთს შორის, საკუთრივ, როგორი გახლდათ ოტო

ბისმარკის პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ და უშუალოდ მისი დამოკიდებულება ნაპოლეონ III-ის პიროვნებისადმი ამ პერიოდის განმავლობაში.

ცნობილია, რომ საფრანგეთის იმპერატორი კეთილგანწყობილად იყო პრუსიის მიმართ და ყოველმხრივ ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა შენარჩუნებული ამ სახელმწიფოსთან, რაც განპირობებული იყო მისი შემდგომი, მრავალგვარი და ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოსაზრებებითა და შეხედულებებით.

პრუსია, ჯერ კიდევ მაშინ დიდ სახელმწიფოებს შორის წარმოადგენდა შედარებით მეორეხარისხოვან ქვეყანას. წამყვანი როლი ეკუთვნოდათ რუსეთსა და ავსტრიას. ორივე ამ იმპერიასთან ნაპოლეონ III-ს პოლიტიკური თუ სამხედრო ანგარიშსწორება დამთავრებული ჰქონდა, თანაც წარმატებით. სევასტოპოლი, სოლფერინო მეჯენა - იყო ის ქალაქები, რომელთაც გარეგნული ბრწყინვალეობა შემატეს საფრანგეთის იმპერატორის მეფობას, მაგრამ, ამავე დროს, ევროპაში მას გაუჩინეს საშიში მტრები. აქედან გამომდინარე, ნაპოლეონ III ეძებდა მოკავშირეებს, ეძებდა ისეთი გულმოდგინებით რა სიმკაცრით და სისწრაფითაც ქრებოდა და წარსულს ბარდებოდა მიღწეული წარმატებები და გროვდებოდა წარუმატებლობანი, როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში¹. მექსიკის სამხედრო ავანტიურის ტრაგიკულმა შედეგებმა კიდევ უფრო გააძლიერა ნაპოლეონ მესამის მოწინააღმდეგეთა რიგები, რომლებიც მას ისედაც მრავლად ჰყავდა და, რომლებიც ძლიერ არყევდნენ მის სამეფო ტახტს. აუცილებელი იყო შერყეული სამეფო ტახტის განმტკიცება. ამის გაკეთება კი ძალიან რთულ საქმეს წარმოადგენდა იმ საგარეო პოლიტიკის პირობებში, რომელსაც სამხედრო წარმატებებისა და ტერიტორიული დაპყრობების გზით წარმართავდა ნაპოლეონ III. აქედან გამომდინარე, ცნობილია, რომ ნაპოლეონ მესამე მუდამ მიიღებდა ამ მიზნისკენ.

პრუსია მიეკუთვნებოდა იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელსაც საკუთარი პატივმოყვარული მიზნები გააჩნდა და, რომელიც საფრანგეთის ნაცვლად ცდილობდა ხალხის ყურადღება ქვეყნის შიგნით არსებული მწვავე საშინაო პრობლემებიდან სხვა, გარეშე, პროცესებზე გადაეტანა.

აქედან გამომდინარე, პრუსიისა და საფრანგეთის დაახლოება ასეთ ვითარებაში ყოვლად შესაძლებელი ჩანდა და ბისმარკიც, მორიგ შეხვედრაზე ნაპოლეონ მესამესთან, იმ აზრს იცავდა, რომ პრუსიის წარმატებები სრულ თანხვედრაში ყოფილიყო საფრანგეთის მიღწევებთან. ნაპოლეონის დარწმუნება ამაში, განსაკუთრებით მისი მხრიდან, კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც დაიწყო ბისმარკის უთანხმოება ავსტრიის დიპლომატიასთან და როცა ავსტრიასთან ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე პარიზის კონგრესამდე, ბისმარკი გაემგზავრა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, რომ დაეთვალაიერებინა სამრეწველო გამოფენა (1855 წლის 15 მაისიდან 15 ნოემბრამდე) იმავე წლის 25 აგვისტოს, პარიზში ჩამოსული ინგლისის დედოფალისა ვიქტორიასა და მისი მეუღლის პატივსაცემად, ის ჩავიდა ვერსალში, მეჯლისზე, სადაც წარუდგინეს სამეფო ოჯახს.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის დედოფალსა და მის ოჯახთან შეხვედრა მხოლოდ კერძო ხასიათს ატარებდა. მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არ გააჩნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ბისმარკისათვის პირადად ნაპოლეონისა და მისი მეუღლის, ევგენიას, გაცნობა იყო. როდესაც ამ ორი პიროვნების, გერმანიის სახელმწიფო მოღვაწისა და საფრანგეთის იმპერატორის, სახელები ერთმანეთის გვერდიგვერდ წამოტივტივდება, ძალაუნებურად გაგახსენდება, უპირველეს ყოვლისა, თუ როგორ დამთავრდა მათ შორის ხანგრძლივი დიპლომატიური პაექრობა. დამთავრდა კი ორი ქვეყნის სამხედრო დიპლომატიური შეტაკებით, რამაც ბონაპარტი ფერფლად აქცია, მიწაზე დაანარცხა.²

მაგრამ ყველაფერი ეს მოხდება მოგვიანებით, ხოლო 1855 წელს ბისმარკის წინაშე იდგა ადამიანი, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ თავბრუდამხვევ, მრავალთათვის მოულოდნელ, სენსაციურ აღზევებას აღწევს არარაობიდან ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალამდე. ის გახლდათ ხელისუფლების ერთ-ერთი უმსხვილესი და უძლიერესი სახელმწიფოს მბრძანებელი, ადამიანი, რომელიც მუდმივად ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ხალხისა თუ მთელი მსოფლიოსთვის, რომ ტყუილად არ ატარებდა ნაპოლეონის სახელს და ღირსეული მემკვიდრე გახლდათ თავისი დიადი ბიძისა. პრუსიელ სტუმართან საუბარში საფრანგეთის იმპერატორი ძალას არ ზოგავდა, რომ გამოეწვია მისადმი სიმპათია სტუმრის მხრიდან, რაც მთავარია, შთაეგონებინა მისთვის საგარეო პოლიტიკური კონცეფციები, რომლის არსი მდგომარეობდა შემდეგში - პრუსიას უნდა შეეცვალა თავისი პოლიტიკის ძველი მიმართულება და დამდგარიყო საფრანგეთთან დაახლოების გზაზე.³

¹ Р. И. Семеновский, Князь Бисмарк, Петербург, 1825, ст. 58.

² Б. დარსანია, ბისმარკი-პოლიტიკოსი და დიპლომატი, თბ., 2016, გვ. 28.

³ Отто фон Бисмарк, мемуари железного канслера, Москва, Санкт-Петербург, с. 139-140.

თავად ნაპოლეონმა, მთლიანობაში, სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ბისმარკზე, თუმცა არა იმდენად შთამაგონებელი, რაზედაც მეტყველებს მისი სიტყვები, რომელიც (მისი გადმოცემით) მან მოახსენა ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხეს იმავე წლის ზამთარში: „იმპერატორი ნაპოლეონი მომეჩვენა, როგორც გონიერი და თავაზიანი ადამიანი, მაგრამ არა იმდენად ჭკვიანი, როგორც მას თვლის მთელი ქვეყანა და, აქედან გამომდინარე, მიაწერს ყველაფერს, რაც კი მსოფლიოში ხდება“¹.

მიუხედავად ასეთი შეფასებისა, ბისმარკი ნაპოლეონ მესამეს ძალიან აფასებდა პირადად და მისი პოლიტიკური კონცეფციებიც მისთვის მისაღები გახლდათ. მეორეჯერ, საფრანგეთში გამგზავრებისას, 1857 წელს და ნაპოლეონ მესამესთან ხელმეორედ შეხვედრის დროს, იმპერატორმა ბისმარკს ზოგიერთი რამ გაანდო თავისი საკმაოდ ფანტასტიკური განზრახვიდან - წინააღმდეგობა გაეწია ინგლისის საზღვაო ძლევამოსილებისათვის. ბისმარკმა ეს იდეა ცივად მიიღო და პირდაპირ პასუხს დიპლომატიური მანერებით მშვიად აარიდა თავი².

ჯერ კიდევ რუსეთში დესპანად ყოფნის პერიოდში, ბისმარკმა გულმოდგინედ შეისწავლა რუსეთის დიპლომატიის გამოცდილება და, მართლაც, შეითვისა ბევრი რამ, რისი სწავლაც შეიძლებოდა. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რომელთაც ეჯავრებოდათ მეფის რუსეთის დიპლომატია, მაინც უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ მათ პროფესიონალურ თვისებებს. ბისმარკი (მისი აღიარებით თუ ვიმსჯელებთ), „დიპლომატიური ხელოვნების გაკვეთილებს გორჩაკოვისაგან იღებდა“³. ა. გორჩაკოვი გახლდათ არა მხოლოდ გამოჩენილი ორატორი, არამედ თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიპლომატი.

როგორც პოლიტიკის, ასევე დიპლომატიის სფეროში ბისმარკისათვის კიდევ ერთ მაგალითს ნაპოლეონ მესამე წარმოადგენდა. 1862 წელს პრუსიის დესპანად პარიზში ყოფნის დროს ბისმარკს შეეძლო ბევრი რამ გადმოელო ფრანგული ბონაპარტიზმის არსენალიდან, მითუმეტეს, რომ ნაპოლეონ მესამის მეთოდები ძალიან იმპონირებდა პრუსიელ იუნკერს, რომელმაც საკუთარი თავის წინაშე დაისახა შორსმომავალი მიზანი - დაეკმაყოფილებინა გერმანული ბურჟუაზიის ინტერესები და დაექვემდებარებინა გერმანული სახელმწიფოები მილიტარისტული პრუსიისათვის. გაშტეინის კონვენციის პირობებს არ გადაუწყვეტია სადავო საკითხები პრუსიასა და ავსტრიას შორის⁴. იმ დროს, როდესაც ავსტრიის მმართველი წრეები დაკავებული იყვნენ გართულებული საშინაო საკითხების მოგვარებით, პრუსია ენერგიულად ემზადებოდა ავსტრიის სამხედრო შეტევების პროვოცირებისათვის, რომ ძლევამოსილი ომის შედეგად, სამუდამოდ განედევნა ის გერმანული კავშირიდან და ჩადგომოდა სათავეში გერმანიის გაერთიანებას.

1865 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ბისმარკის წინაშე იდგა მორიგი პრობლემა, როგორ შეექმნა უფრო ხელსაყრელი ვითარება მომავალი ბრძოლისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი გამორიცხავდნენ მათი ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობებს. ამერიკის საქმეებით შებოჭილი ინგლისიც კი ვერ ჩაერეოდა ევროპის კონტინენტზე აღმოცენებულ კონფლიქტებში. ორი დიდი საფრთხე ყოვლად მოსალოდნელი იყო დამუქრებოდა ბისმარკის მიზნებს - ერთი ზამთრის სასახლიდან, მეორე ტიულრიდან. რუსეთსა და საფრანგეთს ერთმანეთთან შეთანხმებით შეეძლოთ პრუსიის გეგმის ჩაფუშვა. აქედან გამომდინარე, ბისმარკს კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო უსათუოდ ორივე სახელმწიფოსთან მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა, მათთვის ურთიერთმისაღებ პირობებზე.

ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე ხელს არ შეუშლიდა ანგარიში გაესწორებინა ავსტრიასთან. ასეთივე აზრზე იდგა გორჩაკოვიც, რადგან ავსტრიასა და რუსეთს შორის ძალიან გართულებული ურთიერთობა კიდევ უფრო დამძიმებული იყო ყირიმის ომიდან და რუსეთი ავსტრიას არ გამოეყომაგებოდა. მიუხედავად ამისა, ყველაზე დიდ საშიშროებას ბისმარკი საფრანგეთიდან მოელოდა, რადგან ნაპოლეონ მესამისთვის ავსტრიის დამარცხება და პრუსიის გარშემო გერმანიის გაერთიანება და მეზობლად ძლიერი სახელმწიფოს წარმოშობა, საფრთხეს წარმოადგენდა. ამიტომ ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ნაპოლეონ მესამე ყოველთვის შეეცდებოდა ხელი შეეშალა პრუსიისათვის. ბისმარკს მიაჩნდა, რომ ავსტრია-პრუსიის მომავალ ომში საფრანგეთი ომის გაჭიანურებას და ამ ომში ორივე მხარის დასუსტებას ელოდა, ხოლო თავის ჩარევას შუამავლის სახით, ძვირად დაუსვამდა პრუსიას⁵. ამდენად, საჭირო იყო, რადაც არ უნდა დაჯდომოდა,

¹ Отто фон Бисмарк, мемуари железного канслера, Москва, Санкт-Петербург, с. 144.

² ნ. დარსანია, ბისმარკი პოლიტიკოსი და დიპლომატი, გვ. 100.

³ А. С. Ерусалимский, Бисмарк, дипломатия и милитаризм, М, 1968. С. 28.

⁴ გაშტეინის კონვენცია - დანიის დამარცხების შემდეგ მისგან ჩამორთმეული ჰოლშტეინისა და შლეზვიგის საჰერცოგოები გადანაწილებულ იქნა ავსტრიასა და პრუსიას შორის 1865 წლის აგვისტოში. განსაკუთრებული კონვენციის (განშტეინში) ჰოლშტეინის მართვის უფლება გადაეცა ავსტრიას, შლეზვიგისა და პრუსიას. პრუსიას გადაეცა აგრეთვე პატარა საჰერცოგო ლაუსნბურგი. История дипломатий, С. 496.

⁵ ვ. ჩოჩია, ბისმარკი და გერმანიის პრობლემა, გვ. 204.

დიდი მსხვერპლის ფასადაც კი უნდა მიეღწია ნაპოლეონ მესამის მხრიდან ჩაურევლობისათვის. ამ მისიით ის 1865 წლის 30 სექტემბერს ეწვია მას ბიარციში-საზღვაო აგარაკზე, საფრანგეთის სამხრეთში, სადაც იმპერატორი ისვენებდა. ნაპოლეონ მესამესთან შეხვედრისას ბისმარკმა განაცხადა, რომ „პრუსია და საფრანგეთი ეს ორი ევროპული ერია, რომელთა ინტერესები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა“¹. ბისმარკი მზად იყო დაეთმო საფრანგეთის იმპერატორისათვის ლუქსენბურგი „კომპენსაციის“ საფასურად (ლუქსენბურგი დამოუკიდებელი საჰერცოგო იყო), მაგრამ ნაპოლეონს უფრო მეტი სურდა, ცდილობდა ბელგიის სამეფოს შემოერთებას საფრანგეთის იმპერიასთან, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთის მხარეს და საერთოდ პრუსიას. ბისმარკს ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებლად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, უარის თქმა ნაპოლეონისათვის ნიშნავდა ახლო მომავალში ომის წარმართვას ორ ფრონტზე საფრანგეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ. ბისმარკმა მოხერხებულად აუარა გვერდი საჩოთირო საკითხს და ნაპოლეონ მესამესაც დაჟინებით არ მოუთხოვია ბელგია, რაზეც მოლაპარაკება შეწყდა².

ბისმარკი ბერლინში საკმაოდ აღელვებული დაბრუნდა. სრულიად ნათელი იყო, რომ ნაპოლეონ მესამე ნამდვილად ჩაეროდა, თუ ომი გაჭიანურდებოდა. მამასადამე, აუცილებელი გახლდათ ხანმოკლე ომი. ყოველი გაჭიანურებული ომი, ბისმარკის აზრით, გერმანიისათვის კატასტროფით დასრულდებოდა. განსაკუთრებით ომი ავსტრიასთან. იქიდან გამომდინარე, რომ ნაპოლეონ მესამეს ლაპარაკიც კი არ უნდოდა კომპენსაციის შესახებ, რადგან ბევრად მეტის მიღება უნდოდა. მიუხედავად ამისა, ბისმარკმა, როგორც დახელოვნებულმა დიპლომატმა და პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსმა ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი მაინც იპოვა, რაშიც გამოიყენა იტალიური კოზირი. იტალიის ომში ჩართვა აუცილებლად გამოიწვევდა ავსტრიის არმიის ორ ნაწილად გათიშვას და მისი ერთი ნაწილის სამხრეთით გადაჯგუფებას, რაც მნიშვნელოვანწილად გაუადვილებდა პრუსიას ავსტრიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს და შესაბამისად, ომის მოკლე ხანში დამთავრებას. იტალია ამ დახმარების საფასურად მიიღებდა ვენეციას და ვენეციის ოლქის ნაწილს, რომელიც ავსტრიის მფლობელობაში დარჩა 1859 წლის ფილაფრანკას ზავის თანახმად. იტალიის სამეფოს ხელმწიფის იმანუილ ვიტორიო მეორისთვის ეს იყო უკანასკნელი შანსი ვენეციის დაბრუნებისა, რადგან გარდა პრუსიისა არავინ არ აპირებდა ავსტრიასთან ომს, ხოლო გარედან დახმარების გარეშე ისინი ავსტრიას ვერ დაამარცხებდნენ.

პრუსიასა და იტალიას შორის კავშირის დამყარების კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა ნაპოლეონ მესამე, მაგრამ ამ ორ სახელმწიფოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება მაინც შედგება 1866 წელს, მას შემდეგ, როცა ბისმარკმა გაითამაშა ნაპოლეონ მესამესთან ერთობ ძნელად მისახვედრი და მომგებიანი დიპლომატიური პარტია. ბისმარკი უკვე მეორედ გაემგზავრა ბორციში. ამ შემთხვევაში მისი მთელი ძალისხმევა მიმართული იყო იმისკენ, რომ დაემშვიდებინა ნაპოლეონ მესამე და დაერწმუნებინა იმაში, რომ იტალიის ომში მონაწილეობა სრულიად ვერ შეუძლებლად და პრუსიას ბრძოლას. ავსტრია-პრუსიის ომი იქნება ხანგრძლივი, ძალზე დაუძლურებული პრუსიისათვის, - ამბობდა ის. ნაპოლეონ მესამეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ეს აზრი მის შეფასებებს თანხვედბოდა ომის მსვლელობასთან დაკავშირებით და შემდგომში შეძლებდა, ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, რაინზე არმიით მდგარს წაეყენებინა პრუსიისათვის თავისთვის მომგებიანი მოთხოვნები.

ნაპოლეონ მესამემ ბისმარკს მწვანე შუქი აუნთო. ამის შემდეგ მოვლენები სასწრაფოდ განვითარდა. ბისმარკის მიერ პროვოცირებულმა ავსტრიამ 1866 წლის 17 ივნისს ომი გამოუცხადა პრუსიას, 20 ივნისს იტალიამ გამოუცხადა ომი ავსტრიას, 21 ივნისს კი - პრუსიას³.

უკეთესად შეიარაღებულმა და საგანგებოდ გაწვრთნილმა პრუსიის ჯარებმა დაამარცხეს ავსტრიელთა ძირითადი ძალები სოფელ სადოვასთან, ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოჰემიაში, კენინგრეცის მახლობლად. იტალიაში კი საომარი მოქმედებები ავსტრიის სასარგებლოდ ვითარდებოდა. მიუხედავად იტალიაში ავსტრიელთა წარმატებისა, სადოვასთან დამარცხების შემდეგ მათი მდგომარეობა დამძიმდა. პრუსიის ჯარები ივლისის შუა რიცხვებისათვის ვენის მისადგომებს აღწევნ ⁴ და ქალაქ ნიკოლსბურგში ავსტრიის დედაქალაქიდან 18 კმ-ის დაშორებით დაბანაკდებიან. ავსტრიის ჯარებმა უკან დაიხიეს და თითქოსდა არაფერი უშლიდა ხელს იმას, რომ პრუსიის ჯარი ავსტრიის დედაქალაქისკენ დაძრულიყო, მაგრამ ბისმარკმა საოცარი გამჭრიახობა და ხასიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცე გამოავლინა. მას კარგად ესმოდა, რომ ეს ომი ავსტრიასთან უდიდეს რისკზე წასვლა იყო და მიუხედავად იმპერატორისა და გენერალიტეტის კატეგორიული წინააღმდეგობისა, მან იმას მიაღწია, რომ ავსტრიასთან დაზავებაზე წასულიყვნენ. ბისმარკი სასწრაფოდ ზავის დადებას და ომის დამთავრებას იმიტომ ესწრაფოდა, რომ საფრანგეთს არ დაესწრო და დიპლომატიური ჩარევა არ განეხორციელებინა ავსტრიის სასარგებლოდ. მან მართლაც მიაღწია ამას და 26 აგვისტოს ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც

¹ იქვე, გვ. 63.

² История дипломатий, Т. 1. под редакций Р.П. Потемкина, с. 498.

³ В.В. Чубинский, Бисмарк, политическая биография, с. 33.

⁴ С. Б. Кан, Обединение Германий (1864-1871), М. с. 33.

ავსტრია სამუდამოდ ტოვებდა გერმანიის კავშირს. მის ნაცვლად შეიქმნა ე.წ. ჩრდილოეთ გერმანიის კავშირი“, პრუსიის ეგიდით. ამ კავშირის კონსტიტუცია 1867 წლის დასაწყისში საბოლოოდ დაამტკიცა დამფუძნებელმა რაიქსტაგმა. იტალიამ ავსტრიის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, მიუხედავად დამარცხებისა, მიიღო დაპირებული ვენეციის ოლქი¹. როგორც პირველმა ომმა (1864 წელს დანიის წინააღმდეგ) ლოგიკური აუცილებლობით გამოიწვია მეორე ომი (1866 წლის ავსტრიის წინააღმდეგ). ასევე, მეორე ომმაც, ბუნებრივად, გამოიწვია მესამე ომიც (1870-1871) საფრანგეთის წინააღმდეგ.

ბისმარკი ომისათვის ემზადებოდა, რადგან ის თვლიდა, რომ მის მიერ დასახული გეგმები ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო. თუმცა ძალიან ფრთხილად მოქმედებდა. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ძლევამოსილი ომით შეიძლებოდა ბადენის, ზავარიის, ჰესენის, ვიუტენბერგის – ამ სამხრეთ გერმანული სახელმწიფოების, რომლებიც საფრანგეთის იმპერატორის უშუალო ზეწოლით დროებით კავშირის გარეთ დარჩნენ, იძულება შესულიყვნენ ჩრდილო-გერმანულ კავშირში და ამ კავშირის გადაქცევა გერმანიის იმპერიად.

ამიტომ ის ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას ევროპაში, რომელიც იმ დროისათვის ასე გამოიყურებოდა: ინგლისის მთავრობაში ვერაფერ სასარგებლოს ვერ ხედავდნენ პრუსიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, პრუსია მათი აზრით, წარმოადგენდა საფრანგეთის ძლიერების საპირწონე ძალას. გამომდინარე იქედან, რომ სუეცის არხთან დაკავშირებით, მიმდინარე გამალებული სამუშაოები ძალიან აწუხებდა და აღიზიანებდა ინგლისელებს, ამ ფრანგულ წამოწყებაში ისინი გარკვეულ საფრთხეს ხედავდნენ ინდოეთისათვის. სადოვასთან პრუსიის გამარჯვებამ რამდენადმე შეაცვუნა რუსული სამხედრო წრეები, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოს მმართველი ძალები დაინტერესებული იყვნენ საფრანგეთის დასუსტებაში. რადგან ეს აძლევდა მათ შესაძლებლობას საჩქაროდ განთავისუფლებულიყვნენ 1856 წლის პარიზის დამამცირებელი ზავის პირობებისაგან.

აქედან გამომდინარე, ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფოები – რუსეთი და ინგლისი პრუსიასა და საფრანგეთს შორის ომის შემთხვევაში არ იქნებოდნენ ნაპოლეონის მხარეზე.

ყველაზე მძიმე და რთულ საქმეს ბისმარკისათვის მაინც საფრანგეთის იმპერატორთან ახალი ურთიერთობების დალაგება წარმოადგენდა, რადგან ავსტრიის დამარცხების შემდეგ ურთიერთობა საფრანგეთთან არც თუ სასურველი შეიქმნა. ამაში ეჭვი არც პრუსიის მინისტრს და არც ნაპოლეონ მესამეს ეპარებოდა. 1866 წლის ბოლოსა და 1867 წლის დასაწყისში ნაპოლეონ მესამემ თითქოსდა გერმანიაში მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესისადმი თანაგრძნობისა და ავსტრია-პრუსიის ომში ჩაურევლობისათვის დაჟინებით მოითხოვა ტერიტორიული კომპენსაციები, მაგრამ ბისმარკმა გადაწყვიტა არაფერი მიეცა საფრანგეთისათვის.

გრაფი ბენედეტი, საფრანგეთის ელჩი ბერლინში, 1866 წლის 16 აგვისტოს გამოცხადდა ბისმარკთან, რომ მიეღო პრუსიის მთავრობისაგან თანხმობა საფრანგეთის მიერ ლანდაუს, სარბრიუკენის, ლუქსენბურგისა და ბელგიის შემოერთების შემთხვევაში². მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ელჩმა ბისმარკისაგან სრული პასუხი ვერ მიიღო. გარკვეული პაუზის შემდეგ, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდებოდა, ნაპოლეონ მესამემ ეს საკითხი კომპენსაციების – შესახებ ისევ წამოსწია³. საბოლოოდ ლუქსენბურგის საკითხი გადაწყდა დიდი სახელმწიფოების ლონდონის კონფერენციაზე 1867 წლის 7-11 მაისს. კონფერენციის გადაწყვეტილებით პრუსიას ჯარი უნდა გაეყვანა ლუქსენბურგიდან. ამ უკანასკნელის ნეიტრალიტეტის გარანტია საკუთარ თავზე აიღეს ევროპის სახელმწიფოებმა⁴

ამის შემდგომ პერიოდში, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში გაშლილი იყო კამპანია, რათა მოემზადებინათ საზოგადოებრივი აზრი, რომ ომი გარდაუვალი იყო. მას შემდეგ, რაც პრუსიამ სამხედრო სამზადისი დაასრულა, ბისმარკს საფრანგეთთან ომის დასაწყებად მხოლოდ საბაბის პოვნა სჭირდებოდა.

1869 წლის დასაწყისში გამწვავდა საკითხი ესპანეთის სამეფო ტახტზე ლეოპოლდ ჰოჰენცოლერის კანდიდატურასთან დაკავშირებით. საფრანგეთს, რა თქმა უნდა არ შეეძლო გულგრილად მოჰკიდებოდა ამ პოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვან მოვლენას იმ დამარცხების შემდეგ, რაც მიაყენა ბისმარკმა საფრანგეთის დიპლომატიას: გამოდიოდა, რომ ნაპოლეონ მესამემ არა მარტო ვერ მიიღო ტერიტორიული კომპენსაცია“ იმ ხელშეწყობისათვის, რაც მან გაუწია პრუსიას, არა მარტო უნდა შეურთებდეს ძლიერი სახელმწიფოს წარმოშობას თავის სახელმწიფო საზღვრებზე, არამედ დამატებით კიდევ ემუქრებინა მას სამხრეთიდან ესპანეთის ტახტზე პრუსიის სამეფო ოჯახის წარმომადგენლის ასვლით. ნაპოლეონ მესამეს დაუშვებლად მიაჩნდა ერთი და იმავე დინასტიის წარმომადგენლის ასვლა გერმანიისა და ესპანეთის ტახტზე, რაც საფრანგეთს საფრთხეს შეუქმნიდა ორივე მხრიდან. მითუმეტეს, იმ დროისათვის

¹ ნ. დარსანია, ბისმარკი პოლიტიკოსი და დიპლომატი, გვ. 217-218.

² История дипломатий, Т. 1. под редакций Р.П. Потемкина, М. 19416 с. 507.

³ История дипломатий, Т. 1. под редакций Р.П. Потемкина, М. 19416 с. 507.

⁴ ვ. ჩოჩია, ბისმარკი და გერმანიის პრობლემა (1862- 1882). გვ. 80.

რუმინეთში უკვე მეფობდა ლეოპოლდის ძმა კარლ ჰოჰენცოლერი. ამრიგად, ურთიერთობამ საფრანგეთსა და პრუსიას შორის მწვავე ხასიათი მიიღო. მდგომარეობა იმდენად გაართულდა, რომ ნაპოლეონ მესამე ომითაც კი იმუქრებოდა.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ვილჰელმ პირველის, როგორც ჰოჰენცოლერების გვარის მეთაურის ყველა მცდელობა ეს ინციდენტი მშვიდობიანად რომ მოგვარებულიყო, უშედეგოდ დამთავრდა. ფრანგების ყოველი ახალი მოთხოვნა აშკარა პროვოკაციული გახლდათ. ნათლად ჩანდა, რომ საფრანგეთში ყოველმხრივ ცდილობდნენ ეპოვათ მიზეზი ომის დაწყებისათვის. საკურორტო ქალაქ ემსში პრუსიის მეფისა და საფრანგეთის ელჩის ბენედეტის შეხვედრებს წარმატება არ მოჰყოლია. ერთადერთი, რაც შეეძლო და განუცხადა პრუსიის მეფემ მას ბოლო შეხვედრაზე, 14 ივლისს, იყო ის, რომ ამ საკითხებზე მოლაპარაკებები არა მათ შორის არამედ მათ მთავრობებს შორის გაგრძელდებოდა ბერლინში¹. ამის შემდეგ იმ დღის მოვლენების შინაარსი ვილჰელმ პირველის ბრძანებით, ეცნობა ბისმარკს ბერლინში. ბისმარკს, თავის მხრივ, იმ ღამესვე უნდა შეეტყობინებინა პრესისათვის დეპეშის შინაარსი, რადგან მთელი ევროპა ელოდა ამ ინფორმაციას. ბისმარკი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბენედეტისა და პრუსიის მეფეს შორის მოლაპარაკებებს ემსში. ის ნათლად ხედავდა, რომ ფრანგები აშკარა პროვოკაციაზე მიდიოდნენ, ხოლო ვილჰელმ პირველს ომის გაჩაღება არ უნდოდა. ბისმარკმა გადაწყვიტა ფრანგული პროვოკაციისათვის პროვოკაციითვე პასუხის გაცემა, რომელიც ომს გარდაუვალს გახდიდა². სანამ ის პრესისათვის ტელეგრამას მოამზადებდა, მან იქვე შეამცირა დეპეშის ტექსტი, უყოყმანოდ წაშალა ყველა ის ადგილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბენედეტი ითხოვდა ახალ აუდიენციას მეფესთან და ტექსტიდან დატოვა მხოლოდ თავი და ბოლო. ამ „მემოკლების“ შედეგად ტექსტიდან სრულიად გაქრა მეფის სიტყვები მის მიერ თქმული გრაფ ბენედეტისთვის, რომ მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა ბერლინში. ასეთი ცვლილების შეტანის შემდეგ დეპეშის შინაარსმა შეურაცხმყოფელი ხასიათი მიიღო. გამოდიოდა, თითქოს ნაპოლეონ მესამის ელჩს აუდიენცია რომ მოეთხოვა ვილჰელმ პირველთან, უარი მოახსენეს და ადიუტანტის მეშვეობით კარებზე მიუთითეს³.

ამის შემდეგ ბისმარკმა ეს ცნობილი ემსის დეპეშის ფალსიფიცირებული ტექსტი პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა. საქმე უკვე გაკეთებული იყო. ბისმარკმა და ნაპოლეონმა მიიღეს ის, რისკენაც ორივე ერთად მიისწრაფოდა. ომი გარდაუვალი გახდა. მხოლოდ ერთი განსხვავებით, ბისმარკმა და მისმა დიპლომატიამ თავის მიზანს მიაღწია: ემსის დეპეშის გაყალბებით მან ნაპოლეონის პროვოცირება მოახდინა. საფრანგეთის იმპერატორმა კი პრუსიას ომი გამოუცხადა. 14 ივლისს მიღებული ცნობა, ბისმარკის ენით თუ ვიტყვით, ეს იყო „წითელი ცხვირსახოცის აფრიალება გალიელი ხარისთვის“⁴.

საფრანგეთ-პრუსიის სამხედრო კამპანია პრუსიელთა გამარჯვებით დამთავრდა. 1970 წლის 1 სექტემბერს ქ. სედანთან ფრანგებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. 2 სექტემბერს ნაპოლეონ მესამემ, რომელიც არმიასთან ერთად სედანში იმყოფებოდა, სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, ბრძანა დაეყარათ იარაღი და ტყვედ ჩაბარდა გერმანელებს.

სედანიდან გერმანიის არმია პარიზისკენ გაემართა. 19 სექტემბერს ვერსალში შევიდა და საფრანგეთის დედაქალაქი ალყაში მოაქცია. გზა პარიზისკენ თავისუფალი იყო, მაგრამ ბისმარკი, რომელსაც ალლო არასოდეს ღალატობდა, ფიქრობდა, რომ დედაქალაქისკენ გალაშქრება შეცდომა იქნებოდა. ახლა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორი საკითხის მოგვარება იყო. პირველი გახლდათ ომის სასწრაფოდ დამთავრება და - მეორე გერმანიის გაერთიანების დასრულება, სანამ არ მოხდებოდა დიდი სახელმწიფოების დიპლომატიური ჩარევა, რაც არ მისცემდა მას საშუალებას თავისი შეხედულებების მიხედვით მოეგვარებინა ზავის საკითხები საფრანგეთთან.

ფრანკფურტში, 1871 წელს, მოლაპარაკებები საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დამთავრდა, რომლის მიხედვით, საფრანგეთმა გერმანიას დაუთმო ალზასი, ლოტარინგიის ნაწილი და აილო ვალდებულება, გადაეხადა კონტრიბუცია 5 მლრდ. ფრანკის ოდენობით.

1871 წლის 18 იანვარს საფრანგეთის მეფეთა საარქივებიან დარბაზში ოფიციალურად გამოცხადდა გერმანიის იმპერიის აღდგენა.

ტყვე იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ 1971 წლის 19 მარტს დატოვა გერმანია და ინგლისში გაემგზავრა, სადაც იმყოფებოდა მისი მეუღლე ევგენია. ჯერ კიდევ ომამდე მძიმედ დაავადებულმა ნაპოლეონ მესამემ სულ ცოტა ხანი იცოცხლა ამ სამარცხვინო დამარცხების შემდეგ და 1873 წლის დასაწყისში გარდაიცვალა.

¹ Т. А. Ротштейн, История прусско-германской империй, М-Л, 1948, с. 144.

² Е. В. Тарле, Вторая империя во Аранций. Восоединение Италий и Германий как самостоятельное государства, М, 1940, с. 53.

³ История дипломатий, Т. 1. под редакций Р.П. Потемкина, с. 516.

⁴ Е.В. Тарле, Вторая империя во Аранций. Восоединение Италий и Германий как самостоятельное государства, М, с. 53.

ლიტერატურა:

1. ჩოჩია, ვ. ბისმარკი და გერმანიის პრობლემა (1862- 1882). თბ., 2011.
2. დარსანია, ნ. ბისმარკი პოლიტიკოსი და დიპლომატი, თბ., 2016.
3. Ротштейн, Т. А. История прусско-германской империй, М-Л, 1948.
4. Семеновский, Р. И. Князь Бисмарк, Петербург, 1825,
5. Тарле, Е. В. Вторая империя война Араций. Восоединение Италий и Германий как самостоятельное государства, М, 1940.
- 6 . История дипломатий, Т. 1. под редакций Р.П. Потемкина, М., 1941.
7. Кан, С. Б. Обединение Германий (1864-1871), М., 1957.
8. А. С. Ерусалимский, Бисмарк, дипломатия и милитаризм, М, 1968.
9. Ото фон Бисмарк, мемуары железного канцлера, Москва, Санк-Петербург, 2004.

Nodar Darsania
Sokhumi State University
NAPOLEON III AND BISMARCK
RESUME

This work is devoted to the extraordinary relations of the French Emperor Napoleon the III and the German statesman - Otto Bismarck. The author considers long political and diplomatic confrontation between them which has a great influence as on Europe and so on the fate of the whole world as well.

Their dispute during decade on the political arena was ended by military clash between the two countries. This beat Bonaparte to the ground and Otto Bismarck was picked up to the glacier of political rise.

Нузარ Зосидзе
Батумский государственный университет им. Шота Руставели

ГРУЗИНО-ТУРЕЦКИЕ ОТНАШЕНИЯ В КОНТЕКСТЕ В КАВКАЗСКОЙ ГЕОРОЛИТИКИ (1917-1918 Г.Г.)

После восстановления независимости Грузии одним из приоритетов руководства страны стало установление дружественных отношений с соседними странами, что с учетом международных правовых принципов должно было обеспечить упорядочение территориальных вопросов. Правительство демократической Грузии старалось сохранить территориальную целостность страны в исторических границах, хотя в тогдашних внутренних и внешних сложных условиях достичь этого было крайне трудно. Руководство Грузии стремилось сохранить реалии пограничного режима, существующие между Российской и Османской империями до первой мировой войны, чему категорически противилась Османская Империя, опирающаяся при этом на различные международные правовые аспекты. Главным из них был Брестский мирный договор, оформленный в сложных и крайне неблагоприятных условиях для Грузии.

Курс на выход России из первой мирового войны начал реализовываться сразу же после прихода большевиков к власти.

21 ноября 1917 г. нарком по иностранным делам Л. Троцкий направил послам стран Антанты дипломатические ноты с предложением о прекращении боевых действий на всех фронтах и начале мирных переговоров. Немецкое правительство 27 ноября 1917 г. согласилось начать мирные переговоры. Заключение мира в первую очередь было на руку России и Германии оно устраивало и обессиленную Османскую империю. В начале декабря в Брест-Литовске начались мирные переговоры между большевистской Россией и Германией.

А каково было положение в Закавказье? Ситуация была следующей- после свержения Временного правительства Чрезвычайный Комиссариат Закавказья потерял свои функции, практически оказавшись не у дел.

Оценив ситуацию, миссии Антанты начали подготовку по созданию в Закавказье независимого от большевистской России правительства, что подтверждается телеграммой консула США Смита, посланной государственному секретарю Лансингу. (ЦГИАГ, фонд 1818, опись 2, дело 116, л.12)

Тогдашние политические деятели и ведущие партии Закавказья видимо не слишком восторгались Лениным и его большевистской властью. Надо принять во внимание и то обстоятельство, что политические силы Закавказья, не входящие в альянс с большевиками, не сели бы с ними за стол переговоров.

3 декабря 1917 г. в Брест-Литовске, где размещалась Ставка верховного командования немецкими войсками на Восточном фронте (место переговоров было предложено Германией) начались переговоры. 9 декабря открылось первое заседание официальной мирной конференции (История дипломатии, т. II, М., 1945, с. 321), завершившееся 15 декабря подписанием договора о перемирии на 28 дней, а 18 декабря в городе Эрзинджане был подписан договор о перемирии между русскими и турецкими армиями, в связи с чем были приостановлены военные действия на Кавказском фронте (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1919, с. 18-23).

Надо принять во внимание и то, что союзник Германии - Турция также имела свои определённые цели в Закавказье и она должна была попытаться решить их здесь, на этой конференции. Было очевидно, что Грузия стояла перед опасностью потери значительной части своих территорий.

1 (14) января 1918 года генерал-лейтенант И. Одишелидзе получил от главнокомандующего турецкой армией Ферика Вехиб-Мехмеда письмо, в котором говорилось, что исполняющий обязанности главнокомандующего турецкой армией Энвер – паша хочет узнать, «каким путём будет возможно восстановить отношения с независимым кавказским правительством, какие предложения имеет кавказское независимое правительство в целях восстановления мирных отношений между обеими сторонами...» С этой целью Энвер – паша был готов послать делегацию в столицу независимого Кавказского Правительства - Тбилиси, чтобы добиться «скорейшего восстановления взаимно желаемого справедливого мира»(Там же, Док. №15, с. 24-25). (Хотя в этой телеграмме подчёркнуто упоминается (4 раза - Н. З.) статус независимого кавказского правительства (в лице Закавказского комиссариата), с их стороны это не было чистосердечным заявлением. То, что османская сторона на этом этапе не считала фактическое правительство Закавказья законным и не признавала его «de-iure», ясно проявилось на первом же заседании Трабзонской мирной конференции).

В ответ Закавказский комиссариат уведомлял турецкую сторону, что закавказское правительство весьма заинтересовано в скорейшем окончании войны и установлении мира, однако, в то же время оно считало «нужным довести до вашего сведения, что мы, являясь составной частью российской республики, можем приступить к переговорам о мире лишь по получении соответствующего полномочия от только что собранного Учредительного собрания»(Документы и материалы... Док. №16, с. 25-26). Мы разделяем мнение доктора исторических наук, профессора Михаила Сванидзе о том, что если закавказское правительство не признавало большевистскую власть, оно должно было активнее зафиксировать свою позицию и официально объявить независимость Закавказья. Однако Ное Жордания и его единомышленники всё ещё надеялись, что в России большевики недолго сохранят власть, поэтому они считали, что для объявления независимости Закавказья ещё не было соответствующих условий. Исходя из этого, они даже к Брест-Литовскому договору не проявили надлежащего внимания(Сванидзе М. Брестский Мир. Целидцлеули грузинской дипломатии, т. III, Тб., 1996, с. 288-289).

23 февраля в 10.30 утра Германия, наконец, представила свои мирные условия, потребовав дать ответ на них не позднее чем через 48 часов. Русская сторона приняла ультиматум немцев, состоящий из десяти пунктов, по нему она обязывалась вернуть Турции провинции Анатолии. (История дипломатии, под редакцией академика В. Потёмкина, т. II, М., 1945, с. 242).

После окончательного прочтения текста ультиматума выяснилось, что немцы внесли в него определённые изменения в пользу турок. Выше было отмечено, что вначале немцы требовали, чтобы Россия вернула Турции провинции Анатолии. Однако, после явного проявления слабости с русской стороны, у турок возрос аппетит и требования. Турция решила воспользоваться созданным положением и предъявить претензии и на другие территории. Таким образом, к вышеупомянутым провинциям Анатолии добавился и вопрос о передаче Турции Карской, Ардаганской и Батумской областей (Мирные переговоры в Брест-Литовске, с.215).

3 марта 1918 года в Брест-Литовске окончились мирные переговоры. Большевистская Россия, Германия, Австро-Венгрия, Турция и Болгария подписали мирный договор, который состоял из 13 статей.

В соответствии с пунктом 4 этого договора большевистская Россия должна была выполнить всё, что требовалось от неё по данному договору. Договор, как уже было отмечено, многого, и даже очень, требовал от России. Она должна была обеспечить быструю очистку восточных провинций Анатолии и такое же быстрое возвращение их бывшему владельцу.«Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно будут очищены от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно-правовых и международно-правовых отношений этих округов, а предоставит населению их устанавливать новый строй в согласии с соседними государствами, в особенности с Турцией.»(Документы внешней политики СССР, т.1, М., 1957, с.121).

Всё это означало, что впредь Россия никоим образом не могла вмешиваться в государственно-правовые и международно-правовые взаимоотношения этих областей, она должна была дать здешнему населению полное

право создать на своих территориях новую власть, которая была бы приемлема для соседних государств (особенно, конечно, Турции - Н.З.).

В тот же день оформили русско-турецкое дополнительное соглашение, по которому большевистская Россия обязывалась незамедлительно вывести свои войска из оккупированных ею территорий. На всей территории Закавказья Россия могла иметь лишь одну дивизию, не больше (Там же, с. 199-200). Это соглашение подразумевало и то, что русско-турецкие границы должны были быть восстановлены в том виде, в каком они существовали ещё до русско - турецкой войны 1877 - 1878 гг (Там же, с. 201). По 2-му пункту договора «Договаривающиеся стороны в течение 3 месяцев после ратификации настоящего договора образуют две смешанные русско-турецкие комиссии. Задачей первой комиссии является восстановление пограничной линии, разделяющей Россию и Турцию, начиная от места, где все три границы – русская, турецкая и персидская сходятся до места, где пограничная линия доходит до границ 3-х санджаков: Карса, Ардагана и Батума. На этом протяжении комиссия будет руководствоваться пограничной линией, существовавшей до войны.... Вторая комиссия установит русскую границу и границу трех санджаков, подлежащих эвакуации Российской республикой в соответствии со вторым абзацем статьи 4-ой коллективного мирного договора. Граница там будет восстановлена в том виде, в каком она существовала до русско-турецкой войны 1877-1878 годов» (Там же, с. 200-201).

На мирной конференции лишь частично проявились чаяния турков, далеко идущий геополитический замысел которых начал осуществляться после оккупации Батумской области.

Вот как оценил заместитель народного комиссара по иностранным делам Российской Федерации Г. В. Чичерин положения Брест-Литовского договора относительно Закавказья. „.....Территории, на которые условия мира распространяются, разделяются на пять категории.... Другая категория - это есть Карс, Ардаган и Батум. Относительно этих областей договор не высказывает ясно, что эти области от России отходят, – эти области очищаются от русских войск, Россия не будет вмешиваться в их новую организацию. Новый строй будет установлен в согласии с соседними государствами, в особенности с Турцией. В данном случае аннексия имеет несколько более прикрытый вид, чем в первом случае, но сущность ее разумеется остается в том же» (Там же, с. 667). (В первой категории в докладе подразумевается те территории, которые окончательно отходили от Российского государства – Н.З.). Чтобы правильно оценить этот договор, надо отдать должное словам Чичерина – «Вот содержание договора, который нас заставили подписать, приставив ко лбу пистолет» (Там же, с. 672-673).

Определённая тяжесть этого соглашения непосредственно коснулась и нашей родины – Грузии, поскольку она теряла свои исторические территории – Ардаганскую и Батумскую области.

Как видно из предлагаемых документов, большевистская Россия не так ясно и четко сформулировала свои взаимоотношения с вопросами, которые затрагивали жизненные интересы Закавказья и в частности, Грузии.

В итоге можно сказать, что эта конференция была реальным выражением существующего в тогдашней Российской империи хаоса. Брестский договор – пример того, что можно навязать пораженному, изолированному государству.

Турецкое правительство старалось ускорить ход событий. 25 февраля, ночью, Закавказское правительство получило телеграмму, отправленную на имя главнокомандующего Российскими войсками в Закавказье генерала Лебединского. В нем сообщалось, что „Российская республика, согласившись на эвакуацию областей Батума, Карса и Ардагана, только что подписала мирный договор касательно этого. ... просим вас выполнить в кратчайший срок эвакуацию указанных областей” (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, д. № 49, с. 86).

Закавказский Сейм 16 февраля 1918 г. утвердил состав делегации для мирных переговоров с турками. Главой делегации был избран И.Чхенкели. Там же была принята программа действий. Посланники должны были добиться пересмотра границы, с тем чтобы между Закавказьем и Турцией сохранить русско-турецкую границу 1914 г.

23 февраля 1918 года делегация находилась в Трабзоне. При встрече вали города подчеркнул, что османы являются хозяевами, а делегаты Закавказья – гостями. Этим они дали понять, что являются здесь полными хозяевами (хотя в Трабзоне все еще находилось определенное количество русских солдат.)

Первое официальное заседание мирных переговоров состоялось 14 марта 1918 года. Со стороны османцев в нем участвовали: глава делегации Рауф бей, Мемед Нусрет бей, доктор Тевпик Салим бей, профессор Стамбульского университета Измаил Гами бей и др. В Закавказскую делегацию входили: А.Чхенкели, Г.Абашидзе, Мемед Гасан Гаджинский, Р.Качазнун и Г.Ласхишвили и др (ЦГИАГ, фонд 1819, опись 1, дело 17, л. 13).

Турки поставили вопрос, чтобы делегация разъяснила форму политического и административного обустройства закавказской республики с тем, удовлетворяет ли эта форма условиям, предусмотренным международными правовыми нормами возникновения государства (Там же, фонд 1819, опись 1, дело 17, л. 16).

На втором заседании мирной конференции А.И.Чхенкели охарактеризовал форму политического правления закавказской республики. Он сказал, что закавказская республика имеет избранный демократическим путем Сейм как высший орган власти. Поскольку Брестская мирная конференция коснулась закавказских республик (без их непосредственного участия) и, вместе с тем, заключенный большевиками

договор был неприемлем для этих республик, посему мирные условия, касающиеся Закавказья, согласно нормам международного права, сами по себе теряли значение. Закавказье непосредственно решит свои проблемы с соседним государством, и это должно быть лейтмотивом нашей встречи, заявил А.Чхенкели (Там же, фонд 1819, опись 1, дело 17, л. 19).

Это соображение А.Чхенкели скорее было выражением доброй воли, нежели твердой политической аргументацией. Закавказье еще не объявило независимости, а на Брестской конференции большевики выступали от имени всей России. На наш взгляд, антипатия к большевикам не могла быть пригодной для игнорирования Брестского договора. Ввиду этих обстоятельств, делегация в Трабзоне столкнулась с трудностями при защите своих позиций. Турецкая сторона явно дала понять делегатам, что если они не признавали большевистскую власть, надо было принять участие в Брест-Литовской мирной конференции, как это сделала Украинская Рада (Там же, фонд 1819, опись 1, дело 17, л. 21).

В этом же случае непризнание большевиками Брестского договора являлось лишь капризом и только. Допущенные ранее ошибки, ныне дамокловым мечом нависшие над делегацией Закавказья, давали туркам возможность направить конференцию по нужному им руслу. В процессе переговоров постепенно выявлялись их истинные намерения. По словам Рауф бей, их сторона прибыла сюда не для рассмотрения Брестского договора, а для участия в новых переговорах и не имела другой цели, кроме того, чтобы были подготовлены основы экономических и коммерческих взаимоотношений, определены практические и технические детали этих взаимоотношений, оставшиеся без внимания в Брест-Литовском договоре (Там же, фонд 1819, опись 1, дело 17, л.25).

Трабзонские переговоры оказались в тупике. Основой предстоящего соглашения турки считали Брестский договор. По их мнению, вопрос Карской, Ардаганской и Батумской областей вообще не подлежит обсуждению, поскольку Оттоманская империя имеет право на их присоединение¹ Там же, фонд 1819, опись 1, дело 17, л.28).

Ясно, что Закавказье не могло положительно решить вопрос абсолютного сохранения своих территорий. Был разработан вариант передачи определенной части этих территорий, по которому Османская империя получала из Карсской области Кагизманский район, а из Ардаганской – Олтиский. Такой комбинацией Грузия сохраняла в Ардаганской области Поцхов-Эрушети, что было равным территории Карсской области, оставленной Арменией (Там же, фонд 1818, опись. 2, дело 179, л.10-14).

23 марта закавказская делегация представила османам меморандум, согласно которому Османской империи передавались: Олтиси-южная часть Ардаганской области, Кагизман-юго-западная часть Карсской области (Нозадзе В., За восстановление Грузии, Борьба из-за Месхети. Тб., 1989, с. 33 / Трабзонская конференция, сборник документов, под редакцией Н. Зосидзе, Бат., 1998, с. 87-103).

Турецкая сторона пошла на новый маневр – меморандум для ознакомления послала в Стамбул правительству империи. Этим были завершены официальные заседания. По утверждению турецкой историографии основной целью османской делегации в Трабзоне было сохранение мира и стабильности между Турцией и кавказскими соседями. Однако стоит подчеркнуть, что право делегатов османской стороны были в определённой мере ограничены. Глава делегации Рауф Бей обратился к своему правительству с просьбой о расширении своих полномочий, которое не было удовлетворено. По этим и другим причинам переговоры зашли в тупик, после чего делегация была вынуждена вернуться в Стамбул (Şahin E. Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918). Ankara 2002, s. 443).

Из переговоров видно было, что Закавказье оказалось в положении более трудном, чем Россия. Ленин по Брестскому миру в основном отдавал территории, которые все равно не смог бы удержать, а Закавказье могло потерять жизненно важные для страны районы (Фельштинский, 321). Беда была в том, что деморализированные войска не были надежной опорой для защиты рубежей.

Именно эти вопросы обсуждались в штабе Кавказского фронта на совещании военных и государственных деятелей, посвященном возможности продолжения войны с Турцией. Мнение военных сводилось к тому, что Закавказье не может сопротивляться. Они не исключали, что за 2-3 недели османские войска войдут в Батуми или даже высадят десант, чтобы отрезать Батуми от остальной Грузии.

Главнокомандующий войсками Кавказского фронта генерал-майор Лебединский в своем рапорте председателю Закавказского комиссариата подчеркивал, что вопрос защиты границ Закавказья от наступления турецких сил является совершенно безнадежным. Это может завершиться самым печальным образом (Фельштинский, 322). Скорее всего так и получилось. Потеря трех санджаков стала реальным фактом.

Закавказское правительство, явно исключая большевизм, находилось в полной конфронтации с ним. Параллельно с этим, оно не представляло себе этот регион вне единой России. Трудность состояла ещё и в том, что осложнялась объективная оценка будущей судьбы большевизма. Когда большевики разогнали Учредительное собрание и продолжили Брестскую мирную конференцию, явно стало нужным выработать политический статус федерации, чего, к сожалению, правительство не смогло осуществить. Объявление независимости 9 апреля 1918 года оказалось запоздалым. Исходя из этого, Трабзонская мирная конференция содержала лишь признаки политического фарса, и ничего больше (Зосидзе, 27). Это больше походило на бездарный спектакль, поставленный османами, где вопрос решался с позиции силы при частичном игнорировании принципов дипломатии. Османская сторона именно таким путем добивалась реального преимущества. Это особенно проявилось на конечном этапе конференции, когда военные силы Османской империи осуществили широкие военные операции и вскоре- приблизились к Батумской области. На

Трабзонской мирной конференции лишь частично проявились чаяния османов, далеко идущий геополитический замысел которых начал осуществляться после оккупации Батумской области.

15 апреля 1918 г. Турецкая сторона согласилась продолжать мирные переговоры. На сей раз местом для переговоров стал город Батуми, уже оккупированный турецкими войсками.

Батумская конференция затрагивала все проблемы, связанные с урегулированием территориальных вопросов в отношении с Турцией, в частности, отказ от Карса, Батуми и Ардагана. Это действие должно было остановить турецкую экспансию. Нужно отметить, что работа Трабзонской и Батумской конференций проходила на фоне влияния турецкой стороны и военной экспансии, что усугубляло и так уже трудное положение в Закавказье. В таких условиях стремились частичными уступками приостановить турецкую агрессию. По мнению закавказской делегации основной переговоров должен был быть Брестский мир, (это тот Брестский мир, которому в свое время, объявили бойкот закавказские республики, не приняв участия в переговорах), но такая постановка вопроса не устраивала Турцию.

Турецкая сторона представила на конференции проект договора, который носил аннексионный характер(ЦГИАГ, ф. 1836, ор. 2, д. 73, с. 4-5). По этому проекту Грузия теряла все те территории, которые были возвращены в результате русско-турецких войн на протяжении всего XIX века. Это были территории Ардаганского и Батумского округов, а так же территории Ахалкалаки и Ахалцихе. Таким образом, было бы нарушено политическое и экономическое положение Грузии (Зосидзе Н. Политическая ситуация и национально-освободительное движение в Аджарии в 1918-1920 гг., Бат., 1995, с. 43-45). Турецкая сторона представляла данный проект как конечное соглашение.

25 мая 1918 года закавказская делегация приняла от Халил бея ультиматум, по которому в течение 72 часов они должны были выполнить все условия, самым важным из которых было изменение границ в пользу Турции (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, док. № 159, с. 309-310). 26 мая 1918 года Грузия объявила о независимости. В роли независимого государства, 28 мая Грузия подписала первый договор с Германией, в котором были обозначены приоритеты отношений и действий. Германия де-факто признала Грузию. Появились надежды и кое-какие гарантии территориальной целостности государства, но тут же надо отметить, что грузино-германские отношения определялись условиями Брестского мира, который признавали обе стороны(История Грузинской дипломатии, Тб., 2004, с. 473-474). Именно после этого, 4 июня 1918 года был подписан Батумский договор и дружественное соглашение между Грузией и Турцией, на основании которого новая территория от реки Чолоки до Абастумани (границы после русско-турецкой войны 1877 года), теперь доходили до Ахалкалакского и Ахалцихского округов, перейдя в состав Турции (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, док. №172, с. 343-349). Таким образом, Османская империя вновь возвращала себе, так называемый, «большой вилайет Гурджистана» (Зосидзе Н. Политическая ситуация и национально-освободительное движение в Аджарии в 1918-1920 гг. Бат. 1995, с. 51). Таким образом, данное соглашение представляло для Грузии политическое и дипломатическое поражение.

После оккупации Батуми, правительство Турции попыталось использовать условия Брестского мира в свою пользу, в частности, потребовало от местного населения определить свой будущий статус и с этой целью проводил референдум, для того, чтобы придать оккупации юридическую основу. С проведенным референдумом не была согласна Германия (было много нарушений) и это не было неожиданностью, так как турецкая закавказская политика уже не учитывала условий Брестского мира. Вместе с тем, Германия не желала потери своего авторитета в глазах грузинского правительства. В посланной в Стамбул ноте, было подчеркнуто, что нарушены условия Брестского мира (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, док. № 188, с. 377-378). Позже на этот документ отозвалось правительство Советской России. В посланной 20 сентября 1918 года протестной ноте оно подчеркивало, что местное население не использовало условия, оговоренные в Брестском соглашении, для установления новых порядков на этих территориях. В частности, в ноте говорится: „Считая такое насилие над населением отторгнутых от России округов существенным нарушением статьи 4 договора, Советское правительство настоящим заявляет, что оно не может согласиться с результатом так называемого волеизъявления населения округов Карсса, Ардагана и Батума и считает право этого населения установить новый строй областей неиспользованным и вопрос о новом строе указанных округов открытым.

.....Оттоманское Правительство этим показало, что Брест-Литовский договор между Россией и Турцией уже не существует....» (Документы внешней политики СССР, т. I, М, 1957, с. 490-492).

Параллельно с этими явлениями в политических кругах Стамбула сформировалось три версии урегулирования отношений с Грузией, что со своей стороны коснулось приграничного режима двух государств. По первому варианту будущие отношения должны были выстраиваться с учетом условий Брестского мира. Второй вариант предполагал конфискацию у политических единиц Закавказья других территорий. Третий вариант признавал полное присоединение Закавказья к Турции (Зосидзе Н. Политическая ситуация и национально-освободительное движение в Аджарии в 1918-1920 гг., Бат., 1995, с. 50).

Осенью 1918 года позиции Османской Турции в Юго-западной Грузии серьезно пошатнулись. Побежденная в мировой войне Турция попыталась урегулировать отношения с соседней Грузинской республикой. В конце октября 1918 года Тбилиси был официально информирован о выводе турецких войск из Батуми. Это шаг Турции был продиктован сложившейся на данный момент политической ситуацией (Turkiye Cumhuriyeti Başbakanlık Arşivi, ВЕО 346469). Потерпев поражение в боях с Антантой, 30 октября 1918

года Турция подписала временный договор с Англией в порту Мудрос, по которому она должна была покинуть все оккупированные территории.

Таковыми были грузино-турецкие отношения в 1918 году, тесно связанные с сложнейшей международной политикой.

В заключение можно сказать, что неправильный политический курс Турции в отношении Грузии, выработанный во время в начале первой мировой войны, анализируемый период был следствием сложного международного положения.

ЛИТЕРАТУРА И ИСТОЧНИКИ:

1. ЦГИАГ(Центральный Государственный Исторический Архив Грузии). фонд 1818, опись 2, дело 116.
2. ЦГИАГ, Фонд 1819, опись 1, дело17
3. ЦГИАГ, фонд 1818, опись. 2, дело 179.
4. ЦГИАГ, фонд 1836, опись. 2, дело 73.
5. ЦГИАГ. Гарвардский фонд. №386; №387.
6. *Türkiye Cumhuriyeti Başbakanlık Arşivi*, ВЕО 346469
7. Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы (1917-1921 гг.), Батуми, 1961.
8. Документы внешней политики СССР. Т. I, М., 1957.
9. Документы внешней политики СССР, т. II, М., 1958.
10. Документы внешней политики СССР, т. III, М., 1959.
11. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1919.
12. Трабзонская конференция, сборник документов, под редакцией Н. Зосидзе, Бат., 1998.
13. Жордания Н. Мое прошлое. Тбилиси, 1990.
14. Зосидзе Н. Политическая ситуация и национально-освободительное движение в Аджарии в 1918-1920 гг. Бат. 1995.
15. Зосидзе Н. Из истории дипломатических отношений Грузии с Турцией (письма Свимона Мдивани) // Исторический вестник, XIV, Батуми, 2005.
16. История дипломатии, под редакцией академика В. Потёмкина, т. II. М., 1945.
17. Нозадзе В. За восстановление Грузии, Борьба из-за Месхети. Тб., 1989.
18. Сванидзе М. Брестский Мир. Целидцлеули грузинской дипломатии, т. III, Тб., 1996.
19. Сванидзе М. Дипломатическая борьба для Батуми и Батумской области 1918-1921 года // Грузинская дипломатия. Т.Х. Тбилиси, 2003.
20. Şahin E. Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918). Ankara 2002.

Nugzar Zosidze

Batumi Shota Rustaveli State University

RELATIONSHIPS OF GEORGIA AND TURKEY IN THE CONTEXT OF CAUCASIAN GEOPOLITICS (1917-1918 YEARS) RESUME

Government of democratic Georgia tried to preserve the territorial integrity of the country in the historical borders, although then, in those internal and external difficult conditions it was extremely difficult to achieve this.

On March 3, 1918 peaceful negotiations ended in Brest-Litovsk. Bolshevik Russia, Germany, Austria-Hungary, Turkey and Bulgaria signed a peace treaty, which consisted of 13 articles.

In accordance with paragraph 4 of this agreement, "District of Ardahan, Kars, and Batum also immediately will be cleared of Russian troops. Russia will not interfere in the reorganization of state-legal and international relations of these districts, and provide their populations to establish a new order in agreement with the neighboring States, especially with Turkey. "

Here's how appreciated Deputy People's Commissar of Foreign Affairs of the Russian Federation G.V. Chicherin conditions of the Brest-Litovsk Treaty with respect to the South Caucasus:

„ The territory in which world conditions apply, are divided into five categories.... Another category - this is the Kars, Ardahan and Batum. Regarding these fields the contract does not state clearly that these areas are moving away from Russia - these areas are cleared of Russian troops, Russia will not interfere in their new organization. The new system will be established in agreement with the neighboring States, especially with Turkey. In this case, annexation has somewhat more covered form than in the first case, but the essence of it of course remains the same. "

These political discussions were continuing on the Trabzon Conference.

The first formal session of the peace talks was held March 14, 1918. The Turks have put the question so that delegation explained the form of political and administrative arrangement of the Transcaucasian republic, whether this form satisfies the conditions provided for by international legal norms emergence of the state.

On March 23 Transcaucasian delegation presented the Ottoman memorandum, according to which the Ottoman Empire was passed: Oltisi-southern part of the region of Ardahan, Kagizman-south-western part of the Kars region.

The Turkish side made a new maneuver - a memorandum for review sent to Istanbul the government of the empire. With this the official meetings were completed.

After the occupation of Batumi, the Turkish government tried to use the terms of the Brest peace in their favor, in particular, demanded that the local people to determine their future status and to that end, to hold a referendum, in order to give a legal basis for the occupation.

In the autumn of 1918 the Ottoman Turkey's position in the South-western Georgia were seriously shaken. Turkey defeated in World War II tried to normalize relations with the neighboring Republic of Georgia. At the end of October 1918 Tbilisi was officially informed of the withdrawal of Turkish troops from Batumi. Such were the Georgian-Turkish relations in 1918, closely related to the most complicated international politics.

ლელა თოგოშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოში რუსული დასახლებების წარმოქმნის საკითხისათვის

XIX საუკუნის დამდეგისათვის ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებით დამთავრდა. რუსეთის სამეფო კარზე სათანადოდ ითვალისწინებდნენ საქართველოს, როგორც რეგიონის, მნიშვნელობას თურქეთთან და ირანთან ომის შემთხვევაში. ამით ისინი გეგმავდნენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრას (1, გვ. 5). ამ რეგიონისათვის ბრძოლა რუსეთს უწევდა მზარდი საერთაშორისო წინააღმდეგობების ფონზე. საქართველოსათვის რუსეთი არა მხოლოდ თურქეთსა და ირანს ებრძოდა. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ინგლისიც ცდილობდა კავკასიის ჩართვას თავისი კოლონიური ექსპანსიის სფეროში. ინგლისის მიზანი იყო რუსეთისათვის შავიზღვისპირეთის ჩამოცილება. საქართველოს მიმართ ამ სახელმწიფოებს გააჩნდათ სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები; აგრეთვე მათ იზიდავდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები და ძალზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (აღმოსავლეთის ქვეყნებთან სატრანზიტო გზას წარმოადგენდა) (2, გვ. 18). განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, აფხაზეთის მიმართ (ზღვისპირა მდებარეობიდან გამომდინარე).

საქართველოს დაპყრობის შემდეგ მეფის რუსეთი შეეცადა გადაეცია ქვეყანა ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო, ეკონომიკურად კი მაქსიმალურად მომგებიანი იქნებოდა. ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებათა შორის უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია წარმოადგენდა - ეს იყო საქართველოს ათვისების ერთ-ერთი საშუალება. კოლონიურ პოლიტიკას მეფის რუსეთი ეტაპობრივად ახორციელებდა - პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. მხარის კოლონიზაციისათვის გეგმაზომიერი ხასიათი რომ მიეცათ, უკვე 1806 წელს შეიქმნა კავკასიის გუბერნიაში დასასახლებლად ჩამოსული გლეხობის მომწყობი კომისია, რომელმაც შეიმუშავა დებულება, რომლის თანახმად ხელისუფლება უნდა დახმარებოდა გადმოსახლებულებს ფულით, პირუტყვით, თესლით. საცხოვრებლით კი ჩამოსახლებულებს თავად უნდა უზრუნველყოთ თავი (2; გვ. 7). მთავარმართებელ გენ. ა. პ. ერმოლოვის დროს დაიწყო საქართველოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სამკვიდრო სამოსახლოთა შექმნა. დაოჯახებულ ჯარისკაცებს ურიგებდნენ საბოსტნე და სათიბ მიწებს, აძლევდნენ გარკვეულ შეღავათებს და ამკვიდრებდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში. საქართველოში ასეთი დასახლებები შეიქმნა გორში, მანგლისში, თეთრწყაროში, წითელწყაროში, გომბორში, მუხრანში (5; გვ.34). ამ წამოწყებას ფართო შედეგები არ მოჰყოლია. მისი რეანიმაციის ცდას ადგილი ჰქონდა 1837 წელს, როცა ნიკოლოზ I-ის განკარგულებით მანგლისში, ელისაბეტპოლში, წალკაში, თეთრწყაროსა და ლაგოდეხში შეიქმნა სამკვიდრო კოლონიები. კ. ბოროზდინი მათ „რუსული კოლონიზაციის პიონერებს“ უწოდებდა (2; გვ. 123). მიზანი იყო რუსული მოსახლეობის გაზრდა, საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება მხარეში (3; გვ.1349). 1837 წლის 10 ოქტომბრის დებულების „კავკასიის იქით სამხედრო სამოსახლოთა შესახებ“ თანახმად გადადგმულ იქნა ნაბიჯები აფხაზეთში, წებელდის რაიონში რუსული

სამხედრო დასახლებების შესაქმნელად (4; გვ. 46). მაგრამ ამ კოლონიებმა თავისი დანიშნულება ვერ შეასრულეს და 1857 წელს, მეფისნაცვალ თავად ბარიატინსკის დროს, ისინი სახაზინო უწყებას გადასცეს - დაუქვემდებარეს სახელმწიფო ქონების ექსპედიციის გამგებლობას. 1830 წლის 20 ოქტომბერს გამოვიდა მთავრობის განკარგულება ამიერკავკასიაში სექტანტების (რასკოლნიკების, მალაკნების, დუხობორების და სხვ.) გადმოსახლების შესახებ (5; #4010). შემდგომში მთელი რიგი კანონებითა და ბრძანებულებებით რეგულირდებოდა სექტანტების ახალ ადგილებში დასახლებისა და მოწყობის საკითხები (13.3.6).

1841-1843 წლებში ჯავახეთში გადმოსახლეს დუხობორების 200 კომლი (2000 სულზე მეტი) (9; გვ. 39). უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი მოითხოვდა რუსი სექტანტების თავის მიწებზე დასახლების უფლებას. 1842 წელს ასეთი უფლება მოიპოვა „კავკასიის აქეთ მეაბრეშუმეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, ხოლო შემდეგ მსხვილმა მებატონეებმა: ორბელიანებმა, დადიანებმა. 1844 წელს, როდესაც პრაქტიკულად დაისვა რამდენიმე ასეული მალაკნის გადმოსახლების საკითხი, კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის მაშინდელმა უფროსმა, გენ. ა. ი. ნეიდგარდტმა, ამაზე უარი განაცხადა და სახელმწიფო ქონების მინისტრს, პ. დ. კისელევს, სთხოვა შეეჩერებინა ეს პროცესი სახაზინო მიწების ფართობის განსაზღვრამდე. ამასთანავე, ის შესაძლებლად და . უფრო მეტიც, გაცილებით რაციონალურად თვლიდა მალაკნების დასახლებას კერძო პირთა მიწებზე. ამ თვალსაზრისით ა. ი. ნეიდგარდტი ურჩევდა პ. დ. კისელევს ყურადღება შეეჩერებინა თავად ა. ჭავჭავაძის შესაბამის პროექტზე. მაგრამ კისელევმა, სახელმწიფო ქონების უწყების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ იდეას მხარი არ დაუჭირა (6; გვ.117-118). რუს გადმოსახლებულთა ადგილობრივ მემამულეთა მიწებზე დასახლების საკითხი კვლავ წამოიჭრა სამეგრელოს ტერიტორიაზე რასკოლნიკთა ახალი ნაკადის მოწყობასთან დაკავშირებით. ეს საქმე 1845 წლის ნოემბერში კავკასიის კომიტეტმა საგანგებოდ განიხილა. კომიტეტმა მოიწონა რუსი გლეხების ამიერკავკასიაში გადმოსახლება, ვინაიდან ეს გარემოება ხელს შეუწყობდა რუსეთის პოლიტიკური მიზნების განხორციელებას (7; გვ. 41).

მე-19 ს-ის შუა ხანებში რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფერო კრიზისმა მოიცვა. ამან განაპირობა ბურჟუაზიული რეფორმების მთელი სერია, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი იყო ბატონყმობის გაუქმება. საგლეხო რეფორმამ ბოლომდე მაინც ვერ გადაჭრა გლეხთა პრობლემები. დაიწყო გლეხთა თვითნებური მიგრაციები რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში (8, გვ. 10). მე-19 ს-ის 70-იანი წლების ბოლოს მიმდინარეობდა გლეხთა მასობრივი, თვითნებური გადასახლებები ციმბირში, წინაკავკასიაში. ამან გამოიწვია 80-იანი წლებისათვის რუსეთის აგრარულ პოლიტიკაში საგადასახლებო პოლიტიკის მნიშვნელობის გაზრდა. დაიწყო საგადასახლებო პოლიტიკისა და საერთო საგადასახლებო კანონმდებლობის შემუშავება (9, გვ. 95). 1881 წელს, კანონმდებლობის შემუშავების დასრულებამდე, გამოვიდა „დროებითი წესები“, რომელიც გლეხთა გადასახლებას უშვებდა შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის ნებართვით. შეიცვალა და დამძიმდა გადმოსახლებულთა ახალ ადგილებზე მოწყობის პირობები. ნაკვეთებს აძლევდნენ 6-დან 12 წლამდე სარგებლობის უფლებით, სულზე არა უმეტეს 8 დესეტინისა (10, გვ. 30).

საგადასახლებო კანონი დამტკიცდა 1889 წლის 13 ივლისს. დაწესდა შეზღუდვები, რადგან კანონის მიზანშეწონილობის განსაზღვრა ადმინისტრაციის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. გადასახლების ნებართვა გაიცემოდა დასახლების ადგილებზე თავისუფალი მიწების არსებობის შემთხვევაში. იკრძალებოდა თვითნებური გადასახლება. თვითნებურად გადასახლებულებს ეტაპით უკან აბრუნებდნენ. ნაკვეთების ფართობს ადგილობრივი ადმინისტრაცია განსაზღვრავდა. გართულდა მათთვის დახმარების აღმოჩენის პროცედურაც. 1889 წლის კანონის მოქმედება ისაზღვრებოდა რუსეთის ევროპული ნაწილით, ტომსკისა და ტობოლის გუბერნიებით, შუა აზიის ოლქებით (13, პ. 6). ვინაიდან დიდი იყო კავკასიაში დასახლების სურვილი, სახელმწიფო საბჭომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა, კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელთან ერთად, შეემუშავებინათ კავკასიის სახაზინო მიწებზე შიდა გუბერნიებიდან გადასახლების წესები. მაგრამ საქართველოს მთავარმართებელი ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი პრინციპულად წინააღმდეგი იყო ახალმოსახლეთა დასახლებისა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანისა და თერგის კაზაკების მიწებზე. რაც შეეხება ამიერკავკასიას, აქ მას წინააღმდეგობა არ გაუწევია ცენტრისათვის და დათანხმდა ახალმოსახლეთა მიღებას. ხარკოვისა და პოლტავის გუბერნატორებმა, უმიწობის ნიადაგზე წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჩამოსახლეს ბაქოს გუბერნიაში. ბაქოს გუბერნატორის თანხმობით საამისოდ გამოიყო ყუბანის მაზრა (აქედან მთიელთა გადასახლების შემდეგ თავისუფალი მიწები გაჩნდა).

1867-1897 წწ. (30 წლის მანძილზე) წინაკავკასიაში 1586800 კოლონისტი დამკვიდრდა: აქედან ყუბანის ოლქში დამკვიდრდა 946600, სტავროპოლის გუბერნიაში - 294700, თერგის ოლქში - 345700 ახალმოსახლე (11, გვ. 101 -102). 1897 წლის 31 მარტს გამოვიდა კანონი ევროპული რუსეთიდან და კავკასიიდან შავიზღვისპირეთის (ჩერნომორიის) გუბერნიაში რუსული მოსახლეობის გადასახლების

შესახებ. 1897 წელს კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებლის გ. ს. გოლიცინის მიერ ყველა გუბერნატორს გაეგზავნა ცირკულარი გამოეკვლიათ და გამოეკვლინათ თავის გუბერნიებში თავისუფალი სახაზინო მიწები და მოემზადებინათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის „ჭარბი“ მიწის ნაკვეთები გადმოსახლებულთათვის (14, გვ. 3). ცირკულარს საფუძვლად დაედო შინაგან საქმეთა მინისტრ ი. ლ. გორემიკინის მითითება (1896 წლის 7 ივნისის), სადაც აღნიშნული იყო, რომ ადგილებზე მიწები გადასახლებულთა მისაღებად მზად არაა. მასში კავკასია დასახლებული იყო რეგიონად, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა. ი. ლ. გორემიკინი არა მარტო თავისუფალი მიწების მარაგის გამოკვლევას ავალბდა გუბერნატორებს, არამედ მოითხოვდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი მოსახლეობის სარგებლობაში მყოფი მიწების სიჭარბეც, როგორც რეზერვისა საკოლონიზაციო მიწის ფონდის შესაქმნელად.

მე-19 ს-ის ბოლოს კოლონისტთა ერთი ნაწილის, კავკასიის, კერძოდ, ამიერკავკასიაში განსახლების საქმეში ინიციატორის როლში გამოვიდა გ. ს. გოლიცინი - სამეფო ხელისუფლების უერთგულესი მოხელე, რომელიც ძალადობრივი გზით ცდილობდა კავკასიის გარუსებას. მასზე თავდასხმა მოაწყვეს, დაჭრეს, რის შემდეგ იძულებული გახდა გასცლოდა კავკასიას. მან ანგარიში არ გაუწია ადგილობრივი მოსახლეობის მცირემიწიანობას და კავკასიის, მათ შორის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე კოლონისტთა განსახლება - დამკვიდრებას შეუდგა. 1898 წლის 28 სექტემბერს გოლიცინმა დაამტკიცა კავკასიაში საგადასახლებო საკითხზე” დროებითი წესები”. მათში ძირითადი იყო შემდეგი: გადმოსახლებულთათვის მიეცათ მიწები იჯარით 6 – 12 წლით, ხოლო იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ეს მიწები უვადო სარგებლობაში გადაეცემოდათ. იჯარის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ მართლმადიდებელ რუსებს. გადმოსახლებულებს ეძლეოდათ შეღავათები, კერძოდ, შეღავათიან ფასში რკინიგზით მგზავრობა, სესხის აღების უფლება და სხვ. (15, გვ. 30). საგადასახლებო უზნების სასწრაფოდ მოსაწყობად გოლიცინი აჩქარებდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს, რათა კავკასიაში საგადასახლებო რაზმები შეექმნათ.

1898 წლისათვის შეკრებილმა ცნობებმა დასახლებისათვის გამოსადეგი თავისუფალი მიწების ფართობზე აშკარა გახადა, რომ მიწების რეზერვი სრულიადაც არ იყო საკმარისი გადმოსახლებულთა მოსაწყობად. მონაცემები ასეთი იყო: ბაქოს გუბერნიაში - 108314 დეს., ქუთაისის გუბერნიაში - 17091 დეს., დაღესტნის გუბერნიაში - 4608 დეს., სტავროპოლის გუბერნიაში - 81434 დეს., ელისაბეტპოლის გუბერნიაში - 53694 დეს., თბილისის გუბერნიაში - 49482 დეს., ყუბანის ოლქში - 25712 დეს., ერევნის გუბერნიაში - 6630 დეს. (სულ - 346965 დეს). ეს იყო ის თავისუფალი სახაზინო მიწები, რომლებიც გამოსადეგი იქნებოდა რუსთა დასახლებისათვის. ყარსის და თერგის ოლქებში ასეთი მიწები არ აღირიცხა. აღნიშნულის გარდა, ასათვისებლად გათვალისწინებული მიწების რეზერვში შეიტანეს „არსებული სოფლების სარგებლობაში მყოფი ჭარბი მიწები”. ასეთი მიწების ფონდს 734 ათას დესეტინად ანგარიშობდნენ (11, გვ. 106). ასეთი მიწები ქუთაისის გუბერნიაში არ აღირიცხულა, რაც იმის პირდაპირი აღიარება იყო, რომ მოსახლეობა მიწის ნაკლებობას განიცდიდა და თვით მთავრობის გაზვიადებული მონაცემებითაც კი რაიმე სარეზერვო მიწების გამონახვა სასოფლო საზოგადოებათა თუ კერძო მფლობელობაში არსებული მიწებიდან შეუძლებელი იყო.

რა თქმა უნდა, კავკასიაში აღრიცხული საგადასახლებო მიწების მითითებული რაოდენობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი ყოველმხრივ ვარგისი იყო. მათი გამოყენება მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. ადგილობრივი გლეხობის „ჭარბი” ნაკვეთების გამოყენება მათი მიწების საბოლოო გამიჯვნის შემდეგ თუ მოხერხდებოდა. ზოგან კი თავისუფალი მიწები საჭიროებდა სერიოზული სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებას, რის გარეშეც მათი გამოყენება შეუძლებელი იყო.

1899 წლის 21 აპრილს მინისტრთა კომიტეტმა განიხილა შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრების წინადადება ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის რეგიონებში გადასახლების ნებართვის შესახებ (16, გვ. 93-94). წარდგინებაში კავკასიის დასახლების საკითხის სწრაფი გადაწყვეტის საჭიროებას ამ რეგიონში რუსი მოსახლეობის რიცხვის გაზრდის აუცილებლობით ასაბუთებდნენ (12, გვ. 108). მაგრამ, ვინაიდან დასახლებისათვის საჭირო მიწების მარაგი საკმარისი არ იყო, იმთავითვე ფართო ღონისძიებათა გატარება შეუძლებელი გახდა. ამიტომ პირველ რიგში ასეთი მიწების მარაგი უნდა გამოვლენილიყო, შესწავლილიყო და ყოველმხრივ მომზადებულიყო სამისოდ. კავკასიაში დასახლების უფლება მხოლოდ რუსებს ეძლეოდათ. ეს კავკასიის გარუსების გეგმის ნაწილი იყო. წარდგინება მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა. 1899 წლის 30 აპრილს გამოცემული ინსტრუქცია აკონკრეტებდა მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებული „დებულებით” გათვალისწინებულ საგადასახლებო უზნების მოწყობის წესს. საკოლონიზაციო მიწის ფართობი შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: მაღალმთიან (ცივ) ზოლში - არა უმეტეს 12 დეს., საშუალო (ზომიერ) ზოლში - 8 დეს. ა დაბალ (თბილ) ზოლში - 4 დეს. ვარგისი მიწა მამრობითი სქესის თითო სულზე. მიწის ნაკვეთის

ფართობის გაზრდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა (მიწის არახელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური თავისებურებანი) (15, გვ. 30; გვ. 47).

გადმოსახლებულთა მოწყობის ორგანიზების საკითხი შემდგომშიც იდგა რუსეთის მეფისა და კავკასიის ადმინისტრაციის ყურადღების ცენტრში. მიუხედავად გარკვეული ანტაგონიზმისა, რასაც ადგილი ჰქონდა მკვიდრ მოსახლეობასა და კოლონისტებს შორის მიწის სიმცირის გამო, ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან კონფლიქტურ სიტუაციებსა და ექსცესებს. მკვიდრი მოსახლეობა შევიდა კოლონისტებთან სამეურნეო ურთიერთობებში და შეძლებისდაგვარად უადვილებდა მათ ამ მხარეში მოწყობას. ორივე მხარემ განიცადა ურთიერთზეგავლენა სამეურნეო და ყოფით სფეროში, რამაც მათ შემდგომ ცხოვრებას თავისებური კვალი დააჩნია.

ლიტერატურა და წყაროები:

- 1) Меликсет-Бек, Л.Л., Из истории духовоборов в Грузии (XIX в.). Тбилиси, 1965;
- 2) Бороздин К., Переселенцы в Закавказье, – Русский вестник, 1881, т. 215;
- 3) კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვილი აქტები (კაკა), ტ. XII, თბ., 1904;
- 4) Дзидзария Г.А., Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1962;
- 5) რუსეთის იმპერიის კანონების სრული კრებული (რიკსკ), II, 1831, ტ. 5, განყ.1, #4010;
- 6) კაკა, ტ. X, დოკ. 95;
- 7) კაკა, ტ. X, დოკ 97;
- 8) Киняпина Н.С., Внешняя политика России I пол. XIX века, Москва, 1963;
- 9) მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), თბილისი, 1957.
- 10) Зоинчковский П.А., Кризис самодержавия на рубеже 70-80- х годов XIX в., Москва, 1964;
- 11) Исмаил-Заде Д. И., Русское крестьянство в Закавказье (30-ые годы XIX-нач XX в.), Москва, 1982;
- 12) Брусникин Е. М., Переселенческая политика царизма в конце XIX века, – Вопросы истории, #1, 1965;
- 13) რიკსკ, ტ. 9, # 6198;
- 14) საქ. ცსსა, ფ. 12, აღწ. 3, საქ. 1;
- 15) საქ. ცსსა, ფ 12, აღწ. 3, საქ. 13;
- 16) საქ. ცსსა, ფ 12, აღწ. 3, საქ. 4.

Lela Togoshvili

Gori State Teaching University

FOR THE ISSUE OF CREATING RUSSIAN SETLMENTS IN GEORGIA RESUME

After the conquest of Georgia , Russian tsarist government started the colonization of the country. Colonial policy was carrying out in stages, accordingly to political condition. Peasant reform led to migrations of peasants arbitrary, on the outskirts of the Russian empire. In the XIX century, 80-ies, importance of banishment policy has grown in Russia's agricultural policy. It starts to draft legislation of banishment policy and common banishment. Tax law was approved on 13th July in 1889. Notices were gathered by 1898, they showed that land reservations were not enough for arrangement of immigrants.

Only Russians were allowed to settle in Caucasus. This was the part of russification plan. Settlement of evicted people was in the centre of Russian tsar and administration of Caucasus.

Despite of antagonism, between the indigenous population and the evicted population, there was no conflict.

Both sides have suffered an impact on agricultural and domestic sectors.

ანტონ I და კათოლიკობა

ანტონ I კათალიკოსი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მოაზროვნე, განმანათლებელი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე იყო. ამჯერად, ჩემს მიზანს არ წარმოადგენ ამ უაღრესად საინტერესო მოღვაწის ქართული საზოგადოების წინაშე მრავალმხრივი დამსახურება წარმოვაჩინო. მინდა გავარკვიოთ აღიარა თუ არა როდისმე მან კათოლიკობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ კათალიკოსის მიერ სარწმუნოების შეცვლის შესახებ გავრცელებული ხმა გახდა ბიძგის მიმცემი აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკეთა დიდი დევნისა.

დევნა დაიწყო 1755 წლის 12 დეკემბერს, თბილისში. მანამდე ანტიკათოლიკური მოძრაობის დაწყების ინიციატორად გამოდიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელიც პატრების განდევნის მოწოდებით პატრიარქის ხელმოწერილ ცირკულარებს აგზავნიდა საქართველოში. ქართლ-კახეთის სამეფოში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ანტიკათოლიკური მოძრაობის და ქართული სამღვდლოების ორთოდოქსული ფრთის მეთაურები – თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი და ნინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი საბა.

რატომ უნდა გაჩენილიყო ეჭვი ანტონის მიერ კათოლიკობის მიღების შესახებ?

განათლებულ და მეცნიერულ ცოდნაზე დაწაფებულ პატრიარქს, ბუნებრივია აინტერესებდა ევროპული მიღწევები. მაშინდელი საქართველოს შეზღუდულ პირობებში ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებთანაც ურთიერთობდა ანტონ I. ამის გამო იგი, როგორც პატრი ჯულიო ბონავენტურა ტრენტოელი გვაუწყებს, გარკვეული დროის განმავლობაში მათ მფარველობდა. ანტონ კათალიკოსი კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ კათოლიკეთა საწინააღმდეგოდ გამოგზავნილ წერილებს მალავდა და პატრიარქის წარმოგზავნილ მონოზნებს ტკბილი სიტყვებით ისტუმრებდა უკან კონსტანტინოპოლში. იმავე პატრის გადმოცემით, ბოლოს ანტონმა კათოლიკობა მიიღო და გორის უფროსი პატრის იერონიმე ნორჩელის წინაშე სცნო კათოლიკური რწმენის ჭეშმარიტება. როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ გამოძიება დაიწყო¹. კათალიკოსმა ანტონმა ზეწოლის შედეგად შეცდომა აღიარა. წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ მისიონერების მიერ საქართველოს მეფეებისა და პატრიარქების გაკათოლიკების შესახებ რომში წერილების გაგზავნა ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც სრულ სიცრუეს წარმოადგენდა (ამაზე ვრცლად სხვა დროს).

ზაქარია გაბაშვილმა და მისმა მომხრეებმა ანტონს ბრალი დასდეს მართლმადიდებელი ეკლესიიდან განდგომასა და კათოლიკური სარწმუნოების მიღებაში, რაც უდიდესი ბრალდება იყო პატრიარქის მიმართ, რაც კარგად იცოდნენ ზაქარია გაბაშვილის მომხრეებმა და მეფე თეიმურაზმა². ზოგიერთი ცნობის მიხედვით ანტონი ბასილიანელი გახდა.

თეიმურაზ II-ს იესე მეფის ძე თეიმურაზთან პირადი შურისძიებაც ამომრავებდა. მას არ ავიწყებოდა, რომ ეს უკანასკნელი ერთ დროს ქართლის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა და იმ მიზნით, რათა ქართლის უძლიერესი ფეოდალის, გივი ამილახვარის მხარდაჭერა მოეპოვებინა, მისი სიძეობა მოინდომა. ანტონი დაინიშნა კიდევ გივის ქალიშვილზე, მაგრამ ნიშნობა ჩაშალა კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის მეუღლემ, დედოფალმა თამარმა. თამარს, როდესაც იგი თეიმურაზ-ანტონთან ერთად ნადირ შაჰთან სტუმრობდა, შაჰისთვის უთქვამს: გივი ამილახვარს მეტად ლამაზი ქალი ჰყავს, შაჰის ცოლობის ღირსიო. ამით სურდა თეიმურაზ-ანტონის და გივი ამილახვარის ნათესაობა-მოკავშირეობის ჩაშლა, რადგან თეიმურაზ II-ს, ერეკლე I ნაზარალი-ხანის ძეს, თვითონ ეჭირა თვალი ქართლის ტახტზე. თამარ დედოფალმა მიზანს მიაღწია. 1736 წელს გივი ამილახვარი იძულებული გახდა შაჰისათვის თვითონვე მიეგვარა თავისი ასული. თეიმურაზ-ანტონი კი იმერეთში გადავიდა და 1738 წელს გელათის მონასტერში ბერად შედგა. მას ანტონი უწოდეს. იყო გელათის მონასტრის წინამძღვარი, ქუთაისის მიტროპოლიტი. 1744 წელს ანტონი აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს პატრიარქად აირჩიეს. მის კურთხევას მხოლოდ ერეკლე II ესწრებოდა.

¹ გაჩეჩილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული პლომატია, წელიწადი, 11, თბ., 2004, გვ. 510-511.

² ავალიანი ს., ანტონ პირველი (ბაგრატიონი) (ცხოვრება, მოღვაწეობა და ფილოსოფიური მსოფლ-მხედველობა), თბ., 1987, გვ. 32.

ანტონი ერეკლეს თანამებრძოლი გახდა. ეს ურთიერთობა მათ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს, მაგრამ ქართლის მეფე თეიმურაზი ანტონის მიმართ, როგორც ტახტის მოცილეს მიმართ, არაკეთილსამოსურნეობას სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა..

1757 წლის 17 მარტს ანტონ I რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პირველისთვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში საქართველოდან თავისი გამოძევების მიზეზებს იმ საეკლესიო რეფორმებით ხსნიდა, რომლებიც მან გაატარა 1744-1749 წლებში. მე თავადებისაგან ცოდვებისაგან თავშეკავებას მოვითხოვდი, რასაც ისინი ვერ ეგუებოდნენ. შემდეგ ტახტიდან ჩემი გადაყენება მოინდომეს, მაგრამ ამ სურვილის აღსრულება უმიზეზოდ ვერ შეძლეს, შემდეგ ბრალი დამდეს და გადამიწყვიტეს წავსულიყავი იქ, სადაც მომესურვებოდა. ვინც ეხლა საქართველოში, ე.ი. ქართლში მეფობენ (გულისხმობდა თეიმურაზ II-ეს) ჩვენი ტახტის მემკვიდრეები არ არიან. ქართლი პაპაჩემსა და ჩემს გვარს ეკუთვნის. მართალია მე ბერი ვიყავი, მაგრამ ისეთი კი არა, რომელიც მუდმივად მონასტერში ცხოვრობს; ყველა თავადი და პატრიცემული ადამიანი, აღზრდილნი ჩემი ბიძისა და მამაჩემის მიერ, როდესაც ისინი ნაწყენი იყვნენ, მე მომმართვედნენ და ყოველთვის ვამშვიდებდი იმდენად, რამდენადაც ჩემი წოდება ამის უფლებას მაძლევდა. მეფემ ამის მოთმენა და ატანა ვერ შეძლო და მოინდომა ტახტიდან ჩემი გადაყენება. მან გამოძებნა მიზეზი და ტყუილ-უბრალოდ ცილი დამწამაო¹. როგორც ვხედავთ, ანტონი იმ კონკრეტულ ბრალდებას არც კი ასახელებს. ალბათ, მას იგი იმდენად აბსურდულად მიაჩნდა, რომ მისი გახსენებაც კი არ უნდოდა, თუმცა იმპერატრიცამ მის შესახებ უკვე იცოდა საქართველოდან და სასაზღვრო ზოლიდან გაგზავნილი იმ მოხსენებებიდან, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით.

იმავე იმპერატრიცას ანტონის უდანაშაულობაზე სწერდა მისი ძმა, იესე მეფის მე ალექსანდრე, რომელიც ისე შეავიწროვეს, რომ იძულებული გახდა თავისი ძმის გზას დასდგომოდა და ისიც რუსეთში გადასულიყო².

1755 წ. 16 დეკემბერს მცხეთის საეკლესიო კრებამ ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენა. მას ბრალად ედებოდა მწვალებლობა, რაც მის მიერ კათალიკოსობის აღიარებაში გამოიხატებოდა. ანტონმა ეს ნაბიჯი პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა. დასავლეთევროპული ორიენტაციის გამო, როგორც ითქვა, ის დაახლოებული იყო თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებთან. ეს გარემოება გამოიყენეს მისმა მოწინააღმდეგეებმა და თეიმურაზის მხარდაჭერით იმას მიაღწიეს, რომ საეკლესიო კრებამ კათალიკოსობიდან და მღვდელმსახურებიდან გადააყენა. ამავე კრებაზე, 1756 წ. 4 აპრილს, „ანტონ კათალიკოსმა აღიარა თავისი ცთომა წინაშე კრებისა, მეფე თეიმურაზმა შეუმსუბუქა სასჯელი და ნება მისცა გორში წირვისა აღდგომა დღეს – კგ აპრილს“³. იმის სანაცვლოდ, რომ ანტონმა უარყო კათალიკობა, იგი აღადგინეს ღვთისმსახურების უფლებაში და რუსეთში გაუშვეს⁴. 23 აპრილს, ხუთშაბათს, წირვის დამთავრებისთანავე, ანტონი რუსეთს გაემგზავრა, ზ. ჭიჭინაძის მიხედვით ანტონი სამი დღე გორში გაჩერებულა⁵. პაპუნა ორბელიანი მხოლოდ ამბობს, რომ „წაბრძანდა კათალიკოზი ანტონი ბატონიშვილი გორიდან რუსეთს, თვესა აპრილისა“⁶.

ანტონ პირველის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა რუსეთის საიდუმლო აგენტმა საქართველოში ოთარ თუმანოვმა (თუმანიშვილი) თავის მოხსენებით ბარათში, რომლის ადრესატი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგია.

ოთარ თუმანოვის მიერ დატოვილი ცნობები შედარებით სრულია და ზოგიერთ განსხვავებულ ინფორმაციას შეიცავს. როდესაც ცნობილი გახდა კათალიკოს ანტონის კათალიკობაზე გადასვლის შესახებ, 1755 წლის 16 დეკემბერს ერეკლე II კახეთიდან თბილისს მოვიდა, იმავე დამეს საბჭო შეკრიბა, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალა უშუალოდ ანტონისაგან შეეტყო რამდენად

¹ ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1942, ნაკვ. IV, გვ. 22.

² იქვე, გვ. 24.

³ თ. ჟორდანიას აზუსტებს თარიღს და აღნიშნავს, რომ აღდგომა 1756 წლის 14 აპრილს იყო. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III, (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 235.

⁴ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 374.

⁵ ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896, გვ. 24.

⁶ პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 239.

შეეფერებოდა სიმართლეს გავრცელებული ხმა და მასთან გაგზავნეს ორი არქიმანდრიტი. კათალიკოსმა აღიარა მართლმადიდებლობის დათმობა და კათოლიკობაზე გადასვლა. აღმოჩნდა, რომ ანტონს ჰყავდა მომხრე ხუთი ეპისკოპოსი და ერთი სომეხი ტერტერა. მათაც აღიარეს დანაშაული. ანტონი დაუყოვნებლივ კათალიკოსობიდან გადააყენეს და წირვის ჩატარების უფლება ჩამოართვეს, ხოლო მეორე დღეს დასახელებული ხუთი სამღვდელი და ერთი ტერტერა კი გაკრიჭეს. როგორც თუმანოვი წერს, ამის გამგონე ანტონმა დანაშაული აღიარა, მართლმადიდებლობაზე დაბრუნება გამოაცხადა და შესაბამისი ფიცი დადო. ანტონისგან ცნობილი გახდა, რომ ის თვრამეტი თვის განმავლობაში კათოლიკე იყო. ამის გამო ის თვრამეტი თვით კავთისხევის მონასტერში გაგზავნეს და ამავე ვადით წირვის უფლება ჩამოართვეს. ვადის გასვლის შემდეგ კი მას წირვის უფლებას აღუდგენდნენ, მაგრამ ის კათალიკოსი აღარასოდეს აღარ იქნებოდა. მას თუ სურვილი ექნებოდა, შეეძლო საქართველოში დარჩენილიყო, თუ არა და სადაც უნდოდა იქ წასულიყო. 20 დეკემბერს კათოლიკე პატრებსაც მისცეს წინადადება ქვეყანა დაეტოვებინათ და სადაც უნდოდათ იქ წასულიყვნენ. მათ 23 რიცხვში თბილისი დატოვეს, რასაც მოჰყვა მათი ეკლესიის მართლმადიდებლურ ყაიდაზე გადაკეთება¹.

ოთარ თუმანიშვილის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები დაადასტურა 1756 წლის 24 ივლისს ყიზლარში დაკითხვის დროს გორელმა კათოლიკე ვაჭარმა («армянин римского закона») მანუჩარ სააკოვმა და ზოგიერთი ახალი ცნობაც დაუმატა: „საქარველოში გასულ 1755 წლის დეკემბერში, საქართველოს და კახეთის [მეფე] თეიმურაზი ქართველ კათალიკოს ანტონს გაურისხდა იმის გამო, რომ მან მიატოვა თავისი მართლმადიდებლური სარწმუნოება და მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რის გამო ყველა კათოლიკე პატრი განდევნეს საქართველოდან და მათი ეკლესიები მოაქციეს ბერძნულ ეკლესიებად, ასევე იქ მცხოვრებ საქართველოს კათოლიკური სარწმუნოების ყველა სომეხს აიძულებენ მიიღონ მართლმადიდებლური სარწმუნოება. ამის გამო მრავალი გაიქცა, ხოლო კათალიკოსი გადაასახლეს სოფელ კავთისხევში, სადაც იცხოვრა რა მცირეხანს გადავიდა დაბა გორში. იმერეთის მეფისგან მოვიდა თხოვნა, რომ [ანტონი] მასთან გაეგზავნათ, რადგან ის მისი ახლო ნათესავ იყო, მაგრამ ქართველმა მეფემ უარი უთხრა და კათალიკოსს უბრძანა მოსკოვში წასვლა...“²

1756 წ. აპრილში რუსეთს მიმავალი ანტონი გორს ეწვია და აღდგომა დღეს გორის ეკლესიაში წირვის უფლება მისცეს³. ის გორში კათოლიკეების ეკლესიასთან ბერების სახლში გაჩერდა. მისმა ასეთმა მოქმედებამ ძლიერ ააღელვა ქალაქის სამღვდელოება. ანტონმა თავი იმით იმართლა,

¹ ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათი: „... ერის გული ქართლის კათალიკოზი ანტონი, რომელი იყო მეფის თეიმურაზის დისწული, ეს კათალიკოსი ანტონი პატრებს აძალიანებდა. საქართველოს ხალხი ამბობდნენ კათალიკოზი რომის სარწმუნოებასედ მიექცაო და გამართლდა. შეიტყვეს ანტონის კათალიკოზის გარდაქცევა, ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტს დეკემბრის თექვსმეტს მეფე ერეკლე კახეთიდან მობრძანდა, მასვე ღამესა შეკრიბნეს ეფისკოპოზნი არქიმანდრიტნი, სამღვდელინი აგრეთვე თავადნი. მასვე ჟამსა ორნი არქიმანდრიტნი ზინონ და სვიმონ მოციქულად მიუგზავნეს კათალიკოზს ანტონის, ჰეშმარიტი სარწმუნოება კითხეს. მან აღიარა ბერძნის სარწმუნოებიდამ გასვლა და რომის სარწმუნოებაზედ მისვლა. და მასვე ჟამსა წამოაყენეს კათალიკოზის მახლობელნი ხუთნი სამღვდელინი, ერთი სომხის ტერტერა, ამათ უფრო აღიარეს რომის სარწმუნოებაზედ მისვლა. ეს ანტონი მასვე ჟამსა კათალიკოზობიდან გადააყენეს და წირვისაგან გაკვეთეს, ხუთნი სამღვდელინი და ერთი სომხის ტერტერა მეორე დღეს გაკრიჭეს. მერმე რა ეს დაკრჭა ესმა ანტონის, დანაშაულზედ თავი დასდო, მართლმადიდებლობაზედ დადგომა თქვა, წიგნით და აღთქმით ფიცი დასდვა. მერე სულ წარმოთქვა რაც რომის სარწმუნოება ქონებოდა, თავისის სიტყვით რომ თქვა თვრამეტი თვე დაეყო ანტონის რომის სარწმუნოებაზედ იმათი ახსარებით და ზიარებით. ახლა კათიხევს გაგზავნეს, ეს განუწყესეს: რადგან თვრამეტი დაეყო თვე აგრევე აგრეთვე თვრამეტ თვეს წირვისაგან დააყენეს, ოდეს თვრამეტი თვე გავიდეს წიგნი დაუწერეს შეწყნარებისა წირვის დასტური მისცეს, ეს ფიცი და შეჩვენება დადებინეს და წიგნი დამტკიცეს რომ არაფრის მიზეზით ანტონის კათალიკოზობა აღარ იქნეს. ამ რიგი შეწყნარების წიგნი მისცეს, თუ უნდოდეს აქავ დადგესო თუ უნდოდეს საბერძნეთში ან საცა უნდოდეს წავიდესო. ათას შვიდას ორმოცდათუთხმეტს დეკემბრის ოცს პატრები დაითხოვეს, საცა გინდოდეს წადითო. სხვა არაფერი არ აწყინეს რა. დეკემბრის ოცდასამს ქალაქიდან წავიდნენ, ფრანგის საყდარს ქართველის საყდრად აკეთებენ“. ცინცაძე ი., კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754-1756) // თსუ შრომები, 1946, XXVII-ბ, გვ. 24.

² ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1942, ნაკვ. IV, გვ. 20.

³ საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 109.

ნავადმყოფარი ვარ და, რადგან ამაზე უკეთესი სახლი არ არის, აქ გავერდიო¹. ანტონით უკმაყოფილო გორელებმა მეფეს წერილიც კი მისწერეს².

საინტერესოა, რატომ ითხოვა ანტონმა გორში ეწირა აღდგომა დღეს? სავარაუდოა, ანტონს სურდა გამომშვიდებოდა თავის ყოფილ თანამოაზრეებს – გორელ კათოლიკებს. პატრი ჯულიო ბონავენტურა ტრენტოელის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ანტონს კათოლიკობა გორში მიუღია: „ამ კათალიკობმა (ანტონმა – ე.მ.), ღვთის მადლით აღძრულმა, ბოლოს მიიღო რომის წმიდა სარწმუნოება და ჩვენის მისიონერის გორის უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარწმუნოება“³.

1756 წლის განჩინებაში ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ ცხებულმან მეფემან საქართველოსმან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან მეფემან კახეთისამან ირაკლიმ ესე აღთქმა და პირი დავამტკიცეთ და უცვალეზლად დავდევით კრებასა შინა. ვპოეთ ანტონი კათალიკოზი რომაელთა სარწმუნობათა აღმსარებლად და ჩვენთა სარწმუნობათა შეურაცხმქნელად, ამას ზედა შევიკრიბენით... ვამხილეთ მისი ბოროტი ცთომილება სარწმუნოებისა აღსარება დაამტკიცა; ესე აწ შეკრებულმან წმიდამან კრებამან უგულუბელჰყო და ანტონ კათალიკოზი სამოციქულოსა საყდრისა და კათოლიკე ეკლესიისაგან ჯეროვნად აღვფხვართ და კათალიკო ზობისა გან განვაყენეთ“⁴. მიუხედავად „მხილებისა“, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ მოხსენებაში ანტონი აღნიშნავდა, რომ მტრებმა ცილი დამწამეს და ამის გამო ჩემი თანამდებობიდან გადამაყენეს⁵. ამგვარად, ანტონმა რისი უარყოფაც საქართველოში ვერ გაბედა, იმას რუსეთში დაბეჯითებით უარყოფდა.

შეუძლებელია მტკიცება ან უარყოფა რამდენად გულწრფელი იყო ანტონკათალიკოსი, როდესაც იგი პატრების წინაშე გულმხურვალე კათოლიკე იყო, ან მაშინ, როდესაც საეკლესიო კრებას მართლმადიდებლობისადმი ერთგულებაზე ელაპარაკებოდა. ერთი რამ ცხადია, რომ მაშინ, როდესაც მას თავი ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მიაჩნდა და შეიძლება, მისი აზრით, ტახტის დაკავების იმედი ჰქონდა, მას პატრებთან ურთიერთობით სურდა ხაზი გაესვა ქართლის მეფეების იმ ტრადიციული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისადმი, რომელიც მათ ევროპის მიმართ ჰქონდათ ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ. მას სურდა პატრებისა და რომის პაპების საშუალებით გზა გაეკვალა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისკენ. მას ასეთი აღიარება და მონაწილეობა რომ გაეკეთებინა რუსეთის ხელმწიფის წინაშე, მაშინ მას რუსეთში დარჩენის უფლებას არ მისცემდნენ.

ანტონ I თეიმურაზ მეორისა და მისი კარისკაცების გაგებით, „დამნაშავე“ იყო ჯერ ერთი იმიტომ, რომ მის გარშემო თავს იყრიდნენ, როგორც თავად წერდა, ქართლის განაწყენებული დიდებულები, რაც არყევდა თეიმურაზის ტახტს. მეორეც, ანტონ I-ის დასავლეთ ევროპაზე გასვლა მიუღებელი იყო კახეთის ბაგრატიონებისათვის, რომლებსაც ტრადიციულად თვალი მიპყრობილი ჰქონდათ რუსეთის ან ირანისკენ. თეიმურაზ მეორეც კახეთის ბაგრატიონებიდან იყო.

ლიტერატურა:

ავალიანი ს., ანტონ პირველი (ბაგრატიონი) (ცხოვრება, მოღვაწეობა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა), თბ., 1987.

გაჩეილაძე კ., ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბ., 2004.

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.

კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960.

პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980.

¹ჭიჭინაძე ზ., კათოლიკთა ეკლესია საქართველოში, ქუთაისი, 1903, გვ. 57.

²ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 896, გვ. 24.

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., გვ. 373.

⁴ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბილისი, 1977, გვ. 17. ანტონ I-ის მხილებასა და მის დასჯაზე იხ. პატრი ჯულიო ბონავენტურას რომში გაგზავნილი მოხსენება. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 373-375.

⁵ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა ქართლის მე-18 საუკუნის ისტორიისათვის, 60-61, 85, 98; მისივე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 95.

ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ., 1977.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შვერბილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III, (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, 235.

ცინცაძე ი., რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1942, ნაკვ. IV.

ცინცაძე ი., კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754-1756) // თსუ შრომები, 1946, XXVII-ბ

ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.

ჭიჭინაძე ზ., კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, ქუთაისი, 1903.

ჭიჭინაძე ზ., პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში, ტფილისი, 1896.

Eldar Mamistvalishvili
Gori State Teaching University
ANTON I AND CATHOLICISM
RESUME

Anton I Catholicos was a great Georgian thinker, enlightener, political and ecclesiastical figure of the II half of the XVIII century. The aim of the article is to find out whether he had ever accepted Catholicism. It should also be noted that the rumors about the change of Anton Catholicos' religion became an incentive in the Eastern Georgia to chase Catholics away.

It is difficult to claim or deny how sincere Anton I was, when he was a faithful catholicin front of the Fathers, or when he was speaking about the loyalty to Orthodox religion at the church assembly.

According to Teimuraz II and his courtiers, Anton I was guilty, because he was surrounded by the noblemen, who were offended by the King of Kartli; Kakheti Bagrationi, who had eyes for Russia or Iran, considered unacceptable for Anton I to go to Europe. Teimuraz II was also from Kakheti Bagrationi.

მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საციციანოს სოფლები ტანას ხეობაში (XV-XVIII სს.)

საუკუნეების მანძილზე საციციანოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და გავლენიან ციციშვილთა საგვარეულოს ძლიერებამ განსაზღვრა სათავადოს მნიშვნელოვანი როლი ქართლის სამეფოს ისტორიაში. სამწუხაროდ დღემდე შეუსწავლელი და დაუზუსტებელია ციციშვილთა საგვარეულო სოფლები, დაკარგულია სოფლების ძველი ქართული სახელები და ჭირს ქართული ტოპონიმების აღდგენა. ისტორიული წყაროების მიხედვით საციციანომ თავისი დაარსებიდან სიძლიერის მწვერვალს მიაღწია XVIII ს. 10-იან წლებამდე. საგვარეულოს გავლენის მნიშვნელოვნად დასუსტება, დიდძალი ყმა-მამულისა და სამეფო კარზე მაღალი სამოხელეო თანამდებობების დაკარგვა სწორედ XVIII ს. 20-იანი წლებიდან იწყება. მეფე ვახტანგ VI-ის მიერ ქვემო საციციანოს გაუქმებას (1719 წ.) მალე მოჰყვა ციციშვილთა სოფლების მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის გადაცემა, ნაწილი მეწინავე სადროშოს მიაკუთვნეს და ყაფლანიშვილ-ორბელიშვილთა მფლობელობაში დარჩა. აღნიშნული მიზეზები საფუძველს იძლევა არ დავეთანხმოთ დ. გვრიტიშვილის მოსაზრებას: „საციციანოს საზღვრები თანდათან გაიზარდა და XVIII საუკუნისათვის მასში 70-მდე სოფელი შედიოდა“-ო. [4:128] ისტორიკოსი

ტანას ხეობაში ციციშვილთა საგვარეულო სოფლებად მიიჩნევს, მხოლოდ აკვეთს, ვერეს, ღუისხევს, ბიის, თხილნარს, გარდატენს, იკვენეს და ატენს.

ამდენად, აღნიშნული საკითხის კვლევა დაგეგმარება, არა მარტო XV-XVIII სს. საციციანოს საზღვრების ლოკალიზაციაში, სოფლების დემოგრაფიულ ვითარებასა და იდენტიფიცირებაში, არამედ იმ მიზეზების გარკვევაში, რომლებიც იწვევდა ამ საზღვრების ხშირ ცვლას. რაც უმთავრესად ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად ძირითადად აისახებოდა ციციშვილთა საგვარეულოსთან სამეფო კარის დამოკიდებულებით და სათავადოს შიგნით საგვარეულოს მრავალრიცხოვან შტოთა ურთიერთდამოკიდებულებით.

საციციანოს ცალკეული ხეობები (ნიჩბისის, თემძის, ტანას, ძამის) ერთმანეთთან სატრანზიტო გზებით და სოციალურ-ეკონომიკურად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ ხშირად მფლობელთა ურთიერთმტრობის პირობებში მტკიცე ერთიანობა ყოველთვის ფერხდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ჯეობა“ ნიშნავს „ერთს წყალზედ მრავალ მოსახლეს“. ცნობილი მეცნიერის ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით უძველესი დროიდან ხევებად დაყოფა შედეგი იყო მისი სამეურნეო განვითარების სახეობისა: „სოფლის მეურნეობის განვითარება მორწყვაზეც იყო დამოკიდებული... ამიერიდან ქართული სოფელი ხევეს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა“, [2:423] მაგრამ ბარის ბუნებრივი პირობები მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის შეუდარებლად მეტ საშუალებას იძლეოდა. სწორედ ტანას ხეობის ბარის სოფლებში, ბობნევამდე, წარმოიქმნა განვითარებული კულტურები მარცვლეულის წარმოებაში, მევენახეობაში, მეხილეობა-მებოსტნეობაში. მთისა და ბარის ურთიერთობა ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია ამა თუ იმ მხარის განვითარებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ტანას ხეობა. მას თავისი ბარიც აქვს (მდ. ტანას ქვედა წელის სოფლები) და მთაც, ე.ი. ფაქტიურად ოდითგანვე ყველა პირობა ჰქონდა მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის.

ტანას ხეობას სამხრეთიდან თრიალეთის ქედი ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან თემძის ხეობა, დასავლეთით ძამას ხეობა, ჩრდილოეთით მდ. მტკვარი. გეოგრაფიულად მოხერხებულად შემოსაზღვრული ხეობა თავდაცვითი მიზნებით და მეურნეობისათვის აუცილებელი რესურსების სიმდიდრე: წყალი, სახნავი მიწები და სტრატეგიული მნიშვნელობის გზები როგორც ჩანს, უძველესი დროიდანვე იზიდავდა სამოსახლოდ ადამიანებს. უძველესი ნამოსახლარების სიმრავლე ჩანს ქვემო ბოშურის, მდ.ტანას მარცხენა ნაპირზე ბობნევსა და ბიისთან, ორმოცში, ბნავისში, ოლოზში და სოფ. იკვენეში, რომელიც ინტენსიურად დასახლებული ჩანს და თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. მტკვრის გზასთან ერთად „თრიალეთური“ გზა უაღრესად მოხერხებული და უსაფრთხო იყო ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით დამპყრობთა შემოსევებისას. თრიალეთის მთებიდან გამოსული მდინარეები: ძამა, ტანა, თემამი, კავთურა და ნიჩბისის წყალი თავიანთი შენაკადებით ქმნიდნენ ხეობებს რომლებიც შიდა ქართლს აკავშირებდნენ თორ-თრიალეთ-მანგლისთან. ეს მაგისტრალური გზა შიდა ქართლში სწორედ ამ ხეობებით შემოდიოდა. იგი იყო უმოკლესი სამარშრუტო გზა, რომლითაც შიდა ქართლი, ქვემო და ზემო ქართლს, მოსაზღვრე მხარეებსა და ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ გზების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა საუკუნეების განმავლობაში არ გამქრალა. მტკვრის ორივე მხარეზე სავაჭრო გზებზე არსებობას და მათ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისტორიული წყაროები, მათ შორის 1720 წ. დომენტი კათალიკოსის სიგელი და ვახტანგ V-ის 1661 წლის „გარიგება“. [1448,ს.1033] ამდენად, ატენის ხეობა ერთგვარი კარიბჭე იყო, რომელიც აკავშირებდა ზემო და ქვემო ქართლს, საბარათიანოს (თრიალეთი, ზურტაკეტი, ქცია, ალგეთი, დღევანდელი წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები, მარნეული, ბოლნისი, დმანისი) შიდა ქართლთან. „ტანას ხეობა აწ ატენად წოდებული“, ორივენიარად მოიხსენიება დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში. ტანა და ატენი წარმოდგება სიტყვისაგან „ტინი“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ტინი არის კლდე დიდი, მაგარი და დაუმშაველი.“ ტანადან მომდინარეობს ტოპონიმი ატენი. „ტანისხევი“ კი შედარებით ფართო არეალს გულისხმობდა. ტანისხევის შესახებ VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაზე დაყრდნობით დ. მუსხელიშვილი აღნიშნავდა: „ზენა სოფლის ხევეს შორის იხსენიება ტანისხევი, რომლის თავშია დეკ-ციხე“. დ. ბერძენიშვილი ამ ციხის მდებარეობას თემძის ხეობის მარჯვენა ნაპირს, მიუვალ თხემზე ვარაუდობს, რომელიც დღემდე ციხის კოშკის ნანგრევის სახით შემორჩენილია. [3:58] ამდენად, ტანისხევი იგულისხმება თემამ-ატენის ხეობა და მათ შორის ვრცელი ტერიტორია. ატენის ციხე კი მისი გაქალაქებიდან ერთგვარი გასაღები იყო ჯავახეთიდან და თრიალეთიდან შიდა ქართლისაკენ. ამის შესახებ ლ. ჭილაშვილი მიაჩნებდა: „ტანას ხეობიდან, გომარეთით, თრიალეთზე გადმოსასვლელი იყო, რომელიც ფეოდალურ ხანაში საკმაოდ ინტენსიური დატვირთვით მუშაობდა. ამის გამო ატენის დაწინაურება მოულოდნელი არ იყო, მასზე... მთავარი სავაჭრო მაგისტრალი იდო.“ [27:102] ავტორის ვარაუდით ატენი გაშენებული იყო სიონის სამხრეთით, ხეობის ორივე ნაპირზე და ვრცელდებოდა მდ. ტანასა და მისი მარჯვენა პატარა შენაკადის შეერთებამდე,

ზედა ზღვარი გადიოდა სიონის ცოტა ზევით. ატენის მფლობელობა მიანიშნებდა სავაჭრო-სამხედრო გზების მფლობელობასაც, კლდეკარის ერისთავები ატენში სწორედ სამხრეთის გასაღებს ხედავდნენ. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ხეობა ხშირად ხდებოდა ქვეყნის შიგნით დაპირისპირებულ ძალებს და დამპყრობთა მხრიდან ბრძოლების ასპარეზი. ამიტომ მეფის ხელისუფლებისადმი მათი ერთგულება გადამწყვეტი იყო. სწორედ ერთგულების გამო მიიღეს მნიშვნელოვანი „გაღმა მხარი“ ფანასკერტელ-ციციშვილებმა. ტანას ხეობაში პირველად თაყა ფანასკერტელი გვევლინება ალექსანდრე დიდის მიერ 1412 წ. მცხეთისადმი შეწირული სააღაპე მამულების სიგელით, ატენს ლუსმალაურის სააღაპე მამულის მწირველად, თავისი დის, დედოფალ სითიხათუნის სურვილით, მაგრამ „მეფის ბრძანებითა და ნებადართვითა“ [11:11,13]

ამდენად, ერთგულად მსახურების გამო პირველი სამოხელეო სახელო ქართლის სამეფო კარზე სწორედ ატენის მოურავობა იყო თაყა ფანასკერტელისთვის. დროთა განმავლობაში კი მნიშვნელოვან სახასო მამულებს წყალობის სახით ღებულობდნენ და ყიდულობდნენ კიდევ. XVI-XVII სს. ციციშვილები ფლობენ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას „გაღმა მხარეს“, რაზედაც მიუთითებენ ამ პერიოდის ისტორიული დოკუმენტები: წყალობის სიგელები, განჩინებათა წიგნები, მოსახლეობის აღწერის დავთრები, ყმათა და მოლაშქრეთა ნუსხები, ციციშვილთა გაყრისა და მზითვის წიგნები.

ვახუშტის ცნობით მდინარე ტანა სათავეს იღებს საცხენისისა და ჯამჯამის მთებიდან: „ტანა გამოსდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის ჯვამდე დის აღმოსავლეთით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკუარს სამკრიდამ“. [23:342] ცნობილი მეცნიერი ატენის ხეობაში 26 დასახლებულ პუნქტს ასახელებს: 1. ქვახვრელი, 2. ხიდისთავი, 3. გორისა, 4. ჯოხისი, 5. ტანის -პირი, 6. წედისი, 7. ბნავისი, 8. ოლოსი, [ოლოზი] 9. ღვარები, 10. ცამნათ-უბანი, 11. ბაგრანეთი, 12. ვერე, 13. ატენი, 14. სიონი, 15. დრე, 16. ღვედრეთი, 17. ხანდისი, 18. იკუნევი, 19. სიქალეთი, 20. კეზვი, 21. წეროსი, 22. ბობნავი, 23. ღუისხევი, 24. თხილნარი, 25. ორმოთი, 26. ბიეთი. ჩამოთვლილთაგანს თითქმის უცვლელად იმეორებს იოანე ბატონიშვილი ქართ-კახეთის სოფლების აღწერაში. [1:31]

მიუხედავად იმისა, რომ ატენი სამეფო დომენი იყო, ყმა-მამულს ატენს „დეგეულას“ მამულებს ფლობდნენ ციციშვილები. [Hd-873] საარქივო მასალაში ფ.1449, საქმე.328 დაცული საინტერესო ცნობის მიხედვით კი მეფე ვახტანგ V, უბრუნებს ჩამორთმეულ სამკვიდრო ყმა-მამულს ციცი ციციშვილს: „...ატენს შენი სამკვიდრო მამული... შენი კერძი რაც იყოს ტლამაძეებანათ“. რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი მამულები ექნებოდა ციცი ბიძაშვილ ზაზა ციციშვილს, ამირსპასალარსა და სახლთუხუცესს, თუმცა მისი მკვლელობის შემდეგ, სარდლის სახელზე მხოლოდ ერთი ყმა მოიხსენიება, დანარჩენ ციციშვილებზე - 5 კომლი. [Hd-14534] 1701-1703 წწ. დათარიღებულ გაყრის დავთარში ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის განჩინებაში ყმა-მამულს ასე იყოფენ ატენში, გარდატენში და ვერეს ზვრებში: „...ერთ წილათ ატენს დემეტრასშვილი დემეტრეს მამული, რისაც მქონებელი იყოს, ერგო პაპუნას... გარდატენს ხუცისშვილის პაპუნას შვილები თავისის წილის მამულით ერგო ედიშერს... ხუცისშვილის ხუცისას შვილები თავისის წილის მამულით ერგო პაპუნას.... ატენს ანდრიაშვილი ნასყიდა თავის განაყოფის მამულის ნახევრითა, ამაზე აძეს მაზიტა თავისის ნასყიდითა და ვერეს ნაზვრევითა, ერგო ედიშერს... ატენს გიორგი, ამაზე აძეს გარდატენს ზუბიტა... ერგო პაპუნას... ატენს აბრამისშვილი ოქროა, ამაზე აძეს აბრამისშვილი ელიზბარა... ერგო ედიშერს... ატენს აბრამისშვილი, ამაზე აძეს აბრამისშვილი გოდერმა... ერგო პაპუნას. [1448,ს.5010-ა] სავაჭრო სატრანზიტო მაგისტრალთან სიახლოვე, მეფის მფარველობის იმედი, თავდაცვისუნარიანობის მაღალი გარანტია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა იზიდავდა მოსახლეობას სამეფო დომენში. სოფლების ნაწილი ხეობაში კვლავაც სახასო საკუთრებად რჩებოდა. ხიზნებად გამორბოდნენ და თავს აფარებდნენ საათაბაგოდან, დასავლეთ საქართველოდან, კახეთიდან, მეზობელი სათავადოებიდან. ამასთან ერთად ატენი, როგორც სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობის ცენტრი იზიდავდა სხვა ეროვნების მოსახლეობასაც „ქალაქის მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი.“ მის სიახლოვეს სოფელ ურიულის დაარსება სწორედ ატენის გაქალაქების პერიოდს IX-XI სს. უნდა უკავშირდებოდეს. ციციშვილთა ორგულობით განაწყენებულმა მეფე გიორგი XI-ემ მათი დასჯის მიზნით, გორელებს ერთგულების ნიშნად 1683 წ. უბოძა ზედაველის მთა, „აგარის მიდგამი და ურიულამდი“ [Qd-1970] რაც, გორისათვის და ამილახვართა ბარის სოფლებისათვის მართლაც დიდი წყალობა იყო. ურიულის მიმდებარე მთაზე ციციშვილთა მფლობელობის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა 1699 წ. ისტორიულმა დოკუმენტმა. მასში ფარსადან ციციშვილი, გორელებისადმი მიცემული ტყით სარგებლობის წიგნში წერდა: „...ჩვენზედაც ფეშქაშათ გაისარჯენით. ჩვენც ეს წიგნი და პირი მოგეცით და კელმწიფე ნაზარალიხანის ბრძანება და წიგნი ასე დავამტკიცეთ...ნარულას გარდა ზედაველის მთაშია, სანიაჟორში და ურიულშია და სადაც კელი მიგიწვდეს, შეშა და ვერც საქმარი ხე-ტყე ვერავინ დაგიშალოს... არცა მამავალმა სახლისა ჩვენისამა“. [26:864; Hd-13151] ტექსტის ანალიზი საფუძველს იძლევა, აღვნიშნოთ, რომ ურიული მართალია კვლავ სახასოა, მაგრამ ზედაველას მთას ისევ ციციშვილებს უბრუნებს ნაზარალიხანი,

როგორც ჩანს „ორიანობისას“ მეფე მათ ერთგულებას არ ივიწყებდა. ამას მაღალ სახელოებზე ციციშვილთა დაწინაურება და დოკუმენტში ფარსადანის განწყობაც მიგვანიშნებს, რომელიც მეფისაგან დაბრუნებული დიდი წყალობის „საფასურად“ ტყით სარგებლობას გორელებს მტკიცედ აღუთქვამს. ამ წყაროებზე დაყრდნობით და ატენის ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით ურიული მდებარეობდა ატენტან, ტანას ხეობის მარჯვენა ნაპირზე, ველების მხარეს. აქ ხეობა სიგანეზე გაზრდის შესაძლებლობას იძლეოდა, სადაც ატენის ქალაქად გადაქცევის შემდგომ არა მარტო ქალაქის, არამედ ხეობის სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი უნდა გამხდარიყო, რომელიც თავის მნიშვნელობას გვიანფეოდალური ხანის საციციანოშიც არ კარგავდა. როგორც ჩანს, ინტენსიურმა ზრდამ ხელი შეუწყო ურიულის და ატენის ტერიტორიულ დაახლოებას. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით ურიულის ნაცვლად უკვე მოიხსენიება ებრაელთა დასახლება ატენში. [30:170]

სოფ. წერო. ვახუშტი ბატონიშვილი და იოანე ბატონიშვილი [1:31] სოფელს ამ სახელით მოიხსენიებენ. სოფლის არსებობას ადასტურებს ატენის სიონის ჩრდილო-დასავლეთით, 2 კმ-ზე მდებარე წეროს ხევში არსებული ძველ ნამოსახლართა სიმრავლე და სასაფლაოები. წეროს ხევის ტაძარი მდებარეობს წეროს ხევის თავში. წეროს ეკლესიის კომპლექსში შედის ღვთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ტაძარი, წმიდა გიორგის სახელობის დარბაზული ტაძრის ნაშთი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები, რომლებიც სავარაუდოდ თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესიის მახლობლად, წყაროსთან ძველი სასოფლო სამეურნეო ხელოვნური ტერასები და წყალსაცავი ჯებირის კვალი ჩანს. ნასოფლარი შეუსწავლელია, მის შესახებ მასალები ძალიან მწირია. 1684 წ. მამულის წყალობის დოკუმენტით ზაზა ციციშვილს უწყალობეს ალხაზ თურმანიძის მამული. [Hd-2997] მოგვიანებით უმამულოდ ყმები შეუწირავს წმინდა ესტატეს ეკლესიისათვის თანამეცხედრის, ბატონიშვილ დარეჯანის ავადმყოფობის გამო. მასვე დაუწესებია წელიწადში სამი ლიტრა ზეთი, ან მისი საფასური. [Hd-1739] მართლაც, ამავე საუკუნის უფრო ადრეული პერიოდის დავთრის [Hd-14534-ბ] მიხედვით, წეროში მდივან-მწიგნობარ თურმანიძეს ჰყავდა ყმები. ჩვენს მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, შაჰნავაზის ამირსპასალარ-სახლთუხუცესის ზაზა ციციშვილის მკვლელობის (1674-1675 წწ.) შემდგომ უნდა გადასცემოდა მისი მამული თურმანიძეებს. გიორგი XI-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის წარუმატებლობამ: კახეთში ბექან-ხანის, გამაჰმადიანებული გორჯასპი კახაბრიშვილის (1677 წ.) და 1683 წლიდან ყიზილბაში ხანების მმართველობა, დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ანარქია, ერეკლე ბატონიშვილის გააქტიურება სამეფო ტახტისათვის, გიორგი XI-ის მიერ სპარსოფილი თავადების დასჯის გამო შურისძიების ინტრიგები, ირანის შაჰთან გაუარესებული მდგომარეობა, ეს ისეთი სერიოზული საფრთხეები იყო. რომლის გამო, ვფიქრობთ ამჯობინეს ზაზა ციციშვილის შთამომავალთა შემორიგება კუთვნილი მამულების დაბრუნებით.

სოფ. ზობნევი და სიქალეთი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, ატენის ზემოთ, მდინარე ტანას ნაპირას, მდ. ჯოჯოხეთის ხევის შესართავთან, გორიდან 20 კმ-ზე, (ზღვის დონიდან 960მ.) ტანას ხეობაში გამავალი ჯერ კიდევ შუა საუკუნეების დროინდელი რთულ რელიეფის სოფ. ზობნევი, მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. [19:116] (წყაროებში ზობნევადაც მოიხსენიება.) სოფლის სახელი ვფიქრობთ მის ადგილმდებარეობას უნდა უკავშირდებოდეს. „ზობნევა“-ვერა კეთილად სვლა, ასე განმარტავს სულხან -საბა. [13:55] XV-XVIII სს. ციციშვილების საგვარეულოს ეკუთვნის. XVIIIს. 60-70-იანი წლების საციციანოს დავთრის მიხედვით ციციშვილებს ზობნევა და სიქალეთში (ახლა ნასოფლარი ზიკალეთი) 10 კომლი ჰყავდათ. სამეფო კარზე დაწინაურებულმა გიორგი სააკაძემ დაიმკვიდრა ზობნევა და სიქალეთში მამულების გარკვეული ნაწილი. [12:310, 337-338] საქართველოდან მისი „გადავარდნის“ შემდგომ მხოლოდ ნაწილი დაიბრუნეს ციციშვილებმა. [Hd-13955,13956] გიორგი XI-ის მეფობისას (1677-1688 წწ.) ზობნევი შიომ სააკაძის სააზნაურიშვილო მამულად მოიხსენიება, რომელიც ყმა-მამულებს ფლობდა ასევე სიქალეთსა და ბისში. [Hd-7251] ზობნევის სამხრეთით ტანას ნაპირზე, ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, კალიგრაფმა და მდივან-მწიგნობარმა, ტფილელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებ სააკაძემ თავისი ხარჯებით იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ააშენა (1661-1683 წწ.). მოსახლეობაში ცნობილია „კომკების ეკლესიის“ სახელით (7,9X5,8მ). 1683 წ. იოსებ თბილელმა მოახატვინა კიდევ, რომლის მოხატულობა XVII ს. კედლის მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. სოფლის მიდამოებშია გვიანფეოდალური ხანის ეკლესიები: კვეის ეკლესია, (9,8X8მ). სოფლის განაპირას, დასავლეთით შემადლებულ ფერდობზე-კვირაცხოვლის ეკლესია.(7,9X5,8მ), სამხრეთით - წმ. გიორგის ეკლესია (5,25X3,4მ). [19:116] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში სოფელი, სიქალეთის სახელით მოიხსენიება. მასში მცხოვრები 15 კაცი იხდიდა-10 450 ახჩას. [30:183] XVIII ს. ბოლოს გავლენადაკარგული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ციციშვილები ყიდიან აქ მამულებს. 1783 წ. დოკუმენტით შიომ ბარათაშვილმა „უანდერმა“ იულონ ბატონიშვილს ციციშვილისგან მოსყიდული ყმა-მამული სიქალეთსა და ზობნევი. [26:913]

იკვნევი (იკუნევი) ბოზნევეთან ახლოს ტანას მარჯვენა მხარეს მდებარეობს. XVII ს. მეორე ნახევრის დავთრის მიხედვით მცირეკომლიან სოფელში ციციშვილები 4 კომლ ყმას ფლობდნენ. [Hd-14534]

მდინარე ტანას ზემო წელზე მდებარეობდა ციციშვილების სოფლები ღუისხევი, ბიისი, თხილნარი, იფნარი (იფნევი). ზაზა ციციშვილის მკვლელობის შემდგომ დასჯა-შევიწროებით შეშინებული ციციშვილები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მეფე შაჰნავაზი მცირე ყმა-მამულიანობაში: „...ბატონსაც ვეხვეწებოდი რომე ამდენი... სამკვდრო დარჩა მეთქი: ღუის ჯევი, ბიისი, თხილნარი, იფნევი ყველა ერთია, მაგრამ უბანსა და უბანსა ჰქვია-ო.“ [Hd-804]. სინამდვილეში, თხილნას ხეობაში და მის სიახლოვეს მდებარე ეს სოფლები საისტორიო დოკუმენტურ წყაროებში მხოლოდ ცალ-ცალკე სოფლებად მოიხსენიება.

ბიისი. 1701-1703 წწ. განჩინებით ედიშერ და პაპუნა ციციშვილები გაყრისას ბიის ცხოვრობდა 9 კომლი ყმა. [გ.1448,ს.,5010] დასაწანია, რომ დღემდე ვერ განხორციელდა ბიისის სიმდიდრის გამოყენება, სოფლის თერმულ წყალზე ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა.

თხილნარი ბიისის ზემოთ მდინარე ტანას მარჯვენა შენაკად თხილნას ხეობის მიდამოებში მდებარეობდა. 1701-1703 წწ. ედიშერ და პაპუნა ციციშვილები გაყრის განაჩენით იყოფენ ყმა-მამულს ამ სოფელში: „ერთ წილათ თხილნარს ივანასშვილი სვიმონა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს... თხილნარს დარჩია და თვედორე ერგო პაპუნას... თხილნარს ახალჩამოსული ოქროასშვილები ორივე განაყოფი... ერგო ედიშერს... თხილნარს ზუბიტა და მამუკა... ერგო პაპუნას. [გ.1448, ს.5010-ა]

ღუისხევი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ბოზნევეს ზეით ერთვის ტანას ღუის ხევი, გამომდინარე საცხენისის მთისა... მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყედ.“ [18:343] ვახუშტის რუკაზე ტანას მარცხენა შენაკადთან ღუისხევი არის აღნიშნული. ამ ადგილას მხოლოდ ნასოფლარიდა შემორჩენილი. ისტორიულ მასალებში ღუივის ხევის სახელითაც გვხვდება. მეფე სვიმონ I -ის 1580 წლის მამულის წყალობის წიგნით, სოფ. ღვევი დოლენჯი თულაშვილს უბოძა, „მათითა სამართლიანის საზღუართა, მითთ ბარამდისინ.“ 1581 წ. სიგელით დოლენჯის შვილებს გიორგი და ამირან თულაშვილებს უნაწილებს. [21:4,7] XVII ს. დამდეგიდან სოფელი ფარსადან ციციშვილის ხელშია. ფარსადანის ღალატის გამო 1615 წ. ლუარსაბ მეფე, ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს ყმა-მამულის წყალობის წიგნით უმტკიცებს ღუისხევში მდებარე სოფ. ღვევს. [Ad-1410] ჩვენს მიერ მოკვლეული XVII ს. შუა ხანების ყმათა ნუსხის მიხედვით ღუისხევს სულ 13 კომლი მოსახლეა. [გ.1448,ს.5041] XVII ს. მეორე ნახევრის დავთრის მიხედვით - 7 კომლი ყმა. [Hd-14534-ა] 1664-1673 წლებით დათარიღებული გაყრის განჩინებით ციცი, ქაიხოსრო და ფარსადან ციციშვილები იყოფენ აღნიშნულ სოფელში ყმა-მამულს: „ამოილო საუფროსოდ ციციმ და ქაიხოსროვ ღუისხევს რობამისშვილი იასე, დღეს რისაც მამულის მქონე იყოს. მისცა ფარსადან საუარესოდ ღუისხევს თეკლიასშვილი ყანდია...“ [18:128-132] 1701-1703 წწ. ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის განჩინების მიხედვით ციციშვილები კვლავ ფლობენ ღუისხევს. აღნიშნული სოფელი ვახტანგ მეექვსის მიერ ქვემო საციციანოს გაუქმების შემდეგ ღვევი[ღუის ხევი]მეწინავე სადროშოს შემადგენლობაშია. სახასო სოფელია და მფლობელებად ციციშვილთა აზნაური თულაშვილები ჩანან, [Qd-1673, 1674,1678] 1721 წლის მოწინავე სადროშოს აღწერით თულაშვილები უკვე სამეფო აზნაურებად არიან მოხსენიებულნი. [8:84-87] ყიზილბაშობის პერიოდში მასიურად ხდება საციციანოს სამკვიდრო მამულების გაყიდვა-გასხვისება. მძიმე გადასახადებით გაღარიბებული ციციშვილები ვერ ახერხებენ თავიანთი აზნაურების სამკვიდრო მიწების შესყიდვას. მანუჩარ თულაშვილმა 1742 წლის ნასყიდობის წიგნით ღვევის მამულები მიჰყიდა საქართველოს ვეკილს ქაიხოსრო ბარათაშვილს. [7:304] ამ პერიოდში ხშირია შემთხვევები, როცა გაუსაძლის სიდუხჭირიდან თავის დაღწევას, გაქცევით ამჯობინებდნენ ციციშვილთა ყმა-გლეხები. [7:321]

სოფ. ორმოთი (ორმოცი) ბიისის ზემოთ ქვემო ბოშურთან მდებარეობს. XVII ს. მეორე ნახევრის დავთრის მიხედვით-ორმოთში 6კომლი მცხოვრებია, აქედან 5 ციციშვილებისაა. [Hd-14534]

ფეტვისხევი - (ბოშურის თემი) სოფელი მიტოვებული და გაუკაცრიელებულია. შემორჩენილია მარიამწმინდის ეკლესია, მდ. ტანის ხეობაში, ზემო ბოშურის ჩრდ. დას-ით 3 კმ-ზე, გაუვალ ტყეში. (ე.წ.„შავტყე“) თარიღდება IX-X საუკუნეებით. დარბაზული ეკლესია (12,25x11,1მ). ნაგებია თლილი ქვით. სახურავის სამხრეთ კედელზე შემოდგმულია ვერძის თავის ქანდაკება, რამაც თავის მხრივ კითხვები გააჩინა, აღმოჩნდა რომ, ასეთი ქანდაკება გვხვდება თრიალეთის სოფლებში, ეკლესიების ნანგრევებსა და საფლავის ქვებში, ჩრდილისუბანთან, ჩოლიანთან (ჩამძვრალასთან), სოფ. ლიპეტთან (დღევანდელი ხაჩქოი). ჩანს ამ მხარეში, სიმდიდრისა და მეცხვარეობის წამყვანი დარგის პრიორიტეტის სიმბოლური ნიშანი უნდა ყოფილიყო. ს. მაკალათიას ვარაუდით ფეტვისხევში 15 კაცი ცხოვრობდა. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები, რომელიც სტილისტური ნიშნებით XII-XIII სს. განეკუთვნება. საკურთხეველთან იდგა XV-XVI სს. დათარიღებული ხის კანკელი (ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). კანკელის არქიტრავის ასომთავრულ წარწერაში

მოხსენებულია ზაქარია ფანასკერტელი: „მელო ცხოვრებისაო, ადიდე ორთავე ცხოვრებასა შინა პატრონი ფანასკერტელია ზაქარია.“ [14:109-110;10:28] დოკუმენტური წყაროებისა და ეპიგრაფიკული წარწერის, შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოხდა პირის იდენტიფიცირება. იგი „დიდი ფანასკერტელის“ ზაზას შვილია. [ფ.1448,ს.64] ზაქარია მონასტრის მამულებელია, მსგავსად სამწევრისის „მეორედ მამულებლის“, თავისი ძმის მერაბ ციციშვილისა. აღმოჩენილი ეპიგრაფიკული წარწერა მეტად მნიშვნელოვანია საციციანოს ისტორიისათვის, რაც ხაზგასმით მიგვანიშნებს, რომ XV ს. მეორე ნახევრიდან ზაქარია ფანასკერტელი ფლობდა და პატრონობდა არა მარტო ტანას ხეობის ზემო წელის მნიშვნელოვან სოფლებს, არამედ ქართლის სამეფოს მნიშვნელოვან გზასაყარს. ორმოცადან ბოშურის გავლით გზა გადადიოდა ძამის ხეობაში.“ [5:127] ბოშური გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით. სახელწოდებას „ბოშური“ კ. ხარაძე XVIII საუკუნეში დამკვიდრებულად თვლის. [28:55] მოკვლეულ დოკუმენტებში კი ბოშური მოხსენიებულია XVII ს. მეორე ნახევრიდან. [Hd-14534] აქედან გზა გადადიოდა თეძმის ხეობასა და თრიალეთშიც. აქვეა სოფ. ბიეთი, რომელიც დღევანდელ ლევიტანას სიახლოვეს მდებარეობდა. ციციშვილები იცავდნენ გზას წალკისაკენ, რომელიც გაივლიდა სოფლებს: ტამს, დიდ ჭვარებს, პატარა ჭვარებს, ბორცვანას, პიტნარს, წალკას. პიტნარიდან გზა კლდეკარისა და დიდგორის გავლით ჩადიოდა ნიჩბისში. ტანას ხეობიდან ძამის ხეობაში გამავალ გზას, ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვრის დაცვას, საათაბაგოსკენ მიმავალი გზების გაკონტროლებას და სამეფოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სატრანზიტო გზების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, ზაქარიასთან ერთად თავის ძმას, ძამის ხეობის მფლობელს, მერაბ ფანასკერტელს ევალებოდა. მათი მესამე ძმა თაყა, ე.წ. „მტკვრის გზას“ პატრონობდა. მეოთხე ძმა ქაიხოსრო ფანასკერტელ-ციციშვილი მეფის სადროშოს სარდალი, წყაროების მიხედვით მეფის გვერდით დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლების ავანგარდში თავგანწირვით იბრძოდა სიცოცხლის ბოლომდე. [11:47] ზაქარია და თაყა ციციშვილის შესახებ მასალები ძალზე მწირია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1511 წ. იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ის წყალობის სიგელი, რომლითაც ზაქარია და თაყა ციციშვილს აძლევს ყმა-მამულს რუისში, წინუბანსა და ტინისხიდში. [Hd-2118] დოკუმენტის გაცნობისას ჩნდება კითხვა ქართლის მეფის ერთგული და გავლენიანი ფანასკერტელები რა მიზნით „იმსახურებენ“ ამგვარ წყალობას იმერეთის მეფისაგან, რომელმაც შეძლო მიეტაცა შიდა ქართლის დასავლეთი. ვეთანხმებით მკვლევარ მ. სურგულაძის ვერსიას, იმერთა ბატონიშვილის ვახტანგის შესახებ, რომელიც იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდებას შეეცადა საკუთარი ძმის იმერეთის მეფის, ბაგრატის დაუძინებელი მტრის ათაბაგ მზეჭაბუკთან (1500-1515 წწ) გარიგებით. ამ მოსალოდნელმა საშიშროებამ იმერეთის მეფე ბაგრატის (1510-1565 წწ.) სეპარატისტულ, ამბიციურ გეგმებში მკვეთრი კორექტირება შეიტანა. მისთვის მთავარი გახდა დაერეგულირებინა ურთიერთობა ქართლის სამეფო კართან, რაც მისცემდა შესაძლებლობას შეენარჩუნებინა მიტაცებული ქართლის დასავლეთი ნაწილი, რათა საკუთარი ძმის და ათაბაგ მზეჭაბუკთან ალიანსის საშიშროება როგორმე თავიდან აეცილებინა. ავ-გიორგისთან ქართლის მეფის დავითის (1505-1526 წწ.) ბრძოლები კი დაზავების იმედს აძლევდა, მაგრამ საციციანოს, იმერეთის და სამცხის საზღვართა გზასაყარზე ბაგრატის მიერ დაკავებული ტერიტორიების შეუვალობას, ქართლის სამეფო კარის ერთგულ ციციშვილებთან დაახლოების ინიციატივა და კომპრომისი მეტად სჭირდებოდა.

სოფ. ვერე. გორიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით მდ. ტანას მარჯვენა შენაკადის მდ. ვერეს ხეობაში მდებარეობს, [19:218] ეკუთვნოდათ კლდეკარის ერისთავებს. XII ს. შუა წლებიდან ვერე ატენის ხეობასთან ერთად იქცა სამეფო მამულად. ვახუშტი ბაგრატიონის მინიშნებით: „კუალად ატენის წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერის ჳევი. აქა არს ციხე მაღალს კლდესა ზედა. და ჳეობა ესე არს ვენახოვან-ხილიანი; ვერის დაბის დასავლით არს, დანახვისის მთის ძირს, მონასტერი კეთილშუენიერი ყოვლადწმიდისა. ამას ზეით ატენი, მცირე ქალაქი.“ [18:342] ვერეს ნასოფლარიდან შემორჩა მხოლოდ მონასტერი და ვერეს ციხე, რომელიც გარდატენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამიოდე კილომეტრზეა, მდინარე ვერეს ნაპირას, ძნელად მისადგომ ქედზე და სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობით გამოირჩეოდა. ვერეს მონასტერი გარდატენიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 6კმ-ზე მდებარეობს. წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას. XI-XVI სს. ვერეს ციხე ქართლის სამეფო კარის განკარგულებაშია. XVII-XVIII სს. ციხე ციციშვილთა მფლობელობაშია. [11:75-78] ვერეს მცხოვრებთა შესახებ მწირ მასალას იძლევა ჩვენამდე მოღწეული რამოდენიმე დოკუმენტი. XVII ს. ყმათა ნუსხის მიხედვით ვერეში ცხოვრობდა 8 კომლი. [ფ.1448, ს. #5041] 1664-1673 წლებით დათარიღებულ ციციშვილთა გაყრის განჩინებით ვერეს იყოფენ ციცი და ქაიხოსრო ციციშვილები. 1701-1703 წწ. ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის განჩინებაში კი ვკითხულობთ: „ერთ წილათ ვერეს ბეჟიაშვილი გიორგი, ამაზედ აძეს ლოცვილაშვილი დათუნა, რისაც მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს... ვერეს სულინაშვილი ივანა, ამაზედ აძეს დავითასშვილი ბერი... ერგო პაპუნას... ვერეს დედანაშვილი თამაზა, ამაზედ აძეს მირზასშვილის მამული... ერგო ედიშერს. ... ვერეს ეგნატასშვილი გულია, ამაზედ აძეს გიგაურის მამული, ერგო პაპუნას. ...ვერეს ხეჩიკასშვილის მამული, ამაზედ აძეს მამული, ერთპირად ამაზ აძეს

მიჩიტასვილის მამული...ერგო ედიშერს... ვარდიასვილის მამული...ერგო პაპუნას. ...ყენასვილი სულხანა...ერგო ედიშერს.“ [1448,ს.5010-ა] „ყიზილბაშობის“ ხანაში, (1732 წ.) სიმძიმის გამო ციციშვილები მამულებს და წისქვილებს ყიდნიან ვერასა და წყნეთში [12:303-304]

სოფ. გარდატენი ვერეს ხეობის მოზრდილი სოფელია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდებარეობდა ვერეს სიახლოვეს. სახელწოდება ატენიდან წარმოდგება სულხან-საბას განმარტებით „გარდა“ ნიშნავს „მისგან კიდევ“. [13:77] აქაურობას იცავდა კლდოვან მწვერვალზე აგებული ვერეს ციხე, რომელსაც ჩრდილოეთით ვერეს ხევი ჩამოუდის, სამხრეთით-ჭეჭელაანთ ხევი ესაზღვრებოდა. გარდატენში ციციშვილებთან ერთად მამულები ჰქონდათ ჯავახიშვილებს. [Hd-806; Hd-7608] ციციშვილთა გაყრასთან ერთად იწყება ყმა-მამულის გაყიდვის პროცესი. ნოდარ ციციშვილმა გორელ ალიბეგ და გაბრიელ ენდრონიკაშვილებს დაანება გარდატენს ამიშაშვილისგან ნასყიდი ზვარი და კოკოზაურის მამული 1653 წელს. [Hd-7608-2] XVII ს. მეორე ნახევარში ვერესა და გარდატენში ვახტანგ V ყმა-მამულს უბრუნებს ციცი ციციშვილს. [გ.1449,ს.328] XVIII საუკუნიდან ციციშვილები კვლავ ინარჩუნებენ ყმა-მამულებს. [გ.1448, ს. 5010-ა; 18:271-272] სოფელში შემორჩენილია XI-XII სს. „მწვანე“ ანუ „ფერისცვალების საყდარი“ (14,2X7,1მ). ორსაყდრის ღვთისმშობლის ეკლესია, სოფლის აღმ-ით 2-კმ-ზე, მდ. ვერეს მარჯვენა ნაპირზე (11,8X6,9მ) და გარდატენის ღვთისმშობლის ეკლესია სოფლის დას-ით, მდ.ტანას ხეობაში. ორივე თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით (8,2X4,7მ).

ტანას ხეობის ქვედა წელზე, წედისის ხევთან, მდებარეობდა ციციშვილთა სოფელი წედისი, მის ზემოთ სოფლები, ბნავისი, ოლოზი და ღვარები (ღუარები).

სოფ. წედისი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ათრევის (მდინარე ტანას მარცხენა შენაკადი) ხეობაში. ათრევა ტანას უერთდება სოფ. ჯებირთან (ისტორიულ სოფ. ტანისპირთან. მას წედისის ათრევასაც უწოდებენ. (ზღვის დონიდან 760 მ. გორიდან 7 კმ.) ტოპონიმი უძველესი დროიდანვე საწდე ჭურჭლის წარმოებას უნდა უკავშირდებოდეს სულხან-საბას განმარტებით: „წედა-ესე არს ყოველივე ღვინის შესასხმელი ჭურჭელი.“ [13:511] ვახუშტის ცნობით „მტკურის სამჭრით დასავლეთიდან ერთვის ატენის-წყალს წედისის ხევი. წედისს არს ციხე მცირე, და არს ჯეობა ესე ვენახოვანი, ხილიანი.“ [18:342] წედისის ციხე და ეკლესია, დგას სოფლის ჩრდილოეთით, კლდოვანი მთის თხემზე. აგებულია არაუგვიანეს X-საუკუნისა. შედიოდა ტანას ხეობაში განლაგებული თავდაცვით ციხე-სიმაგრეთა სისტემაში. 2002 წ. მოსახლეობის აღწერით წედისში 25 კომლი ცხოვრობდა. საარქივო დოკუმენტებით წედისი მჭიდროდ დასახლებული სოფელი იყო, რასაც ადასტურებს ნამოსახლარები, ეკლესიისა და წედისის ციხის ნანგრევები. წედისი სახასო მამულია მე-17 ს. შუა ხანებში. როსტომ მეფეს 1650 წ. განჩინებით სამამულო-სასაზღვრო დავა ატენელებსა და წედელებს შორის თავად გადაუწყვეტია. [24:588] XVII ს. 70-იან წლებში, სახლთუხუცეს-ამირსპასალარ ზაზა ციციშვილის სიკვდილით დასჯის შემდეგ საციციანოს დავთრის მიხედვით წედისში ცხოვრობდა ოცი კომლი ყმა. მეფის მდივანს, თურმანს 15 კომლი ჰყავს, ბატონისშვილს - 1 კომლი; ციციშვილებს - 6. [Hd-14534] ვფიქრობთ, სამეფო კარისგან ციციშვილების დასჯა-შევიწროებამდე გაცილებით მეტი ყმა-მამული ეყოლებოდათ, რადგან სწორედ ნაზარალიხანისაგან ღებულობს მდივანი გივი თუმანიშვილი წედისის მოურაობას. [Hd-1999] XVIII ს. 20-30-იან წლებში სამეფო მფლობელობაშია სოფ. წედისი. 1712 წლის ყმა-მამულის წყალობის წიგნით წედისის ციხე და ყმა-მამული მეფე იესემ ერთგულებით გამორჩეულ, სამეფო აზნაურ გიორგი ალექსიშვილს უწყალობეს [გ.1448,ს.518] 1719 წ. ირანიდან ვახტანგ მეექვსემ დაბრუნების შემდეგ, წედისი სახასო საკუთრება გახდა. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთრის მიხედვით, საციციანოს ნაპიეს სოფელ წედისში მცხოვრები 106 კაცია და იხდის 5000-ახჩას. [30:175] „ოსმალობა“, „ყიზილბაშობის“ ხანაში იწყება მოსახლეობის გახიზნა, იმერეთს, კახეთს და ფრონეს ხეობაში. ონის მუნიციპალიტეტში დღესაც არსებობს სოფელი წედისი. საყურადღებოა, რომ იმერეთში გაქცეულები ყოველ წელიწადს მოდიოდნენ აქ სალოცავად წედისის წმინდა გიორგის ხატობაში. წედისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია, შემორჩენილია ნამოსახლარები და ეკლესიის ნანგრევები. წედისის ციხეს უკავია მოზრდილი ფართობი. იგი ხშირად გამხდარა შიდა დაპირისპირების ასპარეზი და მოულოდნელად შემოჭრილი დამპყრობლების წინააღმდეგ გამირული ბრძოლების ეპიცენტრი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე სრულ თავისუფლებას აძლევდა სამეფო აზნაურებს მოეძებნათ და დაესაკუთრებინათ სახასო ბეითალმანი მამულები ხიდისთავსა და წედისში, რომლებიც თანდათან იკავებდნენ ციციშვილთა მამულებსაც წედისში. 1786-1795 წწ. არზებით, [26:136,174,319] ერეკლე მეფის მხარდაჭერით სამეფო აზნაურობაში გადასული ციციშვილთა ყოფილი აზნაურები თომა და პაატა მეღვინეთხუცისშვილები ორმოცდაათდღიურ მიწას ღებულობენ ხიდისთავსა და წედისში. [25:680] წედისში მამულების თაობაზე დავა დაუსრულებლად გრძელდებოდა სათავადოს გაუქმებამდე. [26:733]

სოფ. ბნავისი საისტორიო დოკუმენტით „სარჩელი სისხლისაი“ ქართლის ერისთავთ-ერისთავების, სურამელთა სახლის მამული ჩანს. საგვარეულო XIVს. დამდეგიდან დოკუმენტებში აღარ მოიხსენიება. მათ შესახებ ამ უკანასკნელ ცნობაში ასახულია შევიწროებისა და მიძიმე პირობებში მყოფი საგვარეულო

როგორ ტოვებს ატენის ხეობას და გადადის იმერეთს. [20:186-188] მათ საგვარეულო მამულებზე კი პრეტენზიებს აცხადებენ ციციშვილები და ჯავახიშვილები, რომელთა შორის სამამულო დავა წყდება სამეფო კარისადმი ერთგულება-მორჩილებით. ციციშვილების მფობელობაზე მიუთითებს XVII ს. 70-იანი წლების მეფე ვახტანგ V-ის წყალობის წიგნში დაცული საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვით იმერეთში გადასული განაწყენებული ციცი ციციშვილის შემორიგების მიზნით მეფე ჰპირდება სამკვიდრო მამულების დაბრუნებას, რომელთა შორის დასახელებულია ბნავისი. [გ.1449ს.328] 1728 წლის ოსმალური დავთრის მიხედვით გაუკაცრიელებულია. ბნავისი მხოლოდ სათესველად მოიხსენიება. ნასოფლარი და ეკლესია შემორჩენილია დღევანდელი სოფლის სამხრეთით 1კმ-ზე.

სოფ. ოლოზი მდ. ათრეულას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. შემორჩენილია სოფლის სალოცავები ღვთისმშობლის სახ. ეკლესია. (6,9X10 და წმ. გიორგის ეკლესია (6,2X4,2მ). ოლოზი XV-XVII საუკუნეებში ციციშვილთა მფლობელობაშია. [Hd-14695;Qd-814] XVII ს. 70-იანი წლების დავთარში მოხსენიებულია რვა კომლი ყმა, აქედან ხუთი კომლი ყმა ჰყავდა მეფის მდივან-მწიგნობარ თურმანს, სამი კომლი იესეს და ზაქარია ციციშვილებს. [Hd -14534]

სოფ. ღვარები (საბუთებში ღუარებად მოიხსენიება) მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ათრევის ხეობაში. გორიდან 11კმ მოშორებით, ზღვის დონიდან 1100მ. სოფელში, მთის ფერდობზე დგას წმ. გიორგის ეკლესია (7,86X5მ), თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ღუარებში საციცინოს დავთარის მიხედვით 10 კომლი ცხოვრობს. აქედან ციციშვილებს 8 კომლი ჰყავთ, მეფის მდივან-მწიგნობარს - 2. ორივე სოფელი ერთად ოლოზ-ღვარებად მოიხსენიება. 1733 წლის დოკუმენტით ბატონიშვილი ამილღაბარ ციციშვილს მამულებს, ოლოზღვარებს გაცემულ-გაუცემელს დავითს მარტამდის უტოვებს, „მარტს უკან თქვენივე იყოს“ პირდებოდა. [Hd-2122]

ატენის ხეობის შემოსასვლელში მტკვრის მარჯვენა მხარეზე ციციშვილებს ეკუთვნოდა სოფლები უფლისციხე, ქვახვრელი და ავკეთი, სახასოდ კვლავაც რჩებოდა ჯოხისი, გორისა, ხიდისთავი. მდინარე ტანასა და მტკვრის შესართავში გაშლილი სოფელი ხიდისთავი სამეფო დომენის მამული იყო. მეფე საგანგებოდ ზრუნავდა სამეფო დომენში ხალხის ჩამოსახლებაზე [26:130] და დაცვაზე [25:243-244] ბევრი ატენის ზემო მხრიდან გადმოსახლებულან, მათ შორის ციციშვილების მამულიდან. მეფე შაჰნავაზი (1658-1675 წწ.) ციცი ციციშვილს წყალობის სიგელით უბრუნებს ჩამორთმეულ სამკვიდრო მამულებს ატენში, ტლაშაძეებთან: „...ეს პირობა და საფასე გაგითაოთ... ყოვლითურთ უკლებლად დაგიმტკიცო წელშეუვალად ...შენი სამკვიდრო მამული... ატენს შენი კერძი რაც იყოს ტლაშაძეებთანა.“ [გ.1449ს.328] ხიდისთავს თავშეფარებული ტლაშაძეების დასაბრუნებლად მცდელობას არ აკლებდნენ ციციშვილები დაებრუნებინათ ყმები, თუმცა უშედეგოდ. ერეკლეს მიერ განხორციელებული რეფორმებით და ღონისძიებებით მხარდაჭერილი ტლაშაძეები ამჯობინებდნენ სამეფო, სახასო ყმობას. [26:130,174-175;24:770]

სოფ. ქვახვრელი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. წყაროებში პირველად იხსენიება 975წ. მოგვიანებით 1064 წელს ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეფობისას. [16:272,307] სოფლის სახელის ეტიმოლოგია კლდეში ნაკვეთ კომპლექსს უკავშირდება. ფრიალო კლდეშია გამოკვეთილი ქვახვრელის გამოქვაბულების კომპლექსი, მდებარეობს სოფლის აღმ-ით მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კლდეში ნაკვეთი ქალაქის უფლისციხის სამხრ-ით 2 კმ-ზე. თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით. ანტიკურ ხანაში იგი უფლისციხის სასოფლო სამეურნეო გარეუბანი იყო. კომპლექსში შედის სამრეკლო, კორიდორები, ეკლესია, დაბალი და ერდოიანი სადგომები. საინტერესო კომპლექსი ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია მოგზაურობისას იოჰან გიულდენშტედტის. [6:273] ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ ქართლის მეფე კონსტანტინე II-ემ (1478-1505 წწ.) 1467 წელს განუახლა სიგელი ერთგულსა და დიდებულ თავად ზაზა ფანასკერტელს - ქვაჯვრელის, ავკეთის, უფლისციხის და კარაღეთის მამულების სამკვიდროდ ბოძების შესახებ. [Ad -1410] როგორც ჩანს, უფლისციხე მალევე დაკარგეს, რადგან ისტორიულ მასალას ციციშვილების მფლობელობის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერსად მივაკვლიეთ, რაც შეეხება ქვახვრელს, მასზე მფლობელობა სათავადოს გაუქმებამდე შეინარჩუნეს. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით საციცინოს ნაჰიეს სოფელ ქვახვრელში 16 კაცი ცხოვრობდა და იხდიდა 9700 ახჩას. [30:169] 1800 წ. ციციშვილთა გაყრის განჩინებით უხვმოსავლიანი ქვახვრელის ყმა-მამულებს და ციხეს, საყდრების გარდა, იყოფენ სახლისკაცები: გიორგი ეშიკადასბაში, სარდალ-მოურავი გიორგი, ქალაქის მოურავი ევსტათი, ნიკოლოზ მდივანბეგი და ამილღაბარი. [12:19] ქვახვრელის ყმა-გლეხებს დაკისრებული ჰქონდათ ზამთრობით მგზავრების მიღებისა და გამასპინძლების ვალდებულება. სანაცვლოდ მათი გულის მოსაგებად სამეფო, ყმა-გლეხების მომრავლების და ციციშვილთა გავლენის დასუსტების პერსპექტივის გათვალისწინებით. მეფე ერეკლე შეეცადა გადასახადების შემსუბუქებას, გააზატების გზით. ამის ნათელი მაგალითია 1790 წლის 12 აპრილის ბრძანება ერეკლე მეორისა, სოფელ ქვახვრელში მცხოვრებთა გააზატების შესახებ, ზამთრობით მგზავრების მიღებისა და გამასპინძლების გამო. [გ.1448ს.5673.]

სოფ. ავეკითი მდებარეობს შიდა ქართლში, მდინარე ტანის შენაკად ვერეს მარჯვენა ნაპირზე, გორიდან 14 კმ. მანძილზე. სოფლის სამხრეთით, ურულის ხეობაში, ტყიანი მთის ფერდობზე დგას წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც თარიღდება XI-XII საუკუნეებით. ეკლესია დარბაზულია (16,8X13,7მ). 1463 წლის წყალობის სიგელით მეფე გიორგი VIII-ე ჯავახიშვილებს ერთგულებისა და თავდადების ნიშნად მეფე ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს უწყალობა ავეკითი და იისციხე. [22:133-134] როსტომ მეფე 1642-1643 წწ. წყალობის წიგნით თეიმურაზის მომხრე ნოდარ ციციშვილისა და მისი მხარდამჭერი ზემო ციციშვილების დასჯის მიზნით, მათ სამკვიდრო მამულს, ავეკითს კვლავ ჯავახიშვილებს გადასცემს. [21:173-175] XVII ს. ყმათა ნუსხის მიხედვით ავეკითში სამი კომლი მოსახლეა. [ფ.1448,ს.5041] XVIII ს. 60-70-იან წლებში შაჰნავაზის ხელრთვით დამოწმებულ დავთარში ავეკითი და იისციხე უკვე ციციშვილების ხელშია. [Hd-14534] 1664-1673 წწ. საგვარეულოს გაყრის განჩინებით ავეკითის მამულებს იყოფენ ფარსადან, ციცი და ქაიხოსრო ციციშვილები. [23:128] 1701-1703 წ. განჩინებით კი ავეკითის მამულებს იყოფენ ედიშერ და პაპუნა ციციშვილები. [ფ.1448,ს.5010-ა]1712 წ. სიგელით მეფე ვახტანგ მეექვსემ ჩამოართვა ციციშვილებს და ურბნისის საეპისკოპოსოს გადასცა. [ფ.1450,დავთ.37,ს.78] მისი დაბრუნება და შენარჩუნება მაინც შეძლეს ციციშვილებმა XVIII საუკუნეში, რასაც ადასტურებს ერეკლე II-ს მიერ დამტკიცებული 1780 წლის განჩინება „ციციშვილების სახლისკაცობის რიგი, გაჩენილი მოსამართლეთა მიერ“. [ფ.1448,ს.874]

სოფ. ცუქითი მდებარეობდა შიდა ქართლში, მდ. ტანას ხეობაში. სამწუხაროდ დღეს ეს სოფელი ქართლის სოფლების ისტორიაში არსად მოიხსენიება. ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში სოფლის ადგილმდებარეობას ივ. ჯავახიშვილი მიანიშნებდა „მტკვრის სამხრეთით ტანასა და მტკვარს შუა იყო და ეხლაც არის შენახული „ცუქითი“. [29:38] იგი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. *პირველი ცნობა* ცუქითის შესახებ გვხვდება მატიანე ქართლისაიში. მას შემდეგ რაც დემეტრე უფლისწული „წარვიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია.. შემდგომან... კათალიკოს-პატრიარქქმან მელქისედეკ მოიგო ქართლად... ცუქითი... მისცა [ზაგრატს] სიმტკიცე შეუვალობისა“. [16:295] ამის შემდგომ სოფელი მცხეთის სვეტიცხოვლის საეკლესიო მამული გახდა. მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წლის სიგელში ვკითხულობთ: „...კათალიკოს-პატრიარქქმან მელქისედეკ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინწვისი შემოსავლითა მისითა...“ [20:26] მოგვიანებით XIV-XV სს. აღარ მოიხსენიება საეკლესიო მამულად, არ გვხვდება ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარებში, არც 1715 წ. რუისის სამწყსოს დავთარსა და მეფეთა წყალობის წიგნებში. ვფიქრობთ, მცირეკომლიანი სოფ. ცუქითი ციციშვილების სამკვიდრო მამული იყო. ამის საფუძველს იძლევა 1664-1673 წწ. ციციშვილების გაყრის დოკუმენტში დაცული ცნობა: „ამოიღო ციციმ და ქაიხოსრომ საუფროსოდ ცუქითს კაკველიძე... მისცა ფარსადან საუარესოთ ციცის და ქაიხოსროს ცუქითს დიაკვანი, დღეს რისაც მამულის მქონე იყოს ზოსიმას შვილიცა“ [23:128] XVII ს. მეორე ნახევარში ციცი ციციშვილს ცუქითში შვიდი კომლი ყმა ჰყავს, XVIII საუკუნიდან კი წყაროებში აღარ მოიხსენიება. ოსმალეთის და ყიზილბაშობის ხანაში მტრის წინააღმდეგ შეუპოვარმა ხანგრძლივმა ბრძოლებმა, საგვარეულოს შორის არსებულმა დაპირისპირებამ, ციციშვილთა ხშირმა გაყრამ ეს მდიდარი მხარე გაჩანაგების პირამდე მიიყვანა, ბევრი სოფელი გაუკაცრიელდა და დავიწყებას მიეცა, ნაწილი აიყარა და საქართველოს სხვა მხარეებს მიაშურა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გავლენადაკარგული ციციშვილების ყმა-მამულის გარკვეული ნაწილი ტანას ხეობაში თანდათანობით სამეფო დომენს უერთდება.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ზაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1988;
2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები წ. 1, ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1964;
3. ბერძენიშვილი დ., ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, ძეგლის მეგობარი, 14, თბ., 1968;
4. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
5. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983;
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962;
7. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940;
8. თაყაიშვილი ე., მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, თბ., 1907.

9. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, თბ., 1977;
10. მაკალათია ს., ატანის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1957;
11. მიჩიტაშვილი მ., საციციანოს ისტორია, წ.I, თბ., 2016;
12. საქართველოს სიძველენი, ტ.II, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909;
13. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1993;
14. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი, 5, თბ., 1990;
15. სურგულაძე მ., ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან, მრავალთავი 23, თბ., 2010;
16. ქართლის ცხოვრება, ტ.I; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ., 1959.
17. ქართლის ცხოვრება, ტ. II; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ., 1959.
18. ქართლის ცხოვრება IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973;
19. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე, თბ., 2013;
20. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984;
21. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო, ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1955. დოკ.#2, დოკ.#3, დოკ. №77;
22. ქართული სამართლის ძეგლები ტ. II; საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966;
23. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972;
24. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977;
25. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981;
26. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძოსამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დოლიძემ, თბ., 1985;
27. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970;
28. ხარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992;
29. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტ. II, თბ., 1983;
30. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევებითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ., 2009;
31. სცსსა 1448, ს.1033; 1448,ს. 5010-ა; ფ.1448,ს.5041; ფ.1448,ს.518; ფ.1448,ს.5673; ფ.1448,ს.874; ფ.1449 ს. 328; ფ.1450, დავთ. 37,ს.78; ფ.1448,ს.874;
32. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd-14534; Hd-13151; Hd-2997; Hd-1739; Hd-7251; Hd-804; Hd-2118; Hd-806; Hd-873; Hd-7608; Hd-7608-2; Hd-1999; Hd-2122; Ad-1410; Qd-1970; Qd-1673, 1674, 1678.

Manana Michitashvili

Gori State Teaching University

THE VILLAGES OF SATSITSIANO IN TANA VALLEY (THE XV-XVIII CENTURIES)

RESUME

A favorable geographical location of Satsitsiano as well as power of the Tsitsishvili family determined their important role in the history of Kartli Kingdom.

On the bases of historical sources, the paper studies the strategic and significant roads passing in the valley. Protection of these roads was the responsibility of the Panaskertel- Tsitsishvili family. The paper identifies the villages of Satsitsiano located in Tana Valley. Through this study, it became possible to localize the boarders of Satsitsiano in the 15th-18th centuries in Ateni Gorge as well as identify the villages and their estimated demographic situation. The reasons of a frequent change of the boarders of Satsitsiano, that were mostly caused by a change in the political situation of the country and variable attitude of the Royal Court towards the Tsitsishvili family, are also discussed in the paper. The paper highlights the important role of Tana valley in the social-economic and political state of Kartli Kindgdom.

**დიცის ღვთისმშობლის ტაძრის ასომთავრული წარწერები
და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო**

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. იგი წარმოადგენს დარბაზული ტიპის, მარტივი ფორმის სწორკუთხა ნაგებობას, ორქანობიანი ახლადგამართული თუნუქის სახურავით. სამხრეთ ფასადთან შერჩენილი აქვს მინაშენის ნაწილი. სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში გაჭრილია თითო კარი. ფანჯრები განთავსებულია მხოლოდ აღმოსავლეთის (ერთი) და სამხრეთის (ორი) კედლებში. სარკმელთა საპირეები იმკობა თხლად ჩაკვეთილი სტილიზებული დეკორით და ქუსლიანი მცირე ზომის წარბით. ტაძრის კუთხეები, კარ-ფანჯარათა საპირეები და სამხრეთის კედლის დასავლეთი მონაკვეთის ქვედა ნაწილი ამოყვანილია ადგილობრივი ჯიშის (ერედვის) წითელი ფერის ტუფის კვადრებით. დანარჩენი კედლები ნაგებია დულაბზე რიყის ქვით. ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ოდნავ ჩამონგრეული ბათქაშის ქვეშ შევნიშნეთ რამდენიმე მრგვლოვანი გრაფემა. ბათქაშის გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა საქტიტორე ქვაზე შესრულებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. 1. წარწერაზე თავდაპირველად ჩვენი თხოვნით იმუშავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სპეციალობის მაგისტრმა ნ. ხარშილაძემ და ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა თ. გოგოლაძემ. საწყის ეტაპზე წარწერის ამოკითხვა მათ მიერ განხორციელდა.

რაც შეეხება, ტაძრის ინტერიერში სამხრეთ პილონის აღმოსავლეთ საფეხურზე აღმოჩენილ ნაკაწრ წარწერებს, ისინი აღმოსავლეთ ფასადზე მიკვლეული წარწერის შემდეგ იქნა აღმოჩენილი აქ მომუშავე ჯგუფის მიერ (ნ. ხარშილაძე, თ. გოგოლაძე, თ. ჯოჯუა). 2. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში არსებულ სიძველეებსა და ძველ ქართულ წარწერებზე(მაგ: ერედვის, ტბეთის და სხვ.)ქართველ მეცნიერებს ხელი აღარ მიუწვდებათ იმ მიზეზის გამო, რომ საოკუპაციო ხაზი გავლებული და ქართული კულტურის ბევრი უნიკალური ძეგლი, ჩვენი ისტორიის ცოცხალი მოწმე და მატთანე მავთულხლართს მიღმა მოექცა.

სამი ძმის: ბეშქენის, გოდერძის და ჯარიდის სააღმშენებლო წარწერა (IX ს.)

წარწერა განთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთ სარკმლის თავზე ტუფის ქვის დიდი ზომის ფილაზე (142X57 სმ.). არაწესიერი კონფიგურაციის მქონე კვადრის ცენტრალური არე სარკმლის თავსართს წარმოადგენს და შემკულია ქუსლიან წარბზე აღმართული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, რომლის ქვედა დონის თავისუფალ ეზოზე, ჯვრის ორივე მხარეს, ოთხსტრიქონიანი სახეიმი წარწერა არათანაბრად ნაწილდება. პირველი და მეორე სტრიქონი ჯვრის ქვედა მკლავით ორ ნაწილად იყოფა, მესამე სტრიქონი ჯვრის მეორე მხარეს აღარ გადადის, ხოლო მეოთხეს წარბის ცენტრალური მონაკვეთი და მარჯვენა ქუსლის შვერილი ეთმობა.

წარწერა ნაკლულია. ფრაგმენტულად იკითხება პირველი სტრიქონის ბოლო ორი სიტყვის რამდენიმე გრაფემა, ხოლო ორი ასო-ნიშანი მთლიანად წარხოცილია. ფრაგმენტულია მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო და მეორე სიტყვის პირველი გრაფემები, ასევე რელიეფურ თავსართზე - წარწერის ტექსტის ბოლო ნაწილიც. პირველი სტრიქონის მეოთხე სიტყვაში ა - მეტობაა, ხოლო რელიეფურ თავსართზე ამოკვეთილი ტექსტის მეორე სიტყვაში „ხან“-ი შებრუნებული სახითაა დაწერილი. წარწერის კვეთის სიღრმე 0,2-0,5 სმ-ს შეადგენს; უდიდესი გრაფემის სიმაღლე - 9,1 სმ.; უმცირესი გრაფემის სიმაღლე - 1,2 სმ. ქარაგმის ნიშანი: მოკლე განივი სწორი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი - ორი წერტილი პირველ სტრიქონში. დაზიანებების მიუხედავად ქართული ასომთავრულით შესრულებული საქტიტორო წარწერა სრულად იკითხება. იგი შემდეგს გვაუწყებს:

1. „სახელითა ღ(მრ)თი(საითა): ესე ეკა(სიც)||ლეს(ია)ა აღვ(ა)შე[ნ]თ
2. სამთ(ა) ძმათა ბ(ე)შქენ(ნ) || გოდერძმან
3. და ჯარიდმა
4. ნ ვინ წ(ა)კითხ(სიც)ოს ლოცვასა [მოგვიხსენეთ]“

არქაული ტრადიციის თანახმად წარწერაში ტექსტის დაწყების ნიშანი - ჯვარი არ გვხვდება. წილს ორივე წრე შეკრული აქვს. IX საუკუნის შესაბამისად, ტექსტში სიტყვები დაცილებული არ არის და

ერთადერთი განკვეთილობის ნიშანიც - ორი წერტილი უზის ერთმანეთისაგან დაუცილებელ სიტყვებს. განს, ენს, ვინს, ლასს მარცხნივ უჩნდებათ დამატებითი განივი ხაზები. მანის მუცლის შემკვერელი ხაზი მარჯვნივ არ გადადის. მანის და ენის განივი ხაზები ცალკეულ შემთხვევაში ზემოთ იწევს. ბუნიანი გრაფემების გარკვეული ნაწილი სიმაღლეში გაზრდილია. წარწერა ორხაზოვანებიდან გამოდის და ოთხხაზოვანების, კერძოდ, განუსხურებისაკენაა მიდრეკილი. პირველი სტრიქონის რ (კ) მსგავსებას იჩენს უსანეთის სტელის (VIII ს.) წარწერებში დაცულ რ (კ) გრაფემასთან. (რ) მარჯვნივ ოდნავ გადახრილი ბუნითა და გადახსნილი ორივე რკალით შესაბამისობაშია ატენის სიონის საკურთხეველის ჩრდილო კალთაზე ორსტრიქონიანი ასომთავრულ-ნარევი ნუსხური წარწერის (IX-X სს) (რ)-სთან. წარწერას ქორონიკონი არ ახლავს, ნ. შოშიაშვილის განმარტებით ქართული წარწერების დათარიღება ქორონიკონით, ხოლო ზოგჯერ ჰიჯრითა და „დასაბამითგანით“ IX საუკუნიდან იწყება, თუმცა, IX საუკუნის შემდეგაც წარწერების უმრავლესობა უთარიღოა.

ტაძრის ინტერიერში დაცული წარწერები გრაფიტებს წარმოადგენენ. ისინი განთავსებულნი არიან სამხრეთ პილასტრის აღმოსავლეთ საფეხურზე, იატაკის დონიდან მესამე კვადრზე, რომლის ზედაპირი ტალღოვანია და აღენიშნება მცირე და დიდი ზომის ღრმულები.

მოსახსენებელი მიქელისა (X ს.)

ერთსტრიქონიანი, მხედრულზე გარდამავალი ნუსხური წარწერა განთავსებულია კვადრის შუა დონეზე, გრაფიკული გამოსახულებების ქვედა მონაკვეთის გასწვრივ. იატაკის დონიდან 139, 5 სმ. სიმაღლეზე, კიდიდან 1,7 სმ-ს დაშორებით. 3 ჩაკვეთილია თხლად, სუსტად გაირჩევა. ქარაგმის ნიშანი განივი სწორი, ოდნავ დახრილი ხაზია. დაქარაგმებულია მხოლოდ პირველი სამი გრაფემა „ქე შე(იწყალ)ე“. წარწერას უკავია 7×2 სმ ფართობი. ასოების სიმაღლეა 2-0,5 სმ. მსგავსი (შ) გამოვლენილია ატენის სიონის დას. აფსიდის ჩრ. კალთაზე, საღებავის ფენის ქვეშ ამოკვეთილ მიქელ ბაღვაშის 940 წლის წარწერაში. (ე)-ს დაწერილობა მსგავსია ატენის სიონის ჩრ. აფსიდის დას. პილონზე კედლის მხატვრობის გადასული საღებავის ქვეშ გამოვლენილ, შავი საღებავით შესრულებულ თევდორეს მინაწერის ე-სი (Xს.). აგრეთვე ამავე ტაძრის დას. აფსიდის სამხრეთ ბემაში იოანეს ძის მოსახსენებელი წარწერის იგივე გრაფემისა (Xს.).

ⲕⲩⲛⲁⲓⲛⲁⲓ [ქ](რისტ)ე შე(იწყალ)ე მ(იქელ)

მოსახსენებელი კოსტანტინესი (X ს.)

ორსტრიქონიანი მხედრულშერეული ნუსხური წარწერა განთავსებულია მიქელის მოსახსენებელის შემდეგ იატაკის დონიდან 137,5 სმ. მარცხენა კიდიდან 1,7 სმ. მანძილზე. მოიცავს 7,5×3 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 2-0,7 სმ. ქარაგმის ნიშანი სუსტად გამოხატული ორი განივი მოკლე ხაზი პირველ და მესამე სახელთან. წარწერაში შეინიშნება ორი სხვადასხვა ხელი. პირველი და მეორე სტრიქონის საწყისი ორი გრაფემა ერთი ხელით ჩანს ჩაკვეთილი თხლად, მომდევნო გრაფემები სიმკვეთრით გამოირჩევიან და ხასიათდებიან ღრმა და ფართო ძლიერი კონტურით. (შ) კონფიგურაციით შესაბამისობაშია მიქელის მავედრებელი წარწერის (X ს.) (შ)-სი. მუცელშეუკვერელი, ტეხილხაზოვანი განვითარების მქონე (კ)-ს ქვედა ფეხი მოკლე აქვს. იგი სიახლოვეს იჩენს ატენის სიონის დას. აფსიდის სამხრეთ ბემაში იოანე ღმრთისმეტყველის ფრესკული გამოსახულების ფერხით, გადასული საღებავის ქვეშ გამოვლენილ ფრაგმენტული მოსახსენებელი წარწერის (X ს.) და მიქელის კრიპტოგრამის (Xს.) კ-სთან. (ე) მგავსია დას. აფსიდის ჩრ. კალთაზე, აფსიდისა და ბემის კედლების შესაყარში აფსიდის კედლის სისქეზე დაცულ მხედრულზე გარდამავალ ნუსხური მოსახსენებელი წარწერის (X ს.) ე-სი. „კ“ და „ე“ გრაფემების გვერდიგვერდ არსებობა მიგვაჩნია, რომ ანთროპონიმ „კოსტანტინეს“ უნდა აღნიშნავდეს, თუმცა, ანთროპონიმის რამდენჯერმე ხსენება ეჭვს უნდა იწვევდეს და შესაძლებელია გამეორებული „კ“ და „ე“ გრაფემები სხვა სიტყვებს აღნიშნავდეს. 4.

ⲕⲟⲥⲧⲁⲛⲧⲓⲛⲉⲥⲓ 1. შე(იწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე კ(ოსტანტინ)ე კ(ოსტანტინ)ე
ⲓⲛⲁ 2. წმ(იდა)

გადაფხევილი წარწერა (IX-X სს)

ნუსხური სამსტრიქონიანი წარწერა, რომლის მხოლოდ რამდენიმე გრაფემა გაირჩევა, განთავსებულია კოსტანტინეს წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან 134 სმ. სიმაღლეზე. მარცხენა

კიდიდან 2,3 სმ. დაშორებით. გრაფემებს ემჩნევა თხლად ჩაკვეთის კვალი. წარწერას უკავია 3×5 სმ. ფართობი. 5.

- | | |
|--------------|--------------------|
| ყი | 1. შ(ეიწყალ)ე |
|ღიქქ?... | 2.ოეც |
| რს | 3. ეც . . . |

მოსახსენებელი კოსტანტინე ბაკანასა (IX-X სს)

I.

სამსტრიქონიანი ნუსხურშერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია გადაფხევილი წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან 131 სმ. მარცხენა კიდიდან 3 სმ. დაშორებით. ხასიათდება საშუალო სიღრმით ჩაკვეთილი ხაზებით. წარწერას უკავია 3,2×6 სმ. ფართობი. ასოების სიმაღლეა 1,3–0,5 სმ. 6. (ბ)-ს, (ე)-ს, და (ნ)-ს დაწერილობა მსგავსია ატენის სიონის საკურთხევლის სამხრეთ კალთაზე დეკორატიული ჩარჩოს გადასული საღებავის ქვეშ შავი საღებავით შესრულებული პილიგრიმული წარწერის (IX ს.) იგივე გრაფემებისა. ბუნიანი გრაფემები სიმაღლეში გაზრდილია. წარწერა ორხაზოვანებიდან გამოდის და ოთხხაზოვანებისკენაა მიდრეკილი. კ-ს ორივე ფეხი ერთ ვერტიკალურ ხაზზე ნაწილდება. მისი შეკრული წრიული მუცელი მარცხენა მხარესაა მოქცეული. ასეთი კ, მხოლოდ მარჯვნივ გატანილი შეკრული მუცლით დასტურდება ნინოწმიდის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის, ჩრდილოეთის მხარეზე, სარკმლის ქვემოთ.

- | | |
|-------------|--|
| ქ ყი ღი ქს | 1. ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე ბა |
| ღ[ქ]ჩქი ტმი | 2. კანაი ამე |
| ჩ | 3. ნ |

ამ წარწერის მეორე სტრიქონის ბოლოს არის სხვა ხელით შესრულებული, თხლად ჩაკვეთილი ნუსხური ႁ (ჯ), ხოლო მესამე სტრიქონის დასაწყისში ი (ვ).

წარწერის გასწვრივ, მეორე კიდედან ჩაკვეთილია რვა ვერტიკალური ღრმა ზოლი, რომლის ქვემოთაც გრძელკისრიანი ფრთებ და ფეხებ შეკეცილი ფრინველის გრაფიკული გამოსახულებაა გადმოცემული ხაზგასმულად კუთხოვანი, ზოგადი ფორმით. 9

მოსახსენებელი ჯარიდისა (IX-X სს)

სამსტრიქონიანი ნუსხურშერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია ფრინველის გრაფიკული გამოსახულების გასწვრივ იატაკის დონიდან 120 სმ. 7 მარცხენა კიდიდან 2,8 სმ. მანძილზე. ჩაკვეთილი გრაფემების კონტურები მკვეთრია და ფართო. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზი პირველი და მეორე სიტყვის თავზე „ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე“. მოიცავს 4×10 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 3,6–0,5 სმ. გრაფემების ე-ს, მ-ს თავი ზემოთ იწევს. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე განთავსებული წარწერის რ-ს მსგავსად ჯარიდის მოსახსენებელშიც რ-ს ბუნი მარჯვნივაა გადახრილი და ორივე რკალი გახსნილი აქვს. ანი დიდ მსგავსებას იჩენს ატენის სიონის საკურთხევლის ბემის სამხრეთ კალთაზე, მამფალ სუმბატ აშოტის ძის ფრესკული ეპიტაფიის (885 წ.) „ან“-თან. ამ წარწერის „მან“-ის მსგავსად ჯარიდის მოსახსენებლის „მან“-საც მცირე ჰორიზონტალური შვერილი უჩნდება მარჯვნივ.

- | | |
|-------------|------------------------------|
| ჩი ყი ႁტკი | 1. ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე ჯარიდ |
| ღ[ქ]ჩქი ტმი | 2. ი მე დავწერე |
| ჩ | 3. მიქაელ |

მოსახსენებელი კოსტანტინე ბაკანასა (IX-X სს)

სამსტრიქონიანი ასომთავრულ შერეული ნუსხური წარწერა განთავსებულია ჯარიდის მოსახსენებლის ქვემოთ იატაკის დონიდან 115 სმ. მარცხენა კიდიდან 1,5 სმ. მანძილზე. ჩაკვეთილია თხლად. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზი სახელის თავზე „კ(ოსტანტინ)ე“. მოიცავს 11×3,5 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 1,4–0,5 სმ. 8.

- | | |
|-------------|---|
| ქი ყი ღი ქს | 1. ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე ბაკანაი ყოე |
| ღ[ქ]ჩქი ტმი | 2. ლგან ეკლესიათ მათ |
| ჩ | 3. ალა(გს) |

X საუკუნის ასომთავრული წარწერების დიდი ნაწილი, რომლებიც შიდა ქართლში – დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში – არსებულ ტაძრებზეა შესრულებული, ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს – ტბელებს უკავშირდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთ ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე შესრულებული წარწერა, სადაც მოიხსენიება ქართლის უფალი ივანე ტბელი. წარწერაში ვკითხულობთ: „[სახელითა ღ(მრთისა)ათა, მამისა, მისა და] სულისა წმიდის[ათა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ/შ]ობელისათა, [შეწევნითა წმ(ი)დ(ი)სა გი(ორგი)სითა, კელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამ-ყარ[ე]ბ[უ]ლისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტი]ნე მეფისასა, რ(ომე)ლ(მან) ბრძანა და ჩავიდა ჰერე⁴თს [შ]იგან, ჰერთა მეფ[ე]ი გა(ა)ქ[ც]ია და მუნით მშუილობით იქცა, ცისკრად ა⁵ლავერდს ილოცა, [მ]წუხრი ბრემას გადაჯთა; მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვეჯინ⁶ისა ციხე დალენა; ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარ⁷ე[ბი] სკო[ლ]ობასა სანატრელისა ყუარყუარესა*, ჯ(უ)არითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ⁸ელისა – სანატრ[ე]ლისა სტეფანე ეპისკოსისათა, ძალითა, შეწევნითა მოყუას⁹თათა, მე თ(ევდორ)ე თაფლასძემან დავდე საძირკველი – წელნი იყ(უ)ანეს ხფი, ქრონიკონსა ჩვევ[.]“¹

ერედვის ტაძრის წარწერა 906-914 წწ. თარიღდება. როგორც ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს: „1 წარწერაში აღნიშნული თარიღი „ხფი“-6510 (-906 წ.) წარწერის თარიღი კი არ არის, არამედ ეკლესიის მშენებლობის დაწყების. წარწერას კი ამოკვეთდნენ ეკლესიის დასრულების შემდეგ, ე.ი. 906 წლიდან დაახლოებით ათიოდე წლის შემდეგ; 2) წარწერაში აღნიშნული ლაშქრობა აფხაზთა მეფის კონსტანტინესი ჰერეთს, წყაროების ცნობით, მოხდა აზულ-კასიმის ლაშქრობის (914) შემდეგ.“² ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი გვხვდება ასევე დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წითხლზე არსებულ წარწერაში: „სახელით²ა ღ(მრ)თი(სათა) ივანე ე³რ[ისთ]ავმ(ა)ნ ტბ(ელ)მ(ა)ნ⁴ აღ(ა)შენა ესე წ(მიდა)ი ე⁵კლესიაი სალო⁶ცველად მისთ⁷ის და ხუთთა მე⁸თ[ა] მისთ⁹ათუ[ის]“.³ როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ივანე ტბელს ხუთი ძე ჰყავდა. მისი ძეებიდან დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოდარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში, რომელიც დაახლ. 914 წლით თარიღდება, იხსენიება ქავთარი: „წ(მიდა)ო ნ(ათლ)ისმ(ც)ემ(ელ)ო, მ(ეო)ზ ექმ(ენ) მ(ონ)ა(ს)ა შ(ენსა)³ ტბ(ელ)ი(ს)ა ძესა ქ(ავთ)არსა⁴ ორსავე ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)სა.“⁴ რაკი ამ დროს, ერედვის წარწერის თანახმად ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანეა, ამიტომ დოდოთის ეკლესიის ამ წარწერაში მოხსენიებული ტბელი, რომლის ძეც ქავთარია, ივანე უნდა იყოს. სწორედ ივანე ტბელის და, სავარაუდოდ, მისი ხუთი ძის (შესაძლებელია სხვა სახლისკაცების მონაწილეობითაც) ბრძანებით და ინიციატივით აიგო ერედვის წმ. გიორგის ტაძარი. ამას ერედვის ტაძრის სამკვეთლოს სარკმლის ორივე მხარეზე ამოდარული ასომთავრული წარწერაც გვაუწყებს: „აღეშენ[ა]² წ(მიდა)ი [ეკ]ლესიაი [ე³სე ყოვ(ე)ლ]⁴თა [ტ]ბ[ე]ლ[თ]⁵ა ბრძანე⁶ბითა.“⁵ ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი ქართლის უფალი (გამგებელი) იყო, ის სათავეში ედგა ტბელთა ფეოდალურ სახლს. სწორედ მისი ბრძანებით აიგო ერედვის ტაძარი, რომლის წარწერაში ჯერ კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზეა საუბარი, ხოლო შემდეგ ხაზი აქვს გასმული ივანე ტბელის „ქართლსა შინა უფლობას“. ივანეს შემდეგ წარწერა ქართლის მთავარეპისკოპოსს ეწეს შესახებ გვამცნობს, რომლის ლოცვა-კურთხევით („ჯუარითა მისითა“) აშენდა ერედვის ტაძარი, ეწეს მოხსენიების შემდეგ, წარწერა ნიქოზის ეპისკოპოს სტეფანეს შესახებ გვაუწყებს, რომლის „გაზრახვითა“ აიგო წმ. გიორგის ეკლესია. ერედვის წარწერაში ჯერ მთავარეპისკოპოსია მოხსენიებული, ხოლო შემდეგ ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე. ძალზე საინტერესოა, რომ მთავარეპისკოპოსის სახელი დაქარაგმებით „ეწეს“ იკითხება, ხო-

* ამ სიტყვის აღდგენა პირობითია.

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 16. P. Меписашვილი, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 52-53. საინტერესოა, რომ ერედვის წარწერას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იხსენიებს ეგზარქოს ვლადიმირის ქართლში მოგზაურობის მიმოხილველი. იხ. И. К. Обзорение Карталинских церквей Высокопреосвященнейшим Владимиром экзархом Грузии, стр. 20.

² ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 171.

³ იქვე, გვ. 176.

⁴ იქვე, გვ. 177.

⁵ იქვე, გვ. 173.

ლო ნიქოზელი ეპისკოპოსის სახელი კი სრულად წერია. მთავარეპისკოპოსის დაქარაგმებულ სახელთან დაკავშირებით რ. მეფისაშვილი წერდა: „ივანე ტბელის შემდეგ წარწერაში იხსენიება მთავარეპისკოპოსი, რომლის სახელს დამწერი ქარაგმით ასე გამოხატავს: „ყ~ესა“. „მთავარეპისკოპოსასა სანატრელისა ყ~ესა“. როგორ უნდა გაიხსნას აქ ქარაგმა, რაიმე გრაფიკულ შეცდომასთან ხომ არა გვაქვს საქმე, ეს ჯერჯერობით გაურკვეველი გვრჩება.“¹ წარწერის ამ ნაწილს ვ. თოფურია შემდეგნაირად კითხულობს: „ს(?) ასა სანატრ~ლისა ყ~//ა ჯ~რითა მისითა გაზ(?)რახვითა [სანატრელისა სტეფანე ეპისკოსისა] მალითა შეწევნითა...“² ვ. თოფურიასეულ წაკითხვაშიც ქართლის მთავარეპისკოპოსის სახელი შემოკლებით წერია. როგორც არ უნდა იქნას წაკითხული მთავარეპისკოპოსის დაქარაგმებული სახელი, ერთი რამ ცხადია, რომ დამკვეთებმა გარკვეული სუბორდინაცია დაიცვეს, ჯერ მთავარეპისკოპოსი მოიხსენიეს, შემდეგ კი ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, მაგრამ როგორც ჩანს, მთავარეპისკოპოსის გავლენა აღნიშნულ არეალზე, მაშინდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ნომინალური იყო, სხვა შემთხვევაში, მის სახელს სრულად ჩაწერდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქტიტორებმა სუბორდინაცია ფორმალურად დაიცვეს. რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ: „მალითა, შეწევნითა მოყუასთაითა“. როგორც რ. მეფისაშვილი განმარტავს: „ისინი ალბათ ეკლესიის სხვა მსახურნი იყვნენ“.³ ერედვის ტაძრის მეორე ასომთავრულ წარწერაში ხაზი აქვს გასმული, რომ ეკლესია ყოველთა ტბელთა ბრძანებით აიგო. ამ „ყოველთაში“, იგულისხმება, ან ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე, ან ივანე და მისი სახლისკაცები. არ არის გამორიცხული, რომ წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანეც ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი იყო. ი. მეგრელიძეს გამოქვეყნებული აქვს ნიქოზის ღვთაების ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე მიკვლეული მინაწერები: „იოვანე სტფნე ზქრ ქე შე“. მკვლევარი მინაწერს ასე კითხულობს: „იოვანე, სტეფანე, ზაქარია, ქრისტე, შეიწყალე!“. იქვეა სხვა მინაწერიც: „ქე ბი შე ჩ აიღსი წო სტეფნე შე“. მკვლევარს არ აქვს მოცემული აღნიშნული მინაწერების პალეოგრაფიული დახასიათება, მეცნიერმა, როგორც ჩანს, თავი შეიკავა წარწერების დათარიღებისგანაც.⁴ ნიქოზის ღვთაების ტაძრის პირველი საამშენებლო ფენა თარიღდება V-VI საუკუნეებით და რამდენჯერმე ისეა გადაკეთებული, რომ საამშენებლო ფენების დადგენა ძნელდება.⁵ არ არის გამორიცხული, რომ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ მინაწერში მოხსენიებული იოანე, სტეფანე და ზაქარია ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები იყვნენ. ხომ არ არის ერედვის წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე და ნიქოზის ღვთაების ტაძრის მინაწერში მოხსენიებული სტეფანე ერთი და იგივე პიროვნება? ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე შესაძლებელია, იოანე (ივანე) ტბელის ძმაც იყო, ტბელთა საფეოდალოს ტერიტორიაზე არსებული ნიქოზის ღვთაების ტაძარი, მათ, შესაძლოა, ერთობლივად განაახლეს და ამის აღსანიშნავად აღმოსავლეთ კედელზე წარწერაც გამოსახეს. ნიქოზის საეპისკოპოსო ტბელთა ფეოდალურ სახლთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ნიქოზელმა ეპისკოპოსმა სტეფანემ და ივანე ტბელმა ერთად ააგეს ერედვის ტაძარი და წარწერაშიც ერთად არიან მოხსენიებულნი. ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას სავარაუდოდ ტბელები აკონტროლებდნენ.

საეპისკოპოსო ცენტრების სიძლიერეზე საინტერესო დაკვირვება აქვს აკად. ს. ჯანაშიას. იგი წერს: „...წყაროების გულდასმით განხილვა გვარწმუნებს, რომ მიწისმფლობელობის საკონცენტრაციო ცენტრების, ფეოდალურ სენიორიათა პროტოტიპების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე უმაღლეს სამოხელეო პატივთა რიცხვი. ამ ცენტრების გათვალისწინება ნაწილობრივ ქართლის ეკლესიის ჰიერარქიულ ფაქტების ნიადაგზეა შესაძლებელი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ მხრივ საეპისკოპოსოების ისტორია. როგორც ყველგან და ყოველთვის, ქართლშიაც საეკლესიო სტრუქტურა სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული. საეპისკოპოსო კათედრები, ამიტომ, ბუნებრივად მიუთითებენ და თან ემთხვევიან უმსხვილეს პროტოგენურ ფეოდალურ ცენტრებს.“⁶

ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლის ეპისკოპოს სტეფანეს მიერ დაწყებული საქმე მომდევნო ეპისკოპოსმა მიქაელმა გააგრძელა. მან ღვთაების ტაძარი კიდევ განაახლა (შესაძლებელია გადააკეთა, ან მოცულობა მოუმატა) და ტაძრის სამხრეთის ფასადის ზემოთ აღმოსავლეთ კუთხეში,

¹ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 116-117; ნ. შოშიაშვილმა ქარაგმა პირობითად გახსნა და ყ~ე მიიჩნია, როგორც ყვარყვარე. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 177.

² ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

³ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 117.

⁴ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 149.

⁵ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5, თბ., 1990, გვ. 68.

⁶ ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფ., 1935, გვ. 18.

კარნიზის ქვემოთ სამსტრიქონიანი საამშენებლო წარწერაც ამოაკვეთინა. (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით)¹ ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთის ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე არსებულ წარწერაში მოხსენიებული ქართლის მთავარეპისკოპოსის შემოკლებულ სახელს „ყ^ე“-ს, როგორც აღინიშნა, „ყვარყვარედ“ კითხულობდა ნ. შოშიაშვილი.² მეცნიერი, სავარაუდოდ, ასეთივე საკუთარ სახელს კითხულობდა ამავე ტაძრის შიგნით, აღმ. კედელზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, რელიეფური ჯვრის თავზე ამოღარულ ასომთავრულ წარწერაშიც: „ყ(უარყუარ)ა(ს)/² მიწ(აი)(?)³ შ(ეიწყალ)ე//⁴ ქ(რისტე)ე//⁵-მ(ო)ნ(ა)ე /⁶ შ(ე)ნი თ(ევედორ)ე.“³ ნ. შოშიაშვილის ვარაუდით, ტაძრის დასავლეთის ფასადის სამხრეთის კუთხეში ჩამწებულ სწორკუთხა ფილაზე ამოკვეთილ ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც, სავარაუდოდ, ასევე „ყვარყვარე“ იხსენიება: „ქ(რისტე)ე შ(ეიწყალ)ე ყ(ვარყვარე)ე“⁴ ჩვენი აზრით, წარწერებში დაქარაგმებულად მოხსენიებული „ყ^ე“-ში, შესაძლებელია მართლაც ყვარყვარე იგულისხმებოდეს, მაგრამ ამ პიროვნების გაიგივება ტაძრის მთავარ წარწერაში მოხსენიებულ მთავარეპისკოპოსის სახელთან, შემოკლებით მოხსენიებულ „ყ^ე“-სთან არასწორია. თუ მთავარეპისკოპოსი იმდენად დაახლოებული იყო ტბელთა სახლთან, რომ ის ტაძრის სხვა წარწერებშიც მოიხსენიეს, და, ამასთანავე, მას აქ მიწაც „ყ(უარყუარ)ა(ს) მიწ(აი)(?)“ ეკუთვნოდა, მაშინ მის სახელს ტაძრის მთავარ წარწერაში ბოლომდე ჩაწერდნენ. როგორც აღინიშნა, ერედვის წარწერაში ბოლომდეა მოხსენიებული ნიქოზის ეპისკოპოზის – სტეფანეს სახელი, რადგან ის, სავარაუდოდ, ტბელთა ფეოდალური საგვარეულოსთან მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ტბელთა დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე IX საუკუნიდან იწყება. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ამ ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს. უკავშირდება. სწორედ IX ს. დასაწყისში გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და, შესაძლებელია, ამის შემდეგ იწყება შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალური სახლის, ტბელების, გამძლიერება და მათი გაერისთავება.“⁵ ტბელები სარგებლობენ აფხაზთა მეფეების შიდა ქართლში ექსპანსიით, გამოდიან მათ მოკავშირეებად და სანაცვლოდ აფხაზთა მეფეებისაგან ქართლის გამგებლობას იღებენ. ტბელების ძლიერება ზენიტს აღწევს ივანეს დროს. ის კონსტანტინე აფხაზთა მეფის მოკავშირეა, ამიტომაც იწყება ერედვის წარწერა ჰერეთში კონსტანტინე აფხაზთა მეფის ლაშქრობის აღწერით.* ტბელთა საფეოდალოს დიდ მნიშვნელობას სძენდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც რამდენიმე ციხით იყო გამაგრებული, ასეთი ციხეები იყო: აჩაბეთი, კეხვი და სხვ.⁶

ზუსტად ძნელი დასადგენია, ტბელთა ფეოდალური სამფლობელოს საზღვრები, როგორც რ. მეფისაშვილი აღნიშნავს: „ტბელთა სამფლობელოს ამ დროს, როგორც ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მასალა გვიჩვენებს, დაახლოებით მდ. დიდი და პატარა ლიახვის შუა წელის ტერიტორია ეკუთვნოდა. ამ კუთხის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას X–XI საუკუნეთა მანძილზე გვიჩვენებს ფართოდ გაშლილი საამშენებლო მოღვაწეობა. ტერიტორიულად ერედვთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი ძეგლებისა X საუკუნისა და XI საუკუნის დასაწყისის ხანით თარიღდება. ასეთებია: ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის გარდა, სოფ. ხეთის საბა-წმინდა (X საუკუნე), ერედვის ე.წ. ბერის საყდარი (X საუკუნე), ზემო-ნიქოზის მცირე გუმბათიანი ტაძარი (X–XI საუკუნეთა მიჯნა), დოდოთის ცხრაკარა, აგებული ერისთავის ივანე ტბელის მიერ (X–XI საუკუნეთა მიჯნა), და ბოლოს, სოფ. ტბეთის დიდი დარბაზული ეკლესია, სადაც ტბელნი იხსენიებიან (X–XI საუკუნეთა მიჯნა). ამას გარდა სხვა რიგი ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლებისა, დაცულია ერედვის და ტბეთის მიდამოებში.“⁷

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 187.

² ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 172.

³ იქვე, გვ. 174.

⁴ იქვე, გვ. 174.

⁵ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 255.

* „მეფეთა დივნის“ მიხედვით კონსტანტინე აფხაზთა მეფის - ბაგრატ I ძეა, რომელიც გამეფდა 873 წელს, ხოლო გარდაიცვალა 912 წელს. იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. III, ტფ., 1911-1913, გვ. 46. ივ. ჯავახიშვილის აზრით, კონსტანტინე 1914 წლის შემდგომაც ცოცხალია. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, გვ. 102. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ კონსტანტინეს ვაჟი გიორგი II მამის სიკვდილის შემდეგ 1915-1916 წლიდან გამეფდა. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, ტფ., 1937, გვ. 106.

⁶ რ. მეფისაშვილი, ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე, ძეგლის მეგობარი, №14, 1968, გვ. 11.

⁷ რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101. X-XI საუკუნეებში აგებული ზემოთ აღნიშნული ძეგლების საშენ მასალად გამოყენებულია ერედვის ღვინისფერი ქვა. იხ. შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების

დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე გამოსახულ ასომთავრულ წარწერაში ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე იხსენიება. იმავე დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ტბელის ძე ქავთარია მოხსენიებული.* დოდოთიდან 10 კმ.-ის დაშორებით მდებარეობს ტბეთის „ბორცვის ჯვრის“ სახელით ცნობილი დარბაზული ეკლესია, რომლის წარწერებშიც ტბელთა საგვარეულოს წევრები იხსენიებიან.** ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც ბალავრის ქვაზეა ამოკვეთილი*** ქავთარის ძე პატრიკ ტბელი იხსენიება: „სახ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაჲ)ა ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვ(ა)რი მე, ტბ(ე)ლმ(ან) პ(ა)ტ(რი)კმ(ან), ძ(ე)მ(ან) ქ(ა)ვთ(ა)რ(ი)სამან² დ(ა)ვდ(ე)ვ, ს(ა)ლ(ო)ც(ველ)ად ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა და შვ(ი)ლთა ჩ(ე)მთ(ათუი)ნ. ჯ(უ)არო ბ(ო)რც(კ)საო, მ(ე)ოხ (მე)ქ(მე)ნ.“¹ ტბეთის ეკლესიის კედელზე X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული პატრიკ ტბელის მოსახსენებელიც ყოფილა, წარწერიანი ქვის შესახებ ინფორმაციას მ. ბროსე და ვ. თოფურია გვაწვდიან, ქვა შემდგომში დაკარგულა.²

არქიტექტურული მემკვიდრეობა, (ცხინვალის რაიონი) 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები, თბ., 2002, გვ. 54, 60, 63, 84, 106.

* აღსანიშნავია, რომ დიდი ღიახვის ხეობაში ტაძრების მოსაპირკეთებლად ე. წ. „დოდოთის ქვა“ გამოიყენებოდა. ვ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 130; ამის შესახებ მიუთითებდა გ. სამაგლოვ-ივერიელი (კათალიკოსი კირიონ II), რომელსაც „დოდოთის ნაცვლად მითითებული აქვს „დუდეთი“. Описание Никозской Михаило-Архангельской церкви в Карталинии, Тб., 1898, стр. 3. „დოდოთს“ ასევე „დუდეთად“ იხსნიებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ტბეთს ზეით არს ნაცხარი. ამას ზეით ითხრების ქვა შავი დუდეთს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის.“ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 372.

** აღსანიშნავია, რომ ტბეთის ეკლესია დანგრეულ იქნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების მიერ. როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ეკლესიის ქვები ცხინვალში აბანოს ასამენებლად იქნა გამოყენებული. თუმცა, მიღებული ზომების შედეგად წარწერიანი ქვები აბანოში არ ჩაუმენებიათ. წარწერიანი ქვები უყურადღებოდ დაუყრიათ მდ. ღიახვის პირას. ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 134.

*** იგი სამხრეთის ფასადის კარის თავზე ყოფილა ჩადგმული. გარკვეული პერიოდი, ის სამხრეთის კედელთან მიწაზე ყოფილა. 1954 წელს ქვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანიათ. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180.

¹ ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180; ვ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 48. აკად. ვ. თოფურია წარწერაში არსებულ სიტყვას „პტკნ“ კითხულობს როგორც „პატკანმან“, ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, ტფ., 1924, გვ. 134. რ. მეფისაშვილი კითხულობს – „პეტრიკმან“ და თვლის, რომ აქ ეს არის არა ტიტული „პატრიკი“ – არამედ საკუთარი სახელი „პეტრიკი“. რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 115. ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი არ გამორიცხავენ, რომ „პატრიკი“ ივანე ტბელის ტიტულს წარმოადგენდა. ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე“. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 98. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამდროინდელი ტბელების პატრიკოსობასთან დაკავშირებით გვახსენდება ფეოდალური ქართლის პირველი ერისმთავრების პატრიკოსობა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ ეპოქის შიდა ქართლის ერისთავების, ტბელების „პატრიკოსობა, რამენაირად ეხმარებოდეს ძველი ერისმთავრების პატრიკოსობას. წყაროების სიმცირის გამო მნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განმგებელთა შორის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მომრავლება. მაგალითად, X ს. ჰერეთის პატრიკი ადარნასე; კახეთის მეფე კვირიკე მაგისტროსი (ადარას ვამბოზ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე). ხომ არ არის ეს ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატიური სვლა, მიმართული გაძლიერებული აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ?“. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

² ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133; M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, executee en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Academie Imperiale des Sciences. 2 de livr. VI, St. Petesbourg, 1851, p. 58. ღიახვის ხეობის სიძველეების და აქ არსებული წარწერების შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა მ. ბროსემ. გ. სამაგლოვილის (კათალიკოსი კირიონ II) ინფორმაციით ფრანგი ქართველოლოგი ღიახვის ხეობაში არ ყოფილა, რადგან იგი ნიქოზის ღვთაების ეკლესიის აღწერაში ცდება (უგუმბათოდ იხსენიებს). Г. Садзгелов-Ивериели, Описание Никозской Михаило-Архангельской церкви в Карталинии, Тб., 1898, стр. 7. რასაც არ ეთანხმება ი. მეგრელიძე, მკვლევრის განმარტებით, მ. ბროსე იმყოფებოდა: ნიქოზში, ბორცვისჯვარში, ტბეთში, წუნარში, ცხინვალში. ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 123. როგორც ი. მეგრელიძე მიუთითებს, ეს ადგილები ფრანგ მეცნიერს 1847 წელს მოუწახულებია. იქვე, გვ. 122. ი. ალიმბარაშვილი მიიჩნევს, რომ მ. ბროსე გორში იმყოფებოდა 1848 წლის 7 აპრილიდან 12 აპრილამდე და მან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის თანხლებით დაათვალიერა გორის სიძველეები. შემდეგ ის იმერეთში გაემგზავრა. ი. ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი, (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 35.

წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე, გ(ანუ)ს(უენე ს(უ)ლ(ს)ა ტბ(ე)ლ(ი)სა² პ(ა)[ტრ(ი)კ(ი)ს, დ[ლ(ე)სა მას.“¹ ტბეთის ეკლესიის კედელზე ასევე ყოფილა X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ოქროპირ ტბელის ძის მოსახსენებელი. აღნიშნული წარწერის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მ. ბროსე.² წარწერა მოგვიანებით უნახავს ვ. თოფურიას.³ წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დე ოქროპირ ძე ტბ(ე)ლ(ი)ს(ა)ი“.⁴ ოქროპირ ტბელი ქავთარ ტბელთან ერთად ტბეთის ბორცვისჯვრის სხვა წარწერაშიც იხსენება, რომელიც ასევე დაკარგულია: „+ჯ(უა)რო ბ(ო)რც(კ)ს(ა)ო, ა(დი)დ(ე)ნ შვ(ი)ლნი მ(ა)თნი: ოქროპ(ი)რ, პდდ დ (ტბელი და ?) ქ(ა)ვთ(ა)რ.“⁵ აღნიშნულ წარწერას ვ. თოფურია ასე კითხულობდა: „ჯ(უ)რო ბრცსა დნ შვვლნი მთნი ოქრაი სპდდ დვთ ქვთრ ჯუარო ბორცვისაო ადიდენ შვილნი მათნი ოქროპირი სპდდ(?) დავით ქავთარ“.⁶ ამ წარწერას, როგორც ვ. თოფურია აღწერს ორსტრიქონიანი წარწერა მოსდევდა: „ქსე გსნე სლა ტბლსა ეპრქს დასა მსსა ქრისტე განუსუენე სულსა ტბელისასა(?) ეპრაქსის(?) დასა(დედასა?)მისსა.“⁷ დისევის ძელიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ი. მეგრელიძეს აღწერილი აქვს ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილი 6-7 სტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა. რომელიც მკვლევარმა ასე წაიკითხა. „ირჩევა ასოები: გ(ლი)გ(ატურა-გიორ-გის?)ო (ან-ე)პს/ნ ა(ან ე) სლ/სა(სულსა)/ ჩემ(მ თუ ვ?) ა/სა.“⁸ ხომ არ უნდა აღნიშნავდეს „ოპს“ გრაფემების ჯგუფი „ოქროპირს“? რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე დისევის ტაძარს, ვანათის და არბოს ტაძრებთან ერთად, ერთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში განიხილავენ და X საუკუნით ათარიღებენ.⁹ თუ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში მართლაც ოქროპირი იგულისხმება, არ არის გამორიცხული, რომ დოდოთის ბორცვისჯვრის წარწერებში მოხსენიებული ოქროპირი და დისევის წარწერის ოქროპირი („ოპს“) ერთი და იგივე პიროვნება იყოს. შესაძლოა, ოქროპირ ტბელს, დისევი ებოძა და ძელიცხოვლის ტაძარი სწორედ მისი ინიციატივით აიგო X საუკუნის შუა წლებში (ან II ნახევარში). არც ის არის გამორიცხული, რომ დისევიც მცხოვრები ოქროპირიძეთა გვარი სწორედ ოქროპირ ტბელს უკავშირდებოდა. ტბეთის ეკლესიის კედლებზე ასომთავრულით შესრულებული სხვა მოსახსენებლებიც არსებობდა. მათ შორის X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ვახტანგის ძეების: „ქ(რისტ)ე ა(დი)დ(ე)ნ ძ(ე)ნო ვ(ა)ხტ(ან)გ(ი)ს(ა)ნი: მ(ი)ქ(ა)ელ სა რმ ე (?).“¹⁰ ასევე ვინმე ცუატასი: „+ უ(ფა)ლო გ(ანუ)ს(უ)ენე ს(უ)ლ(ს)ა ც(უა)ტ(ა)სა.“¹¹ მ. ბროსეს, ასევე ვ. თოფურიას ცნობით, ტბეთის ეკლესიის სამხრეთის ფასადის მარჯვენა სარკმლის ზემოთ, ყოფილა ასომთავრულით შესრულებული წარწერა, სადაც ვინმე თეკლა იხსენიებოდა: „+ ჯ(უა)რო ბ(ო)რც(კ)ს(ა)ო მ(ე)ოხ (ე)ქ(მ)ენ ს(უ)ლ(ს)ა თ(ე)კლ(ა)სა.“¹² „თეკლა“ იხსენიება ცხინვალიდან 2 კმ.-ის დაშორებით სოფელ კუსირეთის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც: „ქრისტე შეიწყალე თეკლა“.¹³ კუსირეთის ეკლესია სამეცნიერო ლიტერატურაში VIII-IX საუკუნით თარიღდება.¹⁴ ტბეთის მოსახსენიებელი და კუსირეთის წარწერა ქრონოლოგიურად განსხვავდებიან, როგორც ჩანს, „თეკლა“ ამ არეალში გავრცელებული სახელი იყო. ჩვენი აზრით, ორივე „თეკლა“ ტბელთა ფეოდალურ გვარს უკავშირდება და არ არის გამორიცხული, აღნიშნული სახელი ორი თაობის წარმომადგენლებს ერქვათ.

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.
² M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, executee en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Academie Imperiale des Sciens. 2 de livr. VI, St. Petesbourg, 1851, p. 57.
³ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.
⁴ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 181.
⁵ იქვე, გვ. 183.
⁶ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. „ბორცვის ჯვარი“ („ბორცვის ჯვარი“, როგორც ვ. თოფურიამ შეამჩნია იხსენიება ბაგრატ IV ერთ-ერთ სიგელში. ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 132; თ. ჟორდანია, საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 3, 4, 5.
⁷ იქვე, გვ. 133.
⁸ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 28.
⁹ Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 100. შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 54-56.
¹⁰ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 181.
¹¹ იქვე, გვ. 182; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. აღსანიშნავია, რომ ანთროპონიმი „ცუატა“ ატენის სიონის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაშიც გვხვდება, ეს არის IX საუკუნით დათარიღებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „1. წ(მიდა)ო ღ(მრთის)შ(ო)ბელო, 2. შ(ეიწყ)ალე მ(ო)ნ(ა)ე შ(ე)ნი ც(ვა)ტ(ა)ე 3. მეჯუარო“. ქართული წარწერების კორპუსი, ფრესკული წარწერები, ტ. I, გვ. 188.
¹² ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.
¹³ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 189.
¹⁴ შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 139.

ტბეთის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის მარცხენა პატარა სარკმლის ზემოთ, ჩუქურთმებში, ასევე ჩუქურთმების ზემოთ დატანილი იყო აბაზასი და მისი ძეგბის მოსახსენებელი ასომთავრული წარწერები, რომლებიც ერთად გამოაქვეყნა ნ. შოშიაშვილმა: „¹ ჯ(უა)რო ბ(ორ)ც(უ)/² საო ა(დი)დე³ აბ(ა)ზი/⁴ +და ძ(ე)ნი მ(ი)სნი: ივ(ა)ნე, ქ(ო)ბუ(ლ)ი.“¹ გ. ოთხმეზურის აზრით: „ამ წარწერებში (იგულისხმება: ვახტანგის ძეგბის, ცუატას, თეკლას, აბაზას და მისი ძეგბის მოსახსენებლები – გ. ს.) მოხსენიებულ პირთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ტბეთის ეკლესიის ფასადებზე მათი მოსახსენებლების ამოდარვა შესაძლებელს ხდის დავუშვათ, რომ ისინიც ტბელთა საგვარეულოს ეკუთვნიან, ოღონდ რომელ თაობას, ამის დადგენა არ ხერხდება.“² ამიტომ ეს წარწერები, ზოგადად, X ს-ის შუა წლებით და II ნახ-ით თარიღდება.“³ ვ. თოფურია ამ წარწერების გაცნობის შემდეგ სვამდა კითხვას: „ხომ არ არის ეს ეკლესიის აშენების შემდეგ სხვადასხვა დროს ამოჭრილი?“, თუმცა, პალეოგრაფიული მსგავსებებიდან გამომდინარე, ამ კითხვას თვითონვე სცემდა პასუხს: „მაგრამ პალეოგრაფიულად ასოები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, აგრეთვე ქარაგმების ერთნაირად გამოყენება, ორთოგრაფია და სხვა მოწმობს იმას, რომ ყველა ეს წარწერა ერთი კაცის მიერაა ამოჭრილი.“⁴

გ. ოთხმეზურის შეხედულებას ჩვენც ვიზიარებთ, რადგან ტბეთში ტბელთა საგვარეულოს მიერ აგებულ ტაძრის კედლებზე, იმ დროს, როცა აღნიშნული საგვარეულო შიდა ქართლში დიდი გავლენით სარგებლობდა, სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები თავიანთ მოსახსენებლებს ვერ ამოკვეთდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მოსახსენებლებით ცნობილი ვახტანგი, ასევე ცუატა, ბალავრის ქვის წარწერაში მოხსენიებული პატრიკ ტბელის უმცროსი ძმები ყოფილიყვნენ. მართალია, ბალავრის ქვის წარწერის თანახმად, პატრიკს შვილებიც ჰყავდა, მაგრამ ვახტანგი და ცუატა რომ პატრიკის შვილები ყოფილიყვნენ, მაშინ წარწერაში ისინი უსათუოდ ტბელის ძეგბად მოიხსენიებოდნენ, როგორც ეს ოქროპირ ტბელის ძის შემთხვევაში გვაქვს. მოსახსენებელ წარწერაში ცნობილი „თეკლა“, ტბელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრის, (შესაძლებელია პატრიკის, რადგან ბალავრის ქვის დამდები სწორედ ის იყო) მეუღლე იყო.* როგორც აღინიშნა, ტბელთა ფეოდალური სახლის დაწინაურება IX საუკუნიდან იწყება. მათ სხვა ფეოდალურ საგვარეულოებთან შედარებით უპირატესობა მოიპოვეს, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებთან ტბელებს გარკვეული ნდობა ჰქონდათ, გარდა ამისა, მათ საფეოდალოს აფხაზეთის მესვეურთათვის კონკრეტული ფუნქცია გააჩნდა. აფხაზთა მეფეები შიდა ქართლს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილს ტბელთა საფეოდალოზე გამავალი გზით უკავშირდებოდნენ. ერედვის წარწერაში, სადაც საუბარია კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზე, აღნიშნულია, რომ „მუნით (ჰერეთიდან) მშვიდობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრემას გადაჰხდა“.⁵ ე.ი. ალავერდიდან გამთენიისას წამოსული კონსტანტინე მეფეს ბრემას შემოაღამდა. ბრემაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას. რ. მეფისაშვილის განმარტებით: „სოფ. ბრემა სადგ. გომიდან ჩრდილოეთით 15-ოდე კმ. მანძილზე მდებარეობს. სოფ. ატოცის დას. სოფ. ტკოცას შუა. ბრემაში დღეს დაცულია ორი ეკლესია, ერთი სოფელში დგას, მეორე კი სოფლის გარეთაა. ის, რომელიც სოფელშია (ზღუდერს უწოდებენ), როგორც თავისი ზოგადი სახით, ისე ცალკეული ნიშნებით, გარკვეულ მსგავსებას იჩენს ერედვის ძეგლთან.“⁶ ბრემა, ჩვენი აზრით, ტბელთა საფეოდალოში შედიოდა. დასავლეთ საქართველოდან ბრემაზე გავლით გზა მოემართებოდა შიდა ქართლში, პატარა ლიახვის ხეობის მეშვეობით ეს გზა ქსნის ხეობაში გადადიოდა და აქედან კახეთ-ჰერეთს უკავშირდებოდა. პატარა ლიახვის ხეობიდან ქსნის ხეობაში გადასასვლელი გზა გვიანდელი პერიოდის არაერთ წყაროში იხსენიება.⁷ კონსტანტინე აფხაზთა მეფის უკან დაბრუნების მარშრუტს რ. მეფისაშვილი ასე განმარტავს: „ვეჯინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გადავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან

¹ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.

² ნ. შოშიაშვილი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული აბაზა და მისი ძეგბი, შესაძლებელია ყოფილიყო ტბელების მომდევნო თაობა, მათი განშტოება, ან მათი შემცვლელი ფეოდალური საგვარეულო. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 179.

³ გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ.: „ოსთა საკითხი“, ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 137.

⁴ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

* აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ძეგბის, ასევე ცუატას და თეკლას მოსახსენებლებს ნ. შოშიაშვილი პატრიკ ტბელის წარწერის, აგრეთვე პატრიკ ტბელის ძეგბის ოქროპირის და ქავთარის მოსახსენებლების თანადროულად თვლის, ამის მიზეზად მკვლევარი წარწერათა ამოკვეთის ერთნაირ სიმეტრიას მიიჩნევს. იქვე, გვ. 179.

⁵ ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 172.

⁶ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 114.

⁷ გ. სოსიაშვილი, გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია, №5, 2007, გვ. 93.

შესაძლოა, იგი, მლეთაში გაემგზავრა. მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება. შემდეგ კონსტანტინეს შეეძლო პატარა ლიახვის ხეობით ერედვის გავლით ცხინვალში ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო. ალავერდიდან ბრეძამდე დაახლოებით 60-70 კმ და ამ გზის გავლა ერთი დღის განმავლობაში უფრო შესაძლებელია, ვიდრე კახეთის ალავერდიდან ბრეძამდე, მაგრამ ჩვენ არავითარი მონაცემები არა გვაქვს, რომ კონსტანტინეს უკან დაბრუნება ამ გზით ვივარაუდოთ.¹ აფხაზთა მეფეებისათვის ტბელთა საფეოდალოს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. პატარა ლიახვის ხეობა ქსნის ხეობას ემიჯნებოდა. ცნობილია ის ფაქტი, რომ IX საუკუნეში აშოტ კურაპალატსა და გრიგოლ კახეთის მთავარს შორის ბრძოლა მოხდა „ქსანსა ზედა“, „მატიანე ქართლისას“ ცნობით: „და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსანამდე.“² კახეთის ქორეპისკოპოსებს ქსნის ხეობაში ციხეებიც კი ჰქონდათ აგებული, რომ ქართლი მტკიცედ შეენარჩუნებინათ, ერთ-ერთი ასეთი მათგანი იყო ლოწობნის ციხე, რომლის აგებაც X საუკუნის დასაწყისში კახთა ქორეპისკოპოსს – ფადლა II უკავშირდება. როგორც ჯ. გვასალია განმარტავს: „ქართლსა ზედა“ ბრძოლის ასპარეზი ლოწობნის გარდა გაიშალა ქსნისპირა სხვა ციხეებზეც, კერძოდ წირქოლსა და გრუზე, რომლებსაც კახელები ფლობდნენ XI ს. შუა ხანებამდე. ასე რომ კახეთის სამთავრო XI საუკუნემდე ვრცელდებოდა ქსანამდე.“³ ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანე ტბელი აფხაზთა მეფეების მოკავშირე გახდა, მის ტერიტორიას აფხაზთა მეფეები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ, ამიტომაც ივანეს აფხაზთა მეფეებმა ქართლის გამგებლობა ჩააბარეს. როდიდან დაწინაურდა ივანე ტბელი? საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ცხინვალიდან 28 კმ.-ის დაშორებით ყორნისის რაიონში, სოფელ წორბისიდან 8 კილომეტრზე მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირზე პროფ. ი. მეგრელიძემ აღმოაჩინა წარწერიანი ქვა. წარწერა მან შემდეგნაირად ამოიკითხა: „ს(ა)ხელითა ღ(მრ)თის(ა)თა ესე კ(ო)ნქიშ(ე)მნ(ა) ივ(ა)ნე ერ(ი)სთ(ა)ვმან (სალო)ცვ(ე)ლ(ა)დ მ(ა)თდა ქრ(ო)ნიკ(ო)სარს ს(ა)ბაის მ(ა)მ(ა)ს(ა)-ხლ(ი)ს(ო)ბ(ა)სა“.* ი. მეგრელიძის წაკითხვით კიდის წარწერა ასე იკითხება: „(ი)ქ(მ)ნა კ(ე)ლ(ი)თა ბარვ(ე)ლის(ა)თა“.⁴ მკვლევარი აღნიშნულ წარწერას 880 წლით ათარიღებდა. თუმცა, ერთი უზუსტობა გაეპარა. ი. მეგრელიძე წერს: „ამავე წარწერის ივანე მხოლოდ ერისთავია (მხარის მფლობელი). ლიტერატურაში კარგად ცნობილი ცხინვალის რაიონის ერედვის ტაძრის 906 წლის წარწერაში (ე. ი. კონქის შექმნის 26 წლის შემდეგ) ივანე ეპისკოპოსად იხსენიება, ხოლო ცხინვალიდან წორბისისაკენ მდებარე დოდოთის ე.წ. ცხრაკარას ეკლესიის წარწერით კი იგივე უკვე არის „ივანე ერისთავი ტბელი“, – აქაურივე ტბეთის „ეპარქიის“ გამგებელი.“⁵ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერედვის წარწერაში ივანე ტბელი ქართლის „უფლად“, ანუ გამგებლად იხსენიება და არა ეპისკოპოსად, ერედვის წარწერაში მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, ასევე მთავარეპისკოპოსი ყე (ყვარყვარე?). არ არის გამორიცხული, რომ ქართლის ერთ-ერთი ფეოდალი, ივანე ტბელი, ჯერ ერისთავად იწოდებოდა, მან წორბისის ეკლესიის კონქი ააშენა, წარწერაში ხაზგასმულია: „სალოცველად მათდა“, საუბარი უნდა ეხებოდეს ტბელთა ფეოდალურ სახლის წევრებს. რამდენიმე წლის შემდეგ ივანემ ქართლის სხვა ფეოდალებზე უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა, ამ საგვარეულოებს „მატიანე ქართლისაც“ იცნობს. ცოტა უფრო მოგვიანებით კონსტანტინე აფხაზთა მეფის მის – გიორგის მოღვაწეობის დროს ქართლში რამდენიმე ფეოდალური სახლია, მათ შორის: „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხულოსელნი, სარა და გრიგოლ ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა“.⁶ წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავი, იგივე ტბელი, ქართლის სხვა აზნაურებზე, მათ შორის ფხუ-

¹ რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 252-253.

³ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 60.

* როგორც ჩანს, მამასახლისი ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე იყო და იგი უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს განაგებდა. თუმცა, მას იმხელა პრივილეგია ჰქონდა, რომ ერისთავის ინიციატივით ამოკვეთილ წარწერაში მოიხსენიეს. მამასახლისები თვითონაც აგებდნენ ტაძრებს. ამას ადასტურებს მდ. რეხულის ზემო წელზე არსებული 864 წლით დათარიღებული არმაზის ტაძრის წარწერა, სადაც იხსენიება მამასახლისი გიორგი, რომელსაც ეკლესიის მშენებლობა დაუწყია. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 168; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1956, გვ. 22.

⁴ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 95.

⁵ ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 269.

ენელებზე და ყანჩალებზე მეტად დაწინაურდა* და ქართლის „უფალი“ გახდა. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უფალი“ X საუკუნის სხვა წარწერაშიც გვხვდება. ბიეთის წარწერაში იხსენიება იოანე ერისთავთ-ერისთავი (ყანჩელი), „უფალი“. ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, X-XI საუკუნეებში სოციალურ ცხოვრებაში ახალი ტერმინი „პატრონი“ ჩნდება. უფრო ადრე, „პატრონის“ ნაცვლად „უფალი“ გამოიყენებოდა.¹ ტბელთა საგვარეულომ ძლიერების ზენიტს კონსტანტინეს მეფობის დროს მიაღწია. მოგვიანებით, კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა ქართლის გამგებლობა დაკარგა. ტახტზე კონსტანტინეს ვაჟი გიორგი ავიდა. მან ქართლი თავის უფროს ძეს კონსტანტინეს ჩააბარა.² ჩვენი აზრით, ივანე ტბელს გიორგი აფხაზთა მეფესთან ურთიერთობა დაეძაბა, რის გამოც გიორგიმ ივანეს ქართლის გამგებლობა ჩამოართვა და თავის ძეს კონსტანტინეს გადასცა. თუმცა, გიორგის ქართლის დაუფლება ბრძოლით მოუხდა. ვახუშტი ამის შესახებ აღნიშნავს: „ამანვე გიორგი მეფემან, შემდგომად მეფისა ადარნასე კურაპალატის სიკუდილისა დაიპყრა ქართლი და დასუა მე თჳსი კოსტანტინე“.³ გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობასთან დაკავშირებით აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „გიორგი მეფის წინაშე მწვავედ დადგა ქართლის საკითხი. როგორც აღნიშნული გვაქვს, ქართლი გიორგის მამამ, კონსტანტინემ (რომელიც ერედვის წარწერაში იხსენიება – გ. ს.), დაიპყრო X ს. დასაწყისში. მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებმა ქართლი დაკარგეს, რადგან გიორგის ისევ უხდება ქართლისათვის ბრძოლა. აფხაზთა მეფეების მეტოქეები, ქართლისათვის ბრძოლაში, სომეხთა მეფეები და ქართველთა მეფეები იყვნენ. აფხაზთა სამეფოს ქართლი უნდა დაეკარგა ან აბულ-კასიმის შემოსევის, ან აფხაზთა სამეფო სახლში ტახტისათვის წარმოებული ბრძოლის დროს.“⁴ მ. ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია ვახუშტის ცნობას, რომელიც გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას ადარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს: „შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ვახუშტი გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას ადარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს. ვიცით, რომ აბულ-კასიმის შემოსევის დროს, სუმბატ სომეხთა მეფის და კონსტანტინე აფხაზთა მეფის საპირის-პიროდ, ადარნასე ქართველთა მეფემ შემოსეული მტრის მხარე დაიჭირა. შესაძლებელია, ქართლი ადარნასე ქართველთა მეფემ საჯი ამირასაგან მიიღო მოკავშირეობისათვის, ან დაიპყრო იმ დროს, როდესაც აფხაზეთში ტახტისათვის ომი მიმდინარეობდა. ეს ძალიან ხელსაყრელი დრო იქნებოდა ქართველთა მეფისათვის.“⁵ ჩვენი აზრით, სწორია ის მოსაზრება, რომ ადარნასემ აფხაზთა სამეფო კარზე არსებული არეულობით ისარგებლა და ქართლს დაეუფლა. ამ დროს მისთვის მხარი უნდა დაეჭირა ივანე ტბელს, რომელსაც ადარნასე შესაძლებელია ქართლის გამგებლობის შენარჩუნებას დაპირდა. ივანე ტბელი ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში აღმოჩნდა.**

* სოფელი ფხვენისი, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა, ცხინვალიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით და ფხუენელთა ფეოდალური სახლის ცენტრი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ „ფხუენელი“ ოდნავ განსხვავებული „ფხუენელის“ ფორმით გვხვდება მეჯულის ხეობაში აღმოჩენილ ქვის ფილაზე ნუსხურით შესრულებულ 16 სტრიქონიან წარწერაში. წარწერა თარიღდება X საუკუნით. ეს არის „დაწერილი ზაზისა და თუთასი ბაჰრამისა და ლომასადმი“. წარწერაში მოხსენიებულია კოლონკელი ფხუენელისძე. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 146; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 52.

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 58.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 103.

³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 799.

⁴ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 246-247.

⁵ იქვე, გვ. 247.

** აღსანიშნავია, რომ ადარნასეს მხარს უჭერდა ვასპურაკანის მეფე სუმბატ ტიფიკარელი. სომეხი მემატანის – იოანე დრასხანაკერტელის ცნობით სუმბატმა: „დიდი პატივითა და დიდებით გვირგვინი დაადგა, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლით შეამკო მეფეთა წესის თანახმად, ქართველთა მეფედ დაადგინა და თავისი სამფლობელოს მეორე პირად [მეფის შემდეგ] დაამტკიცა იგი.“ ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბ., 2012, გვ. 69. სუმბატმა და ადარნასემ 904 წელს, უფლისციხესთან ერთობლივად დაამარცხეს კონსტანტინე აფხაზთა მეფე. კონსტანტინე სუმბატმა დაატყვევა, თუმცა მალე გაათავისუფლა, რასაც ადარნასეს უკმაყოფილება მოჰყვა. იქვე, გვ. 133. სუმბატის მიერ კონსტანტინე აფხაზთა მეფის დამარცხების ფაქტს განსხვავებულად გადმოგვცემს სომეხი მემატანე ფსევდო შაჰუჰი, მისი ინფორმაციით, აფხაზთა მეფე ამ დროს იყო თეოდოსი. სომეხთა და აფხაზთა მეფეებს შორის ბრძოლა მოხდა არა უფლისციხესთან, როგორც ამას იოანე დრასხანაკერტელი გადმოგვცემს, არამედ გორთან. ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაჰუჰი) და მისი „ისტორია“, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული მიეზანი, V, თბ., 1975, გვ. 162-163.

სწორედ ამიტომ, როდესაც ადარნასე გარდაიცვალა, ტბელები მფარველის გარეშე აღმოჩნდნენ და გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლი დაიპყრო. არც ის არის გამორიცხული, რომ საჯი ამირას შემოსევის დროს ადარნასემ მოკავშირეობის გამო ქართლი საჩუქრად მიიღო. ივანე ტბელი, იმის გამო, რომ აფხაზთა სამეფო კარზე ტახტის პრეტენდენტთა შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, პატრონის გარეშე დარჩა და ადარნასეს ბანაკში აღმოჩნდა. ერთი რამ ცხადია, გიორგი აფხაზთა მეფე ქართლის დაპყრობის შემდეგ ადგილობრივ ფეოდალებს (ტბელებს) აღარ ენდო და ქართლი თავის ვაჟს - კონსტანტინეს ჩააბარა, რომელიც მამას მალე განუდგა. საინტერესოა, რომ კონსტანტინე უფლისწულს მხარს უჭერდნენ ტბელნი და სხვა აზნაურები: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტრობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი.“¹ კონსტანტინე ქართლის გამგებლობას არ დაჯერდა. მას აფხაზეთში გამეფება უნდოდა. როგორც ჩანს, ივანე ტბელმა მას დახმარება იმ პირობით აღუთქვა, თუ ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგ აფხაზეთში გამეფებული კონსტანტინე ქართლს კვლავ ივანე ტბელს ჩააბარებდა. თუმცა, კონსტანტინე დამარცხდა. ტბელთა ფეოდალურმა სახლმა, ქართლის გამგებლობის იმედი დაკარგა. მათი საფეოდალოს საზღვრები ამ მარცხის შემდეგ მკვეთრად უნდა შემცირებულიყო. ის, რომ ივანე ტბელის მომდევნო თაობის წარმომადგენელთა სახელები, მხოლოდ ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის წარწერებიდან არის ცნობილი, შემთხვევითი არ არის. ქართლის „უფლობიდან“ ტბელები კვლავ ტბეთს და მის შემოგარენ ადგილებს უბრუნდებიან. კონსტანტინე აფხაზთა მეფის მის ქართლში გამგებლად ყოფნის შესახებ „მატიანე ქართლისას“ გარდა, ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მდ. მეჯუღის ხეობაში, სოფ. ჭალისუბანში ნაპოვნი თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა. წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს.² მასში ვკითხულობთ: „სახ[ელით]ა ღმრთისაჲთა ესე კელი [ჩუენ] რამინ და გიორგი დავწერეთ ოდეს [კოსტა]ნტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის კევის კევისუფლად [ვი]ყვენით, მას ჟამსა ავაგეთ წისქოკლნი და ზემოთ სახლი ერთი სამსახოკრი, ჰკიდავს 6 კაცი. ქე ა ცისკარ ამინ. ესე კელი მე გიორგი დავწერე. ქრისტე განმგებლო ორთავე ცხოვრებათაო, დაწესე სოლი ფარაისი წიაღთა აბრაჰამისთა მიეც განსოენებაო † ამ[ა].“³ ძალზე საინტერესოა, რომ ჭალისუბნის წარწერაში, რომელიც კონსტანტინეს გამგებლობის დროს არის შექმნილი (923-926 წწ) ცხრაზმის ხევისუფლები ადგილობრივ, მათზე იერარქიულად მაღლა მდგომ ერისთავს არ იხსენიებენ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხევისუფლები ერისთავებს ექვემდებარებოდნენ. ამის დასადასტურებლად მეცნიერი, როგორც ა. ბაქრაძემაც შენიშნა, შიომღვიმისადმი გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის მიერ ბოძებულ „დაწერილს“ იმორჩებ.⁴ იმ გარემოებას, რომ ჭალისუბნის წარწერაში ადგილობრივი ერისთავები არ იხსენიებიან, ყურადღება მიაქცია ა. ბაქრაძემ. იგი წერს: „თუ კევისუფალნი მართლაც ერისთავებს ემორჩილებიან, ისმება კითხვა, თუ რატომ არ იხსენიებენ ჩვენი წარწერის (იგულისხმება ჭალისუბნის 923-926 წწ. წარწერა – გ. ს) პირები მას, როგორც თავიანთ უშუალო უფროსს, რატომ იხსენიებენ ისინი ქართლის გამგებელს და არა ადგილობრივ ფეოდალს?“⁵ ა. ბაქრაძე ამ ფაქტს შემდეგნაირ ახსნას უძებნის: „რადგანაც იურიდიული ხასიათის ასეთ იშვიათ საბუთში, როგორსაც წარმოადგენს ჩვენი ძეგლი, არ იხსენიება ადგილობრივი ფეოდალი (ამ შემთხვევაში ერისთავი) უნდა ვიფიქროთ, რომ ცხრაზმის კევეში ასეთი თანამდებობა ჯერ კიდევ არ არსებობდა.“⁶ ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას. ის, რომ წარწერიანი ქვა მეჯუღის ხეობაში, სოფ. ჭალისუბანშია ნაპოვნი, შემთხვევითი არ არის. მეჯუღის ხეობა ცხრაზმის ხევს ემიჯნება, არ არის გამორიცხული, რომ ცხრაზმის ხევისუფალთა რეზიდენცია სწორედ ამ არეალში იყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეჯუღის ხეობაში ბიეთის ტაძრის X საუკუნის საამშენებლო წარწერაში იხსენიება „ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა, უფალი და პატრონი“. გამოდის, რომ X საუკუნეში მეჯუღის და მის მეზობლად არსებული ხეობები ყანჩაელთა საკუთრებას წარმოადგენდა და მათ თავიანთი ხევისუფალნიც ჰყავდათ. არ არის გამორიცხული, რომ ყანჩაელები ტბელთა საპირისპიროდ მამისაგან განდგომილი კონსტანტინეს მოწინააღმდეგეები იყვნენ. არც ის არის გამორიცხული, რომ კონსტანტინეს ქართლის ძლიერი

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 267.

² საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925.

³ ა. ბაქრაძე, X საუკუნის წარწერა მეჯუღის ხეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—B, 1956, გვ. 6.

⁴ იქვე, გვ. 7; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 2, ტფ., 1928, გვ. 207; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 15-19.

⁵ ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

⁶ იქვე, გვ. 8.

ფეოდალების – ყანჩაელების წინააღმდეგ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ცხრაზმის ხევისუფლები წაექეზებინა, რომლებმაც წარწერაში თავიანთ უშუალო „პატრონი“ აღარ მოიხსენიეს. კონსტანტინეს ბანაკის დამარცხების შემდეგ, მას მერე, რაც გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლი დაიკავა, შესაძლებელია მან ქართლი თავის მომხრე ყანჩაელებს გადასცა და ბიეთის წარწერაში ამიტომაც არის მოხსენიებული იოანე ერისთავთ-ერისთავი „უფლად“ და „პატრონად“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ X საუკუნის დასაწყისში ქართლში ასეთი პოლიტიკური სურათი გვექონდა: კონსტანტინე აფხაზთა მეფის დროს ქართლის „უფალი“ ივანე ტბელია. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა მეფემ გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის „უფლობის“ დაბრუნების პერსპექტივა. ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს „მატიანე ქართლისას“ ცნობა, რომელიც ზემოთაც მოვიყვანეთ: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი.“¹ კონსტანტინეს ბანაკში რომ ყანჩაელიც ყოფილიყო, ამას მემატიაზე უსათუოდ აღნიშნავდა. სიტყვებში „სხუანი მრავალნი აზნაურნი“ ტბელთა დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა წვრილი აზნაურები (შესაძლოა ხევის-უფალნიც) უნდა იგულისხმებოდეს. გიორგი აფხაზთა მეფისათვის მხარი ბიეთის წარწერაში მოხსენიებულ იოანე ყანჩაელს უნდა დაეჭირა, რომელმაც შემდეგ ერისთავთ-ერისთავობა და ქართლის „უფლობა“ მიიღო.* ყანჩაელების და ტბელების ფეოდალური საგვარეულოების შესახებ აზრი გამოთქვა ჯ. გვასალიამ, მკვლევარი წერს: „IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევდებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეჯულის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და სამშენებლო წარწერა. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაზმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ-ერისთავი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი. X საუკუნისათვის ყანჩაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან, წინაურდება ტბელთა სახლი.“² ყანჩაელების IX საუკუნეში აღზევების დათარიღებისას მკვლევარი ბიეთის სამშენებლო წარწერის რ. მეფისაშვილისეულ დათარიღებას ეყრდნობა.³ თუმცა, ბიეთის წარწერას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. პალეოგრაფიული ნიშნების გარდა,⁴ ამ დათარიღებას მხარს უჭერს „მატიანე ქართლისას“. ყანჩაელთა გვარი გიორგი აფხაზთა მეფის დროს (X საუკუნის I ნახევარში იხსენიება). ჩვენი აზრით, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა კი არ ჩაანაცვლა ყანჩაელთა სახლი, როგორც ჯ. გვასალიას მიაჩნია, არამედ პირიქით. ტბელთა საფეოდალოს პირველობა ქართლში, კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ყანჩაელთა ფეოდალურმა სახლმა წაართვა.

დოდოთის და ტბეთის წარწერებზე დაყრდნობით, ნ. შოშიაშვილი ტბელთა ოთხ თაობას გამოყოფდა და წერდა: „როგორც ვხედავთ, ტბეთის წარწერებში ჩანს ტბელების 2 თაობა: I პატრიკ

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 267.

* აღსანიშნავია, რომ კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსთან დაპირისპირების დროს, ყანჩაელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი „მამა ყანჩაელი“ ქართლის სხვა აზნაურებთან ერთად, კვირიკეს ემხრობოდა: „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვლოსელი, სარ და გრიგოლ ძმანი ფხვენელი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა.“ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369. „მატიანე ქართლისას“ ამ ადგილს ამ სახით კითხულობს მ. ლორთქიფანიძე. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248. ივ. ჯავახიშვილს „მატიანე ქართლისას“ ეს ადგილი განსხვავებულად ჰქონდა დამოწმებული: „გოდერძიანი, მგდეური, ყანჩაელი მამა დაჩი, კორინთელი დაჩი და იოანე, სხვლოსელი სარა და გრიგოლ, ძმანი ფხვენელი და მათთანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა.“ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 104. ჩვენი აზრით, წყაროში მითითებული „მამა“ საკუთარ სახელს არ უნდა აღნიშნავდეს, რადგან შიდა ქართლში ასეთი ანთროპონიმი არცერთ სხვა ძეგლში არ გვხვდება. ხომ არ იგულისხმება „მამა ყანჩაელში“ ბიეთის წარწერაში მოხსენიებული იოანე ყანჩაელის მამა-ბაკური?

² ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25.

³ P. Мепишавили, Полупещерный памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6-А, თბ., 1963, გვ. 44-45.

⁴ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 192.

ტბელი; II პატრიკის ძეები (ოქროპირი, ქავთარი). ტბელების ამ ორ თაობას წინ უსწრებს ორი თაობა, მოხსენიებული დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერებში: I-ივანე ტბელი (914 წ. ახლო) (№80); II-ტბელის ძე (ივანე ტბელის ძე) ქავთარ (81). ტბეთის წარწერების პატრიკი ძეა ქავთარის (№83). ასე, რომ დოდოთისა და ტბეთის წარწერები იხსენიებენ ტბელთა ოთხ თაობას: ივანე – ქავთარ I – პატრიკ – ქავთარ II.¹

დიცის ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახულია ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ტაძრის ქტიტორები, ძმები: გოდერძი, ჯარიდი და ბემქენი. ჯარიდი იხსენიება აგრეთვე ტაძრის შიდა ინტერიერში გამოსახულ ნაკაწრ ასომთავრულ წარწერაშიც. აღნიშნული წარწერები, ჩვენი აზრით, IX საუკუნის II ნახევრით უნდა დათარიღდეს.² აქვთ თუ არა მათ საერთო ტბელთა ფეოდალურ სახლთან, წყაროთა სიმწირის გამო, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ დიცის ღვთისმშობლის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახული წარწერა შინაარსობრივად ბევრ ინფორმაციას არ იძლევა, რთულია რაიმეს გაჭრით თქმა, თუმცა, ვარაუდების დაშვება მაინც შესაძლებელია. ჩვენი აზრით, დიცის ტაძრის აგება წინ უნდა უსწრებდეს ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის აგებას. როგორც ვნახეთ, ერედვის, დოდოთის, ასევე ტბეთის ეკლესიის წარწერებში ტბელთა ოჯახის წევრთა სულ სხვა სახელები იხსენიება. ქტიტორები რომ ივანე ტბელის წინაპრები, ან მისი წინა თაობის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ მათი სახელები ივანეს სახლის სხვა წარმომადგენლებში, მომდევნო თაობაში უსათუოდ განმეორდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ტბელთა აღზევების დროს მათი ოთხი თაობაა ცნობილი და არსად დიცის ტაძრის ქტიტორთა სახელები არ ჩანს. იბადება კითხვა: რაკი დოდოთის ეკლესიის ერთ-ერთი წარწერიდან ცნობილია, რომ ივანე ტბელს ხუთი ძე ჰყავდა, დიცის ქტიტორები ხომ არ იყვნენ მისი შვილები? ხომ არ მიეცათ მათ ერედვის სიახლოვეს მანძილი 4 კმ.-ია) დიცში მამული, სადაც მათ ტაძარი ააგეს. ჩვენი აზრით, ეს ვერსია უნდა გამოვრიცხოთ. ივანე იმდენად დიდი ფეოდალი იყო, რომ დიცის ტაძრის ქტიტორები უსათუოდ ხაზს გაუსვამდნენ წარწერაში, იმ ფაქტს, რომ ისინი ან ივანე ტბელის ძეები იყვნენ, ან ტბელთა ფეოდალური სახლის წევრები. გავიხსენოთ ერედვის ტაძრის წარწერა, სადაც აღნიშნული იყო: „ადემენა/2 წ(მიდა)ჲ ეკ(ლესია)ჲ ე/3ვე ყოვ(ე)ლთაჴთა [ტ]ბე[ლ]თ/5ა ბრძანე/6 ბითა.“³ დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის საამშენებლო მასალად გამოყენებულია ღვინისფერი ტუფი, რომელიც, სავარაუდოდ, ერედვიდან იყო ჩამოტანილი. ასეთივე მასალით არის აგებული ამ პერიოდის ძეგლები პატარა ლიახვის ხეობაში. ტბელთა აღზევების, კონკრეტულად კი ივანე ტბელის ქართლის გამგებლობის პერიოდში, დიცში ტბელთა ნებართვის გარეშე ტაძარი ვერ აიგებოდა, სხვა შემთხვევაში მათი გვარი წარწერებში უსათუოდ დაფიქსირდებოდა. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ტბელების აღზევებამდე არსებულ პერიოდთან. ქტიტორი ძმები: გოდერძი, ჯარიდი და ბემქენი ჩვენთვის უცნობი რომელიმე ფეოდალური სახლის წარმომადგენლები (შესაძლოა ხევისუფლებიც, როგორც არიან მოხსენიებულნი ჭალისუბნის წარწერაში) იყვნენ, რომლებმაც IX საუკუნის II ნახევარში, ივანე ტბელის აღზევებამდე დიცის ეკლესია ააგეს, შემდეგში მათმა ფეოდალურმა სახლმა პირველობა ტბელებს დაუთმო. საინტერესოა, რომ დიცის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოხსენიებული სამი ძმიდან, ჯარიდის სახელი ეკლესიის შიგნით სამხრეთ კედელზე არსებულ წარწერებშიც მეორდება. დიცის ეკლესიის სხვა წარწერებში ჯარიდის ძმები – გოდერძი და ბემქენი არ იხსენიებიან. X საუკუნით დათარიღებულ წარწერებში, რომლებიც შიდა ქართლის ტერიტორიაზეა შემორჩენილი ბემქენი მოიხსენიება ბიეთის წარწერაში. (სოფელი ბიეთი მდებარეობს ცხინვალის რაიონში, ცხინვალიდან 20 კმ-ის დაშორებით, დასავლეთით. სოფლიდან 1 კმ-ის დაშორებით მდ. მეჯუდას დასავლეთით, მისი ერთ-ერთი შენაკადის ხეობაში მდებარეობს ნახევრად მღვიმის ეკლესია,⁴ ბიეთის ერთ-ერთ წარწერაში რომელიც დათარიღებულია X საუკუნით, მოხსენიებული ვაჩე და ბემქენი: „წ(მიდა)ო/ს(ამებ(ა)ო]2ვ(ა)ჩ//ე და /3ბ(ე)შქ(ე)/წ დაივ(ე)ცქ.“⁵ თუმცა, ეს ბემქენი არ უნდა იყოს დიცის ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოხსენიებული ტაძრის ქტიტორთაგანი. იმავე ბიეთის ტაძრის სხვა წარწერაში, რომელიც ასევე X საუკუნით არის დათარიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოვანე: „ქ(რისტ)ე, მე(უ)ფეო//ყოველ(ა)ო, ა[დ(ი)]2დე ე(რისთავთ)-ე(რისთავი) ი(ოვან)ე//ძე ბაკ(ურ)/3

¹ იქვე, გვ. 179.

² გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017.

³ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 173.

⁴ P. Меписашвили, Полупещерный памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6-ა, 1963, სტრ. 29-55.

⁵ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 194; P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида Каргли. Тб., 1975, სტრ. 38.

ყ(ა)ნჩაელ(ისა)//¹ფ, უფალი და /⁴პ[ა]ტრ[ო]ნი ამ(ი)ს წ(მი)დისა/⁵ ეკლ(ეს)ი(ის)ა//[დ]ა[ი]ც(ე)ვ წ(მი)და(ა)/⁶ [მრ]ემლი ს(ა)მე//[ბის]ა][¹ა] ყო[ვ]ელი.]¹

ექვს გარეშეა, რომ ბიეთი ყანჩაელთა ტერიტორიას წარმოადგენდა და დიციის ეკლესიის ერთ-ერთ ქტიტორს ბიეთის წარწერაში არ მოიხსენიებდნენ. ბიეთის წარწერაში მოხსენიებული „ვაჩე“ და „ბემქენი“ რ. მეფისაშვილის აზრით, ყანჩაელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ანთროპონიმი „ვაჩე“ ყანჩაელთა გვარში გავრცელებული სახელი იყო.² შესაძლებელია, ისინი ერისთავთ-ერისთავ იოვანეს შვილები, ან სახლისკაცები იყვნენ. ბიეთის წარწერაში მოხსენიებული ბემქენის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე დიციის და ერედვის წარწერები. დიციის ტაძრის ერთ-ერთ ქტიტორს ბემქენს, წარწერის თანახმად, ორი ძმა: ჯარიდი და გოდერძი ჰყავს, რომლებიც ბიეთის წარწერებში არსად ჩანან. ბიეთის წარწერის ბემქენი და დიციის წარწერის ბემქენი რომ ერთი და იგივე პირები იყვნენ, ბიეთის წარწერებში, ჩვენი აზრით, მისი ძმების მოსახსენებელიც იქნებოდა. ბემქენი ძველ საქართველოში გავრცელებული საკუთარი სახელი იყო.³ ბემქენ ერისთავთ-ერისთავი იხსენიება 1172 წლით დათარიღებულ იკორთის ტაძრის ასომთავრულ წარწერაში.⁴ ბემქენი რომ გავრცელებული საკუთარი სახელი იყო, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ არსებობდა სოფელი ბემქენაშენი, რომელიც მოიხსენიება ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების 1392 წლის სითარხნის გუჯარში: „თრიალეთს: სოფელი ბარეთი და ცოტა ბარეთი, ქედის უბანი, მალისს: სოფელი საყდარი, ზურისუბანი, ახალშენი, კლონა, ბემქენაშენი“.⁵ სოფელი უკანა ბემქენაშენი (თრიალეთზე) მოხსენიებულია ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის 1559 წლის გუჯარში.⁶ თრიალეთზე არსებული ბემქენაშენი იხსენიება 1697 წლის დოკუმენტში,⁷ დიციის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული ჯარიდი, შესაძლოა, ასაკით ყველაზე უფროსი არ იყო ძმებს შორის, მაგრამ ტაძრის აგებაში, ან მის მოვლა-პატრონობაში მან უფრო მეტი წვლილი შეიტანა და ამიტომაც მოიხსენიეს მეორე წარწერაშიც.

ვინ უნდა იყოს კონსტანტინე ბაკანაი? რომელსაც დიციის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამხრეთ კედელზე ორი მოსახსენებელი უკავშირდება. როგორც აღინიშნა, ორივე მათგანი პალეოგრაფიული მონაცემებით, IX-X ს.ს. შეიძლება დავათარილოთ. აქედან პირველი: სამსტრიქონიანი ნუსხურშერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია გადაფხევილი წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან 131 სმ. მარცხენა კიდიდან 3 სმ. დამორებით, ხოლო მეორე სამსტრიქონიანი ასომთავრულ შერეული ნუსხური წარწერა ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორის – ჯარიდის მოსახსენებლის ქვემოთ. განსაკუთრებით საინტერესოა, მეორე მოსახსენებელი, სადაც აღნიშნულია:

„1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე

ბაკანაი ყოე

2. ლგან ეკლესიათ მათ

3. ალა(გს)“.

აქ შეგვიძლია დავუშვათ რამდენიმე ვარაუდი:

1. კონსტანტინე ბაკანაი გამოჩენილი სასულიერო პირი იყო და ის მოღვაწეობდა ტბელების დაწინაურებამდე, 906-914 წლებამდე, ვიდრე ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე ამ მხარეში მაღალი საეკლესიო იერარქი გახდებოდა. ერედვის ტაძრის აგების და ამ ტაძრის წარწერის შექმნის დროს კონსტანტინე ბაკანაი მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი აღარ უნდა ყოფილიყო. თუკი მას იმხელა გავლენა ჰქონდა, რომ „ყოველგან ეკლესიათ მათ ალაგს“ იხსენიებდნენ, როგორც ამას დიციის წარწერა გადმოგვცემს, მაშინ აღნიშნულ პიროვნებას ერედვის წარწერაშიც მოიხსენიებდნენ.

¹ იქვე, გვ. 193. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიზუალურად ბიეთის წარწერა ძალზე წააგავს დიციის ასომთავრულ წარწერას. P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 36-37. ორივე ძველი საკმაოდ დამორებულია ერთიმეორისგან და ორივე მათგანი, ჩვენი აზრით, სხვადასხვა საფეოდალოს ეკუთვნოდა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ბიეთის და დიციის წარწერები ერთი ხელოსნის მიერ იყოს შესრულებული.

² რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნები ისტორია, თბ., 1961, გვ. 254.

³ იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, რ. მეტრეველის რედ. თბ., 2008, გვ. 317, 282, 442, 560.

⁴ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. I, თბ., 2004, გვ. 259-260.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 177.

⁶ იქვე, გვ. 264.

⁷ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 102, №142.

არ არის გამორიცხული, რომ კონსტანტინე ბაკანაი სწორედ ტაძრის ქტოტორების: გოდერძის, ჯარიდის და ბემქენის სახლის წარმომადგენელიც იყო. რას უნდა ნიშნავდეს: „ბაკანაი“? შესაძლოა, იგი რაიმე საეკლესიო წოდებას, ან სულაც ფეოდალური სახლის აღმნიშვნელი სახელი იყო (ეს სა-
მომავლო კვლევის საგანია).

2. კონსტანტინე ბაკანაი, შესაძლოა საერო პირი იყო, ტბელთა გამოჩენამდე, კერძოდ ივანე ტბელის მიერ ქართლის „უფლობამდე“ ამ არეალში არსებული იმ ფეოდალური სახლის წარ-
მომადგენელი, რომელმაც დიციის ტაძარი ააგო. კონსტანტინე რომ სხვა ფეოდალური სახლის წევრი
ყოფილიყო, ის, ჩვენი აზრით, თავის მოსახსენებლებს არა ჯარიდის მოსახსენებელთან ახლოს,
არამედ ტაძრის სხვა კედელზე და უფრო გამორჩეულ ადგილზე ამოაკვეთინებდა, შესაძლოა, ის
ჯარიდის დაჟიც იყო. არ არის გამორიცხული, რომ იმ დროს მათი ფეოდალური სახლი ტბელთა
ფეოდალური სახლის დაწინაურების ფონზე, გავლენას კარგავდა, ამიტომ მოსახსენებელში მან ხაზი
გაუსვა თავის საგვარეულოს სიძლიერეს, ე.ი. მათ არა მარტო დიციის ეკლესიაზე ჰქონდათ გავლენა,
არამედ „ყოველთა ეკლესიათა მათ ალაგს“, ჩანს, ბაკანაის სახლი დიდ ტერიტორიას ფლობდა და
წარწერის ამ ნაწილში სწორედ ამას აქვს გასმული ხაზი, მათ ფეოდალურ სახლს არაერთი ეკლესია
ჰქონდა ამენებული. ასეთი ეკლესიები ტბელთა აღზევების დროს მათ მიერ ვეღარ აიგებოდა.
სავარაუდოა, რომ ბაკანაის ფეოდალურმა სახლმა ტბელების დაწინაურებამდე არაერთი ტაძარი
ააგო. მრავალი ტაძრის აგება ამ გეოგრაფიულ არეალში მხოლოდ ძლიერ ფეოდალურ სახლს
შეეძლო. როგორც ზემოთ მივუთითებდით, დიციის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ კედელზე კონ-
სტანტინე ბაკანაის ორი მოსახსენიებელია. ორივე მათგანი პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X
საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მათ გარდა, კედელზე კიდევ ერთი მოსახსენებელი (წარწერა,
სავარაუდოდ, X ს. თარიღდება) გვხვდება. ორსტრიქონიანი მხედრულმერეული ნუსხური წარწერა
განთავსებულია მიქელის მოსახსენებლის შემდეგ, იატაკის დონიდან 137,5 სმ. მარცხენა კიდიდან 1,7
სმ. მანძილზე. მოიცავს 7,5×3 სმ ფართობს. ამ მოსახსენებელში „კე“ სამჯერ მეორდება, არ გამოვრი-
ცხავთ, რომ ის საკუთარ სახელს კონსტანტინეს აღნიშნავდეს, თუმცა, კითხვას აჩენს კონსტანტინეს
აღმნიშვნელი „კე“-ს სამჯერ გამეორება. ამაზე რაიმეს გადაჭრით თქმა გავგიძნელდება. როგორც
წარწერებზე საუბრისას მივუთითებდით, სამხრეთ კედლის წარწერებში გვხვდება: „მოსახსენებელი
მიქელისა (X ს.)“. ერთსტრიქონიანი, მხედრულზე გარდამავალი ნუსხური წარწერა განთავსებულია
კვადრის შუა დონეზე, გრაფიკული გამოსახულებების ქვედა მონაკვეთის გასწვრივ. იატაკის დონი-
დან 139, 5 სმ. სიმაღლეზე. „მიქელი“, როგორც წარწერის შემსრულებელი, იხსენიება ჯარიდის
მოსახსენებელშიც, საიდანაც ირკვევა, რომ წარწერა სწორედ მას შეუსრულებია. ჯარიდის მო-
სახსენებელი, როგორც აღვნიშნეთ, პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X საუკუნით თარიღდება, ხოლო
მიქელის მოსახსენებელი კი X საუკუნით. ჩვენი აზრით, ეს ორი წარწერა სხვადასხვა ქო-
ნოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება და მასში მოხსენიებული „მიქელი“ და „მიქელი“ სხვადასხვა
პიროვნებები იყვნენ. რა გვამღვეს ამის თქმის საფუძველს? ჯარიდის მოსახსენებელი, როგორც
წარწერა გვაუწყებს, მიქელს დაუწერია. ის სრულიად განსხვავებული, საკმაოდ დახვეწილი ხელით
არის შესრულებული, ხოლო მიქელის მოსახსენებლის შემსრულებლის ხელი სრულიად
განსხვავებულია. ჯარიდის მოსახსენებლის ავტორს რომ შეესრულებინა თავისი მოსახსენებელი, ვი-
ზუალურადაც მსგავსი იქნებოდა, როგორც ჩანს, ის ამ საქმის ოსტატი იყო. ჯარიდის
მოსახსენებლის შემსრულებელი მიქელი შესაძლებელია ტაძრის ქტიტორი ძმების ფეოდალური სახ-
ლის წარმომადგენელი, ან მათთან ძალზე დაახლოებული პირი იყო. მან ტაძრის ერთ-ერთ ამგების
სახელთან ერთად თავისი სახელიც უკვდავყო. ჯარიდმა მას ამის უფლება მისცა, შესაძლოა, ის
სასულიერო პირიც ყოფილიყო. ამ პერიოდის ლაპიდარული წარწერებში ცნობილია ნიქოზის
ეპისკოპოსი მიქელი, რომელმაც X საუკუნის II ნახევარში ნიქოზის ტაძარი ააგო, თუმცა, ჯარიდის
ფეოდალური სახლის წევრს, ან მათთან დაახლოებულ პირს იმ არეალში, სადაც ტბელების დიდი
გავლენა ვრცელდებოდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეპისკოპოსის სახელო ჰქონოდა. ვინ უნდა
იყოს X საუკუნის მოსახსენიებელით ცნობილი მიქელი (მიქელი)? ამ დროის ლაპიდარულ წარ-
წერებიდან რამდენიმე მიქელია ცნობილი. მიქელი გვხვდება ზემოთ მითითებულ ტბეთის ეკლესი-
ის წარწერაში. როგორც ნ. შოშიაშვილი მიიჩნევს, ეს წარწერა ვახტანგის (სავარაუდოდ, პატრიკ ტბე-
ლის ძმის) ძეგლის მოსახსენიებელია. „ქრისტე ადიდენ ძენი ვახტანგისანი: მიქელსა რმ ე(?)“.¹
წარწერაში კარგად არ ჩანს, თუმცა, შესაძლებელია, რომ მიქელი მართლაც ტბელთა ფეოდალურ
სახლს ეკუთვნოდა. X-XI სს. ატენის სიონის წარწერებიდან რამდენიმე მიქელია ცნობილი.² ერთ-
ერთი წარწერა ატენის სიონის აღმ. ფასადზე, ცოკოლიდან მესამე წყებაში, ხელის გამოსახულებამა

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 181.

² თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 49, 50, 53, 54, 57, 62.

მიქელი (მიქაელი) იხსენიება ასევე X ს. დათარიღებულ პატარა ლიახვის ხეობაში სოფ. ქვ. ჭარების ღვთისმშობლის ეკლესიაში არსებულ საფლავის სტელის წარწერაში: „1. [ქრისტე მეოხ] ექმენ 2. ...ღვთისა ცოდვილსა 3. განუსუენე სულსა 4. გაბრიელისა ბაკუ—5. რდუხტისა მიქელისა 6. გვარამავრისა ასულისა 7. სტეფანესი გმ? აგს? 8. ახრიძეს.“¹ დიციის წარწერის X საუკუნის მოსახსენიებელით ცნობილ მიქელის (მიქაელის) ვინაობასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვარაუდის სახით დავუშვათ:

1. ტბელთა საფეოდალო ნიქოზის სამწყსოში შედიოდა, გავიხსენოთ ერედვის წარწერა, სადაც მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, რომლის „განზრახვითაც“ აიგო ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. როგორც მივუთითებდით, X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული ნიქოზის წარწერების თანახმად ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელია, რომელმაც ნიქოზის ტაძარი ააგო, ან განაახლა (ნიქოზის წარწერებში ის იხსენიება, როგორც ტაძრის ამგები). როგორც ჩანს, ის დიდი გავლენის მქონე საეკლესიო იარარქია, ასეთი, შესაძლებელია, იმ დროს მხოლოდ ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი, ან მათთან ძალზე დაახლოებული პირი ყოფილიყო. X საუკუნის განმავლობაში, (II ნახევარშიც), ტბელები ძალზე გავლენიანი ფეოდალები იყვნენ, ისინი ქართლში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ და ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას, ისინი სწორედ თავიანთ საგვარეულოს წარმომადგენელს, ან მათთვის სასურველ პირს ჩააბარებდნენ. სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ (სტეფანეს გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტეფანე X საუკუნის შუა წლებამდე იქნებოდა ნიქოზის ეპისკოპოსი, არ არის გამორიცხული, რომ ერედვის წარწერის შექმნის დროს სტეფანე ახალი გაეპისკოპოსებული იყო.) ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელი გახდა.** არ არის გამორიცხული, რომ ნიქოზის წარწერებში ეპისკოპოსის რანგში მოხსენიებული მიქაელი ტბეთის წარწერაში ვახტანგთან ერთად მოხსენიებული მიქაელია (ტბელთა სახლის წევრი, შესაძლებელია ვახტანგ ტბელის ძე). შესაძლებელია, სწორედ მას შეექმნა დიციის ეკლესიის სამხრეთ კედელზე თავისი მოსახსენიებელი წარწერა.

2. უნდა აღინიშნოს, რომ დიციის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ კედლის კუთხეში, მოწითალო ფერის ქვაზე ვხვდებით პილიგრიმების მიერ ამოკაწრულ ჯვრებს, როგორც ჩანს, დიციის ტაძარს მომლოცველები ხშირად სტუმრობდნენ და, შესაძლოა, მოსახსენიებელიც ერთ-ერთი მათგანის მიერ იყოს შესრულებული.

„დათარიღების საკითხს არ წყვეტს ჯერჯერობით არც მე-3 წარწერაში მოხსენიებული იოვანე, დისწული მიქელ ეპისკოპოზისაი. ვინაიდან ჩვენი ისტორია რამდენიმე იოვანესა და მიქელ ეპისკოპოზს იცნობს. ცნობილია, იოანე (შეიძლება იოვანეც), რომელსაც კ. კველიძე, მიქელ მოდრევილის დისწულად თვლის (X ს.), მაგრამ ის ბერი იყო და არა ეპისკოპოზი, არ ჩანს, რომ მას ქართლთან ჰქონდეს კავშირი. ეპისკოპოზი მიქელ I (450-467) ვახტანგ გორგასალის დროსაა ცნობილი. მიქელ II 774-780 წლებშია ცნობილი, მაგრამ ჩვენს ძეგლს ესენი არ ესადაგებიან. მას უფრო მაინც მიქელ III (940-952 წ.წ. ცნობილი ეპისკოპოზი) შეეფერება, მაგრამ ეს არის?“. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 136. რომელ ცნობილ მიქელ III საუბრობს მეცნიერი ამის შესახებ წყარო მითითებული არ აქვს.

* ძეგლს მიაკვლია პროფ. ჯ. გვასალიამ.

¹ ჯ. გვასალია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 43-44, თბ., 1976-77, გვ. 26. აღსანიშნავია, რომ ქვ. ჭარების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას რ. მეფისაშვილი XIII-XIV სს. მიჯნით ათარიღებდა, ჯ. გვასალიას განმარტებით: „ეკლესია უნდა აშენებულიყო მასზე გაცილებით ადრე მდგარი ეკლესიის ადგილას. ამაზე მიგვითითებს ეკლესიის აფსიდის იატაკში აღმოჩენილი წარწერიანი ქვა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით თარიღდება.“ ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20. აღნიშნულ წარწერას ნ. შოშიაშვილი შემდეგნაირად კითხულობდა: „[ქრისტე] ექმ(ენ)/2 [მ(ე)ოხ] წ(ინაშე) [ლ(მ)რთის]ა, ც(ო)დ(ვლთა):3/ გ(ა)[წ(უ)ს(უ)ენე] ს(უ)ლსა/4 გ(ა)ბ(რ)ი(ე)ლ(ი)სა, ბ(ა)კ(უ)ნ(რ)დ(უ)ხ(ტ)ის, [მ]იქ(ა)ე(ლ)ის,6/ გ(უ)არ(ა)მ(ავ)რ(ი)სა, ს(უ)ლ(ს)ა/7 ს(ტ)ე(ფ)ან(ე)სი [დ]ე გ(ი)ორ(გ)ის/8/ა ხ(ა)რა(ა)ს(ე)ბ(ი)ს.“ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 156. ასეთივე წაკითხვით აქვს გამოქვეყნებული ტექსტი გ. ოთხმეზურს. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ.: „ოსთა საკითხი“, გვ. 138. X საუკუნეში ჭარები, ისევე როგორც პატარა ლიახვის ხეობის სხვა არაერთი სოფელი ტბელთა საფეოდალოში შედიოდა. ჭარების ტაძარი ხარაისძეების (თუ წარწერას ასე წაკითხავთ) მიერ ან ტბელთა გამოჩენამდეა აგებული ან ტბელთა ფეოდალური გვარის დეგრადაციის შემდეგ, სხვანაირად მათ ტბელთა აღზევების დროს ასეთი უფლება არ ექნებოდათ. როგორც ჩანს, პატარა ლიახვის ხეობაში სხვა წვრილი ფეოდალური საგვარეულოებიც არსებობდა. შტრ: გ. სოსიაშვილი, ვირშას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №8, თბ., 2015, გვ. 66-79.

** სავარაუდოდ, იგი ივანე ტბელის შვილიშვილი იყო, რადგან X საუკუნის II ნახევარში ივანეს შემდეგი თაობა მოღვაწეობდა. საყურადღებოა, ნიქოზის ტაძრის ერთ-ერთი წარწერის თანახმად, მიქელ ეპისკოპოსის დისწულს იოანე ერქვა, შესაძლებელია ის დიდი პაპის – ივანე ტბელის მოსახელი იყო.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიციის წარწერები ახალი ფურცლით ავსებს შიდა ქართლის, საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორიას. ტაძრის ირგვლივ მიწის კორდოვანი ფენით ძეგლის ნანგრევებია დაფარული. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა ახალი წარწერებიც გამოაჩინოს, რაც ეპოქის ირგვლივ ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგვაწვდის.

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University
**DISTI ST. VIRGIN MARY CHURCH ASOMTAVRULI INSCRIPTIONS
AND FEUDAL FAMILY OF THE TBELI
RESUME**

The most part of Asomtavruli inscriptions of the X century, that are performed in Shida Kartli area (we mean Big and Small Liakhvi Gorges), are connected with the Tbeli, representatives of a famous feudal family. The Asomtavruli inscription of 906 – 914 of Eredvi St. Giorgi Church is of great interest, where the Kartli “God” (Governor) Ivane Tbeli is mentioned. As it seems, at the time, the Tbeli family was especially promoted. The Tbeli family is also mentioned in the inscriptions of Tbeti and Dodoti Churches. According to the inscriptions, there were four generations of the Tbeli during the X century that were representatives of the Ivane Tbeli house. Based on the Shida Kartli inscriptions, we suppose that in the beginning of the X century we had the following political situation in Kartli: Konstantine – King of the Abkhazians, at the time, in Kartli, “God” is Ivane Tbeli. After the death of Konstantine – King of the Abkhazians, there was turmoil in the royal house of the Abkhazians; Ivane Tbeli opposed the Abkhazian Kings and moved to the camp of the Georgian King Adarnase. After the death of Adarnase, Abkhazian King Giorgi conquered Kartli and appointed his son Konstantine as the Governor of Kartli. Konstantine was the Kartli Governor for three years. After three years, Konstantine opposed his own father - King Giorgi. At the time, Ivane Tbeli was fighting on the side of Konstantine, but the Kanchaeli were Konstantine’s opponents. Ivane Tbeli had a hope, that after Konstantine ascended the throne, Ivane would regain the position of the Kartli Governor. After Konstantine’s defeat, the Tbeli permanently lost the perspective of regaining the Kartli Governor’s position. The Kartli “God” was Kanchaeli, the opponent of the Tbeli.

Давид Шошиашвили
Сибирский Федеральный Университет (г. Красноярск, Россия)

КУРАГИНСКИЙ ЕДИНОЛИЧНИК В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ 30-х ГГ. XX ВЕКА

Актуальность темы: Аграрные реформы в России всегда вызывали острую реакцию со стороны не только самого крестьянства, но и со стороны многих слоев общества и становились острой темой для обсуждения, для научных исследований, и для проведения разного вида реформ, призванных снять остроту земельного вопроса в селе. В связи с почти постоянным падением производства сельскохозяйственной продукции в последние годы в России, непрерывно идут споры, как поднять урожайность на селе, какие отношения необходимы между государством и крестьянским классом, чтобы ликвидировать растущую зависимость российского аграрного сектора от внешнего рынка, какая помощь нужна АПК России от государства. Изучение процессов, происходящих в период коллективизации среди крестьянства, возможно, помогло бы как то прогнозировать развитие фермерских хозяйств в современной России, что необходимо для успешного развития АПК в Красноярском крае и в целом по России, особенно в современный период разного вида санкций и других внешних угроз для России.

С начала своего создания российское государство было аграрной страной и таковой остается и по сей день. И в каждом регионе ее были и есть свои особенности ведения сельского хозяйства и в первую очередь климатические. Красноярский край можно отнести к зоне рискованного земледелия из-за географических и природно-климатических условий. Красноярский край можно разделить на северную, где существуют очень суровые климатические условия, и южную часть, где климат более мягкий и земли некоторых районов

пригодны для развития сельского хозяйства, хотя и рискованного. Все эти и другие особенности наложили отпечаток на жизнь и хозяйственную деятельность крестьян Красноярского края. Знание исторического опыта развития села важно не только для того, чтобы лучше понимать перспективы современного развития сельского хозяйства, но и для того, чтобы по возможности избежать опасных, трагических повторений прошлого, возможность применить эти знания в практической деятельности, направленной на развитие российского АПК.

Степень изучения проблемы. Курагинский район в контексте развития села в период коллективизации изучен слабо. В местном, муниципальном архиве лежит огромное количество документов, требующих тщательного изучения и анализа, что дало возможность проанализировать процессы создания коллективов и раскулачивания зажиточной части сельских жителей.

Методы исследования. Методологической основой исследования являются принципы историзма и объективности, позволяющие изучать историю единоличного крестьянского хозяйства в курагинском районе в неразрывной связи с историческими условиями страны в 1917-1937 гг.

Принцип историзма позволяет изучить явления в их возникновении развитии, в их связи с конкретными историческими условиями. Развитие крестьянского хозяйства с периода реформы П. А. Столыпина шло по естественному пути, а после октябрьской революции на селе стали происходить качественные изменения, которые перевернули всю психологию русского крестьянства, которое прошло сложный путь от эйфории до глубокого разочарования и трагедии, которое пришло в большинство семей жителей села.

Принцип объективности — научный подход к исследованию разнообразных явлений реальной действительности. Принцип объективного взгляда на историю единоличного крестьянского хозяйства возможен с учетом анализа разнообразных источников.

Основная часть. Сначала 20 гг. XX в в СССР землеустроительные работы проходили в контексте стимулирования единоличного землепользования, упираясь одновременно на развитие в первую очередь коллективных хозяйств в виде артелей и кооперативов. Но с конца 20 гг, прошлого века в связи с началом в стране индустриализации и изменения политики в отношении землеустройства определялись основные направления, земельной политики правительства СССР. И они были нацелены на ликвидацию частного землепользования и развития коллективных хозяйств, о чем было заявлено в постановлении ЦИК и СНК от 1.02.1930г. «1. Отменить в районах сплошной коллективизации действие закона о разрешении аренды земли и о применении наемного труда в единоличных крестьянских хозяйствах. ... исключение из этого правила в отношении середняцких хозяйств регулируются районными исполнительными комитетами под руководством и контролем окружных исполнительных комитетов... » В. П. Данилов в своей статье «Аграрные реформы и аграрные революции в России (1861-2001)» высказывает мнение, что «...Сталинский вариант накопления капиталов для индустриализации путем катастрофического разорения и беспощадной эксплуатации деревни явился исторически наказанием крестьянству и стране в целом за противодействие объективно необходимому процессу первоначального накопления и товарно-капиталистической модернизации». 1

С 1927 года начинается наступление на частные земельные хозяйства, что стало предвестником такого чудовищного явления в жизни русской и советской деревни, как насильственная коллективизация и раскулачивание. В своих законодательных актах советское правительство и не скрывало, что реформирование советской деревни проходит в поддержку в первую очередь индустриализации, а потом заявлялись и остальные проблемы, уже касающиеся самой деревни. Колхозная система оказывается в данный период подчинённой государственному управлению и превращается в организацию по выкачке средств для нужд промышленного развития, а точнее если быть, то индустриализации и обороны. Результатом коллективизации и советской политики в целом в отношении деревни были раскулачивание - ликвидация наиболее крепких хозяев и их переселение в концлагеря. А далее, концентрация сельхоз техники в МТС, которые обслуживали колхозы за высокую натуральную плату, далее, государство по заниженным ценам скупало у колхозов производимую ими продукцию, что приводило к явному падению роста сельского хозяйства.

После октябрьского переворота государство издало несколько декретов, которые кардинально меняли, по сути, жизнь граждан бывшей Российской империи. Декрет о земле был одним из первых. Он дал крестьянам права и возможность иметь землю в пользовании и работать на ней. В начале 20-х годов XX века из – за трудностей в экономике Советское государство было вынуждено разрешить крестьянам образовывать кооперативы и артели, брать землю в аренду и использовать технические средства для работы на земле. Но с объявлением курса страны на индустриализацию перед правительством встал вопрос – откуда найти средства для решительного рывка в развитии промышленного производства и модернизацию. Для государства единственным налогооблагаемым объектом в помощь городу и промышленному производству стало крестьянство, которое к этому времени сравнительно окрепло и многие из крестьян превратились в «кулаков» – зажиточных жителей села, имеющих немалое количество земли, скота, сельхоз. техники и нанимали рабочих или работали силами своей семьи, т. е. Могли прокормить себя. Такие хозяйства в период коллективизации, призванной помочь государству перекачать деньги из села в индустрию стали называться единоличными, кулацкими. Их и стали облагать индивидуальным налогом и конфисковывать имущества в случае отказа от предложения войти в коллектив. А правовой основой репрессий послужило постановление ЦИК и СНК от 01.02.1930г.

Целью данной статьи является доказать, что сибирское крестьянство, а конкретнее если быть, жители курагинского района Красноярского края испытывая те же трудности и проблемы в связи с политикой

советского государства – образовании коллективов, как и все советские единоличники, внесли свой непосильный вклад в развитии советской промышленности.

Проблема единоличных хозяйств в Курагинском районе исследуема слабо. Есть немало архивных документов, которые не исследованы. В статье рассмотрены документальные материалы, находившиеся в курагинском муниципальном архиве, многие документы трудночитаемые, но суть и содержание их понятны. Документов по единоличным хозяйствам района много и они говорят о трудностях и сложностях в деревенской жизни.

Вот например жизнь единоличника Медведева Якова Петровича, жителя курагинскогогор – она была не проста. Его хозяйство неоднократно было описано и обложено налогом в 1929 -30 гг. Налог с индивидуальных хозяйств был настолько обременителен, что крестьяне постоянно писали ходатайства о его снятии, который превратился в неподъемную сумму для них. Размер данного налога был примерно от 20 до 25%. Примером такого ходатайства о снятии индивидуального обложения могут служить неоднократные заявления Фоменко Макара из с. Алексеевка в курагинскую налоговую районной комиссии с описанием своего имущества. Хозяйство данного жителя являлось по его мнению явно не кулацким, а имело признаки середняка: в 1926 году имел 5 десятин, 1 лошадь, в 1928 году сумел поднять хозяйство и всего имущество состояло из 3 лошадей и 1 коровы, приобрел машину для сельхоз нужд и имел за неё долг в 560 рублей. В 1929 году хозяйство данного единоличника по его заявлению имело в составе 1 лошадь, 1 корову, 5 овец, 5,25 десятин земли, долг за машину уплатил в 208 рублей. 2 С уплатой указанного свыше налога многие хозяйства не справлялись и местные власти, конечно, описывали имущество их и конфисковывали в размере определенной суммы или имущества. Опись имущества недоимщика Терских НиколаяЕлистратовича за 30 пудов хлеба: по описи имущества учтена сумма в 1020 рублей и обложено налогом.3

Крестьян - единоличников за неуплату ЕСХН (единый сельскохозяйственный налог) и местных налогов штрафовали описью всего имущества и выплатой штрафа. Причем описывали абсолютно все, от дома и до швейной машины. Опись происходила с имущества, даже если оно составляло всего лишь 100 рублей и меньше. 4А в деле №14 опис 3 фонд № 1 курагинского муниципального архива по Пойловскому району присутствуют торговые листы, единоличников, лишенных избирательных прав и далее раскулаченных.

В архивах, например Курагинском районном муниципальном архиве есть подробные списки лиц, облагаемых ЕСХН в индивидуальном порядке к которому так же прилагается списки лиц, признанных явно кулацкими. 5 Выявлением кулацких хозяйств были в первую очередь заинтересованы бедные хозяйства и организованные правительством на местах комитеты бедноты – комбеды занимались выявлением кулацких хозяйств, в чем явно присутствовала и зависть и злоба на тех, кто работал лучше и был сравнительно богаче. 6 Доказательствами для определения единоличника кулаком, т. е. зажиточным служили показания и односельчан и рабочих – батраков. Из протокола общего собрания колхозного актива с. Можарского, состоявшегося 10 марта 1934года при присутствии 45 человек: «повестка дня: выявление кулацких хозяйств в с. Можарка. Слушали по данному вопросу доклад: пред. Рачева. Далее приводились свидетельства работающих у единоличников батраков: ВладыкинВарлаам: жил у Макарова Ивана два года 1926 – 1927год. Имел жнейную машину и молотилку совместно с братьями.

Щербинин Тихон: Еще жила Ярусова Анна 1928 г.

ВладыкинЕф. Я брал у Макарова плуг для пахоты и в виду плохой погоды мне пахать не пришлось и он с меня взял за это 3 пуда пшеницы. Имел сезонных рабочих во время лета до 12 человек ежедневно. Постановили: считать хозяйство Макарова Егора явно кулацким, а поэтому просить председателя совета лишить избирательных прав». 7 Лишению избирательного права подлежали люди, применявшие наемный труд. Но кустари, работающие самостоятельно, и не применявшие наемного труда, по закону избирательного права не должны были лишаться, хотя такие случаи были. Гр. Русакова И. И., жителя д. Новая Шушь Брагинского сельсовета два раза лишали избирательного права, хотя он под категорию лишенцев не попадал: наемного труда не применял: по конституции 1918 года в гл. 13, ст. 65 избирательное право не имели «а) лица, прибегающие к наемному труду с целью извлечения прибыли, в) частные торговцы, торговые и коммерческие посредники» 8 Данный гражданин имел один из пяти паев в заводе по выработке кожи, а не собственность. Однако по решению комбеда из – за существования данной артели раскулачен – имел неземледельческий доход. 9 В данном деле присутствует огромное количество протоколов с отказами в просьбе восстановить избирательное право.

Но имели места, когда в избирательных правах лишенца восстанавливала Западно – сибирская краевая избирательная комиссия, но чиновники с вычеркиванием этих людей не спешили. Доказательство данного факта служит письмо в администрацию курагинского района от краевой избирательной комиссии: «Имеет место случаи, когда органы осуществляющие учет лишенных прав, не исключают из списков лишенцев, тех, которые представляют выписки из постановления западно-Сибирской Краевой Комиссии (на почтовых карточках) полученные ими непосредственно. Такое положение нив коей мере нормальным признать нельзя, поэтому предъявляющих заверенные надлежащим порядком выписки из списков лишенцев, кроме случаев, где текст выписок подчищен, исправлен, без надлежащих оговорок о том».10 Это означает, что власти на местах, имея план по выявлению неблагонадежных, раскулачиванию, прибегали к методам, явно не имеющим с законом ничего общего, а наоборот, прямо нарушающих последний.

Рассматривая личные дела лишенцев, можно увидеть кропотливую работу крестьян – лишенцев над восстановлением права голоса. Лишенцы писали разные ходатайства с низшей до Западно – сибирской краевой

инстанций, и писали не один год, а многие годы подряд и много раз им было в этом отказано. Гражданину Белову, например, жителю Алексеевского сельсовета, признанного индивидуальным хозяином, лишённого избирательного права много раз в этом было отказано, и только в 1934 году ЗС краевая комиссия восстановила ему право голоса. Местные органы власти часто из личных побуждений или для выполнения норматива лишали права голоса людей, но веских доказательств в краевую комиссию при запросе со стороны вышестоящих органов власти не могли предоставить.¹¹ Гражданин Тараненко был лишён избирательного голоса в 1931 по главе 13 ст 65. пп. а в конституции РСФСР за эксплуатацию батраков и сельхоз машин, и несмотря на то, что он много раз писал ходатайство о восстановлении избирательного права в счёт заслуг перед революцией, ему в этом отказали.¹²

Рассматривая личные дела раскулаченных и лишённых приходится удивляться черствости и жестокости односельчан в отношении первых. В деле Дыркова Василия например в постановлении о лишении избирательного права на собрании граждан с. Брагино Курагинского гор – она от 14.05.1931 года (присутствовали 104 человека) есть такая запись: постановили: Лишить избирательных прав кулака Дыркова Василия Михайловича и его семью зачислить в список лишённых и переселить из села Брагино в другие места. В составе семьи данного единоличника было 7 человек из которых нетрудоспособных было 6.¹³ Но здесь есть одно обстоятельство. Данный единоличник по его утверждению кулаком не считал себя, ибо в 1926 году разделился в имуществе со своими братьями. И, находясь в переселении на строительство Артемовского рудника уже 3 года, просил восстановить его права голоса, ходатайство которое не было удовлетворено. Однако были случаи, когда в восстановлении в правах работающим в ссылке на артемовский рудник не отказали, но для этого необходимо было иметь характеристику отличного работника, ударника социалистического строительства – дело Горностаева В. И.¹⁴

Вообще, крестьянство по своей сути, класс консервативный, оно не любит перемен и ко всяким новшествам в социально-экономическом плане относиться крайне подозрительно. Крестьянину необходимо было сначала убедиться в преимуществе нововведений, а потом меняться его отношение к нововведениям. Русский крестьянин побывал везде в качестве солдата, пленников, союзников, но нигде он не видел колхозного строя, поэтому он и не хотел рисковать своим имуществом, хозяйством ради неизвестно чего. Между тем советское правительство не просто применяя к непокорным сроки проведения коллективизации, но установило их короткими, одновременно применяя к непокорным, административные методы воздействия. В советский период не принято было говорить о негативных последствиях коллективизации, крестьянские выступления трактовались как контрреволюционные и являлись якобы происками враждебных элементов. В 1930 году произошло 13 756 выступлений, в которых участвовало 3 369 730 человек. Это было в 10 раз больше, чем в предыдущем. Это означало, что в волнениях участвует не только зажиточное крестьянство, но и другие, бедные слои. Эти выступления проходили на фоне принудительной коллективизации и раскулачивания. С переходом к сплошной коллективизации началась раскулачивание, которое стало основным инструментом для её проведения. Во-первых, устранялся основной конкурент колхозам в лице зажиточного крестьянства, во вторых, за счёт конфискации имущества зажиточного кулачества укреплялась материально-техническая база колхозов, в третьих раскулаченные крестьяне выселялись в отдалённые, малонаселённые районы страны, чтобы исключить влияние раскулаченных крестьян на окружающее население. В четвертых за счёт раскулаченных крестьян осваивались северные малонаселённые районы страны. Ссылные и были той основной рабочей силой, которая поднимала горнодобывающую промышленность. Таким местом в Курагинском р – оне служил Артемовский рудник, Чибжекский, Тинсукский и др. прииски, где ссылные добывали золото. В курагинском муниципальном архиве нет личных документов по спецпереселенцев, которые работали на артемовском руднике. Они стояли на учёте в артемовской спецкомендатуре. Этих документов в муниципальном архиве нет, они были вывезены. Но есть списки спецпереселенцев, работающих на руднике¹⁴

Одно дело конечно репрессировать и раскулачить огромное количество крестьян, а сложнее начать восстанавливать их в правах, реабилитировать их доброе имя. Данный процесс, т. е. реабилитация раскулаченных и политзаключённых началась после смерти И. В. Сталина в 1953 году, но она носила тогда единичный характер. Массовая реабилитация пострадавших в 30 гг. в результате коллективизации начинается уже с 90 х. гг. XX века. В администрацию курагинского района люди обращались по данному вопросу в данный период — 90 гг массово. Закон о реабилитации жертв политических репрессий был принят 19.октября 1991 года, с которого началась массовая реабилитация пострадавших. Статья 1 данного закона признавала репрессиями : «различные меры принуждения, применяемые государством по политическим мотивам, в виде лишения жизни или свободы, помещения на принудительное лечение в психиатрические лечебные учреждения, выдворения из страны и лишения гражданства, выселения групп населения из мест проживания, направления в ссылку, высылку и на спецпоселение, привлечения к принудительному труду в условиях ограничения свободы, а также иное лишение или ограничение прав и свобод лиц, признававшихся социально опасными для государства или политического строя по классовым, социальным, национальным, религиозным или иным признакам, осуществлявшееся по решениям судов и других органов, наделявшихся судебными функциями, либо в административном порядке органами исполнительной власти и должностными лицами и общественными организациями или их органами, наделявшимися административными полномочиями.»¹⁵ К этой категории граждан естественно подходили и единоличники – раскулаченные, выселённые.

С 1994 по 2010г. По вопросу реабилитации репрессированных обратилось 293 человека. Массовый наплыв обращений пришлось на 1995-1999гг. 16 Ходатайства о восстановлении в правах и компенсации имущества часто удовлетворялись на основе постановления

от 12 августа 1994 г. № 926 «Об утверждении положения о порядке возврата гражданам незаконно конфискованного, изъятого или вышедшего иным путем из владения в связи с политическими репрессиями имущества, возмещения его стоимости или выплаты денежной компенсации»¹⁷

Компенсация в 2000 - ые годы составляет 10 000 рублей. Гражданину Медведеву М.Г. Было выплачена за конфискацию имущества — дом и т. д. 10000р. «1. выплатить Медведеву Михаилу Григорьевичу проживающему по адресу... денежную компенсацию за незаконно конфискованное имущество в 1930 году в с. Белый Яр Курагинского района в связи с политическими репрессиями отца Медведева Григория Наумовича, реабилитированного 30.11. 2005года ГУВД Красноярского края в размере 10 тыс. руб» 18

Выводы. Самое основное, что ставилось целью советским правительством в этот период – развить тяжелую индустрию и для этого найти деньги – была решена. Коллективизация, задуманная как вспомогательная часть индустриализации свою роль выполнила, но много судеб было сломано, разорены хозяйства и семьи, сельское хозяйство, продуктивное и ставшее на пути подъема в период реформы Столыпина, стало приходить в упадок – развиваться намного медленнее, чем промышленность.

Дать оценку тем проблемам, которые рассмотрены здесь, очень сложно. С человеческой точки зрения события, через которые прошла Россия и страны бывшего СССР в рассматриваемый период ужасны и не вызывает одобрения с точки зрения многих граждан, ибо их родственники, предки попали под репрессии и были или высланы, или просто раскулачены или же расстреляны. Со стороны научного подхода же судить о данных событиях мне представляется спорным – ибо у каждой новой власти есть свои враги и внутренние и внешние, тем более революционно пришедших к управлению и им надо бороться с враждебными элементами внутри государства, чтобы власть укрепилась и стала дееспособной. Конечно, надо учитывать территориальную величину России в том контексте, что многое делавшееся на местах, не было известно центральной власти и поэтому количество невинно пострадавших от этого в разы возрастает. Задача современного поколения заключается в том, что бы стараться обелить имена тех, кто попал под репрессии и чье имя было очернено клеймом «врага народа». И дело не в тех 10 000 рублей, которые выплачиваются потомкам репрессированных, чье имущество было конфисковано, а именно в памяти их. Россияне должны помнить и знать свое прошлое и с трепетом относиться к ней, чтобы не совершать в будущем роковых ошибок, которые имеют порой фатальный исход. «В 1928 году в деревнях Сибири ст. 107 УК РСФСР была применена против 1589 хозяйств. Конфисковано хлеба свыше 687,5 пудов. К концу 1929 года было оштрафовано 13 т хозяйств за срыв твердого задания по хлебозаготовкам. 6 т. Осуждено судом, из них 2 т. Выселены за пределы прежнего места жительства. Обострилось общественно-политическое положение в Сибири. Только в регионах Западной Сибири было зарегистрировано 624 терракта, 379 покушений на жизнь, 880 случаев организации банд. С января 1930 года произошло 65 антисоветских выступлений. Во второй половине 1930 – первой половине 1931 года вооруженная борьба принимает формы мятежей»²⁰.

ЛИТЕРАТУРА:

1. Россия в XX веке. Реформы и революции в 2-х томах. Т. 1 стр. 29. [1]
2. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №1, дело 354 лист 32. [2]
3. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №1, дело 413. [4]
4. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №1, дело 404 лист13 [3]
5. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 40. [6]
6. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 16. листы 9-10. [7]
7. Сайт конституции Российской Федерации. [электронный ресурс]режим доступа:<http://constitution.garant.ru/history/ussr-rsfsr/1918/>. Дата обращения 08.08.2014 [8]
8. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 17 лист 16.[9]
9. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 36 лист 86. [10]
10. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 101 [11]
11. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 146. [12]
12. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 221. Лист 1. [13]
13. Курагинский районный муниципальный архив Ф№ 1, опись №3, дело 2033.[14]
14. Курагинский муниципальный архив Ф№174, опись №2, дело 4636, листы 116-137, 161-180.
15. Гарант – информационно правовой портал <http://base.garant.ru/10105390/>
16. Курагинский муниципальный архив. Фонд.№1, опись № 4 .
17. Правовая система нового поколения. [электронный ресурс]<http://www.referent.ru/1/83845> дата обращения 25.08.2014
18. Курагинский муниципальный архив.фонд. №1, опись №4, дело 292. лист. 2,3.
19. Сборник документов по земельному законодательству СССР и РСФСР. Москва. Госюриздат 1954г.
20. М. Д, Северьянов. Сибирская доколхозная деревня: землепользование, землеустройство и переселение(1861-1930гг. Кызыл 2010. Стр 215-216

Davit Shoshiashvili
Siberian Federal University (Krasnoyarsk, Russia)
KURAGIN INDIVIDUAL FARMERS IN THE FIRST HALF 30 s. XX CENTURY
RESUME

The article describes the life of Kuragin individual farmers during collectivization. We consider the forms and types of Soviet power effects on farmers with a view to the organization of collective farms. The author leans on data obtained from archival documents, registers of Kuraginsk region, Krasnoyarsk Territory. Documents shows the hard life of Kuraginsk's peasants, psychological, moral and personal tragedy of the dispossessed, of the impact of different methods of local authorities to the peasants in order to achievement the task- to pass the collective farm their property. By analyzing this data, the author shows, that under the influence of some processes disappeared individual peasant farming in Russia. The article described in detail types of tax measures and methods of influence on individual farmers to destroy them as a class. The author believes that the collectivization of the village led to the crisis of the agricultural sector of the Soviet economy, to personal tragedies of many villagers whose ancestors until now trying to rehabilitate them, restore their good name, honest and decent citizen.

ვაჟა ჩოჩია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პირველი მსოფლიო ომი და აშშ მონაწილეობა სახმელეთო ოპერაციებში

1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომი იმდროინდელი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროზე აისახა. მან დიდი გავლენა მოახდინა მრეწველობისა და სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე, შეიცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი სამხედრო-პოლიტიკური შედეგი, შეიძლება ითქვას, იყო ის, რომ საერთაშორისო არენაზე გამოჩნდა ახალი სამხედრო ძალა აშშ-ს არმიის სახით, რომელიც 1914 წლიდან პატარა, სუსტად გაწვრთნილი 200-ათასიანი არმიიდან 1918 წლის ნოემბრისათვის ორ მილიონამდე გაიზარდა (3: 322). ამასთანავე, მას უკვე გააჩნდა ორგანიზებული გენერალური შტაბი, გამოცდილი პირადი და სამეთაურო შემადგენლობა.

პირველი მსოფლიო ომის წინ ამერიკის არმია არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან ძალას და გამოიყენებოდა უმთავრესად, ფილიპინებზე წესრიგის შესანარჩუნებლად, XIX საუკუნის ბოლოს და 1916-1917 წლებში მექსიკაში შეჭრისათვის. 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომმა კარგად აჩვენა ამერიკის შეიარაღებული ძალების არასაკმარისი ძალა და გამოუცდელობა (9: 70), თუმცა, ამერიკამ მაინც მოიგო ეს ომი ესპანეთის ეკონომიკური და სამხედრო ძალების სისუსტის წყალობით. აქედან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი არც იმედოვნებდნენ, რომ აშშ მონაწილეობას მიიღებდა პირველ მსოფლიო ომში. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, როცა 1917 წლის 6 აპრილს ამერიკამ ომი გამოუცხადა გერმანიას. ამასთან დაკავშირებით, ვაშინგტონში გაიგზავნა საფრანგეთის დელეგაცია მარშალ ჟოფრის მეთაურობით, რომელიც იყო მდინარე მარნაზე პირველი ბრძოლის გმირი. დელეგაციის მიზანი იყო სრული ინფორმაციის მიღება ამერიკის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ (10: 65). ფრანგული დელეგაციის ამერიკაში გაგზავნის ფაქტი იმაზე მეტყველებდა, რომ ანტანტა დაინტერესებული იყო ამერიკის ჯარების მონაწილეობით ოპერაციებში გერმანიის წინააღმდეგ. აშშ-ს პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა სამხედრო მდივნად (მინისტრად) დანიშნა ნ. ბეიკერი, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა არმიის გაზრდის პრობლემების მოგვარებას, რის შედეგადაც 1917 წლის შემოდგომისათვის პირველი შენაერთები უკვე მზად იყო.

ამერიკის საექსპედიციო კორპუსის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი ჯონ პერშინგი, რომელმაც თავი გამოიჩინა ინდიელებთან ომებში და ესპანეთ-ამერიკის ომში, მაგრამ მას არ გააჩნდა დიდი ევროპული ომის გამოცდილება, რამაც იჩინა კიდევ თავი მისი სარდლობით ამერიკის ჯარების მოქმედებაზე. გენერალი პერშინგი უფროს ოფიცრებს შორის იყო ერთ-ერთი, რომელსაც გააჩნდა

სრული გენერლის წოდება და ამანაც ითამაშა გარკვეული როლი არმიის მთავარსარდალად მის დანიშვნაში. ამერიკის მთავრობას სურდა, რომ მისი ჯარებისათვის ეხელმძღვანელა სამხედროს, რომელსაც ექნებოდა თანაბარი წოდება მოკავშირეთა ჯარების სარდლებთან მიმართებაში.

აშშ-ს არმიის გამოუცდლობის გათვალისწინებით, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო სარდლობამ წინადადება წამოაყენა, ამერიკული ნაწილები ჩაერთოთ მათი ჯარების შემადგენლობაში. ანტანტას იმედი ჰქონდა, რომ ამ ღონისძიებით დააჩქარებდა ამერიკელების ჩაბმას სამხედრო ოპერაციებში. მაგრამ პერშინგი კატეგორიულად უარყოფდა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების სარდლობის წინადადებას, რადგან მიიჩნევდა, რომ ამაზე დათანხმებით ბევრი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპებოდა და სისულელე იქნებოდა იმის იმედად ყოფნა, რომ ამ მეთოდით შეიქმნებოდა დიდი არმია (1: 189). პერშინგის ამ მოსაზრებას მხარს უჭერდნენ სამხედრო მდივანი ნ. ბეიკერი და პრეზიდენტი უილსონი, რომლებიც ცდილობდნენ უზრუნველყოთ ამერიკის ჯარების გარკვეული დამოუკიდებლობა (10: 98).

პერშინგი და სხვა მაღალი ჩინის სამხედროები, პოლიტიკოსებთან ერთად მიიჩნევდნენ, რომ ამერიკელების სამსახური უცხოური დროშის ქვეშ ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს ინტერესებს. ინგლის-საფრანგეთის გეგმებს კი იმით ხსნიდნენ, რომ მოკავშირებს სურდათ ომში გამარჯვება, გამოიყენებდნენ რა ამისთვის ამერიკელ ჯარისკაცებს ცოცხალი ძალის სახით. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ იყო, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ამერიკის ჯარებს, ინგლის-საფრანგეთის ჯარებისგან განსხვავებით, მასშტაბური ხასიათის ომის წარმოებისათვის არავითარი საბრძოლო გამოცდილება არ გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო მათთვის ინგლისელებსა და ფრანგებთან ერთად ემოქმედათ და საბრძოლო გამოცდილება მიეღოთ. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ამერიკული ნაწილების ჩასვლა საფრანგეთში 1917 წლის შემოდგომაზე დიდ მორალურ მხარდაჭერას წარმოადგენდა ინგლის-საფრანგეთის ჯარებისთვის, რომლებიც უკვე მეოთხე წელი იბრძოდნენ კარგად გაწვრთნილ და შეიარაღებულ გერმანულ ჯარებთან.

შექმნილ სიტუაციაში, თავი იჩინა ერთმა მნიშვნელოვანმა პრობლემამ, რომელიც აფერხებდა ამერიკული ჯარების სრულფასოვან ჩართვას საბრძოლო ოპერაციებში. ეს იყო არასაკმარისი შეიარაღება და აღჭურვილობა, რის შესახებაც თავის მოგონებებში მიუთითებდა გენერალი დ. მაკარტური (11: 53), რომელიც იმ დროს პოლკოვნიკის ჩინით ჩავიდა ევროპაში. ამას ემატებოდა ამერიკის ჯარის აშკარად არასაკმარისი გაწვრთნა და მამასადამე, ჯარის მოქმედების ეფექტურობა არ იყო საკმარისი სიმაღლეზე, თუმცა, აღნიშნავს იმსახურებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დანაყოფი ცალკეული ოფიცრების მეთაურობით, წარმატებულ ოპერაციებს ატარებდნენ, როგორც მაგალითად, იგივე დ. მაკარტური (11: 56), რომელიც მალე ბრიგადის გენერალი გახდა.

ამერიკელთა სტრატეგია ეფუძნებოდა გათვლას, რომ ანტანტის ჯარები დაასუსტებდნენ რა მოწინააღმდეგეს თვითონაც დიდ დანაკარგებს გაიღებდნენ და მაშინ ომში გამარჯვებას მიაღწევდა დასვენებული, მთლიანად დაკომპლექტებული და კარგად გაწვრთნილი ამერიკული არმია. ეს დაეხმარებოდა ამერიკელებს თავისი ინტერესების დაცვაში საზავო კონფერენციაზე. ამის შესახებ პერშინგი 1918 წლის 17 იანვარს ბეიკერს სწერდა: "ჩვენ წინ უნდა ვიხედებოდეთ იმის გათვალისწინებით, რომ ვიდრე ომი დამთავრდება ჩვენ მოგვიწევს მასში აქტიური მონაწილეობის მიღება და ამიტომ თუ გამოვრიცხავთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებს, ჩვენი ძალები არ უნდა დავქსაქსოთ. უფრო მეტიც, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ როცა ომი დამთავრდება ჩვენი პოზიცია იქნება უფრო ძლიერი, თუ ჩვენი დამოუკიდებელი არმია გადამწყვეტ როლს არ შეასრულებს" (12: 295).

საკითხი, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან ნაწილს საბრძოლო ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა, პირველად დაისვა 1918 წლის მარტის ბოლოს, როცა გერმანიის ჯარებმა შეტევა წამოიწყეს პიკარდიაში. ეს მოყვა პერშინგის განცხადებას, რომ ის მზად იყო მონაწილეობა მიეღო გერმანული ჯარების მიერ დაწყებული შეტევის მოგერიებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები არ იყვნენ საკმარისად გაწვრთნილი და მომზადებული. პერშინგის განცხადება ნაკარნახევი იყო იმ განზრახვით, რომ მას ნებართვა მიეღო მოკავშირეთა სარდლობისგან, რათა შეექმნა დამოუკიდებელი ამერიკული არმია იმ მიზნით, რომ მას თვითონ წარემართა სამხედრო ოპერაციები (10: 132). ასეთი მცდელობა პერშინგს ადრეც ჰქონდა, როდესაც მიმართა მოკავშირეთა მთავარსარდალს, მარშალ ფოშს, მაგრამ უარი მიიღო.

დასავლეთის ფრონტზე გერმანიის შეტევის დაწყებისას 1918 წლის მარტში, ამერიკის საექსპედიციო ჯარების რაოდენობა მხოლოდ 253 ათასს შეადგენდა, რაც საკმაოდ მოკრძალებული ძალა იყო. ამერიკა ომში მხოლოდ ნომინალურად მონაწილეობდა. გაზაფხულზე, მას ფრონტზე ჰყავდა მხოლოდ ერთი დივიზია და სამი რეზერვში (5: 374).

შეზღუდული ხასიათის პირველ ოპერაციებში, როდესაც ამერიკელები იბრძოდნენ პატარა ქალაქ კანტინის და ბელოს ტყისათვის 1918 წლის მარტ-აპრილში, ჯარისკაცების არასაკმარისი საბრძოლო

გამოცდილების და ჯარების მართვაში უფროსი ოფიცრების დაშვებული ხარვეზების გამო, ამერიკელებმა დიდი დანაკარგები განიცადეს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ გაბედულება და თავგანწირვა არ აკლდათ. ამერიკელებმა აიღეს ქ. კანტინი, მაგრამ გერმანელთა არტილერიამ ისინი დაცხრილა და რადგან მოკავშირეთა არტილერია ვერ დაეხმარა, დიდი მსხვერპლი იყო (10: 149). მოგვიანებით, 1918 წლის ივლისში, გერმანელთა მეორე შეტევის დროს მდინარე მარნაზე, არტილერიისა და ქვეითი ნაწილების ერთობლივმა მოქმედებამ, საბრძოლო მომზადების გაუმჯობესებამ, საშუალება მისცა ამერიკულ ნაწილებს დასავლეთის ფრონტზე შეტევა მოეგერიებინათ და კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ.

ამერიკული ჯარების წარმატებულმა მოქმედებამ მარნის ბრძოლაში 1918 წლის ივლისში, საშუალება მისცა გენერალ პერშინგს კვლავ განეცხადებინა, რომ საჭირო იყო ცალკეული ამერიკული არმიის შექმნა, რაზეც მთავარსარდალმა ფოშმა, იმჯერად თანხმობა განაცხადა. ამის საფუძველი, როგორც ჩანს, გახდა არა იმდენად ამერიკელთა სამხედრო წარმატებები, რამდენადაც ამერიკის ჯარების განუწყვეტელი ზრდა ევროპაში. ბუნებრივია, ამ ფაქტორის გათვალისწინებით ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ რეაგირება მოეხდინათ (10: 268).

პირველ მსოფლიო ომში ამერიკის ჯარების ყველაზე დიდი დამოუკიდებელი ოპერაცია იყო სენ-მიელის ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა 1918 წლის 12-15 სექტემბერს. დასაწყისში, ოპერაციის ჩატარების თაობაზე უთანხმოებამ იჩინა თავი ფოშსა და პერშინგს შორის იმასთან დაკავშირებით, რომ ფოში გეგმავდა ამერიკული ჯარების გამოყენებას ამიენის ოპერაციაში, რომელიც მალე უნდა დაწყებულიყო. საბოლოოდ, მარშალმა ფოშმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამერიკელებს ჩაეტარებინათ სენ-მიელის ოპერაცია, რომელსაც მხარს უჭერდა პერშინგი. ეს ოპერაცია იმიტომ დაიგეგმა, რომ სენ-მიელის შვერილი ემუქრებოდა მოკავშირეთა სარკინიგზო კომუნიკაციებს პარიზის მიმართულებით და აქედან გამომდინარე, მისი ლიკვიდაცია აუცილებელი იყო. 10 აგვისტოს შეიქმნა პირველი ამერიკული არმია და უკვე 12 სექტემბერს შეტევაზე გადავიდა გენერალ პერშინგის სარდლობით სენ-მიელის რაიონში. ამერიკელებს დიდი რიცხვობრივი უპირატესობა გააჩნდათ და იმავე დროს, მათ ეხმარებოდნენ საფრანგეთის ტანკები და ავიაცია (10: 271). წარმატება სახეზე იყო, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პერშინგის მეთაურობით არმიამ ეს წარმატება ვერ განავითარა (4: 379). ეს იყო პირველი ოპერაცია, რომელმაც დიდი გამოცდილება მისცა ამერიკის ჯარებს და ხელი შეუწყო მისი სამხედრო ხელოვნების დახვეწას და განვითარებას.

1918 წლის 26 სექტემბერს დაიწყო მოკავშირეების გენერალური შეტევა გერმანიის პოზიციებზე. ამერიკის არმია მოქმედებდა მდინარე მასის და არგონის ტყის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი უპირატესობა მოწინააღმდეგესთან შედარებით, არმია ძალიან ნელა მიიწევდა წინ და დიდ დანაკარგებს განიცდიდა (6: 192-202; 4: 382-386). საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. კლემანსო, ამის გამო, ძალიან უკმაყოფილო იყო და შეეცადა მიეღწია პერშინგის გადაყენებისათვის, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა მარშალმა ფოშმა (8: 385-390; 3: 325). საყურადღებოა, რომ კლემანსოს ამ ნაბიჯის შემდეგ, ამერიკელები გააქტიურდნენ. ომის დასკვნით ეტაპზე, მას-არგონის ოპერაციაში უკვე ორი ამერიკული არმია იღებდა მონაწილეობას (მეორე არმია 1 ნოემბერს შეიქმნა) პერშინგის მეთაურობით. ამ დროისათვის, ამერიკული ჯარის რაოდენობა ერთ მილიონ 200 ათასს აღწევდა, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო, ამერიკის ჯარებს აკლდათ შეიარაღება და ისინი იძულებული იყვნენ არტილერიის, ტანკების და თვითმფრინავების მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისში და საფრანგეთში შეესყიდათ (5: 310).

ომის დასასრულს, აშშ-ს არმია ოთხ მილიონს შეადგენდა. აქედან ორი მილიონ 84 ათასი ადამიანი საფრანგეთში იმყოფებოდა. ევროპაში ჩამოსული 42 დივიზიიდან, ბრძოლებში მონაწილეობდა 29 დივიზია, დანარჩენი ან რეზერვში იყო ან წვრთნას გადიოდა.

პირველ მსოფლიო ომში აშშ-მა დაკარგა 91,5 ათასი კაცი მოკლულთა და ფრონტზე ავადმყოფობით გარდაცვლილთა სახით. ეს იყო ამერიკის არმიის შემადგენლობის 2,3 %. მაგალითისათვის, აშშ-ს შეფარდებითი დანაკარგი ომში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე პატარა სერბიისა და ჩერნოგორიისა (7: 160).

პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობით, აშშ-ს არმიამ მიიღო ომის წარმოების მდიდარი და შეუცვლელი გამოცდილება, რომელიც კარგად გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომის დროს. ასეთი იყო პირველი მსოფლიო ომის სახმელეთო ოპერაციებში აშშ-ს მონაწილეობის ფაქტები. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ომის მსვლელობაში (2: 239, მაგრამ გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებიათ ანტანტის გამარჯვებაში. პრეზიდენტ უილსონის გადაწყვეტილება ჩაბმულიყო ომში ანტანტის მხარეზე, ნაკარნახევი იყო მოსაზრებით, რომ ომის დასრულების შემდეგ აშშ შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი სამშვიდობო მოლაპარაკებებში (2: 240).

ლიტერატურა:

1. "Архив полковника Хауза", т. III. М., 1939.
2. Бриггс Э., Клэвин П. Европа нового и новейшего времени с 1789 года и до наших дней. М., 2006.
3. История США в 4-х томах, т. 2. М., 1983.
4. Лиддел Гарт Б. Г. Правда о войне 1914-1918 гг. М., 1935.
5. Ллойд Джордж Д. Военные мемуары, т. IV. М., 1936.
6. Турнэс Р. Фош и победа союзников 1918 года. М., 1938.
7. Урланис Р. Ц. Война и народонаселение Европы. М., 1960.
8. Фош Ф. Воспоминания (Война 1914-1918 гг.). М., 1939.
9. Фурсенко А. А. Доктрина открытых дверей в Китае. М., 1956.
10. Eisenhower J. Yanks. The Epic Story of American Forces in World War I. New York, 2001.
11. Macarthur D. Reminiscences. New York, 1964.
12. Pershing J.J. My experiences in the World War, vol. I. New York, 1931.

Vazha Chochia

Gori State Teaching University

THE FIRST WORLD WAR AND U.S. PARTICIPATION IN GROUND OPERATIONS RESUME

The military-political outcome of the First World War was that, to seen at the international arena a new military force. The Army of the United States increased from 2 hundred thousand in 1914, to 2 million by the end of World War. Though U.S. military did not have the experience to lead a great war, but the arrival of the first American units in France in autumn 1917 was of great moral significance for English- French troops, who engaged in heavy fighting German troops.

America's strategy was based on the calculation of the Entente troops would have weakened the enemy and had a big loss. In this situation the American army already has been raised, placed, trained and fully staffed, winning the war, which would help to protect the interests of USA on peace conference. These plan must be said that the Americans were far from reality. American troops in the successful of struggle of the Riva Marne in July 1918, gave the American Army commander Pershings demanded the creation of an independent American Army.

First American Army was formed on August 10 and September 12 to attack the Sain-Mielis region led by Pershing. It was America's biggest independent operation of the Firs World War. The second American Army was created in 1918 the first of November and the final stage of the war, the two Army of USA fought in maas-argon operation. The U.S. Army has received a lot of experience in the First World War, which American have been successfully used during the Second World War. The Americans made a significant difference in the Second World War, but they were not playing a decisive role in the victory of the Entente.

დავით ჩოჩიაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ებრაელები რომის იმპერიაში

(70 წლიდან ბარ კობხას აჯანყებამდე)

ახ. წელთაღრიცხვის პირველ წელს რომის იმპერია უდიდეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის პროვინციები გადაჭიმული იყო სამ კონტინენტზე. სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეცვლის შემდეგ, პროვინციების ბედი დიდად იყო დამოკიდებული იმპერატორის პირად სურვილზე. იუდეა, რომელიც ყოველთვის განიხილებოდა, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი მხარე, რომის იმპერატორებისაგან მუდმივად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვდა.

იმპერატორ ნერონის დროს იუდეა რომელი პროკურატორების უღელქვემ იტანჯებოდა. სვეტონიუსი დაწვრილებით მოგვითხრობს ნერონის ზღვარგადასულ კაცთმოდულებზე, სისასტიკეზე (Svet. Nero, 31), იმაზე, თუ როგორ პოლიტიკას ატარებდა ქვეყანაში გადასახადების ამოღების მიზნით. უზარმაზარი თანხები, რომლებიც პროვინციებიდან მოედინებოდა, რომში უაზრო პროექტებსა და ნადიმებში იხარჯებოდა. რომელი მმართველები არა მხოლოდ ჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ მოსახლეობას, ისინი ერეოდნენ სასულიერო სფეროშიც, რითიც მოსახლეობის უკმაყოფილება სულ უფრო მატულობდა. განსაკუთრებული სიმკაცრე იგრძნობოდა იუდეაში, სადაც რომაული წარმართული პანთეონი და თვით იმპერატორის საყოველთაოდ აღიარებული კულტი პატივისცემით არ სარგებლობდა. აჯანყებისთვის ფონი უკვე მზად იყო, მაგრამ იერუსალიმში რომის პოლიტიკის წინააღმდეგ ორი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა: ზილოტები, ანუ მოშურნენი, თავგამოდებით ცდილობდნენ იუდეველებში აღედრათ რომაელებისადმი სიძულვილი. ზილოტების სექტა შეიქმნა დაახლოებით ქრისტეს შობის დროს, მაშინ, როდესაც სირიის პროკურატორმა სულპიცეუს კვირინიუსმა, იმპერატორის ბრძანებით, ხარკის აკრეფისათვის მოსახლეობის აღწერა წამოიწყო. ზილოტების მეთაური იყო სიმონ ბარ ჰიორა და იოხანან ჰისკალელი.

ზილოტებმა რჯულისადმი ერთგულების საბაბით საშინელ დარბევებსა და შფოთში უამრავი ხალხი ჩაითრიეს. ისინი უზარმაზარ ბანდებად დაეხეტებოდნენ ოლქებში, მათ უერთდებოდნენ ქურდები და ყაჩაღები და დაუსჯელად მარცვავენენ ქვეყანას... თავად იერუსალიმში საშინელ ბოროტმოქმედებებს სჩადიოდნენ მკვლელთა ბრბოები. თუ ამასთან გავიხსენებთ იუდეველთა და სამართლებრივ შორის მუდმივ შუღლს, რელიგიური სექტების ურთიერთმტრობას, რომაელებისადმი საერთო უკმაყოფილებას, იუდეველებისა და უცხოტომელების დაპირისპირებას, შეიძლება დაახლოებით წარმოვიდგინოთ, რა საშინელ მდგომარეობაში იყო და როგორ დრტვინავდა მთელი იუდეა.

მეორე მიმდინარეობას წარმოადგენდნენ ე. წ. მშვიდობისმოყვრელთა პარტია, რომელსაც ჰილელის მოსწავლე დიდი სწავლული იოჰანან ბენ ზაქაი ჩაუდგა სათავეში. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ რომის იმპერიის წინააღმდეგ მოუმზადებელი, დაქსაქსული ძალებით ბრძოლა ებრაელებს კარგს არაფერს მოუტანდა. ამიტომ გაემიჯნენ ძალადობრივ გზას და ცდილობდნენ მშვიდობიანად მოეგვარებინათ რომის ხელისუფლებასთან პრობლემები. მიუხედავად მათი მცდელობისა, რომელი მოხელეები იუდეაში მმართველობის ძალადობრივ გზას მიმართავდნენ. ამ ორი ძირითადი პარტიის გარდა იუდეაში არსებობდა სიკარიელების პარტიაც, რომლებიც შეიარაღებულები დადიოდნენ და რომაელების ერთგულებს ჩუმიად ხოცავდნენ.

იუდეველებთან საერთო ენის გამონახვა მეტისმეტად რთული იყო პროკურატორებისთვის, რომლებიც სხვა სარწმუნოებას აღიარებდნენ და ხელყოფდნენ ერისთვის წმინდა წეს-ჩვეულებებს. რომის დროშა წმინდა ქალაქში, წარმართი მცველები ტაძრის კარიბჭესთან – ეს ყოველივე იუდეველებს თავიანთი სიწმინდეების შებილწვად მიაჩნდათ, რაც სისხლიანი არეულობების გამომწვევი ხდებოდა ხოლმე. რომიდან მოვლინებულმა ორმა უკანასკნელმა პროკურატორმა – ალბინემ და ჰესიუს ფლორმა იუდეველები სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს თავიანთი ანგარებისმოყვარებითა და დაუნდობლობით. ჰესიუს ფლორი, ნაცვლად იმისა, რომ ავაზაკთა ბანდები მოეთოკა, ფარულად ხელსაც უწყობდა, რისთვისაც ნამარცვიდან წილს იღებდა. იგი საშინლად ჩაგრავდა იუდეველებს, რომელთათვისაც მისი მმართველობის დროს არც მართლმსაჯულება არსებობდა და არც კანონი. აჯანყების საბაბად იქცა ის ფაქტი, რომ ფლორმა გაძარცვა იერუსალიმის ტაძრის საგანძური და თავის მეომრებს სამი ათასამდე იუდეველი დაახოცინა. ამან ხალხის მოთმინების ფიალა აავსო 66 წელს აჯანყება ალივით მოედო მთელ ქვეყანას.

აჯანყებულებმა ზილოტების წინამძღოლობით აიღეს მასადას ციხესიმაგრე და მასში ჩამდგარი რომაელ მეციხოვნეთა ლაშქარი ამოხოცეს. იუდეველთა ზომიერი ფრთა კიდევ ცდილობდა, შეეჩერებინა ერი საბოლოო განხეთქილებისგან რომთან, მაგრამ რჩევებს უკვე აღარავინ უჯერებდა. ზილოტებმა მოკლეს მღვდელთმთავარი ანანია, რომელიც დანებებას ურჩევდა, დახოცეს მისი მომხრეები და გადაწვეს მეფის სასახლე. შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს არქივს, სადაც ვალების ჩანაწერები ინახებოდა და ამით ბევრი მომხრე შეიძინეს. მალევე აიღეს რომის მთავარი ციხესიმაგრე იერუსალიმში. იუდეველებმა განთავისუფლებულ ციხეებსა და ქალაქებში რომაელები ამოხოცეს. ამის საპასუხოდ პროკურატორ ჰესიუს ფლორის მფარველობით შეგულიანებული კესარიელები მოულოდნელად თავს დაესხნენ იუდეველებს და ოცი ათას კაცამდე ამოხოცეს. პროკურატორმაც, ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავენი დაესაჯა, თავისი რისხვა დაატეხა ცოცხლად გადარჩენილ იუდეველებს და ისინი მძიმე სამუშაოზე გაგზავნა შორეულ ქალაქებში. როგორც კი ამ ამბავმა იერუსალიმამდე მიაღწია, იუდეველებმა დაიწყეს ზღვარდაუდებელი, დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა ყველა მეზობელ ოლქში, სადაც ისედაც მუდმივად ემტერებოდნენ უცხოტომელებს, მეტწილად ბერძნებს. ყაჩაღთა უზარმაზარი ბანდები დათარეშობდნენ ქალაქებსა და დაბებში. ცოტა ხანში სირიაში, პალესტინასა და მცირე აზიაში სისხლის ტბები დადგა. არც

იქაურებმა დაინდეს იუდეველები: სკითხოპოლისში, დამასკოში, პტოლემაიდასა და ასკალონში – ათასობით იუდეველი ამოჟლიტეს. სირიისა და პალესტინის ქალაქები საშინელი სანახავი იყო: იქაურობა გვამებით ივსებოდა, სისხლის მდინარეები მიედინებოდა... ალექსანდრიასა და ეგვიპტეში უამრავი იუდეველი ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ალექსანდრე დიდმა უბოძა მათ ისეთივე უფლებები, როგორც ადგილობრივ მოქალაქეებს ჰქონდათ, მაგრამ ალექსანდრიელებს სძულდათ ისინი და როგორც კი საშუალება მიეცათ, ხუთი ათასამდე კაცი გაჟლიტეს. სირიის რომაელმა პროკურატორმა ცესტიუსს გალიუსმა ძლიერი არმია დაძრა იუდეისკენ, იოლად დაიკავა გალილეის ქალაქები: ლიდია, ზაბულონი და იერუსალიმის სიახლოვეს შეჩერდა. იუდეველებმა მნიშვნელოვან ძალებს მოუყარეს თავი და გააფთრებით ეკვეთნენ რომაელებს, რომლებიც იძულებული გახდნენ, დიდი დანაკარგით უკან დაეხიათ. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ცესტიუსი კიდევ უფრო მიუახლოვდა იერუსალიმს, გადაწვა შემოგარენი და ალყა შემოარტყა. რომაელებს არ გაუჭირდებოდათ ქალაქის აღება, რომელიც ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული თავდასაცავად. ამასთან, მცხოვრებნი ორ მხარედ იყვნენ გაყოფილნი: ზოგს სურდა უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაეცვა თავი, მაგრამ უმრავლესობა, მზად იყო, დანებებოდა რომაელებს. მათ ცესტიუსს ქალაქში ფარულად შემეგბაც კი შესთავაზეს, მაგრამ იგი მოტყუვდა, არ მიიღო ეს წინადადება, უცებ მოხსნა ალყა და გაბრუნდა, რამაც იუდეველთა აუწერელი გაცემა გამოიწვია. გამხნივებულნი უკან მიმავალ ლეგიონებს გამოედევნენ, ხელთ იგდეს სააღყე იარაღი და ამოხოცეს რომაელთა უდიდესი ნაწილი. ცესტიუსმა თავისი საამაყო ლაშქრის უმნიშვნელო ნარჩენებთან ერთად ძლივს გაასწრო.

წარმატებით გამხნივებული იუდეველები მონდომებით შეუდგნენ თავდაცვისთვის მზადებას, რადგან ახალ თავდასხმას ელოდნენ. მათ დროებით შინაომებიც გადადეს და შეუდგნენ საერთო საქმეს: აირჩიეს მეთაურები, გულმოდგინედ შეაკეთეს დაზიანებული გალავანი და კოშკები, აღმართეს ახალი სიმაგრეები, აწრთობდნენ იარაღს, იმარაგებდნენ სანოვაგეს, თავს უყრიდნენ ჯარისკაცებს... ყველა ოლქში გაგზავნეს გამოცდილი წინამძღოლები, რომელთაც დაავალეს ქალაქების გამაგრება და მომარაგება ყველაფრით, რაც თავდაცვითი ომისთვის იყო საჭირო. გალილეა ჩააბარეს იოსებ ბენ მათათიას, რომელმაც, როგორც თვითმხილველმა, აღწერა აქაური საომარი მოქმედებანი.

ცესტიუსს გალიუსის დამარცხებამ საშინლად განარისხა იმპერატორი ნერონი და იუდეველთა წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გააგზავნა უზარმაზარი ლაშქარი მამაცი და გამოცდილი მთავარსარდლის – ვესპასიანეს მეთაურობით. ამ უკანასკნელმა საომარი მოქმედებები გააჩაღა გალილეაში და მალე მრავალი საგანგებოდ გამაგრებული ქალაქი აიღო, თუმცა იუდეველები ბოლომდე და თავგანწირვით იბრძოდნენ – მათ სიკვდილი ერჩივნათ რომაელების მონობას.

იოთაპატის ციხესიმაგრეში გამაგრებულმა იუდეველებმა, იოსებ ბენ მათათიას მეთაურობით, დაახლოებით ორი თვე გაუძლეს ალყას, რამაც ორმოც ათასამდე ადამიანი შეიწირა. როდესაც ქალაქი დაეცა, მოქალაქენი მღვიმეში დაიმალნენ და თავად მოისწრაფეს სიცოცხლე, რათა რომაელებს არ ჩავარდნოდნენ ტყვედ. მხოლოდ მეთაური დანებდა ვესპასიანეს, რომელსაც იმპერატორობა უწინასწარმეტყველა და მისი კეთილგანწყობაც მოიპოვა. ქალაქ გამალაში, რომელიც ხანგრძლივი და მძიმე ალყის შემდეგ აიღეს, გააფთრებულმა რომაელებმა ქალები და ბავშვებიც კი არ დაინდეს, ხუთი ათასამდე იუდეველმა თავი მოიკლა. ტარიქეაში, გენისარეთის ტბის მახლობლად, უამრავი ადამიანი ამოხოცეს და დაახლოებით ოცდაათი ათასამდე მონად გაყიდეს. ამგვარად დაიმორჩილა ვესპასიანემ გალილეა, შემდეგ კესარიასში გამოიზამთრა და გაზაფხულზე განაახლა საომარი მოქმედებები. იგი ერთიმეორის მიყოლებით იღებდა გამაგრებულ ქალაქებს, აყენებდა იქ თავის ლაშქარს და მიიწვედა იერუსალიმისკენ. მაგრამ ქალაქის ალყაში მოქცევას არ ჩქარობდა. მისთვის მეტად ხელსაყრელი იყო, რაც იერუსალიმში ხდებოდა: იუდეველები საშინლად მტრობდნენ ერთმანეთს, შინაომებზე ხარჯავდნენ მთელ ძალებსა და საშუალებებს, რაც საერთო მტრის წინააღმდეგ უნდა გაერთიანებინათ. ზილოტები, რომლებმაც რჯულისა და მამულის მგზნებარე დამცველებად თავის წარმოჩენით უზარმაზარი ძალაუფლება მოიპოვეს, ახლა მას მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის იყენებდნენ, დაუნდობლად მარცვავდნენ და ჩაგრავდნენ ერს, საპყრობილეში ამწყვდევდნენ ყველაზე მდიდარ და წარჩინებულ მოქალაქეებს, რათა მათთვის ფული გამოეძალათ. ადანაშაულებდნენ, თითქოს მათ რომაელებისთვის სურდათ ქალაქის ჩაბარება და, როგორც მოლაღატეებს, აწამებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ. ზილოტთა დაჯგუფებაში მრავლად იყვნენ მეზობელი ოლქებიდან გამოძევებული ავაზაკები, იქ უსაფრთხო თავშესაფარს ეძებდნენ გალილეის ქალაქებიდან იერუსალიმში მოსული ლტოლვილებიც.

იერუსალიმში ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც ვესპასიანეს ლეგიონები მიადგა. ზილოტებისაგან სასოწარკვეთილი მრავალი მცხოვრები რომაელებს, როგორც მხსნელებს, ისე ელოდა. ზოგმა მოახერხა ქალაქიდან გაქცევა და ვესპასიანესთან მიდწევა, რომელსაც შეევედრნენ, ბოლო მოეღო მათი უბედურებისათვის.

ვესპასიანე თითქმის მიაღწა იერუსალიმს და უკვე მის ალყაში მოქცევას აპირებდა, როცა იმპერატორ ნერონის სიკვდილი შეიტყო. მან მაშინვე შეწყვიტა ყოველგვარი საომარი მოქმედება და რომიდან განკარგულებებს დაელოდა. იქ ნერონის შემდგომ ერთიმეორის მიყოლებით სამი იმპერატორი გამოიცვალეს – თითოეული მათგანი სულ რამდენიმე თვე თუ იჯდა საიმპერატორო ტახტზე. ნერონის სიკვდილიდან წელიწადნახევრის შემდეგ ლაშქარმა ხელისუფლად თავად ვესპასიანე (69-79 წწ.) აირჩია. იგი იძულებული შეიქნა, რომში გამგზავრებულიყო, ამიტომ მთავარსარდლობა თავის ძეს, ტიტუსს ჩააბარა და იუდეა საჩქაროდ დატოვა. 70 წლის გაზაფხულზე, პასექამდე ცოტა ხნით ადრე, იერუსალიმს მიუახლოვდა ტიტუსი უზარმაზარი ლაშქრით. მან ქალაქის გალავნის ირგვლივ მიწაყრილების კეთება დაიწყო და თავისი ჯარით ალყაში მოაქცია იგი.

იერუსალიმი იმდენად კარგად იყო გამაგრებული, რომ მტრის ნებისმიერ მოძალეხას გაუძლებდა. ორ მთაზე შეფენილ ქალაქს გარს ერტყა ქვის სამმაგი გალავანი, რომლის გასწვრივაც ოთხმოცდაათამდე მკვიდრად ნაგები გოდოლი იყო ჩადგმული. ტაძრის აშენების დღიდან იუდეველები გამუდმებით ზრუნავდნენ, რომ შეძლებისამებრ გაემაგრებინათ ქალაქი, როგორც თავიანთი წმინდა სავანე – საუკუნეთა განმავლობაში არც შრომას იშურებდნენ ამისთვის და არც საფასურს. იუდეის გვიანდელმა მმართველებმა აამაღლეს გალავანი, ხოლო ჰეროდეს ერთ-ერთმა შთამომავალმა ააგო სამი თითქმის მიუდგომელი გოდოლი. ტაძარი თითქმის ქალაქის შუაგულში, მაღალ ბორცვზე იდგა, ყოველი მხრიდან გალავანი ერტყა და გალერეის საშუალებით უერთდებოდა ციხესიმაგრე ანტონიას. ტიტუსმა ქალაქს ალყა შემოარტყა დასავლეთიდან სამი და აღმოსავლეთიდან, ზეთისხილის მთიდან ერთი ლეგიონით. მან მიზნად დაისახა მაცხოვრებელთა საკვებისა და წყლის მარაგების განადგურება, რისთვისაც პილიგრიმებს ნებას რთავდა ქალაქში შესულიყვნენ პასექის აღსანიშნავად, თუმცა შემდეგ უკან გამოსვლის უფლებას აღარ აძლევდა. ებრაელთა თავდასხმეები გამუდმებით აწუხებდა რომაელებს. ერთ-ერთი ამგვარი იერიშის დროს ტიტუსი კინაღამ ტყვედაც კი ჩავარდა.

მას შემდეგ, რაც მოალყეებთან მოლაპარაკების მცდელობები მარცხით დასრულდა, რომაელებმა განაახლეს საბრძოლო მოქმედებები და მალევე შეძლეს ქალაქის პირველი და მეორე კედლის გარღვევა. მოწინააღმდეგის დასაშინებლად ტიტუსმა ბრძანება გასცა ებრაელი დეზერტირები კედლის ირგვლივ ჯვრებზე გაეკრათ. ამ დროისათვის ებრაელები შიმშილით ძლიერ იყვნენ დაუძლურებულები და როდესაც რომაელებმა სუსტი მესამე კედელიც შეანგრიეს, ქუჩებში სასტიკი ბრძოლები დაიწყო.

რომაელებმა, საბოლოოდ, დაიკავეს ანტონიას ციხე და ტაძრის კარიბჭეებზე პირდაპირი იერიშები დაიწყეს. გაიარეს ზედა და ქვედა ქალაქი, სანამ არ მიაღწიეს ტაძარს, რომელსაც ცეცხლი წაუკიდეს და ფერფლად აქციეს. მას შემდეგ, რაც ხანძარმა იკლო, ტიტუსმა გასცა ბრძანება მიწასთან გაესწორებინათ ისიც, რაც ქალაქიდან დარჩა. იმ მიზნით, რომ აღარავის ხსომებოდა სახელი იერუსალიმი. ტაძარი დაანგრიეს, რის შემდეგაც ჯარისკაცებმა ტიტუსი გამარჯვებისათვის პატივის მისაგებად იმპერატორად გამოაცხადეს.

იერუსალიმი მიწასთან გაასწორეს, მისი მოსახლეობის უმეტესობა კი დახოცეს ან გადაასახლეს. იოსებ ფლავიუსი ამტკიცებს, რომ ალყას 1 100 000 ადამიანი ემსხვერპლა, რომელთაგან უმეტესობა ებრაელი იყო. 97 000 დაატყვევეს და მონებად აქციეს. მრავალი ებრაელი ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში გაიქცა.

ლიტერატურა:

1. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, I, თბ., 1975.
2. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, II, თბ., 1987.
3. გაიუს სვეტონიუს ტრანკვილიუსი, კეისრები, თბ., 2011.
4. Евреи в Римской Империи в эпоху Талмуда, Тель-Авив, 1999.
5. Федерова Е.В., Люди императорского Рима, М., 1990.
6. Античная цивилизация, М., 1973.
7. История древнего Рима, М., 1981.
8. Галликан Вулкаций. Авторы жизнеописаний Августов, 1992.
9. Иосиф Флавий, Иудейская война, Перевод Я. Л. Чертка, 1900.
10. Die Romischen Kaizer, von Augustus bis Romulus Avgustulus, Weltbild, Augsburg, 2008.

Davit Chochishvili
Gori State Teaching University
JEWISH PEOPLE IN ROMAN EMPIRE (FROM 70S TO BAR KOKHBA REVOLT)
RESUME

Jews in the history of one of the greatest period of conquest of the Roman Empire, the Jews at the end of the Flavian dynasty. In the first century of the Roman state borders were three continents. In fact, there was no strength which could withstand expansion. The end of the civil war and the arrival of the Emperor Vespasian fortified order to power. Flavian rose as a result of the policy pursued by the army discipline, settled the tax system, as well as improving relations with the province. Especially long Judea, where fires are still fighting for independence started in 66 during the reign of Emperor Nero. Roman legioner selfless struggle in Jerusalem, Judea, and then the province of Syria, and heavy taxes declared a separate province. Then began the greatest galuti dispersion of the Jews in the Diaspora. Despite the fact that the Jewish people and the sanctity of the character of Solomon's Temple destroyed, the Jews continued to live in the society with the idea that they once they return home. They have had to deal with the trials of high pressure on the part of the Roman Empire, the Jews imposed by the legislation.

ოთარ ჯანელიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიიდან
(პრემიერის გადადგომა)

1918 წლის 26 მაისს საქართველოში განახლდა XIX საუკუნეში შეწყვეტილი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომლის პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. ეროვნულ საბჭოში შემავალი პოლიტიკური პარტიების შეთანხმებით, მისი ხელმძღვანელობა კოალიციურ მთავრობას მიენდო. მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად გავლენიანი სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი დაინიშნა.

რამ განაპირობა ნოე რამიშვილის შერჩევა ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, მაშინ როდესაც პარტიის უპირობო ლიდერი ნოე ჟორდანიას იყო? რა პოლიტიკური სტაჟი, ცოდნა-გამოცდილება და პრაქტიკული უნარები გააჩნდა ნოე რამიშვილს მთავრობის სახელმძღვანელოდ?

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის აღიარებულ მეთაურს ნოე ჟორდანიას ამ დროისათვის ეკავა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. პარალელურად, ნოე ჟორდანიას იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე (მას ექვემდებარებოდა სახალხო გვარდია) და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, განსაკუთრებით თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ძალაუფლების ფაქტობრივად მფლობელ ერთ-ერთ რევოლუციურ ორგანოს წარმოადგენდა. ვითარებაში, როდესაც ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოს მომავალი მკაფიოდ და ნათლად გარკვეული არ იყო, - მისი ბედი მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორის ერთობლიობას გადაჯაჭვოდა, ამასთან, ზოგიერთი რევოლუციური ორგანიზაცია სახელმწიფოს იურისდიქციას არც ექვემდებარებოდა, საფიქრებელია, ნოე ჟორდანიამ ამჯობინა, ჰქონოდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ დარჩენილიყო მეორე პლანზე და მთავრობის მეთაურად ნოე რამიშვილი დაასახელა.

ბევრი თანამედროვის მოწმობით, ნოე რამიშვილი შეუცვლელი კაცი იყო თავის პარტიაშიც („მის დამსახურებას მიეწერება პარტიის წყობა და ორგანიზაცია“¹) და საქართველოს მთავრობაშიც. ამიტომაც

¹ წერეთელი გ., ნოე რამიშვილი, ჟურნ. „ჩვენი დროა“, პარიზი, 1981, # 96, გვ. 57.

აღნიშნავდა აკაკი ჩხენკელი: „მთელი სიმძიმე პარტიის თუ მთავრობის, ნოეს კისერზე იყო“.¹ ეს გარემოება ზოგიერთ უცხოელ ავტორსაც შეუნიშნავს. ერთ-ერთი მათგანის, იტალიელი ლუიჯი მერკატელოს სიტყვით: „ნოე რამიშვილი არ არის არც გენიოსი და არც მაღალი კულტურის პიროვნება, მაგრამ ...აქვს შეუპოვრობის განსაკუთრებული ძალა და მორალური ენერჯია. ...მძვინვარე ადამიანია, რომელსაც არ ეშინია საფრთხის და არ შეურიგდება წინააღმდეგობებს. ის ცხოვრობს ბრძოლაში. ...ის არის ადამიანი, რომელიც მუშაობს მთელი რწმენით და დიდი ეფექტიანობით ქვეყნის გადარჩენისათვის“.² სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე გვარჯალაძეც ხაზგასმით მიუთითებდა: ნოე რამიშვილის გარდა „ჩვენს პარტიაში მე არ ვიცი მეორე პიროვნება, რომელსაც ისეთი უფლებით შესძლებოდა ეთქვა ჩვენი პარტიის შესახებ, რომ ეს ჩემი პარტიაა“.³

რაჟდენ არსენიძე წერდა: ნოე რამიშვილი იყო „დიდი სახელმწიფოებრივი შემოქმედების ადამიანი, რომელიც მაგარი ხელით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით უყრიდა მკვიდრ და მყარ საფუძველს საქართველოს დემოკრატიულ აპარატს, დემოკრატიული სულით გაჟღერებულს“.⁴

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ, 1918 წლის 15 ივნისს, ნოე რამიშვილი ეროვნული საბჭოს წინაშე წარსდგა მთავრობის დეკლარაციით, რომელშიც დაწყებული საქმიანობის ანგარიში და აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობის სამომავლო პროგრამა წარმოადგინა.

დეკლარაცია ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კარდინალურ საკითხებს განსაზღვრავდა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებს მთავრობის მიერ მოკლე დროში გაწეული მუშაობის შესახებ მოუთხრობდა და იმ ტენდენციებს გამოყოფდა, რომელთა მიხედვითაც აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი საქმიანობის გაგრძელებას აპირებდა.

მთავრობის დეკლარაციის განხილვა ორ დღეს გაგრძელდა. საბჭოს უმრავლესობამ, ეროვნულ-დემოკრატიების გამოკლებით, დაამტკიცა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი და ნოე რამიშვილის მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა.⁵

ამის საფუძველი ის იყო, რომ მოკლე დროში დაიწყო ქვეყნის აღმშენებლობა, მოესწრო არაერთი დემოკრატიული ინსტიტუტის ფორმირება, სათავე დაედო სახელმწიფოებრივ წესრიგსა და სხვა, რაშიც, ცხადია, წვლილი მთავრობის პირველი პრემიერს - ნოე რამიშვილის მიუძღოდა.

ყოველივეს მიუხედავად, 1918 წლის 24 ივნისს ნოე რამიშვილმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადადგომის თხოვნით მიმართა. თუ რამ განაპირობა მისი ეს ნაბიჯი, ამის თაობაზე ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მათ ქვემოთ შევხებით, ახლა კი თვით ფაქტის შესახებ.

პრემიერის ხსენებულ განცხადებაში აღნიშნული იყო: „საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას დაეკისრა მეტად მძიმე მოვალეობა - მოსპოს ჩვენს სახელმწიფოს ფარგლებში ანარქია და აღადგინოს სრული წესიერება რევოლუციის მოპოებათა საბოლოო გასამტკიცებლათ. ამ მოვალეობის ასასრულებლად ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მთავრობის გარშემო ყველა საზოგადოებრივ და რევოლუციონურ რეალურ ძალთა გაერთიანება. რომ პარლამენტს საშუალება მიეცეს ეს მიზანი დაჩქარებით განახორციელოს, მთავრობამ დადგინა სამსახურიდან გადადგეს და თქვენ გაცნობოს თვისი ასეთი დადგენილება ახალი მთავრობის დაუყოვნებლივ შესადგენათ“.⁶

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო ეროვნული საბჭოს ყველა პოლიტიკურმა ფრაქციამ. სიტყვებითა და განცხადებებით გამოვიდნენ გრიგოლ ვეშაპელი (ეროვნულ-დემოკრატიებისაგან), ალექსანდრე წერეთელი (ფედრალისტური პარტიის სახელით), კალენიკე ქავთარაძე (ალიონის ჯგუფი), ივანე ჩერქეზიშვილი (სოციალისტ-რევოლუციონერი) და ალექსანდრე ახმეტელი (რადიკალ-დემოკრატი). კამათის დასრულების შემდეგ ეროვნულმა საბჭომ ასეთი რეზოლუცია მიიღო:

„მოისმინა რა მთავრობის განცხადება მისი გადადგომის შესახებ, ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მიანდოს საბჭოს წევრს ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლად“.⁷

კენჭისყრისას ეროვნულ-დემოკრატიებმა თავი შეიკავეს. დანარჩენმა ფრაქციებმა საბჭოს რეზოლუციას მხარი უცვლელად დაუჭირეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

¹ რამიშვილი ა., ჩვენი შეცდომები, გვ. 59.

² მერკატელო ლუიჯი, სამი პიროვნება: ნ. ჟორდანიას, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, წიგნში - საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. 2 (6), თბ., 1995, გვ. 88-89.

³ გვარჯალაძე კ., მეგობრის ხსოვნას, გაზ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1931 წ., #11, იანვარი.

⁴ არსენიძე რ., ნოე რამიშვილის ხსოვნას, ჟურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1981, # 96, გვ. 6.

⁵ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 18 ივნისი.

⁶ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 43, ფურც. 29; ასევე, გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 25 ივნისი.

⁷ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 51, ფურც. 3;

აღმსრულებელ ხელისუფლებაში განხორციელდა ცვლილება. თავმჯდომარის პოსტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ დაიკავა. ნოე რამიშვილი დარჩა შინაგან საქმეთა უწყების მეთაურად.¹

ამ ცვლილებაში ზოგიერთი მკვლევარი „მთავრობის ნაადრევ კრიზისს“ ხედავს და იგი ოპოზიციის მიერ გამოწვეულ მოვლენად მიაჩნია,² ზოგიერთი კი მას „სახელმწიფო გადატრიალებას“ უწოდებს.³

გვხვდება თვალსაზრისიც, რომ ნოე რამიშვილის შეცვლა „იმპიჩმენტის“ იყო და ნებაყოფლობითი გადადგომა⁴ და, რომ მთავრობის თავმჯდომარემ პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა.⁵

რა მოხდა სინამდვილეში, რამ განაპირობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერის ნაადრევი წასვლა თანამდებობიდან?

ნოე რამიშვილის გადადგომა რომ თითქოს ოპოზიციის კრიტიკული გამოსვლების შედეგი იყო, ამავითვე უნდა გამოირიცხოს. ცნობილია, რომ დეკლარაციის განხილვისას 1918 წლის 15-16 ივნისს ეროვნულმა საბჭომ რამიშვილის მთავრობას ნდობის ვოტუმი გაუგრძელა. 24 ივნისს გამართულ საბჭოს სხდომაზე კი, გრიგოლ ვეშაპელმა ეროვნულ-დემოკრატია სახელით პირდაპირ განაცხადა: „მთავრობის კრიზისი არ არის გამოწვეული პარლამენტში ძალთა განწყობილებით“.⁶

რა მონაცემებს ეყრდნობიან ის ისტორიკოსები, რომლებიც ნოე რამიშვილის იძულებით გადადგომაზე - გადაყენებაზე საუბრობენ? მათ ამის ძირითად საბუთად მოჰყავთ ვითომცდა გენერალ გიორგი კვინიტაძის ნათქვამი: „ვალიკო ჯუღელი⁷ რამდენჯერმე შემოვარდა მთავრობის სხდომაზე ყვირილით: გვარდია არავითარ მთავრობას არ დაემორჩილება, თუ მისი თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას არ იქნებაო“.

დავიწყებ იმით, რომ ცნობილი გენერლის სიტყვები მკვლევართ დამოწმებული აქვთ ნოე რამიშვილის შვილის - აკაკი რამიშვილის მოგონებებიდან და არა უშუალოდ გიორგი კვინიტაძის მემუარების წიგნიდან, რომელშიც მსგავსი არაფერი წერია.

გენერალი გიორგი კვინიტაძე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძის თანაშემწე (მოადგილე) ნოე რამიშვილის კოალიციურ კაბინეტში, საჭიროების შემთხვევაში, ესწრებოდა მთავრობის სხდომებს. ოქმებში, რომლებიდანაც მთავრობის სხდომებზე მისი მონაწილეობა დასტურდება (ასეთი კი სულ 6 ფაქტია), ნახსენები არ არის ჯუღელის გვარი. ეს იმას ნიშნავს, რომ გვარდიის სარდალს მთავრობის სხდომებზე არ იწვევდნენ. დაუპატიჟებლად შევარდნა და თანაც რამდენჯერმე კი, მეტად არასერიოზული ჩანს და ვ. ჯუღელის არაადეკვატურობას რომ თავი დავანებოთ, ჩრდილი მთავრობასაც ადგება. ეგეც არ იყოს, გვარდია რომ მთავრობას არ ექვემდებარებოდა და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას განკარგულებებით იმართებოდა, ეს ყველასათვის ცნობილი იყო და მისი აღნიშნული ფორმით საჯაროდ გაცხადების საჭიროება აღარ უნდა არსებულიყო.⁸

თვალსაზრისს, რომ თითქოს ნოე რამიშვილი ჟორდანიას-ჯუღელის შეთქმულების მსხვერპლი გახდა, ამაგრებენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის ერთი პუბლიკაციითაც, რომელიც 1961 წელს, პარიზში, ჟურნალ „ბრძოლის ხმაში“

¹ მოგვიანებით, 1918 წ. შემოდგომაზე, სგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი აკაკი ჩხენკელის ნაცვლად მიიღო ევგენი გეგეჭკორმა (სოციალ-დემოკრატი). მთავრობის დადგენილებით, იმავე წლის 22 ნოემბერს ჩხენკელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა. (საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმ. 69, ფურც. 1-2). სამხედრო მინისტრის მოადგილე და რესპუბლიკის ჯარის მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე ჯერ გენერალ ილია ოდიშელიძით შეცვალეს, თუმცა ეს გადაწყვეტილება მეორე დღეს გაუქმდა და ორივე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დაინიშნა. შინაგან საქმეთა მინისტრის (რომელიც იმავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა) მოადგილეებად შეარჩიეს გერასიმე მახარაძე და კონსტანტინე საბახტარაშვილი. საგარეო უწყებაში მოადგილის პოსტი შეინარჩუნა ზურაბ ავალიშვილმა, მეორე მოადგილეად დაამატეს კონსტანტინე გვარჯალაძე, შრომის სამინისტროში ერთ-ერთ მოადგილეად დააწინაურეს გიორგი ერაძე. დანარჩენ სამინისტროებში მოადგილეები არ შეუცვლიათ. (იხ.საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 2, ფურც. 8-9).

² ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 105.

³ ჯოჯუა დ., 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, გვ. 445-463.

⁴ ჭუმბურიძე დ., ისტორიული პორტრეტები. წერილები, , გვ. 134.

⁵ ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წგნ. II, თბ., 2006, გვ. 160

⁶ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 26 ივნისი.

⁷ ვალიკო ჯუღელი - სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მეთაური (სარდალი).

⁸ იმ დროს არა მხოლოდ საუბრობდნენ, პრესაშიც იწერებოდა, რომ „საქართველოს ორი მთავრობა ჰყავს, ერთი ოფიციალური და მეორე - გვარდია-საბჭოები“ (იხ. გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 20 ივნისი).

დაიბეჭდაო. რაჟდენ არსენიძე თითქოს იხსენებდა 1918 წლის 23 ივნისს გამართულ ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომას, რომელიც ირაკლი წერეთლის თაოსნობით გამართულა და პრემიერი ნოე რამიშვილიც ესწრებოდა. „ირაკლიმ მოულოდნელად მთავრობის თავმჯდომარედ ნაცვლად ნოე რამიშვილისა, ნოე ჟორდანიას კანდიდატურა წამოაყენა. ბევრი ჯიუტობდა: სხვა თავმჯდომარეს, თუ შეცდომას ჩაიდენს, ადვილად გამოვცვლით, ნოე ჟორდანიას კი ვერაო.“¹ „როგორც ჩანს, ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი“, რამიშვილისა და იქ დამსწრე ზოგიერთი პარლამენტარისათვის კი, ეს ამბავი მოულოდნელი ყოფილა.²

ეროვნული საბჭოს პლენარული სხდომის წინ პოლიტიკური ფრაქციის შეკრებაში უჩვეულო არაფერია. ეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ფორმაა. მოულოდნელობის ეფექტი ამ ამბავს შეთქმულების ხასიათს ნაკლებად აძლევს. შეთქმულები ნიშანში ამოღებულ მსხვერპლს წინასწარ არ ეთათბირებია. ამ შემთხვევაში კი ისე გამოდის, რომ სწორედ მოითათბირეს და რამიშვილი დაიყოლიეს. იგი დათანხმდა გადადგომას და სათანადო განცხადებაც დაწერა. მხოლოდ ამის შემდეგ, 24 ივნისისათვის დაინიშნა ეროვნული საბჭოს სხდომა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების განსახილველად.

ლაპარაკი შეთქმულების შესახებ, ალბათ, მაშინ იქნებოდა ლოგიკური და საფუძვლიანი, ირაკლი წერეთელს რომ მთავრობის მეთაურის შეცვლის საკითხი რამიშვილის ზურგს უკან, პირდაპირ ეროვნული საბჭოში დაესვა და პრემიერი ფაქტის წინაშე დაეყენებინა.

მაგრამ არის კიდევ სხვა შეუსაბამობა. რაჟდენ არსენიძის წერილში, რომელიც „ბრძოლის ხმაში“ კი არ გამოქვეყნებულა,³ არამედ ჟურნალ „ჩვენ დროში“ დაიბეჭდა, მსგავსი არაფერია ნათქვამი. მკვლევრები, როგორც ჩანს, ბრმად ენდვნენ აკაკი რამიშვილს, რომელსაც პარიზული ემიგრანტული გამოცემის დასახელება აერია და თანაც რ. არსენიძის ტექსტის თავისებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. მეტი სიზუსტისათვის, მოვიტან ამონაწერს არსენიძის სტატიიდან, რომლის სათაურია „ირაკლი წერეთლის ხსოვნას“. ავტორი წერდა: „საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარე იყო ნოე რამიშვილი. ...მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ (სინამდვილეში ერთი თვეც არ იყო გასული, - ო. ჯ.) გადაწყდა ქვეყნის გაძლიერება ნოე ჟორდანიასთვის ჩაგვებარება. ამის ინიციატორი და გამტარებელი იყო ირაკლი წერეთელი. მან დააჯერა ჯერ ნოე ჟორდანია, რომ ის, როგორც ლიდერი, უნდა ჩადგომოდა სათავეში ქვეყნის მართვას, რადგან ამაზე უფრო დიდი და უფრო საპასუხისმგებლო საქმე ქვეყანას არ ქონდა, არც პარტიას, არც რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომელსაც ნ. ჟორდანია მაშინ მეთაურობდა. ეს აზრი მიადებინა ს.-დემ. ფრაქციასაც, რომლის თავმჯდომარე ის იყო. საბუთად ის მოქონდა, რომ ასე იქცევა ინგლისის სანიმუშო დემოკრატია. ასე უნდა მოიქცეს ქართველი სოც.-დემოკრატიაც, რათა ყველამ იგრძნოს, რომ პარტიას მთელი თავისი ძალა, პრესტიჟი და შესაძლებლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოს გასაძლიერად აქვს დადებული.“

ფრაქციაში ბევრი ჯიუტობდა, სხვა თავმჯდომარემ თუ შეცდომა ჩაიდინა, ადვილად გამოვცვლით, ნ. ჟორდანიას კი ვერაო. ირაკლი კი პირიქით, სწორედ ასეთი გამოცვლის წინააღმდეგი იყო. საუკეთესო ძალა, პარტიის სახელი და დიდება - მთლიანად უნდა ჩავდვათ ერის სამსახურში და არა გამოცვლაზე ვიფიქროთო“.⁴

ჯუღელის თემა რომ ამოვწუროთ, საჭიროა გავიხსენო 1918 წლის 8 ივნისის თბილისში გამართული ერთ კრება. ამ დღეს სახელდახელოდ შეკრებილან თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, შეერთებული ცენტრისა და წითელი გვარდიის შტაბის წევრები. სიტყვით გამოსვლისას ვ. ჯუღელს განუცხადებია: „მაგარი მთავრობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იქ გავგზავნით ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ თუ დემოკრატის მესვეური ნოე ჟორდანია არ შევიდა მთავრობაში, ჩვენ არასოდეს გვეყოლება მაგარი მთავრობა“.⁵ ვფიქრობ, გვიანდელ მოგონებებში აღწერილი ჯუღელის „შევარდნები“ მთავრობის სხდომებზე სათავეს ამ განცხადებიდან უნდა იღებდეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში განხორციელებული ცვლილების არსში ჩასაწვდომად უფრო მეტის თქმა შეუძლია იმ სტენოგრაფიული ანგარიშის გაცნობას, რომელმაც საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 24 ივნისის სხდომის მიმდინარეობა ასახა. როგორც ვნახეთ,

¹ რამიშვილი ა., ჩვენი შეცდომები, გვ. 23.

² ჭუმბურიძე დ., ისტორიული პორტრეტები. წერილები, გვ. 133.

³ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროს ყოველთვიური ორგანო „ბრძოლის ხმა“ გამოდიოდა 1929 წლიდან როგორც გაზეთი. 1938 წლის აპრილიდან გადაკეთდა ჟურნალის ფორმატად და გამოიცემოდა 1940 წლამდე (შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005, გვ. 7).

⁴ ჟურნ. „ჩვენი დროში“, პარიზი, 1961, # 36, ოქტომბერი, გვ. 16.

⁵ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 11 ივნისი.

სწორედ ამ სხდომამ დააკმაყოფილა მთავრობის თავმჯდომარის თხოვნა გადადგომის შესახებ და ახალი კაბინეტის შედგენა ნოე ჟორდანიას მიანდო. ჩვენთვის საინტერესო კუთხით, განსაკუთრებით საგულისხმოა ირაკლი წერეთლის სიტყვა.

საბჭოს წინაშე გამოსვლისას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელმა განაცხადა: „ჩვენ არ გვქონდა ერთი ძლიერი ცენტრი“ და „მაგარი მთავრობა“, „დღემდის და დღეს ჩვენი მთავრობა სუსტია, ის ცოცხლობს ხელოვნური სულისდგმით. არსებობდნენ სხვადასხვა რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც მთავრობას სულს უდგამდნენ“.¹

თავი დავანებოთ იმის გარკვევას, როდიდან დასჭირდა ნოე რამიშვილის მთავრობას „ხელოვნური სუნთქვა“, - წერეთელს ხომ მსგავსი არაფერი უთქვამს ამ მთავრობის დეკლარაციის განხილვისას 1918 წლის 15-16 ივნისს და ყურადღება მივაქციოთ ციტატის ბოლო ფრაზას, რომ მთავრობას სულს „რევოლუციური ორგანიზაციები“ უდგამდნენ (ნოე ჟორდანიას სიტყვით, „მთავრობას ამაგრებდნენ“²). მაშასადამე, საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ქვეყნის ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგაც არსებულა სხვა, უფრო ძლიერი და გავლენიანი სტრუქტურები, როგორც ოფიციალური მთავრობის ალტერნატიული ძალა ანუ, სხვაგვარად - მეორე ხელისუფლება.

მართლაც, „ეროვნული საბჭო და მთავრობა, ერთი მხრივ, და საბჭოები, მეორე მხრივ, ქმნიდნენ პოლიტიკური რეჟიმის ორპოლუსიან სტრუქტურას“ - „პოლიტიკურ ბიპოლარიზმს“.³

ვინ იგულისხმებოდა ამ „რევოლუციონურ ორგანიზაციებში“? ესენი იყვნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები და წითელი გვარდია. ირაკლი წერეთლის სიტყვით, „გლეხების და მუშების ნდობა ჰქონდათ ამ ორგანიზაციებს. რაც შეეხება მთავრობას, ... მთელი დემოკრატია, მასსა ნდობას არ უცხადებდა მას“.⁴

გვარდია პირწმინდად სოციალ-დემოკრატიული შეიარაღებული წარმონაქმნი იყო („სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია“), საბჭოებში კი, მართალია, ესერებიც შედიოდნენ, მაგრამ ამინდს აქაც სოციალ-დემოკრატები ქმნიდნენ. ესე იგი, სოციალ-დემოკრატები დომინანტობდნენ კოალიციურ მთავრობაში და იგივენი სრულად აკონტროლებდნენ ამ მთავრობის ალტერნატიულ „რევოლუციურ ხელისუფლებას“. რისთვის იყო საჭირო ძალების ამგვარი გაფანტვა?

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1918 წლის მაისში მათი პროგრამული მისწრაფების საწინააღმდეგოდ დათანხმდნენ. არც სურდათ და არც აპირებდნენ, მაგრამ შექმნილმა მდგომარეობამ ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგათ. როგორც კარგად ორგანიზებულმა, სხვებზე მეტად გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ, სოციალ-დემოკრატებმა, დასკვნით ეტაპზე, წარმატებით უხელმძღვანელა სუვერენული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას და მისი მეთაურობაც იკისრა. მაგრამ პარტიის ლიდერები, მათ შორის ნოე ჟორდანია, ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფით სწორ გზას დაადგენ. გაამართლებდა თუ არა ეს არჩევანი, მრავალ გარემოებაზე იყო დამოკიდებული (მიმდინარე მსოფლიო ომი, მეზობლებთან ურთიერთობა, რუსეთის ფაქტორი, ქვეყნის შიდა ვითარება და სხვ.). ასეთ სინამდვილეში, ნოე ჟორდანიამ მეორე სკამის შენარჩუნებაც საჭიროდ ჩათვალა და მოვლენათა მსვლელობას დაელოდა: ერთბაშად არ გააუქმა ფაქტობრივი ძალის მქონე საბჭოები და უარი არც მის დასაყრდენ გვარდიაზე უთქვამს.

მოვლენები კი სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან ერთი თვის განმავლობაში ასე განვითარდა: ქართველმა ხალხმა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ფაქტი სიამოვნებით მიიღო. ქვეყანაში, რუსეთისაგან განსხვავებით, სამოქალაქო ომი არ გაჩაღებულა. გერმანიის დაპირებაც, რომ იგი დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტს, სულ უფრო დამაჯერებელი გახდა (გერმანიის ჯარის ნაწილები უკვე შემოვიდნენ საქართველოში). ჯერ-ჯერობით მეზობელ რესპუბლიკებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა) ურთიერთობაც ნორმალურად მიმდინარეობს, სამოქალაქო ომში ჩაძირული საბჭოთა რუსეთიც სამხედრო აგრესიისათვის ვერ იცლის. მაშ, სახელმწიფომ და მისმა მთავრობამ გაძლო, პერსპექტივაც უფრო საიმედოდ გამოიკვეთა. ახლა საჭირო აღარ არის მეორე ხელისუფლების არსებობა.

შექმნილი რეალობა ეროვნული საბჭოს ტრიბუნიდან ირაკლი წერეთელმა ასე დაახასიათა: „ჩვენი დემოკრატია შესდგა ახალი ცხოვრების გზაზე და ეს ახალი კალაპოტი საქართველოს დამოუკიდებელ

¹ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 26 ივნისი. სხვა გამოსვლაში ი. წერეთელი მთავრობის სისუსტედ მიიჩნევდა იმას, რომ იგი „სრულიად არ სარგებლობს იძულების მეთოდით“ (გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 11 ივნისი).

² ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 91.

³ ჯოჯუა დ., 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, გვ. 453, 456.

⁴ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 11 ივნისი.

რესპუბლიკის ცხოვრებისა უნდა დამკვიდრდეს.“ ორატორმა იქვე დასძინა, რომ „დადგა დრო, როცა უნდა შეიქმნას ძლიერი მთავრობა. ...ჩვენ ერთ ცენტრში უნდა მოვუყაროთ თავი ყველა ჩვენს საუკეთესო ძალებს, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში არიან სამუშაოდ გაფანტულნი“.¹

ახლა იმავე სხდომაზე ნოე ჟორდანიას გამოსვლის ერთ ფრაგმენტსაც გავცნოთ. მისი სიტყვით: „დღემდის მთავრობას არ ჰქონდა ყველა ფუნქციები. არსებობდა სხვადასხვა რევოლუციონური ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებდნენ ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს. ...რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა გამოსთქვეს სურვილი სახელმწიფოებრივი ფუნქციები გადასცენ მთავრობას“² (ნ. ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა ზემოთ უკვე ნახსენები, 8 ივნისის გამართული თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, შეერთებული ცენტრისა და წითელი გვარდიის შტაბის წევრთა კრება, რომელმაც ასეთი დადგენილება გამოიტანა: რევოლუციურ ორგანიზაციებსა და მთავრობას ცალ-ცალკე არ შეუძლიათ ძლიერი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მათი გაერთიანებით და მთელი შეიარაღებული ძალის დემოკრატიული მთავრობის ხელში გადაცემის გზით³).

დაბოლოს, ისევ ერთი ნაწყვეტი ეროვნულ საბჭოში ირაკლი წერეთლის სიტყვიდან, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს ჩემს მსჯელობას: „სანამდის საჭიროება მოითხოვდა ნოე ჟორდანიას რევოლუციონურ ორგანიზაციებში მუშაობას, ის იქ იყო და როდესაც მთავარი პოზიცია მთავრობის ხელში გადადის, აქ უნდა დავაყენოთ ჩვენი ნოე“ (ხაზი ჩემია, - ო. ჯ.).⁴

რატომ ნოე ჟორდანია და არა ნოე რამიშვილი? ეს კითხვა საბჭოში არავის დაუსვამს, თუმცა ი. წერეთელმა მაინც უპასუხა: იმიტომ, რომ ჟორდანია არის „ნამდვილი გამომხატველი ჩვენი დემოკრატიის სურვილების“, ის არის აღჭურვილი ყველა პარტიის ნდობით.

ეროვნულ საბჭოში შემავალი პოლიტიკური სპექტრის ნდობა ნოე რამიშვილსაც გააჩნდა, - იგი ერთხმად იყო დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის თავმჯდომარედ. მაშ, რატომ დათმო მან ასე იოლად ქვეყნის პირველკაცობა?

როგორი იყო ნოე რამიშვილის რეაქცია ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებაზე? ზუსტად ვერ ვიტყვი, რადგან საბჭოს ხსენებულ სხდომაზე იგი არც სიტყვით გამოსულა და არც რეპლიკა წარმოუთქვამს, - მთავრობის თავმჯდომარეობიდან ოფიციალურად გადადგა, მაგრამ დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრად. რაჟღერ არსენიძის სიტყვით: „როცა ერის ინტერესებმა მოითხოვეს, იგი (ნოე რამიშვილი, - ო. ჯ.) უდრტვინველად უთმობს თავის მაღალ პოსტს პარტიის მეთაურს ნოე ჟორდანიას და თვითონაც ამოუდგება გვერდში, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი“.⁵

თუ ნოე რამიშვილი აიძულეს, დაეთმო პრემიერობა, უნდა ვიფიქროთ, იგი განაწყენდებოდა და აღმასრულებელ ხელისუფლებას საერთოდ ჩამოშორდებოდა. არადა, მისი მოქმედება არ გავს ძალით გადაყენებული, გაჯავრებული კაცის ქცევას - თანხმდება მომავალ კაბინეტში თანამშრომლობას.

აკაკი რამიშვილის აზრით, ჟორდანიას მთავრობაში ნოე რამიშვილის შესვლის მიზანი იყო „შენარჩუნებინა მთავრობისათვის, ე. ი. საქართველოს რესპუბლიკისათვის, რაიმე ეროვნული ხასიათი“.⁶ სხვაგან იგივე აკაკი რამიშვილი წერს, რომ ნოე რამიშვილს შეეძლო არც გადამდგარიყო, ის ჯარის გამოყენებით შეძლებდა დაეპატიმრებინა ნოე ჟორდანია და მისი ისეთი მხარდამჭერები, როგორებიც იყვნენ ირაკლი წერეთელი, ვალიკო ჯუღელი და სახალხო გვარდიის შტაბი, მაგრამ ჩათვალა, რომ ამას სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა და ამ რადიკალური ნაბიჯისაგან თავი შეიკავაო.

არავინ იცის, წავიდოდა თუ არა ქართული ჯარი და მისი სარდლობა ასეთ ავანტურაზე. ნაკლებ სარწმუნოა, ემიგრაციაში, უკვე ღრმად მოხუცი გენერლის გიორგი კვინიტაძის სიტყვებიც, რომელსაც ისევ აკაკი რამიშვილი იშველიებს და მკვლევართა ნაწილიც უკრიტიკოდ იზიარებს. კვინიტაძეს თითქოს უთქვამს: „საკმარისი იყო ნოე რამიშვილს ჩემთვის ეთხოვა და მეორე დღესვე მივართმევდით გაბაწრულ

¹ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 26 ივნისი.

² გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 26 ივნისი.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 11 ივნისი. თავის მემუარებში ნ. ჟორდანია ამ ფაქტს ასე აღწერს: „დაიბადა აზრი ამ ორი ძალის („რევოლუციონურისა“ და ეროვნულის, - ო. ჯ.) გაერთიანების შესახებ ერთი პირის, ჩემი მეთაურობით“ (გვ. 90). აღსანიშნავია, რომ ნ. ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარედ მისი არჩევის შემდეგაც იტოვებდა უკანდასახევ გზას და ბოლომდე არ ჭრიდა „რევოლუციურ“ ტოტს, რომელზედაც იჯდა. აცხადებდა: „თუ მთავრობამ ვერ გაართვა თავი მართვა-გამგეობის საქმეებს და ფუნქციები ჯეროვნად ვერ შეასრულა, მაშინ ისევ რევოლუციონურ ორგანიზაციებში გადავა ზოგიერთი სახელმწიფოებრივი ფუნქციები“ (იხ. გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 26 ივნისი).

⁴ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 26 ივნისი.

⁵ არსენიძე რ., ნოე რამიშვილის ხსოვნას, ჟურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1981, # 96, გვ. 7.

⁶ რამიშვილი ა., ჩვენი შეცდომები, გვ. 23.

გენერალურ შტაბს (იგულისხმება გვარდიის მთავარი შტაბი, - ო. ჯ.). ...გვარდია ამით დაიშლებოდა. მთავრობის გადატრიალებას მაშინ ვეღარავინ შეძლებდა“.¹

ლოგიკისაგან შორს არის ის აზრიც, რომ მთავრობის მეთაურობას იძულებით ჩამოშორებულ, ნოე ჟორდანიასზე განაწყენებულ პიროვნებას ახალ მთავრობაში ყველაზე ძლიერ უწყებას შეუნარჩუნებდნენ და შინაგან საქმეთა მინისტრად დატოვებდნენ. ამდენად, თუ იძულება გამოირიცხა, დარჩა ერთადერთი - ნებაყოფლობითი გადადგომა.

ყოველივეს გათვალისწინებით, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილს საქართველოში და მის ირგვლივ მოვლენათა განვითარების ჩემს მიერ ზემოთ აღწერილი სქემა განეხილათ და კიდევაც შეთანხმებულიყვნენ, რომ რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარის პოსტს დროებით დაიკავებდა და თუ ახლად გამოცხადებული სახელმწიფო არსებობას შეძლებდა, შემდეგ მას ნ. ჟორდანიას შეცვლიდა.

ერთი შეხედვით, ამგვარ შესაძლებლობას უნდა გამოირიცხავდეს მკვლევარ დაზმირ ჯოჯუას მტკიცება, რომ „სოციალ-დემოკრატიული პარტია იმთავითვე არ წარმოადგენდა ერთიან სახელისუფლებო სუბიექტს და მის კრატოლოგიურ ფუნქციას იმთავითვე აკნინებდა ჟორდანიას-გეგეჭკორი-ჯუღელისა და რამიშვილი-ჩხენკელი-კვინიტაძის კორპორატიული დაჯგუფებების შინაგანი დიქტომია“. და რომ წარმოებდა „ბრძოლა ჟორდანიას ჯგუფის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ პროგრამასა და ნ. რამიშვილის მემარჯვენე ეროვნულ-სოციალისტურ დოქტრინას შორის“.²

ზოგიერთი ისტორიკოსი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, დამოუკიდებლობის პერიოდშიც კი, ეროვნული და კოსმოპოლიტური ფრთების არსებობაზე საუბრობს. ოღონდ, ეროვნული ფრთის წინამძღოლად ნოე ჟორდანიას სახელდება, კოსმოპოლიტების მეთაურებად კი კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი არიან მიჩნეულნი. თითქოს ეს უკანასკნელნი დიდად განიცდიდნენ რუსული მენშევიზმის გავლენას და ამ ნიადაგზე წინააღმდეგობაში იყვნენ პარტიის ლიდერ ნოე ჟორდანიასთან³ და სხვ.

ვნახოთ, ასე იყო თუ არა სინამდვილეში. ორ ნოეს შორის უნდობლობა, გართულება ან, მით უფრო - დაპირისპირება რომ არსებულებო, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას რატომ წამოაყენებდა პრემიერის პოსტზე მისთვის სათუო პიროვნებას? არადა, ხომ ფაქტია, რომ მთავრობის წევრობის კანდიდატები არა მარტო სოციალ-დემოკრატიული, არამედ სხვა პოლიტიკური პარტიებიდანაც კი ნოე ჟორდანიას აზრის გათვალისწინებით შეირჩა.⁴ იქნებ 26 მაისიდან 24 ივნისამდე პერიოდში მოხდა ისეთი რამ, რამაც ჟორდანიასა და რამიშვილს შორის ურთიერთობა დაძაბა და გააუარესა? ვითომ დროის ამ მოკლე მონაკვეთში შეიქმნა ნ. რამიშვილის „მემარჯვენე ეროვნულ-სოციალისტური დოქტრინა“? სათუოა, მით უფრო, რომ წყაროებში მსგავსი არაფერი ჩანს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს შემდეგი: პოლიტიკური პარტია ცოცხალი ორგანიზმია, იგი ჩვეულებრივი ადამიანებისაგან შედგება და მათ ურთიერთობებს ემყარება. ადამიანთა ურთიერთობებში კი ნებისმიერ დროს შეიძლება გაჩნდეს ბზარი, ეს ურთიერთობა გართულდეს ან პირიქით, - გაღრმავდეს, განმტკიცდეს და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ პარტიული მსოფლმხედველობა და დისციპლინა ორგანიზაციის წევრებს ერთმანეთს აახლოებს და ამსგავსებს კიდევ, პიროვნებები ბოლომდე არ იშტამპებიან, რადგან სხვადასხვაობს მათი აზრთა წყობა, გარემოსთან დამოკიდებულების, სამყაროს აღქმისა და შეცნობის უნარები და სხვ. ცნობილია, რომ ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელს განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ეროვნულ საკითხზე. თანაპარტიელთა შორის ამ თემაზე კარგა ხანს იყო კამათი, მაგრამ იგი არ გადაზრდილა სერიოზულ უთანხმოებაში. სხვადასხვაგვარი იყო ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის აზრი საკითხზე - ვისი გამარჯვება იქნებოდა უმჯობესი პირველ მსოფლიო ომში - გერმანიის თუ საფრანგეთის. რამიშვილი გერმანოფილობდა, ჟორდანიას კი

¹ რამიშვილი ა., ჩვენი შეცდომები, გვ. 24.

² ჯოჯუა დ., 1918 წლის 24 ივნისის გადატრიალება საქართველოში და მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, გვ. 454.

³ კობახიძე ბ., საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი (ხელნაწერი), თბ., 2015, გვ. 54. წინააღმდეგობა ნ. ჟორდანიასა და ი. წერეთელს შორის არა იმდენად საქართველოში, არამედ ემიგრაციაში გამოიკვეთა და მათ ნაწერებშიც რელიეფურად აისახა.

⁴ რ. გაბაშვილის თანახმად, ეროვნულ-დემოკრატებს ამ პარტიის წევრის გ. ჟურულის გამინისტრება ეროვნულ საბჭოში გამოცხადებამდე არც კი გაუგიათ. გ. ვეშაპელმა ამაზე პროტესტი გამოთქვა: „ჩვენ ბ-ნი გ. ჟურული არ დაგვისახელებია და ვინ დანიშნა ჩვენს დაუკითხავად?-აო. ...რომ მოემართნათ, ალბათ, სწორედ ბ-ნი გიორგის დავასახელებდით“. (იხ. გაბაშვილი რ., რაც მახსოვს, გვ. 216). ამ ინციდენტის გამო გიორგი ჟურულმა 1918 წ. 15 ივნისს მინისტრობიდან გადადგომა ითხოვა, მაგრამ მთავრობის წევრებმა განზრახვა გადააფიქრებინეს (იხ. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1861, ანაწ. 3, საქმ. 1, ფურც. 42). მალე გ. ჟურული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან გავიდა.

უპირატესობას საფრანგეთს ანიჭებდა. დარჩენ თავთავიანთ აზრზე,¹ მაგრამ ერთმანეთს არ გადამტერებდნენ.

ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილს შორის წინააღმდეგობა-დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, იგი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მოვლენათა ფხიზელ მეთვალყურე ოპოზიციურ პრესას. ასეთი მასალა კი მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში არ იძებნება. ასე რომ, ნოე რამიშვილის პრემიერის პოსტზე შეცვლის დრამატიზება, რაც აკაკი რამიშვილის გვიან დაწერილ მოგონებებში გვხვდება და მკვლევართ „სახელმწიფო გადატრიალებაზე“ ან „იმპიჩმენტზე“ საუბრის შესაძლებლობას აძლევთ, დამაჯერებლობას მოკლებულია. არც ის ფაქტი ცვლის რეალობას, რომ „ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა ვერ პატიობდა ნ. რამიშვილს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარეს, რომ მან ...დაუშვა ხელისუფლების სათავეში ნ. ჟორდანიას მოსვლა, რამაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასამარებას“.²

მთავრობის თავმჯდომარის შეცვლით აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების პრინციპი არ დარღვეულა და იგი კვლავ კოალიციას ეფუძნებოდა.

ნოე რამიშვილმა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე სულ რაღაც ერთი თვე დაჰყო, მაგრამ ამ მცირე დროშიც კი ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ერშიც და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც დამოუკიდებლობის სულისკვეთებას ემძლავრა და მისი რწმენა განმტკიცებულყო. ამიტომაც წერდა ცნობილი ემიგრანტი მოღვაწე გიორგი წერეთელი: „გახდა რა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დროებითი მთავრობის თავმჯდომარე, ნოე რამიშვილი აღარ ეკუთვნის მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ის, აგრეთვე, შევიდა და დამკვიდრდა საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა პანთეონში. ... აღარავის ძალუძს მისი იქიდან გამოდევნა“.³ სრული სიმართლეა. ნოე რამიშვილი სახელი მართლაც სამუდამოდ ჩაეწერა თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

Otar Janelidze
Gori State Teaching University
FROM THE HISTORY OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA
(RESIGNATION OF THE PRIME MINISTER)
RESUME

On 26 May 1918 Noe Ramishvili, one of the influential Social Democrats was approved by the National Council as a Chairman of the Government of the Democratic Republic of Georgia. He stayed in this position for about a month, after, on June 24, 1918 Noe Jordania accepted the post of Prime Minister.

The article discusses efforts of N. Ramishvili in building of democracy in a newly established Georgian State; In the text main place is given to the history of replacement of the first prime minister and highlighting of the reasons and circumstances which led to such changes in a short period of time.

Some scholars see “a premature crisis of the government ” in this fact and believe that this phenomenon was caused by the opposition; one part of them considers this incident as “an impeachment”, others call it “a coup d’état”.

The paper substantiates the notion that Noe Ramishvili’s request for resignation was neither a result of influence imposed on the prime nor a coup d’état; It is emphasized that the resignation of Noe Ramishvili was a voluntary act.

¹ ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, გვ. 69.

² ურუშაძე ლ., როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბ., 2011, გვ. 88.

³ წერეთელი გ., ჟურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1981, # 96, გვ. 27.

სოფლის მეურნეობა გორის მაზრაში (XIX საუკუნე-XX საუკუნის დასაწყისი)

გორისა და მისი შემოგარენის კლიმატურ-ნიადაგური თავისებურებები, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ამ რეგიონის სოფლის მეურნეობის ხასიათზე. მთიანი ადგილები, საუკეთესო ალპური საძოვრებით, ხელს უწყობდა მეცხოველეობის განვითარებას, ბარში კი უკეთესი პირობები იყო ხვნა-თესვისა და სასოფლო კულტურების საწარმოებლად. XIX საუკუნეში გორის მაზრაში განსაკუთრებული გასაქანი მიეცა ხორბლის, სიმინდის, ვაზის, ხეხილისა და ბოსტნეულის მოყვანას. ამ მხრივ აღსანიშნავია მდინარე დიდი ლიახვის ხეობა - სოფ. ქვემო ნიქოზიდან ვარიანამდე. აქ მოყვანილ ხორბალს თავისი ხარისხით მოწინავე პოზიცია ეკავა მთელ საქართველოში.

სიმინდი ქართლში, ძირითადად, სარწყავ ადგილებში ითესებოდა. დაბლობში ფართოდ ინერგებოდა ვაზისა და ხეხილის კულტურა, ხოლო მთიან ადგილებში უფრო მეტად - მერძეული მეცხოველეობა.

1883 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ნ. ურბნელის ცნობის თანახმად, ტირმნისელი მემამულე **ი.დ.სულხანოვი** (სულხანიშვილი) მაზრაში ის ერთ-ერთი მემამულე იყო, რომელიც ცდილობდა ევროპულად გაემართა საკუთარი მეურნეობა, შესაბამისად მისი ფერმა საუკეთესოდ ითვლებოდა ქართლში სადაც აგრონომი სტუდენტებიც კი ჩამოჰყავდათ პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად. მეურნეობის გამართვას, რომელსაც 200 დესეტინა ფართობი ექირა, იგი შეუდგა 1851 წელს და 1865 წლისათვის მას:

- 150 დესეტინაზე ეთესა ხორბალი;
- 4 დესეტინაზე - ფეტვი, მუხუდო და ცერცვი;
- 8 დესეტინაზე - ინდიგო;
- 7 დესეტინაზე ჩაყრილი ჰქონდა ვაზი;
- საძოვრებს, რომლებიც ხელოვნურად ირწყვებოდა, ექირა 30 დესეტინა, მათ შორის მხოლოდ იონჯას ნათესებს - 1 დესეტინა.

სამიწათმოქმედო იარაღებიდან მან შეიძინა შუმანის სისტემის გუთანის, ცდილობდა სათანადო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დანერგვასაც. სულხანიშვილმა ასევე შემოიტანა ხორბლის მარცვლის საუკეთესო ჯიშები, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საღებავი მცენარეების მოყვანასა და მის რეალიზაციას, ამიტომაც ყოველწლიურად ზრდიდა ინდიგოს ნათესებს. თუ 1863 წელს მას ეს მცენარე 5 დღიურ სახნავზე ეთესა, 1865 წლისათვის ნათესის მოცულობა 15 დღიურ სახნავამდე გაზარდა. გაშენებული ჰქონდა სხვადასხვა ჯიშის ვაზი: საფერავი, მსხვილმარცვალა, ბუდეშური, ხორტივალი და ადრეული. მოჰყავდა მცირე რაოდენობით თამბაქოც, თუმცა სპეციალურად ამ საქმისათვის ოსტატი ტრაპიზონიდან ჩამოუყვანია. 1863 წელს თბილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ი. სულხანიშვილის წარდგენილმა პროდუქციამ ოქროს მედალი დაიმსახურა.¹

სოფლის მეურნეობის განვითარებამ წინ წასწია მიწათმოქმედება. ამაზე მიუთითებს გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის დაარსება 1897 წელს, რომლის გამგეობის თავმჯდომარე თავადი **გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი** ყოფილა, დირექტორ-გამგებელი კი - თავადი **ვ. გ. მაჩაბელი**. სადგურ გომში ამხანაგობა ყიდულობდა და ყიდდა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ნაწარმს, 1899 წლის სტატისტიკური მასალის თანახმად, ამხანაგობის სავაჭრო აქტივობები შემდეგნაირი იყო:

¹ ნაცვლიშვილი ნ., მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 1971. გვ. 22-25.

საქონლის დასახელება	ამხანაგობამ გაყიდა				დარჩა გასაყიდი			
	წონით		ღირებულებით		წონით		ღირებულებით	
	ფუთი	გირვანქა	მან.	კაპ.	ფუთი	გირვანქა	მან.	კაპ.
პური	33569	17	26928	7	29087	31	22397	59
ქერი	41705	14	27312	79	10343	29	6930	30
სიმინდი	19353	24	10784	57	3757	06	1878	57
ლობიო	450	38	272	79	421	36	232	05
თივა	-----	-----	17483	73	-----	-----	5185	80
შვრია	194	20	145	90	-----	-----	-----	----
ხე-ტყის მასალა	-----	-----	3078	45	-----	-----	1480	14
ნავთი	6294	19	7628	16	459	-----	619	65
სხვადასხვა სავაჭრო	-----	----	29890	74	-----	-----	11529	17

1905 წელს გორის მაზრაში მოუწევიათ შემდეგი რაოდენობის მოსავალი:

ხორბალი 3 165 834 ფუთი;

ქერი 1 113 539 ფუთი;

სიმინდი 668 143 ფუთი;

შვრია 17 631 ფუთი;

კარტოფილი 128 400 ფუთი;

მეხილეობაში წამყვანი ადგილი ეკავა ვაშლის, მსხლისა და კაკლის მეურნეობებს. მათი ნაყოფები კარგად უძლებდა ტრანსპორტირებას და დიდხანსაც ინახებოდა. შიდა ქართლში დიდი რაოდენობით მოდიოდა ალუბალი, ბალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი და სხვ. ხილის მოსავლის ძირითად რაოდენობას გლეხებისაგან ადგილზევე ყიდულობდნენ ხილით მოვაჭრეები, რაც მათ საგრძნობ მოგებას აძლევდა.

ხილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი შეადგენდა:

1882 წელს-----20 ათას მან.	1888 წელს-----29 793 მან.
1883 წელს-----25 ათას მან.	1889 წელს-----7 860 მან.
1884 წელს-----25 ათას მან.	1890 წელს-----30 448 მან.
1885 წელს-----24 ათას მან.	1891 წელს -----27 376 მან.
1886 წელს-----32 ათას მან.	1892 წელს-----26 975 მან.
1887 წელს-----20 772 მან.	1893 წელს-----18 975 მან.

გორის მაზრის მეხილეობაში წამყვან კაპიტალისტურ წამოწყებას წარმოადგენდა სკრის ხეხილის სანერგეები და ბაღები, რომლებიც **ძმებ ფრიდონოვებს** ეკუთვნოდათ. თავისი დროის სამიწათმოქმედო დარგის განვითარების შესაბამისად, ფერმას გამოჰყავდა ნერგები და ყიდდა როგორც მას, ისე ხილსაც. ფერმა რამდენჯერმე დაჯილდოვდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დიპლომებითა და ოქროს მედლებით (1899 წლიდან 1903 წლამდე სრულიად რუსეთის სხვადასხვა გამოფენებზე პეტერბურგში ოთხი ოქროს მედლი და საპატიო სიგელი).¹

გორის მაზრაში არსებულ ხეხილის ბაღებს შორის გამორჩეული იყო **კარლ ივანეს ძე გაუსმანის** ბაღი, მდ. მეჯულის ნაპირზე, რომელსა ეკავა 6 დესეტინა, აქედან ხეხილს - 5 დესეტინა. ბაღი გააშენეს 1871-1872 წლებში. საინტერესოა ის სიახლე, რომელიც გაუსმანმა დაამკვიდრა - იგი ხეებს განსაკუთრებულ ფორმას აძლევდა, მაღლითა გვერდით ტოტებს აჭრიდა, დანარჩენებს კი ტოვებდა. ხე პირამიდის მსგავს ფორმას იღებდა, ეს კი ქარისაგან დასაცავად საუკეთესო საშუალება იყო, როცა სხვაგან ქარი ხეებს ამტვრევდა, აქ მათ ნაყოფებიც კი არ სცვიოდათ.

¹ მაისურაძე გ., გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX-XX სს პირველი მეოთხედი), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. თბ. 1979. №2 გვ. 86.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავალი გორის მაზრაში
XIX საუკუნის II ნახევარში (ფუტობით):

წლები	ვისია სახნავი	აღებულია (ფუტობით)			
		ხორბალი	ქერი	სიმინდი	კარტოფილი
1856	თავადაზნაურობის	244150	40890	3885	-----
	საბატონო გლეხების	492855	14616	4370	-----
	სახელმწიფო გლეხების	301140	15577,5	22750	-----
	საეკლესიო გლეხების	182965	127310	5320	-----
1862	თავადაზნაურობის	169450	-----	-----	2073
	საბატონო გლეხების	229760	-----	-----	1653
	სახელმწიფო გლეხების	119280	-----	-----	1387
	საეკლესიო გლეხების	151088	-----	-----	1287
1864	თავადაზნაურობის	646090	-----	-----	1900
	საბატონო გლეხების	941716	-----	-----	1566
	სახელმწიფო გლეხების	1364869	-----	-----	1889
	საეკლესიო გლეხების	429333	-----	-----	1070
1868	სულ	2776016	-----	-----	62340
1873	თავადაზნაურობის	570190	190240	-----	13865
	საბატონო გლეხების	1785145	206625	-----	30965
1876	თავადაზნაურობის	557460	159200	-----	12050
	საბატონო გლეხების	1473640	264625	-----	81685
1884	თავადაზნაურობის	665000	311750	-----	45400
	საბატონო გლეხების	1705150	699625	742425	65550
1890	დროებით ვალდ. გლეხები (სანედლო მიწებზე)	851447	323350	-----	5025
	მესაკუთრე გლეხები	264000	87725	-----	1045
	სახაზინო გლეხები (სახელმწიფო მიწაზე)	228200	197925	-----	475
	სახაზინო გლეხები (საეკლესიო მიწაზე)	291650	141375	65822	380
	თავადაზნაურობის მიწები:				
	ა) პირად სარგებლობაში	321000	84825	68300	950
	ბ) გაცემულია იჯარით	362700	150790	78550	2175
გ) გაცემულია ღალით	724678	246355	218500	4750	
1893	თავადაზნაურობის	562737	253162	190475	10469
	სახაზინო მიწები	497357	232725	145801	-----
	გლეხთა მიწები	907181	186180	343520	6732
	მოიჯარადრეების მიწები	673920	195025	641829	8640
1897	თავადაზნაურობის	535700	236350	218500	15100
	სახაზინო მიწები	500540	229452	201300	4270
	გლეხთა მიწები	910570	181250	332500	14250
	მოიჯარადრეების მიწები	901450	217500	610500	6650
1899	თავადაზნაურობის	440737	283968	290076	104210
	სახაზინო მიწები	436515	156572	141450	47500
	გლეხების	817950	273325	350892	71150

1901	მოიჯარადრეების	85400	36250	19000	-----
	მესაკუთრეების	128250	17390	28500	-----
	თავადაზნაურობის	1148393	250632	292033	105773
	სახელმწიფო მიწებზე	558552	167569	114864	44550
	გლეხთა მიწებზე	1152242	228386	206415	22023
	მოიჯარადრეთა მიწებზე	568703	94052	61408	67032

წყარო: გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX-XX სს პირველი მეოთხედი) გ. მაისურაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბ. 1979., №2

1900-იანი წლების დასაწყისიდან გორის მაზრაში ბევრი შემოსავლიანი ხეხილის სანერგე და ბაღი იყო, რომელთა შორის აღსანიშნავია:

სანდრო მაჩაბლისა - სოფ. ქურთაში 6-7 დესეტინა ფართობზე;

სიმონ ხეთაგურის - ცხინვალსა და ქვემო ნიქოზს შორის 5 დესეტინა ფართობზე;

ხიდისთაველების - ქალაქ გორის ახლოს;

ისაია ფურცელაძისა - სოფ.მერეთში 9 დესეტინა ფართობზე;

ა. ერისთავის - ატენის ხეობაში;

ნიკო კეცხოველისა - სოფ. ტყვიავში;

თარხნიშვილების - სოფ. ახალქალაქში;

მათ სანერგეებში დიდძალი ნერგი გამოჰყავდათ, რაც ქართლის სოფლებში იყიდებოდა. ბაღებისა და სანერგეების დამუშავების დროს იყენებდნენ უცხოეთიდან გამოწერილ რკინის გუთნებს, კულტივატორებსა და სხვა მანქანა-იარაღებს. ერთ-ერთი ბაღის მფლობელი ხიდისთავში წარმატებით აწარმოებდა ცდებს ხილის კონსერვების დასამზადებლად. ქართლის მეხილეებს კავშირი ჰქონდათ ყირიმის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სანერგეებთანაც.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ქართლის გლეხობა ხილს ტოტებიანად ინახავდა სხვენში ან მარანში, ხილის კონსერვაცია ხდებოდა ცვილითა და თათარით, მარილიან ან უმარილო წყალში ჩაყრით, მისი შენახვით ორმოში, ქვევრში და სხვ.¹

1913 წელს გაზეთი „ქართლი“ გამოქვეყნებული გორის ბაზრის ფასები ასე გამოიყურება:

პროდუქციის დასახელება	ღირებულება
ფუთი ხორბალი	1 მან. 20 კაპ/1 მან. 15 კაპ.
ფუთი ფქვილი	1 მან. 15 კაპ/1 მან. 10 კაპ.
ფუთი ქერი	75 კაპ-დან 70 კაპ-მდე
ფუთი სიმინდი	70 კაპ-დან 60 კაპ-მდე
ფუთი შვრია	70 კაპ-დან 80 კაპ-მდე
ფუთი ლობიო	1,80 კაპ-დან 85 კაპ-მდე
ფუთი კარტოფილი	70 კაპ-დან 50 კაპ-მდე
ფუთი კომბოსტო	20 კაპ-დან 30 კაპ-მდე
ფუთი ჭარხალი	80 კაპ-დან 60 კაპ-მდე
100 კვერცხი	2 მან 50 კაპ/2 მან. 40 კაპ.
ჩარეკი რძე ძროხისა	15 კაპ
კამეჩისა	20 კაპ
გირვანქა კარაქი	45 კაპ/50 კაპ
გირვანქა ერბო	50 კაპ/48 კაპ

წყარო: გაზეთი „ქართლი“ №75. 1 თებერვალი. პარასკევი. 1913 წ. გვ. 4

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მემამულე **ამილახვარს** სოფ. ორთაშენში, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის რჩევით, გაუშენებია იმ დროისათვის კარგი ბოსტანი, სადაც დაუთესია ბრიუსელისა და ფერადი კომბოსტო. ეს იყო სარისკო გადაწყვეტილება, მაგრამ მემამულე არ შეუშინდა ამ ნოვაციას და კარგი მოსავალიც მიიღო. თუმცა გორში (ალბათ, არა მარტო გორში) კომბოსტოსათვის გასაღების ბაზარი ვერ იშოვა, იძულებული გახდა ბოსტანში კამეჩები შეეშვა და ამდენი ნაშრომი გაენადგურებინა.

¹ მაისურაძე გ., დასახ. ნაშრ., გვ. 74-89.

მსგავსი სიახლეები არაერთმა მემამულემ დანერგა ტყვიაში, მერეთში, ქურთაში, აჩაბეთში, ვანათში და სხვ. გააშენეს ევროპული ტიპის ბაღ-ვენახები თავიანთი სანერგე მეურნეობებით, შემოიტანეს უცხოური ჯიშის კულტურები, დააარსეს სასოფლო-სამეურნეო სკოლები და ა.შ. ახლად დაარსებული სამეურნეო საზოგადოებები ხელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლას. მაგალითად, ერთ-ერთმა ასეთმა საზოგადოებამ, სოფ. ტყვიაში მებატონე **გაბუნიასაგან** შეიძინა 20 დესეტინა მიწა, შეადგინეს ბაღის გაშენების პროექტი თავისი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც მეხილეობის დარგის ინსტრუქტორმა დ. გორთამაშვილმა ითავა. პროექტის თანახმად 10 წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯი შეადგენდა 86 090 მანეთს, ხოლო შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი - 105 100 მანეთს. სანერგე მეურნეობაში გამოჰყავდათ როგორც ადგილობრივი ჰიბრიდული ჯიშის, ისე უცხოური, უმთავრესად ევროპიდან შემოტანილი ხილის ნერგები.¹

XIX საუკუნის II ნახევარში მეხილეობა-მევენახეობის განვითარება გორის მაზრის მეზობელ ტერიტორიულ ერთეულებშიც შეინიშნება, მაგალითად: 1894 წლისათვის ბორჯომის უბანი აერთიანებდა 41 სოფელს, სადაც 385 ხეხილის ბაღი 120 დესეტინა ფართობზე იყო გაშენებული, 84 ვენახი - 35 დესეტინაზე, ბოსტნეული კი 120 დესეტინა ფართობზე მოჰყავდათ. სურამის უბანი აერთიანებდა 168 სოფელს, სადაც 718 ხეხილის ბაღი 800 დესეტინა ფართობს მოიცავდა, ვენახი - 800 დესეტინაზე, ხოლო ბოსტნეული 60 დესეტინა ფართობზე იყო გაშენებული. ცხინვალის უბანი აერთიანებდა 178 სოფელს, სადაც 30 ხეხილის ბაღი 120 დესეტინას, 1075 ვენახი - 1100 დესეტინას, ხოლო ბოსტნეული 18 დესეტინა მიწის ფართობებს მოიცავდა.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „ქართლი“ №75. 1 თებერვალი. პარასკევი. 1913.
2. მაისურაძე გ., გორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX-XX სს პირველი მეოთხედი), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბ., 1979. №2.
3. ნაცვლიშვილი ნ., მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1971.
4. პავლიაშვილი დ., შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები. თბ., 2012.

Mamuka Jolbordi

Gori State Teaching University

AGRICULTURE IN GORI UYEZD (XIX CENTURY-THE BEGINNING OF THE XX CENTURY) RESUME

The paper deals with the development of agriculture issues in Gori district in the XIX and early XX centuries. The success of the landowners of Shida Kartli, namely, the achievements in the production of cereals, fruit growing, vegetables and fruits development, is studied in the presented paper. The relevant statistical material, which clearly demonstrates the importance of this region's special economic life, is presented as well.

¹ პავლიაშვილი დ., შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები. თბ., 2012. გვ. 235.